K 531/2

დ. ზ. ბაქრაძე

# ვახუშტი
## საქართველოს ისტორია

I

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა

# ვახუშტი

## საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით

დ. ზ. ბაქრაძის მიერ.

შინ არ გაიცემა

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

ტფილისი

1885

[illegible]

9(47.922)
ჭ 32 — 2K531

ტექსტი დაიბეჭდა ა. კალანდაძის სტამბაში, სათაური მელიქოვის სტამბაში.

Дозволено цензурою, Тифлисъ. 9 Іюля 1885 года.

# საქართველოს ისტორია

# ამ წიგნის ზანდუკი.

გვერდი.


წინა-სიტყუაობა პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართლის ცხოვრების ხრონოლოგიისა (ვახუშტისა) . . . I—VII

წინა-სიტყუაობა მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი) . . . . . . . . . . IX—XVIII

წინა-სიტყუაობა მესამე, ანუ ქართული ისტორიის წყაროები და ძველის ქართლის ცხოვრების ღირსება (დ. ბაქრაძისა). XIX—XXXI

I

შესავალი.

ა. საქართველოს წეს-დებანი და ზნე-ჩვეულებანი.

1. ზნეთათვის . . . . . . . . . . . . 2—3
2. კერპთათვის . . . . . . . . . . . . 3—4
3. მეფეთათვის . . . . . . . . . . . . 4
4. წესთათვის . . . . . . . . . . . . 4—5
5. ლაშქართათვის. . . . . . . . . . . . 5
6. საჭურჭლეთათვის . . . . . . . . . —
7. სამართლისათვის. . . . . . . . . 5—6
8. ხელის-უფალთათვის . . . . . . . . 7—8
9. ჩვეულებათათვის . . . . . . . . . 9—10
10. კერპთა დღესასწაულთათვის. . . . . . . 10—11
11. შემდგომად კერპთა . . . . . . . . 11
12. ეპისკოპოს-მღვდელთათვის . . . . . . . —
13. მეფეთა კურთხევისათვის . . . . . . . —

გვერდი.

14. კათალიკოსისა, ეპისკოპოსისა და წინა-მძღვრისათვის. 11—12
15. შეძინებული წესი მთავართათვის და ჭყონდიდლისათვის. 12
16. ათაბაგისათვის და მეფეთა გვართათვის . . . . 12—13
17. მთავართა გვართათვის . . . . . . . . 13—14
18. ახალ-წლისათვის . . . . . . . . 14
19. აღდგომისათვის . . . . . . . . 14—15
20. დროშისათვის . . . . . . . . . 15
21. შერეულთა წესთათვის . . . . . . . . 15—16
22. აწინდელთა წესთათვის . . . . . . . . 17
23. აწინდელთა ხელის-უფალთა შეცვლილთა სახელთათვის. 17—18
24. აწინდელთა მთავართა გვართათვის . . . . . 18—19
25. წარჩინებულთათვის . . . . . . . . . 19—20
26. მეფეთა წერილისათვის . . . . . . . . 20—21
27. ეპისკოპოსთა ლაშქრად წასვლისათვის. . . . . 21

## ბ. აღწერა შემოკლებით.

28. სახელი რით ეწოდა . . . . . . . . . 22—23
29. საზღვრები . . . . . . . . . . . 23
30. აბრეშუმისათვის . . . . . . . . . . 23—24
31. პირუტყვთა და მფრინველთათვის . . . . . . 24
32. მთათა და მდინარეთათვის . . . . . . . 25
33. თევზთა, მძრომთა და მწერთათვის. . . . . . —
34. კაცთათვის . . . . . . . . . . . . 26—27

## II

## ისტორია.

35. წინაპარნი ქართველთა და მოსაზღვრე ტომთანი.—იმათი საზღვრები.—საქართველოს განაგებენ მამა-სახლისნი. 28—37

აქ ფარნავაზის დროდამ საქართველო. თუმცა მყარდება სამეფოდ, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში თავს შემო-იკრებს შემთხვევით და იშვიათად.—მეფობენ ერთი მეორის შემდეგ სხვა და სხვა გვარ-ტომის შთამო-მავალნი, ესე იგი;

### ა. ქართლოსიანნი.


| | გვერდი. |
|---|---|
| 36. მეფე ფარნავაზ (302—237 ქრ. წინათ.) . . . | 37—38 |
| 37. მეფე საურმაგ (237—162 ქრ. წ.) . . . . . | 39—40 |


### ბ. ნებროთიანნი.


| | |
|---|---|
| 38. მეფე მირვან I (162—112 ქრ. წ.) . . . . . | 40 |
| 39. მეფე ფარნაჯომ (112—93 ქრ. წინ). . . . . | 40—41 |


### გ. არშაკუნიანნი.


| | |
|---|---|
| 40. მეფე არშაკ (93—81 ქრ. წინ). . . . . | 41—42 |
| 41. მეფე არტაგ (81—66 ქრ. წინ) . . . . | 42 |
| 42. მეფე ბარტომ I. (66—33 ქრ. წინ). . . . . | 43 |
| 43. მეფე მირვან II (33—23 ქრ. წინ) . . . . . | 44 |
| 44. მეფე არშაკ II (უკანასკნ. ნებრ.) (23—2 ქრ. წინ) . | — |
| 45. მეფე ადერკი (ქართლ.) (2 ქრ. წინ და 55 წ. ქრ. შემდ.) . | 44— 45 |
| 46. მეფენი: ბარტომ II და ქართამ (ქართლოს.) (55—72 წ.) | 46 |
| 47. მეფენი: ფარსმან I და კაოს (ქართლ.) (72—87 წ.). | 46— 47 |
| 48. მეფენი: აზორკ და არმაზელ (ქართლ.) (87—103) . | 47— 48 |
| 49. მეფენი: ამზასპ I და დეროკ (ქართლ.) (103—113 წ.) . | 48 |
| 50. მეფენი: ფარსმან II და მირდატ I (ქართლ.) (113—129 წ.) | 48— 49 |
| 51. მეფე ადამ (ქართლ.) (129—132); შემდეგ 146-მდე მეფობს დედა მისი. . . . . . . . | 50— 51 |
| 52. მეფე ფარსმან III (ქართლ.) (146—182) . . . | 51 |
| 53. მეფე ამზასპ II (უკანასკნ. ქართლ.) (182—186) . | 51—52 |
| 54. მეფე რევ (186—213) . . . . . . . | 52 |
| 55. მეფე ვაჩე (213—231) . . . . . . . | — |

| | გვერდი. |
|---|---|
| 56. მეფე ბაკურ I (231—246) . . . . . . . . . | 52 |
| 57. მეფე მირდატ II (246—262) . . . . . . . | — |
| 58. მეფე ასფაგურ (უკანასკნელი არშ.) (262—265) . | 53 |


### დ. ხოსროიანნი ანუ სასანიანნი.


| | |
|---|---|
| 59. მეფე მირიან (265—342). . . . . . . . | 54— 76 |
| 60. მეფე ბაქარ I (342—364) . . . . . . . | 77— 78 |
| 61. მეფე მირდატ III (364—379). . . . . . . | 79 |
| 62. მეფე ვარაზ-ბაქარ II (379—393) . . . . . | 79—83 |
| 63. მეფე ტირდატ (393—405) . . . . . . . . | 83 |
| 64. მეფე ფარსმან IV (405—408) . . . . . . . | — |
| 65. მეფე მირდატ IV (408—410) . . . . . . . | 83— 84 |
| 66. მეფე არჩილ I (410—434) . . . . . . . . | 84— 87 |
| 67. მეფე მირდატ V (434—446). . . . . . . | 87— 88 |
| 68. მეფე ვახტანგ გორგასლანი (446—499). . . . | 88—101 |
| 69. მეფე დაჩი (499—514). . . . . . . . . | 102—103 |
| 70. მეფე ბაკურ II (514—528) . . . . . . . | 103 |
| 71. მეფე ფარსმან V (528—542) . . . . . . . | 103—104 |
| 72. მეფე ფარსმან VI (542—557) . . . . . . | 104 |
| 73. მეფე ბაკურ III (557—570) . . . . . . . | 105 |


### ე. ბაგრატიონნი.


| | |
|---|---|
| 74. გვარამ კუროპალატი (575—600). . . . . . | 106—108 |
| 75. მთავარი სტეფანოს I (600—619). . . . . | 109—112 |
| 76. მთავარი ადარნასე I (619—639) . . . . . | 112—113 |
| 77. მთავარი სტეფანოს II (ხოსრ.) (639—663). . . | 113—114 |
| 78. მეფე მირ (ხოსრ.) (663—668) . . . . . . | 114—116 |
| 79. მეფე არჩილ I (ხოსრ.) (668—718) . . . . . | 116—117 |
| 80. მთავარნი: იოანე და ჯუანშერ (უკან. ხოსრ.) (718—787) | 117—118 |
| 81. აშოტ კუროპალატი (787—826) . . . . . | 119—122 |

გვერდი

82. ბაგრატ I კურაპალატი (826—876) 122—124
83. მეფე კურაპალატი დავით I (876—881) . . . 124
84. მეფე კურაპალატი ადარნასე II (881—923). . . 125—128
85. მეფე კურაპალატი სუმბატ (923—958). . . . 128—129
86. მეფე დავით ანუ ბაგრატ II რეგვენი (958—994). .. 130—135

აქ დავით დიდის კურაპ. († 1001) დრომდე საქართველოს ერთობისა და სწავლა-ხელოვნების ფართო გზას დაადგება.

87. მეფე ბაგრატ III და მამა მისი მეფეთ-მეფე გურგენ (980—1008) . . . . . . . . . 135—144
88. მეფე გიორგი I (1014—1027). . . . . . . . 144—147
89. მეფე ბაგრატ IV (1027—1072) . . . . . . 148—166
90. მეფე გიორგი II (1072—1089). . . . . . . 167—172

აქ დავით აღმაშენებლის დრომდე საქართველო შეერთებულია და ძლიერი და საზოგადო პოლიტიკაზედაც გავლენას აღმოიჩენს; რუსუდანის დროს კი მისი ერთობა ირღვევა.

91. მეფე დავით II აღმაშენებელი (1089—1125) . . 173—186
92. მეფე დიმიტრი I (1125—1154). . . . . . . 187—188
93. მეფე დავით III (6 თვე 1154). . . . . . . 188
94. მეფე გიორგი III (1156—1184). . . . . . . 189—195
95. მეფა თამარ (1184—1212) . . . . . . . 196—216
96. მეფე გიორგი IV ლაშა (1212—1223) . . . . 217—224
97. მეფა რუსუდან (1223—1247) . . . . . . . 224—231

აქ მონღოლთა დრომდე საქართველოს ნაწილების ერთი-ერთი კავშირი დროს განმავლობაში სუსტდება და ბოლოს ირღვევა.

98. მეფენი დავით IV ნარინი (1243—1293) და დავით V (1243—1269). . . . . . . . . . . 238—251
99. მეფე დიმიტრი II თავ-დადებული (1273—1289) . 251—260

გვერდი.

100. მეფე ვახტანგ II (1289—1292). . . . . . . 260—261
101. მეფე დავით VI (1292—1310) . . . . . . . 261—274
102. მეფე გიორგი მცირე VI (1308—1318). . . . 274—276
103. მეფე გიორგი V ბრწყინვალე (1318—1346) . . 276—280
104. მეფე დავით VII (1346—1360) . . . . . . 280—281
105. მეფე ბაგრატ V (1360—1395). . . . . . . 281—289
106. მეფე გიორგი VII (1395—1407) . . . . . . 290—296
107. მეფე კოსტანტინე (1407—1414) . . . . . 296—297
108. მეფე ალექსანდრე (1413—1442). . . . . . 297—300
109. მეფე ვახტანგ IV (1442—1445). . . . . . 301—302
110. მეფე გიორგი VIII (1445—1469). . . . . . 302—307

## ახალი დამატება.

111. შთამომავლობა საქართველოს მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე . . . . . . . . . . 308—342

*NB.* ეს დამატება შთამომავლობის ხის გარდა უჩვენებს საზოგადო ღირს-საცნობ ფაქტებს თვითოეულ მეფობაში და ყველა სამღვდელო-საერო ისტორიულ პირთა.

# წინა-სიტყვაობა პირველი.

## მკითხველთათვის სიტყვა თუ რაჲსათვის არს შრომა ესე[1]

(ვახუშტისა)

იტყვის ბრძენი ციცერონ: «უკეთუმცა ყოველი ღვთის-მეტყველება, ფილოსოფია, ფიზიკა და რიტორებანი შევიკრძალოთ და არა მატიანენი ბუნებისანი, ნერგთა და ცხოველთა, ვერა რაჲმე შევიგრძნათ», რამეთუ მატიანე მოგვახსენებს დასაბამიდგანსა ჟამსა, წელსა და საუკუნესა; მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა და ჰგმობს უკეთურთ ქმნულებასა; მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის [illegible] მოწმობს ჟამთა და სხვათა; მატიანე განამხნობს და ერთ-გულ ჰყოფს ქვეყანისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ შთამომავლობასა და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის და მოყვარულ-ჰყოფს მოყვასსა მოყვსისა მიმართ.

არამედ ესე მატიანე განიყოფების ოთხ ნაწილად: ადგილის აღწერად, ნათესავთ მეტყველებად, წლის მრიცხველებად და მოქმედების აღწერად და ესეცა განიყოფების ორად: საეკლესიოდ და სამოქალაქოდ. საეკლესიო არს წმინდათ ცხოვრება და ქმნულებანი მათნი; ხოლო სამოქალაქო ქმნულება არს სოფელსათა შინა დიდთა და მცირეთანი... ხოლო უკეთუ ჩვენ ქართველთა მატიანე შეიპყრობს სამსა ამას ნაწილსა მატიანისასა, არამედ წლის მრიცხველობასა და ნათესავთ-მეტყველებასა მცირედ; ხოლო მოქმედების აღწერასა განავრცელებს. ბარნა ამასაც ეკლესიის მატიანეს შეამოკლებს და სამოქალაქოს მოგვითხრობს შესხმით და ვრცლად, ადგილით-ადგილად და ოდესმე შემოკლებით ნოედამ ვიდრე ართწყინვალის მეფის გიორგისამდე.

ხოლო შრომა ჩვენი ამისთვის არს, ვინადგან ორნი ნაწილნი იგი გამოუჩენელ არიან, რათა გამოვაცხადოთ და მესამისა გავრცელებული

1. ეს წინა-სიტყვაობა შეიცავს ვახუშტის მსჯელობას ამ ნაწილის ხრონოლოგიაზე და რადგანაც ჩვენი აზრი შესახებ ხრონოლოგიისა შემოგვაქვს თავ-თავის ადგილს, ამის გამო აქ ვახუშტის მსჯელობას არ ვეხებით. დ. ბაქრაძე.

შევამოკლოთ, რათა მკითხველთა არა საწყინოდ და ადრე საცნობელ იყოს... არამედ ესე ვითართა ვამცნებთ მკითხველსა, რათა გონიერად ისმინოს მან თქმული ჩვენი, რამეთუ ვინადგან დავსახენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოისა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდნენ მცირედ და არა ჯეროვანად და ჩვენ სრულიად წინა-დავდევით, გარნა ამისდა ჯერ-იყო სამჭირნოდ, რათა აქუნდეს გეოგრაფიის აღწერასაცა დადება, რომელი არს ქვეყნის მხაზველობა, რომელ იგიცა ვქმენით...

გარნა უწყება ჯერ არს, უკეთუ ცხოვრებისა ჩვენისა ქორონიკონნი არიან იშვით, არამედ ნოედამ მირიანისამდე რაოდენნი მოიპოებიან, უმეტეს მოწმობენ რომაულსა; ხოლო მირიანიდამ ბაგრატოვანამდე ბერძულსა და მას ქვეითნი თამარ მეფისამდე არის ხუთასიანი, რომელსა ჩვენ ვუწოდებთ ქართულსა და ჩვენცა ევრეთვე შემოწმებულ ჩვენთა ცხოვრებათა ზედა ვქმენით. ხოლო თამარიდგან ბრწყინვალის გიორგისამდე კვალად უჩინო; არამედ ვინადგან მცირედად და უჩინო არს წჱვითი და ქვეითი ქორონიკონი, ჩვენ ვითარ ვპოვეთ, წარმოვაჩინოთ ამათთა ურწმუნოებათვის; რამეთუ ნოედამ ნებროთის გამეფებამდე საჩინო არს დაბადებისაგან. ხოლო ნებროთმან რაოდენი წელი იმეფა და მოკვდა, იხილვების სხვათა მატიანეთაგან, რომელნი მოწმობენ ჩვენთა მატიანეთა; ხოლო მას ქვეითნი კერპთა თაყვანის-ცემა და მოსეს ზღვას განსვლა დაბადებისაგანვე და სხვანი სპარსთა მეფეთა და ნაბუქოდონოსორისა და ალექსანდრე მაკედონელისათა ვპოვეთ. ხოლო ვინადგან ალექსანდრეს მოსვლა ქართლსა შინა მოვიპოვეთ, ამით ადვილ გვექმნა გამეფება ფარნავაზ პირველისა მეფისა, ვინადგან მოსლვასა ალექსანდრესსა, რაოდენის წლისა იყო და რაოდენისა გამეფდა და რაოდენ წელ იმეფა მუნვე წერილ არს და მის შემდგომად მეფენი ასურელთა მეფეთა მოწმობითა, ვითარცა მოიხსენებს მუნვე სახელებითა, ვიდრე ადერკის მეფობამდე; ხოლო ადერკის მეფობა იქმნა პირველსა წელსა ქრისტეს შობისასა და მეფობაცა მისი ცხად არს. არამედ მას ქვეითნი მეფენი მირიანისამდე კეისართა, სპარსთა და სომეხთა მეფეთავე მოწმობითა დავსხენით; ხოლო მირიანის მეფობისა პირველნი ქრისტეს მიმართ მოქცევისა წელნი და შემდგომად მოქცევის წელნი, ვინადგან წერილ არს მისთვის, დღე მოქცევისა 20 ივლისის დღე, შაბათი, ესე ვპოვეთ, რომელი არს ერთი ქრისტესით 306, ქართული 58, მეორე ქრისტესით 317, ქართული 69 და მესამე 324, ქართული 76, რომელი შეეტყვებიან მას; არამედ პირველი იგი არა არს დღე იგი მოქცევისა, რამეთუ კონსტანტინე დიდი ჯერეთ არა იყო მოქცეულ ქრისტეს მიმართ და არცა დაეპყრა რომი და სრულიადი მეფობა, რამეთუ წერილ არს, მირიან ეზრახა ოთხთა წარჩინებულთა თვისთა კერპთ-მსახურებისათვის: „უკეთუ არა დაუტეოს ნანა დედოფალმანცა

სჯული რომთა, ესტანჯო იგიცა; რამეთუ უკეთუ მოქცეულმცა იყო კონსტანტინე, არა ახსენებდა სჯულსა რომთასა, ვინაჲდგან სჯული რომთა კერპივე იყო და ნინო ქრისტეს ქადაგებდა. ჴუალად მესამეცა არა არს, რამეთუ ერთის წლის შემდგომად იყო პირველი კრება ნიკეას; არამედ ნიკიის კრებისაგან უწინარეს იყო მოქცევა მირიანისა, ვითარცა ვიხილავთ ცხორებასა შინა საჩინოდ; ხოლო მეოთხე იგი ჭეშმარიტებს ამისთჳს, რამეთუ კონსტანტინეს ხუთისა წლისა წინარე დაიპყრა რომი და სრულიადი მეფობა და ქრისტიანეცა ქმნილ იყო, ვინაჲდგან მირიან რომისავე[1] მეფობასა შინა მიუვლინა მთხოველი ეპისკოპოსისა და მღვდლისა, რამეთუ არა დაწყებულ იყო ბიზანტია აღსაშენებლად, ვითარცა ვიხილავთ წერილებთა შინა ჩუენთა და მას ჟამსა სცოცხლებდა სილივისტროცა, რომელმან მოავლინა დიაკონი თჳსი.

ხოლო ნინოს მიცვალების ქორონიკონი არა არს ურთი-ერთის მოწამობილი, ვითარცა თამარ მეფესი, რომელი წარმოვაჩინოთ თჳსსა ადგილსა, რამეთუ უკეთუმცა ქრისტეს-აქეთი ქორონიკონი ჯუარ-ცმიდამ იყო 338, ჯერ-იყო დასაბამიდგანი 5844 და უკეთუ დასაბამიდგანი იყო 5838, ჯერ-იყო ქრისტეს-აქეთი ჯუარ-ცმიდამ 330; არამედ არცაღა ჟამსა ამას კონსტანტინე სცოცხლებდა, არამედ შეცდომილ არს მწერალთაგან; ხოლო ჩუენ ვინაჲდგან ვპოვეთ მირიანის მოქცევისა იგი დღე აღმოჩენითა მით, ამას ზედა აღვრიცხეთ მოსლვა ნინოსა მცხეთას, რომელ დაჰყო წელი 14; ამისგან სამი წელი უწინარეს მოქცევისა იყო მცხეთას ქალაქსა შინა, რომლისაგან დაშთების 11 წელიწადი. ეს მირიანის მოქცევის წელს დაადევით, რომელი იქმნების ქორონიკონი ქრისტესი ჩუენ მიერ აღწერილი; არამედ ნაკლულევანებს მუნ წერილისაგან ესე დასაბამიდგანსა ორითა წლითა; ხოლო ქრისტეს-აქეთსა ათითა წლითა და სხვანი მირიანის მეფობის წელნი მითვე რიცხვეულ-ვყვენით და აღვწერენით.

ხოლო ბაქარიდამ ფარზა-ბაქარამდე, ეგრეთვე კეისართა და სომეხთა მეფეთა შემოწმებით ვყვენით; არამედ ფარზა-ბაქარ მცირე თეოდოსის ჟამსა არა ყოფილ არს, რამეთუ ფარზა-ბაქარ დიდის თეოდოსის ჟამსა იყო და ძე მისი მურვანოს მცირე თეოდოსის ჟამსა იყო. ესე იცნობის ესრედ, ვინაჲდგან ყრმა მურვანოს წარიყვანეს და მუნ აღიზარდა მოღვაწებით და შემდგომად განიელტო და მონაზონ იქმნა. ჴუალად უკეთუმცა ესრედ არა

1. წელთა ქრისტესსა 306 მოკვდა კოსტა მამა კოსტანტინესი და იქმნა კოსტანტინე კეისარი. 307 მოკვდა მაქსიმიან-ღერკული, იქმნა კოსტანტინე ავგუსტი. 311 მოკვდა მაქსიმიან-ვალერიცა და 312 რომს მიმავალსა კოსტანტინეს გამოუჩნდა ჯვარი ცაში, და იქმნა ქრისტიანე, სძლო და მოკლა მაქსენტი, დაიპყრა რომი და სრულიად კეისრობა, ვითარცა სწერს ბარონია. ვახუშტი.

იყოს წელნი მირიანიდამ მეორის ფარსმანამდე, წერილი არა მისწვდების და არცა ვახტანგ ლეონ კეისრის ჟამსა იქმნების, ესრედ უსწორო არს; ხოლო ესე განასწორებს და რიგიან-ჰყოფს რიცხვსა წელთასა მოწმობითა.

ქვალად ვახტანგისამდე მეფენი, რომელნი მუნ წერილ არიან, რამეთუ ვახტანგისამდე მირიანიდამ გარდახდნენო წელნი 157; ესე არა მდე არს სიკვდილამდე ვახტანგისა და ამაზედ შევასწორეთ; რამეთუ დალაცათუ გარდაცვალებამდე არა იყოს, ყოველნი სხვანი უსწორო იქმნებიან და არცა იგი 200 წელი მეორის ფარსმანისამდე სწორე იქმნების, ვინადგან ვახტანგის შემდგომთა მეფეთა მეფობის წელნი წერილ არიან, არამედ ჩვენის რიცხვით, რათა ჭეშმარიტი იყოს 200 წელი მირიანიდამ ვახტანგის გარდაცვალებამდე, წელნი იგინივე არიან — 157. ესრედ ჭეშმარიტ სხვათა მემატიანეთა მოწმობითა და მუნ წერილითა რიცხვითა და მეფენიცა ამას ზედა განვასწორენით კეისართა და სპარსთა მეფეთა შეთანასწორებითა ვახტანგისამდე.

არამედ ლეონ კეისრისას ვინამენი მემატიანენი სწერენ 40 წელს მეფობასა მისსა და ჩვენიცა მათ ემოწმების, რომლისათვის ჩვენცა ეგრეთვე ვყვენით და შეთანავასწორეთ ვახტანგისა და ლეონის მეფობა; ხოლო სხვანი 17 წელსა ამტკიცებენ ლეონის მეფობასა, რომელი არცა ესე არს წინააღმდგომ მისა. დალაცათუ არა იყო ლეონ დიდი, არამედ მეორე ლეონცა, იგივე აღწერა ჩვენმა ცხოვრებამან და ზენონცა იგივე და შემდგომად სპარსთა მეფისა ბრძოლასა ზედა ზენონად წარმოაჩინა სიყვარულისათვის. გარნა სხვას ქართლის ცხოვრებაში უსახელოდ კეისარი სწერია: ამითი იქნება ანასტასი კეისარი, ვითარცა ვიუწყეთ; ხოლო ვახტანგის შემგომდნი მეფენი რაოდენთა წელთა მეფობდნენ ცხად არიან ვიდრე მეორის ფარსმანისამდე და ქმნული ესე ჩვენი ჭეშმარიტ არს — 200 წელნი შესრულებულნი მირიანიდამ ფარსმანამდე.

ქვალად ბაკურ მეფიდამ გვარამ კუროპალატისამდე საჩინო არს კეისრის მავრიკისაგან და სპარსთ მეფის ურმუზისა და ძისა მისისა ხოსროსაგან; ხოლო დავით წინასწარმეტყველის ნათესავის გვარამის მოსლვა, ცხოვრება და გამეფება აღვსწერეთ თვისსა ადგილსა, მით იუწყების; ხოლო სტეფანოზის გვარამ კუროპალატის ძისა, ერეკლეოს კეისრის გამო და ადარნასეს ხოსროვიანისა ეგრეთვე; გარნა ვინადგან ჟამსა ადარნასე ერეკლიოს კეისრისასა გამოჩნდა მაჰმედ, მოძღვარი სარკინოზთა, ჩვენ იგი მაჰმედის ქორონიკონი ვპოვეთ, რაოდენი ქრისტეს-აქეთი ყოფილ-არს. ამის მიერ და წლის მრიცხველობით ვიდრე მოწამის არჩილ მეფის სიკვდილამდე და ძეთა მისთა იოანეს და ჯუანშერის სიკვდილისამდე და ვიდრე აშოტ კუროპალატისა ძისა ბაგრატისამდე, რომლისა გამეფება წერილ-

არს, რამეთუ მაჰმედის გამოჩინებიდამ ბაგრატის გამეფებამდე გარდასრულ იყვნენ წელნი 219.

ხოლო აშოტ კურაპალატიდამ ვიდრე თამარის მეფობამდე წერილ არიან ყოველთა ქართულნი ქორონიკონნი და ამით გამოვრიცხეთ ქრისტეს-აქეთნიცა; არამედ დავით აღმაშენებელისაცა წერილ არს 16 წლისა მეფე იქმნა და 36 წელი იმეფა, რომელი იქმნების 52; გარნა მუნვე წერილ არს: 16 წლისა გამეფდა და 58 წლისა მოკვდა. ამ რიცხვით იქმნების მეფობისა მისისა წელი 41 და ჩვენცა ესევე აღვსწერეთ, ვინადგან სხვათა მეფეთა ქორონიკონნი ამას უმეტეს მოწმობენ და სიკვდილის დღე შაბათი, იანვარი 24 ეს ქორონიკონი იქმნების, რომელი დავსდევით.

კვალად თამარის გამეფების ქორონიკონი არა არს შეთქმული, რამეთუ წერილ არს დასაბამიდგანი იყო 6686, ქრისტეს-აქეთი 1156. ხოლო უკეთუ დასაბამიდგანი იგი იყო, ჯერ-იყო რათა ქრისტესი ყოფილმცა იყო 1178 და თუმცა ქრისტეს-აქეთი 1156 იყო, დასაბამიდგანი ჯერ-იყო ყოფად 6664. ესრედ არა ჭეშმარიტებს. ხოლო ჩვენ ალექსი ანგაარისა და ფრანგთაგან კოსტანტინეპოლის აღების ქორონიკონი ვპოვეთ, ამის მიზეზითა და მის-ქვეითი მუნვე წერილის წლის რიცხვეულებით ვყვენით, რომელსა სწერს 18 წელსა გამეფებასა ლაშასსა და თამარის კვალად წლის მეფობის აღმავალობასა და მის სიკვდილის ქორონიკონსა ზედა, რომელი ვპოვეთ, ვყავით.

ხოლო თამარის ძის ლაშას სიკვდილი იქმნა იანვარსა 18, დღესა ოთხ-შაბათსა. ესე ვპოვეთ, რომელია პირველი ქრისტეს-აქეთი 1211, ქართული 431. მეორე ქრისტეს-აქეთი 1216, ქართული 436. არამედ ვინადგან ჩინგიზ-ყაენმან დაიპყრა სრულიად დიდი თათარი ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ 1202 და ამ ჟამებთა შინა წარმოავლინა სპანი განმსტრობად და დავით მცირე ყრმა დაშთა ლაშას და რუსუდანის მეფობის წელი მუნვე წერილითა აღვრიცხეთ, ამისთვის პირველი უმეტეს მოწმობილი არს და არცა შემჭირნებულ ჰყოფს ამას ქვეითთა მეფეთა წელსა, ჩვენცა იგივე აღვსწერეთ განმართლებისათვის წერილთასა.

კვალად ლაშადამ დიმიტრი თავდადებულისამდე აღრიცხვითა წელთა და მეფეთა, კეისართა მუნ წერილთათა გვიქმნიეს. ხოლო დიმიტრი თავდადებულისა დაღათუ არა წერილ არს წელი, არამედ წერილ არს თთვის რიცხვი და დღე შაბათი, მესამე მარხვისა. ამით ვპოვეთ წელიცა იგი, რომელი ყოფილ არს ქრისტეს-აქეთი 1289, ქართული 409; ხოლო მეორე ქრისტეს-აქეთი 130, ქართული 420 და თვინიერ ამისა არა არს სხვა, არამედ ჩვენ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგისა და ძის-ძისა მისისა ბაგრატის ქორონიკონი ძველთა ქორონიკონებთა შინა და ამით გულ-დებულ ვიქმენით ლანგ-თემურისა და ხონთქრებთაგან და რიცხვეულ ვყავით ვახტან-

გისა და დავითის ძისა, ვახტანგისა და გიორგის დავითის მეფობანი. ამისთვის იგივე პირველი გვეჭეშმარიტა და დავსდევით. ხოლო მეორე ესე ფრიად შეამცირებს მათ მეფეთა წელსა და არა სწორ-რიცხულ ჰყოფს. ხოლო კვალად ვახტანგ წარინ-დავითის ძისა, დავით მეფისა და ვახტანგ ძმისა მისისა წელნი აღურიცხველნი მათთა მეფობათათა და მით წარმოვაჩინენით; არამედ ვახტანგის აღსასრული დაღაცათუ არა საჩინო არს, გარნა იცნობების ესრედ, რომელნი აღვიწერია.

ხოლო გიორგისა და ბრწყინვალე გიორგისა, რომელიცა წარმოვაჩინეთ, სცნობს გონიერი მუნ წერილსა ზედა-ქვეშა, რამეთუ ესრედ არიან, ვინადგან სწერს: «დაუტევა დავით მეფემან ძე თვისი გიორგი წლისა ორისა მეფე ქმნილი და მცირე გიორგი, რომელსა მოიხსენებს, თუმცა პირველ მეფობასა მცირე იყო, არამედ აწ არღარა წელთა რიცხვისა წარმოჩენითა». ამის გამო გიორგი დავითის ძე სხვა არს და დიმიტრის ძე სხვა; არამედ სიგრძე წელიწადებთა ულჯათ-ყაენისაგამო, რამეთუ მან ულჯათ-ყაენმან 13 წელი იყეენა და ამ წელთა აღრიცხვითა იქმნებიან ესე ორნი გიორგნი ესრედ; ხოლო შემდგომად ბრწყინვალე გიორგისა მოვიხსენოთ თვისსა ადგილსა ჯეროვნად.

გარნა სცნობს შემომსვლელი ამას შინა კითხვისად უზაკველობით, რამეთუ არა რა იგი თნებითა ანუ თვალთ-ღებით წარგვიწერიეს; არამედ შეძლება ჩვენი ეს-ოდენ იყო და ესრედ მიწდომილ ვიქმნენით. ხოლო უკეთუ უმჯობესი ვისმე ძალ-გიძსთ, ჩვენი ესე ქმნილი არა დამაყენებელ არიან, ვინადგან დედანი იგი მატიანისა შეურყეველად ჰგიეს არა ერთი, არამედ მრავალი. გარნა შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კნინლა წელნი სამნი მარადის წერითა და გამოძიებითა, მატიანეთა და ცხოვრებათა ძიებითა; რამეთუ არა დაუტევეთ ხრონოგრაფნი ბერძენთა: არა თუ ერთისა ვირწმუნენით, არამედ სხვათა და სხვათა შემოწმებითა; ეგრეთვე გაყრილობისა შემდგომად რომაელთა, კეისართაგან, მეფეთა ევროპიელთა, აწინდელთა სულტნებთა სტამბოლისათა, სპარსთა მეფეთა შიჰთაჰთა გამოვიპოვეთ და შემ-წმებულად ვქმენით, რომელნი მოწმობენ ჩვენთა მატიანეთა და ქორონიკონებთა. ამისთვის სარწმუნო ვართ, რომელმან იხილოს შრომანი ჩვენნი, არა საგმობელ გვყოს, არამედ მადლიელ იქმნეს და მისცეს ლოცვა მიზდისა მოქმედსა. დაღათუ არა იქმნას ესე, ჩვენ სურვიელ ვართ აღსრულებად წმიდისა დამასკელისა, თქმულისა და პლინი სტოიკისა, რათა ვრა განვლოთ ჟამი უქმობით, რომელ არა მოვიღოთ ნაყოფნი სარგონი მის მიერნი და თქვენ ლაცა წინამდებარედ გვიქმნიეს. უკეთუ ვის გონდესთ, მიიღეთ; უკეთუ არა, არა არს

ძალი, არამედ უმჯობესისა ჩვენება და რომელმანცა აღირჩიოს რომელიმე; იგი ჰყოს მადლითა და კაცთ-მოყვარებითა ღვთისათა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, ამინ.

სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა 1745, ქართულსა 433, ოკტომბერსა 20 მეფის შვილის ვახუშტის მიერ სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, პრესნას.

---

# წინა-სიტყვაობა მეორე.

## (ბროსსესი [1])

ქართლის მეფე როსტომ-ხან († 1658 წელს) არის უკანასკნელი წარმომადგენელი ქართლის ბაგრატიონთ უმთავრესის შტოჲსა და იმის შემდეგ სამეფო სკიპტრას იჭერს უმრწემესი შტო ანუ მუხრან-ბატონები. ამ შტოს ეკუთნიან: შაჰ-ნავაზ I ანუ ვახტანგ V, გურგენ-ხან ანუ გიორგი XI, ლევან ანუ შაჰ-ყული-ხან, იესე ანუ ალი-ყული-ხან და ქაიხოსრო, რომელთაც სუსტი გავლენა ჰქონდათ სამეფოზე: იგინი იყვნენ ქრისტეს აღსარების უარის-მყოფელნი, მუსულმანთ სახელ-წოდებათა მიმღებნი და სპარსეთის ზნე-ჩვეულებათა მიმყოლნი; ამის გამო იმათ ვერ დაიმსახურეს ქართველობის თანაგრძნობა. თითქმის ამ გვარსავე მდგომარეობაში იყვნენ იმათ შემდეგ ვახტანგ VI და ბაქარ, რომელნიც ამასთანავე ისეთ არეულობის დროს ცხოვრობდნენ, რომ 1723 წელს ვახტანგ VI იძულებული იყო მიეტოვა ქართლი და პეტრე I-ს შეჰფარებიყო. პეტრემ მიაგო ვახტანგს გულწრფელობა და თვით ვახტანგმაც რუსის მმართებლობას დიდი სამსახური უჩვენა თავის მეცადინეობით საქართველოშიაც და იმის მოსაზღვრე ქვეყნებშიაც, სადაც რუსებმა შეიტანეს თავისი ფარ-ხმალი.

როდესაც ვახტანგ რუსეთში შევიდა, იმას ცოცხალი აღარ დაჰხვდა პეტრე დიდი. ვახტანგს ახლდა თან დიდ-ძალი ამალა, რომელსაც შეადგენდნენ კეთილ-შობილნი მსახურნი მისნი და დედოფლისანი, მათ ძმათა და ძმის-წულებთანი სახლის-წულებით. უფროსი შვილი ვახტანგისა ბაქარ მიიცვალა 1750 წ. და დასაფლავდა დონსკის მონასტერში; ბაქარის ძმა გიორგი მოკვდა 1785 წ. და დაიმარხა იქვე. ამ ბატონი-შვილების დებთაგანნი თამარ შეუღლდა კახეთის მეფეს თეიმურაზ II-ს,

1. ეს „წინა-სიტყვაობა“ ბროსსესი გამოგვაქვს შემოკლებით იმის შესავალიდამ (*Introduction*, p. I—XXX), რომელიც მას ჩაურთავს 1844 წ. თავის ფრანციცულ-ქართულს „ვახუშტის გეოგრაფიაში“. ზოგიერთს შეცდომებს ამ წინა-სიტყვაობისას ჩვენ ვასწორებთ ბროსსესავე ცნობებით, რომელნიც შემდეგში მას შეუკრებია და შეუტანია სანკტ-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის გამოცემაში (ნახე *Mélange Asiatique* 1857—1859, tome III, p. 533—557).

მოკვდა 1746 წ. და დასაფლავდა მცხეთის ეკლესიაში; ანუკა ცოლი ვახუშტ აბაშიძისა მიიცვალა 1746 წ. და ასვენია ტფილისის სიონში. შთამომავლობა თამარისა მეფობდა შეერთებულს ქართლ-კახეთში 1801 წლამდე.

ხსენებულთ შვილებთ გარდა ვახტანგს ჰყვანდა კიდევაც ორი უკანონო ვაჟი-შვილი: პაატა და ვახუშტი. ვინ იყო იმათი დედა არ ვიცით[1]. პაატას ცხოვრება იყო აღელვებული ცხოვრება და თვით სიკვდილი ტრაგიკული. პაატამ მიიღო აღზრდა რუსეთის არტილერიის შკოლაში და თავის მამის სიკვდილის შემდეგ დასტოვა უეცრად რუსეთი, გავიდა ევროპაში, იქიდამ კონსტანტინეპოლში და იქიდამაც საქართველოში 1751 წელს. თუმცა პაატა თეიმურაზმა და ერეკლემ დიდის პატივის-ცემით მიიღეს, მაგრამ იგი მაინც განივლტო იმერეთში და იქიდამ სპარსეთში. 1765 წელს პაატამ იწყო ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულობა თავის ბიძა-შვილით დავითითურთ, რომელიც იყო შვილი გიორგი აბდულა-ბეგისა, იესეს შვილისა. ამ შეთქმულობაში მონაწილეებად აღმოჩნდნენ აგრეთვე სხვანი კეთილ-შობილთაგანნი. პაატა და გიორგი დაისაჯნენ სიკვდილით.

რაცა შეეხება ჩვენს მეისტორიე-გეოგრაფს ვახუშტს, არ ვიცით ის მამას გაჰყვა თუ არა 1723 წ. რუსეთში, რადგანაც იმის სახელს არ იხსენიებს ვახტანგის მხლებელთ სია. სარწმუნო-კია, რომ ვახუშტი დიდხანს ვერ დარჩებოდა საქართველოში, სადაც მეფობდა იმის სახლის მოპირდაპირე სახლი, რომლისათვის ის უნდა აღმოჩენილიყო დამაბრკოლებელ მიზეზად[2]. შემოგვაქვს აქ ამ შესანიშნავ პირზე ზოგი-ერთნი ცნობანი, რომელნიც ჩვენ მოვიპოვეთ. ვახუშტმა ყმაწვილობა გაატარა გარეშე პოლიტიკურის ღელვარებისა, რომელიც აშფოთებდა ქართლს. იმისი მეცადინეობა იყო სწავლა-მეცნიერების ძიება. 15—16 წლისას ვახუშტს ჰქონდა ხშირი მისვლა-მოსვლა რომის კათოლიკების სამღვდელო პირებთან, რომელნიც იმ დროს თავისუფლად ცხოვრობდნენ ტფილისში. ვახუშტს შესწამეს ფრანგობა და ამის გამო მამამ მას აუკრძალა ყოველივე კავშირი ამ უცხო-ქვეყნელებთან. ეს ცნობა მეგადმომცა თავადმა გიორგი ავალიშვილმა, სამეფო სახლის მონათესავემ, რომელიც ახლაც ცოცხალია, ღრმად მოხუცებული[3]. დანაშთენი თავისი საუკუნე ვახუშტმა დაჰყო მოს-

1. ერთი ევროპიელთ მწერალთაგანი პეისონელი, რომელიც თვით ვახტანგ VI დროს ყოფილა საქართველოში, ამბობს, რომ ვახუშტი იყო უბრალო ყმის დედა-კაცისაგან ნაშობი. ვახუშტის დედის სახელს პეისონელი არ იხსენიებს (*Essai sur les troubles actuels de Perse et de Géorgie.* Paris, MDCCLIV, p. 67.).

2. ბროსსეს ახალის ცნობით ვახუშტი გაჰყოლია რუსეთში მამას 1724 წელს. (*Mél. As.*, III, p. 537).

3. ეს ის ავალიშვილია, რომელიც 1798 წ. გიორგი XII მეფისაგან იყო ელჩად გაგზავნილი რუსეთში, საიდამაც აღარ დაბრუნებულა. (*H. de la G.*, II, 2 livr.,

კოეს, დღე-ყოველ გართული მეცნიერებაში. ბოლო-სიტყვაობა იმისი ქართულ ბიბლიაში, რომელიც დაიბეჭდა მოსკოვში 1742 წ., წარმოგვიდგენს ვახუშტს უმთავრეს მოქმედ პირად ამ მშვენიერის გამოცემისას, რომლის ხარჯი და მზრუნველობა ეკუთნის არჩილს და ბაქარს. ვახუშტმა დასტოვა ერთი ვაჟი და ორი ქალი. ეს უკანასკნელნი, ალექსანდრა და მარია დაიხოცნენ ქალწულობაში, თუმცა არ ვიცით როდის. ვაჟი-შვილი იოანე მოკვდა 1785 წ. პოლკოვნიკის ჩინით და როგორც ჩანს უმემკვიდროდ.

როდის დასრულდა თვით ვახუშტის საუკუნე, ამაზე აი რა შეგვიძლიან ვთქვათ. ვახუშტს გაუთავებია თავისი „საქართველოს ისტორია“ გეოგრაფიით და ქარტებით ანუ რუკებით 20 ოკტომბერს 1745 წელს, როგორც ამას თვით იგივე გვამცნევს თავის შესავალის ბოლოს. იმისგანვე შედგენილი ქართული პასხალიონი მოყვანილია 1754 წლამდე; თვით „მისმიერ პოვნილი წიგნებთა შინა «ქორონიკონები» და ჩართული იმის დიდს ისტორიულ შრომაში, იწყობა 1201 წ. და თავდება 1755 წელს. ამ დროდამ 1770 წლამდე ჩვენ არა გვაქვს არა ვითარი შრომა ვახუშტისა. 1770 წელი კი და 27 რიცხვი ოკტომბრისა წარწერილია ხუცურ მანუსკრიპტზე, რომელიც თავადს გიორგი ავალიშვილს ეკუთნის და რომელიც გადაწერილია ვახუშტის ხელით. ჩანს, რომ ვახუშტი მიცვლილა შემდეგ 1770 წლისა. ჩვენ დაგვარწმუნეს, ვითომც ვახუშტი იყოს დამარხული იქ, სადაც იმის სახლის წევრნი იმარხებოდნენ, ესე იგი დონსკის მონასტრის ქვედა-ეკლესიაში; მაგრამ თუმცა ბევრი ვეძიეთ, იმისი საფლავი ვერ აღმოვაჩინეთ, რადგანაც იქ უწარწერო საფლავი მრავალია [1].

266—267). ბროსსე ამბობს 1859 წ., რომ გიორგი ავალიშვილი მიიცვალა რამდენისამე წლის წინად (*Mél. As.*, III, p. 533).

1. აი შემდეგი ცნობები ბროსსესივე ვახუშტზე და იმის სახლის-წულებზე (*Mél. As.*, III, p. 544).

**ვახუშტი** იშვა 1696 წლის უახლოეს დროს; შეეუღლდა 1717 წ. გიორგი აბაშიძის ქალს მარიამს. † 76 წლისა 1772 წელს და დასაფლავდა დონსკის მონასტერში.

- **ალექსანდრა** იშვა 12 ავგისტოს 1721 წ. † 8 აპრილს 1789 წ. 68 წლისა, 7 თვისა და 29 დღისა. დასაფლავებულია დონსკის მონასტერში.
- **იოანე** იშვა 1724 წლის წინად; † 1783 წ. ანუ უკეთ 6 დეკემბერს 1784 წ. გენერალ-მაიორად.
- **დავით** შობილი 1724 წინად; †...
- **დომენტი** იშვა 1728 წ. † 1737 წ. 9 წლისა. დასაფლავდა ბოღოიავლენსკის მონასტერში.
- **ნიკოლოზ** იშვა 1724 წლის შემდეგ; † 1772 წინ კერძო პირად.
- **ანნა** იშვა 1745 წ. † 12 მაისს 1779 წ. დასაფლავდა დონსკის მონასტერში.
- **მარია** ანუ **დარია** იშვა მგონია 1724 წლის წინად; ცოცხლობდა თვით 1804 წელს.

შეუძლებელია შევიგნოთ, რა წყაროებით სახელ-მძღვანელობდა ვახუშტი თავის ისტორიაში იმ დროდამ, სადაც თავდება ვახტანგ VI-ის «ქართლის ცხოვრება» [1]. რაჲცა შეეხება «გეოგრაფიას», ამ საგნისათვის ვახუშტს, როგორც მეფის შვილს, უნდა ჰქონიყო ხელში სასახლის დავთრები გეოგრაფიულის მასალებით. უამისოდ ის ვერ გადმოგვცემდა აღწერას ქართლ-კახეთის სოფლებისას და დასახლებულის ადგილებისას, რომელნიც ჩვენ ჩავურთეთ ჩვენს «ვახუშტის გეოგრაფიაში». ხსენებულის დავთრებიდამ უნდა გამოეკრიბა ვახუშტს საქართველოს უშესანიშნავეს ადგილებზე თავისი ცნობები, რომელნიც შეადგენენ ნამდვილს მის გეოგრაფიას. ვერავინ იუჭვნეულებს, რომ ეს გეოგრაფია არ იყოს დიდის ღირსებით შემკული, რომლის შესადგენელად საჭირო იყო ისეთივე წყაროები, როგორიც არის ვახტანგ VI „დასტურლამალი“. ამ გეოგრაფიას იმ-გვარივე მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის, როგორც ტოპოგრაფიულს შენიშვნებს ჰომერისას საბერძნეთისათვის და თუ ჩვენ იმ შრომას შევუთანასწორებთ ტფილისის სამხედრო შტაბის აწინდელ ქარტას, დიდის მოღვაწებით ნაშრომს, მაშინ ცხადად აღმოჩნდება ვახუშტის უეჭველი სინამდვილე.

შესახებ ვახუშტის «ისტორიისა» უნდა ვთქვათ, რომ ამ ისტორიის ძველ ნაწილში ავტორი ხელ-მძღვანელობს თავის მამის შრომით, რომელსაც თავის ისტორიაში ვახუშტი ამოკლებს და მრავალს შესანიშნავ ადგილებსაც სტოებს; მაგრამ თავის ნაწარმოებს ის ამყარებს საკუთარს ხრონოლოგიურს წესზე, რომელიც ახლა შეგნებული გვაქვს. იმ დროდამ კი, როდესაც თავდება გამოკვლევა ვახტანგ მეფისა, ესე იგი მე-XIV საუკუნის გასვლიდამ, ვინ არიან ის ავტორნი, რომელნიც მას მასალეებს აძლევენ? არც ერთს თავის წიგნის ნაწილში ვახუშტი არ უჩვენებს იმათ [2]; მაგრამ ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ამ-გვარი შრომის მოგონება ადამიანისაგან შეუძლებელი საქმეა.

მანუსკრიპტი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობდით «ვახუშტის გეოგრაფიის» ბეჭდვაში, დაწერილია თვით ვახუშტის ხელით. ამ წიგნის შინაარსი და რიგი, რომელსაც ეს შინაარსი მიჰსდევს, არის შემდეგი:

1. აღწერა ქართლის სოფლებისა და თათრების ურდოებისა ქართლ-კახეთში.
2. შესავალი, აღნიშნული 20 ოკტომბერს 1745 წელს.
3. აღწერა საქართველოს ზნე-ჩვეულებათა.

1. არა თუ იმ დროს, როდესაც ბროსსეს ეს „შესავალი“ დაუწერია, თვით აქამომდე „ქართლის-ცხოვრებას“ მიაწერენ ვახტანგ VI-ს; მაგრამ ეს შეცდომაა. ამაზე ნახე შემდეგი „წინა-სიტყვაობა“.

2. ამ საგანზე ჩვენ აზრს მკითხველს წარმოვუდგენთ შემდეგს «წინა-სიტყვაობაში».

4. ძველი ისტორია საქართველოჲსა 1469 წლამდე.

5. სიტყუა მკითხველთათვის.

6. გეოგრაფია აწინდელის ქართლისა.

7. ისტორია ქართლისა შემდეგ საქართველოს დანაწილებისა რამდენ-სამე გაცალკევებულ სამფლობელოდ, 1469 წლიდამ 1744 წლამდე.

8. გეოგრაფია კახეთისა.

9. ისტორია კახეთისა ძველის დროდამ 1744 წლამდე.

10. გეოგრაფია ოვსეთისა.

11. გეოგრაფია სამცხისა.

12. ისტორია სამცხისა ძველის დროდამ 1744 წლამდე.

13. გეოგრაფია იმერეთისა.

14. ისტორია იმერეთისა ძველის დროდამ 1744 წლამდე.

15. ისტორიული ქორონიკონები 1201 წლიდამ 1755 წლამდე.

16. საზოგადო ისტორიის ტაბლიცები, იმათ შორის ქართული.

17. ალფავიტური ტაბლიცა სახელ-წოდებათა.

18. შედარება წელთა დაბადებიდგან სოფლისა ბერძნულის თვლით, ქართულის პასხალიონისა და ინდიკტიონისა 5505 წლიდამ 2286 წლამდე.

19. წელთა-თვლა მსოფლიო და საქრისტიანო 1756 წლიდამ 2286 წლამდე, რომელშიაც ნაჩვენებია თვითოეულის წლის ინდიკტიონი, ნიადაგი, ნაკი და სხვ.

20. გამოანგარიშება 35 პასქისა ანუ 35 დღეთა, როდესაც შესაძლებელია პასქი 22 მარტიდამ 25 აპრილამდე. ამ გვარი გამოანგარიშება ჩართულია თვით ქართულ ბიბლიაში. უძველესი იმ წელთაგანია 314 წელი, როდესაც პასქი დამდგარა 18 აპრილს და უბოლოესია 1753 წელი, როდესაც ის ყოფილა 11 აპრილს.

21. ტაბლიცები სხვა და სხვა გვარის გამოანგარიშებისა პასქის გამოვე.

გეოგრაფიული ატლასი ვახუშტისა 22 რუკით ანუ ქარტით, ერთად-ერთი სრული პირი ვახუშტის ხელით ნაწერის ეგზემპლიარისა. ახლა ეკუთნის აკადემიას. ამ ქარტებთაგანია:

№ 1. საზოგადო ქარტა თარგამოსის რვა ძმათ სამფლობელოებისა, უმთავრესის თემებით და მდინარეებით და აგრეთვე რახსის ანუ არაქსის ბასსეინით ანუ ღელე-მინდვრებით. ბასსეინს არაქსისას შეადგენენ: ჩრდილო-აღმოსავლეთით თემი კარისა ანუ ყარსისა ტბამდე პალაკაციოსა (ახლა ჩილდირის ტბა) და აბოცი; თემები ერევნისა და ნახჩევანისა ტბით გელაქუნით ანუ სომხების გელაქუნით ვიდრე მტკვრისა და არაქსის შესართავამდე; ამ ბასსეინის ჩრდილოეთად, დასავლეთიდამ დაწყობით ლაზისტანი ანუ ტრაპიზონის ქვეყანა და ნაწილი

ქართლოსისა ანუ ჭოროხის ბასსეინი, ბაიბურთი და კლარჯეთი; საკუთრივ ბასსეინები ჭოროხისა და მტკვრისა გურიითურთ. ამ ორ ბასსეინს შეადგენენ: ტაოს-კარი ჭოროხზე, ზემო-ქართლი ანუ მტკვრის ზემო-მხარე ჯავახეთით; გურია აჭარით; შუა-ქართლი და სომხეთი ანუ სამხრეთი ქვეყანა მტკვრისა და ბასსეინი ქციისა; კუხეთი, ნაწილი ჰეროსისა, ესე იგი ბასსეინი ალაზნისა, ჰერეთი და კახეთი კუმუხით, დიდოეთით და დაღისტნით; წილი ბარდოსისა რანი ანუ ბარდა; წილი მოვაკანისა დერბენდამდე; ოდიში და იმერეთი ანუ რიონის ბასსეინი, კუთნილი ეგროსისა; დასასრულ ოსეთი დიდ კავკასიის მთებში, წილი კავკასოსისა.

№ 2. სამფლობელო ქართლოსისა იმის შვილების ნარგები: მცხეთოსისა ჭოროხიდამ ჩრდილო-საზღვრამდე ქართლისა; გარდაბოსისა ბასსეინები: ბამბაკისა, დებედისა, ლორისა, ქციისა და ალგეთისა მტკვრამდე; გაჩიოსისა ბასსეინი მაშავერისა ზორტაკეთიდამ; ქციისა მის ხრამიდამ და ზემო-ალგეთისა; კუხოსისა მარცხენა მტოები მტკვრისა რუსთავამდე; კახოსისა იორი მის მარჯვენა მტოს შესართავამდე; ერწო და ალაზანი შესართავამდე თურდოს-ხევისა. შემდეგ სამფლობელო მცხეთოსისა, ნარგები იმის შვილებისა: უფლოსისა-ბასსეინი ჭოროხისა; ჯავახოსისა-ზემო ნაწილი მტკვრისა ერუშეთით მტკვრის შესართავამდე ახალციხის-წყლისა და ბასსეინი თორის-წყლისა.

№ 3. საქართველოს საერისთაონი ფარნავაზ მეფის დროს: 1) სამხრეთად აღმოსავლეთით საერისთაო ჰერეთისა ანუ ალაზან-ივრის ბასსეინები; 2) ხუნანისა ანუ ძველი ქვეყანა გარდაბოსისა; 3) სამშვილდისა ანუ ძველი ქვეყანა გაჩიოსისა, ზემო ნაწილები მდინარეებისა: ალგეთისა, ქციისა, ლორისა, ბერდუჯისა და ბამბაკისა აბოცით; 4) წუნდისა ანუ ძველი ჯავახეთი; 5) ოძრახოსისა ანუ ქვეყნები საშუალ ჭოროხისა, მტკვრისა, რიონის ბასსეინისა და შავის ზღვისა; 6) კლარჯეთისა ლაზისტანამდე; 7) ეგრისისა მთელი სამეგრელო რიონამდე; 8) შორაპანისა სრულიად ბასსეინი ყვირილისა და სამხრეთი მხარე რიონისა ოძრახოსის სამფლობელომდე; 9) ქართლისა სრულიად ბასსეინი მტკვრისა, შორის იმერეთისა, თორის-წყლისა, ალგეთისა და არაგვისა; 10) კახეთისა აღმოსავლეთად არაგვისა და ზემო ნაწილი ივრისა და ალაზნისა ვიდრე ხაზამდე, რომელიც მისდევს ხუნანიდამ თურდოს-ხევამდე და მთებამდე[1].

№ 4. შთამომავლობის შტო ოთხის სამეფო სახლისა სამ-პიროვნის ღვთაებიდამ და ადამიდამ დაწყებით ვახუშტის დრომდე. ტოლნი მეფეთა-

1. ქ-ცხბა და თვით ვახუშტი უჩვენებენ ცხრა საერისთაოს, იმათ შორის სასპასპეტოს, რომელიც იყო ქართლის საერისთაო (ქ-ცხბა., 31 და ამ წიგნის გვ. 37—38).

ნი აღნიშნულნი არიან შეძლებისამებრ და თვითოეულის მათის სიკვდილის წელი ნაჩვენებია არაბულის ციფრებით. ეს შრომა თავდა-პირველად დაუწყვია ვახტანგ მეფეს, რომელსაც გამოუტოებია მეფენი ქართლოსის შთამომავალნი და ხოსროიანნი და შეუსრულებია ვახუშტს.

№ 5. საზოგადო ქარტა საქართველოს ქვეყნებთა. ეს ქარტა ჰხაზავს თვითოეულის ქვეყნის სახელ-წოდებათა, რომელნიც ნაჩვენებნი არიან ჩვენის ატლასის ცალ-ცალკე ქარტებზე №№ 1—5.

№ 6. ქართლის სამეფო მთას-იქითის (ლიხის) ნაწილით (ვახ. გეოგრ., გვ. 270), დაყოფილი 42 ნაწილად. აღმოსავლეთით დასავლეთად: 1) ნაწილი ქართლისა მტკვრის მარცხნივ ლოჭინით მწარე-წყლამდე; 2) ხეობა ბამბაკისა, სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაწილი დებედის-ხევისა; 3) ტაშირის-ხევი და მდინარე; 4) თემი ჟაიყულისა და აბოცისა; 5) სომხეთი (ვახ. გეოგრ., გვ. 140, 146); 6) ჩრდილო და სამხრეთი ხეობა მაშავერისა ბაჩიანამდე; 7) რადაბრაგანი ქციის სათავეებში; 8) ჩრდ.-სამხრ. ალგეთისა მტკვრამდე ანუ საბარათიანო; 9) თრიალეთი; 10) სანახები[1] ტფილისისა მტკვრის დასავლეთად; 11) ვერის-ხევი; 12) ძეგვისა და ქართლის-ხევი; 13) ნიჩბისის-ხევი; 14) ქავთის-ხევი; 15) თეძმის-ხევი; 16) ხოვლის-ხევი; 17) ტანის-ხევი; 18) წედისის-ხევი; 19) სკრის-ხევი; 20) საციციანო ხვედურეთის-წყლითურთ; 21) ბუჯარეთი ზემო-თორზე; 22) სადგერი ანუ თორი შავ-წყალზე; 23) ხეობა[2] საშუალ სარმანისა და შავ-წყლისა აღმოსავლეთად, საშუალ ლიკანისა და ნეძვისა დასავლეთად მტკვრისა; 24) თემი მუხრანისა ნარეკვავზე და ქვემო-ქსანზე; 25) საამილახვრო რეხულაზე და მეჯუდაზე; 26) გორის სანახები სამხრეთად მტკვრისა გორის-ჯვრამდე ვიდრე ლიახვის სათავებამდე; 27) დვანის-ფრონის-ხევი; 28) ფცის-ფრონე; 29) ალის-ხევი; 30) სურამის-ხევი; 31) შოლას-ხევი; 32) ხეფინის-ხევი: ამ ორ ხეობას აქვს თავ-თავისი მთას იქით ნაწილები, რომელთ წყალნი მიედინებიან იმერეთში; 33) ბაზალეთი; 34) ქსანი და ზემო-მეჯუდა; 35) სავახტანგო პატარა ლიახვის სათავების მხრივ; 36) მთიულეთი; 37) თრუსო; 38) ზახის-ხევი; 39) ზროგოს-ხევი; 40) ნარის-ხევი; 41) დვალეთი; 42) ჟგულის-ხევი.

ეს სახელ-წოდებაები ნაჩვენებია ორს ჩვენს ქარტაზე №№ 2—3.

№ 7. ქართლი ჩრდილოდ მტკვრისა (ჩვენ ქარტაზე № 3), რომლის ნაწილები აქ აღვრიცხეთ მხოლოდ ოსეთის უთემოებით. ეს ქარტა წარმოადგენს ყველა ადგილებს, რომელნიც კი ეკუთნოდნენ სადროშოებს

1. სანახები ანუ საზღვრები, გარემო-ადგილები. ეს სიტყვა თუმცა ძველი სიტყვაა და ახლა ხმარებიში აღარ არის, მაგრამ ჩვენ ვხმარობთ მას, რადგანაც ვფიქრობთ, რომ არ არის ის დასატოვებელი.

2. ხეობა—აწ ბორჯომის ხეობა.

მუხრანისას და ზემო-ქართლისას. ეს უკანასკნელი სადროშო იწყობა საამილახვროდამ და მიჰყვება ვიდრე დასავლეთ საზღვრამდე.

№ 8. ძველი შიდა-ქართლი ანუ ზენა-სოფელი შეიცავდა ყველა ნაწილს მტკვრის ბასსეინისას საშუალ არაგვისა და მთის ქედისა, რომელიც მას ჰყოფს ძციის ბასსეინისაგან, და თორის-წყლის ბასსეინისა ხეობითურთ. ეს ქვეყანა დაყოფილია სამ სადროშოდ. იმათგანი მეოთხე ანუ სამეფო სადროშო შემდგარის საბარათიანო-საციციანოსაგან ოსეთის თემებით: ზახით, ზროგოთი, ნარით, ზრამაგით და დვალეთით. მესამე მარცხენა ანუ სამუხრანო დრო'შა; მეორე მარჯვენა ანუ საამილახვრო დროშა იმის ნაწილებით ხეობით და თორით.

№ 9. იგივე საქართველოს ნაწილი ანუ საუფლის-წულო მცხეთოსისა, რომელსაც ეწოდა „ზენა-სოფელი“ ანუ „შიდა-ქართლი“, შეიცვალა საერისთაოდ, რომელსაც ფარნავაზის დროს განაგებდა სპასპეტი და ახლა შეადგენს სამს სადროშოს. ტაშის-კარის-იქითი ადგილები, ესე იგი ხეობა მტკვრის დასავლეთად ეკუთნოდა ოძრახოსს; სურამსა და ალს (მთას-იქით) იქითი ეგროსს; აღმოსავლეთად მტკვრისა და არაგვისა — კახოსს და კუხოსს და აწ ქართლის მეფეებს. ეს არის სათაური ამ ქარტისა, თვით ვახუშტისაგან მიწერილი.

№ 10. ორი საერისთაო ხუნანისა და სამშვილდისა (ნახე ზემოდ № 3) ნაწილებითურთ (ნახე № 6), რომელნიც შეადგენდნენ პირველს სადროშოს ანუ წინა-მბრძოლს სადროშოს საბარათიანოთი, თრიალეთით და სომხეთით.

№ 11. იგივე ქვეყანა ანუ ძველი საუფლის-წულო ქართლოსისა, წილ-ხდომილი გარდაბოსისა და გაჩიოსისა. ფარნავაზის შემდეგ გარდაბანი შეადგენდა საერისთაოს ხუნანისას და გაჩიანი საერისთაოს სამშვილდისას.

№ 12. საქართველო სამხრეთად მტკვრისა, ნაჩვენები ჩვენ ქარტაზე ყველა ნაწილებითურთ, რომელნიც მოხსენებულნი არიან ზემოდ № 6.

№ 13. საბარათიანო, საციციანო და ხეობა მათის ნაწილებით (ჩვენ ქარტაზე № 2) ჩვენებული შეადგენს ნაწილს ზემო ქარტისას № 8.

№ 14. კახეთი ისე, როგორც წარმოდგენილია ჩვენ ქარტაზე № 4.

№ 15. ოსეთი საკუთრივ საშუალ კავკასიის დიდის ქედისა, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგენია ჩვენს ქარტაზე № 3.

№ 16. შთამომავლობის ხე, მსგავსი ზემოდ-ხსენებულისა (№ 4) მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვახუშტს აქ ჩაურთავს სრული ბიბლიური შთამომავლობა ადამით ვიდრე იესო ქრისტემდე.

№ 17. ქარტა სამცხისა. ნახე ჩვენი ქარტა № 1.

№ 18. იმერეთი, ოდიში და გურია.

№ 19. ცალკე იმერეთი საკუთრივ.

№ 20. აფხაზეთი ილორიდამ დაწყობილი. ეს ქარტა შეიცავს ამ ქვეყანას, ოდიშს ანუ სამეგრელოს, იმერეთს და გურიას, როგორც დახაზულია ჩვენ ქარტაზე № 5. არის კიდევ პატარა ქარტა გურიისა, რომელიც ჩემ ატლასში არ შემომაქვს.

№ 21. ჯიქეთი და აფხაზეთი, ეს უკანასკნელი ჰაპეტის-წყლიდამ მგურამდე[1]. ჩრდილოდ მდებარებს აბაზა ანუ საჩერქეზო და ბასსეინი ყუბანისა; ჩრდილო-დასავლეთად ამ მდინარისა — ძველი ქვეყანა ოვსეთისა, შემდეგ ყუბანი ვახუშტის აზრით[2]; დასავლეთად ქვეყანა ჯიქებისა, პაჭანიკნი და სულ-ჩრდილოდ ნაწილი რუსეთის ბელგოროდის გუბერნიისა. მე არ შემომაქვს ეს ქარტა, რადგანაც იგი მცირე ცნობას გვაძლევს საქართველოზე და სამეგრელოს აღწერით (ვახ. გეოგრ., 393) ადვილად შეგვიძლიანთ შეიგნოთ ადგილ-მდებარებანი, რომელთაც იგი უჩვენებს[3].

1. ზემოდ და თვით „გეოგრაფიის“ ტექსტით, როგორც ქ-ცხბით, ეგრისის-წყლამდე.

2. ს ა ჩ ე რ ქ ე ზ ო ძველად ჩვენის მატიანეს აზრით ეპყრა ოსეთს და ჩ ე რ ქ ე ზ ი, ს ა ჩ ე რ ქ ე ზ ო სულ არ იხსენიება. ვახუშტის ისტორიის შენიშვნით, გიორგი VII დროს (1395—1407) „ლანგ-თემურმა წარაგლინნა ოვსეთად სპანი, რომელთა განვლეს დარუბანდი, ლეკეთი და მივიდნენ ოვსეთს, მოსწყვიდნეს და ტყვე-ჰყვეს. ესე ჰყო თემურმა, რამეთუ უწყოდა, რომელ მეფე ძალს-იცემს მუნიდამ. ხოლო კვალად იტყვიან, მიერიდგან იწოდაო ჩერქეზი და იქმნაო მაჰმედიანობა მათ შორის“ (ნახე ამ „ისტორიაში“ გვ. 293).

3. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ბროსსე გვაუწყებს: ა) პეტერბურგში, სამხედრო შტაბის ტოპოგრაფიულ განყოფილებაში ინახება (№ 1260) სხვა გვარი ვახუშტის ხელით ნაწერი რუსულ ენაზე რვა-ფურცლიანი „საქართველოს ქარტა“; ბ) თვით ყაზანის უნივერსიტეტის ბიბლიოტეკაშია (№ 1679) „საქართველოს ქარტავე“ საქართველოს ნაწილთა გერბებით ნახატი ვახუშტისაგან. ეს ქარტა თავდა-პირველად შეიცავდა ცხრა ფურცელს, რომელთაგან დარჩენილია ხუთიღა. გვარწმუნებენ, ვითომც იგი ეპოვნოთ გრაფის ალექსანდრე პოტემკინ-ტავრიჩესკის წიგნთა საცავში და ამ საცავითურთ 1809 წ. გადაეცეთ ყაზანის უნივერსიტეტისათვის (*Mél. Asiat.*, III, 545—557). ეს ქარტა რამდენისამე წლის წინად ტფილისშიაც იყო ყაზანიდამ გამოთხოვილი.

*NB.* თუმცა საჭირო იყო ამ გამოცემაში **ვახუშტის სურათი** ჩაგვერთო, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ იგი არსად აღმოჩნდა. ამ საგანზე ჩვენ გვქონდა მიწერ-მოწერა ერთ პატივ-ცემულ ქართველთან მოსკოვში **ილია ლაზარესძეს სერებრიაკოვთან**, რომელიც მუდამ თანა-უგრძნობს და ეწევა ყოველსავე ჩვენს საზოგადო სასარგებლო დაწყობას და აი რასა გვწერს გასულ წელს ბატონი ილია ორს თავის წერილში, რომელიც გვაძლევს შესანიშნავს ცნობებს და ამის გამო შემოგვაქვს სიტყვა-სიტყვით.

17 გიორგობის-თვეს.

„...რაიცა შეეხება ვახუშტის სურათს, ვგონებ, ის ძალიან ძნელი საშოვნელი იყოს. აქ მოსკოვში ახლა აღარავინ დარჩენილა ბატონი-შვილებთაგანი ანუ მათ მხლებელთაგანი, რომ რამ ეკითხოს ვახუშტზე. როგორც მოგეხსენება, ვახუშტი მოსკოვს ცხოვრობდა და აქ დონსკის მონასტერშია დასაფლავებული. საცა იმან თავისი «ქართული ისტორია» დაწერა, ამ წერილს სწორედ იმ მიწაზე გწერ, რადგანაც იმის ნა-

დგომის სახლის ალაგი მე ვიყიდე ვახტანგ მეფის უკანასკნელის შთამომავლისაგან, სერგეი გრუზინსკისაგან, რომელიც ოთხი წელიწადია რაც მიიცვალა 85 წლის მოხუცად. ახლა ამ სახლს არა-რით არ ეტყობა, რომ აქ როდისმე ვახუშტს ეცხოვროს. კნიაზ სერგეი გრუზინსკის ექვსი წელიწადი დაახლოვებით ვიცნობდი: ის იყო მეტად გამოჩენილი ხიმიკი, სკულპტორი მეტად შესანიშნავი, შესანიშნავივე ფოტოგრაფი და საზოგადოდ ჭკვიანი და ჭეშმარიტად განათლებული კაცი; სიკვდილამდე ხიმიკურ ლაბორატორიაში მომუშავე და შეუცვლელი მეხსიერებით (*). ბევრჯელ მქონია იმასთან ლაპარაკი ვახუშტზე; მაგრამ ამისთანა კაცისაგანაც ვერა შევიტყე რა. ამას წინად გახლდი დონსკის მონასტერში და ბროსსესავით ვერა რას გავხდი. ამ დღეებში კიდევაც წავალ. შენი წერილის მიღების უმალვე დავით ჩუბინა-შვილს ვთხოვე წერილით, რომ ვახუშტის სურათზე რამ შეეტყობინებინა. პასუხი არა მაქვს რა და იმისმა ლოდინმა დამაგვიანებინა ეს წერილი. ერთი კვირის ანუ ათი დღის შემდეგ პეტერბურგში წავალ და ყოვლის ღონის-ძიებით ვეცდები მუზეუმის ბიბლიოთეკაში, ჩუბინა-შვილთან და არხივში Министерства внутреннихъ дѣлъ, საცა იყო შეკრებილი ყველა ჩვენი ბატონიშვილების საქმე და ღმერთი თუ შემეწევა, ეგების რასმე გავხდე“.

17 ქრისტეს-შობის-თვეს.

„როგორც წინა-წერილში დაგპირდი, გახლდი პეტერბურგში ვახუშტის სურათის საძებნელად, მაგრამ ვერაფერი ვერა გავაწყე რა. „აზიური მუზეუმი“ აკადემიისა დიდ არეულობაშია ბროსსეს შემდეგ და ახლანდელი იმისი ზედამხედავი ქართულის უმეცარი გახლავთ. იმედი მე ამ წიგნების საცავზე მქონდა. აქ რომ ვერას გავხდი, მივმართე დავით ჩუბინა-შვილს და იმის გამოცდილებას. იმან სრულებით იმედი გადამიწყვიტა და მითხრა, რომ თავის დღეში სმენითაც არა მსმენიაო ვახუშტის სურათის საქმე და თუ რამ გამოვა, ისევ იმის შთამომავალ ნათესაობაში მოიკითხეო მოსკოვში. როგორც გაცნობე, აქ მოსკოვში არც ვახუშტს და არც ვახტანგს შთამომავალი არ დარჩენია და ან ვისაც წასულში მოვესწარ, არა იცოდნენ რა. მე ვგონებ, რომ ამ სურათის ძებნას სამწუხაროდ თავი უნდა დავანებოთ“!

---

*). ეს სერგეი უნდა იყოს ჩემის მოაზრებით არჩილის შთამომავალი და ქაიხოსროს შვილის ლევანის შვილის-შვილი. სერგეის იხსენიებს ბროსსე ქართლის სამეფო სახლის „შთამომავლობაში“ (*H. de la G.*, II, 2 livr., p. 628).

# წინა-სიტყვაობა მესამე.

(დ. ბაქრაძისა)

არ არის დიდი ხანი მას აქეთ, რაც მსწავლულნი თითქმის საზოგადოდ დარწმუნებულნი იყვნენ, ვითომც საქართველო მეტად ღარიბი იყოს ისტორიულის მასალებით და ვითომც თუ რაიმე გვაქვს ჩვენ ამ გვარი („ქართლის-ცხოვრება“), ისიც ვახტანგ მეფისაგან სხვა-და-სხვა სომხურის ხრონიკებიდამ მიკერ-მოკერებული. ამ უკანასკნელ აზრს ამყარებდნენ და ამყარებენ ზოგნი ახლაც ქართლის-ცხოვრების სათაურზე, რომელიც გვამცნევს, ვითომც ვახტანგ მეფეს „მოეხვნეს გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეემოწმებინოს ქართლის-ცხოვრება და რომელი გარყვნილ-იყო განემართოს და სხვაცა წერილნი მოეხვნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოეხვნეხ და ესრედ აღეწერინოს“. მაგრამ თვით ეს „სათაური“ სრულიად უსაფუძვლოა. ამ შეცდომის ისტორია ღირსია ყურადღებისა და არ შეიძლება არ შევდგეთ იმაზე.

ვახტანგ მეფეზე ჩვენა გვაქვს ცნობები, რომელნიც ეკუთნიან იმის შვილს ვახუშტს და სხვათა თანა-მედროვე მწერალთა და რომელნიც დაწერილებით გვიხატვენ ყოველ შემთხვევას იმის ცხოვრებისას. ამ ცნობებით ვიცით, რომ ვახტანგს გაუჩენია ჩვენში სტამბა, დაუბეჭდია «ვეფხის-ტყაოსანი» თავის განმარტებით და საეკლესიო წიგნები, შეუდგენია სჯულ-კანონი, Დასტულამა და სხვ. რა არის მისგან და იმის დროს დაწერილი თუ თარგმნილი, ყველა ეს და სხვა ამ გვარი არ არის დავიწყებული მის დროს მწერალთაგან. მაგრამ ქართლის-ცხოვრების შედგენას თუ შესწორებას ვახტანგის მიერ არც ერთი მათგანი არ იხსენიებს.

მაშ საიდამ წარმოსდგა ხსენებული „სათაური“? საქართველოს წარსულ ჟამთა მატიანე იყოფა ორ განყოფად: პირველი «ქართლის-ცხოვრება» თავდება მეთოთხმეტე საუკუნეში, გიორგი ბრწყინვალის დროს; მეორე შეიცავს შემდეგის დროს გამოკვლევას. მეორე განყოფის მატიანე შეუწყვეტელის არეულობის გამო საქართველოში არა ყოფილა შე-

მუშავებული და რიგზე აღწერილი და აი რას ამბობს ამ საგანზე ვახუშტი თავის ისტორიის მეორე განყოფის წინა-სიტყვაობაში: «...თუმცა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და ეკლესიებთა წიგნებთა შინა ქორონიკონებთა მათთა, რომელნი აღუწერიათ ბრწყინვალის გიორგიდამ ვიდრე ჩვენადმდე; ყოველთა მეფეთა და მთავართა და სხვათა ვიუწყებთ ხსოვნა-მოთხრობითა და მცირედთა ცხოვრებათა მათთა წარწერითაცა, არამედ გარჩევა საჭირო არს და უხმს შრომა დიდი. გარნა ამის გარჩევისათვის წარმოვთქვათ ბრწყინვალე გიორგიდამ ვიდრე ჩვენამდე. ხოლო აღუწერიათ ცხოვრებაცა სასჯულითა ლევანის ძისა მეფის ვახტანგისათა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ. გარნა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი...“ შემდეგ ამისა ვახუშტი უჩვენებს ხრონოლოგიურს შეცდომებს ამ აღწერილობისას და წინა-სიტყვაობას აბოლოებს ამ სიტყვებით: „ხოლო ჩვენი შრომა ამისთვის იყო, ვინადგან მეფის ვახტანგის სახელით აღეწერათ და ვიხილეთ ესეოდენი წინაალმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორეთ და განვამართლეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ სთქვას მხილველმან ამისმან შეურაცხება რაიმე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრედ, ვითარცა აღვწერეთ, ვინადგან ნათესაობისა ქორონიკონს სწორესა სწერს, გარნა შემწყობი ამისი შეცდომილ არს“. ამ ვახუშტის სიტყვებიდამ ჩვენ ის აზრი გამოგვაქვს, რომ იმისგან დაწერილი ახალი ისტორიული ცხოვრება ჩვენის ქვეყნისა უნდა იყოს თვით ის აღწერა, რომელიც ვახტანგის ბძანებით შეუდგენიათ და ვახუშტს ეს აღწერა მხოლოდ შეუსწორებია და შეუვსია კიდეც.

წინა-სიტყვაობა ვახუშტისა, რომელსაც ჩვენ ვუჩვენებთ, ჩართულია ბროსსესაგან გამოცემულს ქართლის-ცხოვრებაში [1] და ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, რომ ახალის ქართულის მატიანის დამწყების სახელი, ესე იგი ვახტანგისა, მიუთვისებიათ თვით ქართლის-ცხოვრებისათვის, ასე რომ ორს ქართლის-ცხოვრების ძველს ვარიანტში, რომელნიც ვახტანგის წინად არიან გადაწერილნი და ეკუთნოდნენ თეიმურაზ ბატონი-შვილს (ახლა ერთი იმათგანი ეკუთნის აკადემიას, მეორე რუმიანცოვის მუზეუმს), დასაწყისში სხვა ხელით არის მიწერილი ხსენებული „სათაური“ და ეს არის საფუძველი ჩვენებულის შეცდომის გავრცელებისა. ამის გამოა შეცდომაში თვით ზედ-მიწევნით მცოდნე ქართულის ისტორიისა თეიმურაზ ბატონი-შვილი. რაც კი იმას თავის ისტორიაში ქართლის-ცხოვრებიდამ გამოაქვს, ყველას მეფე ვახტანგს მიაწერს. ამ შეცდომაშივე იმყოფებოდნენ კლაპროტი, სენ-მარტენი და ბროსსე [2]; მაგრამ როდესაც ბროსსემ ძველადვე

1. იხილე ქართ. ტექსტი, ნაწ. II, გვ. 1—10.—*H. de la G.*, II, 1 livr., 1—10.
2. იმ „სათაურზედვე“ აფუძნებს პროფესორი პატკანოვი თავის დედა-აზრს სტატი-

სომხურ ენაზე ნათარგმნი და მეთორმეტე საუკუნემდე მიყვანილი ქართლის-ცხოვრება (*Chronique arménienne*) შეუთანასწორა ძველ ვარიანტებს ქართლის ცხოვრებისას, პირ-და-პირ გამოსთქვა: «ამის შემდეგ მე აღარ შემიძლიან ქართლის-ცხოვრება მეფე ვახტანგს მივაწეროო»; მაინც კი ბროსსემ სრულიად ვერ უარ-ჰყო ღრმად დანერგილი შეცდომილება და იგი მაინც რაღაც შრომას ვახტანგისას ჰხედავს ქართლის-ცხოვრებაში, თუმცა არ იცის, რა შრომაა ის შრომა[1]. აქამომდე თვით ჩვენც ამ აზრისანი ვიყავით, რადგანაც ძველი ვარიანტები არ გვქონდა; მაგრამ როდესაც ამ ცოტა ხანში შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში ერთი ძველი ქართლის-ცხოვრება, გადაწერილი 1636—1646 წ. როსტომ მეფის ცოლის მარიამ დედოფლისათვის და როდესაც ეს ვარიანტი დაბეჭდილს ქართლის-ცხოვრებას მთლად შევადარეთ, აღმოჩნდა, რომ ვახტანგს ისე არა-ვითარი მონაწილეობა არა აქვს ქართლის-ცხოვრებაში, როგორც მე და შენ, მკითხველო.

საქართველოს ისტორიული მატიანე ძველის დროდამვე ცნობილი ქართ.-ცხოვრებად. ასე უწოდს მას ზემოდ-ხსენებული «სომხური ხრონიკა», ანუ უკედ, „ქართული ხრონიკა“, რომელიც თავდება დავით აღმაშენებელის სიკვდილით 1125 წ. არ იციან, როდის არის იგი თარგმნილი სომხურ ენაზე; მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს თარგმანი ეკუთნის დავითის თანამედროვეს. „თვით ჩვენის თვალით გვიხილავსო—ასე აბოლოებს მთარგმნელი თავის შრომას—სოლომონ ბრძენის სიტყვების აღსრულება დავით მეფეზე“. დავითის შემდეგ რომ თარგმნილიყო ეს ხრონიკა, უეჭველია, მთარგმნელი მომავალს ცხოვრებასაც განაგრძობდა. ქართლის-ცხოვრებადვე უწოდს ქართულ მატიანეს მეცამეტე საუკუნეში სტეფანოს ორბელიანი. ერთი მცხეთის გუჯარი 1546 წლისა, რომელიც ახლა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაშია, მცხეთის წიგნთა საცავში იხსენიებს, სხვათა შორის, ქართლის-ცხოვრებას. ჩვენ დრომდე მოუღწევია ვახტანგ მეფეზე ადრინდელს სამს ვარიანტს ქართლის-ცხოვრებისას: ერთია ხუცურად ნაწერი, რომელსაც აქვს იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის მინაწერი 1725 წ. და ეკუთნის პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას; მეორე მხედრული რუმიანცოვის მუზეუმშია; მესამე მხედრულივე გადაწერილი, როგორც ზევით მოვიხსენეთ, 1636—1646 წ. როსტომ მეფის ცოლის

აში: *О древней грузинской хроникѣ*—Журналъ Министерства народнаго просв., декабрь 1883 г., რომლითაც უარ-ჰყოფს ძველის „ქართლის-ცხოვრების“ სიძველეს და იმასაც ამტკიცებს, ვითომც იგი იყოს შედგენილი უმეცარის სომხისაგან იმ დროს, როდესაც ქართველებმა იგრძნეს ისტორიული მწერლობის საჭიროება, ესე იგი მე-XII საუკუნეში. ამ სტატიის შესახებ ნახე ჩემი ბროშიურა: „პროფესორი პატკანოვი და ქართულის ისტორიის წყაროები“. ტფილისი, 1884.

1. *H. de la G.*, II, 2 livr.—*Introd.* p., XXVIII.

მარიამისათვის. ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ სხვა ძველი ვარიანტებიც უნდა აღმოჩნდეს საქართველოს კერძო სახლებში და მონასტრებში [1].

ჩვენ უმიზეზოდ არ ვუწოდთ ქართლის-ცხოვრების დედნებს ვარიანტებად. რამდენი დედანიც კი არის ახლა სხვა-და-სხვა დროისა, ყველა განსხვავდება ერთი მეორეში თავის შინაარსით და რაც ძველია დედანი, ისე განსხვავებაც მეტია. ქართლის-ცხოვრების დაბეჭდვის დროს ბროსსე ხელმძღვანელობდა ოთხისა თუ ხუთის ძველის და ახალის დედნით და თვითოეულის მათგანის ღირს-სახსოვარი განსხვავება ჩართულია მისგან დაბეჭდილს ქართლის-ცხოვრებაში; მაგრამ, საუბედოდ, ისეა ჩართული, რომ თუ ზედ-მიწევნით არა გაქვთ ცოდნა ამ საგანზე, თქვენ არ შეგიძლიანთ შეიგნოთ, რა ეკუთნის ძველს დროს და რა—ახალს. ამის გამო თქვენ იბნევით და აუცილებლად შეცდომაში შესდიხართ. აქ საჭიროა დიდი და ხანგრძლივი შრომა, რომ ეს შეცდომა აიცილოთ თავიდამ; საჭიროა შედარება ერთის ვარიანტისა მეორესთან და მესამესთან.

მეცნიერულმა გამოკვლევამ აღმოაჩინა ქართლის-ცხოვრებაში შემდეგნი მისნი თვისებანი:

1. თუ მარტო პალეოგრაფიის მხრით განიხილავთ ქართლის ცხოვრების ვარიანტებს, უეჭველად დარწმუნდებით, რომ ძველი ქართლის ცხოვრება წერებულა იმ დროს, როდესაც მხედრული ჯერ არ არსებობდა და მხოლოდ ხუცური ანბანი იყო გავრცელებული. როგორც ვიცით, ხუცურში ზოგიერთი ასოები, მაგ. ⴘ და ⴁ, ⴒ და ⴛ, ⴈ და ⴊ ერთმანეთში ძნელად გაირჩევა; ამის გამო მწერლებს ძველადვე ეს ასოები მხედრულის ხელით გადაწერილს „ქართლის-ცხოვრებაში" აურევიათ და ამ მიზეზით, მაგალ. მაგიერ შიომისა, არშაკისა, არდაშირისა, მობიდანისა, შაბურისა, აბალასი, შანქურისა, დარიალანისა, ჯვანშერისა, მუტლულისა კითხულობთ ბიომ, არბაკ, არდაბირ, მოშიდან, ბაბურ, აშალ, ბანქორი, ჯვანბერი, დარლალანი, მუძლული და სხ. ეს შეცდომა ხშირია და ამისი კვალი დარჩენილია თვით მეთორმეტე საუკუნის „სომხურ ხრონიკაშიაც", რომელიც ზევით მოვიხსენეთ და მეცამეტე საუკ. მხიტარ აირივანქელის «ხრონოლოგიურს ისტორიაშიაც».

2. თვით ლექსთა-წყობა და გრამატიკული ფორმები ძველის ქართლის-ცხოვრებისა აღმოაჩენენ საგრძნობელს განსხვავებას, თუმცა მათ მომავალის საუკუნოების კალმის კვალიც კი დასტყობია. გარდა ამისა, ვპოულობთ იმისთანა ლექსებს, რომელნიც შემდეგ საზოგადოდ არიან მიღე-

1. აქ უადგილო არ იქნება ამ საგანზე მოვაგონოთ მკითხველს ვახუშტის სიტყვები: „დედანი იგი მატიანისა („ქართლის-ცხოვრებისა") შეურყეველად ჰგიეს არა ერთი, არამედ მრავალი" (ნახე ზემოდ „წ ი ნ ა-ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა  პ ი რ ვ ე ლ ი", გვ. VI).

ბულნი, მაგრამ ძველად კი ან არ იხმარებიან, ან განსხვავებულის აზრით იხმარებიან, მაგ. ბიძა, პაპა სულ არ ამოიკითხების და ამათ მაგიერ იხმარება: მამის ძმა, დედის ძმა, მამის მამა; თარგმანი იხმარება მთარგმნელის ნაცვლად: „განანელთა თარგმანთა", „მოუწოდა თარგმანსა". ხშირია სეფე და ამ ლექსიდამ წარმომდგარი რთული სიტყვა: სეფე-შვილი, სეფე-ქალი, სეფე-წული, სეფის-პირი, სეფე მწიგნობარი, სეფენი ქვეყანისანი, სეფე დროშა, სეფე-ვენახი. მუნთქვესვე ნაცვლად სიტყვისა მეყსეულად: „და იქმნა მხედველ მუნთქვესვე"; და მუნთქვესვე განიკურნა". ხარაგა სულ ძველად, შემდეგ ხარკი, მასუკან ხარაჯა, სულ ბოლოს ხარჯი. სანახები ნაცვლად სიტყვისა საზღვარი, გარე-შემო ადგილები: „სანახები ქართლისა"; „არენი და სანახებნი ქართლისანი". მსგეფსი —შვიდეულის მაგიერ ან სწორის-სწორისა: „დაიბანაკეს მსგეფსი ერთი"; „დაჰყვეს მუნ მსგეფსი ერთი". მრავალია ქართლის-ცხოვრების ძველს ნაწილში ამ გვარი ლექსები, რომელთაც იგივე მნიშვნელობა აქვთ თვით სახარების უძველეს ვარიანტებში და სხვა მანუსკრიპტებში.—სხვა-და-სხვა ფაქტებით განსვენებული ბროსსე ამტკიცებს, რომ ქართული ხუთასიანი ანუ სირიული ქორონიკონი შემოღებულიაო 780 წ. ქრისტეს შემდეგ. ამ საგანზე რა საბუთს გვაძლევს ქართლის-ცხოვრება? სულ ძველად იგი ხმარობს ხრონოლოგიას ხან დასაბამიდგან სოფლისა, ხან ქრისტეს შობიდამ თუ ამაღლებიდამ, ხან რომლისამე საჩინო შემთხვევიდამ, მაგ. „სვეტი-ცხოველის აღმართებიდამ"; „მირვანიდგან ვიდრე..." და სხვ. ხუთასიანი ქორონიკონი პირველად იხმარება ქართლის-ცხოვრებაში აშოტკურაპალატის სიკვდილის ჩვენებაში. აშოტი მეფობდა 786—826 წლამდე. შემდეგ ამისა ქართლის-ცხოვრება ყოველთვის ხუთასიან ქორონიკონს ხმარობს.—ძველი ქართლის-ცხოვრება შეიცავს ერთს შესამცნევ ფაქტსა, რომელიც გვაძლევს შეურყეველ საბუთს თავის სინამდვილისას. აი ეს ფაქტი: ქართლის-ცხოვრება აშოტის შვილის გვარამის დროიდამ († 883) ტაო-კლარჯეთის მფლობელთ უწოდს მამფლებად, როგორც კახეთის მფლობელთ—ქორიკოზებად. ლექსი მამფალი უდრის შემდეგის საუკუნოების მთავარს და იხმარება მხოლოდ მეათე საუკუნის გასვლამდე, როდესაც მამფლები ერთ-მპყრობელობის დაარსების გამო საქართველოში გაჰქრნენ. ამავე ლექსს ხმარობს როდესაც ტაო-კლარჯეთის მპყრობელთ შეეხება მეათე საუკუნეში ბიზანტიის მწერალი კონსტანტინე პორფიროგენი და ხმარობენ აგრეთვე იმავე დროისათვის მეთერთმეტე საუკუნის მემატიანე სტეფანოს აზოლიკი და სხვა-და-სხვა ქართული მანუსკრიპტები და გუჯრები. საკვირველია, რომ ლექსი მამფალი ტაო-კლარჯეთის საზღვრებს თითქმის არ გასცილებია და ამასთანავე მეთერთმეტე საუკუნიდამ არც მატიანეებში, არც სხვა ძველ მწერლობაში აღარ აღმოიკითხების.

ბ. ჩვენ გვაქვს საბუთი, რომ ქართლის-ცხოვრება იწერებოდა

ქრისტეს ალსარების მიღების დროებში. ჰქონდა თუ არა ანბანი ანუ ალფავიტი იმ დროებში ამის ფაქტი ჯერ არ არის, თუმცა ეჭვ გარეთ უნდა ვიქონიოთ ისიცა, რომ ჩვენში სულ პირველად იხმარება ხუცური ასო-მთავრული, საიდამაც მეშვიდე-მერვე საუკუნიდამ იბადება ხუცურივე წვრილი ანბანი და აქედამ მეათე სუკ. ჩნდება მხედრული, რომელსაც მეთერთმეტე-მეცამეტე საუკ. ჯერ კიდევ ხუცური ასოების თვისება აქვს. რომ ხუცური ასო-მთავრული ძველის-ძველია, რომ იმიდგან მომდინარეობს ორივე დანაშთენი ანბანი, ამის დასამტკიცებელ საბუთს გვაძლევენ ძველი ჩვენი მანეთები (მეხუთე საუკუნიდამ), ძველი მანუსკრიპტები (მეხუთე-მეშვიდე საუკ.), Ⴟვარის-მონასტრის წარწერანი (მეშვიდე საუკუნის დამდეგს) და უძველესი გუჯრები. Ⴀმ საბუთთაგან ზოგნი ახლა ჩვენ ხელში გვაქვს. Ⴈს აზრი, რომ ხუცური მხედრულზე უძველესია, მარტო ჩემი აზრი არ არის. Ⴀი რას ამბობს ამ საგანზე ბატონი-შვილი Ⴇეიმურაზი: «რომელნიმე მეისტორიენი ჩვენნი გულ-მსიტყველობენ, რომელ ხუცური იყო პირველ Ⴔარნავაზისაცა[1]. ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან ეს მეისტორიენი; მაგრამ როდესაც სულ ძველის ჩვენის მწერლობის თვისების განხილვაში შესდიხართ, ცხადათ ჰხედავთ, რომ შეუძლებელია ჩვენს ალფავიტს იმ დროს ის სისრულე და ის ფორმების მშვენიერება ჰქონიყო, თუ რომ იმას მანამდე რამდენიმე საუკუნე არ გაევლო[2].

რომ ჩვენს ძველ მწერლობას ზოგიერთი ნამდვილი საკუთარი ცნობები ჰქონია მირიანზე უწინდელ საქართველოზე; რომ მირიანის დროდამვე არა თუ იწერებოდა ქართული ისტორია, არამედ ვრცელდებოდა კიდეც უცხო-ქვეყნების მწერლობაში, ამ აზრს აცხოველებს, ჩვენის ფიქრით, შემდეგი ისტორიული ფაქტები:

ა. Ⴔარნავაზის მეფობაში (302—237 წ. ქრისტეს წინ) ქართლის ცხოვრება იხსენიებს Ⴀსურისტანის ანუ სირიის მეფედ Ⴀნტიოქოსს. Ⴀნტიოქოსი იმ დროს ორი იყო და უკანასკნელი მათგანი მეფობდა 261—244 წ. Ⴄს Ⴀნტიოქოსი უნდა ჰყავნდეს მხედველობაში ქართლის-ცხოვრებას; მირვან I-ს დროს (162—112) სირიის მეფეა Ⴀნტიოქოსვე და სომხეთისა Ⴀრშაკი. მართლაც, ხუთთა Ⴀნტიოქოსთა შორის უკანასკნელი მეფობდა 112—94 წ. და სომხეთში Ⴀრშაკი 127—113 წ. მეფე Ⴔარნა-

1. იხ. იმისი „ისტორია“, გვ. 116.

2. რა დრომდამ იხმარება ეს ორი განსხვავებული სახელ-წოდება: მ ხ ე დ რ უ ლ ი და ხ უ ც უ რ ი, ამაზე ჩვენ ვერას ვიტყვით. უნდა კი შევნიშნოთ, რომ არც ერთი ამ სახელ-წოდებათაგანი ბოლო-საუკუნოებამდე ჩვენ მწერლობაში არ შეგვხვედრია.

რასაც ჩვენ ვამბობთ ზემოდ ხუცურ-მხედრულზე, იმაში მკითხველი დარწმუნდება ჩვენის მანეთებისა და ალფავიტების ანუ სხვა და სხვა საუკუნოების მწერლობის მხატრობიდამ, რომელსაც ვახუშტის „ისტორიის“ მეორე ნაწილის ბოლოს ჩავურთავთ.

ჯომ (112—93). ქართლის-ცხოვრებით ამას შემოაქვს ქართლში სჯული დედუღი ანუ ცეცხლის-მსახურება და ქართლის ერისთავნი სომხის მეფეს გამოსთხოვენ შემწეობას და შვილს მეფედ. მართლადაც, იმ დროს სპარსეთში გაძლიერებული იყო ცეცხლის-მსახურება და სომხეთის მეფე არტაშეზ I იყო მკაცრი კერპთ-მსახური. — არტაგ (81—66). ამ არტაგს არტაგოსად იხსენიებენ პომპეის დროს რომაელთ მეისტორიენი დიონ კასსიუსი და აპპიანი (2 წ. ქრისტ. წინ — 55 ქრ. შემდეგ). რომაელთ ცნობითვე იბერიის მეფე მიტრიდატის შვილი ფარსმანი სომხეთის მეფედ აღგენს თავის უმცროს ძმას მიტრიდატს. ეს ცნობა არ არის მოხსენებული ქართლის-ცხოვრებაში, მაგრამ 55—72 წ. მეფობენ ბარტომ და ქართამი და 72—87 ფარსმან I: ქართლის-ცხოვრებით პირველის მეფობაში ვესპასიანემ წარმოსტყვევნა იერუსალიმი; მეორის მეფობაში სომხეთში მეფობდა ერვანდი, რომელმაც მიიღო საზღვარი ქართლისა. სომხურის წყაროს ჩვენებით ეს არის ეროვანდი (58—78), რომელსაც ვითომც მართლა დაეპყრა ნაწილი ქართლისა. — ერთი ქვა ბერძნულის 75 წლის წარწერით, ნაპოვნი ამას წინად მცხეთის მახლობლად, მოიხსენებს „ვესპასიანისაგან აღშენებას ციხისას კეისრისა და რომაელთ მეგობრის იბერიის მეფის ფარსმანის შვილის მიტრიდატისათვის და იამაზდის ანუ ამაზდის (არმაზის) მცხოვრებთათვის“[1]. ქართლის-ცხოვრებით 113—122 წ. ჩვენში მეფობს ფარსმან II. დიონ კასსიუსის თქმითვე, ადრიანე იმპერატორის დროს (117—138) მეფე იბერიისა ფარსმანი ალბანიაში[2] იწყობს დიდს ომიანობას, რომელიც ვრცელდება მიდიაში, სომხეთში და კაპპადოკიაში. ამ ფარსმანისათვის რომში ბელლონის ტაძარში აღუმართავთ სახსოვარი ძეგლი.

ბ. ქრისტეს სჯულის შემოტანას ქართლში წმ. ნინოსაგან მირიანის დროს (265—342) მოგვითხრობენ მე-IV საუკ. ბერძენთ მწერალთაგანნი რუფინი და სოზომენი და მე-V საუკ. სომეხთაგანი მოსე ხორენელი, — მოგვითხრობენ იმ გვარად, რომ არ შეგვიძლიანთ არ ვიფიქროთ, — იმათ ხელში უნდა ჰქონიყოთ ჩვენი ცნობა: ისე ზედ-მიწევნით ეთანხმებიან ამ უკანასკნელს. ჩვენ ფიქრს აცხოველებს ის ფაქტიც ხორენელის შესახებ, რომ ხორენელი თავის „ისტორიაში“ მოიხსენებს ქართველთ სქოვე-წიგნებს და თავის „გეოგრაფიაში“ მომეტებულ ნაწილს ჩვენის მხარის გეოგრაფიულ სახელ-წოდებებისას ნამდვილ ქართულის ფორმებით ხმარობს, მაგ. აფხაზი, დვალი, თუში, თიანეთი, ცხავატი, ბუღამაყარი,

1. Помяловскаго, *Сборникъ греч. надписей на Кавказѣ*. Спб., 1881, стр. 66—69.

2. რომაელების ალბანია, სომხების ალვანი არის ქართლის ცხოვრების მოვაკანი ანუ შირვანი.

დიდოცი (დიდო), კლარჯი, არტაანი, შავშეთი, ჯავახი, სამცხე, აჭარა, თრელი (თრიალეთი), ლაზივი (ლაზი), ჭანივი (ჭანი), შამშუდე (სამშვილდე), და სხ.[1] როდესაც უნდა იყოს და ვისგანაც უნდა იყოს ეს «გეოგრაფია» შედგენილი[2], ცხადია, რომ იმის ავტორს ხსენებული ცნობები ამოუკითხავს ჩვენ წყაროში. — ვარაზბაკარის (379—393) შვილი მურვანოს, მონაზონობაში წმ. პეტრე, დიდ-ხანს მოღვაწეობდა პალესტინაში, სადაც ეპისკოპოსად აღესრულა. იმისი ცხოვრება, იმის მოწაფისაგანვე აღწერილი, ჩვენამდეა მოღწეული. ამ აღწერის ცნობას იმეორებს თავის მსოფლიო ისტორიაში მე-XII საუკუნის სირიელთ პატრიარქი მიხეილ დიდი[3]. საიდამ, თუ არ ქართულის წყაროდამ?—ჩვენ დრომდე მოღწეული მე-VII საუკუნის წარწერა ჯვარის-მონასტრისა, მცხეთის მახლობლად მაზე წარმოგვიდგენს იმ დროს საქართველოს მდგომარეობას და სრულებით ეთანხმება ქართლის-ცხოვრების თქმულებას. როგორც ვიცით, მე-VI და მე-VII საუკ. საქართველო საბერძნეთის გავლენას ექვემდებარებოდა. ჯვარის-მონასტრის ქანდაკი გვიჩვენებს სურათებს მთავრის სტეფანოს I-ის (600—619) ძმის დიმიტრისას, ადარნასე I-სას (619—639) და ადარნასეს შვილის სტეფანოს II-სას (639—663). იმათში სტეფანოს I თუ II იხსენიება პატრიკად, ადარნასე და დემეტრე იპატოსებად[4]. ესეც საბუთი: მეშვიდე საუკუნის არაბთ სარდალი ჰაბიბი სტეფანოს II-ს პატრიკადვე უწოდს.—ამ გვარი ფაქტები მეშვიდე საუკუნიდამ მრავლდება, ამისთვის არ არის საჭირო, რომ ყველაზე შევდგეთ. მხოლოდ ორი ფაქტი კიდევ. ჩვენ ზემოდ მოვიხსენიეთ კოსტანტინე პორფიროგენის წყარო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე. კოსტანტინე წარმოადგენს იმათ გენეალოგიას მეცხრე საუკ. გასვლიდამ ვიდრე მეთერთმეტე საუკ. დამდეგამდე. ეს გენეალოგია თითქმის იგივეა, რაც არის ქართლის-ცხოვრებისაგან გადმოცემული შთამომავლობის ხე.—ამ ცოტა ხანში აღმოჩნდა ერთი ძველი ტყავზე ნაწერი გუჯარი ბაგრატ IV-სა შვილით გიორგითურთ. ამ გუჯარს საგნად აქვს მამულის საზღვრებზე დავა ოპიზართა და მიჯნა-ძორელთა ჭოროხის ხეო-

1. S.-Martin, *Mém. sur l' Arménie*, II, 357—361.—Патканова, *Армянская географія*. Спб., 1877, стр. 37—43.

2. პატკანოვი და სენ-მარტენი მიაწერენ ამ გეოგრაფიას—პირველი მე-VII საუკუნეს და მეორე მე-IX—X საუკ. *Арм. географія*, стр. I—XVII; *Mém.*, II, p. 301—317.

3. Langlois, *Chroniqu de Michel le Grand patriarche des Syriens*. 1868, p. 153—154.

4. Brosset, *V. arch.*, I, 48—49.—და *Mél. As.*, IV, 168.—Bartholomaei, *Lettres numism.*, 78—82 და planche III.—Langlois, *Essai de classif. des suites monét. de la G.*, p. 23, 30.

ბაში. გუჯარში მოხსენებულია სადავო ადგილზე ძველი გუჯრები გვარამ მამფლისა, ერისთავთ ერისთავის გურგენისა, ბაგრატ IV-ს პაპის ბაგრატ III-სა და ამის მამის გურგენისა. არავითარ წინააღმდეგობას ამ გუჯრისას არა ვხედავთ ქართლის-ცხოვრების ცნობაში: ამ ცნობით გვარამ მამფალი † 883 წ.; ერისთავთ ერისთავი გურგენ † 968 წ.; მეფეთ მეფე გურგენ † 1008 წ.; შვილი იმისი ბაგრატ III მეფობდა 980—1014; შვილი ამისი გიორგი I 1014—1027; შვილი გიორგისა ბაგრატ IV 1027—1072 და შვილი ამ ბაგრატისა გიორგი 1072—1089.

გ. რა მნიშვნელობას მისთვისებენ როგორც ძველად, აგრეთვე შემდეგში სომხეთის მწერალნი ქართულ წყაროებს, აი ამისი საბუთი. ჩვენ ვუჩვენეთ ზემოდ „სომხური ხრონიკა“ ანუ უკედ „ქართული ხრონიკა“, ქართულიდამ სომხურად ნათარგმნი მე-XII საუკუნეში. გარდა ამისა, ერთმა პარიჟის „აზიურის საზოგადოების“ წევრთაგანმა, რომელიც ქართულის ისტორიის შესწავლას შეუდგა, განსვენებულმა შულცმა, თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში კავკასიაში 1830 წ. მოიპოვა სომხურ ენაზე ხრონიკა, რომელიც იმის სიკვდილის შემდეგ—შულცი მოკლეს ქურთებმა—იმის ქაღალდებში იპოვეს. ეს ხრონიკა შეიცავდა წელთ-აღწერას 1201 წლიდამ 1755 წლამდე. იმისი თარგმანი იწყო სენ-მარტენმა და, როგორც აღმოჩნდა, ის ხრონიკა არის ერთი ვარიანტთაგანი, ქართულიდამ სომხურ ენაზე ნათარგმნი ჩვენი მატიანე, თვით ვახუშტის ისტორიაში ჩართული.—ძველად ჰსმენია სახელი გამოჩენილის ტაოს ბაგრატიონის დავით დიდის კუროპალატისა, რომლის სიკვდილს მოიხსენებენ 1001 წელს. დავითის მოღვაწეობას და მეტადრე მისგან წარგზავნას ქართველთ ლაშქრისას ვიზანტიის შემწედ ბარდა სკლეროსზე, რომელმაც მთელი ვიზანტია აალელვა, მოგვითხრობენ ვიზანტიელნი, სომხეთის მწერალნი აზოლიკი და ლასდივერი, ზარზმის წარწერა და სხვა ქართული წყაროები. დაწვრილებით ამბავს ამ გალაშქრებაზე გვიამბობს ერთი მანუსკრიპტი ტყავზე ნაწერი X-სა და XI-ის საუკუნ., რომელიც ეკუთნის ივერიის მონასტერს ათონისას და რომელიც იქიდამ მოიტანა ამას წინად ბენედიქტე ბერმა და ჩვენ შემთხვევა მოგვცა იმის განხილვისა. აღმოჩნდა, რომ ამ წყაროდამ გამოუკრეფია ცნობა დავითზე როგორც ქართლის-ცხოვრებას, აგრეთვე, ჩვენის ფიქრით, თვით ასოლიკს: ისე ეთანხმება ორივე ეს წყარო ათონის მანუსკრიპტს, რომ ჩვენს აზრზე ეჭვი არ შეიძლება.—რასაც რომ ვარდან დიდი ანუ სტეფანოს ორბელიანი (მე-XIII საუკ.) საქართველოზე ჩვენ მოგვითხრობენ, ყველა ამ მოთხრობას ეტყობა ქართული მწერლობის გავლენა: ცხადია, რომ იგი არის გამოკრეფილი ჩვენის წყაროებიდამ. თვითონ ვარდან დიდიც და სტეფანოსიც უჩვე-

ნებენ ამ წყაროს. ვარდანი ამბობს: „ივერიის მეფეთა ისტორიაში“ იმათზე აი რა არის ნათქვამი, როგორც ამას მღვდელი მხითარი მოგვითხრობსო. ეს მხითარი, ანელად ცნობილი, როგორც ამტკიცებენ, ცხოვრობდა მე-XII საუკ., მაგრამ იმისი ისტორია აქამომდე დაკარგულია. ამ მხითარს თვით სტეფანოსიც მოიხსენებს და ამასთანავე სტეფანოსს ხელში ჰქონია, როგორც ჩანს, ნამდვილი ქართლის-ცხოვრება, რომელსაც ის ამ სახელსვე უწოდებს[1]. კიდევ ერთი საბუთი ქართლ.-ცხოვრების გავლენისა სომხურ წყაროზე. მე-XIII საუკუნის გასულს ცხოვრობდა სხვა მხითარი აირივანქელი, რომელსაც შეუდგენია «ხრონოლოგიური ისტორია». ყოველივე, რაც ამ ისტორიაშია ცნობა საქართველოზე, ბროსსეს გამოუკრეფია და ჩაურთავს *Les ruines d' Ani*-ში p. 160—174[2]. თავის ისტორიაში, სხვათა ცნობათა შორის, მხითარს შეუტანია სია საქართველოს კათალიკოზებისა და მეფეებისა და, როგორც თვითვე ამბობს მხითარი, მას აქ დედნად ჰქონია ქართული წყარო. ეს დედანი უნდა იყოს ხუცური, რადგანაც იგი არშაკს უჩვენებს არზაკად, ჯვანშერს — ჯვანშერადაც და ჯვანბერადაც. ამასთანავე მხითარის ცნობები ეთანხმება უფრო ვარიანტს აკადემიის ქართლის-ცხოვრებისას: კათალიკოზთა სიაში მხითარი არ იხსენიებს ენონს სტეფანოს II-ს დროს, სვიმონს გიორგი I-ს დროს, მელქისედეგს, ოქროპირს და გიორგი ტაოელს ბაგრატ IV-ს დროს, გაბრიელ საფარელს იმავე ბაგრატისა და გიორგი II-ს დროს. ეს კათალიკოზნი არ არიან მოხსენებულნი არც მარიამ დედოფლის და არც რუმიანცოვის მუზეუმის ვარიანტებში; ნაჩვენებნი არიან მხოლოდ აკადემიის ვარიანტში. მხითარს შემოაქვს აგრეთვე თავის ისტორიაში სომხურის ასოებით ქართული სახელები ზოდთა თუ ეტლთა და შვიდთა ცთომილთა ვარსკვლავთა.

დ. რომ მომეტებული ნაწილი ქართლის-ცხოვრებისა მირიანის მეფის დრომდე თანა-მედროვეთაგან იწერებოდა, ამას ადგილ-ადგილ ქ.-ცხოვრებავე გვიჩვენებს. ზოგიერთთა ეჭვი შეჰქონდათ და შეაქვთ კიდეც ქართლის-ცხოვრებაზე იმ გარემოების გამოცა, რომ ქართლის-ცხოვრება არ იხსენიებსო, რომელი მოთხრობა როდის და ვისგან არისო შედგენილი. ეს მართალია; მაგრამ უმთავრესი ამისი მიზეზი, რომლის განხილვაში არავინ შესულა, იმითი აიხსნება, რომ ქართლის-ცხოვრება შეადგენდა სხვა-და-სხვა ვრცელთა კერძო ხრონიკებთაგან გამონაწერს საზოგადო საკითხავ წიგნსა. ამ აზრის საბუთს იმისი შინაარსივე გვაძლევს, როდესაც გვაუწყებს, მაგ., ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სომეხთასა... ...წიგნსა წამებისა რი-

1. Эмина, *Всеобщая исторія Вардана Великаго*. Москва, 1861, стр. 115—116.—Brosset, *H. de la Siounie*, 1 livr., p. 212.

2. მთლად ამ მხითარის შრომა ნახე *Mém. de l' Acad.* tome XIII, № 5, p. 1—110.

ფესიმესისა (ბაგრატიონის ისტორია). ...ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა... ...ზერმქნთასა... ...ვითარცა წერილ არს სრულსა ცხოვრებასა მისსა... დაიწერა ცხოვრება და სასწაულნი მათნი (ათორმეტთა სირიელთა მამათა) და დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა და აწ ვაწყოთ შემოკლებით ცხოვრებასა მათსა... ...რომელი თითოეულად ჰპოვო ცხოვრებასა მისსა (ათხუთმეტთა მეტერასა)... ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა... ვითარცა მოგვითხრობს წიგნი მეფეთა და ესე მცირედ სიტყვანი, ვითარცა თქსლის მკრებულმან მიმოგანთესილნი წმინდათა წერილთაგან ერთად შემოკრიბე... ვითარცა მოგვითხრობს ჩვენ აღწერილი გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით. თუმცა, როგორც ეს გამონაწერი გვამცნევს, სირიელ მამათა და სხვა წმინდათა გარემოებანი მხოლოდ გაკვრით არიან ნაჩვენებნი ქართლის-ცხოვრებაში და ამასთანავე იმათნი შემადგენელნი არ არიან დასახელებულნი, მაგრამ მომეტებულს ნაწილს ამ წმინდათა კერძო-კერძო ცხოვრებისას ჩვენამდე მოუღწევია, რადგან იგინი იკითხებოდნენ ეკლესიებში, როგორც ამას მოითხოვდა საეკლესიო კანონი; ამისგამო თვითოეულის მათგანის ავტორებიც ვიცით ვინ არიან. ამას ვერ ვიტყვით საზოგადოდ საერო კერძო ხრონიკებზე, რადგანაც იმათ ან არ მოუღწევიათ ჩვენამდე, ან ჯერ არ არიან აღმოჩენილნი. მხოლოდ ორი-სამი შემთხვევა ვიცით, როდესაც ქართლის-ცხოვრება მოიხსენებს ავტორებს. აი ეს შემთხვევანი, რომელნიც სიტყვა-სიტყვით შემოგვაქვს: წიგნი ესე ქართლის-ცხოვრება ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად; ხოლო ვახტანგ მეფითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან და ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამძღვარმან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა... ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოსაგან ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა და ახლა იოანე დეკანოზი სწერს... ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწივნეს ამას ქვეყანასა ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისამან. რა ეკუთვნის ქართლის-ცხოვრებაში ნაწილ მროველს, ანუ ჯუანშერს, ანუ იოანე დეკანოზს არ ვიცით, არც ვიცოდით აგრეთვე აქამომდე, რა ეკუთვნოდა სუმბატს, რადგანაც იმაზე მხოლოდ შენიშვნა იწერილი ძველს ხელნაწერს ვარიანტში; მაგრამ როდესაც მარიამ დედოფლის ვარიანტი გავჩხრიკეთ, ვნახეთ, რომ აქ სუმბატის ხრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი ქართლის-ცხოვრების ტექსტში, იწყობა მეშვიდე საუკუნიდამ და თავდება მეთერთმეტე საუკუნეში ბაგრატ IV დროს; დაბეჭდილს ქ.-ცხოვრებაში და სხვა ხელნაწერებში ის დაგლეჯილია და აქა-იქ გაფანტული. სუმბატის ვინაობაზე ცნობა არა გვაქვს. ჩვენის ფიქრით, ის უნდა იყოს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგანი, რადგანაც ამ ბაგრატიონთა ისტორია ქარ-

თლის-ცხოვრებაში ეკუთნის სუმბატს. ამასთანავე მხოლოდ იმ ბაგრატიონთა შორის ვპოულობთ რამდენსამე სუმბატს დავითის ძეთა. იქნება იგია უკანასკნელი სუმბატ, რომლის სიკვდილსაც ქართლის-ცხოვრება უჩვენებს 988 წელს და თუმცა სუმბატის ხრონიკა იმის სიკვდილსაც გადასცილდება, მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს შემდეგი სხვამ განაგრძო. ამ გვარივე უნდა იყოს აქა-იქ ქართლის-ცხოვრებაში დაბნეული თვით მროველისა, ჯვანშერისა და იოანე დეკანოზის ხრონიკები. ვნახოთ, იქნება ესეც აღმოჩნდეს რომელსამე ვარიანტში.

ზემო-ხსენებულთ ცნობათ გარდა ჩვენამდე მოუღწევია სხვა ცნობათაც ძველ ქართულ წყაროებზე, რომელნიც არ ვიცით, სად იპოებიან, კერძო სახლებში, თუ მონასტრების წიგნთ-საცავებში. მაგალითებრ, სად არის ბაგრატ მეფისაგან მე-X საუკუნეში შედგენილი „აფხაზეთის ისტორია“, საიდამაც იერუსალიმის პატრიარხს დოსითეოსს მე-XVII საუკუნეში ადგილობრივ გამოუკრეფია თავისი ცნობები და რომელნიც აქა-იქ ქართლის-ცხოვრების ცნობათაგან განსხვავდებიან? სად არის ანუ ის ისტორია, რომელიც, როგორც ვახუშტი გვარწმუნებს, ვახტანგ VI-ს ბძანებით იყო შედგენილი გიორგი ბრწყინვალის დროდამ თვით ვახტანგ მეფემდე? ანუ ის მასალა, რომელიც ვახუშტისვე ჰქონია თავის გეოგრაფიისა და ახალი ისტორიის წყაროებად, მაგალ., იმერული ძველი გარიგებას წიგნი, დავითნი მესხური, ხუთი წიგნად დაუთვილი[1], იმერული სძლის-პირი ეტრადზე, ტლაშაძის მიერ აღწერილი ქორონიკონები, გუჯარნი ბარათიანთა, თუმანიანთა და სხ... (იხილე ქართლის-ცხოვრება, II, 237)? სად არიან ის სხვა-და-სხვა გვარნი წყარონი, რომელთაც ბატონი-შვილი თეიმურაზ მოიხსენებს თავის ისტორიაში და რომელნიც თვით მას ჰქონია ხელში?

დიდი შრომა გვჭირდება საქართველოს წარსულის ცხოვრების გამოკვლევისათვის. ჩვენ უნდა ცნობაში მოვიყვანოთ, სადაც კი, საქართველოში თუ იმის გარეშე, კერძო სახლებში თუ მონასტრებში დაცულია ჩვენი ხრონიკები. ჩვენ უნდა გადმოვწეროთ თუ გადმოვხაზოთ ძველის ეკლესიების კედლებიდამ, მანუსკრიპტებიდამ და საეკლესიო სამკაულებიდამ ისტორიული მინაწერები, რომელნიც ბლომად მოიპოებიან და რომელნიც, რამდენადაც დრო გადის, იმდენად ჩვენის დაუდევნელობით ილუპებიან. ჩვენ უნდა შევისწავლოთ შინაარსი გუჯრებისა და სიგელებისა, რომელნიც გასაოცარ სიმრავლეს შეადგენენ ამერ-

1. ამ მესხურ დავითნზე, რომლიდამაც ათიოდე ფურცელი განსვენებულის პ. იოსელიანის ბიბლიოთეკაში ვიპოვე და რომელიც შეიცავს დიდად ღირს-სახსოვარს ცნობებს, იხილე ჩემი წერილი *Источники исторіи Вахушта*, второй выпускъ Извѣстій Кавказскаго Общества исторіи и археологіи.

იმერთ კეთილ-შობილთ სახლებში და სასამართლოებში, რომელთ მნიშვნელობა ცხადად ჩანს იქიდამ, რომ ზოგიერთი იმათგანი სიტყვა-სიტყვით არის შეტანილი ჩვენს ძველსა და ახალს ქართლის-ცხოვრებაში და რომელთა მხოლოდ მცირედის ნაწილის შესწავლით თვით ბროსსემ პოლიტიკურს და საზოგადოებრივს ცხოვრებას საქართველოსას ნათელი მოჰფინა. ჩვენ უნდა გამოვიძიოთ ჩვენ წინა-პართ ნაწარმოებნი, საეკლესი-ონი და საერონი, რომელნიც ჩვენის წარსულის ყოფა-ცხოვრებას და სამეურნეო მდგომარეობას გამოგვიხატვენ ანუ გვიჩვენებენ წარმატებას სხვა-და-სხვა ხელოვნებაში, ესე იგი ხელ-საქმეში, არხიტექტურაშა, მანუსკრიპ-ტების მინიატურებში (წვრილი მხატრობა) და ტაძრების მხატრობაში; ამ უკანასკნელის შესწავლით შეგვიძლიან შევიგნოთ, რა დროს, სად და სად, რა და რა ტან-საცმელი გვქონია. ჩვენ უნდა ჩვენი წყაროები შევამოწმოთ უცხო-ტომთ წყაროებს — სომხურს, სირიულს, ბერძნულს, ლათინურს, არაბულს და სხვ. როდესაც ყველა ეს ცნობები გვექნება შემოკრეფილი და შესწავლული, მხოლოდ მაშინ შევძლებთ შედგენას საქართველოს სრულის ისტორიისას.

## შეცდომანი:

| გვ. | სტრ. | | | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|---|
| V | 4 | ქვ. | 130 . . . . . . . | 1230. |
| XIII | 11 | — | რუქა . . . . . . . | რუკა. |
| XVI | 7 | ზემ. | ძველის-ძველია . . . . | ძველად-ძველია. |
| XVII | 8 | ქვ. | დაწყობას . . . . . | დაწყებას. |
| XIX | 18 | — | გამოეხვეკ . . . . . | გამოეხვნეს. |

# I.

## შესავალი

### ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი.[1]

ღმერთმან სიბრძნითა თვისითა მოწყალებისათა გამოუთქმელითა დაბადა კაცი, და ვითარითა მოწყალებითა! რამეთუ მიწისაგან შექმნა ცხოველად, სულიერად, სიტყვიერად, უკვდავად და განაშვენა იგი სახოვანებითა და განაბრწყინვა იგი მადლითა თვისითა უბრწყინვალეს მზისა და ვარსკვლავთა და მნათობთა; შეუმკო ქვეყანა ყოვლითა შვენიერებითა, მრავალთა ნერგთა მყვავილოვანებითა და სურნელთა ფშოთათა, და მდინარე წყაროთა მომდინარითა, და უმეტეს ზღვათა სივრცელითა, და მას შინა მრავალთა ჯალაკთა მშვენთა და ცხოველთა, და თევზთა სხვა და სხვა გვართა სისავსითა, და ხმელთა ზედა პირ-უტყვთა და ნადირთა, და მხეცთა განთვითებულითა, და მფრინველთა უმეტეს გვართა სიმრავლითა და კეკლუცობითა და მშვენიერებითა სასმენელობათათა; კვალად ვარსკვლავთა მნათობთა ბრწყინვალებითა. განა-თუ იმათიცა არა ეყოფოდა, არამედ სხვა უქმნა უმაღლეს ქვეყნისა, ვითარცა დაღეჯი სამეუფო და უშვენიერესი ყოველთავე ამათ ქმნულთა: იგი არს სამოთხე; და დაბადა მას შინა ადამ და კვალად მოწყალებითავე გვერდისა მისისაგან უქმნა შემწედ ევა, და დაადგინა სამოთხესა მას შინა უზრუნველი, ნებსითი და უვნებელი, და დაუმორჩილა მას ყოველნი ქმნულნი ცასა ქვეშეთნი, ვითარცა მასთვის ქმნულნი სრუ-

1. როგორც ეს საქართველოს ზნე-ჩვეულებათა სურათი, აგრეთვე შემდეგი გეოგრაფიული მისი აღწერა, ჩართული თავ-თავის ადგილს ვახუშტის ისტორიაში, ჩვენ შემოგვაქვს აკადემიის ბროსსესაგან გამოცემულის „ვახუშტის გეოგრაფიიდამ," რომელიც დაფუძნებულია ნამდვილს ვახუშტის ხელით ნაშრომს ეგზემპლიარზე. ეს ეგზემპლიარი ახლა პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას ეკუთნის და იმისი ვარიანტები ადგილ-ადგილ განსხვავებას გვიჩვენებენ. ჩვენ ახლა ხელში გვაქვს ორი ვარიანტი; იმათგანი ერთი გადაწერილია დავით-რექტორის ხელით და შეიცავს მრავალს შესანიშნავს მინაწერებს, რომელთაგან ზოგიერთს თავ-თავის ადგილს შემოვიტანთ.

*NB* ყოველივე შენიშვნა ამ გამოცემაში ეკუთნის დიმ. ბაქრაძეს.

ლიადი, და დაადგინა მეფედ მათზედა, რათა დაიცვას მცნება მისი და შემდგომად მიიღოს უკვდავი, უკანასკნელი, უდიდესი კვალად დიდება ღვთისა; არამედ მტრისა ბოროტის მაცთურისაგან ურჩებითა ცთომისა მიზეზისათა გამოვარდა სამოთხით და მოაქარცვა მადლი და ბრწყინვალება ღვთისა, და დაშთა ლიტონი კაცი და შეიმოსა მადლისა და ბრწყინვალებისა წილ ფურცელი ლეღვისა, ესე იგი არს სიზრქე და სიმძიმე და გემოვნება, და შემოუსდა ნდომა ანუ წადილი; ვითარცა კაინ მოკლა ძმა თვისი აბელი, ამიერითგან იწოდნენ ძენი ღვთისანი და ძენი კაცთანი, ესე იგი არს ძენი გულის-თქმისანი და ნდომისანი, და ძენი სულიერისა ღვთის ტრფიალებისანი. და ვიდრე ნოეს ღრღვნისამდე ესე ესრეთ. ხოლო შემდგომად ძეთა ნოესთა, რომელნი ვიდოდენ კვალთა ძეთა გულის-თქმისათა და ნდომისათავე შესძინეს დატევება დამბადებელისა ღვთისა თვისისა და ქმნეს ნივთიერნი ღმერთნი, კერპნი უსულონი, უტყვნი და ყრუნი, და თაყვანისცემდენ მას ვიდრემდე სრულიად ქვეყანა, ნათესავი ადამისი და ტომნი ნოესნი. ხოლო ქართველთა ტომნი, ვითარცა გვაუწყებს მატიანე ჩვენი, იყვნენ ყოველთა ტომთა და ნათესავთა უუბოროტესნი და უღმრთოესნი.

## ზნეთათვის.

არამედ ვინადგან აღვწერეთ ტომობა და შთამომავლობა ქართველთა ნოესის ძისა იაფეტისა თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე, და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა [1], აწ ზნეთათვის ვიწყოთ ძველიდამ ახლამდე საქართველოსათა ზნეთა და ჩვეულებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა [2], რამეთუ წესნი მთავრობათა საქართველოსათა არიან დასაწყისითგანვე, ვითარცა ვიუწყებთ.

რაჟამს მისცა ჰაოს ძმათა თვისთა წილნი ქვეყანათა, და შემდგომად ქართლოსის ცოლმან ძეთა თვისთა, და შემდგომად მცხეთოს, და კვალად ეგროს, ბარდოს, მოვაკან, ჰეროს, ლეკოს და კავკასოს, ვითარ წარჩინებულნი მათნი მთავრად ისახელებოდნენ, რამეთუ ცხად არს ადგილთა-ადგილთა განყოფილებათა და სახელთა მათთა, რომელნი იწოდნენცა მათ მიერ და იწოდებოდნენ იგინი ესრეთ მთავრად; არამედ მცხეთას მყოფნი უწარჩინებულეს მთავრად და მამასახლისად და მოურნედ მათ ყოველთა ისახელებოდა.

1. რაც ამას წინ ჩვენ აქ შემოგვაქვს, იპოება მხოლოდ ვახუშტის ხელ-ნაწერ ეგზემპლიარში და სხვა ვარიანტებში კი, რომელნიც ბროსსეს უნახავს, და თვით ჩვენ ვარიანტებში გაშვებულია. სიტყვები „ვინადგან აღვწერეთ ტომობა და შთამომავლობა“ უჩვენებენ ვახუშტის ისტორიულ ნაწილს და აქედამ სჩანს, ბროსსეს შენიშვნით, რომ ვახუშტს ისტორია გეოგრაფიაზე ადრე შეუდგენია (გეოგრ. აღწერა, გვ. 4, შენიშვნა 1).—2. საქართველო გაიყო ორჯელ: პირველად მონგოლების დროს, რუსუდან დედოფლის სიკვდილის შემდეგ მე-XIII საუკ. (ქართლ. ცხოვრ., I, 382), და მეორედ შემდეგ ალექსანდრე მე-VII-სა, რომელიც მეფობდა 1413—1442 წ. (იქვე, 474).

არამედ სარწმუნოება მათი იყო ერთისა დამბადებელისა ღვთისა თაყვანის-ცემა და ჰფუცვიდიან ქართლოსის საფლავსა. ზნენი აქვნდათ პირ-მტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის; ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყანისა, ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თვის-თვისთა თანასწორთა: მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა, და ამის მიერ არა იყო მრავალ-ცოლობა, ვითარცა ვისილავთ ქართლოსისასა და სხვათაცა; არამედ გარნა თუ მრავალ-მთავარ იყვნენ და ოდესმე განდგიან თვის-თვისად, გარნა მარადის გარე-მტერთა თვისთა ზედა ერთობდნენ და მორჩილებდნენ მცხეთის მამასახლისსა და შეერთებულნი თვისთა ქვეყანისათვის მხნედ იბრძოდიან და იყვნენ მრავალთა წელთა წესთა ამათ ზედა.

ხოლო შემდგომად დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თვისი და თაყვანის-სცემდენ მზესა, მთოვარესა, ვარსკვლავთა და ნივთიერთა და უსიტყვთა, და შემოერიათ გარეგანნი წარმართნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი, ბერძენნი და შემდგომად ურიანი და იტყოდიან ექვს-ოდენითა ენითა, და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თვისი და წესნი და ჩვეულებანი თვისნი, და იქმნენ ყოველთა წარმართთა უუწარმართესნი და უუსჯულოესნი; რამეთუ არღარა უწყოდნენ ნათესაობანი და შერეულ იყვნენ შეყოფითა, ვიდრე წარწერადცა უცხოთა და კვალად შესძინეს ამას ზედა; რამეთუ რა მოკვდის ვინმე კაცი ანუ ბრძოლასა, ანუ თვისით დღით, მეორე ივასხისძ შესჭამდიან, ხოლო უკეთუ არა თვით შესჭამდიან, ვითარცა თქმულ არს: „კარსნელთა ჭმართებსო გოდმანელთა სუთი მკვდარი“ ვიდრე დღემდე. კვალად ჭამდიან ყოველსა ცხოველსა სულიერსა არა-წმიდასა. გარნა იყვნენ მცხეთელ მამასახლისის მორჩილებასა ქვეშე და ერთობდნენ მტერთა თვისთა ზედა მრავალსა წელსა. ხოლო შემდგომად შემოვიდა ალექსანდრე მაკედონელი. ამან მოსრნა შემოსრულნი წარმართნი სრულიად, თვინიერ ქართლოსიანთა და ურიათა გვართა, არამედ ურჩნი თვისნი ქართლოსიანნიცა, ვითარცა ფარნავაზის მამა, ბიძა და სხვანიცა, და განსწმიდა საქართველო ესე-ვითართა უკეთურებათაგან, რამეთუ გვაცნობებენ სარკინოზით[1] ლტოლვილნი დიდონი, რომელნი აწამდე წესსა მას ზედა დგანან, თვინიერ კაცის ჭამისა. ხოლო ალექსანდრემ დაუდვა სჯული საქართველოთა ერთისა დამბადებელისა ღვთისა თაყვანის-ცემა, და მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა პატივი.

## კ ე რ პ თ ა თ ვ ი ს.

არამედ შემდგომად ალექსანდრესა დაუტევა სჯული იგი ერისთავმან მისმან აზონ და აღმართნა კერპნი გაცი და გაიმა[2] და ათაყვანა სრულიად

1. ვახუშტის ხელ-ნაწერში და ყველა ვარიანტებში სწერია ს ა რ კ ი ნ ო ზ ი თ, მაგრამ ეს შეცდომაა: უნდა იყოს ს ა რ კ ი ნ ე (ქ ა რ თ ლ.-ც ხ., I, 25, 27.) — 2. ვახუშტი სწერს: „გაიმა;“ ქართლ.-ცხ., „გაიმ“ (ქართ.-ცხ.: I, 28, 74).

საქართველოსანი და ასწავებდა ზნესა და ჩვეულებასა თჳსსა. ხოლო მოიკლა აზონ ფარნავაზისაგან და გამეფდა ფარნავაზ. ამან საშუალ ბაც და გაიმისა აღმართა სახელისა თჳსისა კერპი არმაზ[1] მთასა ზედა და სხვასა შინა ქართლოსის საფლავსა ზედა რვალისა დიდი, ცხებული ოქროს ვარაყითა, რომელსა ესხნენ თვალნი ქვათა ძვირფასთა მნათობელთა და გვირგვინი თავსა ზედა მისსა, ეგრეთვე მნათობელთა ქვათანი, და ათაყვანა მას საქართველოსანი და დაუდგა დღესასწაული მისი, რომელი ქვემორე ითქმის. ხოლო შემდგომად მეფეთა შეჰმატეს კერპნი ზადენ[2] და აფროდიტი და სხვანი; არამედ ესე არმაზ უდიდესი იყო ყოველთა ღმერთთა. ხოლო მეფისა განწესებისა შემდგომად აქვნდათ სარწმუნოდ ღმერთნი ესენი და მტკიცედ დგნენ სარწმუნოებასა და სიყვარულსა ზედა და არა თაყვანის-სცემნ სხვათა ვიეთ-თამე ღმერთთა, რომლისათვის გვაუწყებს მატიან სპასპეტი[3] და მეფე მირიან, ოდეს ეზრახვის დიდებულთა თჳსთა წმიდის ნინოს შეურაცხებისათჳს.

## მეფეთათჳს.

ხოლო ჩვეულება აქვნდათ ერთისა მეფისა მორჩილება და სარწმუნოდ ყოფა მის მიმართ და შთამომავალთა და გვართა მეფეთათა შემდგომად მისსა გამეფებად; რამეთუ შემდგომად მამისა ძე და არა სხვა გვარი, არცაღა-თუ გამორჩევით არა ვისა ჰმონებდნენ, თჳნიერ მათთა, ანუ წულთაგან, ანუ ასულ-თაგან, უკეთუ არა დაუტევის წული, ვითარცა იტყვის იგივე მატიან სპასპეტი და ისილვების მატიანესა ჩვენსა.

## წესთათჳს.

ხოლო წესნი აქვნდათ, რამეთუ კერპთა მღვდელთა პატივი და რიგნი იყვნენ ცალ-კერძად, ვითარცა სჯულიერთა; ხოლო საერილიერნი: 1) ერისთავნი, 2) მთავარნი, 3) აზნაურნი, 4) ვაჭარნი, 5) მსახურნი და 6) მუშაკნი გლეხნი.

წესი ერისთავთა იყო: მეფისა მიერ განწესება ქვეყანათა და ამის მიერ მოურნეობა; სამართალი და ლაშქარნი მის ქვეყანისანი მის ქვეშე იყვნენ, და იგინი მოჰკრებდნენ სარკთა სამეფოთა. ხოლო ესე ერისთავნი

1. უეჭველია, რომ ქართველების ღმერთი არმაზი იყო სპარსთა ორმუზდი და სომეხთა არამაზდი. ამ სახელითვე იწოდა მთა „ქართლისა" და თვით ამ მთაზე გაშენებული ციხე-ქალაქი. ეს უკანასკნელია: არმაზიკა სტრაბონისა, არმასტისი პლინისა და არმაკტიკა პტოლომესი (ქართლ.-ცხ., I, 32; Saint-Martin, *Mémoires hist. et géogr. sur l' Arménie*, Paris, 1819, II, 177—178)

2. ბროსსეს შენიშვნით, სიტყვა „ზადენ" წარმომდგარია ზენდურის სიტყვიდამ *Svadatâ* და უდრის ბერძნულს Ζεύς ანუ იუპიტერს (გეოგრ. აღწ. საქ. 11, შენ. 1).—3. ნახე ქართ.-ცხოვ. I, 59.

დაიდგინებოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი და ძენი მათნი შეცვალებით. ხოლო წესი მთავართა იყო გვარი და შთამომავლობა ქართლოსიანობა და პატივი მისი. ხოლო უკეთუ მეფისა წესსა შინა იყო რგი, უმეტეს პატივ-იცემებოდა. არამედ მთავრისა ჯერ იყო, რათა აქვნდეს შთამომავლობა და გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და სეობანი, და თვინიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად. ხოლო აზნაურსა აქვნდა გვარი და შთამომავლობა და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა და დაბნები და ძალ-ედვას გამოსვლად მარქაფითა, კარვითა და მათითა გაწყობილებითა, და თვინიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად. ხოლო კაჭართა პატივი იყო აზნაურისა ქვემორე და კეთილთამე სწორი და შემდგომად პატივი მსახურთა მეფისათა, გლეხთა მეფისა, და მერმე ჩინებულთა მათთა; წესისა მიერ პატივი მსახურთა მათთა და შემდგომად ამათთა მუშაკთა გლეხთა, რამეთუ სისხლიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ ზეიდამ ქვეით ნასყვრად, ანუ ქვეიდამ ზეით ერთი-ორად.

## ლაშქართათვის.

ხოლო ლაშქართა წესნი აქვნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა რაოდენ ძალ-ედვა სპანი მცველად თვისად, ვითარცა იტყვის მირიანისასა და აღმაშენებლისასა: სამოცი ათასსა მარადის მცველად მისად, და დავითისა არღარა განიყოფოდა საჭურჭლე სპათა ზედა, და პატივი ამათი იყო სხვა. ხოლო სხვანი სპანი იყვნენ ქვეყანათაგან და ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ყამად.

## საჭურჭლეთათვის.

ხოლო საომარნი საჭურჭლენი აქვნდათ: ჯავშანი, ხაფთანი, პოლოტივნი 1, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, ხმალნი, ხანჯალნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიშტნი და მშვილდ-ისარნი; არამედ ისარი ბოძალი დიდთა ნადირთათვის და ქიბური მხეცთავის, სარჩა და ქიბურჯი წვრილთა ნადირთათვის და სამუდამოდ აქვნდათ; ხოლო კაპარჭის ისარი, რომელ არს საყალნო, ომსა ბრძოლასა შინა.

## სამართლისათვის.

ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათვის აქვნდათ: სისხლი, ხრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი. სისხლს უწოდებენ, ოდეს სწორმან მო-

1. პოლოტივი ძველ ქართულ მწერლობაში არსად შეგვხვედრია. სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ამ სიტყვას უჩვენებს ბიბლიის მეორე მეფეთა წიგნში, XX, 8; მაგრამ აქ ის არ ამოიკითხება.

ქლის ვინ-ვინმე სწორი; მეფისაგან შერისხვა იყო ანუ სიკვდილი, ანუ გვემა და პატიმრობა; ხოლო მკვლელისა მის თანამდებ იყო, რათა დაუურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი; ხოლო უკეთუ უმაღლესმან მოკლის უმცირესი, დაუურვის სისხლი; ხოლო უმდაბლესმან თუ მოკლის უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა; ეგრეთვე დაწინდულთა ქალთა წართმისა ანუ დატევებისათვის ჩინები-სა მიერვე დაუურვის სისხლი. ხოლო სულიერთაგან ამის მოქმედთა ზედა სხვა იყო შერისხვანი. ხოლო ხრმალი მეფისა ღალატისა, შეწამებისა, ანუ კერპთა, ანუ შემდგომად ეკლესიისა მკრეხელთათვის: შემწამებელსა და შეწამებულსა ალოცვიდიან 40 დღეს; შემდგომად შესჭურვიდიან ყოვლითა საჭურველითა და შესხნიან ცხენთა ზედა და მისცემდიან თვითოსა ცხენოსანსა უსაჭურვე-ლოთა თვინიერ მათრახისა, რომელთა უწოდნენ მემათრახეთ; შთაგზავნიდიან ასპარეზსა შინა და იწყიან ბრძოლად შემწამებელმან და შეწამებულმან: მემა-თრახენი იგი მოახსენებდენ თვისთა ყამთა შინა ბრძოლასა და საჭურველისა ხმარებასა და რომელი ჩამოვარდის, გამტყუნდისცა; ხოლო რისხვა მისი, მო-კვეთა თავისა და იავარი მამულით და სისხლით; არამედ შეწყალებისათვის აღმო-ხდა თვალთა. ხოლო შანთი ქურდთა გამართლებისათვის: გაახურვიან სახნისი, ვითარცა ნაკვერცხალი და დასდვიან მაღალთა ზედა, რათა მაღლად შეედვას ხელ-ნი ქვეშე მისსა, დასდვიან შეწამებულსა ტილო ანუ ქაღალდი ხელთა ზედა; იგი მივიდის და აღიღის სახნისი და წარდგის სამი ბიჯი და გარდააგდის; მასვე წამსა შეუხვივიან ხელნი სამ დღემდე და შემდგომად სამისა დღისა გაუ-ხსნიან, და უკეთუ დაუწვავი არს, განმართლდის; უკეთუ დამწვარ-მტყუარ. მდუღარეცა ეგრეთვე მისთვის: აადუღიან წყალი ქვაბსა შინა, შთა-აგდიან მცირე რკინა მას შინა; მოვიდის შეწამებული შიშვლითა მკლავითა და აღმოიღის რკინა იგი და წამს შეუხვივიან; ვითარცა შანთისასა, ეგრეთვე ამი-სიცა მართალი და მტყუანი[1]. ხოლო ფიცი მამულის ცილებისათვის, მცირე ქურდობისათვის და სხვათათვისცა: დააფიციან მოწმითა რაოდენნი შესვდის; ხოლო ქურდსა, ავაზაკსა და მძარცველსა ერთისა წილ შვიდი მიაცემინიან, და უკეთუ ვინ მესამედ ჰყო, აღმოჰხდიან თვალნი და მცირედისათვის მოჰკვეთიან ფერხნი. ვალად, უკეთუ ვინ ისადის მახვილი ბჭესა მეფისასა ანუ ერისთავსა ზედა და წარჩინებულთა, მოჰკვეთიან ხელნი; და სხვანიცა მრავალნი იყვნენ.

1. აქ ჩვენებულს შანთისა და მდუღარის სამართალს მისდევდნენ როგორათაც ძვე-ლის-ძველად არიელნი, აგრეთვე შემდეგ ინდოელნი, ბერძენნი, გერმანიელნი, ანგლო-საქსონნი და თვით რუსნიცა. მისი სახელ-წოდება იყო: *ordalum*, *ordâla*, *urthel*, *urtheil*, რუსებში *судъ Божій* (Lenormant, *Hist. anc. de l' Orient*, Paris, 1869, II, 286—287; III, 595; Alph. Rambaud, *Hist. de la Russie*, Paris, 1878, p. 62,73; III, 203, 247—248). ქართველების წესი თავის-გამართლე-ბისა შანთით და მდუღარით ჩართულია ვახტანგ მეფის სჯულში (§§ 6—10) და არ

## ხ ე ლ ი ს - უ ფ ა ლ ნ ი.

ხოლო ხელის-უფალნი იყვნენ მეფისანი ესენი კარსა ზედა: ს პ ა ს ა ლ ა რ ი ანუ ს პ ა ს პ ე ტ ი[1] და ამისნი ხელისანი იყვნენ ყოველთა სავაზიროთა, თათბირთა პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცესობა; ესევე შეჰკრებდა ლაშქართა და სარკსა სამეფოსა და ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა. ამირამსდლი ანუ სახლთ-უხუცესი და ამისი ხელისა იყო სამეფო შემოსავალი და გასავალი; ამან უწყოდა წესნი და რიგნი სამეფოსანი და თათბიროზა და სასსონი მეფისანი; და ამის ქვეითნი ხელის-უფალნი ამისნი დასასხდნი იყვნენ, არამედ უმეტეს ეგიბის ქვემორენი. მსახურთ-უხუცესის ხელისა იყვნენ საჭაშნიკონი, საწურჭელისა და იარაღისა მსახურნი და ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი. მოსათ-უხუცესის ხელსა იყო ყოველნი მეფის რაქის-სპანი, თვინიერ ციხე-ქალაქთა. მ ა ნ დ ა ტ უ რ თ - უ ხ უ ც ე ს ი ს[2] ხელისა იყო: მანდატურნი, ბოქოულთ

არის დიდი დრო მას აქეთ, რაც ეს სამართალი ამოიკვეთა. 1873 წ. გურიაში მოგზაურობის დროს ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი ქალალდი, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი ხმარებაში ყოფილა 1811 წ. ეს ქალალდი, გახურებულის რკინით შეტუსილი, თავის ბრალ-დების წარწერით და თავ-გასამართლებელის ფორმულით, რომელიც მოყვანილია ვახტანგის სჯულში, სრულიად ამართლებს ვახუშტის თქმულებას (ნახე ჩემი: *Археол. путеш. по Гуріи и Адчарѣ*, Спб., 1878, стр. 160, 161). ეს ქალალდი ახლა აკადემიის წიგნთ-საცავში ინახება.

1. ამ სიტყვას ამ გვარად განმარტებს ორიენტალისტი სენ მარტენი: „სომხური *Sbarabied*, *Sbaïabied*, ქართული ს პ ა ს პ ე ტ ი ეჩვენებენ სამხედრო ღირსებას, რომელიც უდრის ევროპიულ კონნეტაბლს ანუ გენერალისიმს. ეს ღირსება, დაარსებული სომხეთში ვაჰარშაგისაგან, საქართველოში ფარნავაზისაგან, დამყარებულია, უეჭველად, სპარსეთის სამეუფო სასახლის წესზე, რომელიც ძველადვე გავრცელებული იყო მთელს აღმოსავლეთში. მართლადაც, სპარსეთის სასახლის მოხელეთა რიცხვში იპოება სამხედრო მოხელე, რომელიც სახელ-იწოდებოდა *Sipahbed*-ად ანუ სპათა უფროსად და რომელიც შემდეგ შეიცვალა *Sipah-salar*-ად. ეს სიტყვა უდრის ქართულს ს პ ა ს ა ლ ა რ ს. *Spah*, *sbaï*, *asbied* ჰნიშნავს ცხენოსანს და წარმომდგარია სპარსულის სიტყვიდამ *asp* ცხენი. *Sipah* ანუ *Sepah* აწ ჰნიშნავს სპარსეთში წყობას, ლაშქარს, მხედარს ანუ სალდათს. აქედამვეა წარმომდგარი ოსმალური *Spahis* ცხენოსანი ჯარი (*Mém. sur l'Arm.*, I, p. 298, note 1). საქართველოში გიორგი მეფის დროდამ მე-XII საუკ. სპასალარის მაგიერ იხმარება ა მ ი რ - ს პ ა ს ა ლ ა რ ი (ქართლ.-ცხ. I, 266). ამირი, ა მ ი რ ა ა რ ი ს არაბული სიტყვა. ამირ-სპასალარი და მხედართ მთავარი, ქართლის-ცხოვრების შენიშვნითვე, ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვებია (ქართლ.-ცხ., I, 406).

2. მანდატურებად ანუ უკეთ მანდატორებათ იცნობებიან ბიზანტიის სასახლის მოხელეთაგანნი, როგორც ეს ქართლის-ცხოვრებიდამვე ჩანს (I, 217). *Mandator*-ვექილი; ამ სიტყვას სულხან-საბა სთარგმნის იასაულად. ბიზანტიაში მანდატორთ-უხუცესი იწოდებოდა *Protomandator*-ად (Alph. Rambaud, *L'Empire grec*, Paris, 1870, p. 202). იმ ძველ დროს, რომელსაც აქ ვახუშტი შეეხება, საქართველოში ეს სახელ-წოდე-

უხუცესნი, ბოქაულნი, მებუქენი, მეკარენი, ქონდაქარნი, სარანგანი და ნადიმობისა წესი და წინა-მძღოლა მეფისა, მოხსენება ნადიმსა და ამხედრებულისა ამის მიერ იყო მეფისა. მეჭურჭლეთ-უხუცესი: ამისი ხელისა იყო ყოველი საჭურჭლე და საუნჯენი მეფისა და მას შინა დაწესებულნი. მესაჯულთ-უხუცესი: ამისი ხელისა იყვნენ ყოველნი მსაჯულნი, ბჭენი და ხევის-ბერნი, ხევას-თავნი და ესევე სჯიდა საბრძანოსა მეფისასა. მეჯინიბეთ-უხუცესი შემდგომად იწოდა ამილახორი: ამისი ხელისა იყო ყოველნი მეჯინიბენი, მეურიგნი, პაიჟნი, ჯინიბნი, ჭუნენი ჯოგნი, რემანი მეფისანი. ბაზიერთ-უხუცესი: ამისი ხელისა იყო სრულიად ბაზნი, ბაზიერნი, მეძაღლენი, ძაღლნი, ტყეთა და ველთა მცველნი სანადიროთა მეფისათა. ეჯიბი ამისი ხელისა იყვნენ ყოველნი ტაძრეულნი მეფისანი და ნადიმსა იგივე მიუგებდა მეფისა წილ, და მას ეტყოდნენ დარბაზის ერნი რაჲ ენებათ მეფისა მოხსენებად, და თავის წინაშობასა შინა ვერვინ შევიდის მეფისა, თვინიერ მისსა. ეზოს-მოძღვარი: ამისი ხელისა იყო ყოველნი საგანგიონი მეფისანი, ხარჯნი და წარსაგებელნი, წესნი და რიგნი დარბაზისა, მეფისა ტაბლისა, და სანოვაგისა ანუ სხვათა. ჩუხჩარახი: ამისი ხელისა იყო მზარეულთ-უხუცესნი, მეტაბლენი, მზარეულნი, მეპურენი, მერწყულნი, მგოსანნი, მემწყობრენი, ზუგ-ტაბლაკთა და სხვათა მცემულნი. მეღვინეთ-უხუცესი: ამისი ხელისა იყო მეწდენი და მესასმისენი მეფისა და ღვინის მნენი. მოლარეთ-უხუცესი: ამისი ხელისა იყო რაჲცა მეფის თეთრი ანუ ლარნი თვისთა საკუთართა ზედა ანუ ქვეყნის-საქმისად უხმდა, და მის ქვეშე დაწესებულნი მოლარენი. მესტუმრეთ-უხუცესი: ამისი ხელისა იყო მესტუმრენი, ესენი მოაწვევდენ დარბაზის ერთა; ესენი მოურნობდენ სტუმართა. ჯვარის-მტვირთველი: ესე მოაწვევდა კათალიკოსთა და ეპისკოპოზთა, და შერისხვაცა ამის მიერ იყო მეფისაგან. მდივანნი: ესენი იყვნენ წესითა უმაღლესნი და უმდაბლესნი,— მეფისათანანი პატივითა, უმაღლესნი, (ვითარცა იტყვის: „მდივანსა ჩვენსა ჩოლაყა-შვილს არა რა ეკადროს, თვინიერ დიდისა შეცოდებისათვის მეფისა: მარჯვენე ცერი მოეჭრას, ამისგან კიდე არა რა“). სპასალარისა-თანასა სხვა, სახლთ-უხუცესისა თანასა სხვა; მოლარეთ-უხუცესისა, მსაჯულთ-უხუცესისა, მეჭურჭლეთ-უხუცესისა და ეზოს-მოძღვრისა თანათა სხვა. ესენი სწერდნენ უსტარსა, იერლაყსა, პიტაკსა, ენდალმასა, პატრუცაგსა, როარტაგსა, გუჯართა, სიგელთა, განაჩენთა, ბრძანებათა და სხვათა. ფარეშთ-უხუცესი: ამისი ხელისა იყო ფარეშნი, ხოხნი, კარავნი, ოთახნი, მნათენი და ყოველნი საგებელნი, დალიჭნი; სკამნი, საყარძელნი, სრა-ფარდაგნი, ფარდანი და მნენი მისნი და მერწყულნი. ხუროთ-მოძღვარი: ამისი ხელისა იყო სრულიად ხელოსანნი და შენობა სასახლეთა და ეკლესიათა, ხიდ-

ბა ჯერ არა ჩანს. პირველ მანდატურთ-უხუცესად ქართლის-ცხოვრება იხსენიებს გიორგი III-ს დროს მე-XII საუკ. ივანე ორბელიანს (I, 266).

თა და ფუნდუკთა. მწერალნი იყვნენ მეფისა, რომელნი სწერდნენ შემოსავალსა და წარსაგებელსა ყოველთავე, და ტაძართა და სხვათა[1].

## ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა თ ა თ ვ ი ს.

ხოლო წესნი ესენი და ჩვეულებანი აქვნდათ, რომელნი ვთქვით და განუხეთქელობისათვის სამეფოსა მცველობდეს, და უკეთუ მიუღიან საზღვარნი თვისნი, ყოველნი მწუხარებდიან და იჭირვოდნენ კვალად-ქებასავე და მეფეთა თვისთა მიუდრეკელად ერთგულობდეს; გარნა თუ სძლიან ვისმე მძლავრთაგანნი, არა დაემორჩილიან, არამედ კვალად იპყრიან თვისნივე წესნი და არა დაუტევიან ღმერთნი და მეფე და ჩვეულებანი თვისნი; ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდიან; სკამთა ზედა სხდიან; ზოდიშობდიან ქუდის მოხდით, ვითარცა აწ მთისა კაცნიცა; სმიდიან ღვინოსა, ჭსჭამდეს ხორცთა პირუტყვთა და ნადირთათა; ნადიმობდიან მეფესა თანა და ურთიერთთა თანა; მეფეთა გამეფებათა ზედა გარდაუყრიდიან დიდნი და მცირედნი სრულიად ოქროსა და ვერცხლსა[2].

1. როგორც ქართლ.-ცხოვრება გვაუწყებს, ფარნავაზ მეფეს საქართველო დაუყვია საერისთაოებად და სასასპეტოდ. შემდეგ მისა ხელის-უფლებად ისახელ-წოდებიან მხოლოდ სპასპეტნი ანუ სპასალარნი, ერისთავნი, ერისთავთ-ერისთავნი და იშვიათად მამფალნი, მარზაპანნი და პატიახშნი. მარზაპანი და პატიახში მიღებული გვაქვს სომეხთაგან. უკანასკნელ საქართველოს ტომთა შეერთების დროს, გარდა სპასალარისა და ამირ-სპასალარისა, იხსენებიან შემდეგნი ხელის-უფალნი: მწიგნობართ-უხუცესი (გვ. 228,) ამილახორი ანუ ამირახორი (მეჯინიბეთ-უფროსი), (267) ჯვარის-მტვირთველი (270,) მეჭურჭლეთ-უხუცესი (276), მანდატურთ-უხუცესი (266), ამირათ-ამირი (318), მსახურთ-უხუცესი, მეღვინეთ-უხუცესი (297) და ჩუხჩარახი ანუ მდივანი (276). საიდამ არის წარმომდგარი სიტყვა ჩ უ ხ ჩ ა რ ა ხ ი არ არის გამოკვლეული. მდივანნი, ვახუშტის თქმით, სწერდნენ უსტარსა, იერლაყსა, პატრუცაგსა, როარტაგსა, გუჯართა, სიგელთა და სხ. თვითოეულის ამ სიტყვათაგანის მნიშვნელობა ნაჩვენებია საბა ორბელიანის ლექსიკონში (იხ. სიტყვა წ ე რ ი ლ ი). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სულ ძველად ქართულ მწერლობაში იხმარება ს ი გ ე ლ ი და გ უ ჯ ა რ ი: „სიგელნი მკვიდრობისანი“ (ქართ.-ცხ. I, 164); „გუჯარნი ტყავისანი“ (იქვე, 175, 177); „ვითარცა მოგვითხრობს გუჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით“ (178). სიტყვა სიგელი წარმომდგარია ბერძნულის σιγελλιονς-იდამ და, როგორც იგულისხმება ქართ.-ცხოვ.-დამ, შემოტანილია ბიზანტიიდამ (გვ. 164). გ უ ჯ ა რ ი უნდა იყოს მიღებული არაბთაგან, რადგანაც იმ დროს, როდესაც იგი პირველად იხმარება, არაბნი ჰფლობდნენ ნაწილს საქართველოსას. ამ სიტყვიდამვე უნდა იყოს წარმომდგარი ოსმალთა სჯულკანონში შეტანილი გ უ ჯ ე თ ი ანუ განაჩენი, დოკუმენტი (*Législat. ottom.*, *Const-ple*, 1844, II, p. 326, 327).

2. ეს ჩვეულება გავრცელებული იყო სხვა და სხვა ქვეყნებში და ძველადგანვე მითვისებული ქართველებისაგან. ამ ჩვეულებას იხსენიებენ ინდოეთში და სპარსეთში შაჰნამე (Hammer, *Histoire de l'Emp. ottom.*, II, 43, 124), ვ ი ს. რ ა მ., თბილ., 1884, გვ. 449 და ვ ე ფ ხ.-ტ ყ., თბილ., 1875, ტაეპი 1454; ებრაელებში—ი ს უ ნ ა ვ ე, VII, 6., საქართველოში ქ ა რ თ ლ.-ც ხ. I, 120, 224 და 308; II, 80.

ტაბაკთა, ვის რა ძალედვა; ცოლნი თვისთა თანასწორთა ერთი და არა სხვათაებრ მრავალნი. ამისთვის უწყოდენ მოყვსობა, ნათესაობა, ურთიერთა მტერობა და მოყვრობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა. არამედ ქორწილის ჟამსაცა გარდააყრიდიან, ვითარცა მეფესა, ოქროსა და ვერცხლსა ყოველნი მოწვეულნი და მწვეველნი, ვის რა ძალ-ედვა, და არა სიმესძლისა იყო იგინი, არამედ მეწლისა მათისა.

მკვდარსა დაჰფლვიდიან ყოველითა შესამოსლითა და საჭურველითა და სამკაულითა თვისითა (ამისგამო არს აწ ნიშანი ეპისკოპოსთა); ტიროდიან და საბნელოსა სხდიან 40 დღე; აღიპარსიან თავნი, წვერ-ულვაშნი, წარბნი, წამწამნი და ჩაისდიდიან წელამდე სამოსელთა; მამრნი და მდედრნი იცემდიან ვიდრე სისხლ-დინებისამდე; არა სჭამდიან ხორცსა და ცხოველსა წლამდე, გარნა მაშინაც იშულებითა დიდითა; შთაიცვიან ძაძა-ფლასნი და დაიბურიან თავსა თხისურნი ჩაჩნი; განჰყვიან საფლავამდე ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა, და სხვათა ახლოს მოყვასთაცა, ჯინსა შინა მსხდომარენი ბნელსა ძაძითა მოკრულითა; იმღერდიან მწუხარითა ხმითა ტყებისა ჟამსა არა ჭირის-უფალნი, არამედ სხვანი მუნ მყოფნი[1]. ხოლო წესნი ესენი მოშალა 91 მეფემან გიორგიმ, რაჟამს მოვიდა მისა პატრიარქი იელუსალიმისა[2], მის გამო თვინიერ შავისა ჩაცმისა, ხორცის უჭმელობისა და ტყება-ტირილისა.

## კერპთა დღესასწაულთათვის.

კვალად უწყოდიან დღესასწაული კერპთა ღმერთთა თვისთა: განვიდის თვით მეფე და დიდებულნი და მცირებულნი ბუკ-დაბდაბითა და ყოველითა ძნობითა და სახიობითა; შესწირვიდიან ზროხათა, სართა, ცხოვართა და ნადირთა; თაყვანი-სცემდნენ არმაზსა, შემდგომად ზადენს და მერმე სხვათა ღმრთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა; და შემდგომად თაყვანის-ცემისა ჰყვიან სადილნი დიდითა ჭამითა და ღვინის-სმითა, როკვითა ფერხისათა, პურობითა, სახიობითა და ძნობითა სამ დღე და მოიქციან თვის-თვისად სახიდ; არამედ ოდითგან დაატევებინა ალექსანდრემ ჭამა მკვდართა, მიერ ჟამითგან შესწირვიდნენ კერპთა ძეთა და ასულთა თვისითა და იყო ესე ბოროტება მრავალსა წელსა[3]; არამედ შემდგომად დააყენა დაკვლა ძეთა და ასულთა

1. ეს ჩვეულება რაოდენისამე ცვლილებით ბოლოს დრომდე არსებობდა საქართველოში-მ გ ლ ო ვ ი ა რ ო ბ ა მეფეებზე და სამეფო სახლის შვილებზე იხილე ქ ა რ თ.-ცხ. I, 276; II, 524.—2. ძველს წერილებში და აგრეთვე ძველს ქართლის-ცხოვრების ნაწილში ხშირად იხმარება იელუსალიმი იერუსალიმის მაგიერ.—3. ყრმათა შეწირვა კერპთათვის და ჭამა მკვდართა იხილე ქ ა რ თ ლ.-ცხ. I, 26 და 59. ძველად ბევრ-ადგილებში უჩვენებენ ამ ჩვეულებას Amèdiè Tardieu, *Gèographie de Stradon*, 1873, I, 333); თვით საქართველოს საზღვარზე ალბანიაში სტრაბონი მოიხსენებს

შეწირვად კერპთა მეფემან რევ და უბრძანა კვალად პირუტყვთა შეწირვად. ხოლო ჟამსა ქრისტიანობისასა ნაკერპავთა მათ მთათა მაღალთა და ბორცვთა ზედა ესე-ვითარივე იყო განცხრომა და როკვანი, ამისთვის აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარობდიან მუნ, ვითარცა აწ, ფერხისა სიმღერითა გაათენიან და ესენი ქსრეთ.

## შემდგომად კერპთა.

ხოლო შემუსრა ძალითა ზეგარდამოთა წმინდამან ნინომან არმაზ უდიდესი ღმერთი ქართველთა გაც და გაიმ, და იქმნა მეფე მირიან წმიდის ნინოს მიერ ქრისტიანე, და აღიარეს სრულიად საქართველოსათა შედ ღვთისად მარიამ ქალწულისაგან განხორციელებული უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და შემუსრნა შემდგომად მირიანმან ყოველნი კერპნი საბრძანებელსა თვისსა; და მათ წილ აღმართნა ცხოველს-მყოფელნი ჯვარნი ქრისტესნი მეუფისა დასამხობელად მტერთა.

## ეპისკოპოს-მღვდელთათვის.

კარნა აქვნდათ წესნი და ჩვეულებანი ესენივე წინა-თქმულნი, არამედ კერპთა მღვდელთა წილ დასვა მირიან მცხეთას, ზემო ეკლესიასა შინა მთავარ-ეპისკოპოსი, და ქალაქთა და დაბნებთა მღვდელნი ჭეშმარიტნი ქრისტეს სარწმუნოებისანი, რომელთა აქვნდათ პატივი: ეპისკოპოსსა მეფისათანა, ხოლო მღვდელთა-მთავართა თანა.

## მეფეთა კურთხევისათვის.

ესე ეპისკოპოსი აკურთხევდა მეფესა და დაადგმიდა გვირგვინსა; ხოლო შემდგომად დადგინებისა — კათალიკოსისა კათალიკოსი; და ჟამსა ბაგრატიონთასა, ვინადგან ლიხთ-იმერთა იყო დადგმა გვირგვინისა, ქართლისა და აფხაზთა კათალიკოსნი აკურთხევდენ, არამედ გვირგვინსა დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთათისის ტახტისათვის.

## კათალიკოსისა, ეპისკოპოსისა და წინა-მძღვრისათვის.

ხოლო შემდგომად განყოფისა-იმერეთს-კათალიკოსი იმერთა, ქართლს კათალიკოსი[1] ქართლისა და კახეთს ბოდბელი; ხოლო ვახტანგ გორგასლან

ადამიანის მსხვერპლად შეწირვას კერპთათვის; მაგრამ კაცის-მჭამლობაზე არას ამბობს (ibid II, 410). აკადემიკი ბროსსე სრულებით უარ-ჰყოფს იმ დროში, რომელსაც ქართლის-ცხოვრებაუ ჩვენებს, კაცის-მჭამლობას ქართველთაგან. *Hist. de la G.*, II, 2 livr. —*Intr*... XXI)

1. ეს სიტყვა არის ბერძნული καθολικος, რომელიც ჰნიშნავს მსოფლიო პატრიარქსა; სომხური ფორმაა კ ა თ ო ღ ი კ ო ს (Dulaurier, *Recueil...Docum. arm.*, Paris 1869, I, 837).

დასვა კათალიკოსი და ეპისკოპოსნი ყოველსა საქართველოსა შინა. ამათ მიეცა პატივი-კათალიკოსსა მეფისა თანა და ეპისკოპოსსა ერისთავისა თანა; ხოლო მღვდელთა-აზნაურთა თანა. ხოლო შემდგომად მოსვლისა 13 წმინდათა[1] მამათა იქმნენ ამათ მიერ მონასტერნი და უდაბნონი, და ამათ მონასტერთა მამათა და წინა-მძღვართა მიეცათ პატივი მთავართა თანა.

შეძინებული წესი მთავართათვის და ჭყონდიდელისათვის.

ხოლო ამათ მთავრობისა წინა-თქმულსა წესსა შეეძინა, რათა აქვნდეს მათ წესთა თანა სასთვლავოდ საეპისკოპოსო ანუ მონასტრის ეკლესია, გვალად საყდარი კარისა მღვდლითურთ; ეგრეთვე აზნაურსა სასთვლავოდ მონასტერი და ეკლესია სახლსა თვისსა მღვდლით. ხოლო წინა-თქმულითა და ამით იწოდებოდნენ მთავარნი და თვინიერ ამათსა არა. შემდგომად გვალად შესძინეს ჭყონდიდელი[2], და იყო ამისი ჴელისანი ქრივ-ობოლნი, დავრდომილნი, უსამართლო-ქმნილნი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი. ესე აუწყებდა ამათთვის ყოველსავე მეფესა; ესევე იყო მწიგნობართ-უხუცესი, ყოველთა სამეფოთა მწერალთა ზეით-თქმულთა; ესევე მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკლესია-მონასტერთა და ლაშქართა მოწვევად, და მათთა სამჭირნოთა მოხსენებად მეფისა; ესევე იყო ლაშქრობისა ჟამსა პატიოსნისა ჯვარისა მძღვანებელი წინაშე სპათა და ბრძოლისა ჟამსა უკან-მსვლელი ანუ ჩასთაული, და ახალ-წელს მაკვლევი მეფისა.

ათაბაგისათვის და მეფეთა გვართათვის.

შემდგომად შესძინეს ათაბაგობა, რამეთუ არღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად[3]. ხოლო გვარნი მეფეთანი იყვნენ: პირველი ქართლოსიანნი და ნებროთიანნი და არშაკუნიანნი, და მეფობდნენ ესენი ხუთას სამეოცდა-

ქართულად ქათალიკოსი ანუ კათალიკოსი. ჩვენ მწერლობაში უფრო ეს უკანასკნელი ფორმაა მითვისებული და ამისთვის ჩვენც, როგორ თვით ვახუშტი, ამ ფორმას ვხმარობთ. კათალიკოსობა დაარსდა საქართველოში ვახტანგ გორგასლანის დროს მე-V საუკუნეში (ქართლის-ცხოვრება I, 145 *Hist. de la Géor.*, I, 192).

1. ათ-ცამეტნი წმინდანი მამანი მოვიდნენ შუა-მდინარით საქართველოში ფარსმან მე-VI მეფობაში (565—570). ქართლ.-ცხ. I, 151.

2. „ჭყონ-დიდი, რომელ არს მეგრულითა ენითა მუხა-დიდი“ (ქართ.-ცხ., I, 174) მდებარეობს სამეგრელოში; შემდეგ იგი იწოდა მარტვილად. აფხაზეთის მეფე გიორგი II (921—955) აშენებს ჭყონდიდის საყდარს, რომელსაც აფუძნებს საეპისკოპოსოდ (ქ.-ცხ., I, 197). ბაგრატ VI-ის დროიდამ (1027—1072) მღვდელთ-მოძღვარი ანუ მთავარ-ეპისკოპოსი ჭყონდიდისა იჭერს უპირველეს მოხელეობას მწიგნობართ-უხუცესობისას და გარდა ამისა ჯვარის-მტვირთველობასა (ქართ. ცხ., I, 227, 252, 304, 305).

3. ათაბეგი, ქართულად ათაბაგი, სომხურათ ათაპაგ, თარგმანებით „მამა-პა-

ექვსთა წელთა, და მეფენი ისხდენ 28. შემდგომად ამათთა იყო გვარი ხოსროვანთა და მეფობდენ ესენი ოთხას ორმოც და ათოთხმეტთა წელთა და მეფენი ისხდენ 17 და მთავარნი 3. შემდგომად ამათთა ბაგრატიონნი, რომელნი გამეფდენ ქორონიკონსა 575 წელთა და არიან აწამდე; არამედ სიტყვა იყო ივერიასა შინა მეფეთა ამათთვის, რამეთუ „იცნობის ქართლოსიან-ნებროთიან-არშაკუნიანნი გმირობითა, ხოლო ხოსროანნი გოლიათობითა, ახოვნებითა, შემართებლობითა, ხოლო ბაგრატოვანნი მხნეობითა, სიბრძნე-ქველობითა და ქვეყნისათვის თავ-დადებულობითა“.

## მთავართა გვართათვის.

ხოლო გვარნი მთავართა მათ ძველთანი ესენი არიან: ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბადუში, რომელი იყო ლიპარიტისძე, მარუშის ძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, მხარ-გრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, მარუშისძე, მაგანისძე, ახათისძე, კარიჭისძე, გაგელი, სამძივარი, თვარჯანიანი, ნერსიანი, ადარნასიანი, ჯაყნშერიანი, კავკასისძე, ჯაყელი, ირუფაქისძე, ჩოლაყას-შვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქვენაფხლაველი, ჯავასის-შვილი, ბურსელი და სხვანი მრავალნი, რომელნი ერისთობით იწერიან და გვარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად, ვითარცა იტყვის უთლუღ-არსლანისას და უზბასარისას, და ქართლის ერისთავი გრიგოლი და სურამელი რატი და გრიგოლი. კახეთის-ხორნაბუჯის ერისთავი, მაჭის ერისთავი, პანკისის ერისთავი, და სამცხეს-

ტრონი,“ ესე იგი „პირველი მინისტრი, დიდი ვეზირი, უმაღლესი განმგე,“ მზრდელი ყრმა-მთავრისა, სახელმწიფო პატრონისა ყმაწვილობის დროს.“ (Dulaurier, *Recueil*... I, p. 835), „მიღებული ქართველთ მეფეთაგან სელჯუკების სულტანთა მიბაძვით“ (S-Martin, *Mém.*, II, 251). ეს ხელის-უფლობა ჩვენში პირველად იხსენიება თამარ მეფის დროს (ქართ.-ცხ., I, 318). ვახუშტი ამბობს; ვითომც შემდეგ „ათაბაგობის შემინებისა არღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად;“ მაგრამ ეს შეცდომაა. ამ ორთა ხელის უფალთა შორის კავშირი არა არის რა. სპასალარი ჰნიშნავს სპათა-უფროსს; „ათაბაგს, ქ.-ცხ.-ბის თქმითვე, უხმობენ ათაბაგობით მეფეთა და სულტანთა გამზრდელთა, ვითარცა წესია სულტანთა“ (გვ. 332). ორივე ეს მოხელეობა ჩვენში შემდეგაც ხმარებაშია და გარდა ამისა ჩანს, რომ ათაბაგობა სპასალარზე უმაღლეს ღირსებად ითვლებოდა: „იყო ათაბაგობა უმეტეს სხვათა ერისთავთა განდიდებული. ესე იყო ვაზირი კარსა მეფისასა“ (გვ. 339); „ავაგ, რომელი ამირ-სპასალარობისაგან ათაბაგ იქმნა“ (365). ისიცა ჩანს, რომ მეფეთა მემკვიდრენი ხან-და-ხან იზრდებოდნენ ათაბაგის სახლში (გვ. 320, 348). გიორგი ბრწყინვალემ (1318—1346) ათაბაგის სარგისის ძეს ყვარყვარეს მიანიჭა ათაბაგობა (გვ. 449) და ამ დრომდამ ათაბაგობა გარდიქცა გვარად ახალციხელთ ანუ ჯაყელთ სახლში და იმათ სამთავროს ყვარყვარეს ათაბაგობაში (1451—1466) დაერქვა საათაბაგო (ქარ.-ცხ., II, 154).

გუზანისა და არტანუჯის ერისთავი, კალმახის ერისთავი, წუნის ერისთავი. ხოლო სომხით-მანკაბერ სადუნი და არა გვარი მისი; ხოლო იმერეთს-ბედიელი, დადიანი და სხვანი, და არა გვარნი მათნი წარწერილნი; არამედ დადიანობა არა გვარი, გარნა წესი ხელობისა, არა იყო ესე ოდიშს, არამედ კარის მხარესა ზედა დადიანობდა. ხოლო შემდგომად მეფის თამარისა იქმნა ოდიშს დადიანად და იყვნენ ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი და არა გვარი მისი საჩინო არს; გარნა შემდგომნი დადიანნი ცოტნესაგან ჩამომავლობენ, ვითარცა აღვსწერეთ [1].

## ახალწლისათვის.

არამედ გვალად ქრისტიანობის ჟამსა შესძინეს წესნი ესე: რამეთუ ახალწელს პირველს იანვარს, უწინარეს ცისკრის ლოცვისა უგალობდა მეფესა ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა და სანუკარსა შაქრისასა; ხოლო შემდგომად წირვისა სრულიად ერისთავნი, ხელის-უფალნი და დარბაზის ერნი თვის-თვისთა ბარებულთა, ესე იგი არს ბაზიერთ-უხუცესი შავარდენქორსა და თავსა ველურის ეშვისასა მოქროვილსა; მეჯინიბეთ-უხუცესი ცხენსა აღკაზმულსა ოქრო-მოოჭვილითა; და სხვანი ოფიკალნი თვის-თვისთა შესატყვისთა; ხოლო ერისთავნი ცხენსა არა კეთილთა, და გვალად ესენიცა და სხვანი სრულიად ისარსა და შეაჩვენიან კრულვით ორ-გულსა მეფისასა, მეტყველნი. „მრავალ-ჟამიერ ჰყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალს წელს და ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა:“ და შემდგომად სრულიად სპათა მოლოცვისა შექნიან პურობა დიდი განცხრომითა და სახიობითა; ხოლო ცხენთა მათ ერისთავთა მორთმეულსა განიყვანის ბაზიერთ-უხუცესი სადა იყო სანადირო მეფისა შემოღობილი ახლოსა მეფისა სამყოფისა, და დახოცის ცხენნი იგი მწუხრსა მას შემოღობილსა მას შინა, და მას ღამეს აღივსის შემოღობილი იგი მელითა, ტურითა, მგლითა; და დილასა მცველმან მისმან ჩამოხურის კარნი და დაამწყვდივის მას შინა; ხოლო მეორეს დღესა შეჯდის მეფე წარჩინებულითა თვისითა და მივიდის ადრიან მუნ. მაშინ გამოუშვიან მხეცნი იგინი და უწყიან ისრითა სროლა და სიკვდილი მათი. ესრეთ იკვლევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადიმოდ.

## აღდგომისათვის.

ხოლო აღდგომის წესი იყო: ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდე-

1. აქ აღრიცხულნი უმთავრესნი გვარნი, რომელნიც საქართველოში ისტორიის ასპარეზზე მოღვაწეობდნენ, იქნებიან მოხსენებულნი თავ-თავის ადგილს ვახუშტის შრომის ისტორიულ ნაწილში. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ზოგნი ამ გვარებში, მაგალ. ჩოლაყაშვილები, ქვენაფლაველები და ბურსელები არა ჩანან ძველს დროში.

ბულნი; შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსა ანუ ვერცხლისა ყაბალსა ზედა და უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა და რომელმან მხარემან აჯობის, იყო მხარე-თალარნი[1], სამეფონი და მისციან მათ თვითოთა თვითო. ეგრეთვე ქორწილისა და გამომჩვენებისა დღესა შინა ჰყვიან ესე ასპარეზსა ზედა. მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი მგოსან-სახიობითა; არამედ კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი, ვიდრემდის იყვნენ მუნ, არ იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ გალობანი; ხოლო შემდგომად წარსვლისა მათისა იყო მგოსნითა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი.

## დროშისათვის.

ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოთ განყოფილი, რამეთუ წინა-მბრძოლნი იყვნენ თორელნი, ცისის-ჯვარელნი და ახალ-ციხელნი და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი და სომხითისა რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯვენე მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ლიხთ-იქითი, აფხაზ-ჯიქითურთ; ხოლო მემარცხენეთ მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა. გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხვა-რიგ შეიყვანიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი.

## მერეულთა წესთათვის.

არამედ წესნი ესენი რომელიმე ფლობასა თათართა ყეენობისასა შეიმლებოდნენ, ვითარცა დაბლა ნოხთა ზედა სხდომანი, ეკლესიასა შინა მოუხდელობა ქუდისა, თუ არა ყამად, რამეთუ საუფლოთა სიტყვათა ზედა მოიხდიდიან, თვინიერ მისსა არა, არცაღა ბოდიშობდიან ქუდის მოხდით, და სხვანიცა უჯერონი მრავალნი, ვითარცა იტყვის ორ-ცოლიანობასა და სამ-ცოლიანობასა და მეფეთა წინა-აღმდეგობასა და განდგომილებასა. ხოლო შემდგომად ბრწყინვალემან მეფემან გიორგიმ კვალად აგო წესსავე მას ძველსა ზედა და შემდგომთა მისთა მეფეთა, ვიდრე შისთა მეფეთა სპარსთათა გამოჩინებისამდე; ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა აქვნდათ თვის-თვისად წესნი ესენივე, გარნა ერისთავთა ცვალებანი არღარა; განა მთავარნიცა არღარა იწოდებოდნენ მთავრად, არამედ თავადად, და არცაღა იყვნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სასახონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი სეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი; და უმეტეს მოხვე-

1. თალარის განმარტება იხილე ვახუშტ. გეოგრ. გვ. 34, შენიშვნა 1.

მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოდ; ხოლო იმერთა-რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა-ქიზიყი; ხოლო ლაშქრობისა ჟამსა ერისთავთა და თავადთა მინაწერნი იყვნენ მოყვანებად; გარნა იყვნენ ოთხ სადროშოთვე გვალადცა, ვითარცა აღვსწერეთ, ქართლი, იმერეთი და კახეთი; არამედ ესე ჰყვეს მეფეთა, ვინათგან არღარა იყვნენ ეგოდენნი შემოსავალნი, რათამცა დაეპყრათ სპანი ეგოდენნი, რათა ეპირის-პირათ ანუ გამაგრებოდენ მტერთა თვისთა; ამისთვის შეკვეთეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა სრულიად რაოდენნი სახლსთა შინა არიან წასვლად ლაშქარსა შინა; ხოლო გლეხთა მგზავსად შეწერილებისად. ხოლო როსტომისამდე ესენი ესრე იყვნენ[1].

1. დროშა ანუ, სულხან ორბელ. განმარტებით, „მწყობრთა ნიშანი ფერად-ფერადი.“ მართლადაც, დროშებისათვის ჩვენში, როგორც ყველგან, მიღებული იყო სხვა და სხვა ფერი; მაგრამ არა ვხედავთ, რომ ძველად საქართველო ყოფილიყო დაყოფილი ოთხ სადროშოდ ანუ სასპასპეტოდ. პირველად ქართლი ოთხ სადროშოდ დაჰყო დავით მეფემ 1512 წ.: „იტყვიან, ამბობს თვით ვახუშტი, „მიერ ჟამიდგან იქმნა ქართლი ოთხ სადროშოდ (ქ.-ცხ. II, 17). იგივე ვახუშტი იტყვის კახეთის მეფის გიორგი I-ს (1471—1492) ცხოვრებაში: „განჰყო ოთხ სადროშოდ, ვითარცა აღვწერეთ და მისცა დროშანი ეპისკოპოსთა“ (იქვე, გვ. 103). საომარი ჯარი ძველს დროს იწოდებოდა ლაშქრად, სპად, წყობად, თვით წყობილი ჯარი რაზმად: „განაწყვეს რაზმი წესისაებრ, ვითარცა განჩენილ არს თემთა და თემთა“ (ქ.-ცხ. I, 287, 292). წყობას შეადგენდნენ მხედარნი ანუ ცხენოსანნი და ქვეითნი (იქვე, 115); წინა-მბრძოლნი, მემარჯვენენი, მემარცხენენი ვახუშტის თქმულებისა-მებრ. როქი, როქით ძველად არსად ამოიკითხვის. ეს სახელ-წოდება იხმარება როსტომ მეფის დროს (1634—1658) და შემდეგ: „განუწესებდა როქსა“; „და აქვნდათ როქი ყეენისაგან;“ „განაწყვნა (ვახტანგმა) სპანი როქითა“; „პატივისათვის და როქთათვის იქმნებოდიან (კახელნი) მაჰმადიან და მიიღებდიან ყეენისაგან როჭიკსა“ (ქ.-ცხ., II, 48, 57, 71, 131). საომარი იარაღი იყო განსაკუთრებით: ჩუგლუგი ანუ, სულხანის ახსნით, მცირე წერაქვი, რომელიც ძველის-ძველად უცხო ტომებშიაც იხმარებოდა; ოროლი ანუ ორ-პირი ლახვარი; შვილდ-ისარი; ჯაჭვ-ჩაბალახი და ფარი. ერთ ადგილს ქ.-ცხ.-ბაში მოხსენებულია ფარი ვიგრის ტყავისა (ქ.-ცხ., I, 118). როგორცა ჩანს, ჩვენებს სცოდნიათ ხელობა კედლების შეთხრისა (ქ.-ცხ., I, 330, 385,417), რომელსაც ბერძენნი უწოდდნენ *ἀσπάλακες*, სომეხნი ტალპეს (Dulaurier, *Recueil.*, I, 247); სცოდნიათ აგრეთვე ხმარება ლოდის სასროლის მაშინისა, რომელსაც ერქვა ფილაკავანი: „მოადგა ქალაქსა შანქორს, დაუდგნა ფილაკავანი და მცირედთა დღეთა დალეწეს ზღუდენი შანქორისანი.“ (ქ.-ცხ. I, 211; იხილე აგრეთვე იქვე 224, 250.) ფილაკავანი, საბა ორბელ. თქმით, სასხლეტი, დიდის ლოდის სასროლი, ციხის შესამუსრავი. ამ სიტყვას, ბროსსეს ფიქრით, უნდა ჰქონდეს კავშირი ბერძნულ სიტყვასთან *πελκανικά*, რომელიც ჰნიშნავს სამხედრო მაშინას (*H. de la G.*, I, 299, n. 4), ამ მაშინას ხმარობდნენ ასსირიელდა ბაბილონელნი (Lenormant, *Hist. de l' Orient*, II, 139—140), შემდეგ ბერძენნი (Langlois, *Collection des histor. armén.* I, 147; Lebeau, *Hist. du Bas-Empire*, III, 87—88). როდესაც ბიზანტიის იმპერატორი ერეკლე მე-VII საუკ. ტფილისის ციხეს შემოადგა, მაშინ იმის ასაღებად მან ეს მაშინა მოიყვანა მოქმედებაში (*Addit. à l'Hist. de la G.*, 1851, p. 490). ფილაკავანის სრული აღწერა ნახე Lenorm., *H. de l' Or.*, II, 139—140, Lebeau, *H. du B. E.*, III, 87,88.

## აწინდელთა წესთათვის.

გარნა თუმცა სამცხეს და კახეთს შემოერიათ მათ ურჯულოთაგან და ამათ ყიზილბაშთაგან წესნი რაიმე მათნი, არამედ ქართველნი და იმერელნი ეგრეთ ზნეთა მათ ზედავე; ხოლო აწინდელთა ჟამთა აქვნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ყიზილბაშთა ქცენი, რამეთუ სხდიან ნოხთა უსკამოთ, ხელითა სჭამდიან, სანოვაგე ქართველთა და კახთა უმეტეს ყიზილბაშთა რიგისა; ხოლო მესხთა, ურჯულოთა და იმერთა ურჯულოთაგან შერეული და სასახლეთა შენებანი მათივე რიგისა და არღა რა ქართული[1], თვინიერ დარბაზისა; და მესხთა ურჯულოთა რიგისა და არცაღა იყო ერისთავთა ცვალებანი, არამედ მკვიდრადნი; არამედ ძველითგანვე იყო წესი ესე: რაჟამს მოკვდის ერისთავი, ანუ მთავარნი, ანუ ხელის-უფალნი, ანუ აზნაურნი ჩინებულნი, მოართვიან მეფესა მის მომკვდრისა ხრმალი, ცხენი და უხუცესი ძე მისი; ხოლო მეფე ხელის-უფლობისა და ერისთობისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისაებრ მიუბოძის და ოდესმე ძესაცა, უკეთუ ღირს იყო ანუ ძალ-ედვა მორჩილობა მისი; ხოლო ცხენი წარიყვანიან სამეფოთ და ხრმალს მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთ-უხუცესი ძესა მის მომკვდრისასა და დააწესიან ტაძრეულად ანუ სხვათა სამეფოთა მსახურებათა შინა ღირსებისაებრ. ხოლო აწინდელსა ჟამსა ხელის-უფალნი ეგრეთვე ჰყვნიან, ვითარცა ზემო ითქვა, და ცხენიცა და ხრმალიცა ეგრეთვე, არამედ ერისთობა და მთავრობა არღარა და რომელნიმე სპასპეტნიცა, რამეთუ შვილთავე მისთა ანუ სახლის კაცთა მისთავე მიუბოძიან; ეგრეთვე მთავართაცა.

## აწინდელთა ხელის-უფალთა შეცვლილთა სახელთათვის.

ხოლო როსტომ ხელის-უფალთა უწოდა: მსახურთ-უხუცესსა ყორჩი-ბაში; მონათ-უხუცესსა — ყულარ-აღასი; სპასპეტსა სარდარი; მეჭურჭლეთ-უხუცესსა — მოლარეთ-უხუცესი და მეჭურჭლეთ-უხუცესი არღარა, არც იგი წინათი მოლარეთ-უხუცესი; ჩუხჩარაისსა — სუფრაჩი; ჩაშნაგირსა — სუფრაქეში; მანდატურთ-უხუცესსა — ეშიკაღასი; მანდატურს სოჯბათ — იასაული, ბოქაულსა — ელიაღაჯი, მსაჯულთ-უხუცესსა — მდივან-ბეგი; ეზოს-მოძღვარსა — ნაზირი; მესტუმრეთ-უხუცესსა — მეჰმანდარი; მწერალსა — მუშრიბი; სუროთ-მოძღვარსა — სარდარი და ეჯიბი-არღარა; არამედ მგზავსი მისი მეითარი: ხოლო სხვანი ხელის-უფალნი იყვნენ ეგრეთვე; არამედ ძალად ყიზილბაშთა რიგის შესმინა

1. ქართველების ზნე-ჩვეულების დაცემაზე ქართლში, კახეთში და სამცხე-საათაბაგოში იხილე ქ.-ცხ. II, 67, 109, 131 და 167.

კეზირი, მუსტოფი და მუნში; კვალად მეკარესა — ყაფიჩი და ასის-თავსა — უზბაში. და კასთაცა განაწესეს ეგრეთ[1]; ხოლო იმერეთს, მეფის ალექსანდრეს გიორგის ძისამდე იყვნენ წესნი ეგრეთვე და შემდგომად მისსა არღარა; არამედ მთავარნი თვის-თვისითა სპითა შეკრბიან და არცაღა ხელის-უფალნი მეფისანი არიანღა. ხოლო სამცხეს, ვითარცა ოსმალთა რიგი, ეგრეთ იმყოფიან ჩვეულებითა და წესითა.

## აწინდელთა მთავართა გვართათვის.

ხოლო აწინდელთა მთავართა და წარჩინებულთა გვარნი ესენი არიან: ბარათა-შვილი, რომელთა უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბანისა საერისთონი, ტფილისის სამხრით, ვიდრე ლორე-ფანავრამდე, თვინიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა. ხოლო იტყვიან ესენი შთამომავლობასა ქაჩიბაძისასა, რომელსა აცხადებენ გუჯარნი და სიგელნი მათნი, მეფეთაგან წყალობისანი; კვალად ყაფლანის-შვილი და აბაშის-შვილი სამთა ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანის-შვილი იტყვის გვარობასა მათსა, განა ორბელიანობასა; გარნა იყო ორბელიანი სხვა და ქაჩიბაძე სხვა გვარი. არამედ ოდეს განიყვნენ ძმანი, ბარათასაგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა მათ საბარათიანოდ; ხოლო აბაშისაგან — აბაშის-შვილნი და ეგრეთვე სხვანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. განა საგონებელ არს, ყაფლანიანიცა მესამეს ძმას ეწოდა ორბელი და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ; თვარე წინა-თქმულნი არა განმართლდებიან[2]; ხოლო სომხითის მელიქი არა არს გვარი, არამედ სომეხსა ვისმე პატივ-სცა შაჰ-აბას გაჭმადიანებისათვის. არღუთაშვილნი აწ აზნაურნი, მაგრამ მხარ-გრძელნი არიან. ხოლო ზურაბის-შვილს, იარალის-შვილს და სოლაღა-შვილს იტყვიან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა. კვალად დოლენჯის-შვილი აწ ჩამოსულნი სამესხოდამ. ყარაბულაღი-შვილი მოვიდა მარიამ-ჯვარის კახეთიდამ. ხოლო მცხეთის დასავლით და მტკვრის სამხრით ციცი-შვილი, რომელი მოვიდა ფანასკერთიდამ; ჯავახის-შვილი; ხოლო მოურავის-შვილი არს სააკაძე და მეფისაგან გამთავრებული. როჭიკა-შვილი არს შალიკა-შვილი დ მოვიდა სამცხიდამ; ხოლო შიდა-ქართლის ამილახორი არა არს გვარი, გინა წესი მეჯინიბეთ-უხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი; ხოლო გვარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენენ გუჯარნი მათნი. აბაშიძე, ფა-

1. „როსტომ-მეფემ (1634—1658), ისტორიის მოწმობით, განაგნა წესსა ზედა ყიზილბაშთასა კარის განმგენი თვისნი და არცა მოშალნა ქართულნი და დაადგინნა ორნივე“ (ქ.-ცხ. II, 46). — 2. ბარათიანთ გუჯარსა შინა, რომელი არს ბეთანიას, წერილ არს: «მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან განჰყარნა სამნი ძმანი — აბაში, გუგუნა და ღავით», აბაშისაგან — აბაშის-შვილნი; გუგუნასაგან — ბარათიანნი, და დავითისაგან — ყაფლანის-შვილნი არიან. ეს მეორე შენიშვნა ეკუთვნის ვახუშტისა.

ლავანდი-შვილი და ამირ-ეჯიბი: ამათ ერთობასა შინა აქვნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი. ავალის-შვილი: რა დაშთა ხეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქა და მეორე სამცხეს. მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდამ მოსვლას, განა ახალი არს. ხერხეულიძე იყო სამცხეს და იტყვის ოსობას, არამედ არს მოსვლა მისი შემდგომად გაურილობისა; ფავლენის-შვილი იტყვის მხარგრძელობასა. ხოლო კვალად მესხი ამილახორი-შვილი, დიასამიძე, შალიკა-შვილი და თაქთაქი-შვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდამ. ჩხეიძე მოვიდა იმერეთიდამ. ხოლო რამაზის-შვილი და დავითის-შვილი არიან აბ-გიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩია მეფემან და არიან მიერითგან აქა. ხოლო იალ-ბუზის კალთათა ქსნის ერისთავი და არა ქვენა-ფლავლელისაგან, არამედ იტყვის ბიბილურობასა. ხოლო არაგვის ერისთავი და ალვსწერეთცა ვითარცა არიან; არამედ გვარს სიდამონობას იტყვიან. ხოლო მუხრანის-ბატონი და გოჩა-შვილი აწ მთავარნი, არამედ გვარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან, ვითარცა აღწერილნი არიან.

## წარჩინებულთათვის.

არს ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქვნდათ: პირველი — მუხრანის-ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანი-შვილი; ზემო ციცის-შვილი, ოდეს გაუყრელი იყო, და სომხითის მელიქი. ხოლო აზნაურნი მრავალნი არიან, სიგრძისათვის დავიდუმეთ: ვიეთნი ძველის გვარისანი, ვითარცა აბაზაძე, კორინთელი, მასატელი, არღუთა-შვილი, გოგიბა-შვილი, ნასიძე, დაზნელი, გააზნაურებულნი და ვითარცა რატი-შვილი, ქსნის ერისთვის განაყოფი, ვით ისილვების მამულითა, ხოლო აწ დამცირებულნი. ხოლო ზედგინიძე, საკაძე, ელიოზის-შვილი ამათგან გამთავრებულნი. ესრეთ რომელნიმე აღმაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა, ანუ გაყრითა ძმათათა. ხოლო კახეთის ჩოლაყა-შვილი და მაყას-შვილი იტყვიან ირუფაქიძობას; ენდრონიკა-შვილი იტყვის ანდრონიკესაგან, რომელი მოვიდა პირველვე, კეისართა გვარისა; ჯორჯაძე, ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, ვახვახის-შვილი, რუსის-შვილი, ჯანდიერის-შვილი, ავალის-შვილი და ჩერქეზი. ეს ორნი მოსულნი არიან გაურილობის შემდგომად. გურამის-შვილი და ტუსის-შვილი ზედგინიძენი, რომელთა გამოაჩენს სასაფლაო მათი დღესაცა მღვიმეს; და აზნაურნი უფროს მცირედ. ხოლო სამცხეს — ჯაყელი, ესე არს ათაბაგი და ფაშა ახალ-ციხისა. შალიკას-შვილი, თადგირიძე, დიასამიძე, ქობულისძე, გოგიბა-შვილი ამილახორი, ავალის-შვილი, სუმბატის-შვილი, გოგორის-შვილი, თუ-

ჩარელი, დადიანიძე და სხვანი არღარა იწოდებიან გვარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯაყად. და აზნაურნიცა ეგრეთვე მრავალნი, განა დავიდუმეთ. ხოლო იმერეთს, არგვეთსა შინა აბაშიძე, ფხეიძე, წერეთელნი და ჩხეიძე (ამავე ჩხეიძის გვარი არს აწინდელი რაჭის ერისთავი და სპასპეტი რაჭისა), ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე და ლოლობერიძე, აზნაურნი და მთავრობით პატივ-ცემულნი მეფეთაგან. ხოლო რაჭას—წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხიშვილი. ხოლო სვანეთს-გელოვანი და არღა ეგ-ოდენისა ძალისა და უფლებისა მქონე სვანთა ზედა; გვალად ვაკესა შინა ჭილაძე და მიქელაძე და ჩიჯავაძე. ხოლო აზნაურნი მრავალნი და კეთილნი ყოვლითა ზნითა აზნაურთათა (ვითარცა ძველად სიტყვა იყო ივერიასა შინა, „დარბაისლად მესხნი, თავადი ქართლისა, აზნაურნი იმერეთისა და ვაჭარი კახეთისა"); არამედ სიგრძისათვის არღარა აღვსწერეთ. გარნა უწარჩინებულესი და შემძლებელი იყო აწის ჟამსა შინა რაჭის ერისთავი და აბაშიძე; ხოლო ოდიშს დადიანი და თავადი თვით თვისად მფლობელი ოდიშისა, შემდგომად გურიელობისა; არამედ აწ არს ჩიქოვანი, რომელმან მოსწყვიტნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე აზნაურობისაგან იქმნა დადიანად, აღწერილებისაებრ; არამედ გვალად-ცა არიან მთავარნი ესე: გოშაძე, ფაღავა, ჯაიანი, ჩიჩუა და სხვანი აზნაურნიცა მრავალნი. ხოლო აფხაზეთს იგივე შარვაშიძე, მფლობელი აფხაზთა თვით და უმდაბლესი ანჩაფაძე. ხოლო გურიას გურიელი, იგიცა თვით ჰფლობს და იტყვის ვარდანისძეობასა; და სხვანი მის ქვეშენი არიან ესენი: თავგირიძე და ამილახორი ჩავიდნენ სამცხიდამ; შარვაშიძე მოვიდა აფხაზეთიდამ; ბერიძე, კვერღელიძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე და სხვანი ეგრეთვე აზნაურნიცა [1].

## მეფეთა წერილისათვის.

ხოლო მეფენი ამათ ყოველთა ზედა იწერებოდნენ ესრეთ: «ჩვენი ბრძანება არს, მესტუმრეო, ესრეთ უამბე», და შემდგომად რაც ჯერ იყო; ხოლო სიგელსა და გუჯარსა შინა: «ჩვენ, მეფეთ მეფემან, ღვთისა წყალობით ცხებულმან, თვით მპყრობელმან და თვით ხელმწიფემან, იესიან—დავითიან—სოლომონიან—ბაგრატიონმან; შვიდთავე სამეფოთა მპყრობელმან (სახელი) გიწყალობეთ»; ხოლო აწინდელთა ჟამთა—«მესტუმრეო, ჩვენ მაგიერად, ჩვენს დიდს იმედს დარბაზ-ბატონს (სახელი) ასრე უამბეთ; და მდაბალთა ზედა: «ჩვენი ბრძანება არის;» ხოლო გუჯართა და სიგელთა: «ჩვენ მეფემან, ღვთივ ცხებით გვირგვინოსანმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონმან (სა-

1. «ხელის-უფალთათვის» იხილე ცნობანი დასტურლამაში, რომელიც ვრცლად განსაზღვრავს თვითოეულის მათგანის რიგსა, მოვალეობასა და შემოსავალ-გასავალსა: «აწინდელთა მთავართა დაწარჩინებულთა გვართათვის,» იხილე თავ-თავის ადგილს, ისტორიულ ნაწილში.

სჯული) გიწყალობეთ." ესრეთვე იმერნი და კახნი. არამედ მეფე ქართლისა ჭვალადცა მეფეთ მეფობით სწერდა წინაპართავე ჩვეულებითა.

## ეპისკოპოსთა ლაშქართა წასვლისათვის.

არამედ ეპისკოპოსთა სლვა ლაშქართა, ნადირობათა და ბრძოლათა შინა ამის მიერ ჩვეულება იქმნა, რაჟამს უწყეს მაჭმადიანთა, შემდგომად დავით 80 მეფისა[1], დაუცხრომელი ბრძოლა და კირთება და იხილეს ღაფლობა, უღონოება ქვეყნისა ერთა ეპისკოპოსთა, მაშინ ეტყოდიან ეპისკოპოსნი: «ნუ მოღაფლდებით და ნუ მოუღონდებით ბრძოლად მათდა და ნუ დაუტევებთ სარწმუნოებასა, რჯულსა და ჩვეულებასა თქვენსა, და ჩვენ ვიქმნებით წინამბრძოლნი თქვენნი», და ჭყოფდენცა ეგრეთ (ვითარცა მარაბდის ომსა ზედა მროველმან ავალი-შვილმან, რა მიიღო ზიარება, ეტყოდენ: «უკეთუ დღეს ალიებ მახვილსა ბრძოლად, უბრძანე, რათა გვაზიაროს სხვამან, და უკეთუ არა, უმჯობეს არს შენ მიერ.» ხოლო იგი იტყოდა: «დღეს ბრძოლა არს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა მხოლოდ ჩემზედა; ამისთვის არა გჭყო, უკეთუ უწინარეს თქვენსა არა დავსთხიო სისხლი ჩემი მახვილისა მღებმან. ხოლო მეორე მიზეზი: ვინათგან შეწერით იყო ლაშქარნი, ჭყვათ ეპისკოპოსთა აზნაურნი და მსახურნი და შეწირულნი გლეხნი წარსვლად ბრძოლასა შინა; ამისთვის მათთა მოურნეთ თანამდებ იყვნენ წარსვლად, და არს მიერ ჟამითგან ეგრეთ აწამდე; ხოლო სხვათა თვინიერ ამისა აჩენს ცხოვრება ანუ მატიანე ქვემორე აღწერილი ყოველსავე ამას ქარტასა შინა. და იმყოფოდა ესენი ესრეთ აწისამდე; ხოლო წადმართი უწყის ღმერთმან და ვითარცა ჭნებავს იყავნ.

---

1. დავით იყო ძე კონსტანტინესი და მეფობდა 1505—1525 წ.; მაგრამ «სლვა ლაშქართა, ნადირობათა და ბრძოლათა" დავითის დროზე ადრე იყო დამყარებული საქართველოში. საეკლესიო ყმათაგან შემდგარი ლაშქარი ექვემდებარებოდა კათალიკოსსა. ერთს გუჯარში, რომელსაც ალექსანდრე მეფე აძლევს 1362 (?) კათალიკოსს ვასილის (?), ნათქვამია: „ვინც კი შენის უწყების კაცნი არიან ქართლში, კახეთში, საათაბაგოში, სომხეთში, საბარათიანოში, თრიალეთზე და იმერეთში, შენ უნდა გეახლნენ ხოლმე ნადირობაში და ბრძოლაში. თუ შეუძლებელი იქნება თვით შენი გასვლა, შენი სარდალი და შენის სასახლის კაცნი გაიყვანენ მათ და სხვა სარდალს ანუ ამირ-სპასალარს არავითარი უფლება არა აქვს შენს ქვეშ-მრდომებზე; არავის შეუძლიან მოგაშოროს შენ შენნი აზნაურის-შვილნი და გლეხნი, რომელნიც ადგილობრივ ჩვენს დროშას ქვეშ დადგებიან. „*Hist de la G.*, II, Introd...CXII; იხილე აგრეთვე გუჯარი 1724 წლისა იქვე, p. CX-CXI. ამ საგანზე ჩვენ სხვა ადგილს განსაკუთრებით მოვილაპარაკებთ.

# აღწერა სამეფოისა საქართველოისა.

## სახელი რით ეწოდა.

ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა: 1, საქართველო, 2, ივერია და 3, გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხვდა ქვეყანა ესე და სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თვისითა ქართლი და მის გამო მორჩილთა ანუ წილ-ხდომილთა მისთა უწოდა საქართველო; გინა შემდგომად მისსა, რომელ ეუფლნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი სათვლავსა მისსა, ეწოდა საქართველო. ხოლო მეორე სახელი ივერია ესითავე ქართულითა მიეცა, რამეთუ [illegible] არს შორის-ყრილი, რომელი არს სასიხარულო ხმა ზასილისა; ხოლო «ვერიე», მოვერიე[1]; არამედ წყობისათვის შეთხზულად ივერია; რამეთუ ოდეს 10 მეფემან ადერკიმ მოკლა არ-

[1] საქართველოს ნაწილთა სხვა და სხვა სახელ წოდებაებზე იხილე *Hist. de la G.*, II., *Introd.*, III—XI. ჩვენ იმათ განხილვაში ჯერ-ჯერობით არ შევდივართ, რადგანაც ეს განხილვა სიტყვას გააგრძელებს; აქ ვუჩვენებთ მხოლოდ ვახუშტის ორს შეცდომას. პ ი რ ვ ე ლ ი ა ისა, რომ ვახუშტის ეტიმოლოგიურ განმარტებას ივერიისას და გიორგიისას არავითარი საფუძველი არა აქვს. ამ გვარ ეტიმოლოგიურ განმარტებას არა-თუ ვახუშტი, სხვანი მომატებულად უწინდელნი უცხო-ტომთ მწერალნიც ადგანან, მაგრამ იგინიც აგრეთვე სცდებიან. ახლა დასკვნილია, რომ მრავალთა გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ სახელ-წოდებათა დასაწყისი დროთა წყვდიადში იკარგება და საფუძვლიანს ისტორიულ გამოკვლევას მოითხოვს. ის მსგავსება გამოთქმაში, რომელსაც ვახუშტი უჩვენებს ივერიის ასახსნელად, შემთხვევითი მსგავსებაა. საიდამ არის წარმომდგარი ივერია ჯერ დაჭეშმარიტებით არ ვიცით. ახსნა გიორგიისა უფრო ადვილია: ეს სახელ-წოდება მომდინარეობს სპარსულის ჯ ო რ ჯ ა ნ ი დ ა მ, რომლითაც სპარსნი უწოდდნენ მტკვარსა; აქედამ წარმომდგარა არაბული გ უ რ ჯ ი, გ უ რ ჯ ი ს ტ ა ნ ი, ევროპიული *Georgia* და რუსული Грузія (იქვე, *Introd.*, V—VI). მ ე ო რ ე ც ისა, რომ ვახუშტი როგორც თავის „გეოგრაფიაში“, აგრეთვე „ისტორიაში“ ხან და ხან საქართველოს მაგიერ ხმარობს „გიორგიას“ და „ივერიას“ (ქ.-ცხ. I, 449, 450); მაგრამ არც ერთი, არც მეორე სახელ წოდება ძველმა ჩვენმა მწერლობამ სრულებით არ იცის; ივერიას ხმარობენ სტრაბონის დროდამ (I საუკ. ქრ. შემდ.) მხოლოდ უცხო-ტომთ მწერალნი-ბერძენნი, რომაელნი და ბიზანტიელნი, გარდა სომხეთის მწერალთა. ამ სიტყვით იმათ აზრში იგულისხმება ერთ-ერთი ნაწილი საქართველოისა, განსაკუთრებით კი ახლანდელი ქართლი და არაოდეს მთელი საქართველო.

შაკ მეფე ქართლისა გოლიათობითა თვისითა, მაშინ აღუტევა ხმა სპათა მამართ თვისთა: «იი, ვერიე», და განსდა ხმა ესე და იტყოდიან ყოველნი სიმხნისა მისისათვის; ამის გამო იწოდა ივერია; არამედ წოდება სასიხარულოს ხმისა მოასწავებდა სიხარულსა დიდსა; რამეთუ პირველსა მეფობასა არტაგისასა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მოასწავებდა ხმა სახარებისა ხარებასა და სიხარულსა სასუფეველისასა; ხოლო «ვერიე» მორევნასა კერპთა ზედა, ძალსა ჯვარისასა და ხსნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა. კვალად გიორგიაცა მხნედ მომჭირნეობისა, მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა (რამეთუ „გიორგი" მუშაკად ითარგმნის): კვალად, ვინათგან იცნეს სამება ერთ-არსება ჭეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ და ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი, ნათესავი წმიდისა დიდის მოწამის გიორგისა, ამისთვის მიერ ჟამითგან ნიშანნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამის გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა; რამეთუ არ არიან ბორცვნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი. და ესეცა ამის მიერ იწოდა; არამედ ევროპიელნი და ბერძენნი უხმობენ ჯორჯიანსა და რუსნი გრუზსა და მაჰმადიანნი გურჯსა მათითა ორთოღრაფიის გამო; არამედ იგივე გიორგიავე არს.

ხოლო არს სიგრძე ქვეყანისა ამის 80 ეჯი[1]; ხოლო განი სპერის ზღვისაკენ 60 ეჯი, შუა ადგილი 32 ეჯი, ხოლო ბოლოთ-კერძი-35 ეჯი და მდებარებს კასპიისა და პონტოს ზღვას შორის. გარნა არს ქვეყანა მშვენიერი და ნაყოფიერი ყოვლისა ღვთისა მიერ და არა ხელოვნებითა კაცთათა; რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი, კაცთა საზრდელნი: ბრინჯნი, ხორბალნი, ქრთილი, შვრივა, სიმინდი, ღომი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი, განაფი, სელი და სხვანიცა.

## აბრეშუმისათვის.

კვალად ჰყოფენ აბრეშუმსა; არამედ ქუხილის გამო ვერა მრავალსა; რამეთუ სასტიკად მქუხარებს და მის გამო მოსწყდების ჭიანი. კვალად ბანბას სთესენ, გარნა სხვაგნებური უმჯობეს არს, არამედ მრავალ ნაყოფიერებს. ხოლო ხილნი წალკოტთა მრავალნი: ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის-ხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლ-ატამი, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხარ-თუთა, ბუსტუღი, ქლიავი, მრავალ გვარი ღეღვი,

1. ვახუშტის შენიშვნით, „ეჯი, ფარსანგი და აღაჯი ზომით ერთნი არიან; ხოლო ეჯი არს 6 ვერსი რუსული, და ვერსი 500 მხარი; მხარი სამი ადლი, 32 თითი; თითი ექვსი ქრთილის მარცვალი, ექვსი ცხენის ფაფარი". ზომანი და აგრეთვე ფულნი, რომელნიც საქართველოში სხვა და სხვა დროს იხმარებოდნენ, ნახე *Hist. de la G.*, II., *Introd.*, CXCI—CXCV; LXXXIV—CIII, CLXXVII—CLXXXIX.

მხალი, ალუბალი, სხალი და ვაშლი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი, ნესვი, მელსაპეპონი, პუმპულა, კიტრი. ხოლო ტყისანი არიან: თხილი, ტყემალი, ზღმარტლი, ფშატი, სურმა, წაბლი, კრიკინა, ალუბალი, ბაძგამწარა, ბალ-ღოჭი, მაყაყვლი, პანტა, კუნელი, ჯახველი, მჭნავი, მწიფელი, დათვის-სხალა, დათვის-ბაბა, დათვის-თხილა, კოწახური, მაყვალი მრავალ-გვარი, ნიგოზი და სხვანიცა. ხოლო მოისახნი არიან: მოცხარი, კლდის-მერსენი, ჟოლო, უელი, მოცვი და სხვანიცა მრავალნი. სავარდეთა ყვავილნი მრავალნი: ვარდნი წითელი, ყვითელი და იელი, მიხაკი, სუმბული, ნარგიზი, ზამბახი, ყაყაჩონი მრავალ გვარნი და კვალად სხვანიცა მრავალნი ყვავილნი სხვა-სხვა გვარნი და ფერნი. ხოლო ველთა: ია, კოჩივარდა, ნეკო, მიხაკი, შროშანი და სხვა მრავალნი ვიდრე ას ფერამდე და ას გვართამდე. მხალთა: ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხახვი, პრასა, ბოლოკი, პეტრუშკა, სტაფილო, ქინძი-ჯორა, ოხრახუში, მაკედონი, კომბოსტო, ლახანა, ურდელი და სხვანიცა. ხოლო ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელონი საზამთროთ საჭმარნი ბალახნი, მხლად წოდებულნი, და თესლნი, ვითარცა: სატაცური, ასპანაკი და სხვანი, და ვითარცა კვლიავი და ტყიურა და მისთანანი მრავალნი.

## პირუტყვთა და მფრინველთათვის

არამედ პირუტყვნიცა მრავალნი, ვითარცა: აქლემი, ცხენი, ჯორი, ვირი, ძროხა, კამეჩი, ცხვარი, თხა, ღორი; ხოლო ნადირნი ტყეთა და ველთა: ირემი, ქურციკი, ჯიხვი, მშველი, არჩვი, თხა, ყურდგელი, ვეფხი, დათვი, მგელი, ავთარი, ფოცხვერი, ღორი, მელი, მაჩვი, მწავი, მთახვი, ძღარბი და სხვანიცა. კვალად მფრინველნი: ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური ქათამი, ტრედი ამათ შინ იპყრობენ. ხოლო ველთა და ტყეთა: წერო, ყარახილა, ბატი, შავი ბატი, იხვი, აკაური, ვარხვი, ღალღა, ლაინა. ესენი ზამთარ არიან, ზოგნი ზაფხულ-შემოდგომასა, თვინიერ არა; ხოხობი, კაკაბი, დურაჯი, გნოლი, როჭო, შურთხი, მწყერი, ასკატა, ჩახრუხი, კიოტი, ტყის-ქათამი, გარიელი, სავათი, ტრედი მრავალ გვარი, გვრიტი, გუგული, ოფოფი, შაშვი, ჩხართვი, შროშანი, ტარბი, კოლინზური, ბულბული, ყაზალასი, მალადური, ჩიტნი და სირნი მრავალ-გვარი, შვენიერ-ჭრელნი, და მომღერალნი მრავალნი. ხოლო ხორცის-მჭამელნი: ყაჯირი, სვავი, ორბი, არწივი, შავარდენი, გავაზი, ბარი, ქორი თეთრი და წითელი[1], მიმინო, მარჯანი, თვალ-შავი, ალალი, კირკითა, ძერა, ბაბა-ყველი, ბოლო-ბეჭედა, ჭარო ყორანი, მახარანი, შავი-ყვავი, მაღრანი, ყვავი, ბუ, ზარნაშო, წოტი, ჭკა, ჭილყვავი, ყაპყაპი, კაჭკაჭი, ჩხიკვი, ყოდალა, ოფარი, ლაკლაკი, ყარაულა და სხვანიცა.

1. ქორი შაბარდუხი დავით რექტორის შენიშვნით.

## მთათა და მდინარეთათვის.

ხოლო არს მთანი და ტყენი აუარაცხელითა ყვავილითა, მწვანითა და სურნელითა აღსავსე, ტყენი სხვა-და-სხვა ხითა შვენიერითა ჭალათა და მთათა შინა. კვალად არიან მთანი დიდროვანნი, რამეთუ ჩრდილოთ უძეს კავკასი, შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულისა არის 20,30 მხარი და ჟამსა ზაფხულისასა განსქდების, და თუ შთაუტეო კაცი, მცირეს ჟამს ვერ ძალ-უცს დათმენად სიცივისა და ქვეშე მისსა დის მდინარენი და არს ყინული მწვანე და წითელი, ვითარცა კლდე სიძველის გამო, ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მრავალნი. შორის მთისა ამის ცხოვრებენ კაცნი. სხვა არს მთა სამხრით, რომელი იწყების შავის ზღვითვე და განვლის აზრუმს, ბასიანს, და მოვალს ბარდა-არაზამდე და არა ეგრე მყინვარე და მაღალი, არამედ თოვლნი მარადის აუღებელად, განა ადგილ-ადგილ; და ესრეთვე მდინარენი დიან იმიერ და ამიერ. კვალად არიან საშორის მათსა მთანი დიდროვანნი და მცირენი და კლდენი საშინელნი და შვენიერებით აღმატებულნი, არამედ თვის-თვის ადგილს იწეროდენ. კვალად მდინარენი მრავალნი და წყარონი დიდ-დიდნი, ცივნი, გემოიანნი და შემრგონი და მკურნალნი სენთანი, და ტბანი დიდნი და მცირენი, ვიეთნი თევზითა ტკბილითა სავსენი, და ვიეთნი უხმარნი.

## თევზთა, მძრომთა და მწერთათვის.

ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანი, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხვანიცა. ხოლო არიან მძრომნი მაწყინარნი: გველნი მგბენელნი, ღრიანკალნი გესლიანნი, გველ-ხოკერა, ჯოჯო, ფსკენი, ხვლიკი, კუ, თაგვი და სხვანიცა. ხოლო მწერნი: კოღო, ბუზი, ბორა, კრაზანა, კაცთა და პირ-უტყვთა მაწყინარი და სხვანიცა დიდნი და მცირენი მრავალნი; არამედ ფუტკარი სარგებლიანი, რომლისა თაფლი ვიეთთა ადგილთა, ვითარცა შაქარი შეყინებული და სპეტაკი, და ცვილთა და თაფლთა სიმრავლე არს. ხოლო არს შემკობილი მთითა და ბარითა; რამეთუ არა არს ადგილი, რომლისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ, რამეთუ ორს, სამს, ექვს ჟამს მთიდამ ბარს და ბარიდამ მთას არა მიიწეოდეს; არამედ მთათა ხორბალი, ქრთილი, შვრივა, სელი და ხილნი, რომელნი დავსწერეთ, მთისანი, ნაყოფიერებს და სხვანი არა-რა; ხოლო ბართა ყოველნივე ზეით წერილნი

## კაცთათვის.

ხოლო კაცნი ამის ქვეყნისა არიან სარწმუნოებით ქრისტიანენი, რომელთა მიიღეს რომით, ჟამსა დიდისა კოსტანტინესასა და სილიბისტროსსა; წესნი და რიგნი ძველნი ბერძენთა ბასილი კაბადუკიელისათა და შვიდის კრებისა უპ-ყრავთ მტკიცედ; არამედ მძლავრებით უკეთუ ვინმე მიიქცის, ოდეს იცის ჟამი, კვალად ეგების ქრისტიანედ შემნანე. ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავათ თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, იშვით შავ-გვრემან და მოყვითან, იშვით თვალ-ჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ; ქალთა თმა გარდაშვებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზე-და მოკვეცილნი; წერწეტნი, უმეტეს ქალნი; იშვით სქელნი, მხნენი, მუშაკ-ნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მხედრობათა შინა კადნიერ, მკვირ-ცხლნი, მსწრაფლნი, რამეთუ ვიეთნი 33 ეჯს თოთხმეტს ჟამს გაირბენენ; სალაშქროთა შინა ასოვანნი, საჭურველთ მოყვარენი; ამაყნი, ლაღნი, სახე-ლის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა ჰრიდებენ ქვე-ყანასა და მეფესა თვისსა; სტუმართა და უცხოთა მოყვარენი, მხიარულნი: უკეთუ ორნი ანუ სამნი არიან, არა-რა შეიჭირვიან; უხვნი; არცა თვისსა და არცა სხვისასა კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყვარენი; არამედ არს ჟამი რაოდენიმე არღა-რა ისახელების ცოდნა, თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალო-ბა-სიმღერისა და სამხედროსაგან კიდე და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობა; «ხოლო ვიეთთამე უწყიან ძველად ფილოსოფია, წიგნნი პლატონისა და არის-ტოტელისა და სხვათა ფილოსოფოსთანი, და აგრეთვე მამათა წმიდათა დოღ-მატნი და ღვთის-მეტყველებანი, და ვიეთთაცა იციან მხატრობანი ძველისა ბერძულებრისა ხელოვნებითა წყლითა და ზეთითა, ფიცართა და ტილოთა ზე-და, კვალად უწყიან ყოველთავე სამამაცოთა საჭურველთა კეთებანი და ყოველ-ნივე სახმარნი ხელოვნებანი, რაჲცა არიან და არცა ერთი აკლსთ. გარნა არიან»[1] ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტ-ზედ ადრე მიმდრეკნი, თავ-ხედნი, დი-დების-მოყვარენი, თვალ-მგებნი და მოთაკილენი; ხოლო რომელნი მთათა შინა სცხოვრებენ, მგზავსნი ნადირთა, განა გონიერნი. ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კასნი ერთ-რიგად: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვებული, აფროსანი; ტანს კაბა ღარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემომდე; მას-ზედ სარტყელი; შიგნით საგულე ბანბიანი, კა-ბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბანბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა ანუ ბანბისაგან ანუ ტილოსა;

1. აქ ნიშნებში ჩასმული სიტყვები ეკუთნის მხოლოდ დავით რექტორის ვარიანტსა.

არამედ ცხენსა ზედა ჰმოსიათ ს ა წ ა რ მ ა რ თ უ ლ ი და მოკვნი, თვინიერ მისსა არა; ფერხთა პაიჭი და წუღა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული; უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი. კვალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი (არამედ პირველ, ერთ-მეფობასა შინა სცმიათ სხვა-გვარ. თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუხჭული ბეჭსა ზედა მცემელი და გრძელ-ბეწოსანი, პერანგი ბერული ტილოსი და კაბა გრძელი კოჭამდე უღილოდ; მას ზედ სარტყელი ფოჩ-ჩაშვებული, ტყავი დიდი სახელ-ვიწრო და ფერხთა ზედა მ ო გ ვ ი, ვითარცა იცნობიან ნახატებთა ზედა)[1]. ქალთაცა მგზავსად, განა სარტყელთა წვერნი ჩაშვებულნი და მას ზეით კაბა-ახალუხი ამოჭრილი, და თვინიერ პერანგისაგან კიდე არა-რაჲ ჰფარავს, და პერანგი მჭვირვალი, ხორცის მჩენელი, უპაიჭოთ ნიფხავი და ფერხზედ წუღა მაშია. ხოლო თავი ქალწულთა კავნი თვისისავე თმისა ლაწვთა ზედა და ქუდი ანუ ლეჩაქი; არამედ ქმროსანთა კავსა ზედა ლაწვს აქვსთ თმა შეწნული მსხვილი, იმიერ და ამიერ; და თმას ქვეშ მარგალიტით შემზადებულსა ამოიდებენ და თხემსა ზედა შეიკვრენ და ჰბურავთ მას ზედ ლეჩაქი. კვალად სამკაულნი იციან მრავალ-გვარნი, ზოგნი თვისნი და ზოგნი სპარსთანი; ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი, ტყავი და ტოლომა ბეწვულნი; განა ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწადმდე. ხოლო იმერთა მცირედ რამე განიყოფების; არამედ ქუდი მცირე საჭრისაგან, რომელი არა ბურვით, განა მდებარე არს თხემსა ზედა და ზამთარს ჰმოსიათ ტოლომა ოსმალური. ხოლო მესხთა დიდებულთა, ვითარცა ოსმალოთა, და გლეხთა რომელთამე, ვითარცა ბერძენთა, და რომელთამე ვითარცა ქართველთა გლეხთა.

---

1. ეს საგანი აქამომდე არ არის შესწავლული და ამისთვის რა გვარი ტან-საცმელი ყოფილა „ერთ მეფობის დროს," ანუ უწინ, ამაზე ჯერ-ჯერობით ვერას ვიტყვით. ამ საგნის მასალას გვაძლევენ, როგორც აქ თვით ვახუშტი გვარწმუნებს, სურათები, რომელთაც ძველის ეკლესიებისა და მონასტრების მხატვრობა წარმოადგენს. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ძველს ტან საცმელში, როგორც მხატრობა გვიჩვენებს, თემად და თემად განსხვავება ყოფილა.

# II

## ძველი ისტორია საქართველოჲსა

### თავი პირველი

---

ქართლოს იყო ნოეს ძის იაფეთისგან, რამეთუ იაფეთ ჰშვა ავანან, ავანან ჰშვა თარში, თარშმა ჰშვა თარგამოს, თარგამოს ჰშვა რვანი გმირნი ესე: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლეკანოს, ჰეროს, კავკასოს და ეგროს. არამედ ოდეს განიყვნენ ძენი ნოესნი, დასაბამითგან 1758, ბერძულსა 2785, ქართულსა 221, მაშინ თარგამოსს წილად ჰხვდა ქვეყანა ესე საზღვრული: აღმოსავლით ზღვა გურგანისა, დასავლით ზღვა პონტიისა, სამხრით მთა ორეთისა ანუ ქურთისა, ჩრდილოთ მთა კავკასისა, და ჰმორჩილებდენ ნებროთს. ხოლო შემდგომად განუყო რა თარგამოს წილი თვისი ქვეყანა ძეთა თვისთა და მისცა ხვედრნი მათნი, ამათ რვათა ძმათა არღარა ინებეს მორჩილება ნებროთისა თვისისა გმირობისათვის (რამეთუ იყვნენ ფრიად გმირნი); მსმენელი ნებროთ განწყრა, მოუხდა და ჰბრძოდენ მრავალ დღე; არამედ შემდგომად მოიკლა ნებროთ ჰაოსისგან ისრითა მთასა ზედა არარატსა დასაბამითგან 1829, ბერძულსა 2856, ქართულსა 292[1] და განთავისუფლდენ მონებისაგან. ხოლო პირველვე განთავისუფლებისა თარგამოს განუყო რა ძეთა თვისთა, ესენი არიან წილნი მათ რვათა ძმათანი ქვეყანანი და საზღვარნი ხვედრთა მათთანი.

ჰაოსს მისცა აღმოსავლით საზღვარი ზღვა კასპიისა, სამხრით მთა ორეთისა, ჩრდილოთ მთა, რომელი წარმოივლის პონტოს ზღვისაგან და გამოვლის ბასიანის კარს და მოვალს ბარდა არაზამდე, და დასავლით ზღვა პონტოსი. ხოლო სხვა ხვედრი თვისი ესე: აღმოსავლით ზღვა კასპიისა, სამხრით არაზი და მთა წინა ხსენებული, რომელსა მოსდის მდინარენი ამიერ მომრთველნი მტკვრისანი და პონტოის ზღვისანი, და ამიერ რახსისანი, ჩრდილოთ მთა დიდი კავკასისა, სამხრით ჩრდილოთ კერძი და დასავლით ზღვა პონტიისა, შორთა ამათ მთათა რომელნი მდინარენი გამოსდიან და მიერთვიან ზღვათა.

1. აქა ქართული ქორონიკონი ხუთასიანი ხუთჯერ მოქცეულა და მეექვსესი 29.2 არს. შენ. ვახუშტისა.

ამათ, განუყო შვილთა ძეთა თვისთა. ხოლო საზღვარი ქართლოსისა არს: აღმოსავლით ბერდუჯის მდინარის მცირე მთა და გამართებით ხუნანისა ვიდრე გულგულა ტყე-ტბადმდე მიდგმით კავკასიისა, სამხრით მთა წინა-სხენებული, რომელი განვლის არაზიდამ პონტიის ზღვადმდე და გამომდინარენი მდინარენი ერთვიან მტკვარსა და შავ-ზღვასა, და ჩრდილოთ მთა კავკასი და მთა ღადოსი ვიდრე ზღვადმდე სპერისა, და დასავლით მთა მცირე-ლიხი და მთა, რომელი განვლის ტაოსა და კლარჯეთს შორის და მივალს ზღვადმდე, და იგივე ზღვა პონტიისა, და ამათ შორის ქვეყანა არს წილი ქართლოსისა [1].

ბარდოსის წილი არს: აღმოსავლით მდინარე რახსი, სამხრით მთა წინათივე, რომელსა მოსდიან მდინარენი და ერთვიან მტკვარსა, დასავლით ბერდუჯის მდინარის მცირე მთა და ჩრდილოთ მდინარე მტკვარი.

1. საქართველოს ისტორიის დასაწყისი, როგორრათაც შემდეგი მისი ცხოვრება ვახუშტს გამოუკრეფია ქართლის ცხოვრებიდამ შემოკლებით. ამ დასაწყისზე ჩვენი აზრია შემდეგი. იგია შედგენილი ქრისტიანის ხელით. ამ აზრს ჰმოწმობენ ც.-ხბის 21, 24, 39—40 სტრიქონები, რომელნიც წარმოადგენენ ქართლოსიანთაგან ღვთის დავიწყებას, ისრაელების ეგვიპტით გამოსვლას, მოგვების მისვლას იერუსალიმში, ქრისტეს შობას, ცხოვრებას და ჯვარცმას. ამ გვარად წერა წარმართის მიერ შეუძლებელი იყო. ქ.-ცხოვრების დასაწყისი შედგენილია იმ დროს, როდესაც ბერძნულ გავლენას ექვემდებარებოდა სომხური ენა და ლიტერატურა. აქ ჯერ ეს უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ მამათმთავართ სახელების ფორმები ბერძნულია, მაგალ. თარგამ-ოს, ქართლ-ოს, მცხეთ-ოს, გარდაბ-ოს. აქ ქურთისტანის მთის ქედი სახელ-წოდებულია ორეთად, რომელიც ბერძნულად ჰნიშნავს მთასა (*Hist. de la G., Introd..* p. XXXIII.) ჩანს, რომ ბერძნული გავლენა ჩვენში მოქმდებდა სომხეთით. სომხეთში ძველადვე ყოფილა ორი ენა—სირიული ანუ უკეთ სირიაკული და ბერძნული. სომხური ისტორიული მოთხრობაები უწერიათ მე-IV საუკუნემდე სირიელებს—მარ აბას კატინას, ლერუბნას, ბარდეზანს, ბერძნებს—აგათანგს და სხვ. (Victor Langlois, *Etudes sur les sources de l' Hist. d' Arm. de Moise de Khorène—Mél. Asiat.*, IV *livr.*, p. 295). გამოჩენილი სომხეთის მეისტორიე მოსე ქორენელი, რომელსაც ეკუთნის ვრცელი „ისტორია სომხეთისა, დაფუძნებული უმთავრესად ბერძნების საეკლესიო მწერლებზე, ცხოვრობდა იმ დროს, როდესაც საქრისტიანო მემატიანენი ყველა ტომთ გვარ-ტომობას ამყარებდნენ „დაბადების“ გარდამოცემაზე. ამ წყაროზე აუშენებიათ მოსე ქორენელს სომხობის შთამომავლობა და ქართლის ცხოვრებას ქართველობის მომდინარეობა. (Renan, *Hist. des langues sémit.* 27.—Langlois, *Collect.*, I, 16.—*Mél. Asiat.*, VI, livr. 3, 310—311). მარ აბას კატინა ამბობს: „არმენაგის მამა ჰაიკი შთამომავლობდა თორგომისაგან და იაფეტისაგან“ (Langlois, *Collect.*, I, 16—17). მოსე ქორენელი: „იაფეტმა ჰშვა გომერი, გომერმა თირასი, თირასმა თორგომი, თორგომმა ჰაიკი, ჰაიკმა არმენაგი“ (Ib, II, 58). ქართლის ცხოვრება: „თარგამოს, მამა სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა იყო ძე თარშისა, ძისა ავანანისა, ძისა ნოესა“ (ქართლ.-ცხოვრ., 15). აქედამ იგულისხმება, რომ სომეხნი თავიანთ შთამომავლობას უკავშირებენ ნოეს თირასით, ქართველნი თარშისით, რომელიც არის იგივე თირასი და რომელსაც, ესეც უნდა ითქვას, „დაბადებაც“ იხსენიებს. ამასთანავე სომხების თორგომა და ქართველების თარგამოსი არის ერთი და იგივე ფორმა, მაშინ როდესაც ყველა და-

ხოლო ნაწილი მოვაკანისა არს: აღმოსავალით ზღვა გურგანისა, სამხრით მტკვარი, ჩრდილოთ მთა კავკასი და დასავლით მცირე და დიდი ალაზნის შესართავიდამ ვიდრე მტკვრამდე და გამართებით კავკასამდე.

ხოლო ნაწილი ჰეროსისა არს: სამხრით საზღვარი მოვაკანისა, დასავლით მტკვარი, აღმოსავალით კავკასი და ჩრდილოთ ჴუნანიდამ განვლილი გულგულა ტყე-ტბა კავკასამდე.

ხოლო ეგროსის წილი არს: აღმოსავალით მთა მცირე ლიხისა, სამხრით მთა ლადოსი, ჩრდილოთ კავკასი, დასავლით შავი ზღვა ანუ პონტიისა.

ხოლო ლეკანის წილი არს: აღმოსავალით ზღვა კასპიისა, სამხრით და დასავლით მთა კავკასი და საზღვარი კავკასოსისა, ჩრდილოთ მდინარე დიდი ხაზარეთისა.

ხოლო კავკასოსის წილი არს: კავკასიის მთის ჩრდილოთ კერძი, ლეკანის საზღვრიდამ ვიდრე ზღვადმდე პონტიისა ანუ შავისა.

ხოლო ოდეს მოიწივნენ შვიდნი ესე ძმანი თვის-თვისთა ხვედრთა ქვეყანათა, იწყეს შენობად; არამედ ქართლოს უხუცესი და მთავარი მათი მოვიდა, სადა ერთვის მტკვარსა არაგვი და ამის დასავლით, სადაცა ერთვის მცირე მდინარე მტკვარსავე სამხრიდამ, მის მდინარის ორსა მთასა შორის აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ქალაქსა მას ქართლოს (რომლისა გამო ეწოდა ქვეყანასა ამას ქართლი), და დაიპყრა ქვეყანა ბერდუჯით ტყე-ტბიდამ ზღვადმდე სპერისა წილ-ხდომილი თვისი; ხოლო შვილთა შორის ქართლოსისათა გამოჩნდენ ხუთნი გმირნი: მცხეთოს, გაჩოს, გარდაბანოს, კასოს და კუხოს; არამედ გმირობითა უწარჩინებულესი და უხუცესი იყო მცხეთოს; და შემდგომად სიკვდილისა ქართლოსისა დედამან მათმან წილი ქართლოსისა განუყო ხუთთა მათ ძმათა და მისცა გარდაბანოს ხუნანი და გარდაბანი, გაჩოს ობის (ორბის) ციხე და სკვირეთს ზეითი აბოცის მთამდე და ფანავარამდე,

ნაშთენთ ტომთ ფორმაა თოლორმა. ცხადია, რომ თირასი გამოგონილია სომხეთის მწერლებისაგან და მითვისებული ქართლის ცხოვრებისაგან; თვით ქართლის ცხოვრების პირველ შემადგენელს დაუკავშირებია ქართველთ შთამომავლობა სომხების შთამომავლობასთან. მაგრამ არც მარ აბას კატინა, არც მოსე ქორენელი არ იხსენიებენ ქართველ ტომს თორგომას შთამომავლობად; იმათ ერთ გვარ-ტომობას ჰმოწმობენ სომხეთის მწერალნი მხოლოდ მე-XIII საუკუნ.—სტეფანოს ორბელიანი, ვარდან დიდი და მხიტარ აირივანქელი; მაგრამ ისინიც ამ თქმულებას აფუძნებენ, იმათ სიტყვითვე, საქართველოს ქრონიკებზე (*Hist. de la G.*, I, 16 и 1.—*Mém. de l' Acad.*, XIII, № 5, 14). ერთი უმთავრესთა საბუთთაგანი, თუ რომელი ტომი რომელ ტომთან არის ნათესავურად დაკავშირებული, არის ლინგვისტიკური გამოკვლევა ენებისა. ლინგვისტიკის მხრივ ჯერეთ საფუძვლიანად არის შესწავლული მხოლოდ სომხური ენა და დასკვნილია, რომ ის წარმომდგარა იმავე არიულის ძირიდამ, რომელსაც ეკუთნიან ზენდური, სპარსული, ოსური, ქურთული და ავგანური. (Abel Hovelacque, *La Linquistique—Bibliotheque des sciences contemporaines.* Paris, 1876, p. 218.

და კახოს მისცა კახეთი და კუხოს კუხეთი. ხოლო მცხეთოსს უწარჩინებულესს ძესა მისცა ტფილისისა და არაგვის დასავლეთი ლიხის მთამდე და ზღვადმდე სპერისა და საზღვარი ქართლოსისა ტაო კლარჯეთს შორისი მთა ზღვამდე და მთა, რომელსა ჰქვიან მდინარენი და ერთვიან შავს ზღვასა და მტკვარსა[1]. ხოლო შემდგომად ამისა მცხეთოსის ძეთა შორის უმეტეს წარჩინებულნი იყვნენ სამნი ესე გმირნი: პირველი უფლოს, მეორე ოძრახოს და მესამე ჯავახოს, რომელთა მცხეთოსვე განუყვნა ქვეყანა და ნათესავნი თვისნი, და უფ-

ამას წინათ ქართული ენის გვარ-ტომობასაც უკავშირებდნენ არიულს ანუ ინდო-ევროპიულს ენებს—ბროსსე სომხურს, ბოპპი სანსკრიტულს; მაგრამ ახლა ორივე ეს აზრი უკუ-ვარდნილია. უჩვენოთ კიდევ საბუთი. თუ თქვენ შეუთანასწორეთ ქართლის ცხოვრების გარდმოცემა მარ აბას კატინას თქმულებას ჰაოსის დასახლებაზე მასისის ძირად და თარგმოსიანთ ბრძოლაზე ნებროთთან (Langlois, *Collect.*, I, 18), უეჭველად დარწმუნდებით, რომ ქართლის ცხოვრებას ეს ცნობები გამოუკრეფია შეცვლით მარ აბას კატინას თხზულებიდამ. თვით ფარნავაზ მეფისაგან შემოღებული პოლიტიკური წეს-დება და დამყარება საspaspaspaspatesosi და საერისთაოებისა მოგვაგონებენ ვაჰარშაკის მიერ დაფუძნებას სომხეთში სასატრაპოებისას (ქ.-ცხ., 31.—*Collect.* I, 46, II, 26). როგორც ქართლის ცხოვრება, აგრეთვე მოსე ქორენელი ძველადვე უჩვენებენ არმაზის ტაძარს—პირველი მცხეთის მახლობლად, სადაც ქართლოსის სასაფლაო იყო, მეორე ანის ქალაქში, სადაც სომხეთის მეფენი არშაკიდნი იმარხებოდნენ (ქ.-ცხ. 19, 20, 32.—*Collect.*, II, 106.—Асогикъ, *Всеобщая исторія*. Москва, 1864, стр. 262). ქართლის ცხოვრების თქმით, ქართველნი ძველად „მკვდარსა სჭამდნენ და საფლავი არა იყო“. მოსე ქორენელი მკვდრის ჭამას სომხებისაგან არ იხსენიებს, მაგრამ ამტკიცებს, რომ იგინი „ვიშაპებს (ვეშაპებს) უმსხვერპლავდნენო ქალწულ ქალებს და უმანკო ჭაბუკებს. (ქ.-ცხ., 26.—Асогикъ, *Всеобщая исторія*, 278).

1. აქ მოხსენებული საქართველოს საზღვართაგანი სპერის ზღვა არის იგივე შავი ზღვა, მაგრამ ჭოროხისა და ტრაპიზონის მხრივ. ეს სახელ-წოდება წარმომდგარა სიტყვიდამ ის-პირი, ანუ იგივე სპერი, რომელიც არის ერთი ჭოროხის ხეობათაგანი. არც ქ.-ცხება, არც ვახუშტი არ უჩვენებენ ცხოველად საქართველოს საზღვრებს. ნამდვილ მის გეოგრაფიულ საზღვრებად ჩვენის ისტორიის დასაწყისში უნდა ავღრიცხოთ ის საზღვრები, რომელთა შორის იმ დროს ყოფილა მოთავსებული ქართველი ტომი, ესე იგი: ზემო და შუა მტკვარი თავის ღელე-მინდვრებით, ჩრდილოეთით არაგვი, სამხრეთით ხრამი ანუ ქცია, დებედა და ახსტაფა, დასავლეთით რიონი ვიდრე გაგრამდე. (*Hist. de la G.*, II, 2 *livr.*, p. 111). ამ სივრცეზე ყოფილა გავრცელებული ქართული ენების გვარი, რომელსაც შეადგენდნენ: აწინდელი ქართული, სვანური და ჭანური ანუ ლაზური მეგრულითურთ. სვანები მკვიდრებულან იქვე, სადაც ახლაც ცხოვრობენ. ჭანურ ენას სჭერია მთელი აღმოსავლეთი პირი შავის ზღვისა ყუბანის მდინარიდამ ტრაპიზონის თემამდე და თვით ტრაპიზონიცა (ქ.-ცხ. 17,42) ანუ მთელი ის სივრცე, სადაც შემდეგ ჩვენ დრომდე სახლობდნენ ანუ სახლობენ—ჩერქეზნი, აფხაზნი და ჭანნი, რომელნიც ქ.-ცხბის აზრით ირიცხებიან მეგრელებად (ქ.-ცხ., 42). სულ ძველის-ძველად სად და როგორ ყოფილა გავრცელებული ქართველი ნათესაობა, ამაზე იხილე ჩემი „ახალი გამოკვლევა ისტორიის წინადროებაზე და ქართველი ტომის დასაწყისზე.“ ეს ტომი ტრაპიზონს იქითაც ყოფილა გავრცელებული თითქმის ჰალიზის მდინარემდე მცირე აზიაში.

ლოსს მისცა ტფილის არაგვის დასავლეთი ტაშის კარ ლიხის მთამდე და ფანავრამდე თრიალეთი. ხოლო ოძრახოსს მისცა ტაშის კარს ზეითი და მტკვრის დასავლეთი ზღვამდე პონტიისა და ადგილი კლდოანი ქართლოსის საზღვრამდე; ჵ ჯავახოსს მისცა მტკვრის აღმოსავლეთით ფანავრამდე და თავადმდე მტკვრისა. ხოლო უფლოს დარჩა სამკვიდრებელსა მამისა თვისისასა მცხეთას, და ჰმორჩილებდენ ყოველნი ქართლოსიანნი ამას ჟამადმდე; არამედ შემდგომად, მოჰკვდა რა მცხეთოს, აღარა მორჩილ-ექმნენ უფლოსს და იწყეს შფოთებად და ხდომად ურთი-ერთთა და განძლიერდა მათ შორის ესე ვითარი შური და ხდომა, ვიდრე ღმერთიცა დამბადებელი თვისი დაუტევეს და მსახურებდენ მზესა, მთვარესა და ვარსკვლავთა, და უმეტეს იყო მათდა საფიცველად საფლავი ქართლოსისა დასაბამიოგან 2267, ქართულსა 198. არამედ ოდესცა დაიზავიან, ეგრეთვე იყო მათდა უწარჩინებულესი და უფალი მცხეთას ქალაქსა შინა მჯდომარე, რამეთუ განდიდებულ იყო შემდგომად მცხეთა, გარნა არა უხმობდენ მეფედ მუნ მჯდომსა, არცა მთავრად, არამედ მამასახლისად, გარნა ყოველნი მას ჰმორჩილებდენ. კვალად უკეთუ შეშფოთდიან და ხდომა იწყიან, თვისთვისნი მთავარნი იხსნიან და იყვნენ ეგრეთ დრომდე.

ხოლო ამისა შემდგომად განძლიერდენ ხაზარნი და უწყეს ბრძოლა მეთა კავკასოსთა; უწარჩინებულესი იყო პირველად ძურძუკოს ძე ტინენისა. ესე ეზრახა ექვსთა ნათესავთა ძმათა (რამეთუ მაშინ იყვნენ სიყვარულსა ზედა ურთი-ერთსა და მორჩილებასა მცხეთელ მამასახლისისა), რათა მწე ეყვნენ. მაშინ შეითქვნენ შვიდნივე ნათესავნი ესე, შეკრბნენ და გარდავლეს მთა კავკასი, მოსრნეს და მოსტყვევნეს ხაზარეთი, და აღაშენეს პირსა ხაზარეთისასა ციხე (ბერძულსა 3861), რამეთუ ხაზარეთის მდინარე არს დონის წყალი ჵ ხაზარეთი დონის წყლიდამ დნესტრამდე შავი ზღვის პირი ლიტოვამდე და რუსეთამდე: და წარმოვიდენ თვის-თვისად დასაბამითგან 2302, ქართულსა 233. შემდგომად ამისა ქმნეს ხაზართა მეფე, და შეკრბნენ მის ქვეშე და გამოვლეს გზა დარუბანდისა. ამათ ვერ წინა აღუდგენ თარგამოსიანნი, შემოვიდენ, მოსრნეს და მოსტყვევნეს თარგამოსიანნი დასაბამით 2310, ქართულსა 241, ჵ ისწავლეს გზა დარუბანდისა და არაგვისა, და განამრავლეს შემოსვლა თარგამოსიანთა ზედა და იყვნეს მოხარკედ მათდა ჟამ რაოდენმე[1].

კვალად ამისა შემდგომად განძლიერდენ სპარსნი და წარმოგზავნა სპარსთა მეფემან აფრიდონ ერისთავი თვისი არდამ. ამან შეკრა გზა ზღვისა და უწოდა დარუბანდი, ესე იგი «დახშა კარი». ამანვე იწყო მცხეთას ქვითკირი დასაბამით 2342, ქართულსა 273, და დაიპყრა ამან არდამ შვიდნივე ესე ნათესავნი; არამედ შემდგომად, ოდეს განიყვნენ ძენი სპარსთა მეფისა აფრიდონისანი და დაი-

1. ხაზარებზე იხილე ჩემ სტატიაში: „მირიან მეფე და წმინდა ნინო."

წყეს ხდომა ურთიერთთა, მაშინ შეიზრახნენ შვიდნივე ესე ნათესავნი და მო-სწყვიდნეს ერისთავნი სპარსთანი და დაემორჩილნეს მცხეთელ მამასახლისსა; არამედ ეგრის წყალს იქითნი მიერთნენ ბერძენთა; ხოლო მათ მიერ იცეს მა-ლი სპარსთა ზედა და არღარა ერჩდენ მცხეთელ მამასახლისსა; ეგრეთვე რა-ნი [1]) და მოვაკანი დაშთა სპარსთა და ნეშტნი მცხეთელ მამასახლისსა მორჩი-ლებასა შინა. ხოლო შემდგომად განძლიერდენ სპარსნი და მოვიდა ქეკაოს მეფე სპარსთა ლეკეთს და ვერ შევიდა, რამეთუ ბრმა ჰყო ლეკმან ვინმე. ამან კვალად მოხარკე ჰყო ქართლი და წარვიდა დასაბამით 2434, ქართულსა 365. ამისა შემდგომად მოვიდა ამბავი, ვითარ ისრაელთა განვლეს ზღვა დასაბამით 2454, ქართულსა 385 და აქეს ყოველთა წარმართთა ღმერთი ისრაელთა. ამისა შემდგომად უცილო იქმნენ სპარსნი და იცეს ჟამი ქართველთა და განდგნენ, და ჰმორჩილებდენ მცხეთელ მამასახლისსა. მცნობმან სპარსთა მეფემან ფარშორტ წარმოგზავნა ძე თვისი თარგამოსიანთა ზედა; არამედ შეკრბნენ ესენიცა და მიეგებნენ ადარბადგანს; მუნ ეწყვნენ და აოტნეს სპარსნი და მოსრნეს ურიცხვ-ნი დასაბამით 2482, ქართულსა 413, და მოვიდენ გამარჯვებულნი თვისად. შემდგომად კვალად წარმოგზავნა ძე თვისი სპარსთა მეფემან ხოსრომ; შემოვიდენ და შემუსრნეს ციხე-ქალაქნი და მოსტყუენეს, მოხარკე ჰყვეს [2] და წარვიდენ

1. რანი არს ყარაბაღი, დავით რექტორი.

2. რომ აქ და ქ.-ცხ.-ბაში (გვ. 23—26) ხსენებული ცნობები სპარსეთის წყაროებიდამ არის გამოკრეფილი; რომ ეს წყარონი ადგილ-გასარკვეველნი არიან; რომ ძველის-ძველად საქართველოს ზნე-ჩვეულებანი და წეს-დებანი სპარსეთის გავლენას ქვეშ ყოფილან ამ საგანზე იხილე ჩემი სტატია *Объ источникахъ и характерѣ первоначальныхъ преданій „Картлисъ-Цховреба“*, Извѣст. Кавк. Общ. исторіи и археологіи. Тифлисъ. 1882, выпускъ первый, стр. 27—43.

შავის ზღვის პირად, როგორც ახლა გამოკვლეულია, თავ-და-პირველად სააღებ-მიცემო ფაქტორიები ჰქონიათ გაშენებული ფინიკიელებს და იმათ შემდეგ მე VII—VI საუკუნიდამ ქრისტეს წინ იმ ადგილებზე დამყარდნენ ბერძნების კალონიები; დედა-კალონია იმათში იყო დიოსკურია (ახლანდელი სოხუმი) და იმის ხელ-ქვეითნი: გვენოსი ანუ ტკვანოსი მარკულაზე, ილორი, ბედია, ჰერაკლეა ანუ ანაკლია. ფრანცუზის მოგზაური დიუბუა-დე-მონპერე ამბობს: „ცხადია, რომ დიოსკურიას კაი-ხანი დაუცვავს თავისი შემძლეობა და გავლენა. ამას გვიმტკიცებს თვით ქ.-ცხობა: როდესაც ფარნავაზ მეფემ განდევნა აზონი და მთელი მხარე დაიპყრა, იმან ვერ შესძლო დაჭერა ეგურისა, ესე იგი იმ მხარისა, რომელიც ფაზიდამ (რიონიდამ) კოდორამდე მდებარეობდა და რომელიც ისევ ბერძნების ხელში დარჩა.“ როგორ მტკიცედ ყოფილან იქ დამყარებულნი ბერძენნი, ამას გვიმტკიცებს ზოგი-ერთი მანათები, რომელნიც თვით ადგილობრივ იჭედებოდნენ და რომელთა წარწერაებში თურმე იკითხება: „მოსხეთი, კოლხიდა, დიოსკურია.“ ამასვე გვიმოწმებენ მრავალნი ნაშთნი იმათის დროის შენობათაგანნი აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიაში და იმერეთში. იმათში განსაკუთრებით შესანიშნავია ერთი ვრცელი ქვითკირის ზღუდე. ამ გვარ ზღუდეებს ძველის დროისას ვპოულობთ ხერსონესში, ბოსფორში, ფრაკიაში და სხ. დიოსკურიის ზღუდე იწყობა ზღვის პირად, სოხუმის მახლობლად, ახლანდელს კელასურში, მიემართება კოდორის მხრივ, აფხაზეთის შუა-გულში ჰზღუ-

დასაბამით 2490, ქართულსა 421. გჳანლად უცალო იქმნენ სპარსნი თურქთაგან და განთავისუფლდენ ქართველნი დასაბამით 2525, ქართულსა 456[1] მოხარკეობისაგან სპარსთასა და ერიდენ მცხეთელ მამასახლისსა მრავალ წელ.

ხოლო ამათ ჟამთა შინა შემოვიდნენ თურქნი სახლნი ვითარ ორიათას რვა-ასი[2], ლტოლვილნი სპარსთაგან, და უჩინა მცხეთელ მამასახლისმან ადგილნი და დასხნა იგინი; რამეთუ ამათ დროთავე შინა ვინცა ვინ მოვიდიან— ასურნი, ბერძენნი, ხაზარნი, ყოველთა ემეგობრებოდიან ქართველნი შიშისათჳს სპარსთა და შეიწყნარიან თჳსთა ქვეყანათა და ამაგრებდიან ციხე-ქალაქთა მოლოდინისათჳს სპარსთასა. შემდგომად გჳალად მოვიდნენ ლტოლვილნი ურიანი ნაბუქოდონოსორისაგან დასაბამით 3363, ქართულსა 230[3], დასხნა

დავს ზემო ხეობაებს მარკულისას და გალიზგისას, გადადის ბედიის ზემოთ და მიებჯინება ინგურს ათანგელის ზემოდ. იმისი სიგძე, ამბობენ, 160 ვერსამდე ყოფილაო. ადგილ-ადგილ იმას დატანებული აქვს კოშკები. კლავდი პტოლომე (120—170 წ. ქრისტ. შემდ.) ამ ზღუდეს უწოდს *Karteron Teikhos*—„მაგარ ზღუდედ." ეჭვი არ არის, ის უნდა იყოს აშენებული ბერძნებისაგან კავკასის მთიულთა შესაკავებლად. (Langlois, *Essai de classification des suites monétaires de la Géorgie.* 1860, p. 12,13. —Dubois de Montpèreux, *Voyage autour du Caucase.* Paris. 1839—1843., t. I, 308—312.)

ქართლის-ცხოვრების თქმულება ბერძნებზე ყველა ედდნებში შეწყვეტილია და დაუსრულებელი. იქ ქართველების ბრძოლის გამო ნათქვამია: „მაშინ ჰპოვეს ჟამი მარჯვე ქართლოსიანთა... ბერძენთასა." მხოლოდ რუმიანცოვის მუზეუმის ვარიანტშია ეს ფრაზა სრულიად მოყვანილი: „და შეეწიეს ბერძენნიცა და მოკლეს ერისთავი სპარსთა და ყოველი მხედრობა მათი გარდაწყვიტეს და განთავისუფლდა სპარსთაგან საქართველო და იყოფოდეს შეერთებით ყოველსა განზრახვასა და საქმესა შინა." (ქ.-ცხ. 23 და შენიშვნა 8). აქ უნდა დავურთოთ, რომ სენ-მარტენი ღირს-სახსოვარს ისტორიულ მნიშვნელობას მისთვისებს ქ.-ცხბის გარდმოცემას ბერძნებზე. იმის თქმით „ბერძნების მეისტორიეთა არ დაუტოებიათ არა ვითარი ცნობა, რომ იმათ კალონიებს შავის-ზღვის პირისას ჰქონიყო ბრძოლა კავკასიაში. მხოლოდ ქ.-ცხოვრებისაგანა გვაქვს გარდამოცემული ეს ცნობა, რომელიც წარჩინებული და ეჭვ გარეთი ჭეშმარიტება არისო." (*Mém. sur l' Arm.*, II, 190, n. e.)

1. აქ ხუთასიანი ქორონიკონი ქართული რვაჯერ მობრუნებულა და მეცხრეში მივალს. ვახუშტი.

2. ქართ.-ცხბის ზოგიერთის ვარიანტით—28 სახლი.; რუმიანცოვის მუზ. ვარიანტით—28,000 (*H. de la G.*, I, 30, n. 2). სომხურის ხრონიკით, რომელიც არის ძველი თარგმანი ქ.-ცხბისა—28 (*Addit. et Eclairc.*, 1851, p. 6.) ამ თურქთ შთამომავლობად ჰხადის სტეფანოს ორბელიანი ორბელიანთ გვარსა თავის ისტორიულ თხზულებაში *Hist. de la Siounie*, 1864, 1 livr., p. 209—212).

3. ხუთასიანი ქართული ქორონიკონი ცხრაჯერ მოქცეულა და მეათისა არს 230. ვახუშტი.—ებრაელების მოსვლაზე საქართველოში სხვათა საბუთთა შორის ნახე ერთი ქვა ძველის ებრაულის წარწერით, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ ამოიღეს საწარმართო სასაფლაოდამ მცხეთაში და რომელიც ეკუთნის ვითომც 589 წელს ქრისტეს წინად (ნახე ჩემი *О до-исторической археологіи*, стр. 37).

იგინიცა მცხეთელ მამასახლისმან ხერკს[1], არაგვის ჩრდილოდ კერძოდ. გარნა ამად დრომდე იყო ენა სომხური[2] საქართველოსა შინა და ქაოდენთა ნათესავთაგან იწყეს ენისა ქართულისა თქმად და აქვნდათ სჯულიცა უბოროტესი ყოველთა, რამეთუ არა იცოდენ ნათესაობა, არცა ცოლ-ქმრობა, ყოველსა სულიერსა ჭამდენ შეგინებულისადმდე, მკვდარსა კაცსა სჭამდენ. არამედ შემდგომად კვალად მოცალე იქმნენ სპარსნი და გვასტასაბ მეფემან წარმოავლინა ძე თვისი სპანდიერ რვალი (სპანდიტისი მარიამ დედოფლის ვარიანტით) და მოვიდა არდაბაგანს; ამას შეუშინდნენ ქართველნი და განამაგრებდენ ციხე-ქალაქებთა, რამეთუ არა ძალედვათ წინააღმდეგობა; არამედ ეწია ამბავი ძესა სპარსთა მეფისასა სპანდიერს და გარე-უკუიქცა სპარსეთადვე დასაბამით 3407, ბერძულსა 4966, ქართულსა 274 და დაშთნენ მშვიდობით ქართველნი. არამედ შემდგომად კვალად განძლიერდენ სპარსნი და სპარსთა მეფემან ბაამან[3] ბერძენნი და რომნი მოხარკე ჰყვნა და ყოველნი ნათესავნიცა ესე თვისად მოხარკე ჰყო დასაბამით 3419, ქართულსა 286. არამედ ქაოდენთა ნათესავთაგან იზრდებოდა საქართველოსა შინა ექვსნი ენანი—სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ბერძული, ებრაული და უბნობდიან მამანი და დედანი ყოველნი. (ზოგ ვარიანტებში: «ყოველნი მეფენი ქართლისანი»).

ხოლო ოდესაც გამოჩნდა ალექსანდრე ბერძენი მაკედონელი და დაიპყრა დასავლეთი, შემდგომად დაიპყრა ეგვიპტე და შემოვიდა აღმოსავლეთს, ჰსძლო სპარსთა და მეფესა მათსა[4]. მერმე მოვიდა ქართლს დასაბამით 3623, ქართულსა 490, და იხილა ნათესავი ესე უბოროტეს ყოველთა წარმართთა. ხოლო ამან ალექსანდრემ მოსწყვიდნა ყოველნი ნათესავნი შერეულნი, თვინიერ ქართლოსიანთა და ურიათა, და დაიპყრა საქართველო და დაუტევნა ლაშქარნი ასი ათასნი[5], და მათ ზედა მთავარი აზონ ძე იარედისა მაკედონელი; არამედ მოსპო ჭამაცა მკვდართა და სჯულად დაუდვა დამბადებელისა ერთისა ღვთისა თაყვანისცემა და მზისა და მთოვარისა და ვარსკვლავთა პატივი

1. ხერკი არს საგურამო. დავით რექტორი.

2. „ამად დრომდე იყო ენა სომხური.“ ქ.-ცხბით: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა იყო სომხური...“ (გვ. 25.) შეცდომაა ეს გადამწერისა თუ არა, ჯერ არ ვიცით; აქ მხოლოდ მივმართავთ მკითხველის ყურადღებას იმავ 25 გვერდის 3 და 4 შენიშვნებს, რომლებშიაც ბროსსეს შემოაქვს სხვა ვარიანტი ქ.-ცხბისა. აი ეს ვარიანტი: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა იყო მხოლოდ ქართული, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა გარყვნეს ენა თვისი და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქნა ენა მრავალი.“

3. ბაამან მეფე სპარსთა კიროს გინა კირ. ვახუშტი.

4. სპარსთა მეფე იყო მას ჟამსა დარიოს კოდომანი. დ. რექტ.

5. ვიდრე ათასნი. ხოლო სხვასა ქართლის მცირესა მატიანესა შინა სწერს მეისტორიე ქართლისავე ბრძენი ორასისა მხედრისა დატევებასა ქართლად აზონითურთ, რომელიცა ესე უკვე უფროს ჭეშმარიტ არს ორასისა მხედრისა დატევება. დ. რექტ.

და თვით წარვიდა[1]. ხოლო ესე აზონ იყო კაცი მოსისხლე და მეშურნე, და უკეთუ ვინ კეთილ-ჰსახოვან გამოსჩნდის საქართველოსანი, მოაკვდინებდა და თვისთა ლაშქართაცა ეგრეთ უყოფდა. ამით იყო ჭირი დიდი საქართველოსა შინა აზონის გამო. ხოლო ოდეს მოკვდა ალექსანდრე მაკედონელი და განიყვეს მთავართა მისთა ქვეყანანი ესე, დაუტევა აზონ სჯული ალექსანდრესი და ჰქმნა კერპნი დიდნი — გაცი ოქროსა და გაიმ ვერცხლისა და მსახურებდა მეფესა მცირისა აზიისასა. ამის აზონის დროს იწყეს ქართველთა შვილთა თვისთა კერპთა შეწირვად და არა აყენებდა აზონ, ვინათგან თვითცა ჰკლვიდა.

ჟამთა ამათ შინა იყო ჭაბუკი სახელით ფარნავაზ ნათესავით ქართლოსიანი და ბიძა ფარნავაზისა სახელით სამარა მოსვლასა შინა ალექსანდრე მაკედონელისასა მცხეთას მამასახლისობდა. ხოლო მოიკლა სამარა და მამა ფარნავაზისა და ძმა სამარასი ალექსანდრესაგან, და ესე ფარნავაზ სამის წლისა წარეტაცა დედასა თვისსა (რომელი იყო ნათესავით სპარსი) კავკასიად და მუნ აღეზარდა, და შემდგომად კვალად მოსრულიყო მცხეთადვე. ესე ფარნავაზ იყო მხნე, ახოვანი და მშვენიერი, მონადირე და კისკასი და ჩაუქი; არამედ ამას კრძალვიდა დედა თვისი აზონისაგან და უთქმიდა წარსვლად სპარსეთად; გარნა ძნიად აღუჩნდებოდა ფარნავაზს დატევებანი მამულისანი. ხოლო დღესა ერთსა იხილა სიზმრად ფარნავაზ, რათა განვიდეს სახლიდამ და ვერ შეუძლო; მაშინ შემოადგა სარკმლითგან მზე და მოერტყა წელსა მისსა, განზიდა და განიყვანა გარე და იხილა მზე მდებარე ქვეშე თვისსა, მოხოცა ცვარი მზესა მას და იცხო პირსა ზედა თვისსა. ხოლო განიფრთხო რა, სთქვა: „წარვიდე

1. შესაძლებელია თუ არა, რომ ალექსანდრე მაკედონელი თვით შემოსულიყო საქართველოში, ამაზე ნახე *Hist. de la G.*, I, p. 35, n. 6, და აგრეთვე ჩემგან შეგროვებული ცნობები ჩემს საქართველოს ისტორიის გამოკვლევაში. აქ ესეც უნდა დავურთოთ, რომ არა თუ საქართველოს მემატიანენი ალექსანდრეს ყოფნას ჩვენ ქვეყანაში უეჭველ ფაქტად იხსენიებენ, ზოგი-ერთნი ძველნი უცხო-ტომთ ცნობანიც არ არიან ამისნი წინააღმდეგნი; მაგალითებრ: მაკაბელთა პირველ წიგნში სწერია, რომ ალექსანდრემ შემდეგ სპარსეთის დაპყრობისა „მოვლნო ვიდრე კიდემდე ქვეყანისა." (თავი I, მუხლი 1—3). ამ ფრაზასვე იმეორებს ქ.-ცხბა: „დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქვეყანისანი." (ქ.-ცხ., 26); რომაელთ მწერალი ქრისტეს—შემდეგი კვინტი კურცი (41—54 წ.) მოგვითხრობს, რომ ალექსანდრემ ჩვიდმეტის დღის განმავლობაში ჯარით გადიარა კავკასის მთა. იული სოლინი (მე—IV საუკ. დამდეგს) გვიამბობს, ვითომც ალექსანდრეს დაემონავებინოს აზია, სომხეთი, იბერია, ალბანია... და ტავრის მთით გადაევლოს კავკასი. მარ აბას კატინა ამბობს, ვითომც დარიოსის სატრაპი მიტრიდატი ალექსანდრეს მოეყვანოს და დაედგინოს მთავრად ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებულთა იბერიელთა, რომელნიც შავი ზღვის პირად სახლობდნენ (Гана, *Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ*. Тифлисъ, 1884, стр. 145, 179.—Langlois, *Collect...*, I, 49). თუ ამ გვარი სიცრუე ყოფილა გავრცელებული საქართველოს გარეშე, მაშ არ უნდა იყოს ჩვენთვის გასაკვირველი ისიც, რომ ქ.-ცხოვრებაშიაც შემოუტანიათ იგი, როგორათაც ისტორიული ფაქტი.

სპარსეთად და მოვიპოვო მუნვე კეთილნი.“ ამისა შემდგომად ჩვეულებისაებრ განვიდა ნადირობად სანახებსა დიღმისასა, ჰსტყორცა ისარი ირემსა და ჰკლვიდა რა ესწრა ბინდი და წვიმა მძაფრი და ემიებდა სავანესა; მაშინ ჰპოვა ქვაბი რომლისა კარი აღმოქოლვილი იყო, ისადა ჩუგლუგი და გამოჰკვოდა კარი; ხოლო შესრულმან მას შინა იხილა საუნჯე დიდი ოქროსა და ვერცხლისა; და განიხარა ფრიად. დილასა აღმოჰქოლა კარი მისი, და წარმოვიდა მცხეთას და იწყო მუნით გამოკრებად ღამით საუნჯისა მის და დაფლვად სიმარჯვედ თვისად. მაშინ იყო ნათესავით ქართლოსიანი სახელით ქუჯი; ამას თანა წარგზავნა კაცი, რათა შეეწიოს განძითა ამით და უმტეროს აზონს. ხოლო მან განიხარა და მიიყვანა თვისთანა ფარნავაზ; ამათ შეკრიბნეს ოსნი და ლეკნი (რამეთუ სიბოროტისათვის აზონისა სძულობდნენ იგინიცა და არა ენებათ მიცემა ხარკთა). შეკრებულნი ესე ყოველნი წარმოემართნენ აზონსა ზედა. ესე რა ჰსცნა აზონ, შეკრბა ესეცა სპითა წყობად მათდა, არამედ განუვლტნენ აზონს რომნიცა იგი ათასნი მხედარნი [1] და მიერთვნენ ფარნავაზს. ამისი მხილველი აზონ შეშინდა სპათაგანცა თვისთა, წარვიდა და განამაგრა კლარჯეთი.

## მეფე ფარნავაზ (301—237 ქრ. წინათ.)

ხოლო დაიპყრა ყოველი ქვეყანა საქართველოჲსა ფარნავაზ დასაბამითგან 3647, ქართულსა 514, ბერძულსა 5206, შემოვიდა მცხეთას, იქმნა მეფედ და დაემორჩილნენ ყოველნი საქართველოსანი; არამედ წარავლინა დესპანი წინაშე ასურეთის მეფისა და აღუთქვა მორჩილება, რათა შეეწიოს აზონსა ზედა. ხოლო მან წარმოსცა გვირგვინი სამეფო და უწოდა ძედ [2] და მოუწერა ერისთავთა სომხითისათა, რათა შეეწეოდენ ფარნავაზს აზონს ზედა, და შემდგომად ორისა წლისა მოიწთო ძალი აზონ ბერძენთაგან და წარმოემართა ბრძოლად; მაშინ ფარნავაზ დაიპყრა კლარჯეთიცა, მუნით შევიდა და მოსტყვენა საზღვარი საბერძნეთისა ანძიმორი და ეგლეცი და დაირთო საუნჯე და ქონება აზონისა და გარდაემატა სიმდიდრითა. ფარნავაზ მოქცეული შემოვიდა მცხეთას და განაგო სამეფო თვისი; მოიყვანა ქალი ძურძუკით და შეირთო ცოლად და ჰქმნა საქართველო ცხრა საერისთვოდ.

პირველს ქუჯის მისცა ქვეყანა რიონის დასავლეთი ზღვამდე და ეგრისის წყლამდე სვანეთით და დაჲ თვისი ცოლად; ხოლო ეგრისს იქითთა არა ინებეს განდგომა ბერძენთა, და კვალად მეორე დაჲ მისცა ოვსთა მეფესა ცოლად. მეორე ერისთავი დასვა მარგვეთისა შორაპანსს და მისცა მცირე ლიხიდამ კიდრე ზღვამდე ღადოს მთისა და რიონს შუათი. მესამე დასვა კახეთს, კუ-

1. სხვასა გამოკრებულსა ქართლის ცხოვრებასა შინა ჰსწერს ორასს იტალიელს მხედარს ალექსანდრე მაკედონელისაგან აზონთან დატევებასა. დავ. რექტორი.

2. იმ დროს სირიის მეფეებად ისხდნენ ინტიოქოსნი. იმათგანი რომელი უნდა იგულისხმებოდეს ფარნავაზის დროს ამაზე ნახე *H. de la G.-Introd.*, p. XXVIII.

ხეთს და ჭერეთს. მ ე ო თ ხ ე დასვა ხუნანს და მისცა ბერდუჯსა და მტკვარსშუა ტფილისამდე გარდაბანითურთ. მ ე ხ უ თ ე დასვა სამშვილდესა და მისცა სკვირეთის მდინარიდამ გაჩიანს ზეითი ფანავრამდე აბოცითურთ. მ ე ე ქ ვ ს ე დასვა წუნსა და მისცა მტკვრის აღმოსავლეთი ფანავრამდე და თავამდე მტკვრისა. მ ე შ ვ ი დ ე ოძრახოს და მისცა ტაშის-კარს ზეითი ზღვამდე პონტოისა და ჭოროხსამდე. მ ე რ ვ ე კლარჯეთსა და მისცა რომელი თვით დაიპყრა საზღვრით მისით ზღვამდე პონტოისა. მ ე ც ხ რ ე დაადგინა შიდა ქართლს და სპასპეტად ყოველთა ერისთავთა და სპათა ზედა, და ესევე მოიღებდა ამათ მიერ ხარკთა ქვეყანისაგან. ხოლო რომნი იგი ათასნი განჰყო ადგილთა და ხეობათა შინა და დასხნა და უწოდა აზნაურნი. არამედ ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა; მან აღაშენა და განავსნა ქვეყანა თვისი, მოზღუდნა ქალაქნი და ციხენი განამაგრნა, და შექმნა წიგნი ქართული და განავრცელა ენა ქართული, და უბრძანა რათა არღა-რა ზრახვიდენ ენათა სხვათა თვინიერ ქართულისასა, და ჰქმნა კერპი დიდი სახელისა თვისისა არმაზ (რამეთუ პირველად არმაზ ეწოდებოდა ფარნავაზს), და აღმართა საფლავსა ზედა ქართლოსისასა გაცის და გაიმს კერპთა შორის. ესე ფარნავაზ 27 წლისა მეფე იქმნა და 65 წელი იმეფა მშვიდობით და უშფოთველად; შემდგომად მოკვდა დასაბამით 3702, ბერძულსა 5271, ქართულსა 47 და დაფლეს წინაშე კერპისა თვისისა არმაზისა მთასა ქართლს [1].

1. ფარანაბაზი, ფარნუაზი, ფარნვაზი, ფარნაოზი ხშირად იხსენიება უცხო-ტომთ მატიანეებში: ბერძნებისაში, სომხებისაში და სპარსებისაში (*Hist. de la G.* I, p. 37, n. 1) მაგრამ ქართველების ფარნავაზზე გარეშე ქ-ცხბისა უცხო-ტომთაგანნი არავინ არას ამბობს; მხოლოდ ფავსტ ბიზანტიელი (IV საუკ). მოგვითხრობს, ვითომც სომხეთის სბარაბიედი ანუ სპასპეტი მუშეგი შემოსულიყოს ჩვენ ქვეყანაში (ბაკურ III-ს დროს 557-570 წ.) და ჯვარს-ეცვას, საქართველოს შუა-გულშივე, შთამომავლობა ფარნავაზიანთა (Langlois, *Collect.*, I, 288). ფარნავაზის ცხოვრებაში განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მივაქციოთ სამ საგანს:

პირველია-თქმულება აზნაურობაზე. ქ-ცხბა გვიამბობს, ვითომც აზნაური წარმომდგარიყოს აზონისაგან: „და უწოდა მათ (მხედართა აზონისათა) აზნაურნი“ (ქ-ცხ., 32); მაგრამ, როგორცა ჩანს, ქართული აზნაური და სომხური ა ზ ნ ი ერთი და იგივეა და ერთ-გვარს მნიშვნელობას უჩვენებენ: «კ ე თ ი ლ-შ ო ბ ი ლ ი». ხან და ხან აზნაური კიდეც იხმარება ჩვენ მწერლობაში სომხურის ფორმით; მაგალ. „აზნთა და მონათამდის“ (ქ-ცხ., 268); „იყო გვარ-ტომობით არა უაზნო“ (ქ-ცხ., 305). აქედამვე უნდა იყოს წარმომდგარი ა ზ ა ტ ი „თავისუფალი“, რომელიც ამ აზრითვე იხმარება ძველს სომხურს მწერლობაში (Langlois, *Collect.*, II, 137).

მ ე ო რ ე ა-ცნობა ქართულ მწერლობაზე. ჩვენში საზოგადოდ ის აზრია გავრცელებული, ვითომც მხედრული შემოელოს ფარნავაზსა; მაგრამ ამ აზრის საფუძველს ქ-ცხბა, ეს ერთად-ერთი წყარო, ჩვენ არ გვაძლევს. ქ.-ცხბა ამბობს: „ფარნავაზმა შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (გვ. 32). აქ მხედრულზე არა არის რა ნათქვამი. ის საბუთები კი, რომელიც გვაქვს, წინააღმდეგს ჰმოწმობენ. ჩვენში სულ ძველად იხმარება ხუცური ასო-მთავრული, საიდამაც მე-VII - VIII საუკ. იბადება ხუცურივე წვრილი ან-

## მეფე საურმაგ (237—162 ქრ. წ.)

შემდგომად მისა დაჯდა ძე მისი საურმაგ მეფედ; არამედ მეფობა მისი არა სთნდათ ქართველთა, რათა არა ჰმონონ მონათესავეთავე თვისთა და ამისთვის შეიზრახსნენ მოკლვად საურმაგისა. ჰსცნა საურმაგ და ივლტოდა ძურძუკეთს დედეულთა თვისთა თანა; გარნა რომნიცა იგი მაივლტოდენ ყოველნი საურმაგისა თანა კეთილ-ყოფისათვის ფარნავაზისა; მაშინ შემოიკრიბნა საურმაგ ძურძუკნი და ოვსნი, ჰშთამოვიდა და დაიპყრა კვალად საქართველო. ამისთვის დაამდაბლნა ქართველნი და აღამაღლნა დედეულნი თვისნი და აზნაურნი რომელნი იგი. მაშინ ძურძუკეთი ვერღა-რა იტევდა კაცთა სიმრავლისაგან, აჰყარა კავკასიანთურთ საურმაგ და დასხნა დიდოეთს და სვანეთს ეგრისამდე, და დაიპყრნა

ბანი და აქედამ მე-X საუკ. ჩნდება მხედრული, რომელსაც მე-XI-XII საუკ. ჯერ კიდევ ხუცური ასოების თვისება აქვს. რომ ხუცური ასო-მთავრული ძველად-ძველია, რომ იმიდგან მომდინარეობს ორივე დანაშთენი ანბანი, ამ აზრის საფუძველს გვაძლევენ: ძველი ჩვენი მანათები (მე-V საუკ.), ძველი მანუსკრიპტები ანუ ხელ-ნაწერები (მე V-VII საუკ.), ჯვარის-მონასტირს წარწერანი (მე-VII საუკ.) და უძველესი გუჯრები. ეს აზრი ქართულ ანბანზე მარტო ჩვენი აზრი არ არის: აი რას ამბობს ამ საგანზე ბატონი-შვილი თეიმურაზ: „რომელნიმე მეისტორიენი ჩვენნი გულ-მსიტყველობენ, რომელ ხუცური იყო პირველ ფარნავაზისაცა“ (იხილე იმისი ისტორია., გვ. 116). ვინ არიან ეს მეისტორიენი ჩვენ არ ვიცით, მაგრამ როდესაც სულ ძველის-ძველის ჩვენის მწერლობის პალეოგრაფიის განხილვაში შესდიხართ, ცხადად ჰხედავთ, რომ შეუძლებელია, ჩვენს ალფავიტს იმ დროს ის სისრულე და ის ფორმების სიმშვენიერე ჰქონიყო, თუ იმას მანამდე კაი-დიდი პერიოდი არ გაევლო. აქ ისიც უნდა დავურთოთ, რომ თუმცა ქართული ალფავიტი, როგორც ამტკიცებენ, შეკავშირებულია ინდოეთის ალფავიტებთან (Brosset, *Eléments de la lanque géorg.* Paris, 1873, p. 6-9.—ილ. ოქრომჭედლი-შვილისა: ვინ მოიგონა ქართული ანბანი, „ივერიაში“ 1881, № X., გვ. 98—112), მაგრამ ასოების რიგი სრულიად იმ ალფავიტს ეკუთნის, რომელიც კადმურ ალფავიტად არის ცნობილი და რომელიც საბერძნეთიდამ შეტანილია მცირე-აზიის ქვეყნებში-ლიკიაში და ფრიგიაში (Maspero, *Hist. anc. des peuples de l' Orient*. Paris. 1876, p. 601—604).

მესამე-მნიშვნელობა ხვასტაგისა, რომელიც ქ-ცხბაში პირველად იხმარება ფარნავაზის დროს: „არს ჩემთანა ხვასტაგი დიდ-ძალი“... „ხვასტაგითა შენითა განგიმრავლნე სპანი შენნი. (ქ-ცხ., 30), და რომლის მაგიერ ვახუშტი ხმარობს განძსა. ბროსსეს აზრით, რომელიც მიუთვისებიათ აგრეთვე ნუმიზმატებს ლანგლუას და ბარტოლომეის (*Rapport sur l' ouvrage intitulé*: „Нумиз. факты грузинск. царства“ 1847, p. 15—16.—Langlois, *Essai de classification des suites monétaires de la Géorgie*. 1860, p. 12.—Bartholomaei, *Lettres numismatiqes, et archéol.* 1859, p. 70-71), ხვასტაგი ჰნიშნავს ოთხ-ფეხს საცხოვარსაც და ჭედილ ფულსაცა. ამ უკანასკნელს აზრს იმაზე ამყარებს იგი, ვითომც, როგორც ერთმა ქართველმა დამარწმუნაო, ფშავლები აქამომდე ფულს ხვასტაგად უწოდებენო (*H. de la G.* I, 38, *n* 4). ამ მნიშვნელობას მისთვისებენ ნუმიზმატნი ხვასტაგს ფარნავაზის დროს

ესენი მისანდობელად. ამან აღმართნა კერპნი ანიან და დანიან გზასა ზედა მცხეთისასა; არამედ არა ესვა ძე, ამისთვის მოიყვანა ცოლის დედის დისწულის შვილი მირვან მემკვიდრედ სამეფოსა თვისისა და მისცა გაჩიანი და საერისთავოდ სამშვილდე და კვალად მისცა ასული თვისი და მეორე ასული მისცა ძესა ქუჯისასა; შემდგომად მოკვდა საურმაგ დასაბამითგან 3787, ქართულსა 122.

## მეფე მირვან (162—112 ქრ. წინ).

ხოლო დაჯდა მის წილ მირვან სიძე და შვილებული მისი. შემდგომად მცირედისა ჟამისა დაივიწყეს სიყვარული ფარნავაზისა ძურძუკთა, გარდამოვიდენ და მოსტყუენეს კახეთი და ბაზალეთი და წარვიდენ ნატყუენავითა. მაშინ მირვან შეიკრიბნა სპანი, მივიდა და შეუხდა ძურძუკეთს, რამეთუ იყო გმირი და გოლიათი, რომელსა ვერ ჰკვეთდა მახვილი ძურძუკთა, ვითარცა კლდესა მყარსა, ჰსძლო, მოსრნა და მოსტყუენა და მოვიდა გამარჯვებული მცხეთას. შემდგომად ეზრახა სომეხთა მეფესა არშაკს და მისცა ასული თვისი ძესა მისსა არშაკსკე. ხოლო იყო ესე მირვან ნებროთიანი უხვი და კეთილის-მოყვარე და შეიყვარეს ქართველთაცა სიკეთისა მისისათვის და მეფობდა კეთილად. შემდგომად მოკვდა დასაბამიდგან 3837, ქართულსა 172[1].

## მეფე ფარნაჯომ (112—93 ქრ. წინ).

და მეფე იქმნა ძე მისი ფარნაჯომ. ამან შეიყვარა სჯული სპარსთა და მოიძულნა კერპნი ქართველთანი და ჰქმნა საცეცხლე მცხეთას; ამისთვის

და ამასთანავე ამტკიცებენ, ვითომც ხვასტაგად იგულისხმებოდეს ერთი ძველი პატარა ვერცხლის ფული, რომელიც ხშირად მოიპოვება ჩვენში და რომელზედაც ერთის მხრივ დედა-კაცის თავია გამოხატული, მეორეს მხრივ ხარის თავი, და რომელიც ვითომც ფარნავაზის დროს იყო ხმარებაში. მაგრამ ჩვენ ჩვენის მხრივ არა ვხედავთ, რომ ხვასტაგს ესე მნიშვნელობა მიეწერებოდეს. მთელს ქართულს მწერლობაში ხვასტაგი წარმოადგენს საცხოვარს, ოთხ-ფეხს, განძს და არაოდეს ფულსა; მაგალ. „დაჰყარა დედა-წული, ბარგი და ხვასტაგი“ (ქ.-ცხ., 344, 379), „ოქროსა და ვეცხლისა, ჯოგისა და ხვასტაგისა არა იყო რიცხვი“ (იქვე, 412). როსტომ მეფის გუჯარში 1645 წ. ხვასტაგი ჰნიშნავს წვრილ-ფეხსა და რქიან საქონელსა. აი კიდევაც ჩვენის აზრის საბუთი: „დალათუ მოაკლდა ვეცხლი ჩვენი და საქონელი და ხვასტაგი (დაბადება, თავი 47, მუხლი 18). სლავიანურ დაბადებაში ამ ხვასტაგის თარგმანია *скотъ*. „და ენება ხვასტაგი ნავისა ჩვენისაჲ წარღებად“ (სვანური მეტაფრასი მე-IX საუკუნისა, გვ 213, 282). ხვასტაგზე ნახე აგრეთვე *Hist. de la G.—Introd.*, p. LXXXVII—LXXXVIII, სადაც განმარტებულია სპარსული *khosteh*, სომხური *khostac* და აქედამ წარმომდგარი *khostacdar*.

1. ქ.-ცხოვრებით, „მსახურებდა იგი (მირვან) მეფესა ასურასტანელთასა“; „მეფე იქმნა სომხითს არშაკ“. მართლადაც, მირვანის დროს სირიაში მეფობდნენ ხუთნი ანტიოქოსნი და უკანასკნელი იმათში 112—94 წ. ქრისტ. წინ; სომხეთში იჯდა არშაკ I, 121—113 წ. (*H. de la G.*, I, p. 46, n. 4.—ქ.-ცხოვრ., 34.)

მოიმულეს ქართველთა, რამეთუ სასოება დიდი აქვნდათ კერპთა თჳსთა ზედა და ეზრახნენ სომეხთა მეფესა ქართველნი, რათა მოსცეს ძე თჳსი რომელსა ჰყვა ასული მირვანისა. ხოლო მან მოსცა ძე თჳსი და სპანი თჳსნი. ამისმან მცნობმან ფარნაჯომ მოირთო ცოლი სპარსთა და ეწყვნენ ურთიერთს ტაშირსა ზედა; მაშინ იძლია ფარნაჯომ და მოისრნენ სპანი მისნი პირითა მახჳლისათა და მოკლეს თჳთ მეფე ფარნაჯომცა დასაბამით 3856, ქარ-თულსა 191[1].

## მეფე არშაკ (93—81 ქრ. წინ.)

მოიყვანეს და დასვეს ძე სომეხთა მეფისა არშაკ არშაკუნიანი[2] ყოვლისა საქართველოჲსად; ხოლო ძე ფარნაჯომისა წარიყვანეს წლისა ერთისა სპარსე-თად; არამედ ამან არშაკ იმეფა უშფოთველად და ჰმატა ციხეთა და ქალაქთა დაიმაგრნა ყოველთა საქართველოთა შინა; შემდგომად მოკვდა დასაბამიდ-გან 3868, ქართულსა 203.

1. ქართ.-ცხ-ის თქმით „ფარნაჯომმა მოიყვანა სპარსეთით ცეცხლის-მსახურნი და მოგვნი და დასხნა მცხეთას.“ მართლადაც, იმ დროს ცეცხლის-მსახურთა სარწმუნოება გაძლიერებული იყო სპარსეთში და შესაძლებელია, რომ ქართველებმა კერპთ-მსახურების დასაცველად მოსთხოვეს შემწეობა სომხეთის მეფეს არტაშეს I-სა, რომელიც მეფობდა 144—98 წ. ქრ. წინათ და რომელიც, სომხურის ისტორიის მოწმობით, მკაცრი აღმსარებელი იყო კერპთ თაყვანის-ცემისა (ქ.-ცხ., 34.—*H. de la G.—Introd.*, XXIX).

2. ამ არშაკს არ უჩვენებს სომხეთის ისტორია, თუმცა ქ.-ცხ-ით არა თუ სომხეთის მეფის შვილია იგი, არამედ დამფუძნებელი არშაკუნიანთ გვარისა ანუ დინასტიისა საქართველოში. ა რ შ ა კ ი დ ე ბ ი, ა რ ზ ა ს ი დ ე ბ ი ანუ ა რ ზ ა კ ი დ ე ბ ი აღმოჩნდნენ პირველად პართიაში და იქიდამ გავრცელდნენ სომხეთში და შემდეგ საქართველოში. ეს დრო ისეთი განვითარებული დროა ისტორიაში, რომ არ შეიძლება არ შევაჩეროთ იმაზე მკითხველი. გასაოცარ სახილველს წარმოგვიდგენს ის ეპოხა, რომელსაც ჩვენ შევეხებით. ალექსანდრე მაკედონელის ტახტზე ასვლიდამ 336 წ. ქრ. წინათ ვიდრე 65 წლამდე ქრ. შემდეგ აზიის პოლიტიკური მდგომარეობა რამდენჯერმე შეიცვალა. ალექსანდრეს სიცოცხლეში დამყარდა დიდი მაკედონიის იმპერია, რომელმაც ჩანთქო მცირე-აზია, სპარსეთი და ინდოეთი. მოკვდა ალექსანდრე და ეს იმპერია ჩაიშალა. აღყვავდა სელევკიდების სამფლობელო სირიაში, რომელიც დააფუძნა ერთმა ალექსანდრეს მხედართ-მთავართაგანმა სელევკმა ნიკატორმა. სირიამ დაჰფარა თითქმის მთელი მაკედონიის იმპერია. დაეცა სირია და აღყვავდა პართია არშაკიდების ხელში. შემდეგ გაძლიერდა მიტრიდატ დიდის დროს პონტის სამფლობელო, რომელიც დასცეს რომაელებმა. პართიელნი, ცნობილნი სკვითებად, ბინადრობდნენ ხორასნის ჩრდილო-დასავლეთად. არშაკიდებმა დაიჭირეს მთელი სივრცე ევფრატის მდინარიდამ ინდის მდინარემდე და პირველი მეფის მიტრიდატის დროდამ (150 წ. ქრ. წინ.) ცხოვრობდნენ ზამთარს ქტეზიფონში, ზაფხულ სხვა-და-სხვა ადგილს, განსაკუთრებით ეკბატანაში (Шлоссеръ, *Всемірная исторія*, II, 25—27. Chardin, *Voyage en Perse*. Paris. 1811, p. 369—370.). მიტრიდატ პირველმა თვით სომხეთში დასვა მეფედ თავისი უმცროსი ძმა ვაღარშაკ I,

## მეფე არტაგ (81—66 ქრ. წინ.)

შემდგომად მისა დაჯდა ძე მისი არტაგ მეფედ. ხოლო შემდგომად ორისა წლისა არტაგისა მეფობისასა მოვიდნენ სპარსნი მიებად სისხლთათვის სპათა თვისთა; ამათ კერ წინა აღუდგა არტაგ და განამაგრნა ციხე-ქალაქნი. მაშინ სპარსთა მოსტყუენეს ქართლი, ციხე-ქალაქთაგან კიდე, და წარვიდნენ. არამედ შემდგომად ჟამ რაოდენმე მეფობისა მოკვდა არტაგ დასაბამითგან 3883; ქართულსა 218 [1].

რომელმაც დაარსა სომხეთში არშაკიდების დინასტია. ეს ვაჭარშაგი განთქმულია სომხურს ისტორიაში, რომლის თქმით იმან დაიპყრა პონტის ქალდეა და ლაზისტანი, მთიან-ტყიანი ტაიკი ანუ ქართველების ტაო და კავკასიის ტომნი და თავისნი მოადგილენი დაადგინა ალოვანში ანუ ალბანიაში, გუგარკში ანუ ჩვენ სომხეთში. „გუგარელნი, მოსე ხორენელის სიტყვით, მომდინარეობენ იმ მიტრიდატისაგან, რომელიც ალექსანდრე მაკედონელს დაედგინა ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვევებულთ იბერიელთ გამგედ.“ ვაჭარშაგის თანა-მოღვაწე იყო „ბრძენი და შემძლე“ შამბუ ბაგრატი, ურიათაგანი და მოსეს სჯულის აღმსარებელი, ამასთანავე მემკვიდრეობით გვირგვინის დამადგენელი მეფის თავზე და ასპეტი ანუ სპათა-მთავარი. ვაჭარშაგმა დააწესა სასახლის დასაცველად ოთხ-გვარი სპა, რომელნიც იყვნენ შემდგარნი შეიარაღებულთა პირთაგან, მთამომავლობდნენ ჰაიაკისაგან და ჰფლობდნენ მემკვიდრეობით სოფლებსა და დაბებსა. „არ ვიცით, ამბობს მოსე, ამოიხოცათ თუ არა ძველი შთამომავლობა, ანუ აშლილობის გამო ამოწყვეტილ იქნათ და იმ სპათა ნაცვლად სხვანი შესდგნენთ სასახლის დასაცველად. ეს კი დარწმუნებით შემიძლიან ვთქვათ, რომ პირველნი სპათა რიგნი მომდინარეობდნენთ სამეფო სახლიდამ, მსგავსად იბერიელ სეფე-წულთა.“ ვაჭარშაგმა აღაშენა არმავირის ქალაქში ტაძარი და აქ აღმართა სტატუები მზისა, მთვარისა და თავის წინაპართა; მიაგო დიდი პატივი იმ ტაძრის მსახურთა და შეჰრიცხა იგინი პირველ გვართა რიცხვში; დაადგინნა მსაჯულნი ქალაქებში და სოფლებში; დააწესა სამეფო პალატისათვის რიგი შემოსვლისა და გასვლისა, სადღესასწაულო დღეებისა და ნადიმობისა (Моисей Хоренс., *Исторія Арменіи*, Москва. 1858, стр. 79—87. ლანგლუას მოსე ხორენელის თარგმანში სეფე-წულის მაგიერ ხმარებულია მეფე-წული. ნახე *Collect.*, II, p. 81—85).

ვაჭარშაგის შემდეგ გამეფდა იმისი შვილი არშაკ I, რომელმაც დაამშვიდა მრავალნი აშლილნი ტომნი კავკასიისანი და შემდეგ იმისა დაჯდა მეფედ ძე მისი არდაშეზ I. ამ არდაშეზის ძე იყო ქართველებისაგან მეფედ გამოთხოვილი ზემო-ხსენებული არშაკ. მოსე ხორენელი თუმცა გვიჩვენებს ნათესავურ კავშირს არდაშეზისას საქართველოს სამეფო სახლთან, მაგრამ სხვა გვარსა. იმის სიტყვით, „არდაშეზმა მიათხოვა თავისი ქალი არდაშამა იბერიელთ დიდ-ბდეშხს მირდატს ანუ მიტრიდატს, რომელსაც მიანდო გამგეობა ჩრდილო-მთათა და პონტის ზღვისა“ (Langlois, *Collect.*, II, 86, 90).

1. არტაგის მეფობის დროს ეკუთნის ბრძოლა პონტის მეფის მიტრიდატ დიდისა (120—63 ქრ. წინათ) რომაელებთან მცირე აზიაში. ამ დროის ისტორიულნი ცნობანი გადმოუციათ ბერძნის ანუ რომის მწერალთ: პლუტარხსა, აპპიანსა და ფლორსა, რომელნიც ცხოვრობდნენ ერთ დროს, ქრისტეს შემდეგ პირველს შუა საუკუნეში. იმათ ცნობებში საქართველოს მეფე არტაგი სახელ-წოდებულია არტოკად. იმ დროსვე შემოკრებილი რო-

## მეფე ბარტომ (66—33 ქრ. წინ.)

გამეფდა ბარტომ ძე მისი და შეირთო ცოლად ქალი არშაკუნიანი, და ჰმასტა სიმაგრე ქალაქთა საქართველოჲსათა; არამედ არა ესვა ძე, ამისთვის მოიყვანეს ქუჯის ძის წულისაგანი ქართამ, და ასულის წულისაგანი საურმაგ მეფისა, და მისცა ასული თვისი ცოლად, და გაიჩინა მეფობის მემკვიდრედ. (ამისთვის ჰყო ესე, რამეთუ არა უნდათ ქართველთა მეფედ თვისად თვინიერ ფარნავაზიანთაგანი, და ამას შემდგომად ფარნავაზიანობა ქუჯის ცოლისაგან და საურმაგის ასულისაგან). ხოლო რაჟამს აღიზარდა მირვან ძე ფარნაჯომ მეფისა სპარსეთს, რამეთუ იყო გმირი და გოლიათი და გამოცდილი ბრძოლათა და წყობათა შინა, ამან შეიკრიბნა სპანი სპარსეთისანი, მოვიდა და მოუგზავნა ქართველთა: „რამეთუ მამა ჩემი მოიკლა სამართლად ურჯულოებისათვის, არამედ მე ვარ სჯულსა ზედა თქვენსა და შვილი მეფეთა თქვენთა; აწ მოვედით ჩემთანა და მიიღეთ ნიჭი დიდი ჩემგანა“. ხოლო ესე არა ისმინეს ქართველთა, რამეთუ ერთგულებასა ზედა სდგნენ ბარტომ მეფისასა, გარნა მცირენი არა წარჩინებულთაგანნი მიერთვნენ; მაშინ ბარტომ შემოიკრიბნა სპანი და მოირთო ძალი სომხითით და დაადგრა სუნანს და დაიპყრა ზურგად ციხე. ხოლო გამოჩნდნენ ორთავე სპათა შორის ბუმბერაზნი და იბრძოდნენ თითოვე ერთ; არამედ მოკლა მირვან ათორმეტი ბუმბერაზი ხელით თვისით და არღარავინ გამოჩნდა მბრძოლი მისი (და თვით ბარტომ მეფეცა არა იყო გოლიათობით დარი მისი). შემდგომად ყოვლითა სპითა დაესხა დილასა ბარტომ მირვანს და იქმნა ბრძოლა ძლიერი და იძლია ბარტომ მეფე და მოსრა სპა მისი და მოიკლა ბარტომცა და შვილებულიცა ბარტომისა ქართამ მოიკლა მუნვე ბრძოლასა შინა დასაბამითგან 3916, ქართლისა 251[1].

მაელთაგან კავკასიის მხარეებზე უძველესი ცნობები, რომელნიც ვრცლად ჩაურთავს სტრაბონს თავის „გეოგრაფიაში.“ ამ საგანზე ნახე Гана, *Извѣстія древнихъ греческихъ и римскихъ писателей о Кавказѣ*, стр. 123—128, 162—166 და 171—172; აგრეთვე ჩემი „ძველი მეფე მითრიდატ დიდი და სტრაბონი.“ იმ დროსვე შემოდის ხმარებაში სახელ-წოდება ბერძნ. „ივერია,“ რომაული „იბერია,“ რომელსაც ბერძენნი და რომაელნი მისთვისებენ ერთ ნაწილს საქართველოსას, ესე იგი აწინდელ ქართლსა. აპპიანი ამბობს: „მრავალნი ფიქრობენო, ვითომც აზიურნი იბერნი ან მომდინარეობდნენო ევროპიელთ იბერთაგან, ან იყვნენო გადმოსახლებულნი ევროპიდამ; ზოგნი კი იმას ამტკიცებენო, რომ ორთა ამ ტომთა შორის, გარდა სახელ-წოდებისა, არა ვითარი კავშირი არა ყოფილაო. ზნე ჩვეულებით და ენით იგინი ერთმანერთს სრულებით არ ემსგავსებიანო“ (Гана, *Извѣстія*.., стр. 164).

1. არც ბარტომ, არც იმისნი მომდევნონი მეფენი მირვან II და არშაკ II არ არიან ცნობილნი უცხო-ტომთ მწერალთაგან. რომის მწერალი დიონ კასსი (იშვა 155 წ. ქრ. შემდეგ) უჩვენებს მხოლოდ 46 წ. „იბერთ მეფეს ფარნაბაზს.“ დიონი ამბობს, რომ რომის იმპერატორის მარკ ანტონინის მხედართ-მთავარი კანიდი კრასსი გაელაშქრაო აზიის იბერიელებზე და აიძულაო იმათი მეფე ფარნაბაზი, რომ პართიელთა მეფის ფრაატისთან ბრძოლაში იმას მონაწილეობა მიეღოო (*H. de la G.—Introd.*, XXIX).

## მეფე მირვან II (33—23 ქრ. წინ)

მაშინ მოვიდა მირვან და დაიპყრა საქართველო, მოინდო ყოველნი ქართველნი ფიცითა და მეფე იქმნა; კუალად გამოიყვანა ცოლი ბარტომისა სამშვილდისაგან და შეირთო ცოლად. (არამედ ცოლი ქართამისა წარიყვანეს უძლები მიდგომილი სომხითს და მუნ შვა ძე ადერკი). ხოლო ამან მირვან იმეფა კეთილად ჟამ რაოდენმე, შემდგომად მოკვდა დასაბამიდგან 3927, ქართულსა 262.

## არშაკ II (23—3 ქრ. წინ)

და გამეფდა ძე მისი არშაკ; არამედ იყო ესე შუენიერი, ახოვანი, ძლიერი და გოლიათი. ხოლო რაჟამს აღიზარდა ადერკი სომხითს, შემოიკრიბა სპანი სომხითისა, რამეთუ იყო ჭაეროვან, ფრიად შუენიერ, გმირ, ახოვან და მოეკლნა მრავალნი გოლიათნი და გამოცდილ იყო ლაშქრობათა შინა დიდად. წელსა 20 მეფობასა არშაკისსა მოვიდა თრიალეთს. ესმა რა არშაკ, შეკრიბნა სპანი და მოირთო ძალი სპარსთა და მივიდა ესეცა მუნ. მაშინ ადერკიმ გამოითხოვა არშაკ ბრძოლად თვისად, რამეთუ რომელმანცა ძლიოს, იგი მეფობდესო. განიხარა არშაკ, აღიჭურვა და წარვიდა და ადერკიცა ეგრეთვე გამოვიდა: ეკვეთნეს ერთი ერთსა და იბრძოდნენ შუბითა, ლახტითა, ხრმლითა და ჩუგლუგითა სასტიკად; გარნა ვერა რომელმან აჯობა დღესა მას შინა და მიმწუხრს უკუდგნენ. მეორესა დღეს კუალად გამოვიდნენ შეჭურვილნი და დაასხნეს ისარნი ერთმანერთსა; არამედ გაჰფიცხდა ადერკი და ჰკრა ისარი ადერკიმ მკერდსა არშაკსა; ვერ უფარა საჭურველმან და განვლო იქით; ჩამოვარდა ცხენიდამ და მოკვდა არშაკი მეფე. ხოლო ადერკიმ აღიზახა ხმა «ოი ვერი» და მიიქცა სპათა თვისთა მიმართ და ეკედრა, რათა არა განმარტონ მახვილი ქართველთა ზედა. კუალად მოიქცა და ეტყოდა ქართველთა: მე ვარ ძე მეფისა თქვენისა; აჰა არა მოუშვნი სპანი სომეხთანი მოწყვედად თქვენდა. მაშინ ქართველთა მოიღეს გვირგვინი არშაკისა და დაადგეს ყოველთა თავსა ადერკის და ჰყვეს მეფედ დასაბამითგან რომაულსა 3947, ბერძულსა 5506, ქართულსა 282, ინდიკტიონსა პირველსა.

## მეფე ადერკი (2 ქრ. წინ და 55 წ. ქრ. შემდეგ.)

და დაიპყრა ადერკიმ ყოველი საქართველო და შეირთო ასული სომეხთა მეფისა. ხოლო ამის მეფობისა პირველსა წელსა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მოვიდა ამბავი, ვითარ შევიდნენ სპარსნი იერუსალიმს მოტყუენვად და შეწუხდენ ურიანი მცხეთელნი; არამედ კვალად მოვიდა ამბავი არა მოტყუენვად, არამედ ყრმისა ახალშობილისა თაყვანისცემად. შემდგომად მეფ[illegible]-

ათესა წელსა მოითხოვეს მცხეთელთა ურიათა იერუსალიმითგან განკითხვისა და ჯვარ-ცმისათვის იესოჳს ქრისტესა. ხოლო წარვიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი ურიანი და ამათ მოიღეს კვართი უფლისა მცხეთას. და კვალად ოცდა-მეთვრამეტესა წელსა მოვიდნენ მოციქულნი ანდრია პირველ-წოდებული და სვიმონ კანანელი. ანდრიამ მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა. ხოლო სვიმონ მოკვდა მუნ და დაფლეს ნიკოფსიას. ესმა რა ადერკიმ, შერისხნა მეგრელთა და მათ დამალნეს ხატნი და ჯვარნი; კვალად შერისხნა ერისთავსა კლარჯეთისასა მშვიდობით განტევებისათვის ანდრიასსა. კვალად ამასვე ჟამსა იწყო მეფობად სპარსეთს ჟღაღან[1] (რამეთუ ოდით შესრულ იყო ალექსანდრე დიდი, არღარა იყო მეფობა სპარსთა), და მორჩილებდნენ სომეხნი და ქართველნი. ხოლო ადერკის ესხნეს ორნი ძენი—ბარტომ და ქართამ; ამათ განუყო სამეფო: ბარტომს მისცა მცხეთა და ჩრდილო-კერძი ჭერეთით ვიდრე ეგრისით ზღვადმდე; ხოლო ქართამს—არმაზი და სამხრით კერძი ბერდუჯიდგან ვიდრე ზღვადმდე პონტოისა. რამეთუ ამის მეფობამდე რაოდენნი ჰყვნენ ძენი მეფეთა, იყვის მეფე ერთი; ხოლო ამან განუყო ესრეთ, არამედ თვით გამეფდა 30 წლისა და იმეფა 57 წელი მშვიდობით და ნებიერად; შემდგომად მოკვდა დასაბამიდგან 4004, ქართულსა 339, ქრისტეს შემდეგ 55[2].

1. აჟღალანი მუსულმანთ მწერალთა აშაგი ანუ აშოგი, დამფუძნებელი არშაკიდების დინასტიისა (*H. de G.*, I, 62, n. 1).

2. ადერკის დროს ეკუთნის რამდენიმე ღირს-სახსოვარი შემთხვევა: 1) განვითარებულთ უცხო-ტომთ მწერალთაგან: სტრაბონისაგან (66 ქრ. წინ—24 ქრ. შემდ.) და ტაციტისაგან (56—117 ქრ. შემდ.) შეკრება ცნობებისა ჩვენ მხარეზე; 2) ანდრია-მოციქულისაგან სახარების ქადაგება შავის-ზღვის პირად; 3) დაყოფა საქართველოისა ორ-ორ მეფეთა შორის.

ქ.-ცხ-ის თქმით, „ადერკის მეფობამდე ქართლს ერთი დიდის მეფედ რაზომცა მრავალნი იყვნენ შვილნი მეფეთანი; ხოლო ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა განუყო ქალაქი მცხეთა და ქვეყანა: შიდა-ქართლი, მუხნარით კერძი ქალაქი და ყოველი ქართლი მტკვარსა ჩრდილოეთით, ეჭერეთითგან ვიდრე თავამდე ქართლისა და ეგრისისა მისცა ბარტომს უხუცესსა ძესა თვისსა. ხოლო არმაზით კერძი ქალაქი, მტკვარსა სამხრით ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავამდე მტკვრისა და კლარჯეთი მისცა ქართამს ძესა თვისსა უმრწემესსა" (ქ. ცხ. 47.) შესანიშნავია, რომ ამ დროს თვით სომხეთიც ორათ იყოფა. სომხურის ისტორიის თქმით, ავგარ მეფის სიკვდილის შემდეგ, 32 წ. ქრისტეს დაბადებიდამ, იმისი სამეფო ორათ განნაწილდა: ავგარის შვილმა ანანემ ანუ ანანუნმა დაიჭირა ედესა და ავგარის დის-წულმა სანადრუკმა დაისაკუთრა სომხეთის ნაწილი და ადიაბენი. აქ ეს-კია, რომ სანადრუკმა მაშინათვე განიზრახა სომხეთის შეერთება თავის ხელში და ამ განზრახვით ანანეს აუტეხა ბრძოლა. ჩვენში ერთი მეფეთაგანი იჯდა არმაზში, მეორე შიდა-ქალაქში ანუ უკეთ, იმათ ჰქონდათ დაყოფილი ქალაქი მცხეთა: უფროსს უჭირა „მუხნარით კერძი," უმცროსს „არმაზით კერძი." ორნივე ერთ-გვარ მეფობდნენ თუ არა, ორივეს ერთ-გვარი ძალა ჰქონდათ თუ არა, ამ საგანს ჩვენი წელთ-

## მეფენი ბარტომ II და ქართამ (55—72 წ.)

გამეფდნენ ძენი ადერკისანი—მცხეთას ბარტომ, ხოლო არმაზს ქართამ. არამედ ამათ მეფობასა შინა წარმოსტყუენა იერუსალიმი უესპასიანესმან [1], და მოვიდნენ ურიანი ლტოლვილნი, რომელთა თანა ერთი ძე ბარაბასი, რომელი განუტევეს ჯუარცმასა უფლისასა, და დასხნეს სხვათა ურიათა თანა. გარნა იმეფეს ამათ სიყუარულსა ზედა ერთმანერთისასა; შემდგომად მოკუდნენ დასაბამითგან 4021, ქართულსა 356, ქრისტეს შემდეგ 72.

## მეფენი ფარსმან I და კაოს (72—87 წ.)

შემდგომად მათსა დასსხდნეს ძენი მათნი, ბარტომის ძე კაოს მცხეთასა და ქართამის ძე ფარსმან—არმაზს; არამედ იყვნენ ზემოთნი მეფენი სიყუარულს ზედა სომეხთასა. ხოლო მირვან მეფემან სომეხთამან დაივიწყა სიყუარული მათი და მიუღო საზღვარი ქართლისა წუნა და არტანი მტკვრამდე, და უწო-

აღწერა ყრუთ უჩვენებს. სტრაბონი კი ამბობს: „იბერია დასახლებულია ოთხის განვითარებულის წოდებით. პირველს ეკუთნიან მეფენი; იმათში უმთავრესობს ისა, რომელსაც მემკვიდრეობა და წელთა-უფროსობა უპირატესობას აძლევს; მეორე მხოლოდ მსაჯულობს და სპათა წინა-მძღოლობს." ქ.-ცხ-ის თქმით, „ესე მეფენი იყვნეს მორჩილებასა შინა სომეხთა მეფისასა, უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწეოდეს სომეხთა ყოველთა მტერთა ზედა" (ქ.-ცხ., 48). ამ თქმულებას ეთანხმება თვით სომხეთის მემატიანეც. ამ უკანასკნელის აზრით, ვაჰარშაკის დრომდე, როგორც ზემო ჩვენის შენიშვნიდამაც ჩანს, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი, ესე იგი ჩვენი სომხეთი, მტკვრის ზემოთი მხარე და ჭოროხის ბასსეინი სომხეთის მეფეების ხელში იყო, მაშასადამე, თუ ეს თქმულება ისტორიული ჭეშმარიტებაა, არმაზელები განაგებდნენ ამ მხარეს სომხეთის მეფეების ბძანებლობის ქვეშ.

თუ ჩვენ ამ დროის ქართულ-სომხურ ცნობებს შევუთანასწორებთ ტაციტის ცნობებს, მაშინ აღმოჩნდება, რომ იგინი ერთმანეთს სრულებით არ ეთანხმებიან: ტაციტის თქმით, იმ დროს სომხეთი დიდად შესუსტებული სამეფო იყო, ის ეჭირა იბერიის ანუ საქართველოს მეფის ფარაზმანის ძმას მიტრიდატს; ერთ დროს იქვე მეფობდა ფარაზმანის შვილი რადამისტი, მამისაგან იქ მეფედ დადგენილი. გარდა ამისა, დიონ კასსიუსის თქმით, ადრიანე იმპერატორის მეფობაში (117—138 წ.) იბერიის მეფე ფარასმანი, ალბანიაში—ზოგიერთის ვარიანტებით ალანიაში—მიდიაში, სომხეთში და კაპპადოკიაში დიდის წარმატებით ებრძვის პარჭიელებს. პარჭიის მეფე შესჩივლებს ფარასმანზე რომის იმპერატორს, და რომში ფარასმანს გასაოცარს პატივს მიაგებენ და თვით ბელლონის ტაძარში სახსოვარ ძეგლს დაუდგმენ. ნახე ჩემი სტატია ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ა დ ე რ კ ი მ ე ფ ი ს დ რ ო ს და აგრეთვე Гана, *Извѣстія...*, 115—123, 173—174.

1. ვესპასიანი, რომის იმპერატორი 69—79 წ. მსოფლიო ისტორიაც ჰმოწმობს, რომ იერუსალიმი აღებულია და დარღვეული ვესპასიანის დროს, რომელსაც ქართული მატიანე უჩვენებს, ესე იგი 70 წელსა.

და წუნას ქაჯთა-ტუნი, (რომელ არს დევთა სახლი); არამედ ვერ უძლეს მიებად საზღვარნი თვისნი ამათ მეფეთა და შემდგომად, მწუხარენი მოკვდნენ დასაბამითგან 4036, ქართულსა 371, ქრისტეს შემდ. 87[1].

## მეფენი აზორკ და არმაზელ (87—103 წ.)

გამეფდნენ—მცხეთას ქაოსის ძე არმაზელ და არმაზს—ფარსმანის ძე აზორკ; არამედ ესენი იყვნენ მხნე-ახოვანნი და შემმართებელნი. მაშინ შეიზრახნენ, რათა იძიონ საზღვარი ქართლისა და მოიყვანეს ოვსთ მეფე ორნი ძმანი ბაზუკ და ამბაზუკ სპითურთ, და კვალად ლეკნი; შევიდნენ და მოსწყვიდნეს სომხითი უგრძნეულოდ მათდა; გამოვლეს მტკვარი და მოვიდნენ კამბეჩოვანს. ხოლო მცნობელი სუმბატ ბივრიტიანი მოუდგა უკანით სპითა მცირითა და მოუმცნო მეფეთა, რათა უკუ-სცენ ტყვენი; ხოლო ნაალაფევი თქვენდა იყოს და უკუნ ვიქცე. მაშინ ჩრდილოსათ მიუგეს: «შენ გვძიებდით და ვერ გპოვეთ; აწ გამოკედ, რათა ადრე მოიკლა ჩვენ მიერ». ესმა რა სუმბატს, აღიჭურა და გამოვიდა; აქათ გამოვიდა ბაზუკ, ჰკრა ოროლი სუმბატ ბაზუკს და განვლო იქით; აღიღო უნაგირისაგან და დასცა ქვეყანასა ზედა და მოკლა. იხილა ამბაზუკ და მიეტევა; ხოლო სუმბატ მოსწოდა ოროლი ბაზუკს, ჰკრა ამბაზუკს, აღიღო იგიცა და სცა ქვეყანასა ზედა და მოკლა და ხმა ჰყო: «ესე სისხლთათვის სომეხთა». მაშინ ყოველთა ჩრდილოსათა ერთ-ხმობით შეუტივნეს და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვნი; არამედ იძლივნენ ჩრდილოსანი და შემოიხვეწნენ მეფენი მცხეთას და არმაზს და განამაგრნეს ციხე-ქალაქნი, ხოლო სუმბატ შემოვიდა ქართლს და მოსტყვენა, რამეთუ არა განმზადებულ იყო მოდგომად ციხეთა, და დემოთს და სამ-ციხეს დაუტევნა სპანი მწედ წუნისა და შურად ოძრახოსსა და წარვიდა. გარნა მეფენი ესე არა შეშინდნენ სიმხნითა თვისითა და დაემეგობრნენ ოვსნიცა სისხლისათვის მეფეთა მათთასა, რომელნი მოიკლნენ, და ეკირთებოდნენ მარადის სომხითს და ერისთავნი კლარჯეთისა და ოძრახოსისა მტკიცედ სდგნენ ერთგულებასა ზედა არმაზელისასა, ეწყნენ ამათ ეგრისელნი და ეკირთებოდენ სომხითს. შემდგომად მოვიდა არტაშან მეფე სომეხთა და სუმბატ მის თანა და ვერ წინა აღუდგნენ ქართველნი, არამედ განამაგრნეს ციხე-

1. აქ უნდა ვაჩვენოთ ღირს-შესანიშნავი ამ თხუთმეტის წლის წინად შემთხვევით მცხეთის მახლობლად ნაპოვნი ქვა ბერძნულის წარწერით, რომელიც გვიმტკიცებს სინამდვილეს ქ.-ცხბის ფარსმანისას, ეს ქვა ახლა ინახება ტფილისის მუზეუმში. იმის წარწერაში, რომელიც ეკუთნის 75 წელს, მოხსენებულია „მეფე იბერთა ფარაზმანის შვილი მიტრიდატი, მეგობარი რომის ერისა და იმპერატორთა: ვესპასიანისა, ტიტისა და დომიციანისა, რომელთაც იმისთვის აუშენებიათ ციხე." ეს ქვა ყოფილა ჩასმული თვით ამ ციხეში, რომლის კვალი, ჩვენის ფიქრით, აქამომდე დარჩენილი უნდა იყოს (*Прибавленіе* къ газ. „Кавказъ" 1868 г., стр. 1—4, 16.—Гана, *Извѣстія*..., 114).

ქალაქნი, და მოადგა მცხეთას ოთხ თვე ოდენ; შემჭირდნენ ქართველნი და ზავ-ყვეს და წარვიდნენ სომეხნი. შემდგომად იწყეს ბრძოლა სომეხთა სპარსთა ზედა და ქართველთა იცეს ჟამი და იწყეს რბევად სომხითისა. მაშინ წარმოგზავნა სომეხთა მეფემან ძე თვისი ზარდე სპითა; ეწყვნენ ქართველნი და ოვსნი, აოტნეს სპანი ზარდესნი და შეიპყრეს ზარდე; არამედ ოვსნი ლამოდენ სიკვდილსა სისხლისათვის; გარნა არა აუფლეს ქართველთა და პატიმარ-ჰყვეს დარიალას შინა. შემდგომად სამისა წლისა მოიქცნენ სომეხნი გამარჯვებულნი სპარსთაგან; მცნობთა ქართველთა განამაგრეს ციხე-ქალაქნი. მაშინ მოვიდნენ ორნი ძენი სომეხთა მეფისა და სუმბატცა თრიალეთს და ჰყვეს მოციქულობა. შემდგომად ზავი ჰყვეს და უკ-მოსცეს სომეხთა საზღვარი ქართლისა. ხოლო ქართველთა მისცეს ძე მეფისა ზარდე და აღუთქვეს მტერ-ყოფა მტერთა მათთა და დრამაცა ხატითა სომეხთა მეფისათა დავსცეთო, და წარვიდნენ სომეხნი; არამედ ისარგებლნენ მეფენი ესე უკ-მოსხმისათვის საზღვართა ქართლისათა სიმხნითა თვისითა. ამან არმაზელ ძიება ჰყო კვართისა უფლისა; არამედ ვერ უძლო პოვნად, რათა არა შეიმწიკვლოს წარმართისა მიერ. შემდგომად იმეფეს ამათ მეფეთა მშვიდობით და მოკვდნენ დასაბამით 4052, ქართულსა 387, ქრისტეს აქეთ 103 [1].

## მეფენი ამზასპ I და დეროკ (103—113 წ.)

და მეფენი იქმნენ მცხეთას არმაზელის ძე ამზასპ და არმაზს აზორკის ძე დეროკ. ხოლო მეფობდენ ესენი უშფოთველად და შემდგომად მოკვდნენ დასაბამითგან 4062, ქართულ. 397, ქრისტეს შემდეგ 113.

## მეფენი ფარსმან II და მირდატ I (113—129 წ.)

შემდგომად გამეფდნენ მცხეთას ამზასპის ძე მირდატ, ხოლო არმაზს დეროკის ძე ფარსმან; არამედ მირდატ და ფარსმანისამდე ზემო-ხსენებულნი მეფენი იყვნენ სიყვარულსა ზედა ურთიერთისასა; არამედ მირდატ იწყო მტერობა ფარსმანისა, რამეთუ მირდატ მესისხლე და მედგარი იყო, ხოლო ფარსმან ქველი, გონიერი, ახოვანი და გოლიათი. დღესა ერთსა ჰხადა მირდატმან ფარსმანს ნადიმობად, რათა მოკლას ღალატით; არამედ ვინამე ამხილა სიკეთისათვის ფარსმანისა

1. იარვანდი, ზარდე და სუმბატ ბივრიტიანი არიან სომხური ისტორიის ეროვანდი, ზარეჰ და სუმბატ ბიურატ ბაგრატუნიდის შვილი. ქ.-ცხზისაგან ნაამბობს ბრძოლას იხსენიებს თვით მოსე ხორენელი, თუმცა იმ დროს ქართველთა მეფეს იგი უწოდს კარწამად (ქ.-ცხ. 48—51.—Langlois, *Collect.* II, 100—108). „დრამა ხატითა სომეხთა მეფისათა“, ამაზე ცალკე ვიტყვით.

მირდატს, რამეთუ ფარსმანს ჰყვარობდნენ ქართველნი და მირდატს ჰსძულობდენ. იგრძნა რა ფარსმან, არღა-რა მივიდა და იქმნა შური მათ შორის. მაშინ დაუტევებდენ მირდატს და მიერთოდიან ფარსმანს. შემდგომად ივლტოდა მირდატ სპარსეთად, რამეთუ ცოლი ესვა სპარსთა მეფისა მონათესავე, და შეიკრიბა მუნ სპა სპარსთა მრავალი მირდატ და მოვიდა რკინის ხევთა; ხოლო ფარსმან სპითა ქართლისათა და შეიწია სომეხნიცა და მიეგება მუნ და ბრძოდენ ძლიერად ბუნბერაზნი, და სპასპეტმან მისმან ფარნავაზ (რომელი იყო მუმუს-მტე ფარსმანისა) მოკლა ოც და სამი იმას წყობასა შინა; შემდგომად სთხოვა მუქარა სპარსმან ბუნბერაზმან ჯვანშერ (რომელი ლომსა ხელითა შეიპყრობდა) ფარსმანს; ხოლო ფარსმან განვიდა სიხარულით, კვეთებასავე მოკლა სპარსი ფარსმან და არღა-რა შემოიქცა, აღუზახნა სპათა თვისთა და მიეტევნენ, სძლიეს და აოტნეს და მოსწყვიდნეს მრავალნი და წარვიდა კვალად სპარსეთს მეოტი. კვალად წელსა მესამესა მოვიდა მირდატ უუმრავლესითა ლაშქრითა და დადგა ჯაჭვს ზედა. ფარსმან მცხეთას მყოფმან არა ეგოდენისა სპისა მყოფელმან იწყო ბრძოლად ბუნბერაზთა და მოკლა ფარსმან 12 ბუნბერაზი, ხოლო სპასპეტმან მისმან ფარნავაზ 16. შემდგომად კვალად დაესხა ფარსმან და მოსრნა მირდატის სპანი სპარსნი და აოტნა და წარვიდა მირდატ კვალად სპარსეთადვე. მაშინ განისმა სიმხნე ფარსმანისა და უწყო ფარსმან ტყვენვა და ოხრება სპარსეთსა; ამისთვის სპარსთა მოიყიდეს მზარეული, რათა შეეწყნაროს ფარსმანს და მოკლას იგი წამლითა; ხოლო მზარეულმან ჰყო ეგრეთ და მოკლა ფარსმან ქველი ქორონიკონსა 406, მეათერთმეტესა მოქცევასა, ქრ. აქეთ 122[1]; მაშინ ფარნავაზ სპასპეტმან წარიტაცა ცოლი და ძე ფარსმანისა სომხეთს. ხოლო მირდატ გამოიყვანეს სპარსთა და დაიპყრეს ქართლი ფარსმანის წილი სპარსთა და მირდატს უკუ-სცეს წილი თვისი. შემდგომად რა იქმნა ძე ფარსმანისა სრული ჰასაკსა ზედა სახელით ადამ, ამან მოირთო სომეხნი და ბერძენნი და მოვიდა ქართლს. აქათ მირდატ ქართლისა და სპარსთა სპითა შეიბნენ რეხსა ზედა; იძლია მირდატ და მოსწყდა სპანი მისნი და მოკლეს მირდატცა 413 წ., მეათერთმეტესა მოქცევასა, ქრისტეს აქეთ 129[2].

1. ამ ფარსმანს უნდა მიეწერებოდეს, როგორც ვფიქრობთ, დიონ კასსის მოთხრობა, რომელიც ჩვენ 46 გვერდზე ვუჩვენეთ. იგივე უნდა იგულისხმებოდეს იული კაპიტოლინის შემდეგს თქმულებაში: „მეფე ფარასმანი შემოვიდაო რომში და კეთილ-მოწიწებას მიაპყრობდაო უფრო ანტონინ პიის (შვილობილს იმპერატორის ადრიანესას), ვიდრე ადრიანეს (117—138)" (Гана, *Извѣстія*..., 175) ელი სპარტიანი სწერს: „იმპერატორი ადრიანე არავის მეფეთაგანს არ უძღვნიდაო იმდენს საჩუქრებს, რამდენსაც უგზავნიდაო იბერთ მეფეს. ადრიანეს მეფე ფარაზმანთან და ალბანიის მეფესთან დიდი მეგობრული დამოკიდებულობა ჰქონდაო". (Гана, *Извѣстія*..., 174).

2. თუმცა ხრონოლოგიური სისტემა, რომელსაც ვახუშტი მისდევს თავის ისტორიაში, ვახუშტზე ბევრით ადრეა მეცნიერულად გამოკვლეული, ესე იგი: პირველად 964—965 წ. ქრ.

## მეფე ადამ (132—146).

მაშინ დაიპყრა ყოველი იბერია ორთავე მეფეთა ძმან ფარსმან ქველისა-მან ადამ და მეფობდა კეთილად სამ წელ და მოკუდა და დაუტევა მე წლისა ქრ-

აქეთ და ჩართული ძველს 941—965 წლის სინაის ქართველთ მონასტრიდამ გამოტანილს მანუსკრიპტში, რომელიც ახლა ეკუთნის საიმპერატორო ბიბლიოტეკას პეტერბურგში (*Mél. Asiat.*, *t.*, III, p. 264—280; *Mém. de l' Acad. impér. des sciences de St—Petersb.*, VII Sèrie, tome XI, № 13, p: 1—20); შემდეგ 1233 წელს შავშეთში იოანე შავთელისაგან შედგენილს ტრაქტატში (ნახე იმავე *Mém. de l' Acad.*, 21—56); მაგრამ ხრონოლოგია ქ.-ცხში, სადაც საჭიროა, ან სრულებით არ არის ნაჩვენები, ან ძალიან არეულია. ეს ნაკლულევანება შეასწორა ვახუშტიმ, რომელმაც ამ საგნის შესახებ არა-თუ დაგვიტევა შესანიშნავი ტრაქტატი (ნახე იმავე *Mém. de l' Acad.*, p. 57—88); თვით საქართველოს ისტორიის მომდინარეობისა და მეფეების ცხოვრების ხრონოლოგიაც აღმოაჩინა და თავ-თავის ადგილს ჩაურთო. ეს ხრონოლოგია არის ორ-გვარი: ბერძნული და ქართული ორივე იწყობა ქვეყნის დასაბამიდამ და მომდინარეობს ქრისტეს შემდეგაც. როგორც ახლა მიღებულია, სოფლის დასაწყისიდამ ქრისტეს შობამდე გასულა ბერძნულის გამოანგარიშებით 5508 წ., ქართულის გამოანგარიშებით კი 5604 წ., ასე რომ განსხვავება მხოლოდ 96 წელშია. გარდა ამისა ეს წელთა მომდინარეობა დაყოფილია მზისა და მთვარის მოქცევაზე, რომელიც შეიცავს 532 წელსა. „რადგან მზის მოქცევა, ვახუშტის თქმით, 28 არს და მთოვარისა 19 და ესენი გასწორდებიან 532 წელს, ესრეთ 28-ჯერ 19 იქნება 532 და 19-ჯერ 28 იქნება ისევ 532, ამისთვის ორნივ ამ 532 წელს მოიქცევიან და ისევ პირველსავე მიჰყვებიან..." თვითოეულს 532 წლის მოქცევას ეწოდება კ ი კ ლ ო ს ი, კ ი ნ კ ლ ო ს ი ანუ ც ი კ ლ ი და ჩვენ რომ დასაბამიდამ სოფლისა წელთა მომდინარეობა ციკლებად დავჰყოთ ქართულის სისტემით, ვნახავთ, რომ ახლა ჩვენ მე-15 ციკლში ანუ მოქცევაში ვიმყოფებით. ამ გვარად, თუ ჩვენ დასაწყისიდამ სოფლისა 96 წელს პირველ მოქცევაში შევიტანთ და ამით დავასრულებთ ამ მოქცევას, მეორე მოქცევა დაიწყობა 436 წელს; მესამე—968 წ.; მეოთხე—1500 წ.; მეხუთე—2032 წ.; მეექვსე—2564 წ.; მეშვიდე—3096 წ.; მერვე—3628 წ.; მეცხრე—4160 წ.; მეათე—4692 წ.; მეთერთმეტე—5224 წ.; მეთორმეტე—5756 წ. ანუ 248 ქრისტ. შემდეგ; მეცამეტე—6288 წ. ანუ 780 წ. ქრ. შემდ.; მეთოთხმეტე—6820 წ. ანუ 1312 და დასრულდება 1844 წელს. ეს დაყოფა ქრ. წინა-დროებისა ციკლებად ეკუთნის ვახუშტის. აქ უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ძველი ჩვენი საეკლესიო მწერლობა ხან ბერძნულს ხრონოლოგიურ სისტემას მისდევს, ხან ქართულსა, ხან კი, ერთსა და იმავე დროს, ერთსაც ხმარობს და მეორესაცა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ვახუშტი თავის გამოანგარიშებაში ხან და ხან სცდება; თვით ჩვენ ვარიანტებში ციფრები არეულია, თუმცა სადა შესაძლებელია, მათ ვასწორებთ ვახუშტის ხელ-ნაწერის ციფრებით, რომელნიც ბროსსეს შემოაქვს თავის შენიშვნებში... ამის შემდეგ აღარა გვხედავთ საჭიროდ ვახუშტის სისტემას მივყვეთ და ვხმარობთ იმ წელთა თვლას, რომელიც ადგილ-მისახვედრია, ესე იგი: რომელი ქორონიკონია გასული ციკლისა, რომელი მოქცევაა და რომელი წელი ქრისტეს შემდეგი.

საიდამ და როდის არის 532—წლოვანი ციკლი ანუ, როგორც მიღებულია ჩვენ მწერლობაში, ხუთასიანი ქორონიკონი ჩვენში შემოტანილი, ან რა დროს იხმარება იგი პირველად ქ-ცხაში და საზოგადოდ ქართულ მწერლობაში, ამ საგანზე თავის ადგილს

თისა სახელით ფარსმან, და აღზარდამდე მისა მეფობდა ცოლი ფარსმან ქველისა სახელით ღადან. ხოლო შემდგომად ჴსავისა დაჯდა მეფედ ფარსმან ძე ადამისა ქორონიკ. 430, მეათერთმეტესა მოქცევასა, ქრისტეს აქეთ 146.

## მეფე ფარსმან (146—182.)

ხოლო ესე ფარსმან მეფობდა ყოველსა ივერიასა ზედა მშვიდობით და უშფოთველად დღეთა თვისთა. შემდგომად მოკუდა ქორონ. 466, მეათერთმეტესა მოქცევასა, ქრისტეს აქეთ 182.

## მეფე ამზასპ (182—186).

დაჯდა ძე ფარსმანისა ამზასპ მეფედ. ესე იყო მხნე, ახოვანი და გოლიათი, ვითარცა ფარსმან ქველი. ხოლო დროსა ამისსა გარდამოვიდნენ ოვსნი უგრძნეულად გარდამომსვლელნი გზისა დვალეთისა და დადგნენ შიდა-ქართლს შემუსვრად მცხეთისა. ხოლო ამზასპ განამაგრა ქალაქი და განვიდა საფურცლეს; მაშინ წყობათა შინა შორად ჰკლვიდა ამზასპ ისრითა, რომელ მნიად სახილველ იყო, და მას დღესა მოკლა ბუმბერაზი ოვსთა 15 და შემოვიდა მცხეთას. კვალად მეორესა დღესა განვიდა ამზასპ და მისვლასავე მოუტევა ბუმბერაზი ოვსთა სახელით ხუხუ; არამედ გვეთებასავე სცა ამზასპ ოროლი ხუხუს და განვლო იქით და მოკლა. მერმე მიუტევა ამზასპ და მოკლნა ორნი სხვანი ბუმბერაზნი ოვსთანი და შემოვიდა მცხეთასვე; მეორეს დილას გამოიყვანნა სპანი თვისნი და დაესხა ოვსთა, მოსწყვიდნა, აოტნა და მოკლა მეფე მათი და შემოვიდა გამარჯვებული მცხეთას. წელსა მეორესა შემოიკრიბნა სპანი ამზასპ. გარდავლო კავკასი და შთავიდა ოვსეთს; ხოლო იგინი ვერ წინააღუდგნენ; ამან მოსწყვიდნა, მოსტყვევნა და ალაფითა სავსე მოვიდა მცხეთას. ამის მიერ იწყო ამზასპ განლაღებად და მოსწყვიდნა მრავალნი წარჩინებულნი საქართველოსანი და შეიყვარა სპარსნი; ამისთვის უკუდგნენ ერისთავნი ოძრახისა, კლარჯეთისა და ეგრისისანი და შეეზრახნეს მეფესა სომხითისასა, რათა მოსცეს ძე მისი რევ მეფედ (რომელი იყო დის-წული ამზასპისა). მან მოსცა ძე თვისი და შეჰკრბნენ სომეხნი და ერისთავნი წინა-თქმულნი და მოუწოდეს ოვსთა; ხოლო ოვსთა სიხარულით გარდმოვლეს გზა თავკერისა (ვინა-

მოვილაპარაკებთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსების ძველი მწერლობაც ხუთასიან ქორონიკონს ხმარობს, მაგრამ ბერძნულის სისტემისას; სომხებს კი განსაკუთრებითი ქორონიკონი აქვთ: იმათი წელთ-აღრიცხვა იწყობა 552 წელს ქრისტეს შემდეგ და მომდინარეობს მოუქცევლად.

ქორონიკონზე ნახე კიდევაც *H. de la Géor.*, I, p. 28, n. 3.—*Hist. de la Siounie*, I, p. 58, n. 3.—*Bulleitn de l' Acad.*, t, XXII, № 3, p. 445—471.

დგან მესისხლენი იყვნენ ამზასპისა) და შეიკრიბნენ მათ თანა. ამისმან მცნობმან ამზასპ შემოიკრიბნა სპანი და მოირთო ძალი სპარსთაგან და მივიდა გუთის—ხევს და შემოვიდნენ იგინიცა მუნვე; არამედ არა იყო მარტოდ-მბრძოლი ამზასპისა სპათა მათთა შორის და ეწყვნენ ურთი-ერთარს. შემდგომად ძლიერისა ბრძოლისა იძლივნეს სპანი ამზასპისანი და ლტოლვასა მოკლეს ამზასპ და სპანი მისნი მოსწყვიდნეს ქორ. 470, მეათერთმ. მოქც., ქრისტეს აქეთ 186.

## მეფე რევ (186—213).

მაშინ მოიყვანეს ძე სომეხთა მეფისა რევ და ჰყვეს მეფედ არშაკუნიანი. ამან მოიყვანა ასული ლოღოთელისა (ქ.-ცხოვრებაში «ლოგოთეთისა») საბერძნეთით სახელათ სეფორა (ქ.-ცხოვრებაში «სეფელია») არამედ იყო ესე რევ მოწყალე და ნუგეშინის-მცემელი ჭირვეულთა (რამეთუ ჰსმენოდა მცირედ რამე სასარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი): სოლოოდეს ალექსანდრე დიდმან მოჰკვეთნა ჭამანი მკვდართა, მიერით დაუკლვიდენ ძეთა და ასულთა თვისთა შეწირვად კერპთა თვისთა ქართველნი, და ამან რევ არღა-რა აუფლნა დაკლვად შვილთა მათთა, არამედ ნაცვლად მათდა ძროხასცხოვართა უბრძანა შეწირვა და ამისთვის უწოდეს რევ მართალი; გარნა იმეფა ყოველსა ივერიასა ზედა მშვიდობით და უშფოთველად; შემდგომად მოკვდა ქორ. 497, მეაოერთმ. მოქც., 213 წ.

## მეფე ვაჩე (213—231).

შემდგომად გამეფდა ძე მისი ვაჩე. ამანცა იმეფა ყოველსა ივერიასა ზედა მშვიდობით და უშფოთველად, მერმე მოკვდა 231 წ.

## მეფე ბაკურ (231—246).

მეფე იქმნა ძე ვაჩესი ბაკურ და მეფობდა ყოველსა ივერიასა ზედა, ვითარცა მამა მისი; შემდგომად მოკვდა 246 წ.

## მეფე მირდატ (246—262).

და იქმნა მეფედ ძე ბაკურისა მირდატ და დაიპყრა ყოველი ივერია და იმეფა სიწყნარესა შინა და მოკვდა 262 წ.

## მეფე ასფაგურ (262—265).

გამეფდა ძე მირდატისა ასფაგურ. ამ ასფაგურის დროსა შინა მოსრა მეფე სპარსთა ქასრე სასანიანმან და გამეფდა თვით. ხოლო სომეხთა ზედა იქმნა მეფედ კოსარ. ამან მეფემან კოსარ უწყო ბრძოლა ქასრე მეფესა და მწედ ჰყვა მეფე ასფაგურ; ხოლო ასფაგურ განახვნა კარნი დარიელისანი და გამოიყვანა ოვსნი და ლეკნი, და შეკრბნენ სომეხთა თანა, ეწყვნენ სპარსთა, აოტნეს და მოსწყვიდნეს უმრავლესნი. ხოლო შემდგომად ამისსა ვერღა-რა წინააღუდგნენ სპარსნი და მარადის აოხრებდნენ და ეკირთებოდნენ სპარსეთს. ამისათვის მწუხარემან ქასრე მეფემან ზრახვა ჰყო წარჩინებულთა თვისთა თანა; მაშინ მუნ იყო ანაკ ნათესავი სომეხთა მეფისა დატოლვილი; ამან აღუთქვა იდუმალ ქასრეს: „მე წარვიდე განდგომილი შენგან და შევეწყნარო კოსარს და სხვითა შენითა ვიცე ჟამი და მოვკლა იგი;“ და განიხარა ქასრემ ფრიად და აღუთქვა ნიჭი დიდი. ესრეთ წარმოვიდა ანაკ და მოსრულ შეწყნარებულმან მოკლა მეფე კოსარ ნადირობასა შინა და ივლტოდა, არამედ ეწივნენ სომეხნი და მოკლეს ანაკცა. ხოლო ძე კოსარ მეფისა ყრმა ტირდატ წარიტაცეს საბერძნეთს. მსმენელმან ქასრე მეფემან სპარსთამან შემოიკრიბნა სპანი ურიცხვნი და შემოვიდა სომხითს; ამისთვის ასფაგურ მეფემან განამაგრნა ციხე-ქალაქნი და წარვიდა ოვსეთად, რათა განამრავლოს სპანი, არამედ ეწია მუნ სიკვდილი და მოკვდა 265 წ. და არა დაუტევა ძე, გარნა ასული ერთი სახელით აბეშურა. ამის მიერ მწუხარენი ქართველნი შემოკრბნენ მცხეთას და განიზრახვიდენ თუ რაჲ ჰყონ. მაშინ აღდგა მათ შორის მაიჯან სპასპეტი და თქვა: „თუ გვყვეს მკვიდრი ძე მეფეთა ჩვენთა, მოვსწყდეთ და არა ვერჩდეთ სხვასა; ვითარცა სჭამდეს მამანი ჩვენნი მკვდართა, ვჰყოთ ეგრეთ ჩვენცა; გარნა არა გვივის, არამედ ასული და იგიცა მცირე, და აწ ეს არს განზრახვა ჩემი, რამეთუ მასმიეს, ვითარმედ უვის სპარსთა მეფესა ძე; წარვავლინოთ დესპანი და ვთხოვოთ ძე თვისი მეფედ ჩვენდა, და შევრთოთ მას ასული მეფისა ჩვენისა, და უკეთუ არა გვაუფლნოს სპარსნი და არცა ჰსჯული და კერპნი ჩვენნი შლად ხელ-ჰყოს, კეთილ; ხოლო უკეთუ არა ჰყოს, მოვსწყდეთ და ნუ თავს-ვიდებთ.“ მსმენელთა ყოველთა ჰსთნდათ განზრახვა ესე და მიუმცნეს ქასრე მეფესა. მან კეთილად შეიწყნარა და აღუსრულნა თხოვანი მათნი ფიცით და მოვიდა მცხეთას, შერთო ძესა თვისსა აბეშურა და დაუტევა მცველად მისა თვისასა შვიდი-ათასნი მხედარნი სპარსნი, რამეთუ იყო მირვან ყრმა 7 წლისა, ნაშობი მხევლისა; და კვალად დაუტევნა ოც და ცამეტი ათასი მხედარი სომხითს, ფანს, მოვაკანს შველად და მწედ მირვანისა. ხოლო დაიპყრა კავკასიელნიცა და წარვიდა სპარსეთად მეფე ქასრე[1].

1. აქ ხსენებულნი პირნი ქასრე სასანიანი და კოსარ არიან: პირველი—ქ.-ცხბის ქასრე ანუშირვანი, მოსე ხორენელისა—არდაშირი, ძის-წული სასანისა, რომელმაც სპარ-

## მეფე მირიან (265—342).

ხოლო გამეფდა მირვან, რომელსა უწოდეს მირიან, დასაბამით 4214; ბერძულსა 5773, ქართულსა 17, ინდიკტიონსა 13 [1], ივერიასა, რანსა, მოვაკანსა და სომხითსა ზედა. არამედ რაჟამს იქმნა 15 წლისა, მოკვდა აბეშუ-

სეთში დაამყარა თავისი დინასტია; მეორე—აგათანგისა და მოსე ხორენელის სომეხთ მეფე ხოსრო დიდი. ხოსროს მოღვაწეობას და სიკვდილს, ასფაგურის დროს, არდაშირის მიჩენით, ანაგისაგან და აგრეთვე ამ უკანასკნელის ამოწყვეტას სახლობით, როდესაც გადარჩნენ მხოლოდ ორნი იმის შვილნი, რომელთაგანი ერთია კესარია კაპპადოკიაში ქრისტიანად აღზდილი მომავალის დროის გრიგოლ დიდი, სომხეთის განმანათლებელი, თითქმის ერთ-გვარ მოგვითხრობენ ქ.-ცხბა, აგათანგი და მოსე ხორენელი. თუმცა ასფაგურისა და ხოსროს ხრონოლოგია არ ეთანხმებიან ერთი მეორეს, რადგანაც ვახუშტის გამოანგარიშებით ასფაგურ მეფობდა 262—265 წ., ხოსრო კი ჩამჩიანის გამოკვლევით 214—258 წ. და სენ-მარტენის აზრით 198—232 წ. (ქ.-ცხ., I, 57—59.—Langlois, *Collect.* I, 17; II, 18.—*H. de la G.*, I, p. 78 n. 3, p. 79, n. 1); მაგრამ აქ, როგორათაც ზოგიერთს წინათ ჩვენებულს შემთხვევაში, სომხეთის მეფეების დიდ შემძლეობაზე და მოღვაწეობაზე მკითხველი ცხადად ჰხედავს სომხეთის მეისტორიეთ გავლენასა ქ.-ცხოვრებაზე. ჩვენ მოვიხსენეთ ზემოთ რა გვარ ისახელეს თავი სომხეთის მეფეებმა ვაჰარშაკმა და არშაკ პირველმა (გვ. 41, შენ. 2); თვით ამ არშაკის შვილმა არდაშეზმა სომხურის მოწმობით, ისეთი ძალა აღმოიჩინა რომ დაუმორჩილა თავის ბძანებლობას მთელი მცირე აზია და გამარჯვებული შევიდა ეგეის ზღვით თვით საბერძნეთში. მაგრამ ისტორიის მომდინარეობა გვამცნევს, რომ არშაკიდების დროიდამვე სომხეთი ემონავებოდა უცხო-ტომთ, ესე იგი ჯერ სირიელებს, შემდეგ პარფიელებს და ბოლოს რომაელებს. ამ საგანზე უკეთესი მცოდნე სომხურის ისტორიისა სენ-მარტენი ამბობს: „უცხო-ტომთ მეისტორიენი სრულებით არ უჩვენებენ ზემოხსენებულთ შემთხვევათა და არც არის საფიქრებელი, რომ იმათ ამ საგანზე არა ეთქვათ რა, თუ ეს ჭეშმარიტება ყოფილიყო. შესაძლებელია, რომ ყოველივე ეს სიცრუით სავსე ძლევა-მოსილი მოღვაწეობა გამოუგონიათ რომელთამე სომხეთის მეისტორიეთა თავიანთ მემამულეთ მამულის ცრუ-სიყვარულის გრძნობის დასაკმაყოფილებლად..." იმავე სენ-მარტენის სიტყვით: „იმ დროის შემთხვევანი, როდესაც პარფიელნი და რომაელნი ერთმანეთს ეცილებოდნენ მთელს აზიას, საკმაოდ ცნობილნი არიან ბერძნებისა და რომაელების მემატიანეთაგან. ტაციტის მოთხრობით ვიცით მოღვაწეობა რომის მხედართ-მთავრის კურბილონისა, შემძლეობა იბერის მეფის ფარაზმანისა; სომხეთის ტახტის დაჭერა იმის ძმის მიტრიდატისაგან და მიტრიდატის ბედ-კრული სიკვდილი, და აგრეთვე ნიჭიერება, მკაცრი ხასიათი, გამოჩენილი მხედრობა და ბოლო თვით ფარაზმანის შვილის რადამისტისა. არც ერთს ამ შემთხვევათაგანს არც ერთი სომხეთის მწერალთაგანი არ იხსენიებს" (*Mém. sur l' Arm.*, I, 290—291, 294).

1. ჩვენ არ გვესმის, რას ჰნიშნავს აქ ვახუშტისაგან ხმარებული ინდიკტიონი. ერთი ესა, რომ როგორც გამოკვლეულია, ინდიკტიონი დააწესა პირველად კონსტანტინე დიდმა 312 წ. და შეიცავდა 14 წელსა, ასე, რომ რაკი თავდებოდა ერთი ინდიკტიონი, იწყობოდა მეორე, მესამე და შემდ. საფუძველი მისი ჯერ-ჯერობით ნამდვილად არ არის

რა და მოსწყდა ნათესავი თარგამოს — ნებროთიან — არშაკუნიანთა [2]. გარნა მირიან შეიყვარეს ქართველთა და მირიანმან უმეტეს ქართველნი. შემდგომად მოიყვანა მირიან ასული ულიოტორისა პონტოდამ სახელით ნანა, და შეირთო ცოლად და ბრძოდა მპარდის ხაზართა, რამეთუ ხაზარნი ბრძოდენ დარუბანდს, რათა დაიპყრან თვისად და ეკირთებოდნენ სპარსეთს; ამისთვის მი-

გამოკვლეული (იხილე ამ საგანზე Lebeau, *H du B. E.*, I, 117—119); მეორე ესა, რომ მომავალს საუკუნოებში ხან და ხან ქ.-ცხოვრებაშიაც და სიგელებშიაც ხმარებაში შემოდის ანდიკტიონი საჩვენებლად იმისა, თუ რომელი წელია ამა და ამ მეფისა. მაგ. „მეფობისა ჩემისა ინდიკტიონსა მეხუთესა, მეათესა" და სხვ.; მაგრამ ვერც ერთის, ვერც მეორის აზრს ვერა ვპოულობთ ზემოხსენებულს ვახუშტის ინდიკტიონში.

2. წინათ ხსენებული ასფაგური არის უკანასკნელი წარმომადგენელი არშაკუნიანთ სახლისა საქართველოში. იმის წინა მოადგილეთ დროს სპარსეთში დიდი ცვლილება მოხდა. არშაკიდები დაეცნენ და იმათი ადგილი დაიჭირეს სასანიდებმა. ამ სამეფო სახლის დამფუძნებელი იყო არტაქსერქსი ანუ არდაშირი, სპარსეთის მოგვთა უფროსის ბაბეკის შვილი და სასანის შვილის-შვილი, რომელმაც სამს შეტაკებაში 223 და 226 წელს სრულებით დაამხო პარფიიდამ შემოსული არშაკიდები. შესანიშნავია სასანიდების სვე: ზოგნი სასანიდნი არიან ცნობილნი სწავლა-ხელოვნებით; არდაშირი იყო განვითარებული მეცნიერი და მწერალი: იმან დასტოვა სხვა თხზულებათა გარდა კარნამე ანუ „განმარტება თავის ცხოვრებისა და მოქმედებისა"—და აგრეთვე წიგნი ზნეობაზე. მეოთხე სასანიდი ბარამ პირველი იყო მეჯინიბობის მოყვარე და პირუტყვთ ექიმობაში დახელოვნებული. ხოსრო ნუშირვანის დროს მეექვსე საუკუნეში გავრცელდა სპარსეთში ინდოეთიდამ შემოტანილი სანსკრიტულ ენაზე შედგენილი, ზღაპართ-კრება ქოლეილაჰ-ვედიმნაჰ, ანუ ჩვენებურად ქილილა-დამანა, გადაღებული მრავალ აზიურსა და ევროპიულს ენებზე და თვით ქართულად ნათარგმნი ჯერ თამარ-დედოფლის დროს და შემდეგ ვახტანგ მეექვსისაგან და საბა ორბელიანისაგან. სასანიდები განითქვნენ არხიტექტურის ნაწარმოებით: იმათი დედა-ქალაქი მადაინი, კტეზიფონის მახლობლად და კტეზიფონის არე-მარე, ბუნებით შემკულ მხარეში, ეფრატის კიდეებზე, მოფენილი იყო ძეგლებით, რომელთაც შეადგენდნენ ტურფად ბერძნულის ხელოვნებით შემკობილი შენობაები, ვრცელი და დიდ მშვენიერი მტილები, სადაც დროთი დრო სასანიდები ნადირობით ჰსიამოვნებდნენ. ამ გვარმა სწავლა-ხელოვნების სიყვარულმა ვერ მოარბილა იმათი მხეცური ბუნება. თითქმის მთელის სამეფო სახლის ხასიათი განსხვავდებოდა სისხლის ღვრითა როგორც შინათ, აგრეთვე გარეთ. ხშირად მოხდებოდა, რომ შვილი ჯდებოდა ტახტზე მამის სიკვდილით შესისხლული. ეს იყო მიზეზი, რომ ოც-და-თხუთმეტს სასანიდების წევრთა რიცხვში ხანგრძლივ მეფობდნენ მხოლოდ შვიდნი, ესე, იგი — შაბური პირველი, შაბური მეორე, იეზდეჯერდი პირველი, ჰორმუზდი, ფეროზი, ჰორმუზდი მესამე, ხოსრო მეორე და უკანასკნელი სასანიდების წარმომადგენელი იეზდეჯერდი მესამე. სასანიდები გულ-მხურვალედ ემონავებოდნენ ზოროასტრის აღსარებას ანუ ცეცხლის მსახურებას. დიდი გავლენა ჰქონდათ იმათზე მოგვებს, რომელთაც ეკავათ გამოჩენილი ადგილი თვით სასახლეში. სასანიდებმა გაავრცელეს ცეცხლის აღსარება სპარსეთში და იქიდამ შეიტანეს იგი მცირე-აზიაში, სომხეთში და საქართველოში. სასანიდები ხან-გრძლივ ებრძოდნენ ჯერ რომაელებს, მასუკან, როდესაც რომი დაეცა, ვიზანტიელებს, როგორც სომხეთში და საქართველოში, აგრეთვე აზიაში. რა ძალა აღმოიჩინეს სასანიდებმა, ამას ამტკიცებენ პირველად ისა, რომ შაბურმა I დაატყვევა 258 წ. იმპერატორი ვალერი-

რიან ჰბრძოდა და მარადის სძლევდაცა. შემდგომად იქმნა რა მირიან 40 წლისა, მოკვდა მამა მირიანისა ქასრე და დასვეს მე მისი ბარტომ სპარსთა მეფედ. ესმენელმან მირიან შემოიკრიბნა სპანი თვისნი და წარვიდა, რათა იქმნეს თვით მეფედ. მაშინ ბარტომცა მოვიდა ხევსა ნასიბისასა სპითა; არამედ მოხუცებულთა სპარსთაგან იქმნა მათ შორის ბჭობა და არღა-რა ბრძოლა; რამეთუ იტყოდა მირიან: „მე ვარ პირმშო მე, ამისთვის ჩემდა ჯერ არს ტახტი, ვინაჲდგან მრავალ-გზისცა დამიცავს სპარსეთი სიმხნითა ჩემითა ხაზართაგან.“ ხოლო ბარტომ იტყოდა: „გარნა თუ პირმშო ხარ, არამედ ხარ მხევლისა შობილი და მე ინდოთა მეფისა ასულისა, რომელსა დამადგა თვისითა ხელითა მამამან ჩემმან გვირგვინი.“ მაშინ განსაჯეს სპარსთა უხუცესთა და დაუმტკიცეს ბარტომს მეფობა სპარსთა და მირიანს რაჲცა ეპყრა დაურთეს მას ზედა შამი, ჯაზირა და ადრაბაგანი, ზავ-ჰყვეს ძმათა შორის და შეიქცნეს თვის-თვისად. ხოლო მირიანის მუნ ყოფასა შინა გარდმოვიდნენ ოვსნი, მოსტყვენეს ქართლი და წარვიდნენ. მოსრულმან მირიან მცხეთას შემოიკრიბნა სპანი და გარდავიდა ოვსეთად; ვერ წინა-აღუდგნენ ოვსნი; მოსწყვიდნა, მოსტყვენნა და მოწვნა ვიდრე საზარეთამდე და შემოვლო გზა დარუბანდისა და მოვიდა მცხეთას გამარჯვებული. შემდგომად მოვიდნენ ხაზარნი წარღებად დარუბანდისა და მირიან წარვიდა შველად, და მუნ ბრძოლასა შინა მოვიდა მეკოსორისა ტირიდატ სომხითის მამულსა თვისსა სპითა ბერძნისათა და დაიპყრა სომხითი. (რამეთუ ამან ტირიდატ გოლიათობითა თვისითა მოკლა მეფე გუთთა მბრძოლი კეისრისა და ამისთვის მოსცა კეისარმან სპანი). ამისმან მცნობმან მირიან დაუტევა ბრძოლა ხაზართა და მოიყვანა სპარსეთით ტომი მეფეთა და მისცა ასული თვისი და ერისთაობა რანისა; კვალად მოირთო სხვაცა ძალი სპარსთაგან და მარადის ბრძოდა ტირდატს; არამედ უკეთუ მოირთის ძალი ტირდატ ბერძენთაგან, სძლევდის მირიანს, ხოლო უკეთუ მოირთის მირიან ძალი სპარსთაგან, ჰსძლევდა ტირდატს და არავინ იყო მარტოდ მბრძოლი ტირდატისა და იყო მარადის ბრძოლა მათ შორის. ხოლო ჟამსა ამას მოვიდა წმინდა ნინა მცხეთას ქადაგებად ქრისტეს სახარებისა წელსა დასაბ. 4263, ბერძნულსა 5922, ქრ. შემდეგ 314, ქართულსა 66, მოქცემაათერთმ., აგვისტოს 5-სა, რამეთუ რაჟამს დიდი მთავარ-მოწამე გიორგი იწამა ქრისტესთვის კაბადოკიას, იყო კაცი კაბადოკიას ნათესავი წმინდისა გიორგისა, მთავარი და მონა ღვთისა ზაბილონ; ესე წარვიდა რომად წინაშე მაქსიმიანე

ანი; ამ შემთხვევაში რომის მხედართ-მთავრებმა, როგორც იული კაპიტოლინი გვარწმუნებს, შეეწეობა მოსთხოვეს იბერიელთა, ალბანელთა და ტავრო-სკვითებთა. ამათ არ- შეიწყნარეს მოთხოვნილება შაბურისა და რომის მხედართ-მთავართ აღუთქვეს ჯარით შეეწეობა ვალერიანის გამოსახსნელად; (Гана, *Извѣстія...*, 17ბ); მაგრამ ვალერიანი მაინც ტყვეობაში მოკვდა; მეორე ისა, რომ თვით სომხეთის სამეფო, როგორც თავის ადგილს ვუჩვენებთ, სასანიდების ხელითვე დაემხო და დაიგლიჯა.

კეისრისა ნიჭისა მოღებად[1]. კვალად კაცი ვინმე იყო კოსტრა ქალაქსა შინა და ესხნენ მე სახელით იობენალ და ასული სოსანნა, ხოლო აღსრულდნენ რა მშობელნი მათნი, დაშთნეს ობლად; შემდგომად წარვიდნენ და-ძმანი იერუსალიმს მსასოებელნი მისნი და მუნ იობენალ მიემთხვია დეკტალარობასა[2]; ხოლო დაჲ მისი მსახურებდა ნიაფორს სარრა ბეთლემელსა; ხოლო ზაბილონ წინაშე კეისრისა ნიჭებულ იქმნა და განდგნენ კეისრისაგან ბრანჯნი. მაშინ წარვლინებულმან მათ ზედა ზაბილონ ჰსძლო მათ ველსა ზედა პატალონისასა და შეიპყრა მეფე მათი მთავრებითურთ და მოიყვანა წინაშე კეისრისა[3]. განმხილველმან კეისარმან განაწესნა იგინი მოსიკვდიდ; მაშინ სტიროდნენ ბრანჯნი და ევედრებოდნენ ზაბილონს, რათა ნათელ-სცეს და მისცეს სჯული ქრისტესი და შემდგომად მოსწყდნენ. შეეწყალნეს ზაბილონს და აუწყა პატრიარხსა; მან ნათელ-სცა და აზიარნა სისხლსა და ხორცსა უფლისასა, ასწავა და განამტკიცნა სარწმუნოებასა ზედა. მმადლობელნი ღვთისა ბრანჯნი სიხარულით განვიდნენ საკილმოთა[4] ზედა და ღაღადებდნენ; „მოკვდის მესრმლე და აღიღენ თავნი ჩვენნი ჩვენგან“. ამისი მხილველი ზაბილონ შევიდა წინაშე კეისრისა და იურვა მათ-თვის; ხოლო კეისარმან მიანიჭნა იგინი ზაბილონს და მან განუტევნა. მაშინ ვედრებით წარიყვანნეს ზაბილონ, რათა ნათელ-სცეს ქვეყანათაცა მათთა. ხოლო მისრულთა დღისა სავალთა, მოეგებნეს სრულიად ბრანჯნი, ვინაიდგან სცნეს ცოცხლება მეფისა და მთავართა; მაშინ ნათელ-სცა ყოველთა წყალსა ღრმასა მას შინა და დაუდგინა მღვდელი და ესრეთ იქმნა ნათლის-მცემელი ბრანჯთა და თვით წარმოვიდა რომადვე. შემდგომად განყიდა ყოველი მონაგები თვისი და მისცა გლახაკთა და თვით წარმოსრული მოვიდა იერუსალიმს. ხოლო ჟამსა ამას დეკტალარი იგი პატრიარხ ქმნილ იყო და მეგობარ იქმნენ ფრიად პატრიარხი და ზაბილონ. მხედველი სარრა ნიაფორ ეტყოდა პატრიარხსა ქმნილსა ზაბილონისას და სიკეთესა და განუზრახვიდა, რათა მისცეს სოსანნა (ზაბილონს) დაჲ თვისი ცოლად. ესე სთნდა პატრიარხსა, აქორწინნა და წა-

1. წინად ხსენებული გიორგი კაპპადოკიელი იწამა დიოკლიტიანე იმპერატორისაგან (284—305) და არა მაქსიმიანეს დროს. (*H. de la G.*, I, 90, n. 2).

2. დ ე კ ტ ა ლ ა რ ი, ბროსსეს შენიშვნით, ს ე კ რ ე ტ ა რ ი (*H. de la G.*, I, 90).

3. ვგონებ ყოფად ბრანჯსა ბარცალონს, რომელი ქალაქი არს შპანიას კატალონიაში, ვინაჲდგან სახელნი მსგავს არიან: ბრანჯი ქართულად და ბარცალონ მათებრ; ხოლო პატალონი და კატალონი ერთისა ასოთ გამოცვლილი ქართულად და მდინარეცა ღრმა მუნვე და ველიცა პატალონისა ანუ კატალონისა. კვალად მუნვე მოსახლენი ბარლუზი, ხოლო ქართულად ბრანჯი. ვახუშტი.

აქ ვახუშტი შემცდარია. ბრანჯნი არ არიან ცნობილნი. იმ დროს, რომელიც ვახუშტის სიტყვებში იგულისხმება, კონსტანტინემ სძლო მხოლოდ ჶრანკებს რეინის მდინარეზე და დაატყვევა იმათნი მეფენი ასკარიკი და რეგაისი (Lebeau, *H. du B.-E.*, I, 42—43).

4. „განვიდეს ადგილსა კაცის საკლავსა სასისხლესა“ (ქ.-ცხ., I, 65).

რვიდა ზაბილონ კოსტრადვე. ხოლო ესე წმინდა ნინა ამათგან იშვა და აღზარ-და დედამან მსახურებასა შინა გლახაკთასა. შემდგომად იქმნა რა ნინა თორმე-ტის წლისა, მშობელთა მისთა განყიდნეს ყოველნი ქონებანი და მოვიდნენ იერუსა-ლიმს. ზაბილონ იჯმნა სოფლისაგან, იკურთხა პატრიარხისაგან და მიათვალა ღმერთსა და პატრიარხსა ასული თვისი სულთქმითა და ტირილითა დიდითა; თვით განვიდა იორდანედ და აღსასრული მისი უწყის თვით ღმერთმან. ხო-ლო ცოლი მისი სოსანნა მისცა პატრიარხმან მსახურებად გლახაკთა დედათა; ჯერმედ წმინდა ნინა მსახურებდა ნიაფორს დვინელსა სომეხსა ორ წელ, ჰკით-სვიდა და ისწავებდა სარწმუნოებასა, ქმნილებასა ქრისტესსა და ვნებასა მისსა. ხოლო ისმინა რა, რამეთუ კვართი უფლისა მცხეთელთა ურიათაგან წაღებულ არს, გამოჰკითხვიდა ნინა: „სადა არს მცხეთა? მიუგო ნიაფორმან: „არს ქვე-ყანა ჩრდილოეთისა საწარმართო მთიულეთი, რომელი ჟამსა ამას იქმნა უჯიკთა[1] სასულმწიფოთა". ამის დამმარხველი ნინა გულსა შინა მადლობდა ღმერთსა. მათ დღეთა შინა მოვიდა დედაკაცი ვინმე ეფესოდ თაყვანის-ცემად წმინდათა ადგილთა, რომელსა ჰკითხა ნიაფორმან"? „ჯერეთ ცთომათავე შინა არსა დე-დოფალი ელენა?"; ხოლო იგი ეტყოდა: „არა მხევალი მათი და უწყია, რამე-თუ დიდი წადიერება აქვს ქრისტეს სარწმუნოებისათვის." ამისი მსმენელი ნინა ეტყოდა ნიაფორს: „წარმგზავნე ელენე დედოფლისა მიმართ, ნუ თუ შევე მივემთხვიო სიტყვის გებად ქრისტესთვის".

ესე ნიაფორმან აუწყა პატრიარხსა; ხოლო პატრიარხმა მოუწოდა დის-წულსა თვისსა ნინას და დაადგინა წინაშე საკურთხეველისა, დაასხნა ხელნი, აკურთხა ცრემლით მადლობისა ღვთისადმი აღმვლენმან და რქვა: „წარგავლენ შენ, ვითარცა ცხოვარსა შორის მგელთა, ვითარცა წარვლინებულთა ქრისტესთა". შემდგომად უკმნა დედისაგანცა და განუტევა. მაშინ წარყვა წმინდა ნინა დე-დაკაცსა მას და მიიწვინენ რომად სახლსა დედაკაცისა ეფესელისასა და ისი-ლეს მუნ დედოფალი ტომისაგან მეფეთასა რიფსიმა და დედა-მძუძე მისი გა-იანა, რომელნი იყოფოდნენ მონასტერსა შინა ქალწულთასა მომლოდნელნი ნათლის-ცემად იერუსალიმით. ამას აუწყა დედაკაცმან საქმენი ნინასნი და რიფ-სიმამ მოწლედ შეიწყნარა ნინა და მასვე წელსა ნათელ-იღო რიფსიმამ და გა-იანამ და სახლეულთა მისთა რიცხვით 50 ხელთა შინა წმინდისა ნინასთა და იყოფოდა მუნ წელსა ორსა. მათ დღეთა შორის წარმოუვლინა კეისარსა[2], რათა ჰპოვონ მისთვის საცოლოდ ქალი კეთილ-ქმნული შვენება-კეკლუცებითა

1. ვინ არიან უჯიკნი არ ვიცით. საქმე მოციქ.-ში I: 9, ნათქვამია: „პართნი და მიდნი და უჯიკნი და ელამიტელნი." სხვა ენებზეა მხოლოდ პართნი, მიდნი და ელა-მიტელნი. ერთ ადგილს ქ.-ცხბაში: „უჯნი თურქნი," გვ. 319; *H. de la G.*, I, 451, n., I).

2. თუმცა ჟამსა ამას კეისარი ესე იყო დიდი კონსტანტინე; არამედ 306 წლიდამ 311-დე კვალად იყო რომს კეისარი მაქსიმიანე, რომელი სცანჯვიდა რომს და ქალწულ-თა და ქრმიანთა მიიყვანდა თვისადმი ძალ-ყოფით და ხრწნიდა მათ, ვითარცა სწერს ბა-რონია. ხოლო ესე რიფსიმაცა მას ჟამსა ივლტოდა რომიდამ. მე ესრეთ ვჰგონებ. ვახუშტი.

და მოვიდნენ მონასტერსა მას. ხოლო განრაისილეს რიფსიმა და გამოიკითხეს გვარი მისი და სცნეს მეფეთა ნათესაობა, სთნდათ შვენიერებისა მისისათვის და გამოსახეს ხატი მისი და მიართვეს კეისარსა, რომელმან იხილა, ეტრფიალა და განაწესა ქორწილი [1]. ხოლო განმხილველი რიფსიმა მანქანებისა მტრისა იურვოდა და ევედრებოდა ღმერთსა განრომასა; შემდგომად განივლტო 93 სულითა და მოიწივნენ სომხითის ახალ-ქალაქს დვინს, საყოფელთა სომეხთა მეფეთასა და შევიდნენ საწნეხელის ტალავარსა ჩრდილოთ აღმოსავლით კერძოთა და იზრდებოდნენ მუნ ფარულად ხელ-მოქმედებითა თვისითა. ხოლო კეისარი რა ვერღარა ეწია ნებასა თვისსა, წარავლინნა ყოვლგნით მეძიებელნი და მოუწერა ტირდატს, ვითარმედ „ქრისტიანენი, რომელნი ჯვარ-ცმულსა ესვენ, ხოლო ღმერთთა მეფობათა ჩვენთა ჰგმობენ, მათგანი ქალი ვინებე ცოლად ჩემდა, არამედ მან შეურაცხ-მყო და განმევლტვა. აწ ძმობით მომიძიე და რაჟამს ჰპოვო რიფსიმე წარმომივლინე და უკეთუ გთნდეს, შეირთე შენ, რამეთუ ვერ ჰპოვო მსგავსი მისი იონთა სოფელთა შინა და მშვიდობითცა ხარ". მსმენელმან ტირდატ მიება ჰყო და ჰპოვნნა იგინი საწნეხელსა მას შინა და იწამნენ მისგან რიფსიმა და გაიანა მოყვსებითურთ, ვითარცა მოგვითხრობს ცხოვრება სომეხთა [2]. მაშინ წმინდამან ნინა დამალულმან ვარდის ეკალსა შორის, რომელსა ჯერეთ არა გამოელო უვავილი, აღიხილნა ზეცად თვალნი და იხილა ანგელოზი გარდამომავალი, სიმრავლითა მკმეველი საკმეველისა, რომელთა აღუვანდათ სულნი წმინდათა მათ მოწამეთანი ცათა შინა, ამისთვის სულთ-ითქვნა: „რად დამიტევებ უფალო ასპიტსა და ვასილისკოსთა შორის"? ხოლო ესმა ხმა ზეგარდამო: „შენიცა წაყვანა იყოს ეგრეთ სასუფეველსა შინა; არამედ აღსდეგ და წარვედ ჩრდილოდ კერძო, სადა არს სამკალი ფრიად, ხოლო მუშაკნი არა". წარმოსრული მოიწია ორბანად საზღვარსა სომხეთისასა, და მუნ დაიზამთრა; შემდგომად თთვესა ივნისსა მოვიდა ჯავახეთს ტბასა ფანავარსა ზედა და იხილნა მთანი ჩრდილოთ კერძო, კრულნი თოვლითა, შეუძნდა და სთქვა: „უფალო, მიიღე სული ჩემი". არამედ მუნ ორ დღე მყოფმან ითხოვა საზრდელი ტბისა მეთევზურთაგან; ხოლო მუნვე მწყსიდენ სამწყსოსა არვე—მროწლეთასა და ჰხადოდენ არმაზსა და ზადენს ღმერთად და აღუთქმიდნენ შესაწირავთა მშვიდობისათვის, რომელნი იტყოდნენ ენითა სომხურითა, რომელნი ესწავა

1. აგათანგი ამ განზრახვას მიაწერს დიოკლიტიანეს (Lauglois, *Collect.*, I, 136—137).

2. იმას ტირდატისაგან წამებისა ამათ წმინდათასა სწერს ბარონია წელსა ქრისტესა 311, რომელიცა მოწმობს ამ ქორონიკონებსა აქ წერილებსა და მოქცევასა სომხითისასა, რომელნი მოიქცნენ წელსა ქრისტეს აქეთ 315. ვახუშტი,

ამ საგანზე ნახე იმავე აგათანგის თხზულებაში Lauglois, I, 137. აქ ლანგლუას თავის შენიშვნაში შემოაქვს ლაკტანციისაგან ნაამბობი ლეგენდა ერთ ქალწულ ქალზე გალერიაზე, რომელსაც მაქსიმიანე სძებნიდა შესართავად და რომლის თავ-გადასავალი აგათანგის მოთხრობას სრულებით მიემსგავსება. მაშა სადამე ვახუშტის აზრი (გვ. 58, შენ. 2) უფრო საფუძვლიანია. ქ-ცხა არ იხსენიებს კეისარს, თუმცა რიფსიმეს ამბავს აფუძნებს აგათანგზე (69 71).

ნინას მცირედათ ნიაოვრასაგან და ჰკითხვიდა მათ სადაურობასა; ხოლო ეტყოდნენ საფურცლისა ქინძარისა და ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ. მიუგო ნინა: „სადა არს მცხეთა? ჰრქვეს:“ „გარდამდინარე ამის ტბისა მიმდინარებს ქალაქსა მცხეთას“. შეუძნდა წმინდასა სიგრძე და სიფიცხე გზისა და სულ-მთქმელმან მიიდვა ლოდი გარდასადინელსა ტბისასა და მიერულა. მაშინ ჩვენებასა შინა მოვიდა კაცი, მოსცა წიგნი ნინას და ეტყოდა: „მიართვი ესე მეფესა მცხეთისასა“. მიუგო ნინა: „უფალო, მე დედაკაცი ვარ, როგორ მივიდე უცხოთა თემთა და ქვეყანათა შინა?“. ამისთვის განუხსნა კაცმან მან წიგნი იგი, რომელი იყო რომაულებ და მისცა კითხვად ნინას, რომელსა შინა იყვნენ ათნი სიტყვანი:

1. სადაცა იქადაგოს სახარება ესე, ითქმოდეს დედაკაცი ესე.

2. არცა მამა-კაცება, არცა დედა-კაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ.

3. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მას სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა.

4. ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაილისა.

5. სადაცა იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა, ითქმოდეს დედა-კაცი ესე ყოველსა სოფელსა.

6. რომელმან თქვენ შეგიწყნაროს, მე შემიწყნარა და რომელმან მე შემიწყნარა შეიწყნარა, მომავლინებელი ჩემი.

7. რამეთუ ფრიად უყვარდა მარიამ უფალსა და მარადის ისმენდა სიტყვასა მისსა ჭეშმარიტსა.

8. ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცნი, ხოლო სულის ვერ შემძლებელ არიან მოწყვედად.

9. რქვა მარიამ მაგდალინელსა იესო: წარვედ დედაკაცო და ახარე ძმათა ჩემთა.

10. სადაცა ჰქადაგებდეთ სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა.

ხოლო წამკითხველმან წმინდამან ნინა იუწყა ზეგარდამოსა ყოფად ესე და ითხოვა ღვთისაგან შეწევნა, მიჰყვა მდინარესა მას გზისა სიფიცხისა და მშიშარე მხეცთაგან და მივიდა ქალაქს ურბნისს. მუნ იხილნა ერნი, რომელნი მსახურებდნენ ღვთად ქვათა, ძელთა და ცეცხლთა; ამისთვის შეურვებული შევიდა უბანსა ურიათასა და ზრახვიდა მათ ენითა ებრაელითა, სადა დაჰყო მუნ თთვე ერთი. შემდგომად აღიძრნენ ერნი ურბნისით ვაჭრობად და ზორვად არმაზისა და ზადენისა [1], და წარვიდნენ მცხეთას, რომელთა წარუყვა წმინდა ნინა და მი-

1. „ზორვად არმაზისა და ზადენისა.“ ლექსი ზორვა იხმარება მხოლოდ ძველს ჩვენ მწერლობაში. საბა ორბელ. განმარტებით, იგი ჰნიშნავს „კერპთა მი-

სრულმან მცხეთას იხილნა სატფურნი და ცეცხლის-მსახურება მათი; სტიროდა წარწყმედასა მათსა და იგლოვდა უცხოობასა თვისსა. ხოლო დღესა მეორესა იყო ოხრვა საყვირთა და ზარ-დიდი და შეამკვნეს გზანი და ფოლოცნი, ვითარცა უკავილი ველთა და გამოვიდნენ ერნი; შემდგომად გამოვიდა ნანა დედოფალი, მერმე მირიან მეფე დიდებით და აქებდნენ ყოველნი მეფესა. მაშინ ჰკითხა ნინა ურიასა ვისმე: რაჲ არს ესე? მიუგო: „ღმერთნი მათნი უწესნ მათ თაყვანის-ცემად“; მსმენელმან ნინა მიისწრაფა და შეასწრა ციხესა შინა არმაზს და შევიდა ზღუდისა ნაპრალსა და მხილველმან კერპთამან, რომელი იყო არმაზ რვალისა ოქროს ჯაჭვ-ცმული, ხელსა მახვილი მქცეველი შორის და იმიერ და ამიერ გაიმ და გაციმ ოქროსა და ვეცხლისა და მოვიდიან მეფე და ერნი შიშით თაყვანის-მცემელნი და კრძალვით მვედრებელნი; სულთ-ითქვნა წმინდამან და მოეხსენა დედის-ძმისა თვისისა [1], რაჟამს ეტყოდა: „წარგავლენ შენ მამა-კაცსა სრულსა და მიიწიო ქვეყანასა უცხოსა ღვთის-მბრძოლთა და მხდომთასა; წამს იწყო ვედრებად ღვთისა, რათა გამოიხსნას ქვეყანა იგი და შემუსრნეს კერპნი. მყის შემდგომად ლოცვისა მოჰბერა ქარმან მყრალმან და მძაფრმან თთვესა აგვისტოსა ექვსსა, წელსა ქრისტეს აქეთ 314, ქართულსა 66, და ივლტოდა მეფე ერითურთ ქალაქად და დაბნებად. მაშინ მოუშვა სეტყვა ძნიად ორის ხელით სატყორცი და შემუსრნა კერპნი, დააწვლილნა და შთასთხია სიღრმესა. დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მიებად კერპთა თვისთა და ვერა რასა ჰპოვებდნენ და იტყოდნენ: „ქალდეველნი ღმერთნი და არმაზ მტერნი იყვნენ და ამან ოდესმე მოაქცივა მას ზედა ზღვა; ხოლო მან აწ უქმნა ესე“. სხვანი იტყოდნენ: „რომლისა ღეთისაგან ტირდატ ეშვად შეიცვალა [2] და კვალად კაცადვე მან ღმერთმან ჰყო ესეცა“; რამეთუ მიერითგან დიდება ქრისტესი დაუფარველად იყო

მართ შეწირვასა, კმევასა და მსხვერპლსა.“ ეს აზრივე აქვს მას ხშირად ბიბლიაში „უზორვიდეს ეშმაკთა.“ შჯ. 32: 17; „ვყოთ ყოველი სიტყვა ზორვად მისსა საზორველთა... და უზორავთ მას საზორველსა...“ იერ., 44: 17—19; „მთათა ზედა ეზორა.“ ეზეკ. 18: 11; „ჰხადეს მათ ნაზორევთა ზედა კერპთა მათთასა.“ რიცხ., 25: 2.

1. დ ე დ ი ს-ძ მ ა. ამ სიტყვას ვახუშტი ხმარობს ისე, როგორც ქ.-ცხბა მაგიერ ბ ი ძ ი ს ა. უნდა შევნიშნოთ, რომ ბიძა სრულებით არ იცის ძველმა ჩვენმა მწერლობამ. ბიბლიაში ყოველთვის აღმოიკითხვის: მამის-ძმა, დედის-ძმა, მამის ძმის-წული, დედის ძმის-წული (ნახე დაბ., 29: 10, 11, 12, 13; რიცხ., 26: 10, 31.; მსაჯ., 9: 3; ლევ., 25: 49). ქ.-ცხბაშიაც აგრეთვე (I, 128, 129). აქ პირველად ლექსი ბიძა შეგვხვდა გიორგი III ცხოვრებაში (1156—1184); მაგრამ ისიც, როგორცა ჩანს, შეცდომით ნახმარი, რადგან ძველს თეიმურაზ ბატონიშვილის ვარიანტში ბიძის მაგიერ არის ძიძა (ქ.-ცხ. 274 და შენიშვნა 1). პირველათ კი იგი ხმარებულია თამარ დედოფლის დროის წერილებში (ნახე ქ.-ცხ., 296 და ვეფხ.-ტყ., ტაეპი 595, 598).

2. „ტირდატის ეშვად შეცვლაზე“ ნახე მოთხრობა აგათანგისა-Langlois, *Collect.*, II, 150, 161.

ქართლსა შინა და მადლსა ღვთისასა აქწყო მოფენად. ხოლო ნინა გამოვიდა ნაპრალით და ჰპოვა თვალი იგი ბივრიტი[1], რომელი უჯდა არმაზს; აღიღო და მოვიდა ბრინჯის ხისა ქვეშე ასლოს მუნვე, რომელი იყო საგრილი ბარტომ მეფისა; გამოსახა ხესა ჯუარი და ევედრებოდა ღმერთსა მუნ ექვს-დღე, რათა მოჰხედოს და იხსნას ერი იგი ეშმაკისაგან. ხოლო ხესა მას ქვეშე მოვიდა სეფე-ქალი[2] შროშანა და ჰკითხვიდა ვინაობასა და წმინდამან აუწყა ყოველივე თვინიერ მშობელთა თჳსთა და იჩემა ტყუეობა თვისი; მაშინ შროშანა აიძულებდა, რათა წარჰყვეს სახლად მისად; არამედ არა ინება წმინდამან და წარვიდა შროშანა. შემდგომად სამისა დღისა განვლო ნინამ მტკვარი და მივიდა სამოთხესა სამეფოსა, სადა აწ არს სვეტი-ცხოველი, და შევიდა სახლაკსა მე-

1. ბივრიტი და ბივრილი ერთი და იგივე არს. მე თვით მინახავს ეს თვალი; ზღვისა და ცის ფერი აქვს. დავით რექტორი.

2. მოვიდა სეფე-ქალი. ქ.-ცხ.ში: „მოვიდა მისდა სეფე-ქალი... და აიძულებდა წმიდასა ნინოს წარსვლად სახიდ (სახლად) სამეუფოდ“ (გვ. 76). საბა ორბელ. განმარტებით, „სეფე ჰნიშნავს დიდებულთათვის (?)“, ესე იგი დიდებულსა; მაგრამ ეს განმარტება საკმარისი არ არის. ამ სიტყვას ძველს ჩვენ მწერლობაში ბევრგვარი მნიშვნელობა აქვს. სამს ძველის-ძველს სახარების ვარიანტებში, რომელთაგანი ერთი, ჩვენის ფიქრით, ეკუთნის მე-IV—V საუკუნეს, მეორე მე-VII და მესამე კი, ჯრუჭის მონასტრისა, როგორც მისი წარწერა უჩვენებს, მე-X საუკ., მაგიერ მეხარკისა — „მიგცეს შენ მეხარკესა და მეხარკემან მიგცეს შენ საპყრობილედ“ (ლუკ. 12: 58), ნათქვამია: „მიგცეს შენ სეფესა კაცსა და სეფემან კაცმან მიგცეს შენ საპყრობილედ.“ ბიბლიაში სეფე არ შეგხვედრია. სეფე-წული, ხმარებული მე-V საუკ. მოსე ხორენელისაგან, (ნახე ზემოთ გვ. 41, შენიშვნა 2.), როგორც ამტკიცებენ და როგორც თვით ხორენელის თქმულება გვიჩვენებს, ჰნიშნავს „მეფეთა მცველსა სასახლის რაზმსა“. (*H. de G.*, I, 430, n. 3). ამ გვარ რაზმს ძველად თვით ასსირო-ბაბილონიის სამეფოში შეადგენდნენ სასახლის სამხედრო მოხელენი და იყვნენ უპირველესნი მმართებლობისავე ხელის-უფალნი (Lenorm., *H. de l' Orient.*, II, 132). გარდა ამისა აი კიდევ სხვა-და-სხვა მნიშვნელობა სეფისა: „სეფე-ზვარი“ (წარწერა ატენის სიონისა); „ვენახი სასეფო“ (ქ.-ცხ., I, 221); „სეფე-კაბიწი“ — „ჩემსა მწირველსა თხუთმეტი გრივი ხვარბალი მიეცემოდეს ხოდაბუნთაგანვე სეფითა კაბიწითა“ (მე-XIII საუკ. რკონის მონასტრის გუჯარი); „სეფე-ზედაშე“ (მამ.-ცხ. შიო-მღვიმისა, გვ. 140); „სეფის-კვერი,“ აქამომდე დარჩენილი ხმარებაში; „სეფე-დარბაზი“ (ვეფხ.-ტყ., ტაეპი 678, 1498); „სეფე-დროშა.“ „და მოიღო სეფე-დროშა (ქ.-ცხ., I, 350); „სეფე-დროშა არლა-რა გაგზავნეს“ (ქ.-ცხ., I, 357); სეფე-მწიგნობარი“ (ჩემი კრებული ქართულ. დოკუმენტ., 597). „სეფენი აზნაურთანი“ (ქ.-ცხ., I, 309); „აწყინა სეფეთა ქვეყანათა“ (ქ.-ცხ. I, 399); „არა ხარ სეფე-ქალ და დიაც“ (ქ.-ცხ. I, 463); „ტურფანი სეფედ გადასხეს“ (ვეფხ.-ტყ., ტაეპ. 1061); „გიორგი და რუსუდან შვენიერნი... შექმნით სეფის-პირნი“ (ქ.-ცხ. I, 338); „რომელსა ნარინ დავითობით უწოდეს, ესე იგი არს სეფის-პირი დავით“ (ქ.-ცხ., I, 364). „სეფობა“ — „ვენახითა სახმარითა და უხმარითა სეფეობითა“ (ძველი გუჯარი ლარგვისისა); „თვით ფავსა მათსა მონად და ჩემსა ყველასა სეფობით“ (ვეფხ.-ტყ., ტაეპი 615).

სამოთხისასა[1], რომლისა ცოლმან ანასტასია მოწყალედ შეიწყნარა და დაჰბანა ფერხნი, სცხო ზეთი, დაუგო პური და ღვინო და განუსვენა და დაჰყო მის თანა თთვენი 9. ხოლო მესამოთხენი იყვნეს მწუხარე უშვილოებისათვის; ამისთვის იხილა წმინდამან ჩვენებასა შინა კაცი, ნათლით მოსილი, რომელი ეტყოდა: „შევედ სამოთხესა და ჰპოვო ნაძვისა ქვეშე მცირე ბაბილოს სუნნელი; აღიღე მიწა მისი, აჭამე მეუღლეთა მათ და ესვათ შვილნი. ხოლო წმინდამან მოიღო, უღოცა და შეაჭამა მათ და შვნეს შვილნი და რწმენათ ქრისტე და დაემოწაფნენ ნინას. შემდგომად წმინდამან ჰპოვა გარე ზღუდისა ქოხი ბრწამლისა[2] ერთი, სადა აწ არს ზემო-ეკლესიის საკურთხეველი განგებითა ღვთისათა; შევიდა მას შინა და დაასვენა ჯვარი, რომელი გამოეკვეთა ნასხლევისაგან და იყოფოდა მას შინა ლოცვითა და ვედრებითა ღვთისათა და განკვირვებულნი მესამოთხენი ღვაწლისა მისისათვის მსახურებდნეს მას და ესრეთ მას შინა მყოფი მრავალ-გზის შევიდოდა უბანთა ჰურიათასა, რათა გამოიძიოს კვართი უფლისა, რომელი ესწყა ნიავთორისგან წარღებული მცხეთას. ხოლო ჰპოვა აბიათარ ჰურია მღვდელი და ასული მისი სიდონია, რომელთა უქადაგა სახარება და იმოწაფნა იგინი და მათ თანა ექვსნი სხვანი დედანი ჰურიათანი დაემოწაფნენ, თვინიერ ნათლის-ცემისა, მრწმუნებელნი ქრისტესნი, ვინაჲდგან დროსა მას არა იყო მღვდელი და იქმნებოდნენ სასწაულნი და კურნებანი მრავალნი სენთანი ნინას მიერ, რომელი იქცეოდა წლისა სამისა ჟამთა მცხეთას.

მაშინ იტყოდა აბიათარ: «მე ვიყავ წილ-ხდომილი დროსა მას, ოდეს წმინდა ნინა მოვიდა მცხეთას. მასვე დროსა მომივიდა წიგნი ანტიოქით ჰურიათა მღვდელთაგან, ვითარ განხეთქა ღმერთმან მეფობა მათი და არღარა მოაქცია მათდა უფლება მაერით, ოდეს მოკლეს მამათა მათთა ქრისტე და ჯვარს აცვეს, და დაიპყრეს რომთა ადგილი მათი, და შეურაცხ-იქმნენ მიერ ჟამითგან. ხოლო მე ამათ ყოველთა ვკითხვიდი წმინდასა ნინას და იგი მომითხრობდა დასაბამითგანვე წიგნთაგანვე ჩვენთა ზეპირად და მაუწყებდა ყოველსავე ქრისტესთვის და ნათლის-ცემასა და ზიარებასა, რომელსა ღირს ვიქმენ მე და რომლისა ჰსუროდა წინასწარ-მეტყველსა დავითს და მარწმუნა ჭეშმარიტი მე ღვთისა და ვიხილვიდი მრავალსა სასწაულსა და კურნებასა წმინდისა ნინასგან. და აწ მე აბიათარ მოგითხრობ, რომელი მეუწყა მამის-დედისა ჩემისაგან და უწყი წიგნთაგანცა, რამეთუ მათთაცა პაპათა და მშობელთა თვისთაგან მოთხრობილი სმენილი უწყოდნენ, რამეთუ რაჟამს მეფობდა იროდი იერუსალიმს, მოვიდა ამბავი მცხეთას, ვითარმედ შევიდნენ სპარსნი დაპყრობად. ხოლო წარვიდნენ აქედამ მგლოვარენი ჰურიანი შველად იერუსალიმსა, არამედ შე-

1. სამოთხე—მტილი სასიამოვნო, საშვებელი. ამ აზრით იხმარება ბიბლიაშიაც და ყველა ძველ ჩვენ მწერლობაშიაც; „იმოთხვიდეს სამოთხესა შინა ამის საწუთროსა" (ქ.-ცხ., I, 298); „და მუნ იმოთხვენ და იშვებენ" (იქვე, 456).

2. ბრწამლი არს ეკალა ლიჭი, დავით რექტ.

მდგომად მოვიდა ამბავი არა მოტყუენვისათვის, არამედ ყრმისა ახალ-შობილისა დავითის ტომისა ძღვნისა შეწირვად მოვიდნენ სპარსნი, რომელთა უძღვნეს ბეთლემს მწირად შობილსა ოქრო, მური და გუნდრუკი და თაყვანისცეს. მსმენელთა ურიათა ჰყვეს სიხარული დიდი ქართლსა შინა. ხოლო შემდგომად 30 წლისა მოეწერა ანნა მღვდელსა იერუსალიმიდგან პაპისა ჩემისა ელიოზისა თანა, რომლისად სპარსნი ძღვენით მოვიდნენ, იგი აღზრდილ არს და იტყვის თავსა თვისსა ძედ ღვთისა. აწ მოველით სიკვდილდ მისდა, რათა აღვასრულოთ მცნება მოსესი. ამისთვის წარვიდნენ პაპა ჩემი ელიოზ, რომელსა ჰყვა დედა ტომისაგან ილი მღვდლისა და დაჲ ერთი. მაშინ ევედრებოდა ელიოზს დედა თვისი: წარვედ, გარნა ნუ შეეზრახები ზრახვასა, რომელსა განიზრახვენ; რამეთუ იგი არს თქმული წინასწარ-მეტყველთა: «მოლოდება წარმართთა, ცხოვრება საუკუნო», და ესრეთ წარვიდა ლონგინოზ კარსნელიცა. ხოლო ოდეს ჯუარს აცვეს და ჰკრეს უფალსა სამსჭვალი, ესმა დედასა ელიოზისასა მცხეთას, მყის იკრჩხიალა და სთქვა: „მშვიდობით, მეფობაო ურიათაო, რამეთუ მოჰკალთ მეუფე თქვენი. ვაჲ ჩემდა! ნეტარმცა სმენადვე მომკვდარმცა ვიყავ,“ და მოკვდა. ხოლო კვართი უფლისა წილად ხვდათ ელიოზს და ლონგინოზს და მოვიდნენ მცხეთას; მიეგება დაჲ თვისი ელიოზს და მოეხვია ყელსა, გამოუღო კვართი, შეიტკბო მკერდსა და მყისვე სული წარხდა სამთა ტკივილთა თვის. ამისთვის იქმნა შფოთი დიდი მცხეთას, რამეთუ განკვირდებოდა დიდი მეფე ადერკი და ინება კვართი იგი, არამედ საკვირველებისა მისგან ვერღა-რა იკადრა გამოღებად, ვინადგან მაგრად და სურვილით შემოემკერდნეს და დამარხა ელიოზ დაჲ თვისი კვართითავე ადგილსა, რომელი უწყის ღმერთმან[1]. გარნა ესე ვუწყით, რამეთუ არს ხალენი ილიასი ადგილსავე მას და ესეცა მეუწყა მამისა ჩემისაგან, რამეთუ არს ადგილი მახლობელ ნაძვისა მის ლიბანისა და ამისთვის მაბირებდა მე მრავალ გზის წმინდა ნინა, რათა გამოვიკითხო მამისა ჩემისაგან; არამედ მან იგივე მომითხრის, რამეთუ არს ადგილსა ამას და არს ვითარცა კიბე იაკობისი ზეცად აღწევნილი. შემდგომად ამისა მის-წულის-წულმან ადერკისამან, მეფემან არმაზელ ძიება ჰყო ურიათა თანა და ვერ უძლო პოვნად კვართი იგი, რამეთუ მასცა ეგრეთვე უთხრობდნენ ნაძვისა მის მახლობელობასა. ხოლო დროთა ამათ იხილა წმინდამან ნინა სამ-ოთხ-გზის ძილსა შინა ჩვენება, რამეთუ მოვიდიან მფრინველნი შავნი, შთასრულნი მტკვარსა შინა იბანიან, განთეთრდებოდიან და შესხდიან ბაზილოსა მას

1. ამ კვართზე სწერს მიხეილ სირიელი პატრიარქი მე-XIII საუკ. „ათის-თავმან ლაზიკისამან გაიტანა კვართი უფლისა თავის მამულის ე გ რ ი ს (სამეგრელოს) დედა-ქალაქში, სადაც დახშეს იგი მინის ჭურჭელში, რომელიც ეკლესიაში ჰკიდია და რომელსაც ვერავინ შეეხება. ეს ჭურჭელი სახურავ ქვეშ ყოველთათვის სახილველია.“ აქვე შენიშვნაში ლანგლუას, მიხეილ სირიელის ისტორიის მთარგმნელს, შემოაქვს შემოკლებით მთელი ისტორია კვართისა (*Chronique de Michel le Grand.* Paris. 1868, p. 97—98).

ზედა, მოისთვლიან ნაყოფნი მისნი და მოუღიან წმინდასა ნინას და მოკრბიან გარემო მისსა შვენიერად ყლივილითა. ესე აუწყა წმინდამან აბიათარის ასულსა სიდონიას, რომელმან მიუგო: „შენ, ტყვეთა მხსნელო, შენსა ზედა აღსრულდეს ჩვენება ესე და შენით შეიცვალოს სჯული ქვეყანისა ამის და იცნან გზა ჭეშმარიტი. ჰი იერუსალიმ! ვითარ განგიმარტებიეს ფრთენი და შეჰკრებ ყოველთა და აქაცა მოსრულ არს დედაკაცი ესე, რომელმან შესცვალოს ყოველნი წესნი!"

მათ დღეთა შინა სპარსეთს მოკვდა ბარტომ მეფე, ძმა მირიანისა და დაჯდა ძმა მისი მეფედ. ამან მოუმცნო მირიანს, რათა შეიკრიბნენ და შევიდნენ საბერძნეთს. მსმენელი მირიან სიხარულით წარვიდა და შეკრბნენ ორნივე ერთად, რომელთა სპათა სიმრავლე, ვითარცა ფურცელნი ხეთანი. ამათ ვერ წინა-აღუდგა ტირდატ, არამედ განამაგრნა ციხე-ქალაქნი; ხოლო ამათ გარდავლეს სომხითი და შევიდნენ საბერძნეთს. დროსა ამას აღვარა ქრისტე დიდსა კოსტანტინეს და იყო ქრისტიანედ. ესე კოსტანტინე მოვიდა წინა-მძღვანებული ჯვარისა, ეწყო მცირედითა სპითა და კვეთებასავე აოტნა სპარსნი და მირიანისანი და მოსწყვიდნა; უმრავლესნი სპარსნი შეივლტოდნენ სპარსეთად. ხოლო მირიანს მცხეთას მოუდგა კოსტანტინე. შეუშინდა მირიან, ეზრახა და მისცა ძე თვისი ბაქარ მძევლად და ზავ-ჰყო. მაშინ კოსტანტინემ ამზასლა მირიან და ტირდატ და მისცა ტირდატ ასული თვისი ძესა მირიანისსა რევს და უჩინა საზღვრად მთა, რომელსა მისდის იმიერ მდინარენი და მიერთვის არაზსა, ტირდატის კერძოდ დაჰყარნა, და ამიერ მრთველნი მტკვრისანი მირიანის კერძად, და აჩვენა და წარვიდა კოსტანტინე. მაშინ მოქცევასა მირიანისასა ხმა მაღლად ქადაგებდა ნინა და გამოაჩინეს ჯვარი იგი ნასხლევისა და იქმოდა შეხებითა მისითა კურნებათა მრავალთა. ეგრეთვე მოწაფენი მისნი სიდონია და ექვსი იგი და ახალი პავლე აბიათარ ჰქადაგებდნენ დაუცხრომელად; ამისთვის აღიძრნენ ურიანი აბიათარს ზედა, რათა ქვა დაჰკრიბონ; არამედ მეფემან წარავლინნა მსახურნი და გამოიტაცა იგი, რამეთუ სმენოდა მირიანს საბერძნეთით და სომხითით სასწაულნი მრავალნი ქრისტეს-მიერნი და არა დაბრკოლებდა ნინას და მოწაფეთა მისთა; გარნა ბრძოდა მტერი იგი და ვერ აღვარა ქრისტე და ნინა დედოფალიცა ფრიად მტერ იყო ქრისტეს სჯულისა. ხოლო წმინდა ნინა ლოცვით იყოფოდა საყოფელსა თვისსა, და უკვირდათ წარმართთა ღვაწლნი მისნი და ჰკითხვიდნენ მას; ხოლო იგი აუწყებდა და დაუთესვიდა სიყვარულსა ქრისტესსა გულთა შინა, და დაიმოწაფნა სამსა ამას წელსა მრავალნი. იყო ვინმე ყრმა წული უფალი მძიმისა სენისა და მიმოაქვნდა დედასა, რათა განკურნოს ესე ყოვლად მოძღვე ქრისტიანობისა; არამედ რა უსასო იქმნა მკურნალთაგან, მოვიდა წინაშე ნინასა და ევედრა, ხოლო წინ დასდვა კილიკსა[1] ზედა თვისსა, ულოცა და აღადგინა და მისცა დედასა

1. კილიკი არს ფალასი ბალნისა. დ. რექტ.

თვისსა, ამისთვის დედამან ურმითური აღიარა ქრისტე და მადლობდა ღმერთსა. შემდგომად დასნეულდა დედოფალი ნინა და ვითარ ვერა რაჲ არგს მკურნალთა, ეტყოდნენ წმინდასა ნინასთვის. მან მსწრაფლ მიუწოდა, არამედ წმინდამან არა ინება მისვლა, გარნა მოუწოდა დედოფალსა და მოიყვანეს იგი ცხედრითა და დადვეს კილიკსა ზედა მისსა, მაშინ ნინამ შეასხა ჯვარი თავსა, ფერხსა და მხრებსა-ზედა და ულოცა და აღადგინა ცოცხალი. მიერით იქმნა მეგობარი ნინასი, ჰკითხვიდა ქრისტეს სარწმუნოებისათვის და ისწავებდა გულს-მოდგინედ, ამისთვის ჰკითხვიდა მეფეცა ნინას განკურნებასა; ხოლო იგი აუწყებდა და უკვირდა მეფესა და გამოეძიებდა სჯულსა ქრისტესსა, და მარადის ჰკითხვიდა აბიათარს ძველთა და ახალთა წიგნთაგან და წიგნიცა აქვნდა მეფესა ნებროთისა, რომელი ეწამებოდა, რამეთუ გოდლის შენებასა ეტყოდა ნებროთს: „მე-ვარ მიხაილ, მდგომარე აღმოსავლეთსა ზედა ღვთისაგან, განვედ ქალაქისა ამისგან, რამეთუ ღმერთი დაჰფარავს; ხოლო უკანასკნელ მოვიდეს ღმერთი ცისა, რომლისა შენ გნებავს ხილვად, შეურაცხი ერთა შორის, და შიშმან მისმან განაქარვის გემოჲ სოფლისაჲ, მან გიხსნას შენ, ჭირისაგან შენისა.“ ამას გამო უმეტეს ირწმუნებდა მეფე ნინასსა და შექმნა სურვილი ქრისტიანობისა მოსიკვდილდ, გარნა მტერი დაუთესვიდა სიყვარულსა კერპთასა და ცეცხლისასა, რომლისა წინა-აღმდგომ ევედრებოდა დედოფალი ქრისტიანობისათვის. მაშინ მოვგი იგი მთავარი ხვარასნელი, მენათესავე მეფისა, სულითა უკეთური, იგვემებოდა ფიცხლად; ამისთვის ევედრნენ მეფე და დედოფალი, რათა განკურნოს იგი; ხოლო მეფე ეტყოდა: „უწყი, რამეთუ ხარ ასული არმაზისა და შვილი ზადენისა, და მით ჰყოფ კურნებათა, ამისთვის იყავ შენ, ვითარცა მაწოვარი ერთა წინაშე ჩემსა და პატივ-გცე; არამედ ნუღარა-რა იტყვი სჯულსა მას რომთასა, გარნა სოფლის-მპყრობელთა არმაზ და ზადენისა, გაციმ და გაიმისა, მამათა ჩვენთასა, რომელთაგან არიან მნათობნი მცენარნი და ნაყოფიერებანი. აწ უკვე განკურნე მთავარი ესე, და გულ-შენ მკვიდრ მცხეთას და დაგადგინო შენ მსახურ არმაზისა და ესე ხმა გეყავნ შენ“. მაშინ მიუგო წმინდამან: „ვევედრები ღვთაესა იესოს და დედასა მისსა, რათა გაუწყოს ღვთაებაჲ თვისი, და გაცნობოს ქმნილნი თვისნი, ვინაჲდგან მოუვლენიეს შენდა მცირედი მადლისა თვისისა ნაბერწყალი, რომელი არს უხილავი ღმერთი ცათა შინა მხოლოდ, რომელი გამოჩნდა ქვეყანასა ზედა და აღასრულენა ყოველნი და აღვიდა მამისად, მისგან ახლოს არს მიახლება შენი ღვთისა, რამეთუ კვართი მისი და ხალენი ილიასი ქალაქსა ამას შინა არს, რომლისათვის სასწაულნი მრავალნი ყოვად არიან. ხოლო მე მთავარი შენი განვკურნო ძლიერებითა მისითა და ჯვარისა მისისათა, ვითარცა დედოფალი ნანა, რათა განბრწყინდეთ სულითა“. მაშინ მოჰგვარეს მთავარი იგი სამოთხესა ნაძვისა მის ქვეშე და დაადგინა იგი აღმოსავლით აღპყრობითა ხელთათა და ათქმია სამ-გზის: „ვიჯმნი ეშმაკისაგან და შეუდგები ქრისტესა“, და ტიროდა ნინა და დედოფა-

ლი და განვიდა მსწრაფლ სული იგი ბოროტი მისგან, დაემოწაფა ნინას და ადიდებდა ღმერთსა. მაშინ მირიან განვიდა თთვესა ივნისსა 20 დღესა შაბათსა ნადირობად მუსრანით კერძო, მოუსდა ბოროტი გულსა ❀ ეტყოდა ოთხთა წარჩინებულთა თვისთა: „ღირს ვართ ბოროტის ყოფად კერპთა ღმერთთა ჩვენთაგან, რამეთუ დაუტევეთ იგინი და ვისმინეთ დედა-კაცისა მის რომისა, რომელი ქადაგებს ჯვარ-ცმულსა. აწ მნებავს ვსტანჯო იგი და დედოფალი ნანაცა, უკეთუ არა დაუტევნონ სჯული რომთა“. ხოლო მათ წადიერებით დაუმტკიცეს განზრახვა მეფესა; არამედ მოვლეს და აღვიდნენ მთასა ზედა თხოთისასა, რათა მოიხილონ კასპით; მაშინ მყის მოეხვია ბური და იქმნა ბნელი მძაფრი წყვდიადი, რამეთუ მოსწყდნენ მეფესა ყოველნი სპანი, და თვით მარტო დაბრმობილი მუნ ევედრებოდა კერპთა თვისთა ჟამ რაოდენმე აღხილვად თვალისა და ჩვენებად მზისა და ვერ ჰპოვა ღხინება და ვერცა-და უძლო სლვად. შემდგომად მოეგო გონებასა და თქვა: „ვხადო დედა-კაცისა მის ღმერთსა, უკეთუ მერგოს რაჲ, აღვიარო იგი“: და იტყოდა: „ღმერთო ნინასო! განმინათლე ბნელი, უკეთუ ხარ ჭეშმარიტი ღმერთი, და აღვიარო შენ“. მყის სიტყვისა თანა განათლდა ყოველი ქვეყანა და თვალნიცა მეფისანი; მაშინ მირბიოდა მეფე ზახილით: „დიდ არს ღმერთი ნინასი, და გამოეგებოდა ნინა დედოფალი საფურცლესა ერითურთ; არამედ მეფე მივიდა ქოჩსა მას წინაშე ნინასსა, გარდახდა ჰუნისაგან და თაყვანი-სცა ჯვარსა გაზისა ნინასსა და აღიარა ქრისტე ღმერთი მან და ერმან მისმან დასაბამითგან 4266, ბერძულსა 5625, ქართულსა 69, მოქც. მეათერთმ. ქრისტეს აქეთ 317 [1],

1. პირველი შენიშვნა ვახუშტისა. „მირიანის მოქცევა, რომელიცა ცხოვრებასა შინა წერილ არს, იქნება ეს ქორონიკონი და გიორგი მთა-წმინდელიც ამას ემოწმება, ოდეს ჰზრახავს ანტიოქიის პატრიარხსა ქართლის მოქცევისათვის და ეტყვის, რამეთუ კოსტანტინემ მოუგზავნა იოანე გუთთა ეპისკოპოსი მირიანს, ოდეს ჯერეთ არ მოქცეულ იყო საბერძნეთი. ამით განჩენილ არს, რომ ჯერეთ კოსტანტინეპოლი არა იყო აღშენებული; არამედ კონსტანტინე ჯერეთ რომსავე იყო“.

მეორე შენიშვნა ვახუშტისა. „ბარონია სწერს კონსტანტინეს ნათლის-ცემასა წელსა ქრისტესსა 324 და კონსტანტინეპოლის დაწყებას აღსაშენებლად 325, რომელსა ქორონიკონსა იყო ნიკეას კრებაცა, ხოლო ჯვარის პოვნა ელენესაგან 326, და ქართლის მოქცევაცა წელსა ქრისტესსა 327; არამედ ქართლის მოქცევა უწინ იყო ჯვარის პოვნისაგან, ვითარცა აჩენს ჩვენი ცხოვრება და ემოწმებიან სომეხთა და ჩვენის ეკლესიის მატიანენი, რომელიცა ქართლის მოქცევას ქორონიკონი დავსწერეთ. გარნა თუმცა კონსტანტინეს ნათლის-ცემა იქმნა ეგრეთ, არამედ ოდესცა გამოუჩნდა ჯვარი, აღიღო რომი წელსა ქრისტესსა 312, მაშინვე ქრისტიანე იქმნა და შემდგომად ჩვენებისაგან კეთრის განკურნებისათვის ნათელ-იღო და განიკურნა. ხოლო უკეთუ კონსტანტინეს ნათლის ცემისა ქრისტეს აქეთ 327 მირიანის მოქცევიდამ ნინას სიკვდილამდე 11 წელი დავსდვათ, იქმნება წელი 336?; მაშინ კოსტანტინე აღარ იყო ცოცხალი; მაშ ვინ წარმოუგზავნა ბაქარ ნინას სიკვდილს უკან, ან ვინ მოსწერა წიგნი ესე: „მე კოსტანტინე, მეფე თვით მპყრობელი, მონა ცათა მეუფისა, პირველ ეშმაკისა წარტყვევნილი და გამოხსნილი დამბადებე-

მაშინ წარგზავნა დესპანი დიდისა კოსტანტინეს წინაშე და მოითხოვა ეპისკოპოსნი და მღვდელნი. შემდგომად მოჰკაფა სამოთხე თვისი ქმნად ეკლესიისა; არამედ სვეტი ერთი ნაძვისა მის, ლიბანისაგან გამოკვეთილი, ვერ უძლეს აღმართებად; ხოლო მაშვრალნი წარვიდნენ თვის-თვისად მიმწუხრ და ნინა მუნ მთეველი ღამისა ილოცვიდა. ხოლო იყო რა შუა-ღამე, წარმოიქცნენ მთანი არმაზ და ზადენ და დაეყენნენ მდინარენი; გარდამოხეთქა მტკვარმან ქალაქსა და არაგვმან ციხესა და შეიქმნა ტყება, გოდება და ზარი დიდი ხმოვანი; ამისთვის მოწაფენი ნინასნი შეშინდნენ ფრიად; ხოლო ეტყოდა ნინა: „ნუ გეშინისთ, მთანი მუნვე არიან და წყალნი ეგრეთვე ჰსდიან და ერთა სძინავსთ, არამედ მთისა დარღვევა ურწმუნოებისა დარღვევა არს, მდინარისა დაყენება-სისხლთა ურმათა კერპთადმი შეწირულთა, და ხმა გოდებისა-ეშმაკნი თავთა თვისთა იგლოვენ, რამეთუ განსხდად არიან იქით ჯვარითა ქრისტესითა." მერმე ლოცვითა დაეყუდა მოჩვენება იგი და კვალად არღა ხმა ეყო ქათამსა, სამთავე კართა ქალაქისათა შემოესმა ლაშქარი და იწყეს ზახილი და მოსვრა, მოწყვედა და იტყოდნენ: „მეფე ხოსრო სპარსთა და სვარან ხოსრო ბრძანებს:" „ურიანი განარინეთ და სხვანი მოსრენით." კვალად იტყოდნენ: „რამეთუ მეფე მირიან შეიპყრეს." მსმენელნი მოწაფენი ნინასნი ივლტოდნენ, ვინაჲდგან მოესხნენ მხედარნი; მიჰხედა წმინდამან და ნუგეშინი-სცა მათ და რქვა: „ესე არს ნიშანი

ლისა მიერ, მოგისწრაფი შენდა ღვთივ-განბრძნობილისა ჩემთანავე ახალ ნერგისა მორწმუნისა მეფისა მირიანისა, იყავნ შენთანა მშვიდობა და სიხარული! ვინაიდგან იცან შენ სამება ერთ-არსება ღმერთი დაუსაბამო ყოვლისა, არღარა მიხმს მე შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩემ შორის შუამდგომელი ქრისტე, ძე ღვთისა, პირველ ყოველთა შობილი, რომელი განკაცნა ხსნისათვის ჩვენისა, და ჯვარი მისი პატიოსანი, რომელი მოცემულ არს ჩვენდა წინამძღვრად. გულითა მოსავთა მისთა, შუამდგომელობითა ღვთისა დაუსაბამოჲსათა ვიყვნეთ ჩვენ სიყვარულსა ზედა ძმებრივსა; ხოლო შვილი შენი შენდავე მომინიჭებიეს. იხილე და განიხარე და ღვთისაგან მოვლინებული ანგელოზი იყავნ შენ თანა მარადის; განსდევნენ ღმერთმან დამბადებელმან ეშმაკი მაცთური საზღვართაგან შენთა". კონსტანტინესას სწერენ ყოველნი მემატიანენი: „გამეფდა წელსა 306, ჯვარის სასწაულის ჩვენებით ალიღო რომი 312, შემდგომად კეთრის განკურნებისათვის ნათელ-იღო 320, კონსტანტინეპოლის აღშენება იწყო 325; განასრულა და აკურთხა 330; მოკვდა 337; ამისაგან ჩვენი აქა წერილი ქორ. ქართლის მოქცევისა უმეტეს მართალ არს და სვინაქსარში სწერს 5818 გამეფებას. ეს რომი რომ ალიღო და ავგუსტო იქმნა, ის არის და არა მამის სიკვდილიდამ გამეფდა".

ვახუშტის მიერ ამ შენიშვნაში ჩვენებულს ზოგიერთ საგნებზე ცალკე შემოგვაქვს ჩვენი აზრი. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ, როგორც დასკვნილია ახლა, კონსტანტინემ კეისრობა მიიღო მამის სიკვდილის შემდეგ 306 წ.; რომი აიღო 312 წ.; ქრისტეს ჯვარი აღმოაჩინა ელენემ 326 წ. და ამავე წელს გარდაიცვალა ელენე; კონსტანტინეპოლის აშენება იწყო კონსტანტინემ 328-329 წ.; დაასრულა და აკურთხა 330 წ.; ნათელ-იღო და მოკვდა იგი „კეთრისაგან" 66 წლისა 337 წელს (Lebeau, *H. du B.-E.*, I, 32, 274, 296, 314, 379-385; *H. de la G.*, I, 120, n. 4).

წარწყმედისა მათისა და ხსნისა ქართლისა;“ განიპყრნა ხელნი სახედ ჯუარისა და შეჰკრისხნა, მყის იქმნა დაყუდება დიდი და უჩინო იქმნეს ყოველნი. კვალად ევედრებოდა ღმერთსა, რათა არა დაეცადოს საქმე ესე წარმართებული. ხოლო განთიად გარდამოვიდა ანგელოზი, აღიღო სვეტი იგი სიმაღლესა და მოვიდოდა მონაკვეთსა ზედა თვისსა ნელიად და ნათელი დიდი გამობრწყინდა. მხილველნი მეფე და ერნი სრულიად მორბოდნენ და თაყვანი-სცემდნენ; მოვიდა და დაადგრა ნაკვეთსა თვისსა. პირველად მოვიდა ურია ბრმა შობიდგან, შეეხო სვეტსა და მყის აღეხილნეს და ადიდებდა ღმერთსა; მერმე სეფე-წული რვა წლისა მდებარე მოიღო დედამან და დადვა წინაშე სვეტისა და ევედრებოდა ნინას; ხოლო ნინამ შეახო ხელი სვეტსა და დასდვა ყრმასა მას ზედა და განკურნა და ადიდებდნენ ღმერთსა. ესრეთ მრავალნი სასწაულნი იქმნებოდნენ, ვიდრემდის შეუქმნა მეფემანცა საბურველი და ეგრეთ შეეხებოდნენ და განიკურნებოდნენ, და განასრულაცა მეფემან ეკლესია სამოთხესა მას შინა. ხოლო მსმენელმან დიდმან კოსტანტინე განიხარა, რამეთუ ხელთა შინა მისთა მიეფინა ყოველსა ადგილსა მადლი ღვთისა და მეორე, რამეთუ მოსწყდა მირიან სპარსთა და ეგო სიყვარულსა ზედა მისსა. წარმოუვლინა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა, იოანე ეპისკოპოსი, მღვდელნი ორნი და დიაკონი სამი და მოუწერა წიგნი ძმობისა კოსტანტინემ და ელენამ ლოცვისა და სიყვარულისა. ხოლო მოსვლასავე მათსა ნათელ-იღეს მეფემან და დედოფალმან და ყოველმან ივერიელმან ხელითა მათითა მტკვარსა შინა; არამედ ფეროზ და ერმან მისმან, ურიათა და კავკასიელთა არა, წელსა ქრისტეს აქეთ 318, ქართულსა 70; შემდგომად ამისა კვალად წარავლინა მეფემან იოანე ეპისკოპოსი და ერთი დიდებული თვისი წინაშე კოსტანტინესა და ითხოვა წილი ძელისა ცხოველისა, რომელი დროსა მას გამოეჩინა დედოფალსა ელენას[1], კვალად მღვდელნი და მაშენებელნი ეკლესიისანი, რათა განამრავლოს სარწმუნოება ქრისტესი ყოველსა ივერიასა შინა. მაშინ მსმენელმან კეისარმან მოუგზავნა ფიცარი ფერხისა უფლისა და სამსჭვალი, მღვდელნი და მაშენებელნი ეკლესიისანი მრავალნი; არამედ შეწუხნა მეფე, რამეთუ არა მოიღეს მცხეთას სამსჭვალი და ფერხის ფიცარი, გარნა დაასვენეს ერუშეთს და მანგლისს; ამისთვის ნუგეშინ-სცემდა წმინდა ნინა; რამეთუ არს კვართი უფლისა ქალაქსა ამას შინა; ხოლო იგინი იყვნენ მუნ, რათა განეფინოს მადლი უფლისა ყოველთა ადგილთა შინა. მერმე მოიყვანა მეფემან აბიათარ მღვდელი და ურიანი მრავალნი და გამოიკითხვიდა მათგან კვართისა მის სადა-ყოფასა; ხოლო იგინი მიუგებდნენ ყოველსავე, რომელი ზემორე აღიწერა. მსმენელი მეფე ადიდებდა ღმერთსა და ნინა ნუგეშინისცემდა მადიდებელი უფლისა. ხოლო იყო ხე ერთი ნაძვისა, მსგავსი ალვისა სურნელისა, კლდესა ზედა ზემორეთ წყაროსა მის ფრიად შვენიერი, რომელი

1. ამას ემოწმება ჩვენი აღმოსავლეთის მატიანე, რომ ჯვარი ამ დროს გამოაჩინა ელენე დედოფალმან. ვახუშტი.

სა ფურცელსა და თესლსა რა ისარ-ცემული ნადირი სიკჳდილადცა დაჭრილი შესჭამდა, მყის განიკურნებოდა. ესე დაუკჳრდებოდა წარმართთა მათ და მოუთხრეს ეპისკოპოსსა იოანეს, ხოლო იგი მმადლობელი უფლისა ეტყოდა მათ, რამეთუ „ღმრთისა პირველითგანვე უნებიეს ამის ადგილისა მადლისა მოფენა, ამისთჳს ჯერ-არს მის ხისაგან ჯუარისა შექმნა.“ მაშინ წარვიდა მე მეფისა რევ და იოანე ეპისკოპოსი და მოჰკვეთეს მარტისა დღესა 25, პარასკევსა და წარმოიღეს ათას-ათასეულთა კაცთა, ვითარცა მდგარი და მოიღეს წინაშე ეკლესიისა კარსა და დადგეს მუნ ეგრეთ, რომლისა ფურცელი არა დაჭკნა დღეთა 37 მოკვეთილისა მის; ამისა შემდგომად შემზადეს ჯუარი მაისის დღესა 1 და დღესა 7 აღმართეს ხელის-დადებითა მეფისათა ეკლესიასა მას შინა. ხოლო იყო ხილვა საკჳრველი, რამეთუ ღამე-ყოველ გარდამოვიდოდა გჳრგჳნი ნათლისა ზეცით და დაადგრებოდა ეკლესიასა, რომელი იხილებოდა ყოველთა თესლთა და ერთაგან და რიჟრაჟს გამოხდიან ვარსკვლავნი, ერთი აღმოსავალით წარვიდის და მეორე დასავალით; ხოლო გჳრგჳნი იგი განვიდის არაგჳს და დაადგრის ბორცუსა მას ზედა, წყაროსა მის ზემოთ, რომელი აღმოეცენა წმინდას ნინას ცრემლითა და მუნით აღამაღლდის ჳვალად ზეცადვე. ამისთჳს ჰკითხვიდნენ წმინდასა ნინას რაობისა ყოფასა; ხოლო წმინდი ეტყოდა: «განავლინეთ კაცნი, რათა იხილონ თუ სადა დაადგრებიან ვარსკვლავნი იგი»; მაშინ განმხილველთა კაცთა მათ მოუთხრეს, ვითარმედ „ერთი დაადგრა მთასა თხოთისასა და მეორე ადგილსა კუხეთისა“. მსმენელმან წმინდამან ნინა უბრძანა წარღებად ორთა მათ ჯუართა და აღმართვად მათ ადგილებთა ზედა, ხოლო მხევალმან ქრისტესმან სალომე, ცოლმან რევისმან, რომელთათჳს მიეცა მეფესა კახეთი საერისთოდ და იყოფოდნენ უჯარმას, წარიღო ჯუარი იგი და აღმართა უჯარმას, რათა არს წინა-აღუდგეს ბოდა ქალაქთა მეფეთასა, და მეორე აღმართეს მთასა თხოთის. ხოლო ჯუარი იგი პირველი სასწაული მცხეთისა იპყრეს ხელითა და მოვიდნენ წყაროსა მას ზედა, განათენეს ღამე იგი ცრემლით მლოცველთა ყოველთა და ხვალისად აღვიდნენ კლდესა მას ზედა და მითხრობითა ნინასითა აკურთხა ეპისკოპოსმან იოანე ადგილი იგი და აღმართეს ჯუარი, მოსდრკენ სრულად, თაყვანი-სცეს და ადიდეს მე ღმრთისა ცხოველისა ყოველთა. ხოლო დიდნი იგი მთავარნი არა განეშორებოდნეს სვეტსა მას ცხოველსა და მიუთხრობდნენ სასწაულსა, რომელ იქმნებოდნენ მის მიერ. ამისთჳს მეფემან განაწესა მსახურება ჯუარისა აღვსებისა ზადიკსა [1],

[1] «აღვსებისა ზადიკსა». აღვსება, ზადიკი ხშირად იხმარება ძველს ჩვენ მწერლობაში, როგორათაც საეკლესიოში, აგრეთვე საეროში. საბა ორბელიანის ლექსიკონში ზადიკი არ არის ნაჩვენები და აღვსება კი, იმის განმარტებით, არის „აღდგომის დღე“; მაგრამ თვით მწერლობაში აღვსება ჰნიშნავს მთელს უკანასკნელს შვიდეულს ანუ კჳრას დიდ-მარხვისას: „დღე აღვსებისა კჳრიაკისა ზადიკისა“ (ქ-ცხ. I, 96); „ხოლო აღვსებასა მოვიდა დესპანი რუს-ხელმწიფისა“ (ქ-ცხ. II, 141). ზადიკი — „ერგასი“ — ОКТОИХЪ.

დღესა კვირიაკესა; ხოლო შემდგომად მარტვილისა[1] იხილეს ყოველთა სასწაული დიდი დღესა ოთხშაბათსა, რომელი დაადგრა ჯუარსა მას ზედა ჯუარი ცეცხლისა, შვიდ-წილ უნათლეს მზისა და ანგელოზნი, აღმავალნი და გარდამომავალნი მას ზედა და ბორცვი იგი იძრვოდა ძლიერად; შემდგომად დასცხრა რა, განცვიფრებამან შეიპყრნა ყოველნი ერნი და წლითი-წლად საკვირველისა სასწაულისათვის ყოველნი მხედველნი თაყვანი-სცემდნენ და განმრავლდებოდნენ მორწმუნენი, მადიდებელნი ქრისტეს ღვთისა. მას ჟამსა შინა ძესა მეფისასა რევს ესვა ყრმა წული მხოლოდ და ესე სნეული მოსიკვდიდ; მოიღო რევ ძე თვისი და დასდვა წინაშე ჯუარისა და ითხოვდა კურნებასა ცრემლით მვედრებელი და აღუთქმიდა, რათა შეუქმნას კუბო ჯუარსა მას. მცირისა შემდგომად მყის განიკურნა და წარიყვანა ცოცხალი თვისად რევ ძე თვისი. მერმე მოვიდა და შეუქმნა კუბო აღმასრულებელმან აღთქმისამან. ამისნი მხილველნი უფროისდეს მოვიდოდნენ ყოველნი უძლურნი სენითა და განიკურნებოდნენ, მადიდებელნი ჯუარისა ქრისტესა. კვალად იყო ვინმე კაცი ქაბუკი თვალ-დამდგარი; მოვიდა და იჯდა წინაშე ჯუარისა შვიდ-დღე; ამისა შემდგომად აღეხილნეს და ადიდებდა ღმერთსა. კვალად იყო დედა-კაცი სულთა უკეთურთაგან გვემული, რომელი დაიპყრობდა სამოსელსა თვისსა; ესე მოიყვანეს წინაშე ჯუარისა და შემდგომად 12 დღისა ამოსვიეს ჯუარსა და მყის განიკურნა და ადიდებდა ჯუარ-ცმულსა. კვალად ყრმა ვინმე დაეცა და მოკვდა; ხოლო დედამან მისმან მოიღო წინაშე ჯუარისა და დასდვა მვედრებელმან ლოცვითა და ცრემლითა დილით მწუხრამდე; მხილველნი სხვანი ჰრისხვიდნენ, ვინაიდგან მკვდარი იყო, რათა დაფლას იგი; არამედ დედა-კაცი იგი არა წარიკვეთდა სასოებასა და უმეტეს ტირილით ევედრებოდა ჯუარსა; ხოლო მწუხრისად სულიერ იქმნა და განცოცხლდა ყრმა იგი, აღიპყრა დედამან და ადიდებდა ღმერთსა და წარიყვანა თვისად. მაშინ ამის სასწაულისა მხილველნი მრავალნი ითხოვდეს შვილიერებას და შვილიერ იქმნებოდნენ და მრავალნი სენთაგან ურვილნი განიკურნებოდნენ. არა თუ მის წინაშე მოსვლითა, არა-

„იწყებიან წმინდანი ზადიკნი წმინდით და განმაცხოველებით ქრისტეს აღდგომით, და სრულ იქმნებიან კვირიაკესა ყოველთა წმინდათასა". (ქართ. ზადიკი და ჩვმირეული № 1, გვ. 80).

1. შემდგომად მარტვილისა. საბა ორბელ. ლექსიკონში: „მარტვილი ლათინთა ენაა, მოწამეს ეწოდების, ხოლო მესხნი ყრმას უწოდენ". ეს უკანასკნელი მნიშვნელობა სრულიად არსად შეგვხვედრია; ჭეშმარიტებაზე ახლოა განმარტება ამ ლექსიკონის ვარიანტისა, რომელიც პეტრე უმიკაშვილს ეკუთვნის: „მარტვილი-სულის წმინდის მოსვლა". მაგრამ ესეც არ არის სრული განმარტება. საზოგადოდ მარტვილი წარმოადგენს ჩვენ ძველ მწერლობაში ორ აზრსა: ერთის მნიშვნელობაა მთელი შვიდეული აღდგომის შემდეგ, 40 დღის განმავლობა. „მარტვილიასა ვდღესასწაულობთ დასულისა წმინდისა მოსვლასა (გრიგ. ღვთ-მეტყ. სწავლანი მცხ. ბიბლიოთეკიდამ, მე-X საუკ., გვ. 46); მეორეა მოწამე: „ჭეშმარიტნი მარტვილნი თავთა თვისთა, სიკვდილად განწირვიდეს" (ქ-ცხ., I, 220); „და დაუსვენებიან მრავალთა წმინდათა მარტვილნი" (იქვე, გვ. 227).

შედ შორით თხოვნითაცა მიიღებდნენ წადიერებასა თვისსა და მიმძლავრებულნი მტერთაგან მძლე იქმნებოდნენ და მრავალნი უღმრთონი და ჭირთა შთაცვივ-ნულნი ჰხადოდენ ჯუარსა და განერიდიან ყოველთაგან, მერმე მოვიდიან და შესწირვიდიან შესაწირავსა, ნათელ-იღებდიან და ადიდებდენ ქრისტესა და ჯუა-რსა მისსა მუნით დღითგან მოაქამომდე და ადიდებდენ მამასა და ძესა დ სულსა წმიდასა.

ამისა შემდგომად მოვიდა წარმოვლენილი დიაკონი ბრანჯი, რომელსა აქვნდა წიგნი წმიდისა პატრიარხისა რომისა[1] მეფისა და ყოვლისა ქებისა და კურთხევისა მოცემად და ნეტარისა ნინას ლოცვისა წარღებად და მადლისა ზია-რებად. ამას აქვნდა წიგნი ბრანჯთა მეფისაცა ნინასთანა, ვინაჲდგან ნათელ-ცემულ-იყვნენ მეფე და ერნი ნინას მამისაგან, რამეთუ მისმოდათ იერუსალიმით და კოსტანტინეპოლით მიფენა მზისა სიმართლისა საქართველოსა შინა, რათა სცნან ჭეშმარიტი სასწაული სვეტისა და ჯუარისა ცხოველისა[2]. მაშინ ესე ყო-ველნი აღწერილნი სცნა დიაკონმან ბრანჯმან და წარიღო წიგნები ნინასი და მეფისა და წარვიდა წელსა ქრისტეს აქეთ 326, ქართულსა 78, მოქც. მეათორმე-ტესა; მერე ინება მეფემან მოქცევა ძალითა მთიულთა და აუწყა ნინას და ეპისკოპოსსა; არამედ წმიდამან არა ნება-სცა, რამეთუ არა ბრძანებულ არსო მახვილი, არამედ ქადაგება და ეტყოდა: «მე წარვიდე მუნ ქადაგებად». ხოლო მისრულმან ჰქადაგა სახარება ქრისტესი; არამედ უმრავლესთა არა უსმინეს და არა შეიწყნარეს; ამისთვის მეფემან დაუდო ხარკთა ზედა ხარკი მთიულთა და ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი და შემუსრა კერპნი მათნი; ამისთვის ფხოველნი გარდაუშენნენ თუშეთს და ერწო-თიანელთა ნათელ-იღეს. შემდგომად ამისა წმინდა ნინა წარემართა რანს მოქცევად ფეროზისა და მი-ვიდა დაბასა ბოდას. მუნ მოვიდიან გარემონი ყოველნი და ასწავებდა მრავალთა ერთა და არწმუნებდა. მაშინ მუნ შეყოფი დასნეულდა წმინდა ნინა და ვითარცა ესმა ესე ძესა მეფისასა რევს და დედოფალს სალომეს, აც-ნობეს მეფესა; ხოლო წარმოავლინა მეფემან ეპისკოპოსი იოანე, რათა წარ-მოიყვანოს მცხეთას. ესე არა ინება წმინდამან ნინა, რათა წარეყვანათ მცხე-თას; არამედ მცნობელნი წარუსვლელობისა მეფე და დედოფალი ნინა და მთა-ვარნი სიმრავლითა ყოველთა ერთათა მოვიდნენ ბოდას და იხილეს წმინდა ნი-

1. პატრიარხი ესე იყო სილივესტრო. ვახუშტი.

2. ნიკიის კრება ყოვლისა სოფლისა იყო წელსა ქრისტესსა 325, ხოლო მირიანის მეფობის წელსა 61. ვახუშტი.

ნიკეის კრება, შემადგენელი „სიმბოლო სარწმუნოებისა“ და დამწესებელი პა-სექის დღესასწაულის დროისა, რომელსაც მანამდე ურიებთან ერთ დროს დღესასწაუ-ლობდნენ, გაიხსნა 325 წლის დამდეგს და დაიხურა იმავე წლის 25 აგვისტოს, კონ-სტანტინეს მეფობის მეოცე წელში (Lebeau, *H. du B—E.*, I, 247—264).

ბოდა—ძველად ქ-ცხბით ბუდე (გვ. 98, 99), ახლა ბოდბე.

ნა განბრწყინვებული, ვითარცა პირი ანგელოზისა და მოეხვეოდნენ გარემო-ამბორებად და მოსწყვედდნენ ფესვსა სამოსლისასა, სადა სტიროდნენ მწარედ განშორებისა მისისათვის. მაშინ გარემო-მსხდომნი მტირალნი დედოფალი სა-ლომე უჯარმელი და ჭეროჲ ავრისვანელი[1] ეტყოდნენ წმიდას ნინას: „შენ, ტყვეო ტყვეთა მხსნელო! გვითხარ, ვინ ხარ ანუ სადაჲთ მოგვფინე ნათელი ესე ჭეშმარიტებისა". ხოლო წმიდამან ნინა ისმინა ვედრება მათი და მიუგო: „მოიხვენით საწერელნი და დაწერენით რომელსა გეტყოდე თქვენ, რათა უწყო-დნენცა შემდგომად შვილთა თქვენთა, ვითარ მოგცათ და მოგფინათ მადლი თვისი ღმრთმან მხოლომან". მაშინ ნინა ეტყოდა და იგინი აღწერ-დნენ ესრეთ, ვითარცა აღვწერეთ ზემორე[2]. ამისა შემდგომად შესწირა ეპი-სკოპოსმან იოანე მსხვერპლი უსისხლო და აზიარა წმიდა ნინა, და შეჰვედ-რაცა სული თვისი ზეცისა მეუფესა წელსა 329, ქართულსა 81. ხოლო ინე-ბა მეფემან მიღება მისი მცხეთას; არამედ ვინაჲდგან ეთქვა წმიდასა ნინას მუნ დაფლვა თვისი სიმდაბლისათვის, დაფლეს დაბასა ჭერეთისასა ბოდსს[3]. შემ-დგომად ამისა წარმოუვლინა დიდმან კონსტანტინემ მეფესა მირიანს მე თვი-

1. უნდა იკითხოდეს, ბროსსეს შენიშვნით, ისე, როგორც *Chronique armén*-ში იკი-თხვის: „ჰეროჲ ავრი სიუნელი" (*H. de la Géor—Introd.*, XXIV).

2. უვრცელესი ცხოვრება მეტაფრასში იკითხე ამისთვის. ვახუშტი.

მეტაფრასი ჰნიშნავს, როგორც ამ სიტყვას ბერძენთა და ქართველთა მეი-სტორიენი ხმარობენ, წმინდათა მამათ-ცხოვრებას. აქ იგულისხმება ნინოს ვრცელი ცხოვრე-ბა, რომელიც „მამათ-ცხოვრების კრებულში" ნახე, (მამ. ცხოვრ. შიო-მღვიმისა, ფურც. 162—212).

3. ნინას ქორონიკონი ცხოვრებასა შინა სხვა სწერია; არამედ ამა ქორონიკონსა არც კონსტანტინე იყო, და არც სხვანი. ხოლო 14 წელი ქართლს ყოფა ნინასი რომ სწერია, ეს 14 წელი მის მოსვლას რომ დავადვათ, ეს ქორონიკონი იქნება. ვახუშტი.

აქ ვიდრე ქრისტეს აღსარების მიღებას ქართველებისაგან მირიანის დროს შეუ-დგებოდით, საჭირო იყო შევეხებოდით იმის წინა-დროის კერპთ-მსახურებას და იმის თვისებას; მაგრამ, რომ ეს შენიშვნა მეტად არ გავრცელდეს, აქ ვტოვებთ ამ საგანს და მკითხველის ყურადღებას მივმართავთ ჩემს ცალკე სტატიას საქართველო ადერ-კის დროს, რომელიც შეიცავს სრულს განხილვას როგორათაც ჩვენ წინა-პართ კერპთ-მსახურებისას, აგრეთვე ქრისტეს სჯულის დანერგვას ჩვენ ტომში პირველ საუ-კუნოებიდამვე, დროს მომდინარეობაში, ვიდრე წმინდა ნინო საფუძვლიანად დაამყარებდა და დაამკვიდრებდა ამ საქმეს.

რაცა შეეხება საქართველოს განათლებას ნინოსაგან, ამ შემთხვევას გვიამბობენ როგორც ჩვენნი, აგრეთვე უცხო-ტომთ მემატიანენი: ეს უკანასკნელნი არიან: ვიზანტიის საეკლესიო ისტორიკნი: მე-IV საუკ. რუფინი და მე-V საუკ. სოკრატი, სოზომენი, თეოდო-რიტი და სხვანი. იმათგან პირველი სწერს, რომ ეს გარემოება მიამბოო იერუსალიმში „იბერიის მეფემ ბაკურიუსმა." მირიანს იგინი არ იხსენიებენ. სომხეთის ისტორიკი მოსე ჴორენელი ისე მოგვითხრობს ქრისტეს სჯულის დამყარებას ჩვენში (*H. de la G.*, I,

სი ბაქარ და მოუმცნო; ვინაჲდგან სცან ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტეჲ არღა-რა მიხმს მძევალი შენ-მიერი, არამედ იყოს ქრისტე შუა-მდგომელ ჩვენ შორის", და განიხარა მირიან ფრიად. შემდგომად მოკვდა მე მირიან

132, n. 3), როგორც ქართული მატიანე; ჩვენნი მემატიანენი არიან: სალომე, უჯარმელი დედოფალი, მირიან მეფის ძის რევის მეუღლე, ასული ტირდატ სომეხთ მეფისა; აბიათარ მღვდელი ურიათაგანი და იმისი ქალი სიდონია, პირველნი ნინოს მოწაფენი. თვით იმ დროს არის ეს მატიანე შედგენილი, თუ შემდეგ, ამაზე ვერას ვიტყვით; ვიტყვით მხოლოდ, რომ, როგორც საეკლესიო წეს-დება მოითხოვდა, ამ გვარნი მატიანენი და ცხოვრებანი წმინდათა და მოწამეთა თავ-თავის დროსვე იწერებოდნენ და ეკლესიებში სადღესასწაულო დღეებში იკითხებოდნენ. ამისთვის აბიათარისა და სიდონიას მოთხრობანი თვით ჩვენ „მამათ ცხოვრების" კრებულში არიან შეტანილნი, განმარტებულნი და გავრცელებულნი.

ჩვენ დარწმუნებით არ ვიცით, ვინ იყო ქართლის განმანათლებელი ნინო. იმის სახელსაც კი არ იხსენიებენ ვიზანტიის მემატიანენი, რომელნიც იმას უწოდებენ მხოლოდ იბერიელთ ტყვედ, როგორც თვით იგი ქ.-ცხბაში ტყვედვე უწოდს თავის თავს. მხოლოდ მოსე ხორენელი სახელ-სდებს მას ნუნედ, რომელიც, ჩვენის ფიქრით, იმას უნდა გამოეწეროს, როგორათაც სხვა თქმულება ნინოზე, ქართულის წყაროდამ და რომელიც, ამტკიცებენ, ჰნიშნავს მონოზონს *nonna—religieuse* (Langloise, *Collect.*, II, 125, n. 4.)—ჩვენის აზრით, ქ.-ცხბის ცნობა ნინოს სამშობლო ადგილზე კაპპადოკიაზე შესაწყნარებელი ცნობაა. კაპპადოკია მდებარებდა სომხეთის საზღვრად, მცირე აზიაში, სადაც ქრისტეს აღსარება იმის დროს დამყარებული იყო და საიდამაც, როგორც წინათ მოვიხსენეთ, ტყვეთ გაყვანილთ შეიტანეს ახალი სარწმუნოება თვით გუთებში ანუ გოთებში. ნინომ იცოდა, როგორც იგივე ქ.-ცხბა გვამცნევს, სომხური, რომელიც იმას ესწავლა ნიაფორესაგან, ბერძნული, რომაული და ებრაული. იმის დაახლოებულნი მეგობარნი იყვნენ: „დედოფალი ვინმე სომეხთა რიფსიმე და დედა-მძუძე მისი გაიანე." ქ.-ცხბის თქმითვე, ნინო კაი-ხანი ცხოვრებდა სომხეთში. სომხეთიდამვე შემოვიდა იგი ჯავახეთით და ურბნისით მცხეთაში. სომხეთის გავლენა ქართლის გაქრისტიანებაზე ცხადია, თუმცა ჩვენი მატიანე ამას არ იხსენიებს. ამას ჰმოწმობს ზოგიერთი ფაკტები: სომხეთში მეფემ ტირდატმა გრიგოლ განმანათლებლის ხელით ნათელ-იღო, სენ-მარტენის ფიქრით, 276 წელს (Lebeau, *H. du B—E.*, I, 76); ქართველებმა, ჩამჩიანის თქმით— 317 წ., ბარონიუსის აზრით 311 ანუ 327 წ. ბროსსე ნინოს შემოსვლას მცხეთაში უჩვენებს 325 წ., მირიანის ნათელ-ღებას 328 წ., ნინოს სიკვდილს 339 წ. (*H. de la G.*, I, 128, n. 4). ამ გვარად გავრცელებას ერთისა და იმავე აღსარებისას თითქმის ერთსა და იმავე დროს, რა საკვირველია, უნდა ჰქონდეს ერთი-მეორესთან მჭიდრო კავშირი. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს აზრში შემდეგს გარდამოცემას მოსე ხორენელისას. მოსე ჯერ მოკლედ მოიხსენებს ნინოს მოსვლას მცხეთაში, იმის ცხოვრებას და მოღვაწეობას, აგრეთვე მირიანის განზრახვას, რომ მან შიშით შერყეულმა სიბნელის გამო. ნადირობის დროს, თაყვანი-სცეს ნინოს ღმერთსა, მასუკან ამ სიტყვებით განაგრძობს: „მაშინ ნეტარმა ნუნემ მოითხოვა სანდო კაცნი და წარგზავნა იგინი წმინდა გრიგოლთან საკითხავად, თუ რა გვარ იმოქმედოს იმან, რადგანაც იბერიელთ ნებაყოფლობით მიიღეს ქადაგება სახარებისა. ნუნემ მიიღო ბრძანება, რომ გრიგოლის მიბაძვითვე დაამხოს კერპნი და აღმართოს ნიშანი პატიოსნისა ჯვარისა, ვიდრე-უფალი იბერიელთ განსაგებლად მწყემსს მოუვლენდეს. ნუნემ მყისვე შემუსრა ქვექა-ქუხილის

მეფისა რევ, რომლისათვის მიეცა მეფობა და მწუხარებასა ამას შინა ამასვე წელსა გარდაიცვალა მირიან მეფე, სავსე სარწმუნოებითა და მადლითა, რომელმან ნათელ-სცა ყოველთა ივერიელთა. ხოლო ვინაჲდგან მომკვდარ იყო რევ უხუცესი ძმა მისი, ამისთვის მისცა მეფობა ძესა თვისსა ბაქარს უმრწემსსა და რევის ძეთა კახეთი საერისთავოდ, დასაბამიდგან წელთა 4291, ბერძნულსა 5850;

მპყრობელი არამაზდი, რომელიც ქალაქს გარეთ მდინარის გაღმა იდგა. ჩვეულებისამებრ მცხოვრებნი თაყვან-სცემდნენ არმაზდს ყოველ-დღე განთიადისას, თავიანთის სახლის სართულებიდამ და ვისაც იმისთვის მსხვერპლის შეწირვა ჰსურდა, ის გავიდოდა მდინარეს და ტაძრებს დაუკლავდა მსხვერპლსა. სატრაპნი (დიდ-კაცნი) ქალაქისანი ადგნენ და იტყოდნენ: „ვისდა უნდა თაყვანი-ვცეთო ნაცვლად კერპთა." სცნეს, რომ „ქრისტეს ჯვარის ნიშანსაო." გათალეს ჯვარი და აღმართეს ქალაქის აღმოსავლეთად ქედზე, რომელსაც ქალაქით ჰყოფდა აგრეთვე მცირე მდინარე. გათენდა დღე და ყველა მცხოვრებმა თაყვანი-სცეს მას, (Langlois, *Collect.*, II, 325, 326). გარდა ამისა ფავსტ ვიზანტიელის თქმით, გრიგოლ განმანათლებელის შვილი ვარდანესი იყო ეპისკოპოსად იბერიისა და ალოვანისა (ib., I, 213) და თვით წმინდა ნერსესი აწესებდა იქვე, „მოციქულის ნინეს სამკვიდრებელში," საეპისკოპოსო კათედრებს და სხ. (ib., II, 27). ზოგიერთნი ჩვენნი და უცხო-ტომთ მემატიანენი იტყვიან, რომ ქრისტეს სჯულის დასამყარებლად მირიანის დროს საქართველოში მოვიდაო. ანტიოქიის პატრიარხი ესტატე, რომელიც იქ პატრიარხად იჯდა 325—331 წ. ამ დროს იმას ტახტი ჩამოართვეს მწვალებლებმა და კოსტანტინე დიდმა იგი განდევნა. ამტკიცებენ, ვითომც კოსტანტინემ წარმოუგზავნა მირიანს, იმის თხოვნით, ესტატე ანტიოქიელი მღვდლებითურთ; ვითომც მირიანმა და ქართველთა ნათელ-იღეს ესტატეს ხელით. სენ-მარტენის ფიქრით, ესტატეს მოსვლა საქართველოში უნდა მომხდარიყო 331 წლის შემდეგ; ბროსსეს სიტყვით — 325 წელს. (Lebeau, *H. du B—E.*, I, 253, 293, n. 1). ბროსსესაგან ნაჩვენები დრო ის დროა, როდესაც, იმის თქმითვე, ნინო შემოსულა მცხეთაში, და ამისთვის თუ სენ-მარტენის აზრი ამ საგანზე შესაწყნარებელი არ არის, არც ბროსსეს აზრი უნდა იყოს შესაწყნარებელი. თუ ჩვენ იმაზე დავემყარებით, რომ ნინო მოვიდა მცხეთას 325 წელს და მირიანმა ნათელ იღო 323 წელს, მაშინ ესტატეს მოსვლაც 328 წელს უნდა მომხდარიყო. ესტატეს მოსვლას ჩვენ უფრო იმისთვის მივაქცევთ ყურადღებას, რომ ამ შემთხვევას დიდი კავშირი აქვს შემდეგ საქართველოს მდგომარეობასთან. ვიდრე საქართველოში საკუთარი საპატრიარხო ანუ საკათალიკოსო დაწესდებოდა, მეხუთე საუკუნის გასულს, ვახტანგ გურგასლანის დროს, ქართული ეკლესია შეადგენდა ანტიოქიის სამწყსოს და ამ სამწყსოს განაგებდა მღვდელთ-მთავარი, რომელიც ყოველთვის ანტიოქიის პატრიარხისაგან ამოირჩეოდა და გამოიგზავნებოდა.

ნინოს ცხოვრების მეტაფრასით, ნინო მიიცვალა „მეათუთხმეტესა წელსა ქართლს შემოსვლისა მისისასა და ქრისტეს ამაღლებიდგან 338, დასაბამიდგანთა წელთა 5728? (5838) (ფურც. 179). — მოსე ხორენელის სიტყვით, ნუნემ ჰქადაგა სახარება „კლარჯეთით ვიდრე ალანთა და კასპიელთ შესავალამდე და თვით მასსაგეთელებთამდე, როგორც ამას აგათანგი მოიხსენებს" (Langlois, *Collect.*, II, 126), თუმცა ამაზე და თვით ნინოზე აგათანგი სრულებით არას ამბობს.

ქრისტეს აქეთ 342, ქართულსა 94; ხოლო წელსა მეორესა მოკვდა ნანა დე-დოფალიცა, მეუღლე მირიან მეფისა[1].

1. მეფე მირიან დამარხულ არს ეკლესიასა სამთავარ-ეპისკოპოსოსა, სამთავროს შინა ჩრდილოდ კერძო. ვახუშტი.

ქ.-ცხბის თქმით, მირიანი აფუძნებს საქართველოში დინასტიას ხოსროიდებისას (სასანიდებისას). ქართველთ ერისთავთ გამოთხოვით, ქასრე პირველი თვითონვე სვამს მეფედ მცხეთაში თავის შვილს მიჰრანს (მირიანს) და სხვათა შორის იმას უსაკუთრებს სომხეთს. მირიანი ქასრეს სიკვდილის შემდეგ ითვისებს სპარსეთის ტახტს და ხანგრძლივ ებრძვის ხაზართა ჰერეთში, მოვაკანში და მეტადრე დარუბანდში. კოსტანტინე დიდის ბრძოლაში გუთებთან ანუ გოთებთან მონაწილეობას მიიღებს სომეხთა ტირდატი, რომელიც იმ ბრძოლაში თავს ისახელებს და შემდეგ ბერძნების შემწეობით დაიჭერს თავის სამეფოს სომხეთს და განდევნის იქიდამ „სპათა და ერის-თავთა მირიანისათა." გარდა ამისა მირიანი მიჰკერძავს სპარსეთის მეფეს, როდესაც ის ებრძვის კოსტანტინეს. ამ დროს კოსტანტინეს მომხრე არის ტირდატი. კოსტანტინე მტერსა სძლევს „ჯვარის წარძლომით" და შემდეგ მირიანს დაეზავება, დაამოყვრებს სომხეთის მეფეს, დაუნიშნავს საზღვრად სომხეთის მხრივ არაქსისა და მტკვრის წყალთა-მსაზღვრავს მთას და გამოსთხოვს მძევლად შვილს ბაქარს.

ჩვენის მხრივ ვიტყვით, რომ უცხო-ტომი მწერალნი მირიანს არ იხსენიებენ, გარდა მოსე ხორენელისა და თვით მოსეს თქმით, „მიჰრანი, გამგე იბერიისა," იყო ერთი ტირდატის მხედართ-მთავართაგანი (Langlois, *Collect.*, II, 125). თუ ამმიან მარცელინის „მეფე იბერიისა მერიბანესი," რომელსაც კოსტანციმ გამოსთხოვა შემწეობა ომში სპარსეთთან 361 წელს (Lebeau, *H. du B.—E.*, II, 353), მირიან მეფეა, ჩვენ ვიცით, რომ იმ დროს მეფობდა ბაქარი (342—364) და არა მირიანი. რაცა შეეხება ქ.-ცხბისაგან წოდებულს ქასრეს სახელით მირიანის შთამომავლობას ხოსროიანებად, გვარწმუნებენ, ვითომც სასანიდების დამფუძნებელსავე მიეთვისოს სახელი *Khoosroo* თავის დინასტიისათვის და თვით სახელი ქ ა ს რ ე იშვიათი არ ყოფილა იმათ სახლში (Malcolm, *Histoire de la Perse*. Paris, 1821, t. I, 132, n. 2, 338. ნახე კიდევ Langlès, *Voyage de Chevalier Chardin*, *Notice chronol.*, x., p. 172—186).

შესაძლებელია, რომ მირიანს ჰყვანდა სპარსეთში ძმა ბარტომი, თუმცა არდაშირის მემკვიდრეთ იქ დაჯდა 240 წ. იმისი შვილი შაბურ I, რომელსაც მოწინააღმდეგე არავინ გამოჰჩენია (Malcolm, *H. de la Perse*, I, 133, 139). მოსე ხორენელი მოიხსენებს გაკვრით ტირდატის მონაწილეობას პრობუსის ბრძოლაში გუთებთან, რომელშიაც მას უსახელებია თავი. ეს მომხდარა 281 წელს (Langlois, *Collect.*, II, 120). გუთებს ანუ გოთებს ჰხადიან შთამომავლობით და ენით გერმანიელ ტომად. ძველადვე იგინი დამყარებულნი ყოფილან სკანდინავიაში და შემდეგ სამის საუკუნისა ქრისტეს წინ იმათ დაუჭერიათ სამხრეთი და აღმოსავლეთი ნაპირები ბალტიის ზღვისა, საიდამაც გაბნეულან გერმანიისაკენ და შავის ზღვისკენ და აქედამ ხშირათ თურმე სცემდნენ დუნაის მხარეებს. ვალერიანისა და გალლიანის დროს გოთებს გაუვლიათ ჰელლესპონტი და აუოხრებიათ მცირე აზია. იქიდამვე შეუტანიათ ქრისტეს სჯული ტყვედ გაყვანილთა. ერთს მათგანს ულფილას შეუდგენია იმათთვის ალფავიტი და უთარგმნია ძველი მცნება (Lebeau, *H. du B—E.*, III, 324—329; IV, 97—100). ქ. ცხბა მირიანის დროსაც და იმის წინათაც ხშირად იხსენიებს ერთ ჩრდილო-ტომს, ხაზარებს. ვინ იყვნენ

## მეფე ბაქარ, (342—364).

ხოლო დაჯდა მეფედ ბაქარ ძე მირიან მეფისა. ესე იყო მორწმუნე, ვითარცა მამა მისი მირიან და ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი, რომელნი ვერ მოაქცივნეს მამასა მისსა; არამედ შთავარდა შური ამისა და სომეხთა შორის, რა-

ხაზარნი, რა დროდამ არიან ცნობილნი, სად ბინადრობდნენ, რა რიგათ და რა დროს მოაწყდნენ პირველად კავკასის მთებს, ამაზე ჩვენ გვქონდა საუბარი ცალკე სტატიაში, რომელიც ზემოთ 32 გვერდის შენიშვნაში ვუჩვენეთ. ქართველებისა და სომხების გარდა, ხაზარებს მოიწვევდნენ რომაელნი და სპარსნი ერთმანეთის ბრძოლის დროს და თვით იგინი, როდესაც უსაქმოდ შთებოდნენ, ხან აქა სცემდნენ, ხან იქა. ხაზარნი საშიშნი იყვნენ უფრო სპარსეთისათვის, რადგანაც იმათი მოხერხებული გზა მიემართებოდა დერბენდის მხარეს და, ქ.-ცხბის შენიშვნით, უფრო „ფართო“ და ადვილ-გასავალი იყო, ვიდრე ჩვენი ხევის-კარი ანუ დარიალანი. ქართველების „დარუბანდის კარს“ უცხო-ტომნი უწოდნენ: რომაელნი *Pylae Albanicae*,—Pilae *Caspiae*, სომხები ჩ ო ღ ანუ ჩ ო რ, ბერძნები —ძ ო რ, Brosset, *Voyage dans la Géorgie et dans la Arménie*, 1849, I Rapp. p 97). დერბენდის შესავალში ამართული იყო ვრცელი ციხე-სიმაგრე, რომელიც იწოდებოდა ვ ი რ ა ფ ა რ ა ხ ა დ ანუ „ივერიის ზღუდედ“. ეს ის ზღუდე უნდა იყოს, რომელსაც ჩვენ ვუწოდთ კავკასის კედლად და, როგორც ამას ჰმოწმობს თვით იმისი კვალი, აქამომდე დაცული, მიემართება 360 ვერსზე და დერბენდიდამ მოყოლებული ერთის მხრით გადადის კავკასს იქით, მეორეს მხრით შედის საქართველოს საზღვარში (Баратова, *Исторія Грузіи*. Спб. 1865, I, стр. 36—37). უეჭველად ეს ვრცელი ზღუდე აშენებულია სხვა-და-სხვა დროს, სხვა-და-სხვა მფლობელთაგან. საქართველოს მეფეებს, ბროსსეს შენიშვნით, ხშირად ჰქონდათ ბრძოლა დერბენდის მხარეში და ამისთვის იმათი სარგებლობა მოითხოვდა, რომ გასავალი ჩორისა ანუ ძორისა იმათ დახშული და დაცული ჰქონიყოთ“ (*H. de G.*, I, 154, n. 2). დერბენდის ციხე-სიმაგრეზე დიდი ყურადღება იყო მიქცეული რომაელთაგან და უფრო სპარსთაგან. როდესაც ის იყო სპარსების ხელში, იგინი იმას დიდ-ძალის გარნიზონებით იცავდნენ, რომ მათ ხაზარნი შეეკავებინათ (Lebeau, *H. du B—E.*, VI, 291, 317; VII, 269—270, 395, 597—599).

ჩვენის ფიქრით, ტირდატის ომი მირიანთან შესაძლებელი საქმეა, თუ მხედველობაში ვიქონიებთ მაშინდელს ქვეყნის მდგომარეობას. რომი და სპარსეთი ერთი მეორეს ებრძვიან. რომი ექომაგება ტირდატს, რომელიც რომაელების შემწეობით ცდილობს სომხეთის დაჭერას; სპარსეთი ექომაგება მირიანს სასანიდს. ორივე მხარე ცდილობს საკუთარის გავლენის გავრცელებას აზიაში.

თქმულება ქ.-ცხბისა სპარსთა მეფის ბრძოლაზე კონსტანტინე დიდთან ისტორიული სიცრუეა. კონსტანტინესაგან „ჯვარის წარძღომა,“ დამარცხება სპარსთა და შემდეგ ნათელღება სხვა-და-სხვა დროის შემთხვევაა. მართალია, „ჯვარის ძალით“ სძლია კონსტანტინემ თავის მტერსა 312 წ., მაგრამ ის მტერი იყო მაქსენცი და არა სპარსეთის მეფე. კონსტანტინემ ნათელ-იღო ბევრით შემდეგ ქ.-ცხბისაგან ნაჩვენებ დროზე, ესე იგი თავის სიკვდილის წელს 337 წ. გარდა ამისა, არც კონსტანტინე დიდს, არც იმის პირველ შვილს კონსტანტინე მეორეს არა ჰქონიათ ბრძოლა სპარსეთთან. თუმცა კონსტანტინე მეორე მოემზადა საბრძოლველად, მაგრამ ვიდრე ის ბრძოლას დაიწყობდა, მოკვდა 339 წ.

მეთუ სომეხნი ეძიებდეს რევის ძეს ტირიდატს მეფედ, შვილის შვილობილი-სათვის ტირიდატ სომეხთა მეფისა; ამისთვის ბაქარ ემოყვრა სპარსთა მეფესა მამის ძმის-წულსა თვისსა და გაუტევა ქვეყანა ფეროზს დის-ქმარსა თვისსა, რომელსა აქვნდა რანი მირიანისაგან და მისცა სამშვილდე თავადმდე აბოცისა და ნათელ-სცა და ქრისტიანე ჰყო ერითურთ და ბრძოდა სომეხთა. შემდგომად შეკრებულნი სომეხნი მოვიდნენ თრიალეთს; ხოლო ბაქარს მოერთო ძალი ხოსროვანთაგან; ეწყვნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი თრიალეთს; მერმე სძლეს სპარსთა და ბერძენთა შუამდგომლობითა დაზავდენ პირსა ამას ზედა, რამეთუ უკეთუ იყვნენ ნათესავნი ბაქარისანი, არა ეძიებდნენ ძენი რევისნი მეფობას. ხოლო ძეთა რევისათა მისცეს ჰერეთი და კასპეთი საერისთავოდ და იქმნა მშვიდობა. რამედ ამის მეფობისა ბაქარისზე მოკვდა ეპისკოპოსი იოანე და დასვა მეფემან იაკობ და აღაშენა ეკლესიანი, ჰმატა ქრისტიანობასა და მეფობდა კეთილად; შემდგომად გარდაიცვალა წელსა ქრისტეს აქეთ 364, ქართულსა 116 [1].

ბრძოლა დაიწყო მხოლოდ კონსტანტინეს მეორე შვილმა კონსტანციმ 361 წ. (Lebeau, *H. du B—E.*, I, 89, 383, 402, 415, 452—456; II, 353). შესაძლებელია, რომ ამ ომში მიემხრო ჩვენი მეფე სპარსეთს და შემდეგ, როდესაც საქმის გარემოება შეიცვალა და იმან მიჰმართა კონსტანცის, კონსტანციმ დაამოყვრა იგი ტირდატსა.

ქ. ცხბის ცნობა მირიანის ძეზე ბაქარზე, რომელიც ვითომც კონსტანტინესაგან მძევლად იყო გაყვანილი და შემდეგ სჯულის მიღებისა მირიანისაგან წარმოგზავნილი უკანვე და მეფედ დამჯდარი (342—364) საეჭვო ცნობაა. მართალია, ვიზანტიელთ თქმულება იხსენიებს „იბერიის მეფის ძეს ბაკურის," მაგრამ, როგორცა ჩანს, იგი სხვა პირია. ბაკურის უამბნია იერუსალიმში რუფინისათვის ქრისტეს სჯულის დამყარება ჩვენში და, რუფინის თქმით, ბაკურისი ყოფილა დიაღ ყმაწვილი, როდესაც ქართლს მიუღია ახალი მცნება. განდევნილი საქართველოდამ შინაგანის აღრეულობის გამო, ის გასულა ვიზანტიაში და იქ იმისთვის იმპერატორს თეოდორეს მიუნდვია სასახლის მსახურთ-უფლება და პალესტინის გამგეობა. ბაკურისი მოკლულ-ქმნილა 394 წ., როდესაც ბერძნების ჯარით თურმე ებრძოდა ტირანს ევგენის. იმის ახოვანებას დიდის ქებით მოიხსენებს იმ დროის ვიზანტიის ისტორია (Lebeau, III, 337, n. 2; V, 45, 46, 53).

1. აქ შემოგვაქვს ბროსსეს შენიშვნა. „ამმიან მარცელინის თქმით, როდესაც კონსტანცი 361 წ. მზადებაში იყო სპარსეთთან საბრძოლველად, თავ-და-პირველად მან საჭიროდ სცნა დაესაჩუქრებინა მეფენი სომხეთისა არზაკი (არშაკ) და იბერიისა მერიბანესი, რომელთაგანაც ის დიდ განსაცდელში იქნებოდა, თუ იგინი სპარსეთს მიემხრებოდნენ. მარცელინი ცხოვრობდა იმ დროს, რომელსაც აგვიწერს და ამისთვის იმის მოწმობას დიდი მნიშვნელობა აქვს: თუ მერიბანესი უდრის მირდატს, ჩვენ ვიცით, რომ 361 წ. მეფობდა ბაქარ I და არა მირდატ. მეორეს მხრით, 361 წ. სომხეთში არ იჯდა არზასი, თუმცა ჩამჩიანის აზრით 363 წ. იქ დაიწყო მეფობა არზას II-მ; მაგრამ, თუ სენ-მარტენის ფიქრით, იგი მეფობდა 341—370, მაშინ მარცელინის თქმულება სომხეთის შესახებ უფრო ახლო იქნება სიმართლეზე.

„მეორე გარემოება, რომელსაც მარცელინი მოიხსენებს, უფრო საეჭვოა. 368 წელს სპარსეთის მეფე საპორი (ანუ შაბური) განდევნის იბერიიდამ რომაელთაგან მფლობელად დადგენილს სავრომაზეს და იმის მაგიერ ამკვიდრებს ასპაკურეს და რომ თავისი სიძულილი ეჩვენებინა რომის იმპერატორისადმი, იმას გვირგვინს მიანიჭებს. ვალენსი

## მეფე მირდატ (364—379).

დაჯდა მის წილ ძე მისი მირდატ მეფედ. ამან იმეფა კეთილად ყოვლითავე დიდსა სარწმუნოებასა შინა ქრისტესსა და ამის დროსა შინა ჴყოფდნენ ქართველნი სვეტისა მის ცხოველისაგან ჯუართა, ვინადგან მრავალნი სასწაულნი იქმნებოდნენ, ვითარცა ჯუერ-იჩინა ღირსმან ეპისკოპოსმან იაკობ და განეფინა ყოველსა საქართველოსა შინა ნაწილი სვეტისა მის ცხოველისა კურნებად მათდა. შემდგომად დროსავე ამისსა მოკვდა ჭეშმარიტი იაკობ და მეფემან დასვა იობ სომეხი დიაკონი ნერსეს კათალიკოსისა. შემდგომად გარდაიცვალა მეფე მირდატ ქრისტეს აქეთ 379 წელსა, ქართულსა 130.

## მეფე ვარაზ-ბაქარ II (379—394).

გამეფდა ძე მისი ვარაზ-ბაქარ. ხოლო ამან შეირთო ცოლად რევის ძის ტირიდატის ასული და ანგელოსისა ხარებითა ეშვა ძე და უწოდეს მურვანოს, (რომელი იწოდა პეტრე და იქმნა წმინდა და მაიამოს ეპისკოპოსი, რომლისა ცხოვრებასა მოგვითხრობს მეტაფრასი მისი); არამედ ვარაზ-ბაქარ კეთილად შე-

იმავე წელს (სენ-მარტენის გამოანგარიშებით 372 წ.) ჰგზავნის კომტს არინთეს, და ტერენციის 12-ს ლეგიონით, რომ სავრომაზესი მეორედ დაედგინათ იბერიის ტახტზე, Hiberiae regno. როდესაც სავრომაზესი მიუახლოვდა მტკვარსა, ასპაკურესმა წინა-დადება მისცა იმას, რომ იმათ, როგორათაც ბიძა-შვილებს, სამეფო ორად გაენაწილებინათ და ამასთანვე არ ნებულობდა რომაელებს მიჰკერძებოდა, რადგანაც იმის შვილი ულტრა მძევლად არისო სპარსეთში. იმპერატორმა თან-ხმობა გამოაცხადა განაწილებაზე, მაგრამ მოითხოვა, რომ ამ ორთა მეფეთა შორის საზღვრად ყოფილიყო მტკვარი, ასე რომ იმათში სავრომაზეს დარჩომოდა სომხეთისა და ლაზიკის მოსაზღვრე მხარე, ასპაკურეს კი ალბანია. მაგრამ ქ.-ცხბა არას ამბობს არც სავრომაზესის სამეფოზე, არც ამის დაყოფაზე. თუ რომ ასპაკურესად იგულისხმება ჩვენი ვარაზ-ბაქარი, რომელიც მირდატ III-ს შემდეგ მეფობდა, მაინც არა ვიცით რა არც იმის ბიძა-შვილზე ასპაკურესზე, არც ამ უკანასკნელის შვილზე ულტრაზე, რომელიც სენ-მარტენს საეჭვოთა ჰყავს... Lebeau, *H. du B—E.*, II, 353; III, 358, 433 და შენიშვნანი.

„ორის წლის განმავალობაში საპორს არ შეუწყვეტია მიწერ-მოწერა იმაზე, რომ სავრომაზეს და რომაელების გარნიზონებს დაეტოვებინათ იბერია და რომ მხოლოდ იმისგან დადგენილს ასპაკურეს ემეფნა. ვალენსი დათანხმდა თავის ჯარის გაყვანაზე, მაგრამ სავრომაზესის მომხრეობაზე და დახმარებაზე სიტყვა არ გადასთქვა, თუმცა განგებ ამ საგნის გამო იყო სპარსეთიდამ ვალენსთან მოციქულად გაგზავნილი შაბურის ვეზირთ-უფროსი სურენა; შაბურმა დაიწყო ომი 374 წ. და სავრომეზესის მომხრე რომის ჯარი სრულებით დაამარცხა სურენის სპათა ბრძანებლობით. გოთებთან ვალენსის ბრძოლამ ალარ მისცა შემთხვევა, რომ თავისი უბედურება მოესპო. Lebeau, *H. du B—E.*, IV, 28, 29. შემდეგ აქ ხსენებულ პირებზე ალარა ცნობა არა გვაქვსო." (*H. de la G.*, I, 134 n. 3.)

ირთო მეორე ცოლი ძის-წული ფეროზისა და შეიყვარა სოფელი, ვინადგან იყო ურწმუნო და მოძულე სჯულისა; გარნა ვერა განაცხადებდა შიშისათვის ქართველთასა, რამეთუ დიდად მორწმუნენი იყვნენ და მტკიცედ სდგენ ქრისტესთვის. ხოლო შემდგომად იქმნა რა 12 წლისა მურვანოს ძე ვარზა-ბაქარისა, სთხოვა კეისარმან თეოდოსი მძევლად მურვანოს, რათა არა მიერთოს ვარზა-ბაქარ სპარსთა; ამან მისცა და წარიყვანეს კონსტანტინეპოლის[1]. შემდგომად

1. მეფე ესე დიდის თეოდოსის დროს იყო და ძე ამისი წმინდა პეტრე მცირის თეოდოსის დროს. თუმცა ესრეთ არა იყოს, 200 წელი მეორის ფარსმანისამდე მეტი იქნება და არც ვახტანგ გორგასლის ყამი იქმნების სწორედ შესრულებული. I კონსტანტინეპოლის კრება ყოვლისა სოფლისა იყო წელსა ქრისტეს აქეთ 380; ხოლო ვარზა-ბაქარის მეფობის წელსა პირველსა. ვახუშტი.

იწერება ვარზა-ბაქარაც, ვარაზ-ბაქარაც. როგორც ჭეშმარიტად შეუნიშნავს ვახუშტის, თეოდოსი დიდი და ვარზა-ბაქარ მეფობდნენ ერთ დროს: ჯერ 379 წლიდამ გრაციანითურთ თეოდოსი ცნობილია იმით, რომ მან განდევნა მაკედონიიდამ ვიზი-გოთნი და დაამარცხა უზურპატორი ევგენიოსი და ბოლოს 394—395 წ. მეფობდა მარტო.

ამასთანავე, თუ ვარზა-ბაქარი ტახტზე დაჯდა 379 წ., მაშინ კონსტანტინეპოლის კრება მწვალებელის მაკედონის გამო, რომელიც უარ-ჰყოფდა სული-წმინდის ღვთაებას, ვარზა-ბაქარის მეფობის მეორე წელს იყო და არა პირველს; ეს კრება როგორც მიღებულია, გაიხსნა მაისის თვეში 381 წ., და დაიხურა იმავე წ. ივლისის გასულს. ამ კრებამვე მისთვისა კონსტანტინეპოლის საპატრიარხოს მეორე ხარისხი შემდეგ რომის საპატრიარხოსა (Lebeau, *H. du B—E.*, IV, 199—205).

აქ უნდა მოვიხსენოთ ამ დროის ღირს-სახსოვარნი ცნობანი: პირველად მურვანოსზე, მეორედ სომხეთის სამეფოს დანაწილებაზე.

მურვანოსის ანუ წმინდა პეტრეს ვინაობას და მოღვაწეობას მოგვითხრობენ როგორც ჩვენი წყაროები, აგრეთვე უცხო-ტომთ მემატიანენი. ამ უკანასკნელთაგანნი არიან ევაგრი და ზაქარია მელიტენელი, რომლის ცნობანი მასზე ჩაურთავს გასულ საუკუნეში ლათინურ ენაზე ასსემანს აღმოსავლეთის ეკლესიის მამათ-ცხოვრებაში. გარდა ამისა ხელში გვაქვს სირიის პატრიარხის მიხეილის ცნობანი პეტრეზე; დაწვრილებით მურვანოსის მოღვაწეობა აუწერია სირიელ ენაზე თვით იმის მოწაფეს ზაქარია ქართველს და ქართულად უთარგმნია მღვდელს მაკარის. ეს ცნობანი ქართლის ცხოვრებაშიაც შემდეგ შეუტანიათ. „არა სხვისაგან თხრობილსა, გინა სხვისაგან სმენილსა მოქენე ვარ აღწერად—ამბობს ზაქარია,—არამედ რომელსა თვით მხილველ ვიქმენ, რამეთუ სიყრმიდგან შეუდეგ მე წმინდასა მას, ვითარცა შვილი ერთ-გული, სადაცა იგი არნ. ყამთა ღვთის-მსახურისა თეოდოსი მცირისა, მეფისა ბერძენთასა, ძისა არკადისა და ძის-წულისა დიდისა თეოდოსი მეფისა იყო მეფე ქართველთა ზედა დიდი ვარაზ-ბაკურ, მეოთხე (?) მეფე მირიანიდგან... ყამთა მცირისა, თეოდოსი მეფისა იქმნა მტერობა ბერძენთა შორის და სპარსთა და მეფემან თეოდოსი მოშიშმან, ნუ უკვე შეერთნენ ქართველნი სპარსთა და იძლივნენ ბერძენნი, მოსთხოვა სიყვარული ქართველთა მეფესა და უმეტესისა სიმტკიცისათვის მძევალნიც სთხოვნა. ხოლო რათა არა განიწვალნენ ქართველნი ბერძენთაგან, ყოველი სათხოველი ბერძენთა მეფისა აღუსრულა მეფემან ქართველთამან და წარავლინა ძე თვისი მურვანოს ათორმეტისა წლისა მძევლად ქალაქად კონსტანტინეპოლედ სხვათა თანა სეფე-წულთა.“

ამისმან მცნობმან სპარსთა მეფემან წარმოავლინა სპასი სომეხთა და ქართველთა ზედა, რათა მოხარკე ჰყოს; მაშინ ამისთვის ეზრახნენ სომეხნი ვარაზ-ბაქარს, რათა შეკრბნენ ორნივე და ეწყვნენ სპარსთა; ამას განუზრახვიდნენ დიდებულნიცა თვისნი, რათა გამოიყვანონ ოვსნი და ლეკნი და ჰბრძოდნენ სპარსთა სომეხთა თანა; არამედ არა ინება ვარაზ-ბაქარ, რამეთუ იყო მოშიში და ჩუკენ და უკუ-ჯდა ხევსა კახეთისასა. მაშინ შემოვიდა ერისთავი სპარსთა, შემუსრა სომხითი, მოაოხრა და შემოვიდა ქართლს, აოხრებდა და

ზაქარიას თქმით, მიეცა თუ არა მურვანოს „სასწავლოდ, მცირედთა ჟამთა დაისწავლა ყოველივე წერილი და გულის-ხმისყოფით აღმოიკითხვის და იწვრთის დღე და ღამე." მოკლე ხანში ვიზანტიაში მას შეუსწავლია „ენა ბერძული და ყოველივე სწავლულობა საეკლესიო და საფილოსოფოსო"; მასუკან იერუსალიმში შეუთვისებია „ენა და სწავლულობა ასურებრივი". მურვანოსს დაუყვია მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს გარეშე; იქ შემდგარა იგი მონაზონად, სახელ-წოდებულა პეტრედ, მიმოუვლია მას წმინდა ადგილები პალესტინისა, სადაც გაუშენებია რამდენიმე მონასტერი, სასნეულო და სასტუმრო, გარდაცვლილა ბრწყინვალე მოღვაწეობით სახელ-განთქმული 65 წლისა პალესტინის არხიეპისკოპოსად, ზენონ იმპერატორის დროს (474—491) და დაფლულა „დიდითა დიდებითა მონასტერსა ქართველთასა იერუსალიმში, რომელიც მასვე წმინდასა პეტრეს აღეშენეს." ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა, როგორც ზაქარია ამბობს, თეოდოსი მცირე იყო შვილი არკადისა და ძის-წული თეოდოსი დიდისა, მაგრამ თვით ვარაზ-ბაქარის მეფობის მიმდინარეობაში (379—395) ვიზანტიაში მეფობდა, როგორც ზემოთაც ითქვა, თეოდოსი მცირე (408—450) მ. ა. მ.-ც ხ. შ ი ო-მ ღ ვ., 146—149.—*H. de la G*,, I, 138 შ. 6, 7). თვით მიხეილ სირიელის ცნობით (ცხოვრობდა მე-XII საუკუნ.) პეტრე იყო ერთი წევრთაგანი ხალკიდონის კრებისა, რომელიც გაიხსნა 451 წ. და ვითომც მოწინააღმდეგე ამ კრებისა, და როდესაც მარკიანე იმპერატორის ჯარი ურიებითურთ სდევნიდა და ჰხოცავდა ამ მოწინააღმდეგეთა, ვერავინ შეეხო მხოლოდ პეტრეს, რადგანაც იგი იყო განსაკუთრებით პატივ-ცემული დიდის მოღვაწეობის გამო. „პეტრე იყო, განაგრძობს მიხეილი, როგორც მოგვითხრობენ, ძე საქართველოს მეფისა, მძევლად შემოყვანილი კონსტანტინეპოლში და როდესაც აქ იმან შეისწავლა საღვთო წერილი, შეუდგა მკაცრ მონაზონების ცხოვრებას და სახელ-განითქვა დიდად. პეტრემ მიიღო თავის სურვილის წინააღმდეგ მღვდელ-მონაზონობა და შეიქმნა არხიეპისკოპოსი პალესტინისა. იმისი საკაფედრო ადგილი იყო გაზი და ისე იყო იგი განვითარებული, რომ არავის შეეძლო იმასთან ბაასობა. ამ წმინდა კაცს ჰყვანდა მოწაფედ განსწავლულთაგანივე მონაზონი იოანე, რომელმაც სწერა მრავალი..." (*Chronique de Michel le Grand*., p. 152—154).

როგორც ვახუშტის ისტორია, აგრეთვე ქ.-ცხბა ცხოველად გამოჰხატვენ ცეცხლის მსახურთ აღსარების-ძალას. იმ დროს, რომელსაც ჩვენ შევეხებით, პოლიტიკური მიმართულება ცეცხლის-მსახურთა და ქრისტეს მორწმუნეთა ხელში ეჭირა ორს უმთავრეს სახელმწიფოს: ვიზანტიას და სპარსეთს. იმათში ვიზანტია იყო წარმომადგენელი ქრისტიანობისა, სპარსეთი კი სასანიდების დროს ცეცხლის-მსახურებისა. წარმატება ერთისა თუ მეორისა იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელი ამ ორთა სახელმწიფოთაგანი მომატებულს პოლიტიკურ მოსაზრებას და გამჭრიახობას აღმოიჩენდა. ამ ორ გვარის პოლიტიკის მიმართულების ასპარეზად მე-IV, V და VI საუკ. განმავლობაში იყო მცირე-აზია, სომხეთი და საქართველო.

სუტკვენვადა და ჭყო ცისე ტფილისს; ხოლო უღონო-ქმნილი და მოშიში ეზ-რასა ერისთავსა სპარსთასა მოაკუე ვარზა-ბაქარ, რათა განუკვეთოს ხარკი და დაუტკოს ქვეყანა მშვიდად; ამისთვის ერისთავმან მიუღო რანი და მოვაკანი, რამეთუ არს წილი სპარსთა მეფისა და თქვენ ვინაჲდგან ხართ ძენი მსევლისა-ნი, გიპყრავსთ ქართლი და უკუ-სცა ტფილისი ვარზა-ბაქარსვე, მოხარკე ჭყო

საუბედუროდ, თუ ჩვენ ვიზანტიის პოლიტიკურ წყობილებას სპარსეთის წყობილებას შევუთანასწორებთ, მაშინ უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მივცეთ. თუმცა ვიზანტია სწავლა-ხელოვნებით ბევრით მაღლა იდგა სპარსეთზე, მაგრამ იმისი ეტნოგრაფიული ნიადაგი შეიცავდა სხვა-და-სხვა გაცალკევებულ ტომთა, რომელთ შორის ერთად-ერთი კავშირი იყო ქრისტეს სჯული და არა ერთ-გვარი შთამომავლობა,—ეს უმთავრესი ძალა უველა სამეფოებსა, მეტადრე ძველად. ამის გამო იქ სამეფო დინასტიის ცვლილება არ იყო იშვიათი: ვიზინტიის ტახტს ისაკუთრებდა ხან ერთი, ხან მეორე, შთამომავალი სხვა-და-სხვა გვარ-ტომისა. ამ გარემოებამ დაბადა ხშირი ბრძოლა ტახტის მეძიებელთა შორის და არეულობა იმპერიაში. ამას დაერთო სარწმუნოებრივი განხეთქილება—არიოსიანთა, მაკედონიელთა და სხვათა მრავალთა, რომელნიც თავის მხრივ აღელვებდნენ ხალხსა და არყევდნენ შინაგან წყობილებასა. აქ უმთავრეს ყურადღების საგნებს მმართებლობისა და საზოგადოების მხრივ წარმოგვიდგენენ საღვთის-მეტყველო და საეკლესიო ბაასი, სამღვდელო დასთა კრებანი, დევნულება ერესებისა ანუ მწვალებლებისა და არა პოლიტიკური მოაზრება და ღონის-ძიების გამოძიება წინააღმდეგ ბარბაროსთა, რომელნიც ყოვლის მხრით ამდგარნი იყვნენ ვიზანტიაზე და საზოგადოდ ახალ-დანერგილ ქრისტეს სარწმუნოებაზე. სულ სხვა გვარ სურათს წარმოგვიდგენს ვიზანტიის მოწინააღმდეგე სახელმწიფო: ამ სახელმწიფოს შეადგენდა თითქმის ერთი და იგივე მჭიდროდ მოფენილი ტომი სპარსელებისა, ერთგული და მიმყოლი სასანიდების დინასტიისა. ეს სამეფო სახლი არ შერყეულა, სანამ იგი არ დაამხეს მე-VII საუკ. მუსულმანებმა. სასანიდებმა ისიც კი მოახერხეს, რომ საკუთარის გავლენის გასავრცელებლად თავისი სახლის წევრებივე დასვეს მეფეებად საქართველოში. ერთმა სასანიდთაგანმა შაპურმა III-მ (385—390 წ.) თეოდოსი დიდი კიდეც დაიყოლია იმ-გვარ უგუნურ ღონის-ძიებაზე, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა როგორც ქრისტეს-მსახურთ სარგებლობას, აგრეთვე თვით ვიზანტიის ინტერესსა. ეს იყო ორთა სახელმწიფოთა შორის სომხეთის სამეფოს დანაწილება, რომელიც მოხდა 390 წელს. სომხეთის დაგლეჯა ჰსურდა თვით შაბურ II-ს (310—381 წ.) 374 წელს, მაგრამ იმპერატორმა ვალენსიმ ამაზე უარი გამოაცხადა. მართალია, თვით სომხეთიც კი ვერ აიცილებს თავიდამ თავის უბედურების ბრალსა. „ეს ბედკრული ქვეყანა, ამბობს სენ-მარტენი, ყოველთვის სავსე იყო შინაურის შფოთითა და განხეთქილებითა. თავადნი ან ერთი მეორეს ებრძოდნენ, ან დამოუკიდებლობის ძიებაში იარაღით ხელში საკუთარ მეფეებს ეწინააღმდეგებოდნენ სპარსეთის ძალით. აქ უნდა დავურთოთ ისიც, რომ თვით ქრისტე-მსახურობის მიმყოლთ ლტოლვილობა და ამის გამო წარმომდგარი განხეთქილება სომხეთში ჯერ კიდევაც არ იყო შესუსტებული. შაბურ მე III-ს და თეოდოსი დიდის მორიგებაში უპირატესი სარგებლობა სპარსეთს ეკუთნოდა: ოთხი მეხუთედი ნაწილი სომხეთისა, უკეთესი მდებარეებით და ნაყოფიერებით, სპარსეთს ჩაუვარდა ხელში. თეოდოსიმ და შაბურმა დააწესეს, რომ თვითოეულს იმათგანს თავ-თავის ხვედრში საკუთარი მეფე ჰყოლიყო. შემდეგ ამისა სომხეთი უფრო აირია და ცეცხლის-მსახურთა თავის სარწმუნოების გასავრცელებლად უფრო გზა გაეხსნათ (S.-Martin, *Mém. sur l'Arm.*, I, 305—318.—Lebeau, *H. du B—E.*, IV, 28—29, 429—432).

ქა წარვიდა და წარიყვანა ფეროზ ნათესავითურთ სიჯაბნისათვის ვარზა-ბაქარისა. ხოლო მსილველნი ამისნი კლარჯნი უგუ-დგნეს ვარზა-ბაქარისაგან და მოერთვნენ ბერძენთა; არამედ ნეშტთა საქართველოთა ზედა მეფობდა ვარზა-ბაქარ; შემდგომად მოკვდა ქრისტეს აქეთ 393, ქართულსა 145 და დაუტევნა ძენი მცირენი და ვერ დამპყრობელნი მეფობისანი სამნი: ფარსმან ფეროზის ძის ასულისაგან, ხოლო მირდატ და ტირდატ რევის ძის ტირდატის ასულისაგან.

## მეფე ტირდატ (393—405).

ამისთვის მოიყვანეს რევის ძე ტირდატ მოხუცებული და დასვეს მეფედ. არამედ ესე იყო ფრიად მორწმუნე ქრისტიანობისა და ბრძენი და გონიერი. ამან მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდნა სპარსნი და გამოაჩინა ხატნი და ჯვარნი და შეამკვნა ყოველნი ეკლესიანი ივერიასა შინა. დროსა ამისსა მოკვდა ეპისკოპოსი იობ სომეხი და ამან დასვა ილია და მისცემდა სპარსთა ხარკსა და მეფობდა კეთილ-გონიერად; შემდგომად გარდაიცვალა 405, ქართულსა 157 წ.

## მეფე ფარსმან V (405—408).

შემდგომად მოიყვანეს ძე ვარზა-ბაქარისა ფარსმან მეფედ, აღზრდილი სამშვილდის ერისთავისაგან, რომელი იყო ძის-წულის-წული ფეროზისა, მირიან მეფის ასულისაგან. ესე ფარსმან იყო მხნე, ახოვანი და შემმართებელი ბრძოლა-წყობათა შინა და მორწმუნე ქრისტეს მცნებისა ფრიად. ამან მოითხოვა შეწევნა ბერძენთაგან; ხოლო მათ აღუთქვეს და ამისთვის არღა-რა მისცა სპარსთა ხარკი და განაახლნა ეკლესიანი. დროსა ამისსა მოკვდა ეპისკოპოსი ილია და ამანვე მეფემან დასვა სვიმონ ეპისკოპოსად და მეფობდა კეთილად; შემდგომად ამისა გარდაიცვალა წელსა 408, ქართულსა 160 წელსა.

## მეფე მირდატ IV (408—410).

და მეფე იქმნა ძმა ფარსმანისა და ძე ვარზა-ბაქარისა მირდატ, აღზრდილი ტირდატ მეფისაგან და ასულის-წული ტირდატ მეფისავე; არამედ იყო ესე ურწმუნო, ლალი, თავ-ხედი, გარნა მხნე, ახოვანი და ძლიერი. ამან არა მსახურა ღმერთსა, არცა ჰმატა ეკლესიასა; არამედ სილაღითა თვისითა ემიებდა ბერძენთაგან კლარჯეთსა და სპარსთა არა მისცემდა ხარკთა. ამისთვის მოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი ოვისი სახელით უბარაზ სპითა დიდითა. მაშინ

ამან მირდატ არა ჰკრძალა სიმრავლესა მათსა და მცირითა სპითა ეკვეთა; სძლეს სპარსთა და მოსწყჳდნეს სპანი მისნი და ოტებული შეიპყრეს მირდატ და მიიყვანეს ბაღდადს და მოკვდა მუნ ტყუეობასა შინა. ხოლო სპარსნი შემოვიდნენ და დაიპყრეს ქართლი და ჰქმნეს საცეცხლე მცხეთას ქალაქსა შინა და ძენი მირდატისნი დაშთნენ ხევსა კასპთისასა წელსა. მოკვდა 410, ქართულსა 162.

## მეფე არჩილ (410—434.)

ხოლო შემდგომად სამისა წლისა მოიყვანეს ქართველთა ძე მირდატისა, ასულის-წულისა ტირდატ მეფისა, წარტყუენილისა მის მეფისა სახელით არჩილ [1]

1. სხვას ქართლის-ცხოვრებასა შინა ეს არჩილ ტირდატის ძე სწერია წარტყუენილისა მირდატ მეფის ძმისა, რომელი იყო ტირდატ მეფის ასულის წულივე. ვახუშტი.

იმ დროს, რომელსაც ჩვენ აქ შევეხებით და როდესაც სომხობა შინაგანისა და გარეგანის მდგომარეობის მოწყალებით გონებით და ზნეობით დაცემული იყო, აღმოჩნდნენ სომხეთში ზოგიერთნი პირნი, რომელთაც თავის მოღვაწეობით შარავანდედი მოჰფინეს შავის წყვდიადით გარე-მოცულს მხარეს. პირველნი იმათ შორის იყვნენ გრიგოლ განმანათლებელის შთამომავალი წმ. ნერსესის შვილი კათალიკოსი საჰაკი, მეცნიერებით განსწავლული კონსტანტინეპოლში და იმისი თანა-მოღვაწე, ნერსესთან გაზრდილი წმ. მესრობი. ამ ორთა პირთა განამტკიცეს შერყეული ქრისტეს სჯული და ჩაავდეს ღრმა საძირკველი სწავლა-განათლებისა თავის სამშობლოში. იმათ დრომდე სომხეთში იხმარებოდა სირიული და ბერძნული ან-ბანი ანუ ალფავიტი. საჰაკის აზრით მესრობმა შეადგინა, ანუ, უკეთ, შეავსო საკუთარი სომხური ანბანი; გადათარგმნა ბერძნულიდამ სრული ბიბლია, რომელიც მანამდე სირიულსა და ბერძნულს ენებზე იკითხებოდა და რომელიც სომხურ მრევლს სრულებით არ ესმოდა; დააფუძნა სასწავლებლები, რომლებმაც აღზარდეს მეცნიერნი მწერალნი; გაგზავნა ყმაწვილ-კაცობა ედესსაში, ალექსანდრიაში, ანტიოქიაში, კონსტანტინეპოლში, ათინაში და რომში შესასწავლებლად ბერძნულის ენისა და ფილოსოფიისა. იმათ გუნდში განსაკუთრებით განვითარდნენ „სომხური ისტორიის“ ავტორი მოსე ხორენელი, „წმ. მესრობის ცხოვრების შემადგენელი გორიუნი, „ვარდან მამიკონის სპარსებთან ბრძოლის“ მემატიანე ეგიშე და სხ. (Langlois, *Collect.*, II, p. X—XVj, 161—173.—S-Martin, *Mém. sur l' Arm.*, I, 6—13, 318—319.—Lebeau, *H. du B—E.*, V, 317—325).

შესახებ ქართველთ-სომეხთ დამოკიდებულობისა იმ დროს ძალიან ნაკლული წყაროები გვაქვს. ამ შემთხვევაში უნდა მხოლოდ გვახსოვდეს, რომ ორივე ეს მოსაზღვრე ტომი აღიარებდა ერთსა და იმავე სარწმუნოებას, იცავდა ერთ-გვარს საეკლესიო წესდებას, ერთის წყაროდამ მიღებულს. ამ ერთობის დროს, რომელიც შემდეგ ხალკიდონის კრებისა დაირღვა, ქართველობა და სომხობა, მეტადრე დიდ-კაცობა, ერთმანეთში მოყვრობას მისდევდნენ, ერთის ქვეყნიდამ მეორეში დაიარებოდნენ წმინდა ადგილების სალოცავად და სადღესასწაულოდ. ამასთანავე სომხეთის მემატიანენი გვარწმუნებენ, ვითომც ქართული ეკლესია სომხეთის ეკლესიის მოძღვართ-მთავართ ექვემდებარებოდა; ვითომც საქართველოს კათალიკოსი სომხეთის კათალიკოსისაგან ინიშნებოდა და მისნი ეპისკოპოსნი მისგანვე იკურთხებოდნენ; ვითომც ამ გვარად სომხეთის განმანათლებელის შვილის-შვი-

და ჭყუეს მეფედ. ხოლო ესე არჩილ იყო ფრიად მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა. ამან მოიყვანა ცოლად იოვიანოს მეფის ნათესავი საბერძნეთიდამ სახელით მარიამ და განაცხადა მტერობა სპარსთა და მოსწყვიდნა ყოველნი სპარსნი, მყოფნი ივერიასა შინა, და განასხნა ცეცხლის-მსახურნი და დაშრა-

ლი და ვარდანეზის შვილი გრიგორისი (343 წ.) თავის ძმის იუსიკ კათალიკოსის ხელით იკურთხა ჯერ ეპისკოპოსად, შემდეგ კათალიკოსად იბერიისა და ალოვანიისა, სადაც მან მრავალი ეკლესია განაახლა და ააშენა; ვითომც წმ. ნერსესი (340—370 წ.) დროითი-დრო მოგზაურობდა საქართველოს სამწყსოში, სადაც აფუძნებდა ეპარხიებსა და მონასტრებსა, ამყარებდა სასტუმროებსა ქალაქებში და სოფლებში; ვითომც საჰაკ კათალიკოსს (390—444 წ.) ეკურთხოს ავტორი „წმ. მესრობის ცხოვრებისა“ კურიონი ეპისკოპოსად და გაეგზავნოს საქართველოში სარწმუნოების გასავრცელებლად; ვითომც, ამ კურიონის თქმით, თვით წმ. მესრობი, შემდეგ სომხურის ალფავიტის გავრცელებისა სომხეთში, „შევიდა (მოსე ხორენელის მოწმობით იბერიის მეფის ბაკურის დროს, რომელიც ვითომც ვარაზ-ბაქარი იყოს) ქართველების ქვეყანაში, რომელსაც, ზენარის მადლის შთაგონებითა, მიანიჭა საკუთარი ალფავიტი და სხვა-და-სხვა მათ ქალაქებში დასტოვა მეცნიერნი პირნი ყრმათა გასასწავლებლად; გაემგზავრა ალუანელთ ქვეყანაში, რომელთაც განუახლა ალფავიტი და დასტოვა იმათშიაც მასწავლებელნი“. იმავე განზრახვით, მოსეს თქმით, საქართველოს მეფის არჩილის დროს იბერიელთ ბდეშხის აშუშასაგან მიწვეულ-იქმნა ცაშირში. (Langlois, *Collect.*, I, 1, 10, 12, 27, 29, 213, 214; II, 162, 167, 321, n. 3).

გასაკვირველია, რომ ერთად-ერთი ამ ზემოხსენებულთ ცნობათაგანი, რომელსაც ჩვენი მატიანე უჩვენებს, არის ნაამბი ნერსეს კათალიკოსის დიაკონზე, რომელიც მირდატის დროს (364—379) ჩვენში ეპისკოპოსად იყო დადგენილი. ჩვენ არ უარ-ვყოფთ, რომ ხან-და-ხან სომხები მღვდელ-მთავრებად სხდებოდნენ საქართველოში. ამ გვარი შემთხვევა ერთობის დროს დიაღ შესაძლებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ რა მიზეზია, რომ ქართულ ხრონიკებში ანტიოქელნი საქართველოს მღვდელთ-მთავარნი კი არიან მოხსენებულნი და სომხითისანი კი არა, გარდა ერთისა? ამასთანავე სომხური წყაროები ნამდვილ ფაქტებსაც ეწინაალმდეგებიან. ძველი ქართული და ბერძნული მწერლობა ჰმოწმობს, რომ ქართული ეკლესია წმ. ნინოს დროდამვე ანტიოქიის საპატრიარხოს ექვემდებარებოდა და ვახტანგ გურგასალის მეფობამდე (446—499) კათალიკოსები იმას არა ჰყვანდა. ამ დროდამაც ფარსმან VI მეფობამდე (542—557). იგინი იყვნენ ბერძენთაგანნი ანტიოქიით. ცხადია, რომ სომხური თქმულება ამ შემთხვევაში სცდება: ასეც ფიქრობს თვით განსვენებული ბროსსე; მაგრამ ამასთანავე ის ამტკიცებს, რომ აქ სომხური ისტორიის ქართველობის ნაცვლად საქართველოში დამკვიდრებული სომხობა უნდა იგულისხმებოდესო და იბერიის ნაცვლად გუგარი ანუ ქართლის სომხეთიო, სადაც გარდა ქართველებისა ბლომად სახლობდნენო სომხებიც. არც ეს აზრია შესაწყნარებელი. ერთი ესა, რომ სომხური მწერლობა არა ოდეს სომხებს ქართველებად არ იხსენიებს; მეორე ესა, რომ სომხური ისტორიის თქმულება მეორე კურიონზე, რომელიც ვითომც სომხეთიდამვე იყო 576 წელს მცხეთაში კათალიკოსად დადგენილი და რომელმაც თავის სამწყსოთი ხალკიდონის კრებას მიჰკერძა, უეჭველია ნამდვილ ქართველობას მოიხსენებს და არა საქართველოს სომხობას. ან რა დასაჯერებელია, რომ საქართველოს სომხებს ოდესმე საკუთარი კათალიკოსი ჰყოლოდა! აქ ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ თვით სომხეთის კათალიკოსები გრიგოლ განმანათლებელის დროდამ ვიდრე სომხეთის დაყოფამდე სპარ-

ტნა საცეცხლენი მათნი; დაუწყო ბრძოლა სპარსთა და შეამკვნა ყოველნი ქალე-სიანი. ამისმან მცნობელმან ერისთავმან სპარსთამან (რომელი ერისთობდა რანს და მოვაკანს; ამისვე განსაგებელი იყო ქართლიცა), და ვინაჲდგან სპარსთა მეფე იყო უცალო, ამისთვის ამან შემოიკრიბნა თვის-ქვეშეთნი ადრაბაგანითურთ და მოვიდა მდინარესა ბერდუჯისასა. ხოლო არჩილ მინდობილი ღვთისა სასოებითა ჯუარისათა მიეგება შეკრებული სპითა თვისითა მუნვე და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი; შემდგომად აოტნა სპარსნი და მოსწყვიდნა უმრავლესნი; მერმე შევიდა რანს, მოაოხრა და მოსტყვენა და მოსწვნა ცეცხლითა, ციხეთაგან კიდე, და მოვიდა ალაფითა დიდითა მცხეთას. ხოლო მიერიდგან ვერღარა წინა-აღუდგა ერისთავი რანისა და მარადის აოხრებდა არჩილი რანსა და მოვაკანსა მრავალთა დღეთა და დროთა. შემდგომად ამისა მოესწრა არჩილს ძე თვისი მირდატ და ესე მირდატ იყო მხნე, ახოვანი და შემმართებელი

სებისა და ვიზანტიელებისაგან, იკურთხებოდნენ კესარიაში. არა თუ კათალიკოსები, თვით იმის ეპისკოპოსები ხელ-დასხმას მიიღებდნენ ერთი ნაწილის მხარისათვის ნერსესის შემდეგ იქვე კესარიაში, და მეორისათვის, რომელიც ტიგრისა და ეფრატის შუა მდებარებდა, ანტიოქიაში. შემდეგი ფაქტი გვიჩვენებს, თუ რა-გვარად ყოფილან ამ შემთხვევაში შევიწროებულნი სომხეთის კათალიკოსნი. ნერსესი დიდი მოაკვლევინა მეფე ბაბმა და იმისი მოადგილე ბაბმავე დასო. კესარიის მღვდელთ-მთავართ კრება განრისხდა და ამ კრებამ იმის ნება-ურთველად დადგენილ კათალიკოსს უფლება აჰყარა და აცნობა ბაბს და სომხეთის სამღვდელო დასსა, რომ სომხეთის კათოლიკოსს ეპისკოპოსის ხელ-დასხმის ნება არ ეძლევაო.

ამ გვარადვე ეჭვ ქვეშა გვაქვს სომხური თქმულება ქართულ ანბანზე. ეს თქმულება თავ-და-პირველად გადმოგვცა კურიონმა და იმის სიტყვებს იმეორებენ მოსე ხორენელიცა და შემდეგნი სომხეთის მწერალნიცა. ან რომელი ქართული ან-ბანი უნდა იყოს მესრობისაგან შემოღებული. მხედრული თუ ხუცური? თუ ის არის მხედრული, ჩვენ გვცით, რომ მხედრულის კვალი მე-X—XI საუკუნემდე სრულებით არა ჩანს; არც მანათებზე, არც ძველ შენობაებზე, არც გუჯრებში და ტყავზე ნაწერ წიგნებში. თუ ის უნდა იყოს ხუცური, როგორც ამას ზოგნი მეცნიერნი ამტკიცებენ, ჩვენ მაინც ეჭვნეულობიდამ ვერ გამოვსულვართ. ვარაზ-ბაქარამდე უნდა ჰქონიყო თუ არა ქართველობას საკუთარი ანბანი? თუ არა, რა ანბანს ხმარობდა იგი მიწერ-მოწერაში, წირვა-ლოცვაში და სხ.? თუ ანბანი ჰქონდათ ქართველების მოსაზღვრე ბერძნებს, სირიელებს და სომხებს, უეჭველია, ქართველებსაც უნდა ჰქონიყოთ. რომ მესრობის დრომდე ჩვენში ხუცური ასო-მთავრული ხმარებაში იყო, ეს ცხადია. იგი მე-VI და-VII ს-უკ. გვიჩვენებს ისეთ წარმატებას, რომელიც პალეოგრაფიულის კანონით მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში ეძლევა ყველა ალფავიტს. შესაძლებელი საქმეა, რომ მესრობმა მხოლოდ შეავსო როგორც სომხური ბერძნულიდამ, ქართული ხუცურიც ზოგიერთის ასოებით, რომელნიც იმას აკლდა, მაგ. ხმოანი ესოები, რომელნიც იმ დროს არ იხმარებოდა არა თუ სომხურში, თვით სემიტურ ან-ბანებშიაც. (Langlois, *Collect.*, I, 171—172, 222, 227—228, 238, 293—294; Saint-Martin, *Mém. sur l' Arm.*, I, 10—11; Lebeau, *H. du B—E.*, I, 291; V, 27.—*H. de la G.*, I, 141, n. 4, 193, n. 3.—*Addit. à l' H. de la G.*, 107—125 —*Introd.*, p., XL—XLI.—*Les Ruines d' Ani*, II, 160).

ძლიერი. ამან იწყო შესვლა რანს და მოვაკანს და მრავალ-გზის ტყვენვიდა და აოხრებდა ნიადაგ. ხოლო ჰყვანდა ერისთავსა რანისასა ასული, ქმნული სასწ-შვენიერებითა კეთილი და მოუთხრეს მირდატს კეკლუცობისა მისისათვის. მაშინ მირდატ ეტრფიალა ქალსა მას და განუზრახვიდა დაზავებისათვის რანის ერისთვისა და მოთხოვასა მის ქალისასა ცოლად თვისად და იტყოდა, რამეთუ „უკეთუ აწ ჩვენ ვართ მძლეველნი სპარსთა ზედა, არამედ ოდეს იქმნენ სპარსნი მოცალენი, არღა-რა ძალ-გვიძს წინა-აღდგომად“ (არამედ ამას ყოველსა იტყოდა სიყვარულისათვის ქალისა მის). ხოლო განზრახვასა ამას არჩილ არა ინებებდა; გარნა რა მრავალ-გზის აიძულებდა ძე თვისი, დაჰრთო მანცა ნება და მოითხოვეს ასული ერისთავისა რანისა მის. ამისმან მსმენელმან განიხარა ფრიად და მისცა ზითვითა დიდითა და მირდატ იქორწინა მისთანა სიხარულითა დიდითა და ჰყვეს მშვიდობა და ზავი მტკიცე სიყვარულსა ზედა; ამისთვის მეფემან მისცა მირდატს საერისთვოდ სამშვილდე. ხოლო ამის არჩილისზე გარდაიცვალნენ ეპისკოპოსნი სამნი: იოანე, გრიგორი და ვასილი. ამან დასვა მობიდა; ხოლო ესე მობიდა იყო მოგვი სპარსი და იჩემებდა სარწმუნოებასა; არამედ ფარულად ჰწერდა წიგნთა ბოროტთა, რომელნი შემდგომად ამისა დაჰწვნა ეპისკოპოსმან მისმან. ხოლო ამან არჩილ იმეფა კეთილად დიდითა სარწმუნოებითა და განამრავლნა ეკლესიანი და საეკლესიონი წესნი; შემდგომად გარდაიცვალა 434, ქართულსა 186 წ.[1].

## მეფე მირდატ (434—446).

გამეფდა ძე მისი მირდატ; არამედ ამას არა ესვა ძე, არცა ასული. შემდგომად ვედრებითა ღვთისათა ეშვა ასული ხვარანძე; კვალად შემდგომად ოთხისა წლისა მიეცა ძე ვახტანგ. ამისთვის ჰყვეს ვედრება დიდი და განცხრომა და ევედრნენ ღმერთსა აღზრდისათვის ყრმისა ვახტანგისა. ესე მოითხოვა აღსაზრდელად საურმაგ სპასპეტმან (რამეთუ წესი იყო — მეფეთა ძეთა აღზრდიდნენ დიდებულნი[2] და მისცეს მას. შემდგომად კვალად მეექვსესა წელსა ეშვა

1. ეფესოს კრება ყოვლისა სოფლისა იყო წელსა ქრისტესსა 430 და არჩილის მეფობის წელსა 20. ვახუშტი.

ეფესოს მესამე მსოფლიო კრება იყო 431 წელს. ამ კრებამ აღიარა ნესტორიოსის წინააღმდეგ, რომ ქრისტე იესო არის ღმერთი და კაცი განუყოფელად და ქალწული მარიამ ჭეშმარიტი ღვთის-მშობელი (Lebeau, *H. du B—E.*, VI, 61—63).

2. „რამეთუ წესი იყო-მეფეთა ძეთა აღზრდიდნენ დიდებულნი“. წმ. რაჟდენის ცხოვრებაში... „რომელსაც არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად, რამეთუ წესი იყო მაშინ სპარსთა შორის, ვითარცა ჩვენ ქართველთაცა შორის, რომელსა მამა-მძუძედ უხმობდეს“ (მამ-ცხ., 223). ეს ჩვეულება არა თუ სპარსეთში და ჩვენში, სხვა ქვეყნებშიაც იყო ძველადვე გავრცელებული. ნახე ამაზე I მაკაბ., 6: 5; 11: 40.—გისრამ., 9; 11. საქართველოში, როგორც ვნახავთ, შემდეგ საუკუნოებშიაც გავრცელებული იყო იგი.

ასული მირანდუხტ და მისცეს აღზრდად სპასპეტსა კასპისასა. ხოლო იმეფა მირდატ დიდითა სარწმუნოებითა კეთილად; შემდგომად გარდაიცვალა 446, ქართულსა 188 წ.[1]

## მეფე ვახტანგ გორგასალი[1] (446—499).

მეფედ ჰყვეს ძე მირდატისა ყრმა ვახტანგ წლისა 7; არამედ შეშინდნენ დიდებულნი და დედოფალი სარანდუხტ (ქ-ცხში საგდუხტ) შურის-მიებისაგან რანის ერისთავისა მოოხრებად და განრყვნად ეკლესიათა, ვინაჲდგან სარანდუხტსაცა დაეტევა სჯული და ქრისტიანე იყო; ამისთვის ეზრახა დედოფალი დიდებულთა წარსვლად თვით წინაშე მამისა თვისისა; ხოლო მათ განუზრახეს და წარვიდა; მისრულმან აღმოიყვანა ძუძუნი და შეუვრდა ფერხთა მამისა დაცვისათვის ივერიისა და ეკლესიისათვის და არა მიებად სჯულისა, რამეთუ ჭეშმარიტი ღმერთი არს ქრისტე. შეეწყალა მამასა, უსმინა და მიანიჭა ყოველნი სათხოველნი; არამედ მოგზავნა ცეცხლის-მსახურნი მცხეთას და ეპისკოპოსი მათი ბინაქარ, რათა რომელსა ენებოს ცეცხლის-მსახურება ქართველთა, არა აყენებდნენ თვინიერ იძულებისა: მოვიდნენ ცეცხლის-მსახურნი და დასხდნენ ადგილსა მოგვთასა; ხოლო მოსრული დედოფალი განაგებდა სამეფოსა; არამედ ემკინებოდა ცეცხლის-მსახურნი, უკეთუმცა ვერ მიექცივნეს წარჩინებულნი, გარნა წვრილნი ვინმენი ერნი. მაშინ დედოფალმან მოიყვანა ჭეშმარიტი მღვდელი მიხაილ და დასვა ეპისკოპოსად (რამეთუ მობიდა გარდაცვალებულ იყო)[2]. ესე მიხაილ

1. ვახტანგზე ნახე წმინდა ნინოს ცხოვრება (მ ა მ.-ცხ. გვ. 181) და წმ. რაჟდენის წამების აღწერა (იქვე გვ. 222—227); აგრეთვე სომხური წყაროები: მე-V საუკ: ლაზარ პარბეცი (Langlois, *Collect.*, II, 325—326, 332, 335, 336, 344).; მე-XIII საუკ. მხიტარ აირივანქელი (*Mém. de l' Acad.*, VII sèrie, t. XI, p. 69) და ვარდან დიდი, (*Всеобщая исторія*, Москва, 1861, стр. 116). მხიტარ აირივანქელი და ვარდან დიდი უწოდებენ ვახტანგს გურგ-ასლანად (ფარსულ ენაზე გ უ რ გ ნიშნავს მგელსა და ა ს ლ ა ნ ლომსა. იქვე *Примѣчаніе* 435). აგრეთვე ამ საგანზე *H. de la G.*, I, n. 2). ქართული ფორმა ამ სახელ-წოდებისა არის გურგასალიც და გურგ-ასლანიც. ნუმიზმატი ბარათაევი ამ ვახტანგს მიაწერს ძველ ვერცხლის ფულს **ႵႩႢ** მონოგრამით და სასანიდების დროის ცეცხლის-სამსახურო ემბლემით. სხვა ნუმიზმატებისაგან ეს აზრი აქამდისინ მიღებული იყო, ახლა კი აღარა (*Mél. Asiat.*, IV, 163, 164, 170).

2. ხალკიდონური კრება ყოვლისა სოფლისა იყო წელსა 451, ხოლო ვახტანგის მეფობის წელსა 5. ვახუშტი.

ხალკიდონის მეოთხე მსოფლიო კრება, რომელიც გახსნა იმპერატორმა მარკიანმა და რომელმაც უარ-ჰყო ევტიხის მწვალებლობა. (Lebeau, *H. du B.—E*, VI, 318—325). ამ კრებისგამო დაჰშორდნენ ერთმანერთსა, როგორც შემდეგ ვნახავთ, ქართული და სომხური ეკლესიები.

აღუდგა ბინაქარს მხნედ და ასწავებდა ერთა ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ქრისტიანობისასა და მოძღვრიდა ვახტანგს საღმრთოს წერილით. ხოლო ვახტანგ ისწავებდა გულს-მოდგინედ ყოველსავე[1]. შემდგომად იქმნა რა ვახტანგ წლისა 10, გარდამოვიდნენ ოვსნი ქართლს და მოსტყვენეს, ციხე-ქალაქთაგან კიდე, და შემუსრეს კასპი და გამოიყვანეს დაჲ მეფისა მირანდუხტ, წარვლეს რანი და მოვაკანი, მოსტყვენნეს და განვლეს დარუბანდი, რამეთუ გზა სცეს დარუბანდელთა და მივიდნენ ოვსეთს მშვიდობით. კვალად მოვზავნა ბერძენთა მეფემან მარკიანე სპანი და მიიხვნა ეგრისის ციხე-გოჯამდე ზღვის კიდენი. მაშინ იყო ურვა დიდი ივერიასა შინა, ვინაჲდგან მისტაცნეს საზღვარნი მათნი და არა ჰყვათ წინა-მძღვარი, რათა ირგონ რაჲმე. ხოლო ვახტანგ იყო სწავლის მოსწრაფე ფრიად სამღთო-სამხედროთა; არამედ რა იქმნა წლისა 13, მოუწოდა დიდებულთა და დაჯდა ტახტსა ზედა და იწყო სიტყვად: „ეჰა, დიდებულნო, მოიწია ჩვენ ზედა მწუხარება ძლიერი, რამეთუ მიგვიხვნეს ჩვენ საზღვარნი ჩვენნი და გვერივნეს მტერნი ცოდვათა ჩვენთათვის, ვინაჲდგან ვსცოდეთ წინაშე ღვთისა და არა დავიცვენით მცნებანი მისნი; გარნა გვწვართა, ვითარცა მამამან მე. აწ მიიღეთ ნიჭი ჩემ მიერ უმეტესი მამა-პაპათა ჩემთა და ვიძიოთ შური ოვსთა ზედა, რამეთუ მაქვს სასოება ჯვარ-ცმულისა ძლევანებითა ჯვარისათა, რომელ მძლენი ვიქმნეთ მტერთა ჩვენთა." მაშინ აღდგა შორის ჯუანშერ სპასპეტი და თქვა: „მეფეო! ცოდვათა ჩვენ თჳსთაჲთვის იქმნა ჭირნი ესე, რამეთუ გარდავსცდით გზათა მისთა; არამედ გვაქვს სასოება ღვთისა მიმართ, რომელ მოგვცა მეფე ეგრეთი, ვითარი შენ და ვსძლოთ წინა-აღმდგომთა ჩვენთა; გარნა თუმცა ხარ სრული ყოვლითავე, გარნა ჯერეთ ხარ ასაკითა უსრული. აწ გამოირჩიე წარჩინებულთა შენთაგანი და დაგვამოვნე ჩვენ ყოველნი მას; წარგვგზავნე და ვსძლოთ მტერთა წინა-ძღოლითა ჯვარისათა და უკეთუ ვიძლივნეთ, შენ უვნებელად ჰგო, რამეთუ არა არს ნაცვალი შენი ყოველი ყოფილი". და დაუმტკიცებდნენ ყოველნი დიდებულნი ჯუანშერის განზრახვასა; არამედ მეფე ეტყოდა: „მადლიერ ვარ ერთგულობისათვის, რომელი შეგჭირსთ ჩვენთვის;

1. „ამ მიხაილს სწერენ ქართლის ეკლესიის მემატიანენი კათალიკოსად. ამ მიხაილს მიუწერა პეტროს მკაწვრელმან, ოდეს შეჰრია სომხითი ხაჩე ჯვარს, რომელ არს სამწმინდაობასა შინა, რომელი ჯვარს-ეცვა ჩვენთვის, რათა იქმნეს მისთანა აღმსარებელი წვალებისა მისისა. ხოლო მიხაილ წარვიდა და წარიყვანნა რაოდენნიმე ეპისკოპოსნი თვისთანა და მოგზაურმან იხილა ჩვენება, რათა აღირონ ქვები უბით ყოველთა და ჰყვეს ეგრეთ. ხოლო მოვიდა რა მიხაილ, იხილა პეტროს, რომელსა შეექმნა ხარისხი და მუნით გარდმეტევა სახელე, რათა თაყვანი-სცენ ყოველთა და ჰგონა აწცა მიხაილისაგან ეგრეთ თაყვანის-ცემაჲ; არამედ მიხაილ მოზიდნა სახელესა და გარდმოაგდო ხარისხიდამ პეტროს და დაჰკრიბნა ქვანი და მისთანათა მათ ყოველთა და მოკლა პეტროს; ხოლო მიხაილ წარმოვიდა მშვიდობით, რამეთუ ვერავინ ავნო რაჲმე ამისთვის და მოვიდა მცხეთას; ხოლო მიერითგან იქმნა ქართველთა და სომეხთა შორის ცილება სარწმუნოებისათვის და განყრილება სჯულითა". ვახუშტი.

ამ პეტროსზე ნახე ბროსსეს შენიშვნა *H. de la G.*, I, 191, n. 1.

გარნა მე თვით მნებავს წარსვლად არა ძალითა ჩემითა, არამედ ჯვარ-ცმულისათა“. მსმენელთა ყოველთა შეუძნდათ და უარ-უთქმიდნენ; გარნა შემდგომად იძულებისათვის მეფისა დაუმტკიცეს მათცა და ბრძანა კმაზვად ლაშქართა და აცნობა დედის ძმასა თვისსა. ხოლო მან განისარა და წარმოუვლინა 12,000 მხედარნი მწედ; მაშინ შემოკრბნენ სპანი ვახტანგისნი მუხრანს და ხერკს და იყო მხედარი 100,000 და მკვირცხლი[1] 60,000. წარემართა მეფე და დაუტევა ანდერძი წერილითა: „თუმცა მოვკვდე, შეირთოს დაჲ ჩემი ხვარანძე[2] მირიან ცოლად და იგი იქმნეს მეფედ“, (რომელი იყო რევისაგან ვახტანგის მამის ძმის-წული). თვით მოვიდა თიანეთს სპითა 142,000 და მუნ მოერთვნეს მეფენი კავკასთანი მხედრითა 40,000. მუნით წარვიდა, განვლო დარიელა[3] და დაიბანაკა კიდესა არაგვისასა ქორონიკონსა 454, ქართულსა 206. ამის მცნობელთა ოვსთა მოირთეს ძალი ხაზართა, მოვიდნენ სპითა და დაიბანაკეს იმიერ კიდესა არაგვისასა და დადგნენ შვიდ დღე კრძალულნი ტალითა[4]; არამედ იყო ბუნბერაზთა ბრძოლანი, ზოგჯერ ამათ აჯობიან და ზოგჯერ იმათ. ხოლო იყო ხაზართა ბუნბერაზი თარხან[5] სახელით. ესე გამოვიდა და ითხოვდა მებრძოლსა ვახტანგის სპისაგან უძლიერესსა. ხოლო იყო სპათა შინა რანისათა გოლიათი ფარსმან ფარუხ, რომელსა მრავალი გოლიათი მოეკლა და ლომსა ხელითა შეეპყრობა. ესე განვიდა, ეკვეთნენ და იბრძოლეს ძლიერად, არამედ ხაზარმან უსეთქა ჩაბალახსა ხრმლითა და განუპო თავი ბეჭამდე და მოკვდა რანელი. მაშინ დაჭმუნდნენ სპანი ვახტანგისნი, რამეთუ არღარავინ იყო მსგავსი მისი; ხოლო დღესა მეორესა კვალად გამოვიდა თარხან და იგივე სიტყვა სთქვა; არამედ სპათა ვახტანგისაგანთა ვერავინ იკადრა განსვლად; მიმოიხილვიდა ვახტანგ და ვერღა-რავინ იხილა განსვლად და თვით განვიდა. მაშინ აყენებდნენ დიდებულნი საყრმისათვის და ევედრებოდნენ; გარნა იგი ეტყოდა: „არა ძალითა ჩემითა განვალ, არამედ ძალითა ჯვარ-ცმულისათა

1. „მხედარი არს ცხენოსანი, ხოლო მკვირცხლი ქვეითი“. დ. რექტორი.

2. სამ ვარიანტშია ჩიხვარანძე.

3. დ ა რ ი ე ლ ა არის ახალი ფორმა; ძველი ფორმა, რომელიც ძველს ჩვენს მწერლობაში შეგვხვდება, არის დ ა რ ი ა ლ ა ნ ი, ხან კი დ ა რ ღ ა ლ ა ნ ი, შეცდომით გავრცელებული, რადგანაც ხუცური ი და ღ ერთი მეორეს მიემსგავსებიან: ღ ი მაგიერ უხმარიათ. ნახე ბროსსეს ფილოლოგიური და ისტორიული შენიშვნა *H. de la G.*, I, 154, n. 2.

4. „ტალა არს ყარაული“. დ. რექტორი.

5. თ ა რ ხ ა ნ ი იხმარება ძველადვე და, სენ-მარტენის გამოკვლევით, არის თურქული სიტყვა, რომელსაც ხმარობაში ჰოულობენ თვით მე-VI საუკ. ეს სიტყვა შემოტანილია თავდა-პირველად სელჯუკებისაგან მე-XI საუკ. სპარსეთში თარხნის მნიშვნელობაა „მოღვაწეობით განვითარებული და ხარჯისა და დამოკიდებულობისაგან განთავისუფლებული“. ამ სიტყვას ხმარობენ ვიზანტიელებიც და მადიარებიც ანუ (ვენგრნი S-Martin, *Mém. sur l' Arm.*, II, 254—255. ნახე აგრეთვე Hammer., *H. de l' Empire ottom.*, II, 29).

განვალ; იძლიოს ჩემმიერ." ხოლო მეფემან ჩაულო კიდური და ეკვეთნენ ფიცხელად; გარნა პირველსავე მისვლასა სცა ოროლი ვახტანგ თარხანს სარტყელსა ზედა და განვლო იქით, ჩამოაგდო და მოკვდა; გარდახდა ცხენისაგან მეფე თაყვანი-სცა ღმრთისა, მერმე მოჰკვეთა თავი და მოვიდა სპათა თვისთათანა. ხოლო მეორესა დღესა გამოვიდა სხვა უმეტეს გოლიათი მასს, სახელით ბაყათარ[1] ოვსი, რომლისა შვილდისა სიგრძე 12 მტკაველი და ისარი ნაივლა: „ვახტანგ! ნუ განლაღდები, რამეთუ არა ერთი თარხან გოლიათთა შინა; აწ უკეთუ გამოხვიდე, მოგხვდეს ჩემმიერ ნაკრავი ფიცხელი; ხოლო უკეთუ არა, სხვა ვინმე გამოვიდეს სპათა შენთაგანი." მაშინ ვახტანგ ჰასუხუგო მქუხარედ და განვიდა და გამოიწვია ოვსი მდინარისა მიერ კიდესა: „რამეთუ ხარ მონა და მე მეფე, ამისთვის არა გამოვიდე; არამედ გამოვედ შენ". ესმინა ბაყათარ და გამოვიდა კადნიერად და დაასხნეს ისარნი; არამედ მეფე აცთუნებდა სიფიცხითა ცხენისათა და სიკისკისითა თვისითა და მიუახლოვდებოდა ბაყათარს, ჰკრა ისარი ბაყათარ ცხენსა ვახტანგისსა მკერდსა და განვლო იქით; არამედ ვახტანგ მყის სიფიცხითა ცხენისათა მიუხდა, ჰკრა ხრმალი ბაყათარს მხარსა და ჩაჰკვეთა გულამდე და მოკლა; ხოლო აღვიდა ცხენსა მისსა და არღა-რა გარე-შემოიქცა, არამედ აღუზახნა სპათა თვისთა; მიეტევნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი, რამეთუ დაასხეს ოვსთა ისარი კმოდიდამ. მაშინ მეფე ემახოდა ზურგით კერძო სპათა თვისთა და მხნედ ჰყოვდა; ხოლო აღვიდნენ რა კელსა ზედა, ესასტიკესად ეკვეთნენ; შემდგომად იძლივნენ ოვსნი და ხაზარნი; ძლეულთა მოსწყვედდნენ და მოსვრიდნენ ურიცხვთა; მერმე შემოვიდა ვახტანგ ოვსეთს, შემუსრნა ციხე-ქალაქნი, მოსტყვევნა და მოაოხრა. კვალად მოსტყვევნა პაჭანიგნი[2] და ჯიქეთნი და მოადგა კვალად ოვსეთსავე. მაშინ ტყვე-ჰყვნა ოვსნი 760,000 და დისა თვისისათვის მისცა 30,000 და უკ-მოხსნისათვის ქართველთა ტყვეთა მისცა 36,000 და მძევალთათვის მისცა 30,000 და ნეშტნი წარმოგზავნნა ქართლს და სპანიცა რანისანი შოებულნი; ხოლო თვით დაეზავა ოვსთა. ესრედ წარმოვიდა და შემოვლო კავკასი და მოვიდა აფხაზეთს და წარიღო ბერძენთა აფხაზეთი და ეგრისის მასმული ციხე-გოჯამდე სამ წელ ოდენ ციხეებითურთ; შემდგომად მოვიდა მცხეთას გამარჯვებული ქრისტეს აქეთ 458, ქართულსა 210; ხოლო წარსცა არმაღანად

1. ამ ბაყათარზე იტყვიან, ვითომც იგი ეკუთნოდეს ქარხილანის გვარს და ვითომც იმის თავ-გადასავალს იხსენიებდეს წარწერა ნარის ეკლესიისა კასარის ხეობაში ოსეთში (*H. de la G.*, I, 158, n. 3). ნარის ეკლესია ჩვენ თვითონ გვინახავს. ეკლესია არის პატარა, მხატრობიანი და თუმცა, როგორც ჩანს, ძველთაგანია, მაგრამ არავითარი წარწერა იმ გვარი, რომელსაც უჩვენებენ, არა ჩანს სრულებით.

2. „პაჭანიგნი არს ჯიქეთს იქით ზღვის პირით ყირიმამდე, ხოლო ჯიქეთი აფხაზეთის იქით კავკასიის პირი და აწ უწოდებენ აფხაზეთს იქით ზღვამდე". ვახუშტი.

პაჭანიკებზე ნახე შენიშვნა ბროსესი *H. de la G.*, I, 157, n. 5.

დედის-ძმასა თჳსსა მონანი და სასხედარნი ცხენნი და სრდალი ცხენნი ათას-ათასნი და სპარსთა მეფესა მონანი და სასხედარნი ცხენნი და სრდალნი ცხენნი ათი-ათასნი ხელითა ბინაქარ ეპისკოპოსისა მათისათა და მოითხოვა ასული მისი ცოლად, ამისთჳს, რამეთუ საზღვარი ქართლისა ეპყრათ ბერძენთა; ხოლო სპარსთა მეფემან სიხარულით მისცა ასული თჳსი ცოლად, სომხითი და კავკასთა მეფენი ზითვად და მოუწერა ბრძოლა ბერძენთა. მაშინ ქმნა ვახტანგ ქორწილი ჯეროვანი. შემდგომად მოუწოდა სპათა თჳსთა და შემოკრბნეს 20,000 ვახტანგისნი; კვალად მოერთო დედის-ძმა თჳსი ვარაზ-ბაკურ 20,000 სპითა; არამედ ოდეს შევიდა ვახტანგ საბერძნეთს, იყო წლისა 20, რომელი ირემსა ქვევითი შეიპყრობდა და შეჭურვილი შეჭურვილსა ცხენსა აღიყვანდის მხრითა თჳსითა მცხეთიდამ არმაზს. ხოლო წარვიდა საბერძნეთს ქორ. 460, ქართულსა 212; განვლო გზა სომხითისა და მუნ მოერთვნეს ერისთავნი სომხითისანი და მუნით მოადგა კარნუ-ქალაქსა, არამედ ვერ დაიპყრეს და მოუდგინნეს ერისთავნი ორნი 30,000 კაცითა და თჳთ წარსრულნი მოადგნეს პონტოს ქალაქსა ოთხ-თჳე; არამედ მარბიელმან მიუწოდის კოსტანტინეპოლედ. ხოლო სპანი მარბიელნი ჰკლვიდნეს ყოველთა ეკლესიის მსახურთა. ესე იხილა რა ვახტანგ, შეუძნდა კლვანი შურითა სამღთოთა და ამცნო ყოველთა სპათა, რომელნი იყვნეს მის თანა არა-ჯერ ყოფად ესე ვითარნი კლვანი და წარმოუთხრა მოწმობა მისა ღვთისა ნებროთის წიგნისაგან [1], რომელი წინარე ვსთქვით და ვლტოლვა ხოსრო მეფისა და მირიანისა საბერძნეთიდამ და საქმე-

1. ნ ე ბ რ ო თ ი ს  წ ი გ ნ ი მოხსენებულია მირიანის ცხოვრებაშიაც. (ქ-ცხბა, I, 84, 123). ამბობენ, ვითომც ეს წიგნი მოიპოებოდეს აქამომდე საქართველოში: აღმოჩნდება თუ არა არ ვიცით; მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ, ჩვენის მოაზრებით, ნებროთის წიგნად უნდა იწოდებოდეს ანუ „ადამის ცხოვრება“, ანუ „ენოქის წიგნი“, რომელნიც შეიცავდნენ რაბბინების გარდამოცემას ადამისა და იმის შემდეგის დროზე და რომელნიც გავრცელებულნი იყვნენ ძველადვე სირიაშიაც, სომხეთშიაც და ვიზანტიაშიაც და რომელნიც შემოაქვთ მიხეილ სირიელს და მხიტარ აირივანქელს თავიანთ ქრონიკებში (Langlois, *Chronique de Michel le Grand*, 22—43.—*Mél. Asiat.*, V, 330—331.—*Ruines d' Ani*, II, 22). სრული ცნობები ამ საგანზე ნახე ლანგლუასაგან ჩართულს მიხეილ სირიელის ისტორიის შენიშვნებში.

თუ შესაწყნარებელია ის საბუთები, რომლებზედაც მე ვაფუძნებ ჩემ სტატიას: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“, რომ ქ-ცხბა ძველადვეა შედგენილი და რომელთაც მგონია ამ ვახუშტის ისტორიის შენიშვნებიც უჩვენებენ, მაშ შესაძლებელი უნდა იყოს, რომ თუ მირიანის დროს არა, ვახტანგის დროს მაინც ნამდვილად გვქონდა უცხო ენიდამ ნათარგმნი წიგნები; რომ ჩვენი მატიანეს გარდამოცემა, რომ საგდუხტს, მეუღლეს მირდატ მეფისას (410—434) (ქ-ცხბა, 110) უთარგმნეს სახარება; რომ ფარსმან მე-VI (542—557) „მისცა ევაგრეს სახარება, ფრიად შვენიერად შემკობილი სანატრელისა მეფის ვახტანგის მიერ“ (მ ა მ.-ც ხ., 40) არ არის უარ-საყოფელი გარდამოცემა. ამ აზრის დასამტკიცებლად შემდეგ ფაქტებსაც გიჩვენებთ: ჩვენ ახლა ხელში გვაქვს ერთი ძველად-ძველი ვარიანტი სახარებისა ანუ ოთხ-თავისა, ხუთიოდე

ნი ტირდატისა და გრიგორი პართაველისა და საქმე ივლიანე და ივბიანესი, რამეთუ მიზეზითა ესე ვითარითა იქმნეს ყოველნი. ამისთვის უბრძანა მოწესენი ეკლესიისანი არღარა კულად და განტევებად ტყუეთაცა, და განთავისუფლებად მეეკლესიეთა; ხოლო იქმნებოდა რა ესრეთ, გამოვიდნენ პონტოს ქალაქიდამ ყოველნი მოწესენი და მათ თანა ორნი კაცნი: მონაზონი სამოელ და მღვდელი პეტრე მადლობად მეფისა. ხოლო მან იწვივნა იგინი სერსა ზედა, შემდგომად იდუმალ ეტყოდა: „სთნდეს თუ ღმერთსა საქმე ესე, რომელი ვყავ? და ამათ ასწავეს სათნო-ყოფად ღვთისა; მაშინ მათ აღუთქვეს; განვიდნეს რა, მლოცველსა ვახტანგს მიერულა, მოვიდა ნინა და ეტყოდა ვახტანგს: „წარმოვედ, რამეთუ ორნი მეფენი ზეცისა და ქუეყანისანი მოვლენან შენდა". მისრულმან იხილნა ორნი საყდარნი, ერთსა ზედა მჯდომარე ჭაბუკი შეჭურვილი გვირგვინოსანი და მეორესა მოხუცებული ზეწრითა სპეტაკითა და გვირგვინითა ნათლისათა და ფერხთა მისთა ნინა მჯდომარე. ხოლო ეპყრათ ხელნი ვახტანგისანი პეტრე მღვდელსა და სამოელ მონაზონსა, რომელნი ეტყოდნენ: „შეუვრდი დიდსა მთავარსა ზეცისასა გრიგორის" და თაყვანი-სცა ვახტანგ; მოუგო გრიგორიმ: „რაჲ ჰქმენ, ბოროტო, რამეთუ მოაოხრე შეჭმად სამწყსო ჩემი მხეცთაგან? უკეთუ ეგენი, რომელნი დგანან და ნინა, რომელი მარადის იღვწის წინაშე ღვთისა თქვენთვის, არა იყვნენ აქა, შური მეგომცა, ვითარცა მამათა შენთა, რომელნი მსახურობდნეს ცეცხლთა და არა ღმერთსა". მისცა ხელი და ამბორს-უყო ვახტანგ; კვალად მოსცა გვირგვინი და ჰრქვა: „დაარქვი პეტრეს;" მეორე უდარესი მოსცა პეტრეს და ჰრქვა: „დაადგი სამოელს". მერმე ჰრქვა ნინამ ვახტანგს: „აწ მივედ მეფისა და მიიღე ნიჭი შენი". მისრულსა ამბორს-უყო და დაისვა საყდარსა თვისსა, მისცა ბეჭედი ხელისა თვისისა, და ჰრქუა: „თუ გნებავს გვირგვინი, აღუთქვი, რათა ბრძო მტერთა მისთა". მიჰხედა ვახტანგ და იხილა ჯვარი და ფრთესა მისსა გვირგვინი; არამედ სილვითა ჯვარისათა შემრწუნდა ვახტანგ; მაშინ აღდგა ნინა და მიჰხედა პეტრეს და სამოელს და ერთითა პირითა რავს-მდეგ ექმნენ ვახტანგს. მაშინ

წლის წინად ქსნის ხეობის ნანგრევ ეკლესიაში ნაპოვნი, რომელიც, როგორც პალეოგრაფიით, აგრეთვე შინა-არსით სრულიად განსხვავებულია მე-VII საუკ. ვარიანტშიაც და მე-XI საუკუნის ვარიანტშიაც. გარდა ამისა ჩვენ გვინახავს მე-IX საუკუნის ტყავზე ნაწერი წიგნები, რომელნიც შეიცავენ მრავალს წმინდა მამათ სწავლა-ქადაგებაებს და სხვა და სხვა ტრაქტატებს და იმათმა კითხვამ ჩვენ ჩვენის მხრივ დაგვარწმუნა პირველად იმაში, რომ თუ იმ დროს მწიგნობრობის ენა ისე იყო განვითარებული, როგორც ვპოულობთ, მაშ ცხადია, იმას რამდენიმე საუკუნე უვარჯიშნია; მეორეთაც იმაში, რომ მაშინ არათუ სახარება, თვით ბიბლიაც გადათარგმნილი ყოფილა. ან რა საფიქრებელია, რომ მე-VIII—IX საუკ. მსოფლიო მამათ სწავლა-ქადაგებანი თარგმნილნი ყოფილიყვნენ და დაბადება და სახარება კი არა? ამ საგანზე აქ იმისთვის შევდეგით, რომ არიან პირნი, რომელთაც არა სჯერათ, რომ ქართული მატიანე ქართულ ენაზე ჩვენ მე-XII საუკუნეზე ადრე გვქონიყო და რომ თვით სახარება არ იყოს პირველად ნათარგმნი მე-XI საუკუნეში გიორგი მთაწმინდელისაგან.

კეისარმან მოიღო გვირგვინი ჯვარისაგან და დაადგა ვახტანგს და წარმოვიდნენ. ხოლო გრიგორიმ სამ-გზის ხმა-ყო ვახტანგს სახელით და ჰრქვა: „უმეტეს მორწმუნე იყო ყოველთა ნათესავთა შენთა და შენგან აღშენდნენ ეკლესიანი და განიწესნენ ეპისკოპოსნი და მთავარი მათი და მიიღო-ცა გვირგვინი მოწამეობისა". ხოლო ვახტანგ მიეხსავე შინა მოუწოდა პეტრეს და სამოელს და მიუთხრა ჩვენება ესე და ისანი აღუხსნიდნენ ესრეთ: „მოხუცებული იგი იყო გრიგორი პატრიარხი, რომელმან მომცა გვირგვინი, მომცა ეპისკოპოსთა მთავრობა და მე, რომელი მე ვეც სამოელს, ჩემ მიერ იქმნას იგი ეპისკოპოს; ხოლო ჭურვილი, რომელი იყო დიდი კონსტანტინე, და ბეჭედი ასული კეისრისა, რომელმან მოგცეს ასული და ყოველნი საზღვარნი ქართლისანი; ხოლო გვირგვინი ჯვარისაგან ვრცელი ღვაწლი აღასრულო და სამ-გზის ხმობა-სამნი ნიშნი არიან შენდა ღვთისაგან, რათა შენ მიერ დაემტკიცოს ჭეშმარიტება საქართველოსა შენსა კათალიკოს-ეპისკოპოსობითა და სძლევდე მტერთა შენთა და არა შეჰკვარდე ხელთა შენსა მტერთასა; ხოლო აღსასრულსა შენსა გვირგვინი მოწამეობისა მიიღო". და ვითარ დილისად განითენისა მეფემან, მოუწოდა პეტრეს და სამოელს და მათ მიუთხრეს ჩვენება იგი ყოველი თვინიერ ვახტანგის თქმისა; ამისთვის დაირწმუნა მეფემან და წარგზავნა იგინი წინაშე კეისრისა მშვიდობისათვის. ამისმან მსმენელმან კეისარმან განიხარა ფრიად და სთნდა, არამედ პირველვე წარმოავლინა სპანი და მათ შორის სპასპეტი პოლიკარპოს ძლიერი კეისრისა. ამისთვის მიზეზ-ჰყო ვახტანგ სპარსთა თანა მოსვლა ბერძენთა და დაივარულისა მშვიდობისათვის და უკ-მოეცალა პონტოს ხუთის დღისა სავალსა. მაშინ მოვიდა ზღვიდამ პოლიკარპოს; ხოლო მეფესა არა ენება ბრძოლა წარჩინებულთათვის კეისრისა თანა; არამედ განწყურა ერისთავი რანისა და აგინებდა ჯვარ-ცმულსა და ეტყოდა მეფესა: „გძლია მამის-დედეულმან შენმან, რომელი იყო ბერძენი და მით არა გნებავს ბრძოლა". ხოლო მეფემან მიუგო: „აჰა შენ და ბერძენნი და იხილო ძალი ჯვარ-ცმულისა". მაშინ იქმნა ბერძენთა და სპარსთა შორის ბრძოლა ძლიერი და იძლივნენ სპარსნი და თვით პოლიკარპოსმა მოკლა ერისთავი რანისა და მოსწყვიდნა სპანი მისნი; არამედ არცა ჰრიდა მეფესა და მოვიდა მას ზედაცა, ამისთვის მეფემან მოაღებინა ჯვარი, რათა აიყვანოს სპანი ყოველნი, რომელსაცა არა თაყვანი-სცა ბარუს მოკაგანელმან მთავარმან და მოკლა იგი ჯვანშერ სპასპეტმან წინაშე ჯვარისა. ამის მხილველთა ყოველთა თაყვანი-სცეს; არამედ მოგინებით მოვიდოდა პოლიკარპოს და არა დაიყოვნა მხილველმან ჯვარისამან. ესე იხილა მეფემან, ჰრქვა სპათა თვისთა: „ვინ არს მბრძოლი ამისი"? და ვერ ვინ იკადრა განსვლად. მხილველმან მეფემან შეასხა ჯვარსა მახვილი თვისი და განვიდა და წამსვე იკვეთნენ სასტიკად; პოლიკარპოს სცა ოროლი ფარსა ვიგრისა [1] მე-

1. ფარი ვიგრის ტყავისა. ნახე ზემოთ გვ. 16: შენიშვნა პირველი.

ფისა და განვიდა იქით წყრთა ერთი; მიუხდა ვახტანგ, უხეთქა თავსა ხრმლითა და განუპო ორად და ნასხვარი თავისა მოიღო წინაშე ჯვარისა; მეისვე იძლივნენ ბერძენნი და მოსწყვიდნეს, თვინიერ რომელნი განერინენ ზღვისა ნავებითა. შემდგომად ამისა განუტევნა მეფემან ტყვენი 780,000 ბერძენნი სპათა თვისთაგან და წარავლინნა ნასრე ერისთავი თვისი წინაშე კეისრისა, რათა იხილონ ურთიერთნი, ანუ განაგოს საქმენი მათნი მუნითგან, რამეთუ მოსრულ იყო კეისარიცა პონტოს. მაშინ კეისარი ნავებით გამოვიდა ზღვის კიდესა და ვახტანგცა მივიდა მუნ. ჰყვეს აღთქმა და იმზახლნენ, რამეთუ მისცა ლევანმან ასული თვისი (ელენე) ცოლად[1] ვახტანგს (რამეთუ მომკვდარიყო დროთა ამათ ცოლი ვახტანგისა ასული სპარსთა მეფისა შობასა ზედა ყრმისა დაჩისასა. კვალად აღუთქვა კეისარმან მოცემა კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა და უკ-მოსცა კლარჯეთიცა, არამედ ეგრის წყალს-იქითი მიუღო კეისარმან ბერძენთა საზღვრებისათვის, რომელი წარეღო ვახტანგს მკლავითა და აღუთქვა ფიცით, ოდეს წარიყვანო ასული ჩემი, მივცე მას ზითვად. მერმე უძღვნეს ურთიერთს ურიცხვნი და წარვიდა კეისარი; ხოლო ვახტანგ განუტევა უვნოდ და თვით წარმოვლო გზა კლარჯეთისა და მოვიდა მცხეთას; არამედ ვერღარა მოიცალა მოყვანებად ცოლისა, რამეთუ მოელოდა სპარსთა და ამაგრებდა ციხე-ქალაქთა; ამისთვის განასხნა ცეცხლის მსახურნი და ეპისკოპოსი მათი ბინაქარ შეაგდო საპყრობილესა; ხოლო დასვა სხვა ჭეშმარიტი ეპისკოპოსი ღირსი მიხაილ. შემდგომად სამისა წლისა წარმოემართა სპარსთა მეფე, რამეთუ მოკვდა ხუასრო და დაჯდა ძე მისი[2]. ამისმან მცნობმან ვახტანგ წარუვლინა კეისარსა მაცნე: „აჰა, რომელი აღგითქვი, მოსრულან სპარსნი სიმარჯვესა; მოვედ და მოვსრნეთ ყოველნი". ხოლო მოვიდა სპარსთა მეფე სპითა 300,000 და დაიბანაკა ცხენის-ტერფს ჩალმა 464 წ., ქართულსა 216; არამედ ვახტანგის სპათა მხედართა 100,000 და მკვირცხლთა 100,000 დაებანაკა დიღმიდგანვე ქართლის კარამდე. და იყო მათ შორის ბრძოლა მარადის ოთხ თვე და ბუმბერაზთა კვეთებანი:

1. „ლეონ კეისარი ბერძენთა იყო ჟამსა ამას". ვახუშტი.

ლეონ I მეფობდა მარკიანის შემდეგ 457—474 წლამდე (Sabatier, *Description générale des monnaies byzantines.* Paris. 1862, p. 2, 129—130.—Lebeau, *H. du B—E.*, II, 390—462; VII, 6—56). ისტორია იხსენიებს მხოლოდ ორ ქალს ლეონისას, არიადნას და ლეონტიას: პირველი ჰყვანდა ცოლად ზენონსა, რომელიც შემდეგ ლეონ II-სა მეფობდა (474—476 წ.); მეორე მარკიანს ლეონ II-ს თანა-მმართველს იმპერიისას. ელენეს არსად ვპოულობთ (*Descr. des mon. byz.*, 2.—*H. du B.—E.*, VI, 422.—*H. de la G.*, 193 n. 1).

2. აქ, ჩვენის მოაზრებით, უნდა იგულისხმებოდეს ფეროზის შვილი კობადი, რომელიც სპარსეთის ტახტზე იჯდა 491—531 წ. და რომელმაც მართლადაც დაიმონავა საქართველო იმპერატორის ანასტასის დროს (491—518 წ.), როგორც ამტკიცებენ, 502 წელს და ვახტანგი განდევნილ იქნა მთებში (Langlès, *Notice chron...* 178.—Lebeau, *H. du B—E.* VII, 284—295).

ზოგჯერ მათ სძლიან და ზოგჯერ ამათ. არამედ ვახტანგს შექმნა მუზარად-
სა ზედა წინ მგელი და უკანით ლომი გამოქნილი და სითაც იყვის ბრძოლა
ძლიერი, მიუხდის ვახტანგ და დაიმარჯვის; ამისთვის სპარსნი უყიოდენ ურთიე-
რთს: „მირიდეთ გორგ-ასლანს" (რომელი მგელ-ლომად ითარგმნის) და მა-
ერიდგან იწოდა გორგ-ასლან. დროთა ამათ შეიპყრეს ვახტანგის ცოლის მა-
მა-მძუძე რაჟდენ, რომელმან მოკლნა მრავალნი გოლიათნი და მხნედ იბრძოდა;
ამას აიძულებდენ უარის-ყოფად ქრისტესსა, ვინაჲდგან მოქცეულიყო ცეცხლის-
მსახურებისაგან; ხოლო მან არა უარ-ჰყო ქრისტე და იწამა მათ მიერ ქრის-
ტესთვის[1]. შემდგომად მოიწია კეისრის დესპანი და მოუთხრა: „მე შევქმეც
წყობასა საზართასა[2]; ხოლო შენდა წარმომივლენია ლეონ პატრიკი 80,000 მხე-
დრითა და თუ ჰინებს სხვანიცა, აქა ყოველი აღმოსავლეთი წინაშე შენსა".
ამისმან მცნობმან სპარსთა მეფემან ისმია მცბიერობა და მოუთხრა ვახტანგს:
„არიან თუ ღმერთნი ჩვენნი, ღმერთნი ეწივნენ ნავთა თქვისთა; ხოლო ჩვენ

1. ამ საგანზე ნახე მ.-ცხ. შიომღვ., 222—227 და *H. de la G.*, II. 10.—
„რაჟდენ, მამ-ცხოვრების თქმით, რომელი ჩვენთა ამათ და ქართველთა შორის გამო-
ბრწყინვებულთა მოწამეთა დასაბამ იქმნა და პირველად ამან დასთხია სისხლი ჟამთა-
დიდისა ვახტანგისათა, იყო, ვითარცა ძველნი მატიანენი გვაუწყებენ, ნათესავით სპარსი
დიდთა დიდებულთა მთავართაგანი და სჯულით ცეცხლის-მოსავ და მსახურ მზისა და
მთვარისა, რომელსაცა არწმუნეს ასული მეფისა აღსაზრდელად.." „მას ჟამსა დიდმან მე-
ფემან ვახტანგ ინება მზახლობა სპარსთა მეფისა და მას სთხოვა ცოლად ასული იგი,
რომლისად მამა-მძუძე ქმნილ იყო სანატრელი იგი და ოდეს ქმნეს ქორწილი და მოი-
წივნეს ქართლად, თანა ჰყვა ნეტარიცა ესე..". „იხილა რა წესი ქრისტიანობისა და სარ-
წმუნოემა მტკიცე, იწყლა გული მისი სიყვარულითა ქრისტესითა..". „ხოლო ოდეს მიშვე-
ბითა ღვთისათა აღდგეს სპარსნი ქრისტიანეთა ზედა და აღიძრნეს ურიცხვითა მხედრო-
ბითა, რამეთუ დიდი იყო მაშინ ბრძოლა და დაუცხრომელი მტერობა ქრისტიანეთა ზედა
და უფროსად ბერძენთა მიმართ; ხოლო ჩვენ ქართველთა მიმართ ამისთვის, რამეთუ ემ-
ვინებოდა ჩვენი ბერძენთა მიმართ სიყვარული და ერთობა და ესე იყო ნება მათი, რათა
ჩვენცა მათთანა მტერ ვექმნეთ ბერძენთა..". „იწამა ქართლსა შინა სოფელსა წრომსა..".
„შემდგომად იქმნა მშვიდობა დიდი შორის სპარსთა და ქართველთა და ქმნეს ზავი ურთი-
ერთას და გამოვიდა მეფე ვახტანგ და იხილნეს ურთიერთა, ხოლო მეფე სპარსთა შეიქ-
ცა მუნვე და წარვიდა სამეფოდ თვისად და მიერიდგან იქმნა მყუდროება დიდი. მაშინ
მეფემან ვახტანგ იწყო ძიებად ნაწილთა მათ წმინდისათა, რამეთუ ფარულად იყო და-
კრძალული..." „და მიიწივნეს ნიქოზს და მუნ დაკრძალნეს დიდითა დიდებითა".

2. ანასტასის დროს ვიზანტია ებრძოდა ბულგარებს, რომელნიც ზენონ იმპერატორის
მეფობაში 485 წ. გავრცელდნენ შავის ზღვის პირად დუნაის მდინარემდე და 499 წ.
აოხრეს ფრაკია (Lebeau, *H. du B—E.*, VII, 141, 244). აქ უნდა მხედველობაში,
გვქონდეს, რომ ბულგარნი, ჰუნნი, მადიარნი ანუ ვენგრნი და თვით ხაზარნი, საზოგა-
დოდ გვარ-ტომობით თურქნი, ევროპიელთაგან სხვითებად ცნობილნი, ქ-ცხბაში იწოდე-
ბიან ხაზარებად. რომ სიტყვა ხ ა ზ ა რ ი ისტორიულ წყვდიადში იკარგება, რომ იმისი
სახელი ეწოდა ძველის-ძველად კასპიის ზღვას — ზღვა ხოზერისა. ამაზე ნახე Gobineau,
*Histoire, des Perses*..., I, 11, 102, 178, 201; II, 147.

ვართ ძმანი, რაჲსა-ძით მოვსწყდებით? არამედ ვჰყოთ მშვიდობა". სთნდა ესე ვახტანგს და უმეტეს ყოველთა დიდებულთა მისთა და თვით ლეონ პატრიკისაცა ფრიად და ჰყვეს ერთობა და ზავი. მაშინ იწვია სპარსთა მეფემან ვახტანგ და უძღვნა მრავალნი. მერმე რქვა: „რაჲ გნებავს ჩემგან ითხოვე; ხოლო ლეონ პატრიკისა განძრახვითა ვახტანგმან მოითხოვა მშვიდობა ბერძენთა. ესე აღუმნდა სპარსთა მეფესა და ეტყოდა: „ამისთვის ვყავ მშვიდობა შენთანა, რათა შევიდეთ საბერძნეთს, რამეთუ აქა არს ამისთვის ჩემთანა დესპანი ხაზართა მეფისა; არამედ აწ აღმისრულებიეს განსაზღვრებითა ივბიმიანოსისათა. შემდგომად მოუგზავნა სპარსთა მეფემან ვახტანგს: „ვჰყავ ყოველი სათნო შენი და აწ ვითხოვ, რათა მომცე დაჲ შენი ცოლად და შენ თვით წარმოხვიდე მწედ ჩემდა ინდოეთს, სინდეთს და აბაშთა ზედა, რამეთუ მათგან დამდაბლებულ არს მეფობა ჩემი". მსმენელსა ვახტანგს მძიმედ აღუჩნდა, არამედ აიძულებდა ლეონ ყოფად ამისა, ამისთვის დართო ნება წარსვლად 10,000 მხედრითა და თვით წარვიდა წინაშე კეისრისა და ვახტანგ წარსცა ძღვენი კეისრისა არმაღანნი, სპარსთა მეფისა მოძღვნილნი, ალვა სამასი, ამბარი და მუშკი[1] ხუთასი ლიტრა; ხოლო გვირგვინი და სტავრანი დაიჭირა თვისად. მაშინ ვახტანგ დასვა ძე თვისი დაჩი მეფედ წლისა ხუთისა და დაჲ თვისი მირანდუხტ მისცა სპარსთა მეფესა ცოლად და წარიყვანნა თვისთანა სამნი ერისთავნი: კლარჯეთისა, ოძრახოსი და წუნისა და ეჯიბი[2] თვისი; ხოლო დაჩის დაუტევა შვიდნი: ქართლისა, ხუნანისა, სამშვილდისა, ხიზიყისა[3], კახეთისა, არგვეთისა და ეგრისისა; კვალად დედა თვისი და დაჲ თვისი ხარჟანძე მოლოცვად იერუსალიმად წარიყვანა[4] და მივიდნენ პირველად ბაღდადს, სადაცა მოერთო ლეონ პატრიკი ათასითა მხედრითა და ჰქმნა სპარსთა მეფემან ქორწილი ჯეროვანი ბაღდადს; მუნით მოვიდნენ ჯორჯანეთს, მოსწყვიდნეს სრულიად და მათ-

1. „ალვა სუნნელია საკმეველი. ამბარი სუნნელია, ზღვისაგან გამოილებენ; რომელნიმე ფუთკართა ფიტსა იტყვიან, სხვანი თევზთა შავსა. მუშკი არს ხაზარეთის ცხოველი, თახვსა ჰგავს, ხოლო აფრიკისა ცხენსა და მათის ასოთაგან არს". დ. რექტორი.

2. ეჯიბი ქ-ცხბშიაც პირველად ვახტანგ გორგასალის დროს არის ხმარებული (ქ-ცხ. 137).

3. ქ-ცბაში ჰერეთი. ხიზიყი ანუ ქიზიყი ამ დროს არც ქ-ცხბაში იპოვება, არც სხვა მწერლობაში.

4. ბროსსეს შენიშვნა. „მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი ამბობს თავის მოგზაურობაში, ვითომც ვახტანგს ამ დროს იარალით ხელში დაეპყრას იერუსალიმი, მისირის ანუ ეგვიპტის მეფის მიწვევით და ამ უკანასკნელს იგი ვახტანგისათვის ეძლვნას. იმავე ტიმოთეს მოწმობით, იქვე, ჯვარის მონასტერში, აქამომდე ჩანს კედელზე ვახტანგის სურათი" (*H. de la G.*, I, 183, n. 4). აქ ჩვენის მხრით უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ნამდვილ ვიცით, ჯვარის მონასტერი იერუსალიმში, რომელიც ძველადგანვე ქართველებს ეკუთნოდა, გაახლებულია და მხატრობით შემკული ბაგრატ IV-ს დროს, მე-XI საუკუნეში წმ. პროხორესაგან.

თა ადგილთა დასხნეს სპარსნი, ელამნი და მუნიდამ მოვიდნენ ინდოეთს და შესვლასავე მუნ იქმნა ბუნბერაზთა ბრძოლანი ძლიერნი, სადაცა ვახტანგ თავით თვისით მოკლნა ბუნბერაზნი ათხუთმეტნი, რომელთაცა მოეკლათ მრავალნი ბუნბერაზნი სპარსთანი, და მოსტყუვნეს ინდოეთი, თვინიერ ციხე-ქალაქთაგან კიდე, და წამოიღეს ალაფი დიდი სამ წელ მუნ მყოფთა და მოვიდნენ სინდეთს; არამედ სინდთა მეფე იყო გმირი და გოლიათი; ამან განაჯნა ციხე-ქალაქნი ლაშქრითა და მოუხდიან სპარსთა და მოსწყვედდიან ურიცხვთა; გარნა ვახტანგისნი არა-სადა იძლივნენ; არამედ ამ წყობათა შინა მოკლნა მრავალნი ბუნბერაზნი სინდთა მეფემან სპარსთანი და ვერა-ოდეს შეხვდნენ ვახტანგი და სინდი. ხოლო ჰქმნა ღამით სამალავი სინდმა და წარმოგზავნა ბუნბერაზი გამოთხოვნად ვახტანგისა, რამეთუ გორგასალის ხვედრი იყო ქალაქის კართა დაცვა. მაშინ საურმაგ ეჯიბმან უთხრა: „არა ხარ დარი მეფისა, რამეთუ ხარ მონა; გარნა მეცა მონა მოვიდე შენდა“. მიტევებულნი იკვეთნენ და სინდი ივლტოდა; ეწია საურმაგ, სცა ოროლი ზურგსა და მოჰკლა; არამედ გამოვიდნენ სამალავით მხედარნი 12 და მოკლეს საურმაგცა, (ესე ჰყვეს ვახტანგისთვის, არამედ ღმერთმან განარინა). წყინებულ-მრისხანე ვახტანგ მიეტევა, არამედ იგინი შეივლტოდნენ ქალაქად. მაშინ სინდმან მეფემან უთხრა ვახტანგს: „უგუნურო! მსგავს ხარ ყვავისა, რომელმან ჰპოვა ქორი მოწყლული, მიიღო ბუდესა თვისსა და განჰკურნა; ხოლო ქორმან რა მოიცა ძალი ფრთითურთ, მოსწყვიდნა, იგემა და განძლიერდა უმეტეს. არა იქო ყვავი მოწყალებითა, ვინაჲდგან არა ჰყო საქმე გვარისა, არცა იმაგა ქორი, რამეთუ ჰყო საქმე გვარისა. არა ჯერ იყო შენდაცა, რამეთუ არიან სპარსნი მტერნი შენნი, და განძლიერებულთა გიყონ შენცა ეგრეთ“. მიუგო ვახტანგ: „ცოფო! მსგავს ხარ მთხუნველისა, რომელმან არა იცის ბრწყინვალება მზისა, რამეთუ დასძვრების მიწასა, რამეთუ არა დიდებისა აწინდელისათვის მსურს, არამედ მერმისა, რამეთუ მოსვლითა ჩემითა განმრავლდებიან მრავალნი ქრისტიანენი და მაქვს სასოება ჯვარ-ცმულისა, რათა მისთანაცა ვიდიდო“. მიუგო სინდმან: „ვინაჲდგან ესავ მომკვდარსა და შემდგომად სიკვდილისა სუფევად ხარ მის თანა, ჯერ არს, რათა მიისწრაფო. აწ ხვალისად გამოვედ და წარგავლინო შენ, ვითარცა წარვავლინე წარჩინებული შენ წინა-მორბედად შენდა“. დღესა მეორესა გამოვიდა სინდთა მეფე და აქათ განვიდა ვახტანგ და აქვნდათ ორსავ ოროლნი; ურბენდნენ ერთი-ერთსა, რათა ლონის-ძიებითა უხეთქონ. მაშინ იცა დრო სინდმან, რათა სცეს ოროლი ვახტანგს, არამედ ვახტანგ [illegible] წარიცთუნა ოროლი მისგან და თვით შემოუმგრგვალა, სცა სინდსა მას ოროლი მარცხენესა ბეჭსა და განვლო წინათ წყრთა ერთი და გარდმოვარდა სინდ მეფე, წაჰყო ხელი ვახტანგ და მოჰკიდა ფერხსა მისსა და მოიღო თრევით წინაშე სპარსთა მეფისა; და შეასხმიდნენ ყოველნი ქებასა დიდსა ვახტანგს, ხოლო სპარსთა მეფემან დაადგინნა მკურნალნი და განკურნეს სინდთ მეფე და

იოხოვდა მისგან ციხე-ქალაქთა. გარნა ძესა მისსა ეპყრა შემდგომად შეპყრობისა მამისა, ამისთვის ვახტანგ განუზრახა სპარსთა მეფესა, რათა აღიღონ ხარკი და მძევალი სინდთაგან და განუტეონ მეფე მათი. სთნდა ესე მეფესა სპარსთასა და ჰყვეს ეგრეთ ზავი მშვიდობისა. ამისთვის ემოყვრა ვახტანგს სინდთ მეფე, პირველად რამეთუ არა მოჰკლა, და მეორედ მისით განტევებულ იქმნა და უძღვნა ურიცხვი ვახტანგს[1]. შემდგომად მხნით წარმოსრულნი მიიწივნეს აბაშეთს და სულ-გრძელად ბრძოდნეს და გარდაუგდეს ჩალათა წყალნი და შემდგომად გახმობისა შევიდნეს, მოსწყვიდნეს, მოსტყვენეს, მოაოხრნეს და წარმოვიდნენ გამარჯვებულნი; ხოლო ვახტანგ ანტიოქიიდამ მოვიდა ურა ქალაქსა[2] და მუნ დახვდნენ დედა და დაჲ თვისი, წარმოვიდნენ და მოვიდნენ სომხითსა. მუნიდამ განუტევა ღეონ პატრიკი და სპანი ბერძენთა და წარავლინა დესპანიცა თვისი მოყვანებად ცოლისა თვისისა და კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა 12

1. შემოგვაქვს აქ ღირს-შესანიშნავი შენიშვნა ბროსსესი. „სხვა და სხვა გამხედრებას სპარსეთის მეფის ფეროზისას კასპიის ზღვის აღმოსავლეთად გვიამბობენ საკმაოდაწვრილებით ვიზანტიელნი და აზიელნი მწერალნი და ამით ჰმოწმობენ ქართველთა მემატიანეს სინამდვილეს. (ნახე ამაზე Lebeau, *H. du B—E.*, VII, 251—259). ფეროზი ჯერ ეომებოდა ჰუნნებს 466 წელს (ib. IV, 252, 254 და შენიშვნები; VI, 267, 442, 459), როდესაც იმან გაილაშქრა ჰუნნებზე ჰეფთალიტებზე, რომელნიც აღმოსავლეთად კასპიის ზღვისა ცხოვრობდნენ, რომელთა დედა-ქალაქი გორგო გამოჰხატავს ბერძნულის გამოთქმით არაბულ ჯორჯანსა. ფეროზი შეიტყუეს ხეობაში, საიდამაც მხოლოდ მკაცრის პირობის შეკვრით გამოიხსნა მან თავი. სინდის მეფის აპოლოგისტი ბერძენი გვარწმუნებს, ვითომც სპარსეთის მეფე გამოეხსნას ტყვეობიდამ იმპერატორს ზენონს. ფეროზმა იწყო მეორე ომი, რომელსაც მოიხსენებს აბულ-ფარაჯი და რომელშიაც იმას სხვა ბედის-წერა ეწვია,— ისეთი, როგორსაც გვიამბობს ქართული მემატიანე, იმ განსხვავებით კი, რომ ეს უკანასკნელი ამ შემთხვევას უჩვენებს სინდში, ბერძნული ავტორი კი მახლობლად გორგოსა; მაშა სადამე ჯორჯანში. მეფე აქ მოიკლა 30-ს შვილით. სპარსეთის მეისტორიენი თითქმის თანახმად ქ-ცხბისა (Lebeau., *H. du B—E.*, VII, 251, n. 1) იტყვიან, ვითომც ეს მომხდარიყოს ბალხში, რომელიც იმ დროს ეკუთნოდა ჰუნნებს. რა საკვირველია, ვახუშტის წელთ-აღრიცხვა არ ეთანხმება ლებოსაგან ნაჩვენებ დროს: ლებო უჩვენებს ფეროზის სიკვდილს 484 ანუ 485 წ. (ib , 259, 305); ქართული ავტორი სპარსთა მეფის ომის დასასრულს უჩვენებს 473 წ.; მაგრამ მე აქ უნდა შევნიშნო, რომ ამ ამბების ხრონოლოგია ორისავე მხრივ საეჭვოა... ამასთანავე ქ.-ცხბის წარმოდგენით ფეროზს ჰყვა თან პატრიკი ანუ ანტიპატრიკი ბერძენთა ლეონი, და ვიზანტიელების თქმით მას ახლდა დესპანი იმპერატორის ზენონისა სახელით ევსევი". (Lebeau, ib. 252.—*H. de la G.*, I, 189, n. 2.

2. შენიშვნა ბროსსესი. ქართველებს უნდა ჰქონიყოთ ოდესმე საკუთარი მფლობელობა ურში, რადგანაც ავტორი *Chronicum Edessenum*-ისა მოგვითხრობს, რომ 810 წ., სელევკიდების წელთა-თვლით, 499 ქრისტეს შემდეგ, „იქ იბერიელთ აბანოს წყალი შეშრა სამ დღეში"; ამასვე ამტკიცებს ხრონიკა ჟოზუე მესვეტისა, რომელიც ამბობს, რომ ეს შემთხვევა მოხდაო მიწის-ძვრისაგან. Asseman, *Bibliot. orient.*., I, 269, 406. (*H. de la G.*, I, 184, n. 1).

(რამეთუ ეტყოდა სპარსთა მეფე შერთვასა დისა თვისისა ცოლად ვახტანგს, არამედ ვახტანგ აუწყა სმაჲ ცოლისა, რომლისათვის დამძიმდა სპარსთა მეფე); ხოლო მცხეთის ეპისკოპოსმან[1] სცნა მოყვანება კათალიკოსისა და მიზეზ ჰყო ესე და შესწამა მეფესა დატევება ქრისტესი და დაჭკრულნა მეფე სპითურთ. იხილა მეფემან და იტყოდა: „გარნა თუმცა მართალ ვართ, არამედ ჟამ არს სიმდაბლე“ და მივიდა, რათა ამბორს უყოს ფერხსა; ხოლო მან განმარტა ფერხი და ფანდაკითა[2] შემუსრა კბილი მეფისა 472 წ., ქართულსა 224. რქვა მეფემან: „შურით ჰქმენ ესე, რამეთუ მოვალს უხუცესი შენი და ამის ძლით რათა აღმძრა მეცა, არამედ მე არა რაჲ გიყო შენ, გარნა წარგავლინო კოსტანტინეპოლედ“. ხოლო კოსტანტინეპოლს განსაჯეს იგი და მრისხანებით სისხლის დათხევისათვის განჰკვეთეს არღა წირვად კადნიერებისათვის მეფისა სიკვდილად და წარსცეს მონასტერსა მღვიძარებისასა ქსორიად საუკუნოდ. შემდგომად მოვიდა ცოლი ვახტანგისა და კათალიკოსი და ეპისკოპოსნი წელსა 473, ქართულსა 225. მიეგება მეფე, მოიყვანა მცხეთას და ჰქმნა ქორწილი თვისთა შემსგავსებული, რომლისა ზითევად მოეცა კეისარსა ეგრის წყალს-იქითი ქვეყანა; ხოლო მეფემან კათალიკოსად პეტრე დაადგინა მცხეთას და სამოელ მისვე ზემო-ეკლესიასა მთავარ-ეპისკოპოსად; ხოლო სხვანი ეპისკოპოსნი დასხნა: პირველი კლარჯეთს, მეორე ერუშეთს, მესამე წუნას, მეოთხე მანგლისს, მეხუთე ბოლნისს, მეექვსე რუსთავს, მეშვიდე ნინო-წმინდას, მერვე ჭერემს, მეცხრე ჩელეთს, მეათე ხორნაბუჯს, მეათერთმეტე აგარაკს, მეათორმეტე ნიქოზს წმინდის რაჟდენის საფლავსა ზედა. ხოლო შემდგომად უშვა ვახტანგს ელენემ ორნი ძენი და ორნი ასულნი; ხოლო მისცა მეფემან დაჩის ძესა თვისსა ქალაქნი ჭერამი, ნეკრესი და ხორნაბუჯი და ყოველი მტკვრის აღმოსავლეთი და თვით დაჯდა უჯარმას, მოამტკიცა იგი და ჰმატა ივერიასა შინა ციხე-ქალაქთა მაგრებანი მრავალთა შინა წელთა. შემდგომად მოკვდა სპარსთა მეფე და დაჯდა მის წილ ხოსრო[3] ძე მისი. ესე წარმოემართა ბრძოლად ბერძენთა და მოუმცნო ვახტანგს: „ესრეთ მაუწყეს მოხუცებულთა ჩემთა, რათა მოვიდე შენდა და შენ მიმიძღვე საბერძნეთს“. ესმა რა ვახტანგს სთქვა: „აღლესე, მჭედელო, მახვილი; რათა მსწრაფლ განვეწონოს“; არამედ მიუმცნო სპარსთა: „პირველად განემზადე ბრძოლად ჩემდა და მერმედა შევედ საბერძნეთს“. კვალად წარგზავნა კეისარსა თანა და აცნობა ყოველი; თვით დაადგრა უჯარმას და განამაგრნა ციხე-ქალაქნი ივერიისანი და ველისათა უბრძანა შევლტოლვად კავკასიად და მთათა და სიმაგრეთა. მოვიდნენ სპარსნი და შემუსრეს ციხე-ქალაქნი ჰერეთისანი

1. „ეპისკოპოსი იგივე მიხაილ არს, რომელმან აღზარდა ვახტანგ საღმრთო წერილსა შინა და კადნიერება ესე მით ჰყო“. ვახუშტი.

2. „ფანდაკი არს მაშიისა და მოგვის მაღალი ქუსლი“. დ. რექტორი.

3. უნდა იყოს კობადი (491—531 წ.).

და დაიბანაკეს იორსა ზედა 740,000 ლაშქრითა წელსა 499, ქართულსა 251. არამედ სამ დღე მარადის იყო ბრძოლა და დაეცემოდნენ ორ-კერძოვე ურიცხვნი; მაშინ ვახტანგ განჰყო სპა თვისი, ქვეითნი 20,000 მიავლინა მთით კერძო, სპასალარი 20,000 მხედრითა ერთ კერძ და თვით 100,000 დაესხა განთიად, შევლო ვახტანგ და შეუხდა ხოსრო მეფესა, ხოლო ხოსრო ივლტოდა და მოჰკლა ძე მისი; არამედ მუნ ბრძოლასა სპარსმან ვინმე სცა ისარი ვახტანგს მკერდსა, გარნა იყო ბრძოლა შუა-დღემდე. იძლივნეს სპარსნი და მოკვდა მათგანი 130,000 და ვახტანგისნი 28,000 და წარმოიღეს ნატყვენავი ურიცხვნი. ხოლო სპარსნი სიდიდისათვის სპისა ჩადგნენ რუსთავს, რამეთუ მოსწყლეს რა მეფე, ვერღარა სდევნიდნენ და დამძიმდაცა ვახტანგ წყლულებითა, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფილტვამდე. ამის მცნობთა სპარსთა მოაოხრეს ქართლი; არამედ ციხე-ქალაქი ვერა რომელიმე შემუსრეს; მაშინ მსმენელი კეისარი სპითა დიდითა წარმოემართებულიყო შველად ვახტანგისად[1]. სცნეს სპარსთა მოსვლა კეისრისა და მიეგებნენ გარნიიორს და ბრძოლასა მათსა მოსწყდა სპანი ურიცხვნი ორგნითვე, რამეთუ მდინარე სისხლისა სდიოდა; ვერა რომელმან სძლო და შეიქცნენ თვის-თვისად; არამედ ვახტანგ დამძიმდა ფრიად სიკვდიდ. მაშინ მისცა დაჩის ძესა თვისსა მეფობაჲ და კეისრის ასულისაგან ნაშობთა ტაშის-კარს ზეითი ზღვამდე საერისთავოდ და აჰცნო სიყვარული და განუშორებლობა ბერძენთა. შემდგომად გარდაიცვალა მხნე და მოწამეობისა ღირსი გორგასალ[2] წელსა 499, ქართულსა 251.

1. „ლეონ კეისრისას სწერენ 40 წელს მეფობას; ზოგი ჩვენი ცხოვრებაც ამას ემოწმების; ჩვენც ეს 40 წელს ზედა და ჩვენს ცხოვრებაზედ ვქმენით; არამედ ძველს ქართლის ცხოვრებაში უსახელოდ კეისრის მოშველება სწერია. ამით ამ ჟამს ანასტასი კეისარი იქმნება და არღარა ლეონ". ვახუშტი.

ანასტასი I მეფობდა 491—518 წ. (Sabatier... p. 149—156).

2. აქ ადგილი ნებას არ გვაძლევს, რომ მკითხველი დიდ-ხანს შევაჩეროთ ვახტანგზე; ამისთვის ჩვენს აზრს შესახებ მისა მოკლედ წარმოვთქვავათ.

ვახტანგის ცხოვრება, რომელსაც განსხვავება თითქმის არა აქვს არც ერთს ქ-ცხბის ვარიანტში, ისეა შედგენილი, რომ ზღაპრულ მოთხრობას მიემსგავსება; მაგალ. იმისი გალაშქრება ოსეთში, საბერძნეთის საზღვრებში, ინდოეთში და აბაშეთში (აბისინიაში ანუ ინდოეთის ჰაბეშში. *H. de la G.*, I, 190, n. 1); იმისი გმირული თვისება და პირადი ბრძოლა სხვა და სხვა გოლიათებთან; იმისი ბევრთა-ბევრეული ლაშქრობა; ასი-ათასობით მტერთა დაჰყვევება; ყველგან ძლევა-მოსილი გამარჯვება, ყოველივე ეს, ვიმეორებთ, სრულიად არაკი თუ არ არის, უეჭველად გაზვიადებულია პანეგირისტისაგან. ამ აზრს ძალას აძლევენ შემდეგნი გარემოებანი: 1) ვახტანგის თანა-მედროის სომხეთის მემატიანის პარბეცის თქმით, ვიხტანგი, რომელსაც ვითომც თავის ნათესავს ვაზგენს თავი მოაკვეთინა და ისე დაჯდა ტახტზე, იყო მხდალი, მცბიერი და მოღალატე (Langlois, *Collect.*, II, 325—337, 344—345.—Lebeau, *H. du B—E.*, VII, 270), თუმცა პარბეცის ნაამბი, როგორც სხვა და სხვა თქმულება სომხურის ისტორიისა ქართველებზე, თავ-თავის ადგილს ჩვენ შრომაში შემოტანილი, ჩვენ ვერ შეგვიწყნარებია; 2) ქ-ცხბის

## მეფე დაჩი (499 – 514).

დაჯდა მეფედ დაჩი ძე მისი და დაიწყო შენებად მოოხრებულისა. ამის დროსა შინა მოკვდა კათალიკოსი პეტრე და დასვა სამოელ. ამან მეფემან უბრძანა მთიულთა კახეთისათა ქრისტიანე ყოფად, ხოლო მათ არა ინებეს და განდგნენ ნოხპატელნი. შემდგომად მოკვდა ძე ვახტანგისა ლეონ და დაშთა ძმა მისი მირდატ. ამ მირდატს გაუცვალა ქვეყანა ჯავახეთისა და უკ-მოიხვნა ეგრის

მოთხრობავე გვიჩვენებს ვახტანგის წინათაც და თვით იმის დროსაც, რა ძალა და გავლენა ჰქონდათ სპარსებს საქართველოზე: ვახტანგის დროს სპარსეთის ჯარი თავისუფლად შემოდის ჩვენ ქვეყანაში, სადაც სპარსნი აფუძნებენ თავიანთ აღსარებას ანუ ცეცხლის-მსახურებას და ამ სარწმუნოების მღვდელთ-მთავარსაცა სმენ; აქვე თავსა ჰკვეთენ რაჟდენს ცეცხლის-მსახურების უარ-ყოფისა და ქრისტეს სჯულის მიღებისათვის; აქვე ჰკვლენ თვით ვახტანგსა. რომ საქართველო იმ დროს სპარსეთს ჰყვანდა ქვე-ვრდომად ამასვე გვიმტკიცებენ ერთის მხრით ჩვენი მაშინდელი მანეთები, რომლებზედაც ვახტანგიდამ სტეფანოს მთავრამდე (V და VI საუკ.) ცეცხლის-სამსახური ემბლემა არის წარმოდგენილი (Langlois, *Essai de classif.*, 20—31); მეორეს მხრით ვიზანტიელების თქმულება გუბაზზე, რომელიც მეფე თურმე იყო ლაზიკისა ანუ შავის ზღვის პირის საქართველოჲსა და რომელიც ისე იყო შევიწროებული სპარსთაგან, იმათ მომხრე ივერიელებითურთ, რომ იძულებულ იქმნა 466 წელს შემწეობა გამოეთხოვა მას ვიზანტიის იმპერატორისაგან (*H. de la G.*, I, 172, n. 4.—Lebeau, *H. du B—E.*, VII, 448. აქ ლებოცა და ბროსსეც შემცდარნი არიან, როდესაც სახელ-წოდებას ს ა ნ ე ბ ი ს ა ს ანუ ჭანებისას მიაწერენ ს ვ ა ნ ე ბ ს ა). ჩვენ ვნახავთ შემდეგ, რომ ფარსმან მე-V და მე-VI-ს დროს სპარსნი თვით ლაზიკაში ვიზანტიელებს აუტეხენ დიდ ბრძოლას, რომელიც გასწევს 549 წლიდამ 551 წლამდე.

ჩვენ ვახტანგი მოგვაგონებს ირაკლი II-ს: ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვახტანგი იყო ახოვანი და განვითარებული: ეს აზრია წარმოთქმული თვით რაჟდენის ცხოვრებაში; ეს აზრივეა გავრცელებული შემდეგ მთელს ქართველობაში და თვით ვახტანგის დროჲს სომხეთის საზოგადოებაში (Langlois, *Collect.* II, 326); მაგრამ ამ ახოვანებას არ შეეძლო იმ დროს, როდესაც ვახტანგის ხელში იყო მხოლოდ ერთი ნაწილი საქართველოჲსა, არა-ვითარი წინააღმდეგობა ეჩვენებინა სპარსებისათვის. იმასაც ვფიქრობთ, რომ მიწვეული სპარსეთის მეფისაგან მონაწილეობის მისაღებად სპარსეთის მოსაზღვრე ჰუნნებთან ანუ ქ-ცხბის ხაზარებთან, ვახტანგი ქართულის ჯარით ახოვანებას აღმოიჩენს და სახელ-განთქმული დაბრუნდება. ჩვენ ამ აზრს იმაზედაც ვამყარებთ, რომ იმისი ცხოვრების უმთავრესნი შემთხვევანი არ არიან ისტორიის წინააღმდეგნი და გარდა ამისა ქ-ცხოვრების ავტორებს საზოგადოდ ჩვეულებათ არა აქვთ, როგორც აქამდე შეჰნიშნავდა და შემდეგაც შეჰნიშნავს მკითხველი, სიცრუით საუბარი საქართველოს ისტორიულ პირებზე და საზოგადოდ ისტორიულ სიმართლეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგინი სცდებიან.

საკათალიკოსოს დაწესებაზე საქართველოში ვახტანგის დროს ნახე ბროსსეს შენიშვნა *H. de la G*-ში, p. 192, n. 1,2. აქ ბროსსეს ფიქრით, ეს შემთხვევა უნდა მომხდარიყო 475—478 წელს, ანტიოქიის პატრიარხის პეტრე კნათეს ანუ ფულონის დროს. აქვე შემოაქვს ბროსსეს ბალზამონის თქმულება, ჩართული წმ. მოციქულთ კა-

წყალს-ქვემოთი ქვეყანა დედეული მირდატისა და ერისთაობდა მირდატ ტაშისკარიდამ ზღვამდე მორჩილებასა ქვეშე დაჩი მეფისასა. ხოლო ამან დაჩამ იმეფა კეთილად, შემდგომად გარდაიცვალა წელსა 514, ქართულსა 265.

## მეფე ბაკურ II (514—528).

მეფე იქმნა ძე მისი ბაკურ და მეფობდა კეთილად და უშფოთველად, რამეთუ არა ხადა აღუჩნდა მტერი დღეთა მისთა. შემდგომად გარდაიცვალა წელსა 528, ქართულსა 278.

## მეფე ფარსმან V (528—542).

გამეფდა ძე მისი ფარსმან და დაიპყრა ყოველი გიორგია. დროსა ამისსა მოკვდა კათალიკოსი სამოელ და დასვა თავფეჩაგ. მოკვდა იგიცა და დასვა ჩიგირმან; არამედ აქამომდე იყო მშვიდობა და მორჩილობდნენ ძენი მირდატისნი ფარსმანს. შემდგომად მოვიდა სპარსთა მეფე წელ. 536, ქართ. 288 და მოაოხრა ქართლი [1]. მაშინ ამან ფარსმან ითხოვა მშვიდობა და აღუთქვა მორჩილება; ხო-

ნონების გამოკვლევაში, რომელიც ლათინურს ენაზეა დაწერილი და 1680 წ. პარიჟში გამოცემული. „იტყვიანო, ამბობს ბალზამონი, რომ უწმინდესის ანტიოქიის პატრიარხის პეტრეს დროს მოხდაო კრების განაჩენი, რომელმაც დასკვნაო, რომ იბერიის ეკლესიას თავისუფლება და თვით-მმართველობა მიენიჭოსო, ანტიოქიის პატრიარხის მოძღვრების ხელ-ქვეშედ“.

1. „მოვიდა სპარსთა მეფე 536 წ. და მოაოხრა ქართლი“. ამ დროს მეფობდნენ: სპარსეთში ხოსრო ნუშირვან დიდი (531-579 წ.), რომელსაც გადმოუთარგმნინებია სანსკრიტულის ენიდამ სპარსულათ ქოლეილაჴ-ვე-დამნე ანუ ქილილა და მანა (Langlès, *Notice chron*..., x, 179-180) და ვიზანტიაში იმპერატორი იუსტინიანე I (527-565. Sabatier, *Descr. génér. des mon. byz.*, I, 170). ამ დროის დამოკიდებულება სპარსეთისა საქართველოსთან ჩვენ გადმოგვცეს რამდენთამე მაშინდელთა ვიზანტიის მწერალთა, რომელთა შორის განსაკუთრებით ჩვენის მხრით ყურადღების ღირსია პროკოპი (იშვა 529 წ.), რომელიც იყო სეკრეტარი იუსტინიანეს განთქმულის მხედართ-მთავრის ველიზარისა, რომელსაც თან-დაჰყვებოდა იგი. პროკოპიმ დაგვიტევა შესანიშნავი ცნობები იმ დროის დასავლეთს საქართველოზე ანუ, როგორც მაშინ უწოდდნენ, ლაზიკაზე (Dubois de Montpéreux, *Voyage*..., I, 70). თხზულებანი, რომლებშიაც ვპოულობთ ცნობებს პროკოპისას და სხვათა მწერალთა ლაზიკაზე, არიან: Stritter, *Memoriae populorum*, IV, 21-175; Dubois, *Voyage*..., II, 67-133; Lebeau, *H. du B—E.*, VIII, 25-42; 282—283; IX, 44-50, 196-220, 312—332, 428-430, 436-441; Brosset., *Adit. à l' H. de G.*, 1851, p. 81-107. მაშინდელი აღწერა ლაზიკისა და იმის ადგილთა-მდებიარებისა ბევრში ეთანხმება ქართულ ცნობებს. რომ მაშინდელნი ლაზიკის მეფენი: გუბაზი, ცათესი, დამნაზესი, გუბაზი II და ქართლის მეფე გურგენი, რომელმაც კობადის დროსვე იმპერატორის იუსტინის მფარველობას

ლო მან უსმინა და დაიცვნა ეკლესიანი შეუძვრელად. მიერითგან განიყვნეს ნათესავნი გორგასალისანი და ფარსმან ერჩდა სპარსთა, ხოლო ძენი მირდატისნი ბერძენთა. შემდგომად ამისა გარდაიცვალა ფარსმან მეფე წელსა 542, ქართულსა 294.

## მეფე ფარსმან VI (542—557).

შემდგომად ამისა მეფედ დაჯდა ძმის-წული ფარსმან მეფისა ფარსმანვე სახელით; არამედ იყო ფრიად მორწმუნე და ჰმატა ეკლესიათა. დროსა ამისსა მოკვდა კათალიკოსი ჩიგირმან და დასვა საბა. ამიერითგან არღარა მოიყვანდიან საბერძნეთიდამ კათალიკოსსა, არამედ დასხმიდიან წარჩინებულნი დებულთა[1]. კვალად მოკვდა კათალიკოსი საბა; ამანვე დასვა ევლავიოს. ამისვე-ზე მოვიდნენ 13 მამანი შუა-მდინარიდამ. მიეგება ევლავიოს კათალიკოი და მოიკითხა ასურულითა ენითა; ხოლო მათ ქართულ პასუხ-უგეს, რამეთუ უცნობელნი იყვნენ ორნივ ენათა ურთი-ერთთა, რომელთაცა სახელები ესენი არიან: 1, იოანე ზედა-ძნელი; 2, დავით გარესჯელი; 3, სტეფანე ხირსელი; 4, იოსებ ალავერდელი; 5, ზენონ იყალთოელი; 6, ანტონი მარტო-მყოფელი 7, ისე წილკნელი, 8, თათე მამებელი; 9, შიო მღვიმელი; 10, ისიდორე სამთავნელი; 11, აბიბოს ნეკრესელი; 12, მიხაილ ულუმბელი; 13, პიროს ბრეთელი; 14, ილია დიაკონი, განმანათლებელნი და აღმაშენებელნი ეკლესია-მონასტერთა ქართლისათანი. შემდგომად იმეფა ამან ფარსმან კეთილად, გარდაიცვალა წელსა 557, ქართ. 309.

მიჰმართა, როდესაც კობადმა ქართლი დაიჭირა 523 წ., სრულებით არ არიან ქ.-ცხბაში ცნობილნი. ლაზიკა დიდის-ხნითვე ვიზანტიას ექვემდებარებოდა; მაგრამ სპარსეთი ისაკუთრებდა ლაზიკას, როგორც საქართველოს ნაწილს. ამ საგანზე რამდენჯერმე მოხდა განხეთქილება სპარსეთსა და ვიზანტიას შორის; ბოლოს ასტყდა მკაცრი ბრძოლა: ლაზიკაში შევიდა დიდი სპარსეთის ჯარი და შემდეგ კაი-ხანის ბრძოლისა, რომელმაც გასწია 549 წლიდამ 551 წლამდე, სპარსნი დამარცხდნენ და ლაზიკა დასტოვეს.

ქ-ცხბის გარდამოცემა იუსტინიანესაგან აფხაზთ გაქრისტიანებაზედა ღვთის-მშობლის ტაძრის აშენებაზე ბიჭვინტაში პროკოპის თქმულებას მოგვაგონებს. შეადარე ამ საგანზე ქ-ცხბის ნაამბი, გვ. 159-ს პროკოპის თქმულებას, რომელიც დიუბუას სიტყვა-სიტყვით მოჰყავს თავის *Voyage*..., I, 229-231.

1. „2 კოსტანტინეპოლისა ყოვლისა სოფლისა კრება იყო წელსა 553, ხოლო ფარსმანის მეფობის წელსა 11-ს". ვახუშტი.

მე-V მსოფლიო კრება კოსტანტინეპოლისა ევტიხიოსის წინააღმდეგ მოხდა, როგორც ვახუშტი უჩვენებს, 553 წელსა. (Lebeau, *H. du B—E.*, IX, 285).

ქართლის გარდამოცემით დაწესება კათალიკოსთა ქართველთაგანთა მოხდა 549 წ., იუსტინიანე იმპერატორის ნებართვით. ამ საგანზე ნახე შენიშვნა ბროსსესი *H. de la G.*, I, 202, n. 6.

## მეფე ბაკურ III (557—570)

მეფე იქმნა მის წილ ძე მისი ბაკურ. იყო ფრიად მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა. ამან განსწმინდა გიორგის ურწმუნოებისაგან და განამრავლნა მღვდელნი და დიაკონნი; მოკვდა კათალიკოსი ევლავიოს და დასვა მაკარი. ხოლო დროსა ამისსა იყო სომხითს მთავარი სახელით ვასქენ. ესე წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა, უარ-ჰყო ქრისტე და იქმნა ცეცხლის-მსახურ; ხოლო სპარსთა მეფემან მისცა ერისთაობა რანისა და წარმოგზავნა. ამა ვასქენს ჰყვა ცოლი შუშანიკ და აიძულებდა დატევებად ქრისტესა, არამედ შუშანიკ არა ინება და მან მოკლა იგი ტანჯვითა ფიცხელითა. მცნობმან მეფემან ბაკურ შეკრიბა სპა თვისი და წარვიდა უგრძნეულოდ; ხოლო ვასქენ იდგა ველსა ზედა კიდესა მტკვრისასა, სადა ერთვის მდინარე ანაკერტისა. მუნ დაესხა ბაკურ მეფე, შეიპყრა ვასქენ და დაჭრილი მოჰკიდა ძელსა ზედა; ხოლო გვამი შუშანიკისა წარმოიღო და დასდვა ცორტავს[1]. შემდგომად წარგზავნა დესპანი სპარსთა მეფისა წინაშე და მოითხოვა შენდობა; ხოლო სპარსთა მეფესა არა ენება შეერთება მეფისა ბერძენთა თანა; ამისთვის ჰგმო ვასქენ და მოუმცნო ბაკურს კეთილის-ყოფად და წარმოგზავნა სხვა ერისთავი რანს. მერმე მოკვდა კათალიკოსი მაკარი და დასვა სვიმონ. შემდგომად მოკვდა ბაკურ მეფეცა წელ. 570, ქართულსა 322.

---

1. გარემოება შუშანიკის წამებისა ვასქენისაგან ამოიკითხვის ქართულ წყაროებში, რომელთ ცნობით იგი მომხდარა ბაკურის დროს, და სომხურის მემატიანის ლაზარ ჰარბეცის თქმით კი 458 წ. ვახტანგ გორგასალის მეფობაში, რომელსაც ვითომც დაესაჯოს სიკვდილით ვასქენი ცოლის მოკვლისათვის (ქ-ცხ., I, 160 — Langlois, *Collect*..., II, 286, 326). სომხის მწერალი შუშანიკს უწოდს ვარტანუჰპდ. ვრცლად ამ საგანზე ნახე მამ-ცხ., 60-65.

# III

## თავი მეორე

## გვარამ[1] კუროპალატი (575—600).

ხოლო ძენი ბაკურ მეფისანი ვერ იპყრობდნენ მეფობასა სიმცირითა და დაშთნეს კახეთს. მაშინ სპარსთა მეფემან წარმოგზავნა ძე თვისი ქასრე ერისთავი რანისა და მოვაკანისად. ამან ქასრე წარაბირნა ერისთავნი საქართველოსანი და მანვე მოსცა სამკვიდროდ საერისთვონი და ნიჭნი დიდნი. განდგნენ თვის-თვისად ერისთავნი იბერიისანი და სარკსა მისცემდნენ ქასრეს და ძენი ბაკურ მეფისანი იყვნენ მთიულეთს და ძენი მირდატისნი კლარჯეთს. სხვა ყოველი ქართლი, სომხითი დაიპყრეს სპარსთა[2] და ბრძოდნენ ბერძენთა. შემდგომად ამისა იქმნა შფოთი სპარსეთს და წარკვიდა ქასრე შკელად მამისა თვისისა, რამეთუ უცალო იქმნეს სპარსნი; მაშინ შეიკრიბნეს ყოველნი იბერიის ერისთავნი და ითხოვეს მეფედ თვისად ბერძენთა კეისრისაგან ნათესავი თვისთა მეფეთა. ესე მოთხოვა იყო, ოდეს უფლებდნენ აზნაურნი და მოაკლდა უფლება მათი ბოროტთა მათთაგან. მასვე დროს მცხეთა აღთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა; არმაზი შემცირდებოდა და კალა გამდიდრდებოდა. ხოლო კეისარმან მოსცა გვარამ ასულის-წულისაგანი გახტანგ გურგასლისა მირდატის დისაგანი და თვით ბაგრატოვანი და კეისარმან მოსცა კუროპალატობა და პატივ-სცა და შემოკრბნენ ყოველნი ერისთავნი და სპასპეტნი იბერიისანი, კათალიკოსი სვიმეონ და ეპისკოპოსნი და აკურთხეს მეფედ გიორგიისა დასაბამით 4524, ბერძნულსა 6083, ქრ. აქეთ 575, ქართულსა 327, ინდიკტიონსა 8.

1. ძველი და ნამდვილი ფორმაა გვარამ და არა გურამ, როგორც ზოგნი ხმარობენ.

2. „ამ ჟამად იწამა წმინდა აბიბოს ნეკრესელი.“ ვახუშტი.

აბიბოს ნეკრესელი იყო ერთი ათ-ცამეტთა მამათაგანი, რომელიც იწამა ცეცხლის-მსახურთაგან. იმ დროს ქართლს განაგებდა სპარსთაგან დადგენილი მ ა რ ზ ა პ ა ნ ი, „რამეთუ დაეპყრა, ამბობს ავტორი აბიბოს ცხოვრებისა, ქართლი მეფესა სპარსთასა და იგინი ხელმწიფე იყვნენ ჩვენსა ამას სოფელსა და ბილწისა მის კერპთ-მსახურებისა ცეცხლისა მის თაყვანის-ცემასა და მსახურებასა აღასრულებდეს მარადის... ამის გამო ადგილნი მრავალნი განმზადნეს მათისა მის სამსახურებელისა ცეცხლისათვის ქვეყანასა და მრავალთა შეაცთუნებდეს... ხოლო ნეტარი აბიბოს ნეკრესელ ქალაქისა ეპისკოპოსი აღიძრა შურითა საღმრთოთა და დაშრიტა იგი... მისწერეს მსწრაფლ ზენა-სოფლისა

ესე გვარამ მეფე იყო ფრიად მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა. ამის-ზე მოკვდა კათალიკოსი სვიმეონ და დასვა სამოელ. ხოლო შვილთა ბაკურ მეფისათა დაიპყრეს კახეთი და ჰერეთი და ერისთაობდნენ მუნ მორჩილებასა შინა გვარამ მეფისა კურაპალატისასა. შემდგომად კეისარმან წარმოსცა გან-ძი დიდი გვარამს, რათა გამოიყვანოს ჩრდილოთ ლაშქარი და ბრძოდეს სპარ-სთა[1]. ხოლო გვარამ გამოიყვანნა ოვსნი, ძურძუკნი და დიდონი, წარუძღვა სპი-თა საქართველოსათა; სტყუენვიდა და აოხრებდა ადრაბადაგანსა მრავალსა დროსა. არამედ ოდეს ბარამ ჩუბინმან მოკლა თურქთა მეფე და აოტნა თურქნი, ამით მოცალე იქმნენ სპარსნი. ჰცნობნი ამისნი ბერძენნი და ქართველნი უკუ-მოიქცნენ თვისადვე. ხოლო გვარამ ამაგრებდა ციხე-ქალაქთა მოლოდინისათვის სპარსთა-სა; გარნა წყალობა ჰყო ღმერთმან, შეიპყრა ბარამ ჩუბინმან სპარსთა მეფე ორ-მუზ ცოლის-მმათურთ და დასწვნა თვალნი და ქასრე ძე მისი ბრძოლასა შინა აოტა. ხოლო ქასრე ლტოლვილი მივიდა წინაშე კეისრისა მავრიკისა; ამან ქასრეს მისცა ასული თვისი ნაკრიგ ცოლად და სპანი ძლიერნი[2]; (არამედ იურ-ვა კეისარმან, რათა არა შურ-აგოს ქართლსა, არამედ იყოს ჩვენ შორის თა-ვისუფლად; ხოლო ქასრემ აღთქმითა დაუმტკიცა და განთავისუფლდა ივერია).

მარზაპანსა საქმე ესე... და ვითარცა მიიყვანეს იგი მარზაპნისა მის ზენა-სოფლად სო-ფელსა, რომელსა ჰქვიან რეხა... შემდგომად მრავლისა გვემისა ქვითა განტკინეს" (მ ა ბ-ც ხ. შ ი ო-მ ღ ვ. 47-48.,—*H. de G.* I, 233, n. 2).

მ ა რ ზ ბ ა ნ ი, მ ა რ ზ პ ა ნ ი, მ ა რ ხ ა პ ა ნ ი წარმომდგარია სპარსულის სიტყვე-ბიდამ: მ ა რ ზ — საზღვარი ბ ა ნ — მცველი; თვით მარზბანი ჰნიშნავს „საზღვრის მცველსა" და ძველადვე ხმარებულია სპარსეთში (Saint-Martin, *Mém. sur l' Arm.*, I, 320, n. 2) და მიღებული სომხეთშიაც და საქართველოშიაც. როდესაც სომხეთი და-იყვეს ვიზანტიამ და სპარსეთმა, იმის შემდეგ უმთავრესი გამგე სომხეთისა სპარ-სეთის მხრით იწოდებოდა მარზბანად (Lebeau, *H. du B—E.*, VI, 258). საქართველო-ში ეს სახელ-წოდება შეგვხვდება ვახტანგ გორგასალის დროდამ: „ვრქვა მოხუცებულთა და მარზაპანთა ჩემთა" (ქ-ცხბ., I, 136). შემდეგში ნახე ერთ საეკლესიო წიგნზე წარწე-რა 1053 წლისა, რომელშიაც მარზაპანად იხსენიება ბოცო ჯაყელი (Brosset, *Voyage archéol....* XI Rapp., 30) და ქ-ცხბშივე დედოფალის რუსუდანის მეფობაში (1223—1247): „იცით და გახსოვთ ყოველთა მარზაპანთა და ერისთავთა" (ქ-ცხბა, 349).

1. „თეატრის მატიანის მწერალი ჰმოწმობს, რომ იუსტიანე კეისარმან მოსცა შე-წევნა სომეხთა სპარსთა ზედა, რომელი განამართლებს აქა წერილსა და გიორგიელთა". ვახუშტი.

თეატრი ჩვენ არსად შეგვხვედრია. ის კეისარი კი, რომელსაც აქ ვახუშტი უჩვენებს, უნდა იყოს იუსტინე II, ძმის-წული იუსტინიანე I-სა, კურაპალატად წოდებული, რომელიც იმის შემდეგ გამეფდა 565—578 წ. მართლადაც იუსტინე II ებრძოდა სპარსებს. აქ ვა-ხუშტის ეთანხმება თვით ლებოს ცნობაც (Sabatier, *Descr des mon. byzant...*, II, 222—223.—Lebeau *H. du B—E.*, X, 144).

2. ბარამ ჩუბინზე და აქ შემოტანილ გარემოებაებზე ნახე Malcolm, *H. de la Perse*, I, 223—229; *H. de la G.*, I, 221, n. 1 და ვრცლად Lebeau, *H. du B—E.*, X, 92—93, 10, 100—101, 280—314.

მოვიდა და დაიპყრა სპარსეთი ქასრემ; არამედ კუროპალატი მეფობდა კეთილად; გარნა ერისთავნი ვერ სცვალნა, ვინაჲთგან გუჯარითა აქვნდათ (მფლობელობა) კეისრისა და სპარსთა მეფისაგან, გარნა მორჩილებასა შინა გვარამისსა იყვნენ. კვალად მოკვდა კათალიკოსი სამოელ და დასვა სამოელვე; შემდგომად თვითცა გარდაიცვალა 600 წ., ქართ. 352 [1].

1. „ამ ჟამებთა ცილება იქმნა ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოებისათვის; ხოლო კვირონ ანუ სვიმეონ კათალიკოსმან ქართლისამან განდევნა ცორტავის ეპისკოპოსი შუშანიკის საფლავისაგან და მწვალებლობისათვის სომეხთასა და იქმნა უმეტესი განყრილება. ხოლო ჰერეთი იქმნა სომეხთა წვალებისად მიდრეკილი. ესრეთ სწერენ ეკლესიისა მემატიანენი ქართველნი“. ვახუშტი.

აქ ვახუშტი მოიხსენებს იმ შემთხვევას, რომელიც შეუდგა ხალკიდონის კრებას და რომელმაც ქართველობა და სომხობა ერთი-ერთმანეთს დააშორა სარწმუნოებით. სრული ისტორია ამ შემთხვევისა როგორათაც ქართლის კათალიკოსის კვირიონის მიწერ-მოწერა ამ საგანზე სომხის კათალიკოსთან და უკანასკნელ დვინის კრების განაჩენი (596 წელს), რომელმაც კავშირი ქართველთა და სომეხთა საბოლოოთ დაარღვია, ნაამბობია მე-X საუკუნის სომხეთის მწერლის უხთანესისაგან. მთელი ეს მოთხრობა გარკვეულია ბროსსესაგან. ნახე *Addit à l' H. de la G.*, 1851, p. 107-125. ქ-ცხოვრება ამ საგანზე სრულებით არას ამბობს.

ბაგრატიონების შთამომავლობას გვიამბობენ სხვა და სხვა წყაროები: ქართულნი, სომხურნი და ბერძნულნი და რადგანაც იგინი უჩვენებენ ნათესავურ კავშირს ბაგრატიონებისას, ამისთვის საჭიროა ეს საგანი გავარკვიოთ, რამდენადაც კი ადგილი ნებას მოგვცემს.

ამ საგანს შეჰხებიან, სხვათა შორის, სენ-მარტენი (*Mém. sur l' Arm.*, I, 418—420; Lebeau, *H. du B—E.*, VII, 274, n. 3, 275, n. 1) და მეტადრე ბროსსე, რომელსაც თავის ვრცელს სტატიაში *Histoire des Bagratides géorgiens jusqu' au commencement du* XI *siécle* (*Addit. à l' H. de la G.*, 1851, p., 138—188) ყოველივე ცნობა შესახებ ამისა შემოუკრებია და გაურკვევია.

„ქ.-ცხპის თქმულება ბაგრატიდების შთამომავლობაზე, ამბობს ბროსსე, აღბეჭდილია ძველისა და ღირს-შესანიშნავის ბეჭდით. ვიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენი (912—959) გვიამბობს თავის თხზულებაში იმპერიის გამგეობაზე (დაწერილია 952 წელს): „უნდა ვიცოდეთ, ამბობს იგი, რომ იბერიის კუროპალატნი იქადიან თავიანთ შთამომავლობით ური დედა-კაცისაგან, რომელიც აცდუნა წინასწარ-მეტყველმა მეფე დავითმა და იგინი თავის გვარ-ტომობას უკავშირებენ დავითს ამ დედა-კაცისაგან შობილის შვილთაგანით და ამის გამო ჰგონიან თავიანთ თავს ნათესავად წინასწარ-მეტყველის მეფე-დავითისა და მაშა-სადამე თვით მისგან შთამომავალის ღვთის-მშობლისა. ეს არის მიზეზი, რომ იბერიის მთავრებს სამძიმოდ არ მიაჩნიათ, ძველის ურიების ჩვეულებისამებრ, ნათესავის შერთვა. იმათ თქმით, იგინი გამოსულან იერუსალიმით და ჩვენების ძალით დამყარებულან სპარსეთის მხარეში, რომელსაც ახლაც ჰფლობენ. ისინი ყოფილან ორნი ძმანი დავით და სპანდიატესი. ამ უკანასკნელს, როგორც იგინი გვიამბობენ, ის ძალა თურმე ჰქონდა მინიჭებული ღვთისაგან, რომ ბრძოლაში საჭურველს არ შეეძლო იმისი დაკოდვა არა რომელ სხეულის ასოში, თუ არ გულში. ამ გვარად აღჭურვილი სპანდიატესი შეუხებელი გადურჩა ომებს და საშიში იყო სპარსთათვის. სპანდიატესმა

## მთავარი სტეფანოს I (600 – 619).

დაჯდა მე გვარამ კუროპალატისა სტეფანოს. არამედ ამან ვერ იკადრა წოდებად მეფობისა სასჯელითა სპარსთა და ბერძენთა რიდითა; გარნა ერის-

სძლია სპარსებს, დაიმონავა იგინი, დაამკვიდრა თავისი გვარი შეევალს ადგილებში, სადაც ახლაც იმყოფება, ძალიან გავრცელდა და დიდ-ტომად შეიქნა... დროდამ იმათ გამოსვლისა იერუსალიმით და შემოსვლისა აწინდელს ქვეყანაში გავლილა ოთხი ანუ ხუთასი წელი აქამდე, როდესაც ჩვენ გულ-მხურვალე ქრისტიანენი იმპერატორები კონსტანტინე და რომანი ვცხოვრობთ მე-10 ინდიკტ. 6460 წ. (ესე იგი 952 ქრ. შემდეგ).

„კონსტანტინეს ჩვენებით ბაგრატიდები უნდა გამოსულიყვნენ იერუსალიმიდამ 452 ანუ 552 წელს ქრისტეს შემდეგ. თუ ჩვენ მივიღებთ უკანასკნელს წელს, როგორც უახლოესს გვარამის დროისას, მაშინ აღმოჩნდება, რომ ქ.-ცხბის გარდამოცემა ნამდვილად მე-VI საუკუნეს ეკუთნის. ეს-კია, რომ ბაგრატიდების წინაპარნი, კონსტანტინეს დავითი და სპანდიატესი, ქ.-ცხბაში არ არიან ცნობილნი; თვით მათს უკანონო შვილობას ქ.-ცხოვრება არ აღიარებს.

„შევნიშნოთ ისიც, რომ ორივეს მხრით აქ იბერიის კუროპალატებად იგულისხმებიან მთავარნი დასავლეთის საქართველოსანი და მეორე ნაწილიც თქმულებისა, რომლის ჩვენებით ბაგრატიდები მოსულან მე-VI საუკ. ზემო-სომხეთში, წინააღმდეგს არას შეიცავს და სომხეთის წყაროებსაც სრულებით ეთანხმება. ეს საგანი ვრცლად გამოუკვლევია ლუკა ინჯიჯიანს, რომელიც გვიამბობს შემდეგს:

„როდესაც ნაბუქოდონოსორმა ტყვენი მიჰრეკა თავის სამფლობელოში, სომხეთის მეფემ ჰრაჩემ (700—678 ქრ. წინათ) გამოსთხოვა მას ერთი დატყვევებულთ ურიათაგანი შამბათი, შემდეგ სემბათი. იოანე კათალიკოსი გვარწმუნებს, ვითომც შამბათი იყო იუდას ტომის მეფის შთამომავალთაგანი, მაგრამ ეს თქმულება იოანესი შემდეგ უნდა იყოს მოგონილი, რადგანაც ძველი გარდამოცემა ამას არ უჩვენებს. ერთი შამბათის შთამომავალთაგანი იყო ბაგარატი ანუ ბაგრატი, რომელმაც დაიმსახურა კეთილ-მიდრეკილება სომხეთის მეფის ვაჰარშაკისა (149—127 წ. ქრ. წინ). რადგანაც ის პირველად მიემხრო ამ მეფეს, მან ჯილდოდ მიიღო მემკვიდრეობით ღირსება როგორათაც „თაგადირისა,“ რომლის ძალით მხოლოდ მას შეეძლო გვირგვინის დადგმა მეფის თავზე (მოსე ხორენ. I, II, 3), აგრეთვე ასპიეტისა ანუ მხედართ-მთავრისა, და ამასთანავე უპირატესობა ყველა კეთილ-შობილთ გვართა შორის სომხეთში. ბაგარატის სახელიდამ წარმოსდგა გვარი ბ ა გ რ ა ტ უ ნ ი, ქართველების ბ ა გ რ ა ტ უ ნ ი ა ნ ი ანუ ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი. არტაშეზ II-ს დროდამ (30—20 წ. ქრ. წინ) იმათ მიენიჭათ ტან-საცმელი, კუთვნილი მეფის შემდეგ უპირველესის პირისა და ამასთანავე სამხედრო და სამოქალაქო გამგეობა თითქმის ნახევარის სამეფოისა... ბაგრატიდები განაგებდნენ სპერის მხარეს, ტაიკისა ანუ ქართველების ტაოს-კარის შუა-გულში. აქ ისინი ისხდნენ სემბატავანის ციხე-სიმაგრეში: ეს ციხე იყო აშენებული ბიურატის შვილის სემბატისაგან, რომელსაც სემბატ ბივრიტიანად იხსენიებს თვით ქ.-ცხბა. აზორკისი და არმაზელის მეფობაში (87—103 წ. ქრ. შემდ.) შესაძლებელია, რომ ეს მხარე მათ მისცა სამკვიდრებელად ვაჰარშაკმა და ამი-

თავით-მთავრად ჰსადოდენ [1]. ხოლო იყო ესე სტეფანოს ურწმუნო და უშიში

თივე აიხსნება ისიც, რომ ბაგრატიდებს აქ ჰქონდათ თავისი რეზიდენცია და აქედამვე ნათესავურის კავშირით აფხაზეთის მეფეებთან მე-X საუკუნეში გაავრცელეს თავისი უფლება და საქართველოს მეფეებად დასხდნენ."

აქ ჩვენის მხრით უნდა შევნიშნოთ, რომ, თუმცა, როგორც ზემოთაც გთქვით, ნათესავურ კავშირს სომხეთის ბაგრატიდებისას საქართველოს ბაგრატიდებთან ჩვენ არ უარ-ვყოფთ; მაგრამ როდის და რა გვარად იწყობა ეს კავშირი, ამის შეურყეველს საფუძველს არ გვაძლევენ ის ცნობანი, რომელნიც ბროსსეს მოჰყავს. მოვლობელობა სომხეთის ბაგრატიდებისა მე-X საუკუნემდე ტაოს-კარში ანუ აწინდელს ჭოროხის ხეობაში არა თუ საეჭვოა, არამედ არხეოლოგიურის ფაქტების წინააღმდეგიც არის, რადგანაც ამ ფაქტების მოწმობით არა-ვითარი კვალი სომხეთის ბაგრატიდებისა არსად ჭოროხის ხეობაში არა ჩანს, როგორც შემდეგ ვნახავთ, არც მე-X საუკუნეში, არც იმის წინათ.

1. ამ თქმულებას ქ-ცხბისას ჰმოწმობენ წარწერანი ჯვარის-მონასტრისანი, მცხეთის პირდა-პირ, მთაზე: ამ წარწერაებში მოხსენებულნი არიან სტეფანოსი და ადარნასე მთავრებად და არა მეფეებად; სახელდობრ: „სტეფანოს პატრიკად ქართლისა" და „ადარნასე იპატოსად". იქვეა მოხსენებული ძმა ამ სტეფანოსისა დიმიტრი (Brosset, *Voyage archéol*, 1 Rap , p. 47—50), რომელთაგანაც არის, როგორათაც ქართლის-ცხოვრებაშიაცა ჩანს, აშენებული ეს შესანიშნავი ჯვარის მონასტერი,—ერთი უძველესთა ეკლესიათაგანი, მე-VII საუკუნიდამ აქამომდე შეურყეველად დარჩენილი თავის ქანდაკებით და წარწერაებით. პატრიკი და იპატი ჰნიშნავენ ხელის-უფლებას ვიზანტიელებისას.

რადგანაც ამის შემდეგ ჩვენს ისტორიაში ხშირად იხმარებიან ზოგიერთნი ვიზანტიიდამ შემოტანილნი სახელ-წოდებანი უმაღლესთა ხელის-უფალთანი, რომელნიც ამტკიცებენ ანუ ქვე-ვრდომობას, ანუ კავშირს საქართველოსას ვიზანტიის იმპერიასთან, აქ საჭიროა ვუჩვენოთ იგინი: იმათში პატრიკი, რომელიც უდრის ქვეყნის მმართველს, მთავარს; კუროპალატი, მაგისტროსი, ნობილისსიმი, იპატოსი და სხ. თვით ვიზანტიაში ფუძნდებიან კონსტანტინე დიდის დროდამ (Lebeau, *H. du B.—E.*, 1, 320—322). ვიზანტიის სამეფო სახლი, ალფრედ რამბოს თქმით, არიგებდა ამ ღირსებაებს სომხეთში და კავკასიაში ისე, როგორც პეტერბურგის სასახლე შემდეგ თავის ორდენებსა. ღირსება კუროპალატისა ივერიის დინასტიაში იყო მემკვიდრეობითი. იგი იყო საპატიო მარშალი სასახლისა, როგორათაც საფრანგეთში გრაფი შამპანისა ანუ გერმანიაში გრაფი პალატინი რეინისა. კუროპალატის ღირსება ვიზანტიის იერარხიაში იყო განსხვავებული ღირსება. ნამდვილ კი მაგისტერს ეჭირა უპირატესი ადგილი: ეს ღირსება ეძლეოდა მეფეს ანუ მთავარ-მმართველს. ამ ღირსებით იყვნენ დაჯილდოებულნი, მაგალ., აფხაზეთის მეფე გიორგი; დავით, ბიძა ბაგრატ, მამა და გურგენი, ძმის-წული ადარნასე იბერიელისა; ბაგრატ ძმა იბერიის მეფის აშოტ დავითისა. მეორე ღირსება იყო პატრიკისა... იბერიის მთავრებში პატრიკად ცნობილია აშოტ კისკასესი, ძმა ადარნასე მეფისა. — ვიზანტიის ხელის-უფლებათა ღირსებაებში უფრო გავრცელებული იყო ღირსება პროტოსპათარიათისა... ძალიან ნაკლულათა გართ ცნობებით შემდეგის დაბალის ღირსებაებისგამო: სპათერისა, ჰიპატისა, სტრატორესისა და სხვ. როდესაც ზოგიერთის იმპერატორების სიუხვით ახალნი ღირსებანი ფუძნდებოდნენ, მაშინ ეს ღირსებანი მიენიჭებოდნენ ხოლმე სომხეთისა (და ივერიის) მთავრებს; ამ გვარად, მაგალ., მე-XII საუკ., მათე ედესელი მოიხსენებს ვასილის სევასტოსად, კილიკიის ბარონს თაროს II-ს „პროტოსებასტოსად" (Alphred Rambeaud, *L' Empire grec au dixiéme siécle*. Paris, 1870, p.

ღვთისა[1]. ამის-ზე მოკვდა კათალიკოზი სამოელ და ამან დასვა ბართლომე. კვალად იქმნა შფოთი საბერძნეთის, რამეთუ ფოკა მხედარმან შეიპყრა მავრიკ კეისარი და წინაშე თვალთა მისთა მოუსრნა ძენი მისნი, მერმე მოკლა მავრიკცა და იქმნა თვით კეისარ. მაშინ ქასრემ იწყო ძიებად სისხლთა სიმამრისა თვისისათა და ესე სტეფანოს მთავარი განდგა ბერძენთაგან და მიერთო სპარსთა; ხოლო ქასრემ, რომელი არს ხოსრო, მოსტყვენა და მოსწყა საბერძნეთი და იერუსალიმიდამ წამოიღო ძელი ცხოვრებისა და შეიქცა სპარსეთადვე. შემდგომად აღდგა ერეკლე და შეიპყრა ფოკა კეისარი და დასწვა იგი ცეცხლითა და თვით გაკეისრდა. შეიკრიბნა სპანი ურიცხვნი და წარმოვიდა ძიებად ჯვარისა ცხოველისა და პირველად მოვიდა ქართლს; ხოლო სტეფანოს არა ინება განდგომა სპარსთაგან და განამაგრნა ციხე-ქალაქნი და ბრძოდა ტფილისითგამო (რამეთუ იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი და მინდობილი თავისა თვისისა და მოსწყვედდა ბერძენთა დღეთა მრავალთა). ხამოაკვდეს და მოკლეს სტეფანოს[2] წელსა 619, ქართულსა 371; არამედ ციხის-თავმან არა მოსცა ციხე კალისა; აგინაცა კეისარსა ერეკლეს ესრეთ: „რომელსა გასხენ წვერნი ვაცისა და კისერი

513—514). ამ საგანზე იგივე რამბო ამბობს: *Domestique des Scholae* მხედრობაში იყო უმთავრესი ხელის-უფლება. რექტორატი იყო აგრეთვე ერთი უმაღლესთა სამხედრო ხელის-უფლებათაგანი. მაგისტერიატი, პატრიკიატი, პროკონსულატი (ანთიპატობა) არ იყვნენ მოხელეობანი, არამედ ღირსებანი ანუ ადმინისტრატიულნი საკეთილ-შობილო ხარისხნი; იგინი იყვნენ მე-X საუკ. უმაღლესნი ღირსებანი მთელს იმპერიაში შემდეგ კუროპალატისა, ნობილისსიმისა და კესარისა, რომელნიც ეკუთნოდნენ იმპერატორის გვარის წევრთა. ყოველს მაღლად დადგენილს პირს ერთსა და იმავე დროს ეპყრა ღირსებაც და მოხელეობაც, მაგალ. მაგისტრობა და დომესტიკობა (ib. p. 11. n. 4).

1. „ამ ჟამთა აწამეს ქრისტესთვის ესტატე მცხეთელი კათალიკოსობასა შინა სამოელისსა.“ ვახუშტი.

ამაზე ნახე *H. de la G.*, I, 226, n. 5 და მამ.-ცხ. შიო-მღ., 55—60. ამ მამ-ცხბიდამა ჩანს, რომ ხოსრო ფერვიზის დროს (590—628 წ.) ტფილისში იჯდა არვანდ გუშნასპი ქართლის მარზაპანად; სამოელ კათალიკოსად; ქართლის პატიახშად არშუშა და წმ. ესტატე შემოვიდა სპარსეთიდამ მცხეთას „წელსა მეათესა ხვასრო მეფისასა,“ მაშა სადამე 600-სა.

2. „მავრიკი იმპერატორი ფოკამ გადმოაგდო ტახტიდამ და მოკლა 602 წელსა შემდეგ 20 წლის მეფობისა. ეს გარემოება სრულებით ამართლებს ქ.-ცხოვრების თქმულებასა. ხოსრო ფერვიზმა დაუწყო ომი ფოკას 604 წელს.“ (*H. de la G.*, I, 224, n. 1. ნახე აგრეთვე Lebeau, *H. du B—E.*, X., 413—419.)

„და მოკლეს სტეფანოს.“ ამ სტეფანოსად უნდა იგულისხმებოდეს ვიზანტიელთ მწერალთ ბარზამუზესი, მთავარი (*arkhon*) იბერიელთა, რომელიც, იმათ თქმით, მიემხრო სპარსთა და რომელიც ჩაუვარდა ხელში ერეკლე იმპერატორს, როდესაც ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა 12 დეკემბერს 627 წელს მდინარის ზაბის მახლობლად (*H. de la G.*, I, 226. n. 1.—Lebeau, *H. du B—E.*, XI, 134).

კაც-ბოროტისა". მსმენელი კეისარი იტყოდა: „არა არს თქმული ესე ცუდ"; მოა-ღებინა წიგნი დანიელისა და ჰპოვა მას შინა: „გამოვიდეს ვაცი დასავლეთისა და შემუსროს რქა აღმოსავლეთის ვერძისა". განიხარა წინასწარ-მეტყველებისათვის და წარვიდა სპარსეთად; ხოლო ტფილისს დაუტევა ერისთავი თვისი ჯიბღუ[1] და მთავრად ქართლისა ადარნასე, ძე ბაკურ მეფისა, რათა ბრძოდნენ ციხესა; გარნა მათ მცირეს სანს წარუხვნეს ციხე კალისა და გამოიყვანეს ციხის-თავი, განუტეხნეს პირი დრაჰკანითა წინასწარ-მეტყველებისათვის კეისრისა; შემდგო-მად განხადეს ტყავი კადნიერებისათვის კეისრისა უშვერთა და მისწიეს კეისარსა ტყავი მისი. მაშინ კვალად წარუხვნეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღვის პირნი ეგრისის-წყალს-იქითნი; ხოლო შვილნი სტეფანოს მთავრისანი დაშთნენ კლარჯეთს და მუნ იზრდებოდნენ და სხვა ყოვ-ელი იბერია დაიპყრა ადარნასემ, ძმან ბაკურ მეფისმან[2].

## მთავარი ადარნასე I (619—639).

ხოლო მთავრობდა ესე ადარნასე იბერიასა ზედა; არამედ ერისთავნი იყ-ვნენ თვის-თვისთა საერისთავოთა შეუცვალებლად და მორჩილებდნენ ადარნასეს. ამის-ზე მოკვდა კათალიკოსი ბართლომე და ამან დასვა იოანე. ამ ადარნასეს

1. ჯიბღუ ანუ ხაზართ მთავარი ზიბელი (*H. de la G.*, I, 226, n. 5).

2. აი ბროსსეს შენიშვნით ერეკლეს გალაშქრების შემთხვევანი, რომელნიც ეჩვენე-ბენ ზოგიერთ კავშირს საქართველოს ისტორიასთან: „ერეკლე შევიდა სომხეთით პონტში 622 წ., ზამთრის დამდეგს; 623 წ. ომის ბოლოს განვლო ადერბიჯანი და დაიზამთრა ალბანიაში; 624 წ. ერეკლე დასტოვეს ლაზებმა, აბაზგებმა და ივერიელებმა, რომელნიც ბლომად იყვნენ იმის ჯარში; 626 წ. ის შევიდა ლაზიკაში, სადაც სდევნა სპარსეთის ჯარის უფროსს საის და დიდად აიკლო მხარე. იმავე წელს ერთი-ერთმანეთი ნახეს ტფი-ლისის ციხე-სიმაგრესთან ერეკლემ და ხაზართა ხაყანმა ზიბელმა პირის-პირ სპარსთა, რომელთაც ეჭირათ ქალაქი. ამ დროს უნდა შეჰზმიყო ერეკლე ქართლის მთავარსა. 628 წ. ხოსრო ჩამოაგდო ტახტიდამ იმისმა შვილმა კობად-სიროემ, რომელმაც ბერძნებ-თან დაზავება მოახდინა და ძელი ცხოველი დაუბრუნა მათ. მეექვსე გალაშქრების შემ-დეგ ერეკლე შევიდა სომხეთში, რომელმაც სურვილი გამოაცხადა ხალკიდონის კრების წეს-დების მიღებისა. შემდეგ გასვლისა კონსტანტინეპოლით, ესე იგი მეშვიდე წელს, 629 წელს, ერეკლე დაბრუნდა კონსტანტინეპოლშივე." (Lebeau, *H. du B—E.*, XI, 91, 102, 105, 114, 118, 160.—*H. de la G.*, I, 225, n. 4).

ამ დროს ხაზარებზე და აგრეთვე ხ ა ყ ა ნ ი ს მნიშვნელობაზე ნახე Lebeau, *H. du B—E.*, XI, 114—117.

„ჩვენნი მემატიანენი ქართლისა სწერენ ძველს ეკლესიის მატიანეს ბაგრატიონთა-თვის, რამეთუ რა მიუღეს ბერძენთა სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირნი და ეგრი-სის მდინარის-იქითი, კვალად შექცევასა კეისრისასა მოვიდნენ ბერძენნი და აღწერეს სრულიად ივერია ანუ საქართველო." ვახუშტი.

მთავრობის მესამის წლის შემდგომად გამოჩნდა მაჰმედ მოძღვარი სარკინოზ-თა. კვალად მოკვდა კათალიკოსი იოანნე და დასვა ბაბილა; ხოლო კეისარ-მან მოსტყუვნა სპარსეთი, მოკლა ქასრე და წამოიღო ჯვარი პატიოსანი და მოვიდა კვალად ქართლს და განავლინა ქადაგნი, რათა შევიდნენ ყოველნი ქრი-სტიანენი ეკლესიათა შინა და სხვანი ურწმუნონი გარე მოისრნენ; არამედ ურ-წმუნონიცა შეერივნენ ქრისტიანეთა თანა და არა ინებეს ქრისტიანე ყოფად. მაშინ მიავლინა კეისარმან მახვილი და მოსრნა, რამეთუ მდინარენი სისხლისანი სდიოდნენ ეკლესიით გამო და განსწმინდა სჯული ურწმუნოთაგან; შეკლო და წარიღო მანგლისიდამ ფერხის ფიცარი უფლისა და ერუშეთიდამ სამსჭვალი. ამისთვის ეკედრა ადარნასე მთავარი, რაისა არა მიუხვნეს ნიშნი ესე, არამედ არა უსმინა და წარუხვნა. შემდგომად მოკვდა კათალიკოსი ბაბილა; ამანვე დასვა თა-ბორ. შემდგომად მოკვდა ადარნასე წელსა 639, ქართულსა 391.

## მთავარი სტეფანოს II (639—663).

მთავრად დაჯდა ძე მისი სტეფანოს[1] და ვერცა ამან იკადრა სახელი მე-ფობისა წოდებად, არამედ იყო მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა და გან-მწმენდელი სჯულისა; ხოლო გამოჩინებულ იყო მოძღვარი სარკინოსთა მაჰმედ (წელსა 622, ქართ. 374) და დაეპყრა ყოველი არაბეთი და იამანეთი. მოკვდა იგი და დაჯდა მის წილ აბუბექირ[2]. ესე შევიდა ბაღდადს და დაატყვევნა სპარ-

1. მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას მაშინდელს ქართულს ვერცხლის ფულებზე ანუ მანეთებზე. ერთს იმათგანზეა წარწერა ႵႰႨ, მეორეზე ႨႰ, მესამეზე ႱႲႱ, მეოთხეზე ႱႲႴႠႬႭႱ, მეხუთეზე ႱႲႤႴႠႬႭႱ, მეექვსეზე ႢႭ; მეშვიდეა უწარწერო და ყველაზე წარმოდგენილია ცეცხლის მსახურთ ემბლემა ჯვარითურთ სტეფანოსისაზე და უსახელოზე; გარდა ამისა მანეთები მონოგრამებით: ႵႰႨ, ႨႰ, ႱႲႱ, ႱႲႤႴႠႬႭႱ და ႢႭ უჩვენებენ სპარსეთის მეფეს სასსანიდების დინასტიისას ორმუზდს IV (579—590), მეშვიდე მეფობის წელში; ႱႲႤႴႠႬႭႱ—ხოსრო ფერვისს (590—628) მეორე წელში; უსახელო-ბარამ ჩუბინს ანუ ვარაჰრან VI პირველ წელში. ამ მანეთების განხილვაში შესუ-ლან განსაკუთრებით: კნ. ბარათაევი, ბართოლომეი, ლანგლუა და ბროსსე. რომ ხსენებულ-ნი წარწერანი უჩვენებენ ვახტანგს (რომელსაც გურგასალად ჰხადიან), გურგენს, სტეფანოსს ამაზე ეჭვი არა აქვთ; მაგრამ ეს უკანასკნელნი ქ.-ცხოვრების პირნი არიან, თუ სხვანი, რომ-ლებზედაც ჯერ ცნობა არა გვაქვს, ამ საგანზე ყველა ნუმიზმატები ერთგვარ არ აზრო-ბენ. უსახელო მანეთს ლანგლუა მისთვისებს გვარამ ბაგრატიდს. მანეთის ႢႭ-სგამო დიდი ბაასი ასტყდა. ბართოლომეი ამ სიტყვაში ჰპოებდა ჯერ ჯავახოს, მასუკან ჯ ვ ა რ ო; ბარათაევი, ლანგლუა და ბროსსე ჯ ვ ა ნ შ ე რ ს, მაგრამ რომელი ჯვანშერ უნდა იყოს— ერისთავი მე-V საუკ., თუ მეფე მე-VIII საუკ. ესეც გამოსაკვლევია (Langlois, *Essai de classif...*, 20—32.—*Mél. Asiat.*, IV, 162—171).

2. „ბარონია სწერს მაჰმედის გამოჩენასა ქორონიკონსა (?) წელსა და მეფობასა 9 წელ-სა და სიკვდილსა 630 წელსა; ხოლო აბუბექირისას მეფობას 2. წელსა." ვახუშტი. მაჰმედი იშვა, ლებოს აზრით, 570 წელს; სილვესტრ დე სასის ანგარიშით 569—

სთა იმ ჟამებით ცეცხლის-მსახურება და ჰყვნა სარკინოსად (რამეთუ შესვლი-თგან ერეკლე კეისრისა შეპყრობილ იყვნეს სპარსნი და ვერღარა წინააღუდგნენ). მოკვდა აბუბექირ და დაჯდა ომარ. ესე უმეტეს განძლიერდა; ამისთვის გამო-ვიდა ერეკლე კეისარი ბრძოლად მისა პალესტინეს შინა; არამედ აუწყა მოხა-ზონმან ვინმე, რამეთუ „მისცა ღმერთმან აგარიანთა აღმოსავლეთი; უკუ-იქეც". ხოლო შექცევასა კეისრისასა დაჰფლვიდნეს საგანძურსა ბერძენნი; ხოლო სტე-ფანოსს ესხნეს ორნი ძენი მირ და არჩილ. დროსა ამას გაჰყო საგანძური თვი-სი სტეფანოს, ნახევარი მისცა მირს და ნახევარი არჩილს. კვალად საგანძურნი ქართლის ეკლესიათა დაფლეს არდილსა მცხეთისასა. შემდგომად სტეფანოს და მირ წარვიდნენ ეგრისს; ხოლო არჩილ საგანძური დაფლა უჯარმის ხევსა შინა და საგანძურნი ქართლისა გორს, რომელი კეისარს ერეკლესვე განეჩინა. ამისა შემდგომად არჩილცა შევიდა ეგრისს და მუნ ყოფასა შინა მოკვდა სტეფანოს მთავარი წელსა 663, ქართულსა 415.

## მეფე მირ (663—668).

შემდგომად გამეფდა ძე სტეფანოზისა მირ. ამის მეფობის მეოთხესა წელ-სა, ეგრისს ყოფასა შინა, კათალიკოსობასა თაბორისსა მოვიდა მურვან ყრუ, დის-წული მაჰმედისა სპითა უამრავითა; ვერვინ წინააღუდგა, შემუსრა სომხითი, ქართლი, რანი და ყოველი კავკასია; ხოლო სცნა რა მეფისა ეგრისს ყოფა, მოვიდა არგვეთს და მუნ ეწყვნენ მუხნეურნი მთავარნი დავით და კოსტან-ტინე და მოსწყვიდნეს სპანი მისნი მრავალ-გზის. შემდგომად მბრძოლნი შეიპ-ყრნეს და მოჰკვეთნეს მურვან ყრუსა; ხოლო იგი აიძულებდა უარ-ყოფად ქრი-სტესა; არამედ მათ არა ისმინეს და მოსწყვიდნა ტანჯვითა ქუთათისს [2]. მეფე მირ

571 (Lebeau, *H. du B—E.*, XI, 59 და n. 3); იუსტინე II იმპერატორის მეფობაში და მოკვდა 8 ივნისს 632 წ. ერეკლე იმპერატორის დროს. აბუბეკრი, მაჰმედის სიმამრი და მემკვიდრე მოკვდა 23 აგვისტოს 634 წელს (ib., 185, n. 1, 187; 216, n. 1).

სარაცინნი ანუ მართლ-წერით სარკინ ბერძნულად *saras kyon*—„სარას მონა-ნი." ამ ლექსს აქვს თავისი საფუძველი აგარისა და იმის შვილის ისტორიაში (*H. de la G.*, I, 234). ამის გამო არაბნი და მუსულმანნი აგარიანებადაც იწოდებიან ქ. ცხ-ბაში, როგორათაც სხვათა ქრისტიანეთა მატიანებში.

622 წ. 16 ივლისი მაჰმადიანთ წელთა-თვლის დასაწყისია (Lebeau, XI, 69—70).

1. ხრონოლოგიურის რიგით უმთავრესი ფაქტები არაბებზე, რომელთაც გასაოცა-რის სისწრაფით დაიმონავეს მრავალი ქვეყანა და შეარყიეს ძალა ორის უმთავრესის იმპერიისა-ბიზანტიისა და სპარსეთისა, არიან შემდეგნი: მაჰმედი იშვა, როგორც მოვიხ-სენეთ, 570—571 წ. და მოკვდა 632 წ. მის მემკვიდრედ ანუ ხალიფად (მადგილედ) დაჯდა აბუბეკრი, რომელმაც შემოჰკრიბა და თავებად დაჰყო ალყორანი ანუ ყორანი და დაიპყრა კუნძული კიპრისა. აბუბეკრის მემკვიდრემ ომარმა (634—644) აიღო დამასკი,

ჩუვნენ მირ და არჩილ ანაკოფიასა შინა, სადაცა არს ხატი ჴელთ-უქმნელი დე-დისა ღვთისა. მივიდა მურვან ყრუ და მოადგა გარს. მას ჟამსა იქმნა სასწაული სარკინოზთა შორის, რამეთუ აღშფოთდნენ და ესმათ ხმა მეფეთა ზეგარ-

ფინიკია, ანტიოქია და იერუსალიმი და ეგვიპტიდამ მოყოლიებით ეფრატამდე ემირად დააყენა მოავია. ომარის მოადგილემ ოთმანმა (644—656) განდევნა აფრიკიდამ ვიზანტიელები და 651 წ. დაარღვია სპარსეთის სახელმწიფო და უკანასკნელი სპარსეთის მეფე იეზდეჯერი განდევნილი მოკლულ იქნა 652 წ.; იმისი შვილი ფერუზი ჩინეთში სამსახურით ირჩენდა თავის თავს. ოთმანის მემკვიდრეობა დაიჭირა დამასკში, ანტიოქიაში და ეგვიპეტში მოავიამ (656—680). იმის დროს არაბებმა აიოხრეს იმპერია და თვით კონსტანტინეპოლზე ჯერ-ჯერით მივიდნენ. მოავიას შვილის იეზიდის (680—683) შვილი მოავია II მოკვდა 683 წ. და იმისმა შვილმა აბდულ-მელიქმა (693—705) დაიმონავა მთელი აფრიკა გიბრალტარამდე. იმის შვილებთაგანი ხალიფად დაჯდა ვალიდი (705—715), რომლის დროს არაბებმა დაიჭირეს სოღდიანი, ბუხარა, სამარყანდი სიგუნამდე ანუ იაქსარტამდე; ხარიზმი ანუ ახლანდელი ხივა იმისი მოხარკე გახდა. გარდა ამისა არაბნი შევიდნენ ინდოეთში და მთელმა ინდუსის ბასსეინმა იმათი უფლება აღიარა. ვალიდის მხედართ-მთავარი მოსლემა შევიდა კაპპადოკიაში, დაიჭირა ამასია, აიოხრა გალატია, გაემართა ბოსფორით კონსტანტინეპოლზე და ზღვით გაგზავნა ჯარი ხერსონესის დასაჭერად; მაგრამ ბულგარებმა იგი უკუ-აქციეს (Sabatier, *Descr. génér.. des monn. byzant.*, I, 223, 261, 262, 292—293; II, 10, 11, 21, 33, 36, 44—45, Langlès, *Voyage en Perse de Chardin... Notice chronol...*, X, 183—185). ამ საგანს ვრცლად გამოიკვლევს ლებო მე XI—XII წიგნებში.

რადგან შეეხება ჩვენის მხარის დაპყრობას არაბთაგან, ამ საგანზე გვაქვს შემდეგი ცნობები: პირველად სომხეთში შემოდის, შემდეგ 638 წლისა, მოავიას ბძანებით, მოსლემას შვილი ჰაბიბი, რომელიც იჭერს დვინს, ნახჩევანს, ვაია-ძორს და შემდეგ ტფილისს, სადაც აყენებს მუსულმანთ გარნიზონს; ტფილისი არაბების მოხარკე შეიქნება. ხუნანი, გარდაბანი, სამცხე და შავშეთი იმათვე ჩაუვარდებათ ხელში... ამ დროიდამ არაბნი ებრძვიან კავკასიის მხარეში ხაზარებს, რომელნიც იყვნენ ძლიერნი და რომელთაც რამდენჯერმე უკუ-აქციეს იგინი. 717 წელს საქართველოს იმონავებს იეზიდი, მოადგილე ხორასნის მმართველის სულეიმანისა. 731 წელს ხალიფი ჰიშამიჯ ნაცვლად თავის ძმისა მოსლემისა, ჰნიშნავს მერვან ბენ-მოჰამედს მხედართ-მთავრად არაბის ჯარისა კავკასიაში. მერვანი შედის კახეთში, ამარცხებს ალანებს 735 წელს, ხაზარებს 737 წ. და ლეკებს 739 წ.; ჯდება ხალიფად 744 წ. და კვდება 9 აგვისტოს 750 წ. (Lebeau, XI, 319, 335, 358; XII, 129, 165—172, 193, 205.) მურვან-ყრუ, რომელსაც ქართული ავტორი სახელ-სდებს აგრეთვე აბულ-კასიმად, არ იყო მაჰმედის დის-წული, არამედ შვილი მაჰმედ-ბენ-მერვანისა, ძმა ხალიფის აბდულ-მელიქისა და ბიძა ხალიფის ჰიშამისა, რომლის ბძანებითაც იგი იბრძოდა კავკასიაში (*H. de la G.*, I, 245—247).

აქ ხალიფების მოადგილენი მე-VII საუკუნიდამ ისხდნენ ხან ნახჩევანში, ხან დვინში, ხან ერთ-ერთს ადერბიჯანის ქალაქში და ამ უკანასკნელთ თავის ხელ-ქვეით ჰყვანდათ ემირები უმთავრეს ქალაქებში, იმათ შორის თვით ტფილისში. სრული ცნობები ქართულისა და სომხურის წყაროებიდამ შემოკრებილი ბროსსესაგან ხალიფების მოადგილეებზე და ემირებზე ნახე *Addit. à l' H. de la G.*, 1851, p. 248—253.

უნდა შევნიშნოთ ისიცა, რომ შლოსსერის ცნობით, არაბებს ჰქონდათ ასტრონომიული ობსერვატორია ტფილისში (*Всеобщая исторія*... V, стр. 205) და რომ იმათ დროიდამ შემოდის არაბული სახელ-წოდება საქართველოისა ჯ უ რ ზ, ჯ ო რ ზ ა ნ, რო-

დამო: „განვედით ბრძოლად"; განვიდნენ და მოსწყვიდნეს ურიცხვნი მცირედ-თა; არამედ მოიწყლა მირ და სარკინოსნი უკუ-იქცნენ მეოტნი; განვლეს გზა გურიისა და მიიწივნენ ბაღდადს; ხოლო მეფეთა წარგზავნეს დესპანი წინაშე კეისრისა კოსტანტინესა და აცნობეს ესე ყოველი; ამის წილ კეისარმან წარ-მოსცა გჳრგჳნი და შესხმა დიდი, „ვინაჲდგან დაბრკოლებითა თქვენითა უკუ-იქცნენ სარკინოსნი"; კვალად ლეონისთვის მოეცა მკჳდრად ერისთაობა აფხაზ-თა მსახურებისათვის მეფეთასა (რომელ ესე ლეონ პირველი ერისთავი იყო კეი-სრისაგან); არამედ შემდგომად დამძიმდა მეფობა მირ მეფისა, ამისათვის აუწყუნა ყოველნი საგანძურნი არჩილს და შეჰვედრა სამეფო და ასულნი თჳსნი შვიდნი და ამცნო ასულთა თჳსთათჳს, რამეთუ „შენ უწყი, არა შეგვირთავს ასულნი ჩვენნი ერისთავთათჳს, არამედ გარემოთა ჩვენთა მეფეთათჳს, ხოლო აწ მიეც ერის-თავთა საქართველოსათა". კვალად აუწყუნა ყოველნი საგანძურნი თჳსნი დაფლულნი და შემდგომად მცირედისა ჟამისა გარდაიცვალა მირ მეფე წელ. 668, ქართულსა 402

## მეფე არჩილ (668—718).

გამეფდა ძმა მისი არჩილ[1]; ხოლო მისცა ერთი ასული მირ მეფისა გვარამ კუროპალატის მამის ძმის-ასულის ძესა და სხვანი ერისთავთა ქართლისათა, ვითარცა ამცნო მირ მეფესა; არამედ ლეონ ევედრა, რათა მისცეს მასცა ასუ-ლი მირისა და ჭყოს საუკუნოდ მორჩილება მსახურებასა შინა; მისცა მასცა და გჳრგჳნი წარმოგზავნილი კეისრისა კეთილ სტუმრებისა მსახურებისა და საუკუნოდ მორჩილებისათჳს. შემდგომად წარმოვიდა და განაგო ეგრისი, რა-მეთუ მოსვლასა ყრუსასა არა დაშთა შენებული ივერიასა შინა. კვალად გარდმო-ვიდა ნაცისარსა ხიდრისასა; მუნ მოვიდა მისთანა ადარნასე ბაკრატოვანი, ძმის-წული ადარნასე ბრმისა, ითხოვა ყმობა მკჳდრობისა და მისცა არჩილ შულა-

მელიც წარმომდგარია სპარსულის გ უ რ ჯ ი დ ა მ. (Lebeau, XII, 7, n. 5.) არაბების მწერლობაშივე ვპოულობთ პირველად უცხო-ქვეყნელებთაგან სახელ-წოდებას კ ა ჴ ე თ ი-ს ა ს. (*H. de la G.*, *Introd.*. p. v, vi).

დავით და კოსტანტინეს წამებაზე ნახე *Eléments de la langue géorg.*, p. 268—283 და მ ა მ.-ც ხ. შ ი ო-მ ღ ვ., 78—80. ამ უკანასკნელის ცნობით, „დავით და კოსტანტინე იწამნეს დასაბამითგანთა წელთა 6249, ხოლო ქრისტეს ჯვარცმიდგან 730-სა მეფობასა ბერძენთა ზედა ლეონ ისავროსა ხატთა მბრძოლისასა, ხოლო ქართველთა ზე-და ვახტანგ გორგასლისა შვილთასა." მართლადაც მეფენი მირ და არჩილ, როგორა-თაც ხოსროიანნი, მომდინარეობდნენ ვახტანგისაგან. ლეონ III ისავრი მეფობდა 717—741 წ. (Sabatier,... I, 6); მაგრამ 6249 წელი ბერძნულის ქრონიკონის გამოანგა-რიშებით (აქ ნახმარია ბერძნული წელთა-თვლა), უდრის 741 წელს და არა 730-ს.

1. „5 კოსტანტინეპოლის კრება ყოვლისა სოფლისა იყო წელსა 681 და არჩი-ლის მეფობის წელსა 13." ვახუშტი.

ეს კრება გაიხსნა 680 წელს და დაიხურა 17 თებერვალს 681 წელს (Saba-tier,... II, 11).

ვერი და ურტანი; შემდგომად მოვიდა კახეთს და მიუბოძა ტაძრეულთა თვისთა კახეთი და აზნაურნი ჰუენა; მერმე შეირთო ცოლად ასული ძეთა გვარამ კუროპალატისაგანთა, რომელი იყო შვილთა ვახტანგ გორგასლისათა. კვალად ეპყრა საერისთაოდ თუში და ხუნძახი და მთისა წარმართნი აბუხოსროს და არა ინება არჩილ წუქეთიცა მისდა, ვინადგან ჰპოვა წუქეთს მთავარი, რომლისათვის მიებოძა ვახტანგს წუქეთი. კვალად მოესრნა ნოხპატელთა სიმრავლე ურუსა და ნათელ-სცა მათ იძულებით. შემდგომად მოიყვანნა ძმის-წულნი ადარნასე ბრმისანი და დასხნა შაკიხათ და დაემკვიდრნენ იგინი გულგულადმდე და მისცა ქვრივი აბუხოსროსი და წუქეთი ციხე კარითურთ. ამასვე დროსა პატიშხნი [1], რომელნი არა შეუშვნეს კლარჯეთს, წარვიდნენ ნახევარნი ტაოს და აღაშენეს ციხე კალმახი და დაიპყრეს იგი მათ. ხოლო ესვა არჩილს ძენი ორნი იოანე და ჯუანშერ და ასულნი ოთხნი. შემდგომად 50 წლის გარდასვლისა თუმცა იყო მშვიდობა, გარნა არა მოგებულ იყო კვალსავე თვისსა გიორგი, რამეთუ განერყვნა ურუსა, თუმცა განვლო წელიწადმან მრავალმან. მაშინ მოვიდა ნათესავი მაჰმედისა ჭუმჭუმ-ასიმ და ვერვინ წინა-აღუდგა, შემოვიდა, შემუსრა ქართლი და იწყო შესვლად კახეთად (ამისაგან იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა ზედა) წელსა 718, ქართულსა 450. ხოლო არჩილ განიზრახა მისვლად მისთანა და დადვა სული დაცვისათვის ქვეყანისა. მისრულსა არჩილს მოეგება ასიმ და შეიყვარა ახოვნებისა და შვენიერებისათვის და პატივ-სცა ფრიად; შემდგომად აიძულებდა დატევებად ქრისტესა, არამედ არჩილ აღირჩია სუფევა საუკუნო წარმავლისაგან და იწამა გვემითა და ტანჯვითა; შემდგომად აღესრულა წარკვეთითა თავისათა და აწ იხარებს წინაშე ქრისტესა [2]; ხოლო ასიმ უკუ-იქცა და წარვიდა ამის მეოფელი.

## მთავარნი იოანე და ჯუანშერ (718—787).

შემდგომად მისა ძენი არჩილისანი იოანე წარვიდა ეგრისს და წარიყვანა დედა და ორნი დანი თვისნი და ჯუანშერ დაშთა ქვეყანასა ქართლ-კახეთისასა; არამედ იყო უმრწემესი და მისი ფრიად შვენიერებით კეკლუცი. ესმა ამისათვის მეფესა ხაზართასა და მან მოითხოვა ცოლად და აღუთქვა შველა სარ-

1. პატიშხნი: ასეა ყველა ვარიანტებში; უნდა კი იყოს პატიახშნი. ასეც იხმარება ქ-ცბაში: „მოუწოდა პატიახშთა და ერისთავთა“. სომხური პატიახში, ბერძნული *petiax* ჰნიშნავს „საზღვრის მცველსა“. პატიახშებად იწოდებოდნენ გუგარის ანუ ჩვენის სომხეთის მთავარნი. ეს სახელ-წოდება იშვიათი არ არის საქართველოში (S-Martin, *Mém.*, 1, 79.—Langlois, *Collect*..., 1, 34, n. 4; 170, n. 3.—ქ-ცხვ. 1, 57; 122, 137, 146, 148, 173, 175, 179).

2. არჩილის წამებაზე ნახე მ. ა. მ.-ცხ., 228—232 და ბროსსეს შენიშვნა ამ საგანზე *H. de la G.*, 1, 253, n. 2.

ყოვლისთა ზედა; გარნა ამათ არა ინებეს შეგინება სჯულისა თვისისა წარმართისაგან. მცირობამან სარკინოთა მეფემან წარმოავლინა სპასპეტი თვისი ბულჩან; გარდამოვლეს გზა ლეკეთისა და მოადგნენ სადაცა ციხესა იყო ჯუანშერ; ხანსა მცირესა შინა გამოიყვანეს და შემუსრეს ტფილისი საფუძვლითურთ წელსა 731, ქართულსა 483; წარვლეს გზა დარიალისა; არამედ შუმან აღირჩია სიკვდილი, ვიდრეღა შეიგინოს წარმართისაგან. აქონდა სამსალა ბეჭედსა; მოიწოვა იგი და მოკვდა; გარნა სპასპეტმან წარიღო გვამი მისი და ჯუანშერცა წარიყვანა; მივიდნენ სამხრეთის. ხოლო მეფე გაწყრა სიკვდილისათვის შუმანისა და უფრთხილებისათვის სპასპეტისა მოაბმევინა სპასპეტი ცხენის ძუასა და რბენით დაგლიჯეს; ხოლო ჯუანშერ იყო წინაშე მისსა წელი შვიდი, შემდგომად წარმოგზავნა ნიჭითა დიდითა და მოვიდა ქართლს წელსა 738, ქართულსა 490; არამედ დროთა ამათ შინა განირყვნა ქვეყანა, რამეთუ რომელი გამოჩნდის ღირსი მეფედ ხოსროვანი, აგარიანთაგან შემცირდიან; ვინადგან განდიდდა ძალი სარკინოსთა და დაიპყრეს ქართლი და ტფილისი და განმრავლდნენ მთავარნიც იქმნა განდგომილება, ერთი-ერთთა სდომა და კლვანი; ხოლო ჯუანშერ შეირთო ასული ადარნასესი ძის-ძის ძისა ლატავრა, რამეთუ მათ ეპყრათ კლარჯეთი; ამათ დროთა შინა მოვიდა ამირ აგარიანი სახელით ხუასრო (და მთავრობდა სომხითსა, ქართლს და ჰერეთსა; ამან აღაშენა ტფილისი მოოხრებული ხაზართაგან, რამეთუ მოუძლურებულ იყვნენ ბერძენნიცა აგარიანთაგან, ვინადგან მიუღეს ზღვის-გარეთი. მაშინ მამის-წულმან ლეონ აფხაზთა ერისთავისამან მეორემან ლეონ დაიპყრა ეგრისი სრულიად და იწოდა მეფედ აფხაზთა, ვინადგან მოკვდა იოანე ერისთავი წელსა 786, ქართულსა 6, და ჯუანშერცა დაბერებულ იყო და მოკვდა იგიცა წელსა 787, ქართულსა 7[1]. კვალად განდგა გრიგორი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი.

1. „აქა ქართული ქორონიკონი ხუთასიანი 12-ჯერ მოიქცა და 13-სა 6 წელი გასულიყო." ვახუშტი.

ჩვენ ქორონიკონის გამოკვლევაში (გვ. 49, შენ. 2) ვუჩვენეთ, რომ მე-XIII მოქცევა ხუთასიანის ქორონიკონისა იწყობა 780 წელს და თავდება 1312 წელს. ვახუშტი თავის შენიშვნაში ამ შემთხვევას მოიხსენებს; რადგანაც მე-XIII მოქცევას ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ამ საგანზე ჩვენი მკითხველი უნდა შევაჩეროთ. ხუთასიანი ქორონიკონი ჩვენში ხმარებაში შემოდის მხოლოდ მე-XIII მოქცევით და ამას წინათ იმას არც მწერლობაში, არც ეკლესიების წარწერაებში არა ვპოულობთ. თვით ქ.-ცხ-ში პირველათ არის იგი ხმარებული 826 წ. (ქ.-ცხ. I, 189; *H. de la G.*, I, 264). რა მნიშვნელობა აქვს აქ 780 წელს, ან ვისგანა გვაქვს საზოგადოდ მიღებული ხუთასიანი ქორონიკონი? ეს საგანი საფუძვლიანად გამოუკვლევია ბროსსეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ხუთასიანი ქორონიკონი ანუ ციკლი ჩვენ შემოტანილი გვაქვს სირიიდამ. თვით იოანე შავთელი თავის განმარტებაში უწოდს მას სირიულად: „ასურულისა კვიკლოსისა საძიებელი და მასწავლებელი" (*Mém. de l' Acad. des sciences.. t.* XI, № 13, p. 24). რადგანაც ქართველები და ქართული ეკლესია ანტიოქიის ხელ-მძღვანელობას ექვემდებარებოდნენ, არ

# აშოტ კურაპალატი (787—826).

ქუელად დროთავე ამათ განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა [1] ბაგრატოვანისა, რამეთუ სასლად აქუნდა ტფილისი და ბარდავი და გარემო ქვეყანანი. მაშინ შეკრიბა მასლამ საბერძნეთს და უკუ-იქცა გაწბილებული და მოუძლურდნენ სარკინოსნი, ხოლო ტფილისს არღარავინ დაშთნენ სარკინოსნი, თვინიერ ელიშუაზის მისა. ამასვე დროსა შემოიკრიბა აშოტ კურაპალატმან სპანი და მოვიდა ქართლს; ამის მწედ იყო თეოდოსი, რამეთუ სიძე იყო აშოტ კურაპალატისა; ხოლო გრიგოლი კახთა მთავარი მოვიდა და ამას უშველეს მთიულთა და ამირ ტფილისელმან. შეიბნენ ქსანსა ზედა; შემდგომად ბრძოლისა იძლია გრიგოლ მთავარი და მოისრნეს სპანი მისნი და დაიპყრა აშოტ კურაპალატმან ქსნიდამ ვიდრე ჯუარისამდე. შემდგომად მოვიდა ხალიდ იაზიდის ძე არაბი წელსა 791, ქართულსა 13; დაიპყრა სომხითი, ქართლი[2], ჰერეთი და კახ. წინააღუდგნენ აშოტ კურაპალატი და ემაუბდნენ აშოტს. ხოლო აშოტ წარსული

არის გასაკვირველი, რომ სირიელთ სამღვდელო პირთ შემოეტანათ საქართველოში ხუთასწიანი ციკლი ანუ პ ა ს ხ ა ლ ი ო ნ ი. მიზეზი იმის დასაწყისისა არის შემდეგი: ჩვენ ვიცით, რომ ათას-წლოვანი პერიოდი რომისა დასრულდა ქრისტეს შემდეგ 248 წელს, რომლიდამაც იწყობა მე-XII მოქცევა; მაგრამ რომი აღარ არსებობდა იმ დროს, როგორც მსოფლიო მეტროპოლია და აღარ იყო საჭირო მეორე ათასეულის თვლა. ის დრო იყო დასაწყისი იმ ეპოხისა, რომელსაც სომეხნი უწოდებენ ჰორჰომთ ეპოხად ანუ ვიზანტიის ბერძნების ეპოხად. 780 წელს თავდება 248 წლიდამ 532-ნი ციკლი; 6 წლის შემდეგ აშოტ ბაგრატიდის დროს საქართველო იერთებს თავის თავს და ერთ შემთხვევას, რომელიც ჩვენ არ ვიცით, შემოაქვს ამ ქვეყანაში ხუთასიანი ციკლი და ქართველები მის თვლას იწყობენ 780 წლიდამ.“ (Steph. Orbél., *Histoire de la Siounie*, SPB., 1864, I, 58 n. 3.—*Bullet. de l' Acad. des. sc.*, XXII, 455—487).

[1] „ნიკეას ყოვლისა სოფლის კრებაკრეუ წელსა 787, ხოლო აშოტის მეფობისა 1-სა“ ვახუშტი. ამაზე ნახე Sabatier..., გ. 66.

[2] „ამან ამირ აწვამა წმინდა აბო ქრისტესთვის ტფილისს.“ ვახუშტი. ქ.-ცხოვრებაშიაც მოხსენებულია ხალიდა იეზიდის ძე (ქ.-ცხ., 187); მაგრამ ამ პირს ისტორია არ იცნობს. ღირს-საცნობელი ქართული წყარო ამ შემთხვევისათვის არის თვით აბოს ცხოვრება, დაწერილი თითქმის იმ დროსვე, როდესაც იწამა წმ. აბო და ჩართული მე-VIII—IX საუკუნის პერგამენტზე ნაწერს მამათა-ცხოვრება — „ქადაგებათა კრებულში“; ეს წიგნი სვანეთიდამ არის მოტანილი და ახლა ინახება ტფილისის სემინარიის ბიბლიოთეკაში. ჩვენ თვითონ გადაგვივლია თვალი ამ წიგნისათვის და უნდა გამოვტყდეთ, რომ ისე განვითარებულს ენას, რომლითაც ის არის დაწერილი, იმ დროში ჩვენ სრულებით არ მოველოდით; სამეცნიერო საგნები და ტეხნიკური ტერმინები ცხოველად და ადვილმისახვედრათ არის გამოთქმული. ეს წიგნი გვიმტკიცებს უეჭველის ფაქტებით, რომ იმ დროსვე გვქონია ჩვენ მრავალი საერო და სასულიერო თხზულებანი თარგმნილნი და თვით ბიბლიაცა. „იქმნა იგი, ამბობს აბოზე იმისი ბიოგრაფი იოანე საბანისძე, საყვარელ ყოვლი-

გარდამხდარიყო ტბის პირსა ფანავარისასა დედა-წულითურთ და რა ჭამეს პური, მიირულეს მცირედ; დაესხნეს მძინარეთა სპანი სარკინოსთა. მაშინ შეეწია აშოტს ღმერთი და მცირედითა სპითა მოსწყჳდნეს სარკინოსნი ურიცხჳნი და წარიოტნა ყოველნი. შემდგომად წარვიდა შავშეთს; ხოლო შავშეთი იყო უშენი ურჩუსა შემდგომად,

სა ერისა და შესძინა სწავლად ქართულისა მწიგნობრობისა... მაშინ იწყო ზედა მიწევნად და სწავლად წმინდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა სჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოფდა მას და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენდა წმინდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწინასწარმეტყველოთა და მოციქულთა“... „იყო ჟამი, განაგრძობს იოანე საბინისძე, ოდეს ერის-მთავარი ქართლისაჲ სახელით ნერსე, ძე ადარნასე კუროპალატისა და ერის-მთავრისა, მიწოდებულ იქმნა ქვეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან ჟამთა სარკინოსთასა ამირა მუმნისა აბდილაჲსაგან, რომელი იყო ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს, რომელიცა იგი მან აღაშენა...“ „მოკუდა აბდილა ამირა მუმნი და დაჯდა მის წილ ძე მისი მაჰდი...“ „და იყო დღეთა მათ შინა კუალად იყო განრისხებაჲ ხელმწიფეთა მათ სარკინოსთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა და ივლტოდა იგი... და განვლო კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქმის და შევიდა ქვეყანასა მას ჩრდილოჲსასა, სადა იგი არს სადგური და საბანაკე ძეთა მაგოგისთაჲ, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან... ხოლო რაჟამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ხაზართაჲსა, შეიწყნარა იგი უცხოებისათვის... მაშინ ვითარცა იხილა ნეტარმან ჰაბოჲ, რამეთუ განშორებულ არს შიშისაგან მძლავრებისა სარკინოსთაჲსა, ისწრაფა მან მიახლებად ქრისტესა... რამეთუ მადლითა სულისა წმიდისაჲთა მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქვეყანასა ჩრდილოჲსასა, რომელნი სარწმუნოებითა ქრისტესითა ცხონდებიან“... ნერსე ხაზარეთიდამ გადმოდის აფხაზეთში, სადაც იჯდა მთავარი და ეპისკოპოსნი და ქვეყანა მათი იყო „სავსე სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკვიდრ იპოებოდა საზღვართა მათთა. ხოლო საზღვარ მათ არს ზღვაჲ იგი პონტოჲსაჲ, სამკვიდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთაჲ საზღვრამდე ქალდიაჲსა ტრაპეზუნთაჲ. მუნ არს საყოფელი იგი აფსარეჲსაჲ და ნაფსაჲს ნავთ-სადგური“... „ხოლო იყო შემდგომად სიკუდილისა მის ნერსესისა ქართლით წარმოავლინა მაჰდი ამირა მუმნმან სტეფანოს ძე გურგენისა დის-წული ნერსესი ნაცვლად დედის-ძმისა თვისისა ნერსესა ერისთავად ქვეყანასა ქართლად“... აბოს წამების დროს ასე გვიხატავს იმისი ბიოგრაფი: „სუფევასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა, წელიწადსა გნებიდგან და მკვდრეთით აღდგომით, მეფობასა კოსტანტინეპოლის ქალაქსა მას დიდსა ქრისტიანეთა ზედა კოსტანტინესსა, ძისა ლეონისსა, სარკინოსთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუმნისასა ძისა მაჰდისა, ქართლსა შინა კათალიკოსობასა სამოელისსა, ერის-მთავრობასა სტეფანოსისსა ძისა გურგენისსაჲ, დასაბამით გარდასრულთა 6424, თთუესა იანვრისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა განცხადებასა შეგისწავეთ მარტვილობაჲ წმინდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილად მოღვაწისა ჰაბოჲსი ქალაქსა ტფილისსა.“ („კრებული“, გვ. 402—432).

არც ადარნასე და ნერსე, არც სტეფანოს და გურგენ, არც თვით კათალიკოსი სამოელ, რომელთაც აბოს ბიოგრაფი მოიხსენებს, არ არიან ქ.-ცხ.ით ცნობილნი, თუმცა იმ დროებში ნერსეც და ადარნასეც იხსენებიან ტაოს ბაგრატიდებთა შორის (ქ.-ცხ. 193, 198). იოანე საბანიძის თქმით, იგი შეუდგა „ბრძანებითა მამფლისა და უფლისა“ სამოელ კათალიკოსისათა აღწერასა მოღვაწეობისასა „სანატრელისა ახლისა მოწამისა ჰაბოჲსი, რომელი, ამბობს იოანე, დღეთა ამათ ჩვენთა იმარტვილა.“ აქ დარიალი დარიალანად ხსენებული არის ძვე-

ხოლო რომელნი დაშთომილ იყვნენ, მოეგებნენ აშოტს და შეიყვარეს ფრიად. ამან აშოტ აღაშენა და მოიყიდა დაბნები და განამრავლნა სოფლები და. კვალად ახელმწიფა ღმერთმან შავშ-კლარჯთა ზედა და მრავალ-გზის მოსცა ღმერთმან ძლევა ძლიერი სარკინოსთა ზედა და დაიპყრა ქვეყანა ნებითა ბერძენთათა. კვალად გამოვიდა აშოტ, რათა შემოიკრიბოს სპანი; არამედ სპათა შემოკრებამდე დაესხნენ სარკინოსნი და ივლტოდა აშოტ ნიგალით კერძო, რათა ჰპოვოს სპანი თვისნი; მიუდგნენ სარკინოსნი კვალსა, ხოლო აშოტ შეივლტოდა ციხესა არტანუჯისასა; შეჰყვნენ ციხესა სარკინოსნი; არამედ აშოტ შევიდა ეკლესიასა შინა პეტრე-პავლესსა; შეუხდნენ სარკინოსნი და დაკლეს აშოტ კურაპალატი საკურთხეველსა ზედა წელსა 826, ქართულსა 46. ამისნი მცნობელნი ერნი აშოტ კურაპალატისანი ეწყვნენ სარკინოსთა და მოსწყვიდნეს, რომელ—ვერ განერინა ერთიცა; ხოლო შემდგომად აშოტ კურაპალატისა წარუღეს ძეთა მისთა გარემონი ქვეყანანი; არამედ იგინი იზრდებოდნენ შავშეთს და კლარჯეთს და ციხესა არტანუჯისასა. ხოლო სრულ რა იქმნენ ჰასაკითა, დაიპყრეს ნაქონები მათვე მამისა თვისისა და სარკისა მისცემდნენ სარკინოსთა. მაშინ იყო ტფილისს ალიშუბის ძე, რომელი დაედგინა ხალიფს ამირად. მას დროსა განდგნენ გარდაბანელნი და დასვეს ქორიკოზი დაჩი, ძე იოანე კობულისძისა. მოკვდა დაჩი და დასვეს სამოელ დონაური. შემდგომად მოვიდა ხალიფ არაბი; ეწყვნენ გარდაბანელნი, აოტნეს და მოსწყვიდნეს სარკინოსნი, უამრავნი და დაჯდა ტფილისს ამირ საჰაკ ისმაილის ძე. კვალად შემოვიდა მესამედ ხალიფ და მოკლეს ჯავახეთს. შემდგომად მოვიდა მომედ ძე ხალილისა ქართლს. ამას მოერთო ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა; მისცა ქართლი და ჰყო მეფედ. ხოლო საჰაკ ტფილისით გამოვიდა და დადგა რესსა. მივიდნენ

ლი და ნამდვილი სპარსული ფორმა დარ-ი-ალან, რომელიც უდრის არაბულს ბაბ-ალლანს. ქალდიად ძველის დროიდამვე იგულისხმება აწინდელი ჭანეთი. ბაღდადი, თუმცა ქ.-ცხბაში მე-VIII საუკუნეზე ადრევე იხსენიება, მაგრამ, როგორც იოანე საბინისძე სიმართლით შეჰნიშნავს და როგორც ნამდვილად ვიცით, დაფუძნებულია 762 წელს აბდალასაგან, რომელიც მოკვდა 14 სექტემბერს 775 წელს და მის მემკვიდრედ დაჯდა იმისი შვილი მოჰამედ მაჰდი. თვით ხალიფი მაჰდი მოკვდა 3 აგვისტოს 785 წ.; მაჰდის შვილი და მემკვიდრე მუსა ხალიფობდა მხოლოდ 786 წლის 15 სექტემბრამდე და იმის მაგიერ დაჯდა იმისი ძმა ჰარუნ-ალ-რაშიდი. იმპერატორი კონსტანტინე, ლეონ IV-ს ხაზარის შვილი, მეფობდა 780—787 წ. ეს სინხრონიზმი უჩვენებს, ბროსსეს შენიშვნით, რა დროს უნდა მომხდარიყო წამება წმ. აბოსი (*V. arch.*, I Rap., 5—8.—*Add. à l' H. de la G.*, 1851, p. 132—136).

ამ გვარადვე უეჭველია საბინისძის სურათი ხაზართა. აქ ჩვენ აღარ შევაჩერებთ მკითხველს, მაგრამ სად ცხოვრობდნენ ხაზარნი, რა გვარ იყვნენ გაძლიერებულნი მე-VII-VIII საუკუნოებში, ვინ და როდის შეიტანა ხაზარეთში ქრისტეს სჯული—ამ საგანზე, მის ყურადღებას მივაქცევთ Lebeau *H. du B—E.*, XI, 115—119; XII, 57—80, 165—169, 173—174; XIII, 130—133, 174—177.

მომედ და ბაგრატ და შეიბნენ მუნ; ვერცა მან სძლო და ვერცა ამათ და წარვიდა მომედ ბარდავს წელსა 841, ქართულსა 61 [1].

## ბაგრატ კუროპალატი I (826—876).

ხოლო ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა მეფე იქმნა ამ ქვეყანასა ზედა და ამის მეფობისამდე გარდასრულ იყვნენ მაჰმედის გამოჩინებიდამ წელნი 219.

1. აშოტ კუროპალატის დრო ჩვენ გვაძლევს ორ შეურყეველ ფაქტსა ქ.-ცხების სინამდვილისას. ეს ფაქტები არიან შემდეგნი:

ა) აშოტის ძე გვარამ იწოდება მამფალად და, შემდეგ მისა, ეს სახელ-წოდება ანუ ადმინისტრატიული ხარისხი გრცელდება ჭოროხის ხეობის ბაგრატიდებში. ლექსი მამფალი წარმომდგარია სიტყვიდამ „მეფე“ და, რადგანაც ტაოს ბაგრატიდები არაბების შიშით ვერ ჰბედავდნენ მეფედ წოდებასა, ამის გამო იმათ მიუთვისებიათ მამფლობა, რომელიც უდრის მთავარს, პატრიკს, ერისთავს, უფალს. ამ ლექსსვე ხმარობს კონსტანტინე პორფიროგენი მე-X საუკ., როდესაც ის თავის ისტორიულ გამოკვლევაში შეეხება ტაოს მპყრობელთა. ამ ლექსსვე ვპოულობთ იმ დროის ზოგიერთს მანუსკრიპტებში და გუჯრებში; მაგალ. სვანურ სვინაქსარში ანუ „კრებულში,“ სადაც იოანე საბანისძე სამოელ კათალიკოსს მამფლად მოიხსენებს (ნახე ზემოთ, გვ. 119, შენ. 2) და აგრეთვე ბაგრატ IV (1027—1072) ოპიზის სიგელში: „და მოიღეს ოპიზართა გვარამ მამფლისა სიგელი, რომელი ოპიზართათვის დაეწერია.“ აქ შესანიშნავი ეს არის, რომ ხარისხი მამფალი ზემო-ქართლის საზღვრებიდამ თითქმის არ გასულა და ამასთანავე მე-XI საუკუნიდამ, როდესაც მამფლები ერთ-მპყრობელობის დაარსების გამო საქართველოში სრულებით გაჰქრნენ, აღარც ქ.-ცხებაში და აღარც სხვა ძველ მწერლობაში სრულებით აღარ იხმარება (*Add. à l' H. de la G.*, 1851, p. 148.—ქ.-ცხ. ı, 190, 193, 198—200; ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი № 1, გვ. 72, 285);

ბ) წარწერა ოპიზის მონასტრისა, რომელიც მე თვითონ ვნახე 1879 წ. და რომელიც მდებარეობს ჭოროხის ხეობაში, არტვინის მაზრაში, ერთს მიყრუებულს და თითქმის შეუვალს ღელეში. ამ მონასტრის დიდებას და სიმდიდრეს აღტაცებით იხსენიებს ჩვენი მემატიანე მე-XIII საუკუნეში (ქ.-ცხ., 404). მართლადაც მრავალი ნაშთი ოპიზისა ცხადად უჩვენებს იმის წარსულს დიდებას და აშოტის მოღვაწეობას. დიდს თლილის-ქვით ნაშენს პალატზე იკითხვის: „ესე მე აშოტმან ოთხს წელს ავაგე.“ მშვენიერის ხელოვნების ტაძარი, რომელსაც ეტყობა გაახლება და აქამომდე დაუცავს ძველი მხატრობა, წარმოადგენს მარჯვენა კედელზე აშოტ კუროპალატს და იმის დროს სხვა და სხვა უმაღლეს პირთა. ეს მხატრობა ჩემ დროს თითქმის ირყეოდა. აშოტს მიწერილი აქვს: „აშოტ კუროპალატი მეორედ მაშენებელი ოპიზისა და წმინდისა ამის საყდრისა“. (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 4, გვ. 83—84). სიტყვას „მეორედ მაშენებელი“ იმეორებს ქ.-ცხება, თუმცა ეს უკანასკნელი ოპიზის მეორედ მაშენებლად შეცდომით ჰრაცხს აშოტის შვილს გვარამ მამფალსა: „და მოკვდა გვარამ ძე აშოტისა და დამარხეს ოპიზას, მეორედ მისგან აღშენებულსა“ (ქ.-ცხ., გვ. 193).

შემდგომად მოვიდა ბუღა თურქი[1], წარმოვლინებული ბაღდადით ამირ მუმლისაგან, შემუსრა სომხითი, ტყუე-ჰყუნა მთავარნი მათნი, მოვიდა და მოადგა ტფილისს. მოერთო ამას ბაგრატ მეფეცა, შემუსრა ტფილისი და მოიყვანა საჰაკ და მოკლა, რამეთუ არა მორჩილებდა მას. ამას ზედა გამოვიდა თეოდოსი მეფე აფხაზთა ბრძოლად, ხოლო ბუღამ წარავლინა სპასალარი თვისი ზირაქ და ბაგრატ მეფე; შეიბნეს, აოტეს თეოდოსი მეფე და ივლტოდა დვალეთის გზით; არამედ მოქცეულსა ბუღასა გარდაუდგნეს გარდაბანელნი ჯავარის-ბოლოს და ავნეს დიდი სპათა მისთა. ხოლო ბუღა მივიდა და დადგა ჭართალეთს და ლამოდა შესვლად ოვსეთად, არამედ აზრახსნეს მთიულნი აბუბაზ სომხითის ერისთავმან და გვარამ მამფალმან არა შეშვებად ბუღაჲ; ამისთვის განწირნეს მზვავალნი მთიულთა და დაუდგნეს სიმაგრესა; ესწრათ თოვლიცა და მოსწყუდნეს ურიცხვნი ბუღასნი. კვალად მოსწყვიდნა ცხენნი მათნი ყინვამან; შემოიქცა და დაიზამთრა ბარდავს; შეიპყრა ხუცისა ვისიმე ძე, რომელი მთავარ იყო გარდაბანის და შემუსრა გარდაბანი; განაღო კარი დარუბანდისა, გამოიყვანნა ხაზარნი სახლი 300 და დასხნა შანქორს; კვალად დარიელით გამოიყვანა ოვსნი სახლი 3000 და დასხნა დმანისს და ენება შესვლა ოვსეთად. ამისმან მცნობელმან ამირ მუმლმან, რამეთუ ბუღა ზრახავს ხაზართა, წარიყვანა ბაღდადს, და მის წილ დაადგინა მოჰმედ ხალილის ძე; შემდგომად გარდააყენეს მოჰმედ და დაადგინეს ისე შასის ძე, და ქორიკოზი[2] იყო კახეთს

1. „ამ ბუღამ შეიპყრა კოსტანტინე ქართველი და წარავლინა ბაღდადს წინაშე ჯაფარ ამირ მუმლისა და მან აწამა იგი ქრისტესთვის წელსა 850, ვითარცა გვაუწყებს მეტაფრასი მისი". ვახუშტი.

ამ ბუღაზე ნახე ბროსსეს შენიშვნა *H. de la G.*, I, 266, n. 1. კოსტანტინეს ბიოგრაფი, რომლის სახელი არა ჩანს, ამბობს: „მე არა ღირსმან აღვწერე ცხოვრება და წამება წმინდისა და ნეტარისა კოსტანტინესი, რომელი იყო წარჩინებულ ფრიად სანახებსა ზენა-სოფლისასა ქვეყანასა ქართლისასა, დღეთა ჩუენთა, მეფობასა ღვთის მსახურისა თევდორა დედოფლისა, რომელი იგი მეფობდა სამეფოსა ბერძენთასა, ვიდრე იგი ყრმაღა იყო ძე მისი მიხაილ. ამან ნეტარმან განწმინდნა საბერძნეთი ყოველი საცდურისა მისგან, რომელი იყო დღეთა ქმრისა მისისათა ხატისა ურწმუნოებისასა"... „და წარადგინეს ტფილის შინა წინაშე მძლავრისა მის, რომელსა სახელი ერქვა ბუღა... მიჰგვარეს მეფესა მას ისმაიტელთასა ჯაფარს ძესა აბრაჰამისსა"... „ხოლო აღესრულა იგი თვესა ნოემბერსა ათსა, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისასა, დღე იყო პარასკევი, დასაბამითგან წელიწადნი იყვნეს 6457, ხოლო ზედა-წერილსა ისმაიტელთასა 232" (მამ.-ცხ. შიო.-მღვ., 49—51). აქ მოხსენებულს თეოდორაზე და მიხეილზე (842—867) და აგრეთვე ხატის-ურწმუნოებაზე ნახე Sabatier, *Desc. génér. des mon. byzant.*, II, 98—97. ბროსსეს შენიშვნით, კოსტანტინეს ბიოგრაფიაში 6457-ს მაგიერ უნდა იყოს 6363 წ. (*H. de la G.*, I, 268, n. 2).

2. ქ.-ცხ. ქორეპისკოპოსი (გვ. 189, 191); ვახუშტის წერით ქორიკოზი. ამ ტყვას ხმარობს ყოველთვის ვახუშტი, როდესაც ქ.-ცხ.-ში იხმარება ქორეპისკოპოსი: „და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად" (ქ.-ცხ., II, 96). ეს სახელ-წოდება იხმარება კა-

გაბრიელ დონაური. კვალად გარდაადგინეს ისე და დაადგინეს ამირ აბრაამ. შემდგომად მოვიდა იგივე მომედ ძ უფროს ნებიერად დაიპყრა სომხითი, ქართლი და რანი და წარვიდა. დადგა მის-წილ ამირად კაცი სააკის მონათესავეთაგანი გაბუც და განდიდნაცა ფრიად. ამან გაბუც დაიპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და არტანი და ბრძოდა მარადის სარკინოსთა: ზოგჯერ მათ სძლიან და ზოგჯერ უმეტეს მრავალ-გზის ამან. ხოლო ამანვე განუყო ძმათა თვისთა ქვეყანა და სომხითის მეფესა ცოლის ძმასა თვისსა. შემდგომად მოკვდა ბაგრატ კუროპალატი წელსა 876, ქართულსა 96.

## მეფე კუროპალატი დავით I (876—881).

გამეფდა ძე ბაგრატისა დავით. ჟამსა ამას გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩისასტინეს ძე დიმიტრისა. ხოლო შემდგომად, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, ცოლმან მისმან მოკლა ჩისასტინეს ძე დიმიტრისა და ეცრუა იოანე მთავარსაცა და შთააგდეს ძე დიმიტრისავე ბაგრატ ზღვასა შინა; არამედ ღმერთმან განარინა იგი და მოვიდა კოსტანტინეპოლედ. ხოლო მოჰგვარა მეფემან იოანე ძესა თვისსა ცოლად ასული გვარამ აშოტ კუროპალატის ძისა. შემდგომად მოკვდა იოანე და დაჯდა ძე მისი ადარნასე მეფედ აფხაზთა. მაშინ ეპყრა ლიპარიტს თრიალეთი. ამან მოიყვანა და იპატრონა მეფე დავით ძე ბაგრატ კუროპალატისა; არამედ ამ დავითს აღუდგა მტრად ნარსე ძე გვარამ მამფალისა, რამეთუ ესე ნარსე და გვარამ იყვნენ აფხაზთა კერძოსანი. ხოლო მეფესა დავითს და ლიპარიტს უშველდნენ სომეხნი და ბრძოდნენ ქართლსა ზედა. დღესა ერთსა მოიტყუა ნარსემ მეფე დავით და მოკლა იგი ღალატით წელსა 881, ქართულსა 101.

ხეთში მე-VIII საუკ. ვიდრე მე-XI საუკუნემდე, როდესაც ბაგრატ მე-IV-მ კახეთის მთავრები გააუქმა (ქ.-ცხ., II, 96—98). ცხადია, რომ ქორეპისკოპოსი ქ.-ცხბაში შეცდომით არის ხმარებული და ამ შეცდომას ვახუშტი სამართლიანად ასწორებს. ამავე შეცდომას უჩვენებს თვით საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში: იმის სიტყვით, „ქორეპისკოპოსი უმეცარსა მწერალსა ქართლის ცხოვრებაში გაურყვნია: ქორიკოზი ქარაგმით ქორეპისკოპოსი ჰგონებია. ქორეპისკოპოსი უსამწყსო ეპისკოპოსი ბერძულად ეწოდების და ქორიკოზი მეფის მონაცვალეს ჰქვიან.“ „ქორიკოზი მონაცვლე მეფისა, რომელი ვერ იკადროს მეფედ სახელის-დება, არამედ გამოითარგმანების მწყემსად“. ჩვენის ფიქრით, ამ უბრალო შეცდომისგამო გავრცელებულა ის აზრი, ვითომც კახეთის მთავარნი ეპისკოპოსნიც ყოფილიყვნენ. ამ შეცდომაში იყო თვით ბროსე (*H. de la G.*, I, 267, n. 5), თუმცა შემდეგ მან ეჭვი გამოაცხადა ქორიკოზთ სამღვდელოებაზე (ნახე მისი *Collection d' historiens arméniens*, 1874, t. I, 616—619).

## მეფე კუროპალატი ადარნასე II (881—923).

გამეფდა ძე დავითისა ადარნასე[1]. ხოლო შემოკრბნენ სომეხნი და ქართველნი და აშოტ ძმა დავით მეფისა და სარკისოსნი ამ ადარნასესთანა[2]; ეწყვნენ ნარსეს, აოტეს და წარუღეს ციხე და წარვიდა ნარსე კოსტანტინეპოლედ. მაშინ შესრულსა კოსტანტინეპოლეს ძესა დიმიტრისასა ბაგრატს მოსცა კეისარმან სპანი, მოვიდა ზღვით და დაიპყრა აფხაზეთი, მოკლა ადარნასე ძე იოანესა და შეირთო ცოლი მისი ასული გვარამ მამფლისა. ამან ბაგრატ გამოიყვანა ნარსე ცოლის-ძმა თვისი, მისცა სპანი და აშველნა ოვსნი; გარდამოვიდნენ სამცხეს და დაიპყრეს ციხენი ოძრხე, ჯვარის-ციხე და ლომსიათი; მუნცა შეიკრიბა ნარსემ ლაშქარი და მოჰმართა ადარნასეს. ხოლო გვარამ უშველა ადარნასეს და სომეხთა, შეიბნნენ მტკვარსა ზედა, ბრძოლასა იმლია ნარსე და ბაყათარ ოვსი; შეიპყრეს ნარსე და მოკლეს ხევსა შინა ასპინძისასა და აღიხოცა თესლი მისი; ხოლო გურგენ კუროპალატი აშოტ დიდის დის-წული წარვიდა ტაო-კალმახით და ცხოვრებდა შავშეთს და არტანს. შემდგომად

1. ამ ადარნასეს მიაწერს ქ.-ცხბა გასაოცარის ხელოვნების დიდ მშვენიერს ეკლესიას ბანასასა, (ქ.-ცხ., 194), ახლა ფენაკს, ჭოროხის ხეობაში, ოლთის მაზრაში, რომელიც ამ სამის წლის წინათ მე ვნახე და რომელსაც კიდევაც მოვიხსენებ. იმის დროსვეა აშენებული ჭოროხისავე ხეობაში, თორთომის ტბის მახლობლად არა-ნაკლებ მშვენიერი ეოშხის მონასტერი, აქამომდე კარგად დაცული, ფოტოგრაფის ერმაკოვისაგან გადმოღებული და შემკული დიდის წარწერით. ეს წარწერა გადმოწერილია მეხიტარისტის ნერსესიანისაგან და შეტანილი *Mém. de l' Acad..*, VIII, № 10, p. 5—9. წარწერა ამბობს: „ძალითა ღვთივ კურთხეულისა ადარნასე კუროპალატისათა, ბაგრატ ერისთავთა ერისთავმან, დავით მაგისტროსმან... იწყეს, შენებად ამის წმიდისა საყდრისა“... ქ.-ცხბის ცნობით, ბაგრატ და დავით არიან ძენი ადარნასესნი. ამ ეოშხის მონასტერს ძველს ჩვენ მწერლობაში მოიხსენებს ერთად-ერთი გუჯარი მე-XVI საუკუნისა, რომელიც მას უწოდს ო შ კ ი ს მონასტრად (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 1, გვ. 297). ამავე ორთა ძმათა ბაგრატს და დავითს უჩვენებს, ჩემის ფიქრით, წარწერა იქვე თორთომის ტბასთან იმავე ხელოვნებით ნაშენს ტაძარს, რომელსაც ახლა უწოდებენ ვ ა ნ ქ ა დ. ეს წარწერა მე გადმომცა პოლკოვნიკმა ლევაშოვმა (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 4, გვ. 192).

2. „ილარიონ ქართველი გარდაიცვალა წელსა 882, ქართულსა 102.“ ვახუშტი. ილარიონ ჯაჭელი პირველად მოღვაწეობდა დავით-გარეჯის მონასტერში და შემდეგ გავიდა ოლიმპში, მასუკან კოსტანტინეპოლით თესალონიკეში და აქედამ რომში; გარდაიცვალა თესალონიკეს იმპერატორის ვასილი მაკედონელის დროს (867—886). ილარიონს გაუშენებია კოსტანტინეპოლის მახლობლად, ჭრომპნის ხეობაში, სოსტენის ადგილს, მონასტერი წმ. მოციქულთა, სადაც თვით იმისი გვამი მოუსვენებიათ იმპერატორის შვილებს ლეონს და ალექსანდრეს. ბიოგრაფია წმ. ილარიონისა შეუდგენია ბერძნულს ენაზე, იმპერატორის ვასილის ბძანებით, მონაზონს ვასილის და უთარგმნია ქართულ ენაზე თეოფილეს. (*H. de la G.*, I, 273, n. 7).

შეიმტერნეს გურგენ და ადარნასე მეფე და უშველა ადარნასეს ბაგრატ არტანუჯელმან; შეიბნეს ხევსა არტანისასა, ბრძოლასა სწყლეს გურგენ, შეიპყრეს და მოკვდა წყლულებითა მით და დაიპყრა ადარნასემ ნაქონები მისი. შემდგომად განძლიერდა ფადალა ქორიკოზი და დაიმორჩილა გარდაბანი და შემდგომად მისა დაჯდა კვირიკე და ქართლს იპყრობდნენ აზნაურნი. დროსა ამას გამოვიდა კოსტანტინე მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი. ამას ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ; მოვიდა და შემუსრა უფლის-ციხე; არამედ ზავ-ჰყვეს და იმზახლნენ კოსტანტინე და სუმბატ; მოსცა უფლის-ციხე კოსტანტინეს და წარვიდა სუმბატ. შემდგომად ამისა მოვიდა ამირ არაბი კასიმის ძე აგარიანი; ვერ დაუდგნა სომეხთა მეფემან სუმბატ, არამედ წარვიდა მთათა აფხაზეთისათა[1]. ხოლო ამირ შემუსრა ყოველი სომხითი და მოვიდა ტფილისს და მუნ იყო ამირ ჯაფარ ალის ძე; ტფილისიდამ მოადგა უჯარმას, რამეთუ იყვნეს სამასოდენ კაცნი ციხესა შინა და ებრძოდნენ მრავალ-დღე. შემდგომად დაუტევნეს მეციხოვნეთა ციხე და წარვიდნენ. იხილეს რა ესე ბოჭორმელთა, დაუტევეს მათცა ციხე და წარვიდნენ; არამედ საჩინოსნი, მხილველნი ბოჭორმისანი, იტყოდნეს: „რომელი იყო ბაკი ფიცხლად შებმა გვიყვეს; ხოლო ციხე უკაცური არს“. მაშინ მოვიდა კვირიკე ქორიკოზი ფიცითა ამირისათა წინაშე ამირისა; ხოლო ამირ ეტყოდა; „ვინ გაწვია მოსვლად ჩემთანა?“ მიუგო კვირიკემ: „დედამან ჩემმან“; რქვა ამირმან: „უკეთუ გაწვია დედამან, არა ვატკინო გული“ და განუტევა; არამედ ბოჭორმა თვით დაიპყრა; შემოიქცა, მოაოხრა ქართლი და შევიდა სამცხეს; მოაოხრა ჯავახეთი და მოადგა თმოგვს; ვერ დაიპყრა და მოადგა ყველს. მაშინ ციხესა შინა იყო ჭაბუკი აზნაური სახელით გობრონ. ესე ბრძოდა დღე-ყოველ მრავალ ჟამ მოყვსებითურთ თვისით და ავნებდა დიდ ფრიად. შემდგომად შემუსრეს ყველის-ციხე და შეიპყრეს გობრონ მოყვსებითურთ და აიძულებდნენ დატევებასა ქრისტესსა და არა თავს-იდებდნენ და შემდგომად ტანჯვით მოიკლა გობრონ მოყვსებითურთ მათ მიერ და მიიღეს წამებისა გვირგვინი. ხოლო მუნიდამ მოვიდა დვინს; მუნ სცნა, რამეთუ სომეხთა მეფე სუმბატ არს კაპოეტის ციხესა შინა, მსწრაფლ გარმოდგომილ ჰყო, მცირეს ხანს გამოიყვანა დედა-წულით და სუმბატ ჩამოჰკიდა დვინს ძელსა ზედა[2]. შემდგომად ამისა ჟამ-რაოდენმე მოუშვნა ქვეყანა; მაშინ უხმო კვირიკე

1. აბულ კასიმი ქ.-ცხ-ბისა, ბროსსეს შენიშვნით, არის იუსუფი სომხებისა და არაბებისა. სუმბატის შელტოლვას აფხაზეთში და შემდეგ იმის სიკვდილს დვინში იუსუფის მიერ მოიხსენებს თვით სომხეთის მეისტორიე მე-XI-ს საუკუნისა ასოღიკი (*H. de la G.*, I, 275, n. 2.—Асогикъ, *Всеобщая исторія*, Москва, 1864, стр. 112—113).

2. ამ ადარნასეს დროსვე აგვიწერს წამებას გობრონისას და სომხეთის მეფის სუმბატისას თვით ბიოგრაფი გობრონისა, შედგენილი აშოტ ერისთავთ-ერისთავის ბძანებით, სტეფანე მტბევარის ეპისკოპოსისაგან (მ ა მ. ც ხ. შ ი ო-მ ღ., გვ. 52—55); გამოვკრებთ ამ ბიოგრაფიიდამ ზოგიერთს ღირს-საცნობელს ფაქტებს. დვინში შემდეგის „მეფე სარკი-

ქორიკოზმან კოსტანტინეს აფხაზთა მეფესა; მივიდნენ ჭყრეთს და მოადგნენ ვეჟინის; ამისად მოვიდა ადარნასე პატრიკი, მიუპყრა ჯვარი, მოსცა კოსტანტინეს არეში, გავაზი და კვირიკეს ბოჭორმა, დაიზავნენ და წამოვიდა კოსტანტინე. შემდგომად მოკვდა კოსტანტინე მეფე აფხაზთა, დაუტევა ძენი გიორგი და ბაგრატ; არამედ ესენი მარადის ბრძოდნენ ურთი-ერთსა; ხოლო უშველდა ბაგრატს გვარამ ერისთავთ-ერისთავი (რამეთუ სიძე იყო გვარამისა) და

ნოსი აბულ-კასიმ ძე აბულსაჯისა ამირისა და უფალი სპარსეთისა... ესე არს ჩვეულება სარკინოსთა: პირველად ხარკნი თანანადებნი ძებნეს, მერე წინა-ყამისა ბეგარანი სთხოვნეს და მანქანებითა დააცალიერებენ საფასეთა მათთაგან, რათა ადვილად მძლე ექმნეს, და ვითარ მოსძლევდა სარკინოსი იგი და არა იპოვა ღონე წინააღმდგომისა სომეხთა მეფისა, არცა განრინებისა, რამეთუ ღმერთსა განეხეთქა მეფობაჲ იგი მისი (სუმბატისა) და მიივლტოდა იგი მთათა ზედა აფხაზეთისასა“... რა გვარი უთანხმოება დაბადა ხალკიდონის კრებამ სარწმუნოების გამო და ამ მიზეზით რა გვარი განხეთქილება იყო იმ დროს ქართველთა და სომეხთა შორის, ამას გვიჩვენებს შემდეგი სტრიქონები გობრონის ბიოგრაფიისა: „ესრედ ჰცოდა დიდმან სახლმან სომხითისამან... და მისცნა იგინი მახვილსა ბოროტსა და ტყვეობასა და სალმობასა და სრვასა, რამეთუ მოციქულთა მიერ ქადაგებული მართლ-მადიდებლობისა სარწმუნოება წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა განაგდეს და მოძღვართა მიერ წმიდათა კრებულთა განწესებული კანონი საეკლესიო შეურაცხ-ჰყვეს; ამისთვის ძირი იგი სიმწარისა დაენერგა მათ შორის და ღვარძლი იგი სიბოროტისა აღმოსცენდა.., რამეთუ მიწა იგი სომხითისა ამპარტავან და მკვიდრნი მისნი ცუდად მზვაობარ, ანგაარ, ლაღ და ცოდვის მოყვარე, ამპარტავან უწყალო, უყვარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე... და ესე არს საზღვარი მისი და სახელები ხევთა მისთა: ვანდა, აშორნია, ბაგრევანდი, აჭაპუნისი, კლკოიტნი, ჭაკატი, გოგოვიტი, ორი ხევი შარული, ასფურაგანი, ათორმეტი ხევი ვაიძორი, ოთხი ხევი დაფნადაშტი, სამი ხევი გელაქუნია, ოთხი ხევისივნელი, ათი ხევი ტაშირი და კაქფაქარი. ესე 87 ხევი მოოხრდა პირისაგან უფლისა ძვირისათვის ცოდვათა მათთასა, რამეთუ არა იპოვა ამათ ხევთა შინა საყდარი მართლ-მადიდებელთა ეპისკოპოსთა, არცა მონასტერი მართლ-მადიდებელთა, მორწმუნეთა მონაზონთა“.. „და მოვიდეს სარკინოსნი ციხესა მას ყველისასა გურგენ ერისთავთა ერისთვისა, რომელსა შინა იყვნეს აზნაურნი წარჩინებულნი და სანატრელი მოწამე ქრისტესი გობრონ მათთანა. მოვიდეს და მოადგეს ციხესა მას ყველისასა, გარე შეადგეს კარვები იგი მათი, ვითარცა თოვლი, რომელნი ხუთისა სოფლისა საზღვართა და ოდენ ეტივნეს იწროებით“...

ყველის-ციხე, ახლანდელი ყველი მდებარებს ფოცხოვის მაზრაში, ვახუშტის კარტით ჯაყის-წყალზე, რუსულის კარტით ფოსხოვ-ჩაიზე. შემადგენელი გობრონის ბიოგრაფიისა სტეფანე მტბევარი, როგორც ქ.-ცხოვრება გვარწმუნებს, იყო პირველი ეპისკოპოსი ტბეთისა და თვით ტბეთი აუშენებია იმ აშოტს, რომლის ბძანებითაც სტეფანოს აღუწერია ცხოვრება გობრონისა (*H. de la G.*, I, p. 272, 276, 278). ტბეთი დიდ-მშვენიერი ტაძარი, აქამომდე კარგად დაცული, მდებარებს შავშეთში, სოფელს ტბეთში. სამწუხაროა, რომ იმისი ფოტოგრაფიული სურათი აქამომდე გადმოღებული ჯერ არ არის. თუმცა ტბეთს აქვს რამდენიმე წარწერა, მაგრამ ისტორიული წარწერა იმისი, შიგნით მარცხენა სვეტზე გამოქანდაკებული მაშენებლის სახითურთ, ისეთ მდგომარეობაში ვნახე 1879 წელს, რომ აღარ იკითხება, თუმცა თვით პალეოგრაფიული თვისება წარწერისა უჩვენებს იმის სიძველეს. რა გვარ ყოფილა ტბეთის ეკლესია სახელ-განთქმული ჩვენს ისტორიაში, ამაზე ნახე ჩემი *Кавказъ въ древнихъ памятникахъ*

ვიდრე არა მოკვდა ბაგრატ, არა იყო მათ შორის მშვიდობა; ხოლო მოკვდა რა ბაგრატ, დაიპყრა აფხაზეთი გიორგიმ და ამასვე ჟამსა გარდაიცვალა ქორიკოზი კვირიკე და დაჯდა ძე მისი ფადალა; ამისვე ჟამსა მოვიდნენ სარკინოზნი, რომელთა უხმობდნეს საჯობით; დაწვეს ჯვარი და მცხეთა, შეიქცნეს და წარიტაცეს ჯვარი დაჭრილი; არამედ გზათა ზედა შეედვათ სენი და მოსწყდნენ ურიცხვნი; სცნეს ჯვარისა მიერობა და წარმოგზავნეს ქართლსავე; ხოლო იშხანიკის დრომდე ჭერეთი მწვალებელი იყო; არამედ იშხანიკ დის-წული იყო გვარამ ერისთავთ-ერისთავისა და დედოფალმან დინარ დამან გვარამისმან მოაქცივნა მართლ-მადიდებლად[1]. მაშინ სალართა დაეპყრათ ბარდავი და ადარბაგანი და მოკვდა ადარნასეცა კუროპალატი წელსა 923, ქართულსა 143.

## მეფე კუროპალატი სუმბატ (923—958).

ხოლო იქმნა მეფედ შემდგომად ძე მისი სუმბატ ქართველთა. დროსა ამასა გარდამოვიდა გიორგი მეფე აფხაზთა და მისცა ქართლი კოსტანტინეს ძესა თვისსა (ხოლო ესე ქართველთა მეფენი ბაგრატიონნი დასხდიან ქართლის მეფედ და ოდეს მტერთა მიერ იძლეოდიან, ეპყრათ სამცხე, რომელ არს ზემო-ქართლი, ტაო, ჯავახეთი, თრიალეთი, სამშვილდე, სუნანის საერისთონი, თვინიერ გარდაბანისა, და კლარჯეთის თვისნი წილნი ციხე-ადგილნი და ჟამად სომხითისა და შიდა-ქართლი)[2]; არამედ კოსტანტინე აფხაზთა მეფის ძემან იმეფა ქართლს სამი წელი, შემდგომად იწყო მტერობა მამისა თვისისა; ჰსცნა გიორგი მეფემან, მოვიდა და ვერ წინა-აღუდგა ძე მისი, ვინაჲდგან ტაოელნი ყოველნი მეფენი მოიწვია და ემწნენ ყოველნი ბოროტებისათვის კოსტანტინესა; არამედ კოსტანტინემ განამაგრა უფლის ციხე; გარემოდგომილმან გიორგი მეფემან ვერ შემუსრა ციხე; შემდგომად აბირნა აზნაურნი გამოტყუებად კოსტანტი-

*христіанства* (ტბეთის აღწერაში) და *Археолог. путеш. по Гуріи и Адчаріи*, стр. 364. ბროსსეს შენიშვნით, „წმ. გობრონი წამებულა ადარნასე II-ს დროს და, როგორც ჩანს, მეფის სუმბატ ნაჭატაკის წინათ. ეს სუმბატი მოიკლა სარწმუნოებისთვის 914 წელს; მაშა სადამე გობრონის სიკვდილიც ამ წლის ახლო-დროს უნდა მომხდარიყო. თვით აშოტ კუხი ტბეთის მაშენებელი მოკვდა 918 წელს. რაჲცა შეეხება გურგენს ყველის-ციხის პატრონს, იგი უნდა იყოს ქ.-ცხბის „გურგენ ერისთავთ-ერისთავი." ძმის-წული აშოტ-კუხისა." (*H. de la G.*, I, p. 276, n. 3).

1. ამ საგანზე ნახე შენიშვნა ბროსსესი. *H. de la G.*, I, 279, n. 4.

2. ქ.-ცხბაში: „ს ა მ ც ხ ე ა ნ უ ზ ე მ ო-ქ ა რ თ ლ ი." (*H. de la G.*, I, 285). მართლადაც ჩვენ მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ძველს ჩვენს მწერლობაში „ზემო-ქართლი ყოველთვის ჰნიშნავს იმ მხარეს, სადაც ახლანდელი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები ანუ უეზდებია, ანუ უეზდ, მთელი მტკვრის ბასსეინი ბორჯომის ხეობის შესავალამდე; შიდა, ქართლად კი იგულისხმება აწინდელი გორის მაზრა და ნაწილი თბილისის მაზრისა, ჩვენის სომხითის საზღვრამდე.

ნესად და ეტყოდნენ კოსტანტინეს: „ვინაჲდგან არს მეფე გარე აფხაზეთისა, გამოვედ, შენ გყოთ მუნ მეფედ." ხოლო იგი მრწმენელი გამოვიდა ტივით და მიეტევნენ შეპყრობად; ივლტოდა კოსტანტინე და დაიმალა ნაპრალსა კლდისასა; ჰპოვეს და მოჰგვარეს გიორგი მეფესა. (ხოლო მან გამოჰყვერა უთესლობისათვის და შემდგომად მოკვდა); აღიღო ციხეცა და წარვიდა. მოკვდა ქორიკოზი ფადლა და დაჯდა კვირიკე. შემდგომად განდგნენ გარდაბანელნი, აწვიეს გიორგი მეფე; მოსრული შთავიდა კახეთს, მოსწყვიდნა და მოსწვა და შეიქცა თვისსავე ქვეყანასა; მერმე მოვიდა ატენს გიორგი შთასვლად კახეთს და ძე მეფისა ლეონ იყო ერისთავი ქართლისა. სცნა კვირიკემ, რამეთუ ვერ დაუდგენდა; მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა და ლამოდა კვალად ზავით გაპარვასა; აგრძნა მეფემან, შეიპყრა კვირიკე და წარვიდა კახეთს, რათა აკრიბოს დედა-წულითურთ. სცნეს ესე აზნაურთა ქართველთა, აცნობეს და გარდაიხვეწნეს; არამედ მოერთო ძმა კვირიკესი შურტა და მოუტანა უჯარმა და მოსცა სხვანიცა ციხენი კახეთისანი, თვინიერ ნახჭევან-ბოჭორმისა და ლორწობნისა; გარნა ლორწობანს აღუშენა შურის-ციხე და მოუდგინა სპანი; მოადგა მარილისს, შემუსრა იგი, გამოიყვანა არსის ძე და წარგზავნა ჯიქეთს ექსორიად; არამედ ნახჭევანი გამაგრდა და ვითარ სცნა კვირიკემ, რომელ არღარა იყო სხვა ღონე, ითხოვა განტევება და დაულოცა გიორგი მეფესა კახეთი; არამედ ლეონ მეფის ძე არა ლამოდა განტევებასა; გარნა აღიღო მეფემან ნახჭევანი და განუტევა კვირიკე; ხოლო მეფე წარვიდა აფხაზეთს. შემდგომად შეეზრახნენ აზნაურნი კვირიკეს და წარიღო ყოველნი ციხენი კახეთისანი და კვალად ეუფლა მამულსა თვისსა. ესმა გიორგი მეფესა, დაუმძიმდა წარღება კახეთისა; არამედ აბრალა რომელნი განტევებასა უთქმიდეს კვირიკესსა; გარნა ზამთარ წარგზავნა ძე თვისი ლეონ; ესე შევიდა და მოსწვა კახეთი; მუნ მოართვეს ლეონს სიკვდილი მამისა თვისისა. მაშინ მოუწოდა კვირიკეს ტბასა ზედა ბაზალეთისასა და იზავნეს და იმზახლნეს; ხოლო ლეონ შემოიქცა და გამეფდა აფხაზეთს და მცირედისა შემდგომად მოკვდა ასული ლეონისა, რომელი მიეცა კვირიკეს ძისათვის და კვალად იწყეს მტერობა ლეონ და კვირიკემ. გამოვიდა ლეონ, მოსწყვიდნა მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი. მუნ დასნეულდა, უკუ-იქცა და მოკვდა მეფე ლეონ აფხაზეთს და დაჯდა ძმა მისი დიმიტრი. ამასვე დროსა მოკვდა მეფე ქართლისა სუმბატ[1] წელსა 958, ქართულსა 178-სა.

1. ა) ამ სუმბატს იხსენიებს არაბული მწერალი მე-XII საუკუნისა მასსუდი, როდესაც ეს უკანასკნელი შეეხება აფხაზთ-ალანთა მოსაზღვრე „დიდს საქრისტიანო ტომს ჯურჯებს (ქართველებს) (*H. de la G.*, I, 286, n. 2). იმისგანვეა აშენებული ქოროხის ხეობაში, არტვინის მაზრაში, სოფელს დოლის-ყანაში დიდი და აქამომდე კარგად დაცული ეკლესია. იმისი წარწერა ორ ადგილს იხსენიებს სუმბატს: „ქრისტე ადიდე მეფე ჩვენი სუმბატ მზე-გრძელობით (ამ სიტყვას ქარაგმით ნახმარს ბროსსე შეცდომით კითხულობს „ძალ-გამრავლებით)". იმის წინა-კედელზე გამოქანდაკებულია მზის საათი, რომელზედაც ცი-

## მეფე დავით ანუ ბაგრატ II რეგვენი (958—994).

დაჯდა მეფედ ქართლისა ძე სუმბატისა დავით ანუ ბაგრატ რეგვენი; ხოლო დიმიტრი მეფემან მოიწყო სამეფო თჳსი აფხაზეთი, გარნა შემდგომად მთავართა აფხაზეთისათა მოიწვიეს თეოდოსი ძმა დიმიტრისა კოსტანტინეპოლიდამ (რომელ მამასავე წარეგზავნა ორნი ძენი მშჳდობისათჳს ძმათასა). მაშინ გამოვიდა თეოდოსი და მოვიდა სამცხეს და შეიკრებდა სპათა; მცნობმან დიმიტრი წარმოავლინა ლაშქარი და დაესხნენ თეოდოსსა უეცრად, ეგ-

ფრებად არის ნახმარი ხუცური ასო-მთავრულის ასოები. ლოდის-ყანის ეკლესია საათითურთ გადმოღებული აქვს ფოტოგრაფს ერმაკოვს. გარდა ამ ეკლესიისა სუმბატის დროს ეკუთნის ერთი ძველი ასო-მთავრულის ალფავიტით ტყავზე ნაწერი სახარება, რომელიც ახლა ჯრუჭის მონასტერში ინახება და რომელიც გადაწერილია შატბერის მონასტერში. შატბერი განთქმულია ჩვენს ძველ მწერლობაში: „დიდებული ლავრა შატბერი საყოფელი წმინდისა ღვთის-მშობელისა“ (ჩემი „კრებული ქართულის დოკუმენტებისა“, გვ. 195; მამათ-ცხოვრება, 121.—*H. de la G.*, I, 340), და თუმცა მდებარეობს ჭოროხისავე ხეობაში, მაგრამ სახელდობრ სად, არ ვიცით და ვერ გვიპოვნია; არ იცის ეს თვით ვახუშტმა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შატბერად უნდა იგულისხმებოდეს თვით ლოდის-ყანა, თუმცა ახლა, როგორც მე ადგილობრივ დავრწმუნდი, ეს სახელი დაკარგულია. სახარებას აქვს შემდეგი წარწერა: „ღირს-ვიქმენ მე გრიგოლ დაწერად წმიდა ესე სახარება შატბერს ხელითა გაბრიელ მღვდელთა ნარჩევისათა მეფისა ჩემისა სუმბატის სალოცველად; დასაბამითგან წელნი იყვნეს ხფმ (6540); ქორონიკონი იყო რნვ (156)“. 6540 წელი ქართულის გამოანგარიშებით და თვით ქორ. 156 უდრიან 936 წელს. სუმბატ მეფობდა, როგორც ნაჩვენებია ზემოდ, 923—958 წლებში. შესანიშნავია, რომ აქ მახარებლების მხატრობას სათაური აქვს ქართულად, ბერძნულად და სომხურად (*V. arch.*, II Rap., 182; XII, 83—86. ჩემი დღიური, № 4, 85—86).

ბ) სუმბატის დროს მიეწერება აგრეთვე ტიშენდორფის ნაქონი ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელიც ახლა ს.-პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას ეკუთნის. ეს მანუსკრიპტი გადაწერილია წმ. საბას ლავრაში, იერუსალიმის მახლობლად „ცოდვილის იოანესაგან“ 941 წელს და შეიცავს სხვა და სხვა საგანს. პირველი საგნის სათაურია: „ცნობისათვის და უწყებისა ჭეშმარიტად რომელი მოგვეთხრა ჩვენ მოძღვართა მიერ განსაზღვრებელად გამოძიებისათვის ჟამთა და წელთა, თთვეთა და დღეთა, მცხრალისათვის დღისა საძიებელისა, შვიდეულისათვის და ნაკთა და მთვარისა ზედ-ნადებისა და ხუთეულისათვის და ექვსეულისა“. ერთის სიტყვით აქ ავტორი შედის ქართული ქორონიკონის ისტორიაში და მის მნიშვნელობის ახსნაში. ეს საგანი ჩვენ მოვიხსენეთ ზემოდ (გვ. 49, შენ. 2); მეორე საგანი უჩვენებს სახარება-სამოციქულოთა და საწინასწარმეტყველოთა საკითხავის რიგსა ჟამ-წირვის დროს ეკლესიაში; მესამე საგანი შეეხება კალანდობას ანუ ცრუ-რწმუნებას, რომელსაც შემდეგ საუკუნოებშიაც ვპოულობთ ჩვენს მწერლობაში. რადგანაც ამ გვარი რწმუნება გავრცელებული იყო ჩვენ ტომში ძველადგანვე და მაშა სადამე უჩვენებს იმის მოაზრების თვისებას, აქ შემოგვაქვს კალანდა ისე, როგორც არის მანუსკრიპტში. „კალანდაჲ თქმული ეზრა წინასწარმეტყველისა. უკეთუ დადგების იანვარი დღესა კვირიაკისასა,

ლტოლვილდა და მოკიდა ძლიერ მთავრისა; მან შეიყვანა ციხესა ძმისასა და მუნით დამ ემიებდა ლონესა. გულად წარმოავლინა დიმიტრიმ სპანი; მოადგნენ ძმის

ზამთარი იყოს ნოტია, ზაფხული ხმელ, ნაყოფი ფრიად, სთველი მცირედ, თაფლი ფრიად, სთველი ქარიან, საცხოვარი კეთილ.

„ორშაბათსლა დადგეს, ზამთარი იყოს ტფილ, ზაფხულ და არე კეთილ, წვიმიანი დიდ-დიდნი და ჭაერთა საშინელებანი, სთველი ხმელ, ნაყოფი ფრიად, თაფლი მცირედ, სნეულებანი ზედაჲს-ზედა და მეუსეულად სიკვდილი გლახაკთა და ცხროჲ ფრიად.

„სამშაბათსლა დადგეს, ზამთარი იყოს მყარ, სთველი ნოტია, ნაყოფთა ნალველიანებაჲ, დედათა სიკვდილი, სნეულებანი და ნავთა დაქცევანი ზღვათა.

„ოთხშაბათსლა დადგეს, ზამთარი იყოს ფიცხელ, ზაფხული ნოტია, ჟრი კეთილ, იფქლი მცირედ, სთველი და ხილი ფრიად და ყოვლისა საქმისა აღსრულებაჲ, მამათა სიკვდილი.

„ხუთშაბათსლა დადგეს, ზამთარი იყოს კეთილ, ზაფხული ქარიან, სთველი და არი შეზავებულ, თაფლი მცირედ, მთავართა და დიდ-დიდთა წყმედაჲ.

„პარასკევსალა დადგეს, ზამთარი იყოს მყოარ და ფიცხელ, ზაფხული და არი ნოტია, სთველი ხმელ, პური და ღვინოჲ ფრიად და ყოველი ნაყოფი იეფად, თვალთა სალმობაჲ და ჩჩვილთა სიკვდილი.

„შაბათსალა დადგეს, ზამთარი იყოს მძიმე, არი წმიდა, იწროება ნაყოფთაჲ, საცხოვართა სიკვდილი, ხურვებაჲ, ცხროჲ, სნეულებანი ზედაჲს ზედა, სახლთა წვვაჲ და ბერთა სიკვდილი“.

მანუსკრიპტის მინაწერიდამა ჩანს, რომ იმის დამწერს ძველი დედანივე ჰქონია ხელში: „დედად გამოვიღე სხვის დაწერილი“. მთელი მანუსკრიპტი დაწერილია ხუცურის ასომთავრულით. არიფმეტიკულ გამოანგარიშებაში ხმარებულია თვით ამ ალფავიტის ასოები: არიფმეტიკული ტერმინები ამ წიგნისა შესწავლის ღირსია. ქართული ტექსტი ამ საგნისა ნახე *Mém. de l' Acad.*, *t.* XI, № 13, 2—9. აქ ორთოგრაფია ანუ მართლწერა არის ისეთი, როგორსაც საზოგადოდ ძველის-ძველს ჩვენს ასო-მთავრულს მწერლობაში ვპოულობთ: ასო ჳ ჯერ სულ არ იხმარება; ჳჱ-ს მაგიერ იხმარება ოჳ; ეს ასოები იხმარება აგრეთვე მაგიერ ვა-სა, ვე-სა, ვ-სა, ვი-სა, უ-სა; მაგალ, ცნობისთჳს, ოჳწყებს, მოგოჳთხრა, მოძღოჳარი, განსაზღოჳრებელად, შოჳდეოჳლი, ოჳფალი ჩოჳენი, მოგოჳანიჭა, დაათოჳალე, ლ-ოჳლად (30-ეულად); ჵ იხმარება ხშირად ე-ს მაგიერ, მაგალ., ქრისტჵ, მჵ, დღჵ, პეტრჵ, მჵ, საქმჵ, ჟამადმდჵ, მწოჳხარჵ და სხ. ამ ორთოგრაფიაზე განგებ შევდეგით, რომ ჩვენის ძველის მწერლობის შემსწავლელთ გაუადვილოთ იმისი კითხვა.

გ) სუმბატის დროჲს ეკლესია ვნახე 1881 წელს ჩილდირის საპრისტავოში, სოფლის ველში, სადაც პირველად მომესმა ყარსის მხარეში ქართული ენა. აქ მაღალის ეკლესიის ფრონტონ ქვეშ წარწერას ჩემი თვალი ვერ მისწვდა და სასურველია გადმოხატოს ვინმე იგი: მაგრამ ეზოში სვეტის მსგავს რვა-კუთხიან თლილ ქვაზე ამოჭრილია ეს სიტყვები: „მე გრმ ავმართე წა ივანე ქორონიკონსა როდ (954), თვესა მაისსა 14. კუროპალატის ასული ქე ადიდე და გრმ შეიწყალე“. თუ ეს პირია გურგენ და არა გვარამ (გვარამი იმ დროს არ ვიცით), მაშ უნდა იყოს გურგენ ერისთავთ ერისთავი ტაოს ბაგრატიონთაგანი, მიცვლილი 968 წელს (*H. de la G.*, II livr., p. 623). ამ ეკლესიის მხატრობაზე, რომელიც ცხოველად ეტყობა, ჩემი ყურადღება მიიზიდა ზოგიერთმა სხვა და სხვა

ცისესა და ზრძოდნენ სამ თთვე; არამედ შესწირდათ რა ცისოვანთა, მოაკ-ჭუვეს ოვიცით და განუტევეს თეოდოსსა მშვიდობით, და მივიდა წინაშე დავით კურაპალატისა[1] (ხოლო ესე დავით მეფე იყო ძე ადარნასესი და ადარნასე იყო

დროის მოგზაურთ მინაწერებმა, მაგალ. „1784. პატრი ფოლიქარფო მანთოელ." „1808. პატრი ბასილიოს მანთელი." „1878. ვიყავ აქა გულ-მტირალი ერთი მამულის შვილი ს. ბავლი." (ჩემი დღიური, № 4, გვ. 179).

1. ბროსესს გამოკვლევით, ამ თავში მოხსენებული „ბაგრატ რეგვენი მეფობდა აფხაზეთის მეფეების დიმიტრისა, თეოდოსისა და ბაგრატ II-ს თანა-ზიარით და იმათ შემდეგ აფხაზეთის დინასტია სამუდამოდ იჭერს საქართველოს ტახტსა. ამ ბაგრატის დროს, როგორცა ჩანს, აღმოჩნდა სურვილი ქართველთ-სომეხთ შეერთებისა სარწმუნოებით. სომხის ისტორიკოსის კირაკოს განძაკელის თქმით, სომხეთის კათალიკოსმა ვაჰანმა ანუ ვაჰანიკმა, რომელიც დაჯდა კათალიკოსად 965 წელს, დასდო განაჩენი ხალკიდონის კრების მიღებისა და ქართველებთან შეერთებისა; მაგრამ ამის გამო ანის კრებამ 970 წლისამ იმას კაფედრა ჩამოართო. თვით იმისი მემკვიდრე სტეფანოს III თანა-უგრძნობდა ვაჰანის განზრახვასა; მაგრამ ისიც შეჩვენებულ იქნა. კირაკოსის გარდა სამოელ ანელი ამ განზრახვას მიაწერს ვაჰანს 698—1249 წელს". (*H. de la G.*, I, 281, n. 4).

*აფხაზეთი, აფხაზეთის* მეფენი. უნდა ვაუწყოთ ჩვენ მკითხველს, თუ რა ადგილი იგულისხმება აფხაზეთით ჩვენს ისტორიაში. საზოგადოდ ისტორიულ გეოგრაფიაში ხშირია იმ გვარი მოვლენა, რომ სახელ-წოდება ერთის მხარისა ეძლევა და ეთვისება მეორე მხარეს შემთხვევით. აფხაზეთის ერისთავნი თუმცა ისხდნენ აფხაზეთში, მაგრამ როდესაც იმათ მიითვისეს მეფის ხარისხი, მაშინ იმათ თავიანთი რეზინდეცია გადაიტანეს ქუთაისს; თვით სახელ-წოდება აფხაზეთისა მისთვისეს მთელს იმერეთს; ამისთვისაც როდესაც ძველ მწერლობაში ვკითხულობთ: „აფხაზეთის სამეფო სახლი, აფხაზეთის კათალიკოსი, აფხაზეთის ერი, აფხაზეთის სამეფო", ამ სიტყვებით იგულისხმება „იმერეთის სამეფო სახლი, იმერეთის კათალიკოსი, იმერეთის ერი, იმერეთის სამეფო". სახელ-წოდება „იმერეთი" ხმარებაში შემოდის პირველად დავით აღმაშენებელის დროს (1089—1125 წ.). ამ სახელ-წოდების ფორმაა ჯერ *იმერ-ითი*, მასუკან *იმერ-ეთი*. იგი წარმოსდგა თანდებულიდამ *იმიერ*, საიდამაც იშვა „*იმ-ერი*", *ლიხთ-იმერი*, ესე იგი ლიხის მთას იქით მოსახლე ანუ მცხოვრები, წინააღმდეგ *ამიერისა*, *ამ-ერისა*, *ლიხთ-ამერისა*, რომლითაც იგულისხმებიან ლიხის მთას აქეთ მოსახლენი ანუ მცხოვრებნი (ნახე ჩემი სტატია *Объ отношеніяхъ Грузіи и Арменіи къ Византіи*; 1-й выпускъ *Извѣстій Кавк. Общ. исторіи и археол.*, 1882 г., стр. 62).

როგორც ქ-ცხბა გვიჩვენებს, ნამდვილი აფხაზეთი ძველადგანვე კაი-ხანი იყო ბერძნების სამფლობელო, რომლის კვალი აქამომდეა დარჩენილი და რომელიც კიდეც მოვიხსენეთ. აფხაზეთი შეადგენდა ბერძნების ხელში ლაზიკის ნაწილს და პროკოპის სიტყვით, აფხაზეთში ქრისტეს სახარება შეუტანია იმპერატორს იუსტინიანეს მე-VI საუკუნეში (ნახე ზემოდ გვ. 33, შენ. 2, 103, 119, n. შენ. 2). აქ დედა-ქალაქად ირიცხებოდა ბერძნების დიოსკურია ანუ სებასტოპოლი (Гана, *Извѣстія древнихъ писателей*, 63—64), ქართველების ცხომი, ანუ ახლანდელი სუხუმი: „და მივიდეს, ამბობს ქ-ცხბა, სევასტე ქალაქსა, რომელსა აწ ეწოდების ცხომი" (ქ-ცხბა, I, 46). გამოჩენილი ადგილები იყვნენ აგრეთვე აფხაზეთში: ანაკოფია და ბიჭვინტა. აფხაზნი, ჩერქეზების მონათესავე ტომი, აქ ცხოვრობენ ძველადვე და ჩამოსულნი არიან მთებიდამ, თუმცა არ ვიცით რა დროდამ. ფრანცუზის

ძე სუმბატ მეფისა კურაპალატისა). არამედ იყო დავით ყოვლითა სიკეთითა სრული, სამღრთო-სამხედროთი. ამას ეპყრა ბასიანი[1], ტაო და მიმდგომნი მისნი. შემდგომად ორისა წლისა წარმოვიდა თეოდოსი დავითისაგან და მოვიდა კახეთს. მაშინ მოუგზავნა დიმიტრიმ კვირიკეს, რათა მოამშვიდობოს ძმანი; ხოლო კვირიკემ წინაშე ფიცით კათალიკოსისა მცხეთასა და ეპისკოპოსთათა მიათვალა დიმიტრის თეოდოსი; არამედ შემდგომად მცირედისა ჟამისა დაივიწყა დიმიტრიმ ფიცი ღვთისა; შეიპყრა ძმა თვისი თეოდოსი და დასწვნა თვალნი; მაშინ აფხაზთა იძიეს ჩალა მეფედ, გარნა ვერ შეუძლეს; რამეთუ იყო დიმიტრი მხნე და ასოვანი; ხოლო შემდგომად, მოკვდა რა დიმიტრი მეფე და არღარა დარჩა მკვიდრი, გამოიყვანეს თეოდოსი და დასვეს მეფედ აფ-

მოგზაური მე-XVIII საუკ. შარდენი გვარწმუნებს, ვითომც იმის დროს იმათ საზღვრად ყოფილიყოს მდინარე კოდორი (*Voyage en Perse*, I, 150). აფხაზეთის ერისთავები, იყვნენ ბერძენთაგან დადგენილნი, მაგრამ ვინ იყვნენ იგინი არ ვიცით. ამ ერისთავებზე, რომელთაც დროს განმავალობაში მეფის ხარისხი მიითვისეს, ჩვენა გვაქვს ორ-გვარი ცნობები: ქ-ცხბისა და იერუსალიმის პატრიარხის დოსითეოსისა, რომელიც ორჯელ იყო მე-XVII საუკ. საქართველოში და თავის თქმულებას აფხაზეთის მეფეებზე აფუძნებს, როგორც თვითონ გვიამბობს, ბაგრატ მეფისაგან 992 წ. შედგენილს „აფხაზეთის ისტორიაზე“. ამ „აფხაზეთის ისტორიაში“ მოხსენებულნი არიან აფხაზეთის ერისთავთ წინაპარნი, რომელთაც ქ-ცხბა არ მოიხსენებს და რომელთაც ბერძნული სახელები აქვთ, ესე იგი: ანოს, გოზარ, იუსტინიან, ფილიკტოს და კაპარუკ; შემდეგნი კი ქ-ცხბისაგან ხსენებულს სახელებს ეთანხმებიან (*Addit. à l' H. de la G.*, 1851 p. 173—175.—М. С., *Руководство къ познанію Кавказа*, 1847, кн. I, стр. 1—30). ქ-ცხბით, აფხაზეთის ერისთავებში პირველად ცნობილია ლეონ I, რომელსაც კლისურიდამ დიდის ხაზარეთის მდინარემდე დამკვიდრებული ჰქონდა საერისთავო კეისრისაგან. ამ ლეონს არჩილ მეფე რთავს თავის ძმის-წულს. ლეონის ძმა №... ირთავს ხაზართ მეფის ქალს. იმისი შვილი ლეონ II უკუ-უდგება მოუძლურებულთ ბერძენთა, ხაზართ შემწეობით იჭერს ეგრისს ლიხის მთამდე და სახელ-იწოდება 786 წელს მეფედ აფხაზთა; სატახტო ქალაქად აარსებს ქუთაისს; აფხაზეთის კათალიკოსს მოუპოვებს დამოუკიდებლობას (*H. de la G.*, I, 246); ლეონ კვდება 806 წელს. შემდეგნი მეფენი თვით ვახუშტის ისტორიაში არიან გარკვევით მოხსენებულნი. აქ ისეც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მეფეებში გიორგი II, მიცვლილი 955 წ., ქ-ცხბით აშენებს ჭყონ-დიდის ეკლესიას, რომელსაც საეპისკოპოსოდ აწესებს, თუმცა ბროსსე წარწერის ძალით ჭყონდიდის აშენებას მიაწერს კონსტანტინეს (*H. de la G.*, I, 278, n. 8). ლეონ III, მომკვდარი 957, აშენებს მოქვის ტაძარს. ამ ლეონის დროსვეა აშენებული, 964 წელს, როგორც წარწერა გვიმტკიცებს, იოანე ეპისკოპოსისაგან, მშვენიერი ჯავახეთის ეკლესია ქუმურდო (Brosset, *V. archéol.*, II Rap., 167—171).

1. ეპყრა ბასიანი. ბასიანი მდებარებდა დიდს სომხეთში, არაქსის ბასსეინში. აქვს თუ არა ვახუშტის თქმულებას ისტორიული საფუძველი ამაზე ჩვენ უნდა მივჰმართოთ ისევ კონსტანტინე პორფიროგენს, რომლის გარდამოცემა საქართველოს ბაგრატიდებზე ამ შრომაში ჩვენ წინად ვუჩვენეთ (გვ. 108, შენ. 1). პორფიროგენი იცნობდა დაახლოებით ტაოელთ ბაგრატიდებს და იმისი ცნობა იმათზე ეთანხმება ქ.-ცხბის ფაკტებსა. კონსტანტინე წარმოგვიდგენს ამ ბაგრატიდების სიას მე-VIII საუკუნიდამ მიყოლებით და,

საზთა; დროსა ამას მოადგნენ კახნი უფლის-ციხეს; მაშინ იყო ერისთავი ქარ-თლისა მარუშისძე იოანე; ამან აწვია დავით კუროპალატი ტაოდამ, რათა აღიღოს ქართლი ანუ თვით იპყრას ანუ მისცეს ბაგრატს ძესა ბაგრატიისასა,

შეეხება რა თავის თანა-მედროე ბაგრატიდებს ტაოელებისას ანუ არტანუჯელებისას, გვიამბობს შემდეგს: „არტანუჯის ციხე-სიმაგრე კაი-დიდია და მდებარებს იმ მაზრაში რომელსაც ეკუთვნიან მურღული და აჭარა; არტანუჯი ნაყოფიერი ადგილია და დიდად ალებ-მიცემობას ტრაპიზონთან, ივერიასთან, აფხაზეთთან, მთელს სომხეთთან და სირიასთან. ერთმა არტანუჯის ბაგრატიდთაგანმა კუროპალატმა აშოტმა დაუთმო იმპერატორს რომანს ლაკაპენს (920—944) ეს მხარე და პატრიკმა კონსტანმა ციხის კედელზე საიმპერატორო დროშა აღმართა; მაგრამ ივერიელებმა გურგენ მაგისტროსმა და აშოტის ძმამ დავით მაგისტროსმა აცნობეს იმპერატორს, რომ თუ მისი დიდებულება თავის ჯარს არტანუჯში შემოჰგზავნისო, ჩვენ შენ სამსახურზე უარს-ვიტყვითო და სარაცინებს მივემხრებითო. შე-შინებულმა იმპერატორმა მსწრაფლ მიიხმო უკან კონსტანი.

„უნდა აქ დავურთო, განაგრძობს პორფიროგენი, რომ კეთილ-მორწმუნემ და დიდე-ბულმა იმპერატორმა ლეონ პორფიროგენმა (886—912), სცნო რა, რომ ბასიანი სა-რაცინებს დაეპყრათ, გაგზავნა იქ თავისი ჯარი, რომელმაც ააოხრა არე-მარე თეოდო-სიოპოლისა (არზრუმისა). ივერიელნი თეოდოსიოპოლელებთან, აბნიკელებთან და მანცი-კერტელებთან, როგორც სპარსებთან ყოველთვის მეგობრულის კავშირით იყვნენ დამოკი-დებულნი. იმპერატორები ლეონ და რომანი და თვით ჩვენცა ვცდილობდით კეცე-ციხის აღე-ბასა, რომ ამ მხრით შეგვეკრა გზა საზრდოს ზიდვისა თეოდოსიოპოლში და ამასთანავე ივერიის კუროპალატს ადარნასეს და იმის ძმებს აღუთქვით ეს ქალაქი, თუ იგინი იმას დაიჭერდნენ. ივერიელებმა მეგობრობის გამო თეოდოსიოპოლელებთან არ მოინდომეს მო-ქმედება იმის წინააღმდეგ და როდესაც ჩვენ ის დავიჭირეთ, კუროპალატმა თავისი უფლება გამოაცხადა თეოდოსიოპოლზე და საბუთად თავის პროტოსფატერის ზურვანელის (ჩორჩანე-ლის) ხელით წარმოგვიდგინა პირები ნეტარ-ხსენებულის რომანის და თვით ჩვენის დიდებუ-ლების ოქრო-ბეჭდილის ოქმებისა. ჩვენ განვიხილეთ იგინი და აღმოჩნდა, რომ ჩვენის სიმამ-რის ოქმით (კონსტანტინეს ჰყვანდა ცოლად რომანის ქალი ელენე, Sabatier..., I, 9), რომელ-ზედაც თვით კუროპალატს მოეწერა ხელი: ეს უკანასკნელი ვალად-იდებდა ერთგულობას ჩვენის იმპერიისას და აგრეთვე კისრულობდა დაემონავებინა ჩვენის სკიპტრისათვის აღმოსავ-ლეთი და თავის სამფლობელოს საზღვრებს არ გადასცილებიყო. რაცა შეეხება საკუ-თრივ ჩვენის დიდებულების ოქმსა, იმაში იყო ნათქვამი, რომ ყველა ადგილები, რომ-ლებსაც კი იგი და იმისი ძმის-წული ადარნასე მაგისტროსი თავის ძალით აგა-რიანთ ჩამოართმევდნენ, იმათ საკუთრებად უნდა დარჩენილიყო. იმათგან არ არის დაჭერილი არც თეოდოსიოპოლი, არც აბნიკი და არც მასტატა; მაგრამ კი რო-დესაც ჩვენმა ჯარმა დაასრულა ამ ადგილების დაპყრობა, ივერიელნი მოვიდნენ და დაიჭირეს მთელი ეს მხარე, როგორც თვით თეოდოსიოპოლი, რომლებზედაც კანო-ნის ძალით არავითარი უფლება მათ არა აქვთ, რადგანაც საბერძნეთისა და ივერიის სა-ზღვარია არაქსი, ასე რომ მარცხენა მხარე არაქსისა, რომელიც ივერიას დაჰყურებს, ეკუ-თნის ივერიელებს, მარჯვენა მხარე კი თეოდოსიოპოლის გარე-შემო ადგილებითურთ შეა-დგენს ჩვენს საკუთრებას. მაგრამ რადგანაც კუროპალატი ერთგულად მსახურებს ჩვენს დიდებულებას, ამისთვის მეგობრობის გამო ჩვენ დავთმეთ.“ (*Add. à l' H. de la G.*, 1851, p. 138—152).

მეფის ბაგრატ რეგვენის ძის-ძესა, (რომელი აღეზარდა ამასვე დავითის მიერ თჳ-სად, რამეთუ მას არა ესუა ძე); ხოლო ესე ბაგრატ იყო ასულის-წული გიორ-გი აფხაზთა მეფისა და ერგოდა აფხაზეთი დედით. ამისი მსმენელი დავით კურაპალატი წარმოემართა ყოვლითა ძალითა თჳსითა და მოვიდა ქართლს; მხილველთა კაცთა დაუტევეს უფლის-ციხე და წარვიდნენ; ხოლო დავითმან დაადგინა მეფედ ბაგრატ წელსა 980 [1], ქართულსა 200-სსა.

## მეფე ბაგრატ III და მამა მისი მეფეთ-მეფე გურგენ (980—1008).

არამედ ესე ბაგრატ არა იყო ჯერეთ ჰასაკითა სრული, ამისთჳს დაუდგი-ნა (დავითმა) მამა თჳსი გურგენ და ამცნო ქართველთა მორჩილება ბაგრატისა და თჳთ წარვიდა ტაოდ. შემდგომად ჟამ-რაოდენმე შეითქუნეს აზნაურნი ქარ-თველნი (ვითარცა არს ჩვეულება მათი) და მოიყვანეს კახნი, გასცეს უფლის-ციხე, შეიპყრეს გურგენ და ძე მისი და დედა ბაგრატისა გურანდუხტ და წა-რიყვანეს კახეთს. ესმა რა ესე დავით კურაპალატსა, შეკრბა ყოვლითა ძალი-თა თჳსითა და მოიმწნო სომეხნი; ხოლო მოვიდა რა თრიალეთს შთასვლად კახეთად, მოუგზავნეს ზავისა-პირი კაცითა და განუტევეს გურგენ და მეფე ბაგრატ და გურანდუხტ დედა ბაგრატისა და უკუ-სცეს უფლის-ციხეცა; არა-მედ წირქვალი და გრუჯი თჳთ დაიჭირეს და დავით შეიქცა თჳსადვე და ეპყრა უფლის-ციხე გურანდუხტს. ხოლო ვითარ გარდასხდნენ წელიწადნი სამ-ნი და მეფობდა აფხაზეთს თეოდოსი მწუხარე და განირყუნა ყოველი წესი აფხაზთა; მაშინ ამანვე მარუშისძემ იოანემ და ყოველთა დიდებულთა ქართლი-სათა და აფხაზეთისათა მოითხოვეს დავით კურაპალატისაგან მეფედ ბაგრატ აფხაზთა; არამედ მან ძნიად აღუსრულა და შემდგომად მოსცა ბაგრატ და აკურთხეს მეფედ აფხაზთა წელსა 985, ქართულსა 205. მაშინ დაჯდა ესე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფედ; არამედ ვინადგან სრულ ქმნილ იყო ჰასაკითა, დაემორჩილნენ ყოველნი აფხაზნი და ორისა წლისა შემდგომად იწ-ყო მან განგება სამეფოჲსა თჳსისა მსგავსად პაპისა თჳსისა გიორგისა ანუ დავით აღმზრდელისა თჳსისა; ხოლო წარგზავნა წინაშე დავით კურაპალა-ტისა, რამეთუ უმჯობესად გამოჩნდა; მერმე გარდამოვიდა ქართლს, რათა გა-ნაგოს დაშლილნი საქმენი მანდატურნი; არამედ ქართველთა არა ინებეს, რამეთუ განდგნენ თჳს-თჳსად და იწინამძღვრეს ქავთარ ტბელი და დაუდგნენ მუ-ღრისს ბაგრატს. მაშინ მეფემან აღუზახნა სპათა თჳსთა და ბრძოლასა იქ-

1. ამ წელს იწყობა მეფობა ბაგრატისა აფხაზეთში (*H. de la G.*, I, 295, n. 4. აქ ვახუშტის მინაწერი: „დასაბამითგან 6496, ქორონიკონსა 208, მეათცამეტესა მოქცევასა ანუ 988 წ. მოიქცა ვლადიმერ მეფე რუსთა სრულიად დიდის რუსეთით." ამასვე უჩვენებს თვით ასოლიკი (*Всеобщ. ист.*, 200.—Lebeau..., XIV, 176).

ლტოდნენ ქართველნი; მოსწყვიდნეს და უმეტესნი შეიპყრნეს და მოართვნეს ბაგრატს. აღიღო მეფემან უფლის-ციხე და დაჰყო მუნ მცირე ხანი, განაგო მეუნებურნი, ვითარცა ხელოვანმან მენავეთ-მოძღვარმან, წარმოიყვანა დედა თვისი და შთავიდა აფხაზეთს. შემდგომად რაოდენთამე წელთა შეიკრიბნა სპანი თვისნი ბაგრატ და მოვიდა ქართლს (რამეთუ იყო კლდე-კარის ერისთავი რატი; ამას აქვნდა თრიალეთი, მანგლისის-ხევი, სკვირეთი და არა მორჩილებდა ბაგრატს), რათა შეიერთოს რატი; არამედ აუწყეს დავით კურაპალატსა, რამეთუ სიკვდილად შენდა გამოვიდაო ბაგრატ. მსმენელმან დავით შეიკრიბნა სპანი, იწვია სომეხნიცა და მივიდა მის თანა ბაგრატ რეგვენი პაპა ბაგრატისა, რამეთუ ეშინოდა ძისა თვისისა გურგენისაგან მეფობისა წარღება. ხოლო გურგენ ძმან ბაგრატ რეგვენისამან შეიკრიბნა სპანი და მოვიდა თავსა შავშეთისასა და შეიბნენ დავით და იგი გარდათხრილსა ზედა; იძლია გურგენ და შეიხვეწა ციხესა წეფთისასა; ხოლო ბაგრატ მეფე მოწყვნილ იყო თრიალეთს; ჰსცნა, რომელ არა ეგების ძალითა დამართებად დავით კურაპალატისა, დაუტევა ლაშქარი და მივიდა მარტოდ წინაშე დავითისა და ეტყოდა: „არა-რად გამოველ, გარნა დამორჩილებად რატისა." ხოლო დავით მიუთხრა: „მითხრეს მე, რამეთუ გამოსრულხარ სიკვდილად ჩემდა, გარნა აწ ვინაჲდგან მართალ ხარ, მითავისუფლებიხარ რატის ზედა," და წარმოვიდა ბაგრატ აფხაზეთს. შემდგომად გარდაიცვალა ბაგრატ რეგვენი წელსა 994, ქართულსა 214.

იქმნა მამისა მისისა დავითის წილ გურგენ, მამა ბაგრატ აფხაზთა მეფისა (ხოლო ამ გურგენს ამისთვის ეწოდა მეფეთ-მეფე, რამეთუ ძე ამისი ბაგრატ უწინარესვე მეფე იქმნა); შემდგომად რა მოვიდა ჟამი ზამთრისა, წარმოვიდა ბაგრატ აფხაზეთით ყოვლითა ძალითა თვისითა და მოადგა რატის; არამედ რატიმ გამოიყვანა შვილი თვისი ლიპარიტ და მოსცა ბაგრატს იგიცა და ციხენიცა თვისნი; თვით წარვიდა და დაჯდა არგვეთს. ხოლო გარდაიცვალა რა დავით კურაპალატი წელსა 1001, ქართულსა 221[1], მაშინ გამოვიდა ვა-

1. დავით კუროპალატზე გვაქვს ჩვენ ცნობები ვიზანტიურისა, სომხურისა და ქართულის წყაროებისა, და გარდა ამისა არაბულის წყაროჲსა, რომელიც მხოლოდ ამ მოკლე დროში აღმოჩნდა. ეს უკანასკნელია წელთ-აღწერა იახია ანტიოქელისა, რომელიც ეკუთნის მე-XI საუკუნის დამდეგს და რომლის ფაკტებს ჩვენ ქვეყანაზე თავ-თავის ადგილს შემოვიტანთ ჩვენ შენიშვნებში. შემდეგი შენიშვნა კი ჩვენ შემოგვაქვს ჩვენისავე სტატიიდამ: *Отношенія Грузіи и Арменіи къ Византіи*; ნახე *Изв. Кавк. общ. ист. и археолог.*, выпускъ 1, стр. 76—85. წყაროები ამ სტატიისა იქვეა ნაჩვენები, ამისთვის აქ აღარ მოგვყავს.

„ვიზანტიის მეისტორიენი კედრინი და ზონარი უწოდებენ დავითს ივერიის მეფედ; ქართული წყაროები-საქართველოს ცაოს კუროპალატად. სომხეთის მწერალთა შორის: დავითის თანა-მედროვე ასოღიკი ჰხადის მას სომხეთის კოროპალატად ტაიკისა; ჩამჩიანი-დიდ მეფედ სომხეთისა და კუროპალატად ტაიკისა; მხოლოდ მათე ედესელი, რომელიც ცხოვრობდა მე-XII საუკ., უწოდს მას კუროპალატად და მეფედ საქართველოჲსა. ფრან-

სილი ქჳისარი და მისცეს მას ციხენი დავით კურაპალატისანი აზნაურთა მისთა; მაშინ მოვიდნენ წინაშე მისსა გურგენ და ბაგრატ მეფენი, არამედ გასი-

ცეზის მეისტორიე ლებო, რომელსაც ხელში ჰქონდა ბერძნული და სომხური წყაროები, უპირატესობას აძლევს პირველს და ყოველთვის ჰხადის დავითს ივერიის მეფედ; მაგრამ ლებოს გამომცემი ბროსსე ლებოს აზრს შეცდომათა სთვლის და ამბობს მის ისტორიის შენიშვნაში, რომ დავით უნდა ირიცხებოდესო მეფედ სომხებისა და არა ქართველებისა. ეს აზრი ბროსსემ უკუ-აგდო შემდეგ, როდესაც ქართული წყაროები შეისწავლა. ჩვენის ფიქრით, მიზეზი ზემოდ მოყვანილის უთანხმოებისა დავითზე იმაში მდგომარეობს, თუ ვის ეკუთნოდა ტაიკი: სომხეთს თუ საქართველოს. მართალია, ტაიკი შეადგენდა დიდის სომხეთის ნაწილს და თუ, როგორც სომხეთის მწერალნი და თვით სენ-მარტენი ამტკიცებენ, სომხეთის ტაიკად იგულისხმება ჭოროხის ხეობა, სადაც მეფობდა დავით, მაშინ, რა საკვირველია, იგი უნდა იყოს მეფე და კუროპალატი სომხეთისა. მაგრამ სხვა და სხვა საბუთების განხილვამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ იყო ორი ტაიკი-სომხური და ქართული, როგორც იყო ორი სომხეთი-სომხური და ქართული. ტაიკის ადგილ-მდებარეობას უჩვენებენ ზოგნი სომხის მწერალნი ბარხარის მთის ძირს, ზოგნი ბარხარის მთებში, ხალდიკის მიჯნათ, რომელიც საზღვრავდა ტრაპიზონის სამფლობელოს და არზრუმის არე-მარეს. ტაიკი მე-IV—V საუკუნოებში ეკუთნოდა მამიკონიანთ გვარსა და საეკლესიო მხრივ ექვემდებარებოდა სომხის მღვდელ-მთავრებს. ტაიკის ისტორიულ ადგილებთა შორის ცნობილი იყო მხოლოდ ყულფი, მდიდარი მარილის მადნებით და რომელიც-ეს ცხადია-ჭოროხის ხეობას არ ეკუთნის. რაც შეეხება სხვა ადგილებს, მხოლოდ ორჩენყალის სახელ-წოდებაში ეძებენ არტანუჯს; დანარჩენს სახელებს ტაიკისას ჭოროხის ხეობაში ვერა პოულობენ ვერც სენ-მარტენი, ვერც ბროსსე და აღიარებენ, რომ ამაზე ცხადი ფაკტები არა არისრა. ნაკლებს ეჭვს წარმოგვიდგენს სპერი, სტრაბონის ის-პირატისი, ქ.-ცხბის ის-პირი, რომელიც ტაიკის მოსაზღვრე მაზრას შეადგენდა და რომელსაც ეჭირა უმაღლესი ღელე-მინდვრები ჭოროხისა და ივსებოდა ბარხარის ქედის წყლებით და ძველადვე შეადგენდა სომხეთის ბაგრატიდების სამფლობელოს. ჩვენ არ ვეჭვნეულობთ, რომ სომხურსა და ქართულს თქმულებაში ბაგრატიდების გავრცელებაზე სომხეთით, სომხური თქმულება უფრო ახლოა ისტორიულ სიმართლეზე. ამასთანავე ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით სახელ-წოდება ტაიკი შეუტანიათ ჭოროხის ბასსეინში სპერით ანუ ის-პირით სომხეთის ბაგრატიდებს, როდესაც იგინი ამ ბასსეინში დამყარებულან, მსგავსად იმისა, როგორც ვიზანტიელებმა გადასცეს ლაზიკის სახელი მთელს იმერეთს, როგორც აფხაზეთის დინასტიამ გადიტანა იმერეთში სახელ-წოდება აფხაზეთისა. ჩვენის აზრით, სომხეთიდამვეა შემოტანილი ჭოროხის ბასსეინში სხვა გეოგრაფიული სახელ-წოდებაებიცა: სომხურის ბარხარიდამ უნდა იყოს წარმომდგარი ფარხალი ისპირსა და თორთომს შორის; თვით თორთომი—ეფრატის აღმოსავლეთის მხარის თორთონიდამ; გოლა ანუ კოლა მტკვრის სათაურში—არწახის გოლიდამ ანუ ალვანის გოლთიდამ; არტანუჯს ზემოდ მდებარე ერისთავთ რეზიდენცია კალმახი—ეფრატის დასავლეთად მდებარის ციხე-სიმაგრის კამახიდამ; ქალაქი ოლთი ანუ ოლთისი-არარატის მაზრის ულთიდამ ანუ ულდიდამ. აქ ისიც უნდა დავურთოთ, რომ ჭოროხის ბასსეინი სულ ძველად ქართულ მწერლობაში ცნობილია არა ტაოდ, არამედ კლარჯეთად: კლარჯეთი ჰსაზღვრავდა მთელს სივრცეს არსიანის ქედიდამ თვით შავ-ზღვამდე და მდებარეობდა, ქ.-ცხბის ჩვენებით, მეზობლად მოსაზღვრე „სომხეთის ფარხალისა ანუ ტაიკისა.“

ლიმ იძმატვა მამა ძესა შორის და მისცა ბაგრატს კუროპალატობა და გურ-გენს მაგისტროსობა; გარნა ვერ უძლო, რამეთუ გურგენ ჭეშმარიტი კაცი იყო.

„ქართველების ტაო მთელს თავის სივრცეზე, გარდა ისპირის ხეობისა, ახლა თი-თქმის მთლად არის არხეოლოგიურად შესწავლული, და რას აღმოაჩენს ამ მხრივ ისპირის ხეობა ჯერ არ ვიცით. არხეოლოგიურმა შესწავლამ კი ტაოსამ მოგვცა შეურყეველი ფაკტები, რომელნიც გვიმტკიცებენ, რომ იქ არსად არ არის არც ერთის საუკუნის კვალი სომხების მფლობელობისა. ზოგიერთი ქართველების ძველი ტაძრები და მონასტრები ტაოს მხარეში ჩვენ კიდეც მოვიხსენიეთ ჩვენს შენიშვნებში, ზოგსაც თავ თავის ადგილს ვუჩვე-ნებთ. ყველა ფაკტები ისტორიული და არხეოლოგიური და თვით ვერცხლის მანეთი, რომელზედაც ხუცურად წარწერილია: ႵႤ ႸႤ ႣႧ ႩႮႪႲ „ქ რ ი ს ტ ე შ ე ი წ ყ ა-ლ ე დ ა ვ ი თ კ უ რ ო პ ა ლ ა ტ ი“ (Langlois, *Essai de classif.*, Planche III) გვარ-წმუნებენ, რომ ტაო ეკუთნოდა საქართველოს და დავით იყო ქართველთ ბაგრატიდთ აღმონაცენი.

„ქ.-ცხბით დავით მეფობდა 983—1001 წ. სომხის წყაროები არ გვიჩვენებენ, რო-მელ წელს დაჯდა დავით ტახტზე; იმის სიკვდილის დროს კი იხსენიებენ პასექის დღეს 1000 წ. ჩვენ არა გვაქვს ამ ციფრების შესამოწმებელი ფაკტი; მაგრამ 983 წელი კი, როგორც დასაწყისი დავითის მეფობისა, ცხადი შეცდომაა, რადგანაც დავით 983 წელზე ადრე განაგებდა თავის სამეფოსა. თვით პიროვნობას და ხასიათს დავითისას ამ გვარად გვიხატავს იმისი თანა-მედროვე ასოღიკი: „სიტკბოებით და მშვიდობის-მოყვარებით, ამბობს ასოღიკი, დავით აღემატებოდა ყოველთა ხელმწიფეთა, რომელნიც კი ჩვენ დროს ცხოვრო-ბენ; დავით იყო მიზეზი მყუდროებისა და კეთილ-წესიერებისა მთელს აღმოსავლეთზე და განსაკუთრებით სომხეთში და ივერიაში; მან აღმოჰკვეთა ომიანობა, რომელიც ყოვლის მხრით ატეხილი იყო და სძლია ყველა გარეშე ტომთა ასე, რომ ყველა ხელმწიფენი ნება-ყოფლობით ექვემდებარებოდნენ მას.“ განსაკუთრებითი ღვაწლი მიაგო დავითმა საქართვე-ლოს და ვიზანტიას. დავითმა თავის შვილობილის ბაგრატ მე-III-სთვის-თვითონ იყო უშვილო-შეაერთა ერთ სამეფოდ ტაო, აფხაზეთი და ქართლი და თვით იმის სიცოცხლე-შივე ბაგრატი (ეს ბაგრატ იყო ბიძა-შვილის შვილი დავითისა, ძე გურგენისა) დაჯდა მეფედ ჯერ აფხაზეთში და შემდეგ ქართლში. ამ ბაგრატიდამ იწყობა ბრწყინ-ვალე დრო საქართველოს სამეფოსა. რა სამსახური აღმოუჩინა დავითმა თვით ვიზან-ტიას, ამაზე იგივე ასოღიკი სწერს შემდეგს: „როდესაც ვიზანტიაში გამეფდა ვასილი (II ბულგაროკტონი 976 წელს), ვარდა სკლეროსი განდგა და იწყო მეფობა ჯახანისა და მელიტენის ქვეყნებში. ვარდა იყო მეომარი და მეცნიერი სამხედრო საქმეში. ვარდმა მი-იმხრო სომხის ცხენოსანი ჯარი, რომელიც საბერძნეთში იმყოფებოდა, და დაგლიჯა საბერძნეთის სამეფო ორ ნაწილად, შევიდა ვიფინიამდე და სრული ოთხი წელი ებრძოდა ვასილის და მთელი მხარე სისხლით შესვარა. ვასილი მეფემ შემოიკრიბა მხედრობანი: ვიზანტიისა, ფრაკიისა და მაკედონიისა და გაგზავნა ვარდას წინააღმდეგ. ვარდა შეება ვასილის ჯარს; სომხის ჯარი იბრძოდა მხნედ: ტარონელის თავადის შვილთა გრი-გოლმა და ბაგრატმა და აგრეთვე მოკის თავადმა აპრანიკმა ზარი დასცეს საბერძნეთის მხედრობას, ასე რომ არა ორს ანუ სამს წყობაში, არამედ მრავალს კვეთებაში იმათ სძლიეს დასავლეთის ჯარსა. ომიანობა გავრცელდა მთელს საბერძნეთში: სოფელი ებრძოდა სოფელს, ქალაქი ქალაქს და ყოველს ადგილს სისხლი იღროდა... ყველა ამ შემთხვე-ვათა შემდეგ მეფე ვასილიმ იხმო მხედართ-მთავარი, ნათესავით ივერიელი თორნიკე და წარგზავნა ტაიკის კუროპალატთან დავითთან, რომ დაგითმობო ხახთი-არიჩს კელე-სირიით,

და უკუ-იქცა ვასილი კეისარი; შემდგომად მოკვდა გურგენ მეფეთ-მეფე წელსა 1008, ქართულსა 228.

ჩორ-მაირს, კარინს (არზრუმს), ბასიანს და სევუკის ციხეს მარდახით, ხარკს და აპაჰუნიკს—და დაუთმო კიდეც,—თუ ჯარს მომაშველებო. დავით კუროპალატმა შემოჰკრიბა ივერიის ჯარი და მთავართ-მთავარის ჯოჯიკის ხელ-ქვეით—ეს ჯოჯიკი ცნობილია ქ.-ცხოვრებითაც და ეოშხის წარწერითაც—გაგზავნა თორნიკითურთ ვარდას წინააღმდეგ. ტარონის ქვეყნიდამ დაწყობით ივერიელმა ჯარმა მოაოხრა ბერძნების მხარე, რომელიც მტარვალს ემონავებოდა... ეს ჯარი დასავლეთის ჯარითურთ შეება ვარდას; ვარდა დამარცხდა და განივლტო ბაღდადისკენ იბნ-ხოსროვ-ემირთან."

„ეს შემთხვევა თვით ლებოს შემოაქვს დაწვრილებით ვიზანტიელების წყაროებიდამ. ამავე საგანს შეეხებიან: 1) ქ.-ცხოვრება; 2) ერთი ბერძნული მანუსკრიპტი მოსკოვის საპატრიარხო ბიბლიოთეკისა; 3) თვით იმ დროის წარწერა დიდებულის ზარზმის ეკლესიაზე, რომლის კედელზედაც აქამომდე ჩანს ბაგრატ III სურათი (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № გვ. 41). ზარზმა მდებარეებს ახალციხის მაზრაში. წარწერა იმისი ამოჭრილია სულას შვილის იოანესაგან, რომელსაც მონაწილეობა მიეღო თვით აღწერილს ლაშქრობაში; 4) შენიშვნა „იოანე ღვთის-მეტყველის გამოცხადების წიგნში," რომელიც თარგმნილია წმინდა ევთიმესაგან და ახლა ეკუთნის შიო-მღვიმის მონასტერს. ეს შენიშვნა ამბობს: „დაიწერა (წიგნი ესე) საბერძნეთს, მთასა წმინდასა ოლიმბოს, საყოფელსა წმინდისა ღვთის-მშობელისასა, ლავრასა შინა კრანიას, მეფობასა ვასილისსა და კოსტანტინესსა, პატრიარქობასა ანტონისსა და ფიცხლად განდგომილებასა ვარდა სკლეროსისსა, ჭირსა დიდსა საბერძნეთისასა, ოხრებასა გლახაკთასა და აწყუედასა ჭაბუკთასა უწყალოდ ურთიერთარს მახვილითა ძმაჲ ძმასა ზედა და მამაჲ შვილსა ზედა. ესე ყოველი იქმნებოდა ამას რაჲ წიგნსა გწერდი; ხოლო თუ ძლევაჲ ვის მიეცემოდა არავინ უწყოდა, თვინიერ ღვთისა; ყოველნივე ურთიერთას ეკვეთებოდეს სიტყვით და საქმით; მცირენი და დიდნი ყოველნი იბრძოდეს; დასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხფპბ (6582); ქორონიკონი იყო რჟჱ" (198)—978, და 5) ცხოვრება წმ. მამათა იოანესი და ევთიმისა ივერიის მონასტრის მანუსკრიპტში. ეს მანუსკრიპტი მოიტანა 1876 წ. ტფილისში მამა ბენედიკტემ და შეიცავს „მთა-წმინდელთ" ცხოვრებას, შედგენილს თანა-მედროჲსაგან და იწყობა მოთხრობით, რომელიც უმთავრესს შემთხვევაში სრულებით ეთანხმება ასოლიკს, მაგრამ დავით კუროპალატისაგან თვით 12,000 ჯარის გაგზავნას ვიზანტიაში უფრო დაწვრილებით გვიამბობს;" გარდა ამისა ივერიის მანუსკრიპტში ჩართულია მრავალი მოსახსენებელი აღაპები მე-X—XII საუკ. მეფეთა და სხვათა პირთა, რომელთაც რაჲმე შესაწირავი უძღვნიათ ივერიის მონასტრისათვის. ამ მანუსკრიპტის ნაამბობი თითქმის სიტყვა-სიტყვით არის შეტანილი ქ.-ცხოვრებაში და ამტკიცებს ასოლიკის თქმულებას, რომ იმპერატორმა დავითს, შემწეობის ნაცვლად, დაუთმოო „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი," ანუ საბერძნეთის სომხეთისანი და ამასთანავე ჩვენი მანუსკრიპტი დასძინებს, რომ ეს ქვეყნები იმპერატორმა მას უძღვნაო მის სიკვდილამდე. ეს იყო მიზეზი, როგორც ვნახავთ, რომ ამ საგანმა შემდეგ განხეთქილება და ბრძოლა ასტეხა ბერძნებისა და ქართველების მეფეთა შორის. ის ადგილი, სადაც იძლია სკლეროსი, ზარზმის წარწერაში იხსენიება „სარვენად ხორსანანის ქვეყანაში." ეს ხორსანანი არის ვიზანტიელების არზანენი, რომელიც მდებარეებს აღმოსავლეთად ტიგრისა და ნიმფიუსისა და რომელიც ყოველთვის სადავო იყო სპარსეთისა და ვიზანტიის მეფეთა შორის. ლებოს აზრი თუ სად იძლია სკლერუსი სხვა არის: იმის მოწმობით, სკლეროსის მხედრობა დამარცხდა ჰალისის პირზე და მომე-

ხოლო შემდგომად მამისა თვისისა დაიპყრა ბაგრატ აფხაზთა მეფემან ნაქონები მამისა და მამობილისა დავითისა. მაშინ განაკნა აფხაზეთი და დააცებული ნაწილი იმისი ჩანთქა ამ მდინარის ზვირთებმა. როგორც ივერიის მანუსკრიპტი, აგრეთვე მოსკოვის საპატრიარხო ბიბლიოთეკის ბერძნული მანუსკრიპტი თანახმად გვიამბობენ, რომ ქართველებმა დაიპყრესო ყოველივე საუნჯე სკლერუსის ბანაკისა, რომელიც თეოფანა იმპერატრიცის უხვი ნიჭითურთ მოიხმარესო გასამშვენიერებლად „უდიდებულესის ათონის მონასტერთა შორის ივერიის ლავრისა."

ვახუშტის შენიშვნით, დავით კუროპალატის „დროს იყო იოანე მამა ევთიმისა მთარგმნელი (მთარგმნელისა) წიგნთა ჩვენთა, რომელი იყო ქვეყანისაგან ტაოსა."

ჩვენ აქ უნდა შევდგეთ ზემოდ ჩვენებულს იოანესა და ევთიმის ცხოვრებაზე. ეს ცხოვრება აუწერია „ხუცეს-მონაზონს გიორგის," რომელიც თვით გიორგი მთაწმინდელია, როგორც ამ უკანასკნელის ბიოგრაფი გვარწმუნებს. „არა ჟერ ვიჩინეთ, ამბობს გიორგი, მოუხსენებლად დატევება ცხოვრებისა მათისა (იოანესი და ევთიმისა) და მამათაცა მიბძანეს ამისი ხელ-ყოფა... ხოლო დალაცათუ ჩვენ შემდგომად მრავლისა ჟამისა ღვთისა მიმართ მისვლისა მათისა ხელ-ვყავით მცირედთა ამათ სიტყვათა აღწერად, გარნა ურწმუნო ნურცა ვინ არს, რამეთუ ჩვენ თავით თვისით არა რაჲ აღგვიწერიეს, არამედ რა იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა იგი ეხილვნეს და ემსახურა მათდა, რომელნი იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუილისაგან." ამ მხილველთ სიაში უნდა შევრიცხოთ თვით გიორგი მთაწმინდელი, რადგანაც მან რამდენიმე ჟამი თავის ყმაწვილობისა ევთიმის ხელ-მძღვანელობაში დაჰყო.

გიორგის ცნობით, წმინდა იოანე იყო „ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპათაგან დიდებული და წარჩინებული მთავართა შორის დავით კუროპალატისათა და საყვარელი და საკუთარი დავითისა, მხნე, ახოვანი და განთქმული წყობასა შინა." ამან „აღილო ჯვარი მხართა თვისთა ზედა და ფარულად ყოველთაგან იჯმნა და მოვიდა ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლესიათასა," სადაც მონაზონობა მიიღო მამა მოსესა და მამა გელასისაგან". იოანეს დროს საბერძნეთის მხარეში ბევრ ადგილს მოღვაწეობდნენ საქართველოს შვილნი: ულუმბოში, შავ-მთაზე ანტიოქიის მახლობლად, იერუსალიმში, სინაის მონასტერში და ათონის მთაზე. ათონის მთაზე განსაკუთრებით ბრწყინავდნენ ქართველთაგანნი: დიდი ათანასე, რომელსაც ბერძნულის მანუსკრიპტის თქმით ლავრაც აეშენებინა და სასწაულთაცა იქმოდა; შავი გრიგოლ; ზაქარია მირდატისძე; არსენი სომეხ ყოფილი კვირპელის ჯოჯიკის მეგანძურეთ-უხუცესი; იოანე ხახულელი; გიორგი, ნათესავი ევთიმისა; სვიმონ და გაბრიელ, რომელნიც ევთიმეს შემდეგ ივერიის მონასტერს განაგებდნენ; თეოფანე ხუცესი, გიორგის სიტყვით, „ფრიად სწავლული და ხელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთა, რომლისათვის სწამებდა მამა ევთიმე, ვითარმედ უფროს ათას-ხუთასისა დრაჰკნისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი"; „წმინდა ბერი იოანე გრძელისძე დაუუდებული ოთხთა ეკლესიათა ლავრასა შინა, და აგრეთვე არსენი ნინო-წმინდელი, კაცი მაღალი სათნოებითა და მუშაკი ქრისტეს მცნებათა, რომელმან ღვთისათვის დაუტევა ეპისკოპოსობა და კუროპალატისა წინაშე მივიდა და კუროპალატმან ოთხთა ეკლესიათა წარმოგზავნა და იგიცა დაუუდებით ცხონდებოდა (ცხოვრობდა)".

„მათ ჟამთა შინა, განაგრძობს ბიოგრაფი, ბერძენთა მეფემან ზემონი ქვეყანანი დავით კუროპალატსა მისცნა და აზნაურთა შვილნი მძევლად ითხოვნა მისგან." იმათ შორის იოანეს სიმამრმა აბულარბმა იოანეს მოჰგვარა მისი შვილი ყმაწვილი ევთიმე. „თვით

დგინნა ბრძანებისა თვისისა მორჩილნი; მოვიდა ქართლს, მიუგზავნა კახეთს, რათა მოსცენ ციხენი; არამედ დავით ქორიკოზმან მოუმცნო: „უკეთუ გნებავს

თვისი მისი წარჩინებული და ახოვანი თორნიკე, რომელი თვისსა ქვეყანასა მონაზონ იქმნა, იოანესთან მოვიდა და აქ იმან კურთხევა მონაზონებისა იოანეს ხელით მიიღო..." „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა განითქვა ამბავი მათი და იწყეს მიერიდგან ქართველთა მოსვლად და განმრავლებად," ასე რომ თვით იოანეს დროს ბიოგრაფი ათონელ ქართველებს აღრიცხავს 300 სულსა, რომელთაც თავის მოღვაწეობით დაიმსახურეს მზრუნველობა და მფარველობა როგორც ვიზანტიის იმპერატორებისა, აგრეთვე დავით კუროპალატისა და სხვათა საქართველოს დიდებულთა, რომელთა შორის ბიოგრაფი განსაკუთრებით იხსენიებს „ქრისტეს მოყვარეთა ძმათა ჩორჩანელს და ფარსმანს, რომელთა იგი, ამბობს გიორგი, დიდად აღგვიპყრეს ხელი წყალობისა,—ათას წილად მიაგოს ღმერთმან!"

უმთავრესი შემთხვევა, რომლის გამო ათონის ქართველ-მამათა დაიმსახურეს განსაკუთრებითი პატივი და მფარველობა საბერძნეთის მეფეთა, იყო ის შემწეობა, რომელიც ერთმა ქართველთ მონაზონთაგანმა სახელდობრ თორნიკემ აჩვენა განდგომილის სკლეროსისაგან შერყეულს ვიზანტიას. როგორც გიორგი ბიოგრაფი გვარწმუნებს, „თორნიკემ დავით კუროპალატის 12,000 რჩეულის მხედრობით აოტნა სკლეროსი და სპარსეთამდე მეოტად წარიქცია და მერმე შეიქცა და დაატყვევნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარ-ჰყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თვით დაიჭირა... ამა მამათა ჩვენთა თავს-იდვეს თავისუფლად საკუთარისა მონასტრისა აღშენება და ჰპოვეს ადგილი მშვენიერი შუა მთა-წმინდისა და აღაშენნეს დიდებული ლავრა, რომლისა მსგავსი არა იპოების, სამკვიდრებელად ქართველთათვის და მერმე ღვთის-მსახურთა ბერძენთა მეფეთა მსახურებითა და მომადლებითა ჟამთა განდგომილისა სკლეროსისათა განავრცეს და განადიდეს და მოუგნეს დაბანი და მონასტერნი და ოქრო-ბეჭედნი, და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღვთივ-სულიერთა და განაბრწყინვეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა და მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და საყუდებელნი..."

ჩვენის ფიქრით, არც ერთი მთა-წმინდის მოღვაწეთაგანი არ შეედარება იოანეს შვილს ეფთვიმეს, გარდა გიორგი მთაწმინდელისა მწიგნობრობის ასპარეზზე. მამის ბძანებით, ამბობს მისი ბიოგრაფი, „ევთიმემ იწყო თარგმნად და ყოველნი განაკვირნა, რამეთუ ეგე ვითარი თარგმანი გარეშე მათ პირველთასა არღარა გამოჩენილ არს ენასა ჩვენსა და ვგონებ, თუ არცა გამოჩინებად არს და მრავალნი წიგნნი წარსცნის წინაშე დავით კუროპალატისა, რომელნი იხილნა რა, სიხარულითა აღივსო და იტყოდა: „მადლი ღმერთსა, რომელმან ჩვენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა და ზედასზედა მოუწერდა, რათა თარგმნიდეს და წარცემდეს და იგი სანატრელი შეუსვენებლად თარგმნიდა, რომლითა მიერ დაატკბო ენა ჩვენი და ეკლესია, რამეთუ თარგმნა წიგნი საღმთონი, რომელთა აღრიცხვა შეუძლებელ არს... არა თუ ულუმბოსა და მთა-წმიდას ოდენ თარგმნნა, არამედ სამეფოსაცა და გზასა და სხვათა ესე ვითართა ადგილთა." ბიოგრაფი ჩამოგვითვლის ევთიმისაგან თარგმნილს სხვა-და-სხვა საღმთო და საეკლესიო წიგნებს რიცხვით 52-ს.

ზოგი-ერთი გიორგის სიაში შეტანილი მანუსკრიპტები ევთიმეს დროისა თვით ჩვენ ხელში გვქონია; ეს მანუსკრიპტებია: 1) წიგნი ღვთის-მეტყველის გრიგორისა," დიდი ფოლიანტი, მშვენიერის ალფავიტით ნაწერი, რომელიც ეკუთნის მცხეთის საკა-

ცისენი, იყოს დამჯერებელი ჩვენდა ხრმალი." მსმენელი მეფე ბაგრატ განწყრა და მოუწოდა აფხაზთა, ტაოელთა, მესხთა და ქართველთა, (რამეთუ მას ეპყრნეს-

თალიკოსო ეკლესიას და რომელსაც ხშირად აქვს მიწერილი: „ლოცვა ჰყავთ ნეტარისა მამისა ჩვენისა ევთიმე მთა-წმინდელისათვის, რომელმან ესე საკითხავი ბერძულისაგან ქართულსა ენასა თარგმნა;“ 2) „იოანე მახარებელის ხილვა და ხილვისა აღსნა“ მინაწერით: „ქრისტე ადიდე სულითა ევთიმე ამისი თარგმანი“ (მთარგმნელი). ეს მანუსკრიპტი, გადაწერილი, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ, ევთიმეს დროსვე, 978 წელს, როდესაც ვიზანტიას სკლეროსი ებრძოდა, დაწერილია მშვენიერის ხელით; 3) „სჯულის-კანონი წმ. იოანე-მმარხველისა და მეექვსისა კრებისა,“ რომელიც იყო 680—682 წელსა. ეს წიგნი ჩვენ თვითონ არ განგვიხილავს, მაგრამ გარკვეული აქვს ბროსსეს, რომელიც ამბობს, ვითომც ის იყოს გადაწერილი წმ. იოანესაგან? (*H. de la G.*, I, 303, note A). უცნაურია ამ წიგნის ბედი: ის უპოვნია 1829 წელს რუსის არხეოლოგს სტროევს რუსეთში ვოლოგოდის გუბერნიაში და ახლა სამეცნიერო აკადემიის მუზეუმის საკუთრებას შეადგენს.

ბროსსეს თქმით, ამ მანუსკრიპტის შინაარსია: ა) გარდა ორის ისტორიულის წინასიტყვაობისა, რომელთაგანი ერთი შეეხება მე-VI კრებას, მეორე-ტრულლოს კრებას (691 წ.), 100 § საეკლესიო კანონ დებათა სამღვდელო და საერო პირებზე და ცოდვათა სინანულზე; ბ) რვა თავი სააღსარებო, მე-VI კრების ბოლოს, თქმული კონსტანტინეპოლის პატრიარხის იოანე მმარხველისაგან; გ) ათი თავი სხვა მისგანვე თქმული ანუ სასინანულო სახელმძღვანელო; დ) წმინდათა ხატთა თაყვანის-ცემისათვის, შედგენილი იმპერატორის მიხეილის და იმის დედის თეოდორას დროს, 842 წელს.—უკანასკნელ 1-სა და 3-ს §§-ს ბოლოში „ნეტარ-ხსენებულის იოანეს შვილი ევთიმე მთარგმნელი VI კრების მცირე სჯულის-კანონისა ითხოვს მკითხველთაგან შენდობასა.“

სრული სათაური სჯულის-კანონისა არის: „კანონნი და დებულებანი 168-თა წმინდათა მამათა, რომელნი შეკრბნენ კონსტანტინეპოლს, ახალსა რომსა, დროსა კეთილ-მორწმუნისა კონსტანტინესსა, ძისა ძის-ძისა ერეკლესასა (კონსტანტინე პოგონატი მეფობდა 668—685; მე-VI კრება იყო 680—682)“. ევთიმეს შემოაქვს თავის თარგმანში ისტორიული ცნობები: სად და როდის რომელი კრება იყო და თვითოეულმა მათგანმა რა განაჩენი დასდო; რაში მდგომარეობდა მწვალებელთა შეცდომანი, რომელთა გამო მსოფლიო კრებებმა ეკლესიის სახელ-მძღვანელოდ სჯულ-კანონი შეადგინეს. შემოგვაქვს მე-IV კრების სჯულის-კანონიდამ ზოგიერთი ღირს-საცნობელი პარაგრაფები.

§ 6. ეპისკოპოსთა, მღვდელთა და დიაკონთა, რომელთაც ჰყავთ ცოლები, აღეკრძალება ცოლებთან იყოლიონ დედისა, დისა და დიდი-დედის გარდა სხვანი დედათაგანნი. ეს არის კანონი ნიკეის კრებისა.

§ 9. საპატრიარხო ეპისკოპოსნი ყველანი მოვალენი არიან მოიკრიბონ თავი კათალიკოსთან აღდგომის შემდეგ ოკტომბრის თვეში, ზნეთა განსაწმენდელად.

§ 14. მღვდელთა და დიაკონთა ხელ-დასხმის წინად ცოლ-ქმრობით შეუღლულთა, შეუძლიანთ იცხოვრონ ცოლებთან; ცოლიანი ეპისკოპოსი არ არის მოვალე უარ-ჰყოს ცოლ-ქმრობა; ეს ნება-რთვა დაწესებულია სამოციქულო კანონით.

აქ პარაგრაფები 16, 17, 32, 53, 34, 53, 54, 68, 80 და 82 შეიცავენ სარწმუნოებრივსა და საეკლესიო ცდომილებათა, რომელთაც ხალკიდონის კრების შემდეგ ბერძენნი და ქართველნი მიაწერდნენ სომხეთის ეკლესიას და რომელთაც მე-XII საუკუნეში სომხის კათალიკოსნი წმინდა ნერსესი და გრიგორიოსი თავის მიწერ-მოწერაში

ქსე ყოველნი); მან განვლო სიდი მცხეთისა და მუნ მიერთვნენ სპანი თვისნი; მივიდა და დადგა თიანეთს; ვერ წინა-აღუდგა დავით; მეფემან იწყო ბრძოლად ცისეთა, აღიღო ჭერეთი და განაჩინა აბულაღ მთავრად მუნ და წარმოვიდა მეფე. შემდგომად კვალად უკუ-დგნენ ჭერნი და მივიდნენ დავითისადვე; ხოლო შემდგომად მოკვდა დავით ქორიკოზი; მაშინ გამოვიდა კვალად მეფე ბაგრატ და აღიღო ჭერეთი და დაიპყრა დედოფალი დინარ და ორს წელს აღიღო კახეთიცა და შეაწყვდია კვირიკე ბოჭორმას; აღიღო ცისე და დაიპყრა კახეთი და ჭერეთი; არამედ კვირიკე დაიპყრა კარსა ზედა თვისსა. ამ ჟამს განდიდნა ამირ-ფადლონ განძისა და იწყო კირთებად ჭერ-კახეთისა მეგობრობითა და პარვით. იხილა რა ბაგრატ კადნიერება მისი, აცნობა სომეხთა მეფესა გაკის-შაჰან-შასა, რათა შური იძიონ ფადლონსა ზედა. გაკიმ განიზრახა და მიწრაფელად მოვიდა წინაშე ბაგრატისა ზორტაკეთს და წარვიდნენ ფადლონსა ზედა; ხოლო ფადლონ შეშინდა და შევიდა სამაგრეთა შინა; მაშინ მეფემან მოსტუვენა რანი და მოადგა შანქორს და დაულეწნეს ზღუდენი; არამედ ფადლონ ღამე მოგზავნა მეფისა და ითხოვა ზავი; განუწესეს ხარკი და დღეთა მისთა ლაშქრობა მის თანა; შეიწყნარა ბაგრატ და მისცა ზავი ამ პირსა ზედა; გავიდა ფადლონ, უძღვნა ურიცხვნი მეფესა. შემდგომად შემოიქცა ბაგრატ გამარჯვებული. (ამის ბაგრატის-ზე იყო ევთიმე ქართველი მთარგმნელი წიგნისა ჩვენისა და ესენიცა: იოანე გრძელისძე, არსენ ნინო-წმინდელი, იოანე ხახულელი ოქროპირი, ზაქარია მართდატისძე ანუ შარიტისძე). ამან ბაგრატ დაიპყრნა ყოველნი კავკასიელნი ჯიქიდამ გურგანის ზღვამდე; ადრაბაგანი და შირვანი მოხარკე ჰყო. სპარსთა მეფე ერთ-გულად მომსმენელი და

ვიზანტიის იმპერატორთან მანუელ კომნენთან (1143—1180) ცილის-წამებად ჰხადიან და იმათ შედგენილს, სომხეთის ეპისკოპოსთ კრებისაგან მიღებულს, აღსარებაში იმპერატორმა მანუელმა და კოსტანტინეპოლის პატრიარხმა არავითარი მძიმე წინააღმდეგობა არა ჰპოეს; მაგრამ ამ ორთა დიდის ხნით დაშორებულთ ეკლესიათა შეერთება შეაბრკოლა მანუელის უდროო სიკვდილმა და იმის მემკვიდრის დროს საბერძნეთის პოლიტიკურმა მდგომარეობამ. ჩვენ აქ ზემოხსენებული პარაგრაფები არ შემოგვაქვს, რადგანაც სტატია მეტად გაგძელდა; მაგრამ თავის ადგილს კი ამ საგანს ჯეროვნად შევეხებით.

ვაბოლოებთ შემდეგის პარაგრაფით, რომელიც გვიხატავს ძველადგანვე ბერძნების და თვით ჩვენის ტომის ზნეობას ანუ ამაო-რწმუნებას და რომელსაც აქამომდე თავისი ძალა არ დაუკარგავს ჩვენს დაბალ ხალხში.

§ 53. სჯულის-კანონს ეწინააღმდეგებიან იგინი, რომელნიც მისდევენ მისანთა და გრძნეულთა, ლეგეონთა და ასის-თავთა; რომელნი ბედსა უთხრობენ, შობის დღესა და მარტის თვესა იზმნიან, კალანდობენ, შეულოცვენ; რომელნი არიან ღრუბელთა მატყებელნი, ქერთა მყრელნი და ბეჭსა მხედველნი; რომელნი მუცლით საუბრობენ და ცეცხლსა აგზნობენ, მსგავსად წარმართთა, სახლის წინ, ყრმათა სახტუნებლად; რომელნი ითვისებენ საწარმართო სახელ-წოდებას, რომელ არიან: აპოლონ, არტემი, ბუჩი, გაცი, გაიმ, დაგეონ და არმაზ (მამ.-ცხ. შიო-მღვ. 102.—*H. de la G.*, I, 303, note A.—*Mél. Asiat.*, VII, 113—166).

ბერძენთა მეფეთაცა შიში აქვნდათ, რამეთუ იყო ღვთის-მსახურ ყოვლითა სათნოებითა. კვალად რაოდენნი მეფენი კურაპალატნი ბაგრატიონთა ხსენებულნი ზემორე ზოგნი ქართლს და სამცხეს და ტაო-კლარჯეთს მეფობდნენ ბაგრატისამდე; გარნა დროსა ამისსა არღარავინ იყო სუმბატისა და ძისა მისისა გურგენისგან კიდე, რომელნი მეფობდნენ კლარჯეთს; ხოლო მან ბაგრატ მოიწვივნა იგინი ფანასკერტის ციხესა შინა, შეიპყრნა იგინი და პატიმარ-ჰყო და შვილნი მათნი წარვიდნენ ვასილი კეისრისა წინაშე და იგინი მუნ მოისრნენ, და დაიპყრა ამან ბაგრატმან ყოველი ივერია სიბრძნე-ძლიერებითა თვისითა; შემდგომად მოვლო ყოველი სამეფო თვისი და კვალად მოვიდა ციხესა შინა ფანასკერტისასა და მუნ გარდაიცვალა მაისსა 7 დღესა, წელსა 1014, ქართულსა 234[1].

## მეფე გიორგი I (1014—1027).

და დაჯდა ძე მისი გიორგი მეფედ წლისა 18. ამან დაიპყრა სამეფო მამისა თვისისა აფხაზეთი, ქართლი, ჰერ-კახნი, ტაო, სამცხე, კლარჯეთი. შემდგომად მცირედისა ჟამისა განდგნენ კახნი და გამოაძიეს ერისთავნი გიორგი მეფისანი და იპატრონეს პირველი ყოფილი მათი; შემდგომად წელსა მეფობისა გიორგისსა 7-სა გამოვიდა ვასილი კეისარი გიორგი მეფესა ზედა. მაშინ გიორგი მეფემან შეიკრიბნა სპანი და მივიდა ბასიანს და დაიბანაკეს ორთავე მუნ; არამედ არა ეწყვნენ ურთი-ერთსა დღეთა მრავალთა. შემდგომად შემოიქცა გიორგი მეფე და მოუდგა კვალსა მისსა კეისარი; ხოლო უკანა-მავალნი გიორგისნი და მეწინავენი კეისრისანი შეკრბნენ დაბასა შირიმთასა: იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, მოისრნენ ორ-კერძოვე უამრავნი და წარჩინებულნიცა მრავალნი, მიიქცა გიორგი მეფეცა და მიისწრაფა კეისარმანცა. მაშინ იქმნა უძლიერესი ბრძოლა, რამეთუ მისდრიკნეს გიორგიელთა ბერძენნი და აღიღეს ალაფი დიდი; გარნა სულ-მოკლე იქმნენ; შემდგომად გიორგიელნივე დაიძლივნენ; ხოლო გიორგი მეფე წარმოვიდა ნიგალით; მოუდგა კეისარი, მოაოხრა ქვეყანა და მოადგა თრიალეთს; ამისთვის გიორგი მეფემან მოიყვანნა წანარნი და განიმრავლნა სპანი. მხილველი კეისარი უკუ-იქცა და უმეტეს მოაოხრა ქვეყა-

1. ამ ბაგრატის დროს მოხსენებული განძის ამირა ფადლონი, ბროსსეს შენიშვნით, არის სომხური წყაროების ამირი ადერბიჯანისა მამლენი ანუ მამლუნი აფელგაჯის შვილი. იმის გალაშქრება თვით დავით კურაპალატის დროს 996 წელს და ძლევა დავითისაგან სომხის ჯარის შეერთებით,—ძლევა, რომელშიაც განსაკუთრებით ისახელა თავი დავითის მხედართ-მთავარმა მესხმა გამრეკელმა, ვრცლად არის ნაამბი სომხეთის მატიანეში. ნახე ეს საგანი და აგრეთვე ვასილი იმპერატორის შემოსვლა ჯარით საქართველოში დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ, რომელიც ვითომც ქართველ ეპისკოპოსს ილარიონს; მოეწამლოს, აგრეთვე ზოგიერთი ახალი ცნობები იმ დროის წარჩინებულ ქართველებზე, სახელდობრ, აბულარბზე, იმის შვილზე თორნიკე მონაზონზე, თორნიკის

ნჯნი და დაიზამთრა მახლობელად ტრაპიზონისა და ვიდოდა კეისარსა და გიორგის შორის დესპანი მშვიდობისათვის; ხოლო კეისარსა ოდეს აღუშფოთდნენ ბერძენნი, ხელთ იგდო იგინი და ექსორია-ჰყვნა. გაზაფხულ კუალად წარმოუმართა გიორგი მეფესა ზედა; ხოლო გიორგიმ წარავლინა ზვიადა ერისთავი

შვილებზე: პატრიკზე, ბაგრატ მაგისტროსზე და ჩორთოვანელ (ქართულად ჩორჩანელი; ვიზანტიურად ზორვანელი) მაგისტროსზე, რომელიც იყო ვიზანტიის სამსახურში და მიჰკერძა რა ფოკა-ვარდას ვასილის წინაალმდეგ, ვასილიმ მოაკვლევინა იგი; აგრეთვე თევდოსის შვილზე ჯოჯიკზე, რომელსაც 1016 წელს დოროსტოლის გამგედ ვპოულობთ და თვით ამ უკანასკნელის შვილზე ფერსიზზე ნახე Асогикъ, *Всеобщ. ист.*, стр. 180, 188, 193—196, 201.—*Addit. à l' H. de la G.*, 1851, p. 181—186.

ქ.-ცხნის თქმით „ამან ბაგრატ დაიპყრა ყოველი კავკასია ჯიქეთიდგან ვიდრე გურგენიდმდე და ადარბადაგანი და შირვანი მოხარკე ჰყო სომხითისა ხელმწიფებითა; იყო ეკლესიათა მაშენებელი. ამანვე აღაშენა საყდარი ბედიისა და აკურთხა ქუთაისის ტაძარი განგებითა დიდითა და მიუწდომელითა“ (ქ.-ცხ. 211—212).

ბედიის ეკლესია, რომელიც ჩვენ თვითონ გვინახავს, მდებარებს ახლანდელს სამურზაყანოში და თუმცა ახლა შერყეულია, მაგრამ ერთი უკეთესთაგანია. წარწერებიდამ არა ჩანს, რომ იგი ბაგრატ მეფისაგან იყოს აშენებული; უეჭველს ფაქტს კი ამისას გვაძლევს ერთი საყურადღებო ხელოვნების ოქროს ბარძიმი, რომელიც მე 1865 წელს აფხაზეთში ილორის ეკლესიის სალაროში ვნახე. ამ ბარძიმზე იყო ორი წარწერა: 1) ზემო პირზე: „წმინდაო ღვთის მშობელო (ბედიისაო), მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა, ამის ბარძიმისა შემწირველთა, ამის საკურთხევლისა შემამკობელთა და ამის წმინდისა საყდრისა აღმაშენებელთა, ამინ.“ 2) ფეხზე: „ყოვლად წმინდაო დედოფალო გლაქერისა ღვთის-მშობელო, შემიწყალე მე ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტიძე, რომელი ღირს ვიქმენ კადრებად შემკობად ფეხსა წმინდისა ამის ბარძიმისასა“ (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 1, გვ. 29). ჩემდა სამწუხაროდ ამ ბარძიმს, როგორც 1888 წ. ადგილობრივ დავრწმუნდი, ახლა ფეხი მოკვეთილი აქვს და იმისი წარწერაც დაკარგულია.

ქუთაისის ტაძარი თუმცა დარღვეულია ოსმალთაგან 1691 წელს, მაგრამ სრული აღწერა იმისი ჩვენ გვაქვს ფრანციელის მოგზაურის დიუბუასაგან; დიუბუასგანვეა გადმოღებული იმისი წარწერაები. როგორც დიუბუა, აგრეთვე სხვანი მცოდნე პირნი, ვისაც კი უნახავს იმისი ნაშთი, აღტაცებაში არიან იმის სიმშვენიერებით და ჰხადიან ამ ეკლესიის არხიტეკტურულ სტილსა და ქანდაკებსა სამაგალითო ხელოვნებად. წარწერის მოწმობით ეს ეკლესია აშენებულია ბაგრატ III-ს და მისის დედის გურანდუხტისაგან ქორონიკონს 223 ანუ 1003 წელს. ამ წარწერაში განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევია დიუბუას შემდეგ ფაკტზე: „როგორც მე, ამბობს იგი, აგრეთვე მრავალნი ფრანციელთ მეცნიერნი განცვიფრებას მიგვცა ხსენებულის წარწერის ქორონიკონმა: ამ ქორონიკონს აქვს არაბული ციფრების ფორმა; აქ უეჭველესად ხმარებულია არაბული ციფრები, რომელიც კი აქამომდე არიან ცნობილნი“ (*Voyage autour du Caucase*, I, 411—424). გარდა ქუთაისის ეკლესიისა ზროსვე არაბულ ციფრებს პოულობს აგრეთვე 1001 წლის ვერის საყდარზე, გორის მაზრაში, ატენის მახლობლად და 1002 წლის წვიმოეთის საყდრის კედელზე საციციანოში (*V. arch.*, VI Rap., 30, 90—100). ორივე წარწერა ეკუთნის ბაგრატ III დროს და უკანასკნელი, როგორც თვით ქუთაისის კაფედრის წარწერა, ამ

ზაკვისა ყოვლად და თვისითა წარუმდგა სპითა დიდითა მეტყუელმან: „უკეთუ გნებავს მშვიდობა, კეთილი; უკეთუ არა, ვბრძოდე." ხოლო რომელთა არა ენებათ მშვიდობა, იწყეს ბრძოლა და აოტნეს სპანი კეისრისანი. მაშინ კეისარმან მოიღო წიგნი გიორგი მეფისა, მოჰკიდა შუბის წუერსა და ჰკადრი პატრიკსანი დასდვა მანდილითა მიწასა ზედა და თქუა: „არღარა თაყუანის-გცე, უკეთუ მიმცე ჴელთა მტერთასა;" შემდგომად აღუშასხნა სპათა და იქმნა ბრძოლა ძლიერ ფიცხელი, და ვითარ გიორგი მეფე უძლიერესითა სპითა არღარა მისულიყო,

ბაგრატს იხსენიებს კურაპალატად და მეფედ აფხაზთა და ქართველთა". „არაბულის თვლის ნიშნები, რომელნიც აქ არიან აღნიშნულნი, ბროსსეს შენიშვნით, სრულიად ეთანხმებიან იმ ნიშნებს, რომელნიც იხმარებიან ინდოეთში, საიდამაც არიან იგინი გამოტანილნი და აქედამა ჩანს, რომ საქართველოში შენახულა უძველესი აქამომდე ცნობილთაგანი ძეგლი ამ გვარის ციფრებით, რომელნიც მხოლოდ 160 წლის შემდეგ ქუთაისის ეკლესიის აშენებისა შეგვხვდება მუსულმანების მანეთებზე. ცოტაა, ამბობს ბროსსე, ძველი ძეგლი ამაზე ღირს-საცნობელი! (Броссе, *О необходимости и способахъ изучать памятники старины Грузіи*. 1847. стр. 8. ნახე აგრეთვე *Mél. Asiat.*, v, 74.—*Bullet. de l' Acad.*, XIII. 467.

ბაგრატ III-ს დროსვეა ორის ძველის ეკლესიის წარწერანი, რომელნიც მე მივიღე რამდენისამე თვის წინად ახალციხიდამ მამა მღვდლის გვარამაძისაგან, და თუ უცდომად არიან გადმოღებულნი, ეკუთნიან— პირველი ქორ. სე—985 წ. ხერთვისის ციხის ეკლესიას; მეორე ქორონ. სიე 995 წ. ბიეთის საყდარს. საუბედუროდ სახელები არ იკითხება, თუმცა ხერთვისის ეკლესიის წარწერა მოიხსენებს მეფეთ მეფეს... ამათში ბიეთის საყდარი თუმცა მდებარეობს ოთხ ვერსზე აწყურიდამ, მაგრამ იმაზე ამ ორ-სამ წლამდე სრულებით არა ვიცოდით რა, ვიდრე შემთხვევით არა ვცანით იმისი არსებობა. ახლა ჩვენა გვაქვს იმისი ფოტოგრაფიული სურათი, ერმაკოვისაგან ჩემის თხოვნით გადმოღებული და ვინც ნახავს იმას, იმედი გვაქვს, დარწმუნდება, რომ ეს დიდი გუმბათიანი ეკლესია ერთი უკეთესთაგანია ახალციხის მაზრაში (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 1, გვ. 114—136). ბაგრატ III მივაწერთ ჩვენ კიდევ ორ მშვენიერს ეკლესიას: 1) ზარზმას ახალციხის მაზრაში, რომელიც ზემოდ მოვიხსენეთ თავის წარწერით და რომელიც წარმოგვიდგენს კედლის მხატვრობაზე სურათებს: „მეფეთ მეფის ბაგრატ მესამისას (?)", „ერისთავთ-ერისთავის გიორგი ჩორჩანელისას", „ქურციკისას" და „აშაბისას". (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 1, გვ. 41, 45—46), და 2) ქართულ ეკლესიას დიდ სომხეთში, ანის ქალაქში: ეს ეკლესია აქამომდე შეცდომით არის ცნობილი ბერძნულ ეკლესიად; მაგრამ იმის ქვაზე შერჩენილა მხედრულ-ხუცური წარწერა, რომელიც პალეოგრაფიულის თვისებით უძველეს დროს (IX—X საუკ.) ეკუთნის და აგრეთვე შიგნითი ქართული მე XII—XIII საუკ. მხატრობა, იმათ შორის წმ. ნინოს სურათი ქართულის წარწერაებით. ვფიქრობთ, რომ ეს ეკლესია უნდა იყოს კაფედრა ქართველის ეპისკოპოსის ანელისა, რომელიც აქ იჯდა, როგორც კარში (არზრუმში) და ალაშკერტში იმ დროს, როდესაც არაქსის ბასსეინის ნაწილი ქართველების მეფეებს ეჭირათ და სადაც აქამომდე ადგილ ადგილ დარჩენილია ქართული ეკლესიები ქართულის წარწერაებითვე. ზემოდ-ხსენებულის ანის ეკლესიის ქვის წარწერა ძნელად იკითხვის, თუმცა ჩემის აზრით იგი შეიცავს ბაგრატის სახელს და ქორონიკონს სი 210—990 წელს. თვით არხიტეკტურული მისი ხელოვნება მიემსგავსება ზარზმის ხელოვნებას (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 4, გვ. 188).

იმღივნეს გიორგისანნი და მოისრნეს ყოველნი, რომელთა არა ენებათ მშვიდობა; მოუდგა კეისარი და მოაოხრა ქვეყანა, გვალად იწყეს ზავი (რამეთუ შიში აქვნდა კეისარსა განდგომილებისა ბერძენთასა) და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თჳისი ბაგრატ კეისარსა და ციხენი გვარამ კურაპალატისანი, რომელნი პირველ დაიპყრნა ბაგრატ მეფემან, და წარვიდა კეისარი; არამედ აღუთქვა შემდგომად სამისა წლისა წარმოგზავნად ძე მეფისა. ხოლო პაემანსა წარმოგზავნა ცასალი კეისარმან ძე მეფისა; არამედ მოვიდა რა ტაოს მამულსა თვისსა, ეწია წიგნი კატაბანისა კეისრისა შეპყრობად გვალად მეფე ბაგრატისა (რამეთუ ესხიდა მომკვდარიყო და კოსტანტინე ქმნილ იყო კეისრად). მაშინ კატაბანსა არა-რა ძალ-უდვა შეპყრობა მისი და თვით მიიქცა უქმი; ხოლო ბაგრატ მოვიდა მამისა თანა და იქმნა სიხარული დიდი და უმეტეს საკვირველებისათვის, ვითარ იხსნა ღმრთმან ბაგრატ. შემდგომად ორისა წლისა გარდაიცვალა მეფე გიორგი ყოვლითა სიკეთე-ასოვნებითა აღმატებით სრული წლისა 1027, ქართულსა 247, აგვისტოსა თთვესა 16 თრიალეთს, ადგილსა მყინვარსა [1].

1. ჩვენ მოვიხსენეთ ზემოდ ბაგრატ III დროს ვასილი იმპერატორი. აქ უნდა შემოვიტანოთ შესანიშნავი ცნობები ვასილზე. ვასილის ბრძოლას გიორგი მეფესთან გვიამბობენ როგორც ქ.-ცხბა, აგრეთვე იმ დროის სომხეთის მწერალნი ასოლიკი და ასოლიკის შემდეგ არისდაგესი ლასდივერი და გარდა იმათა იახია ანტიოქელი. აქ ჯერ ეს უნდა ვთქვათ, რომ „დავით კუროპალატის სიკვდილის ჟამს ვასილი II იმყოფებოდა კილიკიის ტარსში. სცნა თუ არა ვასილმა დავითის სიკვდილი, მსწრაფლ შევიდა იგი ეგეგიაცში ანუ ახლანდელს ეზინგში, რომელიც მდებარებს ზემო-სომხეთში; ვასილს მოეგებნენ ბაგრატ III და მამა მისი გურგენი, რომელნიც ვასილმა დიდის პატივის-ცემით მიიღო და ამასთანავე ბაგრატს მიანიჭა კუროპალატობა და გურგენს მაგისტროსობა.

ამ დროს მოხდა ერთი გარემოება, რომელზედაც საჭიროდ ვრცხდავთ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ. თვით იმ დღეს, როდესაც ბაგრატ ეკუ-იქცა, უეცრად შეიტაკნენ ქართველები და რუსები, რომელნიც შემდეგ რუსეთის დიდის მთავრის ვლადიმირის დამოყვრებისა ვასილთან ამ უკანასკნელის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდნენ. შეტაკების მიზეზი უბრალო რამ იყო. ერთს რუსულის ჯარის მხედარს, ასოლიკის თქმით, მოჰქონდა თივა თავის ცხენისთვის; მას მიეჭრა ერთი ქართველთაგანი და წაართო თივა. რუსს მოეშველნენ მემამულენი. ქართველმა იხმო ქართველები, რომელნიც მსწრაფლ მიცვივდნენ და მოკლეს პირველი რუსი. ყველა რუსები ალიჭურნენ იარაღით. ისინი იყვნენ 6000 კაცამდე ქვეითნი, შეიარაღებულნი შუბებით და ფარებით; ასტყდა ბრძოლა; მაგრამ მომეტებული ნაწილი ქართველთა, რომელნიც რიცხვით ნაკლებნი იყვნენ, დაიხოცნენ. იმათ რიცხვში იხსენებიან დიდი მთავართ-მთავარი პატრიკი, ოჩეპენტრეს ორი შვილი გაბრიელ და იოანე, აბულარბის შვილის-შვილი ჩორთოვანელი და სხვანი; „ეს ამის გამო, ამბობს ასოლიკი, რომ მათ ქედ-ფიცხელობისათვის ღვთის რისხვა სდევნიდათ.“

ბაგრატის სიკვდილმა ასტეხა ომი ვასილსა და ბაგრატის მემკვიდრეს შორის. მიზეზი იყო შემდეგი. ვასილმა 1015—1016 წ. გიორგის მოსთხოვა წერილით ბასიანის მხარე, რომელიც დავით კურაპალატს თავის სიკვდილამდე ჰქონდა მიცემული. გიორგიმ ამაყად უარ-ჰყო მოთხოვნილება და ამის გამო ვასილმა გაგზავნა მის წინააღმდეგ

## მეფე ბაგრატ IV (1027—1072).

შემდგომად ამისა წლისა 9 გამეფდა ძე გიორგისა ბაგრატ. მაშინ განდგნენ ტაოელნი ვაჩე კარიჭისძე, ბანელი იოანე, მათ თანავე აზნაურნი ცისოვან-უცისონი და წარვიდნენ კონსტანტინეპოლედ; ხოლო კეისარმან კონსტან-

თავისი ჯარი, რომლის ერთ ნაწილს შეადგენდა, ქ.-ცხბით, „რუსთა მეფის ტაგმა" ანუ ბატალიონი (ქ.-ცხ. I, 216). გიორგი იძლია და მიიღო ზავის პირობა, მაგრამ ეს პირობა იმან 1021 წ. დაარღვია და ამასთანავე მიგზავნა თავისი ჯარი უხტზე ვანანდში, რომელიც ამ ჯარმა მოაოხრა. გიორგი მეორედ იძლია და ამისთვის იძულებულ იქმნა დაეთმო ვასილისთვის თორმეტი თემი ანუ, ქ.-ცხბის თქმით, თოთხმეტი ციხე-სიმაგრე დავით კურაპალატის სამფლობელოთ ტაოში, ბასიანში, კოლა-არტაანში, ჯავახეთში და შავშეთში; ამასთანავე მძევლად მისცა გიორგიმ ვასილს თავისი ყმაწვილი მემკვიდრე, შემდეგ მეფე ბაგრატ IV. აქ ისიც უნდა დავურთოთ, რომ ამ ბაგრატმა ეს თემები უკანვე დაიბრუნა 1034 წ., როდესაც იმან შესწყვიტა მიხეილ IV-თან კავშირი იმ მიზეზით, რომ ამან მოაკვლევინა რომან III, რომლის ძმის-წული ბაგრატს ჰყვანდა ცოლად (ნახე ჩემი *Отношенія Грузіи и Арменіи къ Византіи*, стр. 85—87.—Яхъя, *Императоръ Василій Болгаробойца* Спб., 1883, стр. 24.)

გიორგისა და ვასილის ბრძოლაში, შენიშნავს ქ.-ცხბა, „მოიკლნეს დიდნი ერისთავნი და დიდებულნი რატი ძე ლიპარიტისა და ხურსი" (ქ.-ცხ., I, 214). ხურსიზე ნახე ჩემი *Археол. путеш. по Гуріи и Адчарѣ.*, стр. 366. შესახებ რატისა ამტკიცებენ, ვითომც რატი ეკუთნოდეს ორბელიანთ გვარსა და რადგანაც ამ გვარს ძველის დროდამვე გამოჩენილი ადგილი ეჭირა როგორც ქ.-ცხოვრებაში, აგრეთვე ვიზანტიურს, სომხურს, და სელჯუკთ ისტორიაში, ჩვენ ამ გვარის მოღვაწეობაზე და თავ-გადასავალზე სხვა ადგილს შევჩერდებით; აქ გიტყვით მხოლოდ, რომ ჩვენს მატიანეში პირველად ხსენებულია მე-IX საუკ. დასაწყისში, ბაგრატ I და დავით I დროს, რატის მამა ლიპარიტ I, რომელსაც გარდა რატისა ჰყვანდა კიდევაც მეორე შვილი ზვიადი, მხედართმთავარი გიორგი I მხედრობისა (ქ.-ცხ., გვ. 216); თვით რატის შვილი იყო ლიპარიტ II, რომელიც, როგორც ზემოდ ვახუშტის ისტორიიდამაცა ჩანს, მძევლად მიეცა მამისაგან ბაგრატ III-ს. ამ ლიპარიტს მივაწერთ ჩვენ აშენებას მანგლისის ეკლესიისას, რომლის წარწერას 1020 წლისა მას უწოდს „ბაღუაშ ლიპარიტად". (Bartholomaei, *Lettres numismat.*, 115—116). ამ ლიპარიტის შვილი იყო ის ლიპარიტ III, რომელმაც, როგორც ვნახავთ, დიდად ისახელა თავი; ბოლოს მონაზვნობის სახე შეიმოსა და შეუდგა მოღვაწეობას საქართველოს გარეშე და ბენედიკტესაგან მოტანილის მანუსკრიპტის ალაპებში, როგორც თვით ქ.-ცხოვრებაში, ცნობილია ანტონად და ქართული მწერლობის მფარველად და გამავრცელებელად. ამ საგანზე გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი ამბობს: „ვითარცა სცნა ღვთის-მოყვარემან ბაგრატ (IV-მ), რამეთუ სრულ იქმნა თარგმანებაი წიგნთა საღმრთოთა და მოიწყნეს ეკლესიანი შავის-მთისანი წიგნითა მისითა, მდინარითა სულთა განმაცხოველებელითა, ყოველთა მონასტერთა გარდიწერეს და უფროს ყოველთა დიდად ილვაწა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ ყოფილმან". ამ ლიპარიტ ყოფილის ანტონის ნალვაწი წიგნი, სამ დიდ ფოლიანტად დაყოფილი, სახარებისა თარგმანი იოანე ოქროპირისა ვნახე მე გელათის მონასტერში; იმის მინაწერში მოხსენებულნი არიან ლიპარიტ III-ს მამა-პაპა და შვილნი, ვის პირნიც რომელნიც თვით

ტინემ მოსცა სპანი უფროსს გასალმისა, მოვიდნენ და მოაოხრეს ქვეყანანი იგინივე; შემდგომად მოადგნენ კედე-კარს, არამედ ლიპარიტ ეწყო ძლიერად, უკუ-იქცნენ და დაიპყრეს ციხე გარყლობისა და წყეფთისა; ხოლო მტბევარმან საბა აღაშენა ციხე და ქვეყანა. გარდმოდგომილთა ბერძენთა მათგან ფრიად

ისტორიულ მწერლობაში ცნობილნი არიან, ესე იგი: ლიპარიტის ძე რატი, რატის ძე ლიპარიტ II, მისი მეუღლე დედოფალთ დედოფალი ცხოვრება, შვილი ამ რატისა ლიპარიტ III „ერისთავთ-ერისთავი და მაგისტროსი." ამ წიგნის ერთი ნაწილი იოანეს თარგმანი არის დაწერილი ათონის მთაზე„ ხელითა გლახაკისა და მწარედ ცოდვილისა ევთიმისათა..." „უცალოდ ვიყავ, ამბობს ევთიმე, და უფროჲს ღამით მიწერია". ეს ნაწილი გადაწერილია ლიპარიტ I-ს ძის რატისათვის „ინდიკტიონსა ბერძულად იდ დასაბამითგანთა წელთა ხფჟ (1002); მეორე და მესამე ნაწილი" თარგმანი მათესი და იოანესი „გადაწერილია ლიპარიტ მესამისათვის-პირველი კაცხს „საძვალესა მისსა," მესამე მანგლისს 1047 წელს. აქ არიან მოხსენებულნი ლიპარიტ III-ს შვილნი: რატი, ივანე და ნიანია და ძმანი: რატ და ივანე. ამ უკანასკნელს ეკუთნის კაცხიდამ წაღებული ალავერდს ტყავზე 1059 წ. ნაწერი სახარება, რომელშიაც ივანე ძე ლიპარიტ II-სა ხსენებულია პროედრად და პროტარხონად ბაგრატ მეფის დროს, „როდესაც ბაგრატს აფხაზთა მეფეს და მთელის აღმოსავლეთის ნობილისსიმს იგი კოსტანტინეპოლიდამ მოეხმო" (*Addit. à l' H. de la G.*, 1851, p. 215.—*V. arch.* XI, 26—28, 32.—ჩემი კრებული ქართ. დოკუმ., 287.—დღიური, № I, 141—142.—მამ.-ცხ. შიო-მღვ., 119.—Іоселіани, *Путевыя записки по Кахетіи*, стр. 63—68). ერისთავი ლიპარიტ და შვილი მისი რატი იხსენებიან აგრეთვე ერთ ძველ მშვენიერის ჩუქურთმებით ნაშენს, მაგრამ ახლა დანგრეულს „ზეობის" ეკლესიაზე არეევანისა და ქციის შესართავთან, ახლანდელს სოფელს შიპიაგში. საუბედოდ კარგად გადმოხატულს იმის წარწერას ბოლო აკლია და ქორონიკონი აღარა აქვს; ამისთვის არ ვიცით, რომელი ლიპარიტ უნდა იგულისხმებოდეს: ლიპარიტ I, II., III თუ IV, რადგანაც თვითოეულის მათგანის შვილი იწოდებოდა რატიდ (ჩემი დღიური, № 1, გვ. 138).

მოიყვანა წანარნი; ქ.-ცხბით წანარნი და შაქნი (ქ. ცხ., 215). წანარებზე ნახე S-Martin, *Mém.*, I, 233—234. *Addit. à l' H. de la G.*, 1851, p. 168.—*Collect. des histor. armén.*, I, 609—612).

და ვიდოდა კეისარსა და გიორგის შორის დესპანი (ნახე აგრეთვე ქ.-ცხ., I, 215). ეს დესპანი სომხურის ცნობით იყო ქართველი ეპისკოპოსი ზაქარია, რომელიც იჯდა ვალაშკერტში. ქართველი ეპისკოპოსი მჯდომარე ვალაშკერტში—ეს საგანი მოითხოვს განმარტებას. ჩვენა გვაქვს ერთი ძველი გუჯარი, რომელიც უჩვენებს სამს ქართულს საეპისკოპო კათედრას მათის გამგეობის საზღვრებითურთ დიდს სომხეთში. ეს კათედრებია: ვალაშკერტი, კარი და ანი. გუჯარის აღწერით, „ვალაშკერტელის სამწყსო იყო უაღზევანს ზეითი, ვალაშკერტს აქეთ ხინუსი და დევაბოინს აქეთი; ანელის სამწყსო-სულა ზარიშტიანი და შირავოინი და მალასბერეთი; კარელის სამწყსოსულა კარი და კოლისა და ოლთისის საზღვრის გარდმოღმა გგჩევანი და კალზევანი" (ჩემი *Археол. путеш. по Гуріи и Адчарѣ*, стр. 81—86). თვით გიორგი მეფის თანამედროვე სომხის მემატიანე არისტარხი ლასდივერი მოიხსენებს ზემოდ ხსენებულს ქართველს ეპისკოპოსს ზაქარიას ვალაშკერტისას 1022 წელს მოციქულად გიორგისა და ვასილის შორის (Prud'homme, *Histoire d' Arménie*. Paris. 1864; p. 21, 34—35). უნდა ვიკითხოთ: ვისთვის იყო საჭირო ქართული საეპისკო-

შეწირულებასა შინა; არამედ შეუნდო ღმერთმან ბაგრატის ქუეყანის მოღუწებისათვის კეისარსა და მიუწოდა სხვათა თვისთა სალმობიერმან და მივიდნენ რა, მოკუდა კონსტანტინე. ამან დასუა რომანოზ კეისრად და მისცა ასული თვისი ზოია ცოლად[1]. შემდგომად სამისა წლისა წარვიდა დედოფალი დედა ბაგრატისა ელენე ასული არშაკუნიანთა წინაშე რომანოზისა მშვიდობისა, მზახლობისა და კურაპალატობისათვის. ხოლო კეისარმან აღუსრულა სათხოველი, მოსცა ელენეს ასული თვისი ცოლად ბაგრატს, სამსჭვალი უფლისა და ხატი ოქრონისა და საუნჯე მრავალი ზითკად[2]. (მთარგმნელნი ამ ჟამთა იყვნენ: ბერი

პოსო კაფედრები დიდს სომხეთში? ჩვენა გვგონია, რომ ერთის მხრით ვიზანტიელების ხან-გრძლივ მფლობელობას, მეორის მხრით თვით ქართველების ძალის გავრცელებას დიდ სომხეთში უნდა მიეზიდა იქ მოსახლენი ბერძენთა და ქართველთაგანნი, რომელთათვის საჭიროდ აღმოჩნდა სამი საეპისკოპო კაფედრა. რომ აქ ქართველობა სახლობდა, ამის საბუთად მოვიყვანთ ერთ ფაკტს, რომელიც შემოაქვს თავის ისტორიაში ასოღიკს. ასოღიკი გვიამბობს, რომ დავით კურაპალატმა რაკი არაბებს ჩამოართო 996 წელს მანასკერტი, დაასახლა იგი სომხეთა და ქართველთაგან. შესაძლებელია, რომ დიდის სომხეთის ქართველობა შემდეგ მონგოლების დროს ან ამოწყვეტილ იქმნა, ანუ განიდევნა საქართველოში. ცხადია, რომ ვალაშკერტად უნდა იგულისხმებოდეს აწინდელი ალაშკერტი ეფრატის ბასეინში, მაგრამ ვერ ვიტყვით, კარელი ყარსში იჯდა თუ არზრუმში, რადგანაც ქართველები ერთსაცა და მეორესაც თითქმის ერთ-გვარ უწოდნენ: ყარსი კარი, არზრუმი კარნი ანუ სომხური კარინ. არზრუმისა და ალაშკერტის ქართულნი ნაშთნი ჩვენ არ ვიცით, თუმცა ვფიქრობთ, რომ ალაშკერტის ქართულ კაფედრად უნდა ყოფილიყო აქამომდე დარჩენილი კალიზმანის მახლობლად, სოფელს ჩანგლში, ეკლესია, რომელსაც 1030 წლის ქართული წარწერა მოიხსენებს მონასტრად. გვაქვს დასამტკიცებელი საბუთი, რომ თვით ყარსში ყოფილა ქართული ტაძარი: ეს საბუთია ზემო ქალაქის შესავალის ალაყაფის კარის მაღლა ქვაზე საეკლესიო ორნამენტით და ძველის ასომთავრულის ასოებით წარწერა, რომელიც იხსენიებს აფხაზეთის მეფეთ მეფეს—სახელი აღარ იკითხვის. ეს ქვა უეჭველია უნდა ყოფილიყო ეკლესიისა, რომლის კვალი ახლა აღარსადა ჩანს. ანის ეკლესია აქამომდე კარგად დაცული ჩვენ ბაგრატ III-ს ცხოვრების შენიშვნაში მოვიხსენიეთ (ნახე ზემოდ გვ. 144, შენიშვნა 1.—*Объ отнош. Арм. и Грузіи къ Византіи*, стр. 87—90). გარდა ამისა ჩვენ ხელში გვაქვს სხვა და სხვა ყარსის მხარის მაზრებიდამ მიწის მზომელთაგან გადმოხატული აქა-იქ საგან-ლეჯგის ტყეებში გაბნეულს ნანგრევს ეკლესიებზე ქართული ძველის ალფავიტით ნაწერი წარწერაები.

1. კონსტანტინე მოკვდა ბაგრატ IV-ს გამეფების მეორე წელს, ესე იგი 11 ნოემბერს 1028 წელს. კონსტანტინემ თავისი ქალი ზოე შერთო სამის დღის წინათ თავის სიკვდილისა რომანოზს ანუ რომან არგირს, რომელსაც თავისი სამფლობელოც გადასცა. რომან არგირი მეფობდა 1028—1034 წელს (Sabatier, *Descr. génér. des mon. byzant.*, II, 11).

2. დედა ბაგრატისა მართამ და არა ელენე არშაკუნიანთ გვარს კი არ ეკუთნოდა, არამედ სომხის არწრუნიანთ სახლს და იყო ქალი უკანასკნელის ვასპურაკანის მეფის სენნექერიმისა, რომელმაც თავისი სამფლობელო გადასცა სელჯუკთ თურქთ შესვლის დროს სომხეთში, 1020 წელს, იმპერატორს ვასილი II-ს (*H. de la G.*, I, 314, n. 1).

გრძელი, ახალი აბრამ, არსენი, ანტონი მნათე, ვასილი ბაგრატის ძე, ექვთიმესა და მთა-წმინდელსაც მოესწრნენ). ხოლო მოიწია რა დედოფალი ტაოს, მიეგება ბაგრატ მეფე, მოიყვანა და ჰქმნა ქორწილი შემსგავსებული [1]. შემდგომად გარდახდა რაოდენიმე ხანი, მოკვდა ელენე ცოლი ბაგრატისა მეფისა ქუთათისს; ხოლო მეფემან შეირთო ასული ოვსთა მეფისა ბორენა და შემდგომად ეუფლა ბაგრატ ყოველთა სამეფოთა მისთა ზემო-ქვემოთა და მოირჩმოვრიად. დროსა ამას ფადლონ განძელი ავად ექცეოდა სამეფოსა ამას; შემოკრბნენ ბაგრატ მეფისთანა ლიპარიტ, იოანე აბაზაძე, კვირიკე კახთა მეფე და ჭურთა და სომეხთა მეფე დავით და ამირ ტფილისელნი, მიუხდნენ ფადლონს ქედუცს, მუნ ბრძოლა ჰყვეს; ივლტოდა ფადლონ; მოსწყვიდნეს სპანი მისნი, მოსტყვევნეს რანი და წარმოიღეს ნავარი. მიერით კეთილად იკადრა ფადლონ წყინებად. (მთარგმნელნი ამ ჟამებთა იყვნენ: იოანე ანუ ილარიონ თვალელი, მოძღვარი გიორგი მთა-წმიდელისა, გიორგი შეყენებული მოძღვარი გიორგისავე, გიორგი და გიორგი ოლთისელი) [2]. შემდგომად ლიპარიტ და იოანე

1. ბიზანტიის ისტორია მოგვითხრობს, რომ დედოფალს მხოლოდ გაეგზავნა დესპანი კონსტანტინეპოლში რომან არგირთან, რომელთანაც კავშირი აღადგინაო და გამოსთხოვაო თავისის შვილის ბაგრატისათვის როგორც კუროპალატობა, აგრეთვე საცოლოდ მისი ძმის-წული, ვასილი არგირის ქალი ელენე (*H. de la G.*, I, n. 2). უფლის სამსჭვალზე და ოქონის ხატზე ნახე იქვე.

2. „წმინდა ევთიმე მიიცვალა 1028 წელსა, ქართულსა 248“. ვახუშტი.

გიორგი მთაწმინდელია ის პირი, რომელმაც, როგორც ზემოდ 140 გვერდის შენიშვნაში მოვიხსენეთ, წმ. იოანესა და ევთიმეს ცხოვრება ჩვენ გადმოგვცა. თვით ამ გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა შედგენილია გიორგი მთაწმინდელის თანა-მოღვაწისაგან, გიორგი დაყუდებულის სურვილით. ეს ბიოგრაფია ისე ვრცლად არის შედგენილი და ისეთს სურათს გვაძლევს მაშინდელის საქართველოს პოლიტიკურისა და შინაგანის მდგომარეობისას, რომ მთლად შესატანია ჩვენს ისტორიაში; ზოგიერთი ადგილები კი გამოკრებილი აქვს აქედამ ქ-ცხბას. ბიოგრაფიის ცნობით, გიორგი მთაწმინდელი „იყო ქვეყანით, რომელსა სამცხე ეწოდების; ხოლო თვით აღმოეცენა იგი ქვეყანასა თრიალეთისასა. მშობელნი მისნი იყვნენ ღვთის-მსახურნი და ეწოდებოდა მამასა მისსა იაკობ და დედასა მარიამ. ეს იაკობ იყო ერთგულთაგანი ღვთის-მსახურისა მეფისა გიორგისა და საქმისა რომლისათვისმე მოციქულად წარგზავნილი მეფისა მიმართ სპირსესეთს“. შვიდის წლისა ყრმა გიორგი აღთქმისამებრ მისცეს სამცხეს მონასტერსა სადიდოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების და სადაც მოღვაწეობდა დაჲ მისი თეკლა“. აქედამ გამოითხოვეს გიორგი მამისაგან ორთა იმის ძმათა გიორგიმ და საბამ ხახულის მონასტერში, სადაც ორნივე მონაზონობდნენ: პირველი იმათგანი გიორგი „ყოფილიყო მწერალთა ზედა მთავრად კუროპალატისათა“. აქ ამ დროს ხახულის მონასტერში ბრწყინავდნენ: „წინამძღვარი დიდისა მის ლავრისა მაკარი დიდი; ვასილი ბაგრატის ძე“; ანტონი კათალიკოზის ფიქრით ბაგრატ III შვილი (წყობ.-სიტყვ., გვ. 216), თუმცა არ ვიცით, რაზე ამყარებს ანტონი თავის თქმულებას; აგრეთვე „უმაღლესი სათნოებითა და სულიერთა მოძღვრებათა შინა განთქმული დიდი ილარიონ თვალელი“. ამათ ხელში მიიღო პირველი სწავლა გიორგიმ; „ხოლო ვიწყო, ამბობს ბიოგრაფი, ვითარმედ მრავალთა გვარის

აბაზასძემ გამოიტყუეს მესათ-გვერდს ამირ-ჯაფარ ტფილისელი, მეხვერს და პატიმარ ჰყვეს ჟამ რაოდენმე და წარუღეს ბირთვისი; არამედ მეფემან ბაგრატ შეიწყალა ჯაფარ და განუტევა ტფილისსავე. ამისთვის შეიქმნა მტერობა ჯაფარსა და ლიპარიტსა შორის; ხოლო კვალად სხვა ძე ჰყვა გიორგი მეფესა

სმენად თუ განა ასწავა ბერძული სწავლა გინა ვინა დაგვიუნჯა საფასე ესე მოუკლებელი? ფერის ჯოჯიკის ძმან დის სიძემან ვასილის ბაგრატის ძისამან. ამათ სასწავლოდ მისცეს ყრმა იგი გიორგი კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა და ესრედ ათორმეტსა წელსა ყოველივე მოსწრაფება და გულს-მოდგინება შემოიკრიბა...“ შემდეგ რაოდენისამე ჟამისა „მოუხდა მას სურვილი უცხოებისა და თვისთაგან გაშორებისა და ფარულად ყოველთა მეგობართაგან და მეცნიერთა სივლტოლვა იკმია და წარემართა იერუსალიმისა კერძოთა.“ აქედამ მიემართა ძიებად წინამძღვრისა სულიერისა და ჰპოვა მთასა საკვირველსა ნაპრალსა შინა კლდისასა ბერი წმინდა შეყენებული, ვითარცა მტრედი წმინდა და გვრიტი უბიწო, კაცი ზეცისა და ანგელოსი ქვეყანისა... გიორგის ვიტყვი დაუუდებულსა, დიდსა მას მნათობსა ნათესავისა ჩვენისასა, კაცთა ყოველთა მიმართ გულის-სათქმელსა, რომელმან ესე ჩვენ უნდოთა მიერ ამისი აღწერა გვაიძულა, ამას დაემოწაფა ნეტარი ესე“: „ხოლო მან ვითარცა იხილა სიკეთე სულისა მისისა და განიცადა ტალანტი იგი მის შორის დაუნჯებულ, განიხარა სიხარულითა დიდითა და სულითა გულის-ხმა ჰყო რა იგი ყოფად იყო, რამეთუ სურვილ იყო წმინდა ესე ბერი, რათამცა კვალად გამოვინმეაჩინა მოწყალებამან ღვთისამან ნათესავსა შორის ჩვენსა კაცი, რომელმან სრულ ჰყოს ნაკლულევანება ენისა ჩვენისა, რომელი იგი წმინდისა მამისა ჩვენის ევთიმისაგან დაშთენილ იყო და ნიჭითა ღვთისა ჰპოვა, რომელსა გამოიძიებდა და ესრედ დიდითა იძულებითა დაარწმუნა და მთაწმიდას წარმოგზავნა და ვითარცა მოწაფე სარწმუნო და შვილი ერთგული და ძღვენი შემზადებული სიწმინდისა მისისა წმინდასა მამასა ევთიმის მოუძღვნა“ საჴელმძღვანელოდ და გასაწრთვნელად, ღალაცათუ, განაგრძნობს ბიოგრაფი, პირველიდგანვე გვაქვნდეს წერილიცა და სარწმუნოება ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქვეყანა ჩვენი შორს იყო ქვეყანისაგან საბერძნეთისა და ვითარცა ღვარძლი, რომელ დათესულ იყვნეს ქვეყანასა ჩვენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გრძნეულნი და მანქანნი და იმის მიერ ფრიად გვევნებოდა, რამეთუ ნათესავი ჩვენი წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისათა, და რეცა ცთუნებად გვაზმნობდეს და რომელნიმე წიგნნიცა გვაქვნდეს მათგან თარგმნილნი. ამათ ესე ვითართა მიზეზთათვის მოჰხედნა მოწყალებამან ღვთისამან ნათესავსა ჩვენსა და აღადგინა ახალი ოქროპირ წმინდა მამა ჩვენი ევთიმე და ვითარცა მეათცამეტემან მოციქულმან ქვეყანა ჩვენი ამათ ზემოხსენებულთაგან სრულიად გაწმინდა მრავლად თარგმანებითა წმიდათა და წესნი და კანონნი საეკლესიონი აღწერილად დაგვიტევნა...“

მიჰყო რა ხელი შრომასა გიორგიმ „პირველ ყოვლისა სვინაქსარი თარგმნა, რამეთუ ესე არს საფუძველი ეკლესიისა, რომელსა თვინიერ შეუძლებელ არს წარმოთქმა ეკლესიისა, რამეთუ რომელსა ეკლესიასა სვინაქსარი არა ჰქონდის, ღალაცათუ ყოველნი წიგნნი ჰქონდნინ, თაფლსა სჭამს, ხოლო სიტკბოებასა არასა ვერ სცნობს. ესე არს, ვითარცა ვთქვით, პირველი სამკაული ეკლესიათა, რამეთუ ღალაცათუ ეთარგმნა წმინდასა მამასა ევთიმისცა სვინაქსარი, გარნა ფრიად მცირედ აღეწერა სხვათა წიგნთა თარგმანებისა უცალოებითა. კვალად თარგმნა წმინდამან მამამან გიორგი შემდგომად სვინაქსა-

ოჳსთა მქონის ასულისა თანა დიმიტრი და იყო იგი ანაკოფიას. ამისი ინებეს მთავართა ამათ გამეფებად; გარნა ვერ იკადრეს და ვერცა ბაგრატ მეფემან გამოიყვანა ძმა თვისი თვისთანა, ესე წარვიდა შემდგომად კონსტანტინეპოლს

რისა სახარება შემოკრებული საწელიწდო, პირველვე შემკობილი საწელიწდო; საწინასწარმეტყველო საწელიწდო; მერმე დიდი კურთხევანი, თარგმანი დაბადებისა, რომელ არს ცხოვრება აბრაამისი, თთვე სეკტემბერი, რომელ თვითო გალობითა პირველ მამასა. ევთიმის ქთარგმნა; იგი სრულ-ჰყო. ხოლო თარგმნა დიდი პავლე სრული და კათოლიკენი წმინდათა მოციქულთანი: ესე რვა თავი წიგნი თარგმნა მთასა წმინდასა თავის სამარხთ...“ „ხოლო სხვანი ოდესმე თარგმნილნი და წუთ ვერ კეთილად გადმოღებულნი, გინათუ ჟამთა სიგრძითა უცებთა და უგუნურთა მხმარებელთაგან დაგესლებულნი ბრძმედსა მას შინა წმიდისა გონებისა თვისისასა გამოადვნა და გამოახურვნა. ხოლო სხვანი წიგნნი წმინდისა მამისა ჩვენისა ევთიმეს მიერ თარგმნილნი და უცალობითა წუთ ვერ სრულ ქმნილნი, არამედ სულ მცირედ აღწერილნი, განასრულნა და განავრცნა, და კვალად სხვანი რომელნიმე ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყვა დუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშვენა და განაბრწყინნა, ვითარცა თვით თავადი სახარებაჲ და პავლე“ (მამ-ცხ. შიო-მღვ., გვ. 105—117).

ეს ადგილი განგებ გამოვწერეთ წმ. გიორგის ცხოვრებიდამ, რომ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთს აქამომდე უსაფუძვლოდ გავრცელებულს აზრზე, რომელიც ძველისა და ახალის მცნების ქართულ თარგმანს მიაწერს ანუ ევთიმეს, ანუ გიორგი მთაწმინდელს; მაგრამ, როგორც ამ გამონაწერიდამ იგულისხმება, ევთიმე და გიორგი განსაკუთრებით იმას ცდილობდნენ, რომ 1) ეკლესიაში სახმარებელი ძველისა და ახალის მცნების ადგილები გამოეკრიბათ და შეეწყოთ ისე, როგორც ეს საბერძნეთში იყო შეწყობილი, და 2) შეემოწმებინათ და შეევსოთ თარგმანნი ბერძნულის ტექსტით და „განეშვენნათ და განებრწყინნათ თვით ენა ქართული. რომ ჩვენ ძველი და ახალი მცნება გიორგიზე და ევთიმეზე ბევრით ადრე გვქონდა, ეს უეჭველია: აქ ვიმეორებთ ზემოდ ნათქვამს (გვ. 92, შენ. 1); ჩვენამდე მოუღწევია პერგამენტზე ნაწერს ძველს სახარებას, რომელიც შეადგენს სამს ვარიანტს: ერთი იმათგანი ჩვენის მოაზრებით არის მე-IV—V საუკუნისა, მეორე მე-VII-სა, მესამეც მე-XI-სა, ანუ გიორგი მთაწმინდელისა; ჩვენ თვითონ სამივე ეს ვარიანტი ერთი მეორეს შევუთანასწორეთ და აღმოჩნდა, რომ ბევრით განსხვავდებიან იგინი ერთმანეთში და გიორგის ვარიანტი ისეა შესწორებული, რომ არა-ფრით არ განსხვავდება არც ბერძნულში, არც სლავიანურში, არც ლათინურში. აქ უნდა დავურთოთ ერთი შესანიშნავი მინაწერი მე-XI საუკუნის სახარებისა, რომელიც მე გნახე რუისის ეკლესიაში და რომელიც გადაწერილია „შავსა მთასა, უდაბნოსა ლერწმის-ხევისასა, ზღვის პირსა, რომელ არს დასასრულსა შავისა მთისასა, მახლობელად სელევკიისა, ხელითა უბადრუკისა და მწარედ ცოდვილისა შავ-ზაქარიასითა“... „ნიკოლოოზ ხუცესსა, ასე აბოლოებს მინაწერი, მიეცინ ღმერთმან სასყიდელი და მადლი ჩემისა კეთილისათვის და წყალობისა: მისითა დედითა დავწერე, რომელი მას დაეწერა გიორგი მთაწმინდელისა სახარებისაგან, რომელი გიორგი მთაწმინდელსა ბერძულთა სახარებათა შეემოწმა მესამედ, ორჯელ პირველ შეემოწმა. ღმერთმან მიეცინ სასყიდელი სულსა მისსა შრომისათვის, ამინ.“ (ჩემი დღიური, № 1, გვ. 54). თვით გიორგი მთაწმინდელის შენიშვნა, რომელიც ხშირად არის ჩართული იმის თარგმანის პირებში, ცხადად უჩვენებს, რომ სახარება „ძველადგან ნათარგმნი“ იმისგან არის მხოლოდ შემოწმებული და შესწორებული, თუმცა ზოგიერთ გადამწერელთ გაურყვნიათ

და წარიტანა ანაკოფიად[1]. ჟამსა ამას ლიპარიტ აზრახა ბაგრატ მეფესა წარღება ტფილისისა და მოადგნეს ტფილისს; ხოლო ემწნენ ჴერ-კასნი და მოადგნენ ისნით, რამეთუ მას ჟამსა მოეკლა დიდი კვირიკე ოვსსა ვისმე სისხლისათვის მეფისა, რომელი ბრძოლასა კვირიკესსა მომკვდარ-იყო. მაშინ იყო კახთა მეფე გაგი ძე სომეხთა მეფისა სამშვილდელისა[2], არამედ შეამწირვეს ტფილისნი ფრიად, რამეთუ ხორცი ჴარისა ლიტრა იყო ხუთ დრამად, ვინაჲთგან ორ-წელს ადგნეს და მოსტყვევნეს სპათა ბაგრატისათა ციხე ორბეთისა და ფარცხ

ეს შენიშვნა და მაგიერ ფრაზისა: „ესე ოთხ-თავი არა ახლად გვითარგმნია,“ გავრცელებიათ: „ესე ოთხ-თავი ახლად გვითარგმნია.“ ამ უკანასკნელს ფრაზას ზევრს შეჰყავს შეცდომაში, თუმცა შემდეგი აზრი გიორგის შენიშვნისა მოიხსენებს ძველს თარგმანსაც: „ჩვენნი ყოველნი სახარებანი, პირველითგან წმიდად თარგმნილნი.“

1. ქ.-ცხ-ბაში, გვ. 221: „და მიერითგან წარუხდა ანაკოფია მოაქამომდე.“ ეს ფრაზა გვამცნევს, რომ ბაგრატის ცხოვრება დაწერილია თვით ბაგრატის დროს, ვიდრე ანაკოფია ბერძნების ხელში იყო. ანაკოფია დაიბრუნა გიორგი II-მ (*H. de la G.*, I, p. 315, n. 3).

2. კახეთზე, ამ განაპირებულს საქართველოს კუთხეზე ჩვენი მატიანე ძველს გეოგრაფიულსა და ისტორიულს ცნობებს ცოტას გვაძლევს. კახეთის გეოგრაფიაზე ჩვენ სრულ ცნობებს თავის ადგილს შემოვკრებთ; აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ უცხო-ტომთ მწერალთაგანი სტრაბონი კახეთს იხსენიებს ნაწილად ალბანიისას, სომხურის გამოთქმით ალვანისას, ჩვენებურად ალვანისას, რომელიც შეიცავდა მთელს დაღისტანს და შირვანს. თვით სახელწოდება კახეთი სტრაბონმა არ იცის. ალბანიაში ირიცხებოდა აგრეთვე სტრაბონის მიერ ალაზანზე ნაჩვენები კამბიზენა ანუ ქართველების კამბეჩოვანი Strabon, *Géographie*, livre XI, p. 403—411.—S—Martin, *Mém...*, I, 214—226). ჩვენის წყაროების ჩვენებით, საქართველოს ალბანიას შეადგენდა სამი ნაწილი: კახეთი, კუხეთი და ჰერეთი: „კახეთი არს თურდოს ხევს ზეით თიანეთი, ვიდრე ხევსურეთამდე; კუხეთი არს ნინოწმინდას ზეით სამგორი და იმას ზეით ერწოს მთამდე და არაგვამდე. ჰერეთი არს მცირის ალაზნით (იორით) ამოღმართ ვიდრე გულგულამდე ცივს აქეთ და ვიდრე აზანბურამდე და მტკვრამდე.“ (ქ.-ცხ., I, 17, შენ. 3; 20, შენ. 2). „ჰერეთი, რომელ არს კახეთი და კუხეთი“ (იქვე გვ. 31). მარიამ დედოფლის ქ.-ცხ-ის ვარიანტით: „ჰერეთი, რომელ არს კახეთი.“ ბროსსეს ფიქრით შესაძლებელია, რომ კახეთი წარმოსდგა ინგილოს სოფლის კახიდამ (*H. de la G.,—Introd.*, p. VII). მართალია ეს თუ არა, არ ვიცით; მაგრამ ის კი უეჭველია, რომ კახეთი ძველადვე ცნობილი: არაბები იხსენიებენ კახეთს მე-X საუკ. და სომხის მწერალნი მე-XI საუკ. (*H. de la G.,—Introd.*, V—VII. ნახე ზემოდაც გვ. 114, შენ. 1). ვიდრე ჩვენში ერთ-მთავრობა დამყარდებოდა, კახეთი შეკავშირებული იყო პოლიტიკურის კავშირით ჩვენ სომხეთთან, რომელიც არის სომხეთის მწერალთ გუგარი, სტრაბონის გოგარენი და რომლის უკეთესი აღწერა გეოგრაფიული და ისტორიული ნახე Dubois de Montpéreux, *Voyage autour du Caucase*, IV, p. 127—199 და Saint-Martin, *Mém.* I, 79—86). ამ მხარეს ჩვენში სხვა სახელ-წოდებაც ჰქონდა: ხუნანი, ტაშირი და სხ.: „ფარნავაზმა დასვა ერისთავნი... „მესამე—ხუნანს და მისცა ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე ტფილისამდე და გაჩიანამდე, რომელ არს გარდაბანი; მეოთხე—სამშვილდეს და მისცა სკვირეთის მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი“ (ქ.-ცხ., I, 31). როგორც ქ.-ცხ-ბაში გვა-

ხისისა: შემდგომად აღუთქვეს ტფილისელთა მოცემა ქალაქისა; ამისთვის ამირა შექმნა ტივი და ნავი ზეთითა თვისითა წარსვლად ღამით განმას; არამედ რომელთამე უწყასყეს მეფე არა განდიდებისათვის ლიპარიტისა, რათა ეგოს ამირა-ტფილისსავე და დაამტკიცა მეფემან ამირა ტფილისსავე და იპყრა მეფემან ბაგრატ მთავარნი მარილელი სიძე კვირიკესი აშოტ, და ხახულ-გურთა ჯვარის ციხისა მოეყარა ტფილისსა და ემტერა კახეთს (და იქმნა ლიპარიტ მგე-განმხედველი მეფისა ბაგრატისა). მაშინ ბრძოლა უყო ბაგრატ კახთა მთასა მისაილ გაბრიელისასა, ძლიერი და შეიპყრეს სტეფანოს ბანკისის ერისთავი, გაჩე ხორნაბუჯის ერისთავი, დავით მაჭისი ერისთავი და გარდავიდა თიანეთს, დაწვა დარბაზი კვირიკესი სახელოვანი. ხოლო ერისთავნი ესე ტყვეებით აძლევდნენ ციხეებთა მეფესა, არამედ განდგა ლიპარიტ; ამისთვის ვერღა-რა შთავიდა მეფე კახეთს და უკ-მოიქცა. მაშინ გამოიყვანა ლიპარიტმან დიმიტრი ძმა ბაგრატისა

რწმუნებს, ტაშირის მეფენი სომეხთაგანნი იყვნენ და ხან-და-ხან თვით კახეთსაც ჰფლობდნენ და იმ გვარი კავშირი არსებობდა სომხეთსა და კახეთს შორის, რომ სომხითარნი ხან კახელებად იწოდებოდნენ: „მოვიდეს კახნი გარდაბანელნი“ (ქ.-ცხ., I, 109). ამასთანავე გობრონის ბიოგრაფი ადარნასე კუროპალატის დროს (881—923) გვამცნევს, რომ ტაშირში, რომელიც შესდგებოდა ათის ხევით, გავრცელებული იყო სომხის სარწმუნოება (ნახე ზემოდ, გვ. 126, შენ. 2); არათუ ტაშირში, თვით კახეთის ნამდვილს ნაწილშიაც, რომელსაც ეწოდებოდა კამბეჩოვანი ანუ ახლანდელი ქიზიყი: „კამბეჩოვანი იორსა ზედა;“ „ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი“ (ქ.-ცხ., I, 49, 146.—Іоселіани, *Путев. записки по Кахетіи*, стр. 17—18). ამ მხარის დაშორებაზე სარწმუნოებით ქართველებისაგან დაწვრილებით გვიამბობს არსენი კათალიკოსი, რომელზედაც ცნობა არა გვაქვს და რომელიც თავის თხზულებაში: „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“ გვაცნობებს როგორც ისტორიას ხალკიდონის კრების შედეგისას და ქართველთ-სომეხთ ერთი-ერთის დაშორებისას, აგრეთვე ზოგიერთთა კრებათა მეცადინეობას შეერთების ხელ-ახლა დამყარებისათვის. ეს კრებანი იყვნენ, არსენის თქმით: „დვინისა პირველი, სომხეთის კათალიკოსის აბრაამის და მცხეთის კვირიონის დროს, შემდეგ წურთავის საეპისკოპოსოდამ მოსე ეპისკოპოსის განდევნისა კვირიონისაგან; დვინისა მეორე, მოწოდებული „ნერსესის პატრიარხობაში „იუსტინიანე იმპერატორის მე-14 წელსა და სპარსეთის მეფის ხოსრო მეორეს წლის მეფობაში“; კოსტანტინეპოლისა იმავე იუსტინიანეს მეფობაში და უკანასკნელ კარნუ-ქალაქისა ირაკლი იმპერატორის მეფობაში, თუმცა, ამბობს არსენი, ამ ორის უკანასკნელის კრების წარმომადგენელთა სომხეთისათა აღიარეს ხალკიდონის კრების დებულება და საიმედო იყო განხეთქილების აღმოკვეთა, მაგრამ სარწმუნოებრივი განხეთქილება უფრო და უფრო დამყარდა და სამუდამოდ დააშორა ერთი-ერთ სომხეთისა და საქართველოს ეკლესიები.“ „ნერსეს იშხანელის დროს, განაგრძობს არსენი, ერისთავი სომხითისა წარვიდა კავკასიისა მთასა და მუნით უკუ-მოიქცა მსწრაფლ, რამეთუ არა შეიწყნარეს იგი მთეულთა მათ კაცთა, რამეთუ იყვნენ იგინი კერპთ-მსახურ და გარდამოვიდა კამბეჩოვანს და დაემკვიდრა ხევსა შინა მცირესა, რომელსა ჰქვიან ხევი სომხითისა და მრავალნი დაიმოწაფნა არა თუ მას შინა ოდენ, არამედ ამიერ მტკვარსა არძაკს, გარდაბანს, ძორთორს და სომხითს და ალავსო ქვეყანა წვალებისა ღვარძლითა...“ (ხემი დღიური, № 2, გვ. 28—31.—*Археол. путеш. по Гуріи и Адчарѣ*, стр. 156—158).

სპითა ბერძნისათა და მიერთვნენ აზნაურნიცა ვიეთნიმე და გახნეს მას, მოვიდნენ არე-არე, მოწვნეს ქვეყანანი, მოადგნენ ატენს, არამედ ციხე ვერ დაიპყრეს; ხოლო ბაგრატ მეფე მოვიდა ჯავახეთს, განამაგრა ახალ-ქალაქი. შემოიქცა ლიპარიტ და წარვიდნენ ბერძენნიცა და წარიყვანეს დიმიტრი. შემდგომად განძლიერდა ბაგრატ მეფე, მოერთო კვსტი ცხრა ციხითა და ანისი მოსცეს დედასა ბაგრატისასა[1], ხოლო გაზაფხულ მეფე ბაგრატ მოსდგომოდა გარს ანაკოფიას და მიეწურა წალებასა; მაშინ მომკვდარიყო ამირ ტფილისელი და ანაკოფიას მოვიდნენ ტფილისელნი და მიაწვივეს მეფე; მუნ დაუტევა სპანი მოდგომილნი ანაკოფიას და თვით მოვიდა ქუთათისს, მოუყვენნა ლაშქარნი და ფელაკონნი[2]; მუნიდამ თვით მოვიდა ტფილისს; მოეგებნენ ტფილისელნი, მოართვეს კლიტენი, შევიდა და დაჯდა სახლსა საამიროსა და დაიპყრა კალა-ტფილისი; არამედ ისანი არა მოსცეს და ბრძოდნენ ძლიერად. მაშინ მოვიდა კახთა მეფე გაგი და ყოველნი კახნი დარბაზობად ბაგრატისა; განვიდა ბაგრატ ველსა ისნისასა, ითაყვანნა იგინი და განუტევნა მშვიდობით; არამედ გაზაფხულსა კვალად იწყო ლიპარიტ ქვე-გამხედველობა, გამოიტყუა დედოფლისაგან ანისი და შეიპყრნა აბუსერი არტანუჯის ერისთავი, ხიხა ციხის-ჯვარისა, იოანე ერისთავი, იოანე დადიანი, გვარამ ბეჭის-ციხისა და აწყურის ციხის პატრონნი. მსმენელმან ბაგრატ დაუტევა ტფილისი და მოვიდა ჯავახეთს, მოერთო მაწყვერელი მესხით მეფესა; ხოლო ლიპარიტ მოვიდა კახითურთ ფოკას და მიერთო მაწყვერელიცა ლიპარიტს. მხილველმან ბაგრატ მეფემან გარდაიარა შავშეთი ბუქთა შინა ძლიერთა და შთავიდა ქართლს; მაშინ ლიპარიტ კვალად გამოიყვანა დიმიტრი და მიერთვნენ ზოგნი ბაგრატისანნიცა; არამედ ჰყვანდა მძევლად ბაგრატს ძე ლიპარიტისა; ითხოვა ლიპარიტ და განუტევა აბუსერი ციხითურთ და მიიღო ძე თვისი. ხოლო ბაგრატს მოერთვნენ სამი ათასნი ვარანგნი[3]; მოიყვანა მეფემან შვიდასნი მათგანი და შიდა-ქართველნი, გაჩნა მე-

ქ.-ცხბის თქმით, საქართველოს მეფე-კუროპალატის ადარნასეს დროს (881—923 წ.), „ჰერეთს მეფობამდე იშხანიკისა პირველნი ყოველნი იყვნეს მწვალებელნი; ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა და დედამან მისმან დინარ დედოფალმან მოაქცივნა მართლ-მადიდებლად.“ (ქ.-ცხ., 197).

1. ანისის გადაცემაზე ბაგრატის დედისათვის სომხეთის წყაროების ჩვენებით მართალია იყოო აზრი ანში 1045 წელს; მაგრამ ვიზანტიის მომხრეთა სძლიეს და გადასცესო იგი იმპერატორს მონომახს. ნახე ამაზე ბროსსეს შენიშვნა *H. de la G.*, I, p. 319, 2. Lebeau, *H. du B—E.*, XIV, 336—337.

2. „ფელაკონსა ვგონებ ჯარსა ციხეს გარდმოდგომილსა კარვებით.“ დავით რექტორი. ამ საგანზე დავით რექტორი შემცდარია. ჩემი შენიშვნა ზემოდ, გვ. 16 შენ. 1.

3. ვ ა რ ა ნ გ ნ ი, ვ ა რ ო ნ გ ნ ი, ვ ა რ ე გ ნ ი, ვ ა რ ი ა გ ნ ი იყვნენ სკანდინავიის მცხოვრებნი და მხედრობაში განთქმულნი. პირველად ვარანგნი მტრობდნენ რუსებს და თავის მოხარკეებად გახადეს მათ ეს უკანასკნელნი და ბოლოს თავისნი მთავარნი დაუდგინეს. პირველი დიდი მთავარი რუსეთისა მე-IX საუკუნეში რიურიკი იყო შთამომავლობით.

სხნი ქვეყანათა მოიცვალა და ლიპარიტცა მოვიდა ეგრით და სომეხთა მეფითა დავითით; შეიბნენ სასირეთის ჭალასა შინა; არამედ იძლივნენ ბაგრატისანნი და შეიპყრეს კვალად აბუსერი და სხვანი დიდებულნიცა და ვარანგთა ვერღარა უყვეს ბრძოლა. მისცა ლიპარიტ ბაშტანი. მათ გარდავლეს ეგრეთვე ლიხი; არამედ ამ ბრძოლის წინარე მომკვდარიყო დიმიტრი და გაქცევისათვის შეშინდა ბაგრატ მეფე და განხეთქილებისათვის სამეფოისა წარვიდა ლიპარიტისა თანა; ხოლო ლიპარიტ არა ახილა, არამედ მიჰყრიდა და ბაგრატ უკუ-იქცა აფხაზეთს. შემდგომად ერისთავმან კალმახისამან და გრიგოლი ერისთავმან აწვიეს ბაგრატ; ხოლო ბაგრატ გარდავლო გზა რკინის ჯვარისა სპითა და შეკრბნენ არყის-ციხეთა. მცნობმან ლიპარიტ შეიკრიბნა სპანი და მხნენი თვისნი კახნი და სომეხნი და ბერძენნი; დასცხა მეფესა და იქმნა ბრძოლა ძლიერი; არამედ კვალად იძლია მეფე; შეიპყრა ლიპარიტ სულა, სოთხოვე კალმახი; მან არა მისცა არტანუჯი. შემდგომად ულაშქრა ლიპარიტ ბერძენთა დვინს და შემოიქცა მუნიდამ. ხოლო მოქცევასა წლისასა გამოჩნდნენ თურქნი ბასიანს, მოვიდნენ ბერძენნი, მიუწოდეს ლიპარიტს, ეწყვნენ თურქთა უკმიას ქვეით, იძლივნენ თურქთაგან და შეიპყრეს ლიპარიტ და წარიყვანეს ხვარასანს[1]. მაშინ დიდებულთა და მეთა ლი-

ვარანგი; რომელმაც თავის დედა-ქალაქად აირჩია ნოვგოროდი და აქ მრავალნი თავის მემამულეთაგანნი მოიწვია. თავის აღებ-მიცემობაში რუსებთან ბერძნებმა გაიცნეს ვარანგები, როგორც მეომარი ტომი და ვიზანტიის იმპერატორებმა იგინი თავის სამსახურში მიიწვიეს. ვარანგთ ეჭირათ აქ პირველი ადგილი უცხო-ტომთ მხედართა შორის და მათ ჰქონდა მინდობილი იმპერატორის მცველობა. ვარიაგნი დაჰყვებოდნენ ომებში იმპერატორს, რომელიც ხან-და-ხან სტოებდა მათ კონსტანტინოპოლის სადარაჯოდ როგორც ერთგულესთა თავის მხედართა შორის, ვარიაგთ უფროსი იყო განვეთარებული სასახლის სამხედრო ხელის-უფალთ რიცხვში (Lebeau, *H. du B—E.*, XIV, p. 274—275.—*H. de la G.*, I, 323, n. 4). ვარიაგთა სამხედრო კოლონიები ბინადრობდნენ თვით აზიის ნაწილში. (Alph. Rambeau, *L' Empire grec*, p. 216). ჩვენის ფიქრით, ამათგანნი უნდა ყოფილიყვნენ საქართველოში მოსამსახურე ვარანგნი.

1. ეს თურქნი არიან ახლად გამოჩენილნი სელჯუკნი, რომელნიც პირველად შეეჯახნენ ვიზანტიას 1048 წელს, დასცეს აზიაში მომეტებული ნაწილი ვიზანტიის სამფლობელოსა და გახდნენ ხალიფების მბძანებლებად, ჩამოართვეს მათ ვრცელი დედაქალაქი ბაღდადი, გაავრცელეს თავისი სამფლობელო არხიპელაგით დაბოსფორით კაშკარამდე. ლებო სწერს იმათზე ვიზანტიელთ წყაროების შემწეობით: „სელჯუკი, რომელმაც თავისი სახელი მათ გადასცა, იყო ახოვანი მხედართ-უფროსთაგანი თურქისტანში. მისმა ვაჟკაცობამ იმას მიანიჭა უპირველესი ღირსება მთელს სახელმწიფოში, მაგრამ ამ შემთხვევამ მტრად აღმოუჩინა მას თავისი ხელმწიფე. სელჯუკი თავის მომხრეებით და სახლობით განივლტო მდინარე ჯიღონის მხარეს ბუხარაში, საიდამაც ზარსა სცემდა და აოხრებდა მოსაზღვრე მხარეებს. მოკვდა იგი 106 წლისა. მის შვილს მიხაილს, ომში მოკლულს, დარჩა სამი შვილი: ბიგუ, თოგრილ-ბეგი და დაუთი, რომელნიც თავისუფალს ცხოვრებას ევლტოდნენ, სდიდნენ საქონლის ნახირსა და ამასთანავე არბევდნენ და სცარცვავდნენ მოსაზღვრე ტომთა; ამისგამო ბუხარის ემირისაგან განდევნილნი დაესახლნენ თავის სამშობლოშივე თურქისტანში; აქაც ხანმა ისინი

პარიტისთა გამოიყვანეს მეფე ბაგრატ და განდიდნა კუალადცა და დაიპყრნა ციხე-ქალაქნი; ხოლო მოადგნენ განძას თურქნი და მიეწყუნეთ წარღებად; მოვიდნენ ბერძენნი შველად მისა; აწვივეს ბაგრატ მეფე და უშველა მეფემან. ამათ მისვლასა უკუ-რიდეს თურქთა განძას და დაშთა მშვიდობით. მუნიდამ მოქცეულს

მავნე პირებად იცნა: თოგრილი დაატყვევა; დაუდი გაიქცა. დაუდს სდევნა ჯარმა, მაგრამ მან დაამარცხა ეს ჯარი და ძმა გამოიხსნა. იგინი უფრო განძლიერდნენ და დაბრუნდნენ ბუხარაში. იმათის მხნე-მოღვაწეობით გატაცებული თურქთ გაზნევიდთ მთავარი მაჰმუდი, მფლობელი ხვარასნისა, მავარენნაჰარისა და სპარსეთის ნაწილისა, გავიდა რა ბუხარიდამ, თან გაიყოლია ორნივე ძმანი, თუმცა სახელის მოხელენი ასმენდნენ მაჰმუდს თუ რა საშიშარნი იყვნენ თოგრილ და დაუთ. მაჰმუდმა იგრძნო თავისი შეცდომა მაშინ, როდესაც საქმეს შველა აღარა ჰქონდა: დაბინავდნენ რა ხვარასანში, მერე მაწლობლად, ორთა ძმათა შემოიკრიბეს მრავალნი ავაზაკ-მეკობრენი და ისე გაძლიერდნენ, რომ თავის მომხრედ მიიზიდეს მეომარნი ისპაჰნიდამ, რეიდამ, ჰამადანიდამ და მცირეს ჟამს თავისი ძალა მოჰფინეს ადერბიჯანამდე, სადაც მოაოხრეს ქალაქი მარაგა და იმისნი მცხოვრებნი ამოჰხოცეს. თოგრილის ბიძა ჰასანი გავიდა ტიგრსა, მოაოხრა მიაფერეკინი, ჰამიდი, ნიზიბის არე-მარე, მოსული და მთელს შუა-მდინარეს ზარი დასცა. შეერთებულთ არაბთ აიძულეს იგი ადერბიჯანში უკუ-ქცევა. ამ დროს თოგრილი შეება გაზნევიდებს, მაჰმუდის შვილს და მემკვიდრეს მასუდს, რომელიც თოგრილმა დაამარცხა, დაიჭირა იმისი ტახტი და სულტანად იწოდა. ეს მაგალითი უმადურებისა ვერ შეიმცნო ბაღდადის ხალიფმა. მიზიდულმა თოგრილის სიმხნე-სიმამაცით და ემირებისაგან შევიწროებულმა ხალიფმა მოსთხოვა მას შემწეობა. თოგრილმა შემწეობის ნაცვლად ჩამოართო ხალიფს უფლება, რომელიც თვითონ შეისაკუთრა. შემდეგ ამისა, მცირეს დროში სელჯუკებმა დაიპყრეს მთელი აღმოსავლეთი მხარე სპარსეთისა, ხარიზმიდამ ვიდრე ინდოეთის ზღვამდე, კასპიის ზღვის ნაპირები, გებალი, ირაკი სპარსეთისა, მდიდარი ქალაქები ჰამადანი და რეი. ეს უკანასკნელი თოგრილმა გაამაგრა და თავის ნატყვენავის ადგილ-საცავად დააწესა. ლებოს თქმით ზოგნი მწერალნი ამტკიცებენ, ვითომც თოგრილს პირველს მიეთვისოს **სულტანობა**, ესე იგი მეფეთ-მეფობა; მაგრამ ეს ტიტული ბევრით ძველია. იმას მოიხსენებს კონსტანტინე პორფიროგენი. სულტანად იწოდებოდა სარაცინების მთავარი აფრიკისა გასილი მაკედონელის მეფობაში. ვინც ხალიფის ხელ-ქვეით განაგებდა იმის სამძანებლოს და იწოდებოდა ემირ-ელ-ომარად, ესე იგი მთავართ მთავრად, სახელ-იწოდებოდა აგრეთვე სულტანად. შემდეგშიაც მომეტებულნი სარაცინთ გამგეთაგანნი, როდესაც მათ თავიდამ აიცილეს ბძანებლობა პირველის ემირისა და მოიპოეს დამოუკიდებლობა; თუმცა აღიარებდნენ ხალიფის უპირატესობას, ისახელ-წოდებოდნენ აგრეთვე სულტანებად."

„შემდეგ ზემოდ ხსენებულისა თოგრილის მხედართ-მთავარი იბრაჰიმ 100,000 ჯარით შემოვიდა ბასიანში. თავდა-პირველად იბრაჰიმ იძლია და თოგრილმა მიაშველა მას ჰასანი სხვა ჯარით. ვიზანტიის ჯარის უფროსთა კატაკალონმა და აარონმა ურთიერთის თანხმობით გადაწყვიტეს, რომ იბრაჰიმს შეჰბმიყვნენ; მაგრამ იმპერატორმა ბძანა, რომ ომი არ დაეწყოთ, სანამ ლიპარიტი იბერიელების ჯარით არ მიეშველებოდა და ამასთანვე შეუთვალა ლიპარიტს, რომ ახლა შემთხვევა გეძლევათ ჩვენი ერთგულობა აღმოაჩინოთ, თუ მართლა იმპერიის ერთგული ხართ და სთხოვდა ლიპარიტს თავის მხედრობით შეერთებოდა იმის ჯარის უფროსს. ეს ლიპარიტი, განაგრძობს ლებო, იყო შვილის-შვილი აბხაზთ ჯარის მხედართ-მთავარისა, რომელიც

მისცეს ტფილისი ბაგრატ მეფესა, შევიდა და დაიპყრა ციხე-ქალაქი. შემდგომად დაეხსნა ლიპარიტ თურქთა, მოვიდა და დაიპყრნა თვისნი ყოველნი; ხოლო ესმა რა განდიდება ბაგრატ მეფისა, წარვიდა კოსტანტინეპოლედ, რამეთუ მსახურებისა მათისათვის ტყვე იქმნა; მოიცა მუხნიდამ ძალი სპითა, ვერღა-რა დაუდგა ბაგრატ მეფე, დაუტევა მან თვისი გიორგი მეფედ აფხაზთა ქუთათისს და თვით წარვიდა კოსტანტინეპოლედ, არამედ კეისარმან სათნოებისათვის ლიპარიტისა არღა-რა გამოუტევა სამ წელ დიდსა დიდებასა შინა მყოფი მუნ კოსტანტინე მონომახისაგან. აქა ყოფასა შინა მეფისათანა იყო გიორგი მთაწმინდელი, ხოლო ლიპარიტ მოითხოვა მან ბაგრატ მეფისა გიორგი მეფედ. მოსცეს დიდებულთა აფხაზთა და აკუფთისა რუისს მეფედ და მოუდგინა და ბაგრატ მეფისა გურანდუხტ მზრდელად. შემდგომად გურანდუხტ მოითხოვა მეფე ბაგრატ კეისრისაგან და მან წარმოავლინა დიდითა დიდებითა და ნიჭითა; მოვიდა ზღვით, შემოვიდა ქუთათისს, მეფობდა ლიხს იქით მაწყობით; ხოლო მესა მისსა გიორგის ეზრდიდა ლიპარიტ სახლით ოდენ მეფობისად. შემდგომად მოეწყინათ უფლება ლიპარიტისა მთავართა; შეითქნენ სულა კალ-

26 წლის წინად იმპერიის ჯარს ებრძოდა. ლიპარიტმა დიდად ისახელა ივერიაში ვაჟ-კაცობით და კეთილ-გონიერებით ასე, რომ შემდეგ ბაგრატ მეფისა ის იყო უპირველესი მთელს სამეფოში. დედათ-მოყვარემ მეფემ აცდუნა ლიპარიტის ცოლი და ამ უპატიურობის საზღვევლად ლიპარიტმა ბრძოლა აუტეხა ბაგრატს, რომელიც დაამარცხა და განდევნა მთებში. ამასთანავე ლიპარიტმა იზრუნა თავისი შეურაცხ-ყოფა ბაგრატის დედაზე, დაიჭირა მთელი იმისი სამფლობელო და წერილით მოსთხოვა იმპერატორს მეგობრობა და კავშირი. იმპერატორმა ეს თხოვნა შეიწყნარა. შემდეგ რამოდენისამე დროესა ბაგრატი სვანეთით (? ჭანეთით) და კოლხიდით გავიდა ტრაპიზონს, საიდამაც მოითხოვა ნებართვა იმპერატორის ნახვისა. მივიდა თუ არა კოსტანტინეპოლში, ბაგრატმა უსაყვედურა იმპერატორს, რომ შენ დაარღვიეო კავშირი იმპერიასა და შემძლე აფხაზთ-ქართველთ სამეფოს შორის და მეშფოთე ქვეშ-გრდომს მიჰყერძეო. იმპერატორმა იკისრა მოწინააღმდეგეთა მორიგება და დაითანხმა ლიპარიტი, რომ მას ეუფლა თავის სიცოცხლეში მხოლოდ მესხეთზე და ბაგრატ მეფის ქვეშ-გრდომადვე დარჩენილიყო. ეს იყო ის ლიპარიტი, რომელიც იმპერატორმა საომრად მიიწვია. ომი მოხდა არზენში, ანუ ახლანდელს არზრუმში. ლიპარიტი მივიდა 26,100 სომხისა და ქართველის ჯარით; იმათ რიცხვში იყვნენ 7000 ლიპარიტის მოყმენი. რადგანაც თურქნი აირივნენ, კატაკალონმა არჩია, რომ მათ დასცემიყვნენ. ლიპარიტი არ დასთანხმდა: „დღევანდელი დღე არისო ოთხშაბათი და ჩვენში ოთხშაბათი უბედურ დღედ ირიცხებაო". იბრაჰიმმა ისარგებლა ამ შემთხვევით და თვით დაიწყო ბრძოლა. კატაკალონი ბძანებლობდა მარჯვენა წყობას, აარონი მარცხენას, ლიპარიტი შუა-გულს. კატაკალონმა და აარონმა შესძრეს მტერი. ლიპარიტის გვერდით დაეცა იმისი ძმა-შვილი. ამ გარემოებამ ისე გააშმაგა ლიპარიტი, რომ გონება-მიხდილი შეიჭრა მტრის წყობაში. მაგრამ აქ იმას ცხენი მოუკლეს და დაცემული დაატყვევეს. ლიპარიტის ჯარი გაიფანტა. ეს შემთხვევა იყო მიზეზად, რომ იბრაჰიმმა საქმე მოიგო. ლიპარიტი გაისტუმრა თოგრილთან.

მახლობლად მესხნი შეიპყრეს ლიპარიტ და ძე მისი იოანე წელსა 1059; ქართულსა 279 (ამა წელსა მოწოდებითა მეფისათა მოვიდა გიორგი მთაწმინდელი ქართლს; ხოლო ნიანიამ მოჭმართა კლდე-კარს და ერა შეუშინეს მეციხოვანეთა მამისათა და წარვიდა საბერძნეთს. ესე აუწყეს ბაგრატ მეფესა; წარსრულსა მოერთვნენ დედა და ძე თვისი გიორგი ახალ-ქალაქს და მან მოართვეს ლიპარიტცა და იოანე ძე მისი (ამის წილ სულსა უბოძა მეფემან მამულნი დიდ-დიდნი); მერმე მოსცეს მეფესა არტანუჯი და ყოველნი ლიპარიტისნი და მოასცნენ კლდე-კარს, განსცეს ლიპარიტ და იოანე ძეღსა; ამით მოსცეს ციხე და გამოიღო საჭურჭლე ლიპარიტისა; მხილველი ლიპარიტ ევედრა მეფესა და შეიმოსა ჩოხა მონაზონებისა; ხოლო იოანეს უბოძა მეფემან არგვეთი; შემდგომად გაიპარნენ მამა-ძენი და მივიდნენ კოსტანტინეპოლედ და ნიანია მოკვდა ბერძენთა თანა ანისს; ხოლო იოანე კვალად გამოიყვანა მეფემან, მისცა არგვეთივე და შერთო დიდებულთა თვისთა თანა და ლიპარიტ მოკვდა კოსტანტინეპოლის; წარმოიღეს აღზრდილთა მისთა და დაფლეს საფლავსა მათსა კაცხს. ამისა შემდგომად გამოვიდა სპარსთა მეფე უეცრად[1] დასხმის-გვარ წელსა 1064, ქართულს 284; შემოიარა განგარი, თრიალეთი და დღესა ერთსა მოვიდა მარბიელი მისი ყველის-ყურს, ტაოს, შავშეთს, კლარჯეთს, თორს, ღრჯიის-ხევსა და თვით დაადგრა თრიალეთს; ხოლო მეფე დედით და ძით გიორგით მომავა-

„ლიპარიტის დატყვევებამ დიდი მწუხარება მიაყენა იმპერატორს, რომელმაც ყოველი ღონის-ძიება მიიღო იმის გამოსახსნელად. ამ განზრახვით მან გაგზავნა სულტანთან დესპანი მდიდარის საჩუქრით. სულტანმა პატივით მიიღო დესპანი და უთხრა: მიახსენეო შენს ხელმწიფეს, რომ მე ვარო მეფე და არა ვაჭარი და ტყვე უსასყიდლოდ დამიბრუნებიაო. შემდეგ ამ სიტყვებით მიუბრუნდა თვით ლიპარიტს: „მე მომინიჭებიაო შენთვის სასყიდელი, რომელიც მივიღეო; ამასთანავე გახსოვდესო ეს დღე და დაეკითხეო შენ სვინიდისს, რომელიც გამცნებსო, ამის შემდეგ მტრობა გმართებსო ჩემი, თუ მეგობრობა““ (Lebeau, *H. du B—E.*, XIV, p. 346—359). ამ საგანზე ნახე კიდევაც ბროსესაგან გამოკრებილი ბიზანტიელთა და სომეხთა მწერალთა ცნობები *Addit à L'H. de la G.*, 1851, p. 222—226. უნდა შევნიშნოთ, რომ ხსენებული ლიპარიტია ლიპარიტ III, რომელიც მონაზონობაში ანტონად არის ცნობილი და შემდეგ სიკვდილისა დამარხულ იქნა „სამკვიდრესა მისსა“ კაცხის მონასტერში. ამაზე იხილე ზემოდ 148—149 გვერდის შენიშვნა.

აქ ესეც უნდა დავურთოთ, რომ ჩვენს ვისრამიანში მოხსენებულნი „სულტანი ხვარასნისა და ადარაბადაგანისა ტუღრულ-ბეგ, რომლის ლაშქართა დაუმორჩილეს თოგრილ-ბეგს ქირმანი, მისლი, ჰავაზი, სომხითი და საბერძნეთი“ „და თვით არსლან-ხანი“ (ვისრ. გვ. 1—3), არიან, ჩვენის მოსაზრებით იმათში პირველი: ისტორიული თოგრილ-ბეგი, მეორე — იმისი მხედართ-მთავარი ჰასანი, რომელმაც იბრაჰიმითურთ დაამარცხა სომხეთში კატაკალონი და აარონი.

1. ხსენებული სპარსთა მეფე არის ქ.-ცხ-ის არფასარი ანუ არპ-ასლანი სელჯუკი, ძმა ანუ ძმის-წული თოგრილ-ბეგისა, (ქ.-ცხ. გვ. 223—*H. de la G.*, I, 327.— Lebeau, XIV, 443—446).

ლი ტაოდამ იდგა ხე-კრებულთა აყრილსა: ეწვივნენ სპანი სპარსნი; არამედ მეფე მთაესწრა ქართლს და სპარსნი მიიქცნენ, შემუსრეს ახალ-ქალაქი, მოსწყვიდნეს მუნ-მყოფნი ესრედ, რამეთუ შეიღება მდინარე იგი სისხლითა. მაშინ ითხოვა სპარსთა მეფემან ზავი ბაგრატისაგან და მზახლობაჲ; ესენი აღუსრულა ბაგრატ და მიიქცა სულტანი, შემუსრა ანი და მისცა მანუჩარს, არამედ დის-წული ბაგრატისა, რომელსა ითხოვდა სულტანი, იყო ძმის-წული სომეხთა მეფისა კვირიკესი და არა მოსცა იგი ბაგრატს; ამისთვის აბირნა ბაგრატ კაცნი და სამშვილდეს შემომავალნი შეიპყრნეს კვირიკე და ძმა მისი სუმბატ და მოართვეს ბაგრატ მეფესა; მოადგა მეფე სამშვილდეს; მოსცეს სამშვილდე, რიგვეთი და სხვანი ციხენიცა; არამედ ბაგრატ შეიწყალა კვირიკე და მისცნა ყოველნი, სამშვილდისაგან კიდე; გარნა იგი დაიპყრა სახლად თვისა; შემდგომად მისცა ასული თვისი მარიამ ბერძენთა მეფესა ცოლად[1] წელსა 1065, ქართულსა 285 და დის-წული მისცა სპარსთა მეფესა ცოლად (ამასვე წელსა წარვიდა გიორგი მთა-წმინდელი მთაწმინდას და გარდაიცვალა კოსტანტინეპოლს 1066 წელსა[2]. შემდგომად სამისა წლისა გამოვიდა სულტანი, შემუსრა

1. მისცა ბერძენთა მეფესა ცოლად ასული თვისი მარიამ; ქ.-ცხბით (I, 230) და გიორგი მთაწმინდელის ცნობით მართა: „ოდეს მართა უფლის-წული კოსტანტინე დუკიცმან სძლად თვისად მიიყვანა დედოფლად სამეუფოსა ქალაქსა“ (მ ა მ.-ც ხ. შ ი ო-მ ღ.ვ., გვ. 125). მარიამადვეა იგი ცნობილი როგორც ვიზანტიის მატიანეში, აგრეთვე თვით ვიზანტიის მანეთზე, რომელზედაც წარმოდგენილნი არიან მარიამ და ქმარი მისი იმპერატორი მიხაილ VII დუკა (1071—1078 წ.) ამასთანავე გამოჩენილი ფრანციელი არხეოლოგი ჟიულიენ-დიურანი უჩვენებს მიხაილ დუკას და მარიამს თვით ხახულის ღვთის-მშობლის ხატზე, რომელიც გელათის მონასტერში ასვენია (*Вѣстникъ древне-русск. искусства.*, 1874—1876 г. Смѣсь, стр. 103). მარიამის ჯვარის წერა, ვახუშტის თქმით, მოხდა 1065 წ., ვიზანტიელების ცნობით კი 1071 წ. (*H. de la G.*, I, p. 330, n. 2). თვით ბიძა-შვილი მარიამისა ირინე შეირთო, ნიკიფორე ბრიენის მოწმობით, ისააკ კომნენმა, ალექსი იმპერატორის (1081—1118 წ.) ძმამ იმავე 1071 წელს. ვინ არის სახელდობრ ეს ირინე არ ვიცით. ბროსსე ფიქრობს, ის უნდა იყოს დიმიტრის ქალი (*H. de la G.*, 330, n. 2). აქ შევნიშნავთ, რომ ხსენებულ ცნობებში სახელ-წოდების გამო წინააღმდეგობა არა არის რა. რომ ბაგრატის ქალს მართა ერქვა ეს უეჭველია; რომ ჯვარის-წერის შემდეგ მას დაერქო მარიამ ესეც უეჭველია, რადგანაც ვიზანტიელთ ჩვეულებით ვიზანტიის დედოფალს უცხო-ქვეყნელთაგანს დედოფლობაში ახალი სახელი ეძლეოდა. თვით ზემოდ-ხსენებული ათონის მანუსკრიპტის ალაპები (გვ. 139) ცხადად ამტკიცებენ ამას: „ალაპი არს დედოფლისა ჩვენისა მარიამ მართა ყოფილისა და ძისა მათისა კოსტანტინე პორფიროგენისა დიდთა და მრავალთა ქველის-მოქმედებათა მათთანთვისა“. (ჩემი კრებული დოკუმენტ., გვ. 318). მარიამზე და იმის შვილზე კოსტანტინე პორფიროგენზე და თვით მარიამის თავ-გადასავალზე მიხაილ VII სიკვდილის შემდეგ ნახე Sabatier, *Descr. des monn. byzant.*, II, 173—174, 179, 187.—*H. de la G.*, I, p. 330, n. 2.

2. 1066 წელს იხსენიება ჩვენში ორი ღირს-საცნობელი შემთხვევა: ა) კომეტის გამოჩენა და ბ) გიორგი მთაწმინდელის სიკვდილი.

ა) კომეტაზე (ძველის ჩვენის მწერლობის გამოთქმით, კვიმატი, ვარსკვლავი

რანი; მაშინ ერთგულად სდგნენ ჭერ-კასხნი ბაგრატ მეფისად და სხვანი ბაგრატისანი იყვნენ მუნ მდგომარენი ვიეთთა ციხეთა ზედა, რამეთუ თვითცა შთასვლად იყო. მცნობნი სულტანის მოსლვისანი მოიქცნენ და აუწყეს ბაგრატს; მაშინ უკ-მოიქცა მეფეცა ქართლს; ხოლო აღსართან მივიდა წინაშე სულტანისა და მიიქცა სარკინოსად და წინა-დაიცვითა. ამისთვის მისცნა სულტანმან ციხენი ჭერ-კასთა ბაგრატის ნაქონებნი; მერმე მოვიდა სულტანი ჯავახს და განუტევა მუნიდამ მარბიელი ცისკრისად და მწუხრამდე, აღივსო ყოველი ქართლი და გარდავიდნენ არგვეთს, მიუწივეს სვერამდე წელსა 1069, ქართულ-

ლაშქრის სახე, ქ.-ცხ., I, 432) ნახე თვით ქ.-ცხ., I, 231. ამ კვიმატს მოიხსენებს წარწერა კედლის მხატვრობისა სოუქ-სუს ეკლესიაში აფხაზეთში. წარწერა ამბობს: „კურთხეულ არს ღმერთი ყოვლად ყოველსა შინა. ესე იქმნა დასაბამიდგან წელთა ხქჲდ, ქორონიკონსა სპვ, მეფობასა ბაგრატ გიორგის ძისასა, ინდიკტიონსა ლჱ, აპრილსა თთვესა, ვარსკვლავი გამოჩნდა ბზობიდგან აღვსებამდე.“ აქ ქორონიკონი 286 და ინდიკტიონი 38 ანუ წელი ბაგრატის მეფობისა უდრიან 1066 წელს. (მცირე განსხვავებაა ინდიკტიონში). როგორც ახლა გამოკვლეულია, იმ წელს კომეტა მართლადაც ჩანდა აპრილში და მაისში. აქ უნდა დავურთოთ ისიც, რომ სოუქ-სუს ეკლესიის კედელზე პირველად ვპოვეთ ჩვენ ძველი წარწერა მ ხ ე დ რ უ ლ ი, რომელიც საუბედოდ ცუდათაც არის ნაჯღაბი და ადგილ-ადგილ წაშლილიც არის, ასე რომ ძალიან ძნელად იკითხვის. ამ წარწერაში, თუ შემცდარი არა ვარ, იხსენებიან გიორგი კუროპალატი (მამა ბაგრატ IV-სა) და ჭყონდიდელი, რომლის სახელი არ იკითხება. ვისგან არის ეს ეკლესია აშენებული, ან რა სახელით არის ძველად ცნობილი არ ვიცით. ჩვენის მოაზრებით, ის უნდა იყოს ბარალამის მონასტერი, რომელიც გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში იხსენიება: „რამეთუ, ამბობს ცხოვრება, ყოველთა მონასტერთა გარდაიწერნეს თარგმანნი გიორგი მთაწმინდელისანი და უფროჲს ყოველთასა დიდად ილვაწა სულითა კურთხეულმან ანტონი ლიპარიტ ყოფილმან და თვისისა მონასტრისა აფხაზეთს წმინდისა ბ ა რ ა ლ ა მ ი ს ა თ ვ ი ს დააწერინა (*Brosset*, *V. arch.*, VIII, p. 116—117.—მ ა მ.-ც ხ. შ ი ო.-მ ღ ვ., გვ. 119.—ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 1, გვ. 22—24.)

ბ) გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფიის თქმით, გიორგიმ ბაგრატ მეფის მიწვევით ხუთი წელი დაჰყო საქართველოში, სადაც იმ დროს „გარდაიწერნეს წიგნნი მისნი მრავალთა საეპისკოპოსოთა და მონასტერთა და მრავალნი საეკლესიონი წესნი განმართნა“ და საიდამაც დაბრუნდა რა, კონსტანტინეპოლში შეიყვანა 80 ობოლი ქართველთა ყრმათაგანნი, რომელნიც იმპერატორს კონსტანტინე XIII დუკას შეჰვედრა. აქ იგრძნო მან სიკვდილის მოახლოება და, ამბობს მისი ბიოგრაფი, „მეტოქად ჩვენდა წარვედითო“ (ქართველების მეტოქზე კონსტანტინეპოლში და თვით ამ სიტყვის მნიშვნელობა ნახე ქ.-ცხ. 318.—*H. de la G.*, I, 340.—*Addit.*, 1851, p. 51), სადაც მეორეს დღეს შემდეგ იმპერატორის ნახვისა მიიცვალა გიორგი ოლთისელის მთაწმინდის მამასახლისობაში (*Addit.*, 226—227.—მ ა მ.-ც ხ., გვ. 131).

რა გვარი ურვა, გაება და გოდება აღძრა მოულოდნელმა სიკვდილმა გიორგისამ და რა მაღალის გრძნობით და პოეტურის მხატრობით წარმოგვიდგენს ამ შემთხვევას გიორგის ბიოგრაფი, ამას გვიჩვენებს შემდეგი შემოკლებით გამოწერილი სურათი:

„ენა ჩვენი ვერ შემძლებელ არს, ამბობს ბიოგრაფი, მითხრობად, რაჟამს იგი მოეცვა გვამი ნეტარისა. მის მიერ ცხოვნებულთა მათ მღვდელთა და დიაკონთა და ობოლ-

სა 289; დეკემბრის 10 ოთხ-შაბათს და მოისრნეს ურიცხვნი ქრისტიანნი და იქმნა დღე ბნელი, ვითარცა წყუდიადი და წვიმა სისხლისა; გვალად იყო ზამთა-რი სასტიკი, რამეთუ რომელი განერა, მოისრნენ ყინვისაგან. მაშინ მიგზავნა ბაგრატ მეფემან ლიპარიტის ძე იოანე წინაშე სულტანისა მშვიდობისა ზავისა-თვის; ხოლო მან ითხოვა ხარკი და ყინულისაგან გვრდა-რა დაადგრა, უკუ-იქცა, შემუსრა ტფილისი და მისცა განძის პატრონსა. (ესე არა მტერობისა-თვის ბაგრატისა ჰყო სულტანმან, არამედ იყო ვერაგი, რამეთუ კეთილისათვის მაგის ბოროტი უღმრთოობითა და ლაშქრობასა ამას შინა იყო სპა მისი სუ-

თა მათ ჩჩვილთა, რომელნი წუთ ხელითა წვლილითა და ენითა მბრგვინვალითა იტყოდეს და მამად და მოძღვრად ჰხადოდეს, ვითარმედ: ვაჲ ჩვენდა, ვაჲ ჩვენდა, შენ მიერ, ჵი მამაო! რა ესე შემამთხვიე ჩვენ? სადა შემკრიბენ და აღმზარდენ? ანუ აწ სადა დაგვიტევენ და დაგვფანტენ? მღვდელნი და დიაკონნი ხელთა მისთა წმიდათა ამბორს-უყოფდენ და თვალთა ზედა დაისხმიდენ და რომელნიმე ცრემლთა წილ სისხლთა დასთხევდენ გვამსა მისსა ზედა წმიდასა და იტყოდენ: ვაჲ ჩვენდა, ვაჲ ჩვენდა, ჵი წმიდაო მამაო! რამეთუ ოდეს შენ ჩვენთანა იყავ, ღამენიცა დღენი იყვნენ, ხოლო აწ რა განგვეშორე, დღენიცა ღამენი არიან.

„ეჰა უბედურება ჩემი! ვითარისაღა ჟამისათვის დავიმარხე ყოვლად საწყალობელმა ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩემსა სიკვდილისა მითხრობად, რომელი იგი არა თავისა თვისისათვის ცხოველ იყო, არამედ ღვთისა.... ჰე ჭეშმარიტად დაიძინა ზიარმან ანგელოზთა მამამან; შეისვენა ზოგადმან მოძღვარმან ჩვენმან, ქვეყანისა ანგელოზმან და ზეცისა კაცმან, ტაძარმან ქალწულებისამან უბიწომან, მრავალ-ფერმან მან და მრავალ-სახემან სიბრძნემან სულიისამან, ჴელოვანმან გულის-ხმის-მყოფელმან და ერთგულმან ქრისტეს მსახურმან, თვალმან ქრისტეს გვამისამან, მოთმინებისა მოღვაწემან და წყალობისა წყარომან. ვაჲ, ვაჲ, ძმანო ჩემნო პატიოსანნო! აწ დაგვეხშა პირი იგი, რომელი გვწვრთიდა დღე და ღამე სჯულსა უფლისასა; წარვიდა გონებისა განზრახვა, ჭეშმარიტად ღვთისა მიერ აღძრული; დაწუხნა თვალნი იგი მართლიად მხედველნი; შეიკრა ენა იგი ოქრო-სიტყვა და საღმრთოთა ბრძანებათა ხმა მაღლად მღაღადებელი და ბრწყინვალედ მთარგმნელი ღვთივ-სულიერთა წიგნთა; დაყუდნა ხელი იგი მშვენიერად მწერალი, რომლითა განანათლნა ეკლესიანი ჩვენნი; დადგეს ფერხნიცა იგი მშვენიერნი, განკაფულნი ღამის-თევათა შინა ზე-დგომითა; დაყუდნა გონება იგი მახვილი და სიღრმეთა სულისათა გამომძიებელი; დაიფარა მიწასა შინა გვამი წმიდა მოღვაწებისა, შრომითა განლეული.

„ჰხედავთა, თუ ვითარ არნ საქმენი ჩვენნი? მენება, უკეთუმცა შესაძლებელ იყო, აღტყევნა ხმისა რასამე ვნებისა, ვითარცა ჰყვეს ობოლთა მათ და ხმითა მაღლითა იგლოვდეს; არამედ ვითარ ვაიძულო ენა მსახურებად სიტყვისა, ანუ ვითარ აღვაღო პირი უტყუებითა შეპყრობილი, ვითარ აღუტეო ხმა ვნებათა და გონებათა ძალისაგან დახსნილი; ვითარ აღვიხილნე თვალნი სულისანი, განსაცდელისა ამის ალმურითა დაბნელებულნი?... გვავასხენით, ძმანო, გვავასხენით ცრემლნი წყლულებისანი, რამეთუ ოდეს იგი იხარებდით თქვენ, სიხარულსა თქვენსა გეზიარენით ჩვენცა; აწ უკვე მომაგეთ ჩვენ ბოროტი ესე ნაცვალი და ტირილი მტირალთა თანა მომიზღეთ ჩვენ.

არამედ, ეჰა! რაბამ ტკბილ იყო ვიდრე აქამომდე გზა სიტყვისა ჩვენისა და, ეჰა! რაბამ სამწუხარელ იყო, უკეთუმცა ამას პირსა ზედა დასრულდებოდა მოთხრობა ჩვენი! ხო-

თასი ათასი) და მერმე წარვიდა სპარსეთად. კვალად გაზაფხულს იქმნა ესეოდენი სიმდიდრე მდინარე წყალთა, რომელ გარდავიდა ნადინებთაგან და წარიღო მრავალნი სულნი, რომელნი დაუშთნენ სულტანსა. ამასვე დროსა განდიდნა ფადლონ, შემოვიდა ტფილისს, გამოიყვანა სელოსანნი; ხოლო მეფე ბაგრატ იდგა დიდ-გორსა ზედა, არა-რათ რიდა ფადლონ მეფესა და დაიბანაკა ისნის კელსა ზედა ოცდა-ათი-ათასითა სპითა; მუნ დაუტევნა კარავნი, შემოვლო მუხრანი დარბევად ქართლისა. აქადგან ბაგრატ წარავლინა სპანი თვისნი მესხნი; ვერღა-რა გაუსწრეს ფადლონს და განვიდნენ წილკანის გორასა ზედა და მოვიდნენ სპანი ფადლონისანი, ეკვეთნენ და პირველსავე ხმლის მოკიდება-

---

ლო ამიერიდგან მოუწოდეთ დედათა მტირალთა, ვითარცა იტყვის იერემია, რამეთუ განსაცდელთა და მწუხარებათა მიერ შეპყრობილისა და აღვსებულისა გულისა სხვათა ოხითა ნუგეშის-ცემა შეუძლებელ არს, არათუ ცრემლთა მიერ და სულთქმათა აღუსუბუქნეს... უტევეთ უკვე, ნუგეშინის-მცემელნო, უტევეთ და ნუ განამრავლებთ ნუგეშინის-ცემასა, რათა მწარედ იგლოვონ ობოლთა ამათ... ხოლო არავინ არს რომელმანცა მიიღო ნაწვეთი ერთი წყლისა და განაგრილა ენა ჩემი სალმობიერი და შემწვარი ცეცხლითა მწუხარებისათა, რამეთუ წარხდა მშვენიერება იგი საწადელი და დადუმნა ხმა იგი სავსე სიტკბოებითა; აღფრინდა მადლი იგი განმაბრძობელი ჩვენი. სადა არნ თვალნი ზეცისა საიდუმლოთა მხედველნი? სადა არნ ყურნი იგი საღმრთოსა მის ხმისა მსმენელნი? სადა არს ენა იგი წმიდა ტკბილად მსწავლელი ცოდვათა სინანულისა? სადა არს ტკბილი იგი მყუდროება თვალთა მისთა? სადა არს წესიერება იგი დუმილი ბაგეთა მისთა? სადა არს საწადელი იგი მარჯვენე მისი, რომელი კურთხევასა მას პირისასა სასურველთა მათ თითთა თვისთა ჯვარის-წერითა დაბეჭვდიდა?

„არამედ აწ გევედრები, შემაშრენით მე ცრემლნი ჩემნი; დაიცხრეთ გონება ჩემი, რამეთუ ვაგრძნობ, ვითარმედ უფროს ჯერისა განვალ საზღვართაგან გლოვისათა და ვნებისა ამის სიმძიმითა დედათა მივემსგავსები... მოვედით ამიერიდგან და განუსვენეთ სასმენელთა თქვენთა გლოვისაგან და გოდებისა ობოლთასა, რამეთუ არა მიგვიღო ჩვენ მოძღვარი ჩვენი, არცა წარვიდა ჩვენგან, არამედ შორის ჩვენსა მდგომარე არს, დალაცა-თუ ჩვენ არა ვხედავთ მას, და წმიდასა მას წმიდათასა შევიდა მამა ჩვენი და მეოხ არს წინაშე ქრისტესა ჩვენთვის შვილთა და მოწაფეთა თვისთათვის.

„ესე ვითარი ნუგეშინის-ცემა გაქვნდის თქვენ, ძმანო, რომელნი ეგე ძვალთა იოსებისთა ქვეყანასა მას კურთხევისასა... მთასა წმიდასა აღიყვანებთ.

„ხოლო აწ ჟამი არს მოთხრობად თუ ვითარ იქმნა წარსვლა ჩვენი მთაწმიდას და კვალად მოხსენება პეტრე პატრიკ ყოფილის, ნუგეშინის-ცემა და შემდგომად ხელისაღპყრობა, რომელ ჩვენ ზედა აჩვენა.

„ვითარცა განვიდა ხორცთაგან წმიდა მამა ჩვენი და წარვიდა წინაშე ღვთისა, მეყსეულად ვაცნობეთ წმიდასა მამასა პეტრეს. ხოლო მან იწყლა სასტიკად სული თვისი, არამედ წელნი მოირტყნა და მსწრაფლ შევიდა მეფისასა, მიუთხრა საკვირველი ესე სასმენელი, ვითარმედ წმიდა იგი ბერი, რომელმან გუშინ 80 ობოლნი თქვენ შემოგწირა, აწ თვით ხელთა ღვთისათა შევედრებულ არს; რომელი გუშინ შენ გევედრებოდა შეწყალებასა ობოლთა თვისთა, დღეს შენთვის ევედრების მას, რომელი იგი მამა არს ობოლთა და მსაჯული ქვრივთა და მეუფე-მეფეთა ქვეყანისათა. ესმნეს რა ესე სიტყვანი

სა ჯოტნეს სპანი ფადლონისანი, მიჰყვნენ სერჯის მთამდე, მოსწყვიდნეს რომელ აღივსნეს ხევნი მძორითა მათითა; არამედ ფადლონ სუთითა ცხენოსნითა წარივლტოდა კასუთს და ჰყო თავი თვისი დესპანად ფადლონისა; ისილა იგი ნიანიამ, წარიყვანა და მიჰგვარა იგი ისააკს; გარნა ისაკ არა მოიხსენა, რამეთუ აზნაური მესხი იყო, რათამცა მიიყვანა მემკვიდრისა თვისისა ბაგრატ მეფისა; გარნა მიჰგვარა თელავს აღსართანს; ხოლო აღსართან გამოუსხნა ხორნაბუჯი და არადეთი; ესე შეუმნდა ბაგრატს, მისცა ბოჭორმა და უჯარმა კახთა განუტევებლობისათვის ფადლონისა. მაშინ მოსცეს ფადლონ მეფესა, გასცეს ძლისა ფადლონ და მოსცეს ტფილისი და არა დაიმჭირა თვისად მეფემან, არამედ მისცა სითლარბს და თვით აღიღო რუსთავი, ფარცხისი, აგარა, გრიგოლ-წმიდა, ქავაზანი, ორმოც და ოთხი ათასი დრაჰკანი და მძევალნი თავადთა განძისათანი. (მთარგმნელნი ამ ჟამთა იყვნენ: იოანე პეტრიჯ ყოფილი, პეტრიწი ფილოსოფოსი და სტეფანე). შემდგომად გაგზავნა სულტანმან სარანგი შუამდგომლობისათვის ფადლონისა, განუტევა ფადლონ და კვალად აღიღო გაგი ბაგრატ მეფემან. შემდგომად ეცრუა ფადლონ ფიცსა, წარიღო ქავაზანი, მოა-

ღვთის მსახურსა მეფესა, განკვირდა ფრიად და დადუმნა ჟამ ერთ და მერმე ბრძანა მოღება პ ა ტ ი კ ი (თხოვნის წიგნი), რომელი იგი მას წმიდასა ხელითა თვისითა მიეცა; ხოლო წერილ იყო ესრედ, ვითარმედ: „წმიდაო მეუფეო, ეგე ობოლნი ვითარცა ჰშვენის ღვთის მსახურებასა შენსა, ეგრედ შეიწყალენ და დაარჩინენ მლოცველად სულისა შენისა და შვილთა თქვენთა მზე-გრძელობისა და მონასტერსა მთა-წმინდისასა სალოცველსა თქვენსა და ოქრო-ბეჭედი შეუქმენ დასამტკიცებელი, რათა ყოვლითურთ თავისუფალ იყოს და ობოლნი ესე იზრდებოდნენ მას შინა და ყოველნი მკვიდრნი მისნი გლოცვიდნენ ვიდრე უკუნისამდე.“ ესე რა აღმოიკითხეს და გულის-ხმა ჰყო მეფემან ძალი საქმისა, მსწრაფლ უბრძანა პროტონოტარიუსსა თვისსა შექმნად ორთა ოქრო-ბეჭედთა, მტკიცეთა და უცვალებელთა: ერთსა ვითარცა წმიდა ბერი ვედრებულ იყო, დასამტკიცებელად ყოველთა ოქრო-ბეჭედთასა, რომელნი იგი წინაალუდგეს და გარე უკუ-აქციეს, უკეთუ რავისმე ენებოს ამის წმიდისა ლავრისა ვნებად, სირცხვილითა აღავსებს; ერთი ოქრო-ბეჭედი ობოლთა ამათ შეუქმნა, რათა არავინ იკადროს მათ მონასტრით განყვანებად; არამედ რათა იზრდებოდენ მონასტერსა შინა, ვითარცა შვილნი და მკვიდრნი წმიდისა ეკლესიისანი. ესე ორნივე ოქრო-ბეჭედნი მოსცნა ნეტარსა პეტრეს და კერონები დიდდიდნი და სანთლები ფრიად და საკმეველი სურნელი და უბრძანა პატრონსახსა ბერსა პეტრეს, ვითარმედ ესე ყოველივე მკერდსა მისსა ზედა წმიდასა დასდევ და შენდობა მითხოვე, ვითარცა ცხოველისაგან და არქვ ესრედ, ვითარმედ აჰა ესერა ბრძანება შენი აღმისრულებიეს უფროს თხოვნისა შენისა და აწ გევედრები, ნუ დამივიწყებ წინაშე ღვთისა.

„ხოლო მოჰრავიდა პეტრე და ბრძანება ესე მეფისა აღასრულა და თვით თუ რასა არა იქმოდა, ანუ რომელსა არა იტყოდა გვამსა მას ზედა წმიდისასა და ვითარცა ცოცხალსა ესრედ ემდუროდა და ფერხთა მისთა ცრემლით დაალტობდა და უკეთუმცა არა მეშინოდა, ნუ უკვე ძლით მცირედ რაჲმე დაშრეტილი იგი სანთელი გოდებისა კვალად აღვაგზნო და შევაწუხნე, ამის ნეტარისა კაცისა სიტყვანი ღმობიერნი და ცრემლნი მხურვალენი ცრემლით მიგითხრნე; არამედ ვირჩიე წყუ ერთ განსვენება თქვენი.“ (მამ.-ცხ. შიომღვ. გვ. 127—130).

დგა აგარათა, გასცა ციხის-თავმან და დაიპყრა ფადლონ[1]. მცნობელი ბაგრატ გამოვიდა, წარუხვნა აგარანი, გამოიყვანა დურღულელი ოვსთა მეფე ორმოცი ათასითა მხედრითა, წარუმღვანა ძე თვისი გიორგი, მოაოხრეს განძა, აღიღეს ტყუენი და ნატყუენავი და ალაფი, შემოიქცნენ გამარჯვებულნი; მერე წარვიდნენ ოვსნი თვისად; შემდგომად მოვიდა ოვსთა მეფე დარბაზობად ბაგრატისა და ხილვად ასულისა თვისისა; გაგება ბაგრატ მეფე ნაჭარმაგევს, ისტუმრა ათორმეტ დღეს; უძღვნა ურიცხვნი და განუტევა. არამედ ავლინებდა სულტანი ძღვენსა მეფისა თანა და ითხოვდა ხარკსა; შემდგომად დასნეულდა ბაგრატ მეფე სამშვილდის ბარს მდგომი და წარმოიყვანეს ქართლს ჭორლეთი; მოვიდნენ ცოლი, დედა და და მისნი; ჰრქვა დედასა: „დედაო, მეწყალი, რამეთუ წარიქციენ ყოველნი ნაშობნი შენნი პირველ შენსა და მერმე-ღა მოკვდები შენ" და გარდაიცვალა წელსა 1072, ქართულსა 292, და ვერა სცნა დიდმან სულტანმან და ბაგრატ სიკვდილი ურთი-ერთისნი, რამეთუ იგი შესრულდა სამარყანდ-დჯდ შვიდასხი ათასითა სპითა მოიკლა ხარკასა თურქისა ვისგანმე. არამედ ესე იყო ბაგრატ პირველად კურაპალატი, შემდგომად ნოველისიმოსი, მერმე სევასტოსი და უშვენიერესი ყოველთა კაცთა[2], სიბრძნითა ფილოსოფოსი, ენითა სვიანი, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა, მოწყალე, უხვი, შემცოდეთა შემბრალებელი; არამედ ქვეყანათა დროსა ამისსა დაწყნარება არა აქვნდა; ეკლესიანი, გლახაკნი აზნაურნი ვერ იკადრებდნენ მოცალებად.

1. ეს ფადლონი ეკუთნოდა, როგორც ამტკიცებენ, ბენი-შედდადის გვარსა, რომელიც იყო ქურდის რევაზის სახლისაგანი და რომელიც ხალიფთ დამოუკიდებლად განაგებდა 951 წლიდამ 1076 წლამდე არანს ანუ ახლანდელს ყარაბაღს. ამ ბენნი—შედდადის სახლის გენეალოგია ნახე *H. de la G.*, I, p. 343, n. 5.

2. აქ უნდა შემოვკრიბოთ ზოგიერთი აქა-იქ გაფანტული ცნობები, გარეშე ქ.-ცხზის თქმულებისა, ბაგრატ მეფეზე.

ქ.-ცხზით, „ესე ბაგრატ პირველ იყო კურაპალატი, შემდგომად ნოველისიმი, მერმე იქმნა სევასტოს (ქ.-ცხ. I, 234). კურაპალატობისა და ნოველისიმოსის ანუ ნობილისიმოსის ღირსებაზე ისტორიული ცნობები ჩვენ ვუჩვენეთ ზემოდ (ნახე გვ. 110, შენ. 1). რაც შეეხება სევასტოსის ტიტულს, ეს ტიტული უდრის ლათინურს ავგუსტოსს და ბიზანტიის იმპერატორებმა იმისი მითვისება უცხო-ქვეყნელების მთავართა და მეფეთათვის ახლად იწყეს XI საუკუნეში (Lebeau, XV, 70); ამის გამო ბაგრატ IV პირველს ვპოულობთ სევასტოსის ტიტულით შემკობილს (*Brosset, V. arch.*, VI, 23, n. 1). ამ სახელ-წოდებით იხსენიებს ბაგრატ IV-ს როგორც გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი (მამ.-ცხ. შიო-მღვ., 125, 126), აგრეთვე ზოგიერთნი აქამომდე დაშთენილნი ეკლესიათა წარწერანი:

ა) ა შ უ რ ი ა ნ ი ს ა გორის მაზრაში, ამ ეკლესიაზეა შემდეგი წარწერა: „მე ილარიონ სამთავნელმან ძემან ვარჩე ყანჩაელისამან აღვაშენე წმიდა ესე ეკლესია ბრძანებითა ფასისა მილებითა სულ კურთხეულისა მამისა ჩემისა ქორონიკონსა სნბ—1032. ქრისტე, ადიდე შენ მიერ დამყარებული უძლეველი ბაგრატ კურაპალატი, რომლისა ზეაღეშენა წმიდა ესე ეკლესია საყოფელი წმიდისა ნათლის-მცემელისა (*Brosset, V. arch.*,

## მეფე გიორგი II (1072—1089).

შემდგომად მისსა გამეფდა ძე მისი გიორგი; განვლო შვიდი თთვე მშვიდობით. შემდგომად განდგნენ ერისთავნი: იოანე ლიპარიტის ძემ მოირთო კახნი და დადგა ქსნის პირსა; ნიანიამ წარიღო ქუთათისი და საჭურჭლე; გარდან განადგინნა სვანნი და აღსწყვიდა საეგრო. მაშინ მეფემან გიორგი სიმხნე-სიოჴნებითა თვისითა ჴსნლო მათ ყოველთა და წარუღო ყოველნი, არამედ არა მიაგო ბოროტისა წილ, გარნა მიანიჭა ნიჭ-ქველყოფანი და დაჭდვარნა ერთგულ-

VI, 125—126). ამ ილარიონ სამთავნელს იხსენიებს თვით სამთავისის ეკლესიის წარწერა. თვით სამთავისის ეკლესია აშენებულია ქორონ. სჲო — 1050 წ. (*V. arch.*, VI, p. 123—122.—ჩემი დღიური, № 1, 291).

ბ) ერედვისა გორისავე მაზრაში. ამ ეკლესიის წარწერა უჩვენებს ბაგრატსავე ოკურპალატად ქორონ. სნბ—1032 წ. (ჩემი დღიური, № 1, გვ. 138).

გ) ზედა-თმოგვისა ახალციხის მაზრაში. წარწერა: „ქრისტე იესო, მეუფეო დიდებისაო, ადიდე ბაგრატ და მარიამ დედოფალი“ (*V. arch.*, II, 154).

დ) კუმურდოჲსა იმავე მაზრაში. წარწერა: „(დედა მა)თი მარიმ დედოფალი. აღეშენა შეწოჲ ესე დროსა მეფობისა მათისასა, მღვდელთ-მოძღვრობასა ზოსიმე კუმურდოელისა.“ (*V. arch.*, II, 171).

ე) ნიკორწმიდისა იმერეთში. წარწერა: „ძეო ღვთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ, აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კუროპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი.“ იქვე მეორე წარწერა მოიხსენებს „ერისთავთ-ერისთავს და ნოველისიმოს ნიანიას;“ მესამე-დედოფალთ-დედოფალს ევფიმიას ასულსა სულ-კურთხეულისა ერისთავთ-ერისთავის რატისა.“ ნიანია, ბროსსეს აზრით, არის ლიპარიტ III-ის შვილი და ევფიმია ასული იმავე ლიპარიტის ძმისა ანუ ლიპარიტის პაპისა რატისავე. (*V. arch.*, XII, 55—56, 59).

ვ) კაცხისა იმერეთშივე. წარწერა: „წმიდაო სამებაო, ადიდე შენ მიერ დამყარებული ბაგრატ მეფე აფხაზთა, ქართველთა..., რანთა და კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კუროპალატი.“ მეორე წარწერაშია მოხსენებული... „ჩურსიძე,“ ძველი გვარი (*V. arch.*, XII; 95).

ზ) ატენის სიონისა გორის მაზრაში. თუმცა ამ ტაძარს მიაწერენ ბაგრატ IV-ს (*V. arch., resumè*, p. 8); მაგრამ, როგორც ახლად აღმოჩენილმა მხატრობის ქვეშ მე-XI საუკუნეზე ადრინდელმა მხატრობამ და იმისმა წარწერამ დაგვარწმუნა, ის ბევრით ძველია მე-XI საუკუნეზე, თუმცა ჯერ-ჯერობით ვერ ვიტყვით, სახელდობრ რომელს საუკუნეს უნდა ეკუთნოდეს იგი. ბაგრატ IV-ს დროჲს ძველი წარწერა კი გარეშე კედელზე გვიამბობს, სხვათა შორის, რომ „ატენის ციხის-თავს მირიანის ყმას თარხუნის შვილს გურგენს აუშენებია ატენში დარბაზი და ქალაქი სალოცველად მეფეთ მეფის ბაგრატ სევასტოსისა და ძისა მათისა გიორგი კუროპალატისა.“ (*V. acrh.*, VI, 22-23.—ჩემი დღიური, № 1, გვ. 132).

ორგულნი წყალობითა და დაიმორჩილნა სრულიად; კვალად განდგა იოანე ლიპარიტის ძე; მიუხდა გიორგი მეფე მორთული მესხით და აღსართან მოიყვანა კახეთით. ვერ დაუდგა იოანე, ივლტოდა სომხითს; წარუღო ლორწობანი მეფემან აღსართანს; მერმე მოეყარა მეფე სამშვილდეს, მოიყვანა იოანე ჯავახეთს, აიყუცა ერთგულობასა ზედა, მისცა კვალად სამშვილდე და კლდე-კარი; შემდგომად კვალად განდგა იოანე, წარიღო გაგი და მიჰყიდა ფადლონ განძელსა. შე-

ც) ქართველების ჯვარის მონასტრისა იერუსალიმში. ეს მონასტერი აშენებულია ბაგრატ IV-ს და მის დედის მარიამ დედოფლის საფასით პროხორე ბერისაგან, როგორც ამას სხვათა შორის თვით იმისი აქამომდე დაცული წარწერა გვიმტკიცებს (მამ.-ცხ. შიო-მღვ., გვ. 116.—*Addit. à l' H. de la G.*, 1851 p. 201).

თ) მოწამეთა მონასტრის ჯვარისა. წარწერა: „ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველესიმოსი და შეიწყალე სოფრონ ერუშნელი ძე ქველისა“ (*V. arch.*, XI, p. 46.—ჩემი დღიური, № 1, გვ. 160).

*NB.* აქ უნდა მოვიხსენოთ წყაროს-თავის ეკლესია ჯავახეთში, კარწახისტბის მახლობლად, ვახუშტის შენიშვნით, „ტბის-მჭვრეტი, ფრიად დიდ-მშვენიერი გუმბათიანი ეკლესია“ (მისი გეოგრაფია, გვ. 96). ერთი ამ ეკლესიის წარწერა, რომელიც 1846 წ. გადმოიღო ხანიკოვს და გადაეცა ბროსსესათვის, უჩვენებს „მეფეთ-მეფეს ბაგრატ კუროპალატს“ (*V. arch.*, II Rap., 181). წყაროს-თავის ეკლესია მე ვნახე 1881 წელს; მაგრამ ეს წარწერა ვერ აღმოვაჩინე, თუმცა ყველა წარწერათა პალეოგრაფიული თვისება ბაგრატის დროს უჩვენებს. ერთი მათგანია: „ქრისტე, შეიწყალე გიორგი ეპისკოპოსი მოძღვარი და მაშენებელი ამის წმიდისა საყდრისა;“ მეორე: „ქრისტე შეიწყალე ცოდვანი სამთავნელ ეპისკოპოსი (სა);“ მესამე—ნალის მსგავს არშიაზე დიდრონის ასოებით: „ოდეს ესე წმიდაჲ საყდარი... ასაბამი იყო...“ ქორონიკონი მოვარდნილი აქვს (ჩემი დღიური, № 4, გვ., 181). თვით წყაროს-თავის ეკლესიის ძველი სახარება ინახება გელათის მონასტერში. ღირს-საცნობელი იმისი მინაწერი ამბობს: „ღირს ვიქმენ მე არა ღირსი და სულითა საწყალობელი იოანე საფარელ-მტბევარი და წმიდა ესე ოთხ-თავი დავაწერინე და მოვაჭედიე ყოვლად სრულებით, ფვალითა და მარგალიტითა, ხატითა და ზანდუკითა, კანონითა და ქრონიკონითა სრულითა და დავსდევ წყაროს-თავს ხატსა ღვთაებისა წინაშე, სადიდებელად და სალოცველად ღვთივ-გვირგვინოსანთა მეფეთა ჩვენთა თამარის და დავითისთვის...“ (ჩემი დღიური, № 1, გვ. 139). მეორე სახარება „დაწერილი წყაროს-თავის ღვთაების ეკლესიაში ხელითა საბასითა და შეკაზმული გიორგი აბაშიძის ბძანებით წინამძღვრის გიორგი ჟუთულაშვილისაგან“ იპოება უბისის ეკლესიაში იმერეთში (*V. arch.*, XII, 102).

უნდა მოვიხსენოთ აგრეთვე ორი შესანიშნავი გუჯარი ბაგრატ IV-ს დროისა. პირველი 1040 წლისა, რომელიც არის პირი, საქართველო-იმერეთის გუჯართ კრების წიგნში შეტანილი № 378 და რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით ჩართულია ქ.-ცხბაში (გვ. 221—222). ეს გუჯარი ანუ ბაგრატ კუროპალატის გაზდილის კათალიკოს-პატრიარხის მელქისედეკის მიერ შედგენილი სია ბერძენთ მეფეთ კოსტანტინესა და ვასილისაგან მოპოებულთა სამცხეთა სამკაულთა წარუდგენია მელქისედეკს დასამტკიცებელად ბაგრატისათვის და კახთა-მეფის კვირიკესათვის: „ღვთივ დიდებულნო, ძლიერო ბაგრატ აფხაზთა მეფეო და ნებითა ღვთისათა ყოვლისა აღმოსავლეთისა კუროპალატო და

მწჳომად მოვიდა სულტანი მელიქ-შაჰ[1] მტერად ყოველთა ქრისტიანეთა; მიეგე-ბა იოანე; მცირედისა შემდგომად გამოეპარა სულტანს და შევიდა სამშჳლდეს. მოადგა სულტანი, აღიღო, გამოიყვანა იოანე ცოლ-შვილით და აზნაურნი დედა-წულით ტყუე-ჰყვნა; მუნიდამ მოარბია ქართლი, უკუ-იქცა და აღიღო განძა[2] და დაადგო სარანგი[3] მუნ ორმოცდა რვა ათასითა კაცითა ბრძოლად ქვე-ყანათა ამათთვის; ხოლო ფადლონ პატიმარ-ჰყო და წარვიდა. გვალად შეკრბა სარანგი და მოჰმართა გიორგი მეფესა; ხოლო გიორგი ყოვლითა სპითა თვისითა მიეგება და მოირთო აღსართან კახთა მეფეცა, შეიბნნენ ფარცხისს, ძალითა ჯუარისათა ჰსძლო გიორგი მეფემან და მოსწყვიდნა სპანი სარანგისანი ურიცხვნი; გარნა ნეშტნი დაარჩინა სილამემან; შემდგომად წარუღო გიორგიმ ბერძენთა ანაკოფია[4], გვალად კლარჯეთი, შავშეთი, ჯავახეთი, არტანუჯი და

ძლიერო მეფეო კვირიკე, ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისათვის ხელითა თქვენითა დამიმტკიცეთ," და უმტკიცებენ კიდეც (ქ.-ცხბა., გვ. 221—222.—ჩ ე მ ი  დ ღ ი-უ რ ი, № 1, გვ. 295—296).

მეორე გუჯარი შეიცავს ოპიზის მონასტრისა და მიჯნაძორის მონასტრის სამა-მულო დავის განხილვასა ბაგრატ მეფისაგან. ოპიზის მონასტერზე ჩემი შენიშვნა ნახე ზემოდ გვ. 122, შენ. 1. თვით მიჯნაძორი უნდა იყოს, ჩემის მოაზრებით, ოპიზის მოსაზღვრე უდაბნო ბ ე რ თ ა, რომლის ფოტოგრაფიული სურათი გადმოღებულია ერმაკოვისაგან და რომლის ძველი სახარება მე ვნახე გელათის მონასტერში (ჩ ე მ ი  დ ღ ი უ რ ი, № 1, გვ. 140). საუბედოდ აქ ხსენებულს ტყავზე ნაწერს გუჯარს ანუ, თვით გუჯარის ხსენებით, სიგელს, რომელიც ახლა ხელში გვაქვს და გადაწერილია ხუცურის მსგავსის მხედრულის ხელით, თავი და ბოლო არა აქვს, მაგრამ იმისი შინა-არსი ჩვენ მეფეებს გვარამ მამფლიდამ დაწყებით ვიდრე ბაგრატ IV შვილამდე იმ რიგზე ჩამოსთვლის, რა რიგზედაც აღრიცხავს თვით ქ.-ცხბა: „და მოიხვნეს, ამბობს სი-გელი, მიჯნაძორელთა სიგელნი ერისთავთ ერისთავისა გურგენისა, მეფეთ მეფისა გურ-გენისა, პაპისა ჩემისა ბაგრატ კუროპალატისა და მამისა ჩემისა გიორგი მეფისა;"... და თვით „ოპიზართა მოიღეს სიგელი, დაწერილი გვარამ მამფლისა." „...და მეფობასა ჩემსა და ძესა ჩემსა გიორგი კურაპალატსა გვილოცვიდნენ." (ჩ ე მ ი  დ ღ ი უ რ ი, № 1, გვ. 162) ქ.-ცხბის ცნობით გვარამ მამფალი მოკვდა 833 წელს, ერისთავთ ერისთავი გურგენ—968 წელს, მეფეთ მეფე გურგენ—1008 წ., შვილი მისი ბაგრატ III—1014 წ., შვილი ამისი გიორგი—1027 წ. შვილი გიორგისა არის ჩვენი ბაგრატ IV და შვილი ამისია გიორგი II.

1. ამ მელიქ-შაჰზე, არპ-ასლანის ანუ ალპ-ასლანის შვილზე ნახე Lebeau, XV, 197—200. თვით არპ-ასლანზე, რომელიც, როგორც ქ.-ცხბა სამართლიანად იტყვის, მოიკლა იმავე 1072 წელს, როდესაც მიიცვალა თვით ბაგრატი, ნახე ზემოდ გვ. 160, შენ. 1 და *H. de la G.*, I, p. 336, n. 4.

2. გ ა ნ ძ ა ანუ სომხური გ ა ნ ძ ა გ ი, ალუანისა, ახლანდელი გ ა ნ ჯ ა. იყო კი-დევ განძაგი ადერბადაგანში: ეს არის ახლანდელი თავრიზი (Saint-Martin, *Mém. sur l' Arm.*, I, 150—151, 220).

3. ს ა რ ა ნ გ ი, *Chr. armén.*-ის ცნობით სრჰანგი ანუ სრჰაჰანგი, რომელზედაც არავითარი ფაკტი არა გვაქვს (*H. de la G.*, I, 343, n. 4).

4. ანაკოფია გადასცა ბერძნებს ბაგრატ IV ძმამ დიმიტრიმ. ამაზე ნახე ზემოდ გვ. 153—154 და შენ. 1.

აღიღოცა ქალაქი კარი[1], ვანანდი, ანი და იოტნა თურქნი მის ქვეყანისანი შეწევნითა ღვთისათა. შემდგომად კვალად მოვიდა სულტანი მელიქ-შაჰ, შემუსრა სამშვილდე, კვალად ტყუე-ჰყო იოანე ლიპარიტის ძე, მოაოხრა სომხითი და წარვიდა. ამასვე წელსა მოვიდა კვალად სარანგი ძალითა სულტანისათა და ჩამოდგა სამშვილდის კარს; მოუსდნენ სპანი გიორგი მეფისანი, ეკვეთნენ, აოტნეს სარანგი დიდითა ძლევითა და მოსწყვიდნეს სპანი მისნი. შემდგომად წარვიდა მეფე გიორგი ტაოდ, მუნ მოერთო გრიგოლი ბაკურისძე[2], რომელ:

1. კარი-ახლანდელი ყარსი, ძველი გარუცი, რომლის ისტორიული აღწერა ნახე S-Martin, *Mém.* I, 110—111; კარნუ-ქალაქი-სომხური კარნი, ბერძნების თეოდოსიოპოლისი (ზემოდ გვ. 133, შენ. 1), მუსულმანთ არზენ-ერრუმი ანუ არზრუმი. (*Mém.*, I, 66—67).

2. ეს გრიგორი ბაკურისძე დიდად განთქმული პირია როგორც ქართულ მწერლობაში, აგრეთვე ვიზანტიის ისტორიაში. გრიგორი იმ ქართველთაგანია, რომელთაც ვიზანტიის სამსახურში ეჭირათ მაღალი ადგილები. მოვიხსენოთ ვიზანტიელთ ცნობებით ზოგიერთნი მათგანნი: ა) ჯოჯიკი ანუ ციციკუსი, იბერიის პატრიკის თევდატის შვილი, 1016 წელს დოროსთელის პრეფექტად წოდებული; ბ) გიორგი და ვარაზ-ვაჩე იმავე თევდატის ძმის-წული, რომელნიც 1028 წ. იმპერატორის რომან არგირის მოწინააღმდეგეთ რიცხვში ერივნენ და კოსტანტინეპოლში საზოგადოდ დასჯილ იქმნენ, თუმცა იმათგანი ვარაზ-ვაჩე შემდეგ იყო პროტოსფათერი და გამგე ედესსისა და რომელმაც ამ ქალაქს 1038 წელს ააცილა უბედურება არაბების დასხმაში. სწერენ, ვითომც ზემოდ ხსენებულის თევდატისაგან იყოს აშენებული მონასტერი ათონის მთაზე. თუ ეს მართალია, ვიზანტიელებს თევდატად უნდა იგულისხმებოდეს თორნიკე, ერთი ივერიის მონასტრის აღმაშენებელთაგანი ათონის მთაზე; გ) აბუკაპი ანუ აპოკაპესი (ქართველების აბულარბი), უწინ ყოფილი დავით კუროპალატის კარვის მცველთაგანი, რომელმაც 1030 წელს რომან არგირს მის-წინააღმდეგი შეთქმულობა აუწყა; დ) ვასილი აბუკაპის შვილი, მანცკერტის მცველთაგანი 1054 წ., როდესაც მას თოგრილ-ბეგი დაეცა. იგივე ხმანებლობდა 1065 ვიზანტიის ჯარსა დუნაის მდინარეზე, სადაც ტყვედ დაჭერილ იქმნა, მაგრამ მ.ახერხა გამოქცევა და მოვიდა მამასთან, რომელიც ჯერ ცოცხალივე იყო; ე) ივანე შვილი დიდის ლიპარიტისა, მთავარ-მმართველი ჰაშტიანკისა და არშარუნიკისა ისააკ კომნენის დროს. ეს ივანე არ იყო ერთგული არც თავის ნამდვილის პატრონისა, არც ვიზანტიის იმპერატორისა, როგორც ბაგრატის ისტორიიდამაცა ჩანს; ვ) გრიგორი ბაკაურიანი ერთი ვიზანტიელთ მმართველთაგანი ანის ქალაქისა იმ დროს, როდესაც ანისს არპასლანი დაეცა (*Addit. à l' H. de la Gé.r.*, 1851, p. 219—220). ლებოს ცნობით, ეს ბაკურიანი სომეხთაგანი (?), პატარა ტანის კაცი, მაგრამ განვითარებული მხნე-მამაცი, დიდი დომესტიკი დასავლეთისა დიაღ საჩინო როლს თამაშობდა ალექსი კომნენის იმპერატორობაში (Lebeau, xv, 85—86, 205). ერთის ძეგლის-წერის მოხსენებაში მიცვალებულთ საქართველოს გამოჩენილთ მეფეთა და დიდ-პირთა გრიგორი წოდებულია „უოვგელთა ქართველთა ნათესავის მასპინძლად, სევასტოსად და მთელის დასავლეთის დემესტლიკოსად“ (ჩემი *Археол. путеш. по Гуріи и Адчарь*, 212—213). მოხსენებულია იგი აგრეთვე ძმითურთ აბაზით ათონის მონასტრის მანუსკრიპტის აღაპებში: „თვესა იანვარსა 25 აღაპი არს გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეთა. აღაპი ესე ყოვლის გულს-მოდგინებით გარდაიხდებოდეს მათისა მზე-გრძელობისათვის“. (ჩემი კრებ. დოკუმ., გვ. 288—289, 312).

სა აქუნდა ოლთისა და კარნუ-ქალაქი, მოსცა მეფესა კარი და მიმდგომი მისი და წარვიდა; მაშინ მეფემან დაუტევა კარს აზნაურნი შავშელნი და თვით წარმოვიდა. არამედ ამ ჟამად განძლიერდნენ თურქნი, რამეთუ დაუტევებდნენ ბერძენნი აღმოსავლეთისა და წარვიდოდნენ; ხოლო თურქნი დაიპყრობდნენ მათთა ნაქონებთა ქვეყანათა. ამათ იწყეს რბევად ქრისტიანეთა ცოდვათა ჩვენთათვის; გარნა განცემითა ქრისტიანეთაგანვე დაესხნენ მეფესა ყუელს მდგომს ახმადამირ სპითა თვისითა, რომელსა მას ჟამსა აელო კარიცა და აოტეს მეფე გიორგი და წარვიდა გზით აჭარისით აფხაზეთს; ხოლო თურქთა წარიღეს სიმდიდრე მეფისა უზომო სამსახურებელნი ბაგრატოვნულნი [1], გარნა უკუქცეულთა მათ ემთხვიათ სხვანი თურქნი, რომელნი მოვიდოდნენ საბერძნეთს სასყიდლით ისი და ბუყღოზ. ამათ რა იხილეს სიმდიდრე და ლტოლვა მეფისა, ჰრქუეს: „აჰა ქართლი უკაცური და სავსე ესე ვითარითა. რად მივალთ საბერძნეთს?“ და მსწრაფლ მოიქცნენ იგინი და მოვიდნენ წელსა 1080, ქართულსა 300, ივნისსა 24 და აღივსო ყოველი გიორგის. ამას დღეს დაწვეს ქუთათისი, არტანი, კლარჯეთის უდაბნონი, შუონიდიდი და ქართლი; არამედ დაჰყვეს ზამთარიცა, მოსწყვიდნეს ქვეყანა, მოჭამეს და წარვიდნენ. ესრედ იყო დიდი თურქობა და თუ ვინმე დაშთნენ კლდეთა, ქვაბთა, მთათა და სიმაგრეთა, იგინიცა მოსწყდნენ ზამთრისაგან; ხოლო განძლიერდა ჭირი ესე, რამეთუ ზაფხულსა მოიქციან და ეგრეთვე ჰყვიან; გატყუევდა ქვეყანა და არღარა იყო მუშაკობა, რამეთუ წმინდანი ეკლესიანიცა სახლად პირუტყვთა იქმნენ და არა სადა იყო ღონის-ძიება, ვინაჲდგან ბერძენთაცა მოჰკლებოდათ ძალი [2]; ამისთვის განიზრახა გიორგი მეფემან წარსვლა წინაშე სულტანისა, რათა დასდვას

1. სამსახურებელნი ბაგრატოვნულნი. არც ბროსსემ იცის, რა მნიშვნელობა აქვს ბაგრატოვნულს (*H. de la G.*, I, 346, n. 3), და არც ჩვენ შეგვხვედრია, გარეშე ქ.-ცხბისა, მისი განმარტება.

2. „ძალი ბერძენთა შემცირებულ იყო და რომელნი ქვეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღვასა გარეთ ყოველი თურქთა დაეპყრა“ (ქ-ც. 238). აი რა რიგად ჰხატავს საბერძნეთის შემცირებას სებასტიე ალექსი კომნენის სურათში: „კაი-ხანის წინათვე ბერძნების იმპერია, გარე-მოცული ყველა მხრით და ფრთაშეკვეცილი, უფრო და უფრო ილევოდა: ედესსა, იკონიუმი, ტარსი, ანტიოქია, ნიკეა, ბითინია, კაპპადოკია სრულებით დაკარგულნი იყვნენ კონსტანტინე დიდის მემკვიდრეთათვის. შემდეგ იმისა, როდესაც სელჯუკის დინასტიამ მოჰგლიჯა ვიზანტიას სირია და მცირე აზია, დამონავებულის თემების ბერძენნი, უკანასკნელს სიღარიბეში ჩაცვივნულნი, ამაოდღა შესცქეროდნენ ვიზანტიის მეფეებს, რომელთაც ყოველივე ძალა მილებული ჰქონდათ. თვით დანაშთენი იმპერია იმათი, შერყეული სღვთის-მეტყველო ბაასით, სასახლის განხეთქილებით და შინაგანის ბრძოლით, ცხადად ირღვეოდა. უსაზღვრო ვაება და დრტვინვა ქრისტიანეთა მტარვალთ უღელ-ქვეშ, შავ-ბედი მდგომარეობა იერუსალიმისა და შემაძრწუნებელი ღალადისი ქრისტეს მორწმუნეთა, რომელნიც წმინდა ადგილთ მიმოლოცვის შემდეგ მიივლტოდნენ ევროპაში, აღელვებდნენ და აშფოთებდნენ ევროპიელთ გონებას. ამ შემთხვევამ დაბადა იმათ შორის აზრი საზოგადო გამხედრებისა იერუსალიმის

სული თვისი ყრმისა თვისისათვის და მივიდა ისპაჰანად; ხოლო სულტანმან შეიტკბო და პატივი სცა დიდად, რამეთუ იყო სულტანი კაცი სიკეთით სრული და ყოველთა ზედა აქვნდა უბოროტობა: აღუსრულა მეფესა ყოველი სათხოველი, ათავისუფლა ქვეყნითურთ, მოსცა ჰერეთი და კახეთი და სპანი, რათა აღართვან ჰერ-კახნი, კვალად საბოძვარნი დიდნი და წარმოავლინა; არამედ ხარკი ითხოვა; მოვიდა მეფე სპითა სულტანისათა, მოადგა ვეჟინის ციხესა. მაშინ გარდამოდგომასა შინა მოვიდა თოვლი, მოაგონდა მეფესა ნადირობა აჯამეთისა, განუტევნა სპანი საბოძვრითა და მისცა იორის პირი სადგურად და თვით მოვიდა აჯამეთს. ამის მხილველი აღსართან წარვიდა მელიქ-შაჰისა წინაშე, დაუტევა ქრისტე და იქმნა სარკინოს, ამისთვის მოსცა მასვე კახეთი და ჰერეთი. ხოლო არავე დასცხრა რისხვა ღვთისა ცოდვათა ჩვენთათვის და დღესა აღდგომისასა ქსოდენ შეიძრა ქვეყანა, რამეთუ დაირღვნენ კლდენი, ქალაქნი, ციხენი, ნაშენებნი და მრავალნი მოსწყდნენ წელსა 1088, ქართულსა 308 [1], რათა არა იტყოდნენ, რამეთუ სოფლისა ქცევათა არს ოსრება და არა ცოდვათა ჩვენთათვის, რამეთუ განირყვნა ქვეყანა, არამედ იყო ესე ვითარი ძრვა ერთ წელ. შემდგომად მიიცვალა მეფე გიორგი წელსა 1089, ქართულსა 309.

---

გამოსახსნელად. აქედამ იწყობა საჯვაროსნო ლაშქრობა.“ (Sabatier, *Descr. génér. des monn. byzant.*, II, 183—184).

1. ამ მიწის-ძრვამ, ქ.-ცხბის თქმით, სხვათა შორის დაანგრია თმოგვის ციხე სამცხეში და ჩანთქა კახაბერი ნიანიას შვილი (ქ.-ცხ., 239).

# IV

## თ ა ვ ი   მ ე ს ა მ ე.

### მეფე დავით აღმაშენებელი (1089—1125).

დაჯდა ძე გიორგისა მეფედ წლისა 16[1]; არამედ იყო გიორგის ოხერ. თჳნიერ ციხეთაგან, მთათა და კლდეთა, არა იყო კაცი, რამეთუ წარჩინებულნიცა ჟამად-ჟამად იყვნეს წინაშე მეფისა; ხოლო სადგური იყო მეფისა წალკოლის თავი, არამედ სიმრავლე ნადირთა ქსენოდენი იყო, რამეთუ ოდესცა ენებს მეფესა მონადირება ნაჭარმაგევისა ანუ სხვათა, წარავლინიან მაფრინველ მხედარნი და შემდგომად თჳთ მონადირის; ხოლო გარდახდა რა წელიწადი ოთხი, მოკვდა სულტანი მელიქ-შაჰ[2]. კვალად იწყო ლიპარიტმა მამა-პაპურთა კვალთა სლვაჲ; შეიპყრა მეფემან, სწყართა და განუტევა, არამედ კვალად მიიქცა ძაღლი ნათხევარსა, ვინაჲდგან კუდიცა ძაღლისა არა განიმართების, ეგრეთ გული ბადუშთა მეფეთა ზედა[3]; ამისთვის კვალად შეიპყრა მეფემან; ამას შინა მოშენდა

1. „მეფე დავითმა 41 წელი იმეფა. რომელიც გამეფების წელი და აღსასრულის დღე წერილ არს, იმით 41 წელი მეფობა და სიცოცხლე 57 წელი იქნება; იანვრის დღე 24 დღე შაბათი ესე წელი იქნება, და უკეთუ 20 წლისა გამეფდა, 61 წელი სიცოცხლე იქნება; თვარა 61 წელი სიცოცხლე და 16 გამეფება, 36 მეფობა, 52 სიცოცხლე იქნება და არც 345 ქორონიკონი იანვრის 24 შაბათი არის.“ ვახუშტი.

2. მელიქ-შაჰ 541—1201 წელს მოწამლულ იქნა ბაღდადში სამარყანდის სულტანის ქალისაგან ანუ თვით მელიქ-შაჰის ცოლისაგან. მელიქ-შაჰმა დასტოვა ორი შვილი: ბარქიარუხი უფროსი, რომელიც მის მემკვიდრედ დაჯდა და თათარი. (*H. de la G.*, I, 352, n. 1. Brosset, *Collect. d'hist. armén. Tables chron. de Samouel d' Ani.*, II, 455).

3. ამ ლიპარიტის სურათი ნახე ქ.-ცხბაში, გვ. 241—242. აქ იგი წოდებულია ა მ ი რ ა დ. ამ სახელწოდებაზე ბროსსე აფუძნებს იმ აზრს, ვითომც ლიპარიტს მიეღოს მუსულმანობა. ეს აზრია წარმოთქმული თვით სამოელ ანელისაგან (*H. de la G.*, I, 352, n. 2). ეს შესაძლებელია, მაგრამ ჩვენის ფიქრით კი აქედამ ისა მტკიცდება, რომ ამირობა იმ დროს იხმარებოდა საქართველოში, როგორც შემდეგაც ვნახავთ. აქედამ წარმოსდგა ამირ-ახრობა ანუ ამილახრობა.—აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ქ.-ცხბა ლიპარიტის სახლს იხსენიებს ბ ა ღ ვ ი ვ ა შ ე ბ ა დ ანუ ბაღვაშებად: „და მოკვდა ძე ლიპარიტისა რატი, კაცი ორგული და ნამდვილვე ნაშობი იქედნესი და ესრედ დასრულდა სახლი ბაღვივაშთა (ქ.-ცხ. 241), თუმცა, როგორც ბროსსე შეჰნიშნავს, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ლიპარიტის გვარი სრულებით ამოწყვეტილიყოს (*H. de la G.*, I, 353, n. 2). ბაღვაშ ლიპარიტზე ნახე მანგლისის წარწერა ზემოდ, გვ. 148, შენ.

ქვეყანა და განამრავლა სპანი მეფემან და არღარა მისცა ხარკი სპარსთა, შემდგომად გამოვიდნენ ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი წელსა 1101, ქართულსა 321 [1], ამავე წელსა აღიღო ციხე ზედა-ზენი მეფემან კვირიკე მეფისაგან, არამედ იყო ესე კვირიკე ყოვლითა სიკეთითა სრული და ჭეშმარიტი ქრისტიანე. შემდგომად წელიწადისა მოიცვალა კვირიკე და დასვეს ძმის-წული მისი აღსართან, კაცი უმსგავსი და ცუნდრუკი; არამედ განიხილა მეფემან, რამეთუ საქმენი ღვთისანი ქვაბ ავაზაკთა ქმნილ-იყვნენ, მწყემსნი არა მწყემსნი, არამედ მგელნი, ამისთვის შეჰკრიბნა კათალიკოს-ეპისკოპოსნი და სამღვდელონი მამულისა თვისისანი და სხვა კერძონიცა; ჰქმნა კრება წელსა 1103, ქართულსა 323 [2] და თვითცა მუნ მჯდომი არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა

1. იერუსალიმი დაიპყრეს ჯერ თურქებმა ორთოკიდებმა 1082 წ. და ეს შემთხვევა იყო მიზეზად, რომ კლერმონტის კრებამ გადასწყვიტა გალაშქრება იერუსალიმზე: ევროპაში შესდგა ჯვაროსანი ჯარი, რომელიც შევიდა კონსტანტინეპოლში 1096 წელს. მომავალ წელს გოდფრუა ბუილონელმა ეს ჯარი მიაყენა ნიკეას და შემდეგ მის აღების მივიდა ანტიოქიაზე და დააფუძნა ედესსა საგრაფოდ; 1098 წ. ანტიოქიაში დაწესდა სამთავრო. 1099 წ. გოდფრუამ დაიჭირა იერუსალიმი და თვით იგი იერუსალიმის მეფედ დაჯდა, (*H. de la G.*, I, 352, n. 4.—Sabatier, *Descr. génér. des monn. bysant.*, II, 184—186.—*Chronique de Michel le Grand*, 295—311).

2. აქ ვახუშტი მოიხსენიებს იმ კრებას, რომელიც დავითის დროს მოხდა და რომელმაც, ქ.-ცხ-ის თქმით, „ძეგლი მშვენიერი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერა“ (ქ.-ცხ., 242). ეს ძეგლი უნახავს მცხეთის ბიბლიოთეკის ნომოკანონში ანუ სჯულის კანონში და შინაარსი მისი ჩაურთავს შემოკლებით რუსულად თავის წერილში პლ. იოსელიანს (*Кратк. исторiя груз. церкви*, 2 изд., 1843, стр. 73 და ჩ ე მ ი კ რ ე ბ. დ ო კ უ მ ე ნ ტ., გვ. 285—271). საუბედუროდ ნამდვილი ძეგლის-წერა ჩვენ თვითონ არ შეგვხვედრია, მაგრამ შემოგვაქვს აქ საბინინის „საქართველოს სამოთხიდამ,“ სადაც იგი მას სრულებით აქვს შეტანილი (გვ. 518—528), თუმცა ზოგიერთის შეცდომით. იქ, სადაც საჭიროდ ვხედავთ, საბინინის ცნობებს ვუთანასწორებთ იოსელიანის ფაქტებს.

სათაური კრების წეს-დებისა არის: „ძეგლის-წერა წმიდისა კრებისა, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილ-მსახურისა და ღვთივ-დაცულისა მეფისა ჩვენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა.“ რომელიც საზოგადო შესავალის შემდეგ გვიამბობს სახარების გავრცელებას ქვეყნის პირზე ქრისტეს მოციქულთაგან და ჩვენში ანდრიასაგან და წმ. ნინოსაგან. ძეგლის წერის თქმით, „ერთმა მოციქულთაგანმან პირველ-წოდებულმა ანდრიამ ვიდრე ჩვენამდე მოიწია და ქადაგა სახარება ყოველსა ქვეყანასა საქართველოსასა და ურიცხვნი სიმრავლენი ერთანი განაშორნა საცდურისაგან და ერთისა ღვთისა და ქრისტეს თაყვანის-ცემა ასწავა, დალათუ უმრავლესმან ერმან ქართლისამან სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგება იგი მოციქულისა და საცდურისავე მიმართ კერპთასა მიიქცა, ვიდრე ქადაგებამდმდე დიდისა მეფისა კონსტანტინესსა, რომელი იგი ქრისტიანე იქმნა მეფეთა შორის და თვით მოციქულ და ქადაგ. ამისა უკვე ჟამთა მომხედნა ჩვენცა აღმოსავალმან მაღლითა და დედაკაცისა გისმე მიერ ტყვექმნილისა, რომელსა იგი ნუნაჲ კაპპადოკიელად უწოდს წიგნი საეკლესიოთა მოთხრობათა და რომელმან სარწმუნოებისა მიერ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსება ქართველთა ნათესავისა ნიშებ-შემოსილითა სასწაულებითა და ქართველთა მეფემან მირიან მე-

მოსა: განამტკიცეს 12 კრებათა დამტკიცებული ჭეშმარიტი სარწმუნოებაჲ; ულირსნი განჰკვეთნეს ერთად, ხოლო ღირსნი საყდართა მამათასა დასხნეს. დროსა ამას, შეიპყრეს წარჩინებულთა ჰერ-კახთა აღსართან და მოსცეს მეფესა დავითს და დაიპყრნა ჰერ-კახნი მეფემან სრულიად; არამედ გულთამე არა ინებეს და მე-
ფეთა შორის დიდსა კონსტანტინეს მივლინებითა და მისგან გამოთხოვითა მეფობისა თვისისა. ქალაქად მცხეთად შთამოიყვანა ევსტათი დიდი საყდრის მპყრობელი ანტიოქელთა ეკლესიისა და წმიდათა მიერ ხელთა მისთა ნათელ-იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან და თვით პატრიარქთა შორის სახელ-განთქმულმან ევსტათი ხელითა თვისითა შთადვა საფუძველი მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისა."

შემდეგ ამისა ძეგლის-წერა გვამცნევს, რა მიზეზთა გამო და რა გვარი სჯულის-კანონნი დაამყარეს მსოფლიოთა და კერძოთა კრებათა და ამ საგანზე ამბობს: „ამისთვის იქმნეს ქრისტეს მოყვარეთა და ღვთივ დაცულთა მეფეთა მიერ ჟამად-ჟამადნი კრებანი ღვთივ-მოყვარეთა ეპისკოპოსთა და ღვთისა სათნო-მყოფელთა მამათანი, რათა საქმეთა მიერ განსრულებულითა სარწმუნოებითა შეაერთნეს ღმერთსა ქრისტიანენი, რომელთაცა შორის კეთილად ებაძვა ჩვენიცა ესე გვირგვინოსანი, მრჩობლ მარჯვენე და სასურველი დავით, რომელი ესე ერთბამად მხნეცა არს და ბრძენ, მართლ და წმიდა, მეუდრეკცა და მშვიდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძვირ-უხსენებელ და მიმსგავსებულ სახიერებისა ღვთისა. ესე ვინაჲდგან გარეშეთა ბრძოლათა შინა წინა-დაუდგრომელობით და გარეშისა საქმისა ქმნულებითა სხვათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ იყო, ამისთვის მან შემოკრიბა კრება ღვთის-მოყვარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღვდელთა და ღირსთა დიაკონთა, ქრისტეს მოყვარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა სანახებთა ქართლისათა მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა: რუისისა და ურბნისისა; გარნა არათუ უბიწოებისა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაჲმე შეეხებოდა, — ნუ იყოფინ ესე! არა ეცრუვნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩვენო მართლ-მადიდებლობაო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ გართ, მოწამე არს ჭეშმარიტება! არამედ სხვათა საეკლესიოთა და სამღვდელოთა და სხვათა ქრისტიანოთა ძიებათათვის, რომელთა თავ და წინამძღვარ კრებისა მის იყო იოანე ყოვლად ღირსი მთავარ-ეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოჲსა დიდი მამადმთავარი და მისთანა სიმრავლე ხსენებულთა მათი"... კრების განჩინებანი, რომელნიც შემოგვაქვს შემოკლებით, არიან:

„1. პირველად ეპისკოპოსნი არა ღირსებით შემოსილნი პატივსა მღვდელთ-მთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველისა მწყემსთ-მთავრისანი განვკვეთენით და უცხო ვყვენით მღვდელობისაგან, ხოლო არა კრულ-ვყვენით და არა შევაჩვენენით, ნუ იყოფინ, — არამედ ლიტონთა ერის-კაცთა-თანა ზიარებად ვყვენით...

„2. ამასთანავე განვაწესეთ, რათა ამიერიდგან არღარავინ იკადროს ქმნად, თვინიერ ვითარ იგი განაწესებს კანონი, რომელ ეპისკოპოსი 35 წლისა, მღვდელი 30-სა, დიაკონი 25-სა და წიგნის მკითხველი 8-სა წლისა ხელ-დასხმულ იქმნებოდიან...

„3. ხოლო წესი ხელ-დასხმადთა სრულებისა ეგრეთ აღესრულებოდეს, ვითარცა ახალთა შინა კურთხევათა ნეტარ-ხსენებულისა მამისა გიორგი მთაწმიდელისათა დაწერილ არს. ეგრეთვე კურთხევა ეკლესიისა, დამყარება საკურთხეველისა და წმიდა-ყოფა ღმერთ-მყოფელისა მირონისა, ეგრეთ სრულ იქმნებოდეს, ვითარცა მუნ შინა მოხსენებულ არს.

კრბნენ სულტანის სპითურთ და განძლდი ათაბაგისა თანა და სხვათაცა მწყე-ბითა უქმნეს წყობა ერწუხს მეფესა; გარნა მცირედითა სპითა მეფემან მო-სწყვიდა სიმრავლე მათი სიმხნე-გოლიათობითა თვისითა, რამეთუ ოდეს აღი-ხადა აბჯარი, ეგოდენ შეყინებულნი სისხლნი გამოსდნენ წიაღით მისით მისის ხრმლის ნაცემობისაგან ჩანაწვეთნი სხვისანი, რომელსა ჩვენ ვგონებდით მის-

„4. ხოლო ქრთამისათვის და საფასისა, რომელსა მიიღებენ ხელთ-დამსხმელნი ხელთ-დასხმადთაგან, წმიდათა მოციქულთა და მამათა მოცემისამებრ, განჩინებად ვიკა-დრეთ ჩვენცა, რათა მოისპოს ეგე ვითარი იგი ეკლესიისაგან და აღიხოცოს მღვდელო-ბისაგან, რომლისა ქმნა ნურღარამცა ვის უკადრებიეს და ნუმცა მიიღებენ ნუცა ქრთამსა, ნუცა ძღვენსა, ნუცა ევლოგიასა, ნუცა კათალიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონ-თა და მღვდელთა და ქორ-ეპისკოპოსთაგან; ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან, ნუცა რო-მელიმე სხვათა დასისაგანთა ანუ საეკლესიოთა მნათაგან

„5. მერმეცა სამღვდელოთა ჭურჭელთა და ღვთისა შეწირულთა სიწმიდეთათვის, რომელ არიან ბარძიმ-ფეშხუმი, სამწირობელნი და ყოველივე ეკლესიათა შეწირული და ერთ-გზის ღვთისადა მიცემული ოქრო, ვეცხლი, თვალი, მარგალიტი, ჭიქა, სტა-ვრა ნაქსოვი, სინი, რვალი, რკინა, ძელი, კეცი, ქვა. ამას განვაწესებთ შედეგითა წმიდა-თა კანონთათა, რათა არავის ხელეწიფოს ხმარებად მისა არა რად, არცა ტყვეთა სახსრად, დალათუ ცუდადცა და უხმარად მდებარე იყვნენ.

„6. ამასთან ესეც მოვიხსენეთ, ვითარმედ თვინიერ ეკლესიისა და საკურთხევლისა არცა ნათლის-ცემა შესაძლებელ არს, არცა გვირგვინისა კურთხევა, არცა მონაზონისა ეპისტოლითა (?) გინა სქემითა კურთხევა და არცა მონაზონსა ხუცესსა გვირგვინთა კუ-რთხევად ხელეწიფების, არცა ერისაგანსა მღვდელსა მონაზონისა კურთხევად.

7. კვალად ამასცა განვსაღმზვრებთ, რათა ამიერიდგან არღარა ეკურთხეოდიან გვი-რგვინი ჩჩვილთა ქალ-ყრმათა; არამედ უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს მშობელთა მიმართ დიდად, დაუწინდნენ იგი ურთიერთარს და რაჟამს ასაკად მოვიდნენ ორნივე, მაშინ იქორ-წინონ და ქალი ათორმეტისა წლისა უმცროსი ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუ-ღლისადა.

„8. კათალიკოსი, ეპისკოპოსი და ქორ-ეპისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნ-თა მეცნიერი გამოირჩეოდედ; მღვდელი ანუ დიაკონი შიშითა ღვთისათა ემცნებოდედ მას ფლობად და დაცვად ყოველთავე საქრისტიანოთა წესთა, რათა არა რა მათგანი განსცეს ქრთამისათვის, არცა რა განყიდოს ვეცხლად.

„9. შემდგომად ამათსა ამასაცა სათანადოდ ვგონებთ მოხსენებად, ვინაჲდგან მო-ძღვრად წოდებულთა მათ მონაზონთა ფრიადი და აღურაცხელი არს სიმრავლე და ერთ-სა მონასტერსა შინა რვანი და ათნი, მრავალ-გზის ოცნიცა და ოც-და-ათნი იპოვებიან; დიდი თუ იყოს მონასტერი და მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოი-ღებს სიმრავლე მათი, ამისთვის განვაჩინეთ, რათა დიდთა მონასტერთა შინა ორ-ორი, ხოლო მცირედთა თვითო კმა იყოს მოძღვარი.

„10. წესი იგი, რომელსა კრებულთა დასხმად უწესენ, ნუღარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერიდგან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნა სავაჭროთა ერის-კრებათა, ნუცა რა სხვა სამოქალაქო და სასოფლო წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა.

„11. ხოლო ერთსა საკურთხეველსა და მასვე ერთსა წინა დაგებასა ზედა წმიდი-სა შესაწირავისასა მრავალთა სულთათვის მრავალთა მღვდელთა მიერ ქმნა წმიდისა ჟა-

მღვდლობასა; მაშინ უმეტეს დაიპყრნა ჴერ-გასნი ნებიერად, არამედ დროთა ჟამთ შინა ტფილისი, რუსთავი, სომხითი, სამშვილდე და ყოველნი ჴვარნი ქვეყანათ თურქთა; ხოლო თრიალეთი აქვნდა ჭყონდიდელის დის-წულსა თევდორესა. გარნა მეფე რა გარდაიცვალა იმერეთს, უფროსი შიში აქვნდათ ცისოვანთა და მეფე იყო ათაბაგთა; შეკრბნენ გიორგი ჭყონდიდელისა თანა თევდო-

მის-წირვისა, წესი არს და განგებულ, რომელი ესე ნუცარამცა სადა ქმნილ არს, უფროსღა თავად საკურთხეველსა დიდისა ეკლესიისასა საეპისკოპოსოსა, გინა მონასტრისასა, ერთისა არავისთვის წეს არს ჟამის-წირვად არაოდეს, არცა ცოცხლისა, არცა მიცვალებულისათვის, თვინიერ აღაპთა და სულისა სახსენებელად განჩინებულთა დღეთასა; არამედ მის ეკლესიისა მაშენებელთა და შემომწირველთა და ერთბამად ყოველთა ქრისტიანეთა ცოცხალთა და მიცვალებულთათვის ჯერ-არს ჟამის-წირვა; ხოლო ერთისა კაცისათვის ანუ ერთისა სულისათვის ეგვტერთ სადმე შინა ანუ მიტოთა ეკლესიისათა ჯერ-არს ფვირთოეულისა ხუცესისაგან ჟამის-წირვა.

„12. რომელნიცა სომეხთაგანნი წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შეერთებოდიან... ესრეთ დაანგაწესეთ მათთვის, რათა ძლიერად ნათელ-სცემდენ, ვინადგან ჩუენთანაცა დიდთა ეკლესიათა ვპოვებთ მოქმედად ამისა, ვითარ იგი არს სამპატრიარქო სჯულდების ანტიოქიისა და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკლესიანი ყოვლისა აღმოსავლეთისანი.

„13. ჴვალად განვაწესეთ, რათა არცა მართალ-მადიდებელი მამა-კაცი მწვალებელსა, გინა წარმართსა დედა-კაცსა, ანუ დედა-კაცი მამა-კაცსა შეეუღლდნენ; ვინადგან ყოველნი მართლ-მადიდებელნი ტაძარ არნ ღვთისა; ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ანუ ყოვლად არა მადიდებელი ტაძარ არს ეშმაკისა.

„14. ვინადგან ესეცა უწესოება მრავალთა მიერ აღსრულებად გვესმა, უფროსღა დიდთა ერისთავთა და წარჩინებულთა და სხვა ლიტონთა კაცთაგან, რომელ არს არა ერთგან კურთხევა გვირგვინთა ქორწინებით ერთ-ხოლ ქმნაბლთა შეუღლეთა... რომლისათვის განვსაზღვრებთ, რომელნიცა მოაქამდე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასრულ არიან, იგინი შენდობილ არიან უმეცრებისათვის. ხოლო ამიერითგან სადმე იპოვნენ ვინმე ეგევითარნი, იგინი სჯულიერად ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხილ არიან...

„15. მერმეცა ღვთივ-მეგულებულსა მისსა ღვთის განმამწარებელისა ცოდვათა უშჯულოებისა საძაგელებისა სოდომელთასა, რომლისა არა გუწყით, თუ ვითარ შეეთვისა იგი უბადრუკსა ამას ნათესავსა ჩუენ სრულიად განაშორნა და უცხო ჰყვნა ღვთისაგან.. ყოველმან სულმან ქრისტიანემან მართლ-მადიდებელმან, რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა არა იქმნას განწმიდილ მის ცოდვისაგან, ნუ ჩვენგან ნულარა კურთხევა, არამედ კდემა და მწყრლება დაიმკვიდროს საუკუნოდ!..

ეს ძეგლის-წერა იოსელიანის თქმით დაწერილია (წყობ.-სიტყ. ანტონისა, 260, შენ.) და ხელ-მოწერილია დავით აღმაშენებლის მოძღვრის არსენი იყალთოელისაგან. ძეგლის ბოლოს არსენის ჩაურთავს შესხმა დავითისა და მოხსენება მართლ-მადიდებლის სარწმუნოებისა მოღვაწეთა საქართველოის მეფეთა და დიდებულთა, ცოცხალთა და მიცვალებულთა; ამ უკანასკნელთა შორის იხსენებიან: ევთიმე და გიორგი, დავით ტბელი, სტეფანე სანანოისძე, გრიგოლი სევასტოსი ბაკურიანისძე და სხვ.

რე აბულელი და იოანე ორბელი[1] და სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე და მერანა წელსა 1010, ქართულსა 330; მაშინ თურქთა დაუტევეს სხვანიცა ციხენი და ღამე ივლტოდნენ და წაიპყრნეს ჩვენთა იგინიცა. დროსა ამას ჩამოდგიან თურქნი მტკვრისა და იორის პირსა დიღმიდგან განძამდე დედა-წულითურთ (ვინაიდგან არს ადგილი იგი ზამთარ ბალახიან-ტყიანი და ნადირითა სავსე) განისვენებდნენ; ხოლო ზაფხულ არარატს და აბოცს იყვნიან. შემდგომად თრიალეთს მოვიდა თურქობა სულტანისა 200,000 სპანი წელსა 1115, ქართულსა 335. ესენი მეფემან ნაჭარმაგევს მდგომმან 1500 ტაძრეულითა[2] ძლითა მიუხდა და პირველსავე ბრძოლასა ივლტოდნენ თურქნი; არამედ მეფე და ერნი ურწმუნებელნი ლტოლვილსათვის ვერ სდევნიდეს დრომდე. სცნეს რა ჭეშმარიტი ეწივნეს, მოსრნეს, მოსწყვიდნეს უამრავნი და აღიღეს ალაფნი დიდნი. კვალად ჭყონდიდელმან გიორგი აღიღო რუსთავი, რომლისაგან ზავცემულ იყვნენ თურქნი; მაშინ მეფეცა მოიმსტრობდა თურქთა, ჩამომდგართა მტკვარსა და იორსა ზედა, დაესხმოდის და მოსრნის უმრავლესნი არა ერთგზის, არამედ მრავალ-გზის; მერმე ჩამოდგნენ თურქნი ტაოს მონდობილნი სიმაგრეთა ზამთართა და თოვლთა; ხოლო მეფემან, ქუთათისს მყოფმან, იხილნა სპანი თვისნი სიმარჯვესა და თვით შეკლო ჭოროხის პირნი, მოერთვნეს სპანი მისნიცა და დაესხა ტაოს თურქთა, მოსწყვიდნა დედა-წულითურთ, ვიდრე ბასიან-კარნიფორამდე, წარმოიღო ალაფი, რომლითა აღავსო ყოველი გიორგია წელსა 1116, ქართულსა 336, თებერვალსა. ამასვე წელსა შერთო ასული თვისი კატა ბერძენთა მეფესა; მეორე ასული თამარ შერთო შარვანსა (შარვან-შაჰსა)[3] (ამ დროს იყვნენ მთარგმნელნი: ეფრემ მცირე, თეოფილე, არსენი იყალთოელი და იოანე ტარიჭის ძე). კვალად დაიპყრა მეფემან ასამ გრიგოლის-ძე და მღთა წელსა 1117, ქართულსა 337; შემდგომად აღიღო გიში. კვალად წარგზავნა ძე თვისი დიმიტრი შარვანს, რომელმანცა ქმნა ბრძოლაი ძლიერი და აღიღო ქალაბორი და გამარჯვებული შემოიქცა მამისა თანა ალა-

1. ქ.-ცხბით „აბულეთი და იოანე ორბელი" (გვ. 214). აბულეთი არაბული აბუ-ლეჲსეთ (*H. de la G.*, I, 358, n. 2). ორბელი აქ პირველად იხსენიება. აბულეთზე და იოანე ორბელიანებზე ნახე სტეფანე სიუნელის *Histoire de la Siounie*, I, 216.

2. ტ ა ძ რ ე უ ლ ი ხშირად იხმარება ძველ მწერლობაში და უდრის სასახლის მსახურს, ანუ ხელის-უფალსა: „მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა" (ქ.-ცხბა, I, 245); „და მრავალი ტაძრეული აზნაური მოკლეს" (იქვე, 399); „დადგა აბდილს სპითა და ტაძრეულითა თვისითა" (ქ.-ცხბა II, 72).

3. ამ საგანზე ლებო გვარწმუნებს, რომ 1116 წელს აფხაზეთიდამ მიიყვანეს კონსტანტინეპოლს აფხაზთა მეფის ქალი შესართავად ნიკიფორე ბრიენის და ანნა კომნენის შვილის ალექსისას (Lebean, XV, 474). რაცა შეეხება თამარს, რომელიც მიეთხოვა შირვანის მფლობელს, ქ.-ცხბიდამ ჩანს, რომ ეს უკანასკნელი იწოდებოდა ალსართანად (გვ. 272) ანუ, დორნის გამოკვლევით, ახისტან შირვან-შაჰად (*H. de la G.*, I, 360, n. 1).

ფითა დიდითა. შემდგომად წარვიდა მეფე დანუსიდამ რახსის პირს, ზადიკი[1] გარდაიხადა ნახიდურს; არამედ მუნ მოართვეს ამბავი სიკვდილი ბეშქენ ჯაყელისა თრიალეთს შინა თურქთაგან; ამისთვის უშლიდნენ დიდებულნი წასვლასა. გარნა წარვიდა მეფე და დაესხა რახსის პირს თურქთა, მოსრნა სიმრავლენი მათნი და წარმოიღო ტყვე და ალაფი დიდი. შემდგომად აღიღო ცისე, ლორე და აგარანი, მერმე მოკვდა ძე მელიქ-შაჰის მელიქ-სულტანი და ალექსანდრე, მეფე ბერძენთა[2] და ვერა სცნეს ერთმანეთი წელსა 1118, ქართულსა 338. მაშინ განიხილა მეფემან, რამეთუ არა კმა-ეყოფის სპანი მისნი ყოვე-ოდენთა ციხეთა და ქვეყანათა დაპყრობად, განიზრახა გონიერებითა და წარვიდა ოვსეთად, რათა გამოიყვანოს სიმრავლე მათი, ვინაჲდგან მოეყვანა ასული ყივჩაყთა მეფისა ცოლად თვისად გურანდუხტ[3]) დედოფლად გიორგიისა (ყივჩაყი არს ყაზანი, ვითარ კასპიის ზღვამდე, სადაცა არს სვაჯა. ესე არს სვაჯა ქალაქი ყაზანს ზეით, ედილის კიდესა ზედა[4]). მისრულსა მოეგებნენ ყოველნი მეფენი ოვსთანი და აღიხვნა მძევალნი მათნი მეფემან და კარი დარიელისა და შეაერთნა ყივჩაყნი და ოვსნი, გამოიყვანა სიმრავლით[5] სიმამრი და ცოლის-ძმა თვისი, ქმნა გზაჲ მშვიდობისა; არამედ მოკვდა მუნ ყოფასა გიორგი ჭყონდიდელი, გამზრდელი მეფისა; იგლოვეს, ვიდრემდის იშვა კახტანგ და მით დაიხსნა გლოვა; ხოლო ყივჩაყთა დაუდგინა სპასალარნი მთავარნი დას-დასად და შეი-

1. ზატიკის განმარტება ნახე ზემოდ გვ. 70, შენ. 1.

2. ალექსი კომნენი, და არა ალექსანდრე, მოკვდა მართლადაც 15 აგვისტოს 1118 წელს. (Lebeau, XV, 476). თვით მელიქ-შაჰის შვილის თათარის სიკვდილს ვარდან დიდი და მათე ედესელი უჩვენებენ იმავე წელს (*H. de la G.*, I, 361, n. 3).

3. *Chr. arm.*-ის თქმით, „ქალი ათრაკისა (ქ. ცხ.-ით, ათრაქა) ყივჩაყთ ანუ ჰუნთა მფლობელისა." გურანდუხტის გარდა ჰყვანდა კიდევაც დავითს სხვა ცოლი თუ არა, ამაზე ქართული მწერლობა არას ამბობს; არას ამბობს აგრეთვე ვარდან დიდი; მაგრამ მათე ედესელი ყივჩაყის ქალზე ჩუმდება და ამტკიცებს, რომ დავითს ჰყვანდათ ცოლად სომხის ქალი, დიმიტრი I-ს დედა (*H. de la G.*, I, 362, n. 1).

4. სვაჯზს ანუ სვიაჯს და ყივჩაყებს შევხვდებით თამარ-დედოფლის ისტორიაშიაც. ყივჩაყებს ჰხადიან თათრებად ანუ ჰუნნებად; ამასთანავე გვარწმუნებენ, ვითომც ყივჩაყნივე იყვნენ კომანნი ანუ რუსულის მატიანის პოლოვცნი, რომელნიც ბინადრობდნენ ტანაისიდამ ანუ დონიდამ მოყოლებით ვიდრე კასპიის ზღვის ჩრდილო-კიდეებამდე. 1086 წელს ნაწილი მათგანი დასახლდა ვენგრიაში და 1410 წელს გაქრისტიანდა. (*Chronique de Michel le Grand*, 286—287 ლანგლუას შენიშვნებითურთ). კარამზინის თქმით, ყივჩაყებს ჰყვანდათ საკუთარი ხანი, ქ.-ცხ.-ით მეფე (*Addit. à l'H. de la Géor.* 1851, p. 290; ქ.-ცხ., გვ. 285) და თვით ყივჩაყის ტომი იყო დიდი და მეომარი ნათესავი: „უწყოდა (დავითმა) კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე და სიმხნე წყობათა შინა." (ქ.-ცხ. 246).

5. ქ.-ცხ.-ით, 40,000 სახლი (გვ. 247), მათე ედესელის ცნობით, 15,000 ყივჩაყი და 500 ალანი, გარდა ასიოდამდე ფრანგთა (Dulaurier, *Recueil des histor.*, I, 129).

მინებრიდნენ მრავალნი ქრისტიანედ; გარნა არა ცუდად დაშვრა, რამეთუ მათით მოსრნა სიმრავლე თურქთა; არამედ აქვნდა ჩვეულება მეფესა — გარდავიდის აფხა-ზეთის; ჩამოიტყუის თურქნი სადგურთა მათთა, უეცრად მოვიდის და მოსწყვი-დნის. დროსა ერთსა გარდავიდა მეფე ბეგუთს და მუნით ხობს; სცნეს თურქ-თა მეფის მოშორვება და ჩამოვიდნენ საზამთროსა მათსა ფებერვალსა 14; უცნაურად გარდმოფრინდა მეფე და დაესხა თურქთა. გარნა თუ ვინმე სცნეს შემსწრენი იგლტოდნენ; სხვანი ყოველნი მოსწყვიდნა და ტყვე-ჰყო წელსა 1120, ქართ. 340; ამასვე შირ-მარხვას აღიღო ქალაქი ყაბალა და მოვიდა ქართლსა სავსე ალაფითა; კვალად თვესა მაისსა მოსტყუენა შარვანი, ქურდევანი შემომტამდე და შემოიქცა ქართლს. დროსა ამასვე შეიბნენ შარვან-დარბანდელნი, მოკლეს ავრიდონ და მოსწყვიდნეს შარვანელნი; ხოლო ნოემბერს წარვიდა მეფე ამო-რანს, დაესხა თურქთა და მოსწყვიდნა ყოველნი; მგზავრად ჩამოვლო დაესხა თურქთა სევგელამენს და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა. ამასვე ზამთარს ჩავიდა მეფე ბიზანტიას, განაგო მუნ ჯურნი, შემცოდენი სტანჯნა და ერთგულთა პატივსცა. სცნეს თურქთა შორს ყოფა მეფისა, ჩამოვიდნენ მტკვარ-სა და იორსა ზედა; მაშინ გამოსთხარა მეფემან მათ ლიხი, რომელ თოვლი-სა სიმაღლე იყო სამი მხარი, დაესხა თურქთა, მოსწყვიდნა რომელ არღარა დაშთნენ მიმთხრობელნი ერთიცა და აღივსნეს ლაშქარნი ნატყუენავითა წელსა 1121, ქართულსა 341. კვალად გაზაფხულს, განდიდნა რა მდინარე, ნადინე-ბთა არღარა ეტყოდა, ჩამოდგნენ თურქნი ბარდას, გულდებით განცურა მეფე-მან ცხენს მტკვარი და დაესხა თურქთა, მოსრნა, მოსწყვიდნა ყოველნი, დაარბივა ბარდა, დაჰყო მუნ დღე ორი, რამეთუ თთვე იყო ივნისი, და მოვი-და შინ მძლეველი; ხოლო ამა ჭირთა შინა მყოფთა თურქთა განძელთა, ტფი-ლისელთა და ბარდელთა შეიღებნეს პირნი და სჳლნი, შეიმოსეს შავნი, წარვი-დნენ და უჩივლეს სულტანსა. ამისთვის სულტანმან მოაწვია არაბთა მეფე დუბ-ბეზ, და მან წარმოუვლინა მე თვისი მელიქი ყოველითა ძალითა თვისითა; ხო-ლო სულტანმან აჩინა სპასალარად ილღუზი მე არდუზისა, კაცი მრავალ-ღო-ნე; ამას უბოძა ყოველი თურქობა დამასკოსა, ალაფისა და სხვანი ყოველნი დიდ-მეძლიენი, ათაბაგი განჯისა და ნახჩევანისა ამირნი. ესენი შეკრბნენ და მოვიდნენ აგვისტოს 18, ვითარცა ქვიშანი ზღვისა თრიალეთს, მანგლისს, დიდ-გორის და გინინდა არა ეტყოდნენ ადგილებითა ამათ შინა; ხოლო მეფემან დავით განაწყო სპანი თვისნი უშიშრად, და ვითარ გონიერად და ჭირთა მეც-ნიერად ეწყო და ბრძნა ბრძოლასა, რამეთუ თვითვე სარკინოზნი [illegible] რომელ წმინდა მთავარ-მოწამე გიორგი იბრძოდა წინაშე სპათა მეფისათა, რო-მელი იხილეს ყოველთა განცხადებულად, ხოლო ლტოლვილნი ქვეყნითგან სხ-პრალთა და ტყეთაგან გამოჰყვანდათ სამ დღემდე; არამედ გახილვამცა ოდეს არაბთა სპარსთა მთავარნი, ხვენითა გლეხთა მოჰყვანდათ წინაშე დავით მეფისა; გარნა ალაფთა ურიცხველობასა ვდუმებ, გინამდგან გლეხნიცა თვინიერ ოქრო-

ჭეცხლისა არა რასაკვ აღიღებდენ, წელსა 1123, ქართულსა 343. შემდგომად აღიღო ქალაქი ტფილისი ოთხასთა წელთა სპარსთა ნაქონები და დაუმკვიდრა მეოხ თვისთა წელსა 1125, ქართულსა 345; ხოლო შემდგომად ამისა მეორესა წელსა მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვაშა, აღიღო შამახია და მოახსენა ეპისკ მეფისა: „შენ ტფილისა მეფე ხარ, არა წარმოგზავნე ძღვენი საკადრი, არა გამოხვედ ნახვად ჩემდა". მესწყლებმან მეფემან იხმო ჩვანი და წამსვე შემოკრიბნენ და იყო ყივჩაყი, თვისნიერ გაროგიელთა, 50,000 და წარემართა სულტანსა ზედა. ესმა რა სულტანსა მიმავლობა მეფისა და სპათა სიმრავლე, შეშინდა და მარიდა შამახიას, სადაც ცალ-კერძ ჩრდილით ქალაქსათა და ცალ-კერძ ხანდაკითა მოიცვა და დადგა შემოწყებული; მცნობი დავით კრძალოვან მივიდეს, არამედ დავიდა მასტან და შესწორა ღმერთის მადლობა და დადგრა მუნვე. ხოლო სულტანმან აწყარა მეგნისა მოსაკლემან სარდარი სულტანისის სიამაყითა, არამედ შეაჩვემა მოუმცნო დავითს, რათა მისცეს გზა და განუტეოს, რამეთუ შეშინდა ფრიად უსაზღვროებითა; ხოლო ამას

1. დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას შეეხებიან როგორათაც სომხის მატიანენი აგრეთვე მუსულმანთ მწერალნი. ეს ცნობები ნახე სხვათა შორის *Addit. à l'H. de la G.*, 1851, p., 228—234, 236—241 S.-Martin, *Mém.*, II, 231—237. აქ განსაკუთრებით ყურადღება მათე ურჰაელისა უნდა მივაქციოთ მათეუღდესელის ცნობებზე, რომელიც ცხოვრობდა XII საუკ. არის ავტორი „სომხეთის ისტორიისა" 952 წლიდამ 1132 წლამდე და დავითზე უფრო მეტს ფაქტებს გვაძლევს, ვიდრე სხვანი. შემოგვაქვს მისი ფაქტები *Addit.*-დამ და დიულორიეს თხზულებიდამ *Recueil des histor. des croisades.—Docum. armén.*, I. „წელსა 570 (19 თებერვ. 1121—18, თებერვ. 1122), ამბობს მათე, ემირი განძაგის მხარისა, სახელით გაზი, კაცი მასისხლე, ბოროტი და ავაზაკი, მოსაზღვრე ქართველთა და მტერ-ვერდომი იმათ მეფისა, 30000 თურქების ჯარით შევიდა საქართველოში და ზოგიერთის თემების (ქ.-ცხვით თრიალეთისა და იმის არე-მარისა) მცხოვრებნი დაატყვევა. სცნო თუ არა ეს დავითმა, იდუმალ გაგზავნა ქართული ჯარი, რომელმაც სრულებით ამოსწყვიტა 30,000 თურქნი, ტყვეჰყო იმათი ცოლ-შვილი და მრავალი ფარა ცხვრისა, რომელნიც საქართველოში შერეკა. თურქთა დაინგრეული ტაძ სადმელი, დაიყარეს თავზე მტვერი და თავ-პირდილითა, შავით მოსილთა მიმართეს განძაგში თავის სულტანს (მოჰამედს) ფადლარის შვილს მელიქს, რომელსაც თავისი უბედურება გოდებით შესჩივლეს. სხვანი კი გაემგზავრნენ გარმიანის (ბროსსეს აზრით კაპპადოკიის) ქვეყანაში არაბებთან, სადაც არუზის შვილს ემირს ილღაზის უამბეს ყოველი თავისი ფათ-გადასავალი. ილღაზიმ შემოიკრიბა დიდი ძალა და მოიწვია ყოველნი თურქნი ბერძნების ქვეყნებით ვიდრე აღმოსავლეთამდე და აგრეთვე გარმიანელნი. რიცხვი იმის ჯარისა იყო 150,000. ილღაზიმ მოიწვია სამხრეთის ქვეყნებიდამ თვით არაბთ მეფე სადაკა დუბაისის შვილი (დიულორიეს შენიშვნით, აბულ-ასაზ დუბაისი, შვილი სეიფ ედდაულა სადაკისა და არა სადაკი), რომელიც 10,000 წყობით მას მოეშველა... მელიქი, სულტანი განძაგისა 400,000 მხედრით შეიჭრა საქართველოში ქალაქის დვინისის (ტფილისის) მხრივ დიდგორის (დიდ-გორის) მთით. მეფე საქართველოსა დავითი, შვილი ბაგრატისა (?) გიორგის შვილისა 40,000 რჩეულის მეომარით მიეგება თურქთა: მას ჰყვანდა აგრეთვე 15,000 მამაცი მხედარი ყაზჩაყთ მეფისაგან წარმოგზავნილი, 5000 ალანნი (დიულორიეს აზრით ოსნი) და

ვე დღესა სულტანისა თანა მომავალი ათაბაგი რანისა სპითა მრავლითა ემოხვია სპათა მცირეთა მეფისათა, ჰბრძვეს და მოსწყვიდეს სპათა ჩვენთა 4,000 კაცნი; ხოლო ათაბაგი მლტოლვარე შეშინებული მივიდა წინაშე სულტანისა. მსილველი სულტანი ღამესა მას გაპარვით წარვიდა შეძრწუნებული სპარსეთად; ხოლო დავით ძლევა-შემოსილი უკ-მოიქცა, განისვენა მცირედ, შემდგომად კვალად წარვიდა შირვანს ივნისსა, აღიღო გულისტანი, სახლი შარვანისა და ალავსნა სპანი კეთილითა; სთველს გარდამოვიდა ბეგუთს და განაგნა მუნებურნი; მარტს წარმოვიდა და აღიღო ქალაქი დმანისი; აპრილს დაესხა ბაზურს (ქ-ცხით გვ. 251 შაბურანს), დარუბანდს და მოსწყვიდნა ქურდნი, ლეკნი და დარუბანდის ყივჩაყნი; აღიღო ციხე ღისანნი, ხოზაონდი და მიმდგომნი მისნი ქვეყანანი; მაისს აღიმსთო ვითარცა არწივმან, აღიღო ციხენი სომხითისანი გაგი, ტერნაკალი, გაგაზანი, ნორბედი, მანასგომი და ტალინჯაქარი; ივნისს წარვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანი ვიდრე სპერამდე და მოსრნა თურქობა, სადა ვინ ჰპოვნა და ტყვე ჰყვნა; მუნით ჩამოვლო ბუათ-ყური, დასწვა ოლთისი და მოვიდა თრიალეთს გამარჯვებული. მაშინ აგვისტოს 20 ბოყანოს მდგომს მეფეს მოერთვა ანისის ქალაქის მიცემა, მყის აწვივნა სპანი თვისნი და თვით წარემართა, რამეთუ მარადის 60,000 მხედარნი კარსა ზედა უდგიან; მისრულმან ანისს სამ დღე აღიღო ქალაქი, ციხე და დაბნები მისი უჭირვოდ, შეიპყრნა აღფასარიანნი და მოსწყვიდნა რომელთა ეკლესია ანისისა მიზგითად ექმნათ (რომელი აღეშენა

ასიოდე ფრანგნი. ბრძოლის დღე იყო 15 აგვისტო... ბრძოლა მოხდა ორ-მთას-შუა, —ბრძოლა ისეთი საზარელი, რომ მთანი იძროდნენ; მაგრამ უფალმა მოსცა შემწეობა ქართველებს და იმათმა გმირულმა მხნეობამ სრულებით სძლია თურქთა. სრვა იყო საშინელი: მძოვრთაგან გაივსნენ მდინარენი, ღელენი და მთანი წვერამდე, ასე რომ მთელი სივრცე მათმა გროვამ დაჰფარა. რიცხვი დახოცილთა თურქთა იყო 400,000; 30,000-იც ტყვედ წაყვანილნი; ცხენები და იარალი დახოცილთა მოეფინა დიდ-მანძილს მინდორს. რვა დღის განმავლობაში ყაფჩაყნი და ქართველნი სდევნიდნენ მტერსა ანის ქალაქის საზღვრამდე. სპარსეთის სულტანი მელიქი და ილგაზი ლაფ-დასხმულნი გაიქცნენ თავიანთ სამფლობელოებში. მათთა მრავალთა ჯართაგანი გადარჩა მხოლოდ ოცი-ათასამდე“ (აქ შენიშვნაში დიულორიე ამბობს, რომ მათესაგან ნაჩვენები რიცხვი მეომართა მეტად გაზვიადებული უნდა იყოსო და ამის საბუთად შემოაქვს მუსულმანთ მწერალთ თქმულება, რომელიც ქართველებისაგან, შემდეგ გამარჯვებისა, ტყვედ წაყვანილთ მუსულმანთ რიცხვს უჩვენებს მხოლოდ 4000-ს. (*Addit.*, 228-229.—*Recueil.*, 127—130).

ამავე ბრძოლას აგვიწერს გოთიე *Bella Antiochena*-ში. „ალგაზიმ შეჰყარა, ამბობს იგი, მრავალი ჯარი თურქომანთა და არაბთაგანი და გაილაშქრა იბერიის მეფეზე დავითზე. განზრახვა იმისი ის იყო, რომ დავითის ძალის შემუსრვით თავისი უფლება დაემყარებინა ანტიოქიაზე და იერუსალიმზე; მაგრამ იმ დღეს, როდესაც ალგაზი 600,000 მეომარით შედიოდა საქრისტიანო ქვეყანაში, დავითი მიდიელთა და ქრისტიანეთაგან შემდგარს 80,000 ჯარს რაზმებად აწყობდა ხშირის ტყით დაბურულს ორ მთას-შუა, სადაც მიელოდა მტერსა. მასუკან მან გაამხნევა თავისი ჯარი: „ან უნდა ამოვწყდეთო, ან ვძლიოთო“ და გასავალი ადგილები სრულებით დახშო და ამი-

ბერძენთ მეფის ასულს დედოფალს კატრონიკას და მუნვე დაფლულ იყო). შე-მოჰკრიბნა მეფემან კათალიკოს-ეპისკოპოსნი და განასხლა კურთხევით. მაშინ მეფემან უყივლა კატრონიკას საფლავსა: „გისაროდენ, დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან ეკლესია შენი აგარიანთაგან;“ ხოლო საფლავით ხმა იყო მან: „მადლობა ღმერთისა“ და განცვიფრდებოდნენ მსმენელნი, წელსა 1129, ქრონიკონსა 349 [1]. დაუტევნა ანისს აზნაურნი, წარმოიყვანა ბულასკარ 8 ძითა, სძლითა, მხევლებითა და ჩაგზავნა აფხაზეთს [2] და მეფე თვით მოვიდა ქართლს. შემდგომად წარვიდა მეფე შირვანს, აღიღო შამახია [3], ციხე ბიგრიტი და ყოველი შარ-

ფო ყოველივე ღონე ლტოლვისა მოსპო. დააყენა თუ არა თავს ორასი მხედარი ფრანგ-თაგანი, მტერი გამოჩნდა და ბრძოლა ასტყდა; ურწმუნონი იძლივნენ ფრანგთაგან, რომელთაც ამოსწყვიტეს 400,000 როგორც ადგილობრივ, ბრძოლის ველზე, აგრეთვე დევნის დროს, სამის დღის განმავლობაში. თვით ალგაზი დაიკოდა თავში და თუ გადარჩა, ისიც არაბთა მეფის დებეის მოწყალებით. ეს ბრძოლა მოხდა 1119 ანუ 1120 წელს“ (*Addit.*, 229, n. 4).

1. „იმავე წელს, მათეს თქმით, დავით მეფემ ჩამოართო ტფილისი სპარსებს და მრავალი მათგანი ამოსწყვიტა“ (*Addit.*, 230). ტფილისის აღებაზე მუსულმანების ნაამბი ნახე იქვე, გვ. 240—241. დიულორიე თავის შენიშვნაში სხვა და სხვა განსხვავებას უჩვენებს მუსულმანებისას იმაზე თუ როდის მოხდა ტფილისის დაჭერა.

მათეს თქმით, „572—1123 წ. დავითმა ამოსწყვიტა 60,000 სპარსნი. მიზეზი იყო შემდეგი: განძაგის სულტანი დიდის ჯარით მოადგა მტკვარს, გასდო აქ ხის ხიდი და გავიდა რა 60,000 მეომარით, მიჰმართა აფხაზეთის ქვეყანას. დავითმა ააშლე-ვინა ხიდი და შემდეგ მტერი მთლად ამოჟლიტა. სულტანი გაიქცა სპარსეთის ქალაქში (ოზგანში), თავის მამის ძმასთან. დავითი იყო გმირი კაცი. მან მრავალჯერ სძლიხ სპარსებს და სრულებით დაამხო მათი ძალა, თავის ხმლით და ძლიერის მკლავით მიუხვნა მშვენიერი თემები და ქალაქები: ტფილისი, დმანისი, შირვანი, შაქი, შამხორი და სხვა ადგილები (*Addit.*, 230.—*Recueil.*, I, 136—137).

„573—1124 წ. დავითმა ახლად ამოჰხოცა 20,000 სპარსი და დაიჭირა ქალაქი ანი, სადაც დაატყვევა მანუჩეს შვილები („ემირი ანისა ბენი-შედდადის ქურთის გვარის რე-ვადისა),“ და მოიყვანა ტფილისში. ასე განთავისუფლდა, თითქმის სამოცის წლის მო-ნებისაგან ეს სამეფო ქალაქი, სადაც ურწმუნოთაგან მეჩითად გადაქცეულის ბრწყინვალი-სა და გრცელის საკაფედრო ტაძრის ზღუდეში შემოკრბნენ, დავითის მეცადინეობით, ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მონაზონნი სომხეთისანი, რომელთაც აკურთხეს იგი დიდის დიდებით. ეს დღე ჩვენის ნათესავისათვის იყო დღე ბედნიერებისა, რადგანაც წმინდა ტაძარი მტარვალთა მფლობელობისაგან განთავისუფლებულ იქნა“ (*Addit.*, 230—231.—*Recueil.*, 140—141). ვარდან დიდის თქმით დავითმა ანი მიანდო აბულეთს და მის შვილს ივანეს ორბელიანთა (*Addit.*, 232.—*Recueil.*, 141, n. 1).

ნახე კიდევ მათესაგან მოხსენებული 574—1125 წ. დავითის მიერ დამარცხება სპარსე-თის მხედართ-მთავრის სოლომანის შვილის იბრაჰიმისა და სხვათა ამირთა. *Addit.*, 231.

2. ბულასგარ ანუ უკეთ აბულ-სელვარ შარვან-შაჰ ეს არის, როგორც ამტკი-ცებენ, წინაპარი შარვაშიძეების გვარისა (Brosset, *Collect.*, II, 460—461.—*Voyage arch.*, VIII, 125). პირველი შარვაშიძეთაგანი, ჩვენს ისტორიაში თამარ-დედო-ფლის დროს მოხსენებული, არის დოთაღო (ქ.-ცხ., 283).

3. აპრილსა დაესხნეს შაბურანს დარუბანდელსა (ქ.-ცხ., 251); აღი-

ვანი და დაუტევა მუნ ჭურ-ვასნი, უჩინა ზედა-მხედველად მწიგნობართ-უხუცესი სვიმონ ჭყონდიდელი, დაამშვიდნა ქურდნი, ლეკნი, თავრისნი და მოვიდა ქართლს; მაშინ უჩინა ყივჩაყთა საზამთრო ადგილი და დასხნა იგინი; ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულიად ოხერ; ამან განაახლა და აღაშენა, რომელ არარა ექმნოდა, რამეთუ იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვით მსახური, ეკლესიათა, ქსენონთა[1] მაშენებელი, სამღვდელოთა მპატივცემელი, წერილთა სამღთოთა მოყვარე, რამეთუ ზედვიდა მისთანა ჯორ-აქლემთა უათარნი და მკითხველი მარადის ნადირობა-ლაშქრობასა შინა; არამედ არს ჟამი იყვის მისდის წიგნი, თვით შეიტკბის და აღასრულის სწავლები, რამეთუ წელსა ერთსა, თვინიერ სხვათა წერილთა, სამოციქულო 24-ჯზის წაიკითხა; გარნა ვსთქვათ ერთი: არღარა ხედვიდა ტფილისი ჯერეთ, აგრეთვე დაუტევა სამასნი და წარიყვანა 12 მხედარნი მოახლოვად ტფილისისა; ხოლო მხედარნი წარავლინნა წარმოდგენად მროწლეთა[2] ტფილისელთა და თვით იკითხვიდა ღვთის-მეტყველსა, რომელ მხედართა აღმასრულებელთა მოვიდნენ ასნი ტფილისელნი და დაუსხდნენ ცხენნი და ფიცხლად ებრძოდნენ მხედარნი; ხოლო მეფესა შემქცევსა წიგნისასა ესმა ხმა ზახილისა; შეჰკრა წიგნი და წარადგა მხედართა ფიცხლად მბრძოლთა, მიეტევა და მოსრნა, რომელ აღხსნა 12 ცხენთა ზედა, შეუდგომად წარიქცივნა და მიჰყვნენ კარამდე ქალაქისა. იხილე, რამეთუ მაშინდელმან ხრმალმან დავითისმან სიღვლარეხიდთ ურვეჯყოფ ქარქაშია; აქა სიმხნე! ხოლო ნიჭი ღვთისა მის ზედა, რამეთუ ძალნის, კეთილნი თუ ბოროტნი ჰსთქვიან ქმნათა მეორის მისისა, ანუ სამღვდელოთა წესთა უწესოებასა. გვალად დროისა რომელსამე იხილა სომხეთა შეურაცხება სარწმუნოებისა ქართველთა თანა და შეკრიბნეს კათალიკოსი ქართლისა იოანე, ეპისკოპოსნი და მეუდაბნოენი და სომეხნი ყოვლითა თვისითა და იყო ზრახვა ვიდრე მეცხრესა ჟამადმდე, რამეთუ შეუძლიან მოუძლეებს და ძნიად გამოვიდიან. იხილა ესე მეფემან და იწყო ზრახვად მათდა და დაუყვნა ბრძნად, რამეთუ ეგრეთვე მოუდნენ: „მოეზავეთ ეგრეთვე თქვენსა ამათ თანა შეწევნ-

ლაშქრობა: ყ ო ვ ე ლ ი შ ა რ ვ ა ნ ი (252): ამ დროს არის, როგორც ფიქრობენ, დერბენტიდამ წამოღებული რკინის კარი, რომელიც ახლა გელათის მონასტერში ინახება; მაგრამ ეს აზრი უსაფუძვლო აზრია: თვით წარწერა კარისა ამტკიცებს და სომხის მწერალი კირაკოზი ჰმოწმობს, რომ ხსენებული კარი გამოტანილია დავითის შვილის დიმიტრისაგან 1139 წელს განძაკიდამ ანუ განჯიდამ (H. de l'Un. G., 238, n. 3.— Vi. arch., XI, 40—41).

1. „ქ ს ე ნ ო ნ ი — სასნეულო სახლი“ [illegible]. ამ აზრითვე არის ხმარებული ეს ლექსი ქ.-ცხოვრებაში (გვ. 104, 106, 244).

2. მ რ ო წ ლ ე — ნახირი. „სამროწლად მიეცით“ ზახარია, დაბ., 18: 6, 26: 14; „მროწყალი ზროხათა“, სჯულთა, 28: 18; „ქვეყანა მროწლოვანის“, იქვე, 8: 8.

ობასა, გარნა ვცანით, რამეთუ შენ ხარ მოძღვარი ამათი“ [1], რომელი განადიდა ღმერთმან ესრეძ, რამეთუ სულტანი შიშით ძღვენსა უგზავნიდა მშვიდობისათვის; კეისარი მეგობრობდა სათნოდ; არაბნი ჰხადოდნენ მეოტად; ისმაიტელნი იავარად; სპარსნი მტვერად; ხელმწიფენი მონად ჰყვნა; განავსნა ქვეყანა და განამდიდრნა ეკლესიანი, არა გარნა თვისნი ეკლესიანი, არამედ საბერძნეთისაცა ეკლესიანი და მონასტერნი მრავალნი დაიხსნა და განაშვენნა [2]. ხოლო არიანცა რომელნი აზრალებენ მეფესა განუსვენებლობასა სპათასა და ამაღლებასა უაზნოთა.

1. ამ კრებაზე სხვა წყარონი, ქართული და სომხური, ფაქტს არ გვაძლევენ; მაგრამ კი უნდა შევნიშნოთ, რომ დავითი პატივით ეპყრობოდა როგორც ეროვნობას სომხისას, აგრეთვე მის სარწმუნოებას მაშინ, როდესაც წინააღმდეგს ვპოულობთ ქართულ მწერლობაში სომხობაზე და სომხურ მწერლობაში ქართველობაზე. ეს თვისება დავითს ამკობს სამაგალითო ღირსებით, ამისთვისაც სომხის მატიანე აღტაცებით და დიდის მოწიწებით იხსენიებს დავითს. მათე ედესელი ამბობს: „დავითი იყო წმინდა, კეთილ-მსახური, სავსე ქველ-მოქმედებით და მართლ-მსაჯული. დავითის გარეშემო იკრიფებოდა დანაშთენი სომეხთ ნათესავი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი კორა (გორი), სადაც მრავალი ეკლესია და მონასტერი ააშენა; მიაგო ჩვენ ნათესავს ყოველ-გვარი ნუგეშის-ცემა და შვება. დავითს ჰყვანდა კანონიერი შვილი ტემედრე (დიმიტრი), სომხის ქალისაგან ნაშობი და ძმა თოთორმე“ (*Récueil.*, p. 137). ქარ.-ცხ., არც თოთორმეზე, არც სომხის ცოლზე, არც ცვატაზე სრულებით არას ამბობს, თუმცა ამ უკანასკნელს იხსენიებს დავითის „ანდერძის წერილი“ (*Addit.*, 230, n. 6). გარდან დიდი სწერს: „დავითს არავითარი სიძულილი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა; იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენ ხელ-ქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას“ (*Addit.*, 233). თვით მუსულმანთ მწერალი ალ-აინი ამ გვარად გვიხატავს დავითის სურათს: „დავითს მოსთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტიანეთ არა ჰქონიყოთ უფლება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალა ურწმუნოთათვის მათი შეურაცხყოფა; დავითმა მათ ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავის შვილით დიმიტრითურთ ყოველ დღე შედიოდა უმთავრეს მეჩითში; ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მოაძინებს; მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები და სადგომი სახლები მოქადაგეთა, სუფიებთა და პოეტთათვის, რომელთაც ულუფასაც უნიშნავდა. თუ ვინმე მათგანი ისურვებდა ტფილისის დატევებას, გულ-სავსებით ხელს-უპყრობდა მათ და მგზავრობის ღონის-ძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტ პატივსა სცემდა მუსულმანთა, ვიდრე თვით მთავარნი მუსულმანთაგანნი (*Addit.*, p. 241).

2. ქ-ცხით, „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისისა ოდენ სამეფოსანი, არამედ საბერძნეთისანიცა, მთა-წმიდისა და ბორღალეთისა (ბულღარიისა), მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა და შავის-მთისა და პალესტინისანი აღავსნა კეთილითა; უფროსღა საფლავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალიმსა“ (ქ-ცხ., 256). ამ საგანზე ნამდვილი ცნობები არა გვაქვს რა ჯერ შეკრებილი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დავით აღმაშენებლის მატიანე, ქ-ცხბაში ჩართული, არის მის თანა-მედროვესაგან შედგენილი და ამის გამო იმისი თქმულება ამ საგნის შესახებ შესაწყნარებელ ფაქტად მიგვაჩნია, მეტადრე როდესაც გხედავთ, რომ იმას სხვა უმთავრეს ფაქტებშიაც სრულებით ეთანხმებიან უცხო-ტომთ მემატიანენი.

სა და დამდაბლებასა გვართნთასა; არამედ ყოვნადვე ნათესავნი ქართველნი ორ-გულ ბუნება არიან პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ ოდეს განდიდნიან, განსუქდიან და განისუენიან, იწყებენ განზრახვასა ბოროტსა, ვითარცა მოგვითხრობს მატიანე ქართლისა ძველი და ახალი [1]; ამისთვისცა მეფე დავით არა სცემდა სპათა თვისთა განსვენებასა; ხოლო დამდაბლება-ამაღლებისათვის არა უწყი, უგუნურო! რამეთუ ღმერთიცა სათნოთა თვისთა მისცემს სუფევასა, ხოლო ურჩთა კორკოხეთისა და უკეთუ ამასცა ჰკრეთ არა ექმნა, რომელ-სა არა ჰყვა სპაჲ, თვინიერ მცირედი გუნდი აფხაზთა და იგინიცა ფრიად მოუძლურებულნი უცხო-უსაკჳრველონი და ფრიად მოშიშარნი თურქთა წყო-ბისანი, ვითა განემართა მოუძლურებული ქვეყანა და განემსნა სპანი თვისნი? ამისთვის დაიყავ პირი, ვითარცა ღმერთსა ზედაცა ბოროტ მზრახველთა. არა-მედ მეფესა ამასა ენება გაზაფხულს უდიდესი ლაშქრობა, გარნა მას ზედაცა მოიწია ბუნებისა იგი ვალი, რამეთუ რაოდენთა ბრძოლათა განსაცდელთა და ჭირთა და ღუაწლთა ყოვლისათაგან და სხვათა მიერ განერა, ვითარცა ოდეს მე-ხრანს ნადირობასა შინა იყო მის ზედა მორბედსა ცხენი დაეცა, სამ დღე უსულ-თქმო იდვა, ვიდრე არა წარმოანთხია სისხლნი შეყინებულნი ნაკვეთ-ნაკვეთნი და განერა მისგან. კვალად ციხისა რომლისამე მომდგარი იდგა პერანგით წი-ნაშე კარვისა და სტყორცეს ისარი ციხიდამ, რომელი განკვეთით მოხვდა ხატ-სა ყელსა ზედა მკიდარესა მისსა და განერა უვნებლად მადლითა ღმრთისათა ყოვლისავე ძლიერთა და უძლეველთა სხვათა; ხოლო აწ გარდაიცვალა დასა-ბამითგან 5079, ბერძენთა 6638, წელსა 1130 [2], ქორონიკონსა 350, იანვარსა 24, ინდიკტიონსა 8, დღესა შაბათსა და იხარებს აწ წინაშე წმინდისა სამებისა.

1. ვ ი თ ა რ ც ა მ ო გ ვ ი თ ხ რ ო ბ ს ძ ვ ე ლ ი მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა და ს ა ქ-მ ე ნ ი ა წ ხ ი ლ უ ლ ნ ი (ქ-ცხ., 260). ამ დროს და წინათაც, როგორც სხვა წყაროები ნამდვილად გვარწმუნებენ, „ძველი მატიანე ქართლისა" იწოდებოდა ისე, როგორც თვით ახლა იწოდება, ესე იგი ქ ა რ თ ლ ი ს-ც ხ ო ვ რ ე ბ ა დ. ამ საგანზე ნახე *Chron. arm. Addit*-ში, p. 51.—Stép. Orbél, *H. de la Siounie*, I, 212. ჩემი სტატია ი ვ ე-რ ი ა შ ი, 1884, №№ VII და VIII, გვ. 71—72.

აქ ისიც უნდა დავურთოთ, რომ, როგორც დავითის მემატიანე გვამცნევს, იმის დროს საქართველოში ყოფილა გავრცელებული სწავლა და მწიგნობრობა და თარგმანნი მრავალნი, რომელთაგანი ზოგნი ან სრულებით დაკარგულნი არიან, ან ჯერ არ არიან აღმოჩენილნი. ვარდან დიდის თქმით, „დავით ჰზრუნავდა ქართველთ სწავლაზე და ამ განზრახვით ჰმოარჩია მან ორმოცი ყმაწვილი, რომელიც გაგზავნა საბერძნეთში ენების შესასწავლებლად და წიგნების სათარგმნელად და მათ კიდეც დააკმაყოფილეს ეს მზრუნველობა. მომეტებულად განვითარდნენ იმათ შორის ნიჭიერებით სამნი, რომელთაც გაწვრთნეს უმეცარი თავისი ნათესავი" (*Addit.*, p. 233.—Варданъ Великій, *Всеобщая исторія*, стр. 147).

2. ამ წელს, როგორც დავითის სიკვდილის წელს, უარ-ჰყოფს ბროსსე და რომ დავით გარდაცვლილა 1125 წ., ამას იგი ამყარებს როგორც ქ-ცხ.ზე, აგრეთვე მათე ედესელის მატიანეზე, რომელნიც აქ ერთი მეორეს ეთანხმებიან (*Addit.*, 235—236).

საკმაოდ კრიტიკული განხილვა დავითის დროის ისტორიული ფაქტებისა ნახე

## მეფე დიმიტრი I (1125—1154).

მეფე იქმნა მის წილ ძე მისი დიმიტრი და ამასვე წელსა მოადგა დიმიტრი მეფე დმანისს და აღიღო იგი ციხითურთ და მოსტყუენნა ყარასუნდუ-

Saint-Martin, *Mém.*, II, 231—237 და Brosset, *H. de la Géor.* — *Introd.*, LXII—LXV.

ვაბოლოებთ შენიშვნებს დავითზე იმის „ანდერძით", რომლის შემოტანას აქ ვპოებთ საჭიროდ: „გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთ მეფე დავით დღეთა შინა სიკვდილისა ჩვენ მიერ უნდოსა და ულირსისა მლოცველისა ბერისა პირითა თქვენ დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოსა მისისათა: კათალიკოსსა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა... მრავალნი წყალობანი ჰყვნა ღმერთმან ჩემზედა სოფელსა ამას შინა, რამეთუ მომცა პირველ შვილი ესე ჩემი დიმიტრი სიბრძნითა და ახოვნებითა და სიმხნითა უმჯობესი ჩემსა... ვინადგან მართლ-მსაჯულებამან ღვთისამან განმხჭო და მიწოდა მე და უბოძა მაგას მეფობა, მამული და ახლად მოგებული ღვაწლითა ჩემითა და თქვენითა ნიკოფსიიდამ დარუბანდის ზღვადმდე და ოვსეთიდამ სოვრადმდე და არგათადმდე (?) და მივანდევ შვილნი და დედოფალიცა, შეამდგომელობითა ღვთისათა, რათა ძმა თვისი ცვატა აღზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და კარგ იყოს, შემდგომად მისა მეფე ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა პატივ-ჰსცეს, ვითარ შვილთა ჩემთა საყვარელთა. ამას ყოველთასა წარუძღვანე წმიდა ძელი ცხოვრებისა და მივეც დროშა ჩემი სვიანი და აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზემონი და ქვემონი; ხოლო დრაჰკანნი კოსტანტინესნი ცვატას, ხოლო ჩემნი ალალნი? (ლალნი) და თვალ-მარგალიტნი ხახულისა ღვთის-მშობლისად შემიწირავს; ხოლო დუკატი და ბოტინატი ატენისა საჭურჭლისა იგიცა ჩემისა სისხლითა მოპოებული და თუ ელეოდეს (?) ვითარ მეფე დიმიტრი (?), ყოველი მისცეს მოძღვარსა ჩემსა... ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყვა მისთვისცა ტკივილი სამარადისო. აწ შვილმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოვლითურთ და ადგილნი, რომელნი მიშოვნია, უმკვიდრონი და უმამულონი, მათგანიცა, ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოსმან გამოარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წერილისათა და სიგელითა განასრულოს ყოვლითურთ უნაკლულოდ." (საქართვ. სამოთხე., 512—519).

ვარდან დიდის თქმით, დავით მიიცვალა ტფილისში და დასაფლავებულ იქნა საძვალესა მამა-პაპათა მისთასა გელათს (*Всеобщ. исторія*, стр. 47). ბროსე ფიქრობს, რადგანაც გელათი თვით დავით აღმაშენებელისაგან არისო აშენებული (ქ.ცხ., გვ. 243), არ არისო შესაწყნარებელი ვარდანის თქმულება, ვითომც რომელიმე დავითის წინა-პართაგანი იყოსო დამარხული გელათში (*Add.*, 233, n. 1). დიუბუა დე-მონპერე ამტკიცებს, ვითომც გელათი დავითს მხოლოდ გაეახლებინოს (*Voyage autour du Caucase*, II, 181—182). მართალია ეს თუ არა, არ ვიცით; დასამტკიცებლად კი „ანდერძის" თქმისა, რომ დავითს ვერ შეუსრულებია გელათი, საკმაოა, ჩვენის ფიქრით, ის ფაქტი, რომ დავითი დასაფლავებულია არა თვით ეკლესიაში, არამედ ეკლესიის გარეთ (Brosset, *V. arch.*, XI, 39). ცვატა ჩვენის მოაზრებით უნდა იყოს თვით ვახტანგი მეტ-სახელით წოდებული. თუ ვახტანგ იშვა 1122 წ., როგორც ეს საქმის გარემოებიდამა ჩანს (ქ.ცხ., 241.-*Addit.*, 229), ცხადია, რომ „ანდერძის" დაწერის დროს (1125) იგი უნდა ყოფილიყო სამის წლის ყრმა; ამისათვის სთხოვს დავით დიმიტრის მის აღზრდასა.—ბოტინატისა და დუკატის მნიშვნელობაზე ნახე

ლიანნი. შემდგომად ამისა მოუჴდა სალდუხ ყაენი ანისის ქალაქს და გარმოდგომილ ჰყო. ამისი მცნობი დიმიტრი მეფე მიუჴდა სპითა თჳსითა და იკვეთნენ ძლიერად და აოტნა სალდუხ და სპანი მისნი და მოსრნა პირითა მახჳლისათა უმრავლესნი; აღიღო ალაფნი მათნი და შემოიქცა გამარჯვებული. არამედ ესე დიმიტრი მეფე მიემსგავსა ყოვლითურთ მამასა თჳსსა და მეფობდა კეთილად; შემდგომად დასვა ძე თჳსი დავით მეფედ და თჳთ მონაზონიქმნა წელსა 1150, ქართულსა 370. [1]

## მეფე დავით III (6 თვე 1154 წლისა).

ამან ძემან დიმიტრი მეფისამან დავით იმეფა თთვე ექვსი ნებიერ, უშფოთველად; შემდგომად მოკვდა წელსა 1150, ქართულსა 370. ამასვე ქრონიკონსა მიიცვალა დიმიტრი მეფეცა შემონაზონებული და თამარ დაჲ მისი თიღვას აღმაშენებელი ეკლესიისა და კატა დაჲ მათივე ბერძენთა მეფის ცოლი [2].

*Addit.*, 232, n. 4.—ხახულის ღვთის-მშობელზე საუბარი გვექნება ცალკე თამარ დედოფლის ცხოვრებაში.

1—2. მეფე დიმიტრის ისტორიას ქ-ცხბა მოკლედ გვიამბობს. იმაზე უფრო სრულ ცნობებს ვპოულობთ მხოლოდ სომხურ წყაროებში, რომელნიც, ცნობებითურთ იმის შვილზე დავითზე, შემოკრებული აქვს ბროსსეს თავის *Addit.*-ში, p. 244—248. ამ ცნობებს მივჰმართავთ ჩვენ მკითხველს. ამ დროჲს წყაროები უპირველესს ისტორიულ მნიშვნელობას მიაწერენ ორბელიანთ სახლის წევრთა აბულეთს და იმის შვილს ივანე V და ამის შვილს თირქაშს, როგორათაც ივანე IV-ს შვილს სუმბატ I-სას (*H de la G.*, I, 389, n. I). იგინიც არ არიან ერთგულნი თავიანთ მეფეთანი, როგორც არ იყვნენ ერთგულნი მათნი წინა-პარნი (Вардань Великій, *Всеобщ. исторія*, 150—154). აქ უნდა ვუჩვენოთ ორნი იმ დროჲს ეკლესიანი: იმერეთში უბისისა, დიმიტრისაგან აშენებული „361—1141, სარკინოზთა წელთა 535“ (Brosset., *V. arch.*, XII, 104) და თიღვის მონასტერი, აშენებული დავით აღმაშენებელის ქალის თამარისაგან (*ib.*, VI, 106), რომელიც ჰყვანდა ცოლად აღსართანს (ზემოდ, 178, შენ. 3) და, როგორც ქ.-ცხბა გვამცნევს, მიიცვალა მონაზონობაში (ქ-ცხ., 264, 290.—*H. de la G.*, I, 382).

აქ საჭიროდ ვხადით ჩვენი მკითხველი შევაყენოთ ერთ გარემოებაზე, რომელიც აქამომდე გამოუკვლეველია და რომელსაც ისტორია მხოლოდ გაკვრით იხსენიებს, მაგრამ კი, ჩვენის ფიქრით, დიდი კავშირი აქვს გიორგი III დროს მოხსენებულს დიმიტრისა ანუ დემნას აშლასთან და ორბელიანთ გვარის ამოწყვეტასთან. „ვინადგან, შენიშნავს ქ.-ცხბა, დავითცა მამამან დიმიტრისამან ლალატსა და განდგომილებასა შინა მამისა თვისისა დიდისა დიმიტრი მეფისა ამოსწყვიდნა ამის სამეფოჲსა დიდებულნი, რომელნიმე სიკვდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა, აქაცა მსგავსად ამისა შევიდა ეშმაკი გულსა და გონებასა დიმიტრისასა და მის მიერ შეჰრისხდა ღმერთი ორბელთა...“ (ქ.-ცხ. 227). გარდან დიდი ამბობს: „ძემან დემეტრესამან დავითმა მიიღო მისი გვირგვინი და გამოიყვანა საპყრობილიდამ თირქაშ (ივანე V ორბელიანის შვილი. *H. de la G.*, I, 389, n. 1) და დაადგინა იგი მხედართ-მთავრად. თვით დავით მოკვდა ერთის თვის შემდეგ. ზოგნი იტყვიან, ვითომც დავითი დაილუპა სუმბატისა და ივანე ორბე-

## მეფე გიორგი III (1156—1184)

გამეფდა ძმა დავით მეფისა და ძე დიმიტრი მეფისა გიორგი (რამეთუ ძე დავით მეფისა დიმიტრი მცირე ყრმა იყო). ხოლო ესე გიორგი იყო მშვიდი, უხვი, მოწყალე, ქვრივ-ობოლთა შემწყნარე, ეკლესიათა მაშენებელი, მხნე, ახოვანი, მოისარ-მონადირე უდარი; არამედ მამასავე სიცოცხლესა შინა თვისსა მოეყვანა ამისთვის ოვსთა მეფისა ქალი ბურდუხან ცოლად, სახითა კეკლუცი, შვენიერებითა ზე-აღმატებული. ხოლო ამან გიორგიმ, დაიპყრა რა სამეფო თვისი სპერის ზღვით[1] გასპიისამდე, აღიჭურა მისვლად აგარიანთა და პირველად მიჰფინა წყალობა ამერ-იმერთა, ზემო-ქვემოთა[2] და მერმე მიჰმართა ქალაქს გა-თირქვანს და წარმოსტყვევნნა ხევნები კლდოანი და ქალაქი ამორხნი სომეხთა მეფედ წოდებულისა; შემდგომად წარვიდა ქალაქად არარატისა ძირს მყოფისა, აღიღო ქალაქი ბრძოლითა, მოსტყვევნნა და წარმოიღო ტყვენი და ალაფნი დიდნი, რამეთუ ტფილისს ტყვე დრამად[3] ისყიდებოდა. შემდგომად ამისა იშვებდა და ნადირობდა, რამეთუ იყო მშვილდოსანი რჩეული; შემდგომად გაი-

ლიანთ ხელით (ივანე და იმისი შვილი სემბატ-მეორე შტო ორბელიანთ სახლისა და მანდატორთ-უხუცესნი, (ib., 389, n. 1 ქ.-ცხ. 286), ამის გამო ვითომც დავითმა მათი ხელის-უფლობა თირქაშს გადასცა და ამაზე წინათვე თანხმობა იყო იმათსა და დავითისძმის გიორგის შორის, რომელიც მათ მხედართ-მთავრობას შეჰპირდა" (*Всеобщая исторія*, стр. 154). ცხადია, რომ რაღაც შფოთი და არეულობა ყოფილა იმ დროს მემკვიდრეობის გამო. მომავალის საუკუნოების მატიანე ამ შემთხვევაზე გვიამბობს შემდეგს: ფარსადან გიორგიჯანიძე ამტკიცებს, ვითომც დავითი იყო უმცროსი შვილი დიმიტრი I-სა და რომ უპირატესობა მიელო თავის უფროს ძმაზე გიორგიზე და მეფობა ხელთ-ეგდო აჯანყდა და ამოსწყვიტაო ანუ მოაწამლვინაო ზოგიერთნი სასახლის ხელის-უფალთაგანნი და თავისი განძრახვა მცირეს ხანით აღსრულებაშიაც მოიყვანაო (*H. de la G.*, I, 398, n. 2). ეს შესაძლებელი საქმეა და ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ დავით III ექვსი თვის მეტი არ უმეფნია.

1. სპერის ზღვა. ასე უწოდს ძველი ჩვენი მწერლობა ჭოროხისა და ტრაპიზონის პირს შავ-ზღვას. (ზემოდ, გვ. 31, შენ. 1).

2. ამერ-იმერნი. ამისი განმარტება ნახე ზემოდ, გვ. 132, შენ. 1.—ზემონი და ქვემონი. ეს ფრაზა ხშირად იხმარება ძველს ქ.-ცხბაში და საზოგადოდ ძველს ჩვენს მწერლობაში. მნიშვნელობა იმისი არის: ზემო ქვეყანა, ქვემო ქვეყანა ანუ ზემო ქართლი, ქვემო ქართლი. იხმარება აგრეთვე ზენა-სოფელი. „არაგვიდგან და არმაზიდგან ვიდრე ტასის-კარამდე უწოდა ზენა-სოფელი" (ქ.-ცხ., I, 20); „ზენა-სოფელი, რომელ არს ქართლი;" (ქ.-ცხ. 179); „თვით წარემართა ზემოჲთა ლაშქრითა" (ქ.-ცხ., 210); „და ყოველნი დიდებულნი ზემოთნი და ქვემოთნი" (ქ.-ცხბ., 219). „მეფე იქმნა ბაგრატ ყოველსა მამულსა და სამეფოსა მისსა ზედა, ზემოსა და ქვემოსა" (ქ.-ცხ., 219). „და ეუფლა ბაგრატ ზემოსა და ქვემოსა მამულსა ზედა" (ქ.-ცხ., 222); „მოირჭვნა ლიპარიტ და აიხვნა ზემონი ციხენი" (ქ.-ცხ., 226); „ხპითა ზემოჲთა და ქვემოჲთა" (ქ.-ცხ. 236).

3. დრამა—ექვსი დანგი, დანგი ერთი შაური. (*H. de la G.*, I, 385, n. 2.)

ლაშქრა ანისას კარს, რამეთუ მას დროსა შანშე დადიანისა თანა[1] განდგომილ იყო იგი, მოადგა და შანშე დადიანიურთ ხელთ-იგდო ქალაქი, განაგნა მუნებურნი და დაუტევა მუნ იოანე ორბელის ძე და თვით მოვიდა სანადიროსა შინა თვისსა, ამისთვის აღიძრნენ აგარიანნი ისმაილიტნი და შარიერად სულტანად წოდებული იასი; ესე მაწვეველ ექმნა შამსა ჯარისა დიარბექირსა თურქთა თანა გარმიანელთა. ამათ ყოველთა აღილესნეს კბილნი მათნი, წარმოემართნენ და მოადგნენ ანის. ესმა ესე გიორგი მეფესა ნაჭარმაგევს მდგომსა და მოუწოდა სპათა დას-დასთა და არღარა მოიცადნა იმერნი ლომნი ჭაბუკნი და წარმართებული მოვიდა შარავად. მაშინ განმხილველმან აგარიანთამან იოანე მწიგნობართ-უხუცესმან და სუმბატ სვიმონ ქმნილმან მოახსენეს მეფესა სპათა თვისთა სიმცირისათვის არა-მისვლად ისმაილიტთა ზედა. მსმენელი მეფე გარდახდა ცხენიდამ და ევედრა ღმერთსა ცრემლით; შემდგომად აღმხედრდა და განამხნო სპანი თვისნი მხიარულითა პირითა; მერმე განჰყო სპანი, მისცა სუმბატ ამილახორსა და ბეშკენს სურამელსა სამ-სამი ათასნი მხედარნი და სხვანი თვით დაიმჭირნა და რქვა მათ: „ჩვენ სამთაგან რომელმან უხეთქოთ პირველად დროშასა მათსა, იგი ვსჯობთ.“ მყის აღმხედრდნენ და ეკვეთნენ სამად. მაშინ მეფემან შეკლო სიმხნითა თვისითა რაზმნი დაუსხეთქა მედროშესა და დაეცა დროშითურთ. მხილველნი აგარიანნი დროშისა დაცემისანი წამსა შინავე ივლტოდნენ, ხოლო გიორგიანნი მოსრვიდნენ მახვილითა და მზის დასვლისამდე ჰსდევნიდენ; შემდგომად შემოიქცნენ გარავთა შინა აგარიანთასა, რომელნი იყვნენ ოქრო-ვეცხლითა, თვალ-მარგარიტითა და ლარითა მვირფასითა, რომელთათვის სხვათა არღარა მოვიხსენებ ნაალაფავთა მათთა მაშინდელთა; ხოლო მეფე მადლობისა შემწირველი ღვთისა მიმართ და არა მკლავისა თვისისა მსახოებელი შემოიქცა სახლად თვისად[2]; არამედ ესე შემუსვრა აგარიანთა განისმა

1. დ ა დ ი ა ნ ი ამას წინათაც შეგვხვედრია. ამ სიტყვის მნიშვნელობა, ვრცლად განმარტებული *H. de la G.*, 385, n. 4, სადაც ბროსსეს შემოაქვს ის აზრი, რომ ამ სახელ-წოდების დასაწყისი უნდა იყოსო დ ა დ ი ოდესმე სოფელი და ციხე-სიმაგრე სამეგრელოში. თვით ვახუშტი უჩვენებს „დადის-წყალს, დადის დაბის გამო წოდებულს“ (გეოგრ., 398.)

2. ანის აღებას გიორგისაგან ვარდან დიდი და სტეფანე სიუნელი და თვით მუსულმანთ მწერალნი უჩვენებენ 1161 წელს (*Addit.*, 253—254); მაგრამ შაჰ-არმენი, შემდეგ გიორგის დაბრუნებისა, დიდის ძალით მიადგა ანსა და აიღო იგი. გიორგიმ მეორედ გაილაშქრა ანზე, ამ შემთხვევაზე იმისი თანამედროვე სამოელ ანელი ამბობს: „13 ივნისს, 1163 წელს გიორგიმ აიღო ანი და 7000 მხედრით 1-ს აგვისტოს დაამარცხა შაჰი-არმენი, თუმცა ამას ჰყვანდა 30,000 ჯარი. ეს ჩვენ ჩვენის თვალით ვნახეთ; მარტო ტყვე აღიწერა 23,000 გარდა დახოცილთა, რომელნიც მინდვრებათ იყვნენ გაბნეულნი“ (Brosset, *Collect.*, II, 465).

21 აგვისტოს 1164 წ., იმავე სამოელის თქმით, გიორგიმ დაიჭირა დოვინი, სადაც დაარღვია მათი სალოცავი და სჯდომაც ტყვედ გამოიყვანა 60,000 კაცი. (*Col-*

ყოველგნით და მისსა სულტანსა ხორასნისასა და ერაყისასა და ხალიფასა ბაღდადისასა და ვარაგ ათაბაგსა სპარსეთისასა; ამათ ყოველთა მოიწვივნეს ყოველი ცრუ-სჯულობა ისმაილიტთა; შეკრებულნი წარმოემართნენ და მოადგნეს სომხითს, აღიღეს ყაგი და მოაოხრეს საზღვარნი მისნი[1]. ჰსცნა გიორგი მეფემან, შემოიკრიბნა სპანი თვისნი იმერ-ამერნი, ზემო-ქვემონი; გამოიყვანნა ოვსნი დიდ-ძალნი და გარდავლო მთა ბუზაქარისა. ესე მისვლა მეფისა ჰსცნეს რა ისმაილიტ-აგარიანთა, შეძრწუნდნეს და იტყოდიან: „არა არს დღეს კაცი ქვეყანასა ზედა შემძლე გიორგი მეფისა; არამედ მივრიდოთ“ და დამყრელნი სამსახურებელთა და სახმართანი აღიძრნეს გაგიდამ და წარვიდნენ. ამათ გამსვლელთა ქვლეცის წყლისა ეკვეთნეს სპანი მეფისანი და რომელთამე ჩამოჰყრნდნეს და დახოცნეს აგარიანთა. ამისი მხილველი მეფე მიეტევა, არამედ არა უტევებდნეს დიდებულნი მეტყველნი: „ესე ვითარი სულტანი მოსვლითა შენითა ივლტვის, არღარა ჯერ-არს დევნა შენგან, რამეთუ ზვაობა არს წინაშე ღვთისა.“ არა მნებებელმან მეფემან, გარნა ამა იძულებულთა უსმინა (გარნა არა იყო ზრახვა არცა საქმე საქმნელი) და შემოიქცა მეფე; ხოლო ისმაილნი აღვიდნეს გელიქუნს და მუნიდამ მოადგნენ ანისის კარს სულტანი, ათაბაგი და არაბნი და ანისს ამაგრებდა თორელი დიდი[2] ყოვლითა მანქანებითა; ხოლო მე-

*lect.*, II, 465). დოვინის აღებაზე ქ.-ცხბა ცხადად არას ამბობს, თუმცა, ბროსსეს მოაზრებით, ეს შემთხვევა იგულისხმებაო იქიდამ, რომ, ქ.-ცხბის ხსენებით, გიორგიმ სულტანზე გაილაშქრაო და ბუზაკარის მთა გადაიარაო.“ (*Addit.*, 255). ამ საგანზე სამოქლის ჰმოწმობენ აგრეთვე იბნ-ალათირი და მიხაილ სირიელი (ib., 255.—*Chronique de Michel le Grand.*, 319).

1. ამ შემთხვევას იხსენიებენ სომხის მატიანენი, იმათ შორის ვარდან დიდი. ძალა მტრისა იყოო ისე დიდი, რომ გიორგიმ დასტოვაო ანის ქალაქი.— 1168 წ. ციხეები ჯავახისა: გრამი, გეგი და კაკაბერდი ჩვენ ცოდვათა გამო ილდიგუზმა დაიჭირაო“ (*Addit.*, 255—256). ეს ილდიგუზი, რომელსაც იმ დროს ხელში ეპყრა უმთავრესი მუსულმანთ ძალა, იყო ადერბეიჯანის ათაბაგთაგანი, რომელნიც პირველად იყვნენ სელჯუკების ხელისუ-ფალნი, მასუკან სელჯუკიდების სისუსტის გამო გაძლიერდნენ და ადერბეიჯანის მბძანებელნი გახდნენ. უძლიერესი იმათ შორის იყო ილდიგუზი. ამათგან მიუთვისებიათ ჩვენებსაც ათაბაგობა, რომელიც გვარადაც გადაქცეულა სამცხე-კლარჯეთის მთავრების სახლში (ნახე ზემოდ, გვ. 12, შენ. 3). სიტყვა ათაბაგი არის თურქული და ჰნიშნავს: ა ტ ტ ა ჯამდელსა და ბ ე გ ი ბატონსა, მთავარსა; „გამზდელი ბატონისა, მთავრისა,“ რადგანაც ათაბაგები თავდაპირველად ამ ხელობას ასრულებდნენ სელჯუკების სასახლეში. რა დროს და რა რიგად გაძლიერებულან ათაბაგები ამაზე ნახე *Malcolm*, *Histoire de la Perse*, II, 101—139. ილდიგუზი მოკვდა 1172—1173 წ. და გიორგიმ მეორედ დაიჭირა ანი, რომელიც ამირ-სპასალარს ივანე ორბელიანს მიანდო (*Addit.*, 256).

2. თ ო რ ი-ახლანდელი გუჯარეთი, გუჯარეთის ხეობა (ვ ა ხ უ შ ტ. გ ე ო გ რ., 206). თორელებს და იმათ მთავრებს ამ დრომდე უჭირავთ, როგორც ვნახავთ, საჩინო ადგილი მეომრობაში.

ფე იდგა ტაშირს და დესპანი სულტანისა მშვიდობისათვის წინაშე იყო მეფისა თანა. მაშინ განმხილველმან სპასამან დესპანმან მან მოიხსნა ფრთენი, ვითარცა არს ბუყვავისა არაკი ქილილა-დამანასა შინა[1], და მივიდა სულტანისთანა და ეტყოდა: „აჰა დრო მეფისა ხელთ-გდებისა და თვინიერ ამისა ცუდ არს შრომა თქვენი." მყის წარმოემართნენ და დაუხსნეს მძინარესა მეფესა, ვითარ ძლივღა შეჭურვით შეასწრნეს ცხენთა აღმხედრებად; გარნა არა ივლტოდა მეფე მბრძოლი ძლიერად, ამისთვის ეტყოდნენ დიდებულნი: „მეფეო, დრო არს ლტოლვისა და ჟამი ბრძოლისა". ეჰა საკვირველება ღვთისა! რამეთუ არცა ერთი ვინ დამკლე ექმნეს, თვინიერ ჯვარის-მტვირთველისა, გარნა ჯვარიცა წარმოსვენებულ იქმნა; ხოლო ისმაილიტთა რა იხილეს ესე ვითარი უვნებელობა მეფისა, მსწრაფლ უკუ-იქცეს ანიდამაც და წარვიდნენ თვისად; მერმე მეფემან უბოძა ანი თვის მემამულესა და იუმო; შემდგომად შუამდგომელობითა დისა მეფისა რუსუდანისათა, სულტანის ცოლ-ყოფილისათა[2], იქმნამ შვიდობა ათაბაგისა სულტანისა გიორგი მეფისა დრომდე; ხოლო ამათ შინა მოვლიდა მეფე აფხაზეთს, ალანთა გურია-სპერამდე, იმერ-ამერთა, ზემო-ქვემოთა ზღვად პონტო-კასპიამდე და იშვებდა და ნადირობდა და განაგებდა მუნებურთა. მერმე კვალად ითხოვეს ლაშქრობა სპათა მეფისათა. უსმინა მეფემან დამსკვნელმან დღესა ერთსა ტაო-კლარჯ-შავშთა მორბევად ოლთისისა, მესხთა, თორელთა, კარისა და აშორანისა, ამირ-სპასალარს, სომხითელთა მტკვრის სამხრით ვიდრე განძამდე, ჭერ-კახთა აღაზნის შესართავიდამ შარვანამდის და თვით მეფე ამერ-იმერითა გელაქუნ-მასისისა და იქმნა უცხო ესე ლაშქრობა ბრძანებისაებრ და შოებულნი და გამარჯვებულნი ურიცხვითა ალაფითა მოიქცნენ და წამსა შინა იპოვა მეფე გეგუთს. ამ ჟამთა მოვიდა ანდრონიკე კომნინოსი სახლეულითა[3].

1. ქილილა-დამანაზე იხილე ზემოდ გვ. 103, შენ. 1.

2. რუსუდან, და გიორგი მეფისა, ხვარასნის სულტანის ცოლ-ყოფილი, უშვილო (*H. de la G.*, I, 395), გამზრდელი თამარ-დედოფლისა (ქ.-ცხ., 276).

3. შენიშვნა ბროსსესი: „ანდრონიკი იყო შვილი ისააკ კომნენისა და ძმის-წული იმპერატორის მანუელისა (1143—1180). გარყვნილი ყოფა-ქცევით ანდრონიკი რამდენჯერმე აუშალა იმპერატორს და 1167 განივლტო საქართველოში; აქედამ შევიდა სპარსეთში და დასახლდა კოლონიეში სულტანისას. ანდრონიკს ჰყვანდა ორი კანონიერი ვაჟიშვილი და ორიც უკანონო ცოლისაგან (Lebeau, XVI, 230.) ანდრონიკი იმპერატორობდა 1183—1185 წ. და დაიღუპა შეთქმულობაში, რომელმაც გაუხსნა გზა ტახტისა ისააკ II ანგის. ჟამი ანდრონიკის შემოსვლისა საქართველოში ნამდვილ უდრის იმ დროს, რომელსაც, როგორც მე ვფიქრობ, ანი მტერმა დაიჭირა და რომელიც ქართულის მატიანესაგან სიმართლით არის ნაჩვენები. აქ დავურთავ, რომ ანდრონიკა-შვილების სახლი, თვით ამ გვარის გარდამოცემით, შთამომავლობს ბერძენთ მეფეთაგან" (*H., de la G.*, I, 396, n. 4.—ნახე ამ ანდრონიკზე აგრეთვე Saulcy, *Numismatique byzantine*, 1836, p. 345—351.—Sabatier, *Descr. génér. des monn. byzant.*, II, 215—216.

აქ ხსენებულის მანუელის დროს იყო, როგორც ზემოთაცა ვთქვით (გვ. 143, შე-

მამის ძმის-წული მანუილ კეისრისა, რომელსა განუსვენა მეფემან და მისცა ციხენი და დაბანი და დაუდგა საყდარი პირის-პირ თვისსა ახლოს, ალსჟრთან

ნიშვნა) მეცადინეობა სომხისა და ბერძნის ეკლესიის შეერთებისათვის. 1165 წ. სომხეთის კათალიკოსის გრიგორი III ძმა ნერსესი ნეტარი შეჰხვდა სომხეთში მოგზაურს მანუელის სიძეს ალექსის, რომელმაც მას მოსთხოვა ცნობა თუ რა განსხვავებაა სომხისა და ბერძნის ეკლესიათა შორის. ნერსესმა უამბო, რომ განსხვავება შეეხებაო სიტყვების ფორმებს და ზოგიერთს საეკლესიო წესსა. ნერსესმა ეს თავისი აზრი წერილით გადასცა ალექსის, რომელმაც იგი 1166 წ. იმპერატორს წარუდგინა.

მანუელმა მოსთხოვა კათალიკოსს გრიგორის, რომ თავისი ძმა ნერსესი გაეგზავნა მასთან მოსალაპარაკებლად ამ საგანზე; მაგრამ იმისმა მოციქულმა სომხეთში ცოცხალი ვეღარ ნახა გრიგორი და იმისი ადგილი თვით ნერსესს ეჭირა. ნერსესმა მანუელს გაუგზავნა გძელი წერილი, რომელმაც გააკვირვა კოსტანტინეპოლის სამღვდელო დასი როგორც თავის შინაარსით, რომელიც ეთანხმებოდა ბერძულს აღსარებას, აგრეთვე ნერსესის ვრცელისა და მაღალის მეცნიერებით.

მანუელმა ნერსესის მიწვევით თვით ისურვა წასვლა კილიკიაში, მაგრამ რადგანაც იგი ებრძოდა ვენგრებს, თავის მაგიერ იმან გაგზავნა მსწავლული სამღვდელოთაგანი თეორიანი და თან გააყოლა მას სომხის მონაზონი უთმანი. ესენი მივიდნენ 1170 წ. ჰრომკლში ანუ ტარსში, სადაც ჰპოეს დიდი კრება სომხეთის ეპისკოპოსთა და მოძღვართა. თეორიანმა კრებას წაუკითხა სიტყვა სიტყვით წერილი ნერსესისა დი ყოველს კითხვაზე დასაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო კრებისაგან. თეორიანმა სიხარულით სცნო, რომ სომხის აღსარება იყო ქრისტეს ორ-ბუნებაზე სრულიად იგივე ბერძნების აღსარება; განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ განსხვავებულს გამოთქმაში. კრებამ გადასცა თეორიანს თავისი განაჩენი წერილით, რომელიც ნერსესის წერილითურთ მან იმპერატორს მიართო.

შემდეგ ამისა ბერძნებმა 9 პუნკტით მოითხოვეს, რომ სომხებს შეეჩვენებინათ ევტიხიოსი და დიოსკორი (რომელნიც უარ-ჰყოფდნენ ქრისტეს ორ-ბუნებას) და მათნი თანა-მოაზრენი; რომ მათ ბერძნულის ფორმით აღეარებინათ ერთი პირი და ორი განუყოფელი ბუნება ქრისტესი, ღვთაებრივი და კაცობრივი, რომ სამ-წმინდა-არსის გალობაში უარ-ეყოთ: „რომელი ჯვარს ეცვი;“ რომ შობა ქრისტესი ედღასასწაულათ 25 დეკემბერს, წინადაცვეთა-1-ს და ნათლის-ღება-6-ს იანვარს და სხვ. ერთის სიტყვით, უკუეგდოთ ყოველივე, რითაც კი განსხვავდებოდნენ ორნი ეკლესიანი. ეს წერილი მიიღეს ჰრომკლში 1173 წ. ნერსესს ჰსურდა მეორედ მოეწვია კრება, მაგრამ ამ დროს ნერსესი გარდაიცვალა.

თვით ნერსესის მოადგილეს გრიგორი IV დიდად ჰსურდა შეერთება და მან მოიწვია კრება, რომელშიაც მონაწილეობდნენ ეპისკოპოსნი ალბანიისა, ივერიისა და სირიისა; მხოლოდ მცირე ნაწილმა უარი გამოაცხადა მონაწილეობაზე. ეს კრება მოხდა იმავე ჰრომკლში 1179 წელს. უმთავრესი განაჩენი იმისი ის იყო, რომ მან აღიარა, როგორც ბრძენნი მოითხოვდნენ, იესო ქრისტე ერთ-პირად და ორ-ბუნებად და ამ განაჩენზე ხელი მოაწერეს უპირატესთა სომხეთის სამღვდელო პირთა. მერვე პირი ხელის-მომწერთაგანი იყო იბერიელთ არხიეპისკოპოსი ტფილისიდამ.

მანუელი მოკვდა, ვიდრე იგი მიიღებდა ამ განაჩენს, რომელსაც დიდ მნიშვნელობას აძლევდა და საუბედოდ იმისი მემკვიდრის მეფობა ძალიან აღელვებული დრო იყო და ორივეს მხრით ასეთის მეცადინეობით და იმედოვნებით დაწყებულს საქმეს სასურველი ბოლო ვერ მიეცა.

ამ საგანზე ნახე Lebeau, *H. du B.-E.*, XVI, 219—229.—*Chronique de*

დის-წულისა თვისისა [1], რამეთუ იყო ესეცა შემოსწყრომილი დარუბანდელთაგან ამასვე დროსა წარვიდა მეფე და წარიყვანა ანდრონიკე და მივიდნენ კარსა დარუბანდისასა, მოაოხრა მუსკური და შაბრანი, აღიღო ქალაქი შაბურანი, (რომლისა კარსა მცხედ იხილა მეფემან ანდრონიკე) და მისცა მამის დის-წულსა თვისსა ქვეყანა ესე და წარმოსრულმან მუნით შეარბია ბასიანი, რომელიცა საკვირველი იყო კაცთაგან და მოვიდა გამარჯვებული; არამედ ყამითი-ყამად წარგზავნიდის სპათა და მიუწივიან ნახჭევანამდე, კარ-მასიაკამდე, დადვამდე, ბარდაბალყუნამდე და შემოიქციან გამარჯვებულნი; არამედ ჯანიმრავლა საჭურჭლეცა და დასდვა ციხესა უჯარმას; ხოლო დროთა ამათ მოიწია ძე დავით მეფისა დიმიტრი; გარნა თუმცა იყო სიკეთითა სრული, არამედ ცუდ იქმნა მისთვის ვიეთთა კაცთა მიერ, რამეთუ ვითარცა მამამან მისმან, იდეს განდგომილებისათვის მამისა თვისისა მოსწყვიდნა დიდებულ-აზნაურნი მრავალნი და რომელნიმე ექსორია ჰყვნა წელსა 1144, ქართულსა 364 [2]; ეგრეთვე ამანცა ჰყო ბიძასა თვისსა ზედა; მიჰყვნენ ორბელიანნი, ტაოელნი, სამცხელნი, ჰერ-კახნი და იწყეს რბევა და ტყვენვა ქვეყანათა. მცნობმა გიორგი მეფემან ტფილისს მყოფმან შემოიკრიბნა სპანი, ეკვეთა დიმიტრის და სამართალმან ღვთისამან აოტა დიმიტრი და ლტოლვილი შეისვეწა ციხესა ლორეს. ხოლო მეფემან წარუსხნა ყოველნი, რომელნიცა დაეპყრა და მეფე დადგა აგარათა. აქა მოერთვნენ სარგის მხარ-გრძელი [3] ძმის-წულით თვისით და საყვარელი ორბელი (ქ. ცხ. „ორბელთა“, გვ. 213; მარიამ დედოფლის ვარიანტში „ორგულთა“); არამედ დიმიტრიმ კვალად წარავლინნა მეჭურჭლეთ-უხუცესი და სპანი შეკრიბნა: ჰერ-კახნი, ლეკნი და კავკასნი და მოჰმართეს მეფესა; ხოლო მკვეთელმან ზე-გარდამომან ძალითა ზესთათა აოტნეს მეფისათა იგინიცა, მოსრნეს, მოსწყვიდნეს და შეიპყრნეს დიდებულნი მრავალნი; მერმე აიყარა აგარიდამ და მოადგა ციხესა ლორესა. მაშინ წარავლინა დიმიტრიმ ერისთავი ლიპარიტის ძე სუმბატ და ქავთარ იოანეს ძე შავრმანისა თანა და ელდიგუზის ძეთა თანა, რათა მოსცენ შეწევნა; ხოლო მათ აღუთქვეს, არამედ ღმერთმან დააცადა ესეცა, ვინაიდგან ულონო იქმნენ ციხოვანნი და შემწიდრდნენ, ამისათვის მოიბა საბელი დიმიტრიმ, გარ-

*Michel le Grand.*, 329—331.—დაწვრილებით გარკვეული ცნობები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ბერძენნი და ქართველნი მეტად ცილსა სწამებდნენ სომხეთის ეკლესიის ალსარებას, იპოვება ხუდობაშევის თხზულებაში: *Историч. памятники вѣроученія арм. церкви*, стр. 119—276.

1. ეს ალსართან იყო, ქ.-ცხ.ით, შვილი დიმიტრი მეფის დისა და დავით ალმაშენებელის ქალისა (ქ.-ცხ., 272.—ნახე აგრეთვე ზემოთ გვ. 178, n. 3).

2. ამ საგანზე ნახე ზემოდ გვ. 188 შენ. 1—2.

3. სარგის მხარ-გრძელი ამირ-სპასალარი, შვილი ზაქარიასი, შვილისა ვაჰრამ სარგისისა, შვილისა ხოსროვისა. ესენი არიან წინა-პარნი იმ მხარ-გრძელთა, რომელთაც თამარ დედოფლის დროს და შემდეგ გამოჩენილი ადგილი ეჭირათ ჩვენს ისტორიაში (*H. de la G.*, I, 387, n. 3; 399, n. 4).

დმოეშვა ტფილისს და მოჭმართაობისავე. ამისა შემდგომად სხვანიცა ურჩელნი გამოიყვანნეს, ალიღო ციხე და დაიჭირა თვისად; ხოლო ორბელნი მოსწყვიდნა [1] და შემტოდენი სხვანი ექსორია ჰყო სხვათა ქვეყანათა შინა და დიმიტრი შეაყენეს კლდე-კარს (შემდგომად დასწვნეს თვალნი და მოკვდა და დაფლეს მცხეთას) და მეფე მოვიდა ნაჭარმაგევს. ამისა შემდგომად განეზრახა დედოფალსა, რათა დასვას ასული თვისი თამარ მეფად. მოიყვანნა კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი და ურჩელთა დიდებულთა განზრახვით დასვეს თამარ მეფად წელ-

1. აქ, როგორცა ჩანს, ვახუშტი ამყარებს თავის თქმულებას ორბელიანთ გვარის ამოწყვეტის გამო სტეფანე სიუნელის მატიანეზე. ამ გარემოებას შეეხებიან ქ.-ცხბა (I, 272—274), ვარდან დიდი (*Вс. исторія*, 154, 159—160) და სტეფანოს ორბელიანი (*H. de la Siounie*, I, 216—221). ამათგანი ვარდან მოკვდა 1271 წ. და სტეფანოსი 1304 წ. ვარდანს და სტეფანოსს, როგორც ეს იმათის ისტორიებიდამა ჩანს, ამ გარემოებაზე და საზოგადოდ საქართველოს ისტორიის მომდინარეობაზე ხელში ჰქონიათ ცნობები ქ.-ცხბისა, რომელსაც ქართლის-ცხოვრებადვე უწოდს სტეფანოსი (ნახე ზემოთ, გვ. 186, შენ. 1). ეს სტეფანოსი ეკუთნის თვით ორბელიანთ სახლსა, არის ავტორი ორბელიანთ გვარის ისტორიისა და უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს დიმიტრისა ანუ დემნას და თავის გვარის თავ-გადასავალს, მაგრამ სამნივე სხვა და სხვა გვარ წარმოგვიდგენენ გარემოებას. ნაამბი ქ.-ცხბისა და ვარდანისა დავითის შეთქმულობაზე დიმიტრი I-ს წინააღმდეგ ჩვენ შემოვიტანეთ ზემოდ (გვ. 188, შენ. 1—2). ქ.-ცხბა დავითის შვილის დიმიტრის შეთქმულობას გიორგის წინა-აღმდეგაც ისე უჩვენებს, როგორც დავითისას. ვარდანი ამბობს: „ამ დროს ივანე (ორბელიანმა) აღმოაჩინა თავისი სიბოროტე; მან მიიმხრო ძმისწული მეფისა დემნე და მრავალნი კეთილ-შობილნი და განიზრახა სიკვდილი მეფისა." სტეფანე ამტკიცებს, „ივანემ მოსთხოვაო გიორგის, რომ რადგანაც დემნამ სრული-წლოვანი შეიქნა და მემკვიდრეობა მას ეკუთნისო, მეფობა გადაეციო დემნას თვით დავით მეფის ანდერძისამებრ." ამის გამო ასტყდა ბრძოლა გიორგისა და დემნას შორის. რომ დიმიტრიმ მოსთხოვა ილდიგუზს შემწეობა ამას სამივე წყარო უჩვენებს; მაგრამ შემდეგ ძლევისა, ქ.-ცხბით, გიორგიმ „ურჩთა და მტერთა თვისთა არა მიაგო მსგავსად მისაგებელისა მათისა, არამედ შენდობით და წყალობით სწრთვნა და რომელნიმე ექსორია ჰყვნა უცხოთა ქვეყანათა." ამ სიტყვებს ეწინააღმდეგება ქ.-ცხბა ნარინ დავითის ისტორიაში (გვ. 383). ვარდანის თქმით, მან ძმის-წული თვისი და ყველანი მომხრენი მისნი და თვით ივანე დააბრმავებინა; უმცროსი შვილი ივანესი კავთარი და ლიპარიტის შვილი ივანე მოაკვლევინა." სტეფანეს თქმით, გიორგიმ ამოსწყვიტა მთელი ორბელიანთ სახლი დედა-წულითურთ. ეს მოხდა 1177 წელს (*H. de la G.*, I, 389 n. 1,; 400, n. 1); გადარჩა მხოლოდ ივანეს ძმა ლიპარიტი ორის შვილითურთ, ელიქუმით და ივანეთი, ესე იგი ის პირნი, რომელნიც ელდიგუზთან იყვნენ მოციქულებად გაგზავნილნი. ამ ორთა ძმათაგანი ელიქუმი დარჩა სპარსეთში ელდიგუზთან, ივანე შეეფარა განზაგის ამირს. ელიქუმისაგან წარმოსდგნენ სომხეთის ორბელიანნი, რომელთაც ეკუთნის თვით სტეფანოსი; ივანესაგან, რომელიც თამარ-დედოფალმა უკანვე მოიწვია, მომდინარეობენ საქართველოს ორბელიანნი.

აქ ჩვენ დიმიტრიზე ანუ დემნაზე და ორბელიანთ გვარზე გუჩვენებთ სამ-გვარ თქმულებას; მაგრამ იმათგან რომელს ეკუთნის ისტორიული სიმართლე, ეს შემდეგის გამოკვლევისათვის მიგვინდვია.

სა 1171, ქართულსა 391; ფიცითა და აღთქმითა სამეფოჲსათა აკურთხეს, ამისთვის იყო შუება და სიხარული დიდი. შემდგომად ერთისა წლისა მოკუდა დედოფალი დედა თამარისა და მოქცევასა წლისასა იქმნა განსხნა გლოვისა; არამედ მეფობდა ესე გიორგი კეთილად, რამეთუ რომთა და ბერძენთა მეფენი მეგობრობდნენ, სპარსნი და არაბნი სძლვნობდნენ და ძრწოდნენ. გარნა მოკლედ სთქვა ქება ამის აღმწერელმან, რამეთუ წილის გიორგის შედარებით, უკეთუ მან ერთი მოკლა კუმაპი, რაოდენ ამან კუმაპთა უბოროტესნი წარმართნი მოსრნა; არამედ შემდგომად აღირჩია ზეციერი საწუთროჲსა ამისგან და გარდაიცვალა მსგეფსსა ვნებისასა, წელსა 1174, ქართულსა 394 [1] (1184 წ. *Addit.*, 246). ამას იგლოვდნენ კათალიკოსი მიხაილ, ეპისკოპოსნი და დიდებულნი ყოველნი.

## მეფა თამარ [2]. (1184—1211 ანუ 1212).

დაჯდა ასული გიორგი მეფისა თამარ მეფედ. ხოლო გარდასხდა რა ჟამი გლოვისა, შემოიკრიბნენ ნიკოფსიით დარუბანდითურთ კათალიკოსნი, ეპის-

1. ასეა ქ.-ცხბაშიაც: „მიილო სიკვდილი მასვე მსგეფსსა ქრისტეს ვნებისასა ქკონსა ტუჯ“ (გვ. 276). ბროსე სთარგმნის ფრანცუზულად: *une semaine après la passion* „კვირიაკესა ვნების შემდეგ“, თუმცა მსგეფსის მნიშვნელობას ჰხსნის სამართლიანად, შ ვ ი დ ე უ ლ ა დ (*H. de la G.*, I, 401, n. 3). მსგეფსი ძველს მწერლობაში ხშირად შეგხვდებათ; მაგალ. „ესრედ მსგეფსამდის (შვიდეულამდე) იყო სიხარული“ (ქ.-ცხ., I, 285); „და დაჰყვეს მუნ მსგეფსი ერთი“ (იქვე, 303); „მემსგეფსე და მეტრაპეზე“ (რკონის მონასტრ. გუჯარი XIII საუკუნისა); „ყოველსა მსგეფსსა შინა ორს დღეს ჟამსა სწირვიდეს“ (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 5, გვ. 40); „ამის მეტსა არას გნუკავ, წელიწადსა ერთსა მსგეფსსა აქავ ქვაბსა მომნახვიდე“ (ვ ე ფ ხ.-ტ ყ ა ო ს., ოთხ-ტაეპი 929).

2. მ ე ფ ა   თ ა მ ა რ. ასე უწოდს ვახუშტი თამარს და ჩვენც ვტოვებთ ამ ფორმას; მაგრამ რადგანაც ქართული ენის თვისება არ მოითხოვს მდედრობითის სქესის ფორმას, ამის გამო იგი არ იხმარება არც ქ.-ცხბაში, არც საზოგადოდ ძველს ჩვენს მწერლობაში, გარდა ძველის მცნებისა. აქ მიღებულია თუ არა ეს ფორმა ბერძულის ენის მიბაძვით მთა-წმინდელთა მამათაგან XI საუკუნეში, როდესაც ქართული სამღთო წერილი შესწორდა მათგან; ჩვენ ამაზე დარწმუნებით ვერას ვიტყვით, რადგანაც მაშინდელი ივერიის მონასტრის მანუსკრიპტი ძველის მცნებისა ჩვენ არ გვინახავს. ჩვენის მოაზრებით მდედრული სქესის ფორმა XVIII საუკ. შემოღებული უნდა იყოს, რადგანაც ერთი ესა, რომ მდედრული ფორმა იშვიათია თვით ძველ მცნებაში და მეორეც ესა, რომ XI საუკუნის ნამუშავარს სახარებაში მას სულ არა ვპოულობთ. ამ ფორმას ხმარობენ საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში (მაგალ. სხვათა შორის: „იგი კაცისათვის ითქმის და იგიაჲ დედა-კაცისათვის)“ და ანტონი I კათალიკოსი (Brosset, *L' Art liberal*, Paris, 1834, p. 145).

აი თვით ის ადგილები ძველის მცნებისა, სადაც მდედრის სქესის ფორმა გვპოვეთ: „და ყრმა ვითარცა უფალი და მხევალი ვითარცა უფალა“ (ისაია, 24: 2) „შემდგომად გამოსვლისა იექონია მეფისა და მეფაჲსა“ (იერ. 29: 2); „ებრაელი და ებრაელაჲ“ (იქვე 32: 9); „და დაუტევებდეს ყრმებად და ყრმაჲბად“ (იქვე 32: 12); „უკუ-

გოშოასნი, დიდებულნი დ აკურთხეს 24[1] თამარ მეფად; მერმე განსცა საუნჯე გლახაკთა და დავრდომილთა ზედა; კვალად აღავსნა სპანი საბოძვრითა. ხოლო ყუთლუღ-არსან მისტაცა სპასალარობა ყუბასარს, რომელი განდიდებულ იყო ფრიად მეფეთაგან და სნეულებდა ასოთა მოღებითა ფილენჯისაგან და იტყოდა ყოველისა ამის დაკლებასა და სხვათა მრავალთა დამდაბლებასა, რამეთუ არიან უამზნონი. კვალად ინება ყოველისა საქმისა თვით განგებად და მერმე თამარის მოხსენებად და ენებოს თუ არა ენებოს, თამარმა დაამტკიცოს. ამისმა არა სათნომყოფელმან თამარმან შეიპყრა ყუთლუღ-არსან და არა რაჲ დააკლო შესმენილთა მათ სხვათა, ამისთვის განდგნენ მიმდგომნი მისნი და სხვანიცა დიდებულნი; არამედ თამარმან სიბრძნითა თვისითა დაამშვიდნა და დაიმორჩილნა ყოველნი, ვითარცა მოსწყვიდეს კახაბერის ძეთა ანტონი ჭყონდიდელის ორნი ძმანი; არამედ თამარმან შეიპყრნა იგინი და შესხნა ციხესა; შემდგომად წარგზავნა მაკედონიას და მუნ მოსწყდენ ბრძოლასა შინა. ამისა შემდგომად ჰქმნა კრება დ ყოველნი შეშლილნი განაგდეს დ დაამტკიცეს მართლ-მადიდებლობაჲ; ხოლო მოკვდა ყუბასარ სპასალარი და მისცეს სარგის მხარ-გრძელსა (სპასალარობა).

არამედ ხელის-უფალნი თამარის პირველ მეფობასა ესენი იყვნენ: სპასალარი სარგის მხარ-გრძელი; მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი; მეჭურჭლეთ-უხუცესი კახაბერ ვარდანიძე; მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი; ჩუხჩარახი მარუშის ძე[2]; ამილახორი თორელი გამრეკელი; და ერისთავნი ესენი: ბარამ ვარდანის ძე სვანთა; კახაბერი კახაბერის ძე რაჭისა; დაღათო შარვაშის ძე აფხაზთა; ამუნელის ძე ცხომისა; ბედიელი ოდიშისა; ლიხთ-იმერ ამერთა რატი სურამელი; ბაკურ ძაგანის ძე კახეთისა; გრიგოლის ძე ასათ ჰერეთისა; ბოცო ჯაყელი სამცხისა დ სპასალარი

ქცევითა კაცადისაგან ყრმისა თვისისა და კაცადისაგან ყრმაჲსა თვისისა... და დაიმორჩილეთ იგინი ყრმებად და ყრმაებად“ (იქვე, 32: 15); „დედა შენი ქეტტელა“ (ეზეკ. 16: 3); „დედა თქვენი ქეტტელა და მამა თქვენი ამორეველი“ (იქვე, 16: 46); „და დაჲ შენი სოდომაჲ“ (იქვე, 16: 55); „და მომყვანებელნი მისნი და ჭაბუკაჲ“ (დან., 11: 7); „და იგიაჲ აღვიდოდა“ (ნაუმი, 9: 7); „სხდენ მოხუცებულნი და მოხუცებულანი“ (ზაქარია, 8: 4).

1. „მეფა თამარმა 27 წელი იმეფა. ეს ქორონიკონი აქ წერილის 24 თამარის მეფობის ამაღლობასა და ალექსი ანგარის პოვნილის და ლაშას 8 წლის გამეფების ქორონიკონსა ზედა ქმნულ არს, რომლისა მეფობა იქმნება 27 წელი იმით, რომელნიცა ცხოვრებაში ქორონიკონნი სწერიან დიმიტრისა და გიორგისა და რომელნიცა ჩვენ მისის მიცვალების ქორონიკონი ვპოვეთ ქართული 421.“ ვახუშტი.

აქედამა ჩანს, რომ ვახუშტი, როგორც შემდეგაც ვნახავთ, თამარის სიკვდილის დროს უჩვენებს 421—1201-ს; მაგრამ ეს ცხადი შეცდომაა. ამ შეცდომის საბუთს თავის ადგილს მოვიხსენებთ.

2. ეს მარუშიძე უნდა იყოს შთამომავალი იმ ქართლის ერისთავის იოანე მარუშიძისა, რომელმაც დიდად დაავალა ჩვენი ტომი: იმის მეცადინეობით შეაერთა დავით კურაპალატმა ქართლი და აფხაზეთი ერთ სამეფოდ (ქ-ცხ., 205).

მჟნებურთა სხვათა ერისთავთა[1]. შემდგომად წელიწადისა იყო შფოთი და განსჯანება და არავინ იყო წინა-აღმდეგი, არამედ შემოკრბნენ ყოველნი სამღვდელონი და დიდებულნი და მოახსენებდიან, რათა იქორწინოს თამარ; ხოლო მეფესა არა ენება, გარნა არცაღათუ ვინ იყო შესატყვისი მისი, უკეთუ ალექსი ნათესავი მამულით კეისრისა (რომელი აქა იყოფებოდა)[2], მას იტყოდნენ, არამედ თამარ უბრძანებდა დაცადებასა, რამეთუ იყო თამარ ფრიად უმეტეს ზესთა შვენიერებით აღმატებული და საღმრთოთა მოშაკობითა წარმატებული, რამეთუ ლოცვა-მოწყალებათაგან განზავებული ხელითაცა თვისითა იქარგოდა, კვართსაცა ესე, რამეთუ იხილა სიზმარ სახლი შვენიერი და საყდარი აღმკული; წარვლო, რათა დაჯდეს მას ზედა, არამედ აყენებდნენ მსახურნი; ეტყოდა თამარ: „ვარ მეფე; უკეთუ ჩემდა არა ჯერ არს, ვისი არს საჯდომი?“ ეტყოდნენ: „არს მოჯალაბისა შენისა, რომელმან ათორმეტთა მღვდელთა შესამოსნი წირვისანი თითოთა თვისითა მატყლისაგან სთული უქსოვისა“. განიფრთხო რა თამარ, მოუწოდა მოჯალაბესა და მან აღიარა ჭეშმარიტ-ყოფად; მაშინ თამარმაცა იწყო სთვლად და აღასრულა ეგრეთვე და შემოსნა მღვდელნი. ამის მიერ იცნობების სათნოება; ხოლო მეშუნვარეთა დიდებულთა ვერ მპოვნელთა საქმროისა თამარისათა წარმოუდგათ კაცი ვაჭარი ტფილისელი მეტყველი: „მე საქმრო უწყი შესატყვისი თამარისა, რომელი არს სვაჯა ქალაქსა შინა ყივჩაყეთს, ძე რუსთა მეფისა[3], ბიძისა თვისისაგან ვსევოლოდის მცირე ექსორია ქმნილი და აწ ასაკითა სრული“. მსმენელთა მსწრაფლ წარავლინეს ვაჭარი იგი და მოიყვანეს; ხოლო იყო ესე ხილვითა შვენიერი და ახოვანი; სთნდა ყოველთა და აწვევდნენ თამარს ქორწინებად, არამედ თამარი იტყოდა: „უკეთუ შვენიერ არს, გარნა განიცადენით შინაგანნიცა შვენიერებანი“. ხოლო იგინი მიზეზ უყოფდნენ უმე-

1. აქ ხსენებულნი: ვარდანისძე, კახაბერისძე, შარვაშისძე, ბედიელი, ბოცო ჯაყელი არიან წინაპარნი შემდეგის საუკუნოების საქართველოს მემკვიდრეობითთა მთავართა: თვით სვანეთის გარდანიძეთაგან შთამომავლობენ გურიის მთავარნი გურიელნი. ეს საგანი თავ-თავის ადგილს გარკვევით იქნება ნაჩვენები.

2. „ხოლო სხვანი აწვევდეს ალექსის მოყვანასა ქმრად, რომელი ახლოს თვისობდა და მამულად მამის ძმის-წული (?) იყო მეფისა“ (ქ-ცხ., 285). ბროსე შეჰნიშნავს: „ანდრონიკს (ნახე ზემოდ გვ. 192, შენ. 3) უნდა დაეტოვებინა საქართველოში შვილი ალექსი, რომელიც მას ჰყვანდა იერუსალიმის იმპერატორის ბალდუინის ქვრივის თეოდორასაგან. იყო კიდევაც სხვა ალექსი, შვილი მანუელისა, იმავე ანდრონიკის შვილისა; მაგრამ იმ დროს, რომელსაც აქ შევეხებით, ეს ალექსი ძალიან ყმაწვილი უნდა ყოფილიყო. თამარის თვისტომობაზე ანდრონიკის შვილთან უნდა მოვიგონოთ, რომ დავით აღმაშენებელის ქალი და თამარის პაპის და კატა ჰყვანდა უფროს შვილს ნიკიფორე IV ბრიენისას და მის ცოლის კომნენთაგანისას“ *H. de la G.*, I, 413, n. 1.—ნახე აგრეთვე ზემოდ გვ. 178, შენ. 3).

3. „რუსეთი არს პირველი ნოვგოროდისა და მერმე მოსკოვის სამეფოდ“ ვახუშტი.

ობასა და ითხოვდნენ წინამძღვრისა იპათისა და აძრუებდნენ ყოვლად ამისსა. გარნა თამარს ვერ დაჰყარნეს; მერმე დაიმოწმეს დედოფალი რუსუდან, მამიდა და გამზრდელი თამარისა და იმას ესმინა თამარ და ჰქმნეს ქორწილი შემსგავსებული მათი წელსა 1177, ქართულსა 397[1]. მაშინ იწინამძღვრეს რუსი მეფე გიორგიანთა, ილაშქრეს ქვეყანასა კარისა და კარნიფორისასა, მოარბიეს და მოვიდნენ გამარჯვებულნი[2]. არამედ პირველვე მოვიდნენ თურქნი გელაქუნისანი და მოარბიეს პალაკაციოს ძალის-სხვად წოდებული. ამათ ეწიათ გამრეკელი გასას მე მცირითა სპითა, მოსწყვიდნა და მოიღო ამალანი[3] წინაშე მეფისა. ამასვე დროსა კარნუ ქალაქსი, შამელნი თურქ-გარმიანელნი ცხენოსან-ქვეითნი მოვიდნენ და აღიღეს შავშ-კლარჯნი. შეიკრიბნა გუზან ტაოელმან მის ქვეყანისა ლაშქარნი. ამას მიეწრნენ მესხნიცა და მათ მარბიელ გაშვებულთა შეებნენ ესენი. მისვლა-

1. ქართული წყარო არ იხსენიებს სახელს თამარის რუსის ქმრისას; ვარდან დიდი სახელ-სდებს მას შეცდომით სოსლანად (*Всеобщ. исторія*, стр. 162). სტეფანე ორბელიანის თქმით იგი იყო რუსეთის მთავრის შვილი სახელით გიორგი (*H. de la Siounie*, I, 221—222). კარამზინის თავის „რუსეთის ისტორიაში" შემოაქვს ქ-ცხბის ცნობა თამარის რუსის ქმარზე და თავის მხრით ამტკიცებს იმასაც, რომ „ტფილისის დიდებულის აბულასანის შეამდგომლობით მიწვეული თამარის მეუღლედ იყო რუსეთის დიდის მთავრის ანდრია ბოლოლიუბსკის შვილი გიორგი, ვსევოლოდის მიერ განდევნილი ყივჩაღეთში ანუ პოლოვცების ქვეყანაში და აქ იგი სცხოვრებდა ხანთან სვინჩის ქალაქში (*Addit.*, p. 290). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მაგალითი საქართველოს ამ გვარის კავშირისა რუსეთთან თამარზე უწინაც იყო. რუსის ისტორია უჩვენებს 1154 წელს ქორწინებას რუსეთის დიდის მთავრის იზიასლავ მსტისლავიჩისას აფხაზეთის მეფის ქალზე, თუმცა ამ გარემოებას ქართული წყარო არ უჩვენებს და არ ვიცით, ვისი ქალი უნდა ყოფილიყო იგი, თუ კი რომ ჭეშმარიტია ეს შემთხვევა. ამ საგანზე და საზოგადოდ თამარის რუსის ქმარზე და სვინჯზე, საიდამაც მოწვეულ იქმნა საქართველოში ანდრია ბოლოლიუბსკის შვილი ნახე ვრცელი განხილვა ბროსსესი *Addit*-ში., 288—296). რომ რუსეთში ყოფილა გავრცელებული ზოგი-ერთი იმ დროს ისტორიული ცნობები საქართველოზე, რომელიც ქ-ცხბის თქმულებას ეთანხმება, ამას გვიმტკიცებს, სხვათა შორის, რუსთა მეფის იოანე გროზნის მიერ თავის ჯარისადმი მიმართული სიტყვა, რომლითაც იგი ამხნევებს მას, როდესაც ყაზანის ქალაქს მიადგა, თამარ-დედოფლის მაგალითით, თუმცა თამარს იგი უწოდს დინარად: „Слышасте иногда Божию бывшую великую милость и пречистыя Богородицы помощь, яко премудрая и мужеумная царица иверская сотвори и колику побѣду показа на небожныхъ персѣхъ და სხვა. ბროსსეს განმარტებით იოანე გროზნის სიტყვაში იგულისხმება შამქორის აღება 1203 წელს და არდებილის აღება 1209 წელს, (*Mél. Asiat.*, t. I, p. 563—583).

2. ამ შემთხვევას ვარდან- და სტეფანეც იხსენიებენ. სტეფანე ამბობს: „გიორგი რუსმა დაიპყრა ქალაქი დევინი და მოკვდა მცირე ხანის შემდეგ" (Варданъ Великій, *Всеобщ. исторія*, 162 და *H. de la Siounie*, I, 222).

3. ა რ მ ა ლ ა ნ ი, საბა ორბელიანის განმარტებით, ძღვენი. „მიუტანოთ არმალანად, დაგვიმადლებს მეტად დია" (ვეფხ-ტყ., ოთხ-ტაეპი 1125). უთხრეს: „ჯერ ჟამად არა გვაქვს სხვა შენთვის არმალანია" (იქვე 1376).

საყუ აოტნესა მოსწყვიდნეს და მოიღეს ნატყუენავი წინაშე მეფისა. შემდგომად წარვიდა მხარგრძელთა სარგისის ძე და ილაშქრა დვინს, მოსწყვიდნა და წარმოიღო ალაფითა. ამათ უწინარეს ლაშქარნი დვარელნი, სურმანელნი, მიექცნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი; შემდგომად აოტნეს, მოსწყვიდნეს და შემოიქცნენ გამარჯვებულნი. კუალად ლაშქრობდნენ ქვემონი ქვემოთ და ზემონი ზემოთ და შუანი შუათ და ყოველგან იყო წინააღმდგომი, რომელთაცა არა სძლიან გიორგიანთა. შემდგომად შეიკრიბნა მეფემან სპანი და მიჯნართა დვინად, მოაოხრა ქუეყანა მათი, წარუხუნა ქალაქნი და წარმოიღეს საუნჯე დიდი და მოვიდნენ წინაშე თამარისა. ხოლო ყოვლად მოვიდოდიან ქვეყანასა თვისსა იმერ-ამერსა, ზემო-ქვემოთა, ნადირობდიან და განისვენებდიან. შემდგომად შემოიკრიბნა სპანი მეფემან და მიჯნართა გელაქუნის სიმრავლეთა თურქმანთა, მოსწყვიდნეს თურქობა და წარმოიღეს ნატყუენავი დიდი. მაშინ მოვიდიან ყოველნი თურქობა შამელთა რუსტომ და იაღლუზ-ალდეგისთა; შეუიქცნენ ქართველნი და ბრძოდეს ძლიერად. აოტნეს და მოსწყვიდნეს სიმრავლე მათი და შემოიქცნენ წინაშე თამარისა მხიარულნი. მერმე აწვია ძმათა გრიგოლის ძეთან და ჭყვეს ლაშქრობა დიდი განძას, ქვემორე ბაღდადიდს რანისა პირს, ზემორე მასისამდე კარდახნ დაიპყრეს, ოთხთავე მხარ-გრძელთა[1] და დიდებულ-აზნაურთა და ძლიერად გამარჯვებულნი და ალაფითა დიდითა შემოიქცნენ. ხოლო ესენი ქარედ; არამედ არა მრავალთა დროთა მიიღო აღსასრულად უარ-იქმნაცა თამარისამან, რამეთუ იყო რუსმან მან სიმთვრალე, სიღოდა[2] და მრავალთა უგვანთა ქმნა. ამას იძულდა თამარ მწვრთნელი რუსისა განშვენებად უგვანოთა წყლისა ორისახურისა; გარნა განცხადდა ბოროტი მისნი თვინიერ თამარისა, ამის მცნობელთა სამღვდელოთა და დიდებულთა შეუძლეს და სრაცხეთ იქმნეს თამარისაგანცა. არამედ თამარ ეტყოდა წვრთნასა მისსა და

1. გარდან დიდის თქმით, ამ დროს ცხოვრობდნენ განთქმულნი მთავარნი: ზაქარია და ივანე, სარგისის შვილნი, ქურთის შთამომავალნი, რომელთაც განსაკუთრებით ისახელეს და თამარ დედოფალმა დაუსაკუთრა მათ ლორი. მცირეს ჟამს იმათ მოჰგლიჯეს თურქებს მრავალი ციხე-სიმაგრე და თემები, სახელდობრ 645—1196 წ. ანბერდი, 648—1199 წ. ანი, 650—1201 წ. ბჯნი, 652—1203 წ. დვინი, 655—1206 წ. ყარსი და შემდეგ გეთაბაქსი და ჩარექი" (*Всеобщ. история*, 169). ეს ორნი ძმანი არიან მხარ-გრძელნი. იმათ შთამომავლობაზე და სახელგანთქმულს მოღვაწეობაზე ნახე ვრცელი ცნობები *Addit.*-ში, 266—288, 358—367.

2. „სიღოდა (გალატელთა, 5: 21)." ესე არს მთვრალისა მიერ ხუმრობა, მასხარობა, ზეელვა, სიმღერა, როკვა, გინა სამეძაოთა ტრფიალებათა აღსაძგრელი რაქმენი, გინა ღვინით ცნობის მიღებით ხმოვანება, უკადრი და უშვერი, გინა მემთვრალეობისათვის ვალის ალება, სიღოდანი იგიგე; ხოლო ზეელვა არს მოკიცხარეთაგან სხვის მსგავსად საუბარი და სხვასაგვით ქცევა და სიცილი და მისთანანი; ხოლო მთრინველნიცა არიან მზველავნი, ვითა ზორავი, რომელი არს თუთიყუში, ჩხიკვი, კაჭკაჭი, ციდა-მეტყუელი, რომელ არს მაიმუნი და სხვანი ეგე-ვითარნი". დავით რექტორი.

განყენებასა უჴეროჲსაგან; ხოლო რუსმან არა ინება, გარნა ეგო უკურნებელად. შემდგომად მოუწოდა თამარ კათალიკოსთა[1], ეპისკოპოსთა და დიდებულთა და ეტყოდა რუსსა წინაშე ყოველთასა: „უკეთუ გებრძანების არა განყენებად მეუღლისაგან, არამედ ბრძანებულცა არს არა შეგინებად ტაძარი ხორცთა და ოდესცა გსცან ესე, არღარა შემიგინებიეს ტაძარი; გარნა თუ განეყენოს უსჯულოებასა, ვეგო მისთანა; ხოლო უკეთუ არა, აჰა მტკერი ფერხისა განვიყარო მისგან“ და წარვიდა თამარ; ხოლო რუსი იგი რაოდენ სწვრთეს, არა ინება განყენებად უკუნურებისა; არამედ განეხვა მშვენიერებისაგან თამარისა და განაძეს იგი სიკვდიდ დასჯილი წელსა 1180, ქართულსა 400[2]; გარნა თამარ მოწყალებით მიუბოძა ოქრო მრავალი, შთასხეს ნავსა და განუტევეს და მივიდა კოსტანტინეპოლედ.

ხოლო ამისა შემდგომად უმეტეს წარემატებოდა საქმენი თამარისნი ძალითა ზეგარდამოჲთა. ამას სძლვნობდიან მეფენი აღმოსავლეთ-დასავლეთისანი და მეტრფედ ექმნენ მრავალნი, რამეთუ მოვიდნენ ოვსთა მეფენი ძმანი ორნი, შვენიერებითა და ახოვნებითა წარმატებულნი და ჭაბუკობისა მინდობილნი და ბედისა მეცადნენი, უკეთუ ინებოს რომელიმე თამარ ღ ღირს-ექმნენ მისსა; არამედ უქმ-იქმნა წადილი მათი და წარვიდნენ; ერთი მათგანი მოუთმენელის სურვილისა სენითა მოკლა ნიქოზს და დაფლეს მუნ ეკლესიასა შინა და კვალად თვით ემმანუილ კეისრის ძე, არა თუმცა ანდრონიკეს მოეწყვიდნა, კვალად ასურასტანისა, შუა-მდინარისა, ანტიოქიის მეფეთა ძენი და სულტანი ყიზია არსლანის ძე[3], რომელი მამისა მიერ შეპყრობილ იქმნა სჯულისა დატევებისათვის. კვალად სალდუხის ძის ძე მუტაფრადინ[4] ურჩ-მეოფელი მშობელთა და დამგდები მაჭმედის სჯულისა, მოვიდა მრავლისა დიდებითა მეტრფედ თამარისა; ისტუმრა და პატივ-სცა მსგავსი მათი. შემდგომად მტირალმან არა ღირს-ყოფისა თამარისმან შეირთო ხარჭისაგან ნაშობი მეფისა; უქმნეს ქორწილი და დიდითა ნიჭითა წარგზავნეს. კვალად მოვიდა დარბაზო-

1. სადაც კათალიკოსის მაგიერ ხსენებულნი არიან კათალიკოსნი, იქ, ჩვენის მოსაზრებით, უნდა იგულისხმებოდნენ საქართველოს კათალიკოსი და დიდის სომხეთის კათალიკოსი, რადგანაც საქართველოს ეკლესია ორ საკათალიკოსოდ დაიყო შემდეგ საუკუნოებში.

2. ვახუშტის გამოანგარიშებით, რუსის შეუღლება თამართან მოხდა 397—1177 წ., განდევნა-400—1180 წ.; ბროსსეს გამოკვლევით კი პირველი უნდა მომხდარიყო 1187 წ., „სამის წლისა შემდეგ თამარის გამეფებისა“ (1184), მეორე—1192 წ. (*H. de la G.*, I, 413, n. 3, 417, n. 1).

3. ყიზილ-არსლანი, ბროსსეს აზრით, უნდა იყოს ილდიგუზის შვილი, რომელმაც 1186 წ. მთელი მფლობელობა მამისა დაიმკვიდრა ადერბეიჯანში (*H. de la G.*, 418, n. 1).

4. სალდუხი იჯდა კარინში. მუტაფრადინა უნდა იყოს მოღჰაფფერ-ედ-დინი (*H. de la G.*, 418, n. 3).

ბჲსა სახითა შარვან-შაჰ აღსართან მეტრივედ (რომელი ეყოდა თამარს დავითის ძეობით), ინება დატევება სჯულისა, თუმცა ჰწოის ნებასა თჳსსა; არამედ უქმ-იქმნა წადილი მისი, რამეთუ ეტყოდნენ არღარა თქმასა და წარვიდა მწუხარე ნიჭითა.

ხოლო აწ ამიერიდგან იწყების საქმენი თამარისანი, რამეთუ ვითარცა ღრმა ტოტთაგან, ეგრეთ თამარ საქმეთაგან იცნობების, რომელმან შემუსრნა და მოხარკე ჰყვნა გარემონი მეფენი; არამედ წარჩინებულნი მისნი ჰშურვიდნენ უმჯობესა მისსა; გარნა მაშინ ჰპოვეს ყრმა ეფრემის მისაგან ოვსთა მეფისა, რომელი აღეზარდა რუსუდანს მამის-დასა თამარისასა. არამედ ესე დავით იყო მეფის გიორგისა ძის დიმიტრისაგანი, რომელი წინათვე ვახსენეთ; რამეთუ დიმიტრის ანაკოფიაის ციხესაზედ დასხდა ძე და ივლტოდა ზებითი ოვსეთს; მუნ შვილებულმან იქორწინა ოვსთა მეფის ასულსა ზედა და ძე ესე მისა ოვსეთს მყოფი მამულით იწოდა მეფედ ოვსთა და ძის-ძე დიმიტრისა და ამ დავითის მამა შერთეს რუსუდანს, რომელმან შეიყვარა ქალწულება 80 წლისა დღეთა; ხოლო ესე ნუ გიკვირნ, რამეთუ ორნი ესე რუსუდან დანი იყვნენ[1]: თამარის გამზრდელი ხვარასნის სულტნის ცოლი იყო და და მისი რუსუდანვე შემყვარე ქალწულებისა ოვსთა მეფის ძალი იყო; ორნივე დანი იმყოფებოდნენ სახლსა თჳსსა; ხოლო ქმარისა ამისსა სხვას ცოლთან ესვა ძე დავით რომელი წარმოიყვანა ამან რუსუდან და აღზარდა მედ თჳსად; არამედ ეყოდა თამარს დედით, რამეთუ დედა თამარისა ოვსთა მეფის ქალი იყო, რამეთუ დედით მესამე ნათესავი იყო; ხოლო დიმიტრით მეხუთე და იყო წარჩინებული შვენიერებითა და ახოვნებითა და სამღთო-სამხედროთი სრული[2]. ინებეს ამისა შერთვა თამარისა და ჰკადრეს რუსუდანს; ხოლო მან სიხარულით ესათნო იყო და მოახსენებდნენ თამარს: „უკეთუმცა არა ქმრისა სათნო იყო, არამცარა მოჩენილ იყო ყრმა ესე, რამეთუ რაოდენნი მეტრივენი გამოჩენილ იყვნენ და არა ინება ღმერთმან". მცნობმან თამარ ამის ყოვლისავე ნება სცა და ქმნა ქორწილი სახლსა დიდუბისასა დიდებითა დიდითა; მერმე შემოვიდნენ ტფილისს

1. მეორე რუსუდან სრულებით არ არის ცნობილი და არა ჩანს, სად ჰპოვა ეს ცნობა ვახუშტიმ. ამ საგანზე და საზოგადოდ დავით სოსლანის შთამომავლობაზე, იხილე ბროსსეს აზრი *H. de la G.*, I, 421, n. 1.

2. „ხოლო დაიდუმა მწერალმან დავითის დიმიტრის ჩამომავლობა, ვინადგან არღარა ნათესავ იყო თამარისა; არამედ ამისთვის ახსენა დედით, ვინადგან უახლოეს იყო; გარნა წერილი მუნვე აცხადებს დავითს დიმიტრის ძეობასა. განზრახვითა დიდებულთათა, ნებართვითა თამარისათა, რადგან ბაგრატიონობა სცნა, არღარა უარ-ჰყო თამარ, ვითარცა სხვანი ყოველნი და მოწამე არს მისი მცირე ეკლესია ქარსნის ხევსა შინა, სადაცა დახატულ არიან და დაწერილნი ზედ დიმიტრი მეფე; ხოლო ძე დავითისა ათონ, ძე ათონისა ჯადარონ, ძე ჯადარონისა სოსლან დავით რომელი იყო ქმარი თამარისა; არამედ ეფრემის ძეობა ნუ გიკვირს, ვინადგან ოვსეთს მკვიდრობდნენ მუნებური გვარი ახსენა და არღარა ბაგრატოვნობა". ვახუშტი. ხე შთამომავლობისა ნახე *H. de la G.*, 421, n. 1.

აქ, ჩვენის ფიქრით, ვახუშტი უჩვენებს ნარის ეკლესიას და იმის წარწერას, რომელნიც ჩვენ მოვიხსენეთ ზემოდ. ნახე 91, შენ. 1. ვახუშტ. გეოგრ. 446.

და დასხდნენ ტახტსა ზედა წელსა 1181, ქართულსა 401[1]. შემდგომად მოკვდა კათალიკოსი ქართლისა და ჭყონდიდელი მწიგნობართ-უხუცესი მიხაილ; დასვეს თეოდორე კათალიკოსად და ჭყონდიდელად ანტონი, რომლისათვის მიხაილს მიეტაცა ჭყონდიდელ-მწიგნობრობა. ესე იყო გარეჯელი; გარნა ქება ანტონისა არღარა მოვიხსენოთ, რამეთუ ქმნილნი მისნი სწამებენ ეკლესია-მონასტერთა ზედა.

შემდგომად მოიწია რუსი იგი გარნუ-ქალაქს. პირველად მიერთო მას კლარჯეთის ერისთავი, მერმე მესხნი და ლიხს-იქითნი: მოიყვანეს და დასვეს ქუთაისს. ესე საკვირველი! რამეთუ რომელნი უმეტეს განდიდებულ იყვნეს თამარის მიერ, მათ ჰყვეს ესრეთ. ამისმან მცნობმან თამარ მოუწოდა ქართველთა, ჰერ-კახთა, სომხითართა და დაარწმუნა მათგან ფიცითა მლიერითა არა შეერთებად მათთანა; გარნა კათალიკოსი აფხაზეთისა და ქუთათელი არა შეერთებულ იყვნეს ზრახვასა მას ბოროტსა და იყვნეს წინაშე თამარისა და წარავლინნა ესენი მათდა არა ყოფად ზრახვისა მის; არამედ მათ არა ინებეს და გარდამოვიდნენ, მოსტყვენეს ნაჭარმაგევი ცორამდე; ხოლო დადიან-ბედიელმან გარდავლეს რკინის-ჯვარი და დაწვეს ოძრხე; ჰლამოდნეს აღებად ჯავახეთისა, თრიალეთისა, სომხითისა და მოსვლად თამარსა ზედა. მაშინ თამარ უბრძანა ამირ-სპასალარსა გამრეკელსა[2], თორელს და სპათა თვისთა მიშველებად ჯავახეთს, რათა განამხნოს იგინი მინდობითა ღვთისათა; წარავლინნა ესენი და მიეგებნენ მათ ორთავე კრებულთა მტკვარსა ზედა და ერთგულნიცა თამარისანი მესხნი, ვინცა იყვნენ, მიერთვნენ მათ და შეიბნენ ხიდსა ზედა, არამედ წყალთა შუალობამან სილამით განჰყარნა. გარნა სცნეს რა სიმხნე-მომჭირნეობა სპისა თამარისა მათ, უკუ-იქცნენ იგინი სიმაგრეთა; ხოლო მათ არა დაცადნეს და მიჰყვნენ განგებითა ზეგარდამოჲთა; განსდნენ რა ხიდსა, ვერღარა დაუდგნენ; ხოლო ლტოლვილნი მივიდნენ მდინარესა ხინგისასა ერუშეთს და თმოგვს შუა, მიჰყვნენ და მუნ ჰყვეს ბრძოლა, რომელი ხვდებოდა იმიერ-ამერთა ჭაბუკობასა; ვითარცა მგელთა გოლიათთა ჰკლვიდეს სპათა თამარისათა და მოსწყვიდნეს და ტყვე ჰყვნეს მრავალნი; არამედ იხილე შეწევნა ღვთისა, რამეთუ არა დააკლდა კაციცა ერთი სპათა თამარისათა; გარნა დაიჭრა იოანე ძე სარგისისა და არღარა სდევნეს, რათა არა დამკლე ქმნას თამარს ბრწყინვალესა და შემოიქცნენ მხიარულნი წინაშე თამარისა. ხოლო სცნეს ესე შაბურ, ჰერ-კახთა დიდებულთა და უკვნაუ-ოკსთა ქართლს მეფეთა, რომელთა ენებათ თამარის თავს დასხმა; ხოლო ამის გამო ვერღარა იკადრეს, არამედ ითხოვეს წინააღმდგომთა ზედა ლაშქრობა და ნება ჰსცა თამარცა; და შემ-

1. ბროსსეს გამოკვლევით, დავითისა და თამარის ქორწილი მოხდა 1193 წ. (*H. de la G.*, I, 422, n. 3).

2. ამირ-სპასალარი გამრეკელი, გამოჩენილი პირი გიორგი III დროსვე. ამ გამრეკელს იხსენიებს თვით სტეფანე სიუნელი „დიდ გამრეკელად“ (*H. de la Siounie*, I, 218).

დგომად სპათა თვისთა მიანიჭნა ურიცხვნი საზომვარნი და ღირსთა ქალაქნი და ციხენი; არამედ მერმე განდგომილნიცა რომელნიმე ყელ-თოკოსანნი, რომელნიმე მხარ-გრძელნი, ზოგნი ბიძა-ძმათა მკვლელნი განდგომილებისა ამისთვის, მოვიდნენ წინაშე თამარისა შენდობისა მთხოვნელნი და ფიცით აღმთქმელნი შუამდგომელობითა რუსუდანისათა; ხოლო თამარ მიანიჭა მათ შენდობა და ითაყვანნა ნაჭარმაგევს მდგომმან, გარნა რუსი კვალად განუტევეს. არამედ შემდგომად კვალად იყო შვება, განცხრომა და განსვენება და სადა თუ ილაშქრის დავით, განემარჯვის ყოველთა ზედა. ხოლო მოკვდა გამრეკელი ამირ-სპასალარი და უბოძეს ამირ-სპასალარობა ზაქარიას მხარ-გრძელსა[1]. ამ ჟამს განსდგა გუზან, წარიტაცა კაშლოკანი, ტაო, კარი და ციხენი მრავალნი და წარვიდა ქვეყანასა შაჰარმანისასა. ამისა მცნობმან თამარ წარგზავნა სარგის თმოგველი[2] და აზნაურნი. ამათ მისრულთა მოეგება ფანასკეტელი ზაქარია[3] და კალმახელნი; ხოლო ლაშქარნი გუზანისა მის ცოლ-შვილისა წასაყვანად და აღებად ციხეთა მოსრულ იყვნენ; გარნა თუმცა მცირენი იყვნენ თამარისანი და იგინი 12-დროშოსანნი, არამედ სვითა თამარისათა არა ჰრიდეს და მსწრაფლ მიეტევნენ, მოსრნეს სიმრავლით, აოტნეს და ხელთ-იგდეს ცოლ-შვილი გუზანისა და დაიპყრნეს ციხენიცა ყოველნი და კვალად აგეს სამეფოსავე და მოვიდნენ წინაშე თამარისა. ხოლო ამას წყალობასა შინა ღვთისასა იშვებდნენ; არამედ სჭმუნვიდნენ უნაყოფოებასა თამარისასა; გარნა ჰყო წყალობა ღმერთმან, მიუდგა და შვა ძე გიორგი წელსა 1183, ქართულსა 403 და დაურთეს კვალად ლაშა (რომელ არს განმანათლებელი)[4]; ჰყვეს მადლობა ღვთისა და სიხარული გამოუთქმელი. შემდგომად ერთისა წლისა კვალად შვა ასული რუსუდან. მაშინ სვესა ზედა ლაშასსა გაილაშქრეს ბარდას ქალაქსა ზედა, მოსწყვიდნეს რანი, აღიღეს ბარდა[5], აღავსნენ

1. ზაქარია მხარ-გრძელი, შვილი ზემოდ-ხსენებულის სარგისისა (გვ. 200, შენ. 1), რომლის სიკვდილს ახპატის მონასტრის წარწერა უჩვენებს 1187 წელს (*Addit.*, 267, n. 3).

2. ამ სარგის თმოგველს მიაწერენ „ვისრამიანს“.

3. ფანასკეტელები ანუ უკეთ ფანასკერტელები ძველადგანვე ჭოროხის ხეობის გამოჩენილნი პირნი, რომელთაგან შთამომავლობს ქართლის თავადთ ციცი-შვილთა გვარი. ფანასკერტი და ძველი იმისი დანგრეული ციხე მე თვითონ მინახავს. იქაური ბეგის სახლი ახლაც ციცი-შვილების განაყოფად ჰრაცხს თავის წევრთ.

4. გიორგის შობას ბროსსე უჩვენებს 1194 წელს. ლაშა ქ.-ცხ.-ით, „აფსართა ენითა ითარგმნების განმანათლებელად სოფლისა“ (ქ-ცხ., 298). აფსარი, როგორც ბროსსე ფიქრობს, უნდა უდრიდეს ბერძნულს სახელ-წოდებას აფხაზეთისას აფსილიას (*H. de la G.*, I, 432, n. 1). საბა ორბელიანიც ქ-ცხოვრების თანახმად სთარგმნის ლაშას, თუმცა არ ამბობს, რომელ ენას ეკუთნის ეს ლექსი.

5. ბ ა რ დ ა ანუ ბ ე რ დ ა სომხეთის ქალაქი ტერტერის მდინარეზე, რომელიც VIII საუკ. იყო ალოვანისა მეფეთა დედა-ქალაქი და XII საუკ. ირიცხებოდა ვრცელ ქალაქად არანისა. და იმისი შესადარი ქალაქი არ იყო თვით ირაკში და ტაბარისტანში, გარდა რეისა და ისპაჰანისა (Saint-Martin, *Mém.*, I, 87—88).

ტყვითა და საუნჯითა; გარნა განუტევნეს ტყვენი 1030 დღეგრძელობისათვის თამარისა და ლაშასა. მუნით მოსრულთა მსწრაფლ ილაშქრეს აზრუმსა ზედა კარნუ-ქალაქსა; არამედ იყო მუნ ომთა სიმრავლენი; ხოლო მათნი მეშველნი იყვნენ სურმანელნი, კარელნი, სპერელნი და სალდუხის ძე ნასარდინ[1] ორითა ძმითა თვისითა. ხოლო ცისკრით ბინდამდე იყო ბრძოლა, ჰსძლეს ჩვენითა და წარმოიღეს ალაფი უზომო; არამედ ქალაქ-შინანი იტყოდიან დრკუნითა კბილთათა; „ვითარ ვიძლივნეთ ქრისტიანეთაგან, რომელ აღგვითქვა მაჭმედ ხრმალი". განთიად კვალად გამოვიდნენ ზუგ-ცემათა და ზღუდეთა ქალაქისათა ჰსდგნენ მოისარ-მეშურდულენი. მხილველი მეფე დავით ეწყო სპათა თვისითა, მისვლასავე ჰსძლეს და აოტნეს, შესჯარნეს კართა ქალაქისათა და მოჰსრვიდენ თვისითავე ფერხითა ურიცხვნი და ჰკაცხავდნენ მაჭმედს აღმთქმელსა მათსა ამას თვის. შემდგომად შემოიქცნენ და მოვიდნენ წინაშე თამარისა მძლეველნი ალაფითა დიდითა. კვალად შეკრბნენ და განვიდნენ გელაქუნად, ჩავლეს ხაჩინი[2], ჩავიდნენ ყარაყარს და მიიწივნენ ბალყუნამდე, მოარბიეს და მოსტყვევნნეს; შემოიქცნენ, შემოვლეს კარი განძისა, მუნცა ძლიერი ბრძოლა ჰყვეს, აოტნეს და მოსწყვიდნეს; გარნა ყარყურიდამ შანქორამდე ექვს დღემდის იყო ბრძოლანი; არამედ ესენი ყოველ-ჟამ მძლე ექმნებოდნენ და უკ მოიქცნენ გამარჯვებულნი წინაშე მეფისა. კვალად ლორიდამ წარვიდნენ ორნი ძმანი სარგისის ძენი ზაქარია და იოანე მოარბევად რახსის პირსა, არამედ მოსულიყვნენ ლაშქარსი დვინელნი, ბიჯნელნი და ამბერდნელნი, მკოზრენი მზირვად ქარვასნთა: ამათ ემოხვივნენ საშუალსა გზასა ზედა და იკვეთნენ ფიცხლად. გარნა მცირეთა თამარისთა წარიქცივნეს იგინი, მოსწყვიდნეს და ალაფითა სავსენი მოვიდნენ თამარ ღვთივ დაცულისა თანა. შემდგომად ჰკადრა კაცნის პატრონმან დავითს მორბევა გელაქუნისა[3], სპარსი ბაზირისა და გოლარაულისა, უსმინა და მყის მივიდნენ, მოსრნეს და აღიღეს ტყვენი და ხვასტაგნი[4] ურიცხვნი და სადაცა ლაშქარნი ემთხვივნენ, მოსწყვიდნეს; ხოლო ესე საკვირველი, რამეთუ სულტნის ასპარეზსა შინა იწყეს ასპარეზობად და მუნით შემოქცეულნი მოვიდნენ წინაშე თამარისა; შემდგომად კვალად ექსორია ქმნილი რუსი კოსტანტინეპოლიდამ მოვიდა სპარსეთის ათაბაგისა თანა და მისგან აღიღო რანის ქვეყანა; შეკრებული სპითა მოვიდა და მოარბია კამბეჩოვანის მინდორი და აღიღო ნატყვენავი დიდი. მაშინ ხორნაბუჯელმან სალირ მახატლის ძემან სამითა ძმითა თვისითა განსწირა თავი, მიეწია სპათა მცირედათა, წარიქცივნა და მოსრნა მა-

1. მამა მუცაფრადინისა (ნახე ზემოდ, 201, შენ. 4).

2. ხაჩინი — ახლანდელი ყარაბაღი (S-Mart., *Mém.*, i, 149). ყარაბაღივეა ქართველების რანი და მოვაკანი (*Add.*, 74, n. 4).

3. გელაქუნია სომხის მწერალთა გელარქუნი ანუ სევანგისა თუ გოგჩის ტბის აღმოსავლეთ-სამხრეთი ადგილები; ამისაგამო სევანგის ტბას გელარქუნის ტბად უწოდნენ (*H. de la G.*, I, 429, n. 4.—Saint-Martin, *Mém.*, I, 143).

4. ხვასტაგის მნიშვნელობა ნახე ზემოდ გვ. 38, შენ. 1.

ხვილითა, უკმოისხნა ყოველნი ტყვენი და ნაალაფევნი; გარნა რუსი ივლტოდა ორითა მონითა საძაგელი; ხოლო ესოდენთა საქმეთა ესე უმეტეს საკვირველ, რამეთუ ოდესმე ლომის ბოკვერი წარმოევლინა შარვან-შაჰს და იქმნა იგი დიდ, რომელ არცა თუ კვლური უხილავს ვის. ამან რა ნახის თამარ, იწყის ტირილი და იქმნის მშვიდ, ვითარცა ციცა, მოვიდის და შთაუდვის თავი უბესა და ლოშნიდის; არამედ რა განაშორიან, კვალად იწყის ტირილი; ამისნი მხედველნი მსმენელნი უმეტეს მრწოდიან ესე ვითარისა მხეცისა მომშვიდებისათვის. ამ ჟამებთა მოიკლა ყიზილ-არსლან[1] ათაბაგი და დაშთნენ სამნი ძენი ილდეგანდისნი. ამათ განუყვნა ქვეყანა: უხუცესს სუტლუ ინანჩის მისცა ერაყი, ხვარასანი და ბაბილოვანი, ბუბაქარს-ადრაბაგანი და სომხითი, ამირ-მირს გურგენის ზღვიდამ გელაქუნამდე. არამედ საშუალმან მირ-ბუბაქარ სძლო და დაჯდა სულტანად[2]; ამირ-მირან შეესია შარვანს; შეიბნენ და სძლო მანვე; ხოლო ამათ ულონო-ქმნილთა იზრახეს წინაშე თამარისა მოსვლა მოაჯედ. ამასვე ჟამსა იქმნა დიდი ძრვა, დაიქცა ქალაქი შამახია, მოსწყდნეს ყოველნი მყოფნი მას შინა და ცოლ-შვილნიცა შარვანისნი. ამათ მოგზავნეს დესპანი და მოითხოვეს ასული თამარისა[3] და შველა მტერთა ზედა; ხოლო თამარ არა მკადრებელმან სიმობისამან, მარტოდ მისცნა შეწევნის პირი და მოიწვივნა თვის წინაშე და მოუწოდა სპათაცა თვისთა; მაშინ მოსრულთა სპათაგან აღივსო-ოთხნი ესე მდინარენი; მტკვარი, ალგეთი, ქციაჲ და ბერდუჯი. შემდგომად მოვიდნენ ამირ-მირან და აღსართან შარვან-შაჰ; ხოლო თამარმან ითაყვანნა იგინი პირველ აღსართან აგარას მდგომმან შინაურობისათვის, და მერმე ამირ-მირან და მისცეს პატივი შემსგავსებული, შეუკაზმეს პური და ინადიმეს და მიანიჭნეს ურიცხვნი და დაასადგურეს დამსხვენელთა შველისათა და იკაზმოდნენცა. დროსა

1. ჩემს ვახუშტის ვარიანტში, რომელიც მე მაქვს, ყიზილ-არსლანი აქაც და ზემოთაც ყიასდინათ არის მოხსენებული; მაგრამ არც ქართლის ცხოვრებაში, არც სხვა წყაროებში ეს სახელი არ არის ხსენებული, ამისთვის აქ ვხმარობთ ნამდვილს ისტორიულს სახელსა.

2. ყიზილ-არსლანის შვილებზე ცნობა ნახე *H. de la G.*, 435, n. 1.

3. ამაზე არა ვითარი საბუთი არა არის რა და ამისთანავე ამ დროს თამარის ქალი რუსუდან უნდა ყოფილიყო სამისა ანუ ოთხის წლისა (იშვა 1195 წ.). მართალია მუსულმანთ მწერალი იბნ ალ-ათირი ამტკიცებს და აბულ-ფედაც ემოწმება მას, ვითომც 1206 წ. ილდიგუზის შვილის-შვილმა და ფაჰლავანის შვილმა ადერბეიჯანისა და არანის მფლობელმა აბუბეკრმა შეირთო საქართველოს მეფის ქალი; მაგრამ თვით იმათისავე სიტყვებიდამ იგულისხმება, რომ ხსენებული ქალი იყო ქალი ივანე მხარგრძელისა, რომელიც 1210 წ. ხლათში დატყვევებულ იქნა მალექ-ელ-აუჰადის ნედჟამ-ედ-დინისაგან და თავისუფლება იმ პირობით მიიღო, რომ მას, სხვათა შორის, თავისი ქალი მისთვის მიეთხოვებინა. ეს ხსენებული ქალი იყო თამთა, რომელიც 1230 წ. ხელში ჩაუვარდა ხლათის აღების შემდეგ ხარაზმის სულტანს ჯელალ-ედ-დინს (S. Martin, *Mém.*, II, 252.—*Addit.*, 272—273, 362). ივანეს დატყვევებაზე და თვით იმის ქალზე თამთაზე ქართული წყარო სრულებით არას ამბობს.

ამასვე შეკრბა ისმაილობა; შეიდებნენ შავითა და აუწყნეს ჭირნი ფვისნი სულტანსა; ხოლო მან წარუგზავნნა ყოველთა სპარსეთთა საუნჯე და სრულიად შეკრიბნა ინდოეთიდგან ვიდრე დარუბანდამდე და მოვიდნენცა ადრაბაგანს დროშითა ხალიფასათა[1]. ამისმან მცნობმან თამარ უბრძანა ჭყონდიდელს მოწვევად ლაშქართა და მონასტერთა ლოცვისად მოცალებად; მოჰკრბნენ სპანი და დაიბანაკეს წინ ხსენებულთა მდინარეთავე. განიხილა რა თამარ, მოეწონნეს და თვით ამირ-მირს და ალიართანს მისცნა სპინი მეფისანი. მაშინ ძმა უავჩაჲთა მეფისა სვინჩი წინაშე თამარისა იყო სპითა დიდითა წვეული. მაშინ თამარ განამხნო სპანი თვისნი, წარუძღვანა ჯვარი პატიოსანი და ანტონი ჭყონდიდელი, ხოლო თვით ფეხ-შიშველიგ მივიდა მეტეხს და მარადის ცრემლითა ევედრა ღმრთისა ძლევისათვის სპათა თვისთასა; არამედ თთვესა ივნისსა მიიწია დავით ეკლეცას მდინარესა ზედა, მუნ ემთხვია განმსტრობელი, რომელი ეტყოდა: „არიან სპანი უამრავნი, რომელთა უპყრავთ შაქორიატითგან ვიდრე მთამდე შოფისა და ვარდანაშტისა განძის კარამდე." ხოლო ხვალისად განთენდებოდა დღე პარასკევი, (რომელსა შინა მოკლა სიკვდილი მხსნელმან ჩვენმან), აღიჭურნენ და აღმხედრდა მეფე ზერდაგსა და ბრძანა წარძღვანება ჯვარისა და მიიწივნენ შანქორს. მუნ იქმნა ბრძოლა ძლიერი; არამედ მოსწრაფე მეფე განსვლასა მდინარისა ადრე და განხდენ რა, უმეტეს ეკვეთნენ და განძლიერდა ბრძოლა, რამეთუ მტილთა და გზათა სივიწროვისაგან მალიად ვერ განვიდა დავით; გარნა დავითის მისვლადმდე მოისრნენ წინა-მბრძოლნი კნინღა და უკუნ-ქცევად. მხილველმან ამირ-სპასალარმან ზაქარიამ ძმით იოანეთი მიისწრაფა და მიესწრაცა რაზმი მეფისა, ეკვეთნენ სასტიკად და მყის დაეცათ რისხვა ღვთისა ჯვარიანთა და განსქდა რაზმი მათი და ივლტოდნენ; ხოლო მოსვრიდნენ თამარისნი; მიაწიეს მდევართა განძის კარ-გელაქუნამდე, იპყრობდნენ დიდთა ამირთა, ვითარცა ქათამთა, წელსა 1193, ქართულსა 413; არამედ განერა ათაბაგი მარტოდ და ამათ დაიონარნეს სამნი ქალაქნი-ათაბაგისა, ათაბაგის მასა და სათმაზ-ედ-დინის მისა[2]. მაშინ მოართვეს სოსლან-დავითს დროშა ათაბაგისა და აღივსნენ ოქრო-ვეცხლითა, ჯორ-აქლემ-ცხენ-ტვირთულითა, რომლისა არა იყო შეგება, რომელ მუურის[3] წიგნ რვეკეს მქდთა, მაზგითნი (მეჩითნი) ეკლესიად იქმნებოდნენ; მოართვეს შანქორელთა კლიტენი ქალაქისანი და დაიპყრეს ამათ. შემდგომად

1. ეს ხილიფა არის ნასერ-ლი-დინი, რომელიც მეფობდა 1190 წლიდამ 1236 წლამდე (*H. de la G.*, 440, n. 1).

2. სათმაზ-ედ-დინი ერთი მამელუქთა ილდგუზის შვილთაგანი, რომელთაც ეპყრათ მრავალი ქალაქები ადერბეიჯანში (*H. de la G.*, 443, n 5).

3. მუური-ყორანის მკითხველი არაბული სიტყვა. ამ სიტყვას ხმარობს თვით ვარდან დიდი. „610—1161 წ., ამბობს იგი, როდესაც გიორგი მეფემ ილდიგუზს ჩამოართო დევინი, მის მცხოვრებნი მთლად, გარდა ქრისტიანეთა, ამოსწყვიტა და მინარეთიდამ ჩამოალაგებინა ოლესმე მოხარშულთ კაცთა (ქრისტიანეთა) თავები რომელნიც ოქროქსოვილის ფარჩებში შეახვევინა და კუბოებში ჩაწყობილნი მუურებს ფეხ-ში შველთ

მოსცეს განძა, შექიდა სოსლან-დავით და დაჯდა სასულტნოსა ტახტსა ზედა და იყო ზარი და ზეიმი[1] და ჰქმნეს პურობა დღითით. ხოლო ჰყვეს დავითმან და ზაქარიამ უთამაროდ თხოვნითა ამირ-მირისათა და მიათვალეს განძა მათ. შემდგომად წარმოვიდნენ რა, გამოვიდა ლტოლვილი მიწასა შინა მალული ბუზაქარ (აბუ-ბექრი) ათაბაგი; მისცეს მასვე განძა და განაძეს ამირ-მირანი. ხოლო წარმოსრულთა წარგზავნეს მახარებელი წინაშე თამარისა, ხოლო თქმულ არს, რამეთუ მეტეხს წირვასა ზედა სიტყვა რა მღვდელმან „შიშითა ღვთისათა“, ეტყოდა თამარს: „გიხაროდენ მეფეო, რამეთუ მისცა ღმერთმან ძლევა სპათა შენთა.“ მერმედა მცირედ მახარებელისა მოვიდნენ იგინიცა სავსენი ალაფითა. მაშინ მადლობის შემწირველი დედისა თამარ მიეგება მათ და მათ მოუძღვნეს ძღვენნი ურიცხვნი; არამედ თამარცა მიანიჭნა შემსგავსებულნი მათნი. ხოლო წარგზავნა დრომაჲ ათაბაგისა ხახულისა ღვთის-მშობლისა წინაშე, ვითარცა პაპამან მისმან მანცავი ყიასის მისა (ქ.-ცხ.: დორბეზისა და ყიას ძისა, გვ. 309). ეს იამბიკონი ხუთ-მუხლედნი ოც და ხუთ ლექსად წარსწერაო:

ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა,
მე საუკუნოსა პირველვე და კვლადცა;
სულმან ღვთისამან სრულ-ჰყო არ ოდეს ქმნადი.
სამებით სრულმან, ერთითა ღვთაებითა,
მიწით პირველის, პირმშოჲსა კაცისა
შენ მიერ მისთვის დრკუჲსა მის განმგები,
რომ დრკუჲ მისდრკა, უვნები ვნებისადმი
ივნო და ვნება პირველი უვნებელ ჰყო
შენგან შობილმან; ჩვენ ღირს გვყვნა აღმოშობად
ზნელით ნათელსა, ნათლითა მხედველობად,
შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით
როკვიდა მისა ღვთისა ძედ შენდა ყოფად.

ქავის ზურგით მიატანინა 612—1168 წელს ტფილისის ქალაქამდე“ (*Всеобщ. исторія*, 155—156 და *Примѣч.* 630).

შანქორისა და დოვინის აღებას ვახუშტი უჩვენებს 1193-ს და ბროსსე 1203 წელს (*Addit.*, 296). აქ უნდა დავურთოთ, რომ იოანე გროზნის დროის რუსულს წყაროში, რომელიც ზემოდ ვუჩვენეთ (გვ. 199, შენ. 1), საქმის გარემოება შანქორის ომის დაწყებისა და იმისი მიმდინარეობა ნაამბია თითქმის ქ.-ცხ-ის თანახმად (*Mél. Asiat.*, I, 566—572).

1. ზარი და ზეიმი — დიდი მხიარულება. ამ აზრით ხშირად იხმარება ეს ორი სიტყვა ძველს ქართულს მწერლობაში. „მაშინდელი ზეიმი და ზარი ვისმან ენამან გამოსთქვა“ (ქ.-ცხ., 308); „სიხარულითა ერთობ ცათა გასწვდებოდა მისი ზარი და ზეიმი“; (ვისრამ., 199). „სთქვა: „წამილია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები; ყოვლგნით გამისხმან, მორჭმით გზი, მაქვს ზეიმი და ზარები“ (ვეფხ.-ტყ., ოთხ-ტაეპი 310).

მეფე თამარ, მზჱ ქუე შენი და მთვარივე (?)
ცხებულობასა ღირს მყავ და ღჳსობასა
ქდემს ლადირად, სამხრით უკუე და ჩრდილოთ
შუა მფლობელი იაკარ შენდა ვმრთელობ.
ხალიფას დროშასთანავე მანიაკსა
შეკრთეს ცრუ-რჯულთა მოძღვრისა დაზრდ მძღვანი;
დავით ქუერემის მეებრმან მოისარმან
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა ათაბაგი;
ორანსა ებრძოლნეს ჩვენ მიერ მისთა სპათა
ჩვენნი მხედარნი მოსავნი შენნი, სძალო!
მოსწყლნეს, მოსწყვიდნეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევსწირავ, მიოხე მეებრ, ღმერთო! [1]

შემდგომად ამისა იქმნა სასწაული დიდი, რამეთუ ოდეს აღასრულა წირვა იოანე კათალიკოსმან, ინება ამირ-სპასალარმან ზაქარიამ სჳფის მიღება, არამედ არა მისცა კათალიკოსმან, რამეთუ იყო იგი სარწმუნოებით სომეხი. შეუძნდა ზაქარიას და წინა-აღუდგა კათალიკოსსა; ხოლო იგი ამხილებდა ძლიერად და ვერღარა სცა სიტყვა; მოიყვანა კათალიკოსი სომხითისა და სჯულის მეცნიერნი მათნი და შეკრებულთა იყვნეს მრავალ-დღე; არამედ გარდამწყვეტელი იოანე კათალიკოსი ეტყოდა სომეხთა: „ვყოთ წირვა და ვიყოლიოთ სადგურსა ძაღლნი მომშივარნი სამ-დღე მე და შენ და სამღთო იგი კრავი ჩემი მიუგდო ძაღლსა შენსა და შენ მიუგდე ჩემსა და რომელიცა დაიცვას მიუახლებელად ძაღლისაგან, იგი არს ჭეშმარიტება.“ მსმენელთა შეუძნ-

1) „ეს იამბიკონი ვახუშტისაში არა სწერია,“ გვარწმუნებს წარწერა ორისავე გარიანტისა, რომელნიც ახლა ხელში გვაქვს. ხსენებული იამბიკო, რომლის შედგენასაც ქ-ცხბა მიაწერს თვით თამარს, მცირედ განსხვავებული ნახე ქ-ცხბაში, გვ. 309—310. დავით აღმაშენებლის მიერ ხახულის ღვთის-მშობლისათვის შეწირულს თვალ-მარგალიტზე იხილე თვით დავითის ანდერძი ზემოდ, გვ. 187, შენ.—ხახულის ღვთის-მშობლის ხატი, მდიდრულად შემკული, იამბიკო-ლექსების წარწერით, რომელიც მართლადაც იხსენიებს დავით მეფეს და იმის შვილს დიმიტრის, ახლა ასვენია გელათის მონასტერში და არხეოლოგიის მცოდნე პირნი გაკვირვებაში მოჰყავს მას თავის მაღალის ხელოვნებით. ეს ხატი ძველად ესვენებულა ხახულის ღვთის-მშობლის ტაძარში, რომელიც მდებარეობს ჭოროხის ხეობაში ანუ ქ.-ცხბის კლარჯეთში. ხახულის ტაძრის აშენებას ქ-ცხბა მიაწერს დავით კურაპალატს. ხახულის ტაძარი არის ერთი უდიდესთა და უმშვენიერესთაგანი საქართველოში და აქამომდე კარგად დაცული (Brosset, *V. arch.*, XI, 19—22). იმის აღწერა მახიტარისტის ნერსეს სარგისიანისაგან ნახე *Mém. de l'Acad. des sciences*, VII *série*, *t.* VIII, № 10, p. 11—12 და თვით ფოტოგრაფიული სურათი მისი ფოტოგრაფის ერმაკოვისაგან გადმოღებული მოიპოვება ტფილისში იმავე ერმაკოვის ფოტოგრაფიაში.

დათ ყოველთა; გარნა მაიძულებელი მათი იოანე დაამტკიცებდა; ხოლო სომეხნიცა არა-მნებებელნი ძლით ნებასა სცემდნენ და ჰყვნეს ეგრეთ თქმულისაებრ. შემდგომად იოანე აღმასრულებელმან წირვისამან მოიღო კრავი და მიუგდო ძაღლსა სომეხთასა; ხოლო ძაღლი იგი მიეტევა, მასხლებული მყის უკუ-იქცა, ვითარცა ნაცემი ცხვირსა ზედა მწკავმწკავებელი და ივლტოდა გარე; მერმე სომეხთაცა აიძულებდა იოანე და მიუგდეს მათცა უნებსიოთ; მყის მიეტევა, აღიტაცა, შთანთქა ძაღლმან და ივლტოდა; ამისთვის იოანე შესწირვიდა მადლობასა ღმერთსა; აღიღო კრავი იგი და მოვლო ყოველი ლაშქარი ლიტანიობითა შედგომილმან ერითურთ; ხოლო სომეხნი წარვიდნენ სირცხვილეულნი; არამედ ზაქარია დაადგრა ურწმუნოებასავე მეტყველი: ,,მან ჰყოს ღმერთსა სიტყვა, ვინცა ჰყო განწვალება". გარნა იოანე ძმამან მისმან აღიარა ჭეშმარიტება [1].

1. არც ზემოდ ჩართული იამბიკო-ლექსები, არც ეს ნაწილი არ არის შეტანილი ვახუშტის ისტორიის ჩვენს მესამე ვარიანტში, რომელიც ახლად გვაქვს ნაშოვნი და რომელიც, როგორც იმისი წარწერა უჩვენებს, ირაკლის ასულის თეკლეს კუთნილი ყოფილა. ჩვენის ფიქრით არც იყო ეს ნაწილი ღირსი ისტორიაში შეტანისა, არა მხოლოდ იმისთვის, რომ იგი ფანატიკოს ბერის ნაწარმოები უნდა იყოს, არამედ იმისთვისაც, რომ მთელს ამ ნაწარმოებში გარდა სიძულილის გრძნობის აღძრვისა ქრისტეს აღმსარებელთ ნათესავის გულში ქრისტეს აღმსარებელის ნათესავისადმი სხვა არაფერი გამოიხატება, აქ ისტორიული სიმართლე არა არის რა. იყო, მართალია, ქართველთა და სომეხთა შორის მოლაპარაკება ურთი-ერთის დათანხმების გამო საეკლესიო წეს-დებათა შესახებ, მაგრამ სულ სხვა გვარი. ეს საგანი ვრცლად გარკვეული იპოება *Addit.*-ში, p. 279—284. შემოკლებით იგი გამოგვაქვს ვარდან დიდის ისტორიიდამ: *Всеобщая исторія*, 169—171.

ვარდანი ამბობს: „თამარ დედოფლის მიზიდვით ივანე მხარ-გრძელმა უარ-ჰყო თავისი სარწმუნოება. უფროსი იმისი ძმა ზაქარია თუმცა ერთგულად დარჩა ძველებურს სამშობლო სარწმუნოებაზე, მაგრამ მოწადინე იყო, რომ ღვთის-მშობლის მიძინება, ხარება და ჯვარის ამაღლება სომეხთ ედღესასწაულათ: პირველი 15 აგვისტოს, მეორე 6 აპრილს და მესამე 14 სეკტემბერს; რომ შობისა და აღდგომის მწუხრს ნება-რთვა ყოფილიყო მხოლოდ თევზისა და ზეთისა; რომ ბერებისათვის აეკრძალათ ხორცის ჭამა; რომ წესად დადებულიყო ჟამის-წირვაზე მოხსენება არა მხოლოდ მიცვალებულთა, არამედ ცოცხალთაცა; და დასასრულ, ჟამის-წირვა დაწესებულიყო დიაკვნებით და მეფსალმუნეებით თვით ეკლესიის გარეშე. ამ განძრახვით ზაქარიამ მიჰმართა მეფე ლეონს (კილიკიისას).

„ზაქარია იყო შემძლე და ძლევა-მოსილი პირი, რომელიც გარეშე ტომებს ადებდა უღელს და ხარჯსა. ლეონმა თავისი პასუხი შეუგვიანა არეულობის გამო სამღვდელოთა უმაღლესს დასში. ამ გვარ მდგომარეობაში, რაღა თქმა უნდა, ყოველთ მხრივ დათანხმება ზაქარიას წინადადებაზე შეუძლებელი საქმე იყო. ბოლოს მაინც ყველამ გამოუცხადა მას წერილით სრული თანხმობა და ნება-რთვა, რადგანაც, სწერდნენ ზაქარიას, შენი წინადადება არა თუ საღვთო წერილს არ ეწინააღმდეგებაო, არამედ თვით ჩვენნი მამანიც ამ წეს-დებას მისდევდნენო, მაგრამ ეს წეს-დება ახლა აღსრულებაში აღარ მოდისო ეკლესიის დაცემის გამო. ამასთანავე ესეც უნდა გითქვათ აქ, განაგრძობს ვარდანი, რომ თვით ლორეში და ანშიაც იყო შემოკრებული ორი კრება ღირსთა მამათა, რომელთაც უარ-ჰყვეს

ამ ჟამებთა იყო კარი ჯერეთ თურქთა პყრობილი, წარავლინნა თამარ სპანი და განივლტნენ თურქნი; ხოლო მუნ დაადგინეს ახალციხელი იოანე და დაიპყრა მან გარემონი ქვეყანანი და მოსრნა ყოველნი; მისცა მასვე მეფემან კარი და ათაბაგობა [1]. კვალად შეკრბნენ მაჰმედიანნი და მივიდნენ მაღლისა ხალიფასა არღარა ზავად, არამედ მხდალად ეტყოდიან, რათა ევედროს თამარს დადებად ხარკი და არღარა სრვად მათდა; ამისთვის ხალიფამან მოუგზავნა დესპანი და ძღვენი დიდი ამისა ვედრებათ. უსმინა თამარ და შეჰკვეთნა ხარკი და აღუსრულა თხოვა მისი; არამედ ყოვლისა აღმოსავლეთისა სულტანი, რომელსა ეპყრა ეგვიპტიდამ პონტომდე ყარასლანის ძე ნუქარდინ [2] უგრებდა დესპანითა თამარს ძღვენსა, ეგრეთვე თამარ მას; გარნა ზაკვით და განმსტრობით ჰყოფდა. ამან რა ისმინა დადებაჲ ხარკთა მაჰმადიანთა ზედა, განახვნა საუნჯენი მამაპაპათანი და განსცა როქნი ორ-წილად და შეკრიბნა სპანი 400,000. მაშინ მოუვლინა თამარს წიგნი, ვითარ „დიაცთა უგუნურებითა გიბრძანებიეს ხრმალი და დადებად ხარკი მაჰმედიანთა ზედა, რომელი ბრძანებულ არს ჩვენ მაჰმედიანთა მიერ. აწ მოვსულვარ მე მსგავსი ღვთისა და უკეთუ უარ-ჰყო ქრისტე და დამუსრო ხატ-ჯვარნი და თაყვანი-სცე წინაშე ჩემსა მაჰმედს, ცოცხალ იქმნე და უკეთუ არა, მოსწყუდეთ ყოველნი". ხოლო მოიწია დესპანი იგი და წარმოდგა წინაშე თამარისა მკადრე: „უკეთუ დაუტეო ქრისტე, იქმნე ხარჭი სულტანისა და თუმცა არა, მოისრნეთ". მაშინ აღხლტა ამირ-სპასალარი ზაქარია, სცა პირსა დესპანსა ესრეთი, რამეთუ დაეცა ქვეყანასა ზედა, ვითარცა მკვდარი; ხოლო ოდეს სულებულ იქმნა, რქვა: „ჯერ იყო სიკვდილი შენი, არამედ დესპანთა არა ხამს; წარვედ, აცნობე სულტანსა: მოგეგებით წინა და გსცნათ ვისი არს „ღმერთი ძლიერი". მსწრაფლ მოკრბნენ სპანი თამარისანი სამცხეს; ხოლო თამარ წარუძღვანა სოსლან-დავით და მუხლო-მოდრეკით აკურთხნა სპანი და ქინდობილნი ღვთისანი წარავლინნა და თვით მოვიდა ოძრახეს კათალიკოსით თეოდორით, ეპისკოპოსებით და წინა-მძღვრებით და ჰყოფდნენ მარადის ლოცვასა, მღვიძარებასა და ვედრებასა ღვთისასა. ხოლო დავით მისრულმან ბასიანს იხილა სპანი სულტანისა დაბანაკებულნი ბოლოკერტს [3], რომელნი თვალ-აუწდო-

ზაქარიას წინადადება: „შესაძლებელი საქმეაო, ამბო[illegible] იგინი, შემდეგ ამისა ჩვენ გვაიძულებენო, რომ ყოველშივე ბერძნებისა და ივერიელების მოთხოვნილებას მივყვეთო".

1. „დაუბრუნა ათაბაგობა და ამირათ-ამირაობა (ქ-ცხ., 318). შემდეგ ჩვენ ვნახავთ, რომ იოანე ახალციხელის სახლში ათაბაგობა გვარად გარდაიქცევა.

2. ბროსსე შენიშნავს: „მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს როკნ-ედ-დინი, ერთი ორთა ძეთაგანი ყილიჯ-არსლანისა, რომელიც იყო სულტანი იკონიისა და მცირე-აზიისა. ამის მამის სიკვდილის შემდეგ 1192 წელს ერთმა მის ძმათაგანმა ქაიხოსრომ დაიპყრა იკონია, მაგრამ როკნ-ედ-დინმა იგი განაძო და დაიჭირა ეს ქალაქი 1204 წელს, რომელ წელსაც იგი მოკვდა" (*H. de la G.*, 456, n. 2).

3. ქ-ცხბაში ბოლოსიტეკი (გვ. 321), არ ვიცით რა ადგილია (*H. de la G.*, 460, n. 3).

მელნი და უტეველნი იყვნეს მუნ; არამედ ქსრეთ ლაღნი, რამეთუ არა ჰყვათ
დარაჯა-ტალანი; მაშინ აჩანა დავითმა მხარ-გრძელი ზაქარია, შალვა და იოანე
ახალციხელნი და თორელნი; ხოლო ერთ-კერძ იმერ-ავხაზნი, ერთ-კერძ
ამერ-ჰერ-კახნი და მიმართეს ცხენ-ჩქარად; არამედ მათ რა იხილნეს ფიცხლად
მიმავალნი, დასცა ღმერთმან ზარი და მირიდნეს სიმაგრეთა; ამას ზედა გან-
მხდნეს თამარისანი, მიეტევნეს და მოსწყვიდნეს ურიცხვნი ბრძოლასა იმიერ
და ამიერ და დაუხოცნეს ცხენნი ზაქარიას, შალვას, იოანეს, გრიგოლის,
მათთანანი სხვანიცა; გარდახდნეს და ბრძოდნეს ქვეითნი ძლიერად, რამეთუ გნინ-
და და არა მისდრკნეს თამარისანი; არამედ მხილველთა დავით და ამირ-სპასა-
ლარმან ზაქარია მიჰრიდნეს ქვეითთა მათ ამიერ და იმიერ, რათა არა დაი-
თრგუნონ და მოუხდნეს სიმრავლესა მას და სცეს რისხვა ღვთისა, განხეთ-
ქნეს რაზმი მათი და ივლტოდნეს სულტანისანნი. მაშინ აღხსნდნეს ქვეითნიცა
იგი და მიეტევნეს, მოსრვიდნეს, ტყვე ჰყოფდიან და იპყრობდიან, რომელ
ასსა ერთი მოიყვანებდა (წელსა 1196[1], ქართულსა 416) და შემოიქცნეს ბარ-
გითა მათითა, რომლისა არა იყო რიცხვი და შეგებ ოქრო-ვეცხლთა, თვალ-
გოჰართა, რამეთუ სხვისაღა თქმა არა სახმარდა არს სიმრავლისათვის და წარ-
მოიღეს საკიდრითავე მათითა (არამედ ველოგი სალოსი წინაშე იყო თამარისა
მწირველი. განცვიფრებულმან აღიტყველნა ხელნი და დაეცა სამ-გზის; მერმე
აღხლტა და შესწირა კურთხევა ღმერთსა. შემდგომად მის მკითხველსა იოანეს
გამოუცხადებდა ველოგი: „რაჟამს დავეცემოდი, ვნიდა მიდრკესდა სპანი
ჩვენნი; ხოლო აღვხლტი რა, მოსცა ღმერთმან ძლევა სპათა ჩვენთა“). შემ-
დგომად მოვიდა მახარებელი წინაშე თამარისა, მერმედა სპანი მისნი ომრახჳს
შემოვიდნეს მხიარულნი, მუნიდამ ტფილისს დიდითა შვებ-სიხარულითა; ხოლო
დიდებულნი სულტანისანი განჰყიდნა ნალსა ზედა. თამარმან დიდებად სახელისა
თვისისა. (ვალად ქუეცა თქმულ არს: მოყვანებული დიდებული სულტანისა
წინაშე თამარისა დაეცა და ილვარძნოდა, ვითარცა ვველი და უტყვ-ქმნილი;
ამისთვის განიყვანეს გარე და რა იქმნა მრთელ-გონიერ, ჰკითხვიდნეს, რასა-
თვის ჰყოფდა ეგრეთ; ხოლო იგი იტყოდა, „რომელი არს თავსა ზედა თამა-
რისასა, მან ჰყო ძლევა [illegible] ჩვენ ზედა და აწცა შევშინდი მის მიერ“. ხოლო
დროსა მას იყო მთავ[illegible]ველოსის მახაილის სახე თავსა ზედა თამარისასა
მკიდარე; ამით იუწყეს მის-მიერობა და შესწირეს უმეტესი მადლობა ღმერთსა).
ხოლო წყალობათა ამათ შინა ღვთისათჳს თამარცა მწყალობელი არა გარნა სამე-
ფოთა თვისთა, არამედ საბერძნეთისათაცა, მრავალნი მონასტერნი განამდიდრნა

1. ბროსე შენიშნავს: „ვახუშტი აჩვენებს როკნ-ედ-დინის ძლევას თამარისაგან 1196 წ., მაგრამ ეს წელი არ ეთანხმება თამარის მეფობის ქრონოლოგიურს ანგარიშსა, რადგანაც როკნ-ედ-დინი აბულ-ფედას თქმით მოკვდა მუსულმანთ ქორონიკონით 600 ანუ 1203—4 წ., მისი დამარცხება უნდა მომხდარიყო ამ წლის ახლო ჟამს“ (*H. de la G.*, 463, n. 3).

და ოზოლ-ქვრივნი აღავსნა, რამეთუ არავინ სიკვდილითა და სხოთა მოკლებითა დაისაჯა დროსა მისსა, თვინიერ გუზანისა, რომელი მეკობრობდა მთასა კოლოსასა. ესე შეიპყრეს მთიბავთა და მოართვეს დავითს მეფესა; ხოლო ამან უცნობელად თამარისა დასწვნა თვალნი სისხლთათვის ქრისტიანეთასა. კვალად მოვიდნენ შავის-მთის მონაზონნი [1]. ამათ მისცნა ურიცხვნი ოქრონი და წარავლინნა; არამედ კეისარმან ალექსი ანგარმან და მძას მკვლელმან შეიპყრნა იგინი და წარუხვნა ოქრონი. მცნობმან თამარ მიუმცნო კეისარსა, რათა უკუნ-სცეს და მან არა ინება; არამედ თამარ მისცა კვალად მონაზონთა მათ უმეტესი და წარავლინნა იმერნი და წარუღო კეისარსა ტრაპიზონი და მიმდგომნი მისნი, და მისცა ალექსი კომნინოსს ანდრონიკეს ძესა, რომელი იყო წინაშე თამარისა. ესე სცნეს ევროპიელთა, რამეთუ მიუღო ძალი აღმოსავლეთი კეისარსა, მოვიდნენ და წარიღეს კოსტანტინეპოლი წელსა 1198, ქართულსა 418 და მოკლეს ალექსი ანგარი ოქროს საუნჯესა შინა სიყმილით სამამრისაგან ფრანსისა[2].

დროთა ამათ იკითხა თამარ საქმე კარისა, რომელ თამარის მეფობის წელი აღვიდოდა ოცდა ოთხად, რამეთუ მრავალგზის ბრძოდნენ მხარ-გრძელნი და ვერ წარუღნეს; ამისათვის წარავლინა სოსლან-დავით და თვით დადგა ჯავახეთს მისრული. დავით მოადგა კარსა და ჰბრძა ძლიერად. შემდგომად შემწყვდნენ ციხოვანნი და იტყოდნენ: „მოვიდეს თამარ და მივსცეთ მას", რამეთუ სხვათაგან აქვნდათ შიში. მცნობი ამისი თამარ მოვიდა და მისცეს ციხე და თამარმან მისცა ძესა თვისსა გიორგის ვედრებითა კარელთათა და დაიპყრა რახსიდამ სპერამდე და განძლიერდა ფრიად სათნოებისა

1. შავი-მთა ანტიოქიის სამთავროში, კილიკიის საზღვრად (*Chronique de Michel le Grand*, 281, n. 11.—Dulaurier, *Recueil*., I, 824). აქ სირიელებთა, ბერძენთა და სომეხთ გარდა, ქართველებსაც ჰქონდათ ძველადვე საკუთარი მონასტერი და ამ მონასტერში ნაშრომი ქართული მანუსკრიპტები იშვიათი არ არის ახლაც ჩვენში. შავი-მთის ქართველების მონასტერზე ცნობანი ნახე გიორგი მთა-წმინდელის ცხოვრებაში მ ა მ.-ც ხ. შიო-მღვ., 117, 126 და *Chronique de Michel le Grand*-ში, 359.

2. „და მისცნა თამარ ტრაპიზონი ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა" (ქ-ცხ., 325). ალექსისა და თამარის თვის-ტომობაზე ნახე ზემოდ, გვ. 192, შენ. 3. და 198, შენ. 3. ამ შემთხვევას თითქმის ქ-ცხ-ის თანახმად გვიამბობენ თვით უცხო-ტომთ მემატიანენი. ტრაპიზონის ხრონიკა, შედგენილი მიხაილ პანარეტის მიერ, ამბობს: „კირ-ალექსი დიდმა კომნენმა, ოცდა ორის წლისამ, კოსტანტინეპოლიდამ გამოსულმა, თავის მამის ძალუას თამარის მეცადინეობით და ქვერიის ძალით დაიჭირა ტრაპიზონი თვესა აპრილსა, ინდიქტიონსა 17, წელსა 6712—1204 (Lebeau, *H. du B.-E.*, XVII, 254, n. 2). ვრცლად განხილული ეს საგანი ნახე ჰფაფფენჰოფენის თხზულებაში *Essai sur les aspres comnénats de Trébisonde*, Paris, 1847, p. 15—28.—Sabatier, *Descript. génér. des monn. byzant.*, II, 309.

კოსტანტინეპოლი აიღეს ჯვაროსანთა არა 1198 წელსა, როგორც ვახუშტი ფიქრობს, არამედ 1204 წელს, 12 აპრილს (*H. de la G.*, 465, n. 5).

მისისათვის; არამედ სიხარულსა ამას შინა მოკუდა ქმარი თამარისა სოსლან-დავით ყოვლითა სიკეთითა აღმატებული წელსა 1199, ქართულსა 419[1] და დაუტევა გლოვა ძლიერი. შემდგომად ზამთრისა ჟამსა იყო მეფე გეგუთს; აღძრა ეშმაკმან არდავის სულტანი[2]; ესე მოვიდა ბრწყინვალესა გვირია-კესა ანის ქალაქსა ზედა; მზა-ყოფილთა ანელთა განცხრომა-სიხარულად დღე-სასწაულისად უგრძნეულოდ შეუხდა ცისკრად სულტანი და მოსრნა ურიცხვნი ქრისტიანენი, თვინიერ რომელნი დაიმალნენ ქვაბთა, კლდეთა, ხვრელთა და განერნეს მუნ; რამეთუ 12,000 ეკლესიათა შინა მოსწყვიდნეს და წარვიდა სულტანი ტყვე-ალაფითა სავსე. ამისი მსმენი მეფე მწუხარე მარადის ემიებდა შურსა მის ზედა. ხოლო შემდგომად საძაგსა მარხვასა მათისა რამაზანად წოდებულსა ამირ-სპასალარმან ზაქარია შეკრიბნა ჰერ-კახ-სომხითარნი, ჩავლო გელაქუნი და უცნობ მივიდა ჟამსა ცისკრისასა და რა ხმა-ჰყო ბილწმან მეურმანაზანი, რომელ განთენდებოდა აიდი[3] მათი აღვსება, მოერტყა არდაველს და გამაგრდა ქალაქი ძლიერად. იხილა რა ზაქარიამ, გარდახდა ცხენით და ყოველნი სპანიცა მის თანა, ჰბრძვეს ქვეითად, შეუხდნენ და მიზგითსა მათსა 12,000 მოსწყვიდეს უწყალოდ და მოსრნეს სულტანი ცოლ-შვილ-ნათესავითა და მოქალაქენი არცა ერთი დაუტევეს ცოცხალი[4]; აღიღეს ალაფი დიდ-ძალი და წარმოვიდნენ და მოვიდნენ წინაშე თამარისა გამარჯვებულნი. შემდგომად მოწევნილსა შემოდგომასა ითხოვა ზაქარიამ ლაშქრობა ხვარასანს და დართო ნება მეფამანცა. მაშინ შემოკრბა ყოველი ივერია; წარსრულთა ჩავლეს მარანდი და მუნ ვერ ჰპოვნეს კაცნი, ჰგონებდეს მთასა მას შინა სპათა, ამისთვის წარავ-

1. ბროსსეს გამოანგარიშებით, დავით-სოსლანის სიკვდილის წელი უნდა იყოს 1208 ანუ 1209 წ. ამაზე ნახე *H. de la G.*, 467, n. 3, სადაც ბროსსე იხსენიებს აგრეთვე იბნ-ალ-ათირის თქმულებას ქართველთ მეფის სიკვდილზე მუსულმანთ ქორონიკონს 607—1208—9 წ.; აქ, თუმცა იბნ-ალ-ათირ არ სახელ-სდებს მეფეს, უნდა იგულისხმებოდეს სოსლან-დავითი.

2. ბროსსეს ფიქრით უნდა იყოს ერთი ათაბაგის ილდიგუზის შვილის-შვილთაგანი. (*H. de la G.*, 468, n. 1.)

3. განმარტება აიდისა ნახე *H. de la G.*, 469, n. 2.

4. არდებილი მდებარეებს ადერბეიჯანში, თავრიზის ჩრდილო-აღმოსავლეთად. არდებილის დაჭერას თამარის ჯარისაგან თვით ვარდან დიდიც იმ გვარად გვიამბობს; როგორც ქ-ცხბა. ამ შემთხვევის წელს ის უჩვენებს 659-1210 (*Всеобщая исторія*, 171—172). თვით მუსულმანის მწერალი ჰუსსეინის შეიხ-აბდალ-ზაჰიდის შვილი მოგვითხრობს: „ჯამე-არდებილის მეჩითის კარის წალება მოხდა ამ-გვარად: ცირუ ჟამის შემდეგ 600 წლისა (მუსულმ. ანგარიშით) ურწმუნოთა გურჯისტანიდამ დაიპყრეს მომეტებული ნაწილი ადერბეიჯანისა და ამ მხარეს მოჰფინეს თავისი რისხვა. მათ მოაღწიეს არდებილამდე, რომელიც საშინლად მოაოხრეს და სადაც მრავალი მუსულმანი ამოსწყვიტეს. ამ ზედ-დასხმის დროს ჯამე-არდებილის მეჩითის კარი, დიდის ხელოვნებით ნამუშავარი, თავის ადგილს მოაშორეს, დაუდეს ურემზე და წაიღეს გურჯისტანში, სადაც ეკლესიის შესავალში დააყუდეს..“ (*Mél. Asiat.*, I, 580—583).

ლინა ზაქარიამ 500 მხედარნი ტალად. ესენი აღვიდნენ მთასა ზედა. იცოტავეს მარანდელთა, მოუხდნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი; არამედ სძლეს ჩვენთა და მოსწყვიდნეს. ხოლო ზაქარია ვერა რაჲსა მცნობი მათი, აღვიდა მთასა და იხილა ნაომარი მათი, სადა ხუთასი შუბი ხუთასთა კაცთა ზედა ესვა; გარნა შეწუხნა, რამეთუ არა-სადა იყვნენ. მცირედისა შემდგომად მოეგებნენ იგინიცა გამარჯვებულნი ალაფითა; მუნით მოსრულთა დაიმორჩილეს თავრიზი და მიანაჲ, რამეთუ იგინი მოერთვნენ სულტანითურთ; არამედ ზანგანა არა ერჩდა გარ-მოდგომასა, შეუთხარეს მესხთა, რამეთუ-აქვნდა ზღუდე ალიზისა, შევიდნენ და მოსრნეს სრულიად; მუნით მივიდნენ ყაზმინს და არცა იგინი ერჩდნენ, არამედ ივლტოდნენ მთად, ეწივნენ, მოსრნეს იგინი და ქალაქი ტყვე-ჰყვეს და წარვიდნენ ხვარასანს, სრულიად მოსტყვენნეს და აღიღეს ალაფი დიდი, ვიდრე გურგანამდე მოაოხრეს; არამედ ვერღარა ზიდვისათვის ალაფთასა შემოიქცნენ, წარმოვლნეს იგივე გზანი და ვერავინ წინა-აღუდგა ესოდენთა ქვეყანათა შინა. ხოლო მოიწივნეს რა მიანას, მოეწყვიდა მათ მცველნი ქართველნი. ესე მათგან განრომილმან ერთმან აუწყა ზაქარიას, ამისთვის მოსრნა იგინი სულტანითურთ სრულიად მოქალაქითა; არამედ მუნით წარმოსრულთა სძღვნობდიან ყოველნი ქალაქნი საფასეთა დიდ-დიდთა. შემდგომად მოვიდა ტფილისს წინაშე თამარ მეფაჲსა დიდითა ალაფითა, რომელ განკვირდებოდიან ყოველნი მხილველნი.

ამისა შემდგომად მოკვდა ამირ-სპასალარი ზაქარია [1] და მისცა მეფამან ამირ-სპასალარობა ძმასა მისსა ივანეს; არამედ მან არა ინება ამირ-სპასალარობით წოდება, არამედ ათაბაგობით.

ამათ ჟამთა განდგნენ მთიულნი, ფხოველნი და დიდონი და იწყეს რბევა და ტყვენვა. მაშინ წარავლინა მეფამან თამარ ათაბაგი ივანე სპითა. ხოლო ივანე აღვიდა მთასა ხადისასა და წარვლო წვერ-წვერად და წარადგა ფხოველთა, დიდოთა, ძურძუკთა, დაუწყო რბევანი, ტყვენვანი და სრვანი; ხოლო ძურძუკნი მოერთვნენ სრულიად ძღვნითა დიდათა; არამედ ივანემ დაჰყო მუნ თვე სამი, აღიხვნა მძევალნი ნებიერად, დაიმორჩილნა მოხარკედ, უკ მოიქცა და მოვიდა წინაშე თამარისა გამარჯვებული.

ხოლო აწ ესოდენსა საწარულსა შეუდგების მწუხარება, რამეთუ ნაჭარმაგევს მდგომი თამარ დასნეულდა და არღარა იქმნა კურნება, დალაცათუ ჰაერ ცვლილობისათვის მიიყვანეს ტფილისს, მერმე დასოდ [2] და აგარათა; გარნა არა რაჲ ერგო; არამედ განვიდა ამიერით და მივიდა წინაშე ქრისტესა წელსა 1201,

1. ზაქარიას სიკვდილს ვარდან დიდი უჩვენებს 661—1212 წ. „შემდეგ დაბრუნებისა არდევილის ლაშქრობიდამ“ და დასაფლავებას იმისას სანაჰინის მონასტერში (*Всеобщая исторія*, 172). თვით სანაჰინის წარწერა ჰმოწმობს, რომ „მანდატურთუხუცესი“ ზაქარია დამარხულია ამ მონასტერში, თუმცა ახპატის წარწერით „ამირ-სპასალარი“ ზაქარია ცოცხლად არის ნაჩვენები ჯერ კიდევ 663—1214 წელს (*Addit.*, 275).

2. დ ა ს ო — ქ ცხ. 302, 334. დასოს ახსნა ნახე საბა ორბელ. ლექსიკონში.

ქართულსა 421, იანვარსა 18-ს ხოლო სასტრულსა თამარმა თვისითა ხელითა დაადგა გვირგვინი მისა თვისისა გიორგისათვის წელსა 1196, ქართულსა 416 [1].

1. ვახუშტისაგან ნაჩვენები წელი თამარის სიკვდილისა ცხადი შეცდომაა. ამას მოწმობენ სხვათა საბუთთა შორის შემდეგნი: ქ-ცხბა თამარის დროს უჩვენებს კონსტანტინეპოლის აღებას სადვაროსნო ჯარისაგან; მაგრამ ეს შემთხვევა მოხდა 1204 წ.; მარმარაშენის ეკლესიის წარწერით თამარი 1205 წელსაც ცოცხალი იყო; არის ქართული ფული თამარის სახელით მოჭედილი 330—1210 წ.; ქ.-ცხბითვე ვიცით, რომ თამარი მოკვდა ზაქარია მხარ-გრძელის შემდეგ და ზაქარიას სიკვდილს ვარდანი უჩვენებს 1212 წელს" (*H. de la G.—Introd.*, LXVII).

შემოგვაქვს თამარის მეფობის ქრონოლოგია ვახუშტის ჩვენებითაც და ბროსსეს გამოანგარიშებითაც (*Add.*, 296—297). ეს ქრონოლოგია არის:

| | ვახუშტისა. | ბროსსესი. |
|---|---|---|
| თამარის გამეფება | 1174 | 1184 |
| ქორწინება რუსთან | 1177 | 1187 |
| შირაქის დაპყრობა | | 1191 |
| სხვა და სხვა გალაშქრება | | 1187—1191 |
| განდევნა რუსის ქრმისა | 1180 | 1192 |
| ქორწინება თამარისა დავით-სოსლანთან | 1181 | 1193 |
| პირველი დაბრუნება რუსისა | | 1194 |
| დაბადება გიორგი ლაშასი | 1183 | 1194 |
| — რუსუდანისა | 1184 | 1195 |
| გალაშქრება ბარდაზე | | 1195 |
| — არზრუმზე ერთის თვის შემდეგ | | — |
| — გელაქუნზე და ანბერდზე | | 1196 |
| მეორე შემოსვლა რუსისა | | — |
| შანქორისა და დოვინის დაჭერა | 1193 | 1203 |
| დამარცხება როკნ-ედ-დინისა | 1196 | 1203 |
| ტრაპიზონის აღება | | 1204 |
| გალაშქრება ყარსზე | | 1207 ანუ 1208 |
| გიორგი ლაშას თანა-ზიარი მეფობაში | 1196 | — |
| სიკვდილი დავით-სოსლანისა | 1199 | 1208 ანუ 1209 |
| აღება ანისა | | 1209 |
| — არდებილისა და გალაშქრება ხორასანს | | 1210, 1211 |
| სიკვდილი ზაქარიასი | | 1212 |
| — თამარისა | 1201 | 1212 |

თამარის პიროვნება, იმისი მოღვაწეობის ხასიათი და იმის დროის საქართველოს მდგომარეობა, ჩვენის ფიქრით, საკმაოდ იხატება ზემოდ მოყვანილს ფაქტებში. აქ დავურთავთ ორიოდე შენიშვნას:

განსაოცარი აღბეჭდილება იქონია თამარის სახელმა როგორც იმის დროზე, აგრეთვე მომავალის საუკუნოების ქართველობაზედაც და უცხო-ტომებზედაც, რომლის მაგალითი ჩვენ კიდეც გუჩვენეთ. არა თუ საზოგადოდ ჩვენ იმერ-ამერში, თვით მიყრუებულს კავკასიის კუთხეებშიაც, იქ, სადაც არც ერთი ქართველი მეფე არ იხსენიება, აქამომდე უხვდაობს და ბრწყინავს ღიდებული, თითქმის მითად გარდაქცეული სახელი თამარისა:

## მეფე გიორგი IV ლაშა (1212—1223)

ხოლო შემდგომად დედისა თვისისა იქმნა მეფედ ლაშა გიორგი ძე თამარ მეფისი წლისა ათვრამეტისა და იყო ესე ტანითა ძლიერი, ძალითა მხნეასოვანი, მოისარ-რჩეული, მხედრობასა შინა შემმართებელი, ლაღი, თვით-ბუნება. ამან დაიპყრა სამეფო დედისა თვისისა და გარემონი უოველნი მოართმიდიან ხარკთა და შემდგომად გლოვისა იყო შვება სიხარულსა შინა. მერმე განდგნენ განძელნი (განძის ათაბაგი) და არღარა მოსცეს ხარკი; ამისთვის შემოიკრიბნა მე-

ავილოთ მწერლობა. მარტო ქ.-ცხბაში ჩართულს თამარის ბიოგრაფს არ ეკუთნის ის უსაზღვრო ალტაცება, რომელშიაც იგი იმყოფება, როდესაც იმის სურათს და მოქმედებას აგვიწერს. ამ გვარადვეა თამარის ბრწყინვალებით დამონავებული მთელი მის დროის ქართული ლიტერატურა. ერთი მაშინდელი გუჯარი, რომელსაც „მანდატურთ-უხუცესი და ამირ-სპასალარი“ ჭიაბერი (ნახე ქ.-ცხბ., გვ. 282) უძღვნის შიო-მღვიმის მონასტერს და რომელსაც ხელს აწერენ კათალიკოსი იოანე და ერისთავთ ერისთავი ძეგან აბულეთის ძე, თამარს იხსენიებს „ღვთისა სწორად მეფეთ-მეფედ“ (ჩვ. მ. დღიური, № 1, გვ. 284).

თვით აბდულ-მესია-შავთელი ამ გვარად გვიხატავს თავის პოემაში თამარის სურათს:

შემოკრბით ბრძენნო, ათინელთ ძენო, თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა;
კრიტს, ალაბს, მალრიბს, ეგვიპტეს, მაშრიბს, ჩინეთ-ჩინეთსა, თარშის ქებულსა,
რომელნი ცლნით, რომელნი ელნით თავს სოკრატისებრ სწავლით ქებულსა.
გარსკვლავთ მრიცხველნო, სხვათ ბრძენთ მკითხველნო, ვერ ძალ-გიძსთ ქებად,
თავს ჰყოფთ გნებულსა.

ღმერთმან სამოთხით მოგვცა სამოთხით ეთერ-ბრწყინვალე მზეებრ სადარი;
აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრით ჩრდილომდის ჰპოონ სად არი?
ზესკნელ-ქვესკნელით და გარესკნელით, უკანასკნელით უფსკრულ სად არი?

ვიწყო-ღა ქებად, ძგილ-შეკადრებად, მსმენელთ გაუწყო ქვეყნის მპყრობელი:
მხნე, ღმობიერი, ქველი, ძლიერი, ჰაეროვანი, მტკიცედ მფლობელი;
შარავანდ გმირი, ორგულთ გამგმირი, მტერთა ქვესკნელად დამამხობელი;
რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი.

თამარ მეფესა, მტერთა სისხლ-მჩქეფსა, უკვდავთ წყაროსა, ცის სამყაროსა;
სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა, კისკასად მქცევსა, ტანად საროსა;
მზედ სახოვანსა, თვით ახოვანსა, ერთგულთა ხსნილ-ჰყოფს, მტერთ ეხაროსა.

აქვს მას დაბეჭდვით, სმენით და ხედვით, სიბრძნის დასაბამ შიში უფლისა;
ნათელი წრფელი, უხრწნელ მყოფელი, შემწყნარებელი დავრდომილისა.
ცუდ-ჰყვის მან მტერნი, ორგულთა ერნი, სახმილმან ვით ჰქმნის ძალი ცეცხლისა.
თვალი ხარ ბრმათა, თვით მზდელი ყრმათა, მშიერთა პური, უსახლთ სართული.

მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა, შიშველთ სამოსლად მონიჭებული;
მოხუცებულთა, შრომით რებულთა, სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი.
მოგვფენ სიბრძნესა, წერილთ სიღრმესა, თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი.

ფემან წარჩინებულნი და სპანი თვისნი (და მხარ-გრძელი იოანე, რომელსა მაშინ პატივი ათაბაგობისა მიენიჭებოდა დედისა მათისა თამარისაგან, რამეთუ იყო ათაბაგობა უმეტეს სხვათა ერისთავთა განდიდებული და ესე იყო ვაზირი კარსა მეფისასა. ქ.-ცხ., 339) და ეტყოდა მეფე: „დამძიმებულ ვარ განდგო-

საყვარელ ერთა, საძლეველ მტერთა, მარტივად ბრწყინავ თვალი სოფლისა.
გონება გრცელი, ყოვლგან მხედველი, ქრისტესთვის მთხევი თვისთა ოფლისა;
ნიჭთა მთხრობელი, წინა მსწრობელი, მადლით სპეტაკი უფროს ნათლისა;
მისთვისვე ქმნილი, თვით განკუთვნილი, უფლადცა მხედი ნივთთა ყოვლისა.

თუმცა თამარის წინათაც სწავლასა და ხელოვნებას გამოჩენილი ადგილი ეჭირა საქართველოში, მაგრამ თამარმა ბევრით წინ წასწია ერთიცა და მეორეცა. იმის ბიოგრაფიიდამ ცხადათა ჩანს, რომ მის დროს საეკლესიო და საერო კლასსიკური მწერლობა ჩვენში გავრცელებული ყოფილა. საუბედოდ, რა და რა ტაძარია აშენებული თამარის მეფობაში, ჩვენ ამაზე ჟერ-ჟერობით ცნობები არა გვაქვს: ვიცით მხოლოდ, რომ თამარის დროს ეკუთნის ბეთანიის ეკლესია, ტფილისის მახლობლად, და მარტო იმისნი გასაოცარის ხელოვნების ქანდაკნი ამტკიცებენ თუ რა მაღალ ხარისხზე მდგარა მაშინდელი საეკლესიო ხელოვნება. ბეთანიის კედლიდამვეა გადმოღებული ერთი იმ სურათთაგანი თამარისა, რომელიც ახლა ყველას ჩვენგანს ხელში აქვს; მეორეა დახატული ვარძიის მონასტერში, რომლის აშენებას ქ.-ცხბა მიაწერს თამარს და მის მამას გიორგი მეფეს (*H. de la G.*, 455.—Brosset, *V. arch.*, n. 163—164). არ არის შესწავლული მე-XII საუკ. საეკლესიო მხატრობა და ამ საგანზე ამ ჟამად არა ითქმის რა.

თამარის დროს ეკუთნიან, გარდა ქილილა და მანასი და ამირ-დარეჯანიანისა (მოსე ხონელი), ორნი მაღალის ნიჭით და ხელოვნებით განვითარებულნი საერო მწერალნი: სარგის თმოგველი და შოთა რუსთაველი. ამათში სარგისი არის ისტორიული პირი: სარგისს ვხედავთ პირველად თამარის დროს; შემდეგ გიორგი ლაშასა, რუსუდანისა და დავით IV და დავით V მეფობაში (ქ.-ცხ. 297, 326, 375, 378, 380, 399). სარგისი ქ.-ცხბით „მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი“ (იქვე, 362, 377), რუსთაველის მოწმობით „ენა დაუშრომელი“ (ვეფხ.-ტყ., 1594), ცნობილია ავტორად „ვისრამიანისა“ (ნახე ზემოდ გვ. 157, შენ. 1;204, შენ. 2), თუმცა ამისი შესამოწმებელი საბუთი არა გვაქვს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ „ვისრამიანი“ როგორც „ვეფხის-ტყაოსნიდამ“ (ოთხ-ტაეპი 184, 1062, 1536) დაქ.-ცხბიდამ (გვ. 284) ვხედავთ, „ვეფხის-ტყაოსანზე“ წინათვე ყოფილა გავრცელებული; მაგრამ სარგისი თამარის დროს ყმაწვილ კაცათა ჩანს, რადგანაც იგი ისტორიაში მოქმედებს ჟერ კიდევ 1256 წლამდე (*H. de la G.*, I, 570, n. 1).

რაცა შეეხება „ვეფხის-ტყაოსანს,“ ჩვენის ფიქრით იმის დედა-აზრს ავტორი აფუძნებს თავის დროის საქართველოს ისტორიაზე. ამასთანავე დიდ მსგავსებას გვიჩვენებს შედარება ენის ფორმისა და ხასიათისა „ვეფხის-ტყაოსანში“ და თამარის ბიოგრაფიაში. გარდა ამისა აქაც და იქაც ხელის-უფალთა სახელ-წოდებანი ერთნი და იგინივე არიან. „ვეფხის-ტყაოსნის“ შვიდნი ინდოეთის სამეფონი მოასწავებენ ჩვენის მხრის პოლიტიკურ დანაწილებას. „შვიდთა სამეფოთათვის“ ჩვენში თამარის მამის გიორგის დროდამ ნახე ქ.-ცხ., 265.—*H. de la G*, 384, n. 1 და *Introd.*, LXV—LXVI. ნესტანდარეჯანი, ეს ერთად-ერთი ნაშობი ინდოეთის მეფის ფარსადანისა, რომელიც მას ალსაზრდელად აძლევს თავის დას, ქაჟეთს გათხოვილს, ქვრივს დავარს, რას აჩვენებს, თუ არ ისტორიულ ფაქტსა, ესე იგი გიორგი მეფის დას ხვარასნის სულტანი-

მიღებისა ამისათვის დ აწ მიიღეთ ჩემგან, ვითარცა დედისა ჩემისაგან ნიჭი და ნუ ვიქმნებით მათგან დაწუნებულნი." ხოლო მათ განიხარეს და შემოკრებულნი სრულიად წარემართნენ განძას. მაშინ განძელნი, ერთ-კერძ ჭერ-კახნი, ერთ-კერძ ქართველ-სომხითელ-სომეხნი, ერთ-კერძ ლიხთ-იქითნი ბედიელ-დადიანით. ხოლო დღესა ერთსა ინება მეფემან გარ-მოვლა და მოთვალვა ქალაქისა და გარ-მომვლელი იხილეს მოქალაქეთა და ჰსცნეს მეფედ. მყის განახვნეს გარ-

სათვის მითხოვილს რუსუდანს, რომელსაც შვილი არა ჰყვანდა (*H. de la G.*, 395, n. 2) და რომელსაც მინდობილი ჰქონდა თამარის აღზრდა? თვით ნესტან დარეჯანისათვის საქმროს ძებნა და ბოლოს მისი მითხოვება ტარიელისადმი, რომელიც ყმაწვილობითვე ფარსადანს მიელო თავის სახლში („მეფემან სთქვა: „შვილად გავზდი, თვით ჩემივე გვარი არის"), გვიჩვენებს თამარის საქმროს ძებნას, სოსლან-დავითის ბაგრატიონთ გვარის შთამომავლობას და მის აღზრდას რუსუდანისაგან. დასასრულ, თუ „ვეფხის-ტყაოსანს" საფუძვლიანად გავარკვევთ, მაშინ, ეჭვი არა გვაქვს, იგი ბევრს სხვა დასამტკიცებელს საბუთს მოგვცემს ამისას, რომ მის ავტორს აზრათ აქვს საქართველოს პოლიტიკური წყობილება და ყოფა-ცხოვრება.

რა ძალა აღმოიჩინა საქართველომ მე-XII საუკ. დავით აღმაშენებელის დროდამ თამარის მეფობის დასასრულამდე და რა გავლენა მოიპოვა მან მაშინდელს საზოგადო პოლიტიკაზე, ეს ჩვენ ზემოთ ვნახეთ. ამ ძალისა და გავლენის მიზეზს ბროსსე ასე აგვიხსნის: „დაიჭირეს რა ჯვაროსანთა ზოგი-ერთი მუსულმანთ სამთავროები: ნიკეა, ედესსა, ანტიოქია და მეტადრე იერუსალიმი, შეასუსტეს იმათი შემძლეობა და მისცეს ძალა ქრისტიანობას; თვით სელჯუკების ძალა შეარყიეს ადერბეიჯანის ათაბაგებმა და მთელს დასავლეთს აზიაში მუსულმანთ სახელმწიფოთა შორის არ იყო აღარც ერთი, რომელსაც შესძლებოდა სხვათა ბძანებლობა და მათი შეერთება საზოგადო დროშას ქვეშ. ქართველებმა ახლაც ისარგებლეს, როგორც უწინაც სარგებლობდნენ იგინი, ხსენებულის გარემოებით და იარაღს ხელი მოჰკიდეს. ეს არის მიზეზი დავითისა და იმის მემკვიდრეთა ძლევა-მოსილის მფლობელობისა ვიდრე მონგოლების ზედ-დასხმამდე" (*H. de la G.,—Introd.*, LXV).

ამ მიზეზს თვით ქ.-ცხზაც უჩვენებს (ქ.-ცხ., 241). მაგრამ მას ჩვენ ჩვენის მხრით საკმაოდ არა ვხადით. სად იყვნენ ჯერეთ ან ადერბეიჯანის ათაბაგნი, ან ევროპის ჯვაროსანნი, როდესაც დავით აღმაშენებელი და გიორგი III მუსულმანთ შეერთებულ ძალას სთრგუნვიდნენ და ულეტდნენ? სად იყვნენ მონგოლნი, როდესაც თამარის სიკვდილის შემდეგ, დაჯდა თუ არა ლაშა გიორგი ტახტზე, განდგნენ შეორგულებულნი განძელნი, თუმცა გიორგიმ იგინი ამერ-იმერთ ძალით მეორედ დაჰმორჩილა?

ჩვენის მოსაზრებით, უმთავრესი მიზეზი საქართველოს გაძლიერებისა მე-XII საუკ. იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი ჩვენი ტომი, მანამდე პოლიტიკურის მდგომარეობით გაცალკევებული, დავითის დროდამ თამარის სიკვდილამდე მჭიდროდ შეერთებული, მტკიცე ხელს ეპყრა, ნიჭიერთ მთავართა და ჯარის-უფროსთ შემწეობით, რომელნიც ყოველთვის თავიანთ მოვალეობას გულ-წრფელობით ასრულებდნენ. ამ გვარად მიმართული საქართველო იზიდავდა თავის დროშას ქვეშ გარეშე მოსახლე ტომთა: სომხობას, ოსთა, დაღისტნელთა და საზოგადოდ კავკასიელთა. ასე, რომ მაშინდელი საქართველოს დამოკიდებულობა იმათთან მოგვაგონებს ფედერატიულს კავშირს სხვა და სხვა ტომ-ნათესავებისას,

ნი, რამეთუ აღუჩნდათ მცირედ და მოუტევნენ მეფესა. მაშინ თანამყოლნი სპანი ეტყოდნენ მეფესა: „განვსწიროთ თავნი ჩვენნი და არა გარცხვინოთ პირველი მეფობა შენი.“ მიუტევნენ მეფითურთ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. შემდგომად წარიქცივნეს სრვითა, შესჯარნეს კართა ქალაქისათა და მოსრვიდნენ; ხოლო გარ-მოდგომილთა სპათა ესმათ ხმა ტყუებისა დედათა მათთაგან ქალაქიდამ და მიისწრაფოდნენ მეფისა; არამედ მეფე გამარჯვებული მოუგება სპათა თვისთა; გარნა აღუმნდათ დიდებულთა და ამხილებდნენ მეფესა. ესე მეფემან თავს-იდვა უგონებელ ყოფად და დაამშვიდნა იგინი. შემდგომად მცირედთა დღეთა შემწირდა ქალაქი და მოითხოვეს მშვიდობა ვედრებით და აღუთქვეს ხარკი. შეიწყალა მეფემან და დაიმორჩილა მოხარკედ და წარმოვიდა მძლეველი.

ხოლო ვინაჲდგან დამორჩილებულ იყვნენ ყოველნი გარემონი თამარისაგან და მოსცემდნეს ხარკსა სალათნი (ხლათნი) და ძღვენსა სძღნობდნენ ბერძენნი და არა სადა იყო მტერი, ამისთვის იშვებდნენ და იხარებდნენ და მიდრკა მეფე სიბოროტედ და განიშორნა ვეზირნი დედისანი და შეიყვარა თანა-მოასაკე აღზრდილნი თვის თანა და საქმენი მათნი: მღერანი, როკვანი, დედათა თანა აღრევანი, რამეთუ ღამე ვიდოდა, რათა განიძღოს სიბოროტე. ვერ მცნობელთა რაინდთა შეიპყრეს მეფე და ეგოდენ ჰგვემეს, ვიდრე თვალი მარჯვენე ხედვისაგან დაკლებულ ჰყვეს. კვალად შეუდგინა, რამეთუ არა ისვა ცოლი, რამეთუ თუმცა აიძულებდნენ წარჩინებულნი, არამედ არა ჰყო, რამეთუ კასეთს ველის-ციხეს მყოფმან იხილა დედაკაცი და ეტრფიალა მეფე, წაჰგვარა ქმარსა და მოიყვანა თვისად, მიუდგა და ჰშვა წული სახელით დავით. მხილველნი დიდებულნი, კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი ეტყოდნენ არა ყოფად ესრეთ; წაჰგვარეს დედა დავითისა, რათა იქორწინოს სხვასა ზედა, ანუ მას ზედავე და განეყენოს უჯეროსა. მაშინ მეფემან აღთქმულმან არწმუნა თვინიერ მათსა არა რაჲსა ყოფად, გარნა ცოლისა სმა და ქორწინება ვერ დაარწმუნეს და კვალად მისცეს ქალი იგი დედა დავითისა და არცა მას ზედა ქმნა ქორწილი.

ხოლო დროსა ამას გამოჩინებულ იყო აღმოსავლეთით თათართა გვარისა ყიასდის თემუჩი, ჩინგის-ყაენად[1] წოდებული. ამან დაიპყრა ჩინ-მაჩინი და დიდი

მთელი კავკასიის მხარე საქართველოს დროშას ქვეშ ებრძოდა შეერთებულს მუსულმანობას. ამის გამო ჩვენ ჯარს ჰქონდა იმ გვარი ძალა, რომელიც ყველა მტრის მხრით იგი უძლეველი იყო. ეს შეკავშირებული ძალა რომ შემდეგში შიგნიდგანვე არ შეერყიათ და საქართველოს საქმეთა გამგენი რომ უწინდებურად თავის წმინდა მოვალეობის ღირსნი ყოფილიყვნენ, დიაღ შესაძლებელი იყო, ჩვენის ფიქრით, რომ ხვარასნის სულტანი ჯელალ-ედ-დინი წინ ვერ დაუდგებოდა ჩვენ ძალას და თუმცა, როგორც ვნახავთ, ყოვლად შეუძლებელი იყო თავიდამ აგვეცილებინა ის „რისხვა ღვთისა“, რომელიც მოგვევლინა მონგოლების თავზე-დასხმით; მაგრამ სრულიად ძალა-მილებულნი არ დავხვდებოდით მათ.

1. ყაენი თათრულად ხაყანი. ხაყანად იწოდებოდა უმთავრესი მონგოლთ მფლობელი და მისნი მემკვიდრენი. ამ სიტყვიდამვე წარმოსდგა ხანი, რომელიც ჩვე-

თათარი წელსა 1202, ქართულსა 422. შემდგომად ამანვე წარმოავლინნა ორნი მთავარნი 19,000 მხედრითა განმსტრობად ქვეყანისად, რომელნი იყვნენ უცხო-სახენი, უცხო-ენანი და სჯულად დაყდვა ჩინგისისავე ერთისა ღმრთისა თაყვანისცემა. ამათ გამოვლეს თურქეთი, ჯეონი, სპარსეთი, ჴსმლეს ყოველთა წინააღმდგომთა და მოიწივნენ საზღვართა ქართლისათა და აოხრებდნენ სომხითს,

ნებურად უდრის თემის გამგეს ანუ ღუბერნატორს (*H. de la G.*, I, 485, 490).

მონგოლთ სამშობლო ადგილზე, ჩინგის-ყაენის გაძლიერებაზე და გამოლაშქრებაზე ვრცელს ცნობას გვაძლევენ სომხის მწერალნი და ქ.-ცხბა (ნახე *H. de la G.*, 485—486 ბროსსეს შენიშვნებითურთ და თვით ლებოს *H. du B—E.*, XVII, 402—412). სრული და ღირს-შესამჩნევი ფაკტები იმათ ხასიათზე, პოლიტიკურ წყობილებაზე და ყოფა-ცხოვრებაზე იპოება მარკო-პოლოს თხზულებაში. ამ მარკო-პოლომ მე-XIII საუკ. მრავალი წელი დაჰყო მონგოლიაში და ეს საგანი ადგილობრივ შეისწავლა საფუძვლიანად და გადმოგვცა თავის *Путешествіе*-ში *въ 1286 г. по Татаріи и другимъ странамъ Востока.* Спб., 1873, стр. 59,—67, 75—123. რაში მდგომარეობდა ის გასაოცარი მონგოლთ ძალა, რომელსაც პირველისავე დროდამ ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლისა ვერც ერთი სახელმწიფო აზიისა და ევროპისა ვერ წინააღუდგა, ეს საგანი ისტორიის მხრივ ახლა ცხოველად არის გამოკვლეული. ამაზე განსაკუთრებით მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მალკოლმის თხზულებაში *Histoire de Perse*, II, 52—58, 140—155. როგორც გიცით, ჩინგიზ-ყაენი იყო პირველი შემოქმედი მონგოლთ მფლობელობისა და ძალისა. ჩინგიზ-ყაენამდე თვით სახელწოდება მონგოლთა სრულებით არ არსებობდა. ამან მისცა ეს სახელ-წოდება ვრცელის საშუალო აზიის ყველა თათრის ტომთ, რომელნიც ერთის ენის მოდგმას ეკუთნოდნენ და თვით სხვა და სხვა ნათესაობის ერთაც, რომელნიც მან დაიმონავა. ხსენებული სახელწოდება დარჩენილია აქამომდე ჩვენშიაც: როგორც ქართველები, აგრეთვე სომხები გუწოდთ მონგოლების ჩამომავალთა მუღალებად (S-Martin, *Mém.*, II, 261—263).

თავ-და-პირველად მონგოლებად იწოდებოდა მცირე ტომი ქვე-მდებარე თემურჩისა, რომელიც 1202 წელს, როდესაც მან სრულებით შემუსრა მეორე თათრის ტომის მთავარი უნ-ხანი, მომეტებულმა ნაწილმა თათართ ხანებთამან ამოირჩია ხაყანად ანუ ჩვენებურად მეფეთ-მეფედ და შემდეგ ამისა თემურჩი იწოდა ჩინგიზ-ყაენად. ჩინგიზ-ყაენმა დააწესა ისეთი სამხედრო კანონი, რომლითაც ყველანი იმის ქვეშე-ვრდომნი მამა-კაცნი მეომრებად გარდააქცია. ამ კანონით მთელი იმისი არმია იყოფებოდა თუმანებად და თვითოეული თუმანი შეიცავდა 10,000 კაცს, რომელიც იყო დანაწილებული ათას-ათასებად და ას-ასებად. ურდო ანუ ბანაკი, ერთის თუმანისაგან შემდგარი, ექვემდებარებოდა ერთს მის შვილთაგანს. სამხედრო დისციპლინა იყო ფრიად სასტიკი. ჩინგიზის არმია, თუ რომ ბრძოლაში არ იყო, მანევრობაში იყო გართული და ამის გამო დიდად გაწვრთნილი. უეჭველი ფაკტი ჰმოწმობს, რომ ჩინგიზის მხედრობაში ირიცხებოდა 600,000-ზე მომეტებული მეომარი კაცი. ეს არის მიზეზი, რომ მცირე ჟამს ამ მხედრობამ მრავალი სახელმწიფო დაამხო და დაიმონავა. შემდეგ ზემოდ-ხსენებულის კანონის დაწესებისა 1206 წ., მონგოლებმა შემუსრეს: 1215 წ. ჩინეთი ანუ ხატაეთი; 1218 წ. ხვარაზმი, ბუხარა, ხორასანი და ერაქი; 1223 წ. ყივჩაღეთი; 1236 წ. მოსკოვი, ვლადიმირი და კიევი; 1240 წ. პოლშა შიდლოვის ომში; 1241 წ. ვენგრია და მხოლოდ 1242 წ. თვით დამარცხდნენ ილლირიაში ფრიდრიხ II-საგან, (Sabatier, *Descr. génér. des monn. byzant.*, II, 232—234).

გაგს[1]. ესე მოსვლა თათართა აცნობეს მეფესა. მაშინ მეფემან შემოიკრიბნა სპანი 400,000 (ქ-ცხ. 90,000, გვ. 346) მხედარნი და წარვიდა მათ ზედა. ხოლო გზასა ზედა მოერთო ათაბაგი იოანე დიდითა ლაშქრითა; ხოლო თათარნი სდგნენ წყალსა ზედა საგიმს[2] და მუნ ეწყვნენ ურთი-ერთარს; მაშინ თათარნი ნასხვარნი ივლტოდნენ და ნასხვარნი მზირ-უყოფდნენ, მოეტევნენ ზურგით-კერძო და ეკვეთნენ ქართველთა და იქმნა რისხვა ღვთისა, რამეთუ სახელოვანი დროშა დავითისაგან ამ დრომდე უძლეველი იძლია და ივლტოდნენ ქართველნი მეფითურთ და მოისრვოდნენ მხნენი და ძლიერნი მებრძოლნი თათართაგან ურიცხვნი და შემოვიდნენ ტფილისს მწუხარენი და მეტყველნი: „ვინაჲდგან შევაწუხეთ ღმერთი, შეგვაწუხა ჩვენცა და სირცხვილეულ გვყო წინაშე მტერთა ჩვენთა“ წელსა 1209, ქართულსა 429[3]. ხოლო თათარნი მოვიდნენ სამშვილდემდე, უკუ-იქცნენ, განვლეს კარი დარუბანდისა, შემოვლეს ზღვა კასპიისა და მივიდნენ წინაშე ჩინგის-ყაენისა[4]. ეჰა უცხო! რამეთუ უშჯელითა ცხენითა და მხო-

1. გ ა გ ი, გაგის-ციხე; აქედამ გაგელნი მთავარნი, რომელნიც ვახუშტის ისტორიაშიაც და ქ.-ცხბაშიაც იშვიათად არ იხსენებიან. დარწმუნებით არ ვიცით, სად მდებარებდა გაგი და გაგის-ციხე. ვახუშტის გეოგრაფია და სომხური მწერლობა ამ საგანზე დასაკმაყოფილებელს ცნობებს არ გვაძლევს, თუმცა ბროსსეს ფიქრით იგი მდებარებდა „არწახის მაზრაში ანუ გუგარკში, ქართველების გარდაბანის საზღვრებში (*H. de la G.*, I, 228, n. 4—5). გარდაბანის საზღვრები ნახე *Add.*-ში, 302.

2. „საგიმი არსო ბერდუჯის მდინარე; ესრეთ სწერენ, არამედ მე იჯან-ალის-ტბე მგონია, ამისთვის რომელ ბერდუჯს არც სამზირო აქვს და არც ეგოდენი გზა ტფილისიდამ, რომ დიდი ჯარი შემოეყაროს.“ ვახუშტი. ქ.-ცხბით, „ხოლო იგინი იყვნენ დაბანაკებულნი წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგიმად წოდებულსა“ (ქ.-ცხ., 347).

3. ა ბ უ ლ ფ ე დ ა მოიხსენებს მონგოლთ მოსვლას სალეკოში 616—1219—20 წ., აგრეთვე იბნ-ალ-ათირი, რომელიც ამასთანავე გვიამბობს მეორე მათს ზედ-დასხმას საქართველოზე 1221 წ., „როდესაც ამ ქვეყანას განაგებდათ დედაკაცი,“ რა საკვირველია რუსუდანი (*H. de la G.*, I, 493, n. 3).

აქ გამოვწერთ ქ.-ცხბიდამ იმ ადგილს, რომელშიაც მემატიანის ღრმა სულთქმა და ვაება გამოიხატება პირველის ჩვენის ძლევის გამო მონგოლთაგან. „და აქა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღვთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა, სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩვენთასა, და იქმნა უკუ-ქცევა სვე-სვიანისა, სრულისა და მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა; რამეთუ ვინაჲდგან მიეცა ღმრთისა დიდისა დავითისდა გამარჯვებაჲ, აქა-ჟამამდე დროშა იგი სვიანი დავითისა არა საჲდა ძლეულ-იყო; ხოლო ამიერიდგან ვითარ იქმნა ცვალება სვიანობისა ქართველთა ნათესავისა, რამეთუ არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამადმდე ჩვენდა.... ესრეთ ლტოლვილნი მოიწივნეს ქალაქსა ძლიერნი იგი და სახელოვანნი, რომელნი სულთქმითა და მწუხარებითა შეიწვლებოდეს, რამეთუ ვინაჲდგან ჩვენ შევაწუხეთ ღმერთი საქმითა ბოროტითა, ეგრეთ ღმერთმან ალავსო გული ჩვენი მწუხარებითა და წინაშე მტერთა ჩვენთა სირცხვილეულ გვყო“ (ქ.-ცხ., 347).

4. თანა-მედროის მუსულმანთ მწერლის იბნ-ალ-ათირის თქმით, პირველად 1220 წ.

ლოდ მშვილდ-ისრისაგან კიდე არა რაჲსა საჭურველისა მქონებელთა ყოველ-გან ბრძოლით ჰყვეს ესრეთ.

ხოლო შემდგომად ამისა შვებასა შინა იშვებდნენ და იხარებდნენ. ამას შინა მოითხოვა დაჲ მეფისა რუსუდან ხალათის სულტანმან[1], რო-მელსა ეპყრა ეგვიპტეცა, არამედ დააყენა მოწყალებამან ღვთისამან. კვალად რაოდენისამე ჟამისა შემდგომად მოითხოვა შარვან-შაჰმ და მისცეს პირი; ამისთვის წარვიდა მეფე ბაგავს, რათა მისცეს მუნიდამ, არამედ აქაცა არა დასცხრა გულის-წყრომა ღვთისა, რამეთუ დასნეულდა ლაშა გიორგი მე-ფე; გარნა სცნა რა სიკვდილი თვისი, შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი და მიათვალა დაჲ თვისი რუსუდან და ძე თვისი დავით და უბრძანა დისა რუ-სუდანისა დასმა მეფად, ვინაჲდგან დიდად მოყვარულ იყვნენ და აქვნდა სა-სოება აღთქმის აღსრულებისა. ხოლო რუსუდანს ამცნო დებულთა მოწმობითა,

საქართველოში შემოვიდა მონგოლის ჯარი, რომელსაც ბძანებლობდნენ სუბა და ზაადუ-რი ჩეფექ-ხუვიანი; მეორედ შემოვიდნენ იგინი მომავალ წელს. „ამ ორს ზედ-დასხმათა შორის, სენ-მარტენის ფიქრით, უნდა მომხდარიყო სიკვდილი ლაშა გიორგისა. ამის სა-ბუთს გვაძლევს საეკლესიო მწერლის ბარონიუსის ცნობა, რომელიც შეიცავს პაპა ჰო-ნორი II პასუხსა 1224 წ. რუსუდანის წერილზე. რუსუდანი 1222 ანუ 1223 წ. მას აცნო-ბებს თავის ძმის მეფის სიკვდილს და ამასთანავე უამბობს, რომ თათრები ორჯელ დაგვე-სხნენო, მაგრამ ჩვენ იგინი განვდევნეთო და არწმუნებს, რომ ჩემი ამირ-სპასალარი იოანე ემზადებაო თავის ჯარით იმპერატორს ფრიდრიხს შეუერთდესო გასალაშქრებლად პალე-სტინაზე. რუსუდანის წერილის გარდა ბარონიუსის ისტორიაში ჩართულია აგრეთვე წე-რილი თვით იოანესი, რომელიც იწოდება „ამირ-სპასალარად და მანდატურთ-უხუცესად ყოვლისა საქართველოჲსა და სომხეთისა". იოანეს წერილი შეიცავს იმავე საგანს, რომე-ლიც რუსუდანის წერილში ამოკითხვის და დასძენს, რომ მე მზათა გარო 40,000 ჯარით იმპერატორს ფრიდრიხს შეუერთდეო იმ ადგილს, რომელსაც პაპა დამინიშნავსო. შემ-დეგ ამისა იოანე თავის წერილში მოიხსენებს თავის ძმის-წულს შაჰან-შას: nepus meus, filius fratris mei Sanxa nomine, dominus quindecim magnarum civitatum, რომლის სამფლობელოს ნაწილს შეადგენდნენ ანი, ყარსი და სხვა ქალაქები სომხეთი-სა" (Saint-Martin, *Mém.*, II, 255—257). ამ შაჰან-შაჰზე, ზაქარიას შვილზე ნახე *Add.*, 362. თვით რუსუდანისა და იოანეს მიწერ-მოწერა, შემოკრებული ბროსესაგან, იხილე იმავე *Add*-ში, 302—305.

1. ხალათის მაგიერ ქ.-ცხ-ში ხლათი და ხლათის დიდი სულტანი მელიქი, „რომელსა ეგვიპტით ვიდრე ხლათამდე სპარსეთი ჰქონდა" (ქ.-ცხ., 347—348). თამარის ბიოგრაფიიდამა ჩანს, რომ შემდეგ მელიქ-ელ-აუჰადის სიკვდილისა 1210 წ., მისმა ძმამ მელიქ-აშრაფმა დაიჭირა ხლათი. ამ უკანასკნელის მაგიერ 1220 წ. დაჯდა იმი-ხი ძმა მელიქ-შაჰაბ-ედ-დინ გაზი, რომელიც, ბროსსეს ფიქრით, უნდა იყოს მთხოვნელი გიორგი ლაშას დისა" (*H. de la G.*, I, 495, n. 1).

ხლათი არაბთ, თურქთ და სომეხთ სახელ-წოდებით ხელათი ანუ ახლათი შეა-დგენდა დიდს სომხეთში ერთს დარუბერანის თემთაგანის ქალაქს და მდებარებდა ვანის ტბის ნაპირად. იმისი ადგილ-მდებარება და ისტორია ნახე Saint-Martin, *Mém.*, I, 105—106.

ფიცითა და შეკვრითა ღვთისათა, რაჲთამს მოიწყალოს დავით ძე ჩემი, ჰყუნ იგი მეფედ და დიდებულთაცა ესე ესრედ ყოფად. შემდგომად შეისვენა მეფემან ლაშა გიორგიმ წელსა 1212[1], ქართულსა 431, იანვარსა 18, დღესა ოთხშაბათსა და მოიღეს მუნიდამ ტფილისს და ტფილისიდამ გელათს.

## მეფე რუსუდან (1223—1247).

შემოკრბნეს ყოველნი დიდებულნი, კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი ნიკოფსიიდ დარუბანდამდე და აკურთხეს რუსუდან ტფილისს და დასვეს მეფედ. ხოლო იყო ესე რუსუდან ხილვითა შუენიერ, ვითარცა დედა თვისი, სამღვდელოთა და დიდებულთა პატივის-მცემელი და უხვი. ამან მოიწყო ყოველნი საბრძანებელნი დედისა თვისისანი და იყო განცხრომასა, შუებასა და სიმღერასა შინა, ვითარცა ძმა მისი. არამედ ვინაჲდგან დაუტევეთ ღმერთი, მანცა დაგვიტევა და წინა-სხენებულნი თათარნი რა მიიწივნენ წინაშე ჩინგიზისა და ჰსცნა-რა ვერავისა წინა-აღმდგომობა სპათა მისთა, განჰყო სპანი თვისნი დედა-წულითურთ და წარავლინა სპარსეთს, რუსეთს, ინდოეთს. მაშინ იყო სულტანი ხვარასნისა, რომელსა ეპყრა ინდოეთიდგან სრულიად სპარსეთი ვიდრე ჯეონამდე, სახელით ჯალალდინ[2]. ესე მრავალ-გზის ეწყო თათართა ჯეონს იქით და აქეთ, არამედ მარადის მათ სძლიან. ამან ძლეულმან მათგან დედა-წულით წარმოსრული ჩვენ კერძოდ წარმოვიდა და მოვიდა ადრაბაგანს სპითა 140,000 და დაუწყო რბევა სომხითს, გაგს და მოსრვიდა ვიდრე ჩრდილთაცა. მცნობელმან რუსუდან შეკრიბნა სპანი, უჩინა ივანე ათაბაგი, მისცა სეფე-დროშა და წარავლინა სულტანსა ზედა. მიიწივნენ დვინს ესენი; ხოლო ხვარასნელთა დაებანაკათ გარნისსა. განაწყვეს რაზმი და აჩინეს მეწინავედ შალვა და ივანე ახალციხელნი და თორელნი; მუნიდამ მოვიდა სულტანი ჯალალდინ, რომელი იყო მხნე, ახოვანი და გამოცდილი ბრძოლათა შინა; არამედ მიეახლნენ რა მეწინავენი, არღარა წარსდგა ათაბაგი შველად მათდა; ხოლო შალვა და ივანე უკლინებდნენ კაცთა, რათა უყოს შეწევნა, რამეთუ დაახლოებულ ვართო და არა ინება ათაბაგმა შეწევნა, რამეთუ ჰყო შურითა და არა შიშითა; არამედ ვითარ არღარა იყო ღონე, მიეტევნენ შალვა და ივანე, იქმნა ბრძოლა და მოსწყდნენ ორგნითვე ურიცხვნი; კვალად არავე მწე ეყო ათაბაგი. ჰოი შური ბოროტი! რამეთუ მონათესავეთა თვისთა ჰსჭვრეტდა მოწყვედად და არა რაჲვე თავს-

1. გიორგი ლაშას სიკვდილს ბროსსე უჩვენებს „ათის წლის შემდეგ თამარის სიკვდილისა," ესე იგი 1223 წ. ამისი საბუთები ნახე *H. de la G.*, I, 495, n. 3.

2. ჯელალ-ედ-დინი, რომელმაც, შემდეგ მის განდევნისა მონგოლთაგან თავის სამფლობელოდამ, ააოხრა სომხეთი და საქართველო. ამ საგანზე დაწვრილებით ცნობები, თვით იმის მუშირის ანუ სეკრეტარის ნისავისაგან გადმოცემული ნახე *Addit.*-ში, 309—317.

იდვა, არამედ ეგო უძრავად. შემდგომად ივლტოდნენ რა მეწინავენი, შეიპყრეს შალვა მხნედ მბრძოლი, რამეთუ ხრმალიცა ჩაბალახსა ზედა გასტეხოდა; ხოლო იოანე ქვეითი კლდესა შინა მლტოლვარე ქვათა მოკლეს. გარნა ათაბაგი ხვითა უვნოდ წარმოვიდა მოსწრაფედ წელსა 1213, ქართულსა 433 და სულტანიცა უკუ-იქცა[1]; გარნა მარადის ჰხრვიდა და აოხრებდა საზღვარსა ქართლისასა და არავინ იყო ნუგეშინის-მცემელი; არამედ სულტანი პყრობილს შალვას აიძულებდა დატევებისათვის ქრისტესა, გარნა იგი არა ერჩდა და სიმხნე-ახოვნებისათვის მისისა შეიყვარა და ლიქნიდა ნიჭითა მრავლითა და ვითარ არა თავს-იდვა, მოკლა იგი ტანჯვითა ფიცხელითა და შეირაცხა წმიდათა მოწამეთა შორის. შემდგომად მოკვდა ფარულად შემონაზონებული და მის საქმისა მყოფელი იოანე ათაბაგი წელსა 1214, ქართულსა 434[2].

ამასვე წელსა იქორწინა რუსუდან ტუღრულის ძესა ზედა[3], რომელ მჴევლადცა ჰყვანდა შვენიერ-ჰაეროვნების და სიმხნე-ახოვნებისათვის. მიუდგა და შვა ასული თამარ[4]. შემდგომად მიუდგა და შვა ძე დავით. ამისა შემდგომად მოიწია უდიდესი ბოროტი, რამეთუ მოვიდა იგივე სულტანი ტყვენვად და ოხრებად საქართველოჲსა და ჰნება თავისა თვისისა მეფეყოფად აქა და აოხრებდა დვინს, ანისს და გარემოთა. ხოლო რუსუდან შესძინა ბოროტსა ბოროტი და არღარა მოიხსენა ანდერძი და აღთქმა ძმისა

1. დვინი აიღო ჯელალ-ედ-დინმა 1225 წ. ამავე წელს—ამ ფაქტს არ იხსენიებს ჩვენი მატიანე—დეფრემერის თქმულებით ქართველები დაეცნენ განძას, მაგრამ ვერა გაარიგეს რა და უკუვე-იქცნენ. გარდა ამისა შირვან-შაჰმა, რომელსაც თავისმა შვილმა ტახტი ჩამოართო, მიჰმართა ქართველებს და 3000 ქართული ჯარი მიადგა შირვანს, რომ შირვან-შაჰისათვის თავისი სამფლობელო დაებრუნებინა, მაგრამ იგი იძლია. იმავე წელს ქართველები შევიდნენ ადერბეიჯანში, რომელსაც ჰფლობდა უზბექი; მაგრამ აქაც დამარცხდნენ და მოემზადნენ რა სამშობლოში გასამგზავრებლად, შემოვიდა ჯელალ-ედ-დინი (*H. de la G.*, I, 497, n. 1—2). დოვინში ქართველები შეადგენდნენ 70,000 მხედრობას, რომელთაგან გარნისის ბრძოლაში დაიღუპა 20,000. შემდეგ ამ ბრძოლისა ჯელალმა მიჰმართა თავრიზს და იმავე 1225 წ. დეკემბერში მეორედ გაილაშქრა საქართველოზე (*H. de la G.*, 500, n. 1). რა მხთლად და სასირცხვილოდ აღმოჩნდა გარნისის ბრძოლის დროს იოანე მხარ-გრძელის სარდლობაში შეერთებული ქართველთ-სომეხთ ჯარი, ამაზე ნახე სტეფანე ორბელიანის თქმულება (*H. de la G.*, 499, n. 1).

2. იოანე მხარ-გრძელის სიკვდილს ბროსსე უჩვენებს 1227 ანუ 1229 წელს (*H. de la G.*, I, 500, n. 1—*Add.*, 362).

3. რუსუდანის შეუღლება მოხდა თუღრულის ძესთან კი არა, არამედ იკონიის სელჯუკთან ყილიჯი—არსლან III-ს შვილთან მოგით-ედ-დინთან, რომლისაგან მას მიეცნენ თამარ და დავით. ნახე აბულ-ფედას ნაამბი *H. de la G.*, 501, n. 2.

4. რუსდანის ქალი თამარ მიეთხოვა 148—1228 წ. გაიათ-ედ-დინს ქაიხოსრო II-ს, ბიძა-შვილის-შვილს როკნ-ედ-დინისას. ეს ის როკნ-ედ-დინია, რომელიც დამარცხებულ იქმნა 1203 წელს თამარისაგან (*H. de la G.*, I, 50 n. 3).

თვისისა და რა იქმნა შე მისი დავით წლისა ექვსისა, ინება მეფობა მისი და შემოიკრიბნა იმერნი, კათალიკოს-ეპისკოპოსნი, წარჩინებულნი და აკურთხა წელსა 1222, ქართულსა 442[1]; არამედ ამერნი დიდებულნი უცალოებისათვის არავინ იყვნენ მუნ და არავე შეიშინა, არამედ ბოროტისათვის მოუშვა ღმერთმან სულტანი. მერმე აღიზარდა რა თამარ, მოითხოვა სულტანმან ყიასდინ ცოლად, აღთქმულმან არა დატევებად სჯულისა ქრისტესსა. ხოლო ამა პირსა ზედა მისცა რუსუდან ასული თვისი და მზითვად აწყვერი წელსა 1228, ქართულსა 448.

შემდგომად მცირედისა ჟამისა წარუვლინა შე ლაშასი დავით სულტანსა სიძესა თვისსა, რათა მოკლას იგი; არამედ იგი კეთილსა უყოფდა. ხოლო სულტანმან ჯალალდინ ამცნო ავაგ ათაბაგსა ვაზირ-ყოფად მეფისა. ამას მიუწოდა და აღიჭურნენ ორნივე: იქით მოადგა ხევის-პირს სულტანი ერთითა მონითა და აქათ ავაგ ეგრეთვე. მაშინ ეტყოდა სულტანი ავაგს: „მე არა მტრად თქვენდა მოვსულვარ, გარნა ფიცხელად შემომეპენით; აწ ვინაჲდგან გამოჩნდნენ თათარნი და ვერვინ წინა-აღუდეგით, მოვედ მე, რათა შემომიერთდეთ, ვინაჲდგან მეფა თქვენი ქალი არს და არა ძალ-გიძსთ მარტოდ ბრძოლაჲ თათართა და არცა მე; ხოლო უკეთუ არა ჰყოთ, კვალად მოგაოხრო თქვენ და მერმე ვბრძო თათართა.“ ესე ყოველი ამცნო ავაგ რუსუდანს; არამედ არცა-ღა თუ სმენად ინება; ხოლო სულტანმა რა ჰსცნა ავაგისაგან, შემოვიდა სომხითს, მოსრნა, რომელ არა დაუტევა მამა-კაცი და მუნით მოადგა ტფილისს; ხოლო რუსუდან პირველვე წასულიყო ქუთაისს და ტფილისს მცველი დაედგინა; არამედ მცველთა ტფილისისათა ძლიერი ბრძოლა აჩვენეს სულტანსა, რამეთუ აღებადცა ესასო იქმნა; გარნა განსცეს სპარსთავე ტფილისს მყოფთა, რამეთუ მემნას განსვლასა საბრძოლად კარსა ქალაქისასა უხეთქეს ძლიერად ავთითა თავსა და მოკლეს და განუხვნეს კარნი. მაშინ მოიწია რისხვა ღვთისა: შემოვიდნენ და მოსრვიდნენ წელსა 1228, ქართულსა 448. კვალად მოარღვია სულტანმან სიონსა გუმბათი, დაიდგა საჯდომი და დაჯდა მას ზედა და მუნიდამ სრვიდა, რომელ მდინარე სისხლისა სდიოდა, რამეთუ პირველვე ნებითა რუსუდანისათა დაუტევა ბოცომ ციხე კალისა და ისნისა და წარმოვიდა. კვალად სულტანმან მოიღო ხატი სიონისა ყოვლად-წმიდისა და დაასვენა ხიდსა ზედა და რომელი არა ჰნერწყვიდა, მოჰკლვიდნენ. მაშინ მრავალთა მოწამეობისა გვირგვინი მოიგეს აღსარებითა, არამედ მოსრვილნი ტფილისასანი 100,000-მდე აღიწივნენ[2]. შემდგომად იწყო რბევად და

1. ბროსსეს საბუთის ძალით რუსუდანს უნდა ექორწინა თავის მეფობის მეორეს ანუ მესამე წელს 1225 ანუ 1226 წ. და დავითი, იმის ფიქრით, ნაშობი 1228 წ., უნდა ყოფილიყო, როდესაც დაგვირგვინდა, ესე იგი 1234, ექვსის წლისა (*H. de la G.*, 508, n. 3).

2. რა გვარი ბარბაროსობა ჩაიდინა ჯელალ-ედ-დინმა ტფილისში ეს ნახე

ტყვენად ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა, ჯავახეთისა, ტაოსა, არტანისა, სამცხისა, ანისა, კარნიფორისა და განმრავლდა ესე ვითარი ტყვეენა ხუთისა წელსა[1]; არამედ რუსუდან ჭირსა და იწროებასა ამას შინა მყოფმან არა მოიხსენა ღმერთი და არცა შეიშინა და ვითარ სცნა, რამეთუ არა მოკლა სულტანმან დავით ძე ლაშასი, ეი სოფლის-მოყვარება ბოროტი! მიუწერა სულტანსა: „ასული ჩემი თანა-ეყოფის დავითს და მის გამო უყოფს კეთილსა“. მსმენელმან ამისმან სულტანმან შეიპყრა თამარ, ჰგვემა მწარედ და შემუსრნა ხატნი და ჯვარნი წინაშე თვალთა მისთა და დაატევებინა ქრისტე; ხოლო დავით შთააგდო ზღვასა[2] და ღმერთმან განარინა იგი, რომელი ჰპოვა ვაჭარმან ვინმე ზღვის-კიდესა და მიიყვანა სახიდ თვისა. კვალად მცნობმან სულტანმან წარჰგვარა ვაჭარსა და შთააგდო მღვიმესა გველ-გესლიანითა თანა, რომელსა უცა გველმან ერთმან, ხოლო სხვათა მათ გველთა შესჭამეს გველი იგი და დავითს მოსწოვეს გესლი იგი კბენილისა და განკურნეს მქონებელი ხატისა ყოვლად-წმიდისა ღვთისა დედისა სასოდ თვისად, რომელი მის მიერ დაცულ იყოფოდა. შვიდსა წელსა განსაცდელსა მვედრებელი ღვთისა და მონა ერთი მიართმიდა მოთხოვილსა პურსა და წყალსა დღიურად.

ხოლო მათ ხსენებულთა თათართა გამოკლეს ჯეონი და ადვილად ხელთ-იგდეს სასულტნო, ესენი მოსრვიდნენ ურჩთა და მინდობილთა კეთილსა უყოფდნენ. ამისი მცნობელი ჯალალდინ აიყარა ტფილისიდამ წელსა 1233, ქართულსა 453[3], და მივიდა ადრაბაგანს; მუნით წარმოვლინა დესპანი ბაღდადის ხალიფასა და სულტანსა სალადინს, რათა სცენ შეწევნა თათართა ზედა; არამედ მათ არა ინებეს. ამისი მსმენელი უიმედო ქმნილი ჯალალდინ მწეობისა მათისა და თათარნიცა მოახლებულნი მასზედა წარმოემართნენ კვალად ტფი-

ქ.-ცხბაში, გვ. 353—354. ქ.-ცხბის თქმით, „ვინადგან არღარა იყო ღონე და ღხინება ქალაქისა, მრავალჯერ წარმოუვლინა მეფემან რუსუდან ბოცოს და სხვათა მცველთა ქალაქისათა, რათა დაუტევონ ქალაქი და ძლით დაარწმუნა ბოცოს დაგდება და წასვლა, „ვ ი თ ა რ ც ა დ ა ს წ ე რ ს ბ ე რ ი ვ ი ნ მ ე მ ღ ვ ი მ ე ლ ი“. ვინ არის ეს მღვიმელი, ანუ რა არის მისგან დაწერილი, ამაზე ჩვენ არა ვითარი ცნობა არა გვაქვს. გარდა ამისა სრული ცნობები ტფილისის აღებაზე ჯელალ-ედ-დინისაგან და საზოგადოდ იმის მიერ ჩვენის ქვეყნის აოხრებაზე ნახე *H. de la G.*, 505, n. 1., 506., n. 3.—*Addit.*, 309—317, 331—332.

1. ბროსე: „1225 წლიდამ 1230 წლამდე ჯელალ-ედ-დინს არ შეუწყვეტია ანუ თვით პირად, ანუ თავის სარდალთა მიერ აოხრება საქართველოჲსა. სტეფანე ორბელიანის თქმით, ჯელალის მტარვალობა გაგრძელდა შვიდ წელს; მაგრამ რადგანაც ამ შემთხვევის ფაქტები სტეფანეს გამოაქვს ქ.-ცხბიდამ, იმის მოთხრობაში ეს რიცხვი უნდა შესწორდეს ქ.-ცხრებითვე“ (*H. de la G.*, 507, n. 2).

2. ამ შემთხვევას სტეფანე ორბელიანიც ისე გვიამბობს, როგორც ქ.-ცხბა. *Add.*, 336.—სხვათა სომხის მწერალთა ცნობა ამაზედვე ნახე S-Martin, *Mém.* II, 155, 292.

3. აბულ-ფედას თქმით, ჯელალ-ედ-დინისა და მონგოლების ბრძოლა დაიწყო 628—1230—1 წელსა (*H. de la G.*, 509, n. 4).

ლისასვე. მაშინ რუსუდან შეჰკრიბნა იმერ-ამერნი, ზემო-ქვემონი და გამოუვანა ოვსნი და მთიულნი და ესე ყოველნი შეიყარნეს ნაჭარმაგევს; ხოლო სულტანი დაბანაკებულ იყო ბოლნისს; მივიდნენ გიორგიელნი და აწყვნეს მუნ; პირველსა ბრძოლასა სძლეს და მისდრიკეს სივლტოლვად სულტანისანნი; გარნა კვალად მოჰხედნა ღმერთმან რისხვით ცოდვათა ჩვენთათვის, უკ-მოიქცნენ და მოსრნეს იგერიელნი და შემოვიდა სულტანი კვალად ტფილისსა წელსა 1234, ქართულსა 454 [1]. ეგრეთვე მეოთხე აოხრებდა ქრისტიანეთა; არამედ მოიწივნენ თათარნიცა და მთავარნი მათნი ოთხნი ნოინნი: ჭარმაღან, ხალხტარ, იოსერ და ბინჩვის: ამათ გამოვლეს ყოველი სპარსეთი და გამოვიდნენ რახსს და მოადგნენ განძას 40,000 მხედრითა და დედა-წულითა თვისითა. მესამესა დღესა ხელთ-იგდეს განძა [2] და მოსრნეს ყოველნი, რომელნი სამაგელ უჩნდათ მაჭმედისა [3], წელსა 1234, ქართულსა 454. ესე რა ესმა ჯალალდინს, მსწრაფლ აიყარა ტფილისიდამ და წარვიდა საბერძნეთს. მცნობელთა თათართა დევნა-უყვეს და მიეწივნენ ბასიანს და განეფანტნენ სპანი თვისნი ჯალალდინს და დაშთა იგი მარტოდ. იხილა იგი მძინარე მეცხვარემან ვინმე, მოკლა [4] და აღიღო სამკაული მისი ცხენისა და კაცისა, რომელი იყო მძვირფასი. ესე სცნა სულტანმან ყიასდინ, შეიპყრა მეცხვარე იგი და მოაღებინა სამკაულნი იგი. მხილველი ყიასდინ განჰკვირდა თვალ-გვა-

1. აბულ-ფედა არას ამბობს ჯელალ-ედ-დინისაგან მეორედ დაჭერას ტფილისისას; ნისავი კი მოგვითხრობს, რომ როდესაც ჯელალი მეორედ მიადგა 1229 წ. ხლათსა, უსაფუძვლო ცნობა მიიღო ქართველების აშლაზე წინააღმდეგ მის მოადგილისა შერფ-ულ-მულქისა, რომელიც იყო ტფილისის გამგედ და ეს თურმე იყო, ნისავის თქმით, მიზეზი, რომ ჯელალმა მეორედ მიჰმართა ტფილისს. მაშინ მოხდა, რომ რუსუდანის ქმარმა, ჯელალისაგან პირველს ზედ-დასხმაზე დატყვევებულმა და შემდეგ განთავისუფლებულმა, აშალა ქართველობა; მაგრამ რადგანაც ქართველები ჰხედავდნენ ამ შემთხვევაში თავის უძლურებას, მათ მხოლოდ ცეცხლი მისცეს თავიანთ დედა-ქალაქს (*H. de la G.*, 510, n. 1).

2. „პირველად მონგოლნი გამოჩნდნენ განძაში 1230 წ. და აიღეს ეს ქალაქი 1235 წ. (*H. de la G.*, 511, n. 2).

3. ქ.-ცხ-ით, „აქვნდათ მონგოლთა ერთისა ღვთისა თაყვანის-ცემა, რომელსა თენგრი უწოდდეს ენითა მათითა და წიგნისა თავსა ესრედ დასწერდენ: „მანგუ თენგრი ქუჩუნდურ“, ესე არს, „უკვდავისა ღვთისა ძალითა“ (ქ.-ცხ., 344). ბროსსე ამტკიცებს, რომ ამ სიტყვებს ნამდვილ ის მნიშვნელობა აქვსო, რა მნიშვნელობასაც მას ქ.-ცხ-ბა მიაწერს (*H. de la G.*, 487, n. 3). მონგოლთ საწარმართო სარწმუნოების აღწერა ნახე მარკო-პოლოს *Путешествіе*-ში, стр. 64; რომ მონგოლნი მეტის პატივით ეპყრობოდნენ ქრისტიანებს, ვიდრე მუსულმანებს, ამაზე ნახე, სხვათა შორის, იქვე, стр. 1—10, 80—82 და S-Martin, *Mém.*, II, 286; მაშა სადამე ზემოდ მოყვანილი აზრი ქ.-ცხ-ისა არ უნდა იყოს უსაფუძვლო.

4. ჯელალ-ედ-დინი, როგორც სხვა წყაროები ამტკიცებენ, მოიკლა სეკტემბერს 1231 წ. (*H. de la G.*, 511, n. 3).

რისა კეთილობისათვის და გასცა იგი დასწვა კადრებისათვის ჯალალდინისა. ამისანი მცნობელნი თათარნიცა უკუ-მოიქცნენ, მოაოხრეს ხლათი, ვალაშკერტი და მივიდნენ თავრიჟს და დაიპყრეს იგიცა. მერმე წელსა მეორესა მოვიდნენ ბარდასა[1] და იწყეს ოხრებად სომხითისა, ქართლისა, ლარუბანდისა, რანისა, ჰერ-კახეთისა, დვინისა და ესრეთ თათართა მოახლებასა მცნობელმან რუსუდანი დაუტევა ტფილისი და წარვიდა ქუთათისს; არამედ ამცნო მხარ-გრძელს გოჯსა[2], თუცალა მოვიდნენ თათარნი, მოწვას ტფილისი, რათა არა იპყრან სადგურად. და რა მივიდნენ თათარნი, მოწვა ტფილისი გოჯამან და მოოხრდა ყამადმდე. მაშინ შემოვიდნენ თათარნი, თვინიერ იმერეთისა, ყოველსა გიორგიასა შინა და სომხითსა და მოეფინნენ, ვითარცა მკალნი მსურველნი უწყალოდ; ხოლო დიდებულნი შევიდნენ სიმაგრეთა, მთათა და ციხეთა; ხოლო ჰერ-კახნი და ქართველნი კავკას-მთიულთა შინა. არამედ განგრძელდა რა ესე ვითარი ოხრება და არა იყო ღონე, არცა ერთი შეწევნა, მიქნდგნენ წარჩინებულნი ყოველნი ნებითავე რუსუდანისათა ამერნი და ზემო-ქვემონი, ვინაჲდგან არა-რას ავნუბდიენ მინდობილთა, რამეთუ განზრახმედილს ოქროს წყალში გაავლებდიან და შეასვიან, რომელი ფიცად ესე აქვნდათ[3]; ამით არავის უტყუიან და ტყუილი არა აღმოხდის პირთა მათთა.

ხოლო ოთხთა მათ ნოინთა განიყვეს ესე ყოველი ქვეყანა და აღი-ღებდნენ ხარკსა. ჰსცნა რა რუსუდან სიმტკიცე თათართა პირისა, წარმოუგლინა დესპანი მინდობისათვის ძისა თვისისა დავითისა, რათა მისცენ მეფობა[4]. ამისა მსმენელთა ნოინთა განიხარეს და აღუთქვეს ყოველი; გარნა იყვნეს ზამთარ ბარსა და ზაფხულ მთასა და არავინ იყო წინა-აღმდგომი მათი.

ჟამსა ამას იწყეს აღმხედრება სულტანსა ყიასდინსა ზედა[5] და წარი-

1. ვახუშტი ამტკიცებს განძის აღებას 1234 წ. ჰამმერის ცნობით, მონგოლთა ჭარმაგანის მთავარ-სარდლობით აიღეს განძა და გაიფანტნენ საქართველოში და სომხეთში 1238 (635 წ. მუსულ. ქორონ.) და დაიპყრეს ქვეყანა მტკვარსა და არაქს შუა და თვით ტფილისი (*H. de la G.*, 513, n. 2).

2. ქ.-ცხბით მუხასძე და არა მხარ-გრძელი (ქ-ცხ. 359.— *H. de la G.*, 514, n. 1).

3. ამ ჩვეულებაზე იხილე ქ.-ცხბა, გვ. 361. ამ გვარსავე ჩვეულებას უჩვენებენ მონგოლეთში თვით უცხო-ტომთ მწერალნი (*H. de la G.*, 516, n. 2).

4. ვახუშტის თქმით, დავით აღიარებულ იქმნა მეფედ 452—1232; ეს შეცდომაა: რადგანაც რუსუდან დაემორჩილა მონგოლებს გაიათ-ედ-დინის დამარცხების შემდეგ, ვახუშტის მიერ ჩვენებული შემთხვევა უნდა მომხდარიყო შემდეგ, ესე იგი ანუ 1243 წლის გასულს, ანუ 1244 წ. (*H. de la G.*, 523, n. 3).

5. ქ.-ცხოვრებით, „ყიასდინსა ზედა, ნათესავით სალჩუკიანსა“ (ქ.-ცხ. 362). ეს ყიასდინ არის გაიათ-ედ-დინი (*H. de la G*, 518). ამ ბრძოლაში გაიათ-ედ-დინის მხედართ მთავრად ქ.-ცხბა იხსენიებს აფხაზს დარდან შარვაშიძეს (გვ. 362). ეს შარვაშიძე მეორე პირი, ქ.-ცხბაში ცნობილი, შირვან-შაჰის შთამომავალთაგანი. (ნახე ზემოდ, გვ. 183, n. 2, 197).

ტანეს ქართველნი სრულიად. სცნა რა სულტანმან მისვლა ამათი, შეიკრიბნა 400,000 კაცნი და წარმოემართა. ამისი მსმენელი ბიჩვის ნოინი მოვიდა ქართველთა თანა და ეტყოდა: „ვარ მასხრობელი და რაჲ არს ნიჭი ჩემი, რამეთუ მოვალს სულტანი 400,000 მხედრითა? ხოლო სარგისს ეტყოდა: „ვუწყით სიმხნე თქვენი, გარნა სიმრავლისათვის არა გისმსთ სიხარული". მაშინ ბიჩვის ეტყოდა; „არა თურმე იცით ჩვენ მოლიდთათვის[1], რამეთუ ვინაჲდგან მოგვცა ძლევა ღმერთმან, რაოდენ სხვანი უმრავლეს არიან, ესე უმჯობეს ჩვენდა არს, რამეთუ უმეტეს აღვივსებით ნიჭ-ქონებითა" და ესრედ განლაღებულ იყვნენ ყოველთა ზედა. ხოლო დღესა მეორესა ეწყვნენ სულტანსა და პირველსავე მისვლასა იწყეს ჴალა, ჴალა, ჴალა! და მოუხდნენ მარცხნივ, განხეთქეს რაზმი მათი, აოტნეს, მოსწყვიდნეს და მოსრნეს. ვინაჲდგან ქართველნი მხნედ ბრძოდნენ, მოეწონათ სიმხნე მათი და შეიყვარეს ფრიად. მერმე მოადგნენ ქალაქსა სულტნისასა გარემო[2] და ჰბრძოდნენ ძლიერად. შემდგომად შემჭირვებულმან ყიასდინ ზავ-ყო და აღუთქვა მორჩილება და ხარკი. მუნით წამოსრულთა მოეგება ხლათის სულტანი აღმთქმელი ხარკისა და უძღვნა ურიცხვნი და მას დაუდგინეს შანა (?) წარმოკიდნენ გელაქუნს სავსენი ალაფითა. მაშინ წარმოავლინნეს რუსუდანის თანა, რათა ქმნას ზავი მათ შორის; არამედ რა დაიპყრნეს ესე ყოველნი, აცნობეს ყაენსა, რამეთუ მომკვდარიყო ჩინგიზი[3] და ძე მისი ოქროთვა და ძე ოქროთვასი ქუქ; ხოლო აწ იჯდა მანგუ. ამას მიუმცნეს ქართველთა კეთილობა და სიმხნე ბრძოლათა შინა და სპარსთა გარდამატებული სიბოროტე; ამისთვის უბრძანა ქართველთა პატივის-ცემა და ბრძოლასა მათ თანა დაპყრობად, ხოლო სპარსთა სრულიად მოწყვედად და წარჩინებულთა მის წინაშე წარგზავნა. ამას ბრძანებასავე თანა წარგზავნეს ძე იოანე ათაბაგისა ავაგ ათაბაგი წინაშე ყაენისა, არამედ მგზავრ დავით ეჯიბი მისი ეტყოდა ავაგს: „მე ვიყო პატრონად და შენ მონად, რამეთუ არს თემი უცხო და თუმცა ინებონ სიკვდილი პატრონისა, მე მომკლვენ და შენ ცოცხალ იქმნები". ხოლო ავაგცა ჰყო ეგრეთ. შემდგომად მივიდნენ მანგუ-ყაენისა წინაშე. მან შეიწყალა და პატივ-სცა. დღესა ერთსა მიუწოდეს წინაშე მანგუსა; მაშინ ავაგ წინარე მივიდა და დავით უკანა მისა; შერისხა მანგუ-ყაენმან: „არა ჯერ არს, რომელ პატრონი შენი დგას უკანით შენსა". წარმოდგა დავით და აუწყა ყოველი ყოფილი ყაენსა: ხოლო ყაენი განცვიფრდა და ეტყოდა: „ვინაჲდგან ხართ ნათესავნი ქართველნი ეგოდენ კეთილნი, გბრძანებ,

1. ბროსსეს ფიქრით, მაგიერ მოლიდთა უნდა იყოს „მულალთა" (*H. de la G.*, 519, n. 2). ქ.-ცხბის მარიამის ვარიანტში სწერია: „კეთილად მეცნიერ ხარ ჩვენ მომავალთასა." ასეა აკადემიის ძველს ქ.-ცხბის ვარიანტშიაც (ქ.-ცხ., 363, შენ. 2).

2. შედეგი გაიათ-ედ-დინის დამარცხებისა და არზრუმის აღებისა ბაჩუ-ნოინისაგან ნახე *H. de la G.*, 519, n. 3.

3. ჩინგიზ-ყაენი მოკვდა 72 წლისა სეკტემბერს 1227 წელს. ვინ იყვნენ იმისნი მემკვიდრენი, მათგანი ვინ რამდენ წელს მეფობდა ამაზე ნახე *H. de la G.*, 521, n. 9.

რათა უმეტჱს ყოველთა ნათესავთა იყოთ თქვენ წინაშე ჩვენსა. ხოლო აქა რუსუდან ზავისა მნებებელი მოვიდა ტფილისს, წარავლინა მან თვისი დავით ნოინთა თანა და წარჰყვნენ ყოველნი წარჩინებულნი ამერ-იმერნი, ზემო-ქვემონი; მისრული დავით ნოინთა კეთილად შეიწყნარეს და პატივ-სცეს და უწოდეს ნარინ (ესე არს მოსრული)[1]; არამედ ვერ დაუმტკიცეს მეფობა და წარავლინეს წინაშე ბათუ-ყაენისა წელსა 1237, ქართულსა 457[2].

გარნა ვითარცა ჰყო დავითისა ზედა რუსუდან, ეგრეთცა მიეგო, რამეთუ ძეცა მისი წარგზავნეს უცხოთა ქვეყანათა, ვითარცა ქესორია ქმნილი; ხოლო დავით წარვიდა მცირედითა კაცითა კვალსა ავაგისასა და სულტანი სალათისა, რომელი წარეგზავნათ ნოინთა, და სხვანი მივიდნენ წინაშე ბათუ-ყაენისა. მან პატივით შეიპყრნა და დაიპყრა ორ-წელ წინაშე თვისსა; მერმე წარგზავნა ყარაყურუმს წინაშე მანგუ-ყაენისა და იგიცა კეთილსა უყოვდა; ხოლო ოთხთა ამათ ნოინთა ინებეს აღმხედრება ალმუღლთელთა ზედა და აუწყეს რუსუდანს, რათა წარუვლინოს ქართველთა ლაშქარნი; არამედ მაშინ რუსუდან განილეოდა მისა თვისისა მწუხარებითა, დასნეულდა და მოკვდა ტფილისს წელსა 1237, ქართულსა 457[3]. ხოლო ვინაჲდგან არღარა ვინ იყო მეფეთა ნათესავი, ერთი დავით იყო დაკარგული

1. „ნ ა რ ი ნ მონგოლურ ენაზე ჰნიშნავს „მახვილს, გონიერს“ (*H. de la G.*, 540, 4).

2. ა რ ა, არამედ 1244 წელს (*H. de la G.*, 528, n. 3).

3. აქ ვახუშტი შემცდარია. რომ რუსუდან ცოცხალია იყო 1237 წელსაც და შემდეგაც, ამას ამტკიცებს წიგნი, მიწერილი რუსუდანისადმი პაპის გრიგორი IX-საგან 1240 წელს. ამასთანავე მომდინარეობა ისტორიისა ჰმოწმობს, რომ რუსუდან უნდა მომკვდარიყო ანუ 1244 წელს, ანუ მომავალ წლებში. სომხის მწერალი ჩამჩიანი ამტკიცებს, ვითომც რუსუდანს თავი მოეწამლოს 1247 წ. უსანეთის ციხეში. ბროსსეს აზრით, თუ ჩამჩიანიც და თვით იგიც, ბროსსე, აქ შემცდარნი არიან, წელი რუსუდანის სიკვდილისა უნდა იყოს 1248—1249 (*H. de la G.*, 528, n. 6.—S-Martin, *Mém.*, II, 292).

პაპა გრიგორი IX-ს წერილი შეიცავს შემდეგ პასუხს რუსუდანის 1240-ს წლის წერილზე, რომლითაც ეს უკანასკნელი სთხოვს მას შემწეობას და თავის მხრით სიტყვას აძლევს თავის ქვე-ვრდომობისას. გრიგორი სწერს, რომ რადგანაც მე თვითონ ძნელს მდგომარეობაში ვარო დამოკიდებულობის-გამო ფრიდრიხთან, არავითარი შემწეობა არ შემიძლიანო და ჯვაროსანი ჯარიც ვერ შემოვაო საქართველოში, რადგანაც გზები სარაცინებს უჭირავთო. ამასთანავე იგი ურჩევს რუსუდანს, რომ პაპის ხელ-ქვეითი გამხდარიყო და უგზავნის რამდენსამე კათოლიკის სარწმუნოების მონაზონთა (*Addit.*, 305.)

აქ ჩვენის მხრით საჭირო არ არის შევაყენოთ მკითხველი იმაზე, თუ რა უსაზღვრო სასჯელი მოაყენა განგებამ საქართველოს, რომ მას ლაშა და რუსუდანი უბედურის დროსათვის მოუვლინა. რომ ორნივე ყოვლად უღირსნი და ყოვლად საზიზღარნი შვილნი იყვნენ თამარისაც და მამულისაც, ამას არ აჩრდილებს ქ.-ცხბა. რომ რუსუდანი ზნეობით ღრმად დაცემული იყო ეს ცხადათა ჩანს ქ.-ცხბიდამ. აქ დაურთავთ შემდეგს სურათს რუსუდანისას, რომელსაც აბულ-ფედა გვიხატავს. აბულ-ფედა ამბობს: „როდესაც გურჯების მეფე მოკვდა, მეფედ დასვეს დედა-კაცი, რადგანაც მემკვიდრე მამა-კაცთაგანი არავინ იყო,

და ქრთაი დავით, რომელი წარგზავნეს თათართა, ყარაყურუმს იყო; ამისათვის განიყვეს ნოინთა ოთხად და უწყოდეს ყოველი ესე ივერია მრავალ-სამთავროდ: ეგრასლანს ბაკურ-ცისელსა მიათვალეს ლაშქარნი ჭერ-კასთა ტფილისიდამ შამა-ხიის მთამდე; შანშეს მამული თვისი და ავაგისა; ვარამ გაგელს ყოველი სომხითი;

მოუძებნეს საქმროდ მეფეთა შთამომავალი. მათმა მეზობელმა თოღრილ-შაჰმა, ყიზილ-არსლანის სელჯუკის შვილმა, არზრუმის მფლობელმა დაუნიშნა თავისი შვილი მოგით-ედ-დინი დედოფლის საქმროდ და მეფედ ქართველთა. ამ წინა-დადებაზე დასთანხმდნენ იმ პირობით, რომ მას ქრისტიანობა მიეღო. თოღრილიც ამაზე დასთანხმდა და ამ გვარად მოგით-ედ-დინი შეიქნა ქართველების მეფე და ქმარი დედოფლისა. უკანასკნელი ჰყვარობდა ერთს მამელუკთაგანს. ეს ქმარმა სცნო, უყარაულა და დარწმუნდა კიდეც საქმით. როდესაც მან უსაყვედურა ცოლს, ამ უკანასკნელმა იგი შეაბორკილებინა და ციხეში შეაგდებინა; შემდეგ ალანიიდამ მოაყვანინა ორნი პირნი, სიმშვენიერებით ცნობილნი და შეირთო ერთი იმათგანი, რომელიც შემდეგ დასტოვა და შეიყვარა ერთი განძელთ მუსულმანთაგანი, მაგრამ ვერც თხოვნით, ვერც საჩუქრით ვერ აიძულა იგი ქრისტიანობა მიეღო" (*H. de la G.*, 501, n. 2).

რომ რუსუდან ცდილობდა თავისი ძმის-წული დაეღუპა, ეს უეჭველია: ამ ფაკტს ჰმოწმობენ როგორც ჩვენი წყარო, აგრეთვე უცხო-ტომთ ცნობები... თუ რუსუდანი ასე მოკლებული იყო კაცობრივსა და ნათესავურს გრძნობას, უეჭველია, ცოლ-ქმრობის სიყვარულიც დათრგუნვილი უნდა ჰქონიყო მას გულში. ამისთვის აბულ-ფედას თქმულება რუსუდანის უსირცხვილო ქცევაზე დიაღ შესაწყნარებელია.

შემოგვაქვს აქ ისტორიული ხრონოლოგია გიორგი ლაშასა და რუსუდანის მეფობისა (*Addit.*, 333):

| | | |
|---|---|---|
| გალაშქრება ქართველებისა განძაზე . . | 1213 ანუ | 1214 წ. |
| პირველი ზედ-დასხმა მონგოლებისა საქართველოზე . . . . | | 1220 |
| მეორე . . . . . . . . . . . | | 1222 |
| სიკვდილი გიორგი ლაშასი . . . . . | 18 იანვ. | 1223 |
| წერილი რუსუდანისა და იოანესი პაპა ჰონორი III-სთან. . | | — |
| პასუხი ჰონორისა. . . . . . . . | მაისში | 1225 |
| შემოსვლა ჯელალ-ედ-დინისა . . . . . | | — |
| ბრძოლა გარნისში . . . . . . . . | | — |
| ტფილისის აღება ჯელალ-ედ-დინისაგან . | 9 მაისს | 1226 |
| სიკვდილი იოანე მხარ-გრძელისა. . . . | | 1227 |
| მეორედ დაჭერა ტფილისისა ჯელალისაგან. | | 1229 |
| დაგვირგვინება რუსუდანის შვილის დავითისა. | | 1234 |
| გათხოვება რუსუდანის ქალისა. . . . . | | 1236 |
| მონგოლების შემოსვლა საქართველოში . | | — |
| გაიათ-ედ-დინის დამარცხება მონგოლთაგან | | 1243 |
| დავით ნარინი მეფედ აღიარებული და ბათუ-ყაენთან გაგზავნილი. . . | | — |
| გიორგი-ლაშას შვილის დავითის წასვლა მონგოლიაში .. . | | 1244 |
| რუსუდანის სიკვდილი . . . . | | 1247. |

გრიგორ სურამელს ქართლი; თორელს გამრეკელს ჯავახეთი; სამცხე კარნუქალაქამდე ცოტნე დადიანს; ხოლო რაჭის ერისთავსა ყოველი ლიხთ-იმერეთი და წარიტანეს ალმუთს; არამედ იყვნენ ნახევარნი ერთ-წელსა და ნახევარნი მეორესა წელსა. ამათ ოთხთა ნოინთა ყოფასა შინა ალმუთს მოიყიდეს კაცი გოლიათი, რათა მოკლას ერთი ნოინთაგანი. ესე შევიდა იდუმალ ჩალატარ ნოინის კარავსა შინა და განაწონა გულსა ლახვარი და მოკლა; ხოლო მხილველთა დილას მსახურთა მისთა მტყუებელ-მტირალთა თქვეს ქართველთაგან სიკვდილი მისი, რამეთუ არიან ჭირსა დიდსა ლაშქრობითა და ჰკლამოდნენ მოსვრასა ქართველთასა; არამედ სხვანი ნოინნი აყენებდნენ და იგინი არა უსმენდნენ და წარმოუმართნეს ქართველთა ზედა; ხოლო ქართველნი განჰკვირდნენ და იტყოდიან ვიეთნიმე ომსა და ვიეთნიმე აყენებდნენ. მაშინ გრიგორ სურამელი იტყოდა: „არა არს, ძმანო, ჟამი ბრძოლისა, რამეთუ ვართ მცირენი; არამედ ვგონებ, ჩვენ მთავარნი მოგვწყვიდონ და არა ყოველნი ერნი; გარნა ვედრება ღვთისა და ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა ჯერ-არს“, და უბრძანა ყოველთა სამისა მუხლისა მოდრეკა სავედრებელითურთ. ხოლო ამის აღმასრულებელთა აღიხილნეს და ნახეს, რომელ ღელწმით გამოვიდოდა კაცი ხელთ-ლახვროსანი მზახებელი ესრეთ: „მან ქუშტემ ჩალატარ“, რომელ არს: „მე მოვკალ ჩალატარ.“ ხოლო თათართა განცვიფრებულთა შეიპყრეს და ჰკითხვიდნენ მიზეზსა; ხოლო იგი იტყოდა: „დამალულ ვიყავ ღელწმოვანთა; მოვიდა დედა-კაცი ბრწყინვალე და მეტყოდა: „შენით მოსწყდებიან სულნი ეგ-ზომნი; აწვე შემომიდეგ და იტყოდე: „მე მოვკალ ჩალატარ“. განცვიფრდნენ თათარნი და მოკლეს იგი. ხოლო ქართველთა პატივ-სცეს და ესრეთ იხსნა ღმერთმან და ღვთის-მშობელმან ერი თვისი; გარნა განგრძელდა ლაშქრობა ალმუთელთა შვიდ წელ; არამედ განდიდნაცა ეგრასლან, რომელ კნინღა არა მეფედ სახელ-იდვა, რამეთუ იყო მხნე, ახოვანი და ჰმორჩილებდნენ მას ყოველნი მთავარნი. ხოლო ვითარ სცნეს თურქთა უმეფობა და ალმუთს ლაშქრობა ქართველთა, შეკრბნენ 60,000 კაცნი ყარახანისანი და წარმოვიდნენ მოოხრებად გიორგიისად და მოვიდნენ კალაშკერტს, ეწყვნენ მუნ და იქმნა ბრძოლა ძლიერი; ხოლო ძალითა ჯვარისათა აოტნეს და მოსწყვიდნეს ხალათამდე; აღიღნეს ალაფნი ურიცხვნი და შემოიქცნენ გამარჯვებულნი.

კვალად აღიძრნენ საბერძნეთით და სხვათა ადგილთაგან თურქნი რბევად საქართველოჲსა. აცნობეს შავშთა, კლარჯთა, ტაოელთა, კოლა-არტაანელთა, კარნიფორელთა, ყვარყვარეს ცისის-ჯვარელსა, რათა შეეწიოს. ხოლო მან მოუწოდა მესხთა და შეკრიბა მხედარი 10,000 და წარემართა, და თურქნი მოსდგომოდნენ ბანას, ოლთისსა და აოხრებდნენ ტაოს. ხოლო ამათის მისვლის მცნობელნი თურქნი აღიჭურნენ და ეწყვნენ ავნისის ვაკესა ზედა. მოსცა ღმერთმან ძლევა ივერიელთა და წარიქცივნეს, მოსწყვიდნეს და აღიღეს ალაფნი ურიცხვნი. ხოლო ყვარყვარემ წარავლინა პაპა და ძმა თვისი სარგის:

ამჴთ ადიდეს ოლთისი, ზულათ-ყური და შემოიქცნენ გამარჯვებულნი. ამათ ჭირთა შინა მყოფნი შეკრბნენ წარჩინებულნი ამისა სამეფოჲსანი კოსტის-თავ-სა და იურვოდნენ უმეფობასა და ჭირთა ქსრეთთათვის; გარნა დაასკვნეს განდგომა თათართა და წარვიდნენ ამა პირსა ზედა იმერნი კაზმვად, ხოლო ამერ-ნი უცდიდნენ მუნვე. ესე სცნეს თათართა ბიჩუს და ანგურგ, მოუხდნენ კოსტის-თავს მდგომთა, შეიპყრნეს ყოველნი წარჩინებულნი და წარიყვანნეს ანის შირაკვანს[1] და მიიყვანნეს ჩარმაღანისა წინაშე; ხოლო მან მხარ-დაკრულთა განშიშვლებულთა წარსცხო თაფლი და განსხნა მზის სიცხესა შინა. ხოლო ცოტნე დადიანი რა მოვიდა კოსტას პაემანსა ზედა, არღარავინ იხილა და სცნა ყოველი ყოფილი. მაშინ წარვიდა თვითცა ანისს, მისრულმან იხილნა ქართველნი ეგრეთ მყოფნი, მანცა განიძარცვა შესამოსელი თვისი, შეისვა თაფლი შიშველმან და დაჯდა მათთანა; ხოლო თათართ დარაჯთა აცნობეს ესე ნოინთა[2]; ამისნი მსმენნი განკვირდნენ და მიუწოდეს ცოტნეს და ჰკითხვიდნენ ყოფილსა. გარნა იგი ეტყოდა: „არა თქვენისა განდგომისათვის ვჰყავით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქვენი და სარკნი" და ვინაჲდგან სხვათაცა იგივე ეთქვათ, განუტევეს პატივით და აქეს სიკეთე მათი და უმეტეს სანდოთ აღუჩნდათ.

არამედ მაშინ სირცხვილ-უჩნდათ დიდებულთა ეგრასლანის მთავრობა და შეკრბნენ, თვინიერ იმერთა, სამეფოჲსა ამის წარჩინებულნი ყოველნი და მიება ჰყვეს ლაშას ძის დავითისა, რამეთუ სცნეს ვაჭართაგან, რამეთუ ცოცხალი გველთა თანა არს მღვიმესა შინა. ამისთვის მივიდნენ ნოინთა თანა და აუწყეს ერთი-ერთთა უმორჩილობა უმეფობითა და ნარინ-დავითისა არღარა მოქცევა და ლაშას ძის დავითის სიცოცხლე და გამოითხოვეს იგი მეფედ. ამისნი მსმენელნი თათარნი განკვირდნენ ყოფილსა რუსუდანისასა და წარგზავნეს ანგურგ და წარიტანეს ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი მოსწრაფედ და მიუწერეს სულტანსა და აუწყეს დავითის მოცემა და მსწრაფლ წარმოვლინება. ხოლო მისრულთა უთხრეს რა სულტანსა, არღარა მგონებელ იყო სიცოცხლისა და უარ-ჰყოფდა; არამედ ესენი ეტყოდნენ სიცოცხლესა, რამეთუ მას ჟამსა მოსულ იყო მონა დავითისა სოსნა, რომელი მიართმიდა პურსა და წყალსა და სთქვა სიცოცხლე. ნება-სცა სულტანმან და აღმოიყვანნეს დავით გველთა თანა მყოფი კნინღა სულიერი ხუთსა წელსა; განუსვენეს, განბანეს და შემო-

1. ამ შემთხვევას განსხვავებით სომხის მწერალი ჩამჩიანიც მოიხსენებს (*H. de la G.*, 534, n. 2). ნახე აგრეთვე Патканова, *Исторію инока Магакіи*, Спб., 1871, стр. 21—22 და его-же *Исторію монголовъ Киракоса Ганзакеци*, 1874, стр. Спб., 70—71.

2. ნოინის მნიშვნელობა მონგოლურ ენაზე არის თუმანისა ანუ 10,000-ს ცხენოსნის ჯარის უფროსი და აგრეთვე სამეფოს სახლის უფლის-წული (Патканова *Исторія монголовъ Магакіи*, стр. 69).

სეს სამოსელი სამეფო წელსა 1240, ქართულსა 460[1]. მაშინ უძღვნა სულტანმან ურიცხვი და ევედრა არღარა მოხსენებად მის ზედა ძვირი. მუნით მოსრულსა მიეგებნენ სრულიად დიდებულნი საქართველოსანი საზღვართა ქართლისათა. მივიდა ნოინითა თანა დავით და მათ კეთილად შეიწყნარეს და პატივსცეს; არამედ მეფობა ვერცა დაუმტკიცეს და წარგზავნეს ესეცა წინაშე ბათუსა. მანცა პატივ-სცა ფრიად, გარნა მეფობა ვერცა ამან დაუმტკიცა და წარავლინა მანგუ-ყაენისა წინაშე. მანცა პატივით შეიწყნარა და მუნ დაჰხვდა დავით ძე რუსუდანისა და იყოფოდნენ მუნ ჟამადმდე.

ხოლო კვალად ნოინთა ამათ მოუწოდეს სულტანსა ყიასდინს; ვერ ურჩიქმნა და წარგზავნეს ესეცა ყარაყურუმს, რამეთუ ყოველთა მუნ წარავლენდიან და ბათუ-ყაენი წარავლენდა მანგუ-ყაენისა წინაშე. არამედ მეფენი დაშთნენ ჯერეთ. მაშინ მანგუ-ყაენმან წარავლინნა ძენი თვისნი: ერთი ინდოეთს სახელით ყუბულ და მეორე ბაღდადს სახელით ულუ[2]. ამან ულუმ გამოვლო ჯეონი, სვარასანი და მოვიდა ალმუთს. მაშინ მოკვდა მანგუ-ყაენი და დასვეს ძე მისი ყუბულ-ყაენად; ხოლო ულუ მოვიდა ადრაბაგანს სპითა 60,000; მიეგებნენ

1. ეს გარემოება დაწვრილებით ნაამბი ნახე სომხის მწერალთა კირაკოსისა და მალაქია-აბალას ისტორიულ გამოკვლევაში. ამ ცნობით, ბათუს შემწეობით გამოძებნილი და გამოხსნილი დავითი ვარამ გაგელმა თურმე მოიყვანა მცხეთას და აქ, ავაგ შაჰან-შაჰსა და სხვათა ქართველთ დიდებულთა თანხმობით, კათალიკოსს აკურთხებინა მეფედ. მადლობის გადასახდელად ყმაწვილმა მეფემ მიითვისა ვითომც სახელ-წოდება „ვაჰრამული“, ესე იგი „ვარამისაგან ქმნული,“ დავალებული... ლაშას ძისა და რუსუდანის შეხვედრა მონგოლიაში ნახე იმავე ცნობაში (Патканова, *Исторія Киракоса*, стр. 60—61 და его-же *Исторія Магакіи*, стр. 19—20).

დავითის გამოხსნა ვახუშტის თქმით მოხდა 460—1240 წ. თუ რომ დავითის დევნულობა იწყო გაიათ-ედ-დინთან წარგზავნის დროდამვე 1236—7 წ. და გაგრძელდა ექვსი წელი, მაშინ იმისი განთავისუფლება უნდა მომხდარიყო 1242 წელს. სენ-მარტენი ამ შემთხვევას ურგენებს იმ წელს, როდესაც მონგოლებმა კესარია დაიჭირეს, ესე იგი 1243. მართლადაც, აბულ-ფედას გამოკვლევით, თათრები დაესხნენ გაიათ-ედ-დინს 641—1242—3 წ. და გაიათ-ედ-დინი მოკვდა 645—1247—8 წ. აქედამ იგულისხმება, რომ ლაშა-გიორგის შვილი უნდა გამგზავრებულიყო მონგოლიაში ცოტა ხანს შემდეგ თავის მამი-დის შვილისა, რადგანაც იგი დაესწრო 1246 წ. გაიუქის ტახტზე ასვლას. თავის მხრით ვახუშტი ამბობს, ორნივე დავითნი მეფეებად აღიარესო 464—1244 წ. ეს ახლოა სიმართლეზე, თუმცა იგინი 1250 წელზე ბევრით ადრე არ დაბრუნებულან საქართველოში (*H. de la G.*, 537, n. 2).

2. ყუბულ არის ყუბილაი და ულუ-ჰულაგუ. იგინი მანგუს შვილები კი არ იყვნენ, არამედ ძმანი, შვილნი თულისა და შვილის-შვილნი ჩინგიზ-ყაენისა. დანაშთენნი მისნი ძმანი იყვნენ: არიხბოღა და მოღა. სტეფან ორბელიანიც ვახუშტის მსგავსად შემცდარია და ეს იმას ამტკიცებს, ბროსსეს აზრით, რომ მას ქართულის წყაროდამ გამოაქვს ის ცნობა, რომელზედაც თვით სრული ცოდნა არა ჰქონია (*H. de la G.*, 538, n. 6). ჰულაგუზე სრული ცნობა ნახე იქვე 539, n. 1.

ორნივე ესე ნოინნი და წარჩინებულნი საქართველოსანი; ხოლო ივერიელთა პატივ-სცა ყაენმან უგვანითა პატივითა, ვიეთთა მემაშიეობა, ზოგთა მშვილდის-მტვირთველობა და მსგავსითა ყოველთა. მერმე მოვიდა ასტაშს (ქ-ცხბით ალტაღს, გვ. 379) ჭ დაჯდა ტახტსა ზედა და დალოცვეს ყოველთა მორჩილთა მისთა, რამეთუ პირველ ორნი იგი ნოინნი განაგებდნენ საბერძნეთიდამ ინდოეთამდე; არამედ აწ ულუ ყაენობით თვით განაგებდა. ხოლო ჟამსა ამას არავის მიერ იცვებოდა ეკლესიანი. იზრახა კათალიკოსმან ნიკოლაოს და წარვიდა წინაშე ყაენისა დაცვისათვის ეკლესიათა. მისრული ულუ-ყაენმან კეთილად შეიწყნარა ჭ მიუბოძა იერლაყი[1] და ჯვარი და არგანი ოქროსანი; არამედ განკვირდა ქცევასა მისსა ზედა და წარმოავლინა შეწყალებული. ხოლო მეფენი იყვნენ ყუბულ-ყაენისა წინაშე და აქვნდათ ცილობა მეფობისათვის და დავითისნი იტყოდნენ: „არა ჯერ-არს, რათა ეპყრას ძესა დედა-კაცისასა მეფობა და არა თვით-მპყრობელისა მეფისა ძესა." ხოლო ნარინ-დავითისნი იტყოდნენ: „თუმცა იყო დედა-კაცი, გარნა იყო რუსუდანცა მეფაჲ და ძე მეფისავე არს ნარინ-დავით; ამით ჯერ არს მეფობა მისი[2]" და რამეთუ განგრძელდა მათ შორის სიტყვა, წარმოავლინეს ავაგ ათაბაგი და მოსცეს ცოლად ნათესავი მეფეთა სახლით ესლომ დიდითა დიდებითა და მოვიდა წინაშე ულუ-ყაენისა. ამანცა პატივით წარმოავლინა მამულსა თვისსა. მიეგებნენ ქართველნი; არამედ ეგრასლან არა გარდახდა ცხენიდამ; ვინაჲდგან ფრიად განდიდებულ იყო. განრისხნა ავაგ და უხეთქა თავსა მათრახითა ეგრასლანს, გარდამოაგდო ცხენიდამ და განსძარცვეს მსახურთა ავაგისთა და განკიცხეს უპატიოდ და იქმნა საცინელ. შემდგომად ყაენმან სულტანი ხლათისა და ყიასდინცა წარმოავლინა და მეფენი დაშთნენ მუნვე. შემდგომად ინება ყუბულ-ყაენმან და წარმოგზავნა ორნივე მეფენი ძმისა თვისისა თანა ულუ-ყაენისა და მოუმცნო რომლისათვისცა ენებოს, მისცეს მეფობა, გინა ორთავე და მოიწვივნეს წინაშე ულუ-ყაენისა. მან ფრიად პატივ-სცა და მისცა ორთავე მეფობა და წარმოგზავნა ქართლს. მაშინ მიეგებნენ ყოველნი წარჩინებულნი

1. ქ.-ცხბით, „იხილა რა ყაენმან (ნიკოლაოს), განკვირდა წესსა და ხილვასა შესახედავისა მისისასა, რამეთუ არა მეცნიერ იყო ნათესავსა ქრისტიანეთასა, თვინიერ ა რ ქ ვ ა ნ თ ა" (ქ.-ცხ., 380). არქვანად ანუ არქონად უწოდდნენ მონგოლნი ქრისტიანეთა. საიდამ უნდა იყოს წარმომდგარი ეს სახელ-წოდება ამაზე ნახე S-Martin, *Mém.*, II, 279.—Lebeau, *H. du B—E.*, XVII, 467. ჰამმერი ამბობს, ვითომც არგონი იყოს სახელი ქრისტიანეთ მღვდელთა, განსაკუთრებით ნესტორიათაგანთა (*H. de la G.*, 541, n. 5).—ი ე რ ლ ა ყ ი—მონგოლურად ჯ ა რ ლ ი კ ი—ბრძანება. ნახე Паткапова, *Исторія Магакіи*, стр. 81 და *Исторія Киракоса*, стр. 136.

2. ქ.-ცხბიდამა ჩანს, რომ სარგის თმოგველი იყო ლაშა-გიორგის შვილის მომხრეთაგანი. ავაგი კი ეკუთნოდა რუსუდანის შვილის ნარინ-დავითის მომხრეთა (*H. de la G.*, 542 და n. 2).

ივერიისანი, შემოვიდნენ ტფილისს მეტეხს ეკლესიასა შინა და დასხდნენ საყდართა ზედა ორნივე წელსა 1244, ქართულსა 464 და იკურთხნენ მეფენი ტფილისს მეფედ[1].

---

1. შემდეგი ცნობა, რომელიც ბროსსეს შემოაქვს თავის გამოცემაში ძველის ქ.-ცხბის ვარიანტიდამ, ამბობს: „ხოლო მოწევნულ არს ესეცა სიტყვა, რომელ სხვა ვინ-მე ყოველთა აღმწერელი იტყვის, ვითარმედ ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა ესრედ გაბჭო, რომე მეფობა ლაშას ძეს დაუმტკიცონ და ესრედ წარმოავლინა და რუსუდანის ძე დავით მაშინვე ლტოლვილი ღამით გაიპარა და წარვიდა აფხაზეთს და მე არ შევიწყნარებ ამას: პირველად უწყოდეთ, რომელ ყაენსა მას არა გაუყო და მან განუყვნა და ულუს მამასა და ორთავე მეფობა მანგუ-ყაენის შვილმან ყუბლა-ყაენ მისცა და ულუ-ყაენისა წარმოავლინა და მანცა ორთავე დაუმტკიცა მეფობა და ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელ მრავალი სიგელი იპოების დათვით მე მინახავს...“ (ქ.-ცხ., 382., შენ. 2). ეს შენიშვნა მარიამ დედოფლის ვარიანტში შიგ ტექსტშია და ამითი იწყობა დავითთა მეფობა.

ყარაყურუმზე სრული ცნობა ნახე S-Martin, *Mém.*, II, 278—279.—*H. de la G.*, 485, n. 4. ყუბლაი-ხანის დროს მარკო-პოლო იმყოფებოდა მონგოლიაში და ამის ხასიათს, ცხოვრებას და მოქმედებას ვრცლად გვიხატავს იგი თავის თხზულებაში. ამ ყუბლაი-ხანს მარკო-პოლო წარმოგვიდგენს ქრისტიანეთ თანამგრძნობელად და მფარველად (*Путешествіе*.., стр. 75—123).

# V

## თ ა ვ ი   მ ე ო თ ხ ე.

---

### მეფენი დავით IV ნარინი (1243—1259) და დავით V (1243—1269).

ხოლო მეფობდნენ ორნივე ესე დავითნი სრულსა სიყვარულსა ზედა და ნიჭსა, და სიგელსა ორისავე ხელ-მოწერითა მისცემდნენ; არამედ აქვნდა უპირველესი პატივი ლაშას ძეს დავითობისათვის და ჟამითაცა უხუცესი იყო. ხოლო იყო ლაშას ძე ტანითა დიდ და ახოვან, მხნე, მოისარი მაგრითა მშვილდითა, უმანკო, წრფელი, მალე მრწმუნებელი. ხოლო ძე რუსუდანისა იყო ტანითა ზომიერ, თხელ ფერითა, ენა-ტკბილ, მდაბალ, ცხენსა ზედა მხნე, ფერხ-მალე და განმგონე. არამედ განვრძელდა რა ლაშქრობა ალმუთელთა[1], წარავლინა ულუ-ყაენმან ლაშქარნი და ლაშას ძე დავით მათ თანა; ხოლო მცირობელნი ამისნი ალმუთელნი დიდ-წყლითა და სვასტაკითა წარვიდნენ ეგვიპტედ და ულუ-ყაენმან ხელთ-იგდო ყოველი ხვარასანი, აღმხედრდა თვით და სპარსა მოვიდის, მოსრვიდიან ურჩთა, რამეთუ ათორმეტსა დღესა ერთს ადგილს ვერ დასდგის მძორთა სიმყრალითა, არამედ უმეტეს სპარსთა სრვიდიან, რამეთუ საძაგლად უჩნდის სჯული მაჰმედისა; გარნა მარადის იყვნიან ნარინ-დავით და დავით მეფენი წინაშე ულუ-ყაენისა; ხოლო ულუ-ყაენი ლაშას ძის მოყვარული იყო და რუსუდანის ძისა მოძულე. ხოლო იყვნენ რა ალათაგს[2], შეიპყრა ულუ-ყაენმან ნარინ-დავით და წარგზავნა ბარდავს; არამედ მიიწია რა ნახჭევანს, წარივლტოდა დავით აფხაზეთს. მაშინ ლაშას ძე დავით იყო ტფილისს. მიიწია ნარინ-დავით ქვეყანასა აკაკისასა და წარიყვანა სუმბატ ორბელიანმან სახიდ თვისად. ევედრა მას დავით, რათა არა განსცეს და მისცა თვალიცა იგი სახელოვანი; მერე წა-

1. ჩამჩიანის თქმით, ჰულაგუმ ალამუთის აღების შემდეგ მაშინვე მიაყვანინა თავისთან მუღანის ბანაკში „დავით ვაჭრამული,“ ესე იგი ლაშას ძე, რომელსაც იგი დიდად თანა-უგრძნობდა, როგორც საზოგადოდ ქრისტიანეთა. ჩამჩიანი დასძენს, რომ ამ დროს იქვე იმყოფებოდაო ზაქარია შვილი შაჰან-შაჰისა ანუ შანშესი (*H. de la G.*, 544, n. 5).

2. ალათაგად უწოდდნენ მონგოლნი მუღანის მინდორს. ალათაგის ადგილ-მდებარებაზე ნახე *H. de la G.*, 545, n. 1. და Паткапова, *Исторія Магакіи*, стр. 34—94, რომელშიაც პატკანოვი ალათაგს უჩვენებს მუღანზე კი არა, არამედ ალვანიის ქალაქში ხალხალაში.

რავლინა აფხაზეთს და მივიდა ლიპარიტ თორელისა თანა. ლიპარიტმან უძღვნა ცხენი და შესამოსელნი და წარიყვანა ქუთათისს და ამის მისვლისათვის განიხარეს იმერთა ფრიად; შემოკრბნენ ყოველნი და აკურთხეს მეფედ და მიერიდგან განიყო გიორგია ორ სამეფოდ, ვინაჲდგან ამერნი დაშთნენ ლაშას ძეს და იმერნი ნარინ-დავითს და იწოდა მეფედ იმერთა და არღარა აფხაზთა წელსა 1246, ქართულსა 466[1].

ამათ ჟამთა ყაენმან ბითუ, რომელსა ეპყრა სპარსეთი დარუბანდამდე და რუსეთი კიდრე სერბიადმდე, მიუწოდა ლაშას ძეს დავითს წინაშე თვისსა; ხოლო დავით წარვიდა და დაუტევა ჯიგრა-ხათუნ დედოფალი და განმგედ ჯიქური[2]. ესე ჯიქური იყო კაცი კეთილი, რამეთუ ჟამსა ამისსა არა იპოებოდა მპარავი და ავაზაკი; კვალად შეავედრნა ადგილნი ქვეყანათა თვის-თვისად მთავართა, რათა მსახურებდენ დედოფალსა და ჰმორჩილებდნენ ჯიქურსა. ხოლო იყო რა მეფე ბითუ-ყაენისა წინაშე[3], ჰგონა პანკისის ერისთავმან თორღულმან არღარა მოსვლა მეფისა, განდგა და არღარა ჰმორჩილებდა ჯიქურსა. ხოლო ოდეს შეიწყალა ყაენმან დავით მეფე, მოსცა სურგუჯი, რომელ არს მაჩრდილობელი, რომელსა თვინიერ ყაენთაგანი კერავინ იქონებდა და მოუმცნო ულუ-ყაენმან, რათა პატივ-სცეს უმეტეს ყოველთა ნოინთა. მოსრულსა მეფესა დავითს მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი (არამედ თორღული არა შიშისათვის) და შემოვიდა დავით ტფილისად წელსა 1247[4], ქართულსა 467. ხოლო სცნა რა მეფემან, მრავალ-გზის მოუწოდა თორღულსა; არამედ მან არა ინება გამოსვლაჲ; ამისთვის ჯიქურმან წარავლინა ხორნაბუჯელი; ამან წინაშე ალავერდის წმიდის გიორგისა აღუთქვა ფიცით და მოიყვანა ტაბახმელას წინაშე მეფისა; არამედ ჯიქურმან განზრახვითა დედოფლისაჲთა, თვინიერ მეფისა, შეურაცხ-ჰყვეს ფიცი, წარგზავნეს თორღული და გარდააგდეს კლდე-კარსა ზედა. იხილე, რამეთუ ერთს წელს მოსწყდა ხორნაბუჯელი[5] ორითა ძითა შურის-გე-

1. ბროსსეს მოსაზრებით ეს შემთხვევა უნდა მომხდარიყო 1258 წელს (*H. de la G.*, 546, n. 4).

2. ჯ ი ქ უ რ ი ხელის-უფალი სამხედროთაგანი, რომელიც მეფის ბძანებით მოიწვევდა და მიიღებდა სტუმართა (*H. de la G.*, 546, n. 6).

3. რადგანაც ბითუ მოკვდა 1256 წ., ამის გამო დავითი მიწვეულ იქნა მასთან ანუ ამას წინად, ანუ შემდეგ ბერქაჲსთან (*H. de la G.*, 547, n. 1).

4. 1247 წ. შეუძლებელია: უნდა იყოს ანუ 1258 ანუ 1259 (*H. de la G.*, 547, n. 5).

5. ქ.-ცხბით „და ეგრეთ ბ ე რ ი-ხორნაბუჯელი მოკვდა მწუხარებითა“ (ქ.-ცხ. 385). ბროსსეს შენიშვნით ბერი უდრის არაბულს შ ე ი ხ ს, რუსულს *старост*-ას და ფრანცუზულს *l'ancien*-ს. ეს სიტყვა ხმარებულია ალბულასა და გიორგი ბრწყინვალის სჯულ-კანონში (*H. de la G.*, 548, n. 1). ეს ხელის-უფალი იხსენიება ამ დროის წინათაც და შემდეგაც ქ.-ცხბაში; მაგალ. „და მოვიდეს ტფილელნი ბერნი-ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი“ (გვ. 224); „ჩამოიყვანა ხევის-ბერნი“ (გვ. 449).

ბითა წმინდისა გიორგისათა; ხოლო მეფემან განაგნა ყოველნი დაშლილნი და წარვიდა წინაშე ულუ-ყაენისა ძღვნითა დიდითა. მან პატივით შეიწყნარა და დაადგინა ზემოდ ყოველთა ნოინთა.

ჟამსა ამას აღმხედრდა ულუ-ყაენი ბაბილოვნის („რომელ არს ბაღდადი", ქ.-ცხ., 385) ხალიფასა ზედა; ხოლო ხალიფა ვერ წინა-აღმდგომი შევიდა ქალაქსა და მოადგა ქალაქს ერთ-კერძ ულუ-ყაენი, ერთ-კერძ ენგინ ნოინი, ერთ-კერძ დავით მეფე სპითა გიორგიისათა. მაშინ დავით უბრძანა შეთხრად ზღუდისა. ეგრეთ ჰყვეს ქართველთა და შევიდნენ მეათერთმეტესა დღესა, მოსრნეს შინაგანნი და განახვნეს კარნი და მერმე შევიდნენ თათარნი; არამედ ხალიფა ივლტოდა ნავით და რა ჰხედნა ვერ-წასვლა თვისი, შემოიქცა კვალად თვისადვე; ხოლო თათართა მოასრნეს დიდი იგი ქალაქი, რამეთუ ფოლორცნი და გზანი სავსენი იყვნეს მკვდრითა; გამოიყვანეს ხალიფაცა დედა-წულითურთ და მოიყვანეს თაყვანის-ცემად ყაენისა; არამედ მან არა ისმინა და რაოდენ დასრიდის, იგი გულ-აღმა დაეცის მეტყველი: „უკეთუ განმიტევებს თაყვანის-ვსცემ, და უკეთუ არა, არა." განიყვანეს გარე და ეტყოდნენ: „შეგიწყალოს ყაენმან" და იგი ჰკითხვიდა ვითარებასა და ეტყოდნენ: „შენ მოგკლავს თვით ყაენი და ძესა შენსა მე მისი". მან მიუგო: „უკეთუ მომკლავს, გინა მან მომკლას, გინა ძაღლმან." შემდგომად მოსწყვიდნეს იგინიცა და მოქალაქენიცა და აღივსნეს თათარნი და ქართველნი ალაფითა და თვინიერ ოქროთა და ვეცხლთა და თვალთა პატიოსანთაგან კიდე არა რასა აღიღებდნენ. მერმე ნეშტი ბაბილოვანისა ხრმლისაგან დააყენეს და დააცადნეს და დაადგინნეს თვისნი და წარმოვიდა ულუ-ყაენი; ხოლო მეფე ნებითა ყაენისათა მოვიდა ტფილისს წელსა 1248, ქართულსა 468 [1].

2. ბაღდადი აშენებულია 745 წელს ძველის ბაბილონის ნიადაგზე. მონგოლნი პირველად მიადგნენ ბაღდადს 16 იანვარს 1258 წ., აიღეს იგი 30 იანვარს ქართველთ მონაწილეობით, რომელთაც მუსულმანთ მწერალთ მოწმობით მამაცობით ისახელეს თავი. ამოხოცილთ რიცხვს 80,000 სულს უჩვენებენ (*H. de la G.*, 548, n. 3.—Патканова, *Исторія Магакіи*, стр. 27—28.

აქ უნდა მოვიხსენოთ ერთი იმ დროის შესანიშნავი ტყავზე ნაწერი ძველი გუჯარი, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია და რომელიც ბროსსეს გადაუთარგმნია და ჩაურთავს *H. de la G.*, II, 2 *livr.*, p. 452—460. ეს გუჯარი ახლა ინახება ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამართველოში. ამ გუჯარს „ერისთავთ-ერისთავი" კახა და მეუღლე მისი „დედოფალთ-დედოფალი" ხათუთა უძღვნიან ძველს რკონის მონასტერს ღვთის-მშობლისას, რომელიც ახლაც მთლად არის და მდებარეობს გორის მაზრაში, თეძმის-ხევში. ამ გუჯარით მათ შეუწირავთ რკონის მონასტრისათვის სოფელი ხოვლე, რომელიც კახას უყიდნია ბაღდადის აღების დროს შოვნილის ფულით. საუბედუროდ გუჯარში სიძველის გამო ზოგიერთი ადგილები ან არ იკითხვის, ან ძნელად იკითხვის. გუჯარი ამბობს: „...ბაღდადი გატეხეს თათართა: პატრონმან წინავე გამგზავნა მოციქულად... მაშინ ბაღდადში ყველა იეფად იყო... და თეთრი ავილე, გიურებდი და ვყიდდი თვალსა,

ამასვე წელსა მოვიდა აღმწერელი ქვეყანისა არღუნ, რომელი წარმოევლინა ბათუ-ყაენისა. ამან აღწერა ყოველი საბრძანებელი ყაენისა და მოიწია ულუ-ყაენის წინაშე. მან წარმოგზავნა ქართლს აღწერად ყოვლისავე. მოსრულმან არღუნ აღწერა მიწით, ვენახით, სვასტაგით, მტილით, წალკოტით და წისქვილით; ხოლო ათს კვამლს გლეხზედ მეათე მელაშქრედ წამსვლელი და გამოხდა დავითის სამეფოსაგან 400,000 წამსვლელი ლაშქარსა შინა; არამედ იქმნა ჭირი დიდი საქართველოსა შინა, გარნა სამღვდელოთა არა რაჲ დასდვა და არცა სხვათა ვისმე სჯულის თავთა და წარვიდა საბერძნეთს[1].

მარგალიტსა და ზარქაშსა ორტაღთა მათ ხელთავე მივსცი და მე ეგზომი დამრჩა, რომე ხოვლის ფასი მით მოვიგე და ვიყიდე ხოვლე ხოჯას შვილისაგან ნახევარი და ნახევარი ჭარონ სუმბატის ძის სომხისაგან და იოსებ ბულაფაის ურიასაგან: მათ 65,000 თეთრად უყიდა ალბულასაგან და მისთა შვილთაგან, ვითა დაწერილთა შიგა სწერია და აწ მე მივეც ფასი სრული და ასე მჭირდა იმის სყიდვა შიგა, რომე ზოგი მათ მომსყიდელთა წამელ... იეფად:—რაც 5000 თეთრად ღირდის, 2000 ძლივ დავაჭირვინი და ზოგი სხვაგან დიდებულთა ზედა გავყიდი. რაჲცა 10,000 თეთრად ღირდის, 5000 ძლივ გავყიდი და ეგრე გარდავეც ყველა და არავისი წამიგია... ამა ზემო წერილთა მადლმან და მან დღემან, რომლისათვის შემოგვიწირავს და მოგვიხსენებია და არავის ხელი არა აქვს, არც შვილს და არც ძმას და თუ შვილი მომეცეს და ერთიც სოფელი არლა ჰქონდეს, შიგაც ვერ გაიაროს და ტყვედ ვინც ჯდეს ჩემის გვარის კაცი, მითა ნუ იხსნების..." ეს გუჯარი მრავალთ სახელოვანთ პირთაგან არის ხელ-მოწერილი. იმათ შორის აწერენ: დავით მეფე (ლაშას შვილი); ძე მისი გიორგი; საქართველოს კათალიკოსი ნიკოლაოს; ათაგ სარგისი მხარ-გძელთაგანი; „მსახურთ-უხუცესი" გრიგოლ სურამელი და სხვანი. ეს გუჯარი შესანიშნავია იმითიც, რომ იგი გვიხატავს მე-XIII საუკუნის მეუდაბნოე-მონაზონთ ცხოვრების ხასიათს, იმათ დამოკიდებულებას საერო საზოგადოებასთან, საალაპო წეს-დებას, და სხ. (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 1. გვ. 121—128 და ჩემივე *Кавказъ въ древн. памятн. христіанства—Рконскій монастырь*). აქ ხსენებული კახა უნდა იყოს ქ.-ცხბის კახა თორელი. ამაზე და გრიგოლ სურამელზე ნახე ქ.-ცხ., 390, 391 და *H. de la G.*, 556.

1. ვახუშტის თქმით აქ ხსენებული აღწერა ანუ, ქ-ცხბით სულთვალვა მოხდა 1254 წ. ამ წელს ბროსსეც სამართლიანადა სთვლის. რაში მდგომარეობდა აღწერა ეს ნახე ქ.-ცხბაში, გვ. 386—387. ჩამჩიანის გამოკვლევით არღუნისაგან აღიწერნენ სომხეთში და საქართველოში ყველა მცხოვრებნი გიდრე ათის-წლოვანის ყრმათაგან და რა ხარჯიც ამ ქვეყნების მამრის სქესს დაატყდა 1254 წელს, იყოო 60,000 ოქროს ფული. ნახე აგრეთვე პატკანოვის *Исторія Магакіи*, стр. 23—24 და 83. ქ.-ცხბით, „იწყეს აღწერად კაცთაგან პირუტყვამდე, ყანით ვენახამდე, წალკოტით ბოსტნამდე და ცხრასა გლეხსა სრულისა მიწისა მქონებელსა ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან და გამოხდა სამეფოსაგან დავითისა (ქართლი და კახეთი) ცხრა თუმანი მხედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელი არს ცხრა ბ ე ვ რ ი..." აქ აღრიცხულის მხედართ რიცხვის გამოანგარიშებით ბროსსეს ის შედეგი გამოაქვს, რომ თუ კი მეათედი დაიდო მეომრად, 4 1/2 მილიონი მცხოვრები უნდა ყოფილიყო საქართველოში; მაგრამ თუ რომ ამასთანავე ჩვენ მხედველობაში იმას მივიღებთ, რომ 1836 წლის აღწერით ქართლში და კახეთში სულ 225,395 მცხოვრები აღმოჩნდა, მაშინ, რა საკვირველია, ქ.-ცხბის ჩვე-

შემდგომად ამისა წარვიდა ყაენი მისრეთს და წარიტანა დავით მეფე სპითა თვისითა. მისრულთა უწყეს შუა-მდინარეს და შამს ოხრება; არამედ მოეგება სულტანი ეგვიპტისა მდინარესა ზედა ეფრატისა; ხოლო თათართა განვლეს ეფრატი და წინა-მბრძოლი იყო მეფე ქართველთა. შეიბნენ და მოსრნეს ეგვიპტელნი, გარნა ულუ-ყაენი დაადგრა მუნვე, სადაც იყო ქალაქი მცირე, უკან კლდითა და წინ მდინარითა მოზღუდებული, და ვითარ ულონო იქმნა ბრძოლად ყაენი [1], ბრძანა დილისად ალმსედრება ყოველთა სპათა და გარე-მოდგომად ქალაქისა და ყმუილი მაღლთაებრ; ხოლო ჰყვესრა ეგრეთ, განსქდა კლდე იგი და ნასხვარი ქალაქი შეერთო წყალსა მას და ნეშტსა შეუსდნეს თათარნი, მოსრნეს ურჩნი და დაიპყრნეს. მერმე წარმოვიდა ყაენი შამს და შუა-მდინარეს; მოეგებნენ სრულიად ძღვნითა დიდითა. მაშინ დავით ეძიებდა ყაენსა, რათა განუტეოს სამეფოსა თვისსა. ნება ჰსცა ყაენმან და მოვიდა სპითა თვისითა და დიდითა ნაშოვრითა ტფილისს წელსა 1249, ქართულსა 469. ხოლო მწუხარე იყვნენ ყოველნი წარჩინებულნი, რამეთუ ჯიგრა-ხათუნ არა უშვა შვილი მეფესა. ამისთვის მეფემან მოიყვანა ოვსთა მეფის ქალი კეთილ-სახოვანი, აღმთქმელმან ოდეს უშვეს მე, არღარა თანა-ეყოს და შემდგომად ქორწილისა ოვსთა მეფის ქალმან ალთუნ უშვა მე-გიორგი წელსა 1250, ქართულსა 470 [2]. ესე გიორგი შეიყვანა ჯიგრა-ხათუნ შვილად თვისად და ზრდიდა იგი. კვალად უშვა ალთუნ მეფესა ქალი თამარ და მიქრიდგან

ნება ზემო-ხსენებულის რიცხვისა ქართლში და კახეთში შესაწყნარებელი არ არის (*H. de la G.*, 551, n. 2): აღწერაზე ნახე აგრეთვე *Addit.*, 432.

თუმანი, ანუ დუმანი. თუმანის მნიშვნელობაზე ნახე ზემოდ, გვ. 220, შენიშვნა და აგრეთვე პატკანოვის *Исторія монголовъ Магакіи*, стр. 85. ჩვენს მწერლობაში ბევრსაც თუმანის მნიშვნელობა აქვს, ესე იგი ჰნიშნავს 10,000-ს და ხშირადაც იხმარება; მაგალ. ბიბლიაში: „და აკურთხეს რებეკა, და ჰრქვეს მას: და ჩვენი ხარ, იქმენ ათასეულ ბევრეულთა" (დაბად., 24: 60); „და მოვიყვანოთ ათი კაცი ასისაგან ყოველთა ტომთა ისრაილისათა და ათასი ბევრისაგან" (მსაჯ., 20: 11); „რომელსაცა შინა დამკვიდრებულ არიან უმრავლესნი, ვიდრე ათორმეტნი ბევრნი კაცთანი" (იონა, 4: 11), ქ.-ცხოვრებაში: „ერთი ბევრი და ორი ათასი კაცი" (გვ. 327); „გითარმედ ათ ბევრად აღიწია რიცხვი მოკლულთა" (გვ. 355); „კაცი ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი" (362); „თათართა ბევრის მთავარი, რომელსა დუმნის მთავრად უწოდდეს" (გვ. 371). ლექსი ბევრი, ბროსსეს აზრით, არის სომხური (*L' Art. liberal*, p. 128).

[1] ჰულაგუმ მისირზე პირველად გაილაშქრა სეკდემბერს 1259 წელს; მაგრამ ჩქა იგი დამარცხდა (*H. de la G.*, 552, n. 3).

[2] 1260 ანუ 1261 წელს. „თეატრის მატიანის მწერალი სწერს ამ ჩვენს რიცხვზე 1250 წელს სომეხთ ორ-ბუნებისა წვალებათა და სხვათა ზედა წინა-აღუდგებოდენო ძლიერად გიორგიელნი, რომლისათვის უმეტეს განეშორნენ ურთიერთარს, რომელსაცა ჩვენი მატიანე არ მოიხსენებს, ვჰგონებ ამ ჟამის უცალოებისათვის. ეგები ქალდეურის მატიანეში იყოს სადმე: თქვენ იხილეთ." ვახუშტი

განეშორა ალთუნს მეფე; შემდგომად მოკვდა დედოფალი ჯიგდა-ხათუნ [1]. მერმე წარვიდა მეფე წინაშე ყაენისა და დაჰყო მუნ ხანი რაოდენიმე. მერმე უბრძანა ყაენმან მეფესა მზა-ყოფად სპათა მისთა ზედა. წარმოვიდა მეფე და მოვიდა სახლსა ავაგ ათაბაგისასა, რამეთუ მომკვდარიყო ავაგ და არა დაშთომოდა წული, არამედ ასული ხვაშაკ; ხოლო მტირალმან მეფემან ავაგისამან იცოდა ცოლი ავაგისა გვანცა და ეტრფიალა მას; შემდგომად მოიყვანა და იქორწინა [2]; ხოლო ქალი ავაგისა შევედრა მანკაბერდს სადუნსა [3] და სახლიცა ავაგისა. ხოლო მეფე მიუდგა გვანცას და უშვა ძე დიმიტრი წელსა 1256 [4], ქართულსა 476 და გვანცას დედოფლობა მძიმედ უჩნდა ჯიქურსა; ამისთვის შესმენილ იქმნა წინაშე მეფისა განზრახვითა სუმბატ ორბელიანისათა; გარნა ვინადგან დავით წრფელი იყო, არღარა გამოიკვლია და გარდააგდო ჯიქური ისნიდამ მტკვარსა შინა. დილასა იხილეს მდებარე რიყესა ზედა და განჰკვირდნენ ერნი და მოითხოვეს გლახაკთა დაფლვად; რამეთუ არავინ ჰყვა თვინიერ მათსა და მათდა მას მრავალნი კეთილნი ექმნნეს. მიანიჭა მეფემან და დაფლეს გლახაკთა.

ხოლო ინება რა ულუ-ყაენმან ლაშქრობა მისრეთს და მოუწერა დავით მეფესა; არამედ ვინადგან იყო ჭირი დიდი ლაშქრობითა და ხარკითა, რომელი დაედვა არღუნისგან და კვალად დაედგინა ხოჯა აზიზ, რომელი სამზარეულოსაცა

1. ქ.-ცხ.-ში: „გარდაიცვალა დედოფალი ჯიგდა-ხათუნ და წარიღეს სამარხოსა მეფეთასა მცხეთას და დაკრძალეს“ (გვ. 388). ბროსე ფიქრობს, ვითომც ეს სიტყვა ჰნიშნავდეს „დროებით მიწის მიბარებას გვამისას“ და ასეც სთარგმნის ფრანციცულად: *où il fut conservé* (*H. de la G.*, 554 და note 1). აქ ბროსე შემცდარია. ჩვენ მწერლობაში სიტყვა დაკრძალეს ჰნიშნავს დახშეს, დამარხეს: „და დაკრძალა (ფარნავაზმა) კარი ქვაბისა“ (ქ.-ცხ. გვ. 29). „აწ ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი“ (მათე, 27: 64,65); „მიასვენეს მუნ და დაკრძალეს დიდითა დიდებითა“ (ცხოვრ. თეიმურაზის 5, 1853, გვ. 174); „წარმოიღეს გვამი წმ. არჩილისა, შემურნეს დიდითა პატივითა და დაკრძალეს საფლავსა შინა, სოფელსა ნოტკორას, მის მიერვე აღშენებულსა ეკლესიასა“ (მამ. ცხ. შიო-მღვ., გვ. 232). ქ.-ცხ.-ში არჩილზე დაკრძალეს მაგიერ ნათქვამია დამარხეს: „და დამარხეს ნოტკორას მის მიერ აღშენებულსა ეკლესიასა“ (გვ. 184).

2. „გვანცა იყო ქალი კახაბერ რაჭის ერისთავისა.“ ვახუშტი. ნახე აგრეთვე *Addit.*, 362.

3. სადუნ მანკაბერდელი ცნობილია ისტორიითაც და სომხურის ეკლესიურის წარწერებითაც. ჩამჩიანის თქმით, სადუნ იყო არწრუნიანთ მთავართაგანი, შვილის-შვილი სასუნ ქურთისა და ეკუთნოდა სახლს გამოჩენილის ვიგენ მამიკონიანისას. წარწერანი უწოდებენ მას „ბარონად, ათაბეგად და ამირ-სპასალარად.“ სადუნზე ნახე სრული ცნობები *H. de la G.*, 554, n. 3.

4. ბროსე: „ავაგი მოკვდა 1250 წ. რადგან შეეხება დავითის ქორწინებას ავაგის ქვრივზე, თუ ეს ამბავი მოხდა შემდეგ პირველის გამხედრებისა ეგვიპტეზე, მაშინ თვით ქორწინება უნდა ყოფილიყო ანუ 1260 წ., ანუ ამ წლის ახლო დროს და მე არ ვიცი, რაზე აფუძნებს ვახუშტი ქორწინებას და დიმიტრის დაბადებას 476—1256 წ.“ (*H. de la G.*, 554, n. 2)

მეფისასა აღიღებდა ხარკსა; ამისთვის შეიწროებული მეფე მოვიდა ჯავახეთს და განიზრახა უკუ-დგომა ყაენისა, გინა-თუ წარვიდეს. ხოლო დიდებულთა გიეთთამე განუზრახეს წარსვლა და ზოგთა განდგომა; არამედ მეფემან ნებასცა დიდებულთა, რომელთაცა ნებავთ, წარვიდნენ წინაშე ყაენისა და რომელთა სთნავთ, მისთანა დაადგრენ. უკ-მოიქცა მეფე და მოვიდა სარგის ჯაყელისა ციხის-ჯვარელისა თანა; ხოლო სხვანი ქართველნი წარვიდნენ წინაშე ყაენისა და იყოფოდა მეფე სამცხეს და მასპინძლობდა ყოვლითურთ სარგის. შემდგომად მოვიდა გაზაფხულს ყაენი გამარჯვებული თვისად მისრეთიდამ, სადა მხნედ იყვნენ მუნ მყოფნი ქართველნი. მაშინ იკითხა ყაენმან საქმე დავით მეფისა და სცნა განდგომილება: წარმოავლინა არღუნ 20,000 მხედრითა და ქართველნიცა მუნ მყოფნი მის თანა. ხოლო მეფემან შეკრიბნა მესხნი, შავშ-კლარჯნი 8000 მხედარნი, წარმოავლინნა და დადგნენ ხევსა შინა მტკვრისასა. მაშინ არღუნ წარმოავლინა 6,000 მხედარნი, ეწყვნენ მესხნი, აქადამ 5,000 მხედარნი შოლის პირსა ზედა, აოტეს მესხთა თათარნი, მოსრნეს და ნეშტნი შეიხვეწნენ შინდარას სპათა შინა. მცნობელმან სარგის წარისწრაფა და ესე იხილა არღუნ, განემზადა სივლტოლვად; არამედ აყენებდნენ ქართველნი, მის თანა მყოფნი მეტყველნი: „ჩვენ ვუწყით ბრძოლა მათი." მოიქცნენ და ჰკვეს ბრძოლა; გარნა კვალად ივლტოდნენ თათარნი, არამედ სიმცირით სულ-მოკლე იქმნენ მესხნი; ხოლო თათარნი ჩვეულებისაებრ მათისა უკ-მოიქცნენ და მოსრნეს მესხნი და სარგის მცირედითა მოვიდა წინაშე მეფისა და არღუნ წარვიდა გამარჯვებული მყინვარებისაგან ზამთრისა, რამეთუ იყო დეკემბერი. მერმე წარვიდა მეფე შავშეთ-კლარჯეთად და იყოფოდა მუნ. კვალად მოვიდა არღუნ ივნისსა შინა, მოაოხრა სამცხე და მოადგა ციხის-ჯვარს და აკნებდნენ ციხით გამო დიდად თათართა, გარნა ვერ შემუსრნეს; არამედ ესწრათ ამბავიცა ყაენისა, უკუ-იქცნენ და წარვიდნენ და დაიხსნა ღმერთმან მესხნი ოხრებისაგან.

ხოლო აწ განაზრახა მეფე სარგის ჯაყელმან ესრედ: „ვინაჲდგან ორთავე არს სამეფო იმერეთისა, რათა მივიდეს მუნ." ხოლო მისრული მუნ დავით მეფე ისტუმრა ნარინ-დავითმა კეთილად; არამედ თუმცა დიდებით იყო დავით მეფე, გარნა ვითარცა უცხო ვიდოდა; ამისთვის განიყვნეს დიდებულნი იმერნი და ინებეს მეფედ ზოგთა დავით და ზოგთა ნარინ და იყო შლილობა ჟამ რაოდენმე და არცა განიყოფებოდა საჭურჭლე; არამედ ბედიელი დაადგრა ერთგულებასა ზედა ნარინ-დავით მეფისასა და იგი იყო კაცი კეთილი, რამეთუ დროსა ამისსა არა იპოებოდა მპარავ-ავაზაკი ოდიშს; ამისთვის განიყვნეს მეფეთა ქვეყანანი და ქალაქნი ქუთათისი და ტფილისი ორად სამეფოდ; საჭურჭლე ორად; არამედ ხომლის ქვაბსა შინა რაჲცა იყო, მცირედი განჰყვეს და სხვა დაუტევეს მუნვე [1]. ხოლო ჯაჭვი სალამაზო და თვალი იგი პატიოსანი და მარგალიტი უსასყიდ-

1. „ხომლის კლდე ფრიად მაღალი. მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლითა, ხომლის

ლო დაშთა ნარინ-დავითს და იქმნა ქართლ ორ სამეფოდ წელსა 1259, ქარ-თულსა 479 და დაშთნეს იმერნი უმეფოდ.

მოიშალა ლაშქრობა და მსახურება თათართა; ამისთჳს ინება ზავი მეფი-სა ყაენმან, რამეთუ დედოფალი გვანცა ძით თჳსით დიმიტრით იყო ურდოსა შინა ტყუედ წარყვანილი და ნოინის ცოლს აღეყვანა დიმიტრი ყრმა წილსა თჳსსა, მის განსმოდა სამოჲ, მიდგომილსა კჳა წული; არამედ ვინაჲდგან იყო დედაკაცი იგი უშვილო და შვილიერ იქმნა, ამისთჳს ფრიად პატივსა უყო-ფდა გვანცას და დიმიტრის და უბრძანა ყაენმან ნოინსა ამას, რათა წარავლი-ნოს ზავისა პირი მეფისა თანა და წარმოვლინებული მოვიდა წინაშე მეფისა; ხოლო მეფემან მიუმცნო „წამოსვლისა ჩემისა მიზეზი იყო ხოჯა აზიზ; აწ უკე-თუ მომცეთ იგი, წარმოვგზავნო წინაშე ყაენისა ძე ჩემი გიორგი და იგი ჰყოს ყაენმან მეფედ, არამედ მომეცით გვანცა და დიმიტრიცა ძე ჩემი.“ მსმენელმან ყაენმან დაუმტკიცა ფიცით: „უკეთუ მოვიდეს მეფე, მივსცე ხოჯა აზიზ“ და ჰყო შუა-მდგომელად ყაენმან ენუქარქუნ, რომელი იყო კაცი კეთილი და ქრი-სტიანე. ესე მოვიდა მეფისა თანა და აღუთქვა ფიცით და წარიყვანა ძე მეფისა გიორგი. მისრულსა ტფილისს მოეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი ამერეთისა-ნი და ბადიან, რომელსა არღუნ შეჰკვედრა ტფილისი და კინილა მეფობაჲ. ამან უძღვნა გიორგის ურიცხვნი, მერმე მივიდნენ ურდოსა ტუნღულ-ხათუნისსა თანა, რომელი იყო ასული კეისრისა[1]. ამან შეიყვარა და პატივ-სცა გიორგის. შემდგომად შეიყვანა წინაშე ყაენისა; ხოლო ყაენმან პატივ-სცა და მისცა მე-ფობა და წარმოავლინა კვალად, რათა მივიდეს მეფეცა; არამედ მეფე მიზეზ-ჰყოფდა ხოჯა აზიზს; ამისთჳს განწყრა ყაენი განზრახვითა არღუნისათა, რა-მეთუ მას მძიმედ უჩნდა მიცემა ხოჯა აზიზისა და ბრძანა მოკვლა გიორგისა. ამისი მცნობი ენუქარქუნ მსწრაფლ შევიდა ტონღუზ-ხათუნისა თანა და აუწყა ესე; ხოლო იგი მყის წარვიდა წინაშე ყაენისა მეტყველი: „რაჲ არს, დიდო ყაენო, რამეთუ სტეხ ფიცსა ერთისა სპარსისათჳს და აღსძრავ შფოთსა? არა უწყია, რამეთუ წინასწარ-მეტყველთა, რომელთაცა ღმერთი ეზრახოდა, ნათესავნი არიანო ბაგრატიონნი და აწ სიკვდილი გიბრძანებიეს? უწყოდე, რამეთუ დიდის

ვარსკვლავის სწორობით. ამა კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთა სადები“ (ვახუშტის გეოგრ., გვ. 372). აქ, ბროსსეს თქმით, და-დიანის ბძანებით ეთხარათ ქვაბი, მაგრამ არაფერი აღმოჩენილიყო (*H. de la G.*, 560, n. 5).

1. ეს თქმულება ვახუშტისა, დამყარებული ქ.-ცხბაზე (გვ. 394), შეცდომაა. თუნ-ღულ-ხათუნი, ანუ მართლ-წერით თოგუზ-ხათუნი, უმთავრესი ცოლი ჰულაგუსი იყო კე-რაითთაგანი, ქალი აიკონისა. იგი აღიარებდა ქრისტეს აღსარებას და იყო მუდამ მფარ-ველი ქრისტიანეთა. (S-Martin, *Mém.*, II, 289). მართალია, ჰულაგუს ჰსურდა მიხაილ პალეოლოგის უკანონო ქალის მარიამის შერთვა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ოცის წლის შემდეგ ხსენებული მარიამი შეირთო აბალა-ხანმა და მასუკან ხარბანდამ ანუ ხუდაბენდამ (*H. de la G.*, 562, n. 1).

ბათოის დესპანი წინაშე დავით მეფისა რომე არს და სომხეთს გზასა დარბაზისასა და უკეთუ ჰყოს ესე მეფემან, აღდგების შფოთი დიდი.“ მაშინ ყაენმან მოიყვანა გიორგი, მისცა მეფობა და მისცა ტოლოქოლ-ხათუნს მეტყველმან: „წარავლინეო გიორგი, დიმიტრი და გვანცა და მოიყვანეთ დავით მეფე და მიეცით ხოჯა აზიზცა და დაარწმუნეთ ივიცით უგნებელობა მეფისა.“ მაშინ ენუქარქუენ წარმოიყვანნა ორნი ძენი მეფისანი და მოვიდა ქვიშხეთის ბოლოს, მოართვა მეფესა დავითს ძენი თვისნი და ხოჯა აზიზცა და მეფემან წამსავე მოჰკვეთა ხოჯა აზიზს თავი [1] და წარგზავნა ტფილისს და მუნ მოჰკიდეს ძელსა ზედა. ხოლო მეფე წარჰყვა ენუქარქუენს და მოეგებნეს დიდებულნი თვისნი ყოველნი; არამედ სარგის ჯაყელისა ებრძანა ყაენსა მიუნდობლობა. ხოლო სარგის იტყოდა: „უკეთუ ქენოს რაიმე მეფესა, ბრალი ჩემდა იქმნეს“ და სთქვა: „რამეთუ სარგის ჰყო განდგომა აწ მეკნოს მისთანა და დავრჩე მის თანა“ და წარჰყვა მეფესა. მადრიელ იქმნა მეფე და მიუბოძა ქვაბლოვანი და ტბეთის ველესია. მერმე მივიდენ ზარდას წინაშე ყაენისა. მისრულსა მეფესა ყაენმან მისცა თასი სავსე ღვინით (რამეთუ წესი იყო მათი) და ჰკითხვიდა მიზეზსა განდგომილობისასა; არამედ ვინადგან იყო მეფე ენა-ბრგვნილი, მიჰხედა სარგისს; ხოლო სარგის უშიშრად წარმოსდგა და მოახსენებდა მიზეზსა განდგომისასა; ხოლო ყაენმან ჰკითხა: „შენ ხარა აბაშ სარგის?“ და მან ჰრქვა: „მე ვარ, დიდო ყაენო.“

და ვითარ ჰზრახვიდნენ და არა უწყოდნენ, თუ რაჲ ეყოფისით, გარდნა იხსნა ღმერთმან ერი თვისი, რამეთუ შემოვიდა მალე მსრბოლი მეტყველი: „არა ჟამი არს ზრახვისა, რამეთუ გამოვიდა ულუსი დიდი და მოვალს ყაენი ბერქა დარუბანდის გზასა.“ მსმენელი ულუ-ყაენი მსწრაფლ შემკრებელი სპათა თვისთა წარვიდა და თანა წარიტანა მეფე დავით ქართველებითურთ; ხოლო მეფე ზრახვებითავე წინა-მბრძოლ იქმნა; არამედ სარგის დაადგინა ყაენმან წინაშე თვისსა და განაწყვეს რა რაზმი და მიმართეს, მაშინ რაზმსა მას შინა წასლულ-ურდგელი; შეჭურვილმან მოჰკლა სარგის; მერმე წარხლტა მეორე, მოჰკლა სარგისვე; კვალად წარხლტა მესამე, მოჰკლა იგიცა სარგისმან. ამას ზედა განკვირდა ყაენი და შეიყვარა ფრიად სარგის. ხოლო ვახლნეს რა რაზმნი ურთიერთარს, გამოვიდა მუნიდამ კაცი საშინელი დიდი, რომლისაგან შეშინდნენ სპანი მეფისანი; ხოლო მეფემან განიყვანა ცხენი, ჰსტყორცა ისარი კაცსა მას, ჰკრა ცხენსა მისსა მკერდსა და დაეცა ცხენი. მხილველთა ქართველთა შეუტიეს და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ ურიცხვნი ორგნითვე. ხოლო სადაცა იბრძოდა სარგის ძლიერად წინაშე ყაენისა, შემდგომად ივლტოდნენ სპანი ბერქასნი და დევნასა შინა იყო ყაენი ოთხითა კაცითა ოდენ; მოუხდნენ შვიდასნი შეჭურვილნი მტერთანი ულუ-ყაენსა; მიეტევა სარგის სამითა მონითა,

1. ეს ხოჯა-აზიზი მესხულმანთ მწერალთ თქმით იყო „ერთი გურჯისტანის გამგეთაგანი“ და მას თავი მოაკვეთინა ჰულაგუ-ხანმა 1262 წელს (*H. de la G.*, 563, n. 2).

ოთხნი მოჰკლნიდნეს და სამნი გარდისვეწნენ. ამას შეჰკრთეს თვით ყაენი; ხოლო კვეტოლკარეთა ბერქას სპათა დევნა უყვეს სამ დღე და განვლეს დარუბანდი და მოსწყვიდნეს უამრავნი [1]. შემდგომად შემოიქცნენ და მოვიდნენ ბარდას. ამისთვის ყაენმან მეფესა და სპათა მისთა პატივ-სცა დიდად და აწყალნა; ხოლო სარგისს მისცა კარნუ-ქალაქი გარემოით. ამას შეიშურებდნენ სხვანი და ეტყო-დნენ მეფესა: „არა-რა იქმნების მორჩილ შენდა სარგის." ირწმუნა მეფემან, ვინაიდგან მარტივი იყო და ეტყოდა ენგის ნოინს: „უკეთუ მისცეს ყაენმან სარგისს კარნუ, მისცეს მეფობაცა." განკვირდა ენგის ნოინი და ეტყოდა: „მსახურებისა შენისათვის მისცა და უკეთუ ჰნებავს, არღარა მისცემს." მო-ხსენებულმან ყაენმან არღარა მიანიჭა კარნუ. ხოლო იუწყა რა ესე სარგის, გულ-გლებულ იქმნა მეფისაგან. შემდგომად წარვიდა მეფე სპითა თვისითა და მოვიდა სახიდ თვისად.

დროსა ამას განდგა ყაენისაგან შანშეს ძე ზაქარია და წარვიდა ნარინ-დავითისა წინაშე; მერმე მოისდო ზაქარია და მოკლა. შემდგომად მოკლა შანშეცა მწუხარებითა [2] და გვანცა დედოფალიცა მოკლა თათართა შინა თვისისა ასულის ხვაშაქის მიერ მოწამლვითა [3]. ხოლო მეფემან იქორწინა დიდის ნოინის ჯორმაღის ასულსა ესუქანის ზედ ტფილისს დიდებითა დიდითა წელსა 1263, ქართულსა 483. ყამსა ამას გარდამოვიდნენ ბერქასაგან ლტოლვილნი დედაკაცნი საკვირველნი და მოვიდ დავითის წინაშე; ხოლო მეფემან პატივით შეიწყნარნა და წარავლინა ულუ-ყაენის წინაშე; მანცა პატივ-სცა და კვალად წარმოავლინა მეფი-სადვე; ხოლო მეფემან განყვნა და დასხნა ებანისს და ყირვანს და ქართლს.

შემდგომად მოიწია რა სთველი, წარვიდა ყაენი შირვანს; თეთრის წყლის პირსა ზედა, შეკრა სიბა, ჰგონებდა გამოსვლასა ბერქა-ყაენისასა. ამ ჟამად იწყეს დგომად სიბასა ზედა [4] და გაზამთრებულ წარვიდიან გელაქუნს. მა-

1. კირაკოსის ცნობით, ჰულაგუმ თავისი ჯარი გაჰყო სამ ნაწილად, რომელთაგა-ნი ერთი მიანდო თავის შვილს აბაღას და გაისტუმრა ხვარასანს, მეორე გაგზავნა ალანთა გასავლით, და მესამე თვით წაიყვანა დერბენდის გასავლით. ბერქასთან ბრძოლა გაგრძელდა 1261 წლიდამ 1266 წლამდე, ესე იგი თვით აბაღას დრომდე (*H. de la G.*, 565, п. 3). საკმაო ცნობა, მუსულმანთ მწერალთაგან გამოკრეფილი ბერქაზე და იმის ომზე, ნახე იქვე 566, п. 2.

2. ზაქარია მოიკლა ჩამჩიანის ცნობით არგუნისაგან 1261 წელს. თვით იმისი მოხუცი მამა შაჰან-შაჰ მოკვდა მწუხარებით და მამა-შვილნი დასაფლავდნენ კობერის მო-ნასტერში. შაჰან-შაჰს ანუ შანშეს ჰყვანდა ზაქარიას გარდა სამი შვილი: ავაგი, არდაში-რი და ივანე (*H. de la G.*, 568, п. 3.—*Addit.*, 362,432).

3. ჩამჩიანი გვანცას მოკვლას მიაწერს სუმბატ ორბელიანს, რომელსაც ვითომც ჰსურდა იმისი მამული შეესაკუთრებინა. გვანცას სიკვდილი, ბროსსეს მოაზრებით, უნდა მომხდარიყო 1262 ანუ 1263 წელს (*H. de la G.*, 568, п. 4).

4. სიბა არაბულ ენაზე ჰნიშნავს სანგარსა (*H. de la G.*, 569, п. 6). მონ-გოლურ ენაზე ეს სანგარი იწოდებოდა ჩაგან მურან ანუ თეთრი წყალი და მდებარებდა შირვანში ახსუს მდინარეს მახლობლად (S-Martin, *Mém.*, II, 285).

შინ ულო-ყაენმან შეიპყრნა სამნი ძენი ყაენისანი და მოსწყვიდნა იგინი. მცნობელნი საბერძნეთის მყოფნი სპანი მათნი შეკრბნეს და გამოვლეს საბერძნეთი, ბასიანი, ტაო, არტაანი, სამცხე, ჯავახეთი, ქართლ-სომხითი, რანი და შევიდნენ ლუნზულს; განვლეს იგიცა და მივიდნენ წინაშე ბერქა-ყაენისა; არამედ ესოდენითა ქვეყანათა მარადის ყოველნი ყოველგან ბრძოდიან, გარნა იგინი მრე ექმნეს ყოველთა. ხოლო მოესმათ გამოსვლა ბერქა-ყაენისა განმზადებულთა; გარნა ამათ შეკრეს ლობე თეთრს წყალსა ზედა ბრძანებითა ულო-ყაენისათა. ჟამსა ამას განდიდნა ჭყონდიდელი („და ჟუჟარმელი," ქ. ცხ., 399) ყასილი და დაიწყო საურავი, ვითარცა მეფემან და თანა-ეყო ესუქანს დედოფალსა და შესმენილი მეფის მოიკლა მეფისაგან და მოჰკიდეს მკლავს საშუალ ქალაქისასა, რამეთუ იყო მეფე წყრომილი. შემდგომად სთველსა შინა წარვიდა მეფე სიბასს. მუნიდამ გაზავსებულს გელაქუნს მისრული ქველრა თანგუშს ძესა ულო-ყაენისასა, რათა გვნუტეოს ტფილისს. ნება-სცა და წარმოვიდა ტფილისს მეფე.

მაშინ მოკვდა ულო-ყაენი და დასვეს ყაენად აბაღა[1]. არამედ ესე აბაღა-ყაენი იყო ფრიად კეთილ-მეტყველი ესრეთ, რამეთუ ღმრთისა ქვეყანის მპყრობლად დაუდგინებივარ; რასაცა არა მივცემ ვის, არცა რას მოვაკლებ," რამეთუ მრავალთა საჭურჭლისა მპარავთა შეუნდო. ამან დაიმორჩილნა ყოველნი საბრძანებელნი მამისა თვისისანი და წარვიდა დავით მეფეცა წინაშე მისსა; ხოლო მან პატივით შეიწყნარა.

ჟამსა ამას გამოვიდა ბერქა-ყაენი დარუბანდის გზით. მცნობმან აბაღა-ყაენმან შემოიკრიბა სპათა თვისთა სიმრავლე, შეკრა მტკვრის პირი და არეზისა მცხეთამდე. მოვიდა ბერქა, მოაოხრა მოვაკანი და ჭერეთი ტფილისამდე; არამედ თვით დადგა მთასა ზედა გარესჯისასა. მაშინ შეიწყალა ღმერთმან ქვეყანა ესე და მოკვდა ბერქა ყაენი[2]. წარიღეს სპათა მისთა და წარვიდნენ.

1. ულუ-ყაენი მოკვდა 48 წლისა 8 თებერვალს 1265 წელს; მასუკან, შემდეგ ოთხის თვისა და თერთმეტის დღისა, მოკვდა თვით იმისი უმთავრესი ცოლი თოგუზ-ხათუნი. გვიამბობენ, ვითომც თოგუზ-ხათუნს შეეკვეთნოს სირიელთა და სომეხთ მღვდელთათვის ლოცვა თავის მიცვალებულის ქრმისათვის. მაგრამ უარი ეთქვათ მათ, იმათ შორის თვით ვარდან მეისტორიესა. აქ ჩვენთვის ღირს-სახსოვარი ის არის, რომ თოგუზ-ხათუნის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ვარდანის მოსამსახურე მონგოლთ აგაზაკებს ტყვეთ ჩაჰგარდნიყო, მაშინ თვით ისტორია ვარდანისა, რომელიც იმას თურმე ებარა, მონგოლმა ერთს ტფილისის მცხოვრებთაგანს მიჰყიდა და ავტორმა მხოლოდ შემდეგში გამოისყიდა იგი, როდესაც სცნო იმისი წაღება ტფილისში (*H. de la G.*, 571, n. 4.—*Всеобщая Исторія Вардана*, стр. 197—198). ხსენებული ისტორია ვარდანისა ის ისტორიაა, რომელსაც ადგილ-ადგილ ჩვენ სახელ-ვმძღვანელობთ.

აბაღა დაჯდა მამის ტახტზე 19 ივნისს 1265 წელს (*H. de la G.*, 572, n. 1).

2. ბერქა-ყაენის შესვლა 300,000 ცხენოსნით 1265—1266 წელს დარუბანდით შირვანში და იმისი ბრძოლა აბაღა-ყაენთან და ლტოლვა უკანასკნელისა ნახე S-Martin, *Mém.*, II, 285 და *H. de la G.*, 573, n. 1.

შემდგომად მოვიდა რა შემოდგომა, მიუწოდეს მეფესა სიბასა ზედა. ხოლო მოწოდებასა მეფისასა მოვიდა სარგის ჯაყელიცა ტფილისს; ხოლო მეფემან მგოსმან განდგომილებისა მისისამან შეიპყრა სარგის და არღა-რა მოიხსენა მსახურება და კეთილნი მისნი; ხოლო აღზრდილნი სარგისნი ივლტოდნენ წინაშე ყაენისა. მაშინ ყაენმან მოუმცნო მეფესა განტევება სარგისა და განუტევა და იქმნა მიერიდგან განდგომილება მესხთა, ვიდრე მეფის გიორგის ბრწყინვალისადმდე; არამედ მეფე ჯერეთ არა წარსრულ იყო სიბასა, დასნეულდა ძე მისი გიორგი ვიდრე სიკვდილად და იდვა, ვითარცა მკვდარი. მაშინ მოეხსენა მეფესა ხატი ღბანისის ღვთის-მშობლისა; წარვიდა ფერხ-შიშველად და მოასვენა ხატი იგი და დასდვა მკსა თვისსა; მყის განიკურნა და აღდგა და განკვირდებოდენ ფრიად ამისნი მხილველნი. მერმე წარვიდა სიბას და მოიქცა რა მუნით, დასნეულდა თვით მეფე სენითა მუცლისათა, რამეთუ მკურნალთაგანცა უსასოიქმნა; მგზავრ მიაყვანინა ხატი მარტყოფისა ხელით-უქმნელი და შეხებისა თანა განიკურნა მეფე და მოვიდა ტფილისს, იხარებდა და მეფობდა კეთილად ყოველთა ზედა. გარნა ქრისტიანეთა ვერ სცვლიდა სათნოთა ყაენისათა საქართველოსათა. გარნა თქმულ არს, რამეთუ მისდრკა დავით, ვითარცა წერილ არს სოლომონისა დროსა სიბერისასა, რამეთუ ხელ-ჰყო შლად ეკლესიათა მამულთა და შეწირულობათა; ამისთვის სამხილებელ ექმნა ღვთისა მიერ; რამეთუ კვალად დასნეულდა ძე მისი გიორგი მეფისა სიბას ყოფასა შინა და მოკვდა წელსა 1268, ქართულსა 488. ხოლო მეფე მოსრული სიბიდამ ფრიად მწუხარე იქმნა მისა თვისისათვის, რამეთუ მიერ ჟამით ფრიად სნეულებდა.

ამასვე დროსა განდგომილება იქმნა თათართა, რამეთუ თენგუთარ შეიშურვა ყაენობა აბაღასი და მიუწერა ძმასა თვისსა ბარხას, რომელი იყო თურანს, რათა წარმოემართოს და შემუსროს აბაღა-ყაენი და წარგზავნა წიგნი ისრის თავსა შინა დებული; ხოლო ბარხამ მოუწერა პაემანი, რომელი შესცდა მწერალსა მისსა სამ-გზის თვით და თენგუთარ განდგა სპითა თვისითა პაემანსა მას შეცთომილსა; მოვიდა და დადგა მთასა ზედა სამცხისასა. მუნიდამ წარავლინნა 12,000 მხედარნი, რათა შემუსრონ და მოაოხრონ მონასტერი-იოანე ნათლის-მცემლისა, რამეთუ ჰგონებდნენ საუნჯესა ურიცხვსა[1]. მაშინ მოაწია მათ ზედა წინა-მორბედმან სიხშო ბნელისა და კვალად სეტყვა და წვიმა მძაფრი, რამეთუ აღივსო ხევი იგი წყლითა და წარიტაცნა მხედარნი იგი და შერთო სრულიად ზღვასა; არამედ მაცნედ განერა მხოლოდ ერთი კაცი, რომელმან აუწყა თენგუთარს, რომელ ადგილი ღვთისა არსო და არა ბრძოლად მისსა. ხოლო აბაღა-ყაენმან წარმოავლინა სირმან ნოინი მხედართ-მთავრად სპი-

1. ეს მონასტერი ნათლის-მცემლისა ქ-ცხბით არის ოპიზა (ქ.-ცხ., 403—404): ოპიზაზე ნახე ზემოთაც გვ. 122, შენიშვნა 1, და 169, შენ. როგორც ვიცით, ოპიზა მდებარეობს კარჩხალის მთის ღელეში. შესანიშნავია, რომ ამ მთას თვით მე-XIII საუკუნეშიაც აწინდელი სახელ-წოდება ჰქონია (ქ-ცხ., 404).

თა და მოვიდა თენგუთარსა ზედა და ბრძოდა ძლიერად; ვერღა-რა დაუდგა თენგუთარ სიმრავლესს; წარვიდა და განვლო ჭოროხი და აჭარისა მთასა ზედა მდგომსა წარუსწრა მთა და წარიღო ვითარ 1000 მხედარი დედა-წულითურთ და დაინთქნენ სრულიად. ხოლო თენგუთარ შევიდა აფხაზეთს, მოეგება ნა-რინ-დავით, ისტუმრა კეთილად და ნადამსა ზედა დაუდვა ძროხა 500, თვინიერ ღორთა და ცხვართა, და ლაშქართა საზრდელად მისცა ცხენი 600, ძრო-ხა 1500, ცხოვარი 1000, ღორი 1000, ხოლო ღვინო ჭურითა და ურმე-ბითა ურიცხვი, რომელსა განკვირდებოდეს თათარნი, და ცოლმან დავით მე-ფისამან, რომელი იყო ასული მიხაილ პალეოლოღის კეისრისა[1], ცოლსა თენგუთარისასა განუსვენა. მერმე ესმა აბაღა-ყაენსა მოსვლა ბარხა-ყაენისა ხუა-რასანს, წარვიდა და წარიტანა მეფე დავით სპითა თვისითა, რამეთუ წინა-მბრძოლი იყო; აოტეს ბარხა-ყაენი და მოსწყვიდნეს სპანი მისნი ურიცხვნი და შემოიქცნენ გამარჯვებულნი. არამედ აბაღა-ყაენის მუნ ყოფასა შინა გარდამო-ვიდა თენგუთარ და დადგა ლომისას თავს ლადოსა ზედა და არბევდა სამცხესა და ქართლსა. შეკრბნენ ამათ მარბიელთა ზედა მესხნი და თორელნი; არამედ აოტნეს მესხნი და მოსრნეს მრავალნი და მოვიდნენ თენგუთარისა თანა. ამისა-თვის მოსრული აბაღა-ყაენი ევედრა ნარინ-დავითს და აღუთქვა ნიჭი დიდი, რათა არღა-რა შეუშვას თენგუთარ აფხაზეთსა შინა. ხოლო დავით აღმთქმელ-მან ყაენისამან ჩასურვნა გზანი. მაშინ აბაღამ წარმოავლინა ნოინი; მოსრული უწყო თენგუთარს და სძლევდნეს მრავალ-ჯერ და ვითარ არღარა აქვნდა ღონე თენგუთარს, უზავა სირმონ ნოინსა და მოვიდა მისთანა და მან მიიყვანა წინაშე აბაღა-ყაენისა; არამედ არა რაი ავნო და წარგზავნა პატიმრად პატივით; ხოლო ნარინ-დავითს მიანიჭა ნიჭნი ურიცხვნი. შემდგომად წარვიდა აბაღა სიბას და წა-რიყვანა მეფე სპითა და მოქცევასა ზაფხულისასა წარმოსრულს დავით მეფესა გზასა ზედა შეექმნა სენი სალმობა მუცლისა და ვერ უძლეს მკურნალთა კურნე-ბად; ხოლო მეფემან კვალად მოითხოვა ხატი მაცხოვრისა მარტყოფისა ხელით-უქმნელი, არამედ არღარა ჰყო ლხინება, ამისთვის ვინაიდგან მოაკლდა მსახურება ღვთისა და გარდაიცვალა მეფე დავით წელსა 1269, ქართულსა 489[2], არამედ ითქმულარს დედოფლის ესუქანის მიერ წამლით მოკლვა შური-სათვის ვასილისა. ხოლო დაშთა მეფედ ძე დავითისა დიმიტრი ტფილისს. მაშინ აღალუგ და რაჭის ერისთავი კახაბერ შეიზრახნეს და განდგნენ ნარინ-დავითისაგან და მივიდნენ ალიყან ბაადურისადმი, რომელი იდგა ჯავახეთს

1. ლებოს მოწმობით (*H. du B.—E.*, XVIII, p. 152) დავითს ჰყვანდა მიხაილ პალეოლოგის ცოლის უკანონო ქალი, რომელზედაც დავით ექორწინა 1267 წელს. ამ საგანზე ცნობა და ზოგიერთი სხვა უწყება მიხაილ პანარეტისა დავითზე იხილე *H. de la G.*, 579, n. 3.

2. სხვა და სხვა აზრი დავითის სიკვდილის წელზე ნახე *H. de la G.*, 584, n. 3.

მთისა ზედა. ამან ალიყან მიუმცნო ყაენსა და მიიყვანნა იგინი წინაშე ყაენისა, ხოლო მან პატივით შეიწყნარნა. შემდგომად ჰკადრეს ალაღურ და კახაბერ ყაენსა: „ჩვენ ვუწყით გზა, მოგვეც სპანი და ხელთ-გიგდოთ ნარინ-დავით“. მოხარულმან ამისთვის ყაენმან წარმოატანა სირმონ ნოინი 20,000 მხედრითა. ამათ გარდმოვლეს ჯავახეთი და გარდავლეს მთა ლიხისა, უგრძნეულად დაესხნენ ქუთათისს ნარინ-დავითს აბანოსა შინა მყოფსა; მეფე კაზით ცხენსა შემსწრაფბელი ივლტოდა. ხოლო თათართა მოაოხრნეს ეკლესიანი და მრავალნი ტყვე ჰყვნეს, სხვანი მოსწყვიდნეს და შემოიქცნენ უვნებელად წინაშე ყაენისად; გარნა ნარინ-დავით კნინღა საკვირველებითა ღვთისათა განერა. კვალად წელსა მეორესა გაიმსტრო კახაბერმან ნარინ-დავით მეფე და იხმო სირმონ ნოინი ზედ დასხმად და მივიდნენ ქუთათისს უეცრად; ხოლო მეფემან გარიდა და შემოიკრებდა სპათა. ჰსცნეს რა თათართა თავისთა ზედა მისვლა მეფისა, მასვე ღამესა წარმოვიდნენ ტყვითა და ალაფითა.

ჟამსა ამას განდიდებულ იყო კახაბერი სადუნ უმეტეს ყოველთა წარჩინებულთა ყაენისათა და მეფისაგან. ამ სადუნის მიერ შეკრბნენ ყოველნი დიდებულნი და წარიყვანეს დიმიტრი ძე დავით მეფისა წინაშე ყაენისა და უურვეს და ითხოვეს მეფედ; ხოლო ყაენმან მოსცა მეფობა და ყოველი საქართველო, თვინიერ სარგის ჯაყელისა, წარმოატანა სადუნი, რომელსა ქსვა ცოლად ასულ ავაგ ათაბაგისა ხვაშაგ; ამის გამო განდიდებულ იყო და ყაენმან ხელთ-უდვა ყოველნი და საბდივანი ავაგისა მას აქვნდა და მეფეთა მისცენ კარი და მისი მიმდევი ქვეყანა მოვეერავა და ახალციხელის ასული ცოლად მოეყვანა, ამისთვის დიმიტრისაგანცა მიეცა ათაბაგობა. ხოლო ესე სადუნი იგი არს, რომელმანცა ჰკადრა ყაენს ურდოსა შინა: „აჰა აქა ესე-ოდენნი სპანი და უკეთუ ვინ მერკინებისო, ანუ მედგინებისო, ანუ ისარსა განასრევს ვინ“ და ვერავინ გამოჩნდა დარი მისი, ამისთვის სცა ყაენმან პატივი. ხოლო მოსრულთა თანა ტფილისს შემოჰკრბნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულნი ზემო-ქართველნი, ჰერ-კახნი, ჯავახ-ტაოელ-კლარჯნი და არა სარგის ჯაყელი მესხით, და აკურთხეს მეფედ დიმიტრი წელსა 1272, ქართულსა 492.

## მეფე დიმიტრი II[1] (1273—1289).

ხოლო იყო ესე დიმიტრი მეფე მხნე, ახოვანი, ჰაეროვანი, შვენიერი სამხედროთა სრული, ღვთის მსახური, მლოცავი და მოწყალე, რამეთუ ღამე თვით-მავალი ხელითა თვისითა მისცემდა საკმაოდ გლახაკთა; არამედ იყო ხელ-

1. ეს დიმიტრი და იმისნი მემკვიდრენი იწოდებიან ქართლის მეფეებად, რადგანაც საქართველო დაიყო ორ სამეფოდ, ქართლის სამეფოდ და იმერეთის სამეფოდ, 1259 წლიდამ (ამაზე ნახე ზემოდ, გვ. 259). ამ წლიდამ ქ.-ცხბა წარმოგვიდგენს მხოლოდ ქართლის სამეფოს ისტორიას და იმერეთის სამეფოს ისტორიას გაკვრით მოიხსენებს. ამ სისტე-

თა შინა სადუნისათა. გარნა სადუნი კეთილად განაგებდა საქმესა საქართველოსასა, რამეთუ დღეთა შინა მისთა არა იყო ძალი რაჲმე თათართა: აღშენდა და მოირჭმო საქართველო. მაშინ ყაენმან აბაღამ ინება აღმხედრება ეგვიპტესა ზედა, წარავლინნა სპანი და თანა-წარიტანნა ქართველნი და მაუმცნო სულტანსა საბერძნეთისასა ფარსმანს, (რომელსა შემდგომად ყიასდინის სიკვდილისა მონასა მისსა მიეტაცა სულტნობა და ასული რუსუდანისა თამარ თვისად ცოლად ეყო)[1], რათა შეეწიოს სპათა მათთა; ხოლო მიიწივნენ ეფრატსა ზედა. შეიკრიბნა ეგვიპტელმან სულტანმან სპანი და დაესხა მუნ თათართა, მოსრნა უმრავლესნი და აოტნა თათარნი; არამედ მხნედ იყვნენ მუნცა ქართველნი, გარნა მოსწყდნენ სიმრავლითა; ამისათვის შეასმინეს სულტანი ფარსმან ყაენსა, რამეთუ მის მიერ იქმნა ლტოლვა ესე; შეიპყრა ყაენმან და მოკლა ფარსმან და მისცა სულტნობა ერინჯი-ნოინსა, რომელი იყო ყაენის ონხანის გვარისა, ხოლო აწყური მისცეს სარგისს და ძესა მისსა ბექას.

ამიერიდგან იწყო მეფემან დიმიტრი სიბას წარსვლა და აღშენდა ქვეყანა მოოხრებული; ხოლო სიბას მყოფსა მეფესა სთხოვეს საფასე განზრახვითა სადუნისათა. მაშინ სადუნმან სთხოვა დბანისი მეფესა და მან მისცა საფასე იგი; ხოლო მეფემან მისცა დბანისი[2] და სადუნმან გარდაიხადა საფასე იგი და განდიდნაცა სადუნი უმეტესად. არამედ ამან სადუნმან განათავისუფლნა უდაბნონი გარესჯისანი და სხვანიცა[3] და მსახურებდა მეფესა დიმიტრის ყოვლითა მო-

მას მისდევს თვით ვახუშტი და ამისათვის აქ მომავალნი მეფენი არიან ქართლის მეფენი. იმერეთის მეფენი და იმათნი მოქმედებანი იქნებიან აღწერილნი მეორე ნაწილში.

1259 წელია დასაწყისი საქართველოს დანაწილებისა. მართალია, გიორგი ბრწყინვალემ კიდევაც შეუერთა 1330 წელს იმერეთი ქართლსა და ეს ერთობა გაგრძელდა 130 წელს, მაგრამ 1259 წელს ის მნიშვნელობა აქვს, რომ მან დაბადა საქართველოში ორი დინასტია და თვითოეული მათგანი ყოველ ღონის-ძიებას ეძიებდა საკუთარის დინასტიურის სარგებლობისათვის. ამ მდგომარეობით, როგორც ვნახავთ, თვით მთავართაც ისარგებლეს. პირველად გადგა ჯაყელის სახლი; მას მიჰბაძეს სხვათაც და მონგოლთ სასიამოვნოდ და ჩვენ საუბედუროდ ჩვენვე შევასუსტეთ და დავამხვევით ის ჩვენი ძალა, რომელიც დავით კუროპალატის დროდამ დიდის შრომით გვქონდა მოპოებული.

1. ეს ფარსმანი, ქ.-ცხბის ფარმანი (ქ.-ცხ., 411), არის მუსულმანთ მწერალთ ფერვანა ანუ ბარვანა. ამ ფერვანამ შეირთო არა რუსუდანის ქალი, რომელიც გაიათ-ედ-დინსა ჰყვანდა, არამედ რუსუდანის შვილის-შვილი და ქალი გაიათ-ედ-დინისა ქაიხოსრო II-სა და მის ცოლის თამარისა. ნახე ზემოდ, გვ. 225, შენ. 4 და *H. de la G.*, 587, n. 1. ბარვანა არის სპარსული სიტყვა და უდრის არაბულს ეჯიბს. ნამდვილი მისი სახელი იყო მოინ-ედ-დინ სოლიმანი, რომლისათვის ჰულაგუ-ყაენს 1262 წელს მიუნდო გამგეობა რუმისა. იმისი და თვით გაიათ-ედ-დინის ქალის გურჯი-ხათუნის თავ-გადასავალი ნახე *H. de la G.*, 588, n. 2.

2. ქ.-ცხბის დმანისი (ქ.-ცხ., 412).

3. ქ.-ცხბით, „დღეთა ცხოვრებისა მისისათა მან მისცა ყალანი და ძმალი ათორ-

ჩილებითა. ამ ჟამებთავე განდიდნა სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელი და ძე მისი ბექა და დაიპყრა ტაშის-კარიდამ კარნუ-ქალაქამდე, რამეთუ იყო ღვთის-მსახური ყოვლითავე; გარნა მსახურებდა ყაენსა და მორჩილებდა დიმიტრი მეფესა.

ხოლო მოიყვანა დიმიტრი მეფემან ტრაპიზონის მეფის ასული ცოლად, იქორწინა და შვა ძე დავით წელსა 1277, ქართულსა 497 [1]. შემდგომად მოვიდა კვალად იგივე არღუნ აღმწერელი, რათა სცნას აღშენდა ანუ აოხრდა ქვეყანა, არამედ ჰსცნა უფროს აოხრება და უმეტეს ჭირეთისა, (რამეთუ მოოხრებულ იყო შემოსვლასა ბერქა-ყაენისასა. ამან არღუნ მოითხოვა დაჲ მეფისა დიმიტრისა თამარ ძისა თვისისათვის, რომელი აღუთქვა დავით მეფესავე; არამედ დიმიტრი მეფესა მძიმედ აღუჩნდა წარმართის შეკინებისათვის; გარნა არა იყო ღონე სხვა რამე და მისცა მეფემანცა და ჰქმნეს ქორწილი ჯეროვანი. ხოლო დიმიტრი მეფესა კვალად უშვა დედოფალმან ძე ვახტანგ წელსა 1278, ქართულსა 498.

ჟამთა ამათ მოიწყო ნარინ-დავითმან იმერეთი; ხოლო კახაბერ რაჭის ერისთავი იყოფოდა ატენს, არა რაჲსა პატივისა მქონებელი ყაენისა და მეფისაგან; ევედრა ნარინ-დავითს; მან შეიწყალა და მისცა რაჭა მამული მისავე; არამედ იგი ჟამსა მცირესა მიექცა კვალად წუნპესა და მიუწერა აღიყანს, რათა მივიდეს და ადვილად ხელთ-უგდის მეფე დავით; გარნა უქმ-იქმნა ზრახვა მისი, ვითარცა აქიტოფელისა. ესე სცნა ნარინ-დავითმა, შეიპყრა კახაბერი და აღმოჰხადნა თვალნი; მერე მოჰკვეთნა ხელნი და ფერხნი და ორნი ძენი მისნი წარავლინნა ექსორიად კოსტანტინეპოლს და მოკვდა და აღიხოცა სახსენებელი მისი. ხოლო ყაენმან წარგზავნნა გილანს სპანი და წარატანნა ქართველნი და არა მეფე დიმიტრი. სპათა მისრულთა გილანელთა, ბრძოლა უყვეს, არამედ აოტნეს გილანელნი და სცნეს თათართა, რამეთუ არა დაიპყრობის სიმაგრესაგან ტყისა და ჭაობისა, შემოიქცნენ წინაშევე ყაენისა გამარჯვებულნი.

ხოლო ჟამთა ამათ დამშვიდდა რა ქვეყანა და იყო საზრდელთა იეფობა ფრიად; იწყეს საქართველოსათა შვებ-განცხრომა და შლა ეკლესიათა შეწირულებათა, გარნა უმეტესად მესხთა. ამისთვის ამხილებდა მათ კათალიკოსი ნი-

მეტთა უდაბნოთა გარესჯისათა და განათავისუფლა ქვეყანა გარესჯისა“ (ქ.-ცხ., 412). ეს ორივე სიტყვა მითვისებული აქვს ქართულ მწერლობას თათართაგან. ყ ა ლ ა ნ ი ჰნიშნავს ხარკს, ბეგარას; მ ა ლ ი — საზოგადოდ ქონებას, სიმდიდრეს, პირუტყვ-საქონელს, გარდასახადს ქონებისას (Патканова, *Исторія монголовъ Киракоса* стр. 135).

1. ბროსსე: „ვახუშტის ანგარიშით დიმიტრი იშვა 1256 წ., ჩემის მოაზრებით 1261 წ.; მაშა სადამე იყო 16 ანუ 21 წლისა. ტრაპიზონის ხრონიკის ჩვენებით ტრაპიზონში მეფობდნენ 1238—1263 წ. მანუელ პირველი და 1266—1280 წ. კირ გიორგი დიდი კომნენი. დიმიტრის ცოლი უნდა ყოფილიყო ან ერთის ან მეორის, უფრო კი უკანასკნელის ქალი. (*H. de la G.*, 591, n. 1).

კოლასის და მაწყვერლი და არავინ მოუსმენდა; არამედ განმრავლდა ბოროტი, ვინადგამ მეფემან მოიყვანნა სამნი ცოლნი და ეგრეთვე სადუნმაცა; ამისთვის მოიწია სამართალი ღვთისა, რამეთუ არღუნ წარმოემართა ხილვად სარგისისა და დაიმჭირვნა ქვეყანანი არა ოხრებითა, არამედ საზრდელითა და მოვიდა აწყურს, მოეგება მას სარგის და ძე მისი ბექა; გარნა განჰკვირდა არღუნ ორისავე მოსვლასა ზედა მისთანა; არამედ სარგის წარიყვანა და ბექა დაუტევა. ხოლო მოვიდა რა არღუნ სომხითს, შეიძრა ქვეყანა ხუთშაბათსა ვნებისასა სამხილებელად ცოდვათა ჩვენთათვის, გალად პარასკევსა და შაბათსაცა ეგრეთვე, გარნა არავინ გულის-ხმა ჰყო, რათამცა აღსძრას ღმერთი მოწყალებად და დღესაცა აღდგომისასა ესრედ შეარყა, რამეთუ დაეცნენ ეკლესიანი, მონასტერნი, მთანი, კლდენი და ციხე-ქალაქნი, რომელ კუპრნიცა აღმოხდებოდიან, რამეთუ აწყურს ლიტანიობისა შემდგომად ესვენა ხატი აწყურისა საშუალსა ეკლესიასა, ჩამოიჭრა გუმბათი და დაეხურა, ვითარცა ქუდი ხატსა მას დაუზიანებლად წელსა 1283, ქართულსა 503. არამედ ესე ვითარი ძრვა იყო სამცხეს და არა სადა სხვაგან, გარნა დაიქცა მცხეთა. ხოლო არღუნ რა მივიდა წინაშე ყაენისა, მოკვდა და ძე მისი დიდად მოვიდა მეფისა თანა: დაუტევა ცოლი თვისი თამარი მეფისა თანა, არამედ თამარ წარივლტო მთიულეთს, რამეთუ სამაგეროდ უჩნდა წარმართი ქრმად. ამისი მცნობელი სადუნი წარვიდა წინაშე ყაენისა და სთხოვა თამარ, რათა მოსცეს მას ცოლად, ვინადგან მას არღარა ჰნებავსო ძე არღუნისა დიდად ქრმად. ნება სცა ყაენმანცა, მერმე მეფემანცა და იქორწინა სადუნმან თამართან და უმეტესად განდიდნა. ამისთვის კრულ-ჰყო კათალიკოსმან, რამეთუ ესხნეს სამნი ცოლნი და არა რაისა ერჩდა კათალიკოსსა.

ყამსავე ამას საქმისა რაისათვისმე განდგა სარგის ჯაყელი თათართაგან: ამას ზედა წარმოგზავნა აბაღა-ყაენმან ბუღას ძმა არუხ სპითა 20,000 მოოხრებად სამცხისად; ხოლო სარგის მირიდა მთათა გურჯისათა და დახიზნნა ხიზანნი სამცხისა სიმაგრეთა შინა და მოვიდნენ თათარნი და ვერა რაი ჰპოვეს, უკუ-იქცნენ და წარვიდნენ. შემდგომად ამისა მოკვდა სარგის ფერხისა ტკივილითა და დაიპყრა ძემან მისმან ბექამ სამცხე. ხოლო აბაღა-ყაენმან მოუწოდა სპათა თვისთა და მეფესა დიმიტრის. ამათ უჩინა ძმა თვისი მანგუ-დემურ, რათა წარვიდეს ეგვიპტეს, ანუ დაიპყრას, ანუ მოხარკე ჰყოს. ამან მანგუ-დემურ მოუწოდა ბექას; არამედ ბექა ეტყოდა შიშითა ვერ მისვლასა; ხოლო მან ფიცით განუმტკიცა უვნებელობისათვის და მივიდა მინდობილი მისი მისთანა სპითა სამცხისათა. მაშინ მანგუ-დემურ აჩვენა ბექას აბაღა-ყაენიცა; ხოლო მანცა პატივით შეიწყნარა ბექა. შემდგომად წარსრულნი ეგვიპტეს მივიდნენ და რუბაკს გამოვიდნენ ქალაქიდამ და იქმნა ბრძოლა ძლიერი, სადაცა ბექამ და მესხთა ძლიერი ბრძოლა ჰყვეს და შესთხივნეს ქალაქადვე. ამისთვის დიდად პატივსცა ბექას და სპათა მისთა მანგუ-დემურ; მერმე მივიდნენ ამასიას. ეწყო მუნ სულტანი ეგვიპტისა ნასრ. ხოლო მეფე ქართველითა წინა-მბრძოლნი იყვნენ,

ამისთვის ნასარ სულტანმან 12,000 მხედარნი მხედართ-მთავრითა თჳსითა თჳსისა თანა დაიპყრნა, რათა განგრძელებასა ბრძოლისასა მოეტეოს ქართველთა ზედა. ხოლო იყო რა ბრძოლა ძლიერი და მოისრვოდნენ ორ-გარმოვე უმრავლესნი, მაშინ ნასარ სულტანი მოეტევა მეფესა და სპათა მისთა სპითა მით და განძლიერდა უმეტესი ბრძოლა, მოუკლეს მეფესა ჭუნე. ამისნი მხილველნი ქართველნი ერთბამად ყოველნი დაქვეითდნენ და იბრძოდნენ ძლიერად, ხოლო მეფე აღსვა ცხენსა ზედა თვისსა აბაშმან და შესხდნენ ქართველნიცა ყოველნი და კვალად ეკვეთნენ ძლიერად და მოსწყვიდნეს მხედართ-მთავარნი და სპანი ეგვიპტელნი და ივლტოდნენცა; არამედ თათარნი სხვათა სპათა ეგვიპტელთაგან ივლტოდნენ და შემდგომად მანგუ-დემურცა[1]. მხილველნი ამისნი ქართველნი უღონო-ქმნილნი წარმოვიდნენ მოწყვედილნი, არამედ ძალითა ღვთისათა მეფე დაცულ-იქმნა; მერმე მოვიდნენ აბაღას წინაშე. ხოლო მოლექსე ვინმე თათარი იტყოდა შესხმასა მეფისა და ქართველთასა ბრძოლისათვის და ამას ისმენდა ყაენი, ამისთვის მიანიჭნა მეფესა და ქართველთა ურიცხვნი და წარმოავლინა ტფილისს. შემდგომად კვალად ეგულებოდა აბაღა-ყაენსა შურის-გება ეგვიპტისა; არამედ მოკვდა ძმა მისი მანგუ-დემური, ხოლო აქა სადუნი ათაბაგი მოკვდა და მისცა მეფემან ძესა მისსა ხუტლუ-ბუღას პატივი მამისა მისისა. შემდგომად მოკვდა აბაღა-ყაენიცა და დასვეს ძმა აბაღა-ყაენისა აჰმად ყაენად[2]; და წარვიდა მეფე დიმიტრი წინაშე მისსა, ხოლო მან პატივსცა, მოსცა მეფობა და წარმოავლინა. არამედ მეფემან მისცა ასული თვისი რუსუდან შვილის-შვილის შვილსა დიდის ბუღასასა, რომლისათვისცა განრისხდა კათალიკოსი ნიკოლაოს წარმართის მიცემისათვის და აქადებდა ღმრთისა.

არამედ აქამომდე დიმიტრი კეთილად ჰმართავდა სკიპტრასა, ხოლო აწ მიდრკა და ისწავა წესი წარმართთა: შეაცთუნეს დედათა და ესხნეს სამნი ცოლნი. კვალად ამხილა კათალიკოსმან ნიკოლაოს და არა ისმენდა მეფე. მერმე დაუტევა კათალიკოსობა ნიკოლაოსმან და აგურთისა ჯვარის-მტვირთველი

1. მონგოლთ ლაშქარი, რომელსაც ბძანებლობდა მანგუ-დემური, ძმა აბაღასი და რომელსაც შეადგენდნენ, მუსულმანთ მწერალთ თქმით, 200,000 მონგოლნი და 5000 ქართველნი, იძლივნენ მტრისაგან ჰემესეს მინდორში სირიაში, 30 ოკდომბერს 1281 წელს (*H. de la G.*, 594, n. 4). სხვა ცნობით მონგოლთ ჯარს შეადგენდნენ: 50,000 მონგოლნი, 30,000 გურჯნი ანუ ქართველნი, სომეხნი, ბერძენნი და ჰემესის ბრძოლა მოხდა 10 ნოემბერს 1280 წელს (*H. de la G.*, 595, n. 3).

2. აბაღა-ყაენი მეფობდა 1265 წლიდამ და მოკვდა 1 აპრილს 1282 წელს. აბაღას ჰქონდა მიწერ-მოწერა ევროპიელთ მეფეებთან. ვიცით ორნი იმისნი ელჩნი, რომელთაც ჰამბერი ჰხადის ქართველებად, იაკობი და იოანე ვასსალი, და რომელნიც ეახლნენ აბაღას მხრივ პაპას იოანე XXI-ს, ფილიპე მშვენიერს და ინგლისის კაროლს. აბაღას მაგიერ გამეფდა 21 ივნისს 1282 წელს ძმა მისი თაღუთარ და რადგანაც ამან ისლამის სარწმუნოება აღიარა, ამის გამო თვით სახელიც იცვალა და იწოდა აჰმედად (*H. de la G.*, 597, n. 4).

აბრაამ კათალიკოსად და თვით წარვიდა უდაბნოსა შინა და მიიცვალა მუნ მოღვაწებითა. ხოლო ურდოს ყოფასა მეფისასა ჰყო ბოროტი აჰმად-ყაენმან, მოკლა ძმა თვისი ხონღარდ და მუნიდამ მოსრულსა მეფესა ამხილებდა კვალად ვასილი ბიძა ეფთჳმიოს კათალიკოსისა განყენებასა ცოლთაგან და უწესოებათა მოვლინებული ღვთის-მშობლისა მიერ და თავს-იდებდა: „უკეთუ განყენოს მეფე, კეთილად წარემართოს მეფობა მისი და უკეთუ არა, განგისხეთქოს და მიმოიბნივნენ ძენი შენნი“. არამედ არა ისმინა მეფემან; ეგრეთვე პიმენ სალოსი გარესკჳელი ამხილებდა და არცა მას ისმენდა[1]. ხოლო ნოინთა ისილეს რა აჰმად-ყაენის უწესობა, დასვეს ყაენად ძე აბაღა-ყაენისა არღუნ ხვარასანს. მცნობელმან აჰმად მოუწოდა სპათა თვისთა და მეფესაცა ქართველითურთ. მისრულთა ამათ არღუნ ვერ წინა-აღუდგა და შევიდა ციხესა შინა; ხოლო აჰმად მოადგა და ვითარ უღონო-იქმნა არღუნ, მოვიდა ფიცით აჰმადს. ჟამსა ამას აღელო სჯული მაჰმედისა აჰმად-ყაენსა და შეკრბნენ კაცნი ცუდნი და ჰკლვიდნენ ქართველთა იდუმალ ქრისტიანობისათვის[2]. ამისი მცნობელი სურამელი ბექას ძე რატი წარვიდა სამოცითოდენ კაცითა და დაესხა სამასთა მათ, მოსწყვიდნა სრულიად და მოვიდა მეფისა თანა; ხოლო დიმიტრიმ მიანიჭა ღირსი საბოძვარი; მერმე მუნიდამ წარმოსრულთა ჰმადლობდა აჰმად-ყაენი მეფესა და მოსცა ყოველი საქართველო და დაუტევა აჰმადმან არღუნ ჰკრეთსა და ნოინი მის თანა, რათა მოჰკლან არღუნ; არამედ ნოინთა ძე აბაღასი არღუნვე ჰყვეს ყაენად და წარმოემართნენ აჰმადსა ზედა; ხოლო აჰმად გამარჯვებული და ცოლთა თანა მყოფი შეიპყრეს და მოაშთვეს[3]; გარნა მეფისათვის პირველვე მოემცნოთ, რათა განეშოროს აჰმადს. მაშინ უკუ-იქცა მეფე და მოვიდა წინაშე არღუნ-ყაენისა. მანცა კეთილად შეიწყნარა და მოსცა მეფობა და მამული ჯვაგ ათაბაგისა, ვინადგან იყო ყაენი ბუღას ხელთა და ბუღა მზახალი იყო მეფისა. ხოლო ტფილისს მოსრულმან მეფემან წარავლინა ძე თვისი დავით სახლსა ჯვაგ ათაბაგისასა, რეცა საუფლის-წულოდ მისცა და მუნ იზრდებოდა და წარემატებოდა მეფობა დიმიტრისა და აბრაამ კათალიკოსიცა კეთილად

1. „ამან პიმენ მოაქცივნა ქრისტეს მიმართ უმრავლესნი მთიულნი და ლეკნი“. ვახუშტი.

2. ამბობენ, ვითომც აბაღას მემკვიდრე აჰმედ ყმაწვილობაში მონათლული ყოფილიყოს და სახელად მიეღოს ნიკოლაოს, მაგრამ, როგორცა ჩანს, მან შემდეგ პოლიტიკურის მოსაზრებით ქრისტეს სარწმუნება დასტოვა და სასტიკი დევნულება ასტეხა ქრისტიანებზე, რომელთაც უწინ ფარველობდა და ბრძანება გასცა, რომ დაენგრიათ ეკლესიები და განედევნათ მის სამფლობელოდამ ყველა ქრისტიანები. თუმცა მონგოლნი არ იყვნენ ქრისტიანნი, მაგრამ რადგანაც მათ მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ ქრისტიანებთან და სძულდათ მაჰმედიანნი, ამისგამო იმათ თურმე მოიძულეს აჰმედ-ყაენი, რომელიც კიდეც შეასმინეს უმთავრესს ყუბლაი-ყაენს (Malcolm, *Histoire de Perse*, II, 164).

3. ამაზე ნახე იგივე *H. de Perse*, II, 166.

ჭმართებდა საჭესა. ხოლო დიმიტრი მეფესა ესხნეს ტრაპიზონის მეფის ასულისა თანა ძენი: დავით, ვახტანგ და მანუელ და ასული რუსუდან, ხოლო თათრის ასულისა თანა ბაადურ და იედიგარ და ასული ჯიგდა [1]; ბექას ასულისა თანა მხოლოდ გიორგი, ვითარცა მარტო-რქა, რომლისაცა აღმატებულება ქვემორე ითქმის.

ამისა შემდგომად განუდგნენ ყაენსა დარუბანდელნი; წარვიდა და მიუწოდა მეფესა დიმიტრის. ხოლო მისრულნი მიადგნენ დარუბანდს, რამეთუ ქუდსა ზედა რაზმითა ვერ წინა-აღუდგნენ და ვითარ განგრძელდა ბრძოლა და ვერ აიღეს ციხე, უბრძანა მეფესა ყაენმან, რათა ბრძოდეს სპითა თვისითა ციხესა მას. მყის აღიჭურა მეფე სპითურთ და შეუხდნენ დარუბანდს; არამედ პირველად განვიდა ციხესა მას ზედა სურამელის ბექას მე რატი, მოსწყვიდნეს დედა-წულით და აიღეს ციხე [2] და ალაფი დიდი, რომელსაცა თვით ჭხედვიდა ყაენი. გარნა აქვნდა არღუნ-ყაენსა შური მეფისა, ამისთვის სთხოვა ჟამსა მას აბჯარი, რომელი იყო სახელოვანი; წამსავე აღიხადა მეფემან და მისცა და წარმოვიდნენ თვის-თვისად გამარჯვებულნი. შემდგომად მრავალთა ჟამთა, მოვიდა რა მოქცევა წლისა მათისა, რომელ არს მარტი ათი, წარავლინა ყაენმან არღუნ და შეიპყრა ბუღა და მოსწყვიდნა განუკითხველად ყოვლითა ნათესავითა და სახლეულით მისითურთ. კვალად წარავლინა საბერძნეთს, შამს, ხვარასანს და მოსწყვიდნეს მუნცა ნოინნი მრავალნი და შეიქმნა ესე ვითარნი სრვანი ნოინთა. შემდგომად მოუვლინა დესპანი დიმიტრი მეფესა და მიიწვია ურდოსა. ხოლო მეფე მსმენელი სიკვდილსა ზედა ბუღასსა დამძიმდა ფრიად, შემოკრიბნა კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულ-წარჩინებულნი თვისნი და დაჯდა დალიჭსა ზედა და დასხდნენ ყოველნი წესისაებრ წარჩინებულნი. მაშინ იწყო სიტყვად მეფემან: „ღმერთმან და უბიწოდ მშობელმან მისმან, რომლისაცა წილხვდომილნი ვართ, წარმართა მეფობა ჩემი და აქამომდე მომაწია მშვიდობით; ხოლო აწ გვესმა, რამეთუ მოუსრავს ყოველნი ნოინნი ყაენსა და მიწვევს მეცა და აწ უკეთუ წარვიდე, მომკლავს მეცა და უკეთუ არა, მოოხრდების ეკლესიანი და ქვე-

1. ქ-ცხოვრებით, „მეფესა დიმიტრის ესხნეს შვილნი დედოფლისა ტრაპიზონელისა ასულისა თანა პირმშო დავით, ვახტანგ, ლაშა და მანუელ და ასული რუსუდან, ხოლო თათრის ასულისა თანა ძენი ორნი ბაადურ და იადგარ და ასული ჯიგდა-ხათუნ“ (ქ. ცხ., 420).

2. მუსულმანთ თქმით, 1290 წელს არღუნმა მიიღო ცნობა ბერქას მემკვიდრის მანგუ-თემურის ჯარის დაცემისა შაბერანზე; იმავე წელს 27 აპრილს არღუნ გაელაშქრა მასზე, მაგრამ დამარცხდა (*H. de la G.*, 603, n. 1).

არღუნი სასტიკად თურმე სდევნიდა მაჰმედიანთა და მფარველობდა კიდეც ქრისტიანეთა, ასე რომ მუსულმანთ მწერალთ თქმით მაჰმედიანნი შიშობდნენ, რომ მას მექის მეჩითი ქრისტეს აღსარების ეკლესიად არ გადაექცია. მალკოლმი მოიხსენებს პაპის ნიკოლაოს IV წერილს, რომლითაც ეს უკანასკნელი მადლობას უძღვნის არღუნს ქრისტიანეთადმი კეთილ-მიდრეკილებისათვის (*H. de Perse*, II, 167).

ყანა ჩემი. გარნა ვუწყით, რამეთუ ძალითა არა ძალ-უძს შეპყრობა ჩემი და ვგონებ, თუ მივიდე მომკლავს მე და დაშთების ქვეყანა უვნებლად“. მაშინ ყოველთა ერთ-ხმობით ჰრქვეს მეფესა: „ჩვენ მტკიცედ ერთგულებასა შენსა ზედა ვდგევართ. არა არს ნაცვალ შენდა ქვეყანა და უკეთუ გაჭირდეს, ივლტოდე მთიულეთს ანუ აფხაზეთს, ვითარცა ჰყო მამამან შენმან“. მიუგო მათ მეფემან: „თქვენ ერთგულებისათვის ჩემისა იტყვით; გარნა თუ დავრჩე მე და ესე-ოდენნი მოისრნენ, იყოს ესე ტვირთ ჩემდა, რამეთუ არა არს საწუთო ესე ნაცვალ მერმისა მის, ვინადგან წარმავალ არს და იგი წარუვალ და აწ წარვალ. უკეთუ დავრჩე, კეთილ არს და უკეთუ არა, სული ჩემი დავსდვა ერისა ჩემისათვის, ვითარცა ქრისტემან დასდვა ჩვენთვის“. ხოლო ესმათ რა კათალიკოს-ეპისკოპოსთა და მოძღვართა და წარჩინებულთა, ეტყოდნენ მეფესა: „ჩვენ თავს-მდებ გექმნათ წინაშე მეუფისა ქრისტესა, რათა შეგინდოს შენ ყოველნი შეცოდებანი შენნი და მოგანიჭოს ცხოვრება საუკუნო სასუფეველსა თვისსა“. ამისი მსმენელი მეფე სიხარულითა დიდითა განემზადა წარსვლად და ძენი თვისნი წარგზავნა ზოგი კახეთს, ზოგი მთიულეთს; ხოლო გიორგი მცირე ყრმა ტაოს იშხანის ციხესა შინა. მერმე წარვიდა ურდოსა დიდითა დიდებითა და სიმდიდრითა და წარჰყვა მას კათალიკოსი აბრაამ და მცირედნი კანმენი; არამედ მგონებელსა ყაენსა არა-მისვლისათვის მეფისა წარმოქვლინა სიუქოლ ნოინი, რათა მიიყვანოს მეფე. ხოლო ნოინი გზასა ზედა შემოემთხვა მეფესა და მიუღო ყოველნი სიმდიდრენი მეფისანი და თვით მეფე ჰყო პყრობილ და მიიყვანა წინაშე ყაენისა. მანცა პყრობილ-ჰყო მეფე. განიზრახვიდა ყაენი, უკეთუ მოკლას, არღარავინ არს ღირს მეფობისა და თუ განუტეოს, ვითარ მიმდგომი და მოყვასი ბუღასი? ამას ზედ წარსდგა ხუტლუ-ბუღა მეტყველი: „მე მოვიყვანო მე ნარინ-დავითისა და შევაერთო ორნივე სამეფონი ამერნი და იმერნი და ჰყავ იგი მეფედ“. უსმინა ყაენმან და აღწერნეს ქონება დიმიტრი მეფისა ხვასტაგითურთ და მროწლითა ხუტლუ-ბუღამ. მერმე მოვიდა ნარინ-დავითის თანა და სთხოვა ძე; ხოლო დავითმან აღუთქვა მას მიცემა ძისა თვისისა. შემდგომად მოვიდა ხუტლუ-ბუღა წინაშე ყაენისა და მიუღო ყოველი სიმდიდრე მეფესა დიმიტრის, რომელსა განჰკვირდა თვით ყაენიცა ეგ-ზომობასა და არღარა ლამოდა სიკვდილსა მეფისასა; ხოლო მსახურნი მეფისანი ეტყოდნენ მეფესა: „აჰა თავის-უფალ ხარ, ვივლტოდეთ“. არამედ მეფე მიუგებდა: „იცით, რამეთუ არავის ძალ-ედვა შეპყრობა ჩემი, გარნა დავსდევ სული ჩემი ერისა ჩემისათვის“ და აწ თუცა წარვიდე, კვალადცა მოისრვიან უბრალონი“. მერმე კვალად მოვიდა ხუტლუ-ბუღა და მოართვა ამბავი ყაენსა ნარინ-დავითისა მიერ მოცემა ძისა თვისისა მეფედ. ამისთვის ბრძანა მეფემან ყაენმან კვერთხითა ცემა მეფისა და სცეს რა, არღარა ჰგონებდენ სიკვდილსა მეფისასა, რამეთუ რომელთაც ჰგვემდიან, არღა-რა მოაკვდინებდენ; გარნა არა დასცხრა გულის-წყრომა ბოროტებისა და მოიწვ-

ნენ მტარვალნი, რათა წარჰკვეთონ თავი მეფისა. ამისი მცნობელი მეფე ეზიარა ხორცსა და სისხლსა მხსნელისა ჩვენისასა ხელითა აბრაამ კათალიკოსისათა. აღსვეს მერმე ცხენსა ზედა და განიყვანეს კიდრე ქრთისა უტევანსა და მცირედისა ლოცვისა შემდგომად მოჰკვეთეს თავი მეფესა ბილწთა მათ, ქრისტეს აქეთ 1289, ქართულსა 509[1]. იყო ჟამი მეათე, დღე შაბათი, მარხვისა მესამე, თთუე მარტი 12[2]. ამისთვის ეწოდა თავ-დადებული.

ესე საკვირველი, რამეთუ დაბნელდა მზე[3] კიდრე მწუხრადმდე; რომლითა განჰკვირდებოდნენ ყოველნი წარმართნი, რათა საცნაურ-იქმნას, რამეთუ პატიოსან არს წინაშე უფლისა ცხებული მისი! არამედ შეუდგინეს სიბოროტე და მოიცვეს ძე დიმიტრი მეფისა დავით, რომელი მეფემანვე წარიყვანა თვისთანა უმეტეს ნდობისათვის, რათა მოკლან იგიცა. მაშინ იდუმალ მივიდა მღვდელი მოსე ტაჩარს ნოინის წინაშე და აუწყა დავითის სიკვდილი; ხოლო იგი შევიდა წინაშე ყაენისა და ევედრა და ყაენმანცა მიანიჭა ტაჩარს დავით და ზრდიდა იგი ჟამადმდე. არამედ გვამი მეფისა დიმიტრისა დასცვეს მრავალ-დღე. მერმე კათალიკოსმან და მოსე მღვდელმან მოიყიდეს კაცი და მოიპარეს მეფისა გვამი და ჰპოეს მეთევზური განგებითა ზენაჲთა ტფილისელი: შთადვეს ურემსა მისსა და წარმოგზავნეს ტფილისს. ხოლო დავით დაშთა ტაჩარს ნოინისა თანა და სხვანი ცოლ-შვილნი მიმოიბნივნენ მანუელ და ვახტანგ. ხოლო სოლოან წარვიდა მამისა თვისისა სახლსა და წარიყვანა მენიცა მეფისანი ბაადურ და იედიგარ. ესრეთ აღსრულდა თქმული გასილისა, რომელი უწინასწარმეტყველა მეფესა. შემდგომად მოუწოდა ყაენმან სუტლუ-ბუღას და ეტყოდა: „აჰა მოკვდნენ მტერნი ჩემნი და მტერიცა შენი მეფე. აწ მოიყვანე ვახტანგ ძე დავითისა და განაგებდე ქართლსა, ვითარცა გნებოს". წარმოვიდა სუტულ-ბუღა; ხოლო ნარინ-დავით მოვიდა ქვიშხეთს მინდორსა ზედა და მიეგებნენ მას მუნ ნოინნი და ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი. ჰყვეს ფიცი და შემდგომად წარავლინა მეფემან ნარინ-დავით ძე თვისი ვახტანგ და წარიტანნა დიდებულნი იმერნი და ქართველნი წარჰყვნენ სრულიად. მისრული ვახტანგ წინაშე ყაენისა შეიყვარა ყაენმან ფრიად შვენიერება-ახოვნებისა მისისათვის და მოსცა დაჲ თვისი ოლჯათ ცოლად და საქართველო სამეფოდ; წარმოგზავნა

1. როგორც ვახუშტი, აგრეთვე ჩამჩიანი გვარწმუნებენ, რომ არღუნი თავდა-პირველად პატივის-ცემას მიაგებდა დიმიტრის. მიზეზი მის მოკვლისა თურმე ის იყო, რომ, როგორც აქ შემოტანილი არღუნის სიტყვებიც ამტკიცებენ, არღუნმა დიმიტრის შესწამა მონაწილეობის მიღება თავის სამხედრო მოხელეთა შეთქმულობაში. დიმიტრი მოიკლა მუღანში. (*H. de la G.*, 603, n. 4; 606, n. 3).

2. 1289 წელს პასექი იყო 10 აპრილს, ასე რომ დიდ-მარხვა იწყო 22 თებერვალს და მაშა სადამე მარხვის მესამე შაბათი დაერთო 13 მარტს. (*H. de la G.*, 606, n. 4).

3. გამოკვლეულია, რომ მზის დაბნელება მოხდა 1289 წელს, 23 მარტს, დილის 2 საათს (*H. de la G.*, 606, n. 4.)

და მოვიდა ტფილისს. შემოკრბნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულნი, აკურთხეს მეფედ და დასვეს ტახტსა ზედა წელსა 1289, ქართულსა 509.

## მეფე ვახტანგ II (1289—1292).

ამან ვახტანგ დაიპყრა კარნიფორიდამ დარუბანდამდე, თვინიერ ბექა ჯაყელისა. არამედ იყო ესე ვახტანგ ყოვლითა სათნოებითა სრული, სამღრთოსა და სამხედროთა, და შეიყვარეს ქართველთა თვისთა მეფეთა გვარობისთვის. ამან ვახტანგ აღიყვანა პატივსა ათაბაგობისასა ხუტლუ-ბუღა; ხოლო დავით ძე დიმიტრისა დაშთა თათართა შინა და დედა დავითისა იყო სკვირეთს და სხვანი ძენი დიმიტრისანი მიმოიბნივნენ. ხოლო გიორგის ზრდიდა პაპა თვისი ბექა ჯაყელი. მერმე გარდახდა რა წელიწადი, შეედვა სენი არღუნ-ყაენსა და იქმნა განრღვეულ; ამისთვის ინება ყაენმან და ყოველთა ნოინთა დავით დიმიტრისძის გამეფება ქართლსა; არამედ არა ჰყვეს ქართველთა ერთგულებისათვის ვახტანგისა, რამეთუ ფრიად უყვარდათ და მერმე მისცეს დავითს ადგილ-ადგილთა სოფლები. ხოლო განგრძელდა რა არღუნ-ყაენის განრღვეულება, მოეწყინათ ნოინთა და მოაშთვეს არღუნ-ყაენი[1] დღესა წელიწდისასა, რომელსა შინა მან მოკლა მეფე დიმიტრი და დასვეს ძმა არღუნ-ყაენისა ქეღთუქონ და კვალად მოსწყდნენ ყოველნი განმზრახნიცა, რომელნი იყვნენ სიკვდილსა შინა დიმიტრი მეფისასა. ამან ქეღთუქონ ყაენმან შეიყვარა მეფე ვახტანგ[2], ჰგონა არღუნის განრღვეულება სიკვდილისათვის დიმიტრი მეფისა; არამედ შემდგომად სამისა წლისა მეფობისა შეედვა სენი ვახტანგ მეფესა და მოკვდა წელსა 1292, ქართულსა 512. ხოლო ესმა რა მეფესა ნარინ-დავითს სიკვდილი მისა თვისისა, დამძიმდა ფრიად და დასნეულდა მიერიდგან. შემდგომად მოკვდა იგიცა წელსა 1293, ქართულსა 513.

შემდგომად ნარინ-დავითისა მიიღო უხუცესმან ძემან მისმან კონსტანტინემ მეფობა; არამედ ამას წინა-აღუდგა უმრწემესი ძმა მისი მიხაილ და დაიპყრა მიხაილმა რაჭა და არგვეთი და დღეთა მათთა აქვნდათ შლილობანი და შფოთი

1. არღუნი მოკვდა 1291 წელს და იმისი ადგილი დაიჭირა მისმა ძმამ ქეღათუმა ანუ ქაიხატუ-ყაენმა; სატახტო ქალაქად მან აირჩია თავრიზი. ამ ყაენმა შემოიღო ვერცხლისა და ოქროს ფულის მაგიერ ქაღალდის ფული, რომელიც ძველადვე 807 წლიდამ ჩინეთში იხმარებოდა, ქეღათუმ მეფობდა ოთხი წელი და მოკლა 1295 წ. ჰულაგუს შვილის-შვილის ბათუსაგან, რომელიც დაჯდა მის ტახტზე; ხოლო ბათუს აუტეხა ბრძოლა არღუნის შვილმა ყაზან-ყაენმა, დასცა იგი და დაიჭირა მისი სამფლობელო (Malcolm, *H. de P.*, II, 168—177.—*H. de la G.*, 609, n. 1; 610, n. 1).

2. ქ.-ცხბა: „ამან შეიყვარა კეთილად ვახტანგ, რამეთუ ამისთვის ჰგონებდა არღუნს ზედა მიწევნად რისხვა იგი სასტიკი“ (გვ. 426). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ვახტანგ II იყო დავით-ნარინის შვილი და დიმიტრი თავ-დადებულისა ძმისა-შვილის შვილი.

ნი და არა-რა-დეს ჰყვეს მშვიდობა. ხოლო დაჯდა რა ქელთუქარ-ყაენად, განდგნენ საბერძნეთს ტონღუზალო [1], რამეთუ ჰგონეს უცვალოება ყაენისა. ამისმან მსმენელმან ქელთუქარ-ყაენმან მოუწოდა სპათა თვისთა და მისსა დიმიტრი მეფისასა დავითს და მთავართა ქართლისათა; არამედ ტასტი და ცოლ-შვილი შეავედრა ელგინ-ნოინსა და ხუტლუ-ბუღას და დაუტევნა ქართველნიცა მუნ მათ თანა, ვინაჲდგან უპყრობდა გამოსვლასა ბექასსა. ხოლო თვით წარვიდა დავითცა მის თანა. მისრულთა ტონღუზალოს მოადგნენ ქალაქსა და ჰბრძოდნენ ორს თთვე; მერმე დავით და მცირედნი ქართველნი მისთანანი შეუხდნენ და წარუღეს ქალაქი; ხოლო მაშინ მუნ მყოფნი ქრისტიანენი მიკრებულ იყვნენ უურესს ერთსა ქალაქისასა და ჰქადრებოდნენ დავითს; ხოლო დავით დაუდგინნა მათ მცველნი, თვით უურვა წინაშე ყაენისა და ათავისუფლნა იგინი; ხოლო სხვათაგან აღიღეს ალაფი და საჭურჭლე დიდი და ხარკი და წარმოვიდნენ. არამედ მუნ ყოფასა შინა ფშრეჯან ოვსთა მეფის მისსა იწყეს ოვსთა ოხრებად და ტყუენვად ქართლისა და ქალაქი გორი მოსტყუენეს და დაიპყრეს თჳით. ამისთვის შემოკრბნეს ყოველნი ერისთავნი ბექა აჴმადის მის წინაშე და მოადგნენ გორს და მრავალნი ოვსნი მოსწყვიდნეს და დასწვეს ქართველთა გორის არამედ მოსჭირდათ ოვსთა და წარავლინეს ცხენდამ კაცი მუხრანს მდგომსა თათართა თანა, რათა შეეწიონ. მაშინ თათარნი შუა-მავალ ექმნენ და ჰყვეს ზავი და მიერითგან შექმნა მტერობა ოვსთა და ქართველთა შორის, ვიდრე ბრწყინვალისა მეფისა გიორგისამდე.

ხოლო მოსრულმან ქელთუქარ-ყაენმან მოუწოდა დავითს და მისცა მეფობა და ქართლი მსახურებისათვის მისისა. წარმოავლინა ტფილისს და მოსცნა ყოველნი დიდებულნი საქართველოისანი, რომელიცა ეპყრა მამასა მისსა დიმიტრი მეფესა. ხოლო მოსრულმან დავით მოუწოდა ბექას სამცხიდამ, გარნა იგი განდიდებულ იყო ფრიად, არა წარვიდოდა წინაშე ყაენისა და არცა მეფესა თანა, არამედ წარმოუგზავნა ძე თვისი სარგის უხუცესი და ყოველი საჭურჭლე დიმიტრი მეფისა და სარტყელიცა იგი მკირფასი და ძღვენი დიდძალი. შემდგომად შემოკრბნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულნი წარჩინებულნი, აკურთხეს მეფედ ტფილისს დავით წელსა 1294, ქართულსა 514.

## მეფე დავით VI (1292—1310).

ამან დავით დაიპყრა საქართველო და მამისა თვისისა ნაქონებნი-ყოველნი, თჳნიერ ბექა ჯაყელისა; არამედ ბექა ძღვნითა და მსახურებითა პატივს-ცემდა

1. ტონღუზალოზე, რომელიც იყო ბროსეს ფიქრით, ერთი მთავართაგანი ნაწილთაგანი, რუმის გამგე, ნახე *H. de la G.*, 611, n. 2. ქ.-ცხოვრებით, „განდგა ქალაქი საბერძნეთისა ტუნღუზალო" (გვ. 427).

გვალად სცა ყაენმან დაჲ თჳისი ოლჯათ ცოლად, რომელი ჰყვა ვახტანგ მეფესა ცოლად [1]. ჴოლო დროთა ამათ თუმცა მსახურებდა ფარეჯან ოვსთა მთავარი დავით მეფესა, არამედ მტერობა აქვნდათ ოვსთა და ქართველთა. მაშინ მოვიდნენ ოვსნი სახელით სათხის და უზურ-ბეგ სავაჭროდ ტფილისს, ჴოლო უგუნქუეულთა ამათ მისცეს დრამა გლახაკსა, რათა ევედროს ღმერთსა, რომელ სურამელის რატისა და მათი ხრმალი დღეს შეიყაროს ბრძოლად. არამედ წარვლეს რა მცირედ, ემთხჳათ რატი უსაჭურველოდ და დაუდგათ რატი იწროსა წყლისასა. მიეტევა რატის სათხისი, ჴოლო რატიმ უხეთქა მუზარადსა, განუპო თავი ორად და ჩამოვარდა სათხის. ამისი მხილველი უზურ-ბეგ მიუხდა რატისვე. ჰსცა მასცა რატიმ ჯავშნოსანს მხარსა და მოჰკვეთა მხარი და სხვანი მლტოლვარენი მოსწყვიდნეს მონათა რატისათა და დაამხო ღმერთმან ამპარტავანება ოვსთა მათ ესრეთ.

ჴოლო აჰმადის ძემ თუქალ მოკლა ქელთუქონ-ყაენი და მრავალნი ნოინნი მოსწყვიდნა მის თანა და დაჯდა თჳთ ყაენად და დაიპყრნა ყოველნი საყეენონი. ამან მიუწოდა დავით მეფესა და წარვიდა დავითი. მისრული დავით მეფე შეიყვარა თუქალ-ყაენმან და ჰყვეს ორთავ ფიცი და აღთქმა სიყვარულისა. შემდგომად გამოუტევა დავით და მოსცა ღმანისი, რომელი აქვნდა ძესა მანგასარისასა. შემდგომად მცირედისა ჟამისა ნოინი ლტოლვილი თუქალ ყაენისაგან, დიდის არღუნის ძე ნავროზ და ალიყანის ძე ყურუმჩი, რომლისა მამა მოეკლა თუქალ-ყაენსა, მივიდნენ ხვარასანს წინაშე ყაზანისა არღუნ-ყაენის ძისა, რომელსა აქვნდა ხვარასანი, რათა მოკლან თუქალ-ყაენი და ყაზან ჰყონ ყაენად. წარმოემართნეს ესენი თუქალ-ყაენის ძმასა ბაიდოს ზედა. მაშინ ბაიდოს შეიკრიბნა სპანი და თუქალ-ყაენიცა წარვიდა სწრაფად; არამედ დავით მეფე არა მოიცადეს და დაიცვა ღმერთმან შფოთისა ამისგან. მიეგებნენ ესენი ზანგანს და ჰყვეს ბრძოლა ძლიერი და ვერა რომელმან აჯობა, რამეთუ ყაზანცა მუნ არა იყო; ჴოლო ნავროზ შეაპყრეს და მოართვეს თუქალ-ყაენსა და ყაზან უგუნქუეული წარვიდა გვალად ხვარასანს. მაშინ ნავროზ ევედრა თუქალ-ყაენსა განტევებისათჳს და

1. „ისტორია ილხანთა“ მართლადაც ოლჯათას მოიხსენებს აბაღა-ყაენის ქალად; მაშა სადამე იგი იყო და ქეიხათუსი; მაგრამ ამასთანავე ჩვენებული ისტორია ამბობს, ვითომც ოლჯათა ჰყოლიყოს ცოლად თუქალს და შემდეგ ქოთლოღს. ეს თუქალ უნდა იყოს ქ.-ცხბის თუქალი ნოინთაგანი, რომელიც თალუდარის სიკვდილის შემდეგ მიემხრო ბაიდუს და როდესაც ქელთუქონმა სძლია მას, განიგლტო და შეიხიზნა საქართველოში. მაშა სადამე თუქალი არ იყო ყაენი, არც ჩინგიზის შთამომავალი, თუმცა მას ჰყვანდა ოლჯათ აბაღას ქალი. ამასთანავე არც ერთი წყარო არ ემოწმება ქ.-ცხბის ცნობას, ვითომც ოლჯათი ყოფილიყოს ცოლი ვახტანგისა და დავითისა“ (*H. de la G.*, 612, n. 3).

აქ უნდა დავურთოთ, რომ ზემოდ ხსენებულის ისტორიით „ილხანებად“ იგულისხმება ჰულაგოს დროდამვე ჩინგიზ-ყაენის შთამომავალი დინასტია, რომელიც განსაკუთრებით ჰფლობდა სპარსეთსა (S-Martin, *Mém.*, II, 277).

აღუთქვა ფიცით შეკრულისა ყაზანის წარმოგზავნა. ესე ირწმუნა თუქალ და განუტევა ნავროზ; ხოლო მისრულმან ნავროზ წინაშე ყაზან-ყაენისა შეჰკრა საბლითა ქვაბი და წარმოუგზავნა თუქალ-ყაენსა; ვინაჲდგან ყაზან ქვაბსა ეწოდების თურქულად[1] და აღუსრულა ფიცი. დაუმძიმდა თუქალ-ყაენსა ფრიად ესრეთი მცბიერობაჲ ნავროზისა. შემდგომად კუალად წარემართა ყაზან და დაესხა უგრძნეულოდ უყანს ბაადოს, შეიპყრა იგი და მოაშთო და მრავალნი ნოინნი მისთანა. მცნობელი თუქალ-ყაენი ბაადოს ძმისა თჳსისა სიკვდილისა განივლტო და მოვიდა სამცხეს ბექასსა და შვილნი წარავლინნა დავით მეფისათანა. მოსრულმან ყაზან თავრიზს მოუმცნო დავით მეფესა და ბექას, რათა მისცენ თუქალ-ყაენი. ესე მრავალ-გზის მოუმცნო ყაზან, არამედ ამათ არა მისცეს, გარნა უურვეს, რათა შეუნდოს. ხოლო ყაზან მოსცა ფიცი და ბეჭედი და მისცეს ამათ თუქალ-ყაენი. ამისი მცნობელი უურუმჩი დაესხა ნახიდურს დესპანსა მას, რომელსა მიჰყუანდა თუქალ. წაჰგვარა თუქალ-ყაენი და მოკლა იგი ბაადურ ძმისა თჳსისა სიკვდილისათჳს. მერმე მისცა მეფემან შვილნი თუქალისანი ყაზანს და საჭურჭლე, რომელი იყო ციხესა ატენისასა ბარებული ფარეჯან ოვსთა მეფისა; დაიმადლა ესენი ყაზან-ყაენმან დიდად; არამედ მეფე ვერ გულ-დადებულ-იქმნა წარსვლად მისთანა სიყვარულისათჳს თუქალ-ყაენისა; გარნა აქვნდა სხვაცა შიში ნავროზისა, რომელი იყო მტერი ყოველთა ქრისტიანეთა და დაატევებინებდა სჯულსა თჳნიერ ყაზან-ყაენისა, ამისათჳს ბოროტადცა წარსწყმდა. ხოლო ესე ნავროზ განდიდნა ფრიად და იყო მტერობა ქრისტიანეთა და მოაოხრებდა ეკლესიებთა თავრიზისათა. ამანვე მოიყვანა ეპისკოპოსი მარაღისა სარწმუნოებით ნასრი[2], რომელი იყო კაცი სათნოებიანი და აიძულებდა დატევებად სჯულისა; არამედ იგი ახოვნად წინა-აღუდგა და დაითმინა ყოველნი სატანჯველნი. ხოლო შემდგომად ექსორია-ჰყო, რომელი იყო ფრიად მოხუცებული და პირველთა ყაენთაგან მამად ხმობილი. კვალად წარმოგზავნა ნავროზ[3], რათა მოაოხრონ პირველად ეკლესია ვარძიისა და შემდგომად ყოველნი ეკლესიანი საქართველოსანი[4] და სამკაულნი მათნი გამოიღონ, რამეთუ

1. ამას აბულ-ფედაც ამტკიცებს (*H. de la G.*, 615, n. 2).

2. ქ.-ცხბით „ნასრანი“ ანუ მართლ-წერით ნესტორიანი (გვ. 430.—*H. de la G.*, 616).

3. ქ.-ცხბით, „წარმოავლინა კაცი უკეთური, ნათესავი მისი“ (გვ. 430).

4. შემოგვაქვს მალკოლმიის ისტორიიდამ უცხო-ტომთ შესანიშნავნი ცნობანი ყაზან-ყაენზე, და ჩვენი მკითხველი ჰნახავს, რამდენად არის შესაწყნარებელი ჩვენი მატიანის თქმულება ყაზან-ყაენზე და ნავროზზე. „ყაზან-ყაენი იყო კაცი გონიერი და მართლ-მსაჯული. მან შეავსო სჯულ-კანონი ჩინგიზ-ყაენისა; დაამყარა უკეთესი წესი გამგეობისა და სამსჯავროჲსა; ხარჯის კრეფისა და ხაზინის შემოსავლისა; შემოიღო ახალი დებულება შესახებ უძრავ-მამულთა სამხედრო სასარგებლოდ და ქარვასლათათვის, გზათა მცველთათვის და მარბიელთათვის; აღმოჰკვეთა ქურდობა და ავაზაკობა და სხ. ყაზან-ყაენი ჰზრუნავდა დაემაყრებინა პოლიტიკური დამოკიდებულება ევროპის მფლობლებთან

ჰგონებდა უმრავლესსა სიმდიდრესა; ხოლო წარმოვლინებული მოიწია რა ნახჭევანს, შურ-აგო კარმიისა ღვთის-მშობელმან და დაეცა მას მეხი და განგალა, რამეთუ ვერა-რაჲდა ჰპოვეს მისი. შემდგომად მოიწია ნავროზს ზედაცა რისხვა და განუწყრა ყაენი ყაზან უსამართლებისა მისთვის, ვინაჲდგან ყაზან-ყაენი იყო ფრიად სამართლიანი და მოყვარე სიმართლისა, რამეთუ გაება საბელი ქუეყნებ-სხმული ახლოს თვისსა და წვერი საბლისა გარეთ ზღუდისა მისისა[1], ამას ყოველნი დაჭირებულნი განანძრევდნენ; მეის გამოვიდის ყაენი, უსმინის და აღუსრულის საჭიროთნი და ივლტოდა ნავროზ ხვარასანს. მიეწია მას ხუტლუ-ბუღა და მოსწყვიდნა შვილით და სახლეულით და მოისპო სახსენებელი მისი. შემდგომად მოუწოდა ყაზან-ყაენმან დავით მეფესა ურდოსა შინა და მსმენელი დავით მსწრაფლ განემზადა წარსვლად და მივიდა ჭერეთს. შემოკრბნენ მუნ ჭერქასხნი და სხვანი წარჩინებულნი ყოველნი. მაშინ დავით განიზრახვიდა, რათა წარვიდეს ურდოსა ანუ თუ ვერ-დგეს; არამედ განმზრახთა ყოველთა განუზრახეს წარსვლა ურდოსა. მეფემან არა უსმინა მათ და არა ინება და ვერ-იქცა, რამეთუ შიში რაჲმე აქვნდა თათართაგან დიდი და შეკრა ყინვანს სიბა და თჳით მეფე გარდავიდა მთიულეთს და წარავლინა ძმა თვისი ვახტანგ ბათუ-ყაენის შვილის-შვილთანა და უქადა გზა ყაზან-ყაენსა ზედა. ხოლო მან ვახტანგ კეთილად შეიწყნარა და აღუთქვა ქუეყანა და საჭურჭლე; არამედ ვითარ სცნა

და პაპა ბონიფაც VIII-თან. ამასთანავე იმის უმთავრესს ხელის-უფალს ისეთი გავლენა ჰქონდა ყაზან-ყაენზე, რომ მიაღებინა მას მაჰმედის სარწმუნოება და თითქმის ასი-ათასმა მისმა ქვეშე-ვრდომმა მიჰბაძა მას ამ შემთხვევაში. ამ დროიდამ გავრცელდა ისლამი მონგოლებში. ყაზან-ყაენმა პირველმა უარ-ჰყო ქვეშე-ვრდომობა მონგოლთ უმთავრესის მფლობელისა ანუ ხაყანისა და აკრძალა სპარსეთში ფულის ჭრა ხაყანის სახელით, რადგანაც ამ დროიდამ ხაყანი ურწმუნო პირად ირიცხებოდა და მის მაგიერ ფულზე იწერებოდა მაჰმადიანთ ემბლემა: „არა არს ღმერთი გარდა ღვთისა და მაჰმედი მისი წინასწარმეტყველი“. თუმცა ამ შემთხვევამ აღძრა ყაზან-ყაენის წინააღმდეგ თათარნი ხვარასნელნი, მაგრამ მათი ჯარი ნავროზისაგან დამარცხებული უკუვე-იქცა. აქ უნდა დავურთოთ, რომ ნავროზი, მალკოლმის ცნობით, მოკლეს მონგოლთ ნოინთა, რომელნიც ქრისტეს აღსარებაზე და ძველს თავის სარწმუნოებაზე ერთგულად დაშთნენ (Malcolm, *H. de P.*, II, 178—182.—*H. de la G.*, 615, n. 5). დევნულება ბუდდისტებისა და ქრისტიანებისა და თვით ერთი შემთხვევა, რომელიც მოგვაგონებს ჩვენის ისტორიის თქმულებას მარაღას ეპისკოპოსზე, ნახე „ილხანთ ისტორიაში“ (*H. de la G.*, 616, n. 2).

ქრისტიანეთ დევნულებას როგორც ქ.-ცხბა აგრეთვე თვით სტეფანოს ორბელიანი მიაწერენ მხოლოდ ნავროზს. ეს გარემოება და თქმულება ყაზან-ყაენისაგან ნავროზის განდევნისა და სიკვდილისა ნახე *H. de la G.*, 615, n. 5; 617, n. 4. ეს ცნობებივე ამტკიცებენ, რომ ხუთლუ-შაჰმა ანუ ხუთლუ-ბუღამ დაიჭირა ნავროზის მოხელეობა.

ყაზან-ყაენის ფული უნდა იგულისხმებოდეს „ალბუღას სამართლის“ შემდეგ თქმულებაში: „...პატრონისა პაპის ჩემის ბექასაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო და ამ ჟამთა შიგან ყაზანურობა მოკლებულ იყო და დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ.“

1. ამას უცხო-ტომთ მწერალნიც ჰმოწმობენ (*H. de la G.*, 617, n. 2).

ყაზან-ყაენმან დავით მეფის უკუ-დგომა, წარმოავლინა ხუტლუ-ბუღა (ქ.-ცხბით, „ხუტლუ-შაჰ მჴედართ-მთავარი, რომელსა იგინი ბეგლარ-ბეგობით უხმობდეს“, გვ. 431) სპითა დიდითა ტფილისს. მოსრულმან ხუტლუ-ბუღამ მიგზავნა დავით მეფისა თანა და აძლევდა ზავსა, რათა იყოს ერთგულ ყაზან-ყაენისა და არა მაიქცეს მტრისა მიმართ. ხოლო მეფემან წარუვლინა კათალიკოსი აბრაამ და ბურსელი იოანე და ყადი ტფილისისა, ითხოვა ფიცი და მძევალი. მსმენელმან ხუტლუ-ბუღამ მოსცა ფიცი და ბეჭედი ყაენისა და მძევლად ხუტლუ-ბუღას შვილი და სხვანი ნოინნი უვნებელობისათვის მეფისა. ამისთვის მოვიდა მეფე დავით, ისილნა იგინი და აღუთქვა მათ წარსვლა თვისი წინაშე ყაენისა; ამის მიერ პატივ-სცა ხუტლუ-ბუღამ მეფესა და განუტევა; არამედ მეფე მოვიდა რა ყინვანს, გამოუტევნა მძევალნი ნიჭითა დიდითა და ვითარ მოიწია გაზაფხული, კვალად აწვიეს დავით მეფე; არამედ არა ინება წარსვლად ყაზან-ყაენისა თანა და კვალად წარგზავნა ძმა თვისი ბაადურ ორხან-ყაენის წინაშე და ითხოვა შეწყნა. ამისმან მცნობმან ყაზან-ყაენმან წარმოავლინა იგივე ხუტლუ-ბუღა სპითა დიდითა. ესე მოვიდა სომხითს და მიუწოდა დავითს მეფესა, ხოლო მეფემან წარმოუვლინა კათალიკოსი, ბურსელი და ყადი; არამედ იგრძნეს თათართა, ვითარმედ მიზეზობს დავით მეფე და არა მოვალს ჩვენ თანა. წარმოვიდნენ და მოჰმართეს მთიულეთს, მოაოხრეს სომხითი, ქართლი, ერწო-თიანეთი და დადგნენ მუხრანს და ხერკს და ერწო-თიანეთს და ბაზალეთს, სტყვევიდიან, სადაცა ვინ მოახელიან ამათ ზემო-ხსენებულთა ადგილებთა შინა ცოდვათა ჩვენთათვის.

ხოლო ჟამსა ამას გამოჩნდა ვარსკვლავი კვიმატი ლახვრის მსგავსი ჩრდილოთ კერძო ოთხ თვე მყოფი. იტყოდნენ ლახვრის მომასწავებელ არსო წელსა 1298, ქართულსა 518. არამედ კვალად ინებეს თათართა ზავ-ყოფად, რათა დავით მეფემან არა მისცეს გზა ორხან-ყაენსა; გარნა დავით მეფემანცა წარავლინა ამა პირსა ზედა დედოფალი დედა თვისი და ოლჯათ ცოლი თვისი და ძმა თვისი მანუელ და კათალიკოსი აბრაამ, რათა იურვოს საქმე მისი. მაშინ ამათ ზავ-ჰყვეს და მოსცეს მეფესა ტფილისი და სამეფო თვისი და წარვიდნენ თათარნი. ხოლო გაზაფხულს კვალად წარმოავლინა ყაზან-ყაენმან მცნობელი, რათა ჰცნას დავით მეფესა ერთგულად ყოფაჲ და ჰსცნა კაცმან მან, რამეთუ წარევლინა დავით მეფესა ბაადურ ძმა თვისი ორხან-ყაენის წინაშე; წარვიდა და აუწყა ყაზან-ყაენსა. მაშინ ყაზან წარმოავლინა ყურუმჩი და ალინჯი და შანშე მხარ-გრძელი. ხოლო ამათ მოუწოდეს მცირეს გიორგის ძმასა დავით მეფისასა, რომელსა ზრდიდა ბექა სამცხისა, რამეთუ ამას უკვე ბექას ეპყრა ტაშის-კარს ზეით სპერის ზღვადმდე, რომლისათვისცა მიხაილ კეისარს კომნინსა მიეცა ტრაპიზონამდე, რამეთუ ასული ბექასი ცოლად ესვა მას[1] და ესე ბექა ხარკსა და ლაშქარს აძლევდა ყაენსა და ჟამად მსახურებდა დავით მეფესაცა.

1 „აქ, ბროსსეს შენიშვნით, ვახუშტი შემცდარია. ტრაპიზონის იმპერატორად იმ

ამან მოსცა მცირე გიორგი ძე დიმიტრი მეფისა და ჰყვეს ესე ტფილისს მეფედ; გარნა თუმცა მცირე იყო, არამედ წინათვე დაესასხვიდა მძლიერ მეფობასა წელსა 1299, ქართულსა 519. მერმე კვალად მოიწია რა გაზაფხული, წარმოავლინა ყაზან-ყაენმან იგივე სუტლუ-ბუღა და მრავალნი ნოინნი მისთანა. ესენი მოვიდნენ და მოაოხრეს ზემორე სსენებულნი ქვეყანანი, უბოროტესად ქართლი. მაშინ ქვენა-ფლავველი შალვა, რომელი მეფემან დავით [illegible] საზომერითა, წარმოვიდა და მოვიდა თათართა თანა და მათ სისარულით პატივ-სცეს და განაჩინეს წინა-მძღვრად და შევიდნენ გზასა ცხრაზმის? (ცხრა-ზმის) ხევისასა და განვიდნენ შორის მთასა ცხაოტისა და ცხრა-ზმისასა [1], რომელ არს ლომისა. ხოლო ვითარ სცნა ორგულება ქვენა-ფლავველისა მეფემან დავით, მოვიდა ციცარას და სუტლუ-ბუღა გარდავიდა ხადას და მუნიდამ ხევს და მიჰმართა გველეთის, რამეთუ მუნ ჰგონებდნენ ყოფასა მეფისასა. მოადგნენ თათარნი სტეფან-წმიდას და ვერ წარიღეს, არამედ ითხოვეს საზრდელი და მისცეს სტეფანწმიდელთა მცირედი. მუნიდამ უკუ-მოიქცნენ თათარნი და მოვიდნენ ხადასვე, რამეთუ ჰყვანდათ წინა-მძღომელად ქვენა-ფლავველი და ოვსთა მთავარი ბაღათარ. მაშინ მეფესა დავითს ციცარას მდგომსა აბაზაძე ჭილამ და აჰმად სურამელმან და აზნაურთა ქართველთა და სომხითართა უჩვენეს დიდნი ერთგულებანი, რამეთუ განჰყო ლაშქარი სუტლუ-ბუღამ და ქვემორე შემომავალთა ცხაოტს მოუხდნენ სპანი მცირენი დავით მეფისანი და მოსწყვიდნეს ურიცხვნი. კვალად შესრულნი იწროსა მას ხუთასნი-ოდენ რომელნიმე მოსწყვიდნეს და სხვანი მეფესა მოართვეს. მერმე გამოუხდნენ ხადას-თავს გორასა ზედა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოისრვოდნენ თათარნი, რამეთუ დიდად აწყებდნენ მთიულნი ფერს-მალობითა [2]; გარნა შეეწყოდნენ მათ ფრიად მესხნი, რომელნი წარმოე-

დროს იყო არა მიხაილ, არამედ ალექსი II, რომელიც თავის მამის იოანე II-ს შემკვიდრედ დაჯდა 1297 წელს და მეფობდა 1330 წლამდე. თვით მიხაილ პანარეტის ხრონიკა ტრაპიზონისა ჰმოწმობს, რომ ალექსი II-ს ჰყვანდა ცოლად ქალი იბერიელის ჰეკასი ანუ ბექასი (*H. de la G.*, 621, n. 3.—Lebeau, *H. du B—E.*. XIX, 86).

1. ვახუშტის ისტორიის დავით ქობულოვის ვარიანტით „ცხრა-ძმისასა."

2. აქ ნაჩვენები ადგილები მდებარებენ ქსნის ხეობაში და აქამომდე ამ სახელებითვე იწოდებიან. ქვენა-ფლავველი, ანუ მართლ-წერით ქვენა-იფნეველი, პირველად ხსენებული ისტორიაში, არის, როგორც სხვა საბუთები ჰმოწმობენ, ერთი აწინდელთ ქსნის ერისთავთ წინაპართაგანი. ქ.ცხბა იხსენიებს ქვენა-იფნეველის გარდა ვირშელს. ქვენა-იფნევად აქამომდე იცნობება ქსნის ხეობაში ძველი ციხე-სიმაგრე, რომლის სახელით იწოდებოდნენ ძველად ქსნის ერისთავნი. ბროსსე ფიქრობს, ვითომც თვით ვირშელი იყოს წარმომდგარი რომელისამე ადგილიდამ ვირშიდამ, თუმცა იგი ამ ადგილს ვერა პოულობს (*H. de la G.*, 619, n. 3). მაგრამ აქ ბროსსე სცდება. ვირშელს ამ გვარი საფუძველი არა აქვს. ვირშელი არის მხოლოდ ადამიანის სახელი, რომელიც საქართველოს სხვა და სხვა ძველს გვარების დოკუმენტებში შეგვხვდება, თუმცა იშვიათად (ნახე ჩემი *Памятная книжка*, стр. 225 და ჩ ე მ ი ვ ე დ ღ ი უ რ ი, № 1, გვ. 104). აქ უნდა დავურთოთ, რომ დავით VI დროს შეეხება თვით მატიანე ქსნის ერისთავთ

ვლინა ბჭჱს მეფისათჳის. არამედ მწუხრსა უშველა ღმერთმან მეფესა და ცხა-ოვნს შესრულნი თათარნი ივლტოდნენ და ხუტლუ-ბუღასაცა დიდად ევნო. ვარნა მცნობი ხუტლუ-ბუღა სიმაგრის შეუვალობისათჳს აიყარა ღამით და და-ესხა ქართლს და მოსწყუიდნეს სადა ვინ მოიხელნეს და ტყუე-ჰყვეს და წარ-ვიდა ხუტლუ-ბუღა წინაშე ყაენისა.

შემდგომად ვალად მოვიდა ესზათსუღლ იგივე ხუტლუ-ბუღა. ამისნი მცნობელნი შეუშინდნენ ყოველნი ამის ქუეყანისანი და შემოკრბნენ მეფისა თა-ნა ქართველნი და ჯერ-ვასნი და განიზრახეს, რათა წარვიდეს წინაშე ყაენისა, ვინადგან სარწმუნო ვაცი არს ხუტლუ-ბუღა და ვიცით მის მიერ არა-რაი ვნებისა. უსმინა მათ მეფემანცა და დასხვნა წარსვლა და იყო ამისი შუა-მავა-ლი ბურსელი იოანე ხუტლუ-ბუღას თანა. ხოლო ხუტლუ-ბუღამ გარიცხა და აღუთქვა ფიცით უვნებელობა მეფისა და დაცვა ქუეყანისა. არამედ ვალად არა წარვიდა მეფე, ვინადგან აქვნდა შიში დიდი თათართაგან; გარნა ნება-სცა წარ-ჩინებულთა მისვლა თათართა თანა და მივიდნენცა უმრავლესნი და თათართა პა-ტივით შეიწყნარეს იგინი, არამედ მოაოხრეს იგივე ქუეყანანი ვალად მთიულე-თამდე და წარვიდნენ თათარნი. ხოლო ჩამოდგა მეფე დავით სთველსა შინა ცხაოვნს და მამულსა ქვენა-ფნეველისასა. ამისი მხილველი და ულხინო ქმნილი ქვენა-ფნეველი ევედრა ქართლის ერისთავსა აჭმადს, რათა უურვოს მეფისა თა-ნა. მის მიერ მოხსენებულმან მეფემან მიანიჭა მასვე აჭმადს ქვენა-ფნეველი. მა-შინ ქვენა-ფნეველმან შალვამ გადაიყარა თავსა ნაცარი ესრეთ მეტყუელმან: „ესე-მცა არს მისაგებელი მეფეთა ორგულთა." ამისთჳს მიუტევა მეფემანცა შეცო-დებანი. ხოლო მეფესა დავითს შეეპყრა ძმა თჳისი ვახტანგ მცირესა რასმე

გვარისა, რომელიც ბროსსეს გადაუთარგმნია და ჩაურთავს თავის *Addit*-ში, 372—385. ეს მატიანე ჰხადის ქსნის ერისთავებს დვალეთის ოსთა მეფის ბიბილურის შთამომავლებად და გვარწმუნებს, რომ ქსნის ხეობა მათთვის დაემკვიდრებინოს იუსტინიანე მეფეს (იმპერატორს VI საუკ.). ამ თქმულებას ზოგიერთნი მათნი სიგელნიც იმეორებენ. არის წარმოთქმული ის აზრიც, რომელიც ჩვენ პირველად გადმოგვცა ტიმოთე გაბაშვილმა ათონის მონასტრის მიმოხილვაში, ვითომც თორნიკე მონაზონი დავით კუროპალატის დროს მე-X საუკუნეში ყოფილიყოს ქსნის ერისთავთაგანი (*Addit.*, 190), მაგრამ არც პირველი და არც მეორე აზრი არ არის შესაწყნარებელი: არსად ძველ ქართულ წყაროებში არავითარი ცნობა არ ეთანხმება ქსნის ერისთავთ გვარის მატიანეს იმაზე, რომ ქსნის ერისთავნი მომდინარე-ობდნენ იუსტინიანეს დრომდე. ქ.-ცხბ.-ში პირველად შევხვდებით მათ XIII საუკ. გასულს. ამასთანავე დავით კუროპალატის თანა-მედროვე თორნიკე მონაზონზე უეჭველი ფაქტი ჰმოწმობს, რომ იგი იყო მესხთაგანი, აბულარბის შვილი (ნახე ზემოდ, გვ. 144, შენ. 1.—*Addit.*, 187).

აქ დავძენთ, რომ ქსნის ერისთავნი ხან და ხან იწოდებოდნენ ლარგველებადაც ლარგვისის გამო, სადაც აქამომდეა ნაშთი მათის დიდის ციხე-სიმაგრისა და ძველი მონასტერი, ჩვენ დრომდე ლარგვისის მონასტრად ხმობილი. ნახე იგივე *Addit.*, 372—365 და ჩემი *Кавказъ въ древн. памят. христ.—Ларвисскій монастырь*. არხეოლოგიური გამოკვლევა ქსნის ხეობისა იხილე *V. archéol.*, VI, 65—83 და ჩემი დღიური, № 1, გვ. 104, 110—120, 157.

ზედა და პყრობილი ჰყვა ყაინსანის ციხესა შინა. ესე განკვლტა და მივიდა ბურსულისა თანა, ეკედრა, რათა უურვოს მეფისა თანა უვნებელობისათვის და მცირედისა სარჩოს მიცემისათვის და უკეთუ უქმნას ესე მეფემან, არა წარვიდეს ურდოსა. ამან ბურსულმან აცნობა ესე მეფესა, ხოლო მეფემან განიხარა და აღუთქვა ფიცით უვნებელობა და სარჩო. ამით პირითა მოვიდა მეფისა თანავე ვახტანგ, არამედ არა-რაჲთ კეთილად იპყრობდა დავით მეფე, ვინადგან ვახტანგს ესვა ცოლად შაბურის ძმის ასული, ამის გამო უპატიო ჰყოფდა მეფე. მხილველი და უიმედო ვახტანგ წარმოვიდა კვალად დავით მეფისაგან და მივიდა ყაზან-ყაენისა წინაშე. მან პატივ-სცა და წარმოატანა ხუტლუ-ბუღა, მოსცა მეფობა ვახტანგს და მოვიდნენ ტფილისს თათარნი, ქართველნი და სამცხის ბექას ძე.

ხოლო სცნა რა ესე დავით მეფემან, წარმოუვლინა კვალად ბურსული ზავისათვის და უკეთუ მოსცენ ფიცი, წარვიდეს ურდოსა[1]. ხოლო ხუტლუ-ბუღამ აღუთქვა ფიცით; ამისთვის წარმოავლინა მეფემან ოლჯაით ცოლი თვისი, კათალიკოსი და ბურსული და აღუთქვა ფიცით მისვლა ურდოსა, მოეგება ხუტლუ-ბუღა ოლჯაითს და ვითარცა ყაენსა პატივ-სცა და კვალად წარმოავლინა ფიცი და ხელ-მანდილი ყაენისა, რომელი წესი აქვნდათ მინდობისათვის და ოლჯაით არღარა. ესე მიზეზ-ჰყო დავით მეფემან ოლჯაითის მიუსვლელობა და მიუმცნო: „უკეთუ მომცეთ ოლჯაით, მოვიდე ურდოსა.“ ამას ზედა განრისხნა ხუტლუ-ბუღა მცბიერობისათვის ესრეთისა, შეიპყრა ბურსული მეტყველმან: „კაცო, რაჲ არს სატყუარი? მე ფიცით დაგიმტკიცეთ და არა ინებეთ“ და მოჰკვეთა თავი ბურსულსა და ოლჯაით წარიყვანეს თათართა. ხოლო ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა წელსა 1301, ქართულსა 521 და შემოვიდნენ მთიულეთს; არამედ მეფე დავით იყო გველეთს, გარნა თათართა დიდად ავნებდნენ მთიულნი; გარნა სიმრავლითა არა რაჲ აკლდებოდათ. შემდგომად მესინკარებისაგან და სიმაგრისათვის ქვეყანისა უკ-მოიქცნენ თათარნი და მოსწყვედდნენ მრავალთა თათართა და უმეტეს ზანდუკის სევი მოსწყვიდნეს; ჩამოვლეს ქართლი, წარვი-

1. ურდოს მნიშვნელობა ზემოდ ჩვენ გაკვრით მოვიხსენეთ (გვ. 220, შენ. 1); მაგრამ რადგანაც ეს სიტყვა ქ.-ცხზაშიაც და ვახუშტის ისტორიაშიაც ხშირად იხსენიება, ამისგამო აქ საჭიროდ ვხადით მკითხველს იგი სრულად ავუხსნათ. ურდო ანუ ურდუ არის მონგოლური ლექსი და ჰნიშნავს ბანაკს და სამეფო სასახლეს. აქედამ წარმოსდგა ფრანციცული *horde*, რუსული *орда*. ამასთანავე თათრებში ლექსი ურდო ჰნიშნავდა ერთის ტომ-ნათესავის შეერთებულს ერსა, რომელსაც დამყარებული ბინადრობა არა ჰქონდა, რომელიც იყო მთა-ბარად მოძრავი, ცხოვრობდა კარვებში ანუ შემოფარდულ ურმებში თუ კიბიტკებში, იქ,სადაც საქონლისათვის საკვებს საძოვარს პოულობდა. ამ-გვარ ცხოვრობენ აქამომდე მონგოლთ შთამომავალნი კალმიკნი და იმათნი მონათესავენი ასტრახანისა და სტავროპოლის გუბერნიებში და კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთად. ამ ჩვეულებას მისდევენ თითქმის თვით საქართველოში მონგოლთ ნაშთნი მუღალნი. უმთავრესი ანუ უმრავლესი და უძლიერესი ურდო იყო ოქროს ურდო მონგოლიაში (Littré, *Dictionnaire de la langue française*.—*Horde*. *Dulaurier*., *Recueil*..., 853).

დნენ და მიჰკვარეს ოლჯაით ყაენსა. გარნა ესოდენთა შლილობათა შინა არა იყო თესვა და მკა და უმეტესნი მოსწყდებოდნენ გლეხნი სიყმილითა და წარვიდოდნენ სამცხეს, რამეთუ მუნ იყო მცირედი საზრდელი, რომლითა გამოზრდიდნენ მათ ბექა და მეუღლე მისი ვახახი.

არამედ დაჯდა რა მეფედ ვახტანგ [1] ძე დიმიტრისა, ამას მოსცეს ყოველი საქართველო; არამედ არა აღუდგებოდა წინა ძმასა თვისსა დავით მეფესა [2], რამეთუ იყო ღმრთის-მოშიში, სამღვდელოთა პატივის მცემელი, მოწყალე და ყოვლითა კეთილითა სრული და არავისი მოშურნე. ამის დროსა შინა უმეტეს განდიდნა ბექა სამცხის სპასალარი [3]. ხოლო მეფემან დავით იჴილა, რამეთუ არღარა მოსცემენ ოლჯათს თათარნი, მოიყვანა აჴმადის ასული, ვითარცა ქმნულ-კეთილი ფრიად, კეკლუც-სახოვანი და იქორწინა მას ზედა წელსა 1302, ქართულსა 522. ამასვე დროსა გამოჩნდნენ თურქნი, რომელთაცა მთავარი იყო აზატ-მოსე [4]. დგიან ზაფხულ მთასა პარხალისასა [5] და ზამთარ პონტოს. ესე

1. „ამ ვახტანგისა ვითარ აღსრულდა არა არს ამ ცხოვრებასა შინა, გარნა იცნობების მუნვე ქვემოდ და ზემოდ და ყაენებთაგან ესრეთ, ვითარცა აღგვიწერია და აღსრულებასაცა მისსა ვგონებთ მოწამეობით, ვითარცა აჩენს ცხოვრება ცხადად. ხოლო სიტყვაცა არს, რამეთუ ვახტანგ მეფე მოწამე; არამედ თუმცა ვახტანგ გორგასლანისა იგონების, გარნა გორგასლან ღირს-ქმნილია მოწამეობისა და ესე ვახტანგ სრული მოწამეა ტანჯვით ქრისტესთვისა“. ვახუშტი.

2. „უნდა გვახსოვდეს, რომ იმ დროს, რომელსაც ჩვენ აქ შევეხებით, ქართლში სამი მეფე იყო: დავით VI, კანონიერი მემკვიდრე დიმიტრი II-სა; გიორგი V, რომელიც ყიყრმის გამო მხოლოდ იწოდებოდა მეფედ და რომელმაც მეფობა იწყო 1318 წელს, და ვახტანგ III. ეს ვახტანგ და იმისი ძმა დავით ერთ-დროს მეფობენ და განაგებენ ქართლ-კახეთს“ (*H. de la G.*, 625, n. 1).

3. როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, ერთი ამ ბექას ქალთაგანი ცოლად ჰყვანდა ტრაპიზონის იმპერატორს ალექსი II-ს (Lebeau, *H. du B—E.*, XVII, 471, n.; XIX, 86, n. 1; XX, 506, n). ტრაპიზონის იმპერატორის სახლის ნათესავურ კავშირზე საქართველოს სამეფო სახლის წევრებთან ზოგიერთი ცნობები ნახე *H. de la G.*, 626, n. 2.

4. ვინ არის ეს აზატ-მოსე ბროსსემ არ იცის. თურქებზე კი ამბობს ბროსსე, რომ იგინი ის თურქნი არიანო, რომელნიც, ჩინგიზ-ყაენის ორდისაგან დევნულნი ხვარასნიდამ და ხარიზმიდამ განივლტნენ და იკონიის სულტანს ალ-ედ-დინს შეეხიზნნენ. ზოგნი იმათგანნი დასახლდნენ ტრაპიზონსა, სომხეთსა და სამცხეს შუა. ეს ადგილები მათ დაეთმოთ სამხედრო სამსახურის პირობით. მე-XIII საუკ. დამლევს ამ თურქთა მთავრად ალ-ედდინმა აღიარა ოსმანი ერთუგრულის შვილი, რომელიც უკანასკნელის შემდეგ 1301 წ. დამოუკიდებელი გახდა. აზატ-მოსე უნდა იყოს მუსა-ხანი შვილი ალი-ხანისა შვილისა ბაიდუსი, რომლის სახელი იხსენიება მონგოლთ მთავართ რიცხვში (*H. de la G.*, 626, n. 3).

5. პარხალი, როგორც ქ.-ცხბიდამა ჩანს, არის ახლანდელი სალანლუღის მთა (ქ.-ცჴ., 437, 438), სომხური ბარხარი (S-Martin, *Mém.*, I, 36—37.—Langlois, *Collect.*, II, 299), სტრაბონის პარიადრესი, რომელიც მესხეთის მთას უერთდებოდა (Tardieu, *Géogr. de Strabon*, XI, 399, 445—448). ეს სახელი მისთვისებია ფგით ერთს ჩვენს თემს, რომელიც ჰსაზ-

აზატ-მოსე წარმოვიდა მოოხრებად ყოვლისა საქართველოჲსა და მოიწია ბასიანს და ტაოს და იწყო ოხრებად მძვინვარედ, რამეთუ ჩჩვილთა დედათა ძუძუთა მოკიდებულთაცა მოჰკლვიდიან, გარნა სხვათა გალანამცა უმეტეს მოსრვიდეს. ამათ მოსწყვიდეს ტაო, ვინადგან ტაოელნი არა ჰგონებდნენ მოსვლასა მათსა და შეუძრველად იმყოფებოდნენ. კვალად ჩამოვიდნენ მუღრისს[1] და ნიგალის-ხევს, მოსრეს აზნაური ხერხეულიძე; არამედ ტაოს ერისთავმან ფავყა ფანასკერტელმან ბრძოლა უყო მათ თორთომის ციხის მირს მცირედითა სპითა და ავნო დიდი; გარნა სიმრავლისაგან თურქთასა ვერ განასხნა. ამისმან მცნობმან ბექა შეიკრიბნა სპანი და წარვიდა; არამედ ვერღარა ეწია, რამეთუ უკუ-ქცეულიყვნენ თურქნი. ესე დაუმძიმდა და უკ-მოიქცა ბექაცა; გარნა შემოიკრიბნა ყოველნი მავშნი, კლარჯნი, მესხნი და თვის-ქვეშე დაწესებულნი და ეტყოდა მათ: „ერთ-სჯულნო და ერთ-პირნო ისმინეთ, რამეთუ სკიპტრის მპყრობელმან დავით მეფემან (აღმაშენებელმან) ოდიდგან განასხნა თურქნი საზღვართაგან საქართველოსათა და არღა რა ვის გვისილავს ამა დრომდე; ხოლო აწ ცოდვათა ჩვენთათვის გამოჩნდნენ და მოსწყვიდნეს ტაო, რამეთუ ვინადგან არღარა-ვინ არს მეფე ჩვენი მძლავრებისაგან თათართა, რომელიცა გვიძღოდეს ჩვენ და დავრჩომილვართ მარტოდ, რამეთუ მთავარნიცა საქართველოსანი და ქვეყანანი განდგომილ არიან თვის-თვისად, აწ ამისთვის მნებავს, რათა შევკრბნეთ და შევიწიოთ ღმერთი და შურ ვაგოთ მტერთა ჩვენთა ძალითა ჯუარისათა." მაშინ მსმენელთა მესხთა განიხარეს და აღუთქვეს მზა-ყოფად. მერმე მოიწია ზაფხული და მოვიდნენ თურქნი. მაშინ მოუწოდა ბექამ ტაშის-კარიდამ ბასიანამდე და შეკრბნეს 12,000 მხედარნი და მიჰმართა თურქთა; ხოლო თურქნი აღმოსრულ იყვ-

ღვრავდა დიდ სომხეთს და საქართველოს ნაწილს ანუ ჭოროხის ხეობას. ვახუშტის გეოგრაფიის ცნობით, „ართვანს (ართვინს) ზეით იდამდე, ჭოროხის დასავლეთისა თორთმის მთის აღმოსავლეთით არს პარხალი ანუ ტაოს-კარი ანუ ტაო და მზღვრის ამას: აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამხრით-თორთომიდამ ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით-თორთომის მთა; ჩრდილოთ-ჭოროხი, ისპირის მთა" (გეოგრ., 120). პარხალი ერთის ძველის გუჯრის ცნობით შეადგენდა X—XI საუკ. ჩვენს ისტორიაში გამოჩენილის გვარის ჯავკასიძის მამულს. ამ საგანზე და აქამომდე დაცულს დიდ-მშვენიერს პარხალის მონასტერზე იხილე ჩემი *Археол. путеш. по Гуріи и Адчарѣ*, стр. 79, 87 და *Кавказъ въ древн. памятн. христ.—Пархальскій храмъ*.

1. ქ.-ცხზით; მუძღულს (გვ. 437). ასევე სთარგმნის ბროსსე (*H. de la G.*, 627); მაგრამ აქ შეცდომაა და ამ შეცდომას ასწორებს მარიამ დედოფლის ვარიანტი ქართლის-ცხოვრებისა: ეს ვარიანტი უწოდს მას მურღულად. მურღული აწინდელს ბათუმის მაზრაში ახლაც ცნობილია. მურღულად იწოდება ერთი უმშვენიერესთა და ნაყოფიერთა ხეობათაგანი ბათუმის მაზრაში. მურღული ზოგიერთს ქ.-ცხზის დედანში მუძღულად გადაქცეულა იმისგამო, რომ ძ და რ ძნელად გაირჩევა ჩვენ ხუცურს ალფავიტში, რომლითაც იწერებოდა ქ-ცხა, ვიდრე მხედრული ხელი გავრცელდებოდა. შევნიშნავთ აქ, რომ მურღულადვე უწოდს ამ ხეობას მე-X საუკ. თვით ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენი (*Addit.*, 151).

ნენ მთასა პარხალისასა და წარმოუვლინნეს მხედარნი ტყუჱვად ვაშლოვანისა და თჳთ ლამოდეს მისვლად სამცხესა; ხოლო მოვიდნენ 12,000 მხედარნი ვაშლოვანს და წინა-განეწყვნენ მათ ხუთასნი ბექას მხედარნი სიმაგრეთა შინა; ბრძვეს ძლიერად და აოტნეს თურქნი; არამედ აზატ-მოსემ არა რაჲმე იცოდა ბექასი და მცნობელმან ბექა გაქცევისათვის თურქთა წარისწრაფა და მიჰმართა სპერის შამბერდს[1], სადაცა იყვნეს თურქნი; ხოლო აზატ-მოსე უცნობელომან ბექასმან გამოირჩია 30,000 მხედარნი და წარმოვიდა ვაშლოვანს და დანაშთომთა სპათა ეტყოდა: „თქვენ მივედით ტაოს და ნემტი მოსწყვიდენით მუნ და მე მოვიდე გამარჯვებული ბანას. მერმე იქიდამ წარმოვიდეთ ქართლს“, რამეთუ მრისხანებდა მოწყუედისათვის ვაშლოვანს სპათა თჳსთასა. არამედ მიმავალთა ბექასი მეწინავეთა ემთხჳვნეს ოთხნი თურქნი, შეიპყრნეს იგინი და მოართვეს ბექას და ჰკითხვიდნეს ამბავსა; ხოლო იგინი უთხრობდნენ წინათქმულსა აზატ-მოსეს განმზადებასა. ამისმან მცნობმან ბექამ განჰყო ლაშქარი თჳსი და ურჩეულესი მისცა პირმშოსა ძესა თჳსსა სარგისს და წარგზავნა ვაშლოვანს; თჳთ წარვიდა მუნვე თქმულთა ზედა. მოსრულთა თურქთა ვაშლოვანს იხილეს რა მცირე ლაშქარნი, მსწრაფლ მიეტევნეს და იქმნა ბრძოლა. მაშინ პირველვე ხუთასთა სარგისისთა ხუთასი თურქი ჩამოაგდეს რაზმსა შინა და იძლივნენცა თურქნი, რამეთუ ლტოლვილნი ივერნითა სარგუნვიდნენ ერთ-ერთს; არამედ სარგის ბრძოდა ძლიერად, ვითარცა მოსდგამდაცა. ხოლო თურქთა აქათ რა იხილეს ბექა მიმავალი, მსწრაფლად ივლტოდნენ და დედა-წულნი მათნი მათთანა კლდეთა და ღრატეთა, რამეთუ დაჰფარნესცა ყოველნი ქონებანი თჳსნი და სპანი ბექასნი მოსწყვედდნენ მათ ურიცხვთა; ხოლო ნემტნი თურქნი შეივლტოდნენ სპერის ციხესა შინა და ქალაქსა და ნოღ-ქალაქსა. არამედ ბექას სპათა შესჯარნეს იგინი იწროებთა შინა და ვითარცა ცხოვართა ჰხოცდიან და ჰკლვიდიან. ხოლო სარგისის გამოქცეულნიცა თურქნი ეწივნეს ბექას სპათა; მიიქცნეს და მოსწყვიდნეს იგინიცა; მერმე გარე-მოადგნეს ქალაქს სპერს. მცირესა ჟამსა აღიღეს ქალაქი თჳნიერ ციხისა და აღივსნეს ალაფითა, ოქროვეცხლითა, ცხენითა, ჯორითა, აქლემითა და წარმოვიდნენ ბექა და ძე მისი გამარჯვებულნი და მიერითგან ვერღარა იკადრეს თურქთა მოსვლა.

ხოლო შემდგომად მოკვდა ყაზან-ყაენი[2] და დაჯდა ძე მისი ხარბანდ ყაე-

1. მარიამ დედოფლის ვარიანტში შ ა შ ე რ დ ს; ვახუშტის ისტორიაში შ ა მ ბ ე რ დ ს, ქ.-ცხბაში ბ ა ბ ე რ დ ს (გვ. 489). ასეც უნდა იყოს, ეს არის ახლანდელი ბაიბურთი. აქაც შეცდომა იმით აიხსნება, რომ ხუცურში ბ და შ ძნელი გასარჩევი ასოებია.

2. ყაზანის სიკვდილამდე მოხდა ეგვიპეტზე ორი გალაშქრება, რომელთაგან მხოლოდ ერთს მოიხსენებს ქ.-ცხბა და რომელშიაც ქართველებმა მიიღეს მონაწილეობა (ქ.-ცხ., 440—441.—*H. de la G.*, 631, n. 1; 632, n. 2). აქ ეს კი უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მოთხრობა, როგორცა ჩანს, სულ ძველს ჩვენს ქ-ცხბში არა ყოფილა, რადგანაც არც მარიამ დედოფლის ვარიანტშია.—აბულ-ფედას თქმით, ყაზანი მოკვდა 703 წლის გასულს (რომელიც იწყობა 14 აგვისტოს 1303 წ.); მაშა სადამე 1304 წლის ნახევარს (*H. de la G.*, 636, n. 1).

ნად [1] და ამან ხარბად-ყაენმან ინება შესვლად გილანს და დაპყრობა მისი და მიუწოდა მეფესა ვახტანგს ქართველითურთ და ბექას სამცხითურთ. ხოლო ბექამ წარგზავნნა სპანი თვისნი და თვით არ წარვიდა. მაშინ მივიდა ვახტანგ და წარვიდნენ გილანს [2]. მუნ განჰყო ყაენმან სპა თვისი ოთხად: ვახტანგ მეფე დაიპყრა თვის თანა; ერთ-კერძ წარავლინა ხუტლუ-ბუღა და სპანი ბექასნი; ერთ-კერძ ჩოფან-ნოინი და ზოგნი სპანი ვახტანგ მეფისანი და ერთ-კერძ უსენ-ნოინი და ოვსნი. არამედ გილანელთაცა ეგრეთვე ოთხად მოჰმართეს. შეკრეს სარხალი და დაუდგნენ სიმაგრეთა: ერქამაზ დაუდგა ყაენსა და იქმნა ბრძოლა ძლიერი, რამეთუ ვახტანგ წინა-მბრძოლი იყო; არამედ ტყეთა და ლამთა და იწროთაგან ძნიად ვიდოდნენ და ყაენი სარბად თვით სჭვრეტდა, ვითარ მხნედ იბრძოდნენ ვახტანგ და სპანი მისნი, რამეთუ ათისაგან ორნი ძნიად მორჩდიან და მოსწყდნენ მრავალნი აზნაურნი და უმკვიდრონი იქმნენ; გარნა არა უკუ-იქცა ვახტანგ და დაიჭირა კიდეცა მცირედ ბაყვსა შინა; ხოლო იხილა რა სიმაგრე ყაენმან, აიყარა ღამე და წარმოვიდა; მოეწივნენ გილანელნი და დიდად ავნეს. კვალად მეორემან მთავარმან უმაშიმ შეჰკრა ხარხალი და დაუდგა ხუტლუ-ბუღას. მაშინ გარდახტა ცხენიდამ ხუტლუ-ბუღა, დაიდვა სკამი და დაჯდა მას ზედა და უბრძანა სპათა ბექასთა მისლვა. შეუხდნენ მესხნი და სრვიდნენ გილანელთა; არამედ ეცა ისარი ხუტლუ-ბუღას თავსა შიშველსა. ჩამოვარდა სკამიდამ და მოკვდა. ამისი მხილველი ძე მისი ივლტოდა და სპანი მისნი მის თანა და მესხნი დაშთნენ სარხალსა შინა და მოისრნენ უმეტესნი, ვინადგან გილანელთა სპარინჯალთა ჩაეგდოთ წყალი და ვერღარა ვიდოდნენ ცხენნი, ვერცა კაცნი. ეგრეთვე ჩოფანსა განეწყო როსტომ მელიქი კაკესა ზედა; სძლო მას ჩოფან და არღარა შეჰყვა სიმაგრეთა შინა და უჩინა სპათა თვისთა ჯავახის-შვილი უკან მავალად, სადაცა მხნედ იბრძოდა ჯავახის-შვილი და გარდამოვიდა მშვიდობით. ხოლო უსენს და ოვსთა შემოება ისსან და სწორი ძლევა იქმნა და იგიცა გამოქცეული წარმოვიდა. ესენი ყოველნი შემოკრბნენ ყაენს ხარბად-ყაენის წინაშე და განაჩინა ყაენმან ჩოფან მონაცვლედ ხუტლუ-ბუღას ნოინისა წილ. ხოლო მეფესა ვახტანგს და სპათა მისთა დიდად პატივ-სცა ყაენმან სიმხნისა მათისათვის და მისცნა ნიჭნი და ჯილდონი და წარმოავლინნა ქართლს.

ჟამსა ამას მოუხდნენ ხარბად-ყაენსა კაცნი სარკინოზნი მტერნი ქრის-

1. ხარბანდა და არა ხარბად ყაზანის შვილი კი არ იყო, არამედ ყაზანის ძმა, რომელსაც საუფლის-წულოდ ჰქონდა ხვარასანი. ამან დააფუძნა და გაამშვენიერა ქალაქი სულტანია (*H. de la G.*, 636, n. 4).

2. ერთი ევროპიელთ მწერალთაგანი, ოლეარიუსი, რომელიც მოგზაურობდა სპარსეთში 1636 და შემდეგ წლებში, გილანზე გვაძლევს იმ გვარ გეოგრაფიულს ცნობებს, რომელნიც ბევრში ეთანხმებიან ქ.-ცხზის ცნობებს (*H. de la G.*, 638, n. 4). გილანზე ხარაბანდას გალაშქრების ცნობები, ნაამბი უცხო-ტომთ მწერალთაგან, ნახე *H. de la G.*, 635, n. 4.

ტიანეთანი და უტყოდნენ: „უკეთუმცა არა დაატევებინო ქრისტიანეთ სჯული და არა ჰყო მაჰმედიან და არა მოაოხრო ეკლესიანი მათნი, ვერ-ოდეს სძლო მტერთა შენთა და არცა წარგემართოს ხელმწიფება შენი". ესე მცბიერმა ყაენმან ირწმუნა და წარმოავლინა ნოინი ერთი, რათა დაატევებინოს ქართველთა ქრისტე და მოაოხროს ეკლესიანი და ამან ნოინმან იწყოცა მლვად ეკლესიათა და მოკწია ნოინი ესე მეფესა ვახტანგს ნაწყევანის სპითურთ. ამისი მსმენელი ვახტანგ არა შეშინდა, არამედ უმეტეს განმხნდა და განამხნობდა სპათა თჳისთა მომხსენებელი ქრისტეს მცნებათა და აღთქმულთა და მოწამეთა სიმხნესა, რათა წარვიდნენ წინაშე ყაენისა და მუნ აღიარონ ქრისტე და მოსწყდნენცა მისთჳს. მხიარულად ესმინეს სპათა მისთა და წარვიდნენ. ხოლო მივიდნენ რა წინაშე ყაენისა, განკვირდა ყაენი მისვლისათჳს მეფისა. მაშინ მეფე ვახტანგ წინა-აღუდგა დატევებისათჳს ქრისტესსა და მოოხრებისათჳს ეკლესიათასა. არამედ საქართველოსათჳსცა უარ-ჰყვეს მოგზავნილი იგი ნოინი, ამისთჳს მოკლა მეფე ვახტანგ ტანჯვითა ყაენმან ანუ ექსორია-ჰყო სპითურთ და მუნ მოკლა. ხოლო შემდგომად რისხვითა ღმრთისათა სამხილებელ ექმნა სენი ბოროტი ხარბანდა-ყაენსა, რომელი აიძულებდა დატევებასა ქრისტიანობისასა ქართველთა. ამისთჳს უკუ-იქცა წარმოვლინებული იგი ნოინი და ქართველნი ვახტანგისა თანა ექსორია-ყოფილნი განუტევნა. მერმე მითვე სენითა მცირედითა მოკვდა ხარბანდა-ყაენი [1] და დაცადა ღმერთმან აღძრვა ეკლესიათა ზედა ამის გამო და დაჯდა ყაენად ულჯაად-სულტანი. ამან ულჯაად-სულტანმან

1. ხორაბანდა-ყაენი, დ-ოსსონის ჩვენებით, მოკვდა სულტანიეში 1316 წელს და იმის მემკვიდრედ დაჯდა იმისი ათის წლის შვილი აბუ-საიდი, რომლის მზრუნველად იყო ელ-მალექის შვილი ჩობანი. ამ დროს მონგოლთ მფლობელობის მდგომარეობა იყო შემდეგი: აბუ-საიდი ფლობდა სპარსეთს; სარუ-კაზღი-თურქესტანს; სარგინი, შვილი მანგუსი, ყუბილაის შვილისა-ჩინეთს; უზბექი, შვილი თოღრილ-შაჰისა, ბათუს შვილის-შვილისა—ყიფჩაღეთს და იჯდა სარაიაში; მანგუთაი, შვილის-შვილი თუშისა ანუ თულისა ჩინგიზ-ყაენის შვილისა-გაზნას; იამური-ხარიზმას. 61 წლის განმავლობაში, 1256 წლიდამ 1317 წლამდე სპარსეთმა ცხრა ყაენი იცვალა: ჰულაღუ, აბაღა, თაღუთარი, არღუნი, ქეიქათუ, ბაიდო, ყაზანი, ხორბანდა და აბუ-საიდი (*H. de la G.*, 643, n. 1).

შედეგი მონგოლთ გამოჩენისა ისტორიის ასპარეზზე იყო ისა, რომ მათ დასცეს სამი შემძლე დინასტია: სონგთა ჩინეთში, ხარიზმ-შაჰთა და ხალიფა-აბასიდთა სპარსეთში და შეასუსტეს უმთავრესი მუსულმანთ სამთავროები მცირე-აზიაში და ეგვიპეტში; დაამყარეს ახალი სავაჭრო და საპოლიტიკო დამოკიდებულობა შორის ევროპისა და აზიისა; გაავრცელეს ევროპაში როგორც კომპასი, აგრეთვე თოფის წამალი, რომელთ ხმარება მათ ისწავლეს ჩინელთაგან. მონგოლთაგანვე გვაქვს მითვისებული ქაღალდის ფული და სათამაშო ქარტები და ამასთანავე თვით ბეჭდვა ანბანისა, რომელიც პირველად ხეზე იჭრებოდა (Lebeau, *H. du B—E.*, XVII, 480). თვით ალფავიტი მონგოლებმა მიიღეს იუგურთაგან, რომელნიც თურქის ტომ-ნათესავნი იყვნენ და ყველა ამ ნათესავთა შორის მხოლოდ იუგურნი ხმარობდნენ ანბანსა (S-Martin, *Mém.*, II, 275).

წარმოავლინნა ლაშქრითა ურიცხვითა ჩოფან-ნოინი სამცხეს ბექასა ზედა და კვალად ჴელსცა მეფედ ვინმე, ვინადგან უმეფო იყო ქართლი და დავით მეფე იყო თვისად უკუ-მდგარი. ესე ჩოფან მოვიდა არსიანის მთამდე[1] და აწვია ბექას; არამედ ბექა არა მივიდა და წარავლინა ძე თვისი უმრწემესი შალვა და კვალად ძე დიმიტრი მეფისა გიორგი, რომელი წინადცა მეფედ ჴყვეს, რათა აწცა დაუმტკიცონ მეფობა და რა მივიდნენ ესენი, უკუ-იქცა ჩოფან სომხეთად და დაშთა ქვეყანა ბექასი მშვიდობით. ხოლო ჩოფანმა მიიყვანა გიორგი წინაშე ყაენისა და ყაენმან შეიწყნარა და პატივ-სცა; არამედ არა მისცა მეფობა, ვინადგან დავით მეფე იყო უკუ-მდგარი და სთხოვა ყაენმან დავით მეფესა ძე და მან წარმოუვლინა მცირე ძე თვისი ურდოსა.

## მეფე გიორგი მცირე[2] (1308—1318).

ხოლო მისცა ყაენმა მცირესა ამას გიორგის მეფობა და ტფილისი და უჩინა მზრდელად და მეურნედ ძე დიმიტრი მეფისა გიორგი. ესენი წარმოსრულნი მოვიდნენ ტფილისს წელსა 1308, ქართულსა 528. ამასვე წელსა მოკვდა მთავარი სამცხისა ბექა, საღმრთო-საეროთა, სათნოებითა და მოწყალებითა აღმატებული და უმეტეს ვასასი მეუღლე მისი ყოვლითა კეთილითა და დაუტევნა ძენი სამნი: სარგის, ყვარყვარე და შალვა[3] და ამათ დაიპყრეს სამცხე.

1. „არსიანის მთა, ვახუშტის ცნობით, აწ ყალნუდ წოდებული, რომელსა ზედა გარდავლენ (სამცხიდამ) გზანი ბანას და არტანუჯს შინა და არს მთა ესე მაღალი და მცირეტყიანი, წყაროიან-ბალახ-შამბ-შროშნიანი და ზაფხულ ფრიად შვენიერი“ (გეოგრ., 106.) არსიანი ძველის-ძველადვეა აქამომდე ცნობილი: „და დაიპყრეს ბერძენთა, ამბობს ქ.-ცხბა ვარაზ-ბაქარის დროს, თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვიდგან არსიანთამდე.“ (გვ. 106). „და უკუ-სცა კეისარმან გორგასლანს საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისისა და კლარჯეთი ყოველი ზღვიდგან ვიდრე არსიანთამდე“ (გვ. 152). არსიანის მთა მე თვით ვნახე 1873 წელს და, როგორც დავრწმუნდი, იმისი მდებარეობა და თვისება, ვახუშტისაგან ნაჩვენები, ნამდვილი მისი სურათია (ჩემი *Археол. путеш. по Гурiи и Аджарѣ*, 72, 73).

2. მე-VI-დ ცნობილი.

3. სარგის, ყვარყვარე და შალვა შვილნი ათაბაგის ბექასნი (*H. de la G.* II., 2 *livr.*, 639). ამათგანის შალვასაგან დატევებული ძველი მაცხოვრის ხატი მე ვნახე 1873 წელს გურიაში ჯუმათის მონასტერში. მის წარწერაში იხსენიება „ძე დიდისა სალთხუცესისა ბექასი ათაბაგი და სამცხისა სპასალარი შალვა“. ამ წარწერის განმარტება ნახე ჩემს *Археол. путеш. по Гурiи и Аджарѣ*, 111—113. ეს შალვავეა მოხსენებული „მანდატურთ-უხუცესად“ მის დროს სამცხეში ანუ აწინდელს ახალციხის მაზრაში აშენებულს განძის ეკლესიის წარწერაში (Brosset, *V. arch.*, II, 173—174). გარდა ამისა ერთის უმშვენიერესისა და მაღალის ხელოვნებით განვითარებულის საფარის წმ. საბას მონასტრის (ახალციხის მახლობლად) კედელზე დახატულნი არიან სამცხის სპასალარი და მანდატურთ-უხუცესი ბექა და შვილი მისი სარგის. იქვე წმ. მარინეს ეკლესიის მხატვრობა წარმოადგენს იმავე ბექასა და ძეთა მისთა. ამ ორთა სახელები არ

ამისა შემდგომად მესამესა წელსა მოკუდა დავით მეფე მწარასა სენითა განსჯი-
ლი წელსა 1310, ქართულსა 530 და დაუტევა ძე თჳსი გიორგი ორის წლი-
სა მეფედ ქმნილი. შემდგომად ინება ყაენმან აღმხედრება შამის ციხესა ზე-
და რაბაშანს, რომელი აქუნდა სულტანსა მისირისასა. მივიდა და მიადგა ყოვ-
ლითა ძალითა თჳსითა ხუთ თუე და ვერა-რა ავნო მას. მერმე შეკუ-მოიქცა და
მოგზაურ ჰყვანდა ქქვსნი არწივნი დამართულნი, რომლისა ძალი ეს-ოდენ იყო
და მოვიდა შინ თავისად. არამედ ამიერიდგან არა სადა ილაშქრა ცამეტ წელ
ყაენად მყოფმან.

ამისა შემდგომად კუალად წარმოავლინა ულჯათ სულტანმან იგივე გიო-
რგი მცირე ძე დავით მეფისა მეფედ და ზაალ მელიქი ხვარასნელი და სარუხნო
ბიძა ჩოფან-ნოინისა, რათა შეკრიბონ საქართველო გიორგი მეფისად და ამათ
აჩინეს მხარ-გრძელი შანშე და ზაქარია ავაგის ასულის ხვაშაგის ნაშობი.
ესენი მოვიდნენ კოსტას-თავს და აწვიეს სარგის და ყუარყუარე, არამედ ამათ არა
ინებეს გამოსვლა.

ამავ ჟამს განდგა საბერძნეთის კომსი ქალაქი დიდი და ფარსმანის შვილი [1].
ამისმან მცნობელმან ყაენმან წარავლინა ჩოფან და წარატანა მას ქართველნი და
წარჰყუა გიორგიცა ძე დიმიტრი მეფისა; არამედ გოგზალ მელიქ შანშე და ზა-
ქარია არა წარჰყვნენ და შევიდნენ ტფილისს; ხოლო ჩოფანს მისრულსა ვერ
წინა-აღუდგნენ ფარსმანის ლაშქარნი. მაშინ ჩოფან მოსცნა ყოველნი მუნ მყო-
ფნი ქართველნი გიორგის ძესა დიმიტრი მეფისასა ჯავახნი და თორელნი და
სადაცა ბრძოლა ჰყო გიორგიმ სპითა თჳსითა, მძლეველადცა გამოჩნდა ყოვე-
ლთა ზედა. ხოლო ჩოფან დაიმორჩილნა ურჩნი ერთისა ოდენ წელისა და მერ-

არის მოხსენებული (*V. arch.*, II, 120—126). თვით მათგანვე შემკობილის ანჩის-ხატის
პირი-ღვთის წარწერაში მოხსენებულნი არიან მიცვლილნი მანდატურთ-უხუცესი ბექა,
მეუღლე მისი მარინე და ცოცხალნი ძენი მათნი მანდატურთ-უხუცესი სარგის, ყვარყვარე
და შალვა (*V. arch.*, V, 28).

აქ დავურთავთ, რომ საფარის მონასტრის აშენებას მიაწერენ ბექას და იმის შვილთა
და ანჩის-ხატი, „შემკობილი იოანე ანჩელისაგან ბრძანებითა და ნივთის ბოძებითა მე-
ფეთ მეფის თამარისათა", მოტანილია ტფილისში 1685 წელს „კლარჯეთის საეპისკო-
პოსო საყდრის ანჩიდამ" (*V. arch.*, V, 30-31). ეს ანჩის ეკლესია ვნახე 1879 წ.
თითქმის სრულიად დაშლილი და იმის მშვენიერის ქანდაკიანის ქვებით ახლა მის მახ-
ლობლად აშენებულია მოზდილი მეჩითი (ჩ ე მ ი დ ღ ი უ რ ი, № 4, გვ).

1. ქ. ცხ.ით: „ამა ჟამთა შინა იქნა განდგომილება საბერძნეთს და განუდგეს ოლჯათ
სულტანსა ფარსმანის შვილი და ქალაქი დიდისა კონისა" (გვ. 447). კონი არის იკონია,
ფარსმანი—ფარგანა, რომელიც ახალას დროსაც არის მოხსენებული. „ილხანთ ისტორიის"
თქმით, როდესაც ყარამანიის სულტანმა მოჰამედმა დაიჭირა იკონია, წარგზავნილ იქნა იქ
30,000 ჯარით მშვიდობის აღსადგენელად ჩობანი და მოჰამედმა მას ქვეშე ვრდომობა
გამოუცხადა. ეს მოხდა 1315 წელს (*H. de la G.*, 642, n. 2).

მე მოიქცა და, ჟამსა სთულისასა მოვიდა წინაშე ყაენისა ჩოფან და დასჭრა რა თოვე ერთი, მოკლა ყაენი ულჯათ-სულტანი. ამან დაუტევა ძე მუსაით შვილისა და ჰყვეს იგი ყაენად. ესე ესმა რა გიორგის ძესა დიმიტრი მეფისასა, წარვიდა წინაშე ყაენისა. მისრული ჟურდისა იხილა ჩოფან-ნოინმან და განიხარა ფრიად და შეიტკბო, ვითარცა შვილი და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და ძენი ბექა სამცხისანი და მესხნი და წარმოგზავნა ტფილისს. ესე გიორგი მოვიდა და შემოკრიბნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულ-წარჩინებულნი და ძენი სამცხე-ტაო-კლარჯ-შავშითურთ და აკურთხეს ტფილისს მეფედ წელსა 1318, ქართულსა 6 [1].

## მეფე გიორგი V [2] ბრწყინვალე (1318—1356)

დაჯდა მეფედ გიორგი ძე დიმიტრი მეფისა თავ-დადებულისა და იწყო მთიებმან აღმობრწყინვებად. ხოლო მე არა ძალ-მიძს საკვირველებათა და საშინელებათა თქმად, თუ რაოდენ შვენიერად და გონიერად განაგებდა და ჰქმნა ანუ წყობანი და ბრძოლანი, ანუ შემატებანი სამეფოსა და ქვეყანისანი; არამედ რაჲ ძალ-გვედვას მოკლედ ვიტყოდეთ, რამეთუ ამან ბრწყინვალემან გიორგიმ დაიპყრა საქართველო, სომხითი, ჰერ-კახნი, ქართლი, მესხნი, ტაო, შავშ-კლარჯნი და ვიდრე სპერამდე და ზღვამდე. გარნა თუმცა ძენი ბექასნი ფრიად განდიდებულ იყვნენ და დაეპყრათ სრულიად სამცხე-კლარჯეთი, არამედ ვინადგან მოეცნეს მეფესა გიორგის ყაენისაგან, ამისათვის ვერღარა ურჩ-ექმნნენ ძე-ნი ბექასნი; გარნა ბიძის ძენიცა მეფისანი იყვნენ ამისა განძლიერებისა მცდელნი პირველითვე და სიხარულით მოერთნენ და მორჩილებდნენ მონებრივითა მსახურებითა, რამეთუ ვინადგან ურჩია ჩოფან-ნოინის გამო, რომელი მწყედ ჰყვანდა, მრე ქმნებოდა და სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა დაიმორჩილებდა. მაშინ იჯდა კათალიკოსად ეკთიმი; არამედ დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ჟამამდინ რიდითა ყაენისათა; ხოლო მძლავრობდნენ ოვსნი

1. „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი მეცამეტე მოიქცა და მეთოთხმეტისა (მოქცევასა) ექვსი წელი გასულიყო“. ვახუშტი.

ქართულ ქორონიკონზე და მეცამეტე მოქცევაზე ნახე ზემოთ, გვ. 49, შენ. 2 და გვ. 118, შენ. 1, საიდამაც მკითხველი დაინახავს, რომ მეცამეტე მოქცევა ქორონიკონისა (532 წელი) იწყობა 780 წელს და თავდება 1312 და ამ 1312 წლიდამ იწყობა მეთოთხმეტე მოქცევა; მაშა სადამე, როგორც ვახუშტი სამართლიანად შენიშნავს, 1318-ს წელს გასულია 6 წელი მე-14-ს მოქცევისა.

2. „თუმცა ამ ორთა გიორგის ცხოვრება ბნელი არს, არამედ იცნობების ცხოვრებასავე შინა ზემო-ქვემორე, ვითარცა გწერთ და გუჯართა და ამის (გიორგი ბრწყინვალის) სამართლის წიგნისაგანაცა“. ვახუშტი.

ქართლს და დაეპყრათ ადგილი ადგილთა დაბნები; მერმე შევიდა და შემუსრნა კავკასიას შინა მთიულნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე-ჰყვნა ყოველნი და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინადგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა.

ხოლო შემდგომად სიკვდილისა ჩოფან-ნოინისა[1] იგლეს რაიმე ნოინთა მუსაით-ყაენისაგან სიყრმისათვის მისისა; რამეთუ მოკლეს მუსაით-ყაენი და განდგნენ ნოინნი თვის-თვისად და რომელთამე დაიპყრეს სპარსეთი, სხვამან ხორასანი, სხვამან ერაყი, სხვამან ადრაბადაგანი და სხვათა საბერძნეთი; მაშინ იცა ჟამი ბრწყინვალემან გიორგი მეფემანცა და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსრნა ყოველნი საზღვართაგან თვისთა, მერმე მოიყვანა ყოველნი ამის ქვეყანისა ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ზედა ჭერეთისასა და მოსწყვიდნა მუნ ურჩნი თვისისა მეფობისანი და დაადგინნა ყოველთა ადგილთა წარჩინებულნი ერისთავნი თვისისა მორჩილებისანი და დაიპყრნა ამით უმეტეს ყოველნი. მაშინ მოუბოძა სარგის ჯაყელსა ათაბაგობა და ამირ-სპასალარობა[2]. კვალად შემოიკრიბნა სპანი და შევიდა რანს კერძოს წინა აღუდგა და შევიდა შირვანს მუნიდამ დაიმორჩილნა იგინიცა და მოხარკე-ჰყვნა და რუბანდამდე ქურდის ლეკითურთ. შემდგომად მიიქცა ტფილისს გამარჯვებული.

ხოლო იმერეთს, ვითარცა აღვწერეთ შემდგომად ნარინ დავითისა, იყო შლილობა მძაფრი შორის მრავალთა წელთა და ამის მიერ განდიდნენ მთავარნი და განმკვიდრნენ ერისთავნი ქვეყანისანი. ხოლო შემდგომად მოკვდა კონსტანტინეცა და არა დაუტევა ძე, არცა ასული და დაჯდა მის წილ მეფედ ძმა მისი მიხაილ. მოკვდა მიხაილიცა და დაუტევა ძე ბაგრატ. ამან ბაგრატ სიყრმით თვისით დაუმორჩილებლობითა მთავართათა ვერ იპყრა მეფობა, რამეთუ არღარა მოჰფრთხნენ ერისთავნი. მაშინ იხილა ესე ვითარება იმერთა ბრწყინვალემან მეფემან გიორგი და ეზრახა იმერთა. ხოლო ამისთვის სათნო-იჩინეს მათცა მეფობა მისი, ვინადგან განძლიერდა. მერმე შემოიკრიბნა სპანი თვისნი ძლიერნი, გარდავლო მთა ლიხისა სპითა და ამას მხილველნი იმერნი ყოველნი მოერთოდნენ სიხარულით. ხოლო ბაგრატ ძე მიხაილ მეფისა შეიყვანეს ალ-

1. „ჩოფანის ანუ ჩობანის თავ-გადასავალზე და სიკვდილზე და თვით იმის შვილებზე ნახე *H. de la G.*, 646, n. 1. ამ შენიშვნაში ბროსე უჩვენებს მნიშვნელობას ხონთქრისას. ბროსეს თქმით, „ჩობანის ქალი, რომელიც ჰყვანდა ჯერ პირველს ბაღდადის ილ-ხანს, მასუკან აბულ-საიდს, სახელ-იწოდა ხონდკენდიგარად, რომელიც ჰნიშნავს დედოფალს. ამ ლექსიდამ წარმოსდგა ხონთქარი, რომლითაც ქართველების აზრით იგულისხმებიან ოთმანიანთ სულთანნი.

2. ეს სარგის არის სარგის II, რომელიც ათაბაგობდა 1308 წლიდამ 1334 წლამდე. არა ჩანს დრო მის გაათაბაგებისა, მაგრამ ეჭვი არ არის აქ ჩვენებულ ორ წელთა შორის უნდა მომხდარიყო ეს შემთხვევა (*H. de la G.*, 647, n. 3).

მზრდელთა და ერთგულთა მისთა ქუთათისს და განამაგრეს ციხე. მცნობი გიორგი მეფე მოადგა ქუთათისს. მაშინ ბაგრატ ვერღარა წინ-აღმდგომი და შემჭირვებული რაოდენსამე ჟამსა ევედრა მეფესა გიორგის, რათა არა-რაჲ ევნოს სიკვდილითა ანუ პატიმრობითა და სცეს სარჩო იმერეთსავე მეფემან, მოვიდეს წინაშე მისსა და მისცეს ყოველნი ციხენიცა იმერეთისანი მეფესა, ვინაჲგან მოგცა ღმერთმან ძლევა. ამისმან მსმენელმან მეფემან განიხარა და აღუთქვა ყოველი აღსრულებად საწადელი მისი. მსმენელი პირისა ამის გამოვიდა ბაგრატ და მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა და მისცნა ყოველნი ციხე-ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი. ხოლო გიორგი მეფემან პატივ-სცა, ვითარცა მონათესავესა თჳსსა და შეიწყნარა იგი ფრიად სიყვარულით და აღიხუნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი ბრწყინვალემან მეფემან გიორგი წელსა 1330, ქართულსა 18 და დასხნა ერისთავნი თჳსნი; ხოლო ბაგრატს მისცა საერისთო შორაპანისა და ჰყო მუნ ერისთავად. ამისნი მხილველნი დადიანი მამია და გურიელი და სვანთ ერისთავი და აფხაზეთისა შარვაშიძე მოერთვნენ ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისაცა და ყოვლისა გიორგისა. მერმე შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დიპყრნა ციხენი თჳსად და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს[1], ვითარცა პირველ ცხომისა იყო, უკუ-მოიქცა, შემოვლო გურია, განაგნა მუნებურნიცა და მოვიდა სამცხეს, არამედ სამცხეს ყოფასა შინა მეფისასა მოკუდა ათაბაგი სარგის წელსა 1334, ქართულსა 22. ხოლო მეფემან მიუბოძა ძესავე მისსა ყუარყუარეს ათაბაგობა და დასხნა ერისთავნი თჳსნი კლარჯეთს, სპერს, კალმახს, არტანუჯს და სამცხეს არტაანისა და წუნისა[2] და ამათ საერისთათაგან რომელიმე მიუბოძა ბიძათა და ბიძის ძეთა ყუარყუარე ათაბაგისათა და იყვნენ ესენი მორჩილებასა ათაბაგისასა. ხოლო განაგნა მუნებურნიცა, ვითარცა კეთილმან ხუროთ-მოძღვარმან ყოველნივე და წარმოვიდა და მოვიდა ტფილისს. მერმე კუალად განიხილნა მეფემან მთიულთა და კავკასიათა საქმენი, რამეთუ მრავალნი უჯერონი იქმნებოდნენ, რომლისათჳსცა შემოიკრიბნა მან სპანი, შევიდა და დაიმორჩილნა ყოველნი უმეტეს პირველისა კავკასსა შინა მყოფნი. ხოლო მუნიდამ ჩამოვლო ცხრა-ზმასა ზედა, მოვიდა მუხრანს და ჩამოიყვანნა მუნ რომელნიცა კავკასიასა შინა ქრისტიანენი იყვნენ თავნი მათნი და ხევისბერნი. შემოვიდა ტფილისს და შემოიყვანნა იგინიცა და განუჩინა მათ სამართალი და წესი და უხსნა წიგნით, რათა ჰყოფდნენ წაღმართ ეგრეთ[3].

1. ქ-ცხბით, „და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხომისა იყო“ (გვ. 449).

2. ქ.-ცხბით, „და დასხნა ერისთავნი თვისნი კლარჯეთს, სპერს, კალმახს, არტანუჯს და სამცხეს არტანისა და წუნისა“ (გვ. 449). არტანი და წუნა მდებარეობდნენ არა სამცხეში, არამედ ჯავახეთში და შეადგენდნენ სხვა და სხვა თემებს.

3. აქ ვახუშტი უჩვენებს იმ სჯულ-დებას, რომელიც აქამომდე ცნობილია „გიორგი მეფის სამართლად“ და რომელიც შეიცავს 66 მუხლს. საუბედუროდ ეს სამარ-

არამედ მოკუდა კათალიკოსი ექუთიმე და დასუა ბასილი. არამედ რომელმანცა ნოინთაგანმან დაიპყრა ყარაბაგი, ამანვე იწყო პყრობადცა სომხითისა, რანისა და მოვაკანისა და მოვიდა განძას, რათა დაიმორჩილოს გიორგი მეფეცა. ამისი მცნობელი მეფე მიეგება სპითა თჳსითა, ეწყო და იქმნა ბრძოლა ძლიერი; გარნა ძალითა ღმრთისათა მოსრნა მეფემან ბანაკნი მათნი და ივლტოდნენ და მოსწყუედდნენ სპანი მეფისანი მახჳლითა და შემოიქცა გამარჯუებული ალაფითა. კუალად ეგრეთვე საბერძნეთის სულტანმან ორხან[1] ინება, რათა დაიპყრას კლარჯეთი და მიმდგომნი მისნი. მცნობმან გიორგი მეფემან მიუვლინა მას ზავისა პირნი, ხოლო მან არა ინება და შეკრებული სპითა მეფე ეწყო სულტანსა; მოსცა ღმერთმან ძლევა და მოსრნა ურიცხუნი თურქნი და ივლტოდნენ სულტნითურთ. ხოლო მეფე მხიარული ალაფითა მათითა სავსე შემოიქცა გამარჯუებული და მოვიდა კუალად ტფილისს. ამისა შემდგომად უმეტესად დაიმორჩილნა მან რანი და მოვაკანი და სომხითი და მარადის მოსცემდიან

თალი ჩვენ ხელში ვერ ჩავიგდეთ და ამის გამო იმის შინაარსზე აქ ვერას ვიტყვით. ვთარგმნით მხოლოდ ფრანციცულიდამ ბროსსესაგან შეტანილს *H. de la G.*-ში p. 644 მის წინა-სიტყვაობას. ეს წინა-სიტყვაობაა შემდეგი:

„მეგლი მეფეთ მეფისა გიორგისა.

„ჩვენ მეფეთ მეფემ გიორგიმ, შვილმა განვითარებულის მეფეთ მეფის დიმიტრისამ დავდევით ეს მეგლი, ყოველთათვის საცნობელი, იმ დროს, როდესაც ჩვენ განსახილველად მივმართეთ მთების მაზრებს: პირველად მივედით ჩვენს ყინვანის სასახლეში; იქიდამ ხადაში და ცხაოტში, სადაც შემოვკრიბეთ ხევის-ბერნი და ეროვანნი; განვიხილეთ და განვაგენით მათნი საქმენი. შემდეგ მივედით დარიელამდე, სადაც გვცანით საქმენი, რომელნიც, როგორღთაც სისხლის საქმენი და მრავალ-გვარნი ბოროტ-მოქმედებანი, განუგებელად მიტოვებულნი, ძველის კანონ დებულების მოთხოვნილებისაებრ, ჩვენთა წინა-პართა გვირგვინოსანთა მეფეთაგან... გამოვიძიეთ ყოველნივე საქმენი მთიულეთისანი; მხურვალის ლოცვით მივმართეთ ლომისას მთავარ-მოწამეს და შემდეგ შევედით ცხრა-ზმის ხეობაში, სადაც დავაწყეთ რიგი და გავემგზავრენით მუხრანს; აქ დავყავით რამოდენიმე ხანი ჩვენს საზამთრო სასახლეში და ბოლოს ჩამოვედით ქალაქს ტფილისში, ტფილისს მოვიწვიეთ ერისთავნი სხვა და სხვათა თემთანი, მწყდართ-მთავარნი, ხევისბერნი და ეროვანნი და დავსხედით სასულიეროთ მეფითურთ, ქართლის კათალიკოსით ევთიმეთი, ვეზირებით, ეპისკოპოსებით და მოურავებითურთ. გვცანით მრავალ-გვარნი ჩვენთა ქვეშე-ვრდომთა საზოგადო ბოროტ-მოქმედებანი, ცოლის-წამებანი, ციხე-სიმაგრეთა შლილობანი, მკვლელობანი, ქმრიანთ დედა-კაცთა ტაცებანი, ცოლ-ქმრობის კავშირის უმიზეზოთ დათრგუნვანი, მრავალ ფერნი გარყვნილობანი. ერთის სიტყვით, არსად ჩვენ ქვეშევრდომთა შორის არა გვოვეთ არა-ვითარი პატივის-ცემა სამართლიანობისა. ამ ბოროტმოქმედებათა აღმოსაკვეცელად ჩვენ დავაწესეთ სჯულ-კანონი იმიერთა და ამიერთა ხეობათათვის: ჯავისათვის (?), ხაჯისათვის, ცხაოტისათვის, ზანდუკისათვის, ქვედა-კიბენისა და ზედა-მენესოსათვის".

1. ორხან შვილი ოთმანისა მეფობდა 1326—1239 წლამდე. მაგრამ ორხანის ისტორია არ იხსენიებას არც ერთს შემთხვევას იმის გალაშქრებისას საქართველოს დასავლეთს მხარეზე (*H. de la G.*, 648, n. 3).

ხარკსა და არცაღა იყვნენ თათარნი საბრძანებელსა მისსა. ხოლო ვინაჲდგან დაიმორჩილნა და დაიმონნა ყოველი გიორგიმ ნებასა შინა თვისსა და კავკა-სიელნიცა მორჩილებასა მისსა იყვნენ ნიკოფსიიდამ დარუბანდამდე; კვალად რანი და მოვაკანი და შარვან-შაჰ მოხარკედ აქვნდა და არღარავინ იყო წინა-აღმდგომი და ურჩი მისი, შემოიკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოსნი და განაახლნეს წესნი და რიგნი საეკლესიონი და სამღვდელონი განმართნეს და დაადგინნეს მოწესენი წესსა ზედა თვისსა და უწესონი განჰკვეთნეს. ხოლო კვალად ამის მეფობასავე მოკუდა დადიანი მამია და მიუბოძა მეფემან გიორგი ძესა მის-სავე გიორგის დადიანობა წელსა 1345, ქართულსა 33.

ხოლო ამისათვის ეწოდა მეფესა ამას გიორგი ბრწყინვალე, რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვნებითა უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლ-თა და ქვრივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. მერმე, ვინაჲდგან იყო ივე-რია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე გონიერე-ბითა და ძლიერებითა თვისითა კვალად შემოკრიბნა და დაიმონნა, ვითარცა აღმაშენებელმან განავსნა და აღაშენნა ქვეყანანი, სჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღვეულნი და მოოხრებულნი აღაშენნა, განაახლნა და განანათლნა; ხოლო რანი, შარვან-შაჰ და მოვაკანი მოხარკედ ჰყვნა თვისად; სძლო ყოველთა, სადაცა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა და სადაცა ხამდა სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდნა და მეფობდა მე-ფობითა კეთილითა ივერიასა ზედა ოცდა რვასა წელსა, შემდგომად გარდაიცვალა ყოვლითა დაღვთის მსახურებითა სავსე ტფილისს წელსა 1346, ქართულსა 34 [1]

## მეფე დავით VII [2] (1346—1360).

ხოლო შემდგომად მეფის გიორგისა დაჯდა ძე მისი დავით მეფედ. შე-მოკრბნენ კათალიკოზ-ეპისკოპოსნი და დიდებულნი ნიკოფსიით, სპერით და-

1. ბორჯომის ხეობაში, სოფელს დაბაში, ეკლესიის მშვენიერისა ხელის ხუცური წარწერა მოგვითხრობს: „ინდიკტიონსა მეფეთ მეფესა გიორგისა, ძისა დიმიტრისა, მეცხრამეტესა (ინდიკტიონსა). სიტყვისა ღვთისა ხორცთ-შესხმისა მიზეზო! აღვაშენე ტაძარი ესე ჟამსა მეფეთ მეფისა გიორგისა მე მამამან მოლარეთ-უხუცესმან. ქ̃კ̃ნ: 21". ინდიკტიონი ანუ წელი გიორგის მეფობისა უდრის 1337 წელს და ქორონიკონი 21 კი—1333 წელსა. მაშა სადამე აქ შეცდომა რამ უნდა იყოს (Brosset, *V. arch.*, VI, 102,-*Mél. Asiat.*, II, 266). თუ შემცდარი არა ვარ, მე ამ წარწერას მივაწერ არა გიორგი ბრწყინ-ვალეს, არამედ მეფეს გიორგი III (1156—1184), რადგანაც პალეოგრაფიულის ხელოვ-ნებით გადმოღებულს ამ წარწერაში ქორონიკონი 21 არ არის სრულებით ნაჩვენები და მაშა სადამე ხსენებული შეცდომა ამ შემთხვევით უნდა აიხსნას (ნაკ. ჩემი დღიური, № 1, გვ. 164).

2. „ამის მეფობის ქორონიკონზე ლეონ მეფის გუჯარიც არის. მე ვგონებ, ორივ სახელი ამას ერქვა დავით და ლეონ, ვითარცა დავით და ბაგრატ რეგვენს ერქვა; თვარე ორი მეფე ერთად უგონებელი არის ესრეთსა მცირესა ჟამსა შინა". ვახუშტი.

რუბანდამდე და აკურთხეს მეფედ. ამან დავით მეფემან დაიპყრა ყოველნი საბრძანებელნი მამისა თვისისანი და ჰმატა უმეტეს შენებათა ეკლესიათათა და ციხე-სიმაგრეთა, რომელნი მოოხრებულ იყვნენ და დაუშთნენ ბრწყინვალესა მეფესა გიორგის, ვინადგან მოსცა ღმრთმან ჟამნიცა მშვიდობისანი. ხოლო ჟამსა უკუე ამისსა მოკუდა კათალიკოსი ვასილი და ამან დასვა კათალიკოსად დოროთეოს და ამისვე ჟამსა წელსა 1357, ქართულსა 45 დაბნელდა მზე[1] და კვალად ამავ დავით მეფის ნებითა შეირთო ბაგრატ ერისთავმან მიხაილ მეფის ძმან ასული ყვარყვარე ათაბაგისა. ხოლო ამან დავით მეფემან იმეფა კეთილად დღეთა მისთა მშვიდობით და ღვთის მსახურებით, ვინადგან მეფესა გიორგის დაემორჩილნეს და დაემშვიდნეს ყოველნი და მოვლიდა კუე დავით მეფე სამეფოსა თვისსა ზემო-ქვემოსა, ამერ-იმერთა და განაგებდა, ნადირობდა და იშვებდა; არამედ ბეგუთის ყოფასა შინა გარდაიცვალა წელსა 1360, ქართულსა 48; დაუტევა დედოფალი ცოლი თვისი სინდუხტარ და ძე ბაგრატ. ხოლო მეფე დავით მიიღეს და დაფლეს გელათს.

## მეფე ბაგრატ V (1360—1395).

გამეფდა შემდგომად დავით მეფის ძე ბაგრატ და შემოკრბნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი, დიდებულნი და წარჩინებულნი და აკურთხეს ქუთათისს. ამან დაიპყრა ყოველი ივერია საბრძანებელსა შინა თვისსა, რამეთუ იყო მხნე, ახოვანი, ტანითა ძლიერი, შვენიერებითა ჰაეროვანი, უცთური მოისარი, სამხედროთა სრული, სამღვდელოთა პატივის-მცემელი, მშვიდი, მოწყალე, შემმართებელი ძლიერი. არამედ ამის მეფობისა მეორესა წელსა დაბნელდა მზე და შეუდგნენ სვანნი, გარდამოვიდნენ, მოსტყვევნეს ქუთათისი და მოსწვეს. სცნა რა კუე ბაგრატ მეფემან, მსწრაფლ მოვიდა ქუთათისს, მუნ შემოიკრიბნა სპანი გიორგიისანი და ჰერ-კახთა, წარუძღვანნა რაჭველნი და უბრძანა მათ მისვლა რაჭიდამ და დადიან-გურიელნი და აფხაზნი და სომხითარნი მიგზავნა ოდიშიდამ ეწერსა ზედა; ხოლო თვით წარიძღვანნა ლეჩხუმელნი და მიატანნა მესხნი, კლარჯნი და იმერ-ამერით მიჰყვა თვითცა და შევიდა ეწრეთ. არამედ მხილველნი სვანნი ძლიერებისა მისისანი ვერღარა წინა-აღუდგნენ. მაშინ მეფემან ურჩნი და შემცოდენი თვისნი მოსწყვიდნა, მოსტყვევნა და დაიმორჩილნა ნებასა შინა თვისსა, აღიხვნა ციხენი და სიმაგრენი მათნი და უმეტეს პირველისა მორჩილ-ჰყვნა.

ხოლო იტყვიან, მაშინ იყო ერისთავი სვანთა ვარდანისძე. შეიპყრა იგი მეფემან და პატიმარ-ჰყო. შემდგომად რაოდენთამე ჟამთა შეიწყალა და მისცა გურია საერისთოდ და სვანთა ერისთავად დასვა სხვა, რომელსა იტყვიან ბე-

1. ბროსსეს ცნობით მეცნიერული გამოკვლევა იმ წელს უჩვენებს ორს მზის დაბნელებას, 17 და 29 ივლისს (*H. de la G.*, 649 n. 4).

ლოკანსა[1] მოხარკედ და მსახურ სასახლისა თვისისა და უკუ-მოიქცა გამარჯვებული ქუთაისს. ამავ ჟამთა მოერთვა ამბავი, რამეთუ თურქთა მოარბიესო სამცხე. მსმენელი მეფე მსწრაფლ წარვიდა 12,000 მხედრითა, გარდავლო ფერსათი და სამ დღე-ღამე მვლელი მიეწია რახსს იქით; ხოლო თურქთა მათ ემცნო ტყვეთაგან მეფისა და სპათა შორს ყოფნა და ვიდოდნენ უშიშრად; არამედ რა იხილნეს სპანი მიმწევნელნი მათნი, მოიქცნენ ფიცხლად და ეკვეთნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. შემდგომად ძალითა ღვთისათა სძლო მეფემან ბაგრატ, მოსწყვიდნა ესრეთ, ვითარ მცირედნი გარდაიხვეწნენ; უკ-მოიხვნა ტყვენი და ალაფნი მათნა და მოვიდა სამცხეს. ხოლო ამასვე წელსა მოკვდა ათაბაგი ყვარყვარე და მიუბოძა ათაბაგობა მეფემან ძესა მისსა ბექას[2], რომელი იყო პირველ მანდატურთ-უხუცესი. შემდგომად მოვიდა მეფე ბაგრატ ტფილისს. არამედ რა იხილეს სიმხნე და მომძლირნეობა მეფისა, დამშვიდდა ქვეყანა შიშითა მისითა და არღარა-ვინ იყო მავნებელი და შენდებოდა ქვეყანა. გარნა მშვიდობასა ამას შინა იქმნა მომსრველი ჟამი, სვრა და სიკვდილი ძლიერი და მოისპნენ სულნი ურიცხვნი და მოკვდა ცოლი მეფისა ბაგრატისა დედოფალი ელენე და დაუტევნა ძენი გიორგი და დავით წელსა 1366, ქართულსა 54. შემდგომად კვალად დაბნელდა მზე წელსა 1372, ქართულსა 60. არამედ ესე-ოდენი დაბნელება მზისა მოასწავებდა ქვემო-თქმულთა ბოროტთა საქართველოსა ზედა.

ამასვე წელს მოკვდა ბაგრატ ერისთავი იმერთა. ხოლო მეფემან ბაგრატ დაადგინა მის წილ ძე მისივე ბაგრატისა ალექსანდრე ერისთავად. ამისა შემდგომად აქვნდა მეფესა 14 წელნი მშვიდობისანი და იყო უკვე ყოველი გიორგია შენობასა შინა, შვებასა, ნადიმობასა და ნადირობასა. ხოლო მეფე მოვლიდა ყოველსა საბრძანებელსა თვისსა თვის-თვისთა ჟამთა ქვეყანათა და თუმცა ვინ წინა-აღმდგომ იქმნებოდიან, მცირედითა შერისხვითა დაიმორჩილებდის. არამედ აქვნდა მას მოხარკედ რანი, მოვაკანი და დვინი. ხოლო მოკვდა კათალიკოსი დოროთეოს და ამან მეფემან დასვა გიორგი.

არამედ წელსა 1375, ქართულსა 65 მოსრნა ლანგ-თემურ თურქთა მეფე და დაიპყრა ყოველი თურქეთი. ესე თემურ იყო ჩინგიზთავე გვარისა და ტომისაგან. განიმრავლა სპანი, დაიპყრა თურქეთი, ინდოეთი, სპარსეთი და მოისმარა ძლიერება მისი, იწყო მეფემან ბაგრატ ციხეთა, ქალაქთა და სიმაგრეთა

1. „ვარდან ერისთავი სვანთა“ პირველად იხსენიება გიორგი მეფის დროს (1072—1089. ქ.-ცხ.,-235). რომ ვარდანიძეები გადმოსახლებულნი უნდა იყვნენ სვანეთიდამ გურიაში; რომ მათგან უნდა მომდინარეობდნენ გურიის მთავარნი ანუ გურიელები; რომ ამ ვარდანიძეს გვართანა აქვს ნათესაური კავშირი თვით სამეგრელოს პირველს მთავრის სახლს. ამაზე ნახე ლიხაურისა და ჯუმათის წარწერნი, ჩემგან გადმოღებულნი და გარკვეულნი (*Археол. путеш. по Гуріи и Адчарѣ*, 109,111—112, 261, 268, 269).

2. ყვარყვარე I მოკვდა 1361 წ. და იმის მემკვიდრედ დაჯდა ბექა II (*H. de la G.*, 1, 663, n. 2.; II, 2 *liv.*, 379)

განმაგრებად და სპათა განმრავლებად. მოკვდა დადიანი გიორგი და ამან მეფე-მან დასუა ვამიყ. არამედ თემურ დაიპყრა რა სრულიად სპარსეთი, წარმოემარ-თა ჩვენ კერძოდ და შემოვიდა სომხითს, მოსრნა, მოსწყვიდნა, შემუსრნა სიმაგრენი და მოსტყვევნა[1]. მერმე ნოემბერსა შინა მოადგა კარს[2], შემუსრა იგი და დაადგრა მუნ ზამთარსა მას, რამეთუ იყო მუნ მყინვარება ძლიერი და

1. თემური ანუ მართლ-წერით თიმური იყო შვილი მონგოლთ მთავარის თარაგაჲსა და შეადგენდა მეოთხე თაობას ჩინგიზ-ყაენის ვიზირის ყარაჩარ-ნოინისას. თემური დაიბადა იმავე 1335 წელს, რომელ წელსაც მოკვდა აბულ-საიდი ბაჰადურ-ხანი, უკანასკნელი მონგოლთ მფლობელი სპარსეთისა (*H. de la G.*, 650, n. 3). თემური გამეფდა 31 წლისა 1366 წელს (*H. de la G.*, 651, n. 1). თემურის მხეცურის ბუნების სურათი, თუმცა მოკლედ, ნახე ლებოს *H. du B—E.* XXI, 49—50. ლებოს თანახმად გვიხატავს თემურის მძვინვარე ხასიათს და ამასთანავე ვრცელს ცნობებს გვაძლევს იმის ისტორიულ მოქმედებაებზე, გარდა მუსულმანთ მწერალთა, სომხის მწერალი თომა მეძობი (მოკვდა 1448 წ.) თავის „ლანგ-თემურის დროჲს სომხეთის ისტორიაში“. რა გვარად დაიჭირა მან სამარყანდი და ბუხარა, რა-გვარ დაიმონავა ხვარასანი და სპარსეთი სომხეთის საზღვრამდე, რა მხეცურის ბარბაროსობით ხელ-მძღვანელობდა იგი სომხეთისა და საქართველოს განადგურებაზე ეს ნახე *Etude sur de Thomas de Medzoph Journal Asiatique*-ში *aut-sept.*, 1855, p. 221—281).

2. თომა მეძობი არას ამბობს თემურისაგან ყარსის აღებაზე; მხოლოდ მოგვითხრობს იმის შემოსვლას ნახჩევანში და სიუნში 835—1386 წელს, თუმცა, თომას თქმით, ცივის ზამთრისა და თოვლის სიმრავლის გამო იგი იძულებულ იქმნა უკუ-ქცეულიყო. მომავალ წელს თემურმა აიღო თავრიზი, ერენჯა და სურბ-მარი (*H. de la G.*, 651, n. 2).

თვით ქ.-ცხ-ის ცნობა საქართველოს აოხრებაზე თემურისაგან ისეთ გვარად არის ნაამბი და იმ გვარის დაწვრილებით, რომ ცხადად ჰხედავთ მოამბის კალამში თანა-მედროჲს კალამს. ამის სხვათა საბუთთა შორის ნახე თვით ქ.-ცხ-ის გვ. 456. გარდა ამისა ბროსსე უჩვენებს იმ დროზე სხვა ცნობასაც ერთის კერძო პირისას, რომელსაც მონაწილეობა მიუღია ბრძოლაში თემურთან (*H. de la G.*, 662, n. 2); მაგრამ ეს ცნობა ჩვენ არა გვაქვს ხელში.

აქ დავძენთ, რომ თომა მეძობის ნაამბი, ესე იგი თემურისაგან საქართველოს განადგურება, ბაგრატის დატყვევება, ამისგან „ხელოვნებით“ ისლამის მიღება და შემდეგ 12000 თემურის ჯარის ამოჟლეტა ბაგრატისაგან და იმის შვილის გიორგისაგან გვიჩვენებს, რომ თომას უეჭველად ან ქართულის წყაროდამ გამოაქვს იგინი, ან თავის თვალით უნახავს ნაამბი საქმეები. როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, თომა მოკვდა 1448 წელს, მაშა სადამე თანა-მედროვე ნაამბისა იგი არ არის და ამის გამო პირველი აზრი ჩვენ უეჭველ ფაქტად მიგვაჩნია.

ქ.-ცხბა ლანგ-თემურის დასაწყისის ისტორიაში ამბობს: „და უფლებდა რომელსამე ელსა და სპათა ზედა. ესრედ განაგებდა ელსა და სპათა“ (გვ. 451). ამ დროდამ შემოდის ხმარებაში ე ლ ი. ბროსსე სთარგმნის ელს სიტყვით *tribu* (*H. de. la, G*, 650). ამ სიტყვას საბა ორბელიანი არ იხსენიებს. ჩუბინოვი თავის ლექსიკონში მას ჰხადის თათრულ სიტყვად და „ჰნიშნავსო მთა-ბარად მოძრავს ტომსა“. მართლადაც ამ სიტყვას ახლა ეს მნიშვნელობა აქვს და აქედამვე უნდა იყოს წარმომდგარი ე ი ლ ა ღ ი. ამ მნიშვნელობითვე იხმარება ელი ჩვენს მატიანეში: „მოვიდნენ და მოსრნეს ელნი ბორჩალო“ (ქ.-ცხ., II, 83)“. „ამან სოლიმ-ხან მოიყვანა ელნი და დასხნა შიგნით და გარეთ-კახეთს და დაიპყრეს

თოვლი დიდ-ფრიად. მაშინ მეფემან ბაგრატ მკსინვარებითა ჰაერისათა და სიმრავლისათვის სპათა თემურისათა ვერღარა იკადრა გარე საზღვართა ბრძოლა; გარნა ამაგრებდა ქვეყანათა და ხიზნვიდა თემთა და თემთა გაზაფხულ ბრძოლისათვის მზა-მყოფელი. არამედ ათაბაგმან ბექამ იხილა რა ძლიერება თემურისა, შეუშინდა, უარ-ჰყო მეფე თვისი და მივიდა წინაშე თემურისა; ხოლო მან პატივითა შეიწყნარა, მოსცნა ნიჭნი და განუტევა, რათა არღარა მიერთნენ მესხნი ბაგრატ მეფესა. ამისი მსმენელი მეფე დამძიმდა ფრიად; გარნა წარავლინა ძე თვისი გიორგი იმერეთს, რათა არა იქმნეს მუნცა განდგომილება და თვით შემოიკრიბნა სპანი იმერთა, ჭერ-გასთა და რომელთამე მესხთაცა; განამაგრა და განამტკიცა ტფილისი და განავსნა სპითა და დაადგრა მათ შინა.

ესმა ლანგ-თემურს მეფისაგან მაგრება და ბრძოლისა მზადება, განძვინდა და წარმოემართა გაზაფხულს; გამოვლო აზოცი და მოგზაური მოსრვიდა და მოსტყვევნიდა ყოველთავე გარემოთა; მოვიდა და მოადგა ტფილისს. მაშინ გაუსდის თვით მეფეცა და უმრავლესად სპანი მარადის ქალაქისა და ციხისაგან. იყვის ბრძოლანი ძლიერნი თვეთა ექვსთა დღე ყოველ და მოისრვოდნენ თემურისანი უმრავლესნი, ვინადგან სქართველოსანი გამარჯვებულნი და ალაღებულნი შემოვიდიან. არამედ აღუჩნდა ესე-ვითარი თემურს და ვერა რაოსადა ღონის-მძიებელმან ბრძოლისამან მოიხელოვნა და ბრძანა შექმნად ჩელტნი რკინისანი მრავალნი და მოუძღვანა სპათა თვისთა[1] და მოვიდა. მხილველნი სპანი ბაგრატისანი მიუტევნენ კადნიერად; არამედ ჩელტის გამო, ვერღარა შეუძლეს მიახლებად სპათა თემურისათა; ხოლო სპანი თემურისანი მოსრვიდნენ უწყალოდ ქართველთა, აოტნეს და მოჰყვნენ და ვერღარა დაუდგეს სიმრავლეთა მათთა; შემოვიდნენ ქალაქსა შინა, მოსწყვიდნეს მრავალნი და სხვანი მოსტყვევნნეს; გარნა სპანი რომელნიმე ივლტოდნენ, ვითარცა განივლტო ალექსანდრე ერისთავი იმერთა. შემდგომად მოადგნენ ციხესა და მცირესა ხანსა შინა გამოიყვანეს მეფე ბაგრატ დედოფლითურთ თვისით ანნათი[2] წელსა 1387,

მათ ზახტრიანი“ (იქვე გვ. 124). სიტყვა ელი ნახე აგრეთვე „დასტულამაში“ გვ. 30, 31, 56, 67, 124).

1. ქ.-ცხბით, „და ქმნეს ჩელტები რკინითა შემზადებული. ესე ალიფარეს და მიუტევნეს ციხესა ტფილისისასა“ (ქ.-ცხ., 454). ჩ ე ლ ტ ი ს განმარტება ჩვენ არსად ამოგვიკითხავს; საბა ორბელიანი კი თავის ლექსიკონში ჩელტს ლ ა ხ ტ ა თ ა ჰხადის. ბროსე ამ ახსნით არ არის კმაყოფილი და ჩელტს ასე სთარგმნის: il fit préparer des *chevaux de frise* en fer (*H. de la G.*, 653, n. 2). *Cheval de frise, pièce de bois armée de pointes fer* (Littré).

2. როდის იქორწინა ბაგრატმა ანნაზე, ან ვისი ქალი იყო იგი, ამაზე ქართული ისტორია არას მოგვითხრობს, თუმცა იმის პირველის ცოლის ელენეს სიკვდილს უჩვენებს 1366 წელს. ანნაზე ხსენებულს ცნობას გვაძლევს პანარეტის „ხრონიკა ტრაპიზონისა“, რომელიც ანნას ჰხადის ტრაპიზონის იმპერატორის მანუელ III (1350—1390 წ.) ქალად და თვით მის შეუღლებას „იბერიის მეფის პანკრატისთან“ უჩვენებს 1367 წელს.

ქართულსა 75. ხოლო თემურმან ტყუე-ჰყვნა მეფე და დედოფალი, შეაყენნა ციხესა შინა მცველნი გუშაგნი თვისნი და წარვიდა თვით, ჩავლო ყარაია ნადირობითა და მივიდა ბარდავს[1]. მან აიძულებდა მეფესა ბაგრატსა, რათა დაუტეოს ქრისტე და იქმნას მაჰმადიან, რამეთუ თვით იყო სუნი[2]. გარნა შეიყვარა მეფე ჭაეროვნებისა და სიმხნისა მისისათვის და არა ენება ბოროტის-ყოფა მის ზედა; არამედ მიმისათვის, რათა იქმნას მაჰმადიან, აქადებდა ტანჯვასა და უპატიოებასა და კვალად, თუ ჰყოს ნება მისი, ნიჭსა დიდსა, თავის-უფლებასა და აღუთქმიდა სამეფოსავე თვისსა; გარნა მეფემან არა ინება, არცა ურჩდა.

შემდგომად განვიდა თემურ ბარდავიდამ შარვანს, დაიპყრა იგი და შემუსრნა ლეკნი და დასხნა მთთა მირთა ზედა და კლდთათა ქლნი მაჰმადიანნი ვიდრე თერგის მდინარემდე. უკუ-მოიქცა მუნიდამ, ჩავლო და დაიპყრა გილან-მაზანდარანი და თანა ჰყვა ბაგრატ მეფეცა. ხოლო ძე მეფის ბაგრატისა გიორგი დამძიმდა ფრიად ესე ვითარითა სმენითა, წარმოვიდა იმერეთიდამ და მოვიდა ქართლს; ვერ ბრძოდა ტფილისს, რამეთუ ეშინოდა ვნებისათვის მამისა თვისისა; განაგნა და განამაგრნა მუნებურნი; შემოიკრიბნა სპანი, რათა მივი-

პანარეტი ამბობს: "ივნისში, მეორეს ინდიკტიონს 6875—1367 წლისასა ჩვენ ჯარითურთ ხმელეთით და ზღვით ვეახლენით ლაზიკაში იმპერატორის ასულს, კირა-ანნას, დიდ კომნეს, რომელიც შეუღლდა კირ-პანკრატის პანკრატიდს იბერიელთა და აბაზგთა მეფეს..." „ანნა გარდაიცვალა 2 მარტს 6903—1395 წელს". (*H. de la G.*, 653, n. 3.—Lebeau, *H. du B.—E.*, xx, 399, 507).

1. ქ-ცხბით, თემური ყარაიიდამ ჩავიდა ყარაბაღს და იქიდამ გაგზავნა კიდევაც „სიმრავლე სპათა ურიცხვი და ამცნო სრულიად მოოხრება და დასრულება ქართლისა და უმეტესად წმიდათა ეკლესიათა". აქ ქ-ცხბა გრცლად აგვიწერს მოოხრებას ანუ ამოწვას და დარღვევას მცხეთის ტაძრისას, რუისისას და ქვაბთა-ხევის მონასტრისას. ამ უკანასკნელზე ქ-ცხბა გვამცნევს: „და დაწვეს ტაძარი იგი ქვაბთა-ხევისა... ხოლო დამწვარნი იგი წმიდათა გვამთა აჩრდილნი ვიდრე დღეინდელად დღემდე იხილვების იატაკსა შინა, შიგან წმიდისა ტაძრისასა" (გვ. 455—457).

აქ არ უნდა უყურადღებოდ დავტოვოთ შემდეგი გარემოება: ამ დროს საქართველოს პოლიტიკურის ანუ შინაგანის წყობილების ცვლილებას შემოაქვს ცვლილება სახელ-წოდებათა თვით ჩვენის მხარის გეოგრაფიაში. ამ საგანზე აი ქ-ცხბის სიტყვები: „დაუტევეს ქვე-კერძონი იგი სანახები ქართლისანი და წარვიდეს ზემო-კერძოდ, შიდა-ქართლად, რომელსა აწ ზემო-ქართლად უწოდენ" (გვ. 455). „ჩაუდგა შიგან ზემო ქართლსა, რომელ არს საათაბაგო" (გვ. 466). „და მოვიდა მძლავრიცა ლანგ-თემურ სპითა მრავლითა და ურიცხვითა და შეუვლო ქვემო-ქართლი" (გვ. 470). ამ საგანზე ნახე ზემოდაც გვ. 12, შენ. 3 და გვ. 128, შენ. 2.—*H. de la G.*, 656, n. 1. ბროსე ფიქრობს, ქვემო-ქართლი უნდა იყოს სომხეთი ანუ საქართველოს მტკვრის სამხრეთად (ib., 673, n. 2).

2. „თ ვ ი თ ი ყ ო ს უ ნ ი". სუნი-აღსარება, რომელსაც აღიარებენ აქამომდე მაჰმადიანნი აფრიკაში, ეგვიპტში, სირიაში, ოსმალოში, არაბეთში და სათათროში. სუნის მოცილე ანუ წინააღმდეგი ისლამის აღსარება სპარსეთში არის შიიტის აღსარება.

დეს და შემოიმტკიცოს ფვალად ბექა. ათაბაგი, ჯრამედ ალექსანდრე, ისილა რა გიორგის წარმოსვლა იმერეთიდამ და ვითარებანი ქსე, განდგა თვითცა და ეკურთხა მეფედ იმერთა და ბრძოდა ციხეთა ბაგრატ მეფისათა და ვინადგან არა მოერთნენ ერისთავნი, დადიან-გურიელი, აფხაზთა და სვანთა, ვერ აღიღო ქუთათისი; გარნა სხვანი რომელნიმე ციხენი აღიხვნა. შემდგომად მოკვდა ალექსანდრე და დაჯდა მის-წილ ძმა მისი გიორგი მეფედ[1]. ხოლო ძე მეფისა ბაგრატისა გიორგი ვერ ეკურთხა, ვინადგან ჰყვა მამა პყრობილი და ვერცა ბრძო-

1. ვახუშტის მიერ მის ისტორიაში ჩართულის „ქორონიკონებით“ „1389 წელს მოკვდა ალექსანდრე მეფე და ძმნა მისი გიორგი გამეფდა იმერეთა ზედა“.

იქვე: „1390 წელს აფხაზთა კათალიკოსად დასვეს არსენი“ (ქ.-ცხბ.; II, 238,—*H. de la G.*, 659, n. 2). ეს არსენი არის შემდეგ საქართველოს დანაწილებისა პირველი კათალიკოსი აფხაზეთისა. ამ დრომდამ თვით საქართველოს ეკლესია სამუდამოდ იყოფა ორ საკათალიკოსო სამწყსოდ.

შემოგვაქვს აქ ოთხის გუჯრის ცნობა, რომელიც ჰმოწმობს, რომ ამ დროს თვით სამცხე-საათაბაგოს ეკლესიისა და მცხეთის საპატრიარქო კათედრის კავშირიც კი სუსტდებოდა და ირყეოდა:

ა) „მოგახსენეთ ჩვენ პატრონმან ათაბაგმან... ცათა მობაძავსა კათოლიკე მცხეთის საყდარსა და მას შინა დამკვიდრებულსა ქართლისა კათალიკოსსა ბასილის და კათოლიკე მცხეთის საყდრისა შვილთა მას ჟამსა, ოდეს სჯულის საქმეზედ კარზედ მოგადექით და ჩვენ ამას დაგპირდით, იპრიანოს ღმერთმან და ჩვენ საბატონო მამული ჩვენვე დავიჭიროთ, როგორათაც ძველითგან და პაპისა და მამისა ჩვენისა ჟამშიგან მცხეთის საყდრის მამულნი ყოფილიყვნენ და ეპისკოპოსნი და მაწყვერელი თქვენგან საკურთხეველი ყოფილა და სხვანი სამცხის ეპისკოპოსნი, ყოველნივე ისრე თქვენნი სამწყსონი იყვნენ და ისრე დაგამორჩილნეთ და სამღრთოთა და სულიერითა საქმითა თქვენისა ბრძანებისა მორჩილნი ვიყვნეთ. ამისა გათავებისა თავს-მდებად ღმერთი და სვეტი ღვთივ-აღმართებული და ყოვლად-წმიდა აწყვერისა ღვთის-მშობელი მოგვიხსენებია და რაცა საათაბაგოშიგა მცხეთის საყდრისა მამულნი იყვნენ, არც ისი დაგიჭირო და მოგანებოთ“.

ბ) „ესე დაწერილი მოვახსენე წმიდასა დიდებულსა კათოლიკე-სამოციქულო-ეკლესიასა და მუნ შინა ღვთივ-აღმართებულსა სვეტსა ცხოველს-მყოფელსა და ჩემ მაკურთხეველსა ქართლისა კათალიკოსსა იოანეს. მე გლახაკმან მაწყვერელ-მთავარ-ეპისკოპოსმან ნიკოლაოზ მას ჟამსა, ოდეს ღვთივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან დავით შეიწყალეს და საყდარი აწყვერისა მიბოძეს თქვენის თანა-დგომითა და ჯერ-ჩინებითა... ესე დაწერილი და აღთქმა მოგახსენეთ, სიცოცხლესა ჩემსა თვინიერ მცხეთისა სახლი და ქალაქი არა აღვიარო და თქვენ მაკურთხეველისა ჩემის იოანეს კათალიკოსისგან კიდევ სხვასა კათალიკოსსა არ დავემორჩილო; მოძღვრად და მაკურთხეველად ჩემდა წმიდა დედა-ქალაქი მცხეთა და თქვენ იყვნეთ...“

გ) „ესე წიგნი გკადრე და მოგახსენე თქვენ წმიდასა და ქრისტეს მიერ კურთხეულსა მთავართ მთავარსა ქართლისა კათალიკოსსა მიქაელს მას ჟამსა, ოდეს მცხეთას მოვედი და მაკურთხეთ, აწ ესე წიგნი მე მაწყვერელ-მთავარ-ეპისკოპოსმან გერასიმე მოგახსენე და ვინცა შემდგომად ჩემსა მაწყვერელნი იყვნენ და... როგორც ამას წინათ მეფეთა მლოცველნი და თქვენნი მომხსენებელნი და ერთგულნი ყოფილან, ყოვლად იმავე

და მტერთა და განდგომილთა თჳისთა და დაეპყრნეს ნეშტნი ქუეყანანი; ამისათჳს ეზრახებოდა, რათა არა ჰქონდეს განდგომილებაი, რამეთუ არს მტერი ძლიერი და მშჳნვარე და შეუერთებელნი მოკისრჳითა ყოველნი. შემდგომად მოკუდა ათაბაგი ბექა წელსა 1391, ქართულსა 79 და ნებითა მეფ. ს. მის.

წესით მწყემსთა მლოცველნი ვიყვნეთ და თქვენნი მომხსენებელნი, არც პატრიარქი მოვიხსენოთ ანტიოქიისა, არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ...“

დ) „ესე წიგნი გკადრეთ და მოგახსენეთ ყოვლისა საქართველოსა პატრიაქ-კათალიკოსსა ბასილის ჩვენ კუმურდოელ-მთავარ-ეპისკოპოსმან ზოსიმე მას ჟამსა, ოდეს კუმურდოელად ხელნი დამხსენ და თქვენ მიერ კურთხევა მივიღე, ასრე და ამა წესითა; პატრონისა ათაბაგის უზნოსა საქმითა თქვენნი და თქვენისა საყდრისა გაუყრელნი და ერთგულნი ვიყვნეთ სალმრთოთა და საეროითა საქმითა რაც მცხეთისა საყდრისა წლითი-წლამდ სამსახური გვმართებს, როგორც სხვათა სამცხის ეპისკოპოსთა რაც ოდენ შვედვას, არც ჩვენ დაგაკლოთ“.

ამ გვარ ხელ-ნაწერებს უმეორებენ შემდეგაც, მე-XV საუკუნეში, მცხეთის კათალიკოსს მაწყვერელი, კუმურდოელი, მტბევარი და ანჩელი“.

მაინც ამ ღონის-ძიებამ ვერ შეიკავა სამცხე-საათაბაგოს სამწყსო. შემდეგში ერთი გუჯარი გვარწმუნებს, რომ ზემოდ-ხსენებული ანტიოქიის საპატრიარქო კაფედრა განაგებდა მას, როგორც საკუთარ სამწყსოს და მცხეთის საკათალიკოსო კაფედრის უფლება აღარა ჩანს. „დოროთეოს პატრიარქი დიდისა ღვთისა ქალაქისა ანტიოქიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა მოგიმცნებ ქრისტეს მიერ თქვენ დიდსა პატრონსა მზეჭაბუკს და ყოველსა საბრძანებელსა თქვენსა, რამეთუ სადაცა მიიწიოს ღონე მაგისი და დასთრგუნოს ქვეყანაჲ მტერთა, მოსცეს ღმერთმან ადგილი იგი, ანუ რომელთა იხილონ წვერი ჰოროლისა მისისა თჳნიერ კვეთებისა ლტოლვილ ქმნენ ყოველნი წინააღმდეგნი მისნი პატრონისა და ღვთის მიერ განმტკიცებულისა და განძლიერებულისა დიდისა მეფისა ჩვენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფისა, პატრონისა მძეჭაბუკისაგან; სამარადისოდ ჰყოს ღმერთმან პატივი და დიდება და დაანთქნეს მტერნი მისნი და მოსცეს ძლევა მათ ზედა მას და ყოველსა მხედრობასა და ერსა მისსა და ადიდოს სახელი მისი... მერმე ებრძანა აწყურისა ღვთის-მშობლისა საქმენი პირველნიცა და უკანის რაჲ გარდახდა და თუ რაზამნი სასწაულნი აღასრულნა და ვეველრები, რათა მეცა ღირს-მყოს ხილვად და თაყვანის-ცემად მისა და ესეცა, ვითარმედ აწცა წარუვლენიან კაცნი სოფელსა... და ჩვენიცა ეპისკოპოსი ყოფილიყო მათ წინაშე სახელით გრიგოლი ბოლოზნის ეპისკოპოსი და მან თვით განეცადა ყოველი საქმე და თვალთა ეხილა და გულის-ხმაჲ ეყო უსჯულოებაჲ მეფეთა და ერისა მათისა და პატრონისა მათისა მზეჭაბუკის ღვთის მოშიშობაჲ და, მართლ-მადიდებლობაჲ, ყოველივე განგვაცადა და გულის-ხმა-გვყო და ეგრეთვე მაწყვერელისა სიკეთე და, ღვთის-მოშიშებაჲ და მართლ-მადიდებლობაჲ და მეცნიერებაჲ და სჯულთა ღვთისათა კეთილად პყრობაჲ და დაცვა მცნებათ ღვთისათა. ამისათვის ვითარცა ჯერ-იყო და სამართალ, მადლითა ღვთისათა ვინებეთ და მას მივათვალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონისა მზეჭაბუკისა, რათა ეპისკოპოსნი მისგან ეკურთხეოდენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა ჰმორჩილებდნენ და მისდამო მიგვიცემიეს ხელმწიფებაჲ შეკრვისა და განხსნისა...“ (ნახე ჩემი ს ა ქ-ი მ ე რ. კ ა ნ ტ ო რ ი ს გ უ ჯ ა რ თ ა რ ე ე ს ტ რ ი, გვ. 574—580). დოროთეოსს ანტიოქიის პატრიარქს ბროსსეს უჩვენებს 1460 და 1560 წლებთა შორის და მზეჭაბუკ ათაბაგს 1502—1506 წელს. (*H. de la G.*, II, 2 *livr.*, 471—472).

გიორგისათა დაჰკლა ათაბაგად მე ბექასი ივანე. არამედ გიორგი იმერთა მეფესა არა მოერთუნენ მეგრელნი ერთგულებითა ბაგრატ მეფისათა; ამისთვის შეკრებულითა სპითა მიუხდა გიორგი მეფე ოდიშს. ეწყო მას დადიანი აფხაზთა შეწევნითა და მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი და ივლტოდნენ სპანი მისნი.

მაშინ მიუწოდა დადიანმან გიორგის ძესა ბაგრატ მეფისასა იმერეთს; ხოლო გიორგი წარვიდა სპითა და დაიპყრა იმერეთი სრულიად. შემდგომად მოკლა კათალიკოსი გიორგი და ამან გიორგიმ დასვა კათალიკოსად ელიოზ. ხოლო ბაგრატ მეფე ჰყვა თემურს და მარადის აიძულებდა მაჰმედიანობად. მაშინ ულონო-ქმნილმან ბაგრატ სხვასა ვერა-რაისადა ღონისა მპოებელმან ვინადგან ჰყვა დედოფალიცა მუნ, ჰყო ბოროტი ესე და იქმნა მაჰმედიან, რათა დაეხსნოს და შურ-აგოს ამათთვის. განიხარა თემურმა ფრიად და პატივ-ჰსცა, ვითარცა ძესა თვისსა და მიანიჭნა ნიჭნი დიდ-დიდნი და ჰყო განმზრახი და მისანდობელი თვისი. შემდგომ ეტყოდა ბაგრატ თემურს: „ვინადგან ვსცან სჯულითა შენითა კეთილობა, აწ მნებავს, რათა მომცნე სპანი შენნი, მე წარვიდე დავჰყო ყოველნი სამეფონი ჩემნი მაჰმედიან. სთნდა ესე თემურს ფრიად და ჰმადლობდა ბაგრატს, აღავსო ნიჭითა დიდ-დიდითა, მოსცა დედოფალი და ტყვენი ყოველნი საქართველოსანი და სპანი ფიცხნი 12,000 მხედარნი და წარმოავლინა ქართლს. თვით თემურ უკუ-იქცა და წარვიდა სპარსეთად. ხოლო ბაგრატ მოვიდა რა მდინარესა რახსა ზედა, აცნობა ძესა თვისსა გიორგის: „მომყავს სპანი თემურისანი და ტყვენი ყოველნი საქართველოსანი. აწვე შეკრიბენ სპანი და მზირ-ეკვქმენო, რათა მოვსწყვიდოთ ესე ყოველნი". მაშინ იმერეთს მყოფს გიორგის ესმა რა ესენი, შემოიკრიბნა სპანი იმერთა, გარდმოვლო ლიხი, მუნ მოერთო ათაბაგი ივანე სპითა სამცხისათა არა მგონებელი ერებად თემურის სპისა, არამედ ძალისა მოძ-ქონი ბაგრატ მეფისაგან; ეგრეთვე ქართველნი და ჭერ-კახნიცა. ხოლო ბაგრატ მოვიდა და დადგა ხუნანის პირის-პირ აღმოსავლით კიდესა ბერდუჯისასა. გარიყრაყს მოერთუა გიორგი სპითა საქართველოსათა; გარნა მინათ გამო ბრძოლა და ბაგრატ ფიცხლად, არამედ მოსრნეს სრულიად, რამეთუ ვერ განერა მატყუჩიცა ერთი და აღიღო ალაფი მათი და მოვიდა გამარჯვებული და მოადგა ტფილისს წელსა 1393, ქართულსა 81 და ჟამსა მცირესა აღიღო ციხე, მოსრნა თათარნი და დაიპყრა თვით და იხსნა შური თემურისა ესრეთ ბაგრატ მეფემან, არამედ იწყო მაგრებად ციხე-სიმაგრეთა და დახიზვნად ყოველთა მდაბიურთა, რამეთუ მოელოდა თემურს.

შემდგომად მიესმა რა თემურს მოწყვეტა სპისა თვისისა, განრისხებული მოვიდა ბარდავს და დაუტევნა მუნ სამძიმონი და წარმოემართა ბაგრატსა ზედა, გამოვლო ხიდის გამდებელმან მტკვარი; ხოლო ბაგრატს დაებანაკა სპითა თვისითა ამერ-იმერითა, მესხ-კლარჯითა, ჭერ-კახითა და სომხითარითა მგონე.

ბელსა თემურისაგან ტფილისის მოღებისასა. არამედ თემურ მოვიდა პირის-პირ ბაგრატ მეფისა. მაშინ განვიდა ბაგრატ ყოვლითა ძალითა თვისითა და ეწყვნენ ომანის-ხევს ზემორე და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი წელსა 1394, ქრონიკონსა 82, ვიდრე შუა-დღედმდე და მიდრეკასა მზისასა სძლეს ქართველთა და მოსრნეს თემურისანი მრავალნი რაზმნი და მწყობრნი ურიცხვნი ივლტოდნენ. იხილა რა თემურ ძლევა ესე თვისი, განვიდა საკუთრითა სპითა თვისითა და მოუხდა მარცხენეთა კერძთა ქართველთა, მოსრნა მკვირცხლნი და შემოუსდა მხედართაცა შინა. ამით კვალად მოჰხვდნა რისხვამან ზენამან ქართველთა, იძლივნენ და ივლტოდნენ; არამედ უმეტეს მორჩებოდნენ და განერონდნენ ხელთაგან მათთა ტყეთა, ღრატეთა და სიმაგრეთა და ბაგრატ მეფეცა წარმოვიდა ზემოთკე. ხოლო თემურ შემოუსია ლაშქარნი. შემუსრეს მცხეთა და ყოველნი ეკლესიანი, ციხენი და სიმაგრენი ქართლისა და სომხითისანი და რომელნიმე მოსწვნეს ცეცხლითა, ვითარცა მჩენარებს დღესაცა ქვაბთა-ხევს. გარნა კაცთა ეგოდენ ვერ ავნეს სიკვდილითა და ტყვეობითა, რამეთუ განმზადებულ იყვნეს ბრძოლად. ამისი მყოფელი ლანგ-თემურ უკუ-იქცა, ჩავლო ჭერ-კასნი, მოაოხრა იგინიცა ყოვლითა შენებულებითა; მერმე კვალად მივიდა და დაიმორჩილა დაღისტანი უმეტეს პირველისა. იტყვიან, რომელ მიერ ჟამიდგან ქმნაო მუნ მაჰმედიანობა დასხმულითა მისგან ელითა, რამეთუ პირველ იყვნენ შერეულნი ქრისტიანენი, ვითარცა სხვანი კავკასიელნი, და მუნიდამ წარვიდა სპარსეთადმდე.

ხოლო ბაგრატ მეფემან იწყო კვალად შენებად და მოოხრებულთა ციხეთა და სიმაგრეთა მაგრებად და კვალად ეგრეთვე გებად. არამედ წარავლინებდა სპათა თვისთა და ოდესმე თვითცა წარვიდოდა და მოსწყვედდა გარემოთა თათართა თემურის დასხმულთა ამის საზღვართა შინა და გარე. გარნა შემდგომად ამისა გარდაიცვალა დიდი მეფე ბაგრატ წელსა 1395, ქრონიკონსა 83. ხოლო ამას დიდი მეფე იმისთვის ეწოდა, რამეთუ იყო მძლეველი და გამარჯვებული, თვინიერ თემურისა, ყოველთა წინა-აღმდგომთა თვისთა ზედა, რამეთუ ორასითა მხედრითა არა ჰრიდებდა ათასთა და უმეტესთაცა და მოსწყვედდა სრულიად. კვალად არა დაჰმორჩილდა მძლავრსა და ილვაწა ქვეყნისა თვისისათვის; არა განხეთქა სამეფო თვისი, გარნა თუცა მცირედ იკადრეს: არამედ შიშითა მისითა ეგნენვე მორჩილებასა ქვეშე მისსა. კვალად იტყვიან, ვინადგან ბაგრატ მიხაილ მეფის ძე იგიცა მეფეთა ჩამომავალი იყო, ამის გამო ეწოდაო დიდი ბაგრატ მეფესა ამას[1].

1. ამ ბაგრატისაგან უნდა იყოს, ბროსსეს მოაზრებით, აშენებული აწინდელი მონასტერი მოწამეთა იმერეთში, ქუთაისის მახლობლად (*H. de la G.*, 247). მოწამეთა მონასტერზე იხილე ჩემი *Кавказъ въ древн. памятн. христ.—Моцаметскій монастырь.*

რამდენიმე ბაგრატის დროს საყურადღებო გუჯარი საქართველო-იმერეთის კანცელარიაში, ბროსსესაგან განხილული, ნახე *V. archéol.*, IV Rapp., p. 8—9.

## მეფე გიორგი VII (1395—1407).

შემდგომად ბაგრატისა იქმნა ძე მისი გიორგი მის წილ მეფედ. შემო-ჰკრბნენ დიდებულნი და კათალიკოს-ეპისკოპოსნი და აკურთხეს. ამან უკვე გიორგიმ პირველად დაიპყრა საბრძანებელნი მამისა თვისისანი მორჩილებასა ქვეშე თვისსა. ხოლო ამის მეფობის მეორესა წელსა მოკვდა დადიანი ვამიყ და ამან მეფემან დასვა მამია დადიანად. ამანვე მეფემან მიუბოძა საერისთავო ცხომისა დადიანს მამიას ერთგულებისათვის თვისისა, რამეთუ არა მორჩილ-ექმნა ძეთა ბაგრატისთა. შემდგომად მოკვდა კათალიკოსი ელიოზ და ამანვე დასვა კათალიკოსად მისაილ.

ხოლო ესმა რა თემურს გამეფება გიორგისა თვინიერ მისსა, შეუძნდ ფრიად და წარმოავლინა სპასპეტი თვისი ყარალათი და შემდგომად შეუდგა იგი-ცა კვალსა მისსა და მოვიდა რანს, აწ ყარაბაღად წოდებულსა[1], მოუვლინა დეს-პანი გიორგი მეფესა და მოუმცნო: „მე დავიპყარ აღმოსავლეთი და მეფენი მისნი და ვარ მეფეცა შენ ზედა. აწ მოვედ და მორჩილ-მექმენ, მოგანიჭებ ნიჭსა დიდსა და ქვეყანასაცა შენსა უვნოდ. უკეთუ არა-ჰყო, მოვსრნა ყოველნი მკვიდრნი ქვეყანისა შენისანი და ტყვე-ვჰყო შენითურთ". მიუგო მეფემან

1. რანი, აწ ყარაბაღად წოდებული. რანი და იმისი მოსაზღვრე მოვაკანი ქ.-ცხბაში ხშირად იხსენიება, მეტადრე რანი: „და მისცა ტყვე რანისა და მოვაკანისა" (გვ. 23). „არა ნათელ-იღო ფეროზ, სიძემან მირიანმეფისამან, რომელსა ჰქონდა მირიანისაგან რანი ბარდავამდის, არცა ერმან მისმან ნათელ-იღო" (გვ. 92). „და სიძესა მისსა (ბაქარისასა), რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდის მიცემული მირიანისაგან, მისცა მის წილ სამშვილდიდგან მიღმართ ქვეყანაჲ ვიდრე თაგამდე აბოცისა. მაშინღა ნათელ-იღო ფეროზ და ერმან მისმანა" (გვ. 101). „და რქვა ერისთავმან სპარსთამან ვარაზ-ბაქარს: „მომეც რანი და მოვაკანი, რამეთუ საზღვართა სპარსეთისა არს და მათი არს რანი სრულიად და თქვენდა კმა არს ქართლი" (გვ. 106).

რანი არის ქ.-ცხბით უძველესი ბარდოსის წილი და იმისი საზღვარი იყო „მტკვარს სამხრით ბერდუჯის მდინარიდგან ვიდრე სადა შეკრბებიან მტკვარი და რახსი". აქ იყო ქალაქი ბარდავი (გვ. 17). მოვაკანის საზღვარი — „მტკვრისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა (იორისა) შესართავიდგან ვიდრე ზღვამდე" (იქვე). სენ-მარტენის აზრით ქ.-ცხბის რანი არის აღმოსავლეთელთ არრანი ანუ აწინდელი ყარაბაღი შამხორით და შამშადილითურთ, ხოლო მოვაკანია შაქი, შირვანი და მუღანი (*Mém. sur l'Arm.*, I, 86; II, 182).

აქ უნდა ვთქვათ, რომ ქ.-ცხბისაგან ნაჩვენები საზღვრები რანისა და მოვაკანისა ნამდვილს ბუნებითს საზღვრებს შეადგენენ: მტკვარი და არაქსი, მთის ქედი და კასპიის ზღვა. ვახუშტი ამბობს: „საზღვარი ქართლისა ბერდუჯის მდინარე არს" (გეოგ., 136). ბერდუჯის ბასსეინს შეადგენენ დებედა ანუ ხრამი (რუსულ კარტებზე ბორჩალოც) და პამბაკის მდინარე, რომელნიც ერთვიან მტკვარს გატეხილ ხიდთან. პამბაკის ქედი წარმოადგენს ნამდვილს საზღვარს საქართველოსას და უერთდება ერთის მხრით ჯავახეთის და იმის გაყოლების სალანლუღის ქედსა, მეორეს მხრით, დიუბუას გამოკვლევით, ეშაქ-მეიდნის მთას, რომელიც ახსტაფის მდინარის მარცხნივ მიემართება მტკვრისაკენ. (*Dubois, Voyage.*, III, 225—293).

გიორგიმ: „თუმცა ხარ მეფე, გარნა წარმავალი, დღეს მყოფი და ხვალე არღარა და მე ვარ მკვიდრი. ამისთვის პატივს-გცემ, მოგცემ ხარკსა, რათა დაიცვა ქვეყანა მშვიდობით და მე არა მოვიდე წინაშე შენსა. გნებავს-ესე არს, უკეთუ არა, ჰყავ რაჲ ძალ-გიძს და გნებავს". მსმენელი ამისა თემურ განრისხნა და მოვიდა შიდა-ქართლს. ხოლო გიორგი მეფემან პირველვე გამოიყვანა დარიელიდამ ოვსნი დიდ-ძალნი და კავკასნი და დაჰხვდა თემურს შეკრებული სპითა თვისითა. ეკვეთნენ ურთიერთს წელსა 1396, ქართულსა 84 და განძლიერდნენ საქართველოსანი ძლიერად, რამეთუ ვინადგან მტვერნიცა სპათა თემურისთა პირთა ეყრებოდეს და იყო ბრძოლა მწუხრამდე. ხოლო მისდრიკნეს ქართველთა: ხმლევდნენ და ივლტოდნენ მრავალნი. იხილა რა თემურ სპანი თვისნი, ესრედ აღუზახა თვისთა თანა მყოფთა სპათა: „აჰა დღე სიკვდილისა ჩემისა" და მოვიდა, ვითარცა გრიგალი დამაშვრალთა ქართველთა ზედა. მაშინ კვალადცა რისხვით მოჰხედნა ღმერთმან ცოდვათა ჩვენთა და გარე უკუიქცნენ გიორგიელნი და ივლტოდნენ სიმაგრეთა შინა, რამეთუ უსწრათ სიღამემან და განერნენ უფროს, ვიდრე მოისრნენ. მიიქცა თემურ, მოადგა ტფილისს; ვერ დაუდგა და აღიღო იგი; შეაყენნა მცველად ხვარასნელნი, მუნიდგან მოვიდა და დადგა მუხრანს და მოაოხრნა ნეშტნი; არამედ მუნ მიერთვნენ თემურს რომელნიმე ქართველნი და ჯანდიერ წარჩინებული. გარნა ფრიად მცდელობდა თემურ შეპყრობასა მეფისა გიორგისასა და მიინდობდა ყოვლითა, გარნა ვერ შეუძლო შეპყრობა; ამისთვის თვით უკუ-იქცა ყარაბაღსავე და მუნიდამ წარმოავლინა ხოჯა შიხი და ამირჯან სპასპეტი თვისი სპითა დიდითა მოოხრებად ურჩთა და განდგომილთა და აღუთქვა ნიჭნი დიდნი, უკეთუ ვინმე შეიპყრობს მეფესა გიორგის. შემოვიდნენ ესენი და მოაოხრეს სადა-ვინ ჰპოვნეს ქვეყანათა შინა. მერმე უკუ-ქცეულნი მივიდნენ თემურის წინაშე; არამედ დაჰმუნდა თემურ, ვინადგან არა პყრობილი მიჰგვარეს მეფე გიორგი. ამ ჟამად განდგა ძე ბაგრატისავე კონსტანტინე, დაიპყრა იმერეთი და იწოდა მეფედ. ხოლო გიორგი მეფემან არა მიჰხედა მას, არამედ გამოიყვანა კვალად ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი, წარუძღვა შეკრებული სპითა თვისითა და მიუხდა ციხესა ალინჯასს, შემუსრა იგი[1] და გამოიყვანა სულტანი თარჯალთისა

1 „ამას ჰმოწმობს სომეხთა მატიანე ესრეთ ყოფასა მეფისა გიორგისაგან". ვახუშტი,

ალინჯან—სპარსულად ალინჯაკ და ალინჯა. ალინჯა პირველად აიღო თემურმა 1378 წ. და გამოჰგლიჯა იგი მას მეფემ. თემური მეორედ მიადგა ალინჯას 1401 წ. და თუმცა კიდევაც დაიჭირა, მაგრამ დიდის გაჭირებით. შერიფ-ედ-დინი ჰმოწმობს, რომ თათრები ქართველებმა დაამარცხესო (*H. de la G.*, 670 n., 3). ალინჯა მდებარეობდა ნახიჩევანის მაზრაში (S-Martin, *Mém.*, I, 132, 146).

საჭიროდ ვხადით აქ შემოვიტანოთ ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის წარწერა, რომელიც შეეხება ალინჯის აღებას ქართველებისაგან და თვით თემუ-

პატიმარ-ყოფილი თემურისაგან, მოაოხრნა და მოსწყვიდნა გარემონი მაჰმე-დიანნი, აღიღო ალაფი დიდ-ძალი და მოვიდა გამარჯვებული შინავე და განუტევნა ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი შოებულნი ალაფითა ფრიადითა. შემდგომად ამისა განიხილა მეფემან გიორგი განდგომილება კვალად იმერთა და ქვეყანათა თვისთა შეკვება კვრეთი ოხრებისა, განიზრახა დიდებულთა თვისთა თანა, რათა ზავ-ჰყოს თემურისა თანა. მაშინ დაუმტკიცეს დიდებულთა სიხარულით; არამედ თირ-სულტანი ჯალადისა უარ-ჰყოფდა ზავსა, რომელიცა ჰყვანდა მეფესა პატივით. გარნა არღარა უსმინეს სულტანსა და წარავლინა მეფემან სახელით ისმაილ მაჰმედიანი ვინმე წინაშე თემურისა აღმთქმელი მორჩილებისა პირსა ზედა და ხარკისაცა მიცემად და არღარა იყოს ქვეყანათა ოხრებანი. მსმენელმან თემურ განიხარა და მოუმცნო მეფესა: „უკეთუ მოსვიდე ჩემდა, პატივითა და ნიჭითა მიგითვალო და დავიცვა ქვეყანა შენი უვნოდ". არამედ მრისხანებდა ალინჯანის ციხის შეუსრველობისათვის და იტყოდა: „მაცთუნებს გიორგი მეფე მოსვლად წინაშე ჩემსა" და ამისთვის წარმოემართა ათაბაგსა იოანეს ზედა, რომელი მტკიცედ სდგა მეფისადმი, რათა შემუსროს იგი და ჩამოდგა სამცხე-სა შინა, მოაოხრა ქვეყანა და ეკლესიანი, ყოველნი ხატნი და ჯვარნი შემუსრნა[1], სადა რა ჰპოვნა მოსტყუვნა და მოვიდა მანგლისს და დაადგრა მუნ

რის შემოსვლას საქართველოში. „მეფობასა შინა, ამბობს წარწერა, მეფეთ მეფისა გიორგი ბაგრატის ძისასა და ერისთაობასა შინა ერისთავთ ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისასა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით მოვიდეს, მოქცევასა იდ, ქკსა პჱ, მაისსა ზ მოვიდა თემურ-ბეგ სულტანი სამარყანელი და გამოიტანნა ყაენნი სინიჩარასი, ჩინეთისა, ქომანეთისა, ხვარაზმისა, ქამანისა, ნაჭროეთისა, ყიყალბისა, ჩალანისა, ალაბისა, სინდეთისა, ხატაეთისა, ერაყისა, თურქესტანისა და სიმრავლისა მათისა არა იყო რიცხვი და მოვლეს ყოველი ქვეყანა და წარტყვენეს და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და აღიხვნეს ყოველნი ციხენი და ტყვე-ჰყვეს და მოაოხრეს ყოველი ქვეყანა დასავლეთამდის, მას ჟამსა შინა დამიცვა ღმერთმან ხელთაგან მათთა და შემდგომ მცირედისა ჟამისა დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე გრიგოლ შინდასძე-აგარობის შვილი; დაწვისაგან მოოხრებული აღვაშენე ხუთი სახლი. ამისა შემდგომად, იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მიმიხვნა ექვსნი შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დედით მათითურთ. მაშინ ულირსმან შევიმოსე სახე მონაზონობისა და საფლავსა ჩემსა ზედა აღვაშენე კარის-ბჭე და დავხატე ხელითა ჩემითა, დავკიდე კანდელი ვერცხლისა და ორი საცეცხლური, შესამოსელი და სიწმინდისა სამსახური ლარისა. შიგნით ეკლესია მოვხატე და შევამკე ყოველი მოშლილი ხატები და განვაახლე და შევმატე ხატი მოჭედილი, სავსე ნაწილითა და დავსხენ წიგნნი: პარაკლიტონი, სამოციქულოა, გულანი, ავგაროზი და აგაგე მარანი და ჩავდგი ოცი ქვევრი. აგაგე ზედა სამყოფი სახლი, ბეღელი, საწოლი, დეიფანი, სამრეკლო და ბოსელი და დავბურე ყოველი სიპითა". აქ ჩვენებული 88 ქორონიკონი უდრის 1400 წელს, რომელიც, როგორ მკითხველი თვით ჰხედავს, ნამდვილად ისტორიის მიერ ხსენებულს დროს უჩვენებს (Brosset, *Voyage archéol.*, VI, 77—79).

1. შერიფ-ედ-დინიც უჩვენებს 1401 წელს თემურის გალაშქრებას სამცხეზე და დამორჩილებას „ავბოკას შვილის შვილის იუანისას" (*H. de la G.*, 672, n. 1).

თთვე ორი. აქა ევედრნენ მაჰმედიანნი მესამზღვრენი ქართლისანი თემურს, რომელთა აოხრებდნენ ქართველნი, რამეთუ რა ჟამი იციან მოსწყვედდიან და ალაფობდიან. უსმინა თემურ და მისცნა სპანი, მოვიდნენ და მოაოხრეს კვალად ქართლი. ხოლო მანგლისს ყოფასა შინა თემურს მოართვეს მე კეისრისა. ამან პატივით შეიწყნარა, მისცა ნიჭი და განუტევა თვისადვე მშვიდობით. შემდგომად წარმოემართა თემურ მთიულეთს შესვლად, რამეთუ განჰყავსო გიორგი მეფესა მუნიდამ შემწენი და კვალად ჰგონებდა მეფესაცა მუნ. შეუსდა არაგვს, შემუსრნა სიმაგრენი და მოაოხრა; არამედ ავნებდენ დიდ-დიდსა მთიულნი და სპანი მეფისანი მუნ მყოფნი სპათა თემურისათა, რომელთა ვერა-რაჲ ტყვე-ჰყვეს და უკუ-მოიქცნენ. კვალად წარავლინა თემურ მენი თვისნი: სულტან უსეინ, ფირ-მაჰმად, ამირ-შიხ და აბუბექირ და სპასპეტნი სხვანი. ესენი მოადგნენ ერიჯანს, რომელი ეპყრა მეფესა გიორგის. მცირესა ჟამსა შინა შემუსრეს და მცველნი ციხისანი მოართვეს თემურს მანგლისსავე. მაშინ მეფემან შუა-მდგომელ ჰყვნა მენი მამისა თანა. უსმინა მათ თემურ დრომდე და წარავლინნა მენი თვისნი ბაღდადს და დაიპყრა ბაღდადი და თვით თემურ მივიდა თავრიზს ხილვად ციხისა ალინჯანისა. შემდგომად მოვიდა გელაქუნს და მუნ ყოფასა შინა წარუვლინა თემურს მეფემან ძმა თვისი კოსტანტინე ძღვნითა დიდითა, ითხოვა შენდობა და აღუთქვა მორჩილება. სათნო იყო თემურ და შეიწყნარა ძღვენი, პატივ-სცა კოსტანტინეს და გამოუტევა ნიჭითა და მოუმცნო მეფესა: „იყავ მშვიდობით და ნურღარას ავნებ მაჰმედიანთა". ხოლო თვით თემურ მოვიდა ბარდავს; მუნიდამ წარავლინნა სპანი ოვსეთად. განვლეს სპათა მათ დარუბანდი, ლეკეთი და მივიდნენ ოვსეთს, მოსწყვიდნეს, ტყვე-ჰყვეს და მოიქცნენ წინაშე თემურისავე. ესე ჰყო თემურმან, რამეთუ უწყოდა, რამეთუ მეფე მალს-იცემს მუნიდამ. ხოლო კვალად იტყვიან, მიერიდგან იწოდათ ჩერქეზი და იქმნათ მაჰმედიანობა მათ შორის. შემდგომად ამისა მოქცევასა წლისასა მოვიდა თემურ მანგლისსავე, რათა სცნას აღთქმული მეფისა მტკიცე არსა, ანუ არა. ხოლო იყო მუნ წარჩინებული ვინმე სახელით იესე, რომელსაცა აღეთქვა მისვლა წინაშე თემურისა და არღარა მისრულ იყო. მაშინ უღონო-ქმნილმან იესემ აღიღო ძღვენი დიდი და ასული თვისი კეთილ-ქმნულ-სახოვანი და კეკლუც-შვენიერი და მივიდა თემურის მის აბუბექირისა ფანს და შესძღვნა ყოველი; ხოლო აბუბექარ შეიყვარა ქალი იგი ფრიად და უურვა მამისა თანა და შეაწყნარა თემურსაცა. იხილა რა ესე ათაბაგმან ივანე, მივიდა იგიცა ძღვნითა წინაშე თემურისა. მან პატივით შეიწყნარა იგიცა. ამისნი მხილველნი სომხითარ-ქართველნი მიერთოდიან თემურს. ამისთვის მეფემან კვალად წარავლინა ძმა თვისი კოსტანტინე წინაშე თემურისა და ევედრა მას მშვიდობისა. უსმინა თემურმანცა, უკუ-იქცა და დაიპყრა ქურთისტანი.

გარნა კვალად არა დასცხრა გულის-წყრომად. ვინადგან ესება მას მოოხრება და მაჰმედიანობა საქართველოსი, წარმოავლინა შიხ-ბარამ შარვან-შაჰ, რათა სცნას დებულება გლეხთა და შემოსავალი მეფისა და თვით თემურ მო-

ვიდრე კარსა. ამისმან მხილველმან მეფემან წარუვლინა მთავარი იესე სომხითარი ძღვნებით, რათა არა მოაოხროს ქვეყანა, რამეთუ რაცა იგი აღგვითქვამსო, აღგვისრულებიესცა. განრისხნა თემურ და არღარა მიითვალა ძღვენი მეტყველ-მან: „შეიკრიბსო მოსავალთა და მიენდობიანო სიმაგრეთა“ [1]. არამედ ამისთვის მოუმცნო მეფესა, უკეთუ გნებავსო, იქმენ მაჰმედიან, რათა მაშინ მოგცენ ქვეყანანი და განგათავისუფლო. უკეთუ არა ჰყო, დავასრულო სპანი და მოი-ვრებს ჩემი შენ ზედა და მოვაოხრო ქვეყანა შენი და ტყვე-ვჰყო ყოველნი სახლეულითურთ შენითურთ და შენცა. გარნა თუ მოხვიდე ჩემდა და ჰყო ესე, ვფიცავ მაჰმადს, პატივით განგიტევო ქვეყანითურთ შენით, ვითარცა განვუ-ტევე მეცა კეისრისა“ და წარმოუვლინა მეფესა ესენი და მოუძღვნა თვითცა ჰქონ. ხოლო მეფემან უბრძანა შემოტანად ნაშრომთა, მომკად და დახიზვნად ყოველთა. მაშინ მოვიდა თემურ და ჩამოდგა შიდა-ქართლს, არამედ ვერა რაღა ჰპოვა; შეიქცა და მოადგა ბირთვისის ციხესა. ხოლო მუნ სდგნენ მრავალნი წარჩინებულნი და აზნაურნი ცოლ-შვილითურთ და მრავალ-გზის მოკ-წყვიდათ სპანი თემურისანი, ვითარცა ლომთა თხანი. მოეტევნენ ციხიდამ სპა-თა თემურისათა და მოსწყვიდნეს ურიცხვნი და მიაქციეს ლტოლვად. არამედ მუნ მზირ-ყო თემურს და მიიწივნენ რა მეციხოვნენი სპათა სრვით, მოეტევა თემურ, გარნა იქმნა უფროცხესი ბრძოლად; არამედ აოტა თემურ მეციხოვნენი და მოსწყვიდნეს მრავალნი; ხოლო ნეშტნი შევიდნენ ციხესა შინა და განამაგრეს ციხე. მომხილველმან ციხისამან თემურ სცნა სიმტკიცე ციხისა და ბრძანაცა უკუ-ქცევა ციხისაგან. მაშინ გამოჩნდა კაცი ვინმე მასრული სახელით ზეგი-ჯან, რომელ იტყოდა აღებასა ციხისასა. განიხარა თემურ და აღუთქვა ნიჭი დიდი. ხოლო კაცმან მან შექმნა კიბე საბლისა და ჰპოვა კლდესა მას ზედა აღსავალი, აღვიდა ღამე კლდესა მას ზედა და აღიყვანა თხა ერთი და მოაბა წვერნი კი-ბისანი კლდისა ზედა და დააზახა თხა სამ-გზის; შემდგომ დაკლა თხა იგი. მაშინ კივილის მსმენელნი სპანი თემურისანი აღვიდნენ კიბესა მას ზედა; ხო-ლო სისხლისა მხილველნი მეციხოვნენი ჰგონებდნენ მოსვრასა მუნ მყო-ფთა მეციხოვნეთასა და იწყებდნენ თვისთა მაგრებათა; გარნა აღივსო-რა ციხე სპითა თემურისათა, დაუწყეს ბრძოლა ქვემო-მეციხოვნეთა, არამედ მოსრვიდნენ მათ მეციხოვნენი; შემდგომ სიმრავლითა მძლე-იქმნენ და განუხვნეს კარნი ქვემორე ციხისანიცა და შემოვიდნენ სპანი ურიც-ხვნი; მოსრნეს და მოსტყვევნეს ციხოვანნი და მოართვეს ციხის-თავი ნაზარ ცოლ-შვილით თემურს და სხვანიცა მრავალნი მთავარნი და აზნაურნი. ხოლო თემურმან ყოველთა მათ წარჰკვეთნა თავნი და ცოლი ნაზარისა მისცა შირ-ვანის მპყრობელსა და ბირთვისს შეაყენნა სპანი თვისნი და ამცნო ციხის-თავსა

1. შერიფ-ედ-დინიც თითქმის ქ-ცხის სიტყვებით გვიამბობს აქ ხსენებულს განზრა-ხვას თემურისას ახალს გალაშქრებაზე, რომლის მიზეზს იგი გიორგის აშლას მიაწერს (*H. de la G.*, 673, n. 1).

აჴმადს მოოხრება ყოველთა მათ გარემოთა ეკლესიათა და ქუეყანათა და თჳთ წარვიდა თემურ[1], არამედ ამან ლანგ-თემურ შეიპყრა ბრძოლასა შინა სულტანი ბაიეზით და შთასვა რკინის გალიასა შინა და დაჰყუანდა ეგრეთ სადაცა ვიდოდა.

ხოლო ესე ბაიეზით იყო ძის ძის ძე ოთმანისა და ესე ოთმან იყო, ვითარცა იტყვიან, ჩინგიზთა ტომისა, რამეთუ საგონებელ არს ერინჯი-ნოინისაგან ყაენის ოხნანის გვარისა, რომელმან დაიპყრა სულტნობა ყიასდინისა და ოთმან დაიპყრა აღმოსავლეთი წელსა 1303 და შემდგომად მოკუდა წელსა 1327 და დაჯდა ძე მისი ორხან. ესე უმეტეს განძლიერდა და აღიღო ტარსუ. შემდგომად მოკუდა წელსა 1368 და დაჯდა ძე მისი მურად. ესე განვიდა ნავითა ბერძენთათა კალიოპოლის და აღიღო ანდრიანე და ფილიპეპოლი. შემდგომად მოკუდა წელსა 1379 და დაჯდა ძე მისი ბაიეზითი. ესე მოადგა კოსტანტინეპოლს და მუნ ესმა მას აღება თემურისაგან აღმოსავლეთისა, დაუტევა იგი, მოვიდა და ეწყო თემურს, ძლიოს და შეპყრობილ-იქმნა თემურისაგან წელსა 1391[2]. ხოლო ლანგ-თემურმან დაიპყრა ყოველი აღმოსავლეთი და წარვიდა სამარყანდს, რათა შევიდეს ჩინეთს; არამედ მოკუდა სამარყანდსავე[3]. ხოლო შემდგომად წარსვლისა თემურისა, შეკრიბა მეფემან გიორგი ქართლი, სომხითი, ჭერ-კახნი და იწყო შენებად მოოხრებულთა და ბრძოდა ციხოვანთა. ხოლო შემდგომად მოკლეს მეფე კოსტანტინე იმერეთს და არა დაშთა მას ძე, არამედ ძმის-წული დიმიტრი. ამისი მსილველი მეფე გიორგი შთავიდა სპითა და დაიპყრა ყოველი იმერეთი. მოერთვნენ ყოველნი წარჩინებულნი: დადიანი მამია, გურიელი, შარვაშიძე და სვანნი. ხოლო მოსცეს მეფესა დიმიტრი ძე

1. ქ.-ცხზით, „და თვით წარვიდა შამს; ხოლო ტყვე და ალაფი ყოველი გაგზავნა სამარყანს ქორონიკონსა ჴ (1402)... „რამეთუ შვიდ გზის იავარ ჰყო საქართველო" (გვ. 471)

აი თვით ხრონოლოგიური ცნობები თემურის გალაშქრებათა საქართველოზე: ა) 1386 წ. თემურმა დაატყვევა ბაგრატ V და აიღო ტფილისი; ბ) 1393 წ. (ვახუშტის ჩვენებით 82—1394) მეორედ აიღო ტფილისი; მისნი ჯარის-უფროსნი შევიდნენ სამცხეში და თვით თემური საქართველოს ჩრდილო მხარეში; გ) 1400 წ. (ვახუშტით 84-1396) დაიჭირა ციხენი, დაიბანაკა მუხრანს, გაილაშქრა ჯანი-ბეგზე: დ) 1401 წ. დაიბანაკა მანგლისში და გაილაშქრა ფანასკერტზე; ე) 1402 წ. აიღო ციხე გურჯიბეგი (?)ა ვ) 1403 წ. აიღო ბირთვისი (*H. de la G.*, 675, n. 4).

2. აქ აღრიცხულნი თურქთა მფლობელნი არიან ახლანდელის ოსმალეთის ხონთქართ წინა-პარნი (*H. de la G.*, 676, n. 1). ოსმალებზე ჩვენ გვექნება განსაკუთრებით საუბარი ვახუშტის ისტორიის მეორე ნაწილში.

3. ქ.-ცხზით, „კვალად დაიპყრა (თემურმა) რუსეთიცა და ამისა შემდგომად წარმოვიდა და მოვიდა თურქისტანს და მუნ სალმობიერ იქმნა და ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა" (გვ. 472)

ზოგნი ამტკიცებენ, თემურმა გაილაშქრაო რუსეთზე 1394—5 წ. და ყიკლოო მოსკოვი; ზოგნი კი ამბობენ, თემური მოსკოვამდე არ მისულაო და შეჩერდაო იელეცში დონის მდინარის შტოზე—სოსნის მდინარეზე; იმის ჯარის უფროსთა კი განაგრძესო ლაშქრობა ვენგრიამდე.—თემური მოკვდა სამარყანდში 19 იანვარს 1405 წ. თომა მეწოფის თქმით, იგი ჩაძაღლდა როგორც ძაღლი (*H. de la G.*, 676 n. 3 და 4).

ალექსანდრე მეფისა უმეტეს გულ-დებისა და ერთ-გულებისათჳს; არამედ მეფემან არა-რაჲ ავნო, გარნა წარმოავლინა ქართლის სომხითს და მისცა საზრდო და ყოველნი საჭირვონი მისნი.

შემდგომად მეფემან გიორგი განაგნა იმერეთი ყოვლითა და მორჩილებითა თვისა. მუნიდამ გარდმოვლო ლომსია და მოვიდა სამცხეს. მოეგება ათაბაგი იოანე და ყოველნი მესხნი და კლარჯნი; განაგნა მუნებურნიცა, ვითარცა განაგნეს ბრწყინვალესა მეფესა გიორგის და უბრძანა მათ მოოხრებულთა შენებად ეკლესიათა, ციხეთა, ქალაქთა და სიმაგრეთა; მერმე მოვიდა ქართლს და ჰბრძოდა მეფე ციხეთა ქართლისათა და უმეტეს ტფილისს; რამეთუ შემდგომად თემურის სიკვდილისა იწყეს ბრძოლანი ძეთა მისთა ურთი-ერთა ზედა და დაშთა ქვეყანა და მეფე მათგან მშჳდობით. ხოლო მეფემან განასხნა თათარნი და აღიხუა ციხენი ქართლ-სომხითისანი სრულიად; შთავიდა კახეთს და ჰერეთს, აღაშენნა მოოხრებულნი მუნებურნიცა და განაგნა ყოველნი მშჳდობასა და შენობასა შინა.

შემდგომად თემურის წარსვლისა დაადგრა ექვსი წელი ქვეყანა მშჳდობით და მეფე მოვიდა, განასხმიდა თათართა საზღვართა თჳსთაგან და მოსრვიდა მათ და აღიღებდა ალაფთა მათთა დიდ-ძალთა. მოკვდა კათალიკოსი მიხაილ და მეფემან დასუა კათალიკოსად დავით. ხოლო ვითარ იყო ჭირი დიდი გიორგი მეფისაგან ყოველთა გარემოთა მაჰმედიანთა ზედა, ვიდრე რასსისა კიდედმდე მოსრვითა და ალაფობითა, ამისათვის შეიკრიბნენ ყოველნი თურქთა ლაშქარნი დიდ-ძალნი, უკეთუ არა ესვათ ყაენი, არამედ ბილწისა სჯულისა მათისა მხურვალებითა წარმოემართნენ ქართლსა ზედა. მოესმა რა მეფესა მოსვლა მათი და ვითარ გამარჯვებული იყო მათ ზედა მრავალ-გზის, სისწრაფითა არღარა მოიცადნა სხვანი სპანი თჳსნი, გარნა რაოდენნი ესწრნენ თჳსთანა, მიეგება წინა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი, რამეთუ მოისრნეს თურქნი უმრავლესნი; არამედ შემდგომად ძლიერისა ბრძოლისა მოიკლა მეფე გიორგი თურქთაგან წელსა 1407, ქართულს 95[1] და მოსრნეს სრულიად სპანი მისნი. შემოვიდნენ და მოაოხრეს ქართლი მარბიელებით და წარვიდნენ, ვინადგან იხილეს მცირეთა სპათაგან ბრძოლა ძლიერი და უგონებელცა იყვნენ სიკვდილისა მეფისასა, რათა არა ეწიონ სხვანი სპანი სიდიდითა.

## მეფე კონსტანტინე (1407—1414).

შემდგომად გიორგი მეფისა დაჯდა მეფედ ძმა მისი კონსტანტინე და დაიპყრა ყოველი გიორგის. ამან მოიღო გვამი გიორგი მეფისა და დაფლა მცხე-

1. „საკვირველ არს ბრძოლა ესე ნახიდურს, სადაცა არიან საფლავნი, მრავალთა გვამთა შეყრილნი, რომლისას იტყვიან მუნ მოწყვედილთა მრავალთა ქართველთა და არღარა წარიღეს თვის-თვისთა სასაფლაოთა და დაფლეს მუნვე, ვინადგან მეფე მოკლეს და არღარა იყო, ივლტოდეს და მოსწყდნენ მუნ სრულიად, რომელი საჩინოდ არს დიდ-დიდითა ფიქალის ქვითა მოზღუდვილი". ვახუშტი.

თესსა. ამან ჭვალად იწყო უმეტესი კირთება დაესრვანი-მაჰმადიანთა და მაგრებად ციხე-ქალაქთა სამჭვრეთად და ქვეყანათა და აღშენებად ეკლესიათა. არამედ ვითარ იგი განამრავლა მან მოსრვითა ივარი მაჰმადიანთა და მრავალ-გზისცა დიდ-დიდთა შეკრებულთა ლაშქართა მათ სძლო და მოსწყვიდნა, წარვიდნენ და აუწყეს ვეზირსა ანუ ბეგლარ-ბეგსა[1] ანატოლიისასა. ხოლო მან მიუწყრა სულტანსა მუსას, რომელი იყო ძის ძე ბაიეზითისა. ხოლო ძემან ბაიეზითისამან სულეიმან ანუ კალეპინ იწყო მეფობად შემდგომად მამისა თვისისა წელსა 1403 და დაიპყრა მან ანდრიანე და ფილიპპოლი და ყოველი აღმოსავლეთი, რომელიცა ეპყრნეს მამასა მისსა. ხოლო მოკვდა კალეპინ წელსა 1410 და დაჯდა მის წილ ძე მისი მუსა. ესე განძლიერდა და დაიპყრა თესალონიკე. ამანვე მოუწყრა ბეგლარ-ბეგსა, რათა წარვიდეს სპითა ძლიერითა და დაიპყრას ყოველი ივერია[2]. მცნობელმან მეფემან კოსტანტინე განამაგრა ციხე-სიმაგრენი და შემოიკრიბნა სპანი სრულიად გიორგიანნი და მიეგება მას ბრძოლად. ეკვეთნენ ურთი-ერთსა და მოსწყდნენ ორკერძოთვე; გარნა უმეტეს უმრავლესნი თურქნი, რამეთუ მისდრიკნეს სივლტოლად. მაშინ მეფე საოცნებითა გულისათა შევიდა გუნდთა შინა მათთა და მოსწყვეტდა უშიშად; არამედ მოიკლა მათგან მუნ ბრძოლასა შინა თურქთაგან წელსა 1414 (?), ქართულსა 102 და იძლივნენ საქართველონი. მოჰყვნენ თურქნი, შემოვიდნენ კლარჯეთს, ვერ ჰპოვნნეს საზანნი, მოარბივნეს ქვეყანანი, გარნა ციხენი ვერ შემუსრნეს, ვინადგან იყვნენ გამაგრებულნი; ამისთვის უკუ-იქცნეს და წარვიდნენ ფიცსად, ვინადგან მოსწყდნენ მრავალნი მათგანნი ბრძოლათა და რბევათა შინა.

## მეფე ალექსანდრე (1413—1442).

შემდგომად მეფის კოსტანტინეს წილ დაჯდა მეფედ ძმის-წული მისი და ძე გიორგი მეფისა ალექსანდრე[3]. ამან მოიღო გვამი კოსტანტინესი და დაფლა გარეჯას. არამედ იხილა რა მამის დიდიანმან ესე ვითარებანი, ინება დამორჩილება აფხაზთა და ამასვე წელსა შეიკრიბნა სპანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა და მისრულს აფხაზეთსა ქწყო შარვაშიძე აფხაზით სიმაგრით გამო.

1. ბეგლარ-ბეგი ქ.-ცხბით მხედართ-მთავარი (გვ. 379, 431). იმავე ქ.-ცხბით შემდეგ საუკუნოებში ბეგლარ-ბეგი უდრის ერისთავთ ერისთავს, ხანს, სულტანს, ხვეისბერს (II, 24, 45, 82).

2. „ამას ჰმოწმობს ხრონოგრაფი ბერძნული, რომელ ხონთქარმან მუსამ წარმოავლინნა სპანი საქართველოს დასაპყრობელად“. ვახუშტი.

3. „ჰმოწმობს ბარათიანთ გუჯარი, რომელ ესე ალექსანდრე ძე არს გიორგი მეფისა“. ვახუშტი.

„გუჯარი ბარათიანთა, რომელ არს ბეთანიასა“, როგორც ვახუშტის ისტორიიდამა ჩანს, არის ერთი წყაროთაგანი იმის ისტორიისა (ნახე სხვათა შორის ქ.-ცხ., II, 3, 5); მაგრამ საუბედოდ ეს გუჯარი ჩვენ არსად შეგვხვედრია და არცარა ვიცით იმაზე.

მოსწყვიდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია და ნეშტნი სპანი აოტნეს და ლტოლვილნი მივიდნენ ოდიშს[1]. ესმა რა ესე ალექსანდრე მეფესა, შემოიკრიბნა სპანი თვისნი და წარვიდა; ხოლო შთასრულს ოდიშს მოეგება მეფესა ძე მამია დადიანისა ლიპარიტ და ითხოვდა შენდობასა, უკეთუ სცოდა რამე მამამან მისმან. შეუნდო მეფემან, რამეთუ იყო ტკბილ და მოწყალე და არა-რაჲ ვის ავნო; გარნა ლიპარიტ აღიყვანა პატივსა მამისასა. მერმე წარვიდა აფხაზეთს და წარიყვანა ლიპარიტ დადიანი. მოეგება შარვაშიძე და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა, ვითარცა პირველთა მეფეთასა; განაგნა მუნებურნი და დაამშვიდნა იგინი და მოვიდა ქუთათისს, შემოკრებულ იმერ-ამერთა დიდებულთა და კათალიკოს-ეპისკოპოსთაგან ეკურთხა მეფედ მუნ. არამედ ვინადგან ათაბაგი მიზეზობდა ძალ-უფლებასა თურქთაგან, ამისთვის არღარა მოვიდა და განაგნა საქმენი იმერთანი. კვალად მოიყვანა დიმიტრი ძე ალექსანდრესი და მისცა ერისთაობა იმერეთისა, რამეთუ ამის დიმიტრის დაჲ კოსტანტინე ბიძისა თვისისა სიცოცხლესავე შინა მოეყვანა ალექსანდრეს ცოლად თამარ და ექმნა ქორწილი და ამით დაამშვიდნა იმერნი და დიმიტრი ერისთაობდა მორჩილებასა შინა ალექსანდრესსა. მერმე შემოიკრიბნა სპანი იმერთანი, წარმოვიდა და ქართლს მოერთვნენ ქართველნი, სომხითარნი და ჯერ-კახნი, მივიდა და დადგა თავსა კოხტისასა. ამცნო ათაბაგსა, რათა არა ჰყოს განდგომილება; არამედ ათაბაგმან არა ინება და შემოიკრიბნა მიმდგომნი თვისნი და ეწყო მეფესა კოხტის-თავს და შემდგომად ფიცხელისა ომისა იძლია ათაბაგი და მოსწყდნენ სპანი მისნი. შეიპყრეს ათაბაგი იოანე და მოართვეს მეფესა წელსა 1415, ქართულსა 103. ხოლო მეფემან პატიმარ-ჰყო ათაბაგი და შევიდა სამცხეს და დაიპყრა ყოველნი ციხენი და ქსორია-ჰყვნა ურჩნი და რომელნიმე უმკვიდრო-ჰყვნა და დასხნა ერისთავნი თვისნი. მერმე ევედრა ათაბაგი შენდობასა შეცოდებისასა, რათა იყოს საუკუნოდ მონებასა შინა; ხოლო მეფე ვინადგან იყო მოწყალე და შემნდობელი და კვალად წინა-ერთგულობისა მისისათვის აფიცა მონებრივსა ერთგულობასა ზედა და აღიყვანა ათაბაგობასავე; განაგნა და დაამშვიდნა მუნებურნი სიბრძნე-მეცნიერებითა თვისითა და მოვიდა ტფილისს.

ხოლო მაშინ ვინადგან დაემშვიდნეს ყოველნი თვისნი ქვეყანანი, შემოიკრიბნა კათალიკოს-ეპისკოპოსნი დ ყოველნი დიდებულნი დ წარჩინებულნი, ერისთავთ ერისთავნი და განიზრახა მათ თანა აღშენებისათვის კათოლიკე-ეკლესიისა მცხეთისა დ

1. ქ.-ცხბაში ო დ ი შ ი პირველად არის ნახმარი თამარ მეფის დროს (გვ. 283). ბროსსეს აზრით ოდიშია დასავლეთი მხარე ანუ ზღვის პირი ნაწილი სამეგრელოისა (*Chronique géorg.*, 135). ვახუშტის ფილოლოგიური განმარტება ოდიშისა ნახე იმის გეოგრაფიაში (გვ. 392). „ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენის-წყალი და ხაზი-ისულეთამდე"... (იქვე).

რომელთამე მოსრებულთა ეკლესიათათა, რამეთუ ვინადგან განმკვიდრებულ იყვნენ მთავარნი, ვითარცა ათაბაგი, დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სვანთა, ხოლო დაღათუ გამოსცვლიდიან და იყვნიანცა მორჩილებასა ქვეშე მეფეთასა, არამედ მონათესავეთავე აღიყვანიან პატივითა ზედა მათთა. ხოლო მთავართა ესმათ რა ბრძანება ესე მეფისა, განისარეს ყოველთა და შეჰკვეთეს ყოველთა საბრძანებელთა თვისთა, თვინიერ სამეფოსა გამოსაღებისა, ყოველსა გლეხსა ერთსა კვამლსა ზედა სამი კირმანაული, რომელ არს ექვსი შაური აწინდელი და მოჰკრებდიან ამას წლითი-წლად და ამით იწყო შენებანი მცხეთისა, რუისს ღვთაებისა ეკლესიისა და სხვათა ეკლესიათაცა[1]. გარნა მოეცა მას მშვიდობა ღვთისაგან და ათხუთმეტსა წელსა შეასრულა განზრახვანი თვისნი. ხოლო გარდაიცვალნენ ჟამსა ამისსა კათალიკოსნი სამნი: დავით, ელიოზ და თეოდოსი და ამანვე მეფემან დასვა შიო წელსა 1430, ქართულსა 118; ხოლო მეფე იყო იმერეთს.

მოვიდნენ სარკინოზნი და ანაზდის უცნობლობით აღიღეს ლორე და თვით დაიპყრეს, მოარბიეს სომხითისანი სამცხემდე, უკუ-იქცნენ და წარვიდნენ, გარნა ავნეს დიდი ქართველთა და აცნობეს მეფესა, ხოლო წარმომართებული მეფე მოვიდა ქართლს წელსა 1431, ქართულსა 119. შემდგომად შემოიკრიბნა მეფემან სპანი და მოვიდა ამბერდს, განაგნა მუნებურნი და დაიმორჩილნა თვისად კვალად წელსა 1432, ქართულსა 120. მოადგა მეფე ლორეს, აღიღო იგი და მოსრნა სარკინოზნი და დაიპყრა თვისად ლორე. კვალად მოსრვე-ჰყვნა რანი, მოვაკანი და შირვანი; მოვლო სამეფო თვისი და მოვიდა კვალად ტფილისს.

ხოლო აქამომდე სპარსეთი იყო უმეფო და მრავლად განყოფილი; არამედ წელსა 1433, ქართულსა 121 გამოჩნდა კაცი შარუხ და ამან დაიპყრა რომელნიმე სპარსეთისანი, მოვიდა და დაიპყრა ადრიბეჟანიცა და შემოვიდა სომხითს. მაშინ ამისთვის განიზრახა მეფემან ალექსანდრე შემოკრებულთა დიდებულთა თვისთა თანა რაჲ ჰყონ: ბრძოლა ანუ ზავი; არამედ დაამტკიცეს პირველ ზავი და უკეთუ არა ინებოს, ვბრძოლოთ შეწევნითა ღვთისათა. ამისთვის აღიღო მეფემან ძღვენი დიდი და ძე თვისი დიმიტრი წარავლინა წელსა 1435, ქართულსა 123 და მოითხოვა მშვიდობა. ხოლო შარუხმანცა სიხარულით შეიწყნარა და პატივ-სცა ძასაებრ დიმიტრის. შემდგომად ანიჭნა ნიჭნი დიდ-დიდნი და წარმოუვლინა მამასავე მშვი-

1. კირმანაული ანუ მართლ-წერით კირ-მანეული იყო ფული. ეს სახელი დაერქვა ფულსა კირ-მანუელ კომნენის იმპერატორის სახელით, რომელიც მეფობდა 1143—1180 წ. (*H. de la G.*, 681, n. 1). კირმანაული-ექვსი შაური (*H. de la G.,—Introd.*, CLXI). კირმანაული-ორი დანგი ანუ შაური (ib. CLXXVIII).

ხარჯის გაწერაზე ეკლესიების გასაახლებლად ნახე ალექსანდრე მეფის გუჯარი 128—1440 წლისა *V. arch*-ში., IV, 16. რომ ზოგიერთი ეკლესია გაახლებულია ალექსანდრესაგან, ამას უჩვენებენ ანუ მათნი წარწერანი, მაგალ. წარწერა რუისის ეკლესიისა (*V. arch.*, VI, 7), ანუ გუჯარნი, მაგალ. გუჯარი გიორგი VIII-სა მცხეთის გაახლებას (Brosset, *V. archéol.*, IV, 20).

დობით ზავისა მყოფელმან და თვით შარუხ უკუიქცა და წარვიდა. არამედ ესილნეს რა ესე განძელთა და შირვანელთა მეფობა სპარსეთისა, არღარა ინებეს მათ ხარკისა მიცემა ალექსანდრე მეფისა. განრისხნა მეფე ალექსანდრე; შემოიკრიბნა სპანი თვისნი და შთავიდა ყარაბაღს წელსა 1437, ქართულსა 125; ვერ წინა-აღუდგნენ მას განძელნი; მოსრნა ურჩნი და ჰყვნა კვალადცა მოხარკედ. ამისნი მსილველნი შირვანელნი და დარუბანდელნი შეშინდნენ ძლიერებითა მისითა და მოერთნენ ყარაბაღსავე ძღვნითა დიდითა. ხოლო მეფემან დაამშვიდნა და აუხსნა მათ ხარკნი და დაიმორჩილნა ყოველითავე. მერმე უკუ-მოიქცა და მოვიდა ტფილისს გამარჯვებული. ამისთვის წარუმართა მას ღმერთმან; რამეთუ იყო მშვიდი, მოწყალე, შემნდობელი, მიმტევებელი ქვრივთა და ობოლთა და დავრდომილთა შემწყნარე, სამღვდელოთა პატივის-მცემელი, ეკლესიათა მაშენებელი და შემამკობელი, მხნე-ახოვანი, შემმართებელი, შვენიერ-ჰაეროვანი. არამედ ესე ალექსანდრე მეფე მოკლიდა ყოველსა სამეფოსა თვისსა, ზამთარ-იმერეთს, ზაფხულ სამცხეს, კლარჯეთს და თრიალეთს; შემოდგომა-გაზაფხულს სომხითს, ქართლს, ჰერ-კახეთს და იყო შვებანადირობასა შინა ქვეყანასა თვისისასა; არამედ ამისა შემდგომად გარდაიცვალა წელსა 1442, ქართულსა 130 და დაფლეს მცხეთას[1].

1. ალექსანდრეს დროს კუთნილი 25 გუჯარი ბროსსესაგან განხილული ნახე იმის *V. arch*-ში, IV, 11—19; აგრეთვე ერთი დიდი გუჯარი, რომელსაც ამ ალექსანდრეს მიაწერენ, მაგრამ, იმავე ბროსსეს გამოძიებით, ის ეკუთნის კახეთის მეფეს ალექსანდრე I ს. ეს გუჯარი იმითია ღირს-შესანიშნავი, რომ ის აღრიცხავს ყველა მამულებს, რომელნიც კი ოდესმე მცხეთის საკათოლიკოსოს კუთვნილნი ყოფილან. (*H. de la G.*, 680, n. 3). თვით გუჯარი მთლად ჩართულია—ქართული ტექსტი *Акты*-ში *Кавк. Археогр. Ком.*, т. VI, стр., 769—770; ფრანცუზულ ენაზე ნათარგმნი—*H. de la G.*—*Introd*-ში CXVI—CXXII.

ალექსანდრე გარდაიცვალა ბერად შემდგარი 1442 წ. (*V. arch.*, IV, 19) ათანასედ სახელ-წოდებული და დამარხულია მისგანვე მცხეთის საკათალიკოსო ტაძარზე მიშენებულს ჩვენ დროს აშლილს ეკვდერში, როგორც ამას გვიმტკიცებს ქ.-ცხბა (გვ. 764) და მისი გუჯარი (*V. arch.*, IV, 16, 19).

ალექსანდრეს მატიანეს აქვს ვახუშტისაგან შემდეგი მინაწერი: „სწერენ ხრონოლოგებსა შინა, რამეთუ ფლორენციის კრებასა შინა იყო ერთი მიტროპოლიტი სოფრონი და ერთი ეპისკოპოსი ქართველნი წელსა 1433, რომელი იქმნების ალექსანდრე მეფობის წელი 19.

აქ წლის ჩვენებაში ვახუშტი შემცდარია, თუმცა მართალია მსოფლიო ისტორიაც მოიხსენებს ფლორენციის კრებაში ქართველ მიტროპოლიტს თავის თანაშემწეთი და ერთს ქართველ დიდებულს-სახელები მათი ვერ ამოვიკითხეთ. —რა აზრით შესდგა ფლორენციის კრება ან რა მდგომარეობას უჩვენებს იგი მაშინდელის ვიზანტიის იმპერიისას ეს მოითხოვს განმარტებას, რომელსაც მოკლედ წარმოვუდგენთ მკითხველს.

მანუელ II პალეოლოგის მეფობას (1391—1423) ვხედავთ მეტად აღელვებულ დროდ ვიზანტიისათვის, როგორც შინაგანის ბრძოლით, რომელიც დაბადა ტახტის მეძიებელმა მისმავე შვილის შვილმა იოანემ, განსაკუთრებით კი ოსმალო-თურქთ ზედიდებ-

## მეფე ვახტანგ IV (1442—1445—47).

შემდგომად მეფისა ალექსანდრეს წილ გამეფდა ძე მისი ვახტანგ[1] და შემოკრბნეს კათალიკოს-ეპისკოპოსნი და დიდებულ-წარჩინებულნი და აკურთხეს მეფედ მცხეთას და დაიპყრნა ყოველნი საბრძანებელნი მამისა თვისისანი, რამეთუ იყო ძლიერი, ტანითა ახოვანი, შემმართებელი, ჭაეროვან-შვენიერი, მრისხანე საშინელი, უხვი, მდაბალი და სამხედროთი სრული. მეფესა ამას უთხრეს შვენიერება და სიკეკლუცე ფანასკერტელის ასულის სითი-ხათუნისა. ეტრფიალა მეფე და მოიყვანა ცოლად და ჰყო მის-თანა ქორწილი ჭაეროვანი და შეიყვარა ფრიად.

ხოლო სპარსეთს მოკვდა შარუხ და დაჯდა მის-წილ ჯაან-შაჰ წელსა 1440, ქართულსა 128. ესე ჯაან-შაჰ მცდელობდა დაპყრობასა სრულიად სპარსეთისა-

ხვამ. იმ დროს თურქნი აოხრებდნენ დედა-ქალაქის გარემო ხეობებს და 1423 წელს თვით კონსტანტინეპოლსაც მიადგნენ 200,000 მხედრობით. მანუელმა თავის მეფობის დასაწყისვე მოსთხოვა შემწეობა ფრანციის კაროლს კარლ VI-ს, რომელმაც მას ჯარი მიაშველა და ამ ჯარმა თურქნი რამდენჯერმეც დაამარცხა და ჯარის-უფროსმა თვით ტახტის მოცილენიც მოარიგა ერთმანეთში. ბოლოს მანუელმა მონაზონობა მიიღო და ტახტი გადასცა თავის შვილს იოანე VIII-ს პალეოლოგს.

იოანე VIII-მ (1423—1448) მიჰმართა ევროპის მფლობელთ შემწეობას. ამ შემთხვევაში იოანე ჰხედავდა საჭიროებას სამუდამო კავშირისას მათთან და ამის გამო ისურვა ლათინთა და ბერძენთა შორის სარწმუნოებრივის განხეთქილების აღმოკვეთა. ამ განძრახვით იწყო მიწერ-მოწერა და დესპანტა გზავნა, რომელმაც გასწია 1426 წლიდამ 1437 წლამდე. ამ წელს 27 ნოემბერს იოანე თვითონაც გაემგზავრა პაპასთან, მივიდა 8 თებერვალს 1438 წ. ვენეციაში და იქიდამ ფერრარაში, სადაც პაპა ევგენი მე-IY-საგან დიდის პატივით იყო მიღებული. შემდეგ წელს ორისავე ეკლესიის წარმომადგენელნი შეიყარნენ ფლორენციაში, სადაც საზოგადო მსჯელობა და ბაასი განსაკუთრებით იმაზე იყო: უნდა დარჩენილიყო სიმბოლო-სარწმუნოების დოღმატი სულის წმინდის გამომავლობაზე ბერძნული ანუ ლათინური. ამას დაერთო ლათინთ მოთხოვნილება, რომ ბერძენთ აღიარებინათ პაპის უპირატესობა. საქმე კრებაში მით დაბოლოვდა, რომ ბაასში ლათინთ მამათა სძლიეს ბერძნების წარმომადგენელებს და ამ უკანასკნელთ მიიღეს მოთხოვნილება. იოანე VIII დაბრუნდა კონსტანტინეპოლში 1 თებერვალს 1440 წელს; მაგრამ ფლორენციის დათანხმებამ არა თუ არ შეაკავშირა ლათინნი და ბერძენნი, არამედ უფრო გააძლიერა მათი ურთი-ერთი სიძულვილი, რომელმაც, როგორც ვიცით, მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე დიდი გავლენა იქონია და ოსმალებს ხელი შეუწყო ვიზანტიის იმპერიის დარღვევაში და კონსტანტინეპოლის დაჭერაში. (Sabatier, *Descr. génér. des monn. byzant.*, II, 271—280.—Lebeau, *H. du B.—E.*, XXI, 141—179).

1. ქ.-ცხბით, „ოდეს დასვა (ალექსანდრემ) პირველი შვილი ვახტანგ ქართლსა და იმერეთს დააყენა უმრწემესი ძმა მისი დიმიტრი და კახეთს დასვა უმრწემესი ძმა დიმიტრისა გიორგი“ (ქ.-ცხ., 474). ამის გამო მიაწერენ ალექსანდრეს საქართველოს დაყოფას სამ სამეფოდ. (Brosset, *V. arch.*, IV, 19—20).

სა და გარემოთა ყოველთა. წარმოემართა და უგრძნეულოდ მოვიდა სამცხეს, მოუხდა ახალციხეს და ბრძოდა ძლიერად წელსა 1444, ქართულსა 132. ამისმან მსმენელმან მეფემან ვახტანგ მოსწრაფედ შემოიკრიბნა სპანი იმერ-ამერთა, ჴერ-კახთა, სომხითართა და მივიდა სამცხეს და მუნ მოერთნენ მესხნიცა სრულიად. ეწყო ჯაან-შაჰს[1] და იქმნა ბრძოლა ძლიერი დილით მწუხრადმდე და მოსწყდნენ მრავალნი ორგნითვე, გარნა უმრავლესნი ჯაჰან-შაჰსნი; არამედ სწორი ძლევა იქმნა და ვერცა ერთმა სძლო და სიღამით უკუ-დგნენ ბრძოლისაგან სვალისად ორნივე მემუქარენი. არამედ მასვე ღამესა აიყარა ჯაან-შაჰ ყაენი სპითა თვისითა იდუმალ, რომელ ვერავინ უგრძნა და წარვიდა ფრცხელად. ხოლო დილასა ისილა რა მეფემან, ინება დევნა მისი, გარნა დიდებულნი არღარა აუფლებდნენ მეტყველნი: „აწ ჯერ-არს მადლობა ღვთისა, ვინადგან არა რაჲ წარაქვს ჩვენი, არამედ თვისისაცა დამტევებელი ივლტის“. ისმინა მეფემან და მოიქცნენ გამარჯვებულნი. შემდგომად მცირედისა ჟამისა ამავ წელსა მოკვდა იოანე ათაბაგი და ამავე მეფემან აღიყვანა ძე იოანე ათაბაგისა აღბუღა პატივსა ათაბაგობისასა. კვალად ამასვე წელსა მოკვდა დედოფალი სითი-ხათუნ და დაფლა მეფემან ბანას[2]. ამისა შემდგომად იმეფა ვახტანგ წელი ერთი მწუხარებით ცოლისა თვისისათვის. გარნა მეფობდა კეთილად განგებითა ქვეყნისათა, მერმე გარდაიცვალა წელსა 1445, ქართულსა 133 და არა დაუტევა ძე, არცა ასული და დაფლეს ბანასვე ცოლისა თვისისა თანა.

## მეფე გიორგი VIII (1445—1469).

დაჯდა მეფედ ძმა ვახტანგ მეფისა და ძე ალექსანდრე მეფისა გიორგი. ხოლო შემოკრებულთა კათალიკოს-ეპისკოპოსთა და დიდებულთა აკურთხეს მეფედ და იყო ესე გიორგი მეფე ყოვლითა სიკეთითა და საღმრთო-სამხედროთი სრული და აღმკული; პირველ მეფობასა ბედნიერი და წარმატებული და წარმართებული. არამედ შემდგომად უბრკმა ბრძოლისა სვიანობამან შარავანდედობისამან და განსქდა ჟამისა ამისსა სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. არამედ დაჯდა რა ესე გიორგი მეფედ, ამან დაიპყრა ყოველნი საბრძანებელნი მამისა და ძმისა თვისისანი და მართვიდა საკეთილოდ. ამას უკვე მოსცემდენ ხარკსა შარვანდი, რანი და შირვანი. არამედ ათაბაგი აღბუღა იყო კაცი მშვიდი და უშფოთველი და სიმართლის-მოქმედი, ვითარცა გვაუწყებს მის მიერ აღწერილი სამართლის წიგნი[3], რომელი დაუდვა მესხთა ბრძანებითა მეფისათა.

1. თომა მეძობი ამბობს ჯაჰან-შაჰზე, რომ მან აიღო 1440 წელს სამშვილდე და ტფილისი; მაგრამ მის შესვლაზე სამცხეში არას ამბობს (*H. de la G.*, 683, შ. 3).

2. ბანას საყდარზე ნახე ზემოდ, გვ. 125 შენ. 1.

3. შემოგვაქვს აქ ისტორიული ნაწილი ანუ წინა-სიტყვაობა „აღბუღას სამართლისა“, რომელიც მთლად არის შეტანილი ჩუბინა-შვილის ქრისტომატიაში (ს.-პეტერბ.,

ხოლო ბიძასა მისსა ყვარყვარეს აქვნდა გულსა მანკიერება, რომელი ქვემორე გამოიცხადების. ამან ყვარყვარემ იხილა რა ესე ვითარნი ალბუღასი მოქმედებანი, იწყო გარდაბირებად მესხთა აგრძნა ესე ალბუღამ და მივიდა, რათა შეიპყრას ყვარყვარე. მაშინ ყვარყვარე ექმნა ძლიერად წელსა 1447, ქართულსა 135 და იძლია ალბუღა ათაბაგი და მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა. განრისხნა მეფე, წარვიდა და მივიდა სამცხეს. ხოლო ყვარყვარე მოეგება მეფესა და ითყოდა უცოდველ-ყოფასა; არამედ მეფემან აღიყვანა ალბუღავე პატივსა ათაბაგობისასა და ყვარყვარე დაიმჭირა კარსა თვისსა ზედა, გარნა მიერიდგან იქმნა ყვარყვარე ქვე-გამხედველი მეფისა. შემდგომად წელსა 1451, ქართულსა 139 გამოვიდნენ ორმოცდა ათნი კატარღანი[1] სპარსნი სპითა სულტან მურადის მაჭმედის მისათა და აღაოხრნეს და მოსწყვიდნეს ცხუმი და აფხაზეთი და ზღვის პირნი; უკუ-იქცნენ და წარვიდნენ. ამისთჳს მცნობელი მეფე გიორგი წარვიდა მოსწრაფედ, არამედ ვერა რასაღა ეწია, გარნა მკვიდრნივე დასხნა და უქმნა სიმაგრენი და განაგნა შუნებურნი და მოვიდა გეგუთს. ხოლო ამასვე წელსა მოკვდა ათაბაგი ალბუღა და შემდგომად მისა ამან მეფემან გიორგი მიუბოძა ბიძასა მისსა ყვარყვარეს მობირებითა კეზართათა ათაბაგობა. შემდგომად ნადირობასა შინა მოკლა ცხენმან დიმიტრი ძე ალექსანდრე მეფისა წელსა 1452, ქართულსა 140. კვალად უკუ-დგნენ შირვანელნი და არღარა მოსცნეს ხარკნი. ამისთვის შეკრიბნა მეფემან სპანი და შევიდა ყაბალას[2]. წარავლინნა სპანი და

1863, გვ. 208—233). „შევიყარენით-ამბობს ალბუღა-ჟოლოთას მინდობილნი ღვთისანი და აწყურისა ღვთის-მშობლისანი, დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურთ-უხუცესისა ბექას განაჩენი და იგი აგრევე სრულებით და უკლებლად დავწერეთ და რაცა ჟამთა სხვითა სხვანი უწესონი საქმენი შემოსულ-იყვნენ, მათი სამართალიცა ზედა დაურთეთ ასრე, რომე რაც სისხლისა და გერშისა დასხმისა და ღალატისა და რასა გინდა ფერისა დასაურვებელი საქმე იყოს, პატრონისა პაპის ჩემისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო და ამა ჟამთა შიგან ყაზანურობა მოკლებულ იყო და დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ-ორიანი ხუთ-დანგი წმინდა ვერცხლი და როგორც აწ-ჟამისა თეთრი იყოს ანგარიშით, ამა წესით აღიღებდნენ. ამად არა ჩამოვამცრივეთ, რომე ავი საქმე თუ ვისგანმე გაადგილდების, აწყურისა და სათვარისა,ვითა ძველითგან ყოფილიყო, არცა დიდსა მეფესა მოეშალა და ჩვენ გალანამცა აგრევე დავამტკიცეთ“.

გ ე რ შ ი, საბა ორბელიანის განმარტებით, „ნაკოდთა მცირე სისხლი“. „უკეთუ ვინმე დასდვას გერში მოყვასსა თვისსა, ვითარცა იგი მან უყო, ეგრევე უყვენ მას: განტეხა განტეხისა წილ, თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ და რაჲცა გერში დასდვას კაცმან კაცსა, ეგრევე უყავნ მას“. (ლევიტ., 24: 19, 20).—ყ ა ზ ა ნ უ რ ი ს მნიშვნელობა ნახე ზემოდ, გვ. 264, შენ. 4.-ბეგა ათაბაგი პაპა ალბუღასი და მამა ივანესი, რომელთ მოქმედებანი თვით ამ ვახუშტის ისტორიაში არიან განხილულნი, მოკვდა 1391 წ. და თვით ალბუღა მიიცვალა 1451 წ. (*H. de la G.*, II, 2 livr., p. 639).

1. კ ა ტ ა რ ღ ა, საბა ორბელიანის განმარტებით, „ნავის საბრძოლველი“.

2. „აქა სჩანს ისევ ერთი მეფობა იყო და არა სამი, რამეთუ ყაბალის გზა კახეთი არს, ვითა აჩენს, გაყრის წიგნი ბარათიანთა“. ვახუშტი.

ყ ა ბ ა ლ ა, ქ.-ცხბით, ქალაქი შარვანისა“ (გვ. 248). ნახე აგრეთვე S.-Martin., *Mém.*, II, 232.

მოსრნა უმრავლესნი და დაამშვიდნა სხვანიცა, შეჰკვეთა ხარკნი და მორჩილად ითვისა. კვალად ამას ჟამსა შინა განრისხნა ღმერთი ქრისტიანეთა ზედა ცოდვათა ჩვენ ქრისტიანეთათვის და აღიღო სულტანმან კოსტანტინეპოლი წელსა 1453, ქართულსა 141, რამეთუ მოკვდა კალეპინ წელსა 1410 და დაჯდა ძე მისი მუსა. მოკლა მუსა ძმამან მისმან მაჰმედ წელსა 1413 და დაჯდა თვით მაჰმედ. მოკვდა მაჰმედ წელსა 1422 და დაჯდა ძე მისი მურად, რომლისა კატარღებმა მოსტყუვნნეს ზღვის პირნი. მოკვდა მურად წელსა 1451 და დაჯდა შემდგომად მისსა ძე მისი მაჰმედ. ამან მაჰმედ მეორესა წელსა მეფობისა თვისისასა წარიღო სამეუფო ქალაქი[1], გარნა წაღება ესე დაუსხვიდა საქართველოს დიდსა ბოროტსა, რომელიცა ქვემორე შეუდგების. ხოლო მოკვდა იმერთ ერისთავი დიმიტრი და მეფემან დასვა ბაგრატ ძე მისი, და გარდაიცვალა ამ გიორგის მეფობის დროსა შინა კათალიკოსი შიო და ამან მეფემან დასვა კათალიკოსად დავით.

ხოლო წელსა 1462, ქართულსა 150 განზრახვითა ყვარყვარე ათაბაგისათა იწყო ზრახვად იმერთა ერისთავმან ბაგრატ ძემან დიმიტრისამან, რათა ჰყონ იგი მეფედ და აღუთქვა თავისუფლება დადიანსა, გურიელს, შარვაშიძეს და სვანთა. ესე სთნდათ მთავართა მათ ამისი, ესრეთ ყოფად და მისცეს მას პირი მტკიცე და ჰყვეს მეფედ იმერთა. ესმა რა ესე გიორგი მეფესა, აღუძნდა ფრიად და შემოიკრიბნა სპანი ქართლ-სომხითისა და ჰერ-კახეთისა და უბრძანა ათაბაგსა შემოსვლა სპითა სამცხისათა ფერსათიდამ იმერეთსა შინა და მეფე გიორგი შთავიდა იმერეთს სპითა თვისითა. ხოლო ათაბაგი არღარა მოვიდა მზრუნველი საქმისა თუ რად იქმნების და არცაღა უშველეს ბაგრატს დადიანმან, გურიელმან, აფხაზთა და სვანთა. ხოლო მეფე გიორგი და ბაგრატ

1. როდესაც უკანასკნელი იმპერატორი ბიზანტიისა კოსტანტინე XIII პალეოლოგი ტახტზე დაჯდა, 1448 წ., იმისი სამფლობელო ისე იყო შემცირებული, რომ შეიცავდა მხოლოდ კოსტანტინეპოლს, ლესბოსს, ახაიას და მორეას; თვით ამ თემთა მთავარნი ძლივს ქვეშევრდომობას სუსტად აღიარებდნენ. ოსმალონი დიდის-ხნით ცდილობდნენ ჩაეგდოთ ხელში მთლად ეს იმპერია და ბოლოს მაჰმედ II შემოზღუდა 1453 წ. კოსტანტინეპოლი 300,000 ჯარით. მაჰმედმა აიღო 29 მაისს კოსტანტინეპოლი და იმის ცარცვისა და აკლების ნება მისცა ოსმალებს სამის დღის განმავლობაში. კოსტანტინე XIII დაიღუპა ქალაქის აღების დროს და იმისი თავი პალოზე დაცმული დაჰქონდათ ბანაკიდამ ბანაკში.

ამ გვარად დასრულდა კოსტანტინე დიდისაგან დამყარებული ბიზანტიისა ანუ აღმოსავლეთის იმპერია. თვით ტრაპიზონი დაეცა 1462 წელს (Sabatier, *Descr. génér. des mon. bzant.*, II, 283—284). სრული ცნობები ამ საგანზე განიხილება ლებოს ისტორიის უკანასკნელს ნაწილში (XXI, 238—292). ამავე საგანზე ნახე იქვე ბროსსესაგან გადათარგმნილი ქართულის ენიდამ თხზულება: „საღმრთოთა სამღვდელოთა მსოფლიოთა შემოკლებულად მოთხრობა ქრონოგრაფია“. შედგენილი, როგორც ბროსსე გვიამბობს, მე-XVIII საუკუნეში მეფის არჩილისაგან. ამ მოთხრობაში არჩილი გვამცნევს, რომ კოსტანტინეპოლის აღების დღეს მზე დაბნელდაო (Lebeau, *H. du B.-E.*, XXI, 315—331).

ეწყვნენ ჩისორს ურთი-ერთსა და ძლიერითა ბრძოლითა მოსწყდნენ მრავალნი იმერნი და ამერნი. შემდგომად იძლია მეფე გიორგი და ივლტოდა ქართლს. მაშინ ბაგრატმან დაიპყრა იმერეთი, აღიღო ქუთათისი და ეკურთხა მუნ მეფედ. შემდგომად მცირედისა ჟამისა შემოიკრიბნა მეფემან გიორგიმ სპანი და მოვიდა სამცხეს, რათა შური-აგოს ათაბაგსა; ხოლო ათაბაგი ყვარყვარე კვლა წინააღუდგა მუხნებურთა ერისთავთა ერთგულებისა გამო და წარვიდა იმერეთს ბაგრატისა თანა ლტოლვილი. მაშინ სამცხეს ყოფასა შინა მეცადინეობდა გიორგი მეფე, თუ ვითარ განაგოს მუხნებურნი განსამტკიცებელად თავისად; არამედ ჟამთა ამათ მომხვდარიყო ჯაან-შაჰ ყაენი და სპარსეთს იჯდა ასან-ბეგ ყაენად. ამან ასან-ბეგ წარმოავლინა სპანი და სპასპეტნი ქართლსა ზედა. მაშინ მოერთო ამბავი გიორგი მეფესა სამცხეს ყოფასა შინა, ვითარმედ „მოვიდა თავრიჟ გილაქი და თემურ, მოუხდნენ ქართლს და აოხრებენ სომხითსაცა". მსმენელი მეფე უკუ-მოიქცა სამცხიდამ და ეწყო მათ ძლიერად; არამედ იძლია მეფე გიორგი მათგან ცოდვათა ჩვენთათვის და მოსწყდნენ უმრავლესნი სპანი მისნი წელსა 1463, ქართულსა 151. ხოლო თავრიჟ გილაქმან და თემურ მოაოხრეს ქართლი და საგანძურნი მეფისანი, უკუ-იქცნენ და წარვიდნენ.

ამისსა მხილველნი რანი, მოვაკანი და შარვანი არღარა მოსცემდნენ ხარკსა. კვალად ამისმან მხილველმან ბაგრატ უშველა ყვარყვარე ათაბაგსა; მოვიდნენ და დაიპყრა ყვარყვარემ კვალადცა სამცხე. ამისთვისცა მისცა ყვარყვარემ აჭარა და რომელნიმე ჭანეთისა (ადგილნი) გურიელს კახაბერს[1], რათა მწე-ექმნას ერისთავთა ზედა სამცხისთა და კლარჯეთისათა. ხოლო გურიელმა კახაბერ სიხარულით მიიღო ქვეყანანი და მოჰყვა ყვარყვარეს სპითა, მოსპობდნენ და განასხმდნენ ერისთავთა გიორგი მეფისათა და რომელთამე დაიმორჩილებდა და ჰყვანდა ბაგრატცა მარადის მწედ. შემდგომად ამისა შემოიკრიბნა მეფემან გიორგი სპანი ქართველნი, სომხითარნი და ჰერ-კახნი, მივიდა და დადგა ფანავარსა ზედა, რათა დაიმორჩილოს სამცხე ყვარყვარე ათაბაგითურთ წელსა 1465, ქართულსა 153. არამედ აქა დგომასა შინა შემოუჩინეს განდგომილთა მეფისათა გიორგი მეფესა მოღალატენი, რათა მოკლან იგი და ტაძრეულნივე თვისნი. ხოლო სცნა ესე ითამ ზედგინიძემ და ამხილა მეფესა ყოველივე; არამედ

1. ჩვენ ზემოდ ვუჩვენეთ გურიელების შთამომავლობა სვანეთის ერისთავის ვარდანისძისაგან (ნახე გვ. 281 და 282, შენიშ. 1). აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ მწერლობაში გურიელთა სახლის წევრთაგანნი სახელდობრ იხსენებიან: 1) კახაბერი მეუღლით ანნათი ლიხაურის 1352 წლის და შემოქმედის წარწერაებში; 2) კახაბერივე „შვილი ერისთავთ ერისთავის დადიანის გიორგისა" ჯუმათის წარწერაში. ეს კახაბერი ჩემის მოაზრებით არის შვილი დადიანის გიორგი II-სა, რომელიც ცხოვრობდა მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარში, და 3) კახაბერივე ისტორიაში პირველად სახელ-წოდებული და მიცვლილი 1483 წელს (ჩემი *Археол. путеш. по Гуріи и Адчарѣ*, стр. 358). ძველის-ძველს გურიელებზე ზოგიერთი ცნობები ჩემგან ნაპოვნი გურიაში იხილე იქვე стр. 335.

მეფემან არა ირწმუნა, ვინადგან უგონებელ იყო მათგან ღალატი მეფისა. მაშინ იოთამ ეტყოდა მეფესა: „უკეთუ ჰსცბი და არა ჭეშმარიტ არს სიტყუა ჩემი, აწ გევედრები, რათა არა მოიკლა თავი ცუდად, არამედ ღამესა ამას მე დავწვები საგებელსა შინა შენსა და უკეთუ მომკლან მე მგონებელთა შენთა მეფედ, გარნა ნუ დაივიწყებ ძეთა ჩემთა“. უსმინა მეფემან და ჰყვეს ეგრეთ, ვითარცა იტყოდა იოთამ. ხოლო ღამესა მას შემოვიდნენ მოზიარებულნი იგი და მოკლეს იოთამ და განერა მეფე მათგან. დილისად შეიპყრა მეფემან მტერნი თვისნი და მოსწყვიდნა ყოველნი და შფოთსა და ძიებასა ამას შინა დაესხა ყვარყვარე ათაბაგი ყოვლითა შემწეთა თვისითა გიორგი მეფესა და აოტნა სპანი მეფისანი და შეიპყრა მეფე გიორგი, წარიყვანა სამცხეს და ჰყო მუნ პატიმრად პატივითა დიდითა. ამისა შემდგომად მოკვდა ათაბაგი ყვარყვარე წელსა 1466, ქართულსა 154, იანვარსა შინა და დაჯდა ძე მისი ბაადურ. ამასვე წელსა იხილა რა შეპყრობა გიორგი მეფისა ბაგრატ იმერთა მეფემან, შემოიკრიბნა სპანი თვისნი, გარდმოვლო ლიხი და დაიპყრა ქართლი თებერვალსა შინა. ამისი მხილველი განდგა დავითცა ნებითა ჰერ-კახთათა, რათა არა დაიპყრას ბაგრატ ჰერ-კახნიცა და იწყო მეფედ წოდება კახთა ზედა [1]. მაშინ ამათი განმხილველი ათაბაგი ბაადურ განიზრახვიდა, უკეთუ დაიპყრას ბაგრატმან ქართლი, კვალად ეძიოს თვისად დაპყრობად სამცხისაცა და დამორჩილებასა ქვეშე თვისსა. ამისთვის ეზრახა მეფესა გიორგის, რათა არღარა მოიხსენოს შური მას ზედა და არა ეცილოს სამცხე ათაბაგსა; ხოლო მეფემან დაიპყრას ქართლი, სომხითი, ჰერ-კახნი და განუტეოს და მიჰყვეს თვით ათაბაგი ამათთა დაპყრობისათვის. მაშინ მეფემან უღონო ქმნილმან აღუთქვა ყოველნი ნებისაებრ მისისა და გულ-პყრობილმან გიორგი მეფისაგან ათაბაგმან ბაადურ შემოიკრიბნა სპანი სამცხისანი და კლარჯეთისანი სრულიად და შთამოიყვანა მეფე გიორგი სომხითს. მუნ მიერთვნენ ყოველნი სომხითარ-ქართველნი მეფესა. ხოლო იხილა რა ესე ბაგრატ მეფემან, არღარა ინება ბრძოლად და წარვიდა იმერეთს. მაშინ დაიპყრა გიორგი მეფემან ქართლი და სომხითი; მერმე განვიდა კახეთს, მიჰყვა ბაადურ ათაბაგიცა. ამისნი მხილველნი ჰერ-კახნი მოერთნეს მეფესა გიორგის. ხოლო დავით ვერ წინააღმდგომი და მოშიში მეფისაგან ივლტოდა დედა-წულით და გიორგი მეფემან კვალად დაიპყრა კახეთი და ჰერეთი და ვითარცა იყო პირველ ერისთავთა

1. „განდგომასა კახთასა სწერს პოლშის მემატიანე: წელსა 1457 ალილო ხვანთქარმან მაჰმედ მეორემან ტრაპიზონი და მეფე მისი დავით ცოლით და ძეებით მიიყვანა ადრიანეპოლს და მუნ აიძულებდა დატევებასა ქრისტესსა; ხოლო მან არა ინება და მოიკლა ქრისტესთვის მის მიერ“. ვახუშტი.

აქ ნაჩვენები წელი ტრაპიზონის დაჭერისა მაჰმედ II-საგან შეცდომაა. ნამდვილი წელი ჩვენ ზემოდ ვუჩვენეთ (გვ. 304, შენ. 1). დანაშთენი ცნობა ტრაპიზონის იმპერატორზე დავითზე ისტორიული სიმართლეა (Lebeau, *H. du E—B.*, XXI, 371—375).

მიერ, ეგრეთვე განაგნა. კვალად ეზრახა დიდოთა, რათა მოსცენ დავით და მიიღონ ნიჭი; არამედ მათ არა ინებეს მოცემა დავითისა მეფისადმი; ხოლო მეფემან ვერღარა იკადრა შერისხვა დიდოთა მათ, რათა არა შეუდგეს უდიდესნი ბოროტნი სიმაგრეთა შინა მათთა. ამისთვის განამტკიცნა ჭერ-კასნი სარწმუნოდ ერთგულობასა ზედა თვისსა და განაგნა მუნებურნი და მოვიდა ტფილისს; ხოლო ბაადურ ათაბაგი წარვიდა სამცხეს.

ამისა შემდგომად ეწყო და განაგებდა მეფე გიორგი ქართლსა, სომხითსა და ჭერ-კასთა. მაშინ მოიყვანა ძე იოთამისა, მიუბოძა მას ციხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და სასაფლაოდ სამთავისი და კარისა თვისისა ამილახვრობა მსახურებისათვის მამისა მისისა, ვითარცა აჩვენენ გუჯარნი მათნი[1]. გარნა მეფე გიორგი ამათი მყოფელი და განმგე ნაშთთა ქვეყანათა იყო ფრიად მწუხარე განხეთქილებისათვის სამეფოსა ესე ვითარად. არამედ კვალადცა მცდელობდა შეერთებასა და ეგრეთვე გებასა გიორგიისასა; გარნა ვერღარა ღონის-მძიებელი და მპოვნელი გარდაიცვალა მეფე გიორგი წელსა 1469, ქართულსა 157 და დაფლეს მცხეთას.

შენ. მასა მეფისა კონსტანტინესსა და მის ქვემორეთა მეფეთა ქმნილებათ ვიწყებთ წარწერას თვის-თვისთა ქარტათა ზედა, ვინადგან იქმნენ განყოფილებანი.

დასასრული პირველის ნაწილისა.

---

1. ვითარცა აჩვენენ გუჯარნი მათნი. ვახუშტისაგან შემოტანილს იოთამ ზედგინიძეს ისტორიაში ჩვენ სრულებით არ ვეჭვნეულობთ და ის გუჯარნი, რომელთაც ვახუშტი მოიხსენებს, უნდა მიიპოებოდნენ ამილახვრიანთ გვარში; ამ გუჯრებმა უნდა განგვიმარტონ აქ მოყვანილი ღირს-შესანიშნავი ფაქტი იოთამზე, რომელზედაც არც ერთს ეკლესიის წარწერაში, არც ერთს გუჯარში ჩვენ არა ამოგვიკითხავს რა, თუმცა ბევრნი ამილახვრის გვარის წევრთაგანნი შეგვხვედრიან საქართველო-იმერეთის კანტორის გუჯრებში. ზოგიერთი არხეოლოგიური ცნობები ამ გვარზე ნახე *H. de la G.*, 686, n. 2.—Brosset, *V. arch.*, I, 42; VI, 117—121.

სამთავისის ტაძარი, ერთი უმშვენიერესთა ჩვენთა ეკლესიათაგანი, მდებარებს რეხულის ხეობაში (ვახ. გეოგრ., 242), ამილახვრიანთ მამულში და ეკუთნის ბაგრატ IV-ს დროს, როგორც ამას ამტკიცებს უძველესი მისი 1050 წლის წარწერა (Brosset, *V. arch.*, VI, 121—125.—ჩემი დიური, № 1, გვ. 291).

# შთამომავლობა

## საქართველოს მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-დე.

შ ე ნ ი შ ვ. 1) აქ შთამომავლობის გარდა ნაჩვენებნი არიან საქართველოს საზღვარნი და შესანიშნავნი ისტორიულნი შემთხვევანი.
2) რიგი ციფრებისა ფარნავაზის დრომდამ უჩვენებს, ვინ ვის შემდეგ მეფობს ანუ მთავრობს.
3) † უჩვენებს სიკვდილის წელს.

### თარგამოს,

შთამომავალი ნოესი.

#### ჰაოს.

წილი მისი: ალმ. ზღვა გურგანისა ანუ გილანისა; სამხ. ორეთი ანუ ქურთთა მთა პირისპირ მიდიისა; ჩრდ. მთა მომდინარე პონტის ზღვით ბასიანის კარით ბარდა არაზამდე; დას. ზღვა პონტისა.

შ ე ნ ი შ ვ: ჰაოს წინაპარი სომეხთა, აქვს თუ არა ქართველობას ნათესავური კავშირი სომხობასთან ამაზე ნახე ჩემი აზრი ზემოდ გვ. 29, შენ. 1.

#### ქართლოს.

მისი საზღ.: ალმ. ჰერეთი და მდინარის ბერდუჯის მცირე მთა გამართებით ხუნანისა გულგულა ტყე-ტბამდე მიდგმით კავკასისა; სამხრ. მთა, რომელი მიჰყვება ბერდუჯის მდინარის თავსა და მთა დასავლით კერძო და მთა, რომელი მიჰყვება შორის კლარჯეთისა და ტაოსა, ვიდრე ზღვამდე; ჩრდ. ლადო-მთა (ქ-ცხა, 16). აშენებულია მისგან ქალაქები: ქართლი, შემდეგ არმაზი, ორბისი, შემდეგ სამშვილდე და მტკვრის-ციხე, შემდეგ ხუნანი. ცოლი ქართლოსისა აშენებს დედა-ციხეს და ბოსტან-ქალაქს, რომელია შემდეგ რუსთავი (ქ-ცხა, 19).

#### ბარდოს.

მისი წილი: ალმ. მდინარე რახსი; სამხ. მთა წინათივე; დასავლით ბერდუჯის მდინარის მცირე მთა და ჩრდილ. მდ. მტკვარი. აშენებს ქალაქს ბარდავს.

#### მოვაკანი.

მისი წილი: ალმ. ზღვა გურგანისა; სამხრეთით მტკვარი; ჩრდ. მთა კავკასი და დას. მცირისა და დიდისა ალაზნის შესართავიდამ მტკვრამდე და გამართებით კავკასამდე.

#### ჰეროს.

წილი მისი: სამხ. საზღვარი მოვაკანისა; დას. მტკვარი; ალმ. კავკასი და ჩრდ. ხუნანიდამ გავლილი მთა გულგულა ტყე-ტბა-კავკასამდე. აშენებს შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა ქალაქს ჰერეთს, რომელია შემდეგ ხორანთა (ქ-ცხ., 17).

#### ეგროს.

წილი მისი: ალმ. მთა მცირე ლიხისა; სამხ. მთა ლადოსი; ჩრდ. კავკასი; დას. ზღვა და მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწვდების წვერი კავკასისა (ქ.-ცხბა., 17). აშენებს ქალაქს ეგრისს, რომელია შემდეგ ბედია.

#### ლეკან.

წილი მისი: ალმოს. ზღვა დარუბანდისა ლომეკის მდინარემდე; სამხ. და დასავ. მთა კავკასი და საზღვარი კავკასოსი; ჩრდ. მდინ. დიდისა ხაზარეთისა.

#### კავკასოს.

წილი მისი: კავკასის მთის ჩრდილო კერძი, ლეკანის საზღვრიდამ ვიდრე ზღვამდე პონტისა ანუ შავისა.

#### მცხეთოს.

წილი მისი: ტფილისისა და არაგვის დასავლეთი ლიხის მთამდე და ზღვამდე სპერისა და სხვა მხრებით საზღვარნი ქართლოსისანი.

#### გარდაბოს.

წილი: ალმ. მდინ. ბერდუჯი; დასავ. ქალაქი გაჩიანი; სამხ. მთა ხსენებული; ჩრდ. მტკვარი, ანუ ხუნანი და გარდაბანი.

#### კუხოს.

წილი მისი: ბოსტან-ქალაქი, შემდეგ რუსთავი, არაგვიდგან ჰერეთამდე, თავამდე მთისა კახეთისა და შუა მტკვრისა.

#### კახოს.

წილი: კავკასის და კახეთისა მთასა შორის, არაგვიდგან ტყე-ტბამდე, რომელია საზღვარი ჰერეთისა. აშენებს ქალაქს ჩელეთს.

#### გაჩიოს.

წილი: ორბის-ციხე და სკვირეთის-ზეითი ადგილები ახოცის თავამდე და ფანავარამდე. აშენებს სანადირო-ქალაქს, რომელია შემდეგ გაჩიანი.

#### უფლოს.

წილი მისი: ტფილისიდგან და არაგვიდგან ტაშის-კარამდე, ლიხის მთამდე და ფანავარამდე. იგია „ზენა სოფელი“, შემდეგ „შიდა-ქართლი“ (ქ-ცხ., 20). აშენებს: უფლის-ციხეს, ურბნისს, კასპს.

#### ოძრახოს.

წილი მისი: ტაშის-კარს-ზეითი და მტკვრის დასავლეთი ზღვამდე სპერისა და ადგილი კლდოვანი. აშენებს ოძრხეს და თუხარისს.

#### ჯავახოს.

წილი მისი: მტკვრის აღმოსავლეთით ფანავარამდე და თავამდე მტკვრისა. აშენებს წუნდას და ქაჯთა-ქალაქს, რომელია შემდეგ არტანისი ანუ ჰური.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საქართველოს გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულს საზღვრებზე ჩემი აზრა ნახე ზემოდ გვ. 31, შენ. 1.

## უფლოს.

### სამარა.

მამასახლისი მცხეთისა ალექსანდრე დიდის შემოსვლის დროს. † 322 წ. ქრისტეს წინ.

შენ. შესაძლებელია თუ არა, რომ ალექსანდრე თვით ყოფილიყო საქართველოში, ამაზე იხილე ზემოდ გვ. 36, შენ. 1.

N. ვაჟი. ირთავს სპარსის ქალს ისპაჰანელს, მოიკვლის ალექსანდრესაგან.

### 1. ფარნავაზ.

(302 † 237).

პირველი მეფე. ირთავს ძურძუკელ ქალს კავკასიის შთამომავალს. შეიქმს ქართულ მწიგნობრობას; ააფუძნებს სასასპეტოს და საერისთოებს: 1) ეგრისისას ეგრისის წყალსა და რიონს შუა სვანეთით; 2) მარგვისისას ლიხის მთით ზღვამდე რიონის ზემოდ; 3) კახეთისას არაგვიდგან ჰერეთამდე; 4) ხუნანისას ბერდუჯიდგან ტფილისამდე და გაჩიანამდე: ეს არის გარდაბანი; 5) სამშვილდისას სკვირეთით ტაშირისა და აბოცის მთამდე; 6) წუნდისას ფანავარით თავამდე მტკვრისა, რომელია ჯავახეთი, კოლა და არტაანი; 7) ოძრხისას ტაშის-კარიდგან არსიანამდე სამცხით და აჭარით; 8) კლარჯეთისას არსიანით ზღვამდე. მსახურებს სირიის მეფეს, რომლის დინასტია სელევკიდებისა დააფუძნა ალექსანდრე მაკედონელის მხედართ მთავარმა სელევკმა ნიკატორმა (ნახე ზემოდ გვ. 41, შენ. 2).

შენ. ფარნავაზის დროს ბერძნების მფლობელობა და მათის კოლონიების ნაშთნი შავი ზღვის პირად ნახე ზემოდ გვ. 33, შენ. 2. ...იქვე ნაჩვენები ფაკტები ძველს ქართულ მწერლობაზე და აგრეთვე ფილოლოგიური მნიშვნელობა და წარმოება ა ზ ნ ა უ რ ი ს ა, რომელიც ვითომც აზონის სახელიდგან წარმომდგარიყოს. (გვ. 38, შენ. 1.)

### 2. საურმაგ.

(237 † 162)

ირთავს ბარდას ერისთავის ქალს. შვილად იყვანს მირვან ნებროთიანს, თავის ცოლის ნათესავს. ძურძუკეთის მოჭარბე მცხოვრებთ ასახლებს დიდოეთში და სვანეთში ეგრისამდე.

N. ირთავს ვაჟი-შვილს ქუჯისას და ფარნავაზის დისას.

### 3. N. ირთავს მირვან I-ს ნებროთიანს, რომელიც საურმაგის მემკვიდრედ ჯდება 162 † 112.

### 4. ფარნაჯომ.

(112 † 93),

რომელსაც შემოაქვს ცეცხლის მსახურება მცხეთაში. ქართველნი განრისხებულნი ფარნაჯომს მოჰკვლენ და მის მაგიერ გამოითხოვენ სომეხთ მეფის შვილს არშაკს.

### 5. N. ირთავს არშაკ I-ს არშაკუნიანს, რომელიც იჭერს ფარნაჯომის ტახტსა. მეფობს 93 † 81 წ.

### 8. მირვან II

(33 † 23).

ირთავს ბარტომ I-ს ქვრივს.

### 9. არშაკ II.

(23 † 2).

შენ. ვინ არიან შთამომავლობით არშაკუნიანნი ანუ არშაკიდნი, რა გვარ გაძლიერდნენ და დაიპყრეს ტახტი სპარსეთისა, სომხითისა და ქართლისა ამაზე ნახე ზემოდ გვ. 41, შენ. 2.



N. ქალი ცოლი ოვსთა მეფისა.

N. ქალი ცოლი ეგრისის ერისთავის ქუჯისა.

N. ქალი ირთავს საურმაგ მეფის ქალსა.

ქართამი, ირთავს ბარტომ I-ს ქალსა.

### 10. ადერკი.

(2 წ. ქრ. წინ † 55 წ. ქრ. შემდ.)

მეფის არშაკ II-ის შემდეგ. ირთავს სომეხთ მეფის ქალსა. იმის დროს შობა იესო ქრისტესი. იმის დროსვე ანდრია მოციქული და სვიმონ კანანელი ქადაგებენ სახარებას ტრაპიზონით სამცხემდე, სამეგრელომდე და აფხაზეთამდე. სვიმონ კვდება მუნვე და იმარხება ნიკოფსიას და იმის საფლავს ახლაც უჩვენებენ ანაკოფიის საყდარში.

11. ბარტომ II, მეფე მცხეთისა. . . (55 † 72) . . ქართამ მეფე არმაზისა.

12. კაოს. . . (72 † 87) . . ფარსმან I.

13. არმაზელი. . (87 † 103). . . აზორკი.

14. დეროკი. . . (103 † 113). . . ამზასპ I.

15. მირდატ I. ირთავს სპარსეთის მეფის ნათესავს. (113 † 129) ფარსმან II ქველი. ირთავს სომეხთ მეფის არტაშეზ III-ს ქალს გადანას.

შენ. ორ-ორნი მეფენი №№ 11, 12, 13, 14 და 15 ქ-ცხებით ერთს დროს სხდებიან ტახტზე და ერთ დროსვე იხოცებიან.

### 16. ადამ.

(129 † 132)

შემდეგ მისა მეფობს 146 წლამდე დედა ადამისა.

### 17. ფარსმან III.

(† 182).

### 6. არტაგი.

(81 † 66).

რომაელთ მწერალთ ა რ ტ ა გ ო ს ი. იმის დროს მიტრიდატ დიდი პონტის მეფე (120-63 წ.) ებრძვის რომაელებს და რომის მხედართმთავარი პომპეი შემოდის საქართველოში. იმის დროსვე ეცნობიან როგორც რომაელთ ცნობანი კავკასიაზე და საქართველოზე, რომელნიც სტრაბონს შეუტანია თავის «გეოგრაფიაში», აგრეთვე უცხო-ტომთ სახელ-წოდება ქართლ-კახეთისა «იბერია» ანუ «ივერია».

6. არტაგი.

7. ბართომ I.
(66†83)
ირთავს არშაკუნიანს; შვილათ იყვანს თავის სიძეს.

N. ირთავს ქართამს, შვილის-შვილს (?!) ანუ უფრო შთამომავალს ქუჯისას.

17. ფარსმან III.

18. ადერკ II.
(182†186)

N. ქალი. ირთავს სომხითის მეფეს.

19. რევ.
(186†213)
არშაკუნიანი მამით. ირთავს საბერძნეთის ლოგოთეთის ქალს სეფელიას. ამან ქ-ცხვით მოსპო ყრმათა კლვა კერპთათვის.

20. ვაჩე.
(213†231)

21. ბაკურ I.
(231†246)

22. მირდატ II.
(246†262).

23. ასფაგურ.
(262†265).
იმის დროს სპარსეთში ეცხობა არშაკუნიანთ დინასტია და მის ნაცვლად სპარსეთის ტახტზე ადის სასანიანთ ანუ ქ-ცხვით ხოსროიანთ გვარი. თვით ასფაგურ არის უკანასკნელი წარმომადგენელი არშაკუნიანთ გვარისა. ასფაგურ მოკვდა უძეოდ და დასტოვა მან ერთად-ერთი ასული.

24. აბეშურა,
რომელსაც რთვენ ხოსროიანს სპარსეთის მეფის შვილს მირიანს და მეფე სპარსთა მას ადგენს მცხეთაში მეფედ (265†342). აბეშურას სიკვდილის შემდეგ მირიანი ირთავს პონტოდამ ულიოტორის ქალს ნანას; ებრძვის ხაზარებს დარუბანდის მხარეში; ებრძვის აგრეთვე სომხითის მეფეს ტირდატს და კონსტანტინე კეისარი ამოყვრებს მათ და საზღვრებს უჩენს ქართლს და სომხითს. მის დროს შემოდის მცხეთაში წმ. ნინო და ქართლ-კახეთში ამყარებს ქრისტეს სარწმუნოებას. პროსე უჩვენებს მირიანის ნათელ-ღებას 323 წელს და იმავე დროს ანტიოქიის პატრიარხის ევსტათეს ყოფნას ქართლში; თვით ნინოს სიკვდილს 332 წ. წმ. ნინო მიიცვალა ბოდაში ანუ ბოდბეში, სადაც დასაფლავებულია აქამომდე; ნინოზე და ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებაზე ჩვენში სხვა და სხვა ცნობები. ნახე ზემოდ გვ. 73, შენ. 3. მირიანის დროს პირველ ქართლის ეპისკოპოსად ზის იოანე.



24. მირიან.

25. ბაქარ I
(342†364)
ებრძვის სპარსთ შემწეობით სომხებს, რომელნიც ჰკვეთდნენ რევის შვილს სომხითის მეფის ნათესავს; მოჰყავს ქრისტეს სარწმუნოებაზე მთიულნი და თავისი დის ქმარი ფეროზ ერითურთ და უმკვიდრებს მას სამშვილდეს. მის დროს † ეპისკოპოსს იოანეს დაჯდება იაკობ. ბერძენი მწერალი რუფინე ცნობა „იბერიის მეფის შვილზე ბაკურისზე“, რომელსაც მისთვის იერუსალიმში უამბნია წმ. ნინოს ქადაგება ჩვენში, ნახე ზემოდ გვ. 78, შენ.

რევი,
უფროსი შვილი, ქმარი სომხითის მეფის ტირდატის ქალისა სალომესი. ზის უჯარმას, და განაგებს კახეთს და კუხეთს.

N ცოლი. სპარსთა მეფეთ შთამომავლის ფეროზისა, რომელიც მირიანისაგან იყო დადგენილი ერისთავად რანისა და მოვაკანისა.

N ქალი, მეორე ცოლი გარაზ-ბაქარისა.

28. ტირდატ.
(393†405)
† ეპისკ. იობ. დაჯდება ილია(?)

N
პირველი ცოლი გარაზ-ბაქარისა. რევის შთამომავალნი მირიან და გრიგოლი, გა-ტანე გორგასლიანის დროს, სხედან რუსთავში და ვამყ... გებლობენ კუხეთს.

26. მირდატ III.
(364†379)
ქ-ცხვით (გვ. 102) აშენებს კლარჯეთში თუხარისის ციხეში ეკლესიებს და მიცვალებულის იაკობის ნაცვლად ეპისკოპოსად ადგენს ნერსეს კათალიკოსის დიაკონს სომეხს იობს.

27. ვარაზ-ბაქარ ანუ ბაქარ II.
(379†393)
მის დროს ერისთავი სპარსთა აოხრებს სომხითს და ქართლს; აშენებს ტფილისის ციხეს და მოხარკედ შეიქმს გარაზ-ბაქარს;ართმევს მას რანს და მოვაკანს და ატყვევებს ფეროზს შვილებითურთ. კლარჯნი უკუ-უდგებიან გარაზს და უერთდებიან ბერძნებს. 390 წელს სპარსნი და ვიზანტიელნი ჰგლეჯენ დიდ სომხითს ორად, რომელთაგან ერთ ნაწილს ისაკუთრებს სპარსეთი, მეორეს ვიზანტია (ნახე ზემოდ გვ. 82, შენ.).

29. ფარსმან IV
(405†408)
ბერძენთაგან თხოულობს შეწევნას სპარსთ წინააღმდეგ. † ეპისკოპოსი ილია; ჯდება სვიმონ (ქ-ცხვა გვ. 107). აშენებს ეკლესიას ბოლნისში.

30. მირდატ IV
(408†410)
ბერძენთაგან ეძიებს კლარჯეთს და მტრობს სპარსთა. სპარსნი ატყვევებენ მას და შეჰყავთ იგი ბაღდადში; მცხეთაში ათუძნებენ საცეცხლეს და არღვევენ ეკლესიებს. მირდატ ასრულებს თავის ცხოვრებას ბაღდადში.

მურვანოს
მძევლად გაგზავნილი კონსტანტინეპოლს იმპერ. თეოდოსი მცირის დროს და ბერად შემდგარი. აფუძნებს ქართველთ მონასტერს იერუსალიმში და კვდება პალესტინის ეპისკოპოსად. იგია წმ. პეტრე სახელ-განთქმული ქართულსა და უცხოტომთ მწერლობაში (ნახე ზემოდ გვ. 80, შენ. 1).

31. არჩილ I.
(410†434)
ირთავს იმპერატორის იობანის გვარის ქალს და ებრძვის სპარსთაგან დადგენილს ერისთავს რანისას და მოვაკანისას, რომელსაც სძლევს და ქართლიდამ განდევნის ცეცხლის მსახურთ. იმის დროს † ეპისკოპოსნი იოანე, გრიგოლი და ვასილი; ჯდება ეპისკოპოსად სპარსი მობიდა ფარული მოგვი. იმის დროსვე სომხის მწერალნი სომხის მეცნიერს მესროპს მიაწერენ მოგონებას როგორც სომხურის ანბანისას, აგრეთვე ქართულისას (ხუცურისას), ამისი კრიტიკა (ნახე ზემოდ გვ. 86, შენიშვნა).

## 31. არჩილ.

## 32. მირდატ V.
(434†446)

ირთავს რანის ერისთავის ბარზაბადის ქალს საგდუხტს.

## 33. ვახტანგ I გორგასალი ანუ გურგასლან.
(446†499)

იმის დროს ცეცხლის-მსახურნი მოგვთ-მთავრით ბინაქარით სხედანი მცხეთას, ძღ-გილს მოგვთას. ოვსნი აოხრებენ ქართლს და სტყვევენ მირანდუხტს; ბერძენნი იჭერენ ეგრისის ზღვის კიდეს ციხე-გოჯამდე (შემდეგ ნაქალაქევი). ვახტანგ ამარცხებს ოვსთა და ანთავისუფლებს მირანდუხტს; ბერძნებისაგან იბრუნებს მათგან დაჭერილს ადგილებს აფხაზეთითურთ. ირთავს სპარსთ მეფის ქალს, რომლის სიკვდილის შემდეგ ირთავს ჰელენეს ქალს ბერძენთ იმპერატორის ლეონისას. ლეონ მზითევში უბრუნებს მას კლარჯეთს.

ვახტანგ აწესებს მცხეთის საკათალიკოსოს (ნახე ზემოდ გვ. 101, შენ. 12); კათალიკოსად ადგენს პეტრეს და სამთავროში მთავარ-ეპისკოპოსად სამოელს. ამყარებს სავ ეპისკოპოსოებს: კლარჯეთს, ერუშეთს, წუნდას, მანგლისს, ბოლნისს, რუსთავს, ნინო-წმინდას, ჭერემს, ჩელეთს, ხორნაბუჯს და აგარაკს. აშენებს ეკლესიებს: სვეტი-ცხოველისას, არტანუჯისას, ჭერემისას და ნიქოზისას. ცეცხლის-მსახურთაგან წამებულის რაჟდენისას ფლავზე. ქართლიდამ განდევნის ცეცხლის-მსახურთა, იმის ჟამს სპარსნი აუტეხენ მას ომს, ბრძოლას, რომელშიაც იგი იკოდება და კვდება.

ვახტანგის მეფობაში 451 წ. მოხდა ხალკიდონის მსოფლიო კრება, რომლის გამო შემდეგ საქართველოსა და სომხითის ეკლესიანი ერთი მეორეს დაშორდნენ.

## 34. დაჩი.
(499†514)

ასრულებს ტფილისის დაიქმ გადატანს სამეფო სახლი. განიზრახავს კახეთის მთიულთ გაქრისტიანებას; მაგრამ ნოხპატელნი უარ-ყოფენ. † კათალიკოსი პეტრე და ჯდება სამოელ.

ლეონ.

## 35. ბაკურ II.
(514†528)

## 36. ფარსმან V.
(528†542)

ამის დროს სპარსთა მეფე აოხრებს ქართლს და ბერძენნი ვერ შემწეობენ უცალობის გამო „დასავლით მტერთაგან". დაჩის შთამომავალნი ექვემდებარებიან სპარსთა, მირდატისანი ბერძენთა. † კათალიკოსი სამოელ; ჯდება თავფეჩაგ; † თავფეჩაგ და ჯდება ჩერმაგ.

შენიშვნა: ამის დროს მეფობენ: ბიზანტიაში იუსტინიანე I (527 † 556 წ.) და სპარსეთში ნუშირვან, რომელსაც უთარგმნინებია სანსკრიტულის ენიდამ სპარსულად ქილილა და დამანა ანუ ჩვენებურად ქილილა და დამანა. ეგინი ერთი მეორეს ეცილებიან ეგრისს აფხაზეთითურთ, რომელსაც ბიზანტიელნი უწოდებენ ლაზიკად. ბიზანტიელთ წყაროებით ლაზიკაში მეფობენ მათგანვე სახელ-წოდებულნი მეფენი, რომელთაც ქ-ცხბა არ იხსენიებს. აფხაზთ აქრისტიანებს იუსტინიანე და აშენებს მათთვის ბიჭვინტის ტაძარს ღვთისმშობლისას. ამ საგანზე ნახე ზემოდ გვ. 103, შენ. 1.



ჩვარანძე.
ირთავს სომხითის პატიახშსა ანუ ერისთავს ბაკურს.

მირანდუხტ,
აღზრდილი კასპის სპასპეტისაგან, ირთავს 478 წ. სპარსთა მეფე.

მირდატ
ერისთაობს დაჩის ხელ-ქვეით ჯავახეთს ვახუშტით ორი ვაჟი და ერთი ქალი. „ირთავს გვარამ [illegible] შუა" თში სპერის ზღვამდე, რომელსაც დაჩი მიუბოძებს ნაცვლად „მირდატის დედეულის საზღვართა სპეკრძენთისათა ეგრისის წყალსა და კლარჯეთს შუა" (ქ-ცხბა, 150). აშენებს ჯავახეთში ეკლესიას წყაროს-თავისას.

N ვაჟი. N ქალი. N ქალი ტბელს. N ვაჟი.

N ვაჟი.

## 37. ფარსმან VI.

(542 † 557)

ამის დროს ბრძოლა სპარსთა და ვიზანტიელთა შორის ლაზიკაში 549 წლიდამ 551 წლამდე. სპარსნი იძლევიან და სტოვებენ ლაზიკას (ზემოდ გვ. 103, შენ. 1). † კათალიკოსი ჩერმაგ და ჯდება საბა და „მიერიდგან, ქ-ცხბით, იუსტინიანეს ნებართვით, აღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ დასხდებოდეს ნათესავნი ქართველ-თანი". ფარსმანის დროსვე, ევლავიოსის კათალიკოსობაში, შემდეგ † საბასა, შემოდიან შუა-მდინარით ქართლში ათ-ცამეტნი სირიელნი მამანი, „განმანათლებელნი და აღმაშენებელნი ეკლესია-მონასტერთა ქართლისათანი". იმათგანნი ზოგი წილკნელი მოაქცევს წარმართ ჩრდილოდ საქართველოსა, და აბიბოს ნეკრესელი იწამება ცეცხლის-მსახურთაგან.

## 38. ბაკურ III.

(557†570).

მის დროს სომხითის მთავარი ვასქენ, რომელმაც სპარსეთის მეფის წინაშე აღიარა ცეცხ-ლის-მსახურება, აწამებს ქრისტესთვის თავის ცოლს შუშანიკს და ბაკურ ჰკლავს ვასქენს ძელზე მოკიდებით. † კათალიკოსი ევლავიოს და ჯდება მაკარი.

შენ. 1. სომხის მწერალნი ვასქენის მოკვლას მიაწერენ 458 წ. ვახტანგ გორგასალს. შუშანიკი იმარხება ცორტავში, სადაც იჯდა ვასქენ. (ზემოდ გვ. 105, შენ. 1; 108, შენ. 1).

შენ. 2. ვახუშტის ფიქრით ცორტავი უნდა იყოს აგარაკი, აწ ახტალა (გეოგრ., 140). სხვა აზრი ნახე *Add.*, 103.—სომეხთ წელთა-თვლა 551—52 წლიდამ.

## 41. ადარნასე I.

(619† 639)

მის დროს ერეკლე გარდაბანში ნათელ-სცემს გვრაზ გაგელს ერითურთ და იწყობს შე-ნებას «უბრწყინვალის» ეკლესიისას და ბერდუჯში სდებს სწვუქველს ღვთის-მშობლის სა-უდრისას (ქ-ცხბა, 167). შედის სპარსეთში, სძლევს ხოსროს და ანთავისუფლებს მაც-ხოვრის ჯვარსა. † კათალ. ბართლომე და ჯდება იოანე, უკანასკნელი ხელ-დასხმული ანტიოქიაში; მისნი მემკვიდრენი გზის შიშის გამო იკურთხებიან შინ, საქართველოში. იმის დროსვე გოთელი ეპისკოპოსი იოანე იკურთხება მცხეთას (ქ-ცხბა, 168). † კათალ. იოანე და ჯდება ბაბილა; † ბაბილა და ჯდება თაბორ.

ადარნასეს დროს მაჰმედ (†632) და შემდეგ მისა აბუბექრი (†634). არაბნი ანუ სარ-კინოზნი ანუ აგარიანნი ავრცელებენ თავის მფლობელობას ეგვიპტით ეფრატამდე. მუსულ-მანთ წელთა-თვლა 16 ივლისიდამ 622 წ.

ადარნასევე ასრულებს ტფილისის სიონს და ჯვარ-პატიოსანს (ქ-ცხბა, 169).

შენ. ქ-ცხბის თქმულებას ჯვარ-პატიოსანზე ემოწმებიან თვით ამ ეკლესიის წარწე-რანი, იმ დროდამ აქამომდე დაცულნი (ნახე ზემოდ გვ. 110, შენ. 1).

## 42. სტეფანოს II.

(639†663).

არაბნი უფრო და უფრო ავრცელებენ თავიანთ ძალას. სპარსებს აიძულებენ ცეცხლის-მსახურების დატევებას და ისლამის მიღებას. † კათალიკოსი თაბორ და ჯდება სამოელ. ერთ ძველ ვარიანტშია: «მის დროს კათალიკოსნი სამოელ და ენონ". ქ-ცხბით კრება მე-ექვსე 651 წ. ამყარებს საპატრიარხოთა თანასწორობას მცხეთის საკათალიკოსო-სას (ქ-ცხბა, 171).

შენ. 1. მეექვსე კრება კოსტანტინეპოლისა იყო არა 651 წ., არამედ 680 წელს.

შენ. 2. უმთავრესი ისტორიული ფაკტები არაბებზე ნახე ზემოდ გვ. 114, შენ. 1.

ქ-ცხზით, „ძენი ბაკურისანი ვერ იპყრობდნენ მეფობასა; ისხდნენ ჰერ-კახეთს და ძენი მირდატისნი კლარჯეთს და სპარსთა ერისთავი (ანუ მარზაპანი) ბძანებლობდა ქართლს და სომხითს... შემდეგ ამისა იქმნა შფოთი სპარსეთს და ერისთავთა ქართლისათა მოსთხოვეს ბერძენთ კეისარს ნათესავი თვისთა მეფეთა და მან მოსცა კუროპალატად გვარამ ასულის-წულისაგანი ვახტანგ გორგასლანისა“.

შე ნ. ბაგრატიონების შთამომავლობაზე სხვა და სხვა ცნობები ქართული, სომხური და ვიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენისა (911†959)ნახე ზემოდ გვ. 108, შ. 1.

## 39. გვარამ კურაპალატი

(575†600)

ამის დროს იუსტინე II ებრძვის სპარსეთის მეფეს ქასრეს ანუ ხოსროს და ქართველნი იუსტინეს მომხრეთ იბრძვიან. გვარამ იწყობს შენებას ჯვარ-პატიოსნის ეკლესიისას მცხეთის პირ-და-პირ და ტფილისის სიონისას, (ქ-ცხ.. 161). ამ დროს ცვლება ქართველთა და სომეხთა შორის სარწმუნოების გამო: კათალიკოსი სვიმეონ ანუ კვირიონ განდევნის ხალკიდონის კრების მოწინააღმდეგეს ცორტავის ეპისკოპოსს შუშანიკის სასაფლაოდამ და დვინის კრება (596 წ.) არღვევს ქართველთ და სომეხთ სარწმუნოებრივს კავშირს. † კათალიკოსი სვიმეონ და ჯდება სამოელ; † სამოელ და ჯდება სამოელ.

## 40. სტეფანოს I

(600†619)

ვერ კადრულობს მეფედ წოდებას ბერძენთ და სპარსთა შიშით და იწოდება მთავრად. შფოთი საბერძნეთში: ფოკა ჰკლავს იმპერატორს მავრიკის და ჯდება იმის ადგილს. სპარსეთის მეფე იჭერს იერუსალიმს და სტყვევნავს ძელსა ცხოველსა, რომელიც შეაქვს სპარსეთში. ფოკა მოიკვლის ერეკლესაგან, რომელიც იჭერს იმის ტახტს. შემდეგ ერეკლეს ვხედავთ ჩვენ მხარეში. აზართ შემწეობით იგი ებრძვის სპარსთა თვით ტფილისში. სტეფანოსი მომხრე სპარსთა მოიკვლის და მის მაგიერ ერეკლე აყენებს მთავრად ბაკურ მეფის შვილს ადარნასეს. ერეკლე იწყობს აწყურში შენებას დიდის საყდრისას, რომელიც შემდეგ საეპისკოპოსოდ მყარდება (ქ-ცხზა, 166). † კათალიკოსი სამოელ და ჯდება ბართლომე. სამოელის კათალიკოსობაში იწამება ქრისტესთვის ცეცხლის-მსახურთ სპარსთაგან ესტატე მცხეთელი.

დემეტრე.
განაგრძობს შენებას ჯვარ-პატიოსნისას.

გუარამ
კუროპალატი, მფლობელი კლარჯეთ-ჯავახეთისა;
ექვემდებარება არჩილ II-ს († 678).

გარამ-ბაკურ
ანტიპატრიკი ანუ ანტიპატი-პატრიკი კეისრის მიერ. მეფე არჩილ უმკვიდრებს მას გარდაბანს, რომლის მცხოვრებნი მას მოჰყავს ქართველთ სარწმუნოებაზე († 705).

N ცოლი არჩილ II-სა.

## 42. სტეფანოზ II.

### 43. მირ.
(663†668)

სომხითს და კავკასიის ქვეყნებს აოხრებს მურვან-ყრუ ანუ აბულ-კასიმ; თაზორის კათალიკოსობაში შედის ეგრისს, სტანჯავს ქრისტეს სჯულისათვის არგვეთის მთავართა ორთა ძმათა დავითს და კოსტანტინეს; მირ და არჩილ იმყოფებიან ანაკოფიის ციხეში. ამ დროს პირველი ერისთავი აფხაზეთისა არის ლეონ, კეისრისაგან დადგენილი. მირი სტოებს შვიდ ქალს, რომელთა შორის ერთი ირთავს გვარამ კუროპალატის ძიძის ძმის შვილს, მფლობელს კლარჯეთ-ჯავახეთისას; მეორეს ფეროზის შთამომავალს; მესამე გორგასლის წარჩინებულის შთამომავალს ნერსეს ნერსესიანს; მეოთხე ადარნასეს ადარნასიანს; მეხუთე ბარდავის ერისთავის შთამომავალს ვარზმანს; მეექვსე რევის შთამომავალს ჯვანშერ ჯვანშერიანს, რომელიც სწერს არჩილის ცხოვრებას; მეშვიდე გურანდუხტ აფხაზეთის ერისთავს ლეონ I-ს.

### 44. არჩილ II.
(668†718).

იტანჯვის ქრისტეს სჯულისათვის ჭუმჭუმ ასიმისაგან, იმარხება ნოტკორას, მისგანვე ნაშენს ეკლესიაში.

### 45. იოანე.
(718†786).

იმის დროს ლეონ II აფხაზეთის ერისთავი იჭერს სრულიად ეგრისს და იწოდება მეფედ აფხაზთა.

### ჯუანშერ

ირთავს ადარნასე ბაგრატიონის ქალს ლატავრას.

### გუარამ-ბაკურ.

### ნერსე

იჭერს მამის სამფლობელოს. ექვემდებარება ბერძნებს. (†742).

### ადარნასე

ერისთავთ ერისთავი. განაგებს სამფლობელოს მამისას; ძმებს უმკვიდრებს ერისთაობას და ექვემდებარება ბერძნებს (†779).

### ფილიპე;

### სტეფანოზ.

### 46. აშოტ დიდი
(786†826)

კეისრის მიერ კუროპალატი. სახლობს ბარდავში და ტფილისში; ტფილისშივე ზის არაბთ ამირა; კახეთს ფლობს მთავარი გრიგოლ, რომელსაც სძლევს აშოტ და თავის მფლობელობასავრცელებს კლარჯეთით ქსნამდე. აახლებს გორგასლანისაგან აშენებულს არტანუჯის ციხეს. მოიკვლის აგარიანთაგან და იმარხება მისგანვე აღმშენებულს არტანუჯის პეტრე-პავლეს ეკლესიაში. ოპიზის მონასტრის წარწერით ეს მონასტერი ახლანდელს ართვინის მაზრაში, აშენებულია ამ აშოტისაგან. იმის დროს ქ-ცხაში პირველად იხმარება ხუთასიანი ქორონიკონი (ქ-ცხ., 189). იმის დროსვე იწამება არაბთაგან წმ. აბო.

შენ. დიდად ღირს-შესამცნევნი აბოს ცხოვრების აღწერაში იმის დროს ცნობანი ნახე ზემოდ გვ. 119, შენ. 2.

### გურგენ.

### ლატავრა

ცოლი ჯვანშერისა

## 46. აშოტ დიდი.

**ადარნასე.** ამის შთამომავალნი ფლობენ ტაოს მხარეს.

## 47. ბაგრატ I.
(826†876)

ირთავს სომხითის მეფის სუმბატ აღმსარებლის ქალსა. ამარცხებს თევდოსს აფხაზეთის მეფეს. აწესებს აფხაზეთის საკათალიკოსოს. იმის დროს ლიპარიტ (ორბელიანი) იჭერს თრიალეთის მხარეს და აშენებს კლდე-კარის ციხე-სიმაგრეს. არაბთ მხედართ-მთავარი ბუღა აოხრებს სომხითს და ქართლს. დარიელის კარით გამოჰყავს ოვსნი ანუ ოსნი და დარუბანდის კარით ხაზარნი: ასახლებს ხაზარებს შანქორს და ოსებს დმანისში. შემდეგ არაბთ მხედართ-მთავარი მომედ ხალილის ძე იჭერს სომხითს, რანს და ქართლს. იწვალება 855 წ. ქრისტესთვის მთავარი ზემო-ქართლისა კონსტანტინე.

შენ. 1. აფხაზეთის საკუთარ კათალიკოსზე უფრო ადრე, ე. ი. 720 წლიდამ ნახე ცნობა *H. de la G.*, I, 239, II, 6.

შენ. 2. ბაგრატის დროს კახეთის მფლობელი პირველად წოდებული ქორეპისკოპოზად. მნიშვნელობა ქორეპისკოპოზისა ნახე ზემოდ გვ. 23, შენ. 2.

**N ქალი.** ცოლი აფხაზთ მეფისა თეოდოს I-სა.

**გუარამ.** მამფალი, პირველად წოდებული მამფალად (ნახე გვ. 122, შენ. 1) ირთავს სომხითის მეფის სუმბატ დიდის დას. მონაზონად †. 883 წელს.

- **ნასრა** ანუ ნასრე ანუ ნარსე. (†888).
- **აშოტ.** (†869).
- **N ქალი.** ირთავს აფხაზეთის მეფეს ადარნასეს და შემდეგ მისს აფხაზეთისავე მეფეს ბაგრატს.

---

**გურგენ** მამფალი კუროპალატი არტანუჯისა. ფლობს კალმახს ტაოში.

- **აშოტ კუხი.** († 916) აშენებს ტბეთის ეკლესიას შავშეთში და ტბეთის პირველ ეპისკოპოსად აყენებს სტეფანეს.
- **ადარნასე** ერისთავთ ერისთავი. (†898).
  - **დავით,** ერისთავთ ერისთავი.
  - **გურგენ** ერისთავთ ერისთავი. (†941).
    - **N** ცოლი აფხაზეთის მეფის კონსტანტინეს ძისა ბაგრატისა.
  - **დინარი,** ცოლი ჰერეთის პატრიკისა ადარნასესი.
    - **იშხანიკ** მთავარი ჰერეთისა.

**აშოტ კეკელა.** (†867).

**სუმბატ.** მამფალი-ანტჳპატი. († 889) ამას იხსენიებს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენი თავის თხზულებაში.

- **დავით** მამფალი არტანუჯისა. ირთავს თავის ბიძაშვილს იმავე კონსტანტინეს თქმით, მონაზონად † 943 წ.
  - **N** ქალი. ირთავს კონსტანტინეს თქმით თავის ბიძაშვილს ადარნასეს.
  - **სუმბატ** ერისთავთ ერისთავი. ირთავს კონსტანტინეს თქმით თავის ბიძაშვილს ბაგრატის ქალს. †988 წ.
- **ბაგრატ** მამფალი არტანუჯისა. ირთავს, იმავე კონსტანტინეს თქმით, თავის ბიძაშვილს. †909 წ.

## 48. დავით I
მეფე-კუროპალატი. (876 † 881).

ქართლს იჭერს აფხაზთ მეფე გიორგი. შემდეგ გიორგის შვილის იოანეს შვილი ადარნასე ებრძვის გუარამ მამფლის ძით ნასრეთი ქართლის გამო დავითსა, რომელსაც შეეწევის თრიალეთის მფლობელი ლიპარიტ სუმბატ ხუბითურთ.

**აშოტ** (†885)

**ადარნასე** (†874)

## 48. დავით I მეფე-კურაპ.

სუმბატ. — ბაგრატ.

დავით (†988). — ბაგრატ პრტანუჯე-ლი. (†988).

გურგენ კურაპალატი (†1012). — სუმბატ. (†1011).

დიმიტრი. — ბაგრატ.

## 49. ადარნასე II მეფე-კურაპ.

(881†923).

აშენებს კვირიკე ბანელის ხელით დიდებულს ეკლესიას ბანისას ქორონის ხეობაში და პირველ ბანელ ეპისკოპოსად კვირიკესვე აყენებს (ზემოდ გვ. 125, შენ. 1). აშენებს იქვე აგრეთვე ოშკის ეკლესიას, როგორც გვარწმუნებს მისი წარწერა (გვ. 125, შენ. 1). ადარნასეს დროს საბერძნეთში ისახელებს თავს წმ. ილარიონ ქართველი, რომლის ცხოვრება აუწერია ბერძნულად ვასილი მონაზონს და უთარგმნია ქართულად თეოფანეს.

ადარნასეს დროს ქართლს იჭერს აფხაზთ მეფე კონსტანტინე; ამირა იუსუფ აოხრებს სომხითს და ქართლს და სამცხეში უჯარმის-ციხის აღების შემდეგ აწამებს სჯულისათვის ახოვანს მხედარს გობრონს, რომლის მოღვაწეობა აუწერია ეპისკოპოსს სტეფანე მტბევარს.

შენ. ეს შესანიშნავი აღწერა ნახე ზემოდ გვ. 126, შენ. 2.

აშოტ კისკასი. (†939). ირთავს აფხაზეთის მეფის გიორგი I-ის ქალსა (კონსტანტინე პორფ.).

დავით ერისთავთ ერისთავი. (†908).

ადარნასე. ირთავს თავის ბიძაშვილის ქალს (კონსტ. პორფ.). ვასილ მონოზნად † 945 წ.

გურგენ ერისთავთ ერისთავი. ირთავს აშოტ კისკასის ქალს(?). †923. (კონსტანტ. პორფ.)

N. ქალი. ირთავს თავის ბიძაშვილს დავითის შვილს სუმბატს. (კონსტანტ. პორფირგ.)

N. ირთავს ტაოს ბიძას გურგენს.

გურგენ ერისთავთ ერისთავი. (†968).

აშოტ კურაპ. (†952) ამ აშოტზე, მის მამაზე და ძმებზე ვრცლად გვიამბობს კონსტანტ. პორფ. თვით ეს კონსტ. † 954 წ.

დავით მაგისტროსი.

ბაგრატ მაგისტროსი.

## 50. სუმბატ მეფე-კურაპ.

(923†958).

ამას იხსენიებს არაბული მწერალი (XII საუკ.) მასსუდი, რომელსაც იგი შეეხება დიდს საქრისტიანო ტომს ჯურჯებს (ქართველებს). მისგანვეა აშენებული ქორონის ხეობაში, ართვინის მაზრაში, სოფელს ლოდის-ყანაში მშვენიერი ეკლესია. იმის დროსვე ეკუთნიან შატბერდის მონასტრის სახარება 936 წლისა და იერუსალიმშიასაბას ლავრაში გადაწერილი 941 წ. ტყავზე ნაწერი საეკლესიო წიგნი (ნახე ზემოდ გვ. 129, შენ. 1). იმის დროს აფხაზთ მეფე გიორგი II თავის შვილს კონსტანტინეს უმკვიდრებს ქართლს და შემდეგ მისა აქ ერისთაობს გიორგისავე შვილი ლეონ.

აშოტ კურაპ. (†954).

დავით (†937).

ბაგრატ მაგისტროს-კურაპ. (†945.) ოშკის ეკლესიის წარწერა უჩვენებს ადარნასე კურაპალატის შვილებში ერისთავთ ერისთავს ბაგრატს და მაგისტროსს დავითს.

ადარნასე მაგისტროსი. † 961 წ. მონაზონად.

ბაგრატ (†969). — დავით ერისთავთ ერისთავი (†966).

50. სუმბატ მეფე-კურაპ.

51. დავით ანუ ბაგრატ II რეგვენი
(958†994)
მეფე ქართველთა.

ადარნასე კურაპ.
(†983)

დავით დიდი კურაპ.
(†1001)

სახელ - განთქმული უცხო-ტომთ მწერლობაში. დავით 12 ათასის ქართველთ ჯარით უშველებს ბიზანტიის იმპერატორს ბარდა სკლეროსის აშლით აღელვებულს იმპერიას. ამ შემთხვევას იხსენიებენ: ბიზანტიის მწერალნი, მისი თანა-მედროვე სომხის მეისტორიე ასოღიკი და წარწერა ზარზმის ეკლესიისა სამცხეში. მის მხედართ-მთავრის თორნიკე ერისთავის მიერ ნაშოვნის დავლით ქართველნი მამანი ავრცელებენ და ამკობენ ივერიის ლავრას ათონის მთაზე. დავით უშვილო იყვანს შვილად გურგენ მეფის შვილს ბაგრატს, რომელსაც ქართლის ერისთავის იოანე მარუშიძის მიწვევით ამყარებს ქართლის მეფედ და რომელსაც აფხაზეთი ეკუთნოდა როგორც მემკვიდრეს დედით აფხაზეთის მეფის გიორგი II-სას. ქ-ცბით დავითისაგან არის აშენებული ქოროხის ხეობაში დიდებული ხახულის მონასტერი, რომელსაც იგივე ქ-ცხბა მიაწერს ზემოდ ნაჩვენებს დავით I-ს. დავითი მფარველობს ქართულ მწერლობას ათონის მთისას და ავრცელებს თავის სამფლობელოში ათონელთ მამათაგან ნათარგმნ წიგნებს.

52. გურგენ მეფეთ-მეფე. სუმბატ-კურაპ.
(†992)

ირთავს აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის ქალს გურანდუხტს და † 1008 წ.-გურგენის მეფობა შეკავშირებულია იმის შვილის მეფობასთან. გურგენი აშენებს ეკვდერს იშხანის ეკლესიისას ქოროხის ხეობაში.

52. ბაგრატ III
(980†1014)
ამის დროდამ იწყობა შეერთება გაცალკევებულის საქართველოჲსა. ეს ბაგრატ ნახე ცალკე.

---

ვიდრე ბაგრატ III-ის მეფობას შევუდგებოდეთ, აქ საჭიროდ ვსადათ აფხაზეთისა და კახეთის მთავართ და მეფეთ შთამომავლობაზე შევდგეთ.

## I. აფხაზეთი.

აფხაზეთი, შავის ზღვის პირად მდებარე, კაი-ხანი ბერძნების საბძანებლოს შეადგენდა და შეიცავდა ქალაქებს: ბიჭვინტას, ანაკოფიას და ცხომს (შემდეგ სოხუმი). ანაკოფიას და ცხომს ქ-ცხბა იხსენიებს დედა-ქალაქებად აფხაზეთისა, რომელსაც განაგებდნენ ერისთავნი. ამათ ერისთაობა ჰქონდათ მინიჭებული სამკვიდრო-შვილოდ ბიზანტიის იმპერატორისაგან. ერთი მათგანი მე-VIII საუკ. დამდეგ თავის თავს აღიარებს მეფედ, ავრცელებს თავის უფლებას და თვით სახელს აფხაზეთისას იმერეთზე, რომელიც მაშინ იწოდებოდა ეგრისად. იგინი აფუძნებენ სამეფო სახლს ბედიაში, ციხე-გოჯში (ბერძნების არხეოპოლისი, ახლა ნაქალაქევი) და ქუთაისში. არ ვიცით ვინ

შენ. ვინ არის შთამომავლობით თორნიკე ამაზე ნახე ზემოდ გვ. 144, შენ.1; მაგრამ ათონის მონასტრის X საუკ. ნამუშავარს ბიბლიის ეგზემპლიარში, რომლის ერთი პირი იპოება თავადის მინგრელსკის ბიბლიოთეკაში, ის არის ჩორთავანელის შვილად ხსენებული და მონაზონობაში იოანედ სახელწოდებული.

არიან იგინი შთამომავლობით; ვიცით მხოლოდ, რომ იგინი ემოყვრდებიან ქართლის ბაგრატიონებს და ეძიებენ თავის ბძანებლობის გავრცელებას მთელს საქართველოზე.

შენ. სრული ცნობები აფხაზეთზე ნახე ზემოდ გვ. 132, შენ. 1.

ქ-ცხრილ აფხაზეთის ერისთავთ და მეფეთა შორის არიან ცნობილნი:

N.

**1. ႪႤႭႬ I,**
რომელსაც კლისურიდამ დიდის ხაზარეთის მდინარემდე დამკვიდრებული ჰქონდა საერისთო კეისრისაგან. ლეონ ირთავს არჩილ მეფის ძმის მირის ქალსა.

**N**
ირთავს ხაზართ მეფის ქალს.

**2. ႪႤႭႬ II**
(†806)
უკუ-უდგება მოუძლურებულთ ბერძენთა. ხაზართ შემწეობით ისაკუთრებს აფხაზეთს, იჭერს ეგრისს ლიხამდე და 786 წელს სახელ-იწოდება მეფედ. სატახტო ქალაქად აარსებს ქუთათისს და აფხაზეთის კათალიკოსს მოუპოებს დამოუკიდებლობას (*H. de la G.*, II livr., 241).

**3. ႧႤႭႣႭႱႤ I**
(†845)
ირთავს აშოტ კურაპალატის ქალს; შემწეობს აშოტს კახეთის ერისთავის გრიგოლის დამშვიდებაში.

**4. ႢႨႭႰႢႨ I** ასისთავეული დემეტრე.
(†875).
იჭერს ქართლს, სადაც ერისთავად სტოვებს თავის ძმისწულს დემეტრეს შვილს თინენს.

**5. ႨႭႠႬႤ.**
(†879)

**6. ႠႣႠႰႬႠႱႤ**
(†887)
ირთავს აშოტ კურაპალატის შვილის გვარამის ქალსა. მოიკვლის დემეტრეს შვილის ბაგრატისაგან, რომელსაც შემწეთა ჰყავს კონსტანტინეპოლიდამ გამოყვანილი ბერძნის ჯარი.

**7. ႡႠႢႰႠႲ I**
(†906).
ირთავს ადარნასეს ქვრივსა. მოიწვევს კონსტანტინეპოლიდამ თავის ცოლის-ძმას ნასრეს, რომელიც იმის ჯარით იჭერს სამცხეში ციხეებს: ოძრხეს, ჯავახის-ციხეს და ლომსიანთას, გამოილაშქრებს ქართლის მეფეზე ადარნასეზე, რომელსაც ჰკერძავენ გურგენ კურაპალატი და სომეხნი. იძლევიან ნასრე აფხაზებით და ოვსთა მთავრით ბაკათარითურთ.

**თინენ,**
მოიკვლის გიორგი I-ის ქვრივის ხელით.

## 7. ბაგრატ I.

## 8. კოსტანტინე

(†921)

იპყრს ქართლსა; მაგრამ სომეხთ მეფე სუმბატ ტიეზერაკალი (მოწამე) მოადგება უჯარმის-ციხეს. კოსტანტინე ესიძება სუმბატს, რომელიც სტოვებს იმის ხელში უჯარმის-ციხეს და ქართლსა. კოსტანტინე ჰშველის კახეთის ქორიკოზს ფადლას ჰერეთის ალყაში.

## 9. გიორგი II

(†955)

ისაკუთრებს ქართლსა ადარნასე II-ს შემდეგ და კახეთს კვირიკე I-ის შემდეგ. გიორგი და უმცროსი ძმა მისი ერთმანეთს ებრძვიან. გიორგი აშენებს ჭყონ-დიდის საყდარს და აწესებს საეპისკოპოსოდ. უფროს შვილს კოსტანტინეს უმკვიდრებს ქართლს, რომელსაც იგი ჰფლობს 923—926 წ. კოსტანტინე აუმხედრდება მამას და ეპრჩეს აფხაზეთს; მაგრამ იმლევა უჯარმის-ციხეში. გიორგი მას აბრმავებს და ჰკვერავს. კოსტანტინე კვდება უშვილოდ.

## ბაგრატ

ირთავს ერისთავთ ერისთავის გურგენის ქალსა. †922 წ.

## 10. ლეონ III.

(†957)

მამის დროს ერისთაობს ქართლში და მამის სიკვდილის შემდეგ ჯდება მეფედ აფხაზეთში, სადაც აშენებს მოქვის ეკლესიას და აწესებს საეპისკოპოსოდ. მას მოიხსენებს წარწერა ჯავახეთის ეკლესიის ქუმურდოსი, რომელიც აშენებულია ლეონისა და ერისთავის ზვიადის დროს იოანე ეპისკოპოსისაგან. ლეონ კვდება უშვილოდ.

## 11. დემეტრე

ლეონის შემდეგ. †979.

## 12. თეოდოსი II ბრმა.

მეფობს დემეტრეს შემდეგ და მტარვალობს თავის ქვეშე-ვრდომთა. დავით დიდი კუროპალატი ქართლის ერისთავის იოანე მარუშიძის და სხვათა აფხაზეთ-ქართლის ერისთავთ თანხმობით თევდოსეს მაგიერ ადგენს აფხაზეთის მეფედ გურგენის შვილს ბაგრატს. თევდოსეს ჰყვანდა თუ არა შვილები არა ჩანს. ბაგრატ გამეფდა აფხაზეთში 980 და ქართლში 985 წელს.

## კოსტანტინე

ზემოდ ხსენებული.

## N

ცოლი სომხითის მეფის სუმბატ მოწამის შვილისა.

## გურანდუხტ

ცოლი გურგენისა და დედა ბაგრატ III-ისა.

## II. ႩႠႾႤႧႨ.

კახეთი, დაყოფილი სამ უმთავრეს ნაწილად: კახეთად, კუხეთად და ჰერეთად, ძველადვეა ცნობილი: ამ სახელს იხსენიებენ: ქ-ცხბა IV საუკ., არაბები X და სომეხნი XI საუკ. მირიან მეფის (265†342) შვილი რევი ცხოვრობს უჯარმას და განაგებს კახეთს და კუხეთს. მისივე შვილი ბაქარ (342†364) აყენებს კუხეთის ერისთავად თავის ძმისწულს ტირდატს, რომელიც ცხოვრობს ჩოსტან-ქალაქში, შემდეგ რუსთავი. VI საუკ. გასულს გვარამ ბაგრატიონის სამთა ძმათაგანი ერთი ემძახლება კახეთში ნერსეს ძეს ბაკურს, ორნი კამბეჩოვანიდამ მოკჳვლენ სპარსთა ერისთავს და იჭერენ ამ მხარეს. სხდებიან ხორნაბუჯს. ბაკურ მეფის შვილნი იჭერენ კახეთს და ჰერეთს ივრიდამ და გვარამ კუროპალატის ხელ-ქვეით მოსახლობენ უჯარმას. შემდეგნი კახეთის მფლობელნი ანუ იმათნი შთამომავალნი უნდა იყვნენ. ანუ, როგორც ბროსსე ფიქრობს (*H. de la G.*, 225, n. 6), წევრნი სომხითისა თუ ალოვანის დინასტიისანი.

შ ე ნ. ხსენებული ცნობები ვრცლად ნახე ზემოდ, გვ. 154, შენ. 2. მე-VIII საუკუნიდამ კახეთის მფლობელთა შორის ქ-ცხბით ცნობილნი არიან:

### 1. ႢႰႨႢႭႪ
(787†827)

აშოტ კუროპალატის დროს (786†826), ჯუანშერ ერისთავთ-ერისთავის † შემდეგ, იჭერს კახეთს, კუხეთს და გარდაბანს. ჰერეთი უჭირავთ ადარნასეს ძმის-წულთა. გრიგოლ იწოდება ქორიკოზად. ებრძვის აშოტს და იძლევა.

### 2. ႥႠႹႤ
(827†839)

იოანე ქვაბულისძე, რომელსაც გრიგოლის შემდეგ გარდაბანელნი სმენ ქორიკოზად.

### 3. ႱႠႫႭႤႪ ⴃⴍⴌⴀⴓⴐⴈ.
(839†861)

### 4. ႢႠႡႰႨႤႪ ⴃⴍⴌⴀⴓⴐⴈ.
(861†881)

ძმის-წული სამოელისა, რომელსაც ართმევენ გარდაბანს. იმის დროს ცხოვრობდა წმ. ილარიონ კახელი.

### 5. ႴႠႣႪႠ I არევმანელი.
(881†893)

იმორჩილებს გარდაბანელთა.

### 6. ႩႥႨႰႨႩႤ I ⴕⴍⴐⴈⴉⴍⴆⴈ.
(893†918)

იმის დროს ამირი აგარიანთა იჭერს უჯარმას და ბოჭორმას. კვირიკე მტრობს ჰერეთის მთავარს ანუ პატრიკს ადარნასეს. ეს ადარნასე აუღლებს თავის ძეს იშხანიკს ტაოელის ადარნასეს ქალს და ერისთავთ ერისთავის გურგენის დას დინარს, რომელსაც ჰერეთელნი მოჰყავს სომეხთ სარწმუნოებიდამ ქართველთ სარწმუნოებაზე.

### 6. კვირიკე I ქორიკოზი.

### 7. ფადლა II.

(918†929)

აშენებს ლოწობანთა ციხეს. იმის დროს სარკინოზნი აოხრებენ კახეთს; იშხანიკი იბრუნებს ჰერეთს და იწოდება მეფედ. ფადლა ჰშველის აფხაზეთის მეფეს გიორგი II-ს უფლისციხის დებყრობაში.

### 8. კვირიკე II.

(929†976)

ამას უპირისპირდებიან გარდაბანელნი და მეწინავენი აფხაზეთის მეფეს გიორგი II-ს, რომელიც იჭერს კახეთს. გიორგისა და მის შვილის ლეონისა სიკვდილის შემდეგ კვირიკე იბრუნებს კახეთს.

**შურთა**

ჰშველის გიორგი II-ს კვირიკეს წინააღმდეგ და აჭერინებს უჯარმას და სხვა ციხეებს, გარდა ნახჭევნისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა.

### 9. დავით

(976†1010)

ირთავს აფხაზეთის მეფის ლეონ II-ს (?!) ქალს. ებრძვის ბაგრატ III-ს, მაგრამ იძლევა.

### 10. კვირიკე III დიდი.

(1010†1029)

ამ კვირიკესაგან და ბაგრატ IV-საგან დამტკიცებული გუჯარი ნახე ზემოდ გვ. 168, *NB*; თუმცა ქრონიკონს გუჯარი უჩვენებს 1040 წელს. კვირიკეს იჭერს ბაგრატ III და კახეთს იერთებს. გარდა ამისა იშხანიკი კვდება უშემკვიდროდ და ბაგრატ ისაკუთრებს ჰერეთს, სადაც აყენებს თავის ერისთავებს. ბაგრატის სიკვდილის შემდეგ კვირიკე იჭერს კახეთს ჰერეთითურთ და აყენებს თავის ერისთავებს, სამს კახეთში და ოთხს ჰერეთში. თვალავს აწესებს სამეფო ქალაქად. მოიკვლის ოსის ხელით.

**ზოლაკერტელი**

ირთავს სამშვილდის სომხის მეფეს დავითს.

**N. ქალი**

ირთავს მარილისის მთავარს.

### 11. გაგი ანუ გაგიკ

(1029†1058)

კვირიკესაგან შვილობილი.

### 12. აღსართან I.

(1058†1084)

ბაგრატ IV ავრცელებს თავის მფლობელობას ჰერეთში; მაგრამ სულტანი თოგრილ-ბეგ უძლევს ჰერეთს და კახეთს ისლამის მიმღებს აღსართანს.

### 13. კვირიკე IV.

(1084†1102)

რომელსაც დავით აღმაშენებელი ართმევს ციხეს ზედა-ზენისას.

### 14. აღსართან II.

(1102†1105)

[illegible] რომელსაც ჰერეთისამდან კახეთის დიდებულნი იჭერენ და მიჰგვრიან დავით აღმაშენებელს, რომელიც იერთებს ჰერ-კახეთს.

## 52. ბაგრატ III

მეფე აფხაზთა და ქართველთა.

(980†1014)

ამშვიდებს ქართლის აზნაურთა, რომელნიც ქავთარ ტბელის წინამძღომლობით აუშლებიან ბაგრატს. იმონავებს კლდე-კარის ერისთავს რატის (ორბელიანს), რომელიც ფლობდა ატენის ციხეს, მთელ ქართლს სამხრით მტკვრისა, თრიალეთს, მანგლისის-ხევს და სკვირეთს, და რატი თავის შვილით ლიპარიტითურთ სახლდება თავის სამკვიდრო არგვეთში. იჭერს როგორც ჰერეთს, რომლის გამგეობას მიანდობს მთავარს აბულალს, აგრეთვე კახეთს და კახეთის მეფეს კვირიკეს შეაწყვდევს ბოჭორმის ციხეში. ამირი განძისა ფადლონი დაეცემა ჰერ-კახეთს; ბაგრატ სომხითის მეფის გაგიკ შაჰანშაჰის თანა-შემწეობით სძლევს მას და არღვევს ქალაქს შანქორს.

ქ-ცხბით ბაგრატ იპყრობს ყველა კავკასიელებს ჯიქეთიდამ გურგანის ზღვამდე. ბაგრატ აშენებს დიდ-მშვენიერს ქუთაისის საყდარს, რომლის წარწერა უჩვენებს აქამომდე უძველესად ხმარებულს არაბულ ციფრებს (223—1003 წ.); აშენებს აგრეთვე მშვენიერს ეკლესიას ბედიისას აწინდელს სამურზაყანოში. იმის დროს † კათალ. სვიმონ და ჯდება მელქისედეკ, რომელიც აახლებს და ამკობს დაძველებულს სვეტი-ცხოველს. ბაგრატის მეფობაშივე ბრწყინავენ ათონის მთაზე: ქართველი მთარგმნელი ევთიმე (†1028) და მოღვაწენი იოანე გრძელისძე, არსენ ნინო-წმინდელი, იოანე ხახულელი ოქროპირი და ზაქარია მირდატისძე. ბაგრატ იმარხება ზვიად ერისთავის ხელით ბედიის ეკლესიაში.

შენ. ევთიმისა და იმის მამის იოანეს ცხოვრება და მოღვაწეობა ნახე ზემოდ გვ. 136, შენ. 1.—იქვე გვ. 144, შენ. 1 ზოგიერთი ისტორიული ცნობები ბაგრატზე და რა და რა არის კიდევ, გარდა ხსენებულის საყდრებისა, აშენებული ბაგრატისაგან.

## 53. გიორგი I

მეფე აფხაზთა და ქართველთა.

(1014†1027)

18 წლისა ირთავს ვასპურაკანელის სომხის ქალს მარიამს და შემდეგ ოსეთის მეფის ქალსა. გიორგის უკუ-უდგება ჰერ-კახეთი; ვასილი იმპერატორი მოსთხოვს მას „ზემოთა ქვეყანათა საბერძნეთისათა“ დიდ სომხითში, რომელნიც დავით კურაპალატს ჰქონდა დათმობილი თავის სიკვდილამდე. გიორგი უარ-ჰყოფს მოთხოვნილებას. ბასიანში ასტყდება ბრძოლა, რომელშიაც იხოცებიან რატი ძე ლიპარიტისა და ხურსი. ვასილი იზამთრებს ტრაპიზონში. მეორე ომში, რომელშიაც თანა-შემწედ ჰყვანან გიორგის ჰერ-კახნი, წანარნი და შავნი და ვასილის რუსნი, გიორგი იძლევა; მოიკვლის ლიპარიტ და დატყვევდება ზვიადი და ამის გამოსახსნელად გიორგი ვასილის მძევლად მისცემს თავის სამის წლის მემკვიდრეს ბაგრატს. იმის დროს ზის კათალიკოსად იგივე მელქისედეკ, რომელიც კონსტანტინეპოლში ვასილის მემკვიდრეს კონსტანტინეს გამოსთხოვს სვეტი-ცხოველისათვის საეკლესიო სამკაულს და ხატებს.

შენ. ქართველთ მეფეთ მფლობელობა დიდ სომხითში და ქართული საეპისკოპოსოები ყარსში, ანში და არზრუმში, აგრეთვე ქართული ეკლესიები საზოგადოდ არაქსის ბასსეინში ნახე ზემოდ გვ. 133, შენ. 1 და 147, შენ. 1.

53. გიორგი I

**54. ბაგრატ IV**
მეფე ქართლისა და აფხაზეთისა
(1027†1072)

**გურანდუხტ** — ცოლი სომეხთ-ალოვანის მეფის კვირიკეს ძმისა სუმბატისა. — N ცოლი ალპ-ასლანისა სელჯუკთ სულტანისა.

**გუტა**

**მართა**

**დიმიტრი** — ნაშობი ოსის ქალისაგან. უკმაყოფილო მიჰმართავს ბერძენთ მეფეს და „წარიტანს თან ანაკოფიასა“.
— დავით
— ათონი
— ჯადარონ, შვილი პირველის ქორწილისა ოსეთის მეფისა დავით II-ს ქალთან.
— დავით-სოსლანი (1193†1208) მეორე ქმარი თამარ მეფისა.

ბაგრატს უკუ-უდგებიან ტაოელნი აზნაურნი: ვაჩე კარიჭისძე, იოანე ბანელ-ეპისკოპოსი და სხვანი და მიჰკერძვენ ძმა კოსტანტინეს. კოსტანტინე მოჰგზავნის თავის ჯარს დიმიტრი კლარჯელ სუმბატის შვილითურთ. ბრძოლა მოხდება კლდეკართან, რომელსაც ფლობს ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ, ძე ლიპარიტისა. ბაგრატის მომხრენი არიან: ეზდრა ანჩელი, ერისთავი არტანუჯისა იოანე აბუსერი და მტბევარი ეპისკოპოსი საბა. შემდეგ კოსტანტინეს † 12 ნოემბერს 1028 წ. ჯდება რომანოზ ანუ რომან III არგირი, რომელსაც ეახლება კონსტანტინეპოლში დედა ბაგრატისა და გამოსთხოვს მშვიდობას და ბაგრატისთვის საცოლოდ რომანოზის ძმის-წულს ელენეს. ელენეს მოჰყვება ოქროს ხატით დეკანოზი გარსევან, წინაპარი გარსევანა-შვილთა. ელენეს † შემდეგ ბაგრატ ირთავს ოვსთ მეფის ქალს ბორენას.

ბაგრატის ყმაწვილობაშივე ფადლონ დიდს (დვინის ემირს აბუ-სვარს) ებრძვიან და აწუხებენ ლიპარიტ ძე ლიპარიტისა, ქართლის ერისთავი იოანე აბაზაძე, მეფე რანისა და კახეთისა კვირიკე დიდი და მეფე სომხითისა (ტაშირისა) დავით. თვით ჯაფარს ტფილისის ამირს ჩამოართმევენ ბირთვისის ციხეს, შეიპყრობენ და მიართმევენ ბაგრატს, რომელიც ლიპარიტის მოშურნე დიდებულთა რჩევით ისევ უკუ-სცემს მას ტფილისს. ასტყდება ბრძოლა ბაგრატსა და ლიპარიტს შორის. ლიპარიტი მოიწვევს საბერძნეთით ლაშქარს ბაგრატის ძმით დიმიტრითურთ. ლიპარიტის მომხრენი არიან კახნი; ბაგრატისა: ბეშქენ ჯაყელი, თუხარისის ერისთავი და ფარსმან თმოგველი. ბაგრატ და ლიპარიტ დაზავდებიან და ბერძენნი დიმიტრითურთ უკუ-იქცევიან.

ბაგრატს ტფილისის ბერნი (გამგენი) გადასცემენ ამ ქალაქის კლიტეს; თვით ანისის ქალაქს ცხრა ციხით ანელნი მიართმევენ ბაგრატის დედას. ლიპარიტ კიდევაც გადგება და იხმობს ბერძენთ ჯარს დიმიტრითურთ. ბაგრატ მოიწვევს ვარანგთა, რომელთაც იმ დროს თვით ვიზანტიაშიაც ვხედავთ. ბაგრატ ორ-გზის იძლევა. დიმიტრი კვდება და შემდეგ ლიპარიტ ვიზანტიელთ წყობაში ებრძვის ბასიანში ახლად მოსულთ სელჯუკთ თურქთა (ამაზე ზემოდ გვ. 157, შენ. 1). ლიპარიტს სტყვევენ და გაიყვანენ ხვარასანს. გამოხსნილი იმპერატორისაგან ლიპარიტ შედის ანისში და კიდევაც მოიწვევს ბერძენთ ძალას ბაგრატის წინაამდეგ. ბაგრატ შეშინებული თვით წავა კოსტანტინე მონომახთან (1042†1055), რომელიც სამ წელს დააყოვ-

ნებს მას თავისთან. ლიპარიტს უჭერია მთელი ზემო კერძო საქართველო. სულა კალმახელი და მესხნი ლიპარიტით მობეზრებულნი შეიპყრობენ მას შვილით იოანითურთ და მიართმევენ ბაგრატს. მეორე შვილი მისი ნიანია გარდაიხვეწება ბერძნებთან ანისში; ლიპარიტ ბერად შემდგარი და ანტონად სახელ-წოდებული გადის საბერძნეთს, სადაც კვდება და იმარხება თავის მამა-პაპათ სამარხში კაცხის მონასტერში. მის შვილებთაგან ნიანია კვდება ანისში „ბერძენთ ყმობაში“ და ბაგრატ იოანეს უბრუნებს მამულს არგვეთისას და ქსრთულისას.

შენ. ანტონი ლიპარიტ ყოფილი იცნობება ქართულის მწიგნობრობის მთარგმნელად. იმისი ნაღვაწი მშვენიერის ხელით ნაწერი მანუსკრიპტი გელათში ნახე ზემოდ გვ. 147, შენ. 1.

1064 წ. სულტანი სელჯუკთა ალპ-ასლან არბევს სომხეთს და ქართლს. ბაგრატ და ალპ ასლან † ერთსა და იმავე წელს. ბაგრატ იმარხება ჭყონ-დიდში ანუ მარტვილში.

ეს ბაგრატ სხვა და სხვა წყაროებით ისახელ-წოდება კურაპალატად, ნობილისიმოსად და სევასტოსად. იმის დროს პირველად იხსენებიან წინაპარნი: სამცხე-საათაბაგოსანი ბეშკენ ჯაყელი და სამეგრელოს დადიანთა ივანე. ბაგრატის დროს შენდებიან ეკლესია-მონასტერნი: ზედა-თმოგვისა, ქუმურდოს ეკალდერი, ნიკორ-წმინდა, აშურიანი, ყრედა, ქართველთ მონასტერი ჯვარისა იერუსალიმში პროხორე ბერის ზრუნვა-მხედველობითა (გვ. 166, შენ. 2). † კათალ. მელქისედეკ და ჯდება გიორგი ტაოელი; † გიორგი და ჯდება გაბრიელ საფარელი. მის დროსვე საქართველოს გარედ ბრწყინავენ სამღთო და საეკლესიო წიგნთა მთარგმნელნი: იოანე ანუ ილარიონ თვალელი, გიორგი დაყუდებული, გიორგი მთა-წმინდელი (იშვა 1014 წ., † 1066?) და გიორგი ოლთისელი, იოანე პატრიკ ყოფილი, პეტრიწი ფილოსოფოსი, სტეფანე და სხვანი (ამაზე ნახე ვრცლად ზემოდ გვ. 161, შენ. 2.)

## 55. გიორგი II

მეფე ქართლისა და აფხაზეთისა,
(1072†1089)

რომელსაც დასაწყისითვე უკუ-უდგებიან ერისთავნი: ნიანია ქვაბულის ძე, იოანე ლიპარიტის ძე და სვანთა გარდან (პირველად ხსენებული სვანთ ერისთავი), რომელთაც გიორგი აშვიდებს. იოანე კიდევაც გადგება და აძლევს ციხეს მეჭურდის განძის ამირს ფადლონს. სელჯუკთ სულტანი ალპ-ასლანის შვილი მელიქ-შაჰ იჭერს სამშვილდეს და იოანეს ცოლშვილით ატყვევებს; არბევს ქართლსა და ილებს განძას, სადაც გამგედ აყენებს სარანგს, რომელსაც გიორგი სძლევს და შემდეგ ბერძენთ გამოჰგლეჯს ანაკოფიას, თავადსა ციხეთა აფხაზეთისათა“ და სხვა ციხეებს კლარჯეთისას, შავშეთისას, ჯავახეთისას და არტაანისას, ქალაქს კარს, ვანანდს და კარნიფორ-ბასიანს და განდევნის იქიდამ თურქთა. ტაოში გიორგის ეახლება ბერძენთ მხედართ მთავარი ქართველთაგანი და გამგე ოლთისისა, კარნუ-ქალაქისა (არზრუმისა) და კარისა (ყარსისა) გრიგოლ ბაკურისძე, რომელიც ამ ქალაქებს გარეშე ადგილებით მას უძღვნის. „არამედ ამ ჟამად, ამბობს ჩვენი ხრონიკა, განძლიერდნენ თურქნი, რამეთუ ბერძენთა მოაკლდებოდათ ძალი“.

მართა, ვიზანტიელთ მარიამ, რომელიც ცოლათა ჰყავს იმპერატორს მიხეილ VII-ს დუკას (1071—1078). მარიამისა და მიხეილის შვილი მემკვიდრე ვიზანტიელთ ტახტზე, თვითონ ბიძაშვილი მარიამისა ირინე ჰყავს ცოლად ისააკ კომნენს, ალექსი იმპერატორის (1081—1118) ძმას (ნახე ზემოდ გვ. 171, შენ. 1).

შენ. 1. რა რიგად იყო სელჯუკ-თურქთაგან შემცირებული საბერძნეთის ძალა და ქრისტიანობა შევიწროებული, რის გამო ევროპაში იწყობა საჯვაროსნო გალაშქრება თურქთა წინააღმდეგ, ამაზე ნახე ზემოდ გვ. 171, შენ. 2.

შენ. 2. გრიგოლ ბაკურისძე ჩანთქმული არის ვიზანტიის ისტორიაშიაც, ქართულშიაც და სომხურშიაც: იგი იხსენიება „მთელის დასავლეთის დომესტიკოსად და სევასტოსად“ და „ქართველთა ნათესავის მასპინძლად საბერძნეთში“ (გვ. 170, შ. 2).

შენ. 3. ქართველნი ვიზანტიის სამსახურში იხილე იქვე გვ. 170, შენ. 2.

გიორგი II

## 56. დავით II,

აღმაშენებელი, მეფე ქართლისა დ აფხაზეთისა,

(1089†1125)

თორტომე ძმა მათე ედესლის ცნობით; ქართული წყარო კი მას არ იხსენიებს.

აღზრდილი გიორგი ჭყონდიდლისაგან ირთავს ყივჩაყთ მეფის ანუ ხაყანის ქალს გურანდუხტს; მათე ედესელის თქმით სომხის ქალს; სხვა ცნობით ბერძნის პრინცესსას ირინეს. დავითის გამეფების დაწყებაში ლიპარიტ IV დაადგება მამა-პაპათა კვალს და დავით მას შეიპყრობს. სამარყანდში † სელჯუკ-თურქთ სულტანი მელიქ-შაჰ და მის ადგილს იჭერს იმისი შვილი თაფარ. დიდი სიმრავლე თურქთა, რომელთაც უპყრიათ ტფილისი, რუსთავი, სამშვილდე და სომხითი. საჯვაროსნო ჯარი ევროპიელებისა 1096 წ. შედის კოსტანტინეპოლში, 1098 წ. იჭერს ანტიოქიას და 1099 იერუსალიმს.

დავით ამრავლებს და სწვრთნის სპათა; ყივჩაყ-ოვსთ მოიწვევს თავისთან და აწესებს მათგან დას-დასად ჯარებს, რომელთაც უჩენს სპასალარებს; საქართველოს ანთავისუფლებს თურქთაგან; ამარცხებს განძის ათაბაგს და შეერთებულს მუსულმანთ ძალას; იჭერს განძას, ბარდავს და შირვანს ანითურთ, საიდამაც გამოჰყავს დატყვევებული აბულ-სევერი შარვან-შაჰ, რომლისაგან მომდინარეობენ აფხაზეთის შარვაშიძენი.

გარდა ქ-ცხბისა, რომელიც იმ დროს „ქართლის-ცხოვრებადვეა“ ცნობილი და დავითის მეფობაშივე ნათარგმნი სომხურად (ნახე *Addit. à l' H. de la G.*, 1851, p. 1—61), დავითზე გვაქვს სხვა და სხვა უცხო-ტომთ ცნობანი. ქართ. თუ უცხო-ტომთ ცნობებით დავით ზრუნავს მწიგნობრობისა და სწავლის გავრცელებისათვის საქართველოში: ამ აზრით ჰგზავნის საბერძნეთში ყმაწვილ-კაცობას, რომელთა შორის, ვარდან დიდის თქმით, განსაკუთრებით განვითარდნენ სამნი პირნი (სახელები არ იხსენიება). იმის დროს გამოჩენილ პირებად ცნობილნი არიან: აბულეთ და იოანე III ორბელიანი, ორბელებად პირველად ხსენებულნი ქ-ცხბაში; ბეშკენ ჯაყელი; კათალიკოსი იოანე; გიორგი ჭყონდიდელი ბედიელ-ალავერდელი; მთარგმნელთაგანნი: ეფრემ მცირე, თეოფილე, იოანე ტარიჭისძე და არსენი იყალთოელი, „მეცნიერი ბერძნულისა და ქართულის ენებისა“ და მოძღვარი თვით დავითისა. საქართველოს გარეთ დავითი ავსებს „კეთილითა“ მართლმადიდებელთ ტაძრებს და მონასტრებს, აშენებს მონასტერს სინაის მთაზე“ (ქ-ცხბა 256). თვით საქართველოში, ქ-ცხბით, «რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ-ჰყვნა» (ქ-ცხბა, 257). ეკლესიის განსაწმენდათ იოანეს კათალიკოსობაში დავით მოიწვევს 1103 წ. სამღვდელოთა კრებას, რომლის „ძეგლის-წერა“ ნახე ზემოდ გვ. 174, შენ. 2 და ცდილობს აგრეთვე სომხეთისა და საქართველოს ეკლესიათა შეერთებისათვის; ამასთანავე მფარველობს სომხის ეროვნობას და ეკლესიას: სომეხთათვის აშენებს ქალაქს გორს და დიდის დიდებით აკურთხებინებს სამოცის წლის მონებისაგან განთავისუფლებულის ანისის საკათედრო ტაძარს“.

დავით ამბობს (ნახე ზემოდ იმისი „ანდერძი“ გვ. 186, შენ. 2): „ჩემის ღვაწლით ახლად მოგებულია მამული ნიკოფსიით დარუბანდის ზღვამდე და ოვსეთით სოვრადმდე (?) და არგათამდე (?)“. იმის დროს აფხაზეთის ნაცვლად ლიხთ-იქითს საქართველოს პირველად ეთვისება სახელ-წოდება „იმერეთი“. დავით აშენებს ანუ აახლებს გელათის მონასტერს, სადაც თვითვე იმარხება (ზემოდ გვ. 186, შენ. 2).

## 56. დავით II

### 57. დიმიტრი I.

(1125†1154)

დიმიტრი ქართულის ცნობით იჭერს დბანისს და სტყვენავს ყარას ულღუნიანთა (?); აოტებს სალდუხს შემდეგ ანისის აღებისა ამ უკანასკნელისაგან; აშენებს 1141 წ. ეკლესიას უბისას იმერეთში, როგორც ამას აჩენს უბისის წარწერა. სომხურის წყაროებით ანისი გადასცა 1126 წ. ლალატით ფადლონს აბულეთ ორბელიანმა. 1130 წ. აბულეთის შვილი ივანე V განიზრახავს მოკვლას მეფის დიმიტრისას და მის ძმის გიორგისას. დიმიტრი იჭერს ივანეს და შემდეგ ანთავისუფლებს; ბოლოს ივანე მოიკვლის დიმიტრისაგან 1145 წ. და ივანეს ძმა თირქაში ივლტვის ემირთან შაჰი-არმენთან, რომელიც მას არშარუნის ქვეყანას მიუბოძებს და თირქაში აოხრებს საქართველოს (*Addit.*, 244—247, 351). დიმიტრი კვდება მონაზონად. მას იხსენიებენ წარწერანი საროჲსა სამცხეში, იშხანისა და ხახულისა ჭოროხის ხეობაში.

ვახტანგ.

ცჳატა, დავითის სიკვდილის დროს მცირე-წლოვანი ვაჟი (ნახე ანდერძი).

კატა, ცოლი ვიზანტიის იმპერატორის შვილის ბრიენისა. ვახუშტით † 1150 წ.

**გიორგი**, გარდან დიდისაგან ხსენებული 1130 წ.

თამარ, ცოლ-ყოფილი შირვან-შაჰის ალსართანისა (ზემოდ გვ. 194), მონაზონად შემდგარი და მაშენებელი თილვის ეკლესიისა, რომელსაც თვით თილვის წარწერა უჩვენებს. ვახუშტით † 1150 წ.

### 58. დავით III

უფროსი შვილი, მეფობს მხოლოდ ექვსი თვე. † 1154 წ.; ვარდანის ცნობით † 1155 წ., ვითომც მოწამლული სუმბატ I-ისა და იმის შვილის ივანე VI ორბელიანთაგან იმის გამო, რომ მას მათი ხელის-უფლობა თირქაშისთვის მიებოძა (*Add.*, 247). სუმბატ კვდება მონაზონობაში სვიმონად სახელ-წოდებული.

შენ. ამაზე ნახე ზემოდ გვ. 173, შენ. 3; 178, შენ. 1; 188, შენ. 1—2).

**დიმიტრი ანუ დემნა.**

ამისი თავ-გადასავალი იხილე გიორგი III-ს ცხოვრებაში.

### 59. გიორგი III

(1156†1184)

ირთავს ოსეთის მეფის ქალს ბურდუხანს. ქართულ-სომხურ-მუსულმანთ გარდამოცემით ხრონოლოგიური ცნობები გიორგიზე: გიორგი 1161 წ. ივნისში იჭერს ანისს, მის გამგეთი შეორგულებულის შანშე დადიანითურთ და ანისის გამგეობას მიანდობს ივანე VI ორბელიანს და სარგის მხარ-გრძელს. იმავე წელს აგვისტოში ამარცხებს ანისშივე ათაბეგს ილდიგუზს. 1162 წ. იღებს დოვინს, ანგრევს მის მეჩითებს და ატყვევებს მათე ედესელის თქმით 60,000 მუსულმანთა (?); 1163 წ. ილდიგუზ იბრუნებს დოვინს და იჭერს გაგის-ციხეს, მაგრამ გიორგის ჯარის მოძრაობის შიშით ივლტვის და სტოებს თავის ქონებას და ტყვეებს; 1165 წ. არსლან სულტანი დიდის ძალით მიადგება ანისს და გიორგი სტოებს ანისს. 1166 წელს გიორგი გაილაშქრებს განძაზე. 1174 წ. იბრუნებს ანისს. 1177 წ. ძმის-წული გიორგისა დავით III-ს შვილი დიმიტრი, სომხის მწერალთ დემნა ივანე ორბელიანის თაოსნობით იარაღით ხელში ეძიებს გიორგისაგან ტახტსა. დიმიტრი თვალ-დამწვარი კვდება და იმარხება მცხეთას; ორბელიანნი ამოწყდებიან, გარდა ივანეს ძმისა ლიპარიტ V-სა ორის შვილითურთ ელიქუმით და ივანეთი, რომელნიც სპარსეთში ელდიგუზისას თავს გადირჩენენ.

შენ. 1. ორბელიანთ სახლის ამოწყვეტის გამო ჩემი აზრი ნახე ზემოდ გვ. 194. შენ. 1.

შენ. 2. 1167 წ. შვილი ისააკ კომნენისა ანუ ვიზანტიის საიმპერატორო სახლისა ანდრონიკე, კონსტანტინეპოლიდამ განდევნილი, სახლდება საქართველოში, იმისგან აწარმოებენ თავის შთამომავლობას ანდრონიკა-შვილები (ნახე ზემოდ გვ. 192, შენ. 3.)

შენ. 3. იმპერატორის მანუელის (1143—1180 წ.) მეცადინეობა სომხისა და ბერძნის ეკლესიათა შეერთებაზე იქვე გვ. 192, შენ. 3. გიორგის დროს სხედან კათალიკოს-პატრიარხი მიქაელ და ჭყონდიდელი ვეზირი ანტონი.

რუსუდან, ხვარასნის სულტნის ცოლი უშვილო, გამზრდელი თამარ მეფისა (ზემოდ გვ. 192 შენიშვნა 2).

N

ერთის აზრით ვითომც შეუღლებული რუსეთის დიდ მთავართან იზიასლავ მსტისლავიჩთან (*Add.*, 289).

## 59. გიორგი III.

## 60. თამარ.

(1184†1212)

ქ-ცხბის თქმით მეფე, ვახუშტით მეფა, ირთავს 1186 წ. რუსეთის დიდის მთავრის ანდრია ბოლოლიუბსკის შვილს გიორგის და შემდეგ გიორგის განდევნისა 1193 წ. დავით სოსლანს, რომელიც † 1208 ანუ 1209 წელს.

თამარის დროს სხედან: ჭყონდიდელად, მწიგნობართ-უხუცესად და პირველ ვეზირად ანტონი; კათალიკოსად ჯერ მიქაელ, შემდეგ თეოდორე და ბოლოს იოანე; ერისთავებად: სვანეთისა ვარამ ვარდანისძე, რაჭისა კახაბერ კახაბერისძე, აფხაზეთისა დოთალო შარვაშიძე, ცხომისა ამუნელისძე, ოდიშისა ბედიანი, ქართლისა რატი სურამელი, კახეთისა ბაკურ-ურმა ძალანისძე, ჰერეთისა ასათ გრიგოლისძე, სამცხისა ბოცო ჯაყელი; მანდატურთ-უხუცესად ჭიაბერ, რომელსაც ჰქონდა მითვისებული „არგანი ოქროსა ხელთა, საკრამანი ტანსა და იჯდა სელსა ოქრო-ჭედილსა“; მეჭურჭლეთ-უხუცესად „დიდგვარიანი კაცი კახაბერ ვარდანისძე“; მსახურთ-უხუცესად ვარდან დადიანი; ჩუხჩურახად მარუშიანისძე; ამირ-სპასალარად ამილახორი გამრეკელ თორელი გამოჩენილი გიორგი III-ს დროსვე და შემდეგ გამრეკელისა სახელ-განთქმული ძე სარგის მხარგძელისა ზაქარია, რომელსაც ჰქონდა თამარისაგან დამკვიდრებული სამთავრო სომხითისა ლორე. ზაქარია † 1212 წ. და სტოვებს ერთად-ერთს შვილს შანშე I-ს ანუ შაინ-შაჰს მანდატურთ-უხუცესად და ანისის მფლობელად. თამარ მოიწვევს საქართველოში გავარდნილს ლიპარიტ V-ის შვილს ივანეს; ელიქუმ კი რჩება განძის ემირთან. ამისგან მომდინარეობენ სომხის ორბელიანნი.

ქ-ცხბით თამარს ეპყრა, „ზღვით პონტოსით ზღვამდე გურგანისა და სპერიდგან დარუბანდამდე და ყოველნი კავკასიისა. იმერნი და ამერნი ხაზარეთამდე და სკვითამდე“ (ქ-ცხბა, 283). თამარის მოღვაწეობას შეადგენენ შემდეგნი ისტორიულნი შემთხვევანი: 1195 წ. გალაშქრება ბარდაზე და არზრუმზე; 1186 წ. გელაქუნზე და ანბერდზე; 1203 წ. აღება შანქორისა და დოვინისა და დამარცხება როკნ-ედ-დინისა; 1204 დაჭერა ტრაპიზონისა და დაარსება თავის ნათესავის ალექსი კომნენისათვის ტრაპიზონის იმპერიისა; 1207 ანუ 1208 წ. გალაშქრება კარზე (ყარსზე); 1209 აღება ანისისა; 1210 ანუ 1211 არდებელისა და გამხედრება ხვარასანზე.

რა გვარ ბრწყინავს თამარის სახელი ქართულსა და უცხო-ქვეყნელთ მწერლობაში ამაზე ნახე ზემოდ თამარის ცხოვრების შენიშვნანი. თამარის დროსვე პირველად აღმოჩნდება ჩვენში საერო მწერლობა და პოეზია. იმის დროს ეკუთნიან: ქილილა და მანას პირველი თარგმანი; ამირ-დარეჯანიანი მოსე ხონელისა; ვისრამიანი, რომელსაც მიაწერენ სარგის თმოგველს; თამარის შესხმა ჩახრუხაძისა და შავთელისა და უკვდავი პოემა შოთა რუსთაველისა „ვეფხის-ტყაოსანი“. ჩემი აზრი თამარის პიროვნობაზე, იმის მოღვაწეობის ხასიათზე და მიზეზი საქართველოს აღორძინებისა დავით აღმაშენებელის დროდამ თამარის სიკვდილამდე ნახე ზემოდ გვ. 216, შენ. 1.—თამარი ასრულებს გიორგი III-გან დაწყობილს ვარძიის მონასტერს და ამკობს ხახულის ღვთის-მშობლის მშვენიერის ხელოვნების ხატსა, რომელიც ახლა ასვენია გელათში. თამარის დროსვე არიან აშენებულნი: ბეთანია, კაბენი და გუდარეხის მონასტერი. თამარი იმარხება გელათში.

## 60. თამარ.

### 61. გიორგი IV ლაშა
**(1212†1223)**

უზნეო და უშვერის ყოფა-ცხოვრებით გატაცებული, ჩხუბში ერთ თვალს მოკლებული, ველის-ციხის მცხოვრებს სტაცებს ცოლსა, რომელთანაც მას მიეცემა ვაჟი-შვილი დავით.

გიორგის დროს მოქმედნი პირნი არიან: ზაქარია მხარ-გრძელის (†1212) ძმა: ათაბაგი ივანე; მსახურთ-უხუცესი ვარამ გაგელი, შვილი მხარ-გრძელის ბლუ-ზაქარიასი, მფლობელი საქართველოს საზღვრად მდებარე თემებისა, გაგისა და შანქორისა; სარგის-თმოგველი; ორნი ახოვანნი ძმანი სამცხის მეპატრონენი ივანე და შალვა ახალციხელნი; ზიბლა და ბექა უვარყვარე ჯაყელის შვილები; ბოცო გურკელელი და იმისი შვილი მემნა. მიწერ-მოწერა ივანე ათაბაგისა პაპა ჰონარე II-სთან (გვ. 222, შენ. 4). ჯდება თუ არა გიორგი ტახტზე (1213 ანუ 1214 წ.), განძელნი უარ-ჰყოფენ ხარჯის მოცემას და განდგებიან, თუმცა გიორგი მათ ისევ იმორჩილებს ამერ-იმერთ შეერთებულის ძალით. გამოჩნდებიან მონგოლნი, რომელნიც საქართველოს დასაზვერად შემოდიან პირველად 1220 და მეორედ 1222 წ.

შენ. მონგოლთ ადგილ-მამული, ხასიათი, სარწმუნოება და მიზეზი ჩინგიზ-ყაენის მიერ მათის გაძლიერებისა, რომლითაც მათ მცირე ჟამს მთელი აზია და ევროპა დაიმონავეს, ნახე ზემოდ გვ. 220, შენ. 1; 228, შენ. 3 და სხ.

### 62. რუსუდან
**(1223†1247?)**

ძმაზე უარესად გაფუჭებული და გარყვნილი: ამისი ფაქტები ნახე ზემოდ გვ. 231, შენ, 3. ირთავს არზრუმის მფლობელს მოგით-ედ-დინს იკონიის სელჯუკთაგანს, თუმცა ერთის ქმრით იგი არ კმაყოფილდება. მოგით-ედ-დინთან ეძლევა რუსუდანს დავით და თამარ. ეს თამარ ირთავს იკონიის სულტანს გაიათ-ედ-დინს და შემდეგ გაიათ-ედ-დინისა იმის მკვლელს ფარსმანს: რომ თავის შვილს ტახტის მემკვიდრე მოაცილოს რუსუდან, ძმის-წულს დავითს ისტუმრებს იკონიაში თავის სიძესთან იმ განზრახვით, რომ ამ უკანასკნელმა იგი დაალუპინოს.

რუსუდანის დროს მოქმედებენ, გარდა გიორგი IV დროს ხსენებულთა პირთა, ივანე ათაბაგის შვილი ავაგ, შემდეგ მამის † 1229 წ (მოკვდა ბერად) დადგენილი მთავრად და ამირ-სპასალარად; შანშე I-ის შვილი ზაქარია III ამირ-სპასალარი, „კაცი სიკეთითა ალმატებული“; გამრეკელი თორელი; შოთა კუპრი ერისთავი ჰერეთისა; ელიქუმ II ორბელიანი შვილი ლიპარიტ VI-სა და ალბუღა შვილი ვარამ გაგელისა; დადიანი ცოტნე, „კაცი წარჩინებული და სათნოებიანი“; გრიგოლ სურამელი ერისთავი ქართლისა და შვილი მისი ბეგა; ბეშკენ შვილი გურკელელის მახუნჯაგის ძისა; გურიელი პირველად უსახელოდ ხსენებული.

ხვარასნის სულტანი ჯელალ-ედ-დინი აოხრებს საქართველოს მხარეს. ამ დროს გარნისის ბრძოლაში ივანე მხარ-გრძელის სარდლობით შეერთებული ქართველ-სომხ-თართ ჯარი სასირცხვილო სიმხდლეს ალმოიჩენს. ჯელალ-ედ-დინი იჭერს ტფილისს, პირველად 1226 წ., მეორედ 1229 წ. და მოიკვლის 1231 წ. თვით მონგოლნი იჭერენ განძას 1236 წ. და მოეფინებიან მტკვარს და არაქს შუა 1238 წლიდამ; ამარცხებენ გაიათ-ედ-დინს, რომლის ჯარს ხძანებლობს დარდან შარვაშიძე და იღებენ არზრუმს 1243 წ. ოთხნი ნოინნი მონგოლთანი იყოფენ მთელს

## რუსუდან

კავკასიის მხარეს სომხითითურთ. რუსუდან ემორჩილება მათ და მოსთხოვს შვილის გამეფებას. ნოინნი დავითს ჰგზავნიან ყაენთან ყარაყურუმში. იქვე შეჰხვდება იმას შემდეგ გიორგი ლაშას შვილი დავითივე, დიდებულთა და ნოინთ მეცადინეობით გამოხსნილი იკონიის საპყრობილიდამ. ყარაყურუმშივე იმყოფებიან: ავაგ ათაბაგი, დიდად პატივ-ცემული ქართველთაგანაც და მონგოლთაგანაც; სარგის თმოგველი, „მეცნიერი, რიტორი და ფილოსოფოსი“; კათალიკოსი ნიკოლაოზ, ყაენთან მხლებელი „დაცვისათვის ეკლესიისათა“ და სხვანი გამოჩენილნი საქართველოს პირნი. რუსუდანის სიკვდილის შემდეგ საქართველო რამდენიმე წელი რჩება უმეფოდ. ნოინნი აქ თავის ხელ-ქვეით ადგენენ მთავრებს: „პირველია ეგარსლან ბაკურ-ციხელი, „კაცი ღრმად მოუბარი, მხნედ მეომარი და არას საქონლისა პატრონი. ამას მიათვალეს ლაშქარი ჰერეთ-კახეთისა და კამბეჩიანისა, ტფილისიდგან და აღმართ ვიდრე მთამდე შამახიისა. შანშეს ხელთ-უდვეს მამული მისი და ავაგისი (რომელიც იმ დროს ყარაყურუმში იმყოფებოდა), გარამ გაგელსა ხელთ-უდვეს ყოველი სომხითი; გრიგოლ სურამელსა ქართლი და თორელსა გამრეკელსა ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ-ქალაქამდე; ხოლო ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავსა ყოველი იმერი სამეფო“ (ქ-ცხბ, 171). ცილობა ყარაყურუმში ტახტის გამო ლაშასა და რუსუდანის შვილებთა: პირველის მომხრეთაგანია სარგის თმოგველი, მეორისა ავაგი.

### 63. დავით IV ნარინი
(1243†1293)

ირთავს ბერძენთ იმპერატორის მიხეილ პალეოლოგის ქალსა. ამისი მეფობა ნახე დავით V-ს ცხოვრებაში. †1293 წ. ღრმად მოხუცებული.

### თამარ

ცოლი სელჯუკის გაიათ-ედ-დინისა (1237 წ.) და შემდეგ ფარსმანისა, თავის ქმრის მკვლელისა.

### 65. ვახტანგ II
(1289†1292)

ირთავს არღუნ-ყაენის დას ოლჯაის. ვახტანგ კვდება მამაზე წინად. დავით ნარინის შემდეგ იმერეთის მეფობას იჭერს უფროსი იმისი შვილი კონსტანტინე, რომელსაც წინააღუდგება უმცროსი ძმა მიხეილ და ხელთ-იგდებს რაჭას და არგვეთს. ხანგრძლივი შლილობა და შფოთი მათ შორის. ქელათუმ-ყაენი მიიწვევს დიმიტრის შვილს დავითს, როდესაც იგი ამხედრდება საბერძნეთზე. ქართველნი მხნედ იბრძვიან და ჯილდოდ ყაენი დავითს ქართლის სამეფოს მიუბოძებს ვახტანგის სიცოცხლეშივე.

კონსტანტინე. მიხეილ. ალექსანდრე.

## 61. გიორგი IV

## 63. დავით V
(1243†1269)

პირველი ცოლი მისია ჯიგრა-ხათუნ. ამის უშვილობის გამო დავით შეუკავშირდება ოსის ქალს ალთუნს; ჯიგრა-ხათუნ † 1252 წ. და დავით ირთავს რაჭის ერისთავის კახაბერის ქალს, ავაგ ათაბაგის ქვრივს გვანცას და ავაგის ქალს ხვაშაგს მიათხოვებს სადუნ მანკაბერდელს. გვანცა † 1263 წ. სათათრეში ქ-ცხბით ხვაშაგისაგან მოწამლული, ჩამჩიანის თქმით სუმბატ ორბელიანისაგან მოკლული. დავით ირთავს 1268 წ. ჭარმაღ-ნოინის ქალს ესუქანს, რომელსაც „თანა-ეყოფა" ვასილი ჭყონდიდელი; ამის გამო ვასილი მეფისაგან მოიკვლის ძელზე მოკიდებით და თვით დავით მოიწამლება ესუქანისაგან „შურისათვის ვასილისა".

დავით V და დავით IV მონგოლთ თანხმობით მეფობენ ერთად; მაგრამ ჰულაგუყაენისაგან მოძულებული და შეპყრობილი დავით ნარინ წარიგზავნება ბარდავს და ნახჭევნიდამ იგი ივლტვის აფხაზეთში, სადაც იმერნი მას თავის მეფედ აღიარებენ და დავით იწოდება „მეფედ იმერთა და არღარა აფხაზთა" (1258 წ.).

დავით V მონგოლთ მოწვევით მიიღებს თავის ჯარით მონაწილეობას მათ ამხედრებაში ბაღდადზე, ეგვიპეტზე და დარუბანდის მხარეში ბერქა-ყაენის წინაამდეგ.

შ ე ნ. იმ დროის ტყავზე ნაწერი და აქამომდე დაცული გუჯარი, რომელიც მოიხსენებს ქართველთ გალაშქრებას ბაღდადზე, არის გუჯარი რკონისა, რომლითაც ერისთავთ ერისთავი კახა უძლვნის რკონის მონასტერს ბაღდადში ნაშოვნის სიმდიდრით ნასყიდს სოფელს ხოვლეს (ზემოდ გვ. 240, შენ. 1).

ამ დავითის დროს მონგოლნი მოახდენენ ქართლ-კახეთის აღწერას (გვ. 241, შენიშვნა 1) და მძიმე ხარკის გაწერით აღელვებული ქვეყანა ქართლისა აუმხედრება მონგოლთა. მონგოლნი ხელ-ახლა ამშვიდებენ ქართლსა.

ამ დროს განდიდდებიან: ა) სარგის ჯაყელი I, რომელსაც საჩინო სამსახურისათვის ომში ბერქა-ყაენთან ჰულაგუ მიუბოძებს კარნუ-ქალაქს თავის თემითურთ. მეფე მოშურნე უკმაყოფილებას განაცხადებს და შეიპყრობს სარგისს, მაგრამ ყაენის ბძანებით განთავისუფლებული სარგის უკუ-უდგება სამცხით ქართველ მეფეს „ვიდრე გიორგის ბრწყინვალემდე"; ბ) სადუნ მანკაბერდელი (გვ. 243, შენ. 3), რომელსაც ყაენი მიუბოძებს ავაგის მამულს კარითურთ და შემდეგ თვით დიმიტრი მეფე ათაბაგობას.

### გიორგი
ალთუნისაგან ნაშობი, † 18-ს წლისა 1268 წ.

### თამარ
ცოლი ჯერ არღუნხანის შვილისა და მასუკან სადუნისა, რომელსაც ერთ დროს ჰყავს სამი ცოლი: თამარ, ხვაშაგ ავაგის ქალი და ახალციხელის ქალი.

### 64. დიმიტრი II თავდადებული
(1273†1289)

ხვანცასაგან ნაშობი, ირთავს ტრაპიზონის იმპერატორის ქალსა (გვ. 253, შენ. 1). ამ დროს „საქართველოში შვება-განცხრომა, შლა ეკლესიათა და განმრავლება ბოროტთა:" დიმიტრი იყვანს სამ ცოლსა: გარდა იმპერატორის ქალისა, თათრის ქალს სორგალს და ათაბეგის ბექა I ქალს ნათელას. კათოლიკოსი ნიკოლაოზ ამხილებს დიმიტრის, მაგრამ ამაოდ და ნიკოლაოზ კათალიკოსობას გადასცემს აბრაამს. ამაოდვე ამხილებს მას თვით ვასილი ბიძა ევფემიოს კათალიკოსისა.

დიმიტრი თავის ჯარით მონაწილეობს მონგოლთ ამხედრებაში ეგვიპეტზე. კვდება აბაღა-ყაენი და ჯდება აჰმედ-ყაენი, რომელიც ცილსა სწამებს დიმიტრის მეხთლობაში; მიწვეული მასთან მეკლანს დიმიტრი იწამება და ქართლის სამეფო მიებოძება ნარინ დავითის შვილს ვახტანგს.

† 1269 წ. სარგის I ჯაყელი და ჯდება შვილი მისი ბექა სამცხის მთავრად. ბექა ფლობს თვით ჭანეთს.

## 64. დიმიტრი თავდადებული.

1-ის ცოლისაგან.

### 66. დავით VI
(1292†1310)

### 66. ვახტანგ III
(† 1304)
ამისი მეფობა ნახე დავით VI ცხოვრებაში.

დიმიტრი. გიორგი.

ბექა.

მანუელ.

რუსუდან, ცოლი ბუღა დიდისა. ბუღაითვით შთამომავალია რუსუდანისა.

ირთავს 1292 წ. ქელთუქუნის ქალს და ვახტანგ II-ს ქვრივს ოლჯათს; 1230 წ. ირთავს აჰმად სურამელის ქალს. თუქალ-ყაენისა და ყაზან-ყაენის ცილობა საყაენოზე. დავით მიჰკერძავს თუქალ-ყაენს. ყაენი სძლევს თუქალს და თავრიზიდამ იხმობს თავისთან დავითს. დავით იმის შიშით და თვით ნავროზ ნოინის შიშით, რომელიც მტრობდა ქრისტიანეთა, უარს იტყვის ხლებაზე და ნავროზ ამხედრდება ვარძიისა და სხვა ეკლესიათა მოსაოხრებლად. ყაზან მერე მიიწვევს დავითს ურდოში. დავით შეიხიზნება მთიულეთში და თავის ძმას ვახტანგს გაჰგზავნის ბათუ-ყაენის შვილის-შვილთან და უქადის გზას ყაზან-ყაენზე. ყაზანი გაჰგზავნის საქართველოში „ბეგლარ-ბეგს“ ხუტლუ-ბუღას, რომელსაც დავით მიაგებებს კათალიკოსს აბრაამს, ბურსელს იოანეს და ტფილისის ყადის და შემდეგ თვითაც მივა მასთან და ხუტლუ შეჰფიცებს მას ყაზანის მხრით. დავით მაინც არ ისურვებს ყაზანთან ხლებას და თავის ძმის ბაადურის შუა-მავლობით ორხან-ყაენს მოსთხოვს შემწეობას. ყაზანი დიდის ჯარით მოჰგზავნის იმავე ხუტლუ-ბუღას. დავით აახლებს კათალიკოსს, ბურსელს და ყადის. თათარნი ჰგრძნობენ, რომ დავით «მიზეზობს», მაგრამ იგინი მაინც დაეზავებიან დავითს და მოსთხოვენ, რომ მან არ მისცეს გზა ორხან-ყაენს. დავით წარუვლენს მათ საურავად დედოფალს-დედას, ცოლს ოლჯათს, ძმას მანუელს და კათალიკოსს აბრაამს. მოხდება ზავი: თათარნი დავითს აძლევენ ტფილისს, სამეფოს და გადიან. დავით კიდევაც ჰგზავნის ბაადურს ორხან-ყაენთან. მაშინ ყურუმჩისა, ალინჯისა და შანშე მხარ-გრძელის შუა-მავლობით ადგენს ტფილისში მეფედ დავითის უმცროს ძმას გიორგის, რომელსაც ზრდიდა ბექა სამცხეში.

ხუტლუ-ბუღა მრავალთ ნოინებით წარმოიგზავნება ქართლს ასაოხრებლად. მათ მიემხრება ქვენა-ფლაველი შალვა და წინა-მძღომლობს ქსნის ხეობაში, რომელსაც იგინი მოაოხრებენ. მეორე გაზაფხულს მეორედ შემოდის ხუტლუ-ბუღა; დავით ქართველთა და ჰერ-კახთა რჩევით გადასწყვეტს წასვლას ყაენთან და ამ განზრახვით მიჰგზავნის შუა-მავლად იოანე ბურსელს ხუტლუსთან, რომელიც მას შეჰფიცებს უვნებლობას; მაგრამ დავით კიდევაც უკუ-დგება შიშის-გამო. ძმა დავითისა ვახტანგ, მცირეს რაზედმე მოძულებული და დევნული დავითისაგან, მივა წინაშე ყაზან-ყაენისა, რომელიც მას უბოძებს მეფობას.

ვახტანგ ზის მეფედ, თუმცა არ ეწინააღმდეგება დავითს: „ამ დროს განდიდნა მეტად ბექა სპასალარი სამცხისა, რომელსაც სიძეთა ჰყავს ტრაპიზონის იმპერატორი და ეპყრა ტაშის-კარის ზეით სპერის ზღვამდე და ჭანეთი ტრაპიზონამდე. გამოჩნდებიან თურქნი, რომელნიც აოხრებენ სამცხეს; მაგრამ ბექა თავის შვილით სარგისითურთ და ტაოს ერისთავით ფაყა ფანასკერტელით მათ ამარცხებს და განდევნის.

† ყაზან და მის მაგიერად ჯდება ძმა მისი ხარბანდა, რომელიც გაილაშქრებს გილანზე და მიიწვევს ვახტანგს ქართველთ ჯარით და ბექას სამცხის ჯარით. ამ დროს ომში მხნედ იბრძვის ჯავახის-შვილი. შემდეგ ამისა ხარბანდა მოსთხოვს ვახტანგს სჯულის დატევებას და ისლამის მიღებას. ვახტანგ უარ-ჰყოფს მოთხოვნილებას და იწამება.



2-ე ცოლისაგან. 3-ე ცოლისაგან.

ჯიღდა-ხათუნ.

იადგარ. ამის შთამომავალნი ედიგარი-შვილები.

ბაადურ. ჯიღდა, ბაადურ და იადგარ შვილნი, თათრის ქალისაგან.

### 67. გიორგი V ბრწყინვალე,
(1318†1346)

ერთად-ერთი შვილი ნათელასი; მეფობს თვით დავით VI დროს 1299—1301 წლამდე; იპყრობს საქართველოს, სომხითს, ჰერ-კახეთს, სამცხეს, ტაოს, შავშ-კლარჯეთს ვიდრე სპერამდე და ზღვამდე. «გარნა თუმცა ძენი ბექასნი ფრიად განდიდებულ-იყვნენ და დაეპყრათ სრულიად სამცხე-კლარჯეთი, არამედ ვინაჲდგან მოეცნეს მეფესა გიორგის ყაენისაგან, ამისთვის ვერღარა ურჩ-ექმნნენ ძენი ბექასნი». ამ დროს ზის კათალიკოსად ევთიმე.

გიორგი ანთავისუფლებს ქართლსა ფუსტაგან. შლიილობა და შფოთი, თათრებში: გიორგი სარგებლობს ამ შემთხვევით და განდევნის საქართველოდამ თათართა; ურჩთ ერისთავთ და წარჩინებულთ ამოსწყვეტს ჰერეთში ცივის მთაზე და სარგის ჯაყელს მიუბოძებს ათაბაგობას და ამირ-სპასალარობას; იმორჩილებს რანს, შირვანს დარუბანდამდე. ქურდ-ლეკითურთ; გადადის ლიხის მთით იმერეთს, სადაც იმერნი სიხარულით მიეგებიან გიორგის, რომელიც აქ თავის ერისთავებს ამყარებს და თვით ბაგრატ მეფეს ადგენს შორაპნის ერისთავად. გიორგის ემორჩილებიან აგრეთვე დადიანი მამია, გურიელი, ერისთავი სვანეთისა და შარვაშიძე აფხაზეთისა.

სარგის II † 1334 წ. და გიორგი ათაბაგობას მიუბოძებს მის შვილს ყვარყვარე I-ს და ადგენს თავის ერისთავებს კლარჯეთს, სპერს, კალმახს, ტრაპიზონს, სამცხეს, არტანს და წუნდას: † 1345 დადიანი მამია I და გიორგი დადიანობას აძლევს იმის შვილს გიორგი II-ს. გიორგი მოიყვანს ცნობაში ადგილობრივ მთიულთ ყოფა-ცხოვრებას და უწერს მათ სჯულის-კანონს, რომელიც დღემდე ცნობილია «გიორგი მეფის სამართლად» (გვ. 278, შენ. 3).

გიორგის დროს † კათალ. ევთიმე და ჯდება ვასილი. გიორგი შემოჰკრებს კათალიკოს-ეპისკოპოსთა და აახლებს საეკლესიო-სამღვდელო წესთა და რიგთა; მატიანეს თქმით მან „დავით

### დავით VI

### 66. გიორგი მცირე,
(1308†1318)

რომელსაც ყაენი ადგენს ორის წლისას მეფედ, მზრდელად და მეურნედ კი უჩენს დიმიტრი მეფის შვილს გიორგის; მიანდობს შანშე მხარგრძელს და ზაქარიას ავაგის ქალის ხვაშაგის ნაშობს, რომ მათ საქართველო მას შემოუერთონ. ესენი კოხტას-თავს მოიწვევენ ბექას შვილებს: სარგისს და ყვარყვარეს. იგინი უარს განაცხადებენ. ბექა I მთავარი სამცხისა, „სავსე ყოვლითა კეთილითა მეუღლითურთ ვახახით“; † 1306 ანუ 1308 წ. და სტოვებს ვაჟი-შვილებს: სარგის II, ყვარყვარეს და შალვას და ქალებს: N ტრაპიზონის იმპერატორის ცოლს და ნათელას დიმიტრი თავ-დადებულის მეუღლეს.

შენ. ბექას შვილებზე არხეოლოგიური ცნობები ნახე გვ. 274, შენ. 3.

ამ დროს გიორგი ძე დიმიტრისა ულჯათ-ყაენის მიწვევით მონაწილეობს იკონიის დამშვიდებაში. ამასთანავე ულჯათ-ყაენის სიკვდილის შემდეგ იგი ეახლება ურდოში იმას შემკვიდრეს, რომელმაც მატიანეს მოწმობით «მისცა მას ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და ძენი ბექა სამცხისანი და მესხნი». გიორგი იკურთხება ტფილისში. ეს გიორგია გიორგი ბრწყინვალე.

ალმაშენებელის მსგავსად განავსნა და ალაშენა ქვეყანანი, სჯული და სამოქალაქო წესი განაბრწყინვა, ეკლესიანა დარღვეულნი და მოოხრებულნი—ალაშენა, განაახლნა და განანათლნა“.

## 68. დავით VII
### (1846†1360)

ირთავს სინდუხტარს; იჭერს მთელს საბრძანებელს მამისას. ამან მატიანეს თქმით „ჰმატა უმეტეს ეკლესიათა და ციხე-სიმაგრეთა, რომელნი მოოხრებულ იყვნენ და დაუშთნენ ბრწყინვალესა მეფესა გიორგის. † კათალიკოსი გასილი და ჯდება დოროთეოს.

## 69. ბაგრატ V დიდი
### (1360†1395)

ირთავს ელენეს, რომელიც † 1366 წ. ამისნი შვილნი არიან გიორგი და დავით. ირთავს ტრაპიზონის იმპერატორის მანუელ III-ის ქალს ანნას. მესამე შვილის კონსტანტინეს დედა არ იხსენიება. ამ ბაგრატისაგან არის ვითომც აშენებული მოწამეთა მონასტერი.

**გულხან-ხათუნ ანუ ევდოკია,** დაწინდული ტრაპიზონის იმპერატორის ალექსი III-ს შვილზე ანდრონიკეზე († 14 მარტს 1376 წ.); ირთავს 13 ოკტომბერს 1379 წ. იმავე ალექსის უმცროს ვაჟს მანუელს. გულხან † 2 მარტს 1395 წ.

ამის დროსვე სჭანნი მოსტყვენენ და მოსწვენ ქუთაისს. ბაგრატ თვითვე ადგილობრივ ამშვიდებს სვანეთს. სვანთ ერისთავს გარდანიძეს ატყვევებს და შემდეგ მიუბოძებს გურიის საერისთაოს, სვანეთში კი მის მაგიერ აყენებს გელოვანს. თურქნი მოარბევენ სამცხეს. ბაგრატ რახს იქით სძლევს თურქთა. † 1361 წ. ათაბაგი ყვარყვარე I და იმის მემკვიდრედ ბაგრატ ამყარებს იმის შვილს მანდატურთ-უხუცესს ბექა II-ს. † 1372 წ. ერისთავი იმერეთისა, ძმე ყვარყვარე I-ისა და იმის მაგიერ ბაგრატ ადგენს იმის შვილს ალექსანდრე I-ს.

მონგოლთ მთავრის თარაგაის შვილი და შთამომავალი ჩინგიზ-ყაენისა ლანგ-თემურ 1366 წ. ისაკუთრებს საყაენო ტახტს; იჭერს სამარყანდს, ბუხარას, ხვარასანს და სპარსეთს; აოხრებს არაქსის ნაპირებს და თვით საქართველოშიაც შემოდის; იღებს ტფილისის ციხეს, სადამაც გამოჰყავს დატყვევებულნი ბაგრატ და დედოფალი ანნა; ყარაით გაემგზავრება ყარაბაღს; თანა ჰყავს ბაგრატ დედოფლითურთ. აქედამ წარგზავნილის დიდ-ძალის მხედრობით აოხრებს ქართლს და არღვევს მცხეთისა და რუისის ტაძრებს და ქვაბთა-ხევის მონასტერს; იმონავებს შირვანს და დაღისტანს, სადაც «მთის ძირთა და კალთათა ზედა ვიდრე თერგის მდინარემდე ასახლებს ელთა მაჰმადიანთა». თვით ლანგ-თემურ ჩავლით იჭერს გილან-მაზანდარანს.

რომ შური-აგოს ლანგ-თემურს ბაგრატ გარეგნად აღიარებს ისლამს და ლანგ-თემურს გამოსთხოვს 12000 ჯარს ვითომც ისლამის გასავრცელებლად საქართველოში და გზიდამ გიორგის აცნობებს თავის ჯარით დაუხვდეს თათრებს საზღვარზე, სადაც ბერდუჯის პირზე მამა-შვილი სრულებით ჰმუსრავენ მათ. ლანგ-თემურ განძვინებული აოხრებს ქართლ-სომხითს.

ქ-ცხბის თქმით „ბაგრატს ამისთვის ეწოდა დიდი, რამეთუ იყო მძლეველი და გამარჯვებული თვინიერ თემურისა; ილვაწა ქვეყნისა თვისისათვის და არა განხეთქა სამეფო თვისი“. ამის დროს იწყება ჩვენში ზოგიერთი გეოგრაფიული ცვლილება: სამცხე იწოდება საათაბაგოდ; უწინდელი ქვემო-ქართლი ზემო-ქართლად; მტკვრის სამხრეთი ნაწილი-ქვემო-ქართლად. იმერთ ერისთავი ალექსანდრე სარგებლობს ბაგრატის დატყვე-

## ბაგრატ V

ვებით და ეკურთხება მეფედ იმერთა, თუმცა დადიან-გურიელი, აფხაზნი და სვანნი მას არ მიჰყერძვენ. აფხაზეთის კათალიკოსად ჯდება არსენი. თვით სამცხე-კლარჯეთის ეკლესიის კავშირი მცხეთის საკათალიკოსოსთან სუსტდება და ანტიოქიის პატრიარქი იქ თავის გავლენას ეძიებს (გვ. 286, შენ. 1). ბაგრატის ტყვეობის დროს † 1391 წ. ათაბაგი ბექა II და ბაგრატის შვილი გიორგი მის მაგიერ ჰსვავს იოანე I-ს. † კათალიკოსი გიორგი და ჯდება ელიოზ.

### 70. გიორგი VII
(1395†1407)

ირთავს ნესტან-დარეჯანს (?); აშენებს ეკლესიას ულუმბისას. † კათალიკოსი ელიოზ და ჯდება მიხაილ. † მიხაილ და ჯდება დავით. † 1396 წ. დადიანი ვამიყ ანუ ვამეყ I დაამის ნაცვლად მეფე ადგენს მის შვილს მამია II-ს, რომელსაც ერთგულობისათვის მიუბოძებს თვით ცხომის საერისთაოს.

ლანგ-თემურ ხელ-ახლა შემოდის რანს „აწ ყარაბალად წოდებულს“ (გვ. 290, შ. 1) და გიორგის მოსთხოვს მორჩილებას; გიორგი მოიწვევს დარიალით ოვსთა დიდძალთა და მკაცრად ებრძვის თემურს, რომელიც შემდეგ ტფილისის აღებისა უკუიქცევა ყარაბალს. გიორგი ჩადის სომხითში, სადაც ნახჩევნის მაზრაში, თვით შერიფ-ედ-დინის მოწმობით, თათრებს ამარცხებს და ალინჯის ციხე-სიმაგრეს გამოჰგლეჯს თემურს. თემურ დიდის ჯარით აოხრებს სამცხეს და დგება მანგლისში; გიორგი ზავისათვის მიუგზავნის თავის ძმას კონსტანტინეს. თემური სიტყვას აძლევს, მაგრამ მაინც არა სცხრება გულისწყრომით, „გინაჳდგან ენება მას მოოხრება და მაჰმადიანობა საქართველოჲსა“: მოადგება ბირთვისის-ციხეს, რომელსაც იჭერს დიდის გაჭირვებით და ზიანით.

ამ დროს ახლად გამოჩენილნი თურქნი, აწ ოსმალნი თავიანთის სულტანით ბაიაზეთით მოადგებიან კონსტანტინეპოლს. სცნობს რა აღმოსავლეთის დაპყრობას თემურისაგან, ბაიაზეთი შეებმის მას, მაგრამ იძლევა და მას ტყვედ დაჭერილს თემური წაიყვანს სამარყანდისკენ, სადაც თემური † 19 იანვარს 1405 წ. და ქ-ცხბით „ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა“ ანუ

### 71. დავით VIII
(1407†1413)

### 72. გიორგი VIII

ამათ დროს ქ-ცხბით ზის კათალ. ვასილი, რომელსაც ვახუშტი არ იხსენიებს. გიორგი ირთავს ქუცნა ამირ-ეჯიბის ქალს ნათიას.

კოსტანტინე II. †1414 წ. ჩალაგანთან ბრძოლაში.

### 73. ალექსანდრე
(1413†1442)

ირთავს იმერეთის მეფის ალექსანდრეს ქალს თამარს (ჩამჩიანის თქმით ორბელიანის ქალს) და თავის ცოლის-ძმას დიმიტრის აძგენს იმერეთის ერისთავად. აფხაზთაგან 1414 წ. მოკლულის დადიანის მამიას ნაცვლად ამკვიდრებს იმის შვილს ლიპარიტ II-ს. ათაბაგი იოანე „მიზეზობს ძალ-ყოფასა თურქთაგან“ და არ ეახლება მეფეს, რომელიც იმერთ-ქართველთ-სომხითარ-ჰერ-კახთა სპით დაიბანაკებს კოხტას-თავს; ათაბაგი შეებრძვის მას, მაგრამ ფიცხელის ომის შემდეგ იძლევა და დატყვევდება; მეფე იოანეს ისევ უმოწყალებს ათაბაგობას. რუსა ცოლი ქუცნა ამირ-ეჯიბისა აახლებს სვეტი-ცხოველს.

ალექსანდრე შემოჰკრებს კათალიკოს-ეპისკოპოსთ და დიდებულთ და იმათ თანხმობით მთელს თავის სამძანებელში შეაწერს გლეხის კომლზე წელიწადში სამ-სამ კირმანეულს ანუ ექვს-ექვს შაურს ასაშენებლად ეკლესიათა: მცხეთისას, რუისისას და სხვებისას. ალექსანდრეს დროს † კათალიკოსნი: დავით, ელიოზ და თეოდოსი და იგი ადგენს კათალიკოსად შიოს. შემოდიან ანაზდად „სარკინოზნი“ (მუსულმანნი) და მოაოხრებენ

ნახე გვ. 341

## გიორგი VII

თომა მეძობის თქმით „ჩაკვდა ძაღლივით.“ თემურის შვილები ერთმანეთში ბრძოლას სტეხენ და თავის ძალას შეასუსტებენ.

საქართველო მცირეს ჟამს ცოტა არ იყო შეისვენებს, თუმცა აქედამ თემური გადაასახლებს სამარყანდში დიდ-ძალ ტყვეს, რომელთაც თომა მეძობი 60,000-მდე სთვლის. იმერეთში მოჰკვლენ მეფე კოსტანტინეს და გიორგი იჭერს ამ მხარეს, სადაც მას მოერთვიან დადიანი მამია, გურიელი, შარვაშიძე და სვანნი. გიორგი განაგებს საქმეს სამცხისას და ქართლისას; განდევნის თათრებს და მოსწყვეტს მათ ვიდრე რახსამდე; მაგრამ დიდ-ძალნი მაჰმედიანნი თურქნი მას შეებრძოლებიან და გიორგი მოიკვლის წყობაში, როგორც ვახუშტი ფიქრობს, ნახიდურს.



## ალექსანდრე

სომხითს სამცხემდე. ალექსანდრე იბრუნებს ლორეს, ჰხოცავს სარკინოზთა და მოხარკედ ჰყოფს მოვაკანს და შირვანს; დაეზავება შარუხს, რომელსაც დაეჭირა სპარსეთი და ადერბეიჯანი. თუმცა განძელ-შირვანელნი და დარუბანდელნი უარ-ჰყოფენ ხარკის მოცემას, მაგრამ ალექსანდრე ჯარით ჩადის ყარაბაღს, სადაც განძელნი, შირვანელნი და დარუბანდელნი მას ეახლებიან ძღვნით და ემორჩილებიან. ალექსანდრეს მეფობაში 1439 წ. შეიყრება მსოფლიო კრება ფლორენციისა ბერძენთ-ლათინთ ეკლესიების შეერთებისათვის, მაგრამ ამაოდ. ამ კრებაში მონაწილეობს ვითომც მიტროპოლიტი ქართველი სოფრონ. (გვ. 300, შენ. 1). ალექსანდრე კვდება შემონაზონებული და ათანასედ სახელ-წოდებული; იმარხება მის მიერვე მცხეთის ტაძარზე მიშენებულს ეკვდერში, რომელიც ახლა აშლილია.

### 74. ვახტანგ IV

უფროსი ძე.

(1442†1445)

ირთავს ფანასკერტელის ქალს სითი-ხათუნს. სპარსეთში † შარუხ და ჯდება მისწილ ჯაან-შაჰ, რომელიც უგრძნეულად მოუხდება ახალციხეს. იბრძვიან ვახტანგ და ჯაან-შაჰ, რომელიც შემდეგ სასტიკის ომისა უკუ-იქცევა. † 1444 წ. იოანე I ათაბაგი და ვახტანგის ნებართვით ათაბაგად ჯდება იმისი შვილი აღბუღა „კაცი მშვიდი და უშფოთველი და სიმართლის მოქმედი, ვითარცა გვაუწყებს მის მიერ აღწერილი სამართლის წიგნი, რომელი მან დაუდვა მესხთა ბრძანებითა მეფისათა“. („აღბუღას სამართალზე“ ცნობა ნახე გვ. 302, შენ. 3). ვახტანგ † უშვილოდ და იმარხება ბანას ეკლესიაში, სადაც ერთის წლის წინად დასაფლავდა სითი-ხათუნ.

### 75. დიმიტრი შუათანა

ირთავს გულანშარს, მეფობს იმერეთში 1445 წ. † 1452 ანუ 1453 წ.

დავით

აფუძნებს კახეთის სამეფო სახლსა.

დავით

მონაზონი 1428 წელს.

N ცოლი ტრაპიზონის ფაალ. იმპერატორისა.

### 76. გიორგი IX (ვახუშტით VIII)

უმცროსი.

(1445†1469)

ამის დროს † კათალიკოსი შიო და ჯდება დავით, შვილი ალექსანდრე მეფისა. † ერისთავი იმერეთისა დიმიტრი და გიორგი ერისთაობას მიუბოძებს იმის შვილს ბაგრატს. † 1451 წ. აღბუღა და მეფე ათაბაგად ადგენს აღბუღას მტერს და ბიძას ყვარყვარე II-ს. ამავე წელს თურქნი აოხრებენ ცხომს, აფხაზეთს და ზღვის პირთა. სულტანი თურქთა მაჰმედ II იჭერს 1453 წ. კოსტანტინეპოლს და 1462 წ. ტრაპიზონს. ყვარყვარე ათაბაგის ინტრიგებით იმერეთის ერისთავი ბაგრატ იკურთხება იმერეთის მეფედ და დამოუკიდებლობას ანიჭებს დადიანს, გურიელს და ერისთავთ აფხაზეთისას და სვანეთისას. გიორგი გაილაშქრებს იმერეთზე, მაგრამ ახალნი მთავარნი არ მისცემენ მას შემწეობას. გიორგი განივლტვის სამცხეს, სადაც დიდებულნი მას მიჰკერძვენ და ათაბაგი ივლტვის იმერეთში. ამ დროს სპარსნი აოხრებენ ქართლსა. გიორგი ჩამოდის ქართლს, სადაც იძლევა სპარსთაგან. შირვანი, რანი და მოვაკანი უარ-ჰყოფენ ხარკის მოცემას. ბედ-კრულია გიორგი თავის ბრძოლაში თვით ყვარყვარე ათაბაგთან, რომელსაც შემწეობს მეფე იმერეთისა ბაგრატ. გურიელს კახაბერს ყვარყვარე მოსთხოვს შემწეობას და ნაცვლად უთმობს მას აჭარას და ჭანეთს. გიორგის უკუ-უდგებიან ის დიდებულნიც, რომელნიც მანამდე მისნი მომხრენი იყვნენ და განიზრახვენ მის სიკვდილს. ამ გარემოებას აცნობებს გიორგის ითამ ზედგინიძე და რადგანაც გიორგი შეთქმულობას არ იჯერებს, ითამ ჩაწვება იმის ქვეშაგებში და მოღალატენი მგონენი, რომ იგია გიორგი, მოჰკვლენ ღამე ითამს. ეს ითამ არის ახლანდელთ ქართლის ამილახვართ წინაპარი. გიორგი მიუბოძებს ითამის ძეს სამკვიდროდ „ციხეთა და მამულთა და სპასპეტობას ქართლისას, მოურაობას გორისას, სასაფლაოდ სამთავისს და მეფის კარის ამილახვრობას“. გიორგის ატყვევებს ყვარყვარე და გაიყვანს სამცხეში, საიდამაც ყვარყვარეს † შემდეგ 1466 წ. ანთავისუფლებს იმისი მემკვიდრე ბაადურ. ბოლოს გიორგი მეფე „ვერლარა ღონის-მძიებელი და მპოვნელი საქართველოს შეერთებისა“, კვდება მწუხარებაში და იმარხება მცხეთას.

შენ. 1. ამ დროს ქართული ისტორია არეულია. ბროსეს შენიშვნით, ვახუშტის ისტორიაში“ ა) გიორგი VII № 70 და დავით VIII № 71 არა ჩანან და იმათ მაგიერ დადგენილია კოსტანტინე ძმა გიორგი VII კი არა, არამედ გიორგი VIII-სა № 72; ბ) გიორგი VIII გადიქცევა ჩვენ გიორგი VII-დ; გ) ბაგრატ VI № 77 იკარგება და ეს ასეც უნდა იყოს; დ) შვილი ალექსანდრესი დიმიტრი, რომელსაც არ უმეფნია ქართლში, იკარგება აგრეთვე ე) კოსტანტინე II ჯდება ნაცვლად ვახტანგისა, რომელიც არის შვილი გიორგის, ალექსანდრეს შვილისა“.

შენ. 2. აქ მოხსენებულ გიორგი VIII-ზე (ნახე ქვემოდ № 76) ჩვენ გვაქვს ხელში გუჯარი ქსნის ერისთავთ სახლისა, რომელიც უჩვენებს ინდიკტიონს 14-ს, 1460 წ. მეფეთ მეფეს გიორგის, მის მეცხედრეს დედოფალთ დედოფალს ნესტან-დარეჯანს და იმათ შვილს ალექსანდრეს. ამოწმებს კათალიკოსი მარკოზი. ამ გუჯარის წარწერაში ინდიკტ. 7-სა 1472 წ. მეფეთ მეფე ბაგრატ უწოდს გიორგი მეფის ძმის ბიძად. წარწერას ამოწმებენ კათალიკოსი დავით და სამთავნელი მათე.

## 76. გიორგი IX.

| | | | |
|---|---|---|---|
| ალექსანდრე. | კონსტანტინე III იკურთხება 1469 წ. ამის შთამომავალნი მეფობენ ქართლში. იმის დროს † კათალიკოსი დავით და ნიკოლაოზ, ჯდება აბრაამ. | N, რომელსაც თხოულობს 1450 წ. იმპერატორი კონსტანტინე დრაგოსესი. | N, რომელსაც ირთავს ერისთავი გიორგი შვილი გამეყ შაბურიძისა. |

# ამ წიგნის შეცდომანი.

| გვერდი | სტრიქონი | დაბეჭდილია: | უნდა იყოს! |
|---|---|---|---|
| 10 | 2 ქვემ. | *Amėdie* | *Amédée.* |
| — | — | *Stradon* | *Strabon.* |
| 16 | 7 ქვემ. | ასსირიელ | ასსირიელნი. |
| 30 | 21 ზემ. | გაჩის | გაჩიოს. |
| 37 | 16 — | 301 | 302. |
| — | 13 ქვემ. | ანძიმორი | ანძიძორი. |
| — | 2 — | ინტიოქოსნი | ანტიოქოსნი. |
| 40 | 1 — | 121 | 127. |
| 44 | 7 ზემ. | 36 | 2. |
| 52 | 6 ქვემ. | ბაკურ | ბაკურ I. |
| — | 3 — | მირდატ | მირდატ II. |
| 58 | 1 — | 253 | 259. |
| — | 2 — | გაშვებულია | *Voyage de Chevalier Chardin en Perse.—Notice chronol. de Langlès.* 1811, Paris, x, p. 172—179; Lebeau, *H. du B—E.*, I, 77. III, 103—106; 294, n. 2.—*H. de la G.*, I, 393, n. 3; II, 2 livr., 112, n. 2. |
| 56 | 19 — | მოკლი | მოკლა. |
| — | 20 — | მააულსა | მამულსა. |
| 64 | 7 — | XIII ათისთავმან. | XII ასისთავმან. |
| 67 | 20 ქვემ. | მეათეთმ | მეათერთ. |
| 70 | 4 — | არ არის ნაჩვენები და ალვსება კი | არის ნაჩვენები და ალვსება. |
| 72 | 1 და 9 ქვემ. | ბოდა-ბოდას | 33 ბოდა-ბოდას. |
| 79 | 1 ზემ. | მირდატ | მირდატ III. |
| — | 10 — | 394. | 393. |
| 80 | 12 — | ზაქარაც | ბაქარიც. |
| 83 | 14 — | ფარსმან V | ფარსმან IV. |
| 84 | 6 — | არჩილ | არჩილ I. |
| 87 | 17 ქვემ. | ლთვისათა | ღვთისათა. |
| — | 19 — | მირდატ | მირდატ XI. |
| 97 | 19 — | ხარკანძე | ხარგანძე. |
| 113 | 16 — | ႱႣႨႴႤႰႭႱ | ႱႣႴႤႰႭႱ. |
| 116 | 12 — | *lanque* | *langue.* |
| — | 14 — | არჩილ | არჩილ II. |
| 126 | 15 ზემ. | მხილვენი | მხილველნი. |
| — | 3 ქვემ. | ბიოგრაფი. | ბიოგრაფია. |
| — | 6 — | X | XI. |
| 128 | 2 — | შიდა, ქართლად | შიდა-ქართლად. |
| 134 | 7 ზემ. | ალებ-მიცემობას | ალებ-მიცემობს. |
| 139 | 13 ზემ. | № | № 1. |
| 146 | 14 — | ამაზე | ამაზე მეტად. |
| — | 17 ქვემ. | გვ. 114. | 113. |

| გვ. | სტრიქ. | დაბეჭდილია: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 148 | 16 ზემ. | стр. 24) | стр. 24—27, 61—66. |
| 151 | 2 ქვემ. | გაშვებულია | «წყ.-სიტყვ.», 240, შ. †1041. |
| — | 4 — | 216 | 214. |
| — | 10 — | სპირსე | სპარსე. |
| — | 17 — | დაყუდეულის | დაყუდებულის. |
| — | 20 — | მთაწმინდილია | მთაწმინდელია. |
| 152 | 4 — | სნობს | სცნობს. |
| 160 | 14 — | *be* | *de*. |
| 167 | 12 — | ოკურპალატად | კურაპალატად. |
| — | 15 — | მარიმ | მარიამ. |
| 173 | — — | 1901 | 1091. |
| 184 | 7 — | კირაკოზ | კირაკოზ (*Recueil.*, I, 417). |
| 191 | 21 — | ბუბუკარის | ბუბაქარის. |
| 192 | 8 — | ანგისი | ანდელოზ. |
| 193 | 9 — | ბრძენნი | ბერძენნი. |
| 199 | 17 ზემ. | ბოლოკლოიზბსკის | ბოლოლოიუბსკის. |
| — | 16 ქვემ. | თამირის | თამარის. |
| 204 | 14 — | თმოგელს | თმოგველს. |
| 207 | 17 — | სპინი | სპანი. |
| 213 | — — | დაიჭირი | დაიჭირა. |
| 223 | 18 — | ამოკითხვის | ამოიკითხვის. |
| 225 | 1 — | I, 50 | 150. |
| — | 3 — | რუსდანის | რუსუდანის. |
| 231 | 21 — | უკოცხალია | ცოცხალი. |
| 240 | 16 — | 2 | 1. |
| 249 | 2 — | ბარებას | ბარებს. |
| 251 | 2 — | 259 | 239. |
| 255 | 14 — | ჯვარიჩ | ჯვარის. |
| 270 | 16 — | თორთმის | თორთომის. |
| 275 | 7 — | გვ.), | გვ. 78. |
| 276 | 11 ზემ. | 1356 | 1346. |
| 286 | 77 — | მობოძავსა | მობაძავსა. |
| 287 | 19 ქვემ. | მძეჭაბუკისაგან | მეჭაბუკისაგან. |
| 303 | 8 — | ბეგა | ბექა. |
| 308 | 4 — | ოძრეს | ოძრხეს. |
| — | 20 — | ზღვამდე | ზღვამდე. |
| 317 | 13 — | ხთვანოსი | თვანოსი. |
| — | 14 — | აზართ | ხაზართ. |
| 320 | 8 ზემ. | ოშკის | ოშქის. |
| — | 11 ქვემ. | ოშკის | ოშქის. |
| 323 | 10 ზემ. | 855 | 955. |
| 336 | 9 ქვემ. | ჰყავხ | ჰყავს. |
| — | 8 ზემ. | ყაენი | ყაზნნი. |



საზოგადო ქარტა
ძველის საქართველოჲსა.
შედგენილი და დახატული ქვაზე
ნ. ი. წილოსანისაგან.
მაშტაბი 1: 3.360.000
20 ვერსი